თეიგიზ ლილუაშვილი, გია ლილუაშვილი,
ვალერი ხრუსტალი, ზურაბ ძლიერიშვილი

სამოქალაქო საპროცესო სამართალი

II ნაწილი

თბილისი 2023

თენგიზ ლილუაშვილი†, გია ლილუაშვილი,
ვალერი ხრუსტალი, ზურაბ ძლიერიშვილი

სამოქალაქო საპროცესო სამართალი

II ნაწილი

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2023

უაკ (UDC) 347.9(479.22)
ლ-619

რედაქტორი
თეიმურაზ თოდრია, სამართლის დოქტორი,
ალტე უნივერსიტეტის პროფესორი

დაკაბადონება
დავით გოგლიძე

© თენგიზ ლილუაშვილი, გია ლილუაშვილი,
ვალერი ხრუსტალი, ზურაბ ძლიერიშვილი, 2023
გამომცემლობა „მერიდიანი“

ISBN 978-9941-34-327-8

წინასიტყვაობა

2014 წელს გამოიცა წამყვანი მეცნიერების – სამართლის დოქტორის თენგიზ ლილუაშვილის, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორის, სამართლის დოქტორის ვალერი ხრუსტალის, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორის, სამართლის დოქტორის, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ზურაბ ძლიერიშვილისა და ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორის, სამართლის დოქტორის გია ლილუაშვილის მიერ შემუშავებული სამოქალაქო საპროცესო სამართლის სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი, რომელიც მოიცავდა სასარჩელო წარმოებამდე არსებულ საკითხებს.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის სახელმძღვანელოს მეორე ნაწილი ამავე ავტორების მიერ არის შემუშავებული. კერძოდ, VI და IX თავები დაამუშავა სამართლის დოქტორმა ზურაბ ძლიერიშვილმა, XIII თავი სამართლის დოქტორმა ვალერი ხრუსტალმა, ხოლო დანარჩენი ნაწილი დაამუშავა სამართლის დოქტორმა გია ლილუაშვილმა, სადაც ასევე გამოყენებულია სამართლის დოქტორის აწ გარდაცვლილი თენგიზ ლილუაშვილის 2005 წლის სახელმძღვანელო „სამოქალაქო საპროცესო სამართალი“ და 2007 წელს თენგიზ ლილუაშვილისა და ვალერი ხრუსტალის ავტორობით შემუშავებული და გამოცემული „სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი“.

სახელმძღვანელოს მეორე ნაწილი მოიცავს სარჩელის აღძვრიდან მოყოლებულ ყველა დანარჩენ საკითხს.

ისევე როგორც პირველი ნაწილი, მეორე ნაწილიც ემყარება როგორც ქართველი, ასევე, უცხოელი პროცესუალისტების მოსაზრებებს, დოგმატურ შეხედულებებსა და სასამართლო პრაქტიკას.

სახელმძღვანელო განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების სამართლის ფაკულტეტების (სკოლების) ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისათვის. ის მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ასევე პრაქტიკოს იურისტებსაც, მათ შორის ადვოკატებს და მოსამართლეებს.

რედაქტორი
თეიმურაზ თოდრია, სამართლის დოქტორი,
ალტე უნივერსიტეტის პროფესორი

შინაარსი

თავი I. სასარჩელო წარმოება

§1. სარჩელის ცნება 16
§2. სარჩელის ელემენტები 18
I სარჩელის ელემენტების მნიშვნელობა 18
II სარჩელის საგანი 19
III სარჩელის საფუძველი 22
IV სარჩელის ელემენტების შეცვლის წესი 23
§3. სარჩელის სახეები (სარჩელების საპროცესო სამართლებრივი კლასიფიკაცია) 27
I მიკუთვნებითი სარჩელები 28
II აღიარებითი სარჩელები..... 31
III გარდაქმნითი სარჩელები 35
§4. რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნის გაერთიანება და გამოყოფა 38
§5. სარჩელის უფლება. სარჩელის წარმოებაში მიღების პირობები 40
§6. სარჩელის ფორმა და შინაარსი 55
§7. სარჩელის უზრუნველყოფა 62
I ცნება 62
II სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების შინაარსი..... 64
III სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები 65
IV სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის წესი..... 74
V ჯერ არ აღძრული სარჩელის უზრუნველყოფა..... 76
VI განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ..... 77
VII სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების გასაჩივრება და საჩივრის წარმოებაში მიღების წესი და ფორმა 79
VIII სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება (მოპასუხის ინტერესების დაცვა) 81
IX სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების აკრძალვა..... 86

თავი II. სარჩელისაგან მოპასუხის თავდაცვის საშუალებები

§1. თავდაცვის საშუალებათა სახეები 88
I სარჩელის უარყოფა (არცნობა) 88
II პროცესუალური შესაგებელი 89
III მატერიალურ სამართლებრივი შესაგებელი 92
IV შესაგებლის ფორმა და შინაარსი 97
V შესაგებლის წარუდგენლობის შედეგები 99
§2. შეგებებული სარჩელი და მისი წარმოებაში მიღების წინაპირობები 101
I შესაგებელი თუ შეგებებული სარჩელი: დაცვის საშუალებათა არჩევა 101
II შეგებებული სარჩელის წარმოებაში მიღების წინაპირობები 103
III შეგებებული სარჩელის აღძვრის ვადა 105
IV შეგებებული სარჩელის მიღება და განხილვა 107

თავი III. საქმის წინასწარი მომზადება ზეპირი განხილვისათვის

§1. სამოქალაქო საქმის წინასწარი მომზადება, როგორც საქმის წარმოების პირველი ეტაპი და მისი მნიშვნელობა 110
§2. საპროცესო მოქმედებები, რომლებიც უნდა შესრულდეს საქმის მომზადების მიზნით 116
I მოპასუხისგან წერილობითი შესაგებლის გამოთხოვა 117
II სარჩელისა და შესაგებლის საფუძველში მითითებული ფაქტების სამართლებრივი მნიშვნელობის შეფასება. მტკიცების ტვირთის განსაზღვრა 117
III მტკიცებულებათა შეგროვება 119
IV საქმეში მონაწილე პირთა განსაზღვრა 120
V მოსამზადებელი სხდომა 121
VI მოსამზადებელ სტადიაზე საქმის წარმოების შეწყვეტა 124
VII სასამართლოს მთავარი სხდომის (საქმის ზეპირი განხილვის) დანიშვნა 126

§3. შეტყობინება და დაბარება 127
I სასამართლო უწყება, მნიშვნელობა და შინაარსი..... 127
II სასამართლო უწყების გაგზავნის წესი და ფორმა..... 130
III სასამართლო უწყების ჩაბარების წესი და ფორმა..... 131
IV სასამართლო უწყების ჩაუბარებლობის, მიღებაზე უარის თქმის ან უწყებამიღებული პირის გამოუცხადებლობის შედეგები..... 136

თავი IV. საქმის არსებითად განხილვა სასამართლოს მთავარ სხდომაზე

§1. საქმის მთავარ სხდომაზე განხილვის მნიშვნელობა და წესი 138
I. სასამართლოს მთავარი სხდომის ცნება და მნიშვნელობა 138
II. მთავარი სხდომის გახსნა და მისი ჩატარების შესაძლებლობის გარკვევა 140
III. საქმის არსებითად განხილვის დაწყება. მოსამართლის მოხსენება საქმის არსის შესახებ..... 144
IV. მტკიცებულებათა გამოკვლევა..... 147
V. მხარეთა პაექრობა. სასამართლოს ხელმძღვანელობა მხარეთა შეჯიბრებისადმი 149
VI. სხდომის დახურვა და გადაწყვეტილების გამოტანა 151
§2. საქმის განხილვის გადადება..... 153
I. ცნება და დასაშვებობა 153
II. საპროცესო მოქმედებები, რომლებიც უნდა შესრულდეს საქმის განხილვის გადადების შემთხვევაში. 155
§3. საქმის წარმოების შეჩერება 156

თავი V. სასამართლოს დადგენილებები

§1. სასამართლოს გადაწყვეტილება. ცნება, მნიშვნელობა და სახეები 163
§2. გადაწყვეტილების შინაარსი..... 171
§3. გადაწყვეტილების ნაკლი და მისი გასწორების წესი..... 180
§4. გადაწყვეტილების კანონიერი ძალა..... 188

I. გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ცნება. ფორმალური და მატერიალური კანონიერი ძალა 188
II. გადაწყვეტილების მატერიალური კანონიერი ძალა 90
III. გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ობიექტური ფარგლები 191
IV. გადაწყვეტილების დროითი ფარგლები 195
V. გადაწყვეტილების კანონიერი ძალის სუბიექტური ფარგლები 196
VI. გადაწყვეტილების კანონიერი ძალის მოქმედების შეწყვეტა 199
§5. გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა და გადაწყვეტა 201
§6. სასამართლო განჩინება 207
I. განჩინების მიღება 207
II. განჩინების მიღების წესი 209
III. განჩინების შინაარსი და კანონიერი ძალა 211
§7. სასამართლო ოქმი 213

თავი VI. დაუსწრებელი გადაწყვეტილება

§1. დაუსწრებელი გადაწყვეტილების ცნება და ზოგადი დახასიათება 218
შესავალი 218
I. სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები 223
II. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო 225
III. სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო სარჩელის განუხილველად დატოვება 226
IV. სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო საქმის განხილვის გადადება 228
V. სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის განმეორებითი გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება 229

VI. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა სარჩელების სუბიექტური გაერთიანების (საპროცესო თანამონაწილეობა) შემთხვევაში 229
§2. მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა 234
I. გადაწყვეტილება – დაუსწრებელი გადაწყვეტილება 238
II. დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის გამო 239
§3. სააპელაციო სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა 244
I. აპელანტის გამოუცხადებლობის გამო სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება 246
II. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში მოწინააღმდეგე მხარის მიერ შესაგებლის წარუდგენლობისას, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა 248
§4. დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან მიმართებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა 255
§5. მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა 258
I. სსსკ-ის 70-78-ე მუხლების მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა 248
II. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა დაუძლეველი ძალის ან სხვა ობიექტური გარემოებების არსებობის შემთხვევაში 263
III. გამოუცხადებელი მხარისათვის საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეუტყობინებლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა 265
IV. სარჩელის აღძვრის წინაპირობების არ არსებობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა 266

V. სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილით
გათვალისწინებული გარემოებების სამართლებრივი
შედეგები 268
**§6. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ
საჩივრის თავისებურებანი** 269
I. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ
საჩივრის დასაშვებობის შემოწმება 271
**§7. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების
საფუძვლების ზოგადი დახასიათება** 275
I. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება სსსკ-ის
233-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევის გამო 275
II. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება სსსკ-ის 215-ე
მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული
საფუძვლების არსებობისას 279
III. მხარის წარმომადგენლის გამოუცხადებლობის გამო
გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება ... 286
§8. განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება 289
I. განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების
მიღების წინაპირობები 290
II. განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების
გასაჩივრების თავისებურებები 291
III. სააპელაციო სასამართლოს განმეორებითი
დაუსწრებელი გადაწყვეტილება 294
§9. დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერი ძალა 296

თავი VII. საქმის დამთავრება გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე

§1. გადაწყვეტილების გარეშე საქმის დამთავრების ფორმები 298
I საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლები და შედეგები 298
II სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძვლები და
შედეგები 306

თავი VIII. – გამარტივებული წარმოება

§1. თამასუქისა და ჩეკის თაობაზე აღძრული სარჩელების განხილვა 310
I. განსჯადობა 310
II თამასუქის შესახებ სარჩელების წარმოებაში მიღების წინაპირობები 311
III. საქმის განხილვის გამარტივებული წესი 312
§2. ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე საქმის განხილვის გამარტივებული წესი 314
§3. აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ საქმის განხილვის წესი 316
§4. დანაშაულის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვის გამარტივებული წესი 321
§ 5. „მეწარმეთა შესახებ“ (მშკ) საქართველოს კანონით გათვალისწინებული საკითხების სასამართლო განხილვის წესი 324
I. სასამართლოს მიერ პირის დანიშვნა 325
II. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრის გამოწვევა 327
III. სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორის წილის გამოსასყიდი სამართლიანი ფასის დადგენა 328
IV. სამეწარმეო საზოგადოების დოკუმენტების შენახვის ადგილის განსაზღვრა 331
V. აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევა. კოოპერატივის საერთო კრების მოწვევა 332
VI. სამეწარმეო საზოგადოების ქონების განაწილების ვადის შემცირება 336

თავი IX. უდავო წარმოება

§ 1. უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეთა ზოგადი დახასიათება 339
შესავალი 339

I. უდავო წარმოების ძირითადი ნიშნები 342
II. სასარჩელო წარმოებისაგან უდავო წარმოების
განმასხვავებელი ნიშნები 345
III. უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეზე
გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების
თავისებურებანი 349
**§ 2. უდავო წარმოების წესით განსახილველი ცალკეული
კატეგორიის საქმეები** 351
I. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენა 351
II. პირთა ნათესაური კავშირის დადგენა 353
III. პირის კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის დადგენა 355
IV. მამობის დადგენის, ქორწინების, განქორწინების, სახელის
ან/და გვარის შეცვლის რეგისტრაციის ან შვილად
აყვანის ფაქტების დადგენა 357
V. უფლების დამდგენი საბუთის იმ პირისადმი კუთვნილების
ფაქტის დადგენა, რომლის სახელი, მამის სახელი ან გვარი,
რაც საბუთებშია აღნიშნული, არ ემთხვევა მის პასპორტში
ან დაბადების მოწმობაში აღნიშნულ სახელს,
მამის სახელს ან გვარს 361
VI. მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა და მემკვიდრეობის
გახსნის ადგილის დადგენა 364
VII. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის
შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებასთან
დაკავშირებული საკითხები 367
**§ 3. მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება
და მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადება** 374
I. პრეზუმფციის სამართლებრივი მნიშვნელობა 374
II. მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა
და მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადების
შესახებ საქმეთა განხილვის თავისებურებანი 376
III. მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა
და მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადების
შესახებ საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილების
თავისებურებანი 382

§4. დაკარგულ ან განადგურებულ საწარმდგენლო ფასიან ქაღალდსა და საორდერო ფასიან ქაღალდზე უფლების აღდგენა (გამოწვევითი წარმოება) 386
I. ზოგადი დებულებები..... 386
II. გამოწვევითი წარმოების წესით საქმეთა განხილვის თავისებურებანი..... 393
§5. ქონების უპატრონოდ ცნობა 399
§6. შვილად აყვანა 405
§7. ბავშვის მიტოვებულად აღიარება 416
§8. ცოცხალ დონორობაზე თანხმობის გაცემა..... 418

თავი X. ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეთა განხილვის თავისებურებანი

§1. არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნება ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ კონვენციისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით 424
§2. მშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის ზომების შესრულებასთან დაკავშირებით იურისდიქციის, გამოსაყენებელი სამართლის, აღიარების, შესრულებისა და თანამშრომლობის შესახებ“ ჰააგის 1996 წლის 19 ოქტომბრის კონვენციით გათვალისწინებულ საქმეთა განხილვის თავისებურებან 434
§3. საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი 439
§4. წარმოება რეკეტული, თანამდებობის პირის, „ქურდული სამყაროს“ წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე ან/და 331[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევასა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებით 442

§5. წარმოება პირის ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებულ პირად ცნობის თაობაზე საქმის განხილვასთან დაკავშირებით 455
§6. სასამართლოს მონაწილეობა საარბიტრაჟო განხილვასა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაში 458
§7. სამართალწარმოება დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეზე 475
§ 8. სასამართლოს მიერ პირის შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარება 477
§ 9. სასამართლოს მიერ პირის მხარდამჭერის მიმღებად ცნობა 480
§10. ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე განსაკუთრებული უფლების დარღვევის საქმეზე მტკიცებულებათა უზრუნველყოფის ღონისძიებანი, ინფორმაციის მიღების უფლება და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებანი 486
§11. სამართალწარმოება გაფიცვასთან ან ლოკაუტთან დაკავშირებულ საქმეზე 492

თავი XI. სასამართლო და კერძო მედიაციის სამართალწარმოება და მორიგების აღსრულების პროცესი

§ 1. სასამართლო და კერძო მედიაციის სამართალწარმოება 496
§2. სამედიაციო მორიგების აღსრულება 500
§3. სასამართლოს მონაწილეობა კოლექტიურ შრომით დავაზე მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების აღსრულებაში 502
§4. სასამართლოს მონაწილეობა „მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებების თაობაზე“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2019 წლის 7 აგვისტოს კონვენციის შესაბამისად დადებული საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობასა და აღსრულებაში 503

თავი XII აპელაცია

§1. სააპელაციო სასამართლოს ქართული მოდელი. მისი შინაარსი და მნიშვნელობა 507
§2. საქმის წარმოება სააპელაციო სასამართლოში 511
I. სააპელაციო საჩივრის ობიექტი, ანუ სასამართლოს რომელ დადგენილებებზე შეიძლება სააპელაციო საჩივრის შეტანა.. 511
II. სააპელაციო საჩივრის უფლების სუბიექტები ანუ ვის შეუძლია სააპელაციო საჩივრის შეტანა 512
III. სააპელაციო საჩივრის დასაბუთება 514
IV. სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობები 520
V. სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შედეგები 526
§3. შეგებებული სააპელაციო საჩივარი 529
I. შეგებებული სააპელაციო საჩივრის ცნება 529
II. შეგებებული სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა 531
III. შეგებებული სააპელაციო საჩივრის სახეები 532
§4. საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში 533
I. საქმის მომზადება ზეპირი განხილვისათვის..... 533
II. საქმის ზეპირი განხილვა მთავარ სხდომაზე 536
1. საქმის მთავარ სხდომაზე განხილვის წესი..... 536
2. ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენის პირობები სააპელაციო სასამართლოში 538
3. გადაწყვეტილების შემოწმების ფარგლები და სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილება..... 543
IV. საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობა..... 546
§5 სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და განჩინება..... 548

XIII თავი. კასაცია

§ 1. საქართველოს თანამედროვე კასაციის წარმოშობა და განვითარება. კასაციის ქართული მოდელი და მისი შინაარსი..... 554
§ 2. კასაციის მიზანი..... 567
§ 3. საკასაციო საჩივრის ობიექტები. 573

§ 4. საკასაციო საჩივრის უფლების მქონე სუბიექტები. 582
§ 5. საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებისა და დასაშვებობის წანამძღვრები (წინაპირობები). 590
I. საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების წანამძღვრები. .. 590
II. საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წანამძღვრები. 598
§ 6. შეგებებული საკასაციო საჩივარი 607
§ 7. სამართლის ნორმების დარღვევის შემოწმების ფარგლები საკასაციო სასამართლოში. 612
I. მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების დარღვევის შემოწმება. 612
II. საპროცესო-სამართლებრივი ნორმების დარღვევის შემოწმება. 618
III. გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები. 622
IV. საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობა..... 640
§ 8. საქმის წარმოების წესი საკასაციო სასამართლოში. 646
§ 9. საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილება. 654
§ 10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა და საკასაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებათა სავალდებულო ხასიათი. 662

თავი XIV. კერძო საჩივარი და საჩივარი

§1. კერძო საჩივრის ცნება, ობიექტი და სუბიექტები..... 679
§2. კერძო საჩივრის განხილვის თავისებურებანი 683

თავი XV. საქმის წარმოების განახლება

§1. საქმის წარმოების განსაზღვრის ობიექტი და სახეები 687
§2. განცხადების დასაშვებობა 697

თავი I. სასარჩელო წარმოება

§1. სარჩელის ცნება

რა არის სარჩელი?

სასამართლო არსებობს იმისათვის რომ დაიცვას პირის, ე.ი. ფიზიკური ან იურიდიული პირის დარღვეული თუ სადავოდ გამხდარი უფლება და კანონით გათვალისწინებული ინტერესი. უფლების სასამართლო წესით დაცვა უზრუნველყოფილია ყოველი პირისათვის, მაგრამ იმისათვის, რომ სასამართლომ გახსნას საქმის წარმოება და შეუდგეს საქმის განხილვას, საჭიროა, რომ პირმა მიმართოს სასამართლოს უფლების დაცვის შესახებ განცხადებით (თხოვნით, შუამდგომლობით).

ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლო თავისი ინიციატივით ვერ დაიწყებს საქმის წარმოებას, ვერ განახორციელებს ამა თუ იმ პირის უფლების დაცვას. საქმის წარმოებას სასამართლოში იწყებენ დაინტერესებული პირები, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და „თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ" (სსკ მე-3 მუხლი). ასეთია დისპოზიციურობის პრინციპის მოქმედების ერთ-ერთი პრაქტიკული და მთავარი შედეგი.

როგორც ვხედავთ, სასამართლოს საქმიანობის აღძვრა, საქმის წარმოება სასამართლოში იწყება სარჩელის ან განცხადების შეტანით. როგორც წესი, სარჩელით მიმართავენ სასამართლოს, როდესაც არის დავა უფლების შესახებ, ხოლო განცხადებით სასამართლოს მიმართავენ, როდესაც არ არის დავა და არ არის მოდავე მხარეები, საჭიროა მხოლოდ იურიდიული ფაქტის დადგენა, რის შესახებაც დაწვრილებით საუბარი გვექნება ქვემოთ.

ამრიგად, იმ პირს, რომელსაც სურს მეორე პირისაგან რაიმეს (ნივთის, ფულადი თანხის) მიკუთვნება ან მისგან რაიმე მოქმედების შესრულება ან ასეთი მოქმედების შესრულებისაგან თვის შეკავება, ან კიდევ, უფლების თუ სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა ან ასეთი ურთიერთობის შეცვლა-გარდაქმნა, მან უნდა მიმართოს სასამართლოს სარჩელით.

სარჩელი შედგენილი უნდა იქნეს ისეთი წერილობითი (ელე-

ქტრონულად ან ხელნაწერით) ფორმით როგორიც შეიმუშავა საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ. სარჩელი უნდა პასუხობდეს კანონის მოთხოვნებს და აღნიშნული საბჭოს მიერ შემუშავებული სარჩელის შედგენის წესებს. ამდენად, მხოლოდ მატერიალურ სამართლებრივი მოთხოვნა საკმარისი არ არის. მნიშვნელოვანია რომ სარჩელი უპირველეს ყოვლისა პროცესუალურ ფორმას, მის მოთხოვნებს შეესაბამებოდეს.

სარჩელის სამართლებრივ ბუნებასთან მიმართებაში დღემდე უცხოურ, კერძოდ რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში ერთმანეთისგან განასხვავებენ სამი სახის თეორიას:

1. **მატერიალურ სამართლებრივი თეორია** – ამ თეორიის მიხედვით მოსარჩელეს აქვს მოპასუხის მიმართ მატერიალურ სამართლებრთივი მოთხოვნა[1].
2. **პროცესუალურ სამართლებრივი თეორია** – სარჩელი არის კანონით დაცული ინტერესისა და დარღვეული უფლების დაცვის თაობაზე სასამართლოსადმი მოთხოვნა.[2]
3. **დუალისტური თეორია ანუ როდესაც სარჩელი ორივეს, მატერიალურსაც და პროცესუალურსაც ერთდროულად მოიაზრებს.**
4. ამ თეორიის არსი იმაში მდგომარეობს რომ სარჩელი ერთიან ცნებას მიეკუთვნება რომლის შინაარსიც მოცემულია სასარჩელო განცხადებაში, რომელიც ორ მოთხოვნას აერთიანებს: პირველი, მატერიალურ სამართლებრივს, რომელიც მიმართულია მოპასუხის მიმართ და რომელიც ამავე დროს წარმოადგენს სარჩელის საგანს, და მეორე, უფლების დაცვის შესახებ პროცესუალური ხასიათის მოთხოვნა, რომელიც მიმართულია სასამართლოსადმი.[3]

ჩვენ ამ შეხედულებებს არ ვიზიარებთ და ვთვლით რომ ზემოთ მოყვანილი შეხედულებები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება: ჯერ ერთი, პირველ და მეორე თეორიაშიც სარჩელის მატერიალ-

---

1 Исаенкова О.В. Демичева А.А. Соловьева Т.Н. Ткачева Н.Н. Иск в Гражданском судопрозводстве, „Wolters Kluwer“, 2009, 35.
Мингова А. Стамболиев О. Попова В. Иванова Р. Българско гражданско процесуално право, София, 2012, 172
2 Исаенкова О.В. და სხვები, იქვე, გვ.35.
Мингова А. და სხვები, იქვე, გვ. 172.
3 Исаенкова О.В. და სხვები, იქვე, გვ.37.
Мингова А. და სხვები, იქვე, გვ. 172.

ურ სამართლებრივი მხარე და სარჩელის პროცესუალურ სამართლებრივი მხარე, ერთნაირად არის აღქმული, მეორეც, ის რასაც უწოდებენ მატერიალურ სამართლებრივ მხარეს (სადაო სამართლებრივი მოთხოვნა მოპასუხისადმი) მთლიანად ემთხვევა სარჩელის ერთ-ერთ ელემენტს, რომელსაც სარჩელის საგანი ეწოდება.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სარჩელი, მართალია საპროცესო სამართლის ინსტიტუტია[4], მაგრამ იგი არ არსებობს იმ უფლებაზე მითითების გარეშე, რომლის დაცვასაც მოსარჩელე მოითხოვს ე.ი. მოპასუხისადმი წაყენებული მოთხოვნის გარეშე. ამდენად, სარჩელის წარდგენა სხვადსხვა მატერიალურ და პროცესუალურ შედეგებს იწვევს.[5]

ამრიგად, **სარჩელი როგორც სამოქალაქო საპროცესო სამართლის ინსტიტუტი – ესაა უფლების დაცვის შესახებ პირის შუამდგომლობა სასამართლოსადმი, რათა მან განიხილოს ამ სარჩელში მოპასუხის წინააღმდეგ წაყენებული მოთხოვნა და გამოიტანოს ამის თაობაზე თავისი გადაწყვეტილება.**

§ 2. სარჩელის ელემენტები

I. სარჩელის ელემენტების მნიშვნელობა

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 და მე-4 მუხლების, აგრეთვე ამავე კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 178-ე მუხლისა და 186-ე მუხლის ანალიზი, სრულ საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა, რომ სარჩელი ორი ელემენტისაგან შედგება: სარჩელის საგანი და სარჩელის საფუძველი.[6]

სარჩელის თითოეულ ამ ელემენტს აქვს მრავალმხრივი პრაქტიკული მნიშვნელობა, რომელიც შემდეგში მდგომარეობს:

ა) ამ ელემენტების მეშვეობით შესაძლებელია მხოლოდ სარჩელის ინდივიდუალიზაცია მსგავსად იმისა, თუ როგორ ხდება პიროვნების ინდივიდუალიზაცია მისი სახელისა და გვარის მიხედ-

---

4 Schilken E. Zivilprozessrecht, 2010, 82-83

5 Gomile . Zivilprozessrecht, 2021,

6 აღნიშნული მოსაზრება გამყარებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაშიც, მაგალითად, სუსგ, 2020, 01, №ას, 559-2019, გვ. 98

ვით. სარჩელის ელემენტების სწორად გარკვევის საფუძველზეა შესაძლებელი ერთი სარჩელის სხვა სარჩელებისაგან **გამიჯვნა**, იმის განსაზღვრა, ხომ არ არის აღძრული **იგივე** სარჩელი, რომელიც ადრე იყო განხილული. ცნობილია, რომ სსკ 186-ე მუხლის თანახმად სასამართლომ არ უნდა მიიღოს სარჩელი თუ **იგივე სარჩელი** ადრე იყო აღძრული და მის მიმართ გამოტანილია გადაწყვეტილება.

ბ) სასამართლო მოვალეა განიხილოს სარჩელი იმ მოთხოვნის ფარგლებში, რომელიც ჩამოყალიბებულია სარჩელში და იმ ფაქტების მიმართ, რომლებიც საფუძვლად დაუდო თავის მოთხოვნას მოსარჩელემ. აღსანიშნავია, რომ სსკ 248-ე მუხლის თანახმად „სასამართლოს უფლება არ აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი ვიდრე ის მოითხოვდა".

გ) დასაშვებია მხოლოდ სარჩელის ერთ-ერთი ელემენტის – საგნის ან საფუძვლის შეცვლა. სარჩელის ამ ერთ-ერთი ელემენტის შეცვლა კი შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ მოსარჩელეს კანონით დადგენილი წესით (სსკ 83-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები).

დ) ბოლოს სარჩელის ელემენტებს მნიშვნელობა აქვს მოპასუხისათვის. თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე მან უნდა იცოდეს რა მოთხოვნას უყენებენ და რის საფუძველზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ მოემზადება თავის დასაცავად.

II. სარჩელის საგანი

რა არის სარჩელის საგანი?

სარჩელის საგნის ცნების შინაარსის განსაზღვრისას შეიძლება ვიხელმძღვანელოთ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით. სსკ 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ" პუნქტის თანახმად სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს; „დავის საგანი", ამავე მუხლის „ზ" პუნქტის თანახმად კი „მოსარჩელის მოთხოვნა". ამავე კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით მოსარჩელეს შეუძლია ერთ სარჩელში გააერთიანოს „რამდენიმე **მოთხოვნა ერთი და იმავე მოპასუხის მიმართ".** ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად „რამდენიმე **მოპასუხის მიმართ** წარდგენილი მოთხოვნების

მიღებისას“ სასამართლოს შეუძლია ცალკე წარმოებად გამოყოს ერთი ან რამდენიმე მოთხოვნა.

ამ მუხლების ანალიზი სრულ საფუძველს გვაძლევს ვაკეთოთ დასკვნა, რომ მიკუთვნებით სარჩელებში **სარჩელის საგანი – ესაა მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა მოპასუხისადმი, რომელიც უნდა განიხილოს სასამართლომ და რომლის მიმართ მან უნდა გამოიტანოს თავისი გადაწყვეტილება.**[7]

ეს მოსაზრება გაზიარებული იქნა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შემუშავებულ „სამოქალაქო საქმეზე სარჩელის შენიშვნებშიც“, კერძოდ ამ შენიშვნების მე-11 პუნქტში აღნიშნულია, რომ „დავის საგანი არის თქვენი სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი არსი (მაგ. ზიანის ანაზღაურება, უკანონო ხელშეშლის აღკვეთა, ხელშეკრულების მოშლა).“

ამრიგად, სარჩელის საგანს წარმოადგენს მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი და არა ამ მოთხოვნის მატერიალური ობიექტი. მაგალითად, მოსარჩელე მოითხოვს მოპასუხისაგან სესხად გადაცემული თანხის დაბრუნებას, ლიზინგის საგნის დაბრუნებას, მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, ნივთის დაბრუნებას მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან და ა.შ. სარჩელის საგანი იქნება არა ამ მოთხოვნათა მატერიალური ობიექტი, მაგალითად, ავტომანქანა, როიალი, სახლი, ფული და ა.შ. არამედ ვალის დაბრუნება, ნივთის დაბრუნება, ზიანის ანაზღაურება, ალიმენტის გადახდევინება და ა.შ.

სარჩელის საგნის შესახებ ასეთი მოსაზრება მთლიანად ემყარება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობას, რომლის თანახმად სარჩელის შეცვლად არ ჩაითვლება მოსარჩელის მიერ სასარჩელო მოთხოვნების ოდენობის შემცირება, ან ერთი ნივთის ნაცვლად მეორე ნივთის მიკუთვნება მისთვის, ანდა ამ ნივთის ღირებულების ანაზღაურება“ (სსკ 83-ე მუხლის მე-4 ნაწილი). სარჩელის საგნის შეცვლად არ მიიჩნევა აგრეთვე სასარჩელო მოთხოვნების ოდენობის გადიდება (სსკ 83-ე მუხლის მე-2 ნაწილი), თუმცა ასეთი გადიდების შემთხვევაში სასამართლოს მიერ უნდა

---

7 ტერმინს – „დავის საგანი“ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი სხვა მუხლებშიც იყენებს (მაგალითად, სსკ მე-40-42 მუხლები, 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ პუნქტი, 381-ე მუხლი და სხვა); დავის საგანია ის, რაზეც დავობენ მხარეები და რის გამოც აღძრულია სარჩელი, ანუ სარჩელის საგანი. ეს იმას ნიშნავს, რომ დავის საგანი და სარჩელის საგანი იგივეობრივი (იდენტური) ცნებებია.

ეცნობოს მოპასუხეს.

რაც შეეხება აღიარებით და გარდაქმნით სარჩელებს, აქ სარჩელის საგანი ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით.

სსკ 180-ე მუხლის თანახმად, (რომლის სახელწოდებაა **„აღიარებითი სარჩელი“**) „სარჩელი შეიძლება აღიძრას უფლების თუ სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტის სიყალბის დადგენის შესახებ“.

აქ უკვე განსაზღვრულია აღიარებითი სარჩელის საგანი: **მოსარჩელის უფლება** (მაგალითად) საკუთრების უფლება რაიმე ნივთზე), **სამართლებრივი ურთიერთობა** (მაგალითად, წინარე ხელშეკრულებით განსაზღვრული სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის აღიარება), დოკუმენტის ნამდვილობა ან სიყალბე (მაგალითად, დაბადების მოწმობის სიყალბის დადგენა).

რაც შეეხება **გარდაქმნითი სარჩელებს**, აქ სარჩელის საგნად გვევლინება მოსარჩელის მოთხოვნა ერთი (უკვე არსებული) ურთიერთობის, მეორე სხვა ურთიერთობად გარდაქმნის შესახებ (მაგალითად, საერთო საკუთრებიდან წილის გამოყოფა), რის შესახებაც დაწვრილებით იხილეთ ქვემოთ.

ამრიგად, დამოუკიდებლად იმისა, თუ სარჩელის რომელი სახესთან გვაქვს საქმე, სარჩელის საგანს ყოველთვის წარმოადგენს მოსარჩელის მატერიალურ სამართლებრივი მოთხოვნის შინაარსი, რაც ხშირად დაკავშირებულია მოპასუხის მიერ ამა თუ იმ მოქმედების შესრულებაზე ან ასეთი მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავებაზე (ნივთის დაბრუნება, ზიანის ანაზღაურება, ალიმენტის გადახდევინება, სამუშაოზე აღდგენა და ა.შ), რაიმე უფლების თუ სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის აღიარებასთან, ან კიდევ, ასეთი ურთიერთობის გარდაქმნასთან.

რას ნიშნავს მოსარჩელის **„მატერიალურ სამართლებრივი მოთხოვნა მოპასუხისადმი“?**

სასამართლო მოწოდებულია განიხილოს მხოლოდ ისეთი მოთხოვნები, რომლებიც მატერიალური სამართლით (სამოქალაქო, შრომის, საკორპორაციო და ა.შ) მოწესრიგებული ურთიერთობიდან წარმოიშვებიან. მაგალითად, მოთხოვნა მოპასუხის ბინიდან გამოსახლების შესახებ (ბინის განთავისუფლების შესახებ), ქონების დაზიანების გამო ზიანის ანაზღაურების შესახებ, ან კიდევ, სამუშაოზე აღდგენის შესახებ და სხვა, იმიტომ იწოდება მატერიალურ სამართ-

ლებრივ მოთხოვნებად, რომ ისინი წარმოიშვებიან მატერიალური სამოქალაქო ან შრომის სამართლით (და არა საპროცესო სამართლით) მოწესრიგებული ურთიერთობებიდან.

ხშირად, მატერიალურ სამართლებრივი მოთხოვნას მოიხსენიებენ წინსართით – „სადავო" („სადავო მატერიალურ სამართლებრივი მოთხოვნა"). ეს აბსოლუტურად სწორია, მაგრამ არაა აუცილებელი, რადგან სასამართლოსადმი მიმართვა სარჩელით უკვე გულისხმობს დავას მხარეებს შორის, უკვე გულისხმობს იმას, რომ მოპასუხე ნებაყოფლობით არ ასრულებს რაიმე მოქმედებას მოსარჩელის სასარგებლოდ.

III. სარჩელის საფუძველი

სსკ 178-ე მუხლის „ე" პუნქტის თანახმად სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს „კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს". ამავე კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად კი თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

როგორც ვხედავთ, მოსარჩელეს არ შეუძლია შემოიფარგლოს მხოლოდ და მხოლოდ თავისი მოთხოვნის ჩამოყალიბებით. მან უნდა მიუთითოს აგრეთვე იმ გარემოებებზე, რომლებზედაც ეს მოთხოვნა ემყარება და, მაშასადამე, რომლებსაც შეუძლიათ ფაქტობრივად დაასაბუთონ (გაამართლონ) ეს მოთხოვნა.

როგორც აღვნიშნეთ, მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა არის მატერიალურ-სამართლებრივი ხასიათის მოთხოვნა. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი შეიძლება დასაბუთდეს მხოლოდ იურიდიული ხასიათის ფაქტებით (ფაქტიური გარემოებებით). **იურიდიული ფაქტები** – ეს ისეთი ფაქტებია, რომლებსაც სამართლის ნორმა, (ამ შემთხვევაში კი მატერიალური სამართლის ნორმა) უკავშირებს გარკვეულ შედეგს, კერძოდ ისეთ შედეგს, რომლის დადგომაც სურს მოსარჩელეს. მაგალითად, თუ მოსარჩელე მოითხოვს მოპასუხისაგან თანხის დაბრუნებას რომელიც სესხად ჰქონდა მიცემული, მაშინ მან უნდა მიუთითოს სარჩელის საფუძველში, რომ მხარეებს შორის დადებული იყო სესხის ხელშეკრულება, რომლის ძალითაც მოპასუხემ თავის დროზე მიიღო სესხად გარკვეული თანხა, რომელიც უნდა დაებრუნებინა უკან ამავე ხელშეკრულებით გათვალის-

წინებულ ვადაში და რომ ეს ვადა უკვე დადგა, მაგრამ მოპასუხე არ აბრუნებს ვალს. სამოქალაქო კოდექსის 623-ე და 626-ე მუხლების თანახმად სესხის გადაცემა, მისი დაბრუნების ვადის დადგომა და ამ ვადაში მისი დაუბრუნებლობა – ეს ისეთი ფაქტებია, რომლებიც ასაბუთებენ (ამართლებენ) მოსარჩელის მოთხოვნას გასესხებული თანხის დაბრუნების შესახებ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფაქტების მითითების (გადმოცემის) ტვირთი ეკისრებათ მხარეებს. მხარეებმა თვითონვე უნდა განსაზღვრონ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს (სსკ მე-4 მუხლი). ცხადია, არ არის გამორიცხული, რომ მოსარჩელე შეიძლება შეცდეს და ვერ ან არ მიუთითოს ყველა იმ ფაქტზე, რომელიც სინამდვილეში ასაბუთებენ მის მოთხოვნას. არ არის გამორიცხული ისიც, რომ სარჩელის საფუძველში მის მიერ მითითებულ ფაქტებს სინამდვილეში არ აქვს რაიმე მნიშვნელობა მისი მოთხოვნის დასაბუთება-გამართლებისათვის. დღეს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით განმტკიცებული დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებიდან გამომდინარე, სასამართლო ვერ შეავსებს ამ ხარვეზს, ვერ გამოასწორებს ამ ნაკლოვანებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **სასამართლო ვერ დაუდებს საფუძვლად თავის გადაწყვეტილებას ისეთ ფაქტებს, რომლებზეც მხარეები არ მიუთითებენ**. ერთადერთი რაც შეუძლია გააკეთოს სასამართლომ ესაა ის, რომ გამოკითხოს მოსარჩელე, მიიღოს მისგან ახსნა-განმარტება ფაქტიური გარემოებების შესახებ და ამ გზით დააზუსტოს სარჩელის საფუძველში მითითებული ფაქტები. მოსარჩელეს ყოველთვის აქვს უფლება დააზუსტოს, შეავსოს, დააკონკრეტოს და საერთოდ შეცვალოს სარჩელის საფუძველი.

IV. სარჩელის ელემენტების შეცვლის წესი

სარჩელის განხილვის პროცესში შეიძლება წამოიჭრას სარჩელის შეცვლის აუცილებლობა.

როგორია სარჩელის შეცვლის ფარგლები?

სსკ 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად მოსარჩელეს უფლება აქვს საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დამთავრებამდე **შეცვალოს სარჩელის საფუძველი ან საგანი.**

ამრიგად, მოსარჩელეს შეუძლია შეცვალოს სარჩელის ერთ-ერთი ელემენტი – ან საგანი, ან საფუძველი, მაგრამ არა ორივე ელემენტი ერთდროულად.

რატომ?

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ სარჩელი ორი ელემენტისაგან შედგება: სარჩელის საგნისაგან და სარჩელის საფუძვლისაგან. აღვნიშნეთ ისიც, რომ სარჩელის ელემენტების მეშვეობით ხდება სარჩელის ინდივიდუალიზირება, მისი იგივეობრიობის დადგენა, მისი განსხვავება და გამიჯვნა სხვა სარჩელებისაგან, რასაც უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს: თუ არ გვეცოდინება რა კრიტერიუმებით უნდა გავმიჯნოთ სარჩელები ერთიმეორისაგან, შეიძლება მოხდეს ერთი და იგივე სარჩელის ორჯერ და მეტად განხილვა და მათ მიმართ სხვადასხვა შინაარსის და ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებათა გამოტანა.

აქედან გამომდინარე, თუ სარჩელი ორი ელემენტისაგან შედგება, მაშინ ამ ორივე ელემენტის შეცვლა ფაქტიურად გამოიწვევს არა სარჩელში ცვლილებების შეტანას, არამედ სარჩელის **„გამოცვლას“**, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, თავდაპირველ სარჩელზე უარისთქმას და ახალი სარჩელის შემოტანას (აღძვრას).

მხარე არ არის შებოჭილი და მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით ახალი და ახალი სარჩელებით, მაგრამ **მას არ შეუძლია სარჩელის ელემენტების შეცვლის ნიღბით წარმოადგინოს ახალი სარჩელი.**

შესაძლებელია თუ არა სარჩელის საგნის შეცვლა ისე, რომ არ გახდეს საჭირო სარჩელის საფუძვლის შეცვლა? სავსებით შესაძლებელია.

მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 487-ე მუხლის თანახმად „გამყიდველმა მყიდველს უნდა გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი“. იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ გაყიდული ნივთი ნაკლის მქონეა, მაშინ მყიდველს წარმოეშვება სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის მოთხოვნის უფლება გამყიდველის მიმართ, ხოლო გამყიდველს ამ უფლების შესაბამისი მოვალეობები. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 490-ე, 491-ე, 492-ე, 494-ე მუხლების თანახმად მყიდველს შეუძლია აღძრას სარჩელი გამყიდველის მიმართ და მოითხოვოს ნაკლის მქონე ნივთის გამოსწორება, მისი შეცვლა უნაკლო ნივთით, ხელშეკრულების მოშლა, ფასის შემცირება და ა.შ. თუ ნივთის მყიდველი (მოსარჩელე)

მოითხოვოს ამ ნივთის გამყიდველისაგან (მოპასუხე) ვთქვათ, ნივთის ნაკლის გამოსწორებას იმ საფუძვლით, რომ მას გამყიდველმა გადასცა ნივთობრივად ნაკლის მქონე ნივთი, მას შეუძლია შეცვალოს ეს მოთხოვნა ანუ სარჩელის საგანი, სხვა მოთხოვნით, ვთქვათ ნივთის ფასის შემცირების მოთხოვნით, ისე რომ არ შეცვალოს სარჩელის საფუძველი, ანუ ნასყიდობის ხელშეკრულებით გადაცემული ნივთის ნაკლოვანება (მისი შეუსაბამობა შეთანხმებულ ხარისხთან ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის მისი გამოუსადეგობა).

მთელ რიგ შემთხვევებში საქმე გვაქვს საპირისპირო შემთხვევასთან, და **ერთსა იმავე შედეგს კანონი უკავშირებს სხვადასხვა ფაქტს.**

მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 562-ე მუხლის თანახმად საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს (სამართლებრივი შედეგი) სხვადასხვა ფაქტიური გარემოებების საფუძველზე, ვთქვათ საცხოვრებელი სადგომი სჭირდება უშუალოდ თვითონ გამქირავებელს ან ახლო ნათესავს, ან კიდევ, დამქირავებელმა თავისი სახელშეკრულებო ვალდებულება დაარღვია და ა.შ.

ამის შესაბამისად, თუ გამქირავებელი მოსარჩელე მოითხოვს ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტას **(სარჩელის საგანი)** იმ საფუძვლით, რომ ბინა სჭირდება ახლო ნათესავისათვის **(სარჩელის საფუძველი)**, მას შეუძლია შეცვალოს სარჩელის საფუძველი ისე რომ არ შეცვალოს თავდაპირველი მოთხოვნა (სარჩელის საგანი) და მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა იმ საფუძვლით, რომ დამქირავებელი (მოპასუხე) უარს ამბობს გადაიხადოს გაზრდილი ქირა, რაც ბაზარზე არსებულ ბინის ქირას შეესაბამება (სკ 562-ე მუხლის „გ“ პუნქტი).

როგორც ვხედავთ, სარჩელის საფუძვლის შეცვლა აქ მითითებული ფაქტიური გარემოებით, ან კიდევ სხვა ისეთი გარემოებებით, რომლებიც გათვალისწინებულია სკ 562-ე მუხლით, არ იწვევს სარჩელის საგნის შეცვლას და ამიტომ სავსებით დასაშვებია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სარჩელის საფუძვლისა და საგნის შეცვლის წესს, რომელიც ზუსტად უნდა დაიცვას სასამართლომ.

კერძოდ, როგორც ზევით აღვნიშნეთ, სარჩელის საგნის ან საფუძვლის შეცვლა, მოსარჩელეს შეუძლია საქმის წინასწარი სა-

სამართლო განხილვისათვის მომზადების სტადიაზე – მის დამთავრებამდე. საქმის წინასწარი მომზადების სტადია მთავრდება სასამართლოს განჩინებით ამ საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვის დანიშვნის შესახებ (სსკ 207-ე მუხლი). ამ განჩინების გამოტანის შემდეგ, რაც, როგორც აღვნიშნეთ, იმის მაუწყებელია, რომ დამთავრდა საქმის მომზადება ანუ წერილობითი შეჯიბრი, სარჩელის საფუძვლის ან საგნის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ ერთი პირობით – თუ ამის თანახმა იქნება მოპასუხე (სსკ 83-ე მუხლის მე-3 ნაწილი). თუ მოპასუხე თანახმა არ იქნება სასამართლომ უნდა განიხილოს სარჩელი თავდაპირველი მოთხოვნისა (საგნისა) და საფუძვლის მიმართ.

მოსარჩელემ შეიძლება არ შეცვალოს სარჩელის საგანი მაგრამ გაადიდოს (გაზარდოს) მოთხოვნის ფარგლები, **მაგალითად** მოითხოვდა 1000 ლარს და გაზარდა ეს მოთხოვნა 2000 ლარით, მოითხოვდა მხოლოდ როიალს და გაადიდა ეს მოთხოვნა წიგნების კარადის დამატებით ანდა მოითხოვდა ავტომანქანას ეხლა მოითხოვს მის ღირებულებას და ა.შ.

ყოველივე ეს (გარდა სარჩელის საგნის ან საფუძვლის შეცვლისა), როგორიცაა სასარჩელო მოთხოვნის ოდენობის გადიდება თუ შემცირება, ერთი ნივთის ნაცვლად მეორე ნივთის მიკუთვნება ან ამ ნივთის ღირებულების ანაზღაურება, შეიძლება განხორციელდეს პროცესის ნებისმიერ სტადიაზე – საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანამდე და მოპასუხის თანხმობის გარეშე.

იგივე შეიძლება ითქვას სარჩელის საფუძველზე. სსკ 83-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად სარჩელის შეცვლად არ ჩაითვლება მოსარჩელის მიერ სარჩელის საფუძველში მითითებული გარემოებების დაზუსტება, დაკონკრეტება და დამატება. ეს იმას ნიშნავს, რომ სარჩელში თავდაპირველად მითითებული ფაქტობრივი გარემოებები არ იცვლება, ისინი რჩება უცვლელად და მათ კვლავ ეკისრებათ სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთება-გამართლების ფუნქცია. დასაშვებია მხოლოდ მათი დაკონკრეტება. **მაგალითად,** მოსარჩელეს რომელიც მოითხოვს ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტას იმ საფუძვლით, რომ დამქირავებელი უარს ამბობს ბინის ქირის გაზრდილი ოდენობით გადახდაზე, შეუძლია დააზუსტოს ეს გარემოება და მიუთითოს, რომ ამჟამად არსებულ პირობებში **გარკვეული ფაქტორების ზემოქმედებით** გაიზარდა ბინის ქირის ოდენობა. მოსარჩელეს შეუძლია აგრეთვე დამატებით მიუთითოს

ისეთ გარემოებაზე, რომელსაც კანონი უკავშირებს მისთვის სასურველ შედეგს.

§3. სარჩელის სახეები (სარჩელების საპროცესო სამართლებრივი კლასიფიკაცია)

სარჩელების კლასიფიკაცია, ანუ მათი დაყოფა სახეებად სხვადასხვა ნიშნის მიხედვით ხდება. მაგალითად, თუ სარჩელების დაყოფას მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით ვახდენთ, მაშინ მათი დაყოფა წარმოებს **ცალკეული ინსტიტუტების მიხედვით,** როგორიცაა **სანივთო სარჩელები**, მათ შორის ვინდიკაციური სარჩელები ანუ სარჩელები ნივთის გამოთხოვის შესახებ სხვისი უკანონო მფლობელობიდან, **ნეგატორული სარჩელები**, ანუ სარჩელები ნივთით სარგებლობის ხელისშეშლის აღკვეთის შესახებ, **ვალდებულებითი სარჩელები**, **სარჩელები ზიანის ანაზღაურების შესახებ**, **საბინაო სარჩელები**, **საოჯახო სამართლებრივი ურთიერობიდან გამომდინარე სარჩელები**, **საალიმენტო სარჩელები** და ა.შ. სარჩელების დაყოფა წარმოებს აგრეთვე **სამართლის ცალკეული დარგების მიხედვით,** როგორიცაა სამოქალაქო, შრომის, საკორპორაციო, ადმინისტრაციული და ა.შ. სარჩელების მატერიალურ-სამართლებრივი ნიშნის მიხედვით დაყოფას აქვს გარკეული პრაქტიკული მნიშვნელობა ორი თვალსაზრისით: პირველი – საპროცესო სამართლებრივი კანონმდებლობა განსაზღვრავს თავისებურებებს, რომლებიც მათი განხილვა-გადაწყვეტისათვის შეიძლება იყოს საჭირო, თუ ამის აუცილებლობა არსებობს. მაგალითად, სსკ-სი ითვალისწინებს საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებებს (სსკ 352-ე მუხლები). მეორე – სარჩელების მატერიალურ სამართლებრივი ნიშნით დაყოფას აქვს გარკვეული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკის განზოგადების მიზნით, რათა უფრო ზუსტად განისაზღვროს ცალკეული კატეგორიიის საქმეთა მიხედვით პრაქტიკის მდგომარეობა, რომელი კატეგორიის საქმეები (საოჯახო, საბინაო, სავტორო, შრომის და სხვა) ჭარბობენ და რა არის ამის მიზეზი, რა ღონისძიებები შეიძლება დაისახოს სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის, თუ სამართალწარმოების შემდგომი სრულყოფის მიზნით და ა.შ.

ამასთან ერთად, სამოქალაქო სამართალწარმოებაში განსა-

კუთრებულ მნიშვნელობას იძენს სარჩელების კლასიფიკაცია **სამოქალაქო საპროცესო თვალსაზრისით.** ამ თვალსაზრისით სარჩელების დაყოფა სახეებად წარმოებს სასარჩელო მოთხოვნის შინაარსის მიხედვით, იმის მიხედვით, თუ რას მოითხოვს მოსარჩელე – რაიმეს მიკუთვნებას მოპასუხისაგან, რაიმეს ცნობას (აღიარებას), თუ მოპასუხესთან მისი ურთიერთობის შეცვლას ან შეწყვეტას.

სარჩელების დაყოფა საპროცესო სამართლებრივი ნიშნის მიხედვით მოიცავს უფლების დაცვის ყველა სახეს და ასეთ დაყოფას აქვს მრავალმხრივი პრაქტიკული მნიშვნელობა როგორც მტკიცების საგნის ზუსტად და სრულად განსაზღვრისათვის, ისე სარჩელის ინდივიდუალიზაციისათვის – ერთი სარჩელის მეორისაგან გამიჯვნისათვის.

განვიხილოთ სამოქალაქო საპროცესო ნიშნით დაყოფილი სარჩელები ცალ-ცალკე.

I. მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელები

სასამართლო პრაქტიკის ანალიზი სრულ საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა, რომ მიკუთვნებითი სარჩელები, რომლებსაც ზოგჯერ აღსრულებით სარჩელებსაც უწოდებენ, ყველაზე მეტადაა გავრცელებული და ამ სახის სარჩელების გამოყენებას უფლების დასაცავად ყველაზე ხშირად მიმართავენ ფიზიკური და იურიდიული პირები.

როგორც თვით სახელწოდებიდანაც ჩანს, მიკუთვნებითი სარჩელები – ეს ისეთი სარჩელებია, რომლითაც მოსარჩელე მოითხოვს მოპასუხისაგან რაიმეს მიკუთვნებას, ან უფრო ზუსტად, რაიმე მოქმედების შესრულებას ან ამ მოქმედებისაგან თავის შეკავებას. მაგალითად, მოსარჩელე მოითხოვს მოპასუხისაგან ამა თუ იმ ნივთის დაბრუნებას, მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, ვალის დაბრუნებას, ლიზინგის საგნის დაბრუნებას, ბინის განთავისუფლებას, ალიმენტის გადახდას, სამუშაოზე აღდგენას და ა.შ.

როგორც აღვნიშნეთ, ასეთ სარჩელებს ზოგჯერ უწოდებენ **აღსრულებით სარჩელებს.** საქმე ისაა, რომ თუ ასეთი მიკუთვნებითი სარჩელები დაკმაყოფილდება და სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომელიც შევა კანონიერ ძალაში, მოსარჩელეს შეუძლია მოითხოვოს ამ გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება და სააღსრულებო ფურცლის გამოწერა. ამიტომ მიკუთვნებით

სარჩელებს შეიძლება ვუწოდოთ აგრეთვე აღსრულებითი სარჩელიც.

როგორც ვხედავთ, მიკუთვნებითი სარჩელების საგანია მოსარჩლის მოთხოვნა მოპასუხისადმი, რომ მან შეასრულოს მოსარჩელის სასარგებლოდ გარკეული მოქმედება ან თავი შეიკავოს ასეთი მოქმედების შესრულებისაგან. ეს არის მოსარჩელის მატერიალურ სამართლებრივი მოთხოვნა, რომელსაც იგი სასამართლოს მეშვეობით უყენებს მოპასუხეს. როგორც ამის შესახებ ზემოთაც მივუთითეთ, მოთხოვნის მატერიალურ სამართლებრივი ხასიათი განპირობებულია იმით, რომ მხოლოდ მატერიალური სამართალი განსაზღვრავს თუ როდის და რა შემთხვევაში შეიძლება დაეკისროს მოპასუხეს რაიმე მოქმედების შესრულება, ვთქვათ ვალის დაბრუნება, ნივთის გადაცემა, ზიანის ანაზღაურება და ა.შ. იმისათვის, რომ დაევალოს მოპასუხეს რაიმე მოქმედების შესრულება მას უნდა წარმოეშვას, მატერიალური სამართლის ძალით, ასეთი მოვალეობა. **მაგალითად,** თუ მოსარჩელე მოითხოვს გასესხებული თანხის დაბრუნებას, ამისათვის არ კმარა, რომ არსებობდეს სესხის ურთიერთობა, რომ მოსარჩელემ მართლა ასესხა გარკვეული თანხა მოპასუხეს. საჭიროა და აუცილებელია აგრეთვე ისიც, რომ უკვე დადგა ვალის დაბრუნების ვადა, რაც ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული და მოპასუხე არ აბრუნებს ამ ვალს, ე.ი. არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას. ან კიდევ, უკვე დადგა **ქირავნობის საგნის დაბრუნების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადა** და **მოპასუხე არ აბრუნებს ამ საგანს**, ან კიდევ, მოპასუხემ მიაყენა ზიანი მოსარჩელის ქონებას და არ ანაზღაურებს ამ ზიანს ნებაყოფლობით და ა.შ.

მაშასადამე, მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელების დაკმაყოფილებისათვის არ კმარა მხოლოდ მხარეთა შორის ურთიერთობის არსებობის დადასტურება, არამედ აუცილებელია აგრეთვე ამ ურთიერთობიდან გამომდინარე უფლების დარღვევა. სწორედ რომ უფლების დარღვევა წარმოშობს ამ უფლების იძულებითი განხორციელებისა და უფლების დამრღვევის მოვალეობას შეასრულოს გარკვეული მოქმედება.[8]

---

8 ესაა უფლების ისეთი მდგომარეობა, რომელსაც ზოგიერთი პროცესუალისტი უწოდებს სარჩელის უფლებას მატერიალურ სამართლებრივი თვალსაზრისით. ჩვენი აზრით, ესაა მიკუთვნებითი სარჩელის ერთ-ერთი ელემენტი – საგანი, რომელიც ასეთი სახის სარჩელებში მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის გამომხატველია

აქედან გამომდინარე, მიკუთვნებითი სარჩელებში კიდეც რომ დადასტურდეს ურთიერთობის არსებობა, მაგალითად, სესხის, ქირავნობის, ლიზინგის, ნასყიდობის ურთიერთობების წარმოშობა და არსებობა, მიკუთვნებითი სარჩელი მაინც ვერ იქნება დაკმაყოფილებული, თუ არ დადასტურდა ამ ურთიერთობიდან გამომდინარე უფლების დარღვევა და მოწინააღმდეგე მხარის მიერ მოვალეობის შეუსრულებლობა. შესაძლებელია თუ არა ამ მხრივ რაიმე გამონაკლისი? ასეთი გამონაკლისი შესაძლებელია. მაგალითად ჩვენი სსკ 181-ე მუხლის თანახმად დასაშვებია სარჩელი ვალდებულების მომავალში შესრულების შესახებ. ეს იმას ნიშნავს, რომ სასარჩელო მოთხოვნის შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა და, მაშასადამე, მოსარჩელის უფლება ჯერ არ დარღვეულა, რადგან მოპასუხე ჯერ არაა ვალდებული ასეთი მოთხოვნა შეასრულოს. მიუხედავად ამისა, მოპასუხეს მაინც შეიძლება დაეკისროს რაიმე მოქმედების შესრულება ოღონდ ერთი აუცილებელი პირობით, თუ „ვითარების მიხედვით გამართლებულია შიში იმის თაობაზე, რომ მოვალე თავს აარიდებს ვალდებულების დროულად შესრულებას".

მაგალითად: ა-ნიმ აღძრა სარჩელი სასამართლოში და მოითხოვა ბ-ანისაგან ვალის დაბრუნება 100000 ლარის ოდენობით, თუმცა ჯერ არ დამდგარა მისი დაბრუნების ვადა. თავისი სასარჩელო მოთხოვნა ა-ნიმ იმით დაასაბუთა, რომ ბ-ანიმ დაიწყო თავისი ქონების გასხვისება, გახდა იგი გადახდისუუნარო, ხოლო შეპირებული უზრუნველყოფა საერთოდ ვერ წარმოადგინა. (სკ 367-ე მუხლი).

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოსარჩელის უფლება ჯერ არ დარღვეულა, მაგრამ არსებობს რეალური საშიშროება, რომ იგი მომავალში დაირღვევა.

უნდა აღინიშნოს, რომ მიკუთვნებითი სარჩელების დაკმაყოფილება ასეთ პირობებში დასაშვებია მხოლოდ და მხოლოდ **კანონით გათვალისწინებული პირობების არსებობისას,** ამ პირობების ზუსტად და უტყუარად დადასტურებისას.

II. აღიარებითი სარჩელები

ზოგ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნა მდგომარეობს მოპასუხის მხრივ არა რაიმე მოქმედების შესრულებაში ან ამ მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავებაში, არამედ იმაში, რომ სასამართლომ ცნოს, აღიაროს თავისი გადაწყვეტილებით ამა თუ იმ სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა ან არარსებობა, ამა თუ იმ დოკუმენტის სიყალბე ან მისი ნამდვილობა. ასეთი სარჩელები გამიჯნულია სხვა სარჩელებისაგან და მათ უწოდებენ **აღიარებით სარჩელებს** ან კიდევ, **დადგენით სარჩელებს.**

აღიარებითი სარჩელები შეიძლება იყოს დადებითი (პოზიტიური) და უარყოფითი (ნეგატიური). დადებითი აღიარებითი სარჩელი მიმართულია რაიმე კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის ან რაიმე უფლების არსებობის დადგენისაკენ, აგრეთვე რომელიმე დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურებისაკენ. **მაგალითად,** სარჩელი ნივთით სარგებლობის უფლების აღიარების (დადგენის) შესახებ, მამობის დადგენის შესახებ, თანაავტორად ცნობის შესახებ და ა.შ. წარმოადგენენ დადებით (პოზიტიურ) აღიარებით სარჩელებს. მაგრამ სარჩელები ამა თუ იმ ურთიერთობის არარსებობის შესახებ, ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ, დოკუმენტის სიყალბის შესახებ და ა.შ. წარმოადგენენ უარყოფით (ნეგატიურ) აღიარებით სარჩელებს.

საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში ყველაზე ხშირად გვხვდება ნეგატიური აღიარებითი სარჩელები ამა თუ იმ გარიგების მათ შორის ანდერძის ბათილად ცნობის შესახებ, თუმცა ასეთი სარჩელების მიღების წინაპირობები ყოველთვის არ გვაქვს (იხ. ქვემოთ).

აღიარებითი სარჩელები ყოველთვის გულისხმობენ მოდავე მხარეებს. ამიტომ, ასეთ სარჩელებში ყოველთვის გვყავს **ორი მოდავე მხარე – მოსარჩელე და მოპასუხე**. ამით იგი განსხვავდება უდავო წარმოების წესით იურიდიული ფაქტის დადგენისაგან (საერთოდ უდავო წარმოებისაგან), რომლის დროს გვყავს მხოლოდ **ერთი მხარე – განმცხადებელი**. მაგრამ, თუ უდავო წარმოების დროს წამოიჭრა დავა, მაშინ სასამართლომ უნდა შეწყვიტოს საქმის უდავო წესით წარმოება და ურჩიოს მხარეებს აღძრან სარჩელი.

აღიარებითი სარჩელის სამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში

და განჩინებაში აღნიშნა, რომ აღიარებითი სარჩელის დასაშვეობის, ისევე, როგორც მისი დასაბუთებულობის საკითხის შემოწმება სამართლის საკითხია და აქედან გამომდინარე, სასამართლომ პროცესის მონაწილე მხარის პრეტენზიის არარსებობის პირობებშიც, საკუთარი ინიციატივით უნდა შეამოწმოს სარჩელის დასაშვეობა საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე.[9]

აღიარებითი სარჩელის მიღებისათვის საჭიროა ყველა ის დადებითი თუ უარყოფითი წინაპირობები, რომლებიც მითითებულია სსკ 186-ე მუხლში და რომლებიც ყველა სახის სარჩელებს ეხება. ამასთან ერთად, აღიარებით სარჩელებს წაეყენებათ კიდევ ერთი დამატებითი წინაპირობა – **იურიდიული ინტერესი.** ეს იმას ნიშნავს, რომ კიდეც რომ არსებობდეს სარჩელის აღძვრის ანუ სარჩელის მიღების ყველა წინაპირობა, მაგრამ არ არსებობს იურიდიული ინტერესი, მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას აღიარებითი სარჩელის მიღებაზე (დაშვებაზე) და განხილვაზე. ამდენად, სსკ 180-ე მუხლიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლომ აღნიშნა: „აღიარებითი მოთხოვნა დასაშვებია, თუ იკვეთება მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს. ამდენად, დასახელებული ნორმით, აღიარებითი სარჩელის წარდგენისას მოსარჩელე შეზღუდულია იურიდიული ინტერესის არსებობით."[10]

განსხვავებით მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელებისა, რომლებიც მიმართულია დარღვეული უფლების დაცვისაკენ, აღიარებითი სარჩელების დროს მოსარჩელის უფლება ჯერ კიდევ არაა დარღვეული, მაგრამ არსებობს მისი მომავალში დარღვევის საშიშროება, რადგან ვიღაც ედავება მას ამ უფლებაში.

აქედან გამომდინარე, იურიდიული ინტერესის არსებობისათვის, რომელიც წარმოადგენს აღიარებითი სარჩელის მიღებისა და განხილვის წინაპირობას – საჭიროა:

1. არსებობდეს დავა მხარეთა შორის უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ, ე.ი. მოპასუხე უნდა ეცილებოდეს (ედავებოდეს) მოსარჩელეს უფლებაში (მაგალითად, საკუთრების უფლებაში, მოთხოვნის უფლებაში და ა.შ);

2. ასეთი დავა უნდა ქმნიდეს ამ უფლების მომავალში დარ-

---

9 სუსგ სამოქალაქო სამართლის საქმეებზე, 2021, № 11, №as-921-2018, გვ. 19

10 სუსგ სამოქალაქო სამართლის საქმეებზე, 2021, № 3, №ას-1170-1116-2013 გვ. 98

ღვევის რეალურ საშიშროებას;

3. აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა, დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, ანუ ამ გადაწყვეტილებას სრულიად გარკეული სარგებლობა უნდა მოჰქონდეს მოსარჩელისათვის; ის უნდა ქმნიდეს უფლების თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც დაირღვა მხარეთა შორის წამოჭრილი დავის გამო;

4. აღიარებითი სარჩელი დაუშვებელია, თუ უკვე შესაძლებელია სარჩელი თვით ვალდებულების შესრულების თაობაზე, ე.ი. თუ შესაძლებელია აღიძრას მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელი.[11]

აღიარებითი სარჩელის საფუძველი მთლიანად განპირობებულია ასეთი სარჩელების საგნით ანუ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსით. აქედან გამომდინარე, თუ, მაგალითად, მოსარჩელე მოითხოვს, რომ სასამართლომ დაადგინოს (აღიაროს) თავისი გადაწყვეტილებით ამა თუ იმ გარიგების არსებობა ან ამა თუ იმ დოკუმენტის ნამდვილობა, მაშინ ასეთი პოზიტიური აღიარებითი სარჩელის საფუძველი იქნება ფაქტები, რომლებსაც კანონი უკავშირებს სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას, დოკუმენტის ნამდვილობას **(უფლებაწარმომშობი ფაქტები).** მაგრამ, თუ მოსარჩელის მოთხოვნა მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლომ აღიაროს თავისი გადაწყვეტილებით უფლების ან ურთიერთობის არარსებობა, მაშინ ასეთი აღიარებითი სარჩელის საფუძველი იქნება ფაქტები**, რომლებიც აბრკოლებენ სამართლებრივი ურთიერთობის (უფლების) წარმოშობას,** როგორიცაა მაგალითად მოტყუება, ძალადობა, ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, და ა.შ. (უფლებადამაბრკოლებელი ფაქტები).

როგორც ვხედავთ, უფლების დარღვევის ფაქტი არ შედის აღიარებითი სარჩელის საფუძველში, რადგან მოსარჩელე ასეთი სარჩელით არ მოითხოვს მოპასუხისაგან რაიმე მოქმედების შესრულებას. მისი მიზანია მხოლოდ ის, რომ სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით აღიაროს ურთიერთობის (უფლების) არსებობა ან არარსებობა, დოკუმენტის ნამდვილობა ან სიყალბე.

ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ აღნიშნა: „მხარის მიერ აღძრული სარჩელი აღიარებითი ხასიათისაა, რადგა-

---

11 აღნიშნული მოსაზრება უზენაესი სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაშია გამოყენებული, მაგალითად, სუსგ სამოქალაქო სამართლის საქმეებზე, 2022, №9 №as-287-273-2016, გვ. 42.

ნაც მოთხოვნილია ნასყიდობის სამართლებრივი ურთიერთობის არარსებობის დადგენა. სსკ-ის 180-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის, ასევე, დოკუმენტების ნამდვილობის ან მათი სიყალბის დადგენის მოთხოვნა (აღიარებითი სარჩელი) დასაშვებია, თუ იკვეთება მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს, მაგალითად, მამად ცნობა, მამობის დადგენა, ქორწინების ბათილად ცნობა, ლიტერატურული ნაწარმოების ავტორად აღიარება და ა.შ. ამ სახის სარჩელების მიზანია არა სუბიექტური უფლების მიკუთვნება, არამედ უფლების სადავოობის აღმოფხვრა. ამ დროს სულაც არ არის აუცილებელი, რომ პირის უფლება დარღვეული იყოს, მაგრამ, ვარაუდი იმისა, რომ მომავალში შეიძლება დაირღვეს, წარმოადგენს პირის იურიდიულ ინტერესს. ამიტომაც, ამ ტიპის სარჩელებს „უფლების დამდგენ" სარჩელებსაც უწოდებენ. მიკუთვნებითი სარჩელებისაგან განსხვავებით, აღიარებითი სარჩელის დავის საგანია თვით მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც სუბსიდიური ხასიათისაა და იურიდიული ინტერესის არსებობა გამორიცხულია, თუ შესაძლებელია მოპასუხის მიმართ მიკუთვნებითი მოთხოვნის წარდგენა.[12]

აღიარებით სარჩელების მიმართ გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარკვეულობა და სიზუსტე შეაქვთ მხარეთა ურთიერთობებში, ამიტომ მათი მნიშვნელობა ამ ურთიერთობათა სწორად წარმართვაში ძალიან დიდია. ამასთან ერთად, აღიარებით სარჩელებს დიდი მნიშვნელობა აქვთ უფლების დარღვევის პროფილაქტიკისათვის.

12 სუსგ სამოქალაქო სამართლის საქმეებზე, 2021, №3, №ას-502-476-2015, გვ. 89-90

III. გარდაქმნითი სარჩელები

იურიდიულ ლიტერატურაში პირველად, გარდაქმნითი სარჩელები, როგორც სარჩელის ახალი სახე, გამოყოფილი იქნა გერმანელი სამოქალაქო პროცესუალისტის ადოლფ ვახის (Adolf Wach – 1843-1926) მიერ[13]. სარჩელის ეს სახე აღიარებულია ევროპის ქვეყნების, მაგალითად, გერმანიის[14], ავსტრიის, საფრანგეთის, ბულგარეთის[15] და ა.შ. სამოქალაქო პროცესთან დაკავშირებულ ლიტერატურაში.

როგორც თვით სახელწოდებიდანაც ეს კარგად ჩანს, **გარდაქმნითი სარჩელები** – ესაა სარჩელები, რომლებიც მიმართულია არსებული ურთიერთობის გარდაქმნისაკენ. არსებული ურთიერთობის გარდაქმნა კი შესაძლებელია ამ ურთიერთობის შეცვლით ან შეწყვეტით. ისე როგორც ურთიერთობის წარმოშობა, ისე მისი შეცვლა ან შეწყვეტა შეიძლება მოხდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფაქტებს, რომლებსაც კანონი უკავშირებს იურიდიული ურთიერთობის წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას ეწოდებათ იურიდიული ფაქტები. **მაგალითად,** ნებისმიერი გარიგება, ვთქვათ ნასყიდობის ხელშეკრულების დადება, არის იურიდიული ფაქტი, რომელიც წარმოშობს ნასყიდობის სამართლებრივ ურთიერთობას, რომლის ძალით ამ ურთიერთობის ერთი მხარე – მყიდველი, ვალდებულია გადასცეს მეორე მხარეს – გამყიდველს გარკვეული თანხა, ხოლო ეს მეორე მხარე – გამყიდველი, ვალდებულია გადასცეს მყიდველს ნივთი (ნასყიდობის ობიექტი). ისე როგორც ურთიერთობის წარმოშობა, ამ ურთიერთობის შეცვლა და შეწყვეტაც, როგორც წესი, პირთა ნების საფუძველზე ხდება. მაგალითად, ურთიერთობა შეწყდება ამ ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებით (სკ 427-ე მუხლი). პირთა ნების გამოვლენით ხდება აგრეთვე ურთიერთობის შეცვლაც. მაგალითად, საზიარო უფლება შეიძლება გაუქმდეს ამ უფლების მონაწილეთა შეთანხმებით (სკ 961-ე მუხლი).

ზოგჯერ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, ურთიერთობა შეიძლება შეწყდეს ამ ურთიერთობის მონაწილე ერთ-ერთი პირის ცალმხრივი ნების გამოვლენითაც. **მაგალითად,** დავალების ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა შეთანხმე-

13 Peter Schlosser, Gestaltungsklagen und Gestaltungsurteile, 1966, s. 18

14 Eberhard Schilken, Zivilprozessrecht, Munchen 2010, s.191

15 Стефан Брайков, Преобразуващи искове и преобразуващи решения, София, 2014

ბით, მაგრამ მისი შეწყვეტა დასაშვებია ცალმხრივადაც – ერთ-ერთი მხარის მიერ (სკ 720-ე მუხლი). იგივე წესს ითვალისწინებს სსკ 99-ე მუხლი, რომლის თანახმად მარწმუნებელს უფლება აქვს საქმის წარმოების ყველა სტადიაზე გააუქმოს თავის მიერ გაცემული მინდობილობა და შეწყვეტის წარმომადგენლის უფლებამოსილება. იგივე უფლება ცალმხრივად შეწყვიტოს მინდობილობა და უარი თქვას თავის უფლებამოსილებაზე (სსკ მე-100 მუხლი) აქვს წარმომადგენელსაც. როგორც უკვე აღვნიშნეთ, არსებული ურთიერთობის შეცვლა ან შეწყვეტა ცალმხრივად, ამ ურთიერთობის ერთ-ერთი მონაწილის მიერ, დასაშვებია მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, რაც ძალზედ იშვიათად ხდება.

როგორც წესი, არსებული ურთიერთობის გარდაქმნა, მისი შეცვლა ან შეწყვეტა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დასაშვებია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით, მაგრამ თუ ასეთი შეთახმება ვერ იქნება მიღწეული, დაინტერესებულ პირს (მხარეს) შეუძლია მიმართოს სასამართლოს.

მაგალითად, უფლება შეიძლება ერთობლივად ეკუთვნოდეს რამდენიმე პირს (სკ 953-ე მუხლი). თითოეული მოწილეს ეკუთვნის თანაბარი წილი, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი (სკ 954-ე მუხლი). ამასთან ერთად, თითოეულ მოწილეს შეუძლია მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება. ასეთი გაუქმება დასაშვებია იმ შემთხვევაში, როდესაც მოწილეები თანახმანი იქნებიან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ე.ი. როდესაც მოწილეები არ არიან თანახმა საზიარო უფლების გაუქმებაზე, მაშინ დაინტერესებულ პირს (მოწილეს) შეუძლია მიმართოს სასამართლოს. სასამართლოს გადაწყვეტილებით წილის გამოყოფისა და საზიარო უფლების გაუქმების შესახებ, არსებული საზიარო ურთიერთობა და აქედან გამომდინარე საზიარო უფლება გარდაიქმნება ინდივიდუალურ უფლებად – საზიარო უფლების საგანზე ინდივიდუალურ საკუთრებად.

გარდაქმნით სარჩელს უკავშირდება მეწარმეთა შესახებ კანონში არსებული ზოგიერთი წესიც, მაგალითად, ამ კანონის თანახმად, სამეწარმეო საზოგადოების დაშლის ერთ-ერთი საფუძველია სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორის განცხადების/სარჩელის საფუძველზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სამეწარმეო საზოგადოების დაშლის შესახებ. (მეწარმეთა შესახებ კანონის 78.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი).

გარდაქმნითი სარჩელები განსხვავდებიან მიკუთვნებითი სარჩელებისაგან იმით, რომ მოსარჩელეები არ მოითხოვენ მოპასუხეებისაგან რაიმე კონკრეტული მოქმედების შესრულებას ან ასეთი მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავებას. გარდაქმნითი სარჩელებით მოსარჩელეებს სურთ მიაღწიონ არსებული ურთიერთობის შეცვლას ან შეწყვეტას, რაც მან ვერ შეძლო მეორე მხარესთან შეთანხმებით, ე.ი. სასამართლოს გარეშე.

გარდაქმნითი სარჩელების აღძვრის აუცილებლობა შეიძლება განპირობებული იყოს იმითაც, რომ არსებული ურთიერთობის გარდაქმნა მისი შეცვლით ან შეწყვეტით, ზოგჯერ მხოლოდ სასამართლოს მეშვეობითაა შესაძლებელი. **მაგალითად,** სკ 1206-ე მუხლის თანახმად „მშობლის უფლების ჩამორთმევა უკანასკნელი ზომაა, რის შესახებაც გადაწყვეტილება გამოაქვს სასამართლოს.....". ამავე კოდექსის 1209-ე მუხლის თანახმად „მშობლის უფლებისა და მოვალეობების აღდგენა შეიძლება მხოლოდ სასამართლო წესით...".

გარდაქმნითი სარჩელები განსხვავდებიან აგრეთვე აღიარებითი სარჩელებისაგან იმით, რომ აღიარებით სარჩელების მოთხოვნის შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლომ ცნოს, დაადგინოს ესა თუ ის უფლება ან სამართლებრივი ურთიერთობა. გარდაქმნითი სარჩელით მოსარჩელე მოითხოვს არსებული სამართლებრივი ურთიერთობის შეცვლას ან შეწყვეტას.

გარდაქმნითი სარჩელები, ანუ კონსტიტუტიური სარჩელები, როგორც მას ზოგჯერ უწოდებენ, დასაშვებია მხოლოდ იმ პირობით, თუ კანონი ითვალისწინებს ურთიერთობის შეწყვეტის ან შეცვლის შესაძლებლობას. ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს შეუძლია შეწყვიტოს ან შეცვალოს ურთიერთობა, თუ დადასტურდება ფაქტები, რომლებსაც კანონი ასეთ შეცვლას (შეწყვეტას) უკავშირებს. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე. **მაგალითად,** „მშობელს რომელიც სისტემატურად თავს არიდებს მშობლის მოვალეობების შესრულებას და არაჯეროვნად იყენებს მშობლის უფლებებს-ბავშვს უხეშად ექცევა, მასზე უარყოფით გავლენას ახდენს ამორალური საქციელით ....." და ა.შ. ჩამოერთმევა მშობლის ყველა უფლება და მოვალეობა.[16]

---

16 გარდაქმნითი სარჩელები, როგორც სარჩელების ერთ-ერთი დამოუკიდებელი სახესხვაობა, არ იყო აღიარებული ყველა პროცესუალისტის მიერ, ისინი თვლიდნენ, რომ ეს სარჩელები სინამდვილეში აღიარებითი სარჩელებია. იხ. **ა. კობახიძე.**

§4. რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნის გაერთიანება და გამოყოფა

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182.1 მუხლის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია ერთ სარჩელში გააერთიანოს ამ სასამართლოს განსჯადი რამდენიმე მოთხოვნა ერთი და იმავე მოპასუხის მიმართ, იმისგან დამოუკიდებლად, ერთსა და იმავე საფუძვლებს ემყარება ეს მოთხოვნები, თუ – არა.

განსხვავებით სარჩელების **სუბიექტური გაერთიანებისა**, რომელიც წარმოშობს თანამონაწილეობას, აღნიშნული წესი ითვალისწინებს **სარჩელების ობიექტური** გაერთიანების შესაძლებლობას ე.ი. რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნის გაერთიანებას ერთი და იმავე მოპასუხის მიმართ.

ამ უფლების რეალიზაცია, ე.ი. რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნვის გაერთიანება დასაშვებია:

ა) თუ ყველა მოთხოვნა ცალ-ცალკე აღებული ამ სასამართლოს განსჯადია.

ეს იმას ნიშნავს, რომ არ შეიძლება ისეთი მოთხოვნების გაერთიანება, რომლებიც სხვადასხვა სასამართლოს განსჯადია.

(მაგალითად, ერთი მოთხოვნა ქუთაისის სასამართლოს განსჯადია, ხოლო სხვები სამტრედიის სასამართლოს განსჯადია და ა.შ.)

ეს წესი არ ვრცელდება მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საქმეებზე, რომელიც ამ რაიონის (ქალაქის) ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში მოქმედებს. ამის საფუძველს გვაძლევს სსკ-ის მე-13 მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის თანახმად თუ არსებობს ერთმანეთთან დაკავშირებული რამდენიმე მოთხოვნა, რომელთაგან ერთ-ერთი არ განეკუთვნება მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საქმეს, ამ საქმეს განიხილავს რაიონული სასამართლოს სხვა მოსამართლე;

ბ) თუ სარჩელი აღძრულია ერთი და იმავე მოპასუხის მიმართ. თუ სარჩელი აღიძვრის რამდენიმე მოსარჩელის მიერ, ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, მაშინ გვექნება სარჩელების სუბიექტური გაერთიანება, ანუ თანამონაწილეობა და ასეთ შემთხვევაში სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს სსკ-ის 86-ე მუხლით.

სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი 2003, გვ. 292.

ასეთ მოსაზრება ადრე გაზიარებული იყო თ. ლილუაშვილის მიერაც. იხ. „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი". თბ. 1992, გვ. 96.

არ არის აუცილებელი, რომ ეს გაერთიანებული სხვადასხვა მოთხოვნა ერთსა და იმავე საფუძველს, ანუ ერთსა და იმავე ფაქტობრივ გარემოებებს ემყარებოდეს. მაგალითად, ერთ სარჩელში შეიძლება ისეთი მოთხოვნების გაერთიანება, როგორიცაა სესხად მიცემული თანხის დაბრუნება, ბინის ქირის გადახდევინება, იჯარის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ზიანის ანაზღაურება და ა.შ. ყველა ეს მოთხოვნა სხვადასხვა ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს ემყარება, მაგრამ მათი გაერთიანება დასაშვებია ზემოთ მითითებული პირობების დაცვით.

სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით გამოყოს გაერთიანებული მოთხოვნებიდან ერთი ან რამდენიმე მოთხოვნა, თუ ეს მისი აზრით ხელს შეუწყობს ამ მოთხოვნების სწორად და სწრაფად განხილვას.

მოთხოვნების ცალკე წარმოებად (ცალკე წარმოებებად) გამოყოფის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელზეც არ შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის მიმართ წარდგენილი მოთხოვნების მიღებისას მოსამართლეს, სსკ 182.3 მუხლის თანახმად უფლება აქვს თავისი ინიციატივით, მხარეებთან წინასწარი შეთანხმების გარეშე ცალკე წარმოებად გამოყოს ერთი ან რამდენიმე მოთხოვნა. გამოყოფის საფუძველი აქაც საპროცესო სამართლებრივი ხასიათისაა: საქმეთა უფრო სწრაფი და სწორი განხილვა – გადაწყვეტა.

მოთხოვნათა ცალკე წარმოებად გამოყოფის შემთხვევაშიც სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელზეც არ შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

მოთხოვნათა ცალკე წარმოებად გამოყოფისგან განსხვავებულ წესს წარმოადგენს სასამართლოში აღძრული სხვადასხვა სარჩელების ერთ წარმოებად გაერთიანება. მნიშვნელობა არ აქვს ერთი და იგივე მხარეები მონაწილეობენ თუ არა ამ საქმეში.

სასამართლოში უკვე აღძრული სხვადასხვა სარჩელის გაერთიანება ერთ წარმოებად შესაძლებელია ორი პირობის ერთდროულად არსებობისას:

ა) თუ გასაერთიანებელი საქმეები ერთგვაროვანი და სამართლებრივად ერთმანეთთან დაკავშირებულია. მაგალითად, აღძრულია რამდენიმე სხვადასხვა სარჩელი წარმოებაში მომხდარი ავარიის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ;

ბ) საქმეთა გაერთიანებას მოყვება დავის უფრო სწრაფად და სწორად განხილვა.

ერთგვაროვანია სამართლებრივად საქმეები თუ არა – ეს ობიექტური ნიშანია და დამოკიდებულია გაერთიანებული საქმეების ხასიათზე და შინაარსზე, მაგალითად, თუ რამდენიმე დასაქმებულმა აღძრა სარჩელი სამუშაოზე აღდგენის შესახებ, რომლებიც ეკონოიკური გარემოებების მოტივით დაითხოვა საწარმოს ადმინისტრაციამ – ეს სარჩელები ერთგვაროვანია და მათი გაერთიანებაც მიზანშეწონილი იქნება. მაგრამ, თუ ამავე ადმინისტრაციას სხვა დასაქმებულთა მიმართ აღძრული აქვს სარჩელი მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ ყველა ამ სარჩელის ერთად გაერთიანება დაუშვებელია, რადგან ისინი არაა ერთმანეთთან დაკავშირებული სამართლებრივად და არაა ერთგვაროვანი.

მოსამართლეს შეუძლია გააერთიანოს (თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით) მხოლოდ მის წარმოებაში არსებული, აგრეთვე ამავე სასამართლოს სხვა მოსამართლესთან არსებული საქმეები, რის შესახებაც მას გამოაქვს მოტივირებული განჩინება. სხვა მოსამართლესთან არსებული საქმეების გაერთიანებისას მიზანშეწონილი იქნება მოსამართლემ საქმეთა გაერთიანების შესახებ განჩინების გამოტანამდე წინასწარ მოეთათბიროს სხვა მოსამართლეს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, ამ სასამართლოს თავმჯდომარეს.

საქმეთა გაერთიანების შესახებ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

§5. სარჩელის უფლება. სარჩელის წარმოებაში მიღების პირობები

1. სარჩელის უფლების ცნება. სარჩელი ჩვენი თვალსაზრისით არის საპროცესო სამართლის ინსტიტუტი. შესაბამისად სარჩელის უფლებაც წმინდა საპროცესო სამართლის ინსტიტუტია, რომლის შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს თავისი დარღვეული უფლების (ინტერესის) დასაცავად.

სასამართლოში მიმართვის უფლება გათვალისწინებულია უწინარეს ყოვლისა, საქართველოს კონსტიტუციით, რომლის მიხედვით

ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს (31-ე მუხლი). ეს უფლება ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე (34-ე მუხლი).

საქართველოს კონსტიტუციის ამ დანაწესის შესაბამისად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსმა დაამკვიდრა წესი, რომლის თანახმად ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა და რომ საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად (სსკ მე-2 მუხლი). ამავე კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში სარჩელის (განცხადების) შეტანის გზით.

ამრიგად, სარჩელი წარმოადგენს უფლების დაცვის საპროცესო საშუალებას, ხოლო სარჩელით სასამართლოში მიმართვა შეუძლია ყოველ დაინტერესებულ პირს.

როგორც საპროცესო სამართლის ინსტიტუტი, **სარჩელის უფლება – ესაა ყოველი დაინტერესებული პირის კანონით გარანტირებული შესაძლებლობა მიმართოს სასამართლოს თავისი დარღვეული ან სადავო უფლების დასაცავად.**[17]

2. სარჩელის წარმოებაში მიღების წინაპირობები. უფლება მიმართოს სასამართლოს სარჩელით, აქვს ყოველ დაინტერესებულ პირს. ამ თვალსაზრისით სარჩელის უფლება მთლიანად ემთხვევა საპროცესო უფლებაუნარიანობას. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სასამართლოში წარდგენილი (აღძრული) ყოველი სარჩელი უნდა აუცილებლად მიიღოს სასამართლომ და განიხილოს იგი.

---

17 ფართოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად ერთმანეთისაგან განასხვავებენ სარჩელის უფლებას საპროცესო სამართლებრივი და მატერიალურ სამართლებრივი თვალსაზრისით. სარჩელის უფლება მატერიალურ სამართლებრივი თვალსაზრისით – ესაა სარჩელის, უფრო ზუსტად, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლება.

სარჩელის უფლების, როგორც საპროცესო ინსტიტუტის, რეალიზაციისათვის და სარჩელის უფლების, როგორც მატერიალური სამართლის ინსტიტუტის – რეალიზაციისათვის სრულიად განსხვავებული პირობებია საჭირო, მაგრამ მთავარი და ძირითადი ისაა, რომ სარჩელის უფლება საპროცესო თვალსაზრისით არაა დამოკიდებული სარჩელის უფლებაზე მატერიალური თვალსაზრისით. სასამართლომ უნდა მიიღოს და განიხილოს სარჩელი, დამოუკიდებლად იმისა დასაბუთებულია თუ არა იგი ფაქტობრივად და იურიდიულად, რაც შეიძლება გაირკვეს მხოლოდ ამ სარჩელის არსებითად განხილვის შედეგად, პროცესის ბოლოს, სასამართლოს გადაწყვეტილებით.

იმისათვის, რომ სასამართლომ მიიღოს და განიხილოს სარჩელი საჭიროა გარკვეული, კანონით გათვალისწინებული პირობები (წანამძღვრები), რომლებიც **სარჩელის წარმოებაში მიღების წინაპირობებს (წანამძღვრებს) წარმოადგენს.**[18]

სარჩელის წარმოებაში მიღების წინაპირობებს სხვადასხვა ნიშნის მიხედვით აჯგუფებენ. მაგალითად, იმის მიხედვით, თუ რომელი კატეგორიის საქმეების მიმართ გამოიყენებიან, ერთმანეთისაგან განასხვავებენ **საერთო** და **სპეციალურ** პირობებს (წინამძღვრებს), იმის მიხედვით თუ როგორი ხასიათისაა თვითონ ეს წინაპირობები, ერთმანეთისაგან გამოყოფენ **დადებით** და **უარყოფით** წინაპირობებს.[19]

ფართოდაა გავრცელებული შეხედულება, რომლის მიხედვით სარჩელის წარმოებაში მიღების პირობები უნდა დაჯგუფდეს იმის მიხედვით, თუ ვის ან რას განეკუთვნება ეს პირობები.

ამ ნიშნის მიხედვით პროცესის წინაპირობებს სამ ჯგუფად ყოფენ. **პირველ ჯგუფს** მიაკუთვნებენ წინაპირობებს, რომლებიც სასამართლოს განეკუთვნება (მაგალითად, უწყებრივი ქვემდებარეობა, განსჯადობა და ა.შ.) **მეორე ჯგუფს** მიაკუთვნებენ ისეთ პირობებს, რომლებიც მხარეებს განეკუთვნება (მაგალითად, ქმედუნარიანობა), ხოლო **მესამე ჯგუფს** მიაკუთვნებენ წინაპირობებს, რომლებიც დავის საგანს განეკუთვნება (მაგალითად, სარჩელის საგნის ღირებულება).[20]

სარჩელის წარმოებაში მიღების წინაპირობების კლასიფიკაცია

---

18 იურიდიულ ლიტერატურაში ამ პირობებს სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენიებენ, როგორიცაა მაგალითად „სარჩელის უფლების წინაპირობები" (предпосылки права на иск), სარჩელის აღძვრის წინაპირობები" (предпосылки права на „предявление иска") „პროცესის წინაპირობები" (die Prozessvoraussetzungen) „სარჩელის დასაშვებობის წინაპირობები" (die Zulassigkeit der klage) და ა.შ.

როგორც აღვნიშნეთ, სარჩელის უფლება აქვს ნებისმიერ საპროცესო უფლებაუნარიანობით აღჭურვილ პირს, მაგრამ სასამართლომ რომ მიიღოს დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი სარჩელი წარმოებაში, ამისათვის საჭიროა გარკვეული, კანონით გათვალისწინებული პირობები. ამიტომ, ჩვენ მათ ვუწოდებთ სარჩელის წარმოებაში მიღების წინაპირობებს.

19 Мингова А. Стамболиев О. Попова В. Иванова Р. Българско гражданско процесуално право, София, 2012, 178-179

ა. კობახიძე. სამოქალაქო საპროცესო სამართალი. თბ. 2003, გვ. 294.

20 პროცესის წინაპირობათა ასეთი დაჯგუფება ფართოდაა აღიარებული გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში. Rosenberg L, Schwab .H., Gottwald P. Zivilprozessrecht, 1993, გვ. 536.

Jauernig . Zivilprozessrecht, 1993, გვ. 115

ზემოთ დასახელებული ნიშნის მიხედვით, სავსებით შესაძლებელია და დასაშვებია. საკითხი მხოლოდ მდგომარეობს იმაში, რომელი უფრო მიზანშეწონილია პრაქტიკული თვალსაზრისით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით სარჩელის წარმოებაში მიღების წინაპირობები ჩამოთვლილია სსკ 186-ე მუხლში.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს წინაპირობები არ შეიძლება მივიჩნიოთ ამომწურავად, ისინი მოცემულია სხვა მუხლებშიც და კანონებშიც, მაგალითად, საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონში, არბიტრაჟის შესახებ კანონში.

თუ ეს წინაპირობები არ იქნება დაცული სასამართლო უარს ეტყვის სარჩელის მიღებაზე. მაგრამ, თუ სასამართლო უარს ეტყვის სარჩელის მიღებაზე ისეთი საფუძვლით, რომელიც კანონით არაა გათვალისწინებული, უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც მართლმსაჯულებაზე უარის თქმა, რაც პირის ერთ-ერთი ძირითადი უფლების უხეშად დარღვევა იქნება.

გარდა ზემოთ დასახელებული წინაპირობებისა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 183-ე მუხლი ასევე ითვალისწინებს **სარჩელის რეგისტრაციის წინაპირობებსაც** ე.წ. ფორმალურ მოთხოვნებს, მაგალითად:

ა) არ არის შეტანილი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმით;

ბ) მის ფორმაში არ არის აღნიშნული ამ კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“–„დ“, „ზ“, „კ“, „მ“ ან/და „ნ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რეკვიზიტები;

გ) არ ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი) (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შუამდგომლობების გრაფაში მითითებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი გადახდის გადავადების ან მისი ოდენობის შემცირების შესახებ შუამდგომლობა);

დ) არ ერთვის თანდართული დოკუმენტების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი;

ე) არ ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ სარჩელი (განცხადება) შეაქვს წარმომადგენელს;

ვ) არ არის ხელმოწერილი;

ზ) არ არის წარდგენილი სარჩელის (განცხადების) და თანდართული დოკუმენტების იმდენი ასლი, რამდენიც მოპასუხეა.

სარჩელის რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში მოსარჩელეს შეუძლია გამოასწოროს ხარვეზი და განმეორებით შეიტანოს სარჩელი. განმეორებით თუ რა ვადაში უნდა შეიტანოს კანონით განსაზღვრული არ არის.

ამრიგად, ნებისმიერ ფიზიკურ, თუ იურიდიულ პირს აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს უფლების დასაცავად, მაგრამ ასეთი მიმართვისათვის არსებობს კანონით დადგენილი წესი და პირობები, რომელთა სრული გათვალისწინებით უნდა მოხდეს უფლების დაცვა.

როგორია სარჩელის წარმოებაში მიღების წინაპირობები?

1. სარჩელის სასამართლოებისადმი უწყებრივი ქვემდებარეობა.

დაწვრილებით საკითხი უწყებრივი ქვემდებარეობისა (საქვეუწყებობისა) და მისი დარღვევის შედეგების შესახებ განხილული გვაქვს სამოქალაქო საპროცესო სამართლის სახელმძღვანელოში, ნაწილი I. აქ მოკლედ აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ სასამართლო ვერ განიხილავს სარჩელს, თუ მისი განხილვა არ შედის საერთო სასამართლოების კომპეტენციაში (სსკ მე-11 მუხლის მე-3 ნაწილი). ასეთ შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის მიღებაზე უარისთქმის შესახებ, ხოლო, თუ სასამართლომ შეცდომით მიიღო სარჩელი და მხოლოდ ამის შემდეგ გაირკვა, რომ იგი უწყებრივად არ ექვემდებარება სასამართლოს, მაშინ სასამართლო გამოიტანს განჩინებას საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ (სსკ 272-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი) ისე რომ არც კი გააუქმებს თავის თავდაპირველ განჩინებას სარჩელის მიღების შესახებ.

2. საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენცია.

საერთაშორისო კერძო სამართლებრივი დავები, ანუ დავები, რომლებიც წარმოიშვა უცხოური ელემენტით დატვირთული ურთიერთობიდან, შეიძლება განიხილონ საქართველოს სასამართლოებმა თუ ასეთი დავები განეკუთვნება მათ კომპეტენციას.

საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ შეიცავს მითითებას იმის შესახებ, რომ „საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია, თუ მოპასუხეს

საქართველოში აქვს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი". (სკს კანონის მე-8 მუხლი). საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციის ეს ზოგადი დანაწესი დაკონკრეტებულია სკს კანონის მე-9-20 მუხლებში.[21]

3. სარჩელის განსჯადობა ამ სასამართლოსადმი.

დაწვრილებით საკითხი განსჯადობისა და მისი დარღვევის შედეგების შესახებ განხილულია სახელმძღვანელოში „სამოქალაქო საპროცესო სამართალი" წიგნი I. აქ შეიძლება კვლავ მიუთითოთ იმის შესახებ, რომ სსკ III თავის მე-13-24 მუხლები ეძღვნება განსჯადობას. ცხადია, რომ სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს განსჯადობის საკითხის გარკვევისას ამ თავში ჩამოყალიბებული წესებით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ განსჯადობის დარღვევით საქმის განხილვა არ წარმოადგენს გადაწყვეტილების გაუქმების უდავო საფუძველს. უფრო მეტიც, თუ მოპასუხეს პირველ ინსტანციაში საქმის განხილვისას არ წამოუყენებია განსჯადობის საკითხი როგორც ეს მითითებულია სსკ 377-ე მუხლის მე-5 პუნქტში, მოთხოვნა განსჯადობის შემოწმების შესახებ „დასაშვებია, თუ იგი საქმის პირველ ინსტანციაში განხილვისას იყო წამოყენებული მოპასუხის მიერ, ან თუ არსებობს საპატიო მიზეზი, რის გამოც ასეთი მოთხოვნა ვერ იქნა წინა ინსტანციაში წამოყენებული".

4. სარჩელის შინაარსის შესაბამისობა კანონის მოთხოვნებთან.

დაწვრილებით სარჩელის შინაარსის შესახებ საუბარი გვექნება ქვემოთ. აქ აღვნიშნავთ იმის შესახებ, რომ, თუ სარჩელი არ პასუხობს კანონის მოთხოვნებს, ანუ არ შეიცავს ყველა იმ სავალდებულო რეკვიზიტს, რასაც ითვალისწინებს კანონი (სსკ 178-ე მუხლი), აგრეთვე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუში, მაშინ სასამართლოს კანცელარია არ დაარეგისტრირებს სარჩელს. ასეთ შემთხვევაში სარჩელი უბრუნდება მოსარჩელეს.

5. მოსარჩელის საპროცესო უფლებაუნარიანობა.

სამოქალაქო საპროცესო უფლებაუნარიანობა – ესაა პირის უნარი ჰქონდეს საპროცესო უფლებები და მოვალეობები. ფიზიკური პირის საპროცესო უფლებაუნარიანობა წარმოიშობა დაბადების მომენტიდან და შეწყდება მისი გარდაცვალებით. რაც შეეხება იუ-

---

21 დაწვრილებით საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციის შესახებ იხ. **თ. ლილუაშვილი და ბ. ლილუაშვილი,** საერთაშორისო კერძო სამართალი. თბ. 2020.

რიდიულ პირებს მათი საპროცესო უფლებაუნარიანობა წარმოიშობა რეგისტრაციის მომენტიდან და შეწყდება მისი ლიკვიდაციის რეგისტრაციის მომენტიდან (სსკ მე-80 მუხლი). ვინაიდან ფიზიკურ პირთა უფლებაუნარიანობის შეზღუდვას ან ჩამორთმევას კანონმდებლობა არ ითვალისწინებს პრაქტიკულად საკითხი ასეთ პირთა უფლებაუნარიანობის შემოწმების შესახებ არ დგება. რაც შეეხება იურიდიულ პირებს, მათი საპროცესო უფლებაუნარიანობისათვის საჭიროა რეგისტრაცია კანონით გათვალისწინებული წესით. ამიტომ, თუ მხარედ – მოსარჩელედ ან მოპასუხედ წარმოდგენილია იურიდიული პირი, სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს რეგისტრაციის ფაქტი. გარდა ამისა, თუ სარჩელის შეტანა ხდება კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ, მაშინ მან უნდა წარმოადგინოს სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერი რომლითაც დასტურდება ხელმძღვანელობის (დირექტორის) უფლებამოსილების ფაქტი. საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელს ასეთი ვალდებულება არ აკისრია.

6. მხარეთა საპროცესო ქმედუნარიანობა.

ქმედუნარიანობა – ესაა პირის უნარი თავისი მოქმედებით განახორციელოს სასამართლოში საპროცესო უფლებები და შეასრულოს საპროცესო მოვალეობები, აგრეთვე დაავალოს საქმის წარმოება წარმომადგენელს (სსკ 81-ე მუხლი). ფიზიკური პირის ქმედუნარიანობა წარმოიშობა 18 წლის ასაკიდან, ე.ი. სრულწლოვნებიდან, ხოლო იურიდიული პირის ქმედუნარიანობა – რეგისტრაციის მომენტიდან. კანონმდებლობა ითვალისწინებს აგრეთვე სრულწლოვან ფიზიკურ პირთა ქმედუნარიანობის შეზღუდვის და მათი მხარდამჭერის მიმღებად გამოცხადების შესაძლებლობას. კანონმდებლობა ითვალისწინებს აგრეთვე ფიზიკურ პირთა ქმედუნარიანობის წარმოშობას 18 წლის ასაკს მიღწევამდე, თუ არსებობს კანონით გათვალისწინებული პირობები, მაგალითად 16 წლის არასრულწლოვანი დარეგისტრირდა როგორც ინდივიდუალური მეწარმე (სკ 65-ე მუხლის მეორე ნაწილი).

აქედან გამომდინარე, სასამართლოს შეუძლია შეამოწმოს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საპროცესო ქმედუნარიანობა როგორც მხარეთა თხოვნით, ისე თავისი ინიციატივით. თუ ასეთი შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ მხარეს ჯერ არ მიუღწევია სრულწლოვანებამდე მოსამართლე არ მიიღებს სარჩელს. რაც შეეხება იურიდიულ პირებს, მათ უნდა დაადასტურონ რეგისტრაციის ფაქტი.

7. არსებობს სანოტარო მედიაციის ფარგლებში სანოტარო წესით დადასტურებული მორიგების აქტი

სანოტარო მედიაცია დავის მოგვარების ალტერნატიული საშუალებაა, რომელიც შეიძლება ჩატარდეს როგორც სანოტარო ბიუროში ასევე სხვა ადგილასაც.

სანოტარო მედიაცია ძირითადად წესრიგდება ნოტარიატის შესახებ კანონის 38[1]-ე მუხლის მიხედვით.

მუხლის თანახმად ნოტარიუსი შეიძლება იყოს მედიატორი მოდავე მხარეთა შორის:

ა) საოჯახო სამართლებრივ დავებზე, გარდა შვილად აყვანისა, შვილად აყვანის ბათილად ცნობისა, მშობლის უფლების შეზღუდვისა და მშობლის უფლების ჩამორთმევისა.

ბ) სამემკვიდრეო სამართლებრივ დავებზე,

გ) სამეზობლო სამართლებრივ დავებზე, აგრეთვე

დ) ნებისმიერ სხვა დავაზე, თუ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის ასეთ დავაზე მედიაციის განხორციელების სპეციალური წესი (ნოტარიუსის შესახებ კანონის 38[1]-მუხლი).

მოდავე მხარეებს შორის აღნიშნულ საკითხებზე მორიგების შემთხვევაში ნოტარიუსი ადგენს მორიგების აქტს, რომელიც დასტურდება სანოტარო წესით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ არსებობს მორიგების აქტი, მაგრამ მხარემ მაინც მიმართა სასამართლოს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

თუ მხარე არ ასრულებს მორიგების აქტით გათვალისწინებულ პირობებს, მაშინ ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონით დადგენილი წესით მოხდება იძულებითი აღსრულება.

8. არსებობს საქართველოს იუსტიციის სამინისტოს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის-აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის ბრძანება დავალიანების გადახდევინების შესახებ ან მორიგების პირობების დამტკიცების თაობაზე იმავე საქმესთან დაკავშირებით.

9. სარჩელის აღძვრა სხვა პირთა უფლებების დასაცავად უფლებამოსილი პირის მიერ.

სარჩელით დაინტერესებულ პირთა უფლებების დასაცავად სასამართლოს შეუძლიათ მიმართონ არა უშუალოდ ამ დაინტერესებულმა პირებმა, არამედ სხვა პირებმა, ორ შემთხვევაში: ერთ

შემთხვევაში ესენია მეურვეები, მზრუნველები და კანონიერი წარმომადგენლები. მეორე შემთხვევაში ესენია ნებაყოფლობითი წარმომადგენლები. როგორც ცნობილია მხარეებს შეუძლიათ აწარმოონ საქმე სასამართლოში პირადად ან წარმოადგენლის მეშვეობით.

არაუფლებამოსილ პირად ითვლება ისეთი პირი, რომელიც მიმართავს სასამართლოს სარჩელით სხვა პირთა უფლების დასაცავად, მაგრამ არ წარმოადგენს ამ სხვა პირის არც კანონიერ წარმომადგენელს და არც ნებაყოფლობით წარმომადგენელს ანუ წარმომადგენელს მინდობილობის საფუძველზე.

10. ამ ან სხვა სასამართლოში იგივე სარჩელის არარსებობა.

სარჩელის იგივეობრიობის დადგენისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მისი ელემენტების, ანუ მისი საგნისა და საფუძვლის იგივეობას. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ სარჩელის საგანი (მოთხოვნის შინაარსი) და სარჩელის საფუძველი (ფაქტები, რომლებიც საფუძვლად უდევს ამ მოთხოვნას) ერთი და იგივეა და იგი აღძრულია იგივე მოსარჩელის მიერ იმავე მოპასუხის წინააღმდეგ – ეს **იგივე სარჩელია**, რომელიც არაფრით არ განსხვავდება სხვა ასეთივე და უფრო ადრე აღძრული სარჩელისაგან.

ერთი და იგივე სარჩელის სხვადასხვა, ან იგივე სასამართლოში განხილვის შესაძლებლობის დაშვება ნიშნავს ერთსა და იმავე სარჩელის მიმართ სხვადასხვა შინაარსის ან ურთიერთსაწინააღმდეგო სასამართლო გადაწყვეტილების არსებობის დაშვებას, რაც ყოვლად დაუშვებელია და გამოიწვევს გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობას. ამიტომ, თუ ორ ან მეტ სასამართლოში შეტანილია ერთი და იგივე სარჩელი, საქმე უნდა განიხილოს იმ სასამართლომ, რომელმაც ყველაზე ადრე მოახდინა სარჩელის რეგისტრაცია.

თუ სასამართლომ ყოველივე ამის შესახებ შეიტყო არა სარჩელის წარმოებაში მიღების ეტაპზე, არამედ მისი მიღების შემდეგ მაშინ მან უნდა გამოიტანოს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ (სსკ 275-ე მუხლის „ე“ პუნქტი).

11. საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობა.

მხარეთა შორის დადებულ შეთანხმებას (ხელშეკრულებას) დავის არბიტრაჟისათვის გადაცემის შესახებ აქვს იურიდიული ძალა როგორც თვითონ მხარეებისათვის, ისე სასამართლოსათვის. ამიტომ, ასეთი შეთანხმების (ხელშეკრულების) არსებობისას სასამართლო ვალდებულია მხარის განცხადების საფუძველზე შეწყვიტოს საქმის

წარმოება. განცხადება უნდა გაკეთდეს სარჩელზე შესაგებლის წარდგენისათვის სასამართლოს მიერ მიცემული ვადის გასვლამდე (სსკ 272[1]-ე მუხლი).

12. **სამედიატორო შეთანხმების არსებობა**

სასამართლო არ მიიღებს სარჩელს თუ არსებობს მხარეთა შორის მედიაციის თაობაზე შეთანხმება, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, რომ არ მიმართონ სასამართლოს **განსაზღვრული ვადის** ან **გარემოების** დადგომამდე, ამ შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესრულებამდე (სსკ-ის 186.1-ე მუხლის „ბ[3]" პუნქტი).

მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაშია შესაძლებელი სარჩელის მიღება, კერძოდ, თუ მოსარჩელე დაადასტურებს, რომ სასამართლო განხილვის გარეშე მას გამოუსწორებელი ზიანი მიადგება.

13. **იგივე სარჩელის მიმართ სასამართლო გადაწყვეტილების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინების არარსებობა.**

პირველ რიგში მხედველობაშია სასამართლო გადაწყვეტილება იგივე სარჩელზე, რაც ეფუძნება აკრძალვას, რომლის მიხედვით გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაში მხარეებს აღარ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სარჩელი (სსკ 266-ე მუხლი).

სარჩელი იგივეა, თუ იგივეა სასარჩელო მოთხოვნა (სარჩელის საგანი), სარჩელის საფუძველი და იგი აღძრულია იმავე მხარეებს შორის. თუ ერთ-ერთი ელემენტი სხვაა, მაგალითად, მოთხოვნა იგივეა, მაგრამ საფუძველი სხვაა, ან კიდევ, ყველაფერი და მათ შორის მოსარჩელე იგივეა, მაგრამ მოპასუხე სხვაა და ა. შ. სასამართლომ საქმე უნდა განიხილოს;

გარდა აღნიშნულისა, თუ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ საფუძვლით, რომ იგივე სარჩელის მიმართ მხარეები მორიგდნენ ან მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას (სსკ 272-ე მუხლი).

14. **უფლების დაცვის იურიდიული ინტერესი აღიარებით სარჩელებში.**

იურიდიული ინტერესი, როგორც სარჩელის წარმოებაში მიღების წინაპირობა გათვალისწინებულია მხოლოდ აღიარებითი სარჩელების მიმართ (სსკ 180-ე მუხლი). ეს იმას ნიშნავს, რომ თუ მოსარჩელეს არ აქვს იურიდიული ინტერესი, ე.ი. გადაწყვეტილე-

ბას ასეთ სარჩელზე არანაირი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია მოსარჩელისათვის, ან, თუ აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა არაა დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება და მხარეს შეუძლია აღძრას მიკუთვნებითი სარჩელი მის ნაცვლად, სასამართლომ არ უნდა მიიღოს და განიხილოს ასეთი სარჩელი.

სარჩელის წარმოებაში მიღების აქ ჩამოთვლილი წინაპირობების გარდა კანონმდებლობა ითვალისწინებს აგრეთვე დამატებით წინაპირობებს შეგებებული სარჩელების წარმოებაში მიღებისათვის, რის შესახებაც დაწვრილებით საუბარი გვექნება ქვემოთ.

გარდა ამისა, სარჩელის მიღებაზე უარის თქმისას, მოსარჩელეს შეუძლია ცალკეულ შემთხვევებში ხელახლა შეიტანოს სარჩელი, მაგალითად, არაგანსჯადი სასამართლო შეცვალოს განსჯადი სასამართლოთი, დაინტერესებული პირის სახელით სარჩელი შეიტანოს უფლებამოსილმა პირმა.

ასეთია მოკლედ სარჩელის წარმოებაში მიღების წინაპირობები.

ამრიგად, თუ სარჩელის ფორმალური მოთხოვნები შეესაბამება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილ წესებს, სასამართლოს კანცელარია დაარეგისტრირებს სარჩელს, რომელიც შემდეგ ელექტრონული განაწილების წესით გადაეცემა მოსამართლეს, რომელიც ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში გადაამოწმებს:

1. სარჩელი ექვემდებარება თუ არა სასამართლო უწყებას;

საერთო სასამართლოების უწყებრივი ქვემდებარეობა (სასამართლო საქვეუწყებობა) ზოგადად განსაზღვრულია მე-11 მუხლით. სასამართლო ვერ განიხილავს სარჩელს, თუ მისი განხილვა არ შედის სასამართლოების კომპეტენციაში. ასეთ შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ, იმ მოტივით, რომ მისი განხილვა არ ექვემდებარება სასამართლოს უწყებრივად.

2. არსებობს თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ;

აქ მხედველობაშია ისეთი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც გამოტანილია იმავე სარჩელზე, ე. ი. დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით. იგი ეფუძნება აკრძალვას, რომლის მიხედვით გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სარჩელი (266-ე მუხლი).

იგივე შედეგები უკავშირდება სასამართლო განჩინებას საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, იმის გამო, რომ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე, მოპასუხემ ცნო სარჩელი, ან კიდევ, მხარეები მორიგდნენ.

3. ხომ არ არსებობს სანოტარო მედიაციის ფარგლებში სანოტარო წესით დადასტურებული მორიგების აქტი;

ნოტარიატის შესახებ კანონის 38[1]-ე მუხლის თანახმად ნოტარიუსი შეიძლება იყოს მედიატორი მოდავე მხარეებს შორის:

ა) საოჯახო სამართლებრივ დავებზე (გარდა შვილად აყვანისა, შვილად აყვანის ბათილად ცნობისა, მშობლის უფლების შეზღუდვისა და მშობლის უფლების ჩამორთმევისა);

ბ) სამემკვიდრეო სამართლებრივ დავებზე;

გ) სამეზობლო სამართლებრივ დავებზე;

დ) ნებისმიერ სხვა დავაზე, თუ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის ასეთ დავაზე მედიაციის განხორციელების სპეციალური წესი.

თუ მედიაციის პროცესში დავა დასრულდება მხარეთა მორიგებით, ნოტარიუსი შეადგენს მორიგების აქტს რომელსაც ნოტარიულად დაადასტურებს.

თუ რომელიმე მხარე არ შეასრულებს მორიგების აქტიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე აღმასრულებელი სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის მიხედვით განახორციელებს აღსრულებას.

სანოტარო ორგანოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი, . . . დამოუკიდებლად წარმოადგენს აღსრულების დაწყების საფუძველს და შესაბამისად, მის საფუძველზე დამატებითი დოკუმენტის გაცემა არ ხდება.[22]

ამრიგად, თუ უკვე არსებობს მორიგების აქტი სასამართლო იმ საკითხს ხელმეორედ აღარ განიხილავს და ამდენად არც სარჩელს არ მიიღებს.

4. ხომ არ არსებობს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის ბრძანება დავალიანების გადახდევინების შესახებ ან მორიგების

---

22 შ. ქურდაძე; გ. ქურდაძე; ნ. ხუნაშვილი; ზ. ჭყონია; სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი, ნაწილი I. 2018, გვ. 30

პირობების დამტკიცების თაობაზე იმავე საქმესთან დაკავშირებით;

აღნიშნული ბრძანება სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის მე-2 მუხლის თანახმად მიეკუთვნება აღსრულების ქვემდებარე აქტს და ძირითადად წესრიგდება ამავე კანონის 912 – 9112 მუხლებით. ამიტომაც თუ ასეთი ბრძანება არსებობს სასამართლო უარს იტყვის სარჩელის მიღებაზე.

5. ხომ არ არსებობს მხარეთა შორის მედიაციის თაობაზე შეთანხმება, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, რომ არ მიმართონ სასამართლოს განსაზღვრული ვადის ან გარემოების დადგომამდე, – ამ შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესრულებამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსარჩელე ადასტურებს, რომ სასამართლო განხილვის გარეშე მას გამოუსწორებელი ზიანი მიადგება;

6. ამ ან სხვა სასამართლოს წარმოებაში ხომ არ არის საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით;

არ შეიძლება ერთი და იგივე სარჩელი ერთდროულად განიხილებოდეს იმავე სასამართლოში სხვა მოსამართლის ან სხვა შემადგენლობის მიერ, ან სხვა სასამართლოში. ერთი და იგივე სარჩელის სხვადასხვა სასამართლოში განხილვის შესაძლებლობის დაშვება ნიშნავს ერთსა და იმავე საქმეზე სხვადასხვა შინაარსის სასამართლო გადაწყვეტილების არსებობის დაშვებას: ერთმა სასამართლომ შეიძლება გამოიტანოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ, ხოლო მეორემ – სარჩელზე უარის თქმის შესახებ. ცხადია, რომ ამ გადაწყვეტილებათა აღსრულება შეუძლებელი იქნება.

თუ ორ ან მეტ სასამართლოში შეტანილია ერთი და იგივე სარჩელი, საქმე უნდა განიხილოს იმ სასამართლომ, რომელმაც ყველაზე ადრე მიიღო სარჩელი წარმოებაში (სსკ 186.1 მუხლი).

7. არის თუ არა საქმე სასამართლოს განსჯადი;

განსჯადობა გვაძლევს პასუხს კითხვაზე: რომელი სასამართლოს განსახილველია სარჩელი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-13-24-ე მუხლები აწესრიგებენ განსჯადობას. პრინციპი ასეთია: საქმე უნდა განიხილოს განსჯადმა სასამართლომ. აქედან გამომდინარე, თუ სარჩელი აღძრულია არაგანსჯად სასამართლოში, ამ სასამართლოს შეუძლია არ მიიღოს იგი განსახილველად.

ამასთან ერთად, განსჯადობის დარღვევა არ წარმოადგენს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს. გარკვეული პირობების

არსებობისას არაგანსჯადი სასამართლო შეიძლება განსჯადი გახდეს თუ არსებობს ამის თაობაზე მხარეთა შეთანხმება, ან თუ მოპასუხე წინააღმდეგი არაა, რომ საქმე განიხილოს არაგანსჯადმა სასამართლომ (სსკ 21-ე მუხლი). გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს შეუძლია შეამოწმოს განსჯადობა არა თავისი ინიციატივით, არამედ მხარის თხოვნით და იმ პირობით, თუ განსჯადობის შემოწმების საკითხი ჯერ კიდევ პირველ ინსტანციაში საქმის განხილვისას იყო მოპასუხის მიერ დაყენებული (სსკ 377-ე მუხლი).

8. დაინტერესებული პირის სახელით იმ პირს ხომ არ შეუტანია სარჩელი, რომელსაც არ ქონდა უფლებამოსილება საქმის წარმოებაზე;

მხარეებს შეუძლიათ საქმე აწარმოონ სასამართლოში პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით (93-ე მუხლი).

დაინტერესებულ პირად ითვლება ის პირი, რომლის უფლების დასაცავადაც წარმომადგენელს შეაქვს სარჩელი. გადაწყვეტილებას სასამართლოში სარჩელის შეტანის შესახებ იღებენ თვითონ დაინტერესებული პირები (მხარეები). ეს მათი ფუნდამენტური უფლებაა. აქედან გამომდინარე, პირს, რომელსაც შეაქვს სარჩელი სხვა პირის უფლების დასაცავად (წარმომადგენელი) სათანადოდ, ე. ი. კანონის მოთხოვნათა დაცვით უნდა ჰქონდეს გაფორმებული სპეციალური უფლებამოსილება ამისათვის.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ „პირი, რომელსაც არ აქვს უფლებამოსილება სხვა პირის უფლების დასაცავად სარჩელის აღძვრაზე და არასათანადო მხარე, კერძოდ, არასათანადო მოსარჩელე. არასათანადო მოსარჩელე ეს ისეთი პირია, რომელიც მიმართავს სასამართლოს სარჩელით თავისი უფლების დასაცავად, თუმცა უფლება, რომლის დაცვასაც იგი მოითხოვს, სინამდვილეში ეკუთვნის არა მას, არამედ სხვას. ეს ის შემთხვევაა, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ შეცდომა უფლებაში. რაც შეეხება არაუფლებამოსილ პირს – ეს ისეთი პირია, რომელიც აღძრავს სარჩელს არა თავისი, არამედ სხვა პირის უფლების დასაცავად. კანონს ეს სავსებით დასაშვებად მიაჩნია, მაგრამ მოითხოვს ასეთი უფლებამოსილების სათანადოდ გაფორმებას (სსკ 98-ე მუხლი).

თუ მოსამართლე ზემოთ აღნიშნულ 5 დღიან ვადაში დაადგენს რომ ჩამოთვლილი პუნქტებიდან ერთი მაინც არსებობს ის აღარ მიიღებს სარჩელს. ამდენად, შეიძლება სარჩელი იქნეს დარეგ-

ისტრირებული სასამართლოს კანცელარიაში მაგრამ გარკვეულ შემთხვევაში ის წარმოებაში არ იქნეს მიღებული.

მოსარჩელეს უფლება აქვს მითითებული მე-7 და მე-8 პუნქტებით გათვალისწინებული ხარვეზის გამოსწორების შემთხვევაში იმავე სარჩელით ხელმეორედ მიმართოს სასამართლოს.

თუ სარჩელის მიღების შემდეგ გაირკვევა რომ არსებობს რომელიმე საფუძველი და სასამართლომ სარჩელი შეცდომით მიიღო, მაშინ იგი შეწყვეტს საქმის წარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს, იმის მიხედვით, თუ რომელი წინაპირობის არარსებობა გამოვლინდება (სსკ 272-ე და 275-ე მუხლები).

სარჩელის მიღებაზე უარის თქმა ნიშნავს უფლების დაცვაზე და საერთოდ, მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმას. ასეთ შემთხვევაში პირი რჩება სამართლებრივი დაცვის მიღმა. ცხადია, რომ სარჩელის მიღებაზე უარის თქმას სასამართლო განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეკიდოს.

შემთხვევითი არაა ის, რომ სსკ 187-ე მუხლის პირველი ნაწილი მოითხოვს სარჩელზე უარის თქმის შესახებ განჩინების მოტივირებას (დასაბუთებას). ამ განჩინების მოტივირება კი შესაძლებელია 186-ე მუხლში მითითებული სარჩელის უფლების წანამძღვრების არსებობით ან არარსებობით, რაც ნათლად და ზუსტად უნდა იყოს ჩამოყალიბებული განჩინებაში.

სსკ 187-ე მუხლიდან გამომდინარე სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინებაში მითითებული უნდა იყოს, თუ როგორ იქნეს აცილებული ის წინამძღვრები, რის გამოც ასეთი განჩინება იქნა გამოტანილი, თუმცა ზოგჯერ ეს შეუძლებელი შეიძლება იყოს. მაგალითად, თუ განჩინება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მოტივირებულია იმით, რომ ეს სარჩელი არ ექვემდებარება სასამართლოს უწყებრივად, ან კიდევ, არსებობს ამ სარჩელზე გამოტანილი გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის, მაშინ წანამძღვრების თავიდან აცილება შეუძლებელია. მაგრამ, თუ განჩინება მოტივირებულია იმით, რომ მაგალითად სარჩელი შეიტანა არაუფლებამოსილმა პირმა მაშინ სასამართლომ უნდა მიუთითოს, რომ უფლებამოსილების სათანადოდ გაფორმების შემდეგ წარმომადგენელს კვლავ შეუძლია შეიტანოს იგივე სარჩელი.

განჩინება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მოსარჩელეს უნდა ჩაბარდეს სსკ-ის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. მას უბრუნდება აგრეთვე საბუთები, რომლებიც თან ერთვოდა სარ-

ჩელს, მაგრამ არა სასარჩელო განცხადება, რომელიც განჩინებასთან ერთად რჩება საქმეში. მასვე უბრუნდება მის მიერ შეტანილი სახელმწიფო ბაჟის 70%, ხოლო საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისას სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟი მოსარჩელეს აღარ უბრუნდება.

მნიშვნელოვანია აქვე აღინიშნოს, რომ თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლები გამოვლინდება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს (იხ. ამ კოდექსის 272-ე და 275-ე მუხლები.)

სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა და განხილვა ხდება სსკ 414-420-ე მუხლებით დადგენილი წესით.

სარჩელის განუხილველად დატოვების და საქმის წარმოების შეწყვეტის განჩინებით წარმოება ამ საქმეზე მთავრდება.

§6. სარჩელის ფორმა და შინაარსი

I. სარჩელის ფორმა

სარჩელის როგორც ფორმა, ისე შინაარსი განისაზღვრება კანონით. ეს იმას ნიშნავს, რომ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს ნებისმიერი შუამდგომლობით, რათა მან განიხილოს და გადაწყვიტოს დავა, რომელიც წამოიჭრა მასსა და მოპასუხეს შორის, მაგრამ ასეთი მიმართვა დასაშვებია კანონით განსაზღვრული ფორმით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით სარჩელი შედგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით, ნაბეჭდი სახით (სსკ 177-ე მუხლი). ზეპირი ფორმით სარჩელის ან შეგებებული სარჩელის წარდგენისა და მისი გაფორმების წესებს ჩვენი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. მაშასადამე, ზეპირი ფორმით სარჩელის წარდგენა დაუშვებელია.[23]

23 აღსანიშნავია, რომ წერილობითი ფორმა არაა სარჩელის ერთადერთი ფორმა. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა უშვებს სარჩელის ზეპირი ფორმით სასამართლოში მიმართვის შესაძლებლობას. მაგალითად, გერმანიის საუბნო სასამართლოებში (ამტსგერიხტში) სარჩელი შეიძლება აღიძრას ზეპირი ფორმითაც, რაც აისახება ამ სასამართლოს ოქმში. W. Lüke. Zivilprozessrecht München, 1999, გვ. 109.

II. სარჩელის შინაარსი

ფორმასთან ერთად, კანონით განსაზღვრულია სარჩელის შინაარსი, ანუ მოთხოვნები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს წერილობითი ფორმით შედგენილი სარჩელი. ეს იმას ნიშნავს, რომ სარჩელის შინაარსის ჩამოყალიბება არაა დამოკიდებული მოსარჩელის მიხედულებაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოსარჩელეს არამარტო შეუძლია, არამედ თვითონვე უნდა განსაზღვროს დავის საგანი და მისი საფუძვლები, მაგრამ კანონი ავალებს მას თუ როგორ და რა თანმიმდევრობით უნდა ასახოს ყოველივე ეს სარჩელში.

კანონი ითვალისწინებს სარჩელის **სავალდებულო** და **არასავალდებულო** რეკვიზიტებს.

სარჩელში უნდა აღინიშნოს:

1. იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეაქვთ სარჩელი;

მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლო. თუ სარჩელი უნდა განიხილოს რაიონული სასამართლოს შემადგენლობაში მყოფმა მაგისტრატი მოსამართლემ მაშინ სასამართლოს დასახელება იქნება, მაგალითად, „ვანის მაგისტრატი სასამართლო“.

2. მოსარჩელის, მისი წარმომადგენლის (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს), მოპასუხის, მოწმის, სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირის სახელი, გვარი (სახელწოდება), ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი), აგრეთვე არსებობის შემთხვევაში ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონის ნომერი, მათ შორის, მობილურის, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ფაქსი. სარჩელში შესაძლოა მოსარჩელემ ან მისმა წარმომადგენელმა ასევე მიუთითოს საკონტაქტო პირის მონაცემები;

სარჩელში მითითებული უნდა იყოს არა მარტო მოსარჩელისა და მოპასუხის ვინაობა და მისამართები, არამედ სასამართლოში მოსაწვევი ნებისმიერი პირის ვინაობა და მისამართები, მათ შორის, თუ პირს ამის შესაძლებლობა აქვს – ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილის დასახელება და მისამართი, აგრეთვე მათი ტელეფონის (მობილურის) ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ფაქსი. მოსარჩელეს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს სარჩელში მიუთითოს, სხვა ისეთი საკონტაქტო ფიზიკური პირის (პირების) მონაცემებიც, რომელიც შესძლებს დაეხმაროს სასამართლოს მხარესთან დაკავშირებაში, თუ სასამართლო ვერ მოახერხებს მოსარჩელესთან უშუალო კავშირს. სხვა პირის მო-

ნაცემების (ტელეფონის ნომერი, მისამართი და ა.შ.) მითითება, თუ რათქმაუნდა ის პირი თანახმაა, ხელს შეუწყობს მოსარჩელესთან ან წარმომადგენელთან დაუკავშირებლობის შემთხვევაში საქმეთა განხილვის გაჭიანურების თავიდან აცილებას.

თუ სარჩელი შეაქვს მოსარჩელის წარმომადგენელს, მაშინ მითითებული უნდა იყოს მოსარჩელის და მოპასუხის, ასევე, წარმომადგენლის ვინაობა და მისამართი სსკ-ის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის ანალიზიდან გამომდინარე წარმომადგენლის ვინაობისა და მისამართის მითითება სარჩელში ყოველთვის აუცილებელია, თუ, რა თქმა უნდა, მოსარჩელეს ამ დროისათვის ყავს წარმომადგენელი.

წარმომადგენელმა ასევე სარჩელს უნდა დაურთოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, მაგალითად, მინდობილობა.

3. თუ სარჩელი შეაქვს იურიდიულ პირს, ინდივიდუალურ მეწარმეს ან წარმომადგენელს (გარდა კანონიერი წარმომადგენლისა), იგი ვალდებულია მიუთითოს ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი;

ელექტრონული ფოსტის მისამართთან ერთად, ვალდებულია მიუთითოს ასევე ტელეფონის (მობილურის) ნომერიც. თუ სარჩელი შეაქვს მოსარჩელის წარმომადგენელს, მაშინ მითითებული უნდა იყოს მოსარჩელის და მოპასუხის, ასევე, წარმომადგენლის ვინაობა და მისამართი.

4. დავის საგანი;

დავის საგანში მოიაზრება სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი არსი, მაგალითად, ზიანის ანაზღაურება, გარიგების ბათილობა და სხვა.

5. სარჩელის ფასი;

სარჩელის ფასში მოიაზრება დავის საგნის ღირებულება, რომელიც ასევე მითითებულია სსკ-ის მე-40 მუხლში, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, დავის საგნის ფასს მიუთითებს მოსარჩელე. თუ მოსარჩელის მიერ მითითებული ფასი აშკარად არ შეესაბამება სადავო ქონების რეალურ ღირებულებას, დავის საგნის ფასს განსაზღვრავს მოსამართლე სადავო ქონების საბაზრო ღირებულების მიხედვით. დავის საგნის ღირებულების განსაზღვრის წესი ჩამოყალიბებულია სსკ-ის 40-41-ე მუხლებში.[24]

24 დეტალურად ამ საკითხზე იხ. თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, სამოქალაქო

სარჩელის ფასის მიუთითებლობა იწვევს რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს.

5. კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს;

ეს გარემოებები ერთობლიობაში შეადგენენ მტკიცების საგანს. სასამართლო აქაც შებოჭილია: შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე მხარეებმა თვითონ უნდა განსაზღვრონ თუ რომელი ფაქტები უნდა დაუდონ საფუძვლად თავიანთ მოთხოვნებს თუ შესაგებელს (სსკ მე-4 მუხლი). სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთებისათვის, მისი იურიდიული გამართლებისათვის სარჩელში მითითებული ფაქტები, წარმოადგენენ იმ **იურიდიულ ფაქტებს**, რომლებიც ქმნიან სარჩელის საფუძველს. მტკიცებულებათა შეკრება, შემოწმება და შეფასება სასამართლომ უნდა აწარმოოს სარჩელის საფუძველში მითითებული ფაქტიური გარემოებების მიმართ. სასამართლოს შეუძლია არ შეკრიბოს მტკიცებულებები ისეთი ფაქტების მიმართ, რომლებზეც მართალია მიუთითებს მოსარჩელე, მაგრამ მათ არ აქვთ მნიშვნელობა საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.

ფაქტობრივი გარემოებები უნდა მიეთითოს სათითაოდ და დაინომროს არაბული ციფრებით.[25]

სარჩელში მითითებული უნდა იყოს ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც იურიდიულად ამართლებენ სასარჩელო მოთხოვნას, რაც იმას ნიშნავს, რომ სასარჩელო განცხადებაში ჩამოთვლილი მოთხოვნები უნდა ეფუძნებოდეს ფაქტობრივ გარემოებებს, ხოლო ფაქტობრივი გარემოებები კი დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი მტკიცებულებებით.[26]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, სარჩელში ნათლად და გარკვევით უნდა იყოს მითითებული ფაქტებზე და გარემოებებზე, რომლებზეც მოსარჩელე აფუძნებს თავის მოთხოვნებს, წინააღმდეგ შემთხვევაში სარჩელი არ იქნება წარმოებაში მიღებული.

6. მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებს;

მითითების გარდა, მოსარჩელე ვალდებულია სარჩელს დაურ-

საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, 2007

25 დეტალურად იხილეთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მომზადებული „სარჩელის შენიშვნები სამოქალაქო საქმეზე."

26 თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, 2017 წ. 5 აპრილი, საქმე №2ბ/507-17.

თოს ყველა მითითებული მტკიცებულება.

თუ მოსარჩელეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია სარჩელთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს სარჩელში.

იქედან გამომდინარე რომ ახსნა განმარტება მტკიცებულებაა, მოსარჩელეს შეუძლია მის მიერ მითითებული გარემოებების დასამტკიცებლად მტკიცებულების მხოლოდ ეს სახე გამოიყენოს. თუმცა რასაკვირველია სარჩელის დასაკმაყოფილებლად ეს საკმარისი არ არის.

მოსარჩელე უფლებამოსილია მტკიცებულებათა წარდგენისათვის მოითხოვოს გონივრული ვადა (სსკ 178.3 მუხლი).

7. მოსარჩელის მოთხოვნა;

მოსარჩელის მოთხოვნაზე მითითება უაღრესად მნიშვნელოვანი და პრინციპული ხასიათისაა. საქმე ისაა, რომ სასამართლო იხილავს სარჩელს და **გამოაქვს გადაწყვეტილება სწორედ ამ სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში**, რომლებსაც სასამართლო ვერც შეცვლის და ვერც გააფართოვებს. დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, სასარჩელო მოთხოვნის შეცვლის ან გაფართოვების უფლება მხოლოდ მოსარჩლეს აქვს.

სსკ-ის 248-ე თანახმად, სასამართლოს არ აქვს უფლება მხარეს მიაკუთვნოს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი ვიდრე ის მოითხოვდა. ამიტომ სასარჩელო მოთხოვნა ჩამოყალიბებული უნდა იქნეს ზუსტად, ნათლად და კონკრეტულად და შესაძლებელი უნდა იყოს სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება.[27]

აქედან გამომადინარე ცხადია, სარჩელში ნათლად, გარკვევით და ამომწურავად უნდა იყოს მითითებული, თუ რას მოითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან. თუ ეს მოთხოვნა არაა სრულყოფილად ჩამოყალიბებული – ეს არის ხარვეზი, რომელიც უნდა შეავსოს მოსარჩელემ.

8. სამართლებრივი საფუძვლები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს;

სარჩელის ამ ნაწილში მოსარჩელემ უნდა მიუთითოს იმ სამართლებრივ აქტზე (მათ შორის მუხლზე, ნაწილზე, პუნქტზე და ა.შ) რომელზედაც ამყარებს თავის მოთხოვნას. ასევე, არსებობის შემთხვევაში, უნდა მიუთითოს მათ შორის არსებულ ხელშეკრულე-

---

27 თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, 2014 წ. 5 სექტემბერი, საქმე №2ბ/3105-14.

ბაზე და შესაბამის პუნქტებზე.

თუ მხარე არ მიუთითებს სამართლებრივ აქტზე, სასამართლო მაინც მიიღებს სარჩელს და განიხილავს. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის გამო შეიძლება სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

9. არსებობის შემთხვევაში, მოსარჩელის შუამდგომლობები:

9.1) სასამართლომ დაავალოს მოპასუხეს იმ მტკიცებულებათა წარმოდგენა, რომლებიც მასთან ინახება და რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს;

9.2.) სასამართლომ მისცეს მითითება შესაბამის დაწესებულებებს, რათა მათ წარუდგინონ სასამართლოს ყველა ის წერილობითი თუ ნივთიერი საბუთი და მასალა, რომლებსაც შეუძლიათ დაადასტურონ სარჩელში აღნიშნული გარემოებები და რომელთა გაცემაზედაც არამართლზომიერად უთხრეს უარი მოსარჩელეს;

9.3.) სასამართლომ დროულად შეატყობინოს და სასამართლო სხდომაზე გამოიძახოს მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ დაადასტურონ სარჩელში აღნიშნული გარემოებები;

9.4.) ვინ შეიძლება ჩაებას პროცესში თანამონაწილედ ან მესამე პირად;

9.5.) სხვა სახის შუამდგომლობები;

ნებისმიერი სახის შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული (სსკ 215.1 მუხლი).

10. სარჩელისათვის დართული დოკუმენტების ნუსხა;

11. სსკ 180-ე მუხლით გათვალისწინებული იურიდიული ინტერესი, თუ აღძრულია აღიარებითი სარჩელი;

იურიდიული ინტერესი აღიარებითი სარჩელის აღძვრის წინაპირობაა. სასამართლო არ მიიღებს სარჩელს, თუ მოსარჩელეს არ აქვს ასეთი სარჩელის აღძვრის ინტერესი. ამიტომ, სსკ 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ" ქვეპუნქტი ავალდებულებს მოსარჩელეს მიუთითოს მის მიერ აღძრულ აღიარებით სარჩელში ასეთ იურიდიულ ინტერესზე. თუმცა, იურიდიული ინტერესი არის არა სარჩელის შინაარსის საკითხი, არამედ ამ სარჩელის აღძვრის, მისი განსახილველად მიღების წინაპირობა.

12. მოსარჩელის მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე;

ზოგადად მთავარი სხდომა მხარეთა ზეპირი მოსმენით მიმდინარეობს, მაგრამ მოსარჩელეს შეუძლია თავის სარჩელში აღნიშნოს

რომ მოსარჩელის ზეპირი მოსმენის გარეშე სასამართლომ განიხილოს საქმე. თუ მოპასუხეც თანახმა იქნება

სასამართლო წარმოდგენილი წერილობითი დოკუმენტების საფუძველზე განიხილავს და გადაწყვეტს მხარეთა შორის არსებულ დავას.

იქედან გამომდინარე რომ ადვოკატი მხარის სახელით მონაწილეობს ანუ მისი წარმომადგენელია, ამიტომ მისი მონაწილეობა პროცესში ნიშნავს მხარის მონაწილეობას საქმის ზეპირ მოსმენაში.

13. მოსარჩელის მოსაზრება დავის სასამართლო მედიაციის გზით განხილვის თაობაზე;

14. თუ შესაძლებელია, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების ნორმები და მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტებიც, რომლებიც, მოსარჩელის აზრით, ასაბუთებს მისი მოთხოვნის საფუძვლიანობას;

აღნიშნული კონვენცია მიღებულ იქნა რომში, 1950 წლის 4 ნოემბერს. საქართველოში ძალაშია 1999 წლის 20 მაისიდან. კონვენციას უკავშირდება რამდენიმე ოქმი, მაგალითად პარიზში 1952 წლის 20 მარტს მიღებული ოქმი რომელიც ეხება საკუთრების დაცვას, განათლების უფლებას და სხვა საკითხებს, სტრასბურგში 1963 წლის 16 სექტემბრის ნომერ მე-4 ოქმი, რომელიც ეხება მიმოსვლის თავისუფლებას, მოქალაქეთა გაძევების აკრძალვას, უცხოელთა კოლექტიური გაძევების აკრძალვას და სხვა. სტრასბურგში 1984 წლის 24 ნოემბრის ნომერ მე-7 ოქმი, რომელიც ეხება მეუღლეთა თანასწორობას, არასწორი მსჯავდებისათვის კომპენსაციას და ა.შ.

მოსარჩელეს შეუძლია სარჩელში მიუთითოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ის პრეცედენტებიც რომლებიც გაამყარებენ მის მოთხოვნას.

სსკ-ის 187[1]-ე მუხლი შესაძლებლობას აძლევს მხარეებს, რომ სარჩელისა და შესაგებლის მეშვეობით დავის მხარეთა შეთანხმებით დასრულების მიზნით სასამართლოს სთხოვონ საქმის მედიატორისთვის გადაცემა.

სარჩელს ხელს აწერს მოსარჩელე, მაგრამ თუ სარჩელს ხელს აწერს მისი წარმომადგენელი (ადვოკატი), მაშინ მან უნდა დაურთოს სარჩელს სპეციალური მინდობილობა (სსკ 98-ე მუხლი), ხოლო ადვოკატმა კიდევ დამატებით საადვოკატო საქმიანობის უფლების დამა-

დასტურებელი მოწმობა („ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-19 მუხლი).

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების დაცვის შემთხვევაში, სარჩელს ასევე ხელს აწერს ე.წ. **სპეციალური მოსარჩელე.**

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ კანონის მე-19 მუხლის თანახმად, სპეციალური მოსარჩელე შეიძლება იყოს მხოლოდ მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში ამ სტატუსის მოპოვების მიზნით რეგისტრირებული არასამეწარმეო იურიდიული პირი.

სპეციალურ მოსარჩელეს უფლება აქვს, როგორც დაინტერესებულმა მხარემ, ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებზე კანონიერი წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭების გარეშე დაიცვას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სასამართლოში.

სარჩელს აუცილებლად უნდა დაერთოს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი). სასამართლოს უფლება არა აქვს მიიღოს სარჩელი წარმოებაში ბაჟის წინასწარი გადახდის გარეშე (სსკ 178.2[1]-ე მუხლი), მაგრამ მას შეუძლია გაათავისუფლოს გადახდისაგან, გადაუვადოს ან შეუმციროს ბაჟის ოდენობა (სსკ 46-ე-49-ე მუხლები). ამის შესახებ სასამართლომ უნდა გამოიტანოს მოტივირებული განჩინება.

§7. სარჩელის უზრუნველყოფა

I. ცნება

სარჩელის უზრუნველყოფა – ესაა გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება, მოპასუხისათვის თავისი ქონების განკარგვის უფლების შეზღუდვის გზით[28].

სარჩელის უზრუნველყოფის მიზანია დაცულ იქნეს დავის საგანი მომავალში გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფისათვის. აქედან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის

28 თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, 2014 წ. 29 სექტემბერი, საქმე №2ბ/4597-14

ღონისძიების გამოყენება არ გულისხმობს სარჩელის წინასწარ გადაწყვეტას და მის დაკმაყოფილებას არსებით განხილვამდე[29].

სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის დაწესებით კანონმდებელმა აუცილებელ საჭიროებად მიიჩნია მოსარჩელის მატერიალურ უფლებების რეალური განხორციელების უზრუნველყოფა სასამართლო პროცესის დასრულებამდე, რაც სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისა და სასამართლო გადაწყვეტილებათა ეფექტური და დაუბრკოლებელი აღსრულების საჯარო ინტერესის დაცვის მიზანს ემსახურება. ეს კი უდავოდ მნიშვნელოვანია სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის და დემოკრატიული ინსტიტუტების ქმედითობას უწყობს ხელს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსში სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის გათვალისწინება გულისხმობს აღნიშნული ინსტიტუტის გამოყენების დაწესებას ისეთი შემთხვევებისათვის, როდესაც იგი გამართლებულია, ხოლო არის თუ არა გამართლებული, ამის შესახებ სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. ასეთი გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ უნდა დაადგინოს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიება წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების ეფექტური და დაუბრკოლებელი აღსრულების აუცილებელ და ერთადერთ საშუალებას.[30]

ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფა დაცვის დამოუკიდებელ საშუალებას წარმოადგენს, რომელსაც საკუთარი დაცვის-სანქციის შედეგი ახლავს.

გასათვალისწინებელია ის გამონაკლისი შემთხვევა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება არ შეიძლება გამოყენებული იქნეს საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შემოტანამდე.

სარჩელის უზრუნველყოფის ზოგიერთი ღონისძიების გამოყენება უშუალოდ უკავშირდება მოპასუხის მნიშვნელოვანი კონსტიტუციური უფლების – საკუთრების უფლების შეზღუდვას. საკუთრების ნებისმიერი შეზღუდვის შემთხვევაში, შეზღუდვა უნდა განხორციელდეს მხარის ინტერესთა შორის სამართლიანი ბალანსისა და პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით. საკუთრების უფლებაში ჩარევა უნდა პასუხობდეს დასახულ მიზანს

---

29 თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, 2014 წ. 29 სექტემბერი, საქმე №2ბ/4597-14

30 სუსგ, 2016, 07, №-ას, 113-106-2015, გვ. 138

და იმდენად უნდა იწვევდეს მესაკუთრის უფლებების შეზღუდვას, რამდენადაც ეს აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად[31].

განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ შეიძლება შეიტანოს არამარტო მოსარჩელემ, არამედ მესამე პირმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, აგრეთვე მოპასუხემ მხოლოდ იმ პირობით, თუ მან აღძრა შეგებებული სარჩელი და მოითხოვს მის უზრუნველყოფას.

II. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების შინაარსი

სარჩელის უზრუნველყოფა სასამართლოს ინიციატივით დაუშვებელია. ამიტომ, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს შეუძლია მიმართოს დაინტერესებულმა პირმა, კერძოდ, მოსარჩელემ, მესამე პირმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით და მოპასუხემ როდესაც ის წარადგენს შეგებებულ სარჩელს.

განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გარდა ყველა სახის განცხადებისათვის საჭირო რეკვიზიტებისა, უნდა შეიცავდეს მითითებას:

1. **იმ ფაქტობრივ გარემოებებზე**, რომელთა გამო უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, დარღვეული ან სადავო უფლების განხორციელებას, გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით;

2. **მოწინააღმდეგე მხარის იმ ქონებაზე ან ფულად სახსრებზე** (ანგარიშებზე ბანკში და სხვა), რომელთა მიმართ უნდა მოხდეს უზრუნველყოფა;

3. **უზრუნველყოფის ღონისძიებებზე,** რომელთა გატარებაც განმცხადებელს მიაჩნია აუცილებლად და გამართლებულად.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე განცხადება საჭიროებს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებით დასაბუთებას, რომელიც დაარწმუნებს სასამართლოს, უზრუნველყოფის

31 სუსგ 2015, 06 №-ას-1290-1228-2014, გვ. 81

ღონისძიების გამოყენების საჭიროებას.[32]

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე განცხადების დაკმაყოფილება შეიძლება არ მოხდეს თუ მოსარჩელის მოთხოვნა უზრუნველყოფილია, მაგალითად გირაოთი, იპოთეკით ან თუნდაც თავდებობით.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს განსაზღვრავს სსკ 198-ე მუხლი. საკითხს იმის შესახებ, თუ რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული წყვეტს სასამართლო მოსარჩელის განცხადების შესაბამისად. ამ საკითხის გადაწყვეტისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს სასარჩელო მოთხოვნის ხასიათი და შინაარსი. **მაგალითად,** თუ აღძრულია სარჩელი ნივთის გამოთხოვის შესახებ, მაშინ სარჩელის უზრუნველსაყოფად სასამართლომ შეიძლება გამოიყენოს ყადაღა, რომელიც შეზღუდავს მოპასუხეს, მისი განკარგვის (გაყიდვის, გაჩუქების, გაქირავების და ა.შ.) უფლებამოსილებას. მაგრამ, თუ სარჩელი აღძრულია რაიმე ნაწარმოების ან გამოგონების თანაავტორად ცნობის შესახებ, უზრუნველყოფის ღონისძიებად შეიძლება გამოყენებული იქნეს ამ ნაწარმოების თუ გამოგონების გამოქვეყნების და დანერგვის აკრძალვა.

III. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს ითვალისწინებს სსკ 198-ე მუხლის მეორე ნაწილი, კერძოდ, ეს ღონისძიებებია:

ა) ყადაღის დადება ქონებაზე, ფასიან ქაღალდებსა თუ ფულად სახსრებზე, რომლებიც მოპასუხეს ეკუთვნის და არის მასთან ან სხვა პირთან;

სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლიდან გამომდინარე, ქონებაში მოიაზრება ნივთები და არამატერიალური ქონებრივი სიკეთეები რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს.

ამავე კოდექსის 148-ე და 152-ე მუხლების თანახმად ნივთებში მოიაზრება მოძრავი და უძრავი ნივთები, ხოლო არამატერიალურ

32 საქართველოს უზენაესი სასამართლო, სასამართლოსთან თანამშრომლობის ჯგუფის შეხვედრა (შემაჯამებელი ოქმი), 2013 წ. გვ.4.

ქონებრივ სიკეთეებში-მოთხოვნები და უფლებები.

რაც შეეხება **ყადაღის არსს**, ის ასახულია სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონში. ამ კანონის 44-ე მუხლის თანახმად, ყადაღის საგანი შეიძლება იყოს მოვალის ყველა ნივთი გარდა ამავე კანონის 45-ე მუხლში ჩამოთვლილი ნივთებისა, მაგალითად, არ შეიძლება დაედოს ყადაღა პირადი მოხმარების ან საოჯახო ნივთებს, რომლებიც აუცილებელია მოვალისათვის თავისი პროფესიული საქმიანობის, ცხოვრებისა და საოჯახო მეურნეობისათვის.

პირადი მოხმარების ნივთები არ უნდა გავიგოთ ფართო მნიშვნელობით, კერძოდ მასში უნდა ვიგულისხმოთ ინდივიდუალური სარგებლობის ნივთები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და სხვა, გარდა ძვირფასეულობისა და ფუფუნების სხვა საგნებისა.[33]

აღნიშნული 45-ე მუხლიდან გამომდინარე ასევე არ შეიძლება დაედოს ყადაღა წვრილფეხა საქონელს შეზღუდული რაოდენობით, ასევე ერთ მეწველ ძროხას ან მოვალის არჩევანით-ორ ღორს, ცხვარს ან თხას თუ ისინი აუცილებელია მოვალის, მისი ოჯახის ან მასთან ერთად მცხოვრები პირების გამოსაკვებად და ა.შ.

სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის მე-40 და 63[1]-ე მუხლების თანახმად მოძრავ და უძრავ ნივთებზე ყადაღის დადება ნიშნავს მოვალის ქონების აღწერას, მესაკუთრისათვის **ქონების გაკარგვის**-ნებისმიერი ფორმით გასხვისების, დაგირავების, იპოთეკით დატვირთვის, უზუფრუქტით, სერვიტუტით ან აღნაგობით დატვირთვის, მასზე თხოვების, ქირავნობისა და იჯარის ხელშეკრულების დადების – აკრძალვას, ქონების შესანახად გადაცემას.

ყადაღის დადების შემდეგ მათზე დადებული ნებისმიერი გარიგება ითვლება ბათილად.

რადგანაც ქონებაში მოიაზრება არამატერიალური ქონებრივი სიკეთე – მოთხოვნები და უფლებები, ამიტომ ზემოთ დასახელებული კანონის 55-ე მუხლიდან გამომდინარე მოვალის მოთხოვნებზეც შესაძლებელია ყადაღის დადება, თუ კანონით მათი გადაცემა ან ყადაღის დადება აკრძალული არ არის. ასევე შესაძლებელია ყადაღის დადება ისეთ მოთხოვნებზე, რომელიც მომავალში იქნება გადასახდელი, თუ მათი განსაზღვრა ნათლად შეიძლება, მაგალითად, პრივილეგირებული აქციონერის მოთხოვნაზე, რომელიც

33 ქურდაძე შ. ქურდაძე გ. ხუნაშვილი ნ. ჭყონია ზ. სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის კომენტარი, ნაწილი I. 2018, 386.

სააქციო საზოგადოებაში მას აქვს წლის ბოლოს დივიდენდის მიღებაზე.

მოპასუხეს შეუძლია თავად გამოიყენოს დაყადაღებული ქონება, მაგალითად, იცხოვროს დაყადაღებულ ბინაში, ისარგებლოს დაყადაღებული მანქანით. მას ასევე შეუძლია გააუმჯობესოს დაყადაღებული ქონება, მაგალითად შეაკეთოს მანქანა. ამრიგად, მთავარია რომ მის მიერ გამოყენებული დაყადაღებული ქონების ღირებულება არ შემცირდეს, და მით უმეტეს, არ განადგურდეს.

ყადაღის გამოყენების დროს, რასაკვირველია დასაყადაღებელი ქონება უნდა წარმოადგენდეს მოპასუხის საკუთრებას. უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების დადასტურება ხდება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ამონაწერით, მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებზე, მაგალითად, ავტომობილებზე – შსს მომსახურების სააგენტოდან ამონაწერით.

მოძრავი ნივთების მიმართ მოქმედებს სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წესი: **ივარაუდება, რომ ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე**.

– ყადაღა შეიძლება გამოყენებულ იქნეს არა მარტო ქონებრივ, არამედ არაქონებრივ დავებშიც. მაგალითად, მორალური ზიანის ანაზღაურების დროს, რომელიც არ განეკუთვნება ქონებრივ დავებს, მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს ფულადი თანხის გადახდევინება მოსარჩელის სასარგებლოდ, რის უზრუნველსაყოფოდაც მის ქონებას შეიძლება დაედოს ყადაღა.

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა როდესაც მოსარჩელე ითხოვს მოპასუხის საბანკო ანგარიშზე ყადაღის დადებას. ამასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ „მოსარჩელისა და მოპასუხის უფლებების თანაზომიერად დაცვის მიზნით, მოსარჩელემ ყველა ზომა უნდა მიიღოს მოპასუხის ქონების მოსაძიებლად, ხოლო **იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდა, რომ მოპასუხეს ქონება არ გააჩნია, სწორედ ასეთ ვითარებაში შეიძლება დადგეს მეწარმე სუბიექტის ანგარიშზე არსებულ თანხაზე ყადაღის სახით, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა, თუმცა, რაღა თქმა უნდა, უზრუნველსაყოფი მოთხოვნის ოდენობის გათვალისწინებით და არა ანგარიშზე არსებულ მთლიან თანხაზე.** ამასთან, აღსანიშნავია, რომ მოპასუხეს, თუ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიზნით ანგარიშზე არსებულ თანხაზე ყადაღის დადებით ზიანი ადგება, ასეთ ვითარებაში მოპასუხემ საჩივრის განხილვის ეტაპზე ზიან-

ის მიყენების ფაქტი უნდა დაადასტუროს და მტკიცებულებებით დადასტურებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შებრუნება ან გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების სხვა სახის ღონისძიებით შეცვლა უნდა მოითხოვოს".[34]

ყადაღადადებული ქონების ღირებულება არსებითად არ უნდა აღემატებოდეს სარჩელის ფასს, გარდა იმ შემთხვევისა როცა მოპასუხე ერთადერთი ნივთის მესაკუთრეა (სსკ 196[1] მუხლი). ამით კანონმდებელი ხაზს უსვამს იმ მდგომარეობას, რომ დაყადაღებული ქონების ღირებულება შეიძლება მეტი იყოს სასარჩელო მოთხოვნაზე, მაგრამ სხვაობა მოთხოვნასა და ღირებულებას შორის გონივრული უნდა იყოს, მაგალითად, მოსარჩელის მოთხოვნა არის 5 000 ლარი, მაგრამ ითხოვს ყადაღა დაედოს მოპასუხის სახლს რომლის საბაზრო ღირებულება 50 000 ლარია, მაშინ როდესაც შეიძლებოდა, მოპასუხის საკუთრებაში არსებული 10 000 ლარის ღირებულების მიწის ნაკვეთზე დადებულიყო ყადაღა. არაგონივრული სხვაობა მოთხოვნასა და დაყადაღებული ნივთის ღირებულებას შორის შესაძლებელია თუ მეორე მხარეს სხვა შედარებით დაბალი ღირებულების ნივთი არ აქვს, და არც იმის შესაძლებლობა არის რომ ყადაღის ნაცვლად გამოყენებული იქნეს ღონისძიების სხვა სახე.

კანონის მოთხოვნა – „ყადაღადადებული ქონების ღირებულება არსებითად არ უნდა აღემატებოდეს სარჩელის ფასს" – უფლებას ანიჭებს მოსამართლეს ჰკითხოს მოპასუხეს, თუ მოპასუხე არ იჩენს ინიციატივას, ხომ ვერ შესთავაზებს მოსარჩელეს ყადაღის დასადებად უფრო ნაკლები ღირებულების ნივთს. მოსამართლის ასეთი ქმედება შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევად არ უნდა ჩაითვალოს.

მოპასუხეს უფლება აქვს განცხადებით მიმართოს სასამართლოს ყადაღადადებული ქონების გამიჯვნაზე (ნატურით გაყოფაზე) თანხმობის გაცემის შესახებ. რადგანაც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, განცხადებითაც ასევე ნებისმიერ სტადიაზე შეიძლება მიმართოს მოსამართლეს.

სასამართლო უზრუნველყოფილი საგნის შეცვლისა და ყადაღადადებული ქონების გამიჯვნაზე (ნატურით გაყოფაზე) თანხმობის

34 საქართველოს უზენაესი სასამართლო, სასამართლოსთან თანამშრომლობის ჯგუფის შეხვედრა (შემაჯამებელი ოქმი), 2013წ. გვ.7.

გაცემის საკითხს განიხილავს განცხადების შეტანიდან 5 კალენდარული დღის ვადაში ზეპირი მოსმენით ანუ მხარეებთან ერთად ან ზეპირი მოსმენის გარეშე.

თუ სასამართლო დანიშნავს ზეპირ მოსმენას, მაშინ განჩინებით მხარეებს უნდა აცნობოს სხდომის ჩატარების დრო და ადგილი. თუ მხარეები ან თუნდაც ერთ-ერთი მათგანი არ გამოცხადდება სასამართლო პროცესზე, სასამართლო უფლებამოსილია მაინც განიხილოს საკითხი. მხარის წარმომადგენლის (ადვოკატის) გამოცხადება უთანაბრდება მხარის გამოცხადებას.

თუ სასამართლო დაადგენს, რომ ყადაღადადებული ქონების გამიჯვნა შესაძლებელია და გამიჯნული ქონება საკმარისია სარჩელის უზრუნველსაყოფად, მაშინ ის გამოიტანს ყადაღადადებული ქონების გამიჯვნაზე თანხმობის შესახებ განჩინებას. მაგრამ თუ დაადგენს რომ გამიჯვნის შემთხვევაში გამიჯნული ქონება არ იქნება საკმარისი სარჩელის უზრუნველსაყოფად, მაშინ მას გამოაქვს განჩინება ყადაღადადებული ქონების გამიჯვნის თანხმობაზე უარის თქმის შესახებ. სასამართლო უფლებამოსილია ქონების გამიჯვნის საკითხის გადასაწყვეტად მოიწვიოს სპეციალისტი, დანიშნოს ექსპერტიზა ან მოახდინოს ადგილზე დათვალიერება.

თუ ქონებაზე ყადაღის დადება ექვემდებარება რეგისტრაციას, მაშინ სარეგისტრაციო მონაცემებში უნდა აღინიშნოს უზრუნველყოფილი სარჩელის ფასიც.

თუ პირი განცხადებით ითხოვს მოპასუხის უძრავ ნივთებზე ყადაღის დადებას, მაშინ მან უნდა დაურთოს ცნობა საჯარო რეესტრიდან ან შესაბამისი დოკუმენტი, რომლითაც დაადასტურებს უძრავ ნივთებზე მოპასუხის საკუთრების უფლება.

თუ განცხადებას არ ახლავს ცნობა საჯარო რეესტრიდან ან შესაბამისი დოკუმენტი, ანდა სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლოს გამოაქვს განჩინება ხარვეზის თაობაზე და განმცხადებელს აძლევს ვადას მის შესავსებად. დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში სასამართლო თავისი განჩინებით განცხადებას განუხილველად დატოვებს. განმცხადებელს უფლება აქვს გაასაჩივროს საჩივრით სასამართლოს განჩინება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

ყადაღის დადების უფლება საქართველოს სასამართლოებს აქვთ მხოლოდ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში. თუ სხვა ქვეყანაში არსებობს მოპასუხის ქონება საქართველოს სასამართლოს

უფლებამოსილება არ აქვს ყადაღა დაადოს მის ქონებას. ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ აღნიშნა:

„მოცემულ შემთხვევაში, დიდი ბრიტანეთის უზენაესი სასამართლოს პირველი ინსტანციის სამეფო სასამართლოს განყოფილების კომერციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 16 მარტის ბრძანებით უზრუნველყოფის ღონისძიების საგანს წარმოადგენს, ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ვ. გ-ას კუთვნილი ქონება/ფულადი სახსრები და საკრედიტო დაწესებულებებში არსებული ანგარიშები.

საქართველოს საერთო სასამართლოების კომპეტენციას განსაზღვრავს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონი და ზოგადი წესის თანახმად, აღნიშნილი მართალია, უკავშირდება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის, რეზიდენციის ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელის საქართველოში არსებობას (იხ. მე-8 მუხლი), თუმცა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძების მიმართ ეს დათქმა საკმარისი არაა, რადგანაც ამავე კანონის მე-20 მუხლით კომპეტენციის პრინციპის განსაზღვრის მიზნით დამატებულია უზრუნველყოფის ღონისძიების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების აუცილებლობა.

მოცემულ შემთხვევაში, ბუნებრივია, საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ მატერიალურ და არამატერიალურ სახსრებზე გამოყენებული შეზღუდვების მიმართ საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინება ვერ იქნება მიჩნეული აღსრულებად აქტად, რის გამოც, პალატა მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში არ არსებობდა შუამდგომლობის განსახილველად მიღების წინაპირობები.

ვინაიდან საქმის არსებითად განხილვის ეტაპზე გამოვლინდა შუამდგომლობის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის წინაპირობები, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში იგი განუხილველად უნდა იქნას დატოვებული, თანახმად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის (თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს)".[35]

ბ) მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა;

35 საქმე №ა-4678-შ-88-2012,

თუ რაში შეიძლება გამოიხატებოდეს „მოქმედების აკრძალვა“ – კანონით დაზუსტებული არ არის. პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევა, როდესაც მოპასუხისთვის აუკრძალიათ გარკვეული სამუშაოს შესრულება, პროდუქციის გამოშვება, ავტომანქანის გამოყენება და სხვა.

სარჩელის უზრუნველყოფის ამ სახის (მოქმედების აკრძალვის) გამოყენება მთლიანად დამოკიდებულია სარჩელის ხასიათზე, იმაზე თუ რას მოითხოვს მოსარჩელე.

გ) მოპასუხის დავალდებულება, გადასცეს მის მფლობელობაში არსებული ნივთი აღმასრულებელს სეკვესტრის (ქონების იძულებითი მართვა) სახით;

სეკვესტრი ანუ ქონების იძულებითი მართვა გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის 310-ე მუხლით. ამ მუხლის თანახმად, იძულებითი აღსრულებისათვის უფლებამოსილი იპოთეკარის განცხადების საფუძველზე სასამართლოს შეუძლია აუქციონზე იძულებითი გასხვისების ნაცვლად დაადგინოს ნივთის იძულებითი მართვა (სეკვესტრი). ასეთ შემთხვევაში სასამართლო მართვის ფუნქციას გადასცემს მმართველს, რომელიც შეიძლება იყოს იპოთეკარიც, ხოლო თუ სეკვესტრი ხორციელდება აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმოებაში არსებული იძულებით აღსრულების ფარგლებში, ასევე – აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ დანიშნული მმართველიც ან იპოთეკის საგნის მესაკუთრეც.[36]

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 79-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „მმართველი არ შეიძლება იყოს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს წევრი ან ამ გადაწყვეტილების მიმღების ახლო ნათესავი“.

აქედან გამომდინარე, ამ მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მითითება, რომ მოპასუხემ გადასცეს მის მფლობელობაში არსებული ნივთი, „სასამართლო აღმასრულებელს სეკვესტრის (ქონების იძულებითი მართვის) სახით“ უნდა გავიგოთ არა როგორც ამ ქონების **სამართავად გადაცემა**, არამედ როგორც გადაცემა იმისათვის, რომ უზრუნველყოს (ორგანიზაცია გაუკეთოს) ამ ქონების გადაცემა (ჩაბარება) იმ პირისათვის, რომელიც **სასამართლომ დანიშნა მმართველად.**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილების თანახმად, აიკრძალა „გ“ პუნქტის ისეთი შინაარსით გაგება, რომელიც სარჩელის/გადაწყვეტილების

36 სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი – მეორე, მუხლი 310. 2018, 595 გვ.

უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას ითვალისწინებს იმ პირობებში, როდესაც ამ ღონისძიების შედეგად დაცული სიკეთე არ აღემატება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შედეგად მოწინააღმდეგ მხარისთვის მიყენებულ ზიანს. აგრეთვე აიკრძალა 'გ" პუნქტის ისეთი შინაარსით გაგება, რომელიც უშვებს დროებითი მმართველისთვის მასობრივი ინფორმაციის საშუალების სარედაქციო პოლიტიკის განსაზღვრის უფლებამოსილებების მინიჭებას.

დ) სხვა პირებისათვის აკრძალვა იმისა, რომ მოპასუხეს გადასცენ ქონება ან შეასრულონ მის მიმართ რაიმე ვალდებულება;

თუ აღმოჩნდება, რომ მოპასუხის ქონება იმყოფება სხვა პირთან ან ამ სხვა პირს ეკისრება რომელიმე კანონიერი საფუძვლით (ხელშეკრულებით, სასამართლო გადაწყვეტილებით და სხვა) ქონების ან ფულადი თანხების გადაცემა მოპასუხისათვის, მას შეიძლება აეკრძალოს მოპასუხის სასარგებლოდ შესაბამისი მოქმედების შესრულება, სანამ არ გაირკვევა სარჩელის ბედი.

ე) ყადაღისაგან ქონების განთავისუფლების შესახებ სარჩელის აღძვრის შემთხვევაში ქონების რეალიზაციის შეჩერება, გარდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 70-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა;

„სააღსრულებო წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლი ითვალისწინებს ყადაღისაგან ქონების განთავისუფლების შესახებ სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას. ამ მუხლში საუბარია ისეთ შემთხვევებზე, როცა აღმასრულებლის მიერ ქონებაზე გადახდევინების მიქცევის მიზნით სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების პროცესში, მათ შორის, ქონების დაყადაღებისას, ილახება არა კრედიტორის და მოვალის უფლებები, არამედ-სხვა დაინტერესებულ პირთა უფლებები.[37] ანუ ასეთ დროს, მესამე პირის „საკუთრების ობიექტი გარკვეული ცდომილების შედეგად მიიჩნევა მოვალის ქონებად (აღსრულების საგნად)". რის შედეგადაც „მესამე პირი სარგებლობს უფლებამოსილებით, აღძრას სარჩელი სასამართლოში მოვალისა და კრედიტორის წინააღმდეგ და მოითხოვოს ქონების ყადაღისაგან განთავისუფლება.[38]

ამ სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით სასამართლოს შეუძლია დაადგინოს სადავო ქონების რეალიზაციის შეჩერება, გარდა

37 შ. ქურდაძე, გ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, ზ. ჭყონია, სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი, ნაწილი I, 2018, 308 გვ.
38 შ. ქურდაძე და სხვები, დასახელებული ნაშრომი, გვ. 308-309

იმ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, კერძოდ არ შეიძლება იძულებითი აუქციონის საჯაროდ გამოცხადების დღიდან აუქციონის (სააღსრულებო წარმოების) შეწყვეტა, შეჩერება, გადადება, ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება.

ვ) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, ორგანიზაციის ან თანამდებობის პირის სადავო აქტის მოქმედების შეჩერება;

ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სადავო აქტის მოქმედების შეჩერება წარმოებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის (ასკ) 29-301-ე მუხლებით დადგენილი წესით. მაგალითად, ასკ 29-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელის მიღება სასამართლოში აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას.

ი) სააღსრულებო საბუთის აღსრულების შეჩერება ისეთ საქმეებზე, რომლებიც აღძრულია „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ან რომლებზედაც შეტანილია განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ.

ჯ) უფლებამოსილების შეჩერება ისეთ საქმეებზე, რომელიც აღძრულია სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან კომანდიტური საზოგადოების პარტნიორისთვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ან/და ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების ჩამორთმევის მოთხოვნით[39].

სარჩელის უზრუნველყოფის აქ ჩამოთვლილი ღონისძიებების წრე საკმაოდ ფართოა, მაგრამ არაა ამომწურავი. სსკ 198-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს სხვა ღონისძიებებიც, თუ ეს აუცილებელია სარჩელის უზრუნველყოფისათვის. აქვე გასათვალისწინებელია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სსკ 198-ე მუხლის მე-3 ნაწილის პირველი წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც სარჩელის – გადაწყვეტილების უზრუნველყოფის

39 წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ან/და ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების ჩამორთმევის მოთხოვნა გადაწყვეტილების მიღებამდე შესაძლებელი იყო სსკ 198.1 „ბ“ ქვეპუნქტის გამოყენებითაც, ამიტომ „კ“ ქვეპუნქტის დამატება ზედმეტად მიმაჩნია (გ.ლ).

ღონისძიების გამოყენებას ითვალისწინებს იმ პირობებში, როდესაც ამ ღონისძიების შედეგად დაცული სიკეთე არ აღემატება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შედეგად მოწინააღმდეგე მხარისათვის მიყენებულ ზიანს. აგრეთვე, ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებს დროებითი მმართველისთვის მასობრივი ინფორმაციის საშუალების სარედაქციო პოლიტიკის განსაზღვრის უფლებამოსილებების მინიჭებას.

IV. სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის წესი

მოსარჩელის ან მოპასუხის თხოვნით დასაშვებია სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა, მაგალითად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებად სასამართლომ გამოიყენა ყადაღა. დაინტერესებულმა მხარემ მოითხოვა მისი შეცვლა გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვით (მაგალითად, ბინის გაქირავების) ამ ბინაში სარემონტო სამუშაოების ჩატარების აკრძალვა და ა. შ.).

სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის შესაძლებლობა გამოიყენება ისეთ დროს, როდესაც მხარე სარწმუნოდ დაასაბუთებს, რომ ამგვარი ცვლილების განხორციელებით საშიშროება არ დაემუქრება არც სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას და არც მოწინააღმდეგე მხარის კანონიერ ინტერესებს.[40] განმცხადებელმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით დაკისრებული მტკიცების ტვირთის რეალიზებით ასევე უნდა დაადასტუროს რაში გამოიხატება თავდაპირველად გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით მისთვის მიყენებული ზიანი და შემოთავაზებული ცვლილების მეშვეობით რა სახით აარიდებს იგი თავს ასეთ ზიანს.[41] ამრიგად, საქმის განხილვის მოცემულ ეტაპზე სასამართლო ამოწმებს რამდენად საფუძვლიანია მოპასუხის მიერ წარდგენილი შუამდგომლობა გამოყენებული უზ-

40 საქართველოს უზენაესი სასამართლო 2015 წლის 25 ნოემბრის განჩინება „№ას-1165-1095-2015

41 საქართველოს უზენაესი სასამართლო 2016 წლის 29 მარტის განჩინება „№ას-274-261-2016

რუნველყოფის ღონისძიების შეცვლის თაობაზე, ხომ არ შეუშლის ხელს მოთხოვნილი ცვლილების განხორციელება მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას ან მისი განუხორციელებლობით მიადგება თუ არა ზიანი მხარის კანონიერ ინტერესებს.[42]

განცხადება უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლის შესახებ დასაშვებია პროცესის ნებისმიერ სტადიაზე. ამასთან ერთად, იგი არის სასამართლოს უფლებამოსილება და არა ვალდებულება, რომელიც განპირობებული უნდა იყოს მნიშვნელოვნად შეცვლილი გარემოებებით და მიზანშეწონილობით.[43]

განცხადების განხილვა მოხდება ზეპირი მოსმენის გარეშე, მაგრამ შესაძლებელია სასამართლომ დაადგინოს საკითხის ზეპირი განხილვა თუ იგი ხელს შეუწყობს საქმის გარემოებების უკეთ გარკვევას. ზეპირი განხილვის შემთხვევაში მხარეებს უნდა ეცნობოთ სხდომის ჩატარების დრო და ადგილი. მხარის ან მხარეთა გამოუცხადებლობა ვერ შეაჩერებს სასამართლოს მიერ საკითხის განხილვასა და გადაწყვეტას.

თუ სასამართლო ჩათვლის რომ უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლის შესახებ განცხადება შემოტანილია საქმის განხილვის გაჭიანურების მიზნით სასამართლომ არ უნდა მიიღოს განსახილველად ასეთი განცხადებები, მაგალითად, მხარეს შეეძლო წარმოედგინა განცხადება მოსამზადებელ სტადიაზე, მაგრამ საპატიო მიზეზის გარეშე წარმოადგინა მთავარ სხდომაზე. ასეთ შემთხვევაში საქმის განხილვა მხარეთა თხოვნით ან სასამართლოს ინიციატივით შეიძლება გადაიდოს (სსკ 215-ე მუხლი).

ფულადი თანხების გადახდევინების შესახებ სარჩელის უზრუნველყოფისას მოპასუხეს შეუძლია მიღებულ უზრუნველყოფის ღონისძიებათა ნაცვლად მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხა შეიტანოს სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე.

იმ შემთხვევაში, როდესაც მოპასუხე მხარე შეიტანს სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე თანხას იმ ოდენობით, რა ოდენობითაც აღძრულია სარჩელი (ან ჯერ არაღძრული სარჩელი), სასამართლომ უნდა შეცვალოს უზრუნველყოფის მის მიერ მიღებული ღონისძიება.

---

42 საქართველოს უზენაესი სასამართლო 2017 წლის 17 ნოემბრის განჩინება „№ას-1113-1033-2017

43 საქართველოს უზენაესი სასამართლო 2016 წლის 28 ივლისის განჩინება „№ას-498-478-2016

V. ჯერ არ აღძრული სარჩელის უზრუნველყოფა

სარჩელის აღძვრამდე სასამართლოში სარჩელის უზრუნველყოფა, ანუ ჯერ არ აღძრული ანუ აღსაძრავი სარჩელის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანი და არსებითი ხასიათის სიახლეა კანონმდებლობაში.

განცხადება ჯერ არ აღძრული სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში მხოლოდ **„გადაუდებელ შემთხვევაში“** (სსკ 192-ე მუხლი).

გადაუდებელი შემთხვევა შეიძლება სხვადასხვა გარემოებით იყოს გამოწვეული, როგორიცაა მაგალითად, ქონების მოსალოდნელი გაყიდვა, გაჩუქება, ხშირად ფიქციური გასხვისება, გადამალვა და ა.შ. მაგრამ, რა გარემოებითაც არ უნდა იყოს გამოწვეული, განმცხადებელმა უნდა დაასაბუთოს, **დაამტკიცოს (მაგალითად, პრესაში გაკეთებული განცხადება, წერილობითი შეტყობინება, მოწმის ჩვენება და ა.შ.)** ჯერ არ აღძრული სარჩელის უზრუნველყოფის გადაუდებლობა.

ამდენად, განმცხადებელს ეკისრება უზრუნველყოფის ღონისძიების გადაუდებელი, სარჩელის აღძვრამდე გამოყენების აუცილებლობის, დარღვეული ან სადაო უფლების განუხორციელებლობის, გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანის დადგომის შესაძლებლობის, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით დასაბუთება. თუ შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ არ შეიცავს ზემოაღნიშნული წინაპირობების დასაბუთებას იგი უარყოფილ უნდა იქნას.[44]

განცხადების სასამართლოს მიერ დაკმაყოფილების შემთხვევაში სარჩელი შეტანილი უნდა იქნეს სასამართლოში განჩინების მიღებიდან 10 დღის ვადაში. თუ ამ ვადაში სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების შემტანი პირი არ აღძრავს სარჩელს, სასამართლო თავისი ინიციატივით ან მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველსაყოფად მის მიერ მიღებული ღონისძიებების გაუქმების შესახებ (სსკ 192-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

---

44 თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმე №2ბ/2462-17

VI. განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ

სარჩელის უზრუნველყოფა, შეიძლება ითქვას, სწრაფი (დაჩქარებული) პროცესია. მოსამართლეს, მოწინააღმდეგე მხარის მოწვევისა და მონაწილეობის გარეშე, მოპასუხის მიერ განცხადების შეტანიდან ერთი დღის ვადაში (სსკ 193-ე მუხლი) გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ (სსკ 191.1 მუხლი). ასევე სწრაფად და დაუყოვნებლივ, ე. ი. მისი გამოტანისთანავე განჩინება, თუ ამ განჩინებით დადგინდა სარჩელის უზრუნველყოფა, უნდა ჩაბარდეს (გაეგზავნოს) მოწინააღმდეგე მხარეს, რათა მან შეძლოს საჩივრით გაასაჩივროს მოსამართლის განჩინება, ან მოითხოვოს სხვა საპროცესო მოქმედების შესრულება. ასევე დაუყონებლივ ხდება უზრუნველყოფის შესახებ სასამართლო განჩინების აღსრულებაც, რაც ხორციელდება იმ წესით, როგორც ხდება გადაწყვეტილების აღსრულება (სსკ 195-ე მუხლი).

განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ მართალია დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი დაუყოვნებლივ შედის კანონიერ ძალაში. მიუხედავად ამ განჩინებით გათვალისწინებული უზრუნველყოფის ღონისძიებებისა, მისი გასაჩივრება შეიძლება 5 დღეში მოპასუხისათვის ამ განჩინების გადაცემის დღიდან. (სსკ 194-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

რადგან უზრუნველყოფის შესახებ განჩინების აღსრულება წარმოებს გადაწყვეტილების აღსრულებისათვის დადგენილი წესით, სასამართლომ უნდა გასცეს სააღსრულებო ფურცელი მისი გამოტანისთანავე. სააღსრულებო ფურცელი განჩინებასთან ერთად გადაეცემა მხარეს სააღსრულებო ბიუროში წარსადგენად.

გარდა საერთო მონაცემებისა, რომლებსაც უნდა შეიცავდეს განჩინება, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინება დამატებით უნდა შეიცავდეს:

ა) უზრუნველყოფის რომელი კონკრეტული ღონისძიება გაატარა სასამართლომ;

ბ) იმ ქონების ადგილმდებარეობაზე მითითებას და მის ინდივიდუალურ ნიშნებს, რომელთა მიმართაც გატარდა ღონისძიება;

გ) თითოეული ნივთის სრულ და ზუსტ სახელწოდებას, მათ წონას და სხვა პარამეტრებს და ა.შ.

დ) უზრუნველყოფილი სარჩელის ფასს.

– განჩინების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს მი-

თითებას იმის შესახებ, რომ იგი დაუყონებლივ უნდა აღსრულდეს, აგრეთვე გასაჩივრების ვადას (195-ე მუხლი).

საჩივარი უზრუნველყოფის თაობაზე სასამართლო განჩინების გაუქმების თუ შეცვლის შესახებ უნდა შეიცავდეს:

ა) სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოტანილი განჩინების ზუსტ დასახელებას;

ბ) მითითებას, თუ რა ზომით უნდა გაუქმდეს ან შეიცვალოს განჩინება უზრუნველყოფის შესახებ;

გ) გარემოებებს, რომელთა გამოც უნდა გაუქმდეს ან შეიცვალოს განჩინება უზრუნველყოფის შესახებ.

ამ გარემოებათა დამტკიცების ტვირთი ეკისრება მომჩივანს.

ვინაიდან, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით საქმის წარმოება დაჩქარებული წარმოებაა (193-ე მუხლი), სსკ-ის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილიც ითვალისწინებს საჩივრის შეტანის შემოკლებულ ხუთდღიან ვადას, მაშინ როდესაც კერძო საჩივრის შეტანის საერთო ვადაა 12 დღე (416-ე მუხლი). ეს ვადა იწყება განჩინების გამოცხადების მომენტიდან, თუ ესწრებოდა მოწინააღმდეგე მხარე, ან იმ დროიდან, როცა მოპასუხეს (მოწინააღმდეგე მხარეს) ჩაბარდა განჩინება 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

საჩივრის შეტანა ავტომატურად არ აჩერებს უზრუნველყოფის ღონისძიების გატარებას. სასამართლოს მომჩივანის განცხადებით შეუძლია გამოიტანოს განჩინება უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების ან მისი გატარების შეჩერების შესახებ. თავის მხრივ ამ განჩინებაზეც შეიძლება საჩივრის შეტანა (197-ე მუხლი).

უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების (მოხსნის) შესახებ განჩინება სასამართლომ მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით უნდა გადაუგზავნოს შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოებს იმ შეზღუდვების მოხსნის მიზნით, რაც უზრუნველყოფის გაუქმებული ღონისძიებით იყო გათვალისწინებული.

სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინების გამოტანის შემდეგ მხარეს უფლება არ აქვს კვლავ მიმართოს სასამართლოს იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით, ხოლო თუ მიმართავს სასამართლო გამოიტანს განჩინებას განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ, რომელზეც შეიძლება საჩივრის შეტანა.

VII. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების გასაჩივრება და საჩივრის წარმოებაში მიღების წესი და ფორმა

სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით რამდენიმე სახის განჩინება არსებობს, რომლებზეც შესაძლებელია საჩივრის შეტანა მაგალითად, სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის, სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების, სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის, სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლის ან ყადაღადადებული ქონების გამიჯვნაზე თანხმობის შესახებ შესახებ. სსკ-ის 197[1]-ე მუხლი აწესრიგებს ამ განჩინებებზე შეტანილი საჩივრის წარმოებაში მიღების წესს: თუ ასეთი საჩივარი შედის პირველი ინსტანციის სასამართლოში, მაშინ ეს სასამართლო ხელმძღვანელობს იმ წესებით, რაც ამ სასამართლოსათვის არის დადგენილი, თუ საჩივარი შედის სააპელაციო ან საკასაციო ინსტანციის სასამართლოში, მაშინ ეს სასამართლოები ამ საჩივრის წარმოებაში მიღების დროს ხელმძღვანელობენ იმ წესებით, რომლებიც ამ სასამართლოებისათვის არის განსაზღვრული.

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში საჩივრების წარმოებაში მიღების პირობები და წესები გაცილებით უფრო მეტსა და რთულ მოთხოვნებს შეიცავს, ვიდრე ეს მოეთხოვება განჩინებებზე შეტანილ საჩივრებს. ამიტომ, ასეთი საჩივრების დასაშვებობისა და წარმოებაში მიღებისას სასამართლოებმა უნდა შეამოწმონ:

ა) პასუხობს თუ არა საჩივრის შინაარსი 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნებს;

ბ) შეიტანა თუ არა საჩივარი უფლებამოსილმა პირმა (414-ე მუხლის მე-2 ნაწილი);

გ)დაცულია თუ არა საჩივრის შეტანის ვადა (194-ე მუხლის მე-3 ნაწილი);

დ) ითვალისწინებს თუ არა კანონი გასაჩივრებული განჩინების გასაჩივრებას (197-ე მუხლი);

ე) გადახდილია თუ არა სახელმწიფო ბაჟი (38-ე მუხლის „თ“ პუნქტი და 39-ე მუხლის „დ“ პუნქტი).

საჩივრის დასაშვებობისა და წარმოებაში მიღების ის პირობები, რომლებიც შეუფერებელი და შეუსაბამოა ასეთი საჩივრისათვის,

მაგალითად, 391-ე მუხლით გათვალისწინებული კასაციის დასაშვებობის პირობები, არ შეიძლება გამოყენებული იქნეს საჩივრების წარმოებაში მიღებისათვის.

სსკ-ის 1971-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო საჩივარს დასაშვებად და დასაბუთებულად მიიჩნევს, იგი აკმაყოფილებს მას. წინააღმდეგ შემთხვევაში საჩივარი საქმის მასალებთან ერთად სასამართლო განჩინების საფუძველზე გაეგზავნება ზემდგომ სასამართლოს განჩინების მიღებიდან 5 დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გაეგზავნება მხოლოდ სასამართლო განჩინება საქმის დამოწმებულ ასლებთან ან ელექტრონულ საქმის მასალებთან ერთად, ხოლო საქმის მასალების დედნები სასამართლოში დარჩება და საქმის განხილვას სასამართლო გააგრძელებს საერთო წესით.

ამრიგად, საჩივარი შეტანილი უნდა იქნეს იმ სასამართლოში, რომლის განჩინება საჩივრდება. გასაჩივრებული განჩინების გამომტან სასამართლოს მხოლოდ ერთი უფლებამოსილება აქვს – დააკმაყოფილოს საჩივარი. მაგრამ, თუ საჩივარი არ დაიშვება, ვთქვათ იმის გამო, რომ იგი შემოტანილია ვადის დარღვვით ან კიდევ, იმის გამო, რომ შეტანილია არაფლებამოსილი პირის მიერ და ა.შ. ან, თუმცა დასაშვებია, მაგრამ არაა დასაბუთებული – მაშინ სასამართლო ვალდებულია გამოიტანოს განჩინება „საჩივრის საქმესთან ერთად ზემდგომ სასამართლოში გადაგზავნის შესახებ", რომელშიც აღნიშნული იქნება, რომ სასამართლომ (მოსამართლემ) განიხილა ეს საჩივარი და უარი უთხრა მის დაკმაყოფილებაზე დაუშვებლობის ან დაუსაბუთებლობის გამო.

ასეთი განჩინება საკმარისია იმისათვის, რომ ზემდგომმა სასამართლომ თვითონ განიხილოს როგორც ამ საჩივრის დასაშვებობის, ისე მისი დასაბუთებულობის საკითხი და მიიღოს თავისი საბოლოო გადაწყვეტილება.

რაც შეეხება ქვემდგომი სასამართლოს განჩინებას საჩივრის ზემდგომ სასამართლოში გადაგზავნის შესახებ, ამ განჩინების არც გაუქმებისა და არც ძალაში დატოვების აუცილებლობა არ არსებობს. ზემდგომი სასამართლო იხილავს მხოლოდ საჩივარს, რომლის დაკმაყოფილებაზეც დაუშვებლობის ან დაუსაბუთებლობის გამო უარი თქვა ქვემდგომმა სასამართლომ.

საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტის ვადა შეადგენს 20 დღეს. ეს ვადა იწყება საჩივრის წარმოებაში მიღებიდან (197[1]-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

რომელი სასამართლო იღებს საჩივარს წარმოებაში?

გასაჩივრებული განჩინების გამომტანი სასამართლოს შეუძლია მიიღოს ორი სახის გადაწყვეტილება: **ერთი** – დააკმაყოფილოს საჩივარი, თუ იგი დასაშვები და დასაბუთებულია და **მეორე** – გადააგზავნოს საჩივარი ზემდგომ სასამართლოში, თუ იგი არაა დასაშვები ან დასაბუთებული. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ საჩივარი არაა დასაშვები და ამიტომ წარმოებაში მისაღები, მან საჩივარი უნდა გადააგზავნოს ზემდგომ სასამართლოში, რომელიც ამ საკითხზე იღებს თავის გადაწყვეტილებას. ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ: **საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხს წყვეტს არა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო, არამედ ზემდგომი სასამართლო.** საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტის 20 დღიანი ვადაც აქედან, ე.ი. ზემდგომი სასამართლოს მიერ საჩივრის წარმოებაში მიღების დღიდან უნდა დაიწყოს.

საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტის 20 დღიანი ვადა იმაზე მიგვანიშნებს, რომ გასაჩივრებული განჩინების გამომტანმა სასამართლოებმა რაც შეიძლება სწრაფად უნდა მიიღონ განჩინება ამ საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ ან მისი ზემდგომ სასამართლოში გადაგზავნის შესახებ.

განჩინებას საჩივრის თაობაზე იღებს ზემდგომი სასამართლო.

ეს განჩინება მიიღება საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, მაგრამ სასამართლოს შეუძლია დაადგინოს საჩივრის ზეპირი განხილვაც. ზემდგომი სასამართლოს მიერ საჩივრის განხილვის შედეგად მიღებული განჩინება არ გასაჩივრდება.

VIII. სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება (მოპასუხის ინტერესების დაცვა).

ცხადია, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გატარებამ, მით უმეტეს, თუ ასეთი ღონისძიებით იზღუდება მოპასუხის უფლებამოსილება განკარგოს თავისი ქონება ან ფულადი სახსრები – შეიძლება გარკვეული ზიანი მიაყენოს მას.

კანონისა და სასამართლოს წინაშე მხარეთა თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპი ვლინდება ამ შემთხვევაშიც: კანონი

ერთნაირად იცავს არამარტო მოსარჩელის, არამედ მოპასუხის ანგარიშგასაწევ ინტერესებსაც. ამიტომ პირს, რომელიც სარჩელის უზრუნველყოფას მოითხოვს შეიძლება გარკვეული, კანონით გათვალისწინებული პირობების არსებობისას, დაეკისროს იმ მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა, რაც შეიძლება მიადგეს მოპასუხეს სარჩელის უზრუნველყოფით.

სსკ 199-ე მუხლი ითვალისწინებს მოპასუხის ინტერესების დაცვის ორ ერთმანეთთან დაკავშირებულ სამართლებრივ საშუალებას:

ერთი – ესაა მოსარჩელის მიერ იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც მიადგა მოპაუხეს სარჩელის უზრუნველყოფით. ზარალის ანაზღაურება მოპასუხეს შეუძლია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებების არსებობისას: 1. მოსარჩელეს უარი ეთქა უზრუნველყოფილი სარჩელის დაკმაყოფილებაზე ანუ მან წააგო პროცესი, ან კიდევ, უზრუნველყოფილი იყო ჯერ არ აღძრული სარჩელი (სსკ 192-ე მუხლი), მაგრამ შემდგომ მან არ აღძრა ეს სარჩელი სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში, რის გამოც უზრუნველყოფის ღონისძიება გაუქმდა; 2. სარჩელის უზრუნველყოფით მოპასუხეს ნამდვილად მიადგა ზიანი, რომლის ოდენობა უნდა დაამტკიცოს მოპასუხემ.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების შესახებ სასამართლოს სარჩელით უნდა მიმართოს მოპასუხემ.

მეორე – ესაა მოპასუხისათვის **მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა** (სსკ 199-ე მუხლი). ეს იმას ნიშნავს, რომ თუ მოსარჩელე მოითხოვს სარჩელის უზრუნველყოფას, მოპასუხეს შეუძლია მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფით მისთვის **მოსალოდნელი ზარალის** არა ანაზღაურება, არამედ ანაზღაურების უზრუნველყოფა. შეიძლება ასეთ ვითარებას ვუწოდოთ **საპასუხო უზრუნველყოფა**, რომელიც უნდა განხორციელდეს სსკ 57-ე მუხლით დადგენილი წესით. ამ მუხლის თანახმად საპასუხო უზრუნველყოფა უნდა განხორციელდეს მოსარჩელის მიერ ფულადი თანხის ან ფასიანი ქაღალდების საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშზე შეტანის გზით, რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით მისაღებია გარანტიის უზრუნველსაყოფად. ამასთან ერთად, სასამართლომ შეიძლება შეღავათიანი პირობებით დაუშვას სხვა საშუალებებიც, როგორიცაა მაგალითად საკრედიტო დაწესე-

ბულების მიერ გაცემული თავდებობა (სსკ 57-ე მუხლი).

მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა შეიძლება განხორციელდეს როგორც მოპასუხის შუამდგომლობით, ისე სასამართლოს ინიციატივითაც. ამასთან, მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა უნდა გატარდეს „იმავდროულად" სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გატარებასთან ერთად. ეს იმას ნიშნავს, რომ განჩინებაში სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ მითითებული უნდა იყოს აგრეთვე იმის შესახებ, თუ რა მოქმედების შესრულება დაეკისრა მოსარჩელეს (მაგალითად, ფულადი თანხის დადება და სხვა) მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად. არ არის გამორიცხული, რომ მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის შესახებ საკითხი განხილული და გადაწყვეტილი იქნეს მოგვიანებით, მაშინ საჭირო იქნება ამის შესახებ ცალკე განჩინების მიღება.

თუ სარჩელის უზრუნველსაყოფად შერჩეულია ისეთი ღონისძიება, რომელიც არ მიაყენებს ზარალს მოპასუხეს, მაშინ, ცხადია, მოიხსნება საკითხი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის შესახებაც (მაგალითად, მოპასუხეს არ ეკრძალება ისარგებლოს ნივთით, გააქირაოს და მიიღოს სარგებელი ამისათვის, მაგრამ მას ეკრძალება მხოლოდ გაასხვისოს ეს ნივთი საქმის სასამართლოში გადაწყვეტამდე).

პირი, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, ვალდებულია უზრუნველყოს მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურება სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს. განსაზღვრულ ვადაში მოსარჩელის მიერ უზრუნველყოფის განუხორციელებლობას უკავშირდება სერიოზული შედეგი, კერძოდ: **სასამართლომ დაუყონებლივ უნდა გამოიტანოს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ.** ასეთი გაუქმება შეიძლება განხორციელდეს სასამართლოს ინიციატივით, ან დაინტერესებული მხარის შუამდგომლობით. აღნიშნული განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს 5 დღის ვადაში. ამ ვადის გაგრძელება არ შეიძლება.

თუ მოსარჩელეს უარი ეთქვა უზრუნველყოფილ სარჩელზე, ან გაუქმდა ჯერ არაღძრული სარჩელის უზრუნველყოფა იმის გამო, რომ პირმა არ აღძრა სარჩელი სასამართლოს მიერ დანიშნულ ვა-

დაში, ან, კიდევ, მას უარი ეთქვა სარჩელზე და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, მაშინ მოსარჩელემ უნდა აუნაზღაუროს ზარალი მოპასუხეს, თუ იგი ამას მოითხოვს.

სარჩელის უზრუნველყოფით მიყენებული ზარალის ანაზღაურების თაობაზე მოპასუხემ უნდა მიმართოს სასამართლოს სარჩელით. მასვე ეკისრება დამდგარი ზიანის და მისი ოდენობის დამტკიცების ტვირთი.

ფაქტიურად, **მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა** – ესაა **იმ სარჩელის უზრუნველყოფა, რომელიც შეიძლება აღძრას მოპასუხემ მოსარჩელის წინააღმდეგ, რომლის სარჩელის უზრუნველყოფის გამო მას მიადგა ზარალი.**

თუ მოპასუხე არ მოითხოვს ზარალის ანაზღაურებას, ან მოითხოვს, მაგრამ ვერ დაამტკიცებს ზიანის ფაქტს და მის ოდენობას, რის გამოც სასამართლო უარს ეტყვის მას სარჩელის დაკმაყოფილებაზე, მაშინ თავდაპირველ მოსარჩელეს დაუბრუნდება ის თანხა (ფასიანი ქაღალდები), რაც მან შეიტანა უზრუნველყოფის გარანტიის სახით, ან გაუქმდება საკრედიტო დაწესებულების თავდებობა, თუ ასეთი იყო დაშვებული.

სასამართლო დადგენილებები, კერძოდ, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სასამართლოს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვებისა და სასამართლოს განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ ისინი იქნება მიღებული, სასამართლომ იმავდროულად, ე.ი. ისე, რომ არ დაელოდოს მათ კანონიერ ძალაში შესვლას, უნდა გააუქმოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება. ესაა კანონის კატეგორიული მოთხოვნა, რომელიც უნდა განახორციელოს სასამართლომ თავისი ინიციატივით. მოპასუხის განცხადება ამის შესახებ არაა საჭირო.

პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, აგრეთვე ზემოდ დასახელებული განჩინებები შეიძლება გასაჩივრდეს ამ გადაწყვეტილებისა და განჩინებების გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით.

ეს იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, რომლითაც აგრეთვე გაუქმდა ამ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება – შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო (საკასაციო) წესით; ასევე სასამართლოს განჩინება

საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ (272-ე მუხლი), რომლითაც აგრეთვე გაუქმდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით (274-ე მუხლი), ხოლო სასამართლოს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ (275-ე მუხლი), რომლითაც გაუქმდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით (276-ე მუხლი).

როგორც ვხედავთ, თუ უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება ხდება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან განჩინებით საქმის წარმოების შეწყვეტის ან სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, მაშინ ეს გადაწყვეტილება და განჩინებები შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამისად სააპელაციო (საკასაციო) საჩივრით და კერძო საჩივრით, მაგრამ თუ უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება ხდება მოპასუხის განცხადების საფუძველზე და სასამართლოს განჩინებით, მაშინ ეს განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საჩივრით (197-ე მუხლი).

იმ შემთხვევაში, თუ რაიმე მიზეზით, სასამართლოს მხედველობიდან გამორჩა და თავისი გადაწყვეტილებით არ გააუქმა გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება, შესაძლებელია ეს ხარვეზი გამოსწორდეს საპროცესო კანონის ანალოგიის გამოყენებით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი და 261-ე მუხლი), იმ თავისებურების გათვალისწინებით, რომ შესაბამისი განჩინების გამოტანა არ იქნება შეზღუდული რაიმე ვადით და გასაჩივრდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით (იხ. სუსგ №ას-806-773-2016, 29 დეკემბერი, 2016 წელი)[45].

უზრუნველყოფის ღონისძიება გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც კანონიერ ძალაში შევა გადაწყვეტილება (განჩინება), რომლითაც იგი გაუქმდა.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება შეიძლება მოხდეს მხარეთა მორიგებითაც თუ ისინი სხვარამეზე არ შეთანხმებულან.

---

45 სუსგ სამოქალაქო სამართლის საქმეებზე, 2021, № 11, №ას-871-2018, გვ. 81

IX. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების აკრძალვა

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მე-4-8 ნაწილები ითვალისწინებენ შემთხვევებს როდესაც არ შეიძლება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება, კერძოდ:

1. „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ფინანსურ გირავნობაზე (ფინანსური გირავნობის საგანზე) და „საგადასახადო სისტემისა და საგადასახადო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სისტემის მონაწილის ანგარიშსწორების ანგარიშზე.
2. „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „კ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ საპრიზო ფონდზე.
3. „საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ ცენტრის კუთვნილ განცალკევებულ ანგარიშზე.
4. „დაზღვევის შესახებ" საქართველოს კანონის 161 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ სადაზღვევო ბროკერის კუთვნილ მომხმარებლის ანგარიშზე.
5. საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართვის საფუძველზე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები არ გამოიყენება, ხოლო გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები ჩერდება „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონისა და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის მიმართ საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართვაში განსაზღვრული ვადით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 90 დღეს. მოსამართლე განჩინებას გამოიტანს საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართვიდან 1 დღის განმავლობაში. თუ რეზოლუციის რეჟიმი განჩინებაში

განსაზღვრულ ვადაზე ადრე დასრულდება, საქართველოს ეროვნული ბანკი ვალდებულია ამის შესახებ შეატყობინოს სასამართლოს, რომელიც გააუქმებს შეჩერების შესახებ განჩინების მოქმედებას.

თავი II. სარჩელისაგან მოპასუხის თავდაცვის საშუალებები

§1. თავდაცვის საშუალებათა სახეები

მხარეთა თანასწრობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის გაშუქების დროს აღვნიშნეთ, რომ მხარეები სამოქალაქო პროცესში სარგებლობენ თანასწორი საპროცესო უფლებებით, კერძოდ, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს სარჩელით თავისი უფლების დასაცავად, ხოლო პირს, რომლის წინააღმდეგაც აღძრულია სარჩელი, შეუძლია დაიცვას თავი ამ სარჩელისაგან. მხარეთა ეს უფლებები მათი საპროცესო თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების კონკრეტული გამოვლინებაა. ამასთან ერთად, სარჩელის აღძვრა და ამ სარჩელისგან თავის დაცვა მიმდინარეობს კანონით განსაზღვრული წესითა და საშუალებების გამოყენებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს მოპასუხის თავდაცვის საპროცესო საშუალებებს და ამასთან ერთად განსაზღვრავს ამ საშუალებათა გამოყენების საპროცესო ფორმებს (საპროცესო წესებს). ასეთი საშუალებებია: I. სარჩელის უარყოფა (არცნობა); II. საპროცესო შესაგებელი; III. მატერიალურ სამართლებრივი შესაგებელი;

განვიხილოთ ეს საშუალებები ცალ-ცალკე.

I. სარჩელის უარყოფა (არცნობა)

მოპასუხეს შეუძლია არ ცნოს სარჩელი მთლიანად ან ფაქტები, რომლებიც საფუძვლად უდევს ამ სარჩელს. ასეთ შემთხვევაში მას შეუძლია თავი დაიცვას იმით, რომ უბრალოდ უარყოს სარჩელი, ან ის ფაქტები, რომლებსაც იგი ემყარება. ეს შეიძლება იყოს უმოტივო უარყოფა, რასაც ზოგჯერ უწოდებენ სარჩელის უარყოფას.

სარჩელის უარყოფა თავისთავად და დამოუკიდებლად არაფერს არ ადასტურებს, მაგრამ ასეთ უარყოფას აქვს სრულიად გარკვეული საპროცესო მნიშვნელობა. ასეთი უარყოფის გამო ფაქტები, რომლებიც საფუძვლად უდევს სარჩელს, იძენს სადავო ფაქტების თვისებას, **რომლებსაც არ ცნობს მოპასუხე** და ამიტომ ისინი შედი-

ან მტკიცების საგანში და მოსარჩელეს ევალება დაამტკიცოს მათი არსებობა, თუ არარსებობა. რომ არა მოპასუხის მიერ ამ ფაქტების უარყოფა, რაც, თავის მხრივ, გაუთანაბრდებოდა მის მიერ ამ ფაქტების აღიარებას **მოსარჩელე განთავისუფლებოდა ამ ფაქტების დამტკიცების ტვირთისაგან.**

ამრიგად, იმ ფაქტიური გარემოებების უარყოფა, რომლებიც საფუძვლად უდევს სარჩელს, ანუ მოპასუხის წინააღმდეგ აღძრულ სასარჩელო მოთხოვნას, არის თავდაცვის ერთ-ერთი საშუალება და იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც შესაგებელი ფართო გაგებით, რომელიც ასეთ უარყოფასაც მოიცავს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით **შესაგებელი – ესაა სარჩელისაგან მოპასუხის თავდაცვის ისეთი საშუალება, რომელიც თავის მხრივ თვითონ ემყარება სამართლებრივად მნიშვნელოვან ფაქტებს, ანუ ფაქტებს, რომლებსაც კანონი უკავშირებს სარჩელის განხილვაზე უარისთქმას, პროცესის შეწყვეტას, სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარისთქმას და ა.შ.**

ასეთი შესაგებელი იგულისხმება სსკ მე-4 მუხლში, რომლის თანახმად მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან **გააქარწყლონ** მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები, თუ მტკიცებულებები.

ასეთი შესაგებელი იგულისხმება სსკ 102-ე მუხლში, რომლის მიხედვით თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს და **შესაგებელს.**

იმის მიხედვით, თუ რა შედეგის მიღწევა სურს მოპასუხეს, ანუ, თუ რა შედეგი უკავშირდება მოპასუხის მიერ თავის შესაგებელში მითითებულ ფაქტებს – **ერთმანეთისაგან განასხვავებენ პროცესუალურ და მატერიალურ-სამართლებრივ შესაგებელს.**

II. პროცესუალური შესაგებელი

ზემოთ ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ სარჩელის წარმოებაში მიღებისათვის, ანუ პროცესის წარმოშობისა და განვითარებისათვის, აუცილებელია გარკვეული წინაპირობების არსებობა.

ამ წინაპირობების არარსებობისას პროცესი შეიძლება შეწყდეს,

სარჩელი განუხილველად დარჩეს ან საქმის წარმოება შეჩერდეს.

მაგალითად, პრაქტიკაში არც ისე იშვიათია შემთხვევა, როდესაც მოპასუხე თავის შესაგებელში მიუთითებს, რომ სარჩელი, რომელიც აღძრულია, უკვე განხილული იყო ადრე და არსებობს მის მიმართ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება. თუ მოსარჩელე დაადასტურებს ამ ფაქტს და სასამართლოს წარუდგენს შესაბამისი გადაწყვეტილების ასლს – სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას (სსკ 272-ე მუხლის „ბ" პუნქტი).

ზოგჯერ ფაქტს, რომელსაც საპროცესო სამართლის ნორმა უკავშირებს მოპასუხისათვის ხელსაყრელ შედეგს, აქვს უპირობო ანუ **აბსოლუტური მნიშვნელობა.** მაგალითად, თუ მოპასუხე თავის შესაგებელში მიუთითებს ისეთ ფაქტებზე, როგორიცაა საქმის არასაქვეუწყებობა ანუ მითითებას იმის შესახებ, რომ საქმე არ ექვემდებარება საერთო სასამართლოებს და რომ ამ საქმის განხილვა სხვა უწყების კომპეტენციაში შედის – სასამართლომ უნდა შეწყვიტოს საქმის წარმოება. ასეთი საქმის განხილვა და მის მიმართ გადაწყვეტილების გამოტანა წარმოადგენს ამ გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს.

არის აგრეთვე ისეთი საპროცესო შესაგებლები, რომლებსაც არ აქვთ აბსოლუტური ხასიათი. ასეთებს უწოდებენ პროცესის წარმოშობისა და განვითარების **შეფარდებით პირობებს**. ავიღოთ მაგალითად განსჯადობა. სსკ 21-ე მუხლის თანახმად სასამართლოს შეუძლია განიხილოს მისი არაგანსჯადი საქმე, თუ მოპასუხე ამის წინააღმდეგი არ არის ან, თუ მას მიეცემა განმარტება იმის შესახებ, რომ უფლება აქვს წამოაყენოს შესაგებელი არაგანსჯადობის წინააღმდეგ და მიუხედავად ამისა ასეთ შესაგებელს არ წამოაყენებს.

ნებისმიერი პირობა, რომელიც სარჩელის წარმოებაში მიღების წინაპირობადაა ცნობილი, შეიძლება გახდეს საპროცესო ხასიათის შესაგებლის ფაქტობრივი საფუძველი.

თავის მხრივ, მოპასუხის საპროცესო შესაგებელს, იმის მიხედვით, თუ რომელი ფაქტი უდევს მას საფუძვლად, შეიძლება სხვადასხვა საპროცესო შედეგი დაუკავშირდეს. მაგალითად, თუ მოპასუხე უთითებს თავის შესაგებელში, რომ სარჩელი (განცხადება) დაინტერესებული პირის სახელით შეიტანა იმ პირმა, რომელსაც

არა აქვს საქმის წარმოების უფლებამოსილება, ან კიდევ, სხვა სასამართლოს წარმოებაშია იგივე საქმე და ყოველივე ეს დადასტურდება, სასამართლოს შეუძლია სარჩელი განუხილველად დატოვოს (სსკ 275-ე მუხლი), მაგრამ, თუ მოპასუხე თავის შესაგებელში მიუთითებს, რომ ეს საქმე ერთხელ უკვე გადაწყვეტილია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას (272-ე მუხლი).

პროცესუალური შესაგებელი შეიძლება ისეთ ფაქტს ემყარებოდეს, რომელიც, თუ დადასტურდება იწვევს არა სარჩელის განუხილველად დატოვებას ან საქმის წარმოების შეწყვეტას, არამედ **საქმის წარმოების შეჩერებას.**

მაგალითად: მოპასუხე იურიდიული პირის შესაგებელი იმის შესახებ, რომ მიმდინარეობს ან უკვე განხორციელდა ამ იურიდიული პირის რეორგანიზაცია, ან კიდევ, შესაგებელი იმის შესახებ, რომ ამ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული წესით და სხვა, იწვევს საქმის წარმოების შეჩერებას (სსკ 279-ე მუხლი).

როგორც ვხედავთ, პროცესუალური შესაგებელი არაა მიმართული **უშუალოდ** არც სასარჩელო მოთხოვნების და არც ამ მოთხოვნების საფუძველში მითითებული ფაქტების წინააღმდეგ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი არაა მიმართული სარჩელის წინააღმდეგ **არსებითად.**

პროცესუალური შესაგებელი – ესაა მოპასუხის მიერ ისეთ ფაქტობრივ გარემოებებზე მითითება, რომლებსაც სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმები უკავშირებენ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარისთქმას, საქმის წარმოების შეწყვეტას, სარჩელის განუხილველად დატოვებას ან კიდევ, საქმის წარმოების დროებით შეჩერებას.

როგორც წესი, სარჩელის წარმოებში მიღების ყველა აბსოლუტური წინაპირობის შემოწმება სასამართლოს ინიციატივით ხდება, მაგრამ ეს სრულებით არ უშლის ხელს მოპასუხეს, მას სრული უფლება და შესაძლებლობა აქვს წარადგინოს საპროცესო შესაგებელი და სასამართლოს ყურადღება მიაქციოს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც მიუთითებენ პროცესის წარმოშობის, განვითარებისა და გაგრძელების არამართლზომიერებაზე.

უზენაესმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ „სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პასუხში (შესაგებელში) სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით; წინააღმდეგ შემთხვევაში მას ერთმევა უფლება, შეასრულოს ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს. ნორმის მითითებული დანაწესი არ არის ამომწურავი და იგი სისტემურად უნდა განიმარტოს ამავე კოდექსის 83-ე მუხლის პირველი ნაწილის, 215-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 219-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესებთან ერთობლიობაში. მითითებულ ნორმათაგან პირველი წარმოადგენს მხარეების გარანტირებულ საპროცესო უფლებათა ჩამონათვალს, მეორე – განსაზღვრავს საპროცესო სამართლის მიზნებისათვის იმ გარემოებათა წრეს, თუ რა შეიძლება იქნას მიჩნეული საპატიოდ, ხოლო მესამე ნორმით დადგენილია შემდეგი: მხარეები შეზღუდული არიან, ახსნა-განმარტების მოსმენისას წარადგინონ ახალი მტკიცებულებები ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ ყოფილა მითითებული სარჩელსა თუ შესაგებელში ან საქმის მომზადების სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ შესახებ თავის დროზე საპატიო მიზეზით არ იყო განცხადებული“.[46]

III. მატერიალურ სამართლებრივი შესაგებელი

მატერიალურ სამართლებრივი შესაგებელი – ესაა **სარჩელისაგან მოპასუხის თავდაცვის საშუალება ისეთ ფაქტებზე მითითებით, რომლებსაც მატერიალური სამართალი უკავშირებს მოსარჩელის მიერ მოპასუხის წინააღმდეგ წაყენებული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარისთქმას.** ამრიგად, იგი მიმართულია **სარჩელის წინააღმდეგ არსებითად**.

მაგალითად: მოსარჩელე მოითხოვს მოპასუხისაგან მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, ან ხელშეკრულებით

46 სუსგ სამოქალაქო სამართლის საქმეებზე, 2016, 7, გვ. 192

ნაკისრი ვალდებულების შესრულებას (ქირის გადახდას, სესხად აღებული თანხის დაბრუნებას, ნათხოვარი ნივთის დარუნებას და ა.შ.). მოპასუხეს შეუძლია თავის შესაგებელს საფუძვლად დაუდოს ისეთი ფაქტები, რომლებიც გამოიწვევენ სარჩელზე უარისთქმას, კერძოდ მას შეუძლია მიუთითოს, რომ ვალდებულება მან შეასრულა, ე.ი. ზიანი აანაზღაურა, ნივთი დააბრუნა, ვალი გადაიხადა და ა.შ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ვალდებულება მართლაც არსებობდა, მაგრამ იგი შესრულებულია. თუ მოპასუხე დაამტკიცებს ამ ფაქტს, სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე, რადგან ვალდებულება შეწყდება კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებით (სკ 427-ე მუხლი).

მაგრამ შესაგებელი, რომელიც ემყარება შესრულებას ძალზედ იშვიათია ისე როგორც იშვიათია სარჩელები შესრულებული ვალდებულების მოთხოვნით. უფრო ხშირია შესაგებელი, რომელიც უშუალოდაა მიმართული სასარჩელო მოთხოვნის წინააღმდეგ.

მაგალითად: მოსარჩელე მოითხოვს მოპასუხის ბინიდან გამოსახლებას და ბინის განთავისუფლებას იმ მოტივით, რომ ეს ბინა ანდერძით დაუტოვა მისმა ახლო ნათესავმა (ბებიამ), მოპასუხემ ამ სარჩელის წინააღმდეგ წარმოადგინა შესაგებელი, რომელსაც საფუძვლად დაუდო იურიდიული ფაქტი იმის შესახებ, რომ იგი არის ანდერძის დამტოვებლის შვილი, დაიბადა და მუდმივად ცხოვრობს სადავო ბინაში, ე.ი. ფაქტობრივად დაეუფლა სამკვიდრო ქონებას, ხოლო დედამისი (ანდერძის დამტოვებელი) ანდერძის დატოვების დროისათვის იყო სულით დაავადებული და არ შეეძლო სწორად აღექვა რეალური ვითარება, რის გამოც ანდერძი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი (სკ 58-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

არც ისე იშვიათია შემთხვევა, როდესაც მოპასუხე არ უარყოფს სასარჩელო მოთხოვნის არსებობას ან მოსარჩელის უფლებას, რომლის დაცვასაც იგი მოითხოვს, მაგრამ თავის შესაგებელში

მიუთითებს, რომ ჯერ არ დამდგარა ამ მოთხოვნის, თუ უფლების იძულებით განხორციელების დრო.

მაგალითად: მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისაგან სესხად მიცემული ვალის დაბრუნება. მოპასუხე არ უარყოფს, რომ მან მართლაც ისესხა მოსარჩელისაგან ფული, მაგრამ თავის შესაგებელს საფუძვლად უდებს ფაქტს, იმის შესახებ, რომ სესხის ხელშეკრულებით დათქმული იყო ვალის დაბრუნების ვადა, რომელიც ჯერ არ დამდგარა (სკ 361-ე მუხლის მე-2 ნაწილი და 626-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

პრაქტიკაში არც ისე იშვიათია შემთხვევა, როდესაც მოპასუხეთა შესაგებელი მიმართულია მოსარჩელის მოთხოვნის გაქარწყლებისაკენ.

მაგალითად: მოსარჩელე მოითხოვს მოპასუხისაგან ამა თუ იმ ვალდებულების შესრულებას (ვალის დაბრუნებას, ნივთის გადაცემას, ზიანის ანაზღაურებას და ა.შ.) მოპასუხემ თავის შესაგებელს სასარჩელო მოთხოვნის წინააღმდეგ საფუძვლად დაუდო ხანდაზმულობის ვადის გასვლა (სკ 128-ე მუხლი).

მოპასუხე ზოგჯერ არ უარყოფს სარჩელის საფუძველში მითითებულ ფაქტებს, მაგრამ მიუთითებს ისეთ ფაქტებზე, რომლებიც ათავისუფლებენ მას პასუხისმგებლობისაგან.

მაგალითად: მოსარჩელე მოითხოვს წუნდებული პროდუქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას. მოპასუხე არ უარყოფს, რომ პროდუქტს აქვს ნაკლი, მაგრამ თავის შესაგებელში მიუთითებს, რომ ნაკლი, რომელიც ამ პროდუქტს აქვს სარეალიზაციოდ მისი გატანისას შეესაბამებოდა იმ დროს მოქმედ ნორმებს (სკ 1009-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტი).

პრაქტიკაში საკმაოდ ხშირია, როდესაც მოპასუხეები თავიანთი შესაგებლით მიუთითებენ პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებებზე.

მაგალითად: არასწორი მკურნალობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის საწინააღმდეგოდ მოპასუხემ წარადგინა შესაგებელი იმის შეს-

ახებ, რომ მას არ მიუძღვის ბრალი ზიანის დადგომაში (სკ 1007-ე მუხლი).

ცხადია, რომ შესაგებლის წარდგენა მოპასუხის მიერ არ კმარა იმისათვის, რომ მოსარჩელეს უარი ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე. საჭიროა აგრეთვე, რომ შესაგებელში მითითებული ფაქტები, ანუ ფაქტები რომლებიც საფუძვლად უდევს შესაგებელს, დამტკიცდეს მტკიცებულებათა გამოყენებით და კანონით დადგენილი წესით.

იბადება კითხვა: უნდა მოეთხოვოს თუ არა მოპასუხეს მის მიერ შესაგებელში მითითებული ნებისმიერი ფაქტის დამტკიცება?

აქ მოქმედებს იგივე პრინციპი, რომელიც მოქმედებს სარჩელის საფუძველში მითითებული ფაქტების მიმართ: **დამტკიცებას საჭიროებენ შესაგებელში მითითებული მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებსაც კანონი უკავშირებს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარისთქმას.** ისეთი ფაქტების მიმართ, რომლებსაც თუმცა ემყარება მოპასუხის შესაგებელი, მაგრამ მათ კანონი არ უკავშირებს ასეთ შედეგს, სასამართლომ არ უნდა მიიღოს, შეამოწმოს და შეაფასოს მტკიცებულებები.

მაგალითად: პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების მიზნით გადამზიდველი თავის შესაგებელში მიუთითებს, რომ ტვირთის დაზიანება გამოწვეული იყო გადაზიდვისათვის გამოყენებული სატრანსპორტო საშუალების ნაკლით (სკ 686-ე მუხლის მე-3 ნაწილი)

სასამართლომ არ უნდა დაადგინოს ეს ფაქტი, რადგან მას არ აქვს მნიშვნელობა გადამზიდველის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებისათვის.

შეიძლება მოვიყვანოთ კიდევ ერთი **მაგალითი:** მოვალე თავის შესაგებელში მიუთითებს, რომ იგი უნდა განთავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან ზიანის მიყენებისათვის, რადგან მხარეები წინასწარ იყვნენ შეთანხმებული ზიანის ანაზღაურებისაგან მისი განთავისუფლების შესახებ.

სასამართლომ არც ეს ფაქტი არ უნდა დაადგინოს, რადგან მას არ აქვს მნიშვნელობა ზიანის ანაზღაურებისაგან მოვალის განთავისუფლები-

სათვის (სკ 395-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ასეთი დასკვნა გავაკეთოთ: **მტკიცების საგანში შედის და, მაშასადამე, უნდა დამტკიცდეს შესაგებელში მითითებული მხოლოდ ისეთი ფაქტები, რომლებსაც აქვთ სამართლებრივი მნიშვნელობა ამ შესაგებლის დასაბუთებისათვის, მისი იურიდიული გამართლებისათვის.**

განსხვავებით საპროცესო შესაგებლისა, მატერიალურ სამართლებრივი შესაგებელი თვითონ **მოპასუხემ უნდა წარმოადგინოს.** მან უნდა მიუთითოს ფაქტებზე, რომლებიც აბრკოლებენ უფლების წარმოშობას, რომლის დაცვასაც მოსარჩელე მოითხოვს, აქარწყლებენ ამ უფლებას, აჩერებენ უფლების იძულებით განხორციელების შესაძლებლობას და ა.შ.[47] თვითონ სასამართლოს არ აქვს უფლება თავისი ინიციატივით წამოაყენოს ფაქტები („აღძრას შესაგებელი"), რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს სარჩელზე უარისთქმა.[48]

გამონაკლისს ამ თვალსაზრისით წარმოადგენენ ფაქტები, რომლებიც მიუთითებენ იმაზე, რომ გარიგება არღვევს კანონით დადგენილ აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს.[49] ცხადია, რომ ასეთ შემთხვევაში სასამართლომ უნდა გამოიჩინოს განსაკუთრებული სიფრთხილე, რათა მისმა ინიციატივამ

---

47 იურიდიულ ლიტერატურაში ზოგჯერ მოპასუხის მატერიალურ სამართლებრივ შესაგებელს აჯგუფებენ იმის მიხედვით, თუ რა შედეგს იწვევს იგი. ამ შედეგების მიხედვით გამოყოფენ უფლებადამაბრკოლებელ, უფლებაგამაქარწყლებელ და უფლებაშემწყვეტ შესაგებელს.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს იმის ნათლად და გარკვევით დადგენას აქვს, თუ არა შესაგებელში მითითებულ ფაქტს სამართლებრივი მნიშვნელობა ამ შესაგებლის დასაბუთებისათვის. არიან თუ არა ეს ფაქტები უფლებადამაბრკოლებელი, უფლებაგამქარწყლებელი და ა.შ. ესაა შედეგი სამართლებრივი შეფასებისა და არა მიზეზი. ამიტომ, სამართლებრივი ნორმის მოშველიების გარეშე შესაგებლების ასეთ კატეგორიებად დაყოფა პრაქტიკულად ნაკლებად დაგვეხმარება.

48 აშკარად არ შეესაბამება კანონს პრაქტიკა, როდესაც საქართველოს სასამართლოებს გამოაქვთ გადაწყვეტილებები სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო, მაშინ როდესაც არც მოპასუხეს და არც საქმეში მონაწილე სხვა პირს ასეთი შესაგებელი არ წამოუყენებია, დაწვრილებით ამის შესახებ იხ. **ჰ.ბოელინგი, ლ.ჭანტურია**. დასახ. ნაშრომი გვ. 170

49 ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ მატერიალური შესაგებლები ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: ა) შესაგებელი, რომელიც შეუძლია წარმოადგინოს მოპასუხემ და ბ) შესაგებელი, რომელიც სასამართლოსაც შეუძლია წარმოადგინოს, როდესაც გარიგება არღვევს კანონისმიერ აკრძალვებს ან დადებულია ქმედუუნარო მხარის მიერ. იხ. **ჰ.ბოელინგი, ლ. ჭანტურია** დასახ. ნაშრომი, გვ. 170

არ გამოიწვიოს დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების დარღვევა, მხარეთა უფლებების შელახვა.

სასამართლოს ინიციატივის ფარგლების განსაზღვრის კრიტერიუმი შეიძლება იყოს ერთი: კანონისმიერი აკრძალვების დარღვევა, გარიგებათა ბათილობა კანონის ძალით და შეცილების გარეშე.

IV. შესაგებლის ფორმა და შინაარსი

საქმის განხილვისათვის წინასწარი მომზადების ეტაპზე, შესაგებლის ფორმა განისაზღვრება კანონით, რომლის მიხედვით იგი უნდა იყოს წერილობითი, ნაბეჭდი სახით, შეესაბამებოდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებულ ფორმის ნიმუშს და ხელმოწერილი უნდა იყოს მოპასუხის (წარმომადგენლის) მიერ (სსკ 201-ე მუხლის მე-9 ნაწილი). სსკ 201-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად: მოპასუხე ვალდებულია სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მიღების შემდეგ, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წარუდგინოს სასამართლოს თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელზე და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ და მოსარჩელისათვის პასუხის (შესაგებლის) და თანდართული დოკუმენტების შესახებ ასლების გაგზავნის დამადასტურებელი დოკუმენტი.

სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 14 დღეს, ხოლო რთული კატეგორიის საქმეებზე – 21 დღეს. გარდა საპატიო მიზეზებისა მოპასუხეს არ აქვს უფლება მოითხოვოს ვადის გაგრძელება.

მოპასუხის წერილობით პასუხში მითითებული უნდა იყოს:

ა) სასამართლოს დასახელება, რომელშიც მას შეაქვს პასუხი;

ბ) მოპასუხის, მისი წარმომადგენლის, თუ პასუხი (შესაგებელი) შეაქვს წარმომადგენელს, მოწმის, სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირის სახელი, გვარი (სახელწოდება, თუ იურიდიული პირია) ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი), თუ აქვთ ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ფაქსი.

აგრეთვე არსებობის შემთხვევაში ალტერნატიული მისამართი,

სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონის ნომერი, მათ შორის, მობილურის, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ფაქსი. პასუხში (შესაგებელში) შესაძლოა მოპასუხემ ან მისმა წარმომადგენელმა ასევე მიუთითოს საკონტაქტო პირის მონაცემები. თუ მოპასუხე იურიდიული პირია ან ინდივიდუალური მეწარმეა – თავად მოპასუხე, ხოლო თუ მას ჰყავს წარმომადგენელი (გარდა კანონიერი წარმომადგენლისა) – მისი წარმომადგენელი ვალდებულია მიუთითოს ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი;

გ) ცნობს თუ არა მოპასუხე სარჩელს და რა ნაწილში;

დ) თუ მოპასუხე სარჩელს არ ცნობს, რა კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებს ემყარება მისი შესაგებელი სარჩელის წინააღმდეგ;

ე) მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მოპასუხის მიერ მითითებულ გარემოებებს;

ვ) რა საპროცესო საშუალებებით აპირებს მოპასუხე სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებს შეგებებული სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფს სარჩელის დასაშვებობას;

ზ) არსებობის შემთხვევაში, მოპასუხის შუამდგომლობები:

ზ.ა) ხომ არ ექნება აცილება სასამართლოს ან მოსამართლის მიმართ და ა. შ.;

ზ.ბ) ვინ შეიძლება ჩაებას პროცესში თანამონაწილედ ან მესამე პირად;

ზ.გ) რომელი მოწმე უნდა იქნეს გამოძახებული სასამართლო სხდომაზე;

ზ.დ) სხვა სახის შუამდგომლობები;

თ) პასუხისათვის დართული დოკუმენტების ნუსხა;

ი) მოპასუხის მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.

მოპასუხის წერილობით პასუხში შესაძლებელია მიეთითოს აგრეთვე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების ნორმები და მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტები, რომლებსაც ემყარება მოპასუხის პოზიცია.

პასუხში (შესაგებელში) სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ

თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით; წინააღმდეგ შემთხვევაში მას ერთმევა უფლება, შეასრულოს ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს.

მოპასუხე ვალდებულია, პასუხს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოპასუხეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს პასუხში. წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხეს ერთმევა უფლება, შემდგომში წარადგინოს მტკიცებულებები. მოპასუხეს უფლება აქვს, მტკიცებულებათა წარდგენისათვის მოითხოვოს გონივრული ვადა.

პასუხს ხელს აწერს მოპასუხე ან მისი წარმომადგენელი.

თუ პასუხი შეაქვს მოპასუხის წარმომადგენელს, მაშინ ამ პასუხს უნდა დაერთოს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

V. შესაგებლის წარუდგენლობის შედეგები

თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით;

წინააღმდეგ შემთხვევაში მას ერთმევა უფლება, შეასრულოს ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს.

გარდა აღნიშნული ვალდებულებებისა, მოპასუხე ასევე ვალდებულია პასუხს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოპასუხეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს პასუხში. წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხეს ერთმევა უფლება, შემდგომში წარადგინოს მტკიცებულებები. ეს შეზღუდვა ძირითადად გამომდინარეობს სსკ 206-ე მუხლიდან, კერძოდ: მხარეები ვალდებული არიან, საქმის მომზადების მიზნით შეასრულონ მოსამართლის მითითებები. არასაპატიო მიზეზით წერილობითი მასალების წარუდგენლობა ან სხვა მოქმედების შეუსრულებლობა ართმევს მხარეს უფლებას, შეასრულოს ასეთი მოქმედება ამ

საქმის არსებითად განხილვის დროს.

ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოსამართლე უფლებამოსილია, მისი მითითებების შეუსრულებლობისათვის მხარე დააჯარიმოს 50 ლარით.

მოპასუხე უფლებამოსილია, მტკიცებულებათა წარდგენისათვის მოითხოვოს გონივრული ვადა.

თუ მოპასუხე სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში არასაპატიო მიზეზით არ წარადგენს შესაგებელს, მოსამართლე, ზეპირი მოსმენის გარეშე მის წინააღმდეგ ანუ მოსარჩელის სასარგებლოდ გამოიტანს **დაუსწრებელ გადაწყვეტილებას (სსკ 232[1] მუხლი)[50].** დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოტანილი იქნება იმ წესების გათვალისწინებით რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის მომწესრიგებელი ნორმებით არის დადგენილი.

მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსამართლე ნიშნავს სხდომას, რის შესახებაც მხარეებს უნდა აცნობონ სსკ-ის 70-ე და 78-ე მუხლების მიხედვით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

ამდენად, **შესაგებელი – ესაა საპროცესო** კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი საშუალება, რომლითაც მოპასუხეს შეუძლია დაიცვას თავი მის წინააღმდეგ აღძრული სარჩელისაგან მაგრამ, შესაგებლის წარდგენა, ისე როგორც სარჩელისაგან თავის დაცვა, **არ წარმოადგენს მოპასუხის ვალდებულებას** იმ თვალსაზრისით, რომ მისი წარმოუდგენლობის შემთხვევაში გამოყენებული იქნება მის მიმართ სახელმწიფო იძულების ღონისძიება. ასეთი ღონისძიების გამოყენება გამორიცხულია. ამიტომ, ჩვენ აქ ვერ ვილაპარაკებთ მოპასუხის ვალდებულებაზე დაიცვას თავი.

საკითხი ეხება მხოლოდ **აუცილებლობას, რაც გამოწვეულია**

---

50 სსკ-ის 206-ე მუხლის არსებობის შემთხვევაში, როდესაც არასაპატიო მიზეზით წერილობითი მასალების წარუდგენლობისას, მხარე მაინც ვეღარ შესძლებდა მთავარ სხდომაზე თავის დაცვას რაც საქმის წაგების ტოლფასს წარმოადგენდა, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა მოსამზადებელ სხდომაზე ზედმეტად მიმაჩნია (გ.ლ).

იმით, რომ თუ მოპასუხე არ წარმოადგენს შესაგებელს ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ მოპასუხე არ დაიცავს თავს – იგი წააგებს პროცესს, სასამართლო მის წინააღმდეგ გამოიტანს მისთვის არახელსაყრელ გადაწყვეტილებას – დაუსწრებელ გადაწყვეტილებას.

მხოლოდ ამ თვალსაზრისით შეიძლება განვიხილოთ სარჩელისაგან თავის დაცვა, როგორც **მოპასუხის მოვალეობა**, რომლის შეუსრულებლობას შეიძლება მოყვეს მისთვის არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანა.

დროის ეკონომიის მიზნით მოპასუხეს შეუძლია პასუხის შეტანისას განაცხადოს, რომ თანახმაა, წერილობითი მასალები მიიღოს ელექტრონული ფოსტით. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია, მოპასუხეს მასალები გადაუგზავნოს ელექტრონული ფოსტით.

§2. შეგებებული სარჩელი და მისი წარმოებაში მიღების წინაპირობები

I. შესაგებელი თუ შეგებებული სარჩელი: დაცვის საშუალებათა არჩევა

პრაქტიკული თვალსაზრისით დაცვის საშუალების არჩევა ანუ რომელი საშუალებით დაიცვას თავი მოპასუხემ – შესაგებლით თუ შეგებებული სარჩელით – ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ ეკონომიკური თვალსაზრისით შეგებებული სარჩელი უფრო ძვირად ღირებული დაცვის საშუალებაა შეგებებული სარჩელი უნდა ჩამოყალიბდეს წერილობითი ფორმით და მისი შინაარსი უნდა პასუხობდეს სსკ 178-ე მუხლის მოთხოვნებს. მოპასუხემ შეგებებული სარჩელისათვის უნდა გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი, შეგებებული სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს იმდენი ასლის ოდენობით, რამდენიც მხარეა პროცესში, და ა.შ.

როგორც ვხედავთ, შეგებებული სარჩელი არამარტო ფულადი სახსრების, არამედ დროის ზედმეტად ხარჯვასთანაცაა დაკავშირებული.

აქედან გამომდინარე კი ცხადია, თუ მოპასუხეს შეუძლია გვერ-

დი აუაროს შეგებებულ სარჩელს და დაიცვას თავი შესაგებლით, მან არ უნდა გამოიყენოს შეგებებული სარჩელი.

მაგრამ არჩევანი ყოველთვის არ არის და მთლიანად დამოკიდებულია მოპასუხეზე. მთავარი და გადამწყვეტია ის, თუ როგორია მოპასუხის მოთხოვნის შინაარსი და მიზანი.

თუ მოპასუხის მოთხოვნა ამოიწურება იმით, რომ სასამართლომ უარი უთხრას მოსარჩელეს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოპასუხეს შეძლია შემოიფარგლოს შესაგებლის წარდგენით. ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს თუ სამართლებრივად მნიშვნელოვან რომელ ფაქტს უდებს საფუძვლად თავის შესაგებელს. ეს შეიძლება იყოს ფაქტი იმის შესახებ, რომ მან უკვე შეასრულა თავისი ვალდებულება მოსარჩელის მიმართ, ან ასეთი შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა, ან მას არ ეკისრება რაიმე ვალდებულება მოსარჩელის მიმართ და ა.შ.

მოპასუხეს შეუძლია თავი დაიცვას შესაგებლით ისეთ ფაქტებზე მითითებით, რომლებიც მართალია არ უარყოფენ სასარჩელო მოთხოვნას, მაგრამ ამ მოთხოვნის დაფარვა მოხდა გაქვითვით, ან კიდევ, გასულია მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა და სხვა.

მაგრამ, თუ მოპასუხის ინტერესი არ შემოიფარგლება მხოლოდ მის წინააღმდეგ აღძრული სასარჩელო მოთხოვნის უარყოფით და პარალელურად იგი თავის დამოუკიდებელი უფლებების დაცვასაც მოითხოვს, მაშინ მან უნდა აღძრას შეგებებული სარჩელი.

მაგალითად: მოსარჩელე მოითხოვს მოპასუხის ბინიდან გამოსახლებას, ვინაიდან იგი არ იხდის ბინის ქირას. მოპასუხემ აღძრა შეგებებული სარჩელი და მოითხოვა სადავო ბინის თანამესაკუთრედ ცნობა. თუ მოპასუხე მართლაც იქნება ცნობილი სასამართლოს მიერ სადავო ბინის თანამესაკუთრედ, მაშინ სასამართლომ უარი უნდა უთხრას მოსარჩელეს სარჩელზე და ამავე გადაწყვეტილებით დააკმაყოფილოს მოპასუხის შეგებებული სარჩელი და ცნოს იგი თანამესაკუთრედ.

II. შეგებებული სარჩელის წარმოებაში მიღების წინაპირობები

შეგებებული სარჩელი – ჩვეულებრივი სარჩელია. შეგებებული მას იმიტომ ეწოდება, რომ იგი აღიძვრის სხვა ძირითადი (თავდაპირველი) სარჩელის გამო, თუმცა, რომ არა ეს ძირითადი სარჩელი, იგი შეიძლება აღძრულიყო როგორც დამოუკიდებელი და ძირითადი სარჩელი.

ამიტომ, შეგებებულ სარჩელს წაეყენება იგივე მოთხოვნები, რაც ნებისმიერ სხვა სარჩელს. კერძოდ, მისი შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს 178-ე მუხლის მოთხოვნებს აგრეთვე უნდა პასუხობდეს 186-ე მუხლის მოთხოვნებს, გარდა ამ მუხლის „ე" პუნქტში მითითებული პირობისა განსჯადობის შესახებ, რადგან შეგებებული სარჩელი შეიძლება აღიძრას იმ სასამართლოში, რომელიც იხილავს თავდაპირველ სარჩელს.

გარდა სარჩელის დასაშვებობისა და სარჩელის მიღების საერთო პირობებისა, რის შესახებაც საუბარი გვქონდა ზემოთ, შეგებებული სარჩელი უნდა პასუხობდეს სპეციალურ (დამატებით) პირობებსაც ჩვენ აქ მოკლედ შევეხებით მხოლოდ ამ სპეციალურ პირობებს.

ა) შეგებებული სარჩელის მოთხოვნა მიმართული უნდა იყოს პირვანდელი სასარჩელო მოთხოვნის ჩასათვლელად. (სსკ 189-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" პუნქტი).

მაგალითად, აღძრულია სარჩელი ზარალის ანაზღაურების შესახებ 1000 ლარის ოდენობით. მოპასუხემ აღძრა შეგებებული სარჩელი და მოითხოვა მოსარჩელისაგან 2000 ლარის გადახდევინება, რაც მას სესხის სახით ჰქონდა გაცემული მოსარჩელისათვის. ამასთან ერთად, მოპასუხემ სთხოვა სასამართლოს ჩაუთვალოს 1000 ლარი ზარალის ანაზღაურებაში, ხოლო დარჩენილი 1000 ლარის გადახდა დააკისროს მოსარჩელეს მის სასარგებლოდ.

ვალდებულების შეწყვეტა ჩათვლით გათვალისწინებულია, სამოქალაქო კოდექსის 442-ე მუხლით.[51]

ბ) შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება მთლიანად ან ნაწილობრივ გამორიცხავს პირვანდელი სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

---

51 იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბ., 2019, გვ. 872.

(სსკ 189-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტი).

მაგალითად, აღძრულია სარჩელი ბინის დამქირავებლის ბინიდან გამოსახლების შესახებ, იმ მოტივით, რომ იგი უარს ამბობს გადაიხადოს ქირა. მოპასუხემ აღძრა შეგებებული სარჩელი, რათა იგი ცნონ სადავო ბინის მესაკუთრედ (ან თანამესაკუთრედ). ცხადია, რომ თუ შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდება და მოპასუხე ცნობილი იქნება ბინის მესაკუთრედ, მაშინ გამოირიცხება პირვანდელი სარჩელის დაკმაყოფილება.

გ) შეგებებულ და პირვანდელ სარჩელებს შორის არის ურთიერთკავშირი და მათი ერთად განხილვის შედეგად აღძრული დავა უფრო სწრაფად და სწორად გადაწყდება. (სსკ 189-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტი)

მაგალითად, ნივთის მიმბარებელმა აღძრა სარჩელი ამ ნივთის შემნახველის მიმართ შესანახად მიბარებული ნივთის უკან დაბრუნების შესახებ. შემნახველმა თავის მხრივ აღძრა შეგებებული სარჩელი შენახვისათვის გაწეული ხარჯების 1000 ლარის ოდენობით ნივთის მიმბარებელზე დაკისრების შესახებ (სკ 776-ე მუხლი). აქ ურთიერთკავშირი პირვანდელ სარჩელსა და შეგებებული სარჩელს შორის აშკარაა.

თუ სასამართლო გამოიტანს განჩინებას შეგებებული სარჩელის უმოძრაოდ დატოვების შესახებ, ან კიდევ, განჩინებას შეგებებული სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ ამ განჩინებებზე შეიძლება შეტანილ იქნეს კერძო საჩივარი.

იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული განჩინებები გამოტანილია დაგვიანებით აღძრული შეგებებული სარჩელების მიმართ (მაგალითად, საქმის მთავარ სხდომაზე განხილვის დროს) – ეს ვერ გახდება საქმის განხილვის, ანუ სასამართლოს მთავარი სხდომის გადადების საბაბი. სასამართლომ უნდა გააგრძელოს საქმის განხილვა და გამოიტანოს გადაწყვეტილება, ხოლო თუ შემოტანილი იყო კერძო საჩივარი, იგი შეიძლება განხილულ იქნეს გასაჩივრებულ სასამართლო გადაწყვეტილებასთან ერთად.

სასამართლოებმა არ უნდა დაუშვან, რომ შეგებებული სარჩელები გამოყენებულ იქნეს საქმის განხილვის გაჭიანურების მიზნით.

რაც შეეხება საქმის მომზადების სტადიაზე, ე. ი. დროულად აღძრულ შეგებებულ სარჩელებზე გამოტანილ განჩინებებზე შემოტანილ კერძო საჩივრებს, ისინი განხილულ უნდა იქნეს კანონით დადგენილი წესით (სსკ 414-420-ე მუხლები).

შეგებებული სარჩელის აღძვრის ერთ-ერთი მთავარი მიზანია მათი ერთად განხილვა და ერთობლივად გადაწყვეტა. მაგრამ შეიძლება ისე მოხდეს, რომ, ყველაფერი გარკვეულია ერთ-ერთის მიმართ, მაგრამ არაა გარკვეული მეორის მიმართ. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს არა ერთობლივი, არამედ გადაწყვეტილება ერთ-ერთის მიმართ რომელიც მზადაა გადაწყვეტილების გამოსატანად (სსკ 245-ე მუხლი), რის შესახებაც მან უნდა მიუთითოს თავის გადაწყვეტილებაში. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ გააუქმა გადაწყვეტილება იმ მოტივით, რომ „სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება მხოლოდ ძირითადი სარჩელის მიმართ და არაფერი თქვა შეგებებულ სარჩელზე, რითაც დაარღვია სსკ 189-ე მუხლი".[52]

III. შეგებებული სარჩელის აღძვრის ვადა

შეგებებული სარჩელების აღძვრისა და სასამართლოების მიერ მათი წარმოებაში მიღების პრაქტიკა სრულ საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა, რომ ასეთი სარჩელები ხშირად გამოყენებულია დაინტერესებული მხარის მიერ საქმის განხილვის გაჭიანურების მიზნით, ხოლო სასამართლოები სათანადოდ არ იკვლევენ ასეთი სარჩელების მიღების წინაპირობებს.[53]

როგორც ჩანს, კანონმდებელი ვარაუდობდა საქმის გაჭიანურების მიზნით შეგებებული სარჩელის გამოყენების შესაძლებლობას და გაითვალისწინა მთელი რიგი წესები, რომელთა დაცვით სასამართლოს შეუძლია შეებრძოლოს ასეთ მცდელობებს.

ერთ-ერთი ასეთი წესი მდგომარეობს შეგებებული სარჩელის აღძვრისათვის **ვადის განსაზღვრაში**. სსკ 188-ე მუხლის თანახმად მოპასუხეს უფლება აქვს მისთვის სარჩელის ასლის ჩაბარებიდან **საქმის ზეპირი განხილვისათვის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე** აღძრას მოსარჩელის მიმართ შეგებებული სარჩელი პირვანდელ სარჩელთან ერთად განსახილველად.

---

52 სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001, №6, გვ. 564

53 დაწვრილებით შეგებებული სარჩელების წარმოებაში მიღების დროს დაშვებულ შეცდომებზე და საქმის განხილვის გაჭიანურების მიზნით მათ გამოყენებაზე იხ. **თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო პროცესის საკითხები საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში, ნაწ. I თბ. 2002. გვ. 34-45.**

ამრიგად, კანონი არ განსაზღვრავს შეგებებული სარჩელის აღძვრისათვის კალენდარულ თარიღს, მაგრამ განსაზღვრავს მისი აღძვრის ვადას გარკვეული მოვლენის დადგომის მეშვეობით, კერძოდ საქმის **„წინასწარი მომზადების დამთავრებამდე“.** წინასწარი მომზადება კი დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან როდესაც სასამართლო გამოიტანს განჩინებას საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვის დანიშვნის შესახებ (სსკ 207-ე მუხლი).

დასაშვებია თუ არა ამის შემდეგ შეგებებული სარჩელის აღძვრა?

სსკ 188-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად „ამ ვადის გაშვების შემდეგ მოპასუხეს შეუძლია აღძრას შგებებული სარჩელი სასამართლო პაექრობის დაწყებამდე, თუ საქმის ზეპირი განხილვისათვის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე შეგებებული სარჩელის წარდგენა ვერ მოხდა საპატიო მიზეზით.“.

ამრიგად, კანონით დადგენილი ვადის გაშვების შემდეგაც, ე.ი. საქმის წინასწარი მომზადების დამთავრების შემდეგაც, მოპასუხეს შეუძლია აღძრას შეგებებული სარჩელი, **თუ დაამტკიცებს, რომ თავის დროზე იგი ვერ აღიძრა საპატიო მიზეზით.** საპატიო მიზეზად მიჩნეულია ა) მხარის ავადმყოფობა, რაც უნდა დადასტურდეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის ხელმოწერილი დოკუმენტით და ბ) ახლო ნათესავის გარდაცვალებით. ასევე სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემობებითაც (სსკ 215 მუხლის მე-3 ნაწილი), მაგალითად, სტიქიური მოვლენებით, ხანგრძლივი მივლინებით და სხვა. არის თუ არა შეგებებული სარჩელის დროულად აღუძვრელობის მიზეზი საპატიო – გადაწყვეტს სასამართლო.

თუ სასამართლომ საპატიო მიზეზის საფუძველზე მიიღო შეგებებული სარჩელი საქმის მომზადების დამთავრების შემდეგ, ე. ი. მას შემდეგ, როცა მიღებულია განჩინება საქმის მთავარ სხდომაზე დანიშვნის შესახებ, ან საქმის მთავარ სხდომაზე განხილვის დროს, სასამართლომ შეიძლება გადადოს ამ საქმის განხილვა სხვა დროისათვის. გადადება შეიძლება მოხდეს იმ მოტივით, რომ საჭიროა შეგებებული სარჩელის განსახილველად მომზადება, მაგრამ თუ თავდაპირველი მოსარჩელე არ მოითხოვს გადადებას და არც სასამართლოს მიაჩნია აუცილებლად – საქმის განხილვა შეიძლება არ გადაიდოს.

საქმის განხილვის გადადება შეიძლება დაკავშირებული იყოს გარკვეულ ხარჯებთან, რომლებიც გამოწვეულია მოწმეთა განმეო-

რებით გამოძახებით, ახალი მოწმეების მოწვევით, ახალი მტკიცებულებების გამოთხოვით, თარჯიმნის განმეორებით მოწვევით და ა. შ. ყველა ამ ხარჯის დაფარვის მოვალეობა დაეკისრება მოპასუხეს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან დაგვიანებით აღძრა შეგებებული სარჩელი.

პაექრობის დაწყების შემდეგ შეგებებული სარჩელის წარდგენა საპატიო მიზეზითაც კი აღარ შეიძლება.

IV. შეგებებული სარჩელის მიღება და განხილვა

თუ არსებობს შეგებებული სარჩელის წარმოებაში მიღების ყველა ზოგადი თუ სპეციალური პირობა და იგი დროულად არის აღძრული, სასამართლო გამოიტანს განჩინებას მისი წარმოებაში მიღებისა და პირვანდელ სარჩელთან ერთად განსახილველად. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქმეში ზოგჯერ არის შეგებებული სარჩელი, მაგრამ საქმეში ზოგჯერ არ არის განჩინება მისი წარმოებაში მიღების შესახებ. პრაქტიკაში ზოგჯერ გვხვდება შემთხვევები, როდესაც სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ან ასეთ დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, მაგრამ საქმეში არ არის სასამართლოს განჩინება ამ შეგებებული სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ და ა.შ. არის შემთხვევეში, როდესაც საქმეში არის შეგებებული სარჩელი, იგი მიღებულია წარმოებაში, მაგრამ გადაწყვეტილება ამ საქმეზე არ შეიცავს რაიმე პასუხს ამ შეგებებული სარჩელის მიმართ.

თუ სასამართლომ გამოიტანა განჩინება შეგებებული სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ, იგი ვალდებულია განიხილოს ეს სარჩელი და გამოიტანოს მის მიმართ, თავდაპირველ სარჩელთან ერთად, მოტივირებული გადაწყვეტილება.[54]

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა შეიცავს პრაქტიკუ-

54 პრაქტიკაში არც ისე იშვიათია შემთხვევა, როდესაც ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გადაწყვეტილებით უარი ეთქვა მოპასუხეს შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე. საკასაციო სასამართლომ არაერთგზის მიუთითა, რომ სასამართლომ უნდა იმსჯელოს ამ სარჩელების საფუძვლიანობის შესახებ და გამოიტანოს მათ მიმართ მოტივირებული გადაწყვეტილება, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნება სსკ 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის საფუძველზე მისი გაუქმების აბსოლუტური საფუძველი. სუსგ სამოქალაქო საქმეებზე. 6.VI. 2002, გვ. 564.

ლი თვალსაზრისით კიდევ ერთ მნიშვნელოვან დებულებას, რომლის თანახმად სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს **ნაწილობრივი გადაწყვეტილება** დაინტერესებული მხარის თხოვნით „როდესაც აღძრული იყო შეგებებული სარჩელი, გარკვეულია და მომზადებულია გადაწყვეტილების გამოსატანად ერთ-ერთი სარჩელი ან შეგებებული სარჩელი." (სსკ 245-ე მუხლი, ნაწ. 2).

ამრიგად, ნაწილობრივი გადაწყვეტილების გამოსატანად, ანუ ამ შემთხვევაში, იმისათვის, რომ სასამართლომ გამოიტანოს არა ერთობლივი, არამედ გადაწყვეტილება ცალკე თავდაპირველი სარჩელის მიმართ და დატოვოს გადაწყვეტილების გარეშე შეგებებული სარჩელი (ან პირიქით), საჭიროა რამდენიმე პირობა: **ერთი** – ფაქტობრივი გარემოებები, რაც საჭიროა თავდაპირველ სარჩელზე გადაწყვეტილების მისაღებად, დადგენილია და უტყუარადაა დამტკიცებული, ხოლო შეგებებული სარჩელის მიმართ სამართლებრივად მნიშვნელოვანი ყველა ფაქტობრივი გარემოება არაა დადგენილი; **მეორე** – შეგებებული სარჩელის თავდაპირველ სარჩელთან ერთად გადაწყვეტის გარეშე დატოვება არ გამოიწვევს მოპასუხის ან მოსარჩელის ინტერესების შელახვას; **მესამე** – არსებობს ერთი მხარის შუამდგომლობა ნაწილობრივი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ და ამისათვის მართლაც არსებობს ყველა პირობა და ბოლოს **მეოთხე** – არ არის იმის საფუძველი ვიფიქროთ, რომ მოგვიანებით გამოტანილი იქნება **ურთიერთგამომრიცხავი გადაწყვეტილება.**

იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს გამოაქვს არა ერთობლივი, არამედ ნაწილობრივი გადაწყვეტილება, მან ამის შესახებ აუცილებლად უნდა მიუთითოს და დაასაბუთოს ნაწილობრივ გადაწყვეტილებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ნაწილობრივი გადაწყვეტილების გამოტანა შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც საპროცესო კანონმდებლობის დანაწესის დარღვევა, რომლის თანახმად პირვანდელი და შეგებებული სარჩელის მიმართ სასამართლოს გამოაქვს ერთობლივი გადაწყვეტილება, გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა (სსკ 189-ე მუხლის მე-3 ნაწ.)[55]

---

55 ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ გააუქმა გადაწყვეტილება იმ მოტივით, რომ „სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება მხოლოდ ძირითადი სარჩელის მიმართ და არაფერი თქვა შეგებებულ სარჩელზე, რითაც დაარღვია სსკ 189-ე მუხლი". სუსგ სამოქალაქო საქმეებზე №10, 2000, გვ. 283.

ამრიგად, შეგებებული სარჩელი განხილული და გადაწყვეტილი უნდა იქნეს თავდაპირველ სარჩელთან ერთად. ეს შეგებებული სარჩელის აღძვრის ერთ-ერთი მიზანიცაა. მის მიმართ ცალკე გადაწყვეტილების გამოტანა დასაშვებია მხოლოდ ზემოთ მითითებული პირობების არსებობისას და თუ ამით ხელი არ შეეშლება მოპასუხის სარჩელისაგან თავდაცვის ინტერესებს.

თავი III. საქმის წინასწარი მომზადება ზეპირი განხილვისათვის

§1. სამოქალაქო საქმის წინასწარი მომზადება როგორც საქმის წარმოების პირველი ეტაპი და მისი მნიშვნელობა

საქმის მომზადების მნიშვნელობა კანონითაა განსაზღვრული: საქმეს სასამართლო ამზადებს „რათა დაჩქარდეს მისი განხილვა და შესაძლებელი გახდეს ერთ სასამართლო სხდომაზე განხილვის დამთავრება და საქმის სწორად გადაწყვეტა“ (სსკ მე-200 მუხლი).

სამოქალაქო საქმეთა სასამართლოში წარმოების პრაქტიკის ანალიზი უტყუარად და ცალსახად გვიდასტურებს ერთ უდავო ჭეშმარიტებას: თუ საქმე არ იყო სათანადოდ მომზადებული სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად ეს გარდაუვლად იწვევს ამ **სხდომების მრავალჯერ გადადებას** ისეთი საპროცესო მოქმედების შესასრულებლად, რომელიც მართალია აუცილებელია, მაგრამ შეიძლებოდა და უნდა შესრულებულიყო სასამართლოს მთავარი სხდომის დანიშვნამდე და ჩატარებამდე.

როგორ ავიცდინოთ ყოველივე ეს თავიდან?

საქართველოს ახალმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსმა დაამკვიდრა სამოქალაქო საქმის წარმოების ისეთი მოდელი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საქმის არამარტო სწორად, არამედ სწრაფად (დროულად) განხილვა და გადაწყვეტა.

ამ მოდელის შესახებ უფრო ნათელი და ზუსტი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ მიზანშეწონილი იქნება საქმის წარმოება სასამართლოში დავყოთ ორ დიდ ეტაპად (სტადიად): **პირველი ეტაპი** – საქმის მომზადება მთავარ სხდომაზე განსახილველად, რომელსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ **მხარეთა წერილობითი შეჯიბრება ან წერილობითი წარმოება** და **მეორე ეტაპი** – საქმის განხილვა სასამართლოს მთავარ სხდომაზე, რომელსაც ასევე შეიძლება ვუწოდოთ **მხარეთა ზეპირი შეჯიბრება.**

საქმის წარმოების თითოეულ ამ ეტაპს აქვს თავისი და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მიზნები და ამოცანები. რომელთა გათვალისწინებით განსაზღვრულია საპროცესო მოქმედებათა წრე, რომელიც ამ ეტაპზე უნდა შესრულდეს.

საპროცესო მოქმედებათა შესრულების გადატანა ერთი ეტაპი-

დან მეორეზე დაუშვებელია, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა და პირობებისა.

მაგალითად, საქმის მთავარ სხდომაზე არსებითად განხილვის დროს მოპასუხე შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე, რათა მან დაიბაროს მოწმე და დაკითხოს იგი, ან კიდევ, გამოითხოვოს წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულება ამა თუ იმ პირისგან და ა.შ.

ასეთი და სხვა ამგვარი შუამდგომლობები შეიძლება დააკმაყოფილოს სასამართლომ მხოლოდ იმ პირობით, თუ მხარეს არ შეეძლო მათი წარმოდგენა, აგრეთვე თუ მათ შესახებ მისთვის ობიექტური მიზეზებით ვერ იქნებოდა ცნობილი და მათი წარმოდგენის საფუძველი წარმოიშვა მთავრ სხდომაზე ან ქონდა საპატიო მიზეზი.

საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას.

ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე (სსკ 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

როგორც ვხედავთ, საპროცესო მოქმედებები, შუამდგომლობები, განცხადებები და სხვა, რომლებიც შეიძლებოდა და უნდა განხორციელებულიყო (აღძრულიყო) საქმის წინასწარი მომზადების სტადიაზე აღარ შეიძლება შესრულდეს ან აღიძრას ამ საქმის არსებითად განხილვის დროს, თუ ამისათვის არ არსებობს ზემოთ დასახელებული მიზეზები რომლის დამტკიცების ტვირთი ეკისრება შუამდგომლობის აღმძვრელ პირს.

საქმის წინასწარი მომზადების თავისებურება შეიძლება იმაშიც მდგომარეობდეს, რომ ამ ეტაპზე სასამართლოს არ აქვს უშუალო შემხებლობა მხარეებთან: სასამართლოს დავალებები მხარეების მიმართ, მხარეთა შუამდგომლობები სასამართლოს მიმართ – ხორციელდება წერილობითი ფორმით (მიმოწერით). გამონაკლისია მოსამზადებელი სხდომა, (რის შესახებაც იხ. ქვემოთ). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პროცესის ამ **ეტაპზე უპირატესად მოქმედებს**

წერილობითი ფორმა.

რა სახის დავალებები შეიძლება მისცეს მოსამართლემ მხარეს?

ეს დავალებები ჩამოთვლილია სსკ 203-ე მუხლში, კერძოდ:

ა) დაავალოს მხარეებს შეავსონ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში განმარტონ მათ მიერ წარმოდგენილი წერილობითი მასალები, წინადადება მისცეს მათ წარმოადგინონ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნივთები თუ დოკუმენტები;

მაგალითად, მოპასუხის წერილობითი შესაგებელი, მოსარჩელის წერილობითი მოსაზრებები ამ შესაგებელზე (202-ე მუხლი), ნივთიერი თუ წერილობითი საბუთები, განცხადებები, შუადგომლობები და ა. შ. შეიძლება არ იყოს სრულყოფილად შედგენილი ან, საერთოდ, არ იყოს წარმოდგენილი. სასამართლოს შეუძლია წინადადება მისცეს მხარეებს შეავსონ ყველა ნაკლოვანებები და ხარვეზები, რისთვისაც დანიშნავს ვადას.

ბ) გამოითხოვოს მხარეთა თხოვნით მტკიცებულებანი სხვადასხვა დაწესებულებებიდან თუ მოქალაქეებისაგან, რომელთა მიღებაც თავად მხარეებმა ვერ შეძლეს;

მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები (103-ე მუხლი). სასამართლოს არ შეუძლია თვითონ, თავისი ინიციატივით, დაიწყოს მტკიცებულებათა შეგროვება. მას შეუძლია გამოითხოვოს მტკიცებულებები ფიზიკური თუ იურიდიული პირებიდან მხოლოდ მხარეთა თხოვნით, რომლებმაც თვითონ, უშუალოდ ეს ვერ შეძლეს ამა თუ იმ მიზეზის გამო (134-ე მუხლის მე-2 ნაწილი 154-ე მუხლის მე2 ნაწილი);

გამონაკლისი შემთხვევა დაშვებულია მაგალითად, სსკ-ის 354-ე მუხლით.

გ) გადაწყვიტოს სასამართლო პროცესში მესამე პირებისა და თანამონაწილეების დაშვების საკითხი;

საქმის დროულად გადაწყვეტის მიზნით სასურველია, რომ დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირებისა და თანამონაწილეების დაშვების საკითხი სასამართლოს წინაშე დაისვას და მომზადების სტადიაზე გადაწყდეს. ამ საკითხების გადაწყვეტის დროს სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს 86-ე და 89-ე მუხლებით.

დ) შეამოწმოს მტკიცებულებები, თუ ეს სასამართლოში საქმის

არსებითად განხილვისას ძნელი იქნება ან გააჭიანურებს საქმის განხილვას;

მომზადების სტადიაზე მოსამართლეს შეუძლია მიიღოს გარკვეული ზომები მტკიცებულებათა შემოწმების მიზნით, კერძოდ დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა, რათა გამოკითხოს მხარეები საქმეში არსებულ მტკიცებულებათა შესახებ, დანიშნოს ადგილზე დათვალიერება, დანიშნოს ექსპერტიზა, დაადგინოს მტკიცებულებათა უზრუნველყოფა და ა.შ.

ე) ჩაატაროს ადგილზე დათვალიერება;

ადგილზე დათვალიერება, როცა იგი მომზადების სტადიაზე ხდება და როცა ამის აუცილებლობა არსებობს (120-ე მუხლი), საშუალებას მისცემს სასამართლოს თავიდან აიცილოს საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადადება და მისი გადაწყვეტის გაჭიანურება. ადგილზე დათვალიერება უნდა განხორციელდეს სსკ 120-126-ე მუხლებით დადგენილი წესით.

ვ) მისცეს სასამართლო დავალებები;

გარკვეული, კანონით გათვალისწინებული პირობების არსებობისას მტკიცებულებათა შეგროვება შეიძლება დაევალოს სხვა რაიონის (ქალაქის) სასამართლოს, რის შესახებაც მოსამართლეს გამოაქვს განჩინება. სასამართლო დავალებების მიცემა ყველაზე უფრო მიზანშეწონილია საქმის მომზადების სტადიაზე, რადგან მთავარ სხდომაზე ასეთი დავალებების მიცემა უეჭველად გამოიწვევს ამ სხდომის გადადებას და საბოლოო ანგარიშში საქმის განხილვის გაჭიანურებას

ზ) მოახდინოს სარჩელის უზრუნველყოფა;

ისე, როგორც ნებისმიერი სხვა შუამდგომლობები, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ შუამდგომლობაც (განცხადება) უნდა აღიძრას სასამართლოს წინაშე საქმის მომზადების სტადიაზე. დაგვიანებით, ე. ი. საქმის მომზადების დამთავრების შემდეგ (207-ე მუხლი) სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ შუამდგომლობა დასაშვებია, თუ იგი არ იყო აღძრული თავის დროზე საპატიო მიზეზით (215-ე მუხლი). სარჩელის უზრუნველყოფა უნდა მოხდეს სსკ 191-199-ე მუხლებით დადგენილი წესით.

თ) დანიშნოს ექსპერტიზა, გადაწყვიტოს ექსპერტის მოწვევის საკითხი;

ექსპერტიზის დანიშვნა საქმის მთავარ სხდომაზე განხილვის დროს ყოველთვის იწვევს ამ საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადადებას და საბოლოო ანგარიშში საქმის განხილვის გაჭიანურებას. ამიტომ, თუ საქმის მასალებიდან გამომდინარე, საჭიროა ექსპერტიზის ჩატარება, იგი უნდა დაინიშნოს მომზადების სტადიაზე. – ექსპერტიზა შეიძლება დაინიშნოს როგორც მხარეთა შუამდგომლობით, ისე სასამართლოს ინიციატივითაც, ოღონდ სსკ 162-176-ე მუხლებით დადგენილი წესით

ი) გადაწყვიტოს სპეციალისტის მოწვევის საკითხი;

სპეციალისტი არაა ექსპერტი და იგი არ წერს დასკვნას. მისი მოსაზრებები, რომლებიც შეიძლება აისახოს ოქმში, არ წარმოადგენს დამოუკიდებელ მტკიცებულებას. მას იწვევს სასამართლო მხოლოდ დახმარების აღმოსაჩენად (სსკ 204-ე მუხლი).

კ) დაიბაროს მოწმეები, აგრეთვე ექსპერტები და სპეციალისტები სასამართლო სხდომის დღისათვის.

მოწმეების, ექსპერტების, სპეციალისტების დაბარება შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მოსამართლე საქმეს მომზადებულად ცნობს და დანიშნავს მთავარ სხდომას (207-ე მუხლი). მათი დაბარება შეიძლება მოხდეს კანონით დადგენილი წესით (140-ე, 168-ე და 204-ე მუხლები). მოწმის დაკითხვა მომზადების სტადიაზე დასაშვებია მხოლოდ სსკ 147-ე, 107-ე და 109-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

სპეციალისტი თავისი საპროცესო მდგომარეობითა და პროცესში მონაწილეობის მიზნებით განსხვავდება ექსპერტისაგან (162-ე მუხლი). ექსპერტი დამოუკიდებლად ატარებს ექსპერტიზას (გამოკვლევას), წერს დასკვნას სასამართლოსათვის საინტერესო საკითხებზე, რომელთა განმარტება სპეციალურ ცოდნას მოითხოვს და ეს დასკვნა წარმოადგენს მტკიცების დამოუკიდებელ საშუალებას (მტკიცებულებას), რომელსაც სასამართლო თავისი შინაგანი რწმენით აფასებს. სპეციალისტი არ ატარებს ექსპერტიზას, არ ადგენს დასკვნას და არ წარმოადგენს მტკიცებულების წყაროს. მისი მიზანია დახმარება აღმოუჩინოს მოსამართლეს ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების სრულყოფილად ჩატარებაში, მაგალითად, ადგ-

თ) დანიშნის ექსპერტიზა, გადაწყვეტოს ექსპერტის მოწვევის საკითხი;

ექსპერტიზის დანიშვნა საქმის მთავარ სხდომაზე განხილვის დროს ყოველთვის ინვევს ამ საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადადებას და საბოლოო ინგარიშში საქმის განხილვის გაჭიანურებას. ამიტომ, თუ საქმის მასალებიდან გამომდინარე, საჭიროა ექსპერტიზის ჩატარება, იგი უნდა დაინიშნოს მომზადების სტადიაზე. – ექსპერტიზა შეიძლება დაინიშნოს როგორც მხარეთა შუამდგომლობით, ისე სასამართლოს ინიციატივითაც, ოღონდ სსკ 162-176-ე მუხლებით დადგენილი წესით

ი) გადაწყვეტოს სპეციალისტის მოწვევის საკითხი;

სპეციალისტი არაა ექსპერტი და იგი არ წერს დასკვნას. მისი მოსაზრებები, რომლებიც შეიძლება აისახოს ოქმში, არ ნარმოადგენს დამოუკიდებელ მტკიცებულებას. მას ინვევს სასამართლო მხოლოდ დაბმარების აღმოსაჩენად (სსკ 204-ე მუხლი).

კ) დაიბაროს მოწმეები, აგრეთვე ექსპერტები და სპეციალისტები სასამართლო სხდომის დღისათვის.

მოწმეების, ექსპერტების, სპეციალისტების დაბარება შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მოსამართლე საქმეს მომზადებულად ცნობს და დანიშნავს მთავარ სხდომას (207-ე მუხლი). მათი დაბარება შეიძლება მოხდეს კანონით დადგენილი წესით (140-ე, 168-ე და 204-ე მუხლები). მოწმის დაკითხვა მომზადების სტადიაზე დასაშვებია მხოლოდ სსკ 147-ე, 107-ე და 109-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

სპეციალისტი თავისი საპროცესო მდგომარეობითა და პროცესში მონაწილეობის მიზნებით განსხვავდება ექსპერტისაგან (162-ე მუხლი). ექსპერტი დამოუკიდებლად აბარებს ექსპერტიზას (გამოკვლევას), წერს დასკვნას სასამართლოსათვის საინტერესო საკითხებზე, რომელთა განმარტება სპეციალურ ცოდნას მოითხოვს და ეს დასკვნა წარმოადგენს მტკიცების დამოუკიდებელ საშუალებას (მტკიცებულებას), რომელსაც სასამართლო თავისი შინაგანი რწმენით აფასებს. სპეციალისტი არ აბარებს ექსპერტიზას, არ აღგენს დასკვნას და არ წარმოადგენს მტკიცებულების წყაროს. მისი მიზანია დაბმარება აღმოიჩინოს მოსამართლეს ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების სრულყოფილად ჩატარებაში, მაგალითად, აღგილზე დათვალიერებისას, მოწმეთა დაკითხვისას, მტკიცებულებათა უზრუნველყოფისას, ექსპერტიზისა და გაანგარიშებების შედგენისას, ექსპერიმენტის ჩატარებისას, ნივთიერ მტკიცებულებათა შენახვასთან დაკავშირებით, შედარებითი გამოკვლევისთვის ნიმუშების აღებისას და ა.შ.

სპეციალისტი ვალდებულია გამოცხადდეს სასამართლოში და მონაწილეობა მიიღოს საპროცესო მოქმედებათა შესრულებაში, გამოიყენოს თავისი სპეციალური ცოდნა მტკიცებულებათა გამოვლენასა და დამაგრებაში, შეადგინოს, თუ ეს საჭიროა, ნახაზები და გეგმები, მოახდინოს ფოტოგადაღებები და ა.შ. იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვა, სპეციალისტად შეიძლება მოწვეული იქნეს პედაგოგი, რომელსაც შეუძლია თავისი რჩევებით დეხმაროს სასამართლოს ასეთი მოწმისაგან გულწრფელი ჩვენების მიღებაში (152-ე მუხლი).

სპეციალისტს ზეპირი კონსულტაციები შეიტანება ოქმში, ხოლო მის მიერ შედგენილი ნახაზები, გაანგარიშებები, ფოტოები და სხვა დაერთვის საქმეს და წარმოადგენს ოქმის განუყოფელ ნაწილს, რომელთა მნიშვნელობა მთლიანად ამოიწურება ოქმის მნიშვნელობით (287-ე მუხლი). სპეციალისტს უფლება აქვს გაეცნოს იმ საპროცესო მოქმედების ოქმს, რომელშიც იგი მონაწილეობდა, წარმოადგინოს თავისი მენიშვნები ოქმის მიმართ, მოუთითოს მის უსწორობაზე თუ უსრულობაზე.

მომზადების ეტაპი უნდა გაიაროს უკლებლივ ყველა საქმემ დამოუკიდებლად იმისა, მარტივია თუ რთული ეს საქმე (სსკ მე-200 მუხლი), ხოლო მომზადების მიზნით უნდა შესრულდეს ყველა საპროცესო მოქმედება, რომელიც გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.

მომზადების ეტაპზე სასამართლომ საბოლოოდ უნდა დააზუსტოს და განსაზღვროს დაქტების წრე, რომლებზეც მხარეები ამყარებენ თავიანთ მოთხოვნებს და შესაგებელს (მტკიცების საგანი), მტკიცებულებები, რომელთა საშუალებით მხარეებს სურთ ამ გარემოებების დამტკიცება, მატერიალურ სამართლებრივი ნორმა, რომლის გამოყენებითაც უნდა მოხდეს დამტკიცებული და დადასტურებული გარემოებების იურიდიული შეფასება (კვალიფიკაცია) და, ბოლოს, ამ საქმეზე გადაწყვეტილების წინასწარი (არასაბოლოო) პროექტი.

ყოველივე ეს შეიძლება ნარმატებით განხორციელდეს თუ

სასამართლო განუხრელად იხელმძღვანელებს იმ ნორმების დანაწესით, რომლებიც საქმის მომზადებას აწესრიგებს.

მოსამართლის დავალებით საქმე სასამართლო განხილვისათვის შეიძლება მოამზადოს მოსამართლის თანაშემწემ. მას შეუძლია მიიღოს მოქალაქეები და მათი განცხადებები, მოამზადოს საქმე სასამართლო სხდომაზე განსახილველად, პროცესის მონაწილეებს შეატყობინოს სასამართლო სხდომის დრო და ადგილი მიიღოს ზომები მხარეთა მორიგებისათვის, მოსამართლის დავალებით მოამზადოს გადაწყვეტილების პროექტი და ა.შ.

§2. საპროცესო მოქმედებები, რომლებიც უნდა შესრულდეს საქმის მომზადების მიზნით

I. მოპასუხისაგან წერილობითი შესაგებლის გამოთხოვა

სარჩელის (განცხადების) წარმოებაში მიღებისთანავე მოპასუხეს უნდა ჩაბარდეს ამ სარჩელის (განცხადების) და მასზე დართული დოკუმენტის ასლები.

საქმის მომზადება არ შეიძლება დაუსრულებლად გაგრძელდეს, იგი უნდა დამთავრდეს გონივრულ ვადაში, ე.ი. ისეთ ვადაში, რომ შესაძლებელი გახდეს ამ საქმის განხილვა და გადაწყვეტა კანონით განსაზღვრულ ვადაში. სწორედ ამ მოსაზრებითაა განპირობებული კანონის დანაწესი იმის შესახებ, რომ საქმის მომზადება იწყება სარჩელისა და მასზე დართული წერილობითი მასალების ასლების მოპასუხისათვის ჩაბარებით, რის შესახებაც სასამართლოს გამოაქვს განჩინება.

განჩინებაში სარჩელისა და მასზე დართული დოკუმენტების ასლების მოპასუხისათვის გადაგზავნის შესახებ მითითებული უნდა იყოს ვადა, რომლის განმავლობაშიაც მოპასუხემ უნდა წარუდგინოს თავისი პასუხი სარჩელზე და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ. თავის შესაგებელს მან უნდა დაურთოს მოსარჩელისათვის პასუხის და თანდართული დოკუმენტების ასლების გაგზავნის დამადასტურებელი დოკუმენტი. როგორც ადრე აღვნიშნეთ, სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 14

დღეს, ხოლო რთული კატეგორიის საქმეებზე – 21 დღეს. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი.

სასამართლოს განჩინება შესაგებლის გამოთხოვის შესახებ უნდა შეიცავდეს გაფრთხილებას იმის შესახებ, რომ მოპასუხის მიერ წერილობითი შესაგებლის სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში მოსამართლემ მის წინააღმდეგ შეიძლება გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ასეთი გაფრთხილება შესაგებლის ფორმაშიც არის დაფიქსირებული.

თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია შესაგებელში მიუთითოს არამხოლოდ მიზეზი, არამედ აგრეთვე დაასაბუთოს კიდეც თუ რატომ არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ გარემოებას. თუ მოპასუხე არ მიუთითებს მიზეზებს და არ დაასაბუთებს, მაშინ მას აღარ ექნება უფლება შემდგომში შეასრულოს ასეთი მოქმედება (სსკ 201 მუხლის მე-4 ნაწილი), რაც ფაქტიურად საქმის წაგების და სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი შეიძლება გახდეს.

II. სარჩელისა და შესაგებლის საფუძველში მითითებული ფაქტების სამართლებრივი მნიშვნელობის შეფასება. მტკიცების საგნის განსაზღვრა

ფაქტების მითითების ტვირთის პრობლემის გაშუქების დროს აღნიშნული იყო, რომ მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს ეს ფაქტები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ფაქტების მითითებას ტვირთი და ფაქტების დამტკიცების ტვირთი მხარეებს ეკისრებათ.

ამასთან დაკავშირებით წამოიჭრება ორი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული საკითხი: **ერთი** – უნდა დამტკიცდეს თუ არა, ანუ, უნდა მიიღოს და შეაგროვოს თუ არა სასამართლომ მტკიცებულებები ყველა იმ ფაქტის დასადასტურებლად, რომლებზეც მიუთითებენ მხარეები და, **მეორე** -შეუძლია თუ არა სასამართლოს მხარეთა გამოკითხვით შეავსოს და დააზუსტოს ფაქტები.

პირველ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი.[56] აქ მოკლედ შეიძლება აღინიშნოს შემდეგი: სასამართლო არამარტო უფლებამოსილია, არამედ ვალდებულიცაა განსაზღვროს აქვთ თუ არა მხარეთა მიერ მითითებულ ფაქტებს მნიშვნელობა სასარჩელო მოთხოვნის, თუ შესაგებლის დასაბუთება-გამართლებისათვის. ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ ამ ფაქტების სამართლებრივი შეფასების შედეგად, თანაც, ასეთი შეფასება უნდა განხორციელდეს სარჩელთან და შესაგებელთან მიმართებაში. თუ ასეთი შეფასების შედეგად აღმოჩნდება, რომ მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებს არ შეუძლიათ დაასაბუთონ (გაამართლონ) მათი მოთხოვნები (შესაგებელი), სასამართლომ არც უნდა შეიტანოს ეს ფაქტები მტკიცების საგანში და, აქედან გამომდინარე, მან არ უნდა მიიღოს და დაურთოს საქმეს, შეამოწმოს და შეაფასოს მტკიცებულებები, რომლებიც მიმართულია ისეთ ფაქტების დადგენისაკენ, რომლებსაც ამ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვთ.

მომზადების სტადიაზე უნდა განისაზღვროს აგრეთვე, იმ ფაქტების წრე, რომლებზეც არ დავობენ მხარეები. უდავო ფაქტები უნდა განისაზღვროს იმდენად, რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა მხარეთა მიერ წარმოდგენილი წერილობითი მასალები. ცხადია, რომ უდავო ფაქტების მიმართაც არ უნდა იქნეს შეკრებილი მტკიცებულებები.

რაც შეეხება **მეორე საკითხს** იმის შესახებ შეუძლია თუ არა სასამართლოს თვითონ, თავისი ინიციატივით შეიტანოს მტკიცების საგანში ფაქტები, რომლებზეც მხარეები არ მიუთითებენ, მაგრამ რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ მნიშვნელობა საქმისათვის, ამ საკითხზე შეიძლება მხოლოდ უარყოფითი პასუხის გაცემა, სასამართლოს ეს არ შეუძლია. წინააღმდეგ შემთხვევაში დაირღვევა დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები.[57]

---

56 იხ. სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, 2014, IX თავის §2. და §4.

57 სამძებრო პრინციპზე აგებული საქართველოს 1964 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლების ანალიზიდან ჩვენ ვაკეთებდით დასკვნას, რომ სასამართლომ თავისი ინიციატივით უნდა შეიტანოს მტკიცების საგანში ისეთი ფაქტები, რომლებზეც მხარეები რატომღაც არ მიუთითებენ, მაგრამ ისინი, კანონის თანახმად, ასაბუთებენ მხარეთა მოთხოვნებს თუ შესაგებელს და, მაშასადამე, აქვთ მნიშვნელობა საქმის არსებითად სწორად გადაწყვეტისათვის. **თ. ლილუაშვილი**. მტკიცების საგანი და ტვირთი საბჭოთა სამოქალაქო პროცესში (რუსულ ენაზე). თბ. 1957, გვ. 12. აგრეთვე, **თ. ლილუაშვილი**, საქართველოს

ამასთან ერთად, მოსამზადებელ სხდომაზე მხარეების გამოკითხვისა და ახსნა-განმარტების მიღების დროს, სასამართლოს შეუძლია ჯერ-ერთი, განუმარტოს მათ, რომ სარჩელის საფუძველში თუ შესაგებელში მითითებულ ფაქტებს სინამდვილეში არ აქვთ სამართლებრივი მნიშვნელობა ამ სარჩელის და შესაგებლის დასაბუთება – გამართლებისათვის და რომ საჭირო იქნება სამართლებრივად მნიშვნელოვან ფაქტებზე მითითება, თუ, რათქმა უნდა, ასეთი ფაქტები არსებობენ და მეორე სასამართლოს შეუძლია დააზუსტოს და დააკონკრეტოს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტები, განუმარტოს მხარეებს რომ მათ შეუძლიათ საქმის მომზადების სტადიაზე შეავსონ ფაქტები თავიანთი მოთხოვნა – შესაგებლის დასაბუთება-გამართლების მიზნით.

ამრიგად, **სამოქალაქო საქმის წარმოების იმ ეტაპზე, რომელსაც საქმის წინასწარი მომზადების ეტაპი ეწოდება, ხდება მხარეთა მიერ მითითებული ფაქტების დაზუსტება, დაკონკრეტება და შევსება, ამ ფაქტების სამართლებრივი მნიშვნელობის განსაზღვრა სასამართლოს მიერ და მტკიცების საგნის განსაზღვრა.**

III. მტკიცებულებათა შეგროვება

მტკიცებულებათა შეგროვება საქმის წინასწარი მომზადების ეტაპის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა. ამიტომ, სასამართლო მოვალეა გამოითხოვოს მხარეებისაგან ყველა ის მტკიცებულება, რომელიც მათ ხელთაა. სასამართლომ უნდა გააფრთხილოს მხარეები, რომ მათ შეუძლიათ წარმოადგინონ მტკიცებულებები სწორედ მომზადების სტადიაზე, და, თუ ასეთი მტკიცებულებები წარმოდგენილი იქნება მთავარ სხდომაზე, საქმის ზეპირი განხილვის დროს, სასამართლო არ მიიღებს ასეთ მტკიცებულებებს, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა მათი დროულად წარმოუდგენლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით.

მტკიცებულებათა შეგროვებისა და შემოწმების კანონით დამკვიდრებული პრინციპების დაცვით, სასამართლოს შეუძლია დაავალოს მხარეებს წარმოადგინონ ყველა ის წერილობითი, თუ

სამოქალაქო საპროცესო სამართალი. 1992, გვ. 119.

საქართველოს დღეს მოქმედი სსკ-ის მიხედვით, რომელიც შეჯიბრებითობის პრინციპზეა აგებული, ეს დაუშვებელია.

ნივთიერი მტკიცებულება, რომელიც მათ გააჩნიათ, გამოითხოვოს მხარეთა თხოვნით მტკიცებულებანი სხვადასვა პირებისაგან, შეამოწმოს წარმოდგენილი მტკიცებულებანი, დანიშნოს ექსპერტიზა ან ჩაატაროს ადგილზე დათვალიერება, თუ ეს საჭიროა და ა.შ.

მომზადების სტადიაზე სასამართლო აფასებს წარმოდგენილ მტკიცებულებებს, მაგრამ ასეთ შეფასებას, ცხადია, აქვს წინასწარი ხასიათი. მათი საბოლოო შეფასება ხდება გადაწყვეტილების გამოტანის დროს – სათათბირო ოთახში.

IV. საქმეში მონაწილე პირთა განსაზღვრა

სასამართლო პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მთავარი სხდომის გადადების მიზეზს ხშირად წარმოადგენს მხარეთა შუამდგომლობა დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირების საქმეში ჩართვის შესახებ, პროცესში თანამონაწილეების ჩართვის შესახებ, არასათანადო მხარის სათანადოთი შეცვლის, სპეციალისტის მოწვევის შესახებ და ა.შ.

ყველა ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილება მართლაც გამოიწვევს სასამართლოს მთავარი სხდომის გადადებას, რადგან სასამართლოს სხდომაზე მოწვეული უნდა იქნეს მესამე პირი, თანამონაწილე (თანამოსარჩელე ან თანამოპასუხე), სპეციალისტი და ა.შ. მაგრამ ყველა ეს საკითხი შეიძლებოდა და უნდა განხილულიყო და გადაწყვეტილიყო ჯერ კიდევ საქმის მომზადების ეტაპზე, მანამ სანამ სასამართლო გამოიტანს განჩინებას სასამართლოს მთავარი სხდომის დანიშვნის შესახებ (სსსკ 207-ე მუხლი).

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ზემოდ დასახელებული საკითხი უნდა გადაწყდეს თვითონ სასამართლოს ინიციატივით. მაგალითად, თანამონაწილეების საქმეში ჩაბმა, როცა იგი სავალდებულოა უნდა განხორციელდეს სასამართლოს ინიციატივით საქმის მომზადების სტადიაზე.

იგივე შეიძლება ითქვას არასათანადო მხარის შეცვლაზეც, მომზადების სტადიაზე სასამართლომ იცის მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი, ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც ამ მოთხოვნას უდევს საფუძვლად, მოპასუხის შესაგებელი და ფაქტები, რომლებიც ამ შესაგებელს უდევს საფუძვლად. ყველა ეს მონაცემი საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ გაირკვეს არის თუ არა მო-

სარჩელე ის პირი, რომელსაც მოთხოვნის უფლება აქვს, ე.ი. არის თუ არა სარჩელის აღმძვრელი პირი სათანადო მოსარჩელე, ან აღძრულია თუ არა სარჩელი იმ პირის წინააღმდეგ რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, ე.ი. სათანადო მოპასუხის წინააღმდეგ.

ამრიგად, მოსამზადებელ სტადიაზე სავსებით შესაძლებელია გაირკვეს და გადაწყდეს არასათანადო მხარის სათანადო მხარით შეცვლის საკითხი. ამ საკითხების გადატანა სასამართლოს მთავარ სხდომაზე უეჭველად გამოიწვევს საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადადებას, ხოლო საბოლოო ანგარიშში – საქმის განხილვის გაჭიანურებას.

პრაქტიკული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ, თუ არასათანადო მხარის შეცვლის საკითხი საპატიო მიზეზის გარეშე არ დაისვა მომზადების სტადიაზე, სასამართლომ არ უნდა გადადოს საქმის განხილვა, არ უნდა გადადოს მთავარი სხდომა, არამედ განიხილოს საქმე ამ არასათანადო მხარის მიმართ და გამოიტანოს შესაბამისი გადაწყვეტილება სარჩლის დაკმაყოფილებაზე უარისთქმის შესახებ იმ მოტივით, რომ მოსარჩელეს არ აქვს აღძრული მოთხოვნის უფლება. ამით არ შეილახება სათანადო მოსარჩელის ინტერესები. მას შეუძლია ნებისმიერ დროს აღძრას სარჩელი თავისი უფლების დასაცავად

V. მოსამზადებელი სხდომა

მოსამზადებელი სხდომა არაა სასამართლოს მთავარი სხდომა, რომელიც შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მას შემდეგ, როცა საქმე მომზადებული იქნება. მოსამზადებელი სხდომა **არაა** აგრეთვე საქმის მომზადების სტადიის **აუცილებელი ელემენტი**: საქმე შეიძლება მომზადებულად ჩაითვალოს, ისე რომ მოსამზადებელი სხდომა შეიძლება არც მოიწვიოს და არც ჩაატაროს სასამართლომ.[58]

მოსამზადებელი სხდომის დანიშვნისათვის რამდენიმე პირობაა საჭირო. მოსამზადებელ სხდომას მოსამართლე დანიშნავს: **პირველი** – თუ წარმოდგენილი წერილობითი მასალები საფუძველს აძლევს მოსამართლეს ივარაუდოს, რომ მხარეებმა შეიძლება

58 სასამართლო პრაქტიკაში მოსამზადებელ სტადიაზე ყოველთვის ტარდება მოსამზადებელი სხდომა, თანაც რამდენჯერმე რაც ზოგ შემთხვევაში გამართლებული არ არის (გ.ლ.).

საქმე მორიგებით დაამთავრონ, **მეორე** – მოსარჩელემ უარი თქვას სარჩელზე, **მესამე** – მოპასუხემ ცნოს სარჩელი და **მეოთხე** – თუ საქმის მომზადების ინტერესები ამას მოითხოვენ.

გარდა ამ ოთხი პირობისა, არის კიდევ ქვემოთ აღნიშნული **მეხუთე პირობა**, როდესაც მოსამართლე ვალდებულია დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა.

პირველ შემთხვევაში, თუ მოსამართლის ვარაუდი გამართლდება და მხარეები მორიგდებიან, (აგრეთვე მედიატორის მეშვეობითაც), სასამართლო გამოიტანს ამ მოსამზადებელ სხდომაზე (ისე, რომ არც კი დანიშნავს მთავარ სხდომას), განჩინებას მხარეთა მორიგების დამტკიცებისა და საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ (სსკ 272-ე და 187[7]-ე მუხლები). აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქმის მომზადების სტადიაზე სასამართლომ უნდა მიიღოს ყველა ზომა, რათა საქმე მორიგებით დაამთავროს.

მეორე და მესამე შემთხვევებში მოსამართლეს შეუძლია დაამთავროს საქმე ისე, რომ არ დანიშნოს მთავარი სხდომა, კერძოდ, თუ მოსარჩელე უარს იტყვის თავის სარჩელზე – სასამართლო გამოიტანს განჩინებას საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ (სსკ 272-ე მუხლის „გ" პუნქტი), ხოლო თუ მოპასუხემ ცნო სარჩელი სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

მეოთხე შემთხვევაში – თუ მოსამართლე თვლის, რომ მხარეები პასიურობენ, დროულად ან საერთოდ არ ასრულებენ შესაბამის საპროცესო მოქმედებებს ან არსებობს სხვა შემთხვევები, რომელიც ხელს უშლის საქმის სათანადოდ მომზადებას, მოსამართლე იძულებულია დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა.

ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია სსკ 206-ე მუხლი, კერძოდ: მხარეები ვალდებული არიან, საქმის მომზადების მიზნით შეასრულონ მოსამართლის მითითებები. არასაპატიო მიზეზით წერილობითი მასალების წარუდგენლობა ან სხვა მოქმედების შეუსრულებლობა ართმევს მხარეს უფლებას, შეასრულოს ასეთი მოქმედება ამ საქმის არსებითად განხილვის დროს. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოსამართლე უფლებამოსილია, მისი მითითებების შეუსრულებლობისათვის მხარე დააჯარიმოს 50 ლარით.

მეხუთე პირობაა, როდესაც სარჩელიდან ან შესაგებლიდან ირკვევა, რომ მხარე უარს ამბობს დავის სასამართლო მედიაციის

გზით განხილვაზე. ასეთ შემთხვევაში მოსამართლე ვალდებულია დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა ან მოაწყოს მხარეებთან სატელეფონო გასაუბრება ან ვიდეოკონფერენცია და გამოარკვიოს უარის მიზეზი და განუმარტოს მხარეს/მხარეებს დავის სასამართლო გზით განხილვის დადებითი მხარეები და სამართლებრივი შედეგები.

მოსამართლე უფლებამოსილია აღნიშნული პირობების არსებობისას მხარეთა წერილობითი მასალების მიღებიდან 5 დღის განმავლობაში დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა ან მხარეებთან სატელეფონო გასაუბრება ან ვიდეოკონფერენცია, რის შესახებაც განჩინების მიღებიდან 3 დღის ვადაში ეცნობებათ მხარეებს.

მოსამართლესთან სატელეფონო გასაუბრება ან ვიდეოკონფერენცია ხორციელდება სატელეფონო ხაზზე მხარეების ან მათი წარმომადგენლების ერთდროულად ჩართვით და ფიქსირდება ოქმის სახით. თუ მხარეები გაფრთხილებული არიან სატელეფონო გასაუბრების ან ვიდეოკონფერენციის შესახებ და ვერ ხერხდება ერთ-ერთ მხარესთან ან მის წარმომადგენელთან დაკავშირება, სასამართლო უფლებამოსილია გაესაუბროს მხოლოდ მეორე მხარეს ან მის წარმომადგენელს.

თუ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილით/201-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სარჩელის/შესაგებლის შედგენისას მოსარჩელემ/მოპასუხემ უარი თქვა დავის სასამართლო მედიაციის გზით განხილვაზე, მოსამართლე **ვალდებულია** მოსამზადებელ სხდომაზე ან მხარეებთან სატელეფონო გასაუბრებისას ანდა ვიდეოკონფერენციის დროს გამოარკვიოს ამ უარის მიზეზი და განუმარტოს მხარეს/მხარეებს დავის სასამართლო მედიაციის გზით განხილვის დადებითი მხარეები და სამართლებრივი შედეგები, მაგრამ თუ მხარეებმა თანხმობა განაცხადეს დავის სასამართლო მედიაციის გზით განხილვაზე, საქმე დაუყოვნებლივ, „მედიაციის შესახებ" კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით გადაეცემა მედიატორს.

თუ არსებობს სასამართლოს მთავარი სხდომის გამართვის წინაპირობები, მოსამართლე უფლებამოსილია მოსამზადებელი სხდომა გადაზარდოს მთავარ სხდომაში.[59]

---

59 მთავარი სხდომა, თავისი არსით სრულიად განსხვავდება მოსამზადებელი სხდომისგან, ხშირ შემთხვევაში მხარის ან მისი წარმომადგენლის მხრიდან სპეციალურ მომზადებასაც კი საჭიროებს, ამიტომ არასწორია როდესაც მოსამართლეს

კანონი არ ითვალისწინებს და არ გულისხმობს მოსამზადებელი სხდომის გადადებას, განმეორებით დანიშვნის ჩატარების შესაძლებლობას. უკიდურეს შემთხვევაში მოსამზადებელი სხდომა შეიძლება მეორედ ან მესამედ დაინიშნოს, თუ აუცილებელია (მაგალითად, მხარეებს მიეცათ მათივე შუამდგომლობით დრო მორიგებისათვის) ან საქმის სათანადოდ მომზადების ინტერესი ამას მოითხოვს.

VI. მოსამზადებელ სტადიაზე საქმის წარმოების შეწყვეტა

მოსამზადებელ სტადიაზე საქმის წარმოება შეიძლება შეწყდეს და მოსამართლემ გამოიტანოს განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. ამ საკითხებს აწესრიგებს სსკ 208-ე და 209-ე მუხლები.

მოსამზადებელ სტადიაზე საქმის წარმოების შეწყვეტის რა საფუძვლები არსებობს?

პირველი – მოსარჩელემ შეიძლება მოსამზადებელ სხდომაზე უარი თქვას სარჩელზე და მოურიგდეს მოპასუხეს.

მეორე – სარჩელზე უარის თქმა და მორიგება შეიძლება მოხდეს მოსამზადებელი სხდომის დანიშვნამდე. ასეთ შემთხვევაში მოსამართლეს შეუძლია დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა, დაიბაროს მხარეები და გამოიტანოს განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. მხარეთა გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს განჩინების მიღებას. მთავარი სხდომის დანიშვნა საჭირო არაა.

მხარეთა მორიგება – ესაა ურთიერთდათმობის გზით მხარეთა შორის დადებული გარიგება, რომელიც ახლებურად განსაზღვრავს მათ უფლებებსა და მოვალეობებს. მორიგების პირობები განისაზღვრება თვით მხარეების მიერ. ცხადია, რომ საქმის ხასიათისა და შინაარსის მიხედვით ეს პირობები განსხვავებული იქნება. მორიგების შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელიც დეტალურად და ამომწურავად განსაზღვრავს მორიგების პირობებს, ე.ი. იმას, თუ რომელმა მხარემ რა მოქმედება უნდა შეასრულოს მეორე მხარის სასარგებლოდ.

მხარეთა თანხმობის გარეშე მიენიჭა უფლებამოსილება მოსამზადებელი სტადია გადაზარდოს მთავარ სხდომაში. 2012 წლის 25 მაისამდე კოდექსით გათვალისწინებული იყო მხარეთა თანხმობა. (გ.ლ)

საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში იგივე სარჩელით სასამართლოში მიმართვა დაუშვებელია (273-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

საქმის მომზადების ეტაპზე (მოსამზადებელ სხდომაზე ან მანამდე) მოპასუხემ შეიძლება ცნოს სარჩელი. ასეთ შემთხვევაში მოსამზადებელ სხდომაზე მოსამართლეს გამოაქვს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. სასამართლოს მთავარი სხდომის დანიშვნა ასეთ შემთხვევაშიაც საჭირო არაა. – თუ სარჩელზე უარის თქმა, მხარეთა მორიგება ან სარჩელის ცნობა მოხდა მომზადების ეტაპის დამთავრების შემდეგ, ე. ი. მას შემდეგ, რაც სასამართლომ გამოიტანა განჩინება მთავარი სხდომის დანიშვნის შესახებ (სსკ 207-ე მუხლი), მაშინ შესაბამისი განჩინებები და გადაწყვეტილება სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს მთავარ სხდომაზე.

მესამე – თუ სასამართლო შეცდომით მიიღებს სარჩელს წარმოებაში, რომელიც სსკ 272 მუხლით არ უნდა მიეღო, მაგალითად იმის გამო, რომ კანონის თანახმად მისი განხილვა სხვა უწყების კომპეტენციაში შედის ან არ არსებობს დავის საგანი და ა.შ. შეუძლია მიიღოს **განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.**

მეოთხე – თუ სასამართლო შეცდომით მიიღებს სარჩელს წარმოებაში, რომელიც სსკ 275 მუხლით არ უნდა მიეღო, მაგალითად იმის გამო, რომ 1) სარჩელი (განცხადება) დაინტერესებული პირის სახელით შეიტანა იმ პირმა, რომელსაც არა აქვს საქმის წარმოების უფლებამოსილება, 2) იმავე ან სხვა სასამართლოს წარმოებაში არის საქმე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით, 3) დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების უკან გამოთხოვის შესახებ და ა.შ. სასამართლო აღნიშნულ შემთხვევებში სარჩელს განუხილველად ტოვებს.

მოცემული წესი არ ეხება სსკ 275-ე მუხლის „გ“ და „დ“ პუნქტებს.

საქმის წარმოების შეწყვეტის მიზნით მოსამართლეს, თუ იგი ამას მიზანშეწონილად ჩათვლის, შეუძლია მოიწვიოს მოსამზადებელი სხდომა, მაგრამ მხარეთა გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს საკითხის გადაწყვეტას.

განჩინებაზე საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა (სსკ 274-ე მუხლი).

VII. სასამართლოს მთავარი სხდომის (საქმის ზეპირი განხილვის) დანიშვნა

სსკ 207-ე მუხლის მიხედვით მხარეთა წერილობითი მასალების მიღებიდან 5 დღის განმავლობაში ნიშნავს სასამართლოს მთავარ სხდომას საქმის არსებითი განხილვისათვის, რის შესახებაც განჩინების მიღებიდან 3 დღის ვადაში ეცნობებათ მხარეებს. საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვის დღეს მოსამართლე ნიშნავს იმ ვარაუდით, რომ მხარეებს შესაძლებლობა ჰქონდეთ, მოემზადონ ზეპირი შეჯიბრებისათვის. ეს წესი მიანიშნებს იმაზე რაც ზევით აღვნიშნეთ, კერძოდ, მოსამზადებელი სხდომა არ არის მოსამზადებელი სტადიის აუცილებელი ელემენტი.

ამდენად, საქმის დროულად და სრულყოფილად მომზადების უზრუნველყოფა შესაძლებელია ორი გარემოების ერთდროულად არსებობისას:

პირველი – სასარჩელო მოთხოვნის შინაარსიდან გამომდინარე, მოსამართლემ სრულად და ზუსტად განსაზღვრა იმ საპროცესო მოქმედებათა წრე, რომელთა შესრულება აუცილებელია ამ საქმის ყოველმხრივი და დროული მომზადებისათვის. ეს **მთლიანად მოსამართლეზე, მის პროფესიულობაზე და უნარზეა დამოკიდებული**.

მეორე – მხარეები სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ასრულებენ მოსამართლის მიერ მითითებულ საპროცესო მოქმედებებს, დროულად აღძრავენ სასამართლოს წინაშე მათთვის საჭირო და სასარგებლო შუამდგომლობებს (მაგალითად, მესამე პირების ჩაბმის შესახებ, მოწმის დაბარების შესახებ, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, მტკიცებულებათა გამოთხოვის შესახებ, ექსპერტის დანიშვნის შესახებ და ა.შ.).

ეს მთლიანად მხარეთა აქტიურობაზეა დამოკიდებული, მათ აქტიურობა კი უზრუნველყოფილია არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანის მუქარით. საქმე ისაა, რომ შეჯიბრებითობის პრინციპის ბატონობის პირობებში მხარეს მტკიცედ უნდა წამდეს, რომ მის უმოქმედობას შეიძლება მოყვეს მისთვის არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანა, კერძოდ, შესაგებლის წარუდგენლობისთვის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა ან მთავარ სხდომაზე გადაწყვეტილების გამოტანით საქმის წაგება.

მაგრამ, სამწუხაროდ ზოგჯერ საქმე მოუმზადებელია და ამის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ მხარეები, უფრო ხშირად კი მოპა-

სუხეები, არ აქტიურობენ, უფრო მეტიც შეგნებულად ცდილობენ საქმის განხილვის გაჭიანურებას.

იბადება კითხვა: **დასაშვებია თუ არა სსკ 207-ე მუხლის მითითების მიუხედავად, მთავარი სხდომის დანიშვნა ისეთ პირობებში, როდესაც საქმე ობიექტურად არაა მომზადებული?**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულია საქმის განხილვის ვადა, მაგრამ კიდეც რომ არ იყოს ასეთი ვადა, საქმე ყველა შემთხვევაში განხილული უნდა იქნეს **გონივრულ ვადაში.**[60]

სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის არსებითად განხილვის დანიშვნის შესახებ, მათ შორის მოსამზადებელი სხდომის მთავარ სხდომად გადაზრდის შემთხვევაშიც, სასამართლოს გამოაქვს განჩინება (სსკ 207-ე მუხლი). ამ განჩინებით მთავრდება საქმის წინასწარი **მომზადების (წერილობითი წარმოების) ეტაპი და იწყება ახალი ეტაპი – საქმის მთავარ სხდომაზე ზეპირი განხილვის ეტაპი.** მთავარი სხდომა უნდა წარიმართოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. მხარეებს და საქმეში მონაწილე სხვა პირებს ეგზავნებათ შეტყობინება სსკ 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

§3. შეტყობინება და დაბარება

I. სასამართლო უწყება, მნიშვნელობა და შინაარსი

სასამართლო უწყება წერილობითი ფორმით შედგენილი სასამართლო და ამასთან ერთად, საჯარო მნიშვნელობის დოკუმენტია, რომლის მეშვეობითაც ხდება მხარის, მესამე პირის, კანონისმიერი ან სახელშეკრულებო წარმომადგენლის, მოწმის, ექსპერტის, სპეციალისტის, თარჯიმნის განსაზღვრულ რიცხვში და დროს სასამართლო პროცესზე მოწვევა. ფაქტიურად, უწყების ჩაბარების მომენტიდან იწყება სასამართლო პროცესი.

უწყების სათანადო წესით ჩაბარება წარმოშობს, ცვლის და წყვეტს სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობებს, ამიტომაც ის იურიდიულ ფაქტად შეიძლება მივიჩნიოთ.

60 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად ყველას აქვს მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ მისი საქმის **„გონივრულ ვადაში“** განხილვისა უფლება.

უწყების მეშვეობით პროცესში მონაწილე პირთა შეტყობინება სავალდებულოა. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა სხვადასხვა არასასურველ, ხოლო ზოგჯერ მძიმე შედეგებს იწვევს. **მაგალითად,** სასამართლო სხდომის ჩატარება და საქმის განხილვა-გადაწყვეტა რომელიმე მხარის **შეტყობინების გარეშე** წარმოადგენს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს (სსკ 394-ე მუხლის „ბ" პუნქტი).

რადგანაც საქართველოში, კონსტიტუციის მე-2 მუხლის თანახმად სახელმწიფო ენა ქართულია, ხოლო აფხაზეთში აფხაზურიც, ამიტომ უწყებაც ამ ენაზე უნდა იყოს დაწერილი, მნიშვნელობა არ აქვს მხარემ იცის თუ არა ქართული ენა.[61]

სასამართლო უწყების შინაარსი კანონით არის გათვალისწინებული, კერძოდ სსკ-ის 72.1 მუხლის თანახმად, უწყება უნდა შეიცავდეს:

ა) სასამართლოს სახელწოდებასა და ზუსტ მისამართს;

ბ) მითითებას გამოცხადების დროისა და ადგილის შესახებ, ხოლო თუ უწყება ეგზავნება წარმომადგენელს, –აგრეთვე მითითებას იმის თაობაზე, რომ იგი ვალდებულია აცნობოს ამის შესახებ მხარეს, რომლის წარმომადგენელიც არის;

გ) საქმის დასახელებას, რომლის გამოც იბარებენ ამა თუ იმ პირს, და მითითებას დავის საგნის შესახებ;

დ) სასამართლოში დასაბარებელი პირის ვინაობას, აგრეთვე იმას, თუ რა სტატუსით არის იგი დაბარებული, და მითითებას არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მის მიმართ გამოსაყენებელი ზომების შესახებ;

ე) წინადადებას მხარეების მიმართ, წარმოადგინონ მათთან არსებული ყველა მტკიცებულება;

ვ) მითითებას იმის თაობაზე, რომ ადრესატის არყოფნისას უწყების მიმღები პირი ვალდებულია პირველი შესაძლებლობისთანავე ჩააბაროს უწყება ადრესატს;

ზ) მითითებას გამოუცხადებლობის შედეგებზე და ვალდებულებას, აცნობოს სასამართლოს გამოუცხადებლობის მიზეზები.

ამრიგად, ეს არის ის ძირითადი რეკვიზიტები რომლებიც უწყებაში უნდა იყოს შეტანილი და პასუხგაცემული.

ზემოთ აღნიშნული „ბ" პუნქტის მიხედვით უწყებაში უნდა მიეთითოს გამოცხადების დრო და ადგილი. იქედან გამომდინარე

61 სუს გადაწყვეტილება საქმეზე №ას-682-648-2013.

რომ უწყებაში სასამართლოს მისამართი ისედაც მითითებული უნდა იყოს ამიტომ მისათითებელ ადგილში სასამართლო პრაქტიკის თანახმად მოიაზრება სასამართლო სხდომის დარბაზის ნომერი, რათა სასამართლო პროცესზე მოწვეულმა/დაბარებულმა პირმა ზუსტად იცოდეს თუ რომელ დარბაზში ჩატარდება სხდომა. თუ მხარის მიმართ, რომელმაც არ იცოდა დარბაზის ნომერი, გამოუცხადებლობის მოტივით გამოტანილი იქნება დაუსწრებელი გადაწყვეტილება იგი გაუქმებული უნდა იქნეს უწყების ჩაუბარებლობის მიზეზით.[62]

ამდენად, უწყების სწორად და სრულად შევსება სასამართლოს მავალეობას წარმოადგენს. ამ მოვალეობის შეუსრულებლობა, თავად სასამართლოს უქმნის პრობლემას. სასამართლო თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან თუ მხარემ თავისი ან ადრესატის მისამართი არასწორად მიუთითა.

უწყებასთან მიმართებაში შეიძლება მონაწილეობდეს სამი პირი, კერძოდ, სასამართლო, რომელიც ადგენს და აგზავნის უწყებას, უწყების მიმღები, რომელიც უნდა გამოცხადდეს სასამართლო პროცესზე და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, უწყების მიმღები, მაგალითად ოჯახის წევრი, რომელმაც უწყება უნდა გადასცეს სასამართლო პროცესზე გამოსაცხადებელ პირს.

უწყებასთან ერთად მოსამართლე მოპასუხეს უგზავნის სარჩელს და თანდართული დოკუმენტების ასლებს. უწყებასთან ერთად მოსამართლე მოსარჩელეს უგზავნის მოპასუხის წერილობითი განცხადების ასლს, თუ ასეთი განცხადება შემოვიდა სასამართლოში უწყების გაგზავნის დროისათვის.

სასამართლოში შემოსული ყველა წერილობითი დოკუმენტის ასლი შეიძლება გაეგზავნოს მხარეებს უწყების გაგზავნამდე, ასევე მას შემდეგ, რაც უწყება გაგზავნილია.

---

62 სუს გადაწყვეტილებების კრებული, 2020 წ. №4 საქმე №ას-1704-2018, გვ. 31-32.

მსგავსი განმარტება არსებობს ბულგარულ იურიდიულ ლიტერატურაშიც, იხ. Ж. Сталев, А. Мингова და სხვები, Българско гражданско процесуално право, София, Сиела, 2012, გვ.

II. სასამართლო უწყების გაგზავნის წესი და ფორმა

სასამართლო უწყება იგზავნება:

1. ტექნიკური საშუალებით (ტელეფონით, ფაქსით და სხვა);
2. ფოსტით;
3. სასამართლო კურიერის მეშვეობით;
4. მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული განსხვავებული წესით.
5. თუ მხარე თანახმაა თავად გადასცეს უწყება შესატყობინებელ ან გამოსაძახებელ პირს.

გაგზავნის ფუნქციას ასრულებს როდესაც უწყება პირს გადაეცემა:

სასამართლოს შენობაშივე;

ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოს მეშვეობით;

უბნის ინსპექტორების მეშვეობით;

გამონაკლის შემთხვევაში, სხვა სასამართლოს მეშვეობით.

სხვა სასამართლოს მეშვეობით ხდება იმ შემთხვევაში თუ სასამართლო სადაც შეტანილი სარჩელი, ვერანაირად ვერ ახერხებს მისგან სხვა ქალაქში ან რაიონში მცხოვრებ პირს დაუკავშირდეს, ამიტომ მას სსკ 73.7[1]-ე მუხლის მიხედვით ადრესატისათვის უწყების ჩაბარება დაავალოს იმ სასამართლოს რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება პირი. დავალების მიმღებ სასამართლოს უწყებას უგზავნის ტექნიკური საშუალების გამოყენებით ან აცნობს უწყების შინაარსს. ამ უწყების შინაარსის გათვალისწინებით სასამართლო გამოწერს უწყებას დავალების მიმცემი სასამართლოს სახელით, რომელიც თავისი სასამართლო მოხელის საშუალებით დროულად აგზავნის უწყებას. თუ დავალების მიმღები სასამართლო ჩათვლის რომ ადრესატი მის ტერიატორიაზე არ ცხოვრობს მაშინ ის დაყოვნებლივ აცნობებს დავალების მიმცემ სასამართლოს.

სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, უწყების გაგზავნის რომელი ფორმა გამოიყენოს და რომელ მისამართზე გააგზავნოს უწყება.

სსკ მე-16.3 მუხლის თანახმად „სარჩელი, რომელიც გამომდინარეობს იურიდიული პირის ფილიალის საქმიანობიდან, სასამართლოს წარედგინება მხოლოდ ფილიალის ადგილმდებარეობის მიხედვით". აქედან გამომდინარე უწყება უნდა გაეგზავნოს როგორც ფილიალს ასევე იურიდიულ პირსაც, მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

III. სასამართლო უწყების ჩაბარების წესი და ფორმა

სასამართლო უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის, სასამართლოსთვის ცნობილი სხვა მისამართის ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესის მიხედვით.

ამდენად, მოპასუხის დასახელება, აგრეთვე მისი მისამართის მითითება არის მოსარჩელის მოვალეობა (სსკ 178-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტი და 178.4-ე მუხლი). მხარეებს ევალებათ აგრეთვე მიუთითონ იმ პირთა მისამართები, რომელთა გამოძახებაზეც შუამდგომლობენ სასამართლოს წინაშე (მაგალითად, მოწმის მისამართზე, 178.4-ე და 140-ე მუხლები).

მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს სასამართლო უწყება უნდა ჩაჰბარდეთ იმ ვარაუდით, რომ მათ ჰქონდეთ სასამართლოში დროულად გამოცხადებისა და საქმის მომზადებისათვის გონივრული ვადა. ასეთი ვადის მიცემისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს საიდან უნდა ჩამოვიდეს მხარე, მისი წარმომადგენელი, რამდენი დრო დასჭირდება იმისათვის, რომ მოემზადოს სასამართლო სხდომაზე გამოსასვლელად, საქმეში დამატებითი მასალების გასაცნობად, რომლებსაც იგი ადრე, ანუ ამ საქმის მომზადების სტადიაზე არ გაცნობია და ა.შ.

თუ უწყების ჩაბარების ფორმების გამოყენების მიუხედავად მოსარჩელეს მის მიერ მითითებულ მისამართზე უწყება ვერ ჩაჰბარდა უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება. ეს წესი მოპასუხის მიმართაც გამოიყენება მის პასუხში (შესაგებელში) მითითებულ მისამართზე უწყების გაგზავნის შემთხვევაში.

უწყების ჩაბარება აუცილებლად უნდა იქნეს დადასტურებული და საქმეში ჩადებული.

დადასტურების რამდენიმე წესი არსებობს, კერძოდ:

1. ტელეფონის შემთხვევაში – ტექნიკური საშუალებით დაბარების შესახებ შედგენილი აქტით;
2. ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის შემთხვევაში – შესაბამისი ტექნიკური საშუალებით მოწოდებული დადასტურებით ან/და ტექნიკური საშუალებით დაბარების შესახებ შედგენილი აქტით.
3. დეპეშით დაბარების შემთხვევაში, სასამართლო უწყების

ჩაბარება დასტურდება დეპეშის ჩაბარების შესახებ მიღებული შეტყობინებით.

4. მხარის, ფოსტის ან კურიერის მიერ ჩაბარებულ უწყების მეორე ეგზამპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, დასაბარებელ პირს უწყება შეიძლება ჩაჰბარდეს სასამართლოს შენობაშიც.

მხარის მიერ ადრესატისათვის უწყების ჩაბარება შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ თავად მხარე არის თანახმა. მხარეს ასევე უფლება აქვს წერილობითი ფორმით სთხოვოს სასამართლოს, რომ უწყების დროულად ჩაბარების მიზნით საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს სასამართლო კურიერის გადაადგილება, მაგალითად, საკუთარი მანქანით, ტაქსით, მატარებლით, თვითფრინავით და ა.შ. და მისი მეშვეობით უწყების ჩაბარება.

პირი, რომელსაც მოსამართლემ დაავალა უწყების მიტანა, ვალდებულია, სასამართლოს დაუბრუნოს მისი მეორე ეგზემპლარი უწყების მიმღების ხელმოწერით (სსკ 73.6-ე მუხლი). ზოგადად, ხელმოწერასთან ერთად, მნიშვნელოვანია თარიღისა და დროის დაფიქსირებაც.

თუ მხარეებს, მათ წარმომადგენლებს, აგრეთვე მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებსა და თარჯიმნებს ამ კოდექსით დადგენილი წესით ვერ ეცნობათ სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი, მოსამართლეს შეუძლია აღნიშნული პირებისათვის სასამართლო უწყების ჩაბარება განჩინებით დაავალოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ანდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საუბნო სამსახურებს (უბნის ინსპექტორებს). ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ანდა უბნის ინსპექტორები ვალდებული არიან, განჩინებით დადგენილ ვადაში უზრუნველყონ მხარეებისათვის, მათი წარმომადგენლებისათვის, აგრეთვე მოწმეებისათვის, ექსპერტებისათვის, სპეციალისტებისა და თარჯიმნებისათვის სასამართლო უწყების ჩაბარება და მისი ჩაბარების, ჩაბარების შეუძლებლობის მიზეზების ან ჩაბარებაზე უარის თქმის შესახებ აცნობონ მოსამართლეს (სსკ 73.7-ე მუხლი).

უწყება **ჩაბარებულად** ჩაითვლება თუ იგი ჩაჰბარდება მხარეს ან წარმომადგენელს ან მხარესთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე

ქმედუნარიან წევრს, მნიშვნელობა არ აქვს ოჯახის წევრი სხვა მისამართზეა ჩაწერილი თუ არა, ასევე არ აქვს მნიშვნელობა ნათესაურ ურთიერთობას, მთავარია მხარის მიერ მითითებულ მისამართზე მხარის ნებართვით ცხოვრობდეს. ამდენად, ნებისმიერი ქმედუნარიანი პირი, რომელიც მხარის მიერ მითითებულ მისამართზე უწყებას ჩაიბარებს, ამ უკანასკნელის ოჯახის წევრია.[63]

მისამართის მითითებისას რისკი იმისა, რომ შეიძლება შეტყობინება არაუფლებამოსილ პირს ჩაბარდეს, ეკისრება მისამართის მიმთითებელს, შესაბამისად, **მასვე ევალება იმ გარემოების სარწმუნო მტკიცებულებებით დადასტურება, რომ შეტყობინების მიმღები არ არის მასთან მცხოვრები ის პირი, ვინც** სამოქალაქო საპროცესო კოდექსის VIII თავის მიზნებისათვის არ შეიძლება მიჩნეულ იქნას ოჯახის წევრად.[64]

თუ უწყება ბარდება მხარის წარმომადგენელს მაშინ იგი ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს თავის მარწმუნებელს – მხარეს.

სსკ 76-ე მუხლის თანახმად მხარეები და მათი წარმომადგენლები მოვალენი არიან აცნობონ სასამართლოს საქმის წარმოების განმავლობაში თავიანთი მისამართის შეცვლის შესახებ. ასეთი ცნობის უქონლობისას უწყება გაიგზავნება სასამართლოსათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და ჩაბარებულად ითვლება, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ ცხოვრობდეს. რადგან უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება, სასამართლოს შეუძლია განიხილოს საქმე და გამოიტანოს იმ მხარისათვის არახელსაყრელი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომელიც არ გამოცხადდა. ის გარემოება, რომ მას უწყება არ ჩაბარებია, რადგან იგი გაიგზავნა ძველ მისამართზე, ხოლო მან კი შეიცვალა მისამართი, ვერ ჩაითვლება გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად და დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად.

დასახელებულ 76-ე მუხლში ლაპარაკია მხარეებზე და მათ წარმომადგენლებზე, მაგრამ ანალოგიით ეს წესი შეიძლება გავავრცელოთ პროცესის სხვა მონაწილეებზეც, კერძოდ, მოწმეებზე.

მხარე, რომლის შუამდგომლობითაც ისინი პროცესში მონაწილეობენ, ვალდებულია აცნობოს სასამართლოს მათ მიერ მისამართის შეცვლის შესახებ (სსკ 140-ე მუხლის მე-3 ნაწილი). წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გადაწყდება მათი ჩვენების (დასკვნის) გარეშე

63 სუს გადაწყვეტილება, საქმე №ას-885-835-2015.

64 სუს გადაწყვეტილებათა კრებული, 2016 წ. №7. საქმე № ას-557-528-2014

საქმეში არსებული მასალებით.

უწყების ჩაბარება შეიძლება მოხდეს სამუშაო ადგილზეც (ორგანიზაციაში). თუ ადრესატი არ იმყოფება, მაშინ უწყება ბარდება კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სხვა სტრუქტურულ ერთეულს. უკანასკნელ შემთხვევაში უწყება შეიძლება ჩაიბაროს სამუშაო ადგილზე მომუშავე უფლებამოსილმა პირმა, მათ შორის დაცვის თანამშრომელმაც. უწყების მიმღებმა პირმა ხელმოწერის გარდა უნდა მიუთითოს თავისი თანამდებობაც. თუ ადრესატი იურიდიული პირის, მნიშვნელობა არ აქვს საქართველოშია მისი იურიდიული მისამართი თუ საზღვარგარეთ, ფილიალში მუშაობს, მაშინ საკმარისია სამუშაო ადგილზე ანუ ფილიალში მიიღოს უწყება.

თუ პირველად გაგზავნისას უწყების ადრესატისათვის ჩაბარება ვერ ხერხდება, მნიშვნელობა არ აქვს სად იგზავნება, სამუშაო თუ საცხოვრებელ აადგილზე, იგი დასაბარებელ პირს ხელმეორედ უნდა გაეგზავნოს იმავე ან სასამართლოსთვის ცნობილ სხვა მისამართზე.

თუ ოჯახის ქმედუნარიანი წევრი ან სამუშაო ადგილის ადმინისტრაცია მონაწილეობს სასამართლო პროცესში, როგორც მხარის მოწინააღმდეგე პირი, მაშინ უწყების ჩაბარების აღნიშნული წესი მათ მიმართ აღარ გამოიყენება.

სპეციფიკურ წესს ითვალისწინებს უწყების ჩაბარება **თანამონაწილეობისას.**

თანამონაწილეებს შეუძლიათ საქმის წარმოება ერთ-ერთ თანამონაწილეს მიანდონ, რაც უნდა გაფორმდეს კანონით დადგენილი წესით (სსკ 87-ე მუხლი). თუ თანამონაწილეებმა გამოიყენეს ეს უფლება და საქმის წარმოება დადგენილი წესით მიანდეს ერთ-ერთ თანამონაწილეს, მაშინ უწყება უნდა გაეგზავნოს მხოლოდ მას. ასეთ შემთხვევაში უწყება ჩაბარებულად ითვლება ყველა თანამონაწილისათვის.

საქმის წარმოების მინდობა ერთ-ერთი თანამონაწილისათვის არ ართმევს უფლებას სხვა თანამონაწილეებს მიიღონ მონაწილეობა საქმის განხილვაში, მაგრამ საქმის განხილვისა თუ საპროცესო მოქმედების შესრულების დროისა და ადგილის შესახებ ამ სხვა თანამონაწილეებს უნდა აცნობოს იმ თანამონაწილემ, რომელსაც მიანდეს საქმის წარმოება.

თუ „მინდობილმა“ თანამონაწილემ არ შეასრულა თავისი მოვალეობა და არ აცნობა სხვა თანამონაწილეებს ამა თუ იმ საპრო-

ცესო მოქმედების შესრულებისა და, მათ შორის, საქმის მთავარ სხდომაზე განხილვის შესახებ, ეს ვერ გახდება გადაწყვეტილების (განჩინების) გაუქმების საფუძველი, რადგან უწყების ჩაბარება „მინდობილი" თანამონაწილისათვის **„ნიშნავს უწყების ჩაბარებას ყველა თანამონაწილისათვის"**.

მაგრამ თუ საქმეში მოსარჩელე, აპელანტი, კასატორი, მოწინააღმდეგე მხარე 10-ზე მეტი პირია და რომელიმე მათგანს არ აქვს მინდობილი სასამართლოში საქმის წარმოება, მაშინ სასამართლო უწყება ეგზავნება სარჩელზე (საჩივარზე, შესაგებელზე) ხელის მომწერ პირველ სამ პირს. უწყების ჩაბარება ერთ-ერთი მათგანისათვის ნიშნავს უწყების ჩაბარებას მის მხარეზე მონაწილე ყველა პირისათვის.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლომ დააზუსტა, რომ იმ შემთხვევაში, როცა საქმეში მოპასუხე 10-ზე მეტი პირია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 77-ე მუხლით დადგენილი, პირველი სამი პირისათვის ჩაბარების წესი, გამოიყენება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მოპასუხეები სასამართლოში წარადგენენ შესაგებელს. აღნიშნული გამომდინარეობს თავად 77-ე მუხლის შინაარსიდან, რომლის თანახმად, სასამართლო უწყება ეგზავნება შესაგებელზე ხელის მომწერ პირველ სამ პირს და არა სარჩელში მითითებულ პირველ სამ მოპასუხეს.[65]

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს საჯარო შეტყობინებით უწყების ჩაბარების რამდენიმე შემთხვევას, კერძოდ, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია, მაგრამ მას უწყება მაინც ვერ ჩაჰბარდა, მიუხედავად იმისა რომ დაცული იყო უწყების ჩაბარების მოთხოვნები, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სასამართლო შეტყობინების საჯარო გავრცელების შესახებ. სსკ 78-ე მუხლის თანახმად, სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით. შენობაში ან ვებ გვერდზე განთავსებიდან ან გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება.

65 სუს გადაწყვეტილებების კრებული, 2018, №11. საქმე №ას-514-487-2015

საჯარო შეტყობინებისა და მისი შედეგის აღნიშნული წესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან ვერ ხერხდება სასამართლო უწყების ჩაბარება.

IV. სასამართლო უწყების ჩაუბარებლობის, მიღებაზე უარის თქმის ან უწყებამიღებული პირის გამოუცხადებლობის შედეგები

საერთოდ, ჯერ კიდევ სარჩელში მოპასუხის, მოწმის ან სხდომაზე მოსაწვევი პირის მისამართის მიუთითებლობა იწვევს სასამართლოს კანცელარიაში სარჩელის რეგისტრაციაზე უარის თქმას (სსკ 183 მუხლის „ბ" ქვეპუნქტი). მაგრამ თუ მოსარჩელემ არასწორად მიუთითა თავისი ან მოპასუხის მისამართი რის გამოც ვერ მოხდა უწყების ჩაბარება, სასამართლო გამოიტანს განჩინებას **სარჩელის განუხილველად დატოვების** შესახებ.

მართლმსაჯულების განხორციელება არ შეიძლება დამოკიდებული იყოს მხარის და, მით უმეტეს, საქმეში მონაწილე ნებისმიერი სხვა პირის **ნება-სურვილზე**. ამიტომ, თუ ადრესატი მართალია იმყოფება ადგილზე, მაგრამ უარს ამბობს უწყების მიღებაზე, რაც უნდა აღინიშნოს ამ უწყების მეორე ეგზემპლარზე, ეს ვერ შეუშლის ხელს მართლმსაჯულების განხორციელებას, სასამართლო სხდომის ჩატარებას, ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულებას. ასეთ შემთხვევაში უწყება ჩაბარებულად ითვლება აქედან გამომდინარე ყველა თავისი შედეგით. ეს შედეგები კი სხვადასხვაა იმის მიხედვით, თუ ვინ არის ადრესატი: მხარე, მოწმე, ექსპერტი, სპეციალისტი თუ თარჯიმანი. მაგალითად, თუ მოპასუხემ უარი თქვა უწყების მიღებაზე და არც მთავარ სხდომაზე გამოცხადდა, მის მიმართ შეიძლება გამოტანილ იქნეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება (სსკ 230-ე მუხლი), მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს და თარჯიმნებს სასამართლო უბრალოდ კი არ **ატყობინებს**, არამედ **იბარებს** სასამართლო სხდომაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ, ხოლო გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაეკისრებათ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა, მაგალითად, მოწმის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში იგი დაჯარიმდება 50

ლარით (სსკ 145-ე მუხლი), ასევე ექსპერტის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მის მიმართ გამოყენებული იქნება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ღონისძიება (სსკ 168-ე მუხლი).

თავი IV. საქმის არსებითად განხილვა სასამართლოს მთავარ სხდომაზე

§1. საქმის მთავარ სხდომაზე განხილვის მნიშვნელობა და წესი

I. სასამართლოს მთავარი სხდომის ცნება და მნიშვნელობა

სასამართლოს სხდომები შეიძლება გაიმართოს როგორც საქმის განხილვასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების გადაწყვეტის მიზნით, ისე მთლიანად საქმის არსებითად განხილვა-გადაწყვეტის მიზნით.

სასამართლოს სხდომას, რომელიც მოწვეულია საქმის არსებითად განხილვა-გადაწყვეტის მიზნით, ეწოდება მთავარი სხდომა, რადგან იგი თავისი მიზნებითა და ჩატარების წესით განსხვავდება სასამართლოს იმ სხდომებისაგან, რომლებიც მოწვეულია მხოლოდ ცალკეული საპროცესო საკითხების გადასაწყვეტად. ასეთ სხდომებს შეიძლება ვუწოდოთ წინასწარი, ან როგორც მას კანონი უწოდებს – **მოსამზადებელი სხდომა**, რადგან ასეთ სხდომებზე განიხილება და წყდება მხოლოდ ცალკეული საკითხები (აცილება, ექსპერტიზის დანიშვნა, ადგილზე დათვალიერება და ა.შ.), რაც წინ უსწრებს მთავარ სხდომას და **ემსახურება მის სწრაფად, დაუბრკოლებლად ჩატარების ინტერესებს.**

სამოქალაქო საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვის მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი არის სამოქალაქო საქმის გადაწყვეტის აუცილებელი და სავალდებულო პირობა. ეს იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქო საქმეზე არ შეიძლება გადაწყვეტილების მიღება ამ საქმის მთავარ სხდომაზე წინასწარი განხილვის გარეშე. ამ მხრივ, ერთად-ერთი გამონაკლისია ისეთი შემთხვევა, როდესაც მოპასუხე ჯერ კიდევ მოსამზადებელ სხდომაზე ცნობს სარჩელს. ასეთ შემთხვევაში, საქმის არსებითად განხილვა საჭირო აღარ არის და სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება მოსამზადებელ სხდომაზე სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

სასამართლოს მთავარი სხდომის მნიშვნელობიდან გამომდინ-

არე სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა საკმაო სისრულით აწესრიგებს არამარტო მისი მოწვევისა და დანიშვნის, არამედ წარმართვის (ჩატარების) წესებს.

აღსანიშნავია, რომ მთავარი სხდომის ჩატარების კანონით დამკვიდრებული წესები შემუშავებულია იმ ვარაუდით, რომ უზრუნველყოს მხარეთა შორის წამოჭრილი დავის სწორი და სამართლიანი გადაწყვეტა, მათი საპროცესო უფლებების რეალიზაციის სრული შესაძლებლობა, პროცესის პრინციპების ამოქმედება, მხარეთა და პროცესის სხვა მონაწილეთა პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობა, აგრეთვე ხელი შეუწყოს თვით სასამართლოსადმი მოქალაქეთა ნდობისა და მოსამართლეთა მიმართ პატივისცემის სულისკვეთების განწყობის ჩამოყალიბებას.

ცხადია, რომ სასამართლოს მთავარი სხდომა შეასრულებს ამ ამოცანას მხოლოდ ერთი პირობით, თუ იგი ჩატარდება კანონმდებლობით დადგენილი წესების ზუსტი დაცვით.

იმ ნორმების ანალიზი, რომლებიც არეგულირებენ მთავარი სხდომის ჩატარების წესებს, საფუძველს გვაძლევს გამოვყოთ რამდენიმე ძირითადი და თანმიმდევრულად მიმდინარე სტადია:

1. მთავარი სხდომის გახსნა და მისი ჩატარების შესაძლებლობების გარკვევა;

2. საქმის არსებითად განხილვის დაწყება. სასამართლოს მოხსენება საქმის არსის შესახებ;

3. მტკიცებულებათა გამოკვლევა;

4. მხარეთა პაექრობა;

5. სხდომის დახურვა და გადაწყვეტილების გამოტანა.

მთავარი სხდომის თითოეული ამ სტადიის გამოყოფას ექნება პრაქტიკული მნიშვნელობა თუ დაცული იქნება ერთი სტადიიდან მეორეზე გადასვლის ლოგიკური თანმიმდევრულობა, თუ ერთი სტადიიდან მეორეზე გადასვლა ხდება მას შემდეგ, როცა უკვე შესრულდა ყველა ის მოქმედება, რომელიც წინა სტადიაზე უნდა შესრულებულიყო. ხომ არ იქნება გამართლებული, რომ ჯერ მოსამართლემ გააკეთოს მოხსენება საქმის არსის შესახებ, წარმოადგინოს მხარეთა მოთხოვნებისა და შესაგებლის ხასიათი და შინაარსი და მხოლოდ ამის შემდეგ გაარკვიოს ვინ გამოცხადდა ან არ გამოცხადდა სხდომაზე და არსებობს თუ არა მხარის ან მისი წარმომადგენლის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია

მოკლედ განვიხილოთ სასამართლო სხდომის ცალკეული სტადიის შინაარსი.

II. მთავარი სხდომის გახსნა და მისი ჩატარების შესაძლებლობის გარკვევა

როგორც აღვნიშნეთ, სასამართლო უწყებაში მთავარი სხდომის მოწვევის შესახებ, მითითებული უნდა იყოს გამოცხადების დროისა და ადგილის შესახებ. უწყებით დანიშნულ დროს სასამართლო შემოდის სხდომის დარბაზში. მაგრამ, თუ რაიმე მიზეზის გამო ეს ვერ ხერხდება, მაშინ მოსამართლემ ან მისმა თანაშემწემ ზუსტად დანიშნულ დროს უნდა აცნობოს მხარეებს და სხდომაზე დასასწრებად მოსულ პირებს თუ რა მიზეზით არ იწყება სხდომა დანიშნულ დროს და რამდენი შეიძლება დააგვიანდეს მის გახსნას.

როდესაც სასამართლო შემოდის სხდომის დარბაზში, იგი **ხსნის სასამართლოს მთავარ სხდომას** და **აცხადებს**, თუ **რომელი საქმე იქნება განხილული ამ სხდომაზე.**

დაბარებულ პირთა გამოცხადების შემოწმება. ჯერ კიდევ სხდომის დაწყების წინ (სანამ სასამართლო შემოვა სხდომის დარბაზში), სხდომის მდივანმა უნდა შეამოწმოს გამოსაძახებელ პირთაგან ვინ გამოცხადდა და არკვევს გამოუცხადებლობის მიზეზებს, კერძოდ ჩაბარდათ თუ არა მათ უწყება და არის თუ არა საქმეში ცნობა იმის შესახებ, ხომ არ არის წარმოდგენილი რაიმე ცნობა (მაგალითად, ავადმყოფობის შესახებ) გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ და სხვა.

ყოველივე ამის შესახებ სხდომის მდივანმა უნდა მოახსენოს სასამართლოს.

გამოცხადებულ პირთა ვინაობის დადგენა. გამოცხადებულთა ვინაობას ადგენს უშუალოდ სასამართლო (მოსამართლე). მხარეთა და პროცესში მონაწილე სხვა პირთა (მოწმის, ექსპერტის, თარჯიმნის, სპეციალისტის) ვინაობის დადგენის მიზნით, თუ ეს აუცილებელია, მოსამართლეს შეუძლია მოითხოვოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. თუ მხარე ან პროცესში მონაწილე პირი არაა საქართველოს მოქალაქე, ან კიდევ მოქალაქეობის არმქონე პირია, მაშინ ასეთი პირის ვინაობა უნდა შემოწმდეს უცხო ქვეყნის მოქალაქის პასპორტით ან სხვა ისეთი დოკუმენტით, რომელიც აღ-

იარებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით.

თუ საქმეში მონაწილეობს წარმომადგენელი, მისი უფლებამოსილებისა და ამ უფლებამოსილებათა ფარგლების დადგენის მიზნით მოსამართლე უნდა გაეცნოს მინდობილობას და შეამოწმოს მისი გაცემის წესი. მხარეთა, მოწმეთა და სხვა დაბარებულ პირთა ვინაობის დადგენის შემდეგ, მოსამართლე, თუ ის შესაძლებლად თვლის სხდომის გაგრძელებას, წინადადებას აძლევს მოწმეებს დატოვონ დარბაზი და დაელოდონ გამოძახებას.

სასამართლოს უფლებამოსილება წესრიგის დაცვის მიზნით გააფრთხილოს პროცესის მონაწილეები და სხდომაზე დამსწრე პირები. სასამართლოს უფლება აქვს საქმეში მონაწილე პირები და დარბაზში მყოფი მოქალაქეები გააფრთხილოს წესრიგის დაცვის აუცილებლობისა და იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც გამოყენებული იქნება წესრიგის დამრღვევის მიმართ (სსკ 210-ე და 212-ე მუხლები).

მხარეთა შუამდგომლობების აღძვრა და განხილვა. მთავარი სხდომის ამ პირველ სტადიაზე ხდება მხარეთა შუამდგომლობების აღძვრა და განხილვა.

შუამდგომლობებთან მიმართებაში გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები:

პირველი – შუამდგომლობები სასამართლოს წარედგინება წერილობითი ფორმით;

მეორე – თუ შუამდგომლობები აღიძვრის სასამართლო სხდომაზე მაშინ ისინი შეიძლება წარედგინოს სასამართლოს ზეპირი ფორმით, რაც შეიტანება სხდომის ოქმში;

მესამე – ერთგვაროვანი შუამდგომლობები შეიძლება ერთად წარედგინოს სასამართლოს (რაც არ გამორიცხავს მათ განცალკევებით წარდგენასაც). ერთგვაროვნად შეიძლება ჩაითვალოს შუამდგომლობები, რომლებიც ერთგვაროვან ფაქტობრივ ან სამართლებრივ საფუძვლებს ემყარება. მაგალითად, შუამდგომლო-ბები, რომლებიც მოსამართლისა და ექსპერტის აცილებას მოითხოვს;

მეოთხე – შუამდგომლობა, დამოუკიდებლად იმისა ზეპირი თუ წერილობითი ფორმითაა იგი წარმოდგენილი – დასაბუთებული (მოტივირებული) უნდა იყოს. მასში ნათლად და გარკვევით უნდა იყოს მითითებული რას მოითხოვს და რის საფუძველზე მოითხოვს. მაგალითად, თუ მხარე თავისი შუამდგომლობით მოითხოვს მოსამართლის აცილებას, მან უნდა მიუთითოს ფაქტობრივი გარემოებები, რომლებსაც კანონი უკავშირებს აცილებას (სსკ 29-ე, 31-ე

მუხლები), თუ მხარე შუამდგომლობს მოწმის გამოძახებაზე და დაკითხვაზე, მან უნდა მიუთითოს თუ რა გარემოების დადასტურება შეუძლია მას (სსკ 140-ე მუხლი) და ა.შ.

მეხუთე – სასამართლომ ყოველთვის მტკიცედ და განუხრელად უნდა ებძროლოს საქმის განხილვა-გადაწყვეტის გაჭიანურების მცდელობას. ამიტომ, მხარის ყოველგვარი შუამდგომლობა, რომელიც მიმართულია საქმის განხილვის გაჭიანურებისაკენ, სასამართლომ არც უნდა განიხილოს. მაგალითად, გადაწყვე-ტილების გამოსატანად სასამართლოს სათათბირო ოთახში გასვლის წინ მხარე შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე, რომ გადადოს საქმის განხილვა, რათა აიყვანოს ადვოკატი (ან მოწმის სახით გამოუძახოს ამა თუ იმ პირს, ან დანიშნოს ექსპერტიზა და ა.შ.). ასეთი შუამდგომლობები აშკარად მიმართულია საქმის განხილვის გაჭიანურებისაკენ, რადგან არანაირი ახალი გარემოებები არ წარმოშობილა და ასეთი შუამდგომლობების დაყენება მას შეეძლო ჯერ კიდევ მომზადების სტადიაზე და, მით უფრო, სასამართლო სხდომის გახსნის სტადიაზე.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე დაუშვებელია რაიმე წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებების წარდგენა, რაიმე შუამდგომლობებისა თუ განცხადებების აღძვრა, სარჩელის შეცვლა ან სასარჩელო მოთხოვნის გადიდება, მოწმის დასახელება და ა.შ. მაგრამ, უკიდურეს შემთხვევაში, ასეთი შუამდგომლობებით თუ განცხადებებით მიმართვა დასაშვებია მთავარი სხდომის გახსნის ეტაპზე (სტადიაზე), ე.ი. სანამ სასამართლო გადავიდოდეს საქმის არსებითად განხილვაზე, სანამ დაიწყებოდეს სხდომის მეორე ეტაპი – საქმის განხილვა (სსკ 217-ე მუხლი).

სასამართლოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ის გარემოებაც, რომ ამ ეტაპზეც, ე.ი. მთავარი სხდომის გახსნის ეტაპზეც, რაიმე ახალი მტკიცებულებები, შუამდგომლობები, განცხადებები, შეიძლება მიიღოს და განიხილოს სასამართლომ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარმოდგენილი და აღძრული არ იყო ამ საქმის მომზადების სტადიაზე საპატიო მიზეზით, რომლის დამტკიცების ტვირთი ეკისრება ახალი მტკიცებულებების წარმომდგენს თუ შუამდგომლობების აღმძვრელ მხარეს; თუ ეს მხარე ვერ დაამტკიცებს საპატიო მიზეზის არსებობას, სასამართლო საერთოდ არ მიიღებს და არ განიხილავს ამ მხარის შუამდგომლობებს.

ახალი მტკიცებულებების მიღებაზე თუ გამოთხოვაზე, ან

განცხადებებისა და შუამდგომლობების მიღებაზე, განხილვაზე ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმას არ შეიძლება მოყვეს საქმის განხილვის გადადება. სასამართლომ უნდა გააგრძელოს საქმის განხილვა და გამოიტანოს გადაწყვეტილება. მხარეს შეუძლია ასეთი უარის თქმის არამართლზომიერების შესახებ მიუთითოს თავის სააპელაციო (საკასაციო) საჩივარში (სსკ 377-ე და 407-ე მუხლები).

საქმის განხილვა შეიძლება გადაიდოს მხოლოდ ერთ შემთხვევაში თუ მხარეს ჰქონდა საპატიო მიზეზი, რის გამოც დროულად ვერ წარმოადგინა ახალი მტკიცებულებები და ვერ აღძრა შესაბამისი შუამდგომლობები.

სსკ-ის 215 მუხლის მე-3 ნაწილი შეიცავს საპატიო მიზეზების სანიმუშო და იმავდროულად არაამომწურავ ჩამონათვალს, რომლებსაც შეეძლოთ დაბრკოლება შეექმნათ მხარისათვის განცხადებებისა და შუამდგომლობების სასამართლოსათვის დროულად წარდგენისათვის. ეს მიზეზებია:

ა) მხარის ავადმყოფობა, რაც უნდა დადასტურდეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის ხელმოწერილი დოკუმენტით და

ბ) ახლო ნათესავის გარდაცვალებით.

აქ მითითებულია აგრეთვე სხვა ობიექტურ გარემოებებზეც, რომლებსაც შეიძლება მივაკუთვნოთ ცნობილი სტიქიური მოვლენები, ხანგრძლივი მივლინება, სასამართლოს რეორგანიზაცია და სხვა, რომლებსაც შეეძლოთ ხელი შეეშალათ მხარისათვის დროულად წარედგინა სასამართლოში შუამდგომლობები, მტკიცებულებები, განცხადებები.

მხარის შუამდგომლობის დაკმაყოფილებამ შეიძლება საჭირო გახადოს სხდომის გადადება, რის შესახებაც საუბარი გვექნება ამ თავის მეორე პარაგრაფში.

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ზემოთ აღნიშნული წესის სრულად დაცვა აღარ არის სავალდებულო თუ მოსამართლე მთავარი სხდომის გამართვის წინაპირობების არსებობისას მოსამზადებელ სხდომას გადაზარდის მთავარ სხდომად. რადგანაც მთავარი სხდომა სრულიად განსხვავებული სტადიაა, სასურველია მოსამართლემ მოსამზადებელი სხდომის მთავარ სხდომად გადაზრდის შესახებ განჩინება გამოიტანოს.

III. საქმის არსებითად განხილვის დაწყება. მოსამართლის მოხსენება საქმის არსის შესახებ

მას შემდეგ, რაც განხილული იქნება მხარეთა და მათ წარმომადგენელთა ყველა შუამდგომლობა (განცხადება, მოსაზრება) და სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ არ არსებობს საქმის განხილვის გადადების საფუძველი, **დაიწყება მეორე სტადია (ეტაპი) – საქმის არსებითი** განხილვა.

პირველ რიგში, მოსამართლე აფრთხილებს საქმეში მონაწილე პირებს და დარბაზში მყოფ ყველა მოქალაქეს წესრიგის დაცვის აუცილებლობისა და იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც გამოყენებული იქნება წესრიგის დამრღვევის მიმართ (სსკ 212-ე მუხლი).

სსკ 217-ე მუხლის თანახმად „საქმის არსებითად განხილვის დაწყებისას პირველად სასამართლო ეკითხება მხარეებს, ხომ არ სურთ საქმის მორიგებით დამთავრება, რის შემდეგაც მოსამართლე მოახსენებს სასამართლოს საქმის შესახებ. მხარეებისგან მორიგებაზე უარის თქმის შემთხვევაში მოსამართლემ საქმის მასალებზე დაყრდნობით მოკლედ, ნათლად და ყველასათვის გასაგებად უნდა ჩამოაყალიბოს საქმის არსი. ამისათვის მან თავის მოხსენებაში ზუსტად უნდა უჩვენოს:

ა) სარჩელსა და შესაგებელში მითითებული ძირითადი გარემოებები,

ბ) ფაქტები, რომლებიც საფუძვლად დაედო მოსარჩელის მოთხოვნას,

გ) ფაქტები, რომლებიც საფუძვლად დაედო მოპასუხის შესაგებელს,

დ) ფაქტები, რომლებზედაც მხარეები არ დავობენ, და ის ფაქტებიც, რომლებიც სადავოა, აგრეთვე

ე) მხარეების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც დაერთვის საქმეს.

მოსამართლე საქმის მოხსენების შემდეგ ეკითხება მხარეებს, ხომ არ სურთ რაიმეს დამატება ან/და დაზუსტება.

სასამართლოს სრული უფლება აქვს არ გამოითხოვოს, არ მიიღოს, ხოლო თუ შეცდომით მიიღო საქმიდან ამოიღოს „მტკიცებულებები, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ“ (სსკ 104-ე მუხლი).

საქმის განხილვის დაწყების ასეთ წესს აქვს ღრმა აზრი და

დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა. საქმე ისაა, რომ გადაწყვეტილებას საქმეზე იღებს სასამართლო. ამასთან, იგი შებოჭილია მხარეთა მოთხოვნის (შესაგებლის) ფარგლებით. აქედან გამომდინარე, მხარეთა მოთხოვნების აზრისა და შინაარსის სწორად გაგებას სასამართლოს მხრივ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მხარეთა სადავო უფლების დაცვისათვის. მხარეებს, რომლებმაც მოისმინეს სასამართლოს მოხსენება, შეუძლიათ დააზუსტონ ან შესწორება შეიტანონ მოსამართლის მოხსენების იმ ნაწილში, რომელიც მათი მოთხოვნის (შესაგებლის) ხასიათს და ფარგლებს შეეხება, თუ რა თქმა უნდა მოსამართლემ რაიმე სწორად ვერ გაიგო.

მოსამართლის მოხსენების შემდეგ პირველად სასამართლო მოისმენს მოსარჩელისა და მის მხარეზე მონაწილე მესამე პირის ახსნა-განმარტებებს, ხოლო შემდეგ – მოპასუხისა და მის მხარეზე მონაწილე მესამე პირის ახსნა-განმარტებებს (სსკ 207.2-ე მუხლი).

ახსნა-განმარტების წინ მოსამართლემ უნდა განუმარტოს მხარეებს რომ მათ არ გაიმეორონ ის, რაც უკვე ითქვა მოსამართლის მიერ, არამედ აღნიშნონ თუ რაიმე აქვთ დასამატებელი ან დასაზუსტებელი და რამდენად სწორად იყო გაგებული და გადმოცემული მათი მოთხოვნისა და შესაგებლის არსი და შინაარსი და, თუ ეს საჭიროა, კორეკტირება გაუკეთონ მოსამართლის მოხსენებას, მოითხოვონ მისი დაზუსტება. გარდა ამისა, საქმის დროულად და სწორად განხილვის მიზნით მოსამართლეს შეუძლია მხარეს სიტყვისათვის ან/და საქმის განხილვის თითოეული ეტაპისათვის განუსაზღვროს დრო. განსაკუთრებულ შემთხვევაში, საქმის სირთულიდან გამომდინარე, სასამართლო უფლებამოსილია, მხარეს განუსაზღვროს დამატებითი დრო, რომელიც არ გამოიწვევს საქმის განხილვის გაჭიანურებას.

მხარეთა ახსნა-განმარტება, მოწმის ჩვენებისაგან განსხვავებით, ორი ნაწილისაგან შედგება. **პირველი** – ესაა მხარის მოსაზრება, მისი შეხედულება საქმის არსზე მთლიანად, რომელიც ემყარება საქმეში არსებულ მასალებს და კანონს. **მეორე** – ესაა მხარის ჩვენება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ გარემოების შესახებ, რომლის უშუალო მხილველი (მოწმე) თვითონაა, ან რომლის შესახებ ცნობები მას გააჩნია. ამ თვალსაზრისით მხარის ახსნა-განმარტება ძალიან ჰგავს მოწმის ჩვენებას და ამიტომ იგი, როგორც მტკიცების დამოუკიდებელი საშუალების წყარო, შეუცლელია, მის ახსნა-განმარტებას ამ ნაწილში ვერ შეცვლის ად-

ვოკატიც (127-ე მუხლი).

მოსარჩელემ საგანგებო ყურადღება უნდა დაუთმოს იმ გარემოებების დადასტურებას, რომლებსაც ემყარება ან უნდა მიუთითოს, თუ რომელი ფაქტების შესახებ არ დავობს, ან რომელ ფაქტებს აღიარებს, ხოლო რომელსაც არ აღიარებს, რით ადასტურებს მას. მის მხარეზე მონაწილე მესამე პირმა ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი მოსარჩელეს პროცესის მოგებაში, რისთვისაც მან უნდა მიუთითოს და დაადასტუროს თავისი პოზიცია მტკიცებულებათა მოშველიებით.

იგივე წესით უნდა ჩამოაყალიბოს თავისი ახსნა-განმარტება მოპასუხემაც. თუ მან წერილობით წარუდგინა სასამართლოს თავისი შესაგებელი, მაშინ რაც შეიძლება მოკლედ უნდა შეეხოს ამ შესაგებელს იმ თვალსაზრისით, თუ რაიმე სწორად ვერ გაიგო მოსამართლემ, აგრეთვე მიუთითოს რომელი ფაქტების შესახებ არ დავობს, რომელი ფაქტები შეიძლება ჩაითვალოს დამტკიცებულად და რომელი არა და ა.შ.

მხარეებს შეუძლიათ მთავარ სხდომაზე ახსნა-განმარტების მიცემის დროს წამოაყენონ ახალი მოსაზრებები და მიუთითონ ახალ გარემოებებზე. ახალი იქნება ისეთი ფაქტობრივი გარემოებები და მოსაზრებები, რომლებიც ადრე არ იყო გამოთქმული და წამოყენებული.

მაგალითად: ვალდებულების შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების მიზნით მოპასუხე ბ-ანი მიუთითებდა, რომ ეს ვალდებულება შეწყვეტილია გაქვითვით. მოსარჩელე ა-ნიმ მთავარ სხდომაზე მიუთითა ახალ გარემოებაზე იმის შესახებ, რომ მხარეთა შეთანხმებით ვალდებულების შეწყვეტა გაქვითვით წინასწარ იყო გამორიცხული (სკ 447-ე მუხლი).

ეს არის ახალი გარემოება, რომელიც არ იყო ცნობილი მანამდე, საქმის მომზადების სტადიაზე. ამიტომ, იმისათვის, რომ შეამოწმოს მისი ნამდვილობა სასამართლომ ჯერ უნდა გაარკვიოს, თუ რატომ არ იქნა წამოყენებული ეს გარემოება მომზადების სტადიაზე. საქმე ისაა, რომ სსკ 219-ე მუხლის თანახმად „სასამართლო გაითვალისწინებს ამ ახალ გარემოებებს და მტკიცებულებებს, თუ ცნობს, რომ მათ შესახებ თავის დროზე არ იყო განცხადებული საპატიო მიზეზით“.

სასამართლო უფლებამოსილია მხარეებს დაუსვას შეკითხვა,

რითაც შეიძლება მაგალითად დაზუსტდეს თუ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვან რომელ გარემოებებზე არ დავობენ ისინი და რომელი ფაქტობრივი გარემოება ითვლება სადავოდ, აგრეთვე, საქმეში არსებული რომელი მტკიცებულება შეიძლება ჩაითვალოს სარწმუნოდ და რომელი არა და ა.შ.

უაღრესად მნიშვნელოვანია ზუსტად და განუხრელად იქნეს დაცული შეკითხვების მიცემის რიგითობა და წესი. თითოეულ მხარეს შეუძლია შეკითხვა მისცეს მეორე მხარეს (მის წარმომადგენელს), მაგრამ მხარის მიერ მიცემული შეკითხვა შეუძლია მოხსნას სასამართლომ თუ ეს შეკითხვა უადგილო ან შეუფერებელია და არ ემსახურება საქმის გარემოების გამორკვევას. შეკითხვის მოხსნის საკითხი შეუძლია დააყენოს მხარემ, მაგრამ მოსამართლეს ეს შეუძლია თავისი ინიციატივითაც. ცხადია, რომ მოსამართლეს შეუძლია შეკითხვა მისცეს მხარეს ნებისმიერ დროს, ოღონდ მას შემდეგ, როცა მხარე დაამთავრებს თავისუფალი თხრობით თავისი ახსნა-განმარტების გადმოცემას.

მხარეთა გამოსვლის შემდეგ სიტყვა ეძლევა მათ წარმომადგენლებს, პირველად სასამართლო მოისმენს მოსარჩელის წარმომადგენლის გამოსვლას, ხოლო შემდეგ მოპასუხის წარმომადგენლის გამოსვლას. ამ წარმომადგენელთა გამოსვლა უნდა ეფუძნებოდეს საქმის მასალებს და მხარეთა მიერ ზეპირად გაკეთებულ ახსნა-განმარტებებს. მათ გამოსვლაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქმის სამართლებრივი ანალიზი, იმ ფაქტების იურიდიული შეფასება, რომლებიც მათი აზრით დადასტურებულია საქმეში არსებული მტკიცებულებებით. საქმის მასალებისა და კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე წარმომადგენლის (ადვოკატის) მიერ წარმოთქმული მოსაზრება არის მისი დასკვნა მთლიანად საქმის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესახებ.

IV. მტკიცებულებათა გამოკვლევა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მხარეთა ახსნა-განმარტება წარმოადგენს ჩვენი საპროცესო კანონმდებლობით მტკიცებულებას, მტკიცების ერთ-ერთ დამოუკიდებელ საშუალებას.

აქედან გამომდინარე, მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენით ფაქტიურად იწყება მტკიცებულებათა გამოკვლევა.

საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა შემოწმება მათი

უტყუარობის თუ სარწმუნოობის თვალსაზრისით სასამართლოს მთავარ სხდომაზე წარმოებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი შემოწმება არ მომხდარა ამ საქმის მომზადების სტადიაზე.

მტკიცებულებათა შემოწმების მიზნით სასამართლომ უშუალოდ უნდა მოუსმინოს მხარეებს, მესამე პირებს, თანამონაწილეებს, შეადაროს მათი ახსნა-განმარტებები ერთმანეთს; სასამართლომ უშუალოდ უნდა დაკითხოს და მოუსმინოს მოწმეებს კანონით დადგენილი წესით. დაათვალიეროს ნივთიერი მტკიცებულებები და მოახდინოს ადგილზე დათვალიერება, თუ ეს არ გაუკეთებია საქმის მომზადების სტადიაზე ობიექტური ან სხვა რაიმე საპატიო მიზეზის გამო. საქმის არსებითად განხილვის სტადიაზე შეიძლება წამოიჭრას ისეთი გარემოების დადგენის აუცილებლობა, რომელიც სპეციალურ ცოდნას მოითხოვს. ეს უკიდურესად არასასურველი შემთხვევაა, მაგრამ სხვა გზა არ არსებობს – სასამართლომ უნდა დანიშნოს ექსპერტიზა და, ცხადია, უნდა გადადოს საქმის განხილვა. ასეთ შემთხვევაში საქმის განხილვის გადადება და ექსპერტიზის დანიშვნა გამართლებულია იმით, რომ ამ საქმის წინასწარი მომზადების სტადიაზე არ იყო ცნობილი გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების შესახებ და მხარემ საპატიო მიზეზით ვერ წამოაყენა ეს გარემოება ამ სტადიაზე.

მტკიცებულებათა გამოკვლევის (შემოწმების) მიზნით სასამართლომ უნდა მოახდინოს ყველა შეკრებილი მასალის, საქმეში არსებული ყველა მტკიცებულების შედარებითი გამოკვლევა. თუ ასეთი შედარების შედეგად აღმოჩნდება, რომ საქმეში არსებობს ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცებულებები, სასამართლომ უნდა აღმოფხვრას ეს წინააღმდეგობა, რისთვისაც შეიძლება საჭირო გახდეს მხარეებისაგან განმეორებით ახსნა-განმარტების მიღება, მოწმეთა განმეორებით დაკითხვა, ექსპერტიზის, მათ შორის განმეორებითი და დამატებითი ექსპერტიზის დანიშვნა და ა.შ.

მტკიცებულებები, რომელთა განხილვა და შემოწმება მხარეებმა არ მოითხოვეს და მოსამართლემ თავისი ინიციატივით არ განახორციელა, გამოკვლეულად ითვლება.

მას შემდეგ, რაც გამოკვლეული იქნება ყველა წარმოდგენილი მტკიცებულება, სასამართლო კვლავ უნდა შეეკითხოს მხარეებს და პროცესის სხვა მონაწილეებს (თანამონაწილეებს, მესამე პირებს), ხომ არ სურთ რაიმე დაუმატონ საქმის მასალებს. თუ მათ არაფერი აქვთ დასამატებელი სასამართლო გადადის მხარეთა პაექრობაზე.

V. მხარეთა პაექრობა. სასამართლოს ხელმძღვანელობა მხარეთა შეჯიბრებისადმი

მხარეთა პაექრობა მთავარ სხდომაზე საქმის განხილვის ერთ-ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი ნაწილია.

პაექრობაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხარეებს, თანამონაწილეებს, მესამე პირებს და წარმომადგენლებს: მოპაექრეები საქმეში არსებული და განხილული მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს სასამართლო განხილვის ყველაზე მთავარ და ძირითად საკითხზე: სარჩელის (შესაგებლის) საფუძვლიანობის თუ უსაფუძვლობის, დასაბუთებულობისა თუ დაუსაბუთებლობის შესახებ. მოპაექრე თავის სიტყვაში უნდა შეეცადოს მიუთითოს გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოება (ფაქტი) შეიძლება ჩაითვალოს დადასტურებულად, რომელი – ვერ დასტურდება და ვის ეკისრებოდა მისი დამტკიცების ტვირთი და ა.შ. მოპაექრეს შეუძლია გამოთქვას თავისი მოსაზრება ფაქტების იურიდიული შეფასების შესახებ და მიუთითოს კანონზე, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს.

სსკ 227-ე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს პაექრობაში მონაწილეთა რიგითობას. კერძოდ, პირველად გამოვლენ მოსარჩელე და მისი წარმომადგენელი, შემდეგ მოპასუხე და მისი წარმომადგენელი. შემდეგ გამოდის მესამე პირი დამოუკიდებელი მოთხოვნით და მისი წარმომადგენელი. რაც შეეხება მესამე პირებს დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, ისინი გამოდიან იმ მხარის შემდეგ, რომლის მხარეზეც მონაწილეობს პროცესში.

მას შემდეგ, რაც პაექრობის ყველა მონაწილე წარმოთქვამს სიტყვას, მათ შეუძლიათ ხელმეორედ გამოვიდნენ წარმოთქმულ სიტყვასთან დაკავშირებით. სსკ 228-ე მუხლის თანახმად ასეთ ხელმეორედ გამოსვლას **რეპლიკა ეწოდება**, რაც განპირობებულია პაექრობაში მონაწილე პირისათვის პასუხის გაცემის აუცილებლობით. რეპლიკის, ანუ საპასუხო გამოსვლის რიგითობა უნდა შეესაბამებოდეს პაექრობაში მონაწილეობის რიგითობას, ოღონდ იმის გათვალისწინებით, რომ უკანასკნელი რეპლიკის უფლება ყოველთვის აქვს მოპასუხეს და მის წარმომადგენელს. უნდა აღინიშნოს, რომ **რეპლიკა** – ესაა უფლება, რომლითაც შეუძლიათ ისარგებლონ, მაგრამ შეუძლიათ უარი თქვან მასზე.

მხარეთა შეჯიბრებას, ისე როგორც საქმის წარმოებას მთლი-

ანად ხელმძღვანელობს სასამართლო. ასეთი ხელმძღვანელობისათვის სასამართლოს აქვს ერთი დიდი ორიენტირი – სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, რომელიც ამომწურავად განსაზღვრავს საქმის წარმოების წესს და მათ შორის მხარეთა ზეპირ შეჯიბრებას.

სასამართლომ კარგად უნდა გააცნობიეროს, რომ ჯერ კიდევ პროცესის საწყის ეტაპზე – სარჩელის წარმოებაში მიღების მომენტიდან, **საქმის მომზადებას (წერილობით შეჯიბრებას), მის განხილვას (ზეპირ შეჯიბრებას) და გადაწყვეტას ხელმძღვანელობს სასამართლო და რომ იგი უფლებას ვერ მისცემს თავის თავს და მით უმეტეს მხარეს, დაარღვიოს კანონით განსაზღვრული საქმის წარმოების წესი.**

მხარეთა ზეპირი შეჯიბრება საქმის წარმოების ყველაზე რთული ნაწილია. ამ დროს სჭირდება სასამართლოს განსაკუთრებული ყურადღება და პრინციპულობა. სასამართლომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვას მხარეთა მიერ მწვავე და ურთიერთშეურაცმყოფელი გამოთქმები. მან უნდა შეაწყვეტინოს სიტყვა ყველას ვინც არ ემორჩილება. ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელსაც იგი მიიღებს პროცესის მსვლელობის დროს, მაშინვე უნდა გამოცხადდეს.

პრაქტიკის ანალიზი სრულ საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა, რომ ყოველთვის, როცა საქმე კარგად იყო მომზადებული, საქმის წარმოება მიმდინარეობდა კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, საქმის განხილვა ზედმეტად, უსარგებლოდ და უსაფუძვლოდ არ ჭიანურდება, სასამართლოს მთავარი სხდომა და საქმის გადაწყვეტა ძალიან სწრაფად, შესვენების გარეშე მთავრდება.

გარკვეული თავისებურებებით გამოირჩევა მაგისტრანტ მოსამართლეთა განსჯადი საქმეების განხილვა. ასეთი საქმეები განიხილება „დაჩქარებული წესით" (სსკ 217[1]-ე მუხლი). გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა[66] სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ იცნობს „დაჩქარებულად" საქმეთა განხილვის **წესებს**. ასეთ გამონაკლისს მიეკუთვნება მაგალითად სსკ 217[1]-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც საქმის მოხსენების შემდეგ მოსამართლეს შეუძლია მხარეებს დაუსვას შეკითხვები, ისე რომ ჯერ არ მოუსმინოს მათ ახსნა განმარტებას. **ასეთი წესი არ შეესაბამება პროცესის პრინციპებს:** ყოველ მხარეს უფლება აქვს იყოს მოსმენილი, რის საფუძველზეც

66 სსკ 351[14]-ე მუხლი.

მას შეუძლია მისცეს სასამართლოს ახსნა-განმარტება. არავის არ აქვს უფლება წაართვას მხარეს ეს უფლება. ამიტომ თუ მხარე მოითხოვს, რომ სასამართლომ მოუსმინოს მის ახსნა-განმარტებას, მას აუცილებლად უნდა მიეცეს ამის შესაძლებლობა.[67]

სასამართლოში საქმეთა დროულად და დაჩქარებულად განხილვის ერთადერთი გარანტიაა სამოქალაქო საქმეთა წარმოების კანონით დადგენილი წესების ზუსტად და განუხრელად დაცვა. სწორედ ამ წესების დაცვით საქმეთა განხილვას უნდა მიაქციონ სასამართლოებმა და მათ შორის მაგისტრმა მოსამართლეებმა მთავარი ყურადღება.

რაც შეეხება სსკ 217[1] მუხლში გაკეთებულ აღნიშვნას, რომ „მტკიცებულებათა გამოქვეყნება სავალდებულო არ არის" – ზოგადი წესებიდან გამომდინარე მტკიცებულებათა გამოქვეყნება ისედაც არ არის სავალდებულო არც მაგისტრანტი მოსამართლის განსჯადი საქმეებისა და არც სხვა კატეგორიის საქმეთა განხილვის დროს.

VI. სხდომის დახურვა და გადაწყვეტილების გამოტანა

პაექრობით მთავრდება მთავარი სხდომა და სასამართლო გადის გადაწყვეტილების გამოსატანად. სათათბირო ოთახში გასვლის წინ სასამართლომ ყოველთვის უნდა გამოაცხადოს, რომ სხდომა დამთავრებულია და იგი გადის გადაწყვეტილების მისაღებად.

ჯერ კიდევ სათათბირო ოთახში გასვლამდე და გადაწყვეტილების გამოტანამდე სასამართლოს უკვე უნდა ჰქონდეს ჩამოყალიბებული თავისი მოსაზრებები საქმეში არსებულ მტკიცებულებათა შესახებ. მათ შეფასებას სასამართლო იწყებს ჯერ კიდევ საქმის მომზადების სტადიაზე და სასამართლო სხდომაზე, სადაც მხარეები ზეპირად აყალიბებენ თავიანთ მოსაზრებებს ამ მტკიცებულებათა შესახებ. მიუხედავად ამისა, სასამართლო სათათბირო ოთახში კიდევ ერთხელ და საბოლოოდ აფასებს მტკიცებულებებს ჯერ ერთი მათი სარწმუნოობისა თუ უტყუარობის თვალსაზრისით და მეორე – რა დასკვნების გაკეთება შეიძლება მათ საფუძველზე მტკიცების საგანში შემავალი ფაქტობრივი გარემოებების არსებობა-არარსებობის შესახებ. სწორედ აქ – სათათბირო ოთახში, გადაწყვეტილების

67 იხ. თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, სსკ-ის კომენტარი. მეორე გამოცემა. 2007 წ. გვ. 400

ჩამოყალიბების წინ, სასამართლომ საბოლოოდ უნდა გაარკვიოს: ა)საქმეში არსებული რომელი მტკიცებულება უნდა ჩაითვალოს სარწმუნოდ (უტყუარად) და რომელი არა; ბ) საქმისათვის მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოება (რომელზეც მხარეები ამყარებენ თავიანთ მოთხოვნასა და შესაგებელს) ითვლება დამტკიცებულად და რომელი არა; გ) რომელი გარემოებების შესახებ არ დავობენ მხარეები (უდავო ფაქტები); დ)რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული და დაკმაყოფილდეს თუ არა სარჩელი. გადაწყვეტილების შინაარსი არ ამოიწურება მხოლოდ ამ საკითხების გადაჭრით (სსკ 249-ე მუხლი), მაგრამ ეს ის ფუნდამენტური საკითხებია, რომელთა გადაჭრის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია.

ამასთან ერთად სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით პასუხი უნდა გასცეს სარჩელში წამოყენებულ და განხილულ ყველა მოთხოვნას. როგორც სასარჩელო განცხადებიდან და საკასაციო საჩივრის შინაარსიდან ირკვევა – ნათქვამია საკასაციო სასამართლოს ერთ-ერთ განჩინებაში, მოსარჩელე სასამართლოში აყენებდა ორ მოთხოვნას. სააპელაციო სასამართლომ გააუქმა გადაწყვეტილება, მაგრამ ახალი გადაწყვეტილების გამოტანის დროს არ გადაწყვიტა ორივე მოთხოვნა, რითაც დაარღვია სსკ 244-ე მუხლის დანაწესი. „საქმის ხელახლა განხილვის დროს სააპელაციო პალატამ უნდა იმსჯელოს კასატორის ორივე მოთხოვნაზე და კანონის შესაბამისად გადაწყვიტოს დაყენებული საკითხები“.[68]

კანონი განსაზღვრავს აგრეთვე კოლეგიური სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის წესს, რომლის თანახმად გადაწყვეტილება დადგენილი უნდა იქნეს ხმების უმრავლესობით. არცერთ მოსამართლეს არ აქვს უფლება თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან. თავმჯდომარე ხმას აძლევს მოსამართლეების შემდეგ, ხოლო მოსამართლეს, რომელიც არ ეთანხმება უმრავლესობას, შეუძლია წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი განსხვავებული აზრი. განსხვავებული აზრის წერილობითი ჩამოყალიბების მოვალეობა არ არსებობს. განსხვავებული აზრის ქონა მოსამართლის უფლებაა და არა მოვალეობა. თუ განსხვავებული აზრი წერილობითაა ჩამოყალიბებული, იგი დაერთვის საქმეს და მისი გაცნობის უფლება აქვთ მხარეებს.

მოსამართლეებს უფლება არ აქვთ გაახმაურონ თათბირის დროს გამართული მსჯელობა.

68 სუსგ სამოქალაქო საქმეებზე. 5. IV 2001, გვ. 565

გადაწყვეტილებას წერს მოსამართლე. თუ საქმეს იხილავს კოლეგიური სასამართლო, მაშინ გადაწყვეტილება შეიძლება დაწეროს ერთ-ერთმა მოსამართლემ, მათ შორის კოლეგიური სასამართლოს თავმჯდომარემ. როგორც წესი გადაწყვეტილებას წერს მომხსენებელი მოსამართლე. გადაწყვეტილებას ხელს აწერს ყველა მოსამართლე, მათ შორის მოსამართლე, რომელიც არ ეთანხმება უმრავლესობით მიღებულ გადაწყვეტილებას და აქვს თავისი განსხვავებული აზრი.

კანონი განსაზღვრავს გადაწყვეტილების ფორმას სასამართლო გადაწყვეტილება უნდა ჩამოყალიბდეს წერილობითი ფორმით.

გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, აგრეთვე დასაბუთებული გადაწყვეტილება შეიძლება გამოცხადდეს იმავე სხდომაზე ან კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში გადაიდოს გონივრული ვადით, მაგრამ არაუმეტეს ერთი თვისა (სსკ 257 მუხლი).

§2. საქმის განხილვის გადადება

I. ცნება და დასაშვებობა

საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების სტადია არსებობს იმისათვის, რომ არ გახდეს საჭირო საქმის განხილვის ანუ სასამართლოს მთავარი სხდომის გადადება და საქმე განხილული იქნეს ერთ სხდომაზე და, თუ შესაძლებელია, შესვენების გარეშე. მაგრამ, თუ ეს ვერ ხერხდება და საჭირო ხდება სხდომების გადადება სხვა დროისათვის, თანაც ისეთი მიზეზით, რომელსაც არ ექნებოდა ადგილი საქმის კანონის შესაბამისად წარმოების შემთხვევაში, ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ საქმე არ იყო სათანადოდ მომზადებული, ან კიდევ, მხარე ცდილობს გააჭიანუროს საქმის განხილვა, ხოლო სასამართლო ვერ იყენებს იმ საპროცესო მექანიზმს, რომლებიც გაჭიანურების წინააღმდეგ საბრძოლველად არის გამიზნული.[69]

69 სასამართლო პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქმის განხილვის გადადების ყველაზე გავრცელებული მიზეზია მხარეთა შუამდგომლობები მტკიცებულებათა წარმოდგენის შესახებ, მოწმის გამოძახების შესახებ, სასამართლოს მიერ წერილობითი მასალების გამოთხოვის შესახებ, ერთ-ერთი ან ორივე მხარის გამოუცხადებლობა, დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის ჩართვა,

ამრიგად, იმის მიხედვით, თუ რა მიზეზით და ვისი შუამდგომლობით ხდება საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადადება, ჩვენ შეგვიძლია ზუსტად და შეუცდომლად განვსაზღვროთ მომზადებული იყო თუ არა საქმე სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვისათვის, რომელი მხარე ცდილობს საქმის განხილვის გაჭიანურებას და იღებს თუ არა სასამართლო კანონით გათვალისწინებულ ზომებს საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ.

საქმის განხილვის გადადება უნდა განვასხვავოთ საქმის განხილვის გაგრძელებისაგან მეორე ან მესამე დღეს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მისი განხილვა ვერ მოესწრო იმავე დღეს. **საქმის განხილვის გადადება – ესაა ამ საქმის განხილვისათვის ახალი სხდომის სხვა დროისათვის დანი**შვნა. აქედან გამომდინარე, არასწორია ვუწოდოთ საქმის განხილვის გადადება ისეთ შემთხვევას, როდესაც საქმის განხილვა ერთ დღეს (ერთ სხდომაზე) ვერ მთავრდება და ამიტომ გრძელდება მომდევნო ან სხვა დღეს. მაგრამ ეს იქნება არა გადადება, არამედ საქმის განხილვის გაგრძელება ან შესვენების გამოცხადება გარკვეულ დრომდე.

საქმის განხილვის გადადება დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში (სსკ 216-ე მუხლი). მაგალითად, შეგებებული სარჩელის აღძვრა დასაშვებია საქმის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე. ამის შემდეგ მისი აღძვრა შეიძლება, თუ ეს ვადა გაშვებული იყო საპატიო მიზეზით. თუ სასამართლო ცნობს რომ ასეთი საპატიო მიზეზი არსებობს, მაშინ ის მიიღებს დაგვიანებით აღძრულ შეგებებულ სარჩელს, მაგრამ დაინტერესებული მხარის თხოვნით ან თავისი ინიციატივით საქმის განხილვა შეიძლება გადაიდოს იმ მოტივით, რომ საჭიროა შეგებებული სარჩელის განსახილველად მომზადება. საქმის განხილვის გადადებას ითვალისწინებს, მაგალითად სსკ 229-ე, 233-ე და 36318-ე მუხლები. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ საქმის განხილვის გადადებას **კანონი პირდაპირ კი არა, არამედ არაპირდაპირ შეიძლება ითვალისწინებდეს**. მაგალითად, თუ სასამართლომ ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ განჩინება გამოიტანა არა მოსამზადებელ სტადიაზე, არამედ მას შემდეგ, რაც დაინიშნა მთავარი სხდომა, ან

საქმის გასაცნობად დროის მიცემა, თუმცა რამდენიმე თვეა მას შემდეგ, რაც ამ საქმის წარმოება მიმდინარეობს და ა.შ.

იხ. **თ. ლილუაშვილი**. სამოქალაქო პროცესის საკითხები საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში, გვ.67-76.

უშუალოდ მთავარ სხდომაზე, მაშინ სასამართლომ უნდა გადადოს საქმის განხილვა და დაელოდოს ექსპერტის დასკვნის მიღებას. ასევე, თუ მოწმედ დაბარებული პირი არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე სასამართლოს შეუძლია დაადგინოს მისი იძულებითი მოყვანა. ცხადია, რომ სასამართლომ, თუ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო, უნდა გადადოს საქმის განხილვა სხვა დროისათვის.

საქმის განხილვის გადადება შეიძლება სასამართლოს ინიციატივით ან მხარეთა შუამდგომლობით. მაგალითად, თუ არასწორად არის ჩაწერილი სხდომის დარბაზი და მხარე ამის გამო ვერ გამოცხადდება, სასამართლომ უნდა გადადოს სხდომა რათა მხარე არათანაბარ მდგომარეობაში არ ჩააყენოს.[70] საჭიროა აღინიშნოს, რომ სასამართლომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვას საქმის განხილვის გადადება, თუ მხარეს **მიზნად აქვს საქმის განხილვის გაჭიანურება.**

II. საპროცესო მოქმედებები, რომლებიც უნდა შესრულდეს საქმის განხილვის გადადების შემთხვევაში

საქმის განხილვის გადადება ძალიან არასასურველი მოვლენაა და ამის აუცილებლობა რომ არ წარმოიშვას საპროცესო კანონმდებლობა შეიცავს ყველა საჭირო მექანიზმებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, გარკვეული პირობების არსებობისას და კანონით პირდაპირ ან არაპირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში შეიძლება აუცილებელი გახდეს საქმის განხილვის გადადება. ამასთან ერთად კანონი მოითხოვს სასამართლოს მხრივ მთელი რიგი საპროცესო მოქმედებების შესრულებას იმ შემთხვევისათვის, თუ იგი დაადგენს საქმის განხილვის გადადებას. კერძოდ, საქმის განხილვის გადადების შემთხვევაში სასამართლომ:

1. უნდა დანიშნოს დღე ახალი სხდომისათვის და ამის შესახებ უნდა აცნობოს სხდომაზე გამოცხადებულ პირებს, აფრთხილებს მათ ახლად დანიშნულ სხდომაზე გამოუცხადებლობის შედეგების შესახებ. ყოველივე ამის შესახებ აღინიშნება სხდომის ოქმში, რაზედაც ხელს აწერენ ეს პირები.

ამ პირებისათვის დამატებით უწყების გაგზავნა საჭირო აღარ

70 სუს გადაწყვეტილებები სამოქალაქო საქმეებზე, 2020, №4, გვ. 31-32

არის. ისინი ითვლებიან გამოძახებულებად (დაბარებულად) კანონით დადგენილი წესით. რაც შეეხება სხდომაზე გამოუცხადებელ პირებს, მათ უნდა გაეგზავნოთ შეტყობინება კანონით დადგენილი წესით (სსკ 70-78-ე მუხლები).

2. უნდა გააფრთხილოს მხარეები, რომ თუ მათ გააჩნიათ დამატებითი მტკიცებულებები, წარმოადგინონ ისინი სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში – ახალი სხდომის ჩატარებამდე. ამ ვადას ნიშნავს სასამართლო და იგი არ შეიძლება დაემთხვეს ახლად დანიშნული სხდომის დღეს, რადგან მათ დროულად უნდა გაეცნოს მოწინააღმდეგე მხარე, რათა მას მიეცეს სრული შესაძლებლობა წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები ახლად დანიშნულ სასამართლო სხდომაზე.

დამატებითი მტკიცებულებების სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში წარუდგენლობა ართმევს მხარეს უფლებას წარმოადგინოს ისინი საქმის ზეპირი (სასამართლო სხდომაზე) განხილვის დროს.

3. უნდა შეასრულოს კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა მოქმედება, რაც მისი აზრით აუცილებელია ახლად დანიშნულ სხდომაზე საქმის განხილვის დამთავრებისა და ამ საქმეზე გადაწყვეტილების გამოსატანად.

საქმის განხილვის გადადების შესახებ სასამართლოს გამოაქვს **განჩინება,** რომელიც შეიძლება შეტანილი იქნეს ოქმში (სსკ 284-ე მუხლი). განჩინებაში (ოქმში) მითითებული უნდა იყოს საქმის განხილვის გადადების საფუძველი, დღე ახალი სხდომის ჩატარებისა, დრო ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულებისა, აგრეთვე იმ პირთა ხელმოწერები რომლებიც ესწრებიან სხდომას და მითითება მათი გაფრთხილების შესახებ ახლად დანიშნულ სხდომაზე გამოუცხადებლობის შედეგების თაობაზე.

მხარეთა თანხმობის შემთხვევაში მოსამართლეს შეუძლია განიხილოს საქმე ან/და მიიღოს გადაწყვეტილება არასამუშაო დროს, მათ შორის დასვენებისა და უქმე დღეებში.

§3. საქმის წარმოების შეჩერება

საქმის წარმოების შეჩერება განსხვავდება საქმის განხილვის გადადებისაგან: საქმის განხილვის გადადება – ესაა სხვა დროისთვის დანიშნულ სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვის გადატა-

ნა, ხოლო საქმის წარმოების შეჩერება – ესაა საპროცესო მოქმედებათა შეწყვეტა საქმის განხილვის სტადიაზე, რაც გამოწვეულია ისეთი ობიექტური გარემოებებით, რომელთა მიმართ შეუძლებელია იმის წინასწარ ზუსტად გარკვევა, თუ როდის შეწყვეტენ ისინი არსებობას. ამიტომ, საქმის განხილვის გადადება ყოველთვის უნდა მოხდეს გარკვეული ვადით, რაც პრაქტიკაში ყოველთვის არ სრულდება, ხოლო საქმის წარმოების შეჩერება შეიძლება მოხდეს კანონით გათვალისწინებული პირობების (მოვლენის) დადგომამდე.

საქმის წარმოების შეჩერება განსხვავდება საქმის განხილვის გადადებისაგან საკანონმდებლო მოწესრიგების თვალსაზრისითაც, ნორმა, რომელიც აწესრიგებს საქმის განხილვის გადადებას, არის მითითებითი ნორმა (სსკ 216-ე მუხლი), რომელიც უთითებს სხვა ნორმებზე, რომლებიც ითვალისწინებენ ასეთი გადადების შემთხვევებს, ხოლო ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ საქმის წარმოების შეჩერებას, არ წარმოადგენენ მითითებით ნორმებს. ისინი თვითონ შეიცავენ იმ საფუძვლების ამომწურავ ჩამონათვალს, რომლებიც იწვევენ საქმის შეჩერებას. ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლოებს არ აქვთ უფლება გააფართოვნ ან შეკვეცონ ამ საფუძვლების წრე.

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს საქმის წარმოების შეჩერების **სავალდებულო** და **ფაკულტატურ** (არასავალდებულო) საფუძვლებს.

საქმის წარმოების სავალდებულო საფუძვლების ამომწურავ ჩამონათვალს შეიცავს სსკ 279-ე მუხლი. იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს ამ მუხლში ჩამოთვლილ ერთ-ერთ გარემოებას – სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს წარმოება.

მაგალითად: სასამართლო განიხილავს დავას ზიანის ანაზღაურების შესახებ. საქმის სასამართლოში წარმოების პროცესში გარდაიცვალა მოსარჩელე (ფიზიკური პირი). სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება, რისთვისაც გამოაქვს განჩინება.

აღსანიშნავია, რომ ფიზიკური პირის გარდაცვალება მხოლოდ მაშინ იწვევს საქმის წარმოების შეჩერებას, როდესაც კანონი უშვებს უფლებამონაცვლეობას.

მაგალითად: მოქალაქემ აღძრა მემკვიდრეობითი ურთიერთობიდან გამომდინარე სარჩელი და გარდაიცვალა. სასამართლო შეაჩერებს საქმის წარმოებს, რადგან

სკ 1306-ე მუხლის თანახმად, მემკვიდრეობა შეიძლება გადავიდეს უფლებამონაცვლეზე.

შეჩერება ხდება გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა. მოსარჩელის გარდაცვალებისას, თუ ამ ვადის გასვლის შემდეგ საქმეში უფლებამონაცვლე არ ჩაერთო, სარჩელი განუხილველად დარჩება. ასევე განუხილველად დარჩება მოსარჩელის მიერ შეტანილი სააპელაციო და საკასაციო საჩივრები. მოპასუხის გარდაცვალების შემთხვევაში მოსარჩელე ვალდებულია ერთწლიანი ვადის გასვლამდე მიუთითოს მოპასუხის უფლებამონაცვლე პირი (პირი, რომელმაც სამკვიდრო ქონება მიიღო, უმკვიდრო ქონების შემთხვევაში – სახელმწიფო ან შესაბამისი ორგანიზაცია ან სხვა უფლებამონაცვლე). თუ აღმოჩნდება, რომ სამკვიდრო ქონება არ არსებობს, საქმის წარმოება შეწყდება.

მოსარჩელის დასაბუთებული შუამდგომლობის შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია გააგრძელოს ერთწლიანი ვადა არა უმეტეს 6 თვით;

თუ კანონი არ უშვებს უფლებამონაცვლეობას, მაშინ მხარის გარდაცვალების შემთხვევაში სასამართლომ კი არ უნდა შეაჩეროს, არამედ შეწყვიტოს საქმის წარმოება.

მაგალითად: ა-ნიმ აღძრა სარჩელი სამუშაოზე აღდგენის შესახებ, მაგრამ საქმის წარმოებაში მიღების შემდეგ იგი გარდაიცვალა. სასამართლომ საქმის წარმოება უნდა შეწყვიტოს, რადგან კანონი არ უშვებს ასეთ შემთხვევაში უფლებამონაცვლეობას; ა-ნის ნაცვლად სამუშაოზე ვერ „აღადგენენ" მის უფლებამონაცვლეს (სსკ 272-ე მუხლის „ე" ქვეპუნქტი).

სსკ 279-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტის თანახმად შეჩერება ხდება „იურიდიული პირის არსებობის **შეწყვეტისას**". სინამდვილეში იურიდიული პირის არსებობის შეწყვეტა ხდება სამეწარმეო თუ არასამეწარმეო იურიდიული პირის რეგისტრაციის გაუქმებით. აქედან გამომდინარე, იურიდიული პირის არსებობის შეწყვეტისას საქმის წარმოების შეჩერებას არავითარი აზრი არ აქვს. ამიტომ, იურიდიული პირის არსებობის **„შეწყვეტაში"** უნდა ვიგულისხმოთ ამ იურიდიული პირის რეორგანიზაცია (შეერთება, მიერთება, გაყოფა, გამოყოფა, გარდაქმნა). საქმის წარმოება შეჩერდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ჰქონდა იურიდიული პირის რეორგანიზაციას, რომლის შედეგად წარმოიშვება უფლებამონაცმლეობა.

კანონმდებლობა ითვალისწინებს საქმის წარმოების სავალდებულო შეჩერების სხვა საფუძვლებსაც და შეჩერების ვადებსაც, კერძოდ, **ა). თუ იგი დაადგენს, რომ მხარე არის მხარდაჭერის მიმღები, რომელსაც დაუწესდა მხარდაჭერა საპროცესო წარმომადგენლობის განსახორციელებლად, მაგრამ მხარდაჭერა არ მიუღია;**

აქ იგულისხმება ის შემთხვევა როდესაც სასამართლომ თავის დროზე სწორად მიიღო სარჩელი პირისაგან, მაგრამ შემდეგ გახდა იგი მხარდამჭერის მიმღები. მხარდამჭერის მიმღებად ითვლება პირი, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებითაა ასეთად აღიარებული (სსკ 363[21]-ე მუხლი). ასეთ პირს ენიშნება მხარდამჭერი, რომლის პროცესში ჩაბმამდე შეჩერდება საქმის წარმოება (სსკ 279-ე მუხლის „ბ" პუნქტი).

შეჩერება ხდება შესაბამისი მხარდაჭერის მიღებამდე;

ბ). საქართველოს თავდაცვის ძალების მოქმედ ნაწილში მოპასუხის ყოფნისას ან ასეთივე ნაწილში მყოფი მოსარჩელის თხოვნით. ასეთ შემთხვევაში შეჩერება ხდება საქართველოს თავდაცვის ძალების შემადგენლობაში მხარის ყოფნამდე.

გ). თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის ან ადმინისტრაციული წესით;

აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული საფუძვლით საქმის წარმოების შეჩერების საკითხის გადაწყვეტისას უნდა დადგინდეს, არსებობს თუ არა საქმეთა შორის ისეთი აუცილებელი კავშირი, რაც შეჩერების ღონისძიების გამოუყენებლობის პირობებში ობიექტურად შეუძლებელს გახდის სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმის განხილვას. ამრიგად, საქმისწარმოების შეჩერება დასაშვებია მხოლოდ იმ პირობით, თუ სხვა საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებას შეიძლება მიეცეს პრეიუდიციული მნიშვნელობა სასამართლოს განხილვაში არსებული საქმის გადაწყვეტისას. აქედან გამომდინარე, საქმისწარმოების შეჩერებამდე სასამართლომ ზუსტად უნდა განსაზღვროს რა კავშირი არსებობს მის მიერ განსახილველ საქმესა და იმ საქმეს შორის, რომელიც სხვა სასამართლოს მიერ განიხილება.[71]

საქმის წარმოების შეჩერება ხდება სასამართლოს გადაწყვეტილების, განაჩენის, განჩინების, დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ან ადმინისტრაციული წესით განხილულ საქ-

71 სუს გადაწყვეტილებები სამოქალაქო საქმეებზე, 2018, №12, გვ. 188

მეზე გადაწყვეტილების გამოტანამდე.

დ). **თუ საქმეს განიხილავს რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისია ან კომისიის კომიტეტი.** ასეთ დროს საქმის წარმოება ჩერდება კომისიის ან მისი კომიტეტის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე.

ე). **მე-6 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში ანუ თუ საქმის განმხილველი სასამართლოს აზრით, კანონი, რომელიც ამ საქმისათვის უნდა იქნეს გამოყენებული, არ შეესაბამება ან ეწინააღმდეგება კონსტიტუციას.**

კანონის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხის გარკვევა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაა. ამიტომ, თუ საქმის განმხილველ სასამართლოს ეჭვი ეპარება მის მიერ გამოსაყენებელი კანონის კონსტიტუციურობაში, მან უნდა შეაჩეროს საქმე და მიმართოს წარდგინებით საკონსტიტუციო სასამართლოს. საქმის წარმოება შეჩერდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე.

ვ). **თუ სსსკ-ის 187[3]-ე მუხლის საფუძველზე დავის მხარეთა შეთანხმებით დასრულების მიზნით საქმე სასამართლომ მედიატორს გადასცა, ან საქმის წარმოების დაწყების შემდეგ მხარეებმა დავა მედიატორს გადასცეს, ანდა მხარეთა შორის არსებობს მედიაციის თაობაზე შეთანხმება, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, რომ არ მიმართონ სასამართლოს განსაზღვრული ვადის ან გარემოების დადგომამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსარჩელე ადასტურებს, რომ სასამართლო განხილვის გარეშე მას გამოუსწორებელი ზიანი მიადგება.**

საქმის წარმოება ჩერდება მედიაციის დასრულებამდე.

რაც შეეხება საქმის წარმოების **შეჩერების არასავალდებულო საფუძვლებს,** მის ამომწურავ ჩამონათვალს შეიცავს სსკ 280-ე მუხლი, ხოლო 281-ე მუხლი განსაზღვრავს, კერძოდ:

ა) თუ მხარე იმყოფება ვადიან სამხედრო სამსახურში ან გაწვეულია რაიმე სახელმწიფო მოვალეობის შესასრულებლად. ასეთ შემთხვევაში საქმე შეიძლება შეჩერდეს თავდაცვის ძალების შემადგენლობაში მხარის ყოფნამდე ან სახელმწიფო მოვალეობის შესრულებამდე.

ბ) თუ მხარე იმყოფება ხანგრძლივ სამსახურებრივ მივლინებაში – სამსახურებრივი მივლინებიდან მის დაბრუნებამდე.

გ) თუ მხარე იმყოფება სამკურნალო დაწესებულებაში ან არის ავად, რის გამოც არ აქვს სასამართლოში გამოცხადების საშუალება – საქმის წარმოება შეჩერდება არა უმეტეს 2 თვის ვადით.

დ) თუ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში გამოცხადებულია მოპასუხის ძებნა.

ასეთი ძებნა შეიძლება გამოცხადდეს, მაგალითად, რეკეტირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის და ა.შ. მიმართ, როცა სასამართლო იხილავს საქმეს რეკეტული ქონების ჩამორთმევის თაობაზე გარდა ამისა, სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის 30-ე მუხლი ითვალისწინებს პოლიციის მეშვეობით მოვალის ძებნის გამოცხადების შესაძლებლობას გარკვეული კატეგორიის საქმებზე გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების აღსრულების მიზნით.

ასეთ შემთხვევაში საქმის წარმოება შეჩერდება მოპასუხის მოძებნამდე.

ე) თუ სასამართლოს მიერ დანიშნულია ექსპერტიზა – ექსპერტიზის დამთავრებამდე.

ამ მუხლში ჩამოთვლილი გარემოებების არსებობისას სასამართლო არაა ვალდებული შეაჩეროს საქმის წარმოება. სხვანაირად აქ ჩამოთვლილ გარემოებებს საქმის წარმოების შეჩერების ფაკულტატურ საფუძვლებს უწოდებენ.

შეაჩეროს საქმის წარმოება თუ გადადოს საქმის განხილვა, დამოკიდებულია მოსამართლის მიხედულებაზე.

მაგალითად: სასამართლომ დანიშნა ექსპერტიზა. იმის გათვალისწინებით, თუ რა სირთულის გამოკვლევაა ჩასატარებელი, სასამართლოს შეუძლია განსაზღვროს ვადა და კი არ შეაჩეროს საქმის წარმოება, არამედ გადადოს საქმის განხილვა.

დამოუკიდებლად იმისა, თუ ვისი ინიციატივით ხდება საქმის წარმოების შეჩერება (მხარეთა თხოვნით, თუ სასამართლოს ინიციატივით), განჩინება შეჩერების შესახებ შეიძლება გაასაჩივროს მხარემ კერძო საჩივრით (414-420-ე მუხლები) გარდა განჩინებისა ექსპერტიზის დანიშვნის გამო საქმის წარმოების შეჩერების შესახებ.

განჩინებაზე საქმის წარმოების შეჩერებაზე უარის თქმის შესახებ კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

შეჩერებული საქმის წარმოების განახლების შესახებ სასამართ-

ლოს გამოაქვს განჩინება, რომელშიც მითითებული უნდა იყოს საქმის მთავარ სხდომაზე განხილვის დღე. მხარეებს უნდა ეცნობოთ საქმის განახლების შესახებ, საქმის განხილვის დღისა და იმ შედეგების შესახებ, რომლებიც შეიძლება მოყვეს მის გამოუცხადებლობას (სსკ 72-ე მუხლი).

საქმის განხილვა გაგრძელდება იმ ეტაპიდან, რომელ ეტაპზეც იგი შეჩერდა, ე.ი. შეჩერებული საქმის განხილვა თავიდან არ დაიწყება.

თავი V. სასამართლოს დადგენილებები

§1. სასამართლოს გადაწყვეტილება. ცნება, მნიშვნელობა და სახეები

როგორც წესი, უფლებები, რომლებიც მინიჭებული აქვთ სამართლის სუბიექტებს, ხორციელდება ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, ხოლო მოვალეობები, რომლებიც მათ ეკისრებათ – ნებაყოფლობით. მაგრამ ცხოვრებაში გვხვდება შემთხვევები და არც ისე იშვიათად, როდესაც მოვალეობა არ სრულდება და უფლება ირღვევა. ასეთ შემთხვევაში სამართლის სუბიექტებს შორის წამოიჭრება დავა, რომელიც თითქმის ყოველთვის ქმნის უფლების დროებით განუსაზღვრელობას. თავის მხრივ, ასეთი ვითარება იწვევს იმას, რომ სამართლით რეგულირებული ურთიერთობა ვეღარ ვითარდება სასურველი მიმართულებით, ირღვევა კანონით განსაზღვრული წესრიგი (მართლწესრიგი), წარმოიშობა დავა (კონფლიქტი) და ა.შ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამართლით მოწესრიგებული ურთიერთობიდან წარმოშობილი დავის სწორად და სწრაფად გადაწყვეტით დიდაა დაინტერესებული არა მარტო მოდავე მხარეები, არამედ თვით სახელმწიფოც, რომელიც არ შეიძლება არ ზრუნავდეს იმაზე, რომ მისი ქვეყნის პირებს შორის სუფევდეს მართლწესრიგი და კანონიერება. სწორედ ამ ზრუნვის ერთ-ერთი გამოხატულებაა სასამართლო, რომელიც, როგორც სახელმწიფო ორგანო, იქმნება და არსებობს იმისათვის, რომ განახორციელოს მართლმსაჯულება, განიხილოს და გადაწყვიტოს პირთა შორის წამოჭრილი დავა.

უფლების დასაცავად პირის სასამართლოსათვის მიმართვა, ანუ დროის და ფინანსური რესურსების თვალსაზრისით ამ ძვირად ღირებული პროცედურისათვის მიმართვა, უკვე თავისთავად გულისხმობს იმას, რომ თვითონ მხარეებმა ვერ შეძლეს მშვიდობიანად მოეგვარებინათ ერთმანეთს შორის წამოჭრილი დავა.

მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სასამართლომ აღარ უნდა ეცადოს გადაწყვიტოს მხარეთა დავა მშვიდობიანად, მორიგებით. მხარეთა შორის წამოჭრილი დავის მორიგებით დამთავრება ყოველთვის ითვლებოდა და დღესაც ითვლება ამ დავის გადაწყვეტის ყველაზე საუკეთესო საშუალებად. სწორედ ამიტომ ევალება სასამართლოს მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა მხ-

არეთა მორიგებისათვის, საქმის მშვიდობიანად დამთავრებისათვის (სსკ 205-ე, 218-ე 187^1 – 187^7-ე მუხლები). მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო ამას ვერ მიაღწევს – მან უნდა განიხილოს საქმე და გამოიტანოს თავისი გადაწყვეტილება, რომელიც, მართალია, უნდა პასუხობდეს კანონის მოთხოვნებს, იყოს სწორი და სამართლიანი, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი მაინც არის მხარეებისათვის თუმცა მაღალავტორიტეტული ორგანოს – სასამართლოს გადაწყვეტილება, მაგრამ მაინც სხვის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება. ამიტომ, სრულებითაც არაა გამორიცხული, რომ გადაწყვეტილებით, თუ ორივე მხარე არა ერთ-ერთი მაინც დარჩეს უკმაყოფილო, ხოლო დავა მათ შორის ფაქტობრივად კვლავ გაგრძელდეს. მიუხედავად ყოველივე ამისა, სასამართლო გადაწყვეტილებით მხარეთა შორის წამოჭრილი დავა ითვლება იურიდიულად ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრილად და მხარეებს, მიუხედავად იმისა ეთანხმებიან ისინი ამ გადაწყვეტილებას თუ არა, უფლება აღარ აქვთ კვლავ აღძრან სასამართლოში (და არამარტო სასამართლოში), იგივე დავა.

რა არის სასამართლო გადაწყვეტილება?

სასამართლო, როგორც ცნობილია, არაა ერთადერთი ორგანო, რომელსაც გამოაქვს გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება, როგორც გარეგნულად გაფორმებული აქტი (დოკუმენტი), გამოაქვთ აგრეთვე სხვადასხვა კერძო თუ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, ამ იურიდიული პირების ცალკეულ სტრუქტურულ ქვედანაყოფებს. ისე, როგორც სასამართლოებს, ამ ორგანოებსაც გადაწყვეტილებები გამოაქვთ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. მაგრამ სასამართლო გადაწყვეტილებები განსხვავდებიან სხვა ორგანოების გადაწყვეტილებებისაგან იმით, რომ **ჯერ ერთი** სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანას წინ უსწრებს საქმის (დავის) განხილვა იმ წესების ზუსტად და განუხრელად დაცვით, რომლებიც დამკვიდრებულია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით და რომლებიც უზრუნველყოფენ მოდავე მხარეთა უფლებების დაცვას, **მეორეც** – სასამართლო გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს კანონს, უნდა იყოს დასაბუთებული ფაქტობრივად და იურიდიულად. სასამართლო გადაწყვეტილება არ შეიძლება ეფუძნებოდეს მიზანშეწონილობას. თუ არ არსებობს კანონი, რომელიც აწესრიგებს სადავო ურთიერთობას, სასამართლომ უნდა გამოიყენოს კანონის ან სამართლის ანალოგია და **მესამე** – არსებობს სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობის შემოწმების მწყობრი სისტემა და დაინტერესე-

ბულ მხარეს შეუძლია თავისუფლად მიმართოს ამ სისტემას (აპელაციას, კასაციას).

სასამართლოს, გამოაქვს სხვადასხვა ფორმის დადგენილება (გადაწყვეტილება, განჩინება). პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე წყდება არსებითად სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილების ფორმით (სსკ 243-ე მუხლი).

ამრიგად, **სასამართლო გადაწყვეტილება – ესაა კანონით დადგენილი წესით საქმის განხილვის შედეგად სასამართლოს მიერ მიღებული მართლმსაჯულების აქტი, რომელიც პასუხობს კანონით წაყენებულ მოთხოვნებს და რომლითაც საქმე (მხარეთა შორის დავა) წყდება არსებითად.**

გავრცელებული და სავსებით სწორი შეხედულების თანახმად გადაწყვეტილების დანიშნულება არ ამოიწურება მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტულ პირთა დარღვეული (სადავო) უფლების დაცვით. სასამართლო გადაწყვეტილებას აქვს უფრო ფართო სოციალური ფუნქცია – იგი ხელს უწყობს საზოგადოებაში სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბებას და განმტკიცებას[72], მართლწესრიგის დამკვიდრებას, სამართალდარღვევის პროფილაქტიკას, პირთა აღზრდას კანონების განუხრელად შესრულებისა და თანაცხოვრების წესების პატივისცემის სულიკვეთებით.

ჩგადაწყვეტილების მნიშვნელობიდან გამომდინარე **სასამართლოს უფლება არ აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა (სსკ 248-ე მუხლი).**

სსკ-ის 248-ე მუხლი დისპოზიციურობის პრინციპის ერთ-ერთი კონკრეტული გამოვლინებაა. სასამართლო შებოჭილია მოსარჩელის მოთხოვნის ფარგლებით, მოპასუხის შეგებებული მოთხოვნის, აგრეთვე მესამე პირის სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებით. მოთხოვნის (სარჩელის საგნის) შეცვლის ან მისი გადიდების უფლება აქვს მხოლოდ მოსარჩელეს (83-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

სასამართლო გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს პასუხს მოსარჩელის მიერ განცხადებულ მოთხოვნაზე, დააკმაყოფილოს იგი მთლიანად ან ნაწილობრივ, ან კიდევ უარი თქვას მის დაკმაყოფილებაზე. ე. ი. სასამართლოს სრული უფლება აქვს მიაკუთვნოს მოსარჩელეს იმაზე ნაკლები, ვიდრე იგი მოითხოვდა, თუ სრული

72 ლილუაშვილი გ, სასამართლო გადაწყვეტილების სოციალური მნიშვნელობა, ჟურ. სამართალი და მსოფლიო, №2, 2015

მოცულობით განცხადებული მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი ვერ დასტურდება, მაგრამ მას უფლება არ აქვს მიაკუთვნოს მოსარჩელეს იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა, საქმის მასალებით კიდეც რომ დასტურდებოდეს უფრო მეტის მოთხოვნის საფუძველი. საკასაციო სასამართლო ყოველთვის აუქმებს გადაწყვეტილებას, როდესაც დარღვეულია ამ მუხლის დანაწესი.[73]

სასამართლოს გადაწყვეტილებები თავისი შინაარსისა და მოცულობის მიხედვით იყოფა სახეებად.

თუ გადაწყვეტილებებს დავყოფთ სასარჩელო მოთხოვნის შინაარსის (ხასიათის) მიხედვით, მაშინ მივიღებთ შემდეგი სახის გადაწყვეტილებებს:

1. **მიკუთვნებითი (ანუ აღსრულებითი) გადაწყვეტილება;** 2. **აღიარებითი (ანუ ცნობის შესახებ) გადაწყვეტილება** და 3. **გარდაქმნითი (ანუ კონტრადიქტორული) გადაწყვეტილება.**

მაგალითად: ა-ნი მოითხოვს ბ-ნის ბინიდან გამოსახლებას. სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება ა-ნის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ და დაადგინა ბ-ანის სადავო ბინიდან გამოსახლება. ეს გადაწყვეტილება განეკუთვნება მიკუთვნებით (აღსრულებით) გადაწყვეტილებათა ჯგუფს.

მეორე **მაგალითი:** ა-ნი მოითხოვს იმ ნაწარმოების თანაავტორად ცნობას (აღიარებას), რომლის ავტორად მიჩნეულია ბ-ანი. სასაართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება ა-ნის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ და ცნო იგი სადავო ნაწარმოების (გამოგონების) ავტორად. ეს გადაწყვეტილება მიეკუთვნება აღიარებით გადაწყვეტილებათა ჯგუფს.

მესამე **მაგალითი:** ა-ნიმ მიმართა სასამართლოს სარჩელით ბა-ნის წინააღმდეგ განქორწინების შესახებ. სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა სარჩელი. ეს გადაწყვეტილება მიეკუთვნება

73 სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2000, №3, გვ.113

გარდაქმნით გადაწყვეტილებათა ჯგუფს, რადგან ამ გადაწყვეტილებით შეწყდა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა.

იმის მიხედვით, თუ რა მოცულობით არის გადაწყვეტილი სასარჩელო მოთხოვნა, სსკ ამკვიდრებს სასამართლო გადაწყვეტილებათა რამდენიმე სახეს, როგორიცაა: 1. **საბოლოო გადაწყვეტილება**; 2. **ნაწილობრივი გადაწყვეტილება**; 3. **წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილება**.

1. **საბოლოო ანუ სრული გადაწყვეტილება** (სსკ 243-ე მუხლი), ეწოდება ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც თუმცა შეიძლება ჯერ კიდევ არ იყოს შესული კანონიერ ძალაში, და, მაშასადამე, დასაშვებია მისი გასაჩივრება, მაგრამ შეიცავს პასუხს მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნაზე **მთლიანად** და **ამომწურავად.**

ამრიგად, საბოლოო ამ გადაწყვეტილებებს იმიტომ კი არ ეწოდება, რომ ისინი შევიდნენ კანონიერ ძალაში და ვეღარ გასაჩივრდებიან, არამედ იმიტომ, რომ სასამართლომ დაამთავრა საქმის განხილვა და მიიღო გადაწყვეტილება **ყველა იმ მოთხოვნის** მიმართ, რომელიც მოსარჩელეს ჰქონდა წამოყენებული თავისი სარჩელით:

მაგალითად, ა-ნიმ მოითხოვა ბ-ანისაგან სესხად მიცემული თანხის (ვალის) დაბრუნება ამ სესხისათვის გათვალისწინებულ პროცენტთან ერთად. სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება ყველა ამ მოთხოვნის მიმართ.

ეს გადაწყვეტილება იქნება საბოლოო (სრული) დამოუკიდებლად იმისა, მთლიანად დააკმაყოფილა სარჩელი თუ ნაწილობრივ, მთლიანად უარი უთხრა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, თუ ნაწილობრივ დააკმაყოფილა და ნაწილობრივ უარი უთხრა მოთხოვნაზე. აქ მთავარი ისაა, რომ სასამართლომ მთლიანად გასცა პასუხი თავის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნას.

2. **ნაწილობრივი გადაწყვეტილება** (სსკ 245-ე მუხლი) ეს ისეთი გადაწყვეტილებაა, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივად პასუხობს მოსარჩელის მოთხოვნას იმ პირობით, რომ მოთხოვნის სხვა ნაწილზე პასუხი გაცემული იქნება სხვა დროს და სხვა გადაწყვეტილებით.

აღნიშნული 245 -ე მუხლიდან გამომდინარე:

ა) მოსარჩელეს შეუძლია ერთ სარჩელში გააერთიანოს ამ სასამართლოს განსჯადი რამდენიმე მოთხოვნა ერთი და იმავე მოპასუხის მიმართ (182-ე მუხლის პირველი ნაწილი).

თუ რამდენიმე მოთხოვნიდან ერთ-ერთი, ან მათი ნაწილი უკვე გარკვეულია და მზადაა გადასაწყვეტად, სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს მათ მიმართ ნაწილობრივი გადაწყვეტილება, იმ შემთხვევაში თუ მხარე შუამდგომლობს ამის შესახებ. მხედველობაშია დაინტერესებული მხარე და არა აუცილებლად ორივე მხარე ერთდროულად.

ბ) რამდენიმე მოსარჩელეს შეუძლია აღძრას სარჩელი ერთი ან რამდენიმე მოპასუხის მიმართ (86-ე მუხლი). თუ ამ რამდენიმე მოსარჩელის მოთხოვნიდან ერთ-ერთი მოსარჩელის მოთხოვნა გარკვეულია და მზადაა გადაწყვეტილების გამოსატანად – სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს ნაწილობრივი გადაწყვეტილება დაინტერესებული მხარის შუამდგომლობით ამ მოთხოვნის მიმართ.

როგორც წესი, ძირითად და შეგებებულ სარჩელზე (სსკ 188-ე მუხლი) გამოდის ერთიანი გადაწყვეტილება, მაგრამ თუ გარკვეულია და მზადაა გადასაწყვეტად ერთ-ერთი მათგანი (ძირითადი ან შეგებებული სარჩელი), სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს ნაწილობრივი გადაწყვეტილება ამ ერთ-ერთი სარჩელის მიმართ, რის შესახებაც მითითებული უნდა იყოს ამ ნაწილობრივ გადაწყვეტილებაში.

როგორც ნაწილობრივი გადაწყვეტილების არსიდან ჩანს მისი გამოტანა დასაშვებია სარჩელების ობიექტური (სსკ 182-ე მუხლი), სუბიექტური (სსკ 85-ე მუხლი) გაერთიანების დროს და შეგებებული სარჩელის აღძვრის შემთხვევაში (სსკ 188-ე მუხლი).

მაგალითად: ა-ნიმ აღძრა სარჩელი ბ-ანის მიმართ შესანახად მიბარებული ნივთის უკან დაბრუნების შესახებ. ბა-ნიმ (შემნახველმა), თავის მხრივ, აღძრა შეგებებული სარჩელი შენახვისათვის გაწეული ხარჯების 200 ლარის ოდენობით ამ ნივთის მიმბარებელზე, ე.ი. მოსარჩელე ა-ნიზე დაკისრების შესახებ. სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება და დააკმაყოფილა მოსარჩელის სარჩელი, ხოლო შეგებებული სარჩელის გადაწყვეტა გადაიტანა სხვა დროისათვის, ვინაიდან მის მიმართ ყველაფერი არაა გარკვეული.

3. **წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილება** (სსკ 246-ე მუხლი) – ესაა ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც მიიღება სარჩელის მხოლოდ ერთ-ერთი ელემენტის კერძოდ, მისი საფუძვლის მიმართ. სარჩელის საფუძველში შედიან და მას ქმნიან ფაქტიური გარემოებები, რომლებსაც ემყარება და რომლებიც ფაქტობრივად ასაბუთებენ (ამართლებენ) მის მეორე ელემენტს – სარჩელის საგანს (სასარჩელო მოთხოვნას).

ასეთი წინასწარი გადაწყვეტილების გამოტანა შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველი დადგენილია, ხოლო თვითონ მოთხოვნის მოცულობის (ოდენობის) დადგენა დაკავშირებულია დამატებითი მასალების შეგროვებასთან, მრავალრიცხოვან გაანგარიშებებთან, მოთხოვნილი საგნების ოდენობის და ხარისხის განსაზღვრასთან და ა.შ.

მაგალითად: ა-ნიმ აღძრა სარჩელი ბ-ანის მიმართ 100000 ლარის ოდენობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ, რაც გამოწვეული იყო შესანახად მიბარებული ნივთების განადგურებით და დაზიანებით. დადასტურდა, რომ ნივთები მართლაც იყო მიბარებული შესანახად და რომ ამ ნივთების ნაწილი განადგურდა ხანძრის შედეგად, რაც გამოწვეული იყო ბ-ნის უხეში გაუფრთხილებლობით, ხოლო ნაწილი მიბარებული ნივთებისა ძლიერ დაზიანდა. მაგრამ თვითონ მოთხოვნის მოცულობის (ოდენობის) დადგენა დაკავშირებულია მრავალრიცხოვან გაანგარიშებებთან, ნივთების მოცულობის, ოდენობისა და ხარისხის განსაზღვრასთან და ა.შ.
ასეთ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს წინასწარი გადაწყვეტილება და დადგენილად ცნოს ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც საფუძვლად უდევს მოთხოვნას, ხოლო თვითონ მოთხოვნის მოცულობის განსაზღვრა სხვა დროისათვის გადადოს.

წინასწარი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს არა მარტო სააპელაციო წესით, არამედ საკასაციო წესითაც თუ იგი გამოტ-

ანილია სააპელაციო სასამართლოს მიერ.

წინასწარი გადაწყვეტილება არის პრეიდიციული გადაწყვეტილება, რადგან ამ გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები აღარ საჭიროებენ კვლავ დადგენას მეორე გადაწყვეტილების გამოტანისას, რომელიც მოთხოვნის მოცულობას განსაზღვრავს.

გადაწყვეტილებებს ყოფენ აგრეთვე **ალტერნატიულ** და **ფაკულტატურ** გადაწყვეტილებებად.

ალტერნატიული გადაწყვეტილებები შეიძლება ეფუძნებოდნენ მხოლოდ ალტერნატიულ ვალდებულებებს, კერძოდ, სკ 374-ე მუხლის თანახმად თუ რამდენიმე ვალდებულებიდან უნდა შესრულდეს ერთ-ერთი, არჩევის უფლება აქვს მოვალეს. სასამართლო გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს ასეთ არჩევანს.

ფაკულტატურ გადაწყვეტილებად ითვლება გადაწყვეტილება ქონების ნატურით მიკუთვნების შესახებ, თუ მასში მითითებული იქნება ამ ქონების ღირებულება, რომელიც უნდა გადახდეს მოპასუხეს, თუ გადაწყვეტილების აღსრულებისას მას ეს ქონება არ აღმოაჩნდება (სსკ 253-ე მუხლი).

ქონების ღირებულების განსაზღვრა უნდა მოხდეს შემდეგნაირად: თუ მიკუთვნებული ქონება ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთებისაგან შედგება, მაშინ სასამართლომ უნდა განსაზღვროს თითოეული ნივთი ცალ-ცალკე და მათი საერთო ღირებულება ერთობლიობაში. ხოლო თუ მიკუთვნებული ნივთები ხასიათდებიან გვარეობითი ნიშნებით, მაშინ სასამართლო განსაზღვრავს მათ საერთო ღირებულებას.

მაგალითად: ა-ნიმ აღძრა სარჩელი ბ-ანის მიმართ როიალის დაბრუნების შესახებ. სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მიუთითა ამ როიალის ღირებულებაზე, რაც განისაზღვრა 10000 ლარით, რომლის გადახდა დაეკისრა მოპასუხე ბ-ანის იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების აღსრულებისას მასთან არ აღმოჩნდება როიალი (როგორც ამას ითვალისწინებს სსკ 253-ე მუხლი).

ქონების ღირებულების განსაზღვრისას სასამართლოს შეუძლია

მოიწვიოს სპეციალისტი (204-ე მუხლი).

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო სამართლის თეორიაში გადაწყვეტილებების დაყოფა სახეებად ხდება აგრეთვე სხვა ნიშნის მიხედვითაც. მაგალითად, თუ გადაწყვეტილება გამოტანილია ორივე მხარის პროცესში მონაწილეობის შედეგად, ე.ი. შეჯიბრებითობის შედეგად, ასეთ გადაწყვეტილებებს უწოდებენ **კონტრადიქტორულ** (დავის შედეგად მიღებულ) გადაწყვეტილებებს. თუ გადაწყვეტილება მიღებულია მხოლოდ ერთი მხარის მონაწილეობით, ასეთ გადაწყვეტილებას უწოდებენ **უდავო გადაწყვეტილებას**. ასეთ გადაწყვეტილებათა სახეებს განეკუთვნება დაუსწრებელი გადაწყვეტილება, გადაწყვეტილება მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის საფუძველზე და გადაწყვეტილება მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარისთქმის საფუძველზე.[74]

გადაწყვეტილებათა ასეთ სახეებად დაყოფა შეიძლება ჩვენს პროცესშიაც იქნეს გაზიარებული, ოღონდ იმის გათვალისწინებით, რომ თუ მოსარჩელე ამბობს უარს სარჩელზე, სასამართლოს გამოაქვს არა გადაწყვეტილება, არამედ განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ

არსებობს აგრეთვე გადაწყვეტილებათა სახეებად დაყოფა სხვა ნიშნების მიხედვითაც, მაგრამ ძირითადად ყველაზე ფართოდაა აღიარებული გადაწყვეტილების ზემოთ აღნიშნულ სახეებად დაყოფა.

§2. გადაწყვეტილების შინაარსი

გადაწყვეტილების შინაარსი უნდა პასუხობდეს კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს, კერძოდ, სსკ 249-ე მუხლის თანახმად გადაწყვეტილება შედგება შესავალი, აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებისაგან. გადაწყვეტილების თითოეულ ამ ნაწილს აქვს თავისი მნიშვნელობა და ისინი უნდა ჩამოყალიბდეს გადაწყვეტილებაში ისე, როგორც ამას მოითხოვს კანონი და იმ თანმიმდევრობით, როგორც ეს მუხლი გვთავაზობს.

გადაწყვეტილების შესავალი. გადაწყვეტილების ამ ნაწილში აღინიშნება მისი გამოტანის დრო და ადგილი, მისი გამომტანი სასამართლოს დასახელება და შემადგენლობა, სასამართლო სხდომის

74 W. Luke. დასახელებული ნაშრომი, გვ. 352-358.

მდივანი, მხარეები, წარმომადგენლები, დავის საგანი.

არის შემთხვევები, როდესაც გადაწყვეტილებაში არაა მითითებული მისი გამოტანის ადგილი. ასეთ შემთხვევაში ითვლება, რომ მისი გამოტანის ადგილი არის სასამართლოს მისამართი. რაც შეეხება სასამართლოს დასახელებას იგი უნდა ემთხვეოდეს ოქმში მითებული სასამართლოს შემადგენლობას. მართალია იშვიათად, მაგრამ პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც სასამართლოს დასახელება გადაწყვეტილებაში არ ემთხვევა ოქმში მითითებულ სასამართლო შემადგენლობას. ასეთი გარემოება შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, იმ მოტივით, რომ ეს გადაწყვეტილება გამოტანილია არა იმ მოსამართლეების მიერ, რომლებმაც სხდომის ოქმის მიხედვით განიხილეს საქმე, არამედ სხვა მოსამართლეების (მოსამართლის) მიერ, ანუ არაკანონიერი სასამართლოს არაკანონიერი შემადგენლობის მიერ (სსკ 394-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტი).

ასევე, გადაწყვეტილების მიღების თარიღი უნდა ემთხვეოდეს იმ დღეს, როცა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება (სარეზოლუციო თუ მოტივირებული). თუ საქმე არსებითად რთული გადასაწყვეტია, გამონაკლის შემთხვევაში, კანონი უფლებას აძლევს სასამართლოს სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გადადოს გონივრული ვადით, მაგრამ არაუმეტეს **ერთი თვისა** (სსკ 257-ე მუხლი). გადაწყვეტილების გამოტანის დათარიღება იმ რიცხვით, რომლითაც თარიღდება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება, დაუშვებელია და არანაირი აუცილებლობა ამისათვის არ არსებობს.

აღწერილობითი ნაწილი. გადაწყვეტილების ამ ნაწილში მოკლედ მაგრამ ნათლად და გასაგებად უნდა აღინიშნოს:

ა) სასარჩელო მოთხოვნის შინაარსი, ის თუ რას მოითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან. იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელემ სასამართლოში საქმის წარმოების დროს შეცვალა თავისი სასარჩელო მოთხოვნა ანუ სარჩელის საგანი, მაშინ აღწერილობით ნაწილში უნდა აღინიშნოს თუ კონკრეტულად რაში გამოიხატება ასეთი ცვლილება;

ბ) გარემოებები, რომლებსაც ემყარება სარჩელი, ანუ სარჩელის საფუძველი. არ არის გამორიცხული, რომ მოსარჩელის მიერ მითითებულ ფაქტებს შორის არის ისეთი ფაქტებიც, რომლებიც იურიდიულად ვერ ასაბუთებენ სასარჩელო მოთხოვნას. ასეთი

ფაქტების მიმართ არც უნდა შეგროვდეს მტკიცებულებები. ისინი არც შედიან მტკიცების საგანში, მაგრამ სასამართლომ უნდა აღნიშნოს ამ ფაქტების შესახებ აღწერილობით ნაწილში და მიუთითოს, რომ მათ არ აქვთ მნიშვნელობა საქმის სწორად გადაწყვეტისათვის;

გ) მტკიცებულებები, რომლებიც წარმოადგინა მოსარჩელემ სარჩელის საფუძველში მითითებული ფაქტების დასადასტურებლად. თუ სასამართლომ არ მიიღო მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება იმის გამო, რომ იგი დაუშვებელია ან არ აქვს მნიშვნელობა საქმისათვის (სსკ 102-ე მუხლის მე-3 ნაწილი, 104-ე მუხლი), ამის შესახებაც უნდა აღინიშნოს აღწერილობით ნაწილში.

დ) მოპასუხის შესაგებლის მოკლე შინაარსი;

ე) მტკიცებულებები, რომლებზეც მიუთითებს მოპასუხე თავისი შესაგებლის დასადასტურებლად. იგივე უნდა ითქვას შეგებებული სარჩელისა და მესამე პირის სარჩელის შინაარსის გადმოცემაზე, თუ ისინი აღძრული იყო.

აქვე აღწერილობით ნაწილში მითითებული უნდა იყოს მხარეთა მიერ წარმოდგენილი და გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე რომელ გარემოებებზე არ დავობენ მხარეები და რომელი არის სადავო, რის გამოც მათ მიმართ შეგროვდა მტკიცებულებები.

ზ) სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები, მტკიცებულებანი, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, მოსაზრებები რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას.[75]

მოცემული წესიდან გამომდინარე მოსამართლემ უნდა მიუთითოს:

ა) ფაქტები, რომელთა არსებობა-არარსებობის შესახებ არ დავობენ მხარეები (უდავო ფაქტები);

---

75 2007 წლის 28 დეკემბრის ცვლილებით 249-ე მუხლის მე-4 ნაწილიდან ანუ სამოტივაციო ნაწილიდან ამოღებული იქნა ისეთი ნაწილი, რომელშიც უნდა გამოვლენილიყო მოსამართლის დასაბუთების ხელოვნება, კერძოდ: **„სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები, მტკიცებულებანი, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, მოსაზრებები, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას“**. ეს ნაწილი გადატანილი იქნა ამავე მუხლის მე-3 ნაწილში ანუ აღწერილობით ნაწილში. ვთვლით, რომ ის რაც სასამართლომ დაადგინა, სწორედ სამოტივაციო ნაწილში უნდა ყოფილიყო და არა დავის აღწერილობით ნაწილში, როგორც ეს გათვალისწინებული იყო ათეული წლების მანძილზე ქართულ საპროცესო კანონმდებლობაში, და როგორც ამას ითვალისწინებს გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლი, ამიტომ, აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების ასეთი აღრევა ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს და მიმაჩნია დიდ შეცდომად (გ. ლილუაშვილი)

ბ) ფაქტები, რომლებიც დადგენილად ცნო სასამართლომ მტკიცებულებების გამოყენებით, მათ შორის მხარეთა აღიარებით;

გ) მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სასამართლო და ამ მტკიცებულებათა მოკლე ანალიზი.

სამოტივაციო ნაწილი. 249-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით „გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი შეფასება და კანონები რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა. ჩადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში შეიძლება მიეთითოს აგრეთვე მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა."

ამდენად, გადაწყვეტილების ეს ნაწილი იურიდიულად დასაბუთებული უნდა იყოს. იგი მოსამართლის კვალიფიკაციისა და შემოქმედებითი უნარის მაჩვენებელია. მხოლოდ დასაბუთებულ გადაწყვეტილებას შეუძლია დაარწმუნოს მხარეები გამოყენებული კანონების სამართლიანობაში, იმაში რომ საქმის გარემოებები სასამართლომ შეაფასა არა თავისი შეხედულებით, არამედ კანონის საფუძველზე.

აქ მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ თუ მხარეები ვერ დარწმუნდა გადაწყვეტილების სამართლიანობაში და სისწორეში ისინი იწყებენ ბრძოლას კანონით დაშვებული ყველა საშუალებით ასეთი გადაწყვეტილების გაუქმებისათვის. ეს კი ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების საჩივრებით გადატვირთვის ერთ-ერთი მიზეზია.

მოთხოვნა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება არამარტო სწორი, არამედ ფაქტობრივად და იურიდიულად დასაბუთებული იყოს, წარმოადგენს თვით მოსამართლეების კვალიფიკაციის ამაღლების ერთ-ერთ ეფექტიან საშუალებას, რადგან ასეთი ვითარება მათ აკისრებს დამატებით მოვალეობას უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ კანონმდებლობისა და მისი გამოყენების პრაქტიკის ანალიზს და შესაბამისი იურიდიული ლიტერატურის შესწავლას, გადაწყვეტილებაში დასკვნების ნათლად, გასაგებად და ლოგიკური თანმიმდევრობით ჩამოყალიბებას.[76]

სასამართლო გადაწყვეტილებას საფუძვლად უნდა დაედოს

---

76 დაწვრილებით იხ. **თ. ლილუაშვილი** „სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობა". კრებული „საბჭოთა სამოქალაქო სამართლისა და პროცესის აქტუალური საკითხები" თბ. 1977 წ. გვ. 3-30.

ის დასკვნა, რომელიც ლოგიკურად გამომდინარეობს საქმის არსებითად განხილვის პროცესში შემოწმებული, გამოკვლეული და დადგენილი ყველა ფაქტიდან. თუ სასამართლო მტკიცებულებებს შეაფასებს თითოეულს ცალ-ცალკე და ყველას ერთობლიობაში და დაადგენს, რომ ესა თუ ის წარმოდგენილი მასალა, მოწმის ჩვენება, სხვა მტკიცებულებები ვერ ადასტურებს იმ გარემოებებს, რომლებზეც, როგორც საფუძველზე, მხარეები ამყარებენ თავიანთ მოთხოვნებსა და შესაგებელს, მან გადაწყვეტილებაში დამაჯერებლად უნდა დაასაბუთოს თავისი დასკვნა ამის შესახებ.[77]

სამოტივაციო ნაწილში შეიძლება მიეთითოს აგრეთვე მსგავს სამართლებრივ საკითხებზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა.

და ბოლოს, არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ჰ. ბოელინგისა და ლ. ჭანტურიას მოსაზრებას იმის შესახებ, რომ **მიუხედავად იმისა, თუ რამდენად დიდია საჯარო ინტერესი სამოქალაქო დავის ცალკეულ შემთხვევებში, საზოგადოებას აქვს უფლება იცოდეს, თუ რა გადაწყვეტილებები გამოაქვთ მისი სახელით და რა არის მათი საფუძველი. მხოლოდ აწონილ-დაწონილ და დამაჯერებლად დასაბუთებულ გადაწყვეტილებას აქვს შანსი მიღებული იქნეს საზოგადოების მიერ და რომ დასაბუთებული გადაწყვეტილება ემსახურება არა ცალკეული მოსამართლის გამართლებას, არამედ ზოგადად ქმნის წარმოდგენას მართლმსაჯულებაზე.**[78]

მას შემდეგ, რაც აღწერილობით ნაწილში ზედმიწევნით ნათლად, გასაგებად და ამომწურავად იქნება მითითებული ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც სასამართლომ ჩათვალა დადგენილად, სასამართლომ, სამოტივაციო ნაწილში უნდა მიუთითოს იმ მატერიალურ მართლებრივ ნორმაზე (ნორმებზე), რომლის მიხედვითაც შეაფასა მან დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, აგრეთვე დაასაბუთოს ამ ნორმის გამოყენების მიზანშეწონილობა. მითითებული უნდა იყოს ნორმის (კანონის) ნაწილი, პუნქტი, ქვეპუნქტი და ა. შ.

რაც შეეხება სასამართლო აქტებში საქართველოს სახელმწიფოს მიერ არარატიფიცირებული საერთაშორისო ნორმატიული აქტების

---

77 შ. ქურდაძე და ნ. ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, „მერიდიანი“ 2015, 591 გვ.

78 **ჰაინ ბოელინგი, ლადო ჭანტურია**. სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა. გ-ბა „ჯისიაი“, თბ. 2003, გვ. 70-77

გამოყენებას, უზენაესმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებებში არაერთხელ აღნიშნა რომ მათ „აღიარებაზე საქართველოს გაცემული არ აქვს თანხმობა. შესაბამისად, იგი ვერ იქნება მიჩნეული საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელ ნაწილად და მასზე სასამართლოს მიერ მიღებული იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტის-სახელმწიფოს სახელით მიღებული გადაწყვეტილების დაფუძნება უმართებულოა.".[79]

სარეზოლუციო ნაწილი. სსკ-ის 249-ე მუხლის მე-5 ნაწილი შეიცავს ზოგად მითითებას იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი. კერძოდ, სარეზოლუციო ნაწილი „უნდა შეიცავდეს სასამართლოს დასკვნას სარჩელის დაკმაყოფილების ან სარჩელზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარისთქმის შესახებ..." მართლაც, იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო თვლის, რომ სარჩელზე უარი უნდა ეთქვას მოსარჩელეს, მას შეუძლია შემოიფარგლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში იმაზე მითითებით, რომ უარი ეთქვას მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე. მაგრამ, იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო აკმაყოფილებს სარჩელს, მას უკვე არ შეუძლია შემოიფარგლოს სარეზოლუციო ნაწილში მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ მოსარჩელის სარჩელი დაკმაყოფილდეს. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ასეთნაირად ჩამოყალიბება იწვევს მისი აღსრულების შეუძლებლობას, ვინაიდან არ არის გარკვეული, თუ რას მოითხოვს კონკრეტულად მოსარჩელე თავისი სარჩელით, რომელიც დააკმაყოფილა სასამართლომ. ასეთ შემთხვევაში საჭირო ხდება მივმართოთ თვით სარჩელს და გავარკვიოთ სასარჩელო მოთხოვნის არსი. მაგრამ ვინ უნდა გააკეთოს ეს? სასამართლო აღმასრულებელს ამის უფლება არ აქვს: მან უნდა აღასრულოს გადაწყვეტილება, რომლის სარეზოლუციო ნაწილი მთლიანად გადადის სააღსრულებო ფურცელში. რახან აღმასრულებელმა არ იცის კონკრეტულად რა მოქმედება უნდა შეასრულოს ვალდებულმა პირმა, ის ვერც შეძლებს აღასრულოს გადაწყვეტილება. მაშასადამე, ეს უნდა გააკეთოს გადაწყვეტილების გამომტანმა სასამართლომ. მაგრამ ამის გაკეთება დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებული წესით. სსკ 261-ე მუხლის „ბ" პუნქტის თანახმად, თუ სასამართლოს, რომელმაც დააკმაყოფილა სარჩელი, არ მიუთითებია გადასახდელი თანხის ოდენობა, გადასაცემი ქონება,

79 სუსგ სამოქალაქო სამართლის საქმეებზე, 2016, 9, გვ. 137

ან მოქმედება, რომელიც მხარემ უნდა შეასრულოს – სასამართლომ უნდა გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება. დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანისათვის კი კანონი განსაზღვრავს წესს; ცხადია, რომ ყოველივე ეს ქმნის დამატებით სირთულეებს, დაკავშირებულია დამატებით ხარჯებთან და საბოლაო ანგარიშში იწვევს საქმის დასრულების უზომოდ გაჭიანურებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზოგიერთი მუხლი პირდაპირ უთითებს მოსამართლეს თუ რა უნდა გაითვალისწინოს სარეზოლუციო ნაწილში, მაგალითად, სსკ 256-ე მუხლიდან გამომდინარე **თუ გადაწყვეტილება გამოტანილია რამდენიმე მოსარჩელის სასარგებლოდ, სასამართლომ უნდა მიუთითოს, თუ რა წილი ეკუთვნის თითოეულ მოსარჩელეს. ასეთი მოვალეობისგან სასამართლო თავისუფლდება** როცა მოსარჩელეები სოლიდარული კრედიტორები არიან, როგორც ამას სამოქალაქო კოდექსის 455-462-ე მუხლები ითვალისწინებს. ასეთ შემთხვევაში სასამართლო უთითებს თავისი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში, რომ გადახდევინება სოლიდარულია.

თუ გადაწყვეტილება გამოტანილია რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, სასამართლო ვალდებულია მიუთითოს თითოეულმა მოპასუხემ გადაწყვეტილების რა ნაწილი უნდა შეასრულოს. ასეთი მოვალეობისაგან სასამართლო თავისუფლდება, როცა პასუხისმგებლობა სოლიდარულია (სკ 463-ე მუხლი), რის შესახებაც მითითებული უნდა იყოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში.

ამიტომ, სარეზოლუციო ნაწილის ჩამოყალიბებას სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს და ეცადოს იგი ჩამოაყალიბოს იმპერატიული ფორმით, მაქსიმალურად ნათლად და აბსოლუტურად ამომწურავად.[80]

სასამართლო თავის გადაწყვეტილებას იღებს იმ სასარჩელო მოთხოვნების მიმართ, რომლებიც წარმოადგინა მოსარჩელემ. გადაწყვეტილების შინაარსზე განსაკუთრებით კი მის სარეზოლუციო ნაწილის შინაარსზე უშუალო გავლენას ახდენს სასარჩელო მოთხოვნის ხასიათი, ის თუ რას მოითხოვს მოსარჩელე: რაიმეს მიკუთვნებას, უფლების (სამართლებრივი ურთიერთობის) არსებობა-არასებობის დადგენას, თუ ასეთი ურთიერთობის გარდაქმნას.

---

80 გადაწყვეტილების აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილების ჩამოყალიბების მნიშვნელობაზე და მეთოდებზე უაღრესად საჭირო რეკომენდაციებს გვთავაზობს **ჰ.ბოელინგისა და ლ. ჭანტურიას** ზემოდ დასახელებული წიგნი.

გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი დამოკიდებულია იმაზე, გამოაქვს სასამართლოს საბოლოო, ნაწილობრივი თუ წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილება (სსკ 243-ე, 245-ე, 246-ე მუხლები).

საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ წინასწარი გადაწყვეტილება. წინასწარი ანუ შუალედური ეწოდება ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც გამოდის სარჩელის მხოლოდ ერთ-ერთი ელემენტის – მისი საფუძვლის მიმართ ანუ იმ ფაქტების მიმართ, რომლებიც საფუძვლად უდევს მოსარჩელის მოთხოვნას. ასეთ გადაწყვეტილებას აქვს პრეიდიციული (წინასწარგადამწყვეტი) ძალა სასამართლოს მომდევნო მეორე გადაწყვეტილებისათვის, რომელიც მოთხოვნის მოცულობას განსაზღვრავს (სსკ 246-ე მუხლის მე-2 ნაწილი). აქედან გამომდინარე, წინასწარი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში უნდა ზუსტად და ამომწურავად მიეთითოს, თუ ამ საქმის საბოლოო გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე რომელი ფაქტიური გარემოება ცნო სასამართლომ დადგენილად.

ბოლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში აუცილებლად უნდა აღინიშნოს სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების შესახებ, კერძოდ, აუცილებლად უნდა იყოს მითითებული რომელი მხარისაგან და რა ოდენობით უნდა იქნეს გადახდევინებული ეს ხარჯები, აგრეთვე, რომელი მხარეა განთავისუფლებული ამ ხარჯებისაგან.

სარეზოლუციო ნაწილში აუცილებლად უნდა მიეთითოს, თუ რა წესით შეიძლება გადაწყვეტილების გასაჩივრება და რომელ სასამართლოში შეიძლება საჩივრის შეტანა.

მართალია მოტივირებული გადაწყვეტილების გამოტანა სასამართლოს მოვალეობაა, მაგრამ მიუხედავად ამისა, **ორ შემთხვევაში** შეუძლია სასამართლოს შემოიფარგლოს გადაწყვეტილების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილის ჩამოყალიბებით: **პირველი** – თუ მხარეები მოითხოვენ გადაწყვეტილებას დასაბუთების გარეშე იმ მოტივით, რომ ეთახმებიან ამ გადაწყვეტილებას და უარს ამბობენ მის გასაჩივრებაზე (სსკ 250-ე მუხლი). ასეთ შემთხვევაში მხარეთა განცხადება უნდა აისახოს ოქმში და დადასტურდეს მათივე ხელმოწერით. მხარეებს შეუძლიათ ერთობლივი განცხადებითაც მიმართონ ამის შესახებ სასამართლოს, რომელიც დაერთვის ოქმს.

მეორე – ისეთ საქმეებზე რომლებზეც სააპელაციო საჩივარი

არ დაიშვება სსკ 257[1]-ე მუხლი), მაგალითად, თუ მხარეთა შორის დავა არ სცილდება 2000 ლარს (სსკ 365-ე მუხლი). ასეთ შემთხვევაში მოსამართლე განმარტავს გადაწყვეტილების მოტივებს, რაც ცვლის გადაწყვეტილების აღწერილობით და სამოტივაციო ნაწილებს. მოსამართლის განმარტება აისახება სასამართლოს სხდომის ოქმში.

გადაწყვეტილების ჩამოყალიბების შემდეგ მხარეებს, რომლებიც ესწრებოდნენ სასამართლო გადაწყვეტილების გამოცხადებას, განცხადების საფუძველზე გადაეცემათ სასამართლო გადაწყვეტილების ასლები განცხადების შეტანიდან 3 დღის მანძილზე (სსკ 259-ე მუხლი). გადაწყვეტილებაში მოიაზრება როგორც მოტივირებული გადაწყვეტილება ასევე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი (სსკ-ის 257-ე მუხლი).

რაც შეეხება მხარეებს, რომლებიც არ ესწრებოდნენ მოტივირებული გადაწყვეტილების გამოცხადებას, ასეთი მოტივირებული გადაწყვეტილების დამოწმებული ასლი მათ ეგზავნებათ სასამართლოს ინიციატივით. საქმე ისაა, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის მისი სააპელაციო ან საკასაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ. ეს ვადა კი იწყება იმ დღიდან, როცა იგი გადაეცემა მხარეს (იგულისხმება გასაჩივრების უფლების მქონე მხარე გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრებოდა საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი (369-ე და 397-ე მუხლები). გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად კი ითვლება ამ გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში, ან მისი მხარისათვის გადაგზავნა 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

გადაწყვეტილების ასლებს ხელს აწერს სასამართლოს კანცელარიის მდივანი და უსვამს სასამართლოს ბეჭედს.

თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

მოსარჩელეები ალიმეტის გადახდევინების სარჩელებზე, მოსარჩელეები დასახიჩრებით ან ჯამრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სარჩელებზე და ა.შ. (სსკ 46-ე მუხლი), ასევე პატიმრობაში მყოფი იმ პირებისათვის, რომლებსაც არ ჰყავთ წარმომადგენელი, გადაწყვეტილების ასლის გაგზავნასა და ჩაბარებას უზრუნველყოფს სასამართლო ამავე კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესით (სსკ-ის 259[1]-ე მუხლი).

§3. გადაწყვეტილების ნაკლი და მისი გასწორების წესი

გადაწყვეტილებას შეიძლება აღმოაჩნდეს ნაკლი, რომელიც ამ გადაწყვეტილების სხვადასხვა ნაწილს შეიძლება ახასიათებდეს. ნაკლი შეიძლება გამოიხატოს იმით, რომ გადაწყვეტილება არ ემყარება კანონს, რომლითაც სასამართლომ იხელმძღვანელა მისი გამოტანის დროს, ან მასში არაა მითითებული ფაქტებზე, რომლებსაც ეს გადაწყვეტილება ემყარება, ან კიდევ, არაა მითითებული იმ ქონებაზე, რომელიც მოპასუხემ უნდა დაუბრუნოს მოსარჩელეს, არაა მითითებული იმ კონკრეტულ მოქმედებაზე, რომელიც უნდა შეასრულოს მოპასუხემ და ა.შ.

მთელი რიგი ნაკლოვანებებისა და ხარვეზებისა, რომლებიც გააჩნია გადაწყვეტილებას, შეიძლება გამოასწოროს მხოლოდ ზემდგომმა სასამართლომ ან უშუალოდ, ან გააუქმოს საჩივრის საფუძველზე ნაკლოვანებიანი გადაწყვეტილება და დააბრუნოს საქმე ხელახლა განსახილველად.

მაგრამ, არის მთელი რიგი ნაკლოვანებებისა, რომლებიც შეუძლია გამოასწოროს უშუალოდ ამ გადაწყვეტილების გამომტანმა სასამართლომ. კანონი მიუთითებს ასეთ ნაკლოვანებებზე და განსაზღვრავს მათი გამოსწორების წესს.

1. **გადაწყვეტილებაში უსწორობათა და აშკარა არითმეტიკული შეცდომების გასწორება**. აქ მხედველობაშია უსწორობისა და შეცდომების გასწორება გადაწყვეტილებაში, რომელიც უკვე გამოეცხადათ მხარეებს. თუ გადაწყვეტილებაში უსწორობა და შეცდომები გამოვლინდა მის გამოცხადებამდე, მაშინ მათი გასწორება ხდება სხვა წესით, რომელსაც ითვალისწინებს სსკ 243-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

აღნიშნული მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ უსწორობა და შეცდომა გამოვლინდა გადაწყვეტილების გამოცხადებამდე, მაშინ თვითონ გადაწყვეტილებაში შეიძლება გაკეთდეს ეს შესწორება (ჩასწორება). ამ შესწორებას მოსამართლეთა ხელმოწერების წინ უნდა გაუკეთდეს შენიშვნა. ამასთან, თუ სიტყვა ან ფრაზა უნდა გადაიშალოს, ასეთი გადაშლა ისე უნდა მოხდეს, რომ შესაძლებელი იყოს იმის ამოკითხვა, თუ რა ეწერა იქ გადაშლამდე, ხოლო მის თავზე უნდა მოხდეს ჩამატება. გადაწყვეტილებაში უნდა ჩაიწეროს: „ენდეთ ჩასწორებულს" და ხელი უნდა მოაწეროს ყველა იმ მოსამართლემ, რომლებიც ხელს აწერენ გადაწყვეტილებას.

დასაშვებია გადაწყვეტილების ხელმეორედ ჩამოყალიბება თუ ჩასწორებები ბევრია. მაგრამ, თუ ასეთი ნაკლოვანებანი გამოვლინდა გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ, მაშინ მისი გამოსწორებისათვის გამოტანილი უნდა იქნეს განჩინება. შესწორების შეტანა დასაშვებია როგორც მხარეთა ინიციატივით, ისე სასამართლოსა და აღმასრულებლის ინიციატივითაც.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ემყარება პრინციპულ დებულებას იმის შესახებ, რომ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება არ აქვს შეცვალოს ან გააუქმოს თავისი გადაწყვეტილება, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული გამონაკლისებისა. აქედან გამომდინარე, **დაუშვებელია გადაწყვეტილებაში ისეთი შესწორების შეტანა, რ**ომელიც არსებითად ცვლის გადაწყვეტილებას, მის აზრსა და შინაარს. დასაშვებია მაგალითად გვარის, სახელის თუ სახელწოდების დაზუსტება, აგრეთვე არითმეტიკული უზუსტობის გასწორება, რომლებმაც გამოიწვიეს გადასახდევინებელი თანხის ოდენობის აშკარა შემცირება ან გადიდება. **მაგალითად,** აკლია ციფრი **„0"** ან სხვა რომელიმე ციფრი, რაც ისე ცვლის თანხის ოდენობას, რომ აშკარად არ შეესაბამება საქმის მასალებს და მოთხოვნის ოდენობას, რის შესახებაც იყო მსჯელობა სასამართლოს სხდომაზე.

გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანას აქვს აზრი ამ გადაწყვეტილების აღსრულებამდე (მიკუთვნებით გადაწყვეტილებაში). რაც შეეხება აღიარებით გადაწყვეტილებებს, რომელთა აღსრულება არ ხდება, მათში შესწორების შეტანა არაა შემოფარგლული რაიმე ვადით (სსკ 260 მუხლი).

2. **დამატებითი გადაწყვეტილება** (სსკ 261-ე მუხლი). დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის აუცილებლობა შეიძლება წარ-

მოიშვას იმ შემთხვევაში, როცა ძირითადი გადაწყვეტილება არაა სრულყოფილი და არ შეიცავს პასუხს ყველა იმ საკითხზე, რომელიც განხილვის საგანი იყო სასამართლო პროცესში.[81]

დამატებითი გადაწყვეტილებით ყველა იმ ნაკლოვანებების გამოსწორება, რომელიც გააჩნია ძირითად გადაწყვეტილებას ცხადია არ შეიძლება. ზოგჯერ ნაკლოვანებები ისეთია, რომ აუცილებელია მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების გამოტანა. ამიტომ, **ბუნებრივია** იბადება კითხვა: **რა შემთხვევაში შეიძლება გადაწყვეტილების ნაკლოვანებების გამოსწორება დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანით, ისე რომ არ გაუქმდეს ძირითადი გადაწყვეტილება?**

ამ კითხვაზე პასუხს გვაძლევს სსკ 261-ე მუხლი, რომელიც შეიცავს დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის **პირობებს** და რომელთა გათვალისწინება სავალდებულოა სასამართლოსათვის.

პირველი პირობის თანახმად, დამატებითი გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იქნეს გამოტანილი, თუ ამ საქმეზე გამოტანილი ძირითადი გადაწყვეტილება არ შეიცავს პასუხს მხარის ისეთი მოთხოვნის მიმართ, რომელიც მართალია იყო განხილვის საგანი, წარმოდგენილი იყო მტკიცებულებები ამ მოთხოვნის ფაქტობრივი დასაბუთებისათვის, ე.ი. მოხდა მისი განხილვა ამ კოდექსით დადგენილი წესით, მაგრამ სასამართლოს რატომღაც გამორჩა მხედველობიდან მიეღო გადაწყვეტილება ამ კონკრეტული მოთხოვნის მიმართ (სსკ 261-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტი). **მაგალითად,** სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება მოპასუხეზე ვალის გადახდევინების დაკისრების შესახებ, მაგრამ არ მიიღო გადაწყვეტილება პროცენტების შესახებ, რომლის თაობაზე მოსარჩელემ წარადგინა მტკიცებულებები, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და ა.შ. ან კიდევ, მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხის ბინიდან გამოსახლება და მასზე ბინის ქირის გადახდევინების დაკისრება. სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით დაადგინა მოპასუხის ბინიდან გამოსახლება, მაგრამ არაფერი თქვა (გამორჩა) მასზე ბინის ქირის გადახდევინების დაკისრების შესახებ საკითხის გადაწყვეტაზე.

მეორე პირობის თანახმად, დამატებითი გადაწყვეტილება შეიძლება გამოტანილი იქნეს იმ შემთხვევაშიაც, როდესაც სასამართ-

81 აღნიშნული მოსაზრება გაზიარებულია უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაშიც. იხ. სუსგ სამოქალაქო სამართლის საქმეებზე, 2021, № 6, გვ. 111

ლომ მართალია დაადგინა, რომ დაკმაყოფილდეს სასარჩელო მოთხოვნა, მაგრამ არ მიუთითა არც გადასახდელი თანხის ოდენობა და არც გადასაცემი ოქნება ან მოქმედება რომელიც მოპასუხეს უნდა შეესრულებინა (სსკ 261-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტი). **მაგალითად,** დაადგინა გადაუხადოს მოპასუხემ თანხა, ან გადასცეს ნივთი, მაგრამ არ მიუთითა რა ოდენობის თანხა გადაიხადოს ან რა სახის ქონება გადასცეს. ან კიდევ, სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხემ შეასრულოს მოსარჩელის სასარგებლოდ მოქმედება, მაგრამ არ მიუთითა თუ კონკრეტულად რომელი მოქმედება (ამოაშენოს ტიხარი, მოანგრიოს კედელი, ამოქოლოს ფანჯარა და ა.შ.).

მესამე პირობა დაკავშირებულია სასამართლო ხარჯების განაწილებასთან (სსკ 261-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ" ქვეპუნქტი) . სსკ 249-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე. თუ მოსამართლეს გამორჩა ეს და გადაწყვეტილება შეიცავს ხარვეზს ამ თვალსაზრისით, მაშინ იგი შეიძლება შეივსოს დამატებითი გადაწყვეტილებით.

ამდენად, აღნიშნული ქვეპუნქტი არეგულირებს შემთხვევას, როდესაც მხარემ დასვა საპროცესო ხარჯების მოწინააღმდეგისათვის დაკისრების საკითხი, თუმცა სასამართლოს თავისი ბრალით გამორჩა მხედველობიდან ამ საკითხის გადაწყვეტა, ამასთანავე, მითითებული ნორმა არეგულირებს ე.წ „ნაკლიანი" გადაწყვეტილების გასწორების შესაძლებლობას და მისი რეგულირების ქვეშ მოიაზრება მთლიანად სასამართლო ხარჯების საკითხი (როგორც სასამართლო, ისე არასასამართლო ხარჯები).[82]

პრაქტიკაში უფრო გავრცელებულია ისეთი შემთხვევები, როდესაც აღძრული იყო რამდენიმე მოთხოვნა, სასამართლომ განიხილა ყველა ეს მოთხოვნა, მაგრამ ერთ-ერთი მოთხოვნის მიმართ გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

დამატებითი გდაწყვეტიულება შეიძლება გამოტანილი იქნეს სასამართლოს ინიციატივით ან მხარის თხოვნით.

დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის აუცილებლობა შეიძლება წარმოიშვას როგორც ძირითადი მოთხოვნის, ისე შეგებებული სარჩელისა და მესამე პირის სარჩელის მიმართაც.

დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი შეიძლება დაისვას ძირითადი გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 7 დღის

82 სუსგ სამოქალაქო სამართლის საქმეებზე, 2021, № 6, გვ. 111-112

განმავლობაში. ამ მუხლის დანაწესი ისე უნდა გავიგოთ, რომ ძირითადი გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრებოდნენ მხარეები. მაგრამ, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას არ ესწრებოდნენ მხარეები, ან ერთ-ერთი მხარე, მაშინ 7 დღიანი ვადის დენა უნდა დაიწყოს იმ დღიდან, როდესაც მხარეს ჩაბარდა მოტივირებული გადაწყვეტილება. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ 7 დღიანი **ვადის დენა უნდა დაიწყოს იმ დღიდან,** საიდანაც იწყება გადაწყვეტილების სააპელაციო (საკასაციო) წესით **გასაჩივრების ვადის დენა**.

ამ ვადის არც გაგრძელება და არც აღდგენა არ დაიშვება. თუ ეს ვადა გაშვებული იქნა და დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა დაიკარგა, მაშინ მხარეს შეუძლია გაასაჩივროს ძირითადი გადაწყვეტილება, მოითხოვოს მისი გაუქმება და საქმის ხელმეორედ განხილვა იმ მოტივით, რომლებიც მითითებულია სსკ 261-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" და „"ბ" ქვეპუნქტებში, ხოლო სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი თვითონ ზემდგომ სასამართლოსაც შეუძლია ისე, რომ არ გააუქმოს გადაწყვეტილება. დამატებით გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებით აღნიშნული 7 დღიანი ვადა ასევე ეხება სასამართლოსაც. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ აღნიშნა „საკასაციო საჩივრის პრეტენზია შეეხება იმას, რომ გასაჩივრებული დამატებითი გადაწყვეტილება უკანონოა, ვინაიდან მოსარჩელემ დამატებითი გადაწყვეტილების მიღების შესახებ სასამართლოს მიმართა კანონით დადგენილი 7-დღიანი ვადის დარღვევით, თუმცა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული ვადა ვრცელდება მხოლოდ მხარეებზე, ხოლო სასამართლოს დამატებითი გადაწყვეტილების მიღების კუთხით რაიმე შეზღუდვა არ გაჩნია. მას შეუძლია, საკუთარი ინიციატივით დამატებითი გადაწყვეტილება ნებისმიერ დროს მიიღოს. . .

საკასაციო სასამართლოს არაერთ განჩინებაში განმარტებულია, რომ დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე ინიციატივის გამოჩენის შესაძლებლობას კანონი ანიჭებს ასევე სასამართლოს. ამასთან, ზემოხსენებული საკითხის დასმა სასამართლომაც, დაინტერესებული მხარის მსგავსად, 7-დღის ვადაში უნდა განახორციელოს. კანონი აქ რაიმე გამონაკლისს არ უშვებს.[83]

„ა" და „ბ"ქვეპუნქტთან დაკავშირებით დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხს, სასამართლო წყვეტს საქმეთა

83 სუსგ სამოქალაქო სამართლის საქმეებზე, 2021, № 3, გვ. 180

განხილვის საერთო წესის დაცვით, კერძოდ იგი ნიშნავს სხდომას, რის შესახებაც ატყობინებს მხარეებს. მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანას, ვერ გახდება დაუსწრებელი დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი. ხოლო „გ" ქვეპუნქტთან ანუ ხარჯების განაწილებასთან დაკავშირებულ საკითხს სასამართლო განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე. თუმცა სასამართლოს შეუძლია დაადგინოს ზეპირი განხილვაც თუ ამას საჭიროდ ჩათვლის და ხელს შეუწყობს საქმის გარემოებების გარკვევას. ზეპირი განხილვის შემთხვევაში მხარეებს ეცნობებათ სხდომის ჩატარების დრო და ადგილი. მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს სასამართლოს მიერ საკითხის განხილვასა და გადაწყვეტას. ამასთან ერთად, მათი გამოუცხადებლობა ვერ გახდება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი.

სასამართლოს ინიციატივით საკითხის დასმის ფორმასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა: „თუ დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის ინიციატორი სასამართლოა, მან ეს საკითხი შეიძლება დასვას მხოლოდ მის მიერ მიღებული განჩინებით, ვინაიდან სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, მიიღება განჩინების ფორმით (სსკ-ის 284.1 მუხლი). მაგალითად, თუ საკითხი ეხება სსსკ-ის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებს, სასამართლომ თავისი განჩინებით უნდა დაადგინოს, რომ ზემოხსენებული საფუძვლებით დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი განიხილება ზეპირი მოსმენით (სასამართლო სხდომაზე), რომლის თაობაზეც უნდა ეცნობოთ მხარეებს კანონით დადგენილი წესით (სსკ-ის 261.3 მუხლი), ხოლო, თუ საკითხი ეხება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას, სასამართლომ თავისი განჩინებით უნდა დაადგინოს, რომ სასამართლო ხარჯების თაობაზე დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე ან ზეპირი მოსმენით (სასამართლო სხდომაზე), რის თაობაზეც ასევე უნდა ეცნობოთ მხარეებს (სსკ-ის 261.31 მუხლი)".[84]

დამატებითი გადაწყვეტილების შესახებ საკითხის დასმა და განხილვა ვერ შეაჩერებს ძირითადი გადაწყვეტილების კანონი-

84 სუსგ სამოქალაქო სამართლის საქმეებზე, 2021, № 3, გვ. 180-181

ერ ძალაში შესვლას და მისი ვადის დენის შეჩერებას. თვითონ დამატებითი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში იმ წესით და იმ ვადებში, როგორც ძირითადი გადაწყვეტილება (სსკ 264-ე მუხლი) და მისი გასაჩივრება შეიძლება იმავე წესით, რა წესითაც საჩივრდება ძირითადი გადაწყვეტილება (სსკ 369-ე მუხლი). დამატებითი გადაწყვეტილება არის ძირითადი გადაწყვეტილების ორგანული ნაწილი, მაგრამ თუ იგი არ გასაჩივრებულა ითვლება, რომ ამ ნაწილში ძირითადი გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა და იგი შედის კანონიერ ძალაში.

თუ სასამართლოს აზრით არ არსებობს დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის პირობები, მას გამოაქვს განჩინება დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანაზე უარის თქმის შესახებ, რომელზეც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა (სსკ 414-420-ე მუხლები).

3. **გადაწყვეტილების განმარტება** (სსკ 262-ე მუხლი). როგორც ზემოთ აღინიშნა გადაწყვეტილება უნდა იყოს ნათელი და გასაგები ყველასათვის და განსაკუთრებით იმათთვის, ვისაც იგი უშუალოდ ეხება. ამასთან ერთად, არის შემთხვევები, როდესაც გადაწყვეტილება მთლიანად ან მისი რომელიმე ნაწილი არაა გასაგებად ჩამოყალიბებული, ზოგჯერ კი შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ ან შეუსაბამო დებულებებს. ასეთ შემთხვევაში დასაშვებია მისი განმარტება იმის აუცილებლად გათვალისწინებით, რომ განმარტების სახით არ მოხდეს გადაწყვეტილების ძირითადი აზრისა და შინაარსის შეცვლა.

სსკ 262-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს გადაწყვეტილების განმარტების წინაპირობას. ასეთი წინაპირობაა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვნება.

გადაწყვეტილების განმარტება რომ განხორციელდეს, აუცილებელია აგრეთვე შემდეგი პირობების არსებობა: 1) მხარის ან აღმასრულებლის განცხადება; 2) გადაწყვეტილება არ აღსრულებულა, ან ჯერ კიდევ არ გასულა მისი აღსრულების დრო, ანუ ჯერ კიდევ არ გასულა ათი წელი მისი კანონიერ ძალაში შესვლიდან (სამოქ. კოდექსის 142-ე მუხლი).

ეს არის დრო, რომლის განმავლობაშიც შეიძლება მოხდეს აღსრულებადი გადაწყვეტილების (განჩინების) განმარტება. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ არ შეიძლება აღიარებით სარჩელზე (სსკ 180-ე მუხლი) გამოტანილი აღუსრულებადი

გადაწყვეტილების ან წინასწარ (შუალედურ) გადაწყვეტილებაზე განმარტება. ნებისმიერი გადაწყვეტილება, თუ იგი მოითხოვს განმარტებას, შეიძლება განმარტოს სასამართლომ.

განცხადებით, გადაწყვეტილების განმარტების შესახებ, შეიძლება მიმართონ სასამართლოს ნებისმიერ დროს მოტივირებული გადაწყვეტილების გამოტანიდან მის აღსრულებამდე. განცხადებას სასამართლო განიხილავს შეტანიდან ერთი თვის ვადაში.

დაუშვებელია იმ გადაწყვეტილების განმარტება, რომელიც აღსრულებულია.

განჩინება გადაწყვეტილების განმარტების შესახებ ეგზავნება ზემდგომ სასამართლოს თუ იქ განიხილება საჩივარი იმ გადაწყვეტილებაზე, რომლის განმარტებასაც ეხება ეს განჩინება.

გადაწყვეტილების განმარტებას ახდენს ის სასამართლო (მოსამართლე), რომელმაც იგი გამოიტანა. თუ ის სასამართლო შემადგენლობა ან მოსამართლე არ არის, მაშინ განმარტებას გააკეთებს ამ სასამართლოს სხვა შემადგენლობა ან მოსამართლე.

განჩინება განმარტების შესახებ არის გადაწყვეტილების ორგანული ნაწილი და ჩაეკერება საქმეში.

გადაწყვეტილების განმარტების შესახებ მხარის განცხადების მიღება ან მისი განხილვა ვერ შეაჩერებს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას.

დაუშვებელია გადაწყვეტილების განმარტების სახით ახალი გადაწყვეტილების მიღება ან ადრე მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა.

განმარტების აუცილებლობა შეიძლება წარმოიშვას არამარტო გადაწყვეტილებების, არამედ განჩინებების მიმართაც, ასეთ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია განმარტოს განჩინება ამ მუხლის ანალოგიით (კანონის ანალოგია).

გადაწყვეტილების განმარტების შესახებ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა, ხოლო გადაწყვეტილების განმარტებაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ განჩინებაზე კერძო საჩივარი არ შეიტანება.

§4. გადაწყვეტილების კანონიერი ძალა

I. გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ცნება. ფორმალური და მატერიალური კანონიერი ძალა

გადაწყვეტილების გამოტანით მთავრდება საქმის განხილვა სასამართლოში და ამ საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელების მთელი პროცესი. უფრო მეტიც, სასამართლოს, რომელმაც ეს გადაწყვეტილება გამოიტანა, უფლება არ აქვს შეცვალოს იგი, ხოლო მხარეებს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ამ გადაწყვეტილებით შეილახა მათი ინტერესი, შეუძლიათ აგრეთვე უარი თქვან მის გასაჩივრებაზე და ნებაყოფლობით აღასრულონ გადაწყვეტილება.

ამასთან ერთად, არც გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების გამოყენების შესაძლებლობა არ შეიძლება დაუსრულებლად გაიჭიმოს დროში და არც ამ გადაწყვეტილების აღსრულება არ შეიძლება მთლიანად დამოკიდებული იყოს მხარის ნებასურვილზე.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გარკვეულ ეტაპზე სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება აღარ შეიძლება გასაჩივრდეს, ხოლო თუ მხარეები მას არ ასრულებენ ნებაყოფლობით, იგი უნდა აღსრულდეს იძულებითი წესით, როცა საკითხი ეხება აღსრულებით გადაწყვეტილებებს. რაც შეეხება აღიარებით და გარდაქმნით გადაწყვეტილებებს, ამ გადაწყვეტილებით დადგენილი უფლებები თუ სამართლებრივი ურთიერთობები აღარ შეიძლება სადავო გახადონ მხარეებმა.

ეს კი შესაძლებელია მას შემდეგ, როცა გადაწყვეტილება შევა კანონიერ ძალაში, შეიძენს კანონის ძალას.

რას ნიშნავს გადაწყვეტილების კანონიერი ძალა?

გადაწყვეტილების კანონიერი ძალა – ესაა გადაწყვეტილების თვისება, რომელსაც იგი იძენს გარკვეული, კანონით ზუსტად განსაზღვრული პირობების საფუძველზე და რომლის ძალით ეს გადაწყვეტილება აღარ შეიძლება გასაჩივრდეს. სარჩელი, რომლის მიმართაც იგი გამოტანილია აღარ შეიძლება ხელმეორედ იქნეს განხილული, გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი აღარ შეიძლება სადავო გახადონ მხარეებმა და იგი შეიძლება იძულებით აღსრულდეს, თუ საკითხი აღსრულებით გადაწყვეტილებას ეხება.

ერთმანეთისაგან განასხვავებენ გადაწყვეტილების **ფორმალურ** და **მატერიალურ** კანონიერ ძალას.

1. გადაწყვეტილების ფორმალური კანონიერი ძალა

გადაწყვეტილების ფორმალური კანონიერი ძალა – ესაა გადაწყვეტილების თვისება, რომლის ძალით იგი აღარ შეიძლება გასაჩივრდეს, ხოლო მხარეთა შორის წამოჭრილი დავა ითვლება გადაჭრილად.

სასამართლო გადაწყვეტილების ფორმალური კანონიერი ძალა გათვალისწინებული სსკ 264-ე მუხლით, რომლის თანახმად:

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში:

ა) **როდესაც მხარეებმა ანუ გასაჩივრებაზე უფლებამოსილმა ყველა პირმა უარი თქვეს კანონით დადგენილი წესით გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე (სსკ 250-ე და 370-ე მუხლები).**

ბ) **თუ დასაშვებია გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრება, მაგრამ იგი არ იყო გასაჩივრებული კანონით დადგენილ 14 დღიან ვადაში (სსკ 369-ე მუხლი).**

ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის ამ 14 დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, ამ ვადის აღდგენა (გაგრძელება) დაუშვებელია, ხოლო ვადის დარღვევით საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას.

გ) **თუ სააპელაციო სასამართლომ, რომელმაც განიხილა საჩივარი უცვლელად დატოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, მაშინ იგი კანონიერ ძალაში შედის მას შემდეგ, როდესაც სააპელაციო სასამართლოს განჩინება გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ შევა კანონიერ ძალაში.**

დ) **თუ მხარეებმა განაცხადეს უარი გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე.** ასეთი უარი განცხადებული უნდა იქნეს წერილობითი ფორმით (სსკ 370-ე მუხლი), მაგრამ თუ ასეთი განცხადება მხარეებმა გააკეთეს სასამართლო სხდომაზე, მაშინ იგი უნდა აისახოს ოქმში და დადასტურდეს მხარეთა ხელმოწერით.

ცხადია, არაა გამორიცხული, რომ გადაწყვეტილება, რომლის გასაჩივრებაზე მხარეებმა უარი თქვეს ან, რომლის გასაჩივრების ვადა უკვე გავიდა, მაინც გაასაჩივრონ მათ.

სააპელაციო სასამართლომ ასეთი საჩივარი განუხილველად უნდა დატოვოს მისი დაუშვებლობის გამო, ხოლო საჩივრის შეტანა

ვერ შეაჩერებს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება), კანონიერ ძალაში შედის:

ა) როდესაც მხარეებმა კანონით დადგენილი წესით (სსკ 370-ე მუხლი) უარი განაცხადეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) საკასაციო წესით გასაჩივრებაზე.

ბ) როდესაც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) არ იყო გასაჩივრებული კანონით დადგენილ ოცდაერთ-დღიან ვადაში (სსკ 397-ე მუხლი).

გ) როდესაც საკასაციო სასამართლომ, რომელმაც განიხილა საკასაციო საჩივარი უცვლელად დატოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

დ) როდესაც საკასაციო სასამართლომ გამოიტანა განჩინება „საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ" (სსკ 401-ე მუხლის მეორე ნაწილი);

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები კანონიერ ძალაში შედიან დაუყოვნებლივ, მათი გამოცხადებისთანავე.

II. გადაწყვეტილების მატერიალური კანონიერი ძალა.

გადაწყვეტილების მატერიალური კანონიერი ძალა – ესაა გადაწყვეტილების თვისება, რომლის ძალით არც სასამართლოს და არც მხარეებს, რომლებსაც ეს გადაწყვეტილება ეხებათ, აღარ შეუძლიათ საეჭვო ან სადავო გახადონ სხვა პროცესში ეს გადაწყვეტილება.

გადაწყვეტილების მატერიალური კანონიერი ძალა დამკვიდრებულია საქართველოს სსკ 266-ე მუხლით, რომლის თანახმად გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, მხარეებს, აგრეთვე მათი უფლებამონაცვლეებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი".[85]

---

85 **დ.ი. პოლუმორდვინოვის** შეხედულებით გადაწყვეტილების სამართლებრივი მოქმედება, რაც გამოიხატება მისი საბოლოობით იმ პროცესში, რომელშიაც იგია გამოტანილი – არის გადაწყვეტილების ფორმალური კანონიერი ძალა. გად-

გადაწყვეტილების მატერიალური კანონიერი ძალის კონკრეტული გამოვლინებაა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით განმტკიცებული წესი, რომლის თანახმად სასამართლო არ მიიღებს სარჩელს, ან თუ შეცდომით მიიღებს შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება გამოტანილ დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლებით (სსკ 186-ე და 272-ე მუხლის „ბ" პუნქტი).

III. გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ობიექტური ფარგლები

ვრცელდება თუ არა გადაწყვეტილების კანონიერი ძალა მთლიანად გადაწყვეტილებაზე თუ მხოლოდ მის ერთ-ერთ ელემენტზე ანუ მის ნაწილზე?

სამოქალაქო საპროცესო სამართლის თეორიაში ფართოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება არა მთლიანად გადაწყვეტილებაზე, არამედ მხოლოდ მის იმ ნაწილზე, რომელსაც გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს უწოდებენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი – ესაა საკუთრივ გადაწყვეტილება, რომელიც შეიცავს პასუხს სასარჩელო მოთხოვნაზე: დაკმაყოფილდეს თუ არა სარჩელი, კონკრეტულად რა მოქმედება უნდა შეასრულოს მოპასუხემ, თუ სარჩელი დაკმაყოფილდა (გადასცეს მოსარჩელეს გარკვეული თანხა, დაუბრუნოს მას ნივთი და ა.შ.), რომელი უფლება თუ სამართლებრივი ურთიერთობა ცნო სასამართლომ დადგენილად ან როგორ შეიძლება გარდაიქმნას ურთიერთობა (აღიარებითი და გარდაქმნითი გადაწყვეტილებებით) და ა.შ.

რაც შეეხება გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილს, რომე-

აწყვეტილების სამართლებრივი მოქმედება, რომლის ძალით იგი იძენს საბოლოო ხასიათს არამარტო იმ პროცესისათვის, რომლის შედეგად იქნა გამოტანილი, არამედ მის ფარგლებს გარეთაც – არის გადაწყვეტილების მატერიალური კანონიერი ძალა.

იხ. **ი. პოლუმორდვინოვი**. დასახ. ნაშრომი, გვ.38

იგივე მოსაზრებას იზიარებს ცნობილი გერმანელი იურისტი პროფ. **ჰ.შაკი**. მისი აზრით ფორმალური კანონიერი ძალა წარმოადგენს დავის დამთავრებას ამ სასამართლო განხილვისათვის, ხოლო მატერიალური კანონიერი ძალა – იცავს მიღებულ შედეგს ხელყოფისაგან უფრო მოგვიანებით იხ. **ჰ. შაკი**. დასახ. ნაშრომი გვ. 445.

ლიც წარმოადგენს ამ გადაწყვეტილების **სარეზოლუციო ნაწილის ფუნდამენტს** და რომელშიც აისახება სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და სამართლებრივი ურთიერთობების იურიდიული შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა, საფუძვლად დაედო სარეზოლუციო ნაწილს, იგი არ წარმოადგენს კანონიერი ძალის ობიექტს, მასზე არ ვრცელდება კანონიერი ძალა.[86]

საქართველოს 1964 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსმა და ამჟამად საქართველოს 1997 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსმა გადაწყვეტილების კანონიერი ძალა გაავრცელა არამარტო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილზე, არამედ მის სამოტივაციო ნაწილზეც. კერძოდ, სსკ 266-ე მუხლის თანახმად გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლეებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები, იმავე საფუძველზე, აგრეთვე, **„სადავო გახადონ სხვა პროცესში გად-**

---

86 ასეთი შეხედულება, რომელიც ემყარება გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობას, ფართოდაა გავრცელებული გერმანიის საპროცესო სამართლის თეორიაში.

იხ. Rosenberg, Schwab, Gottvald, Zivilprozessrecht. 1993, s. 926

В.Голасовски. Окончательность судебных решении и их пересмотр по немецкому праву. Сборник 1-ой кавказской конференции судей 2002, стр. 65-77.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ასეთ შეხედულებას ანვითარებდა დ.ი. პოლუმორდვინოვი. იხ. მისი „Мотивы судебных решении" журнал „Соверское государство и право". 1947 ню стр. 28-35

შემდგომში მან შეცვალა თავისი შეხედულება და აღნიშნა, რომ რეზოლუციასთან ერთად, გადაწყვეტილების მოტივი შედის კანონიერ ძალაში. მისი აზრით, გადაწყვეტილების მოტივირებისათვის სასამართლო: ა)ადგენს იმ ფაქტების არსებობას, რომლებზეც დამოკიდებულია მოდავე მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა; ბ) განსაზღვრავს კანონს, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს ამ დადგენილი ფაქტების მიმართ; გ)აკეთებს ლოგიკურ დასკვნას, რომლიდანაც გამომდინარეობს მისი სარეზოლუციო ნაწილი.

არც კანონზე მითითება, არც მისი ლოგიკური დასკვნები არ შეიძლება შევიდეს კანონიერ ძალაში. რაც შეეხება გადაწყვეტილების მოტივს, ფაქტებისა და მოდავე მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის დადგენის ნაწილში, რომელიც წარმოადგენს ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის საფუძველს – იგი შედის კანონიერ ძალაში. არ შეიძლება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი მოვწყვიტოთ იმ ფაქტიურ გარემოებებს, რომლებიც ამ რეზოლუციის უშუალო საფუძველს წარმოადგენენ.

იხ. დ.ი. პოლუმორდვინოვი, გადაწყვეტილების კანონიერი ძალა. (რუსულ ენაზე). თბ. 1964. გვ. 171-172.

აწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი". ამავე კოდექსის 106-ე მუხლის თანახმად დამტკიცებას არ საჭიროებენ ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ.

ამრიგად, არ იწვევს ეჭვს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი, რომლითაც ხდება დადგენილი გარემოებების საფუძველზე სამართლებრივი შეფასება და სასამართლოს მიერ კანონების გამოყენება, და რომლებიც საფუძვლად უდევს სარეზოლუციო ნაწილს, შედის კანონიერ ძალაში.[87]

ამასთან დაკავშირებით იბადება პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი კითხვა: შეუძლია თუ არა მხარეს გაასაჩივროს გადაწყვეტილების **მხოლოდ** აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილი ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილისაგან დამოუკიდებლად, ანუ ისე, რომ არ მოითხოვოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შეცვლა **(„შეცვალეთ აღწერილობით ნაწილში აღნიშნული დადგენილი გარემოებები, მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, მოსაზრებები, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას და სამოტივაციო ნაწილი, მაგრამ არ შეცვალოთ სარეზოლუციო ნაწილი").**

მსჯელობის თანმიმდევრულად განვითარების ლოგიკა ჩვენ გვთავაზობს ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტას: რახან დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობა დადგენილად ჩაითვლება სხვა საქმეზეც და სხვა პროცესში, მხარეს რომლისთვისაც ხელსაყრელია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, მაგრამ არაა ხელსაყრელი გადაწყვეტილებაში ფაქტების ასეთნაირად დადგენა, უნდა შეეძლოს გაასაჩივროს მხოლოდ აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილები და მოითხოვოს მათი გაუქმება (შეცვლა), ისე რომ სარეზოლუციო ნაწილი უცვლელად დარჩეს.

ლოგიკურად ეს მართლაც ასეა, მაგრამ არსებითად ეს არ შეი-

---

87 ამასთან დაკავშირებით ვ. ხრუსტალმა გააკეთა მნიშვნელოვანი და არსებითად სწორი დათქმა: კანონიერ ძალაში შედის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილით დადგენილი მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად ასაბუთებენ, ამართლებენ სარეზოლუციო ნაწილს.
იხ. **ვ. ხრუსტალი** დასახ. ნაშრომი, გვ. 12

ძლება დაუშვათ შემდეგი მოსაზრებების გამო:

გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ორგანულადაა დაკავშირებული **მის აღწერილობით და სამოტივაციო ნაწილებთან,** რომელიც ემსახურება სარეზოლუციო ნაწილის დასაბუთება-გამართლებას, წარმოადგენენ მის საფუძველს (ფუნდამენტს).

გადაწყვეტილების **აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების** სარეზოლუციო ნაწილისაგან მოწყვეტის შემთხვევაში სარეზოლუციო ნაწილი რჩება აბსოლუტურად დაუსაბუთებელი, რის გამოც იგი ტოვებს თვითნებურ და ინტუიციურ შთაბეჭდილებას.

აქედან გამომდინარე, თუ საჩივრის საფუძველზე ზემდგომი ინსტანციის სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილების მხოლოდ აღწერილობით და სამოტივაციო ნაწილებს, მან თვითონ, ან სასამართლომ, რომელმაც საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა, უნდა დაადგინოს სხვა ისეთი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც გადაწყვეტილების უცვლელად დატოვებული სარეზოლუციო ნაწილის დასაბუთება-გამართლებას ემსახურება. მაგრამ თუ ეს ვერ მოხერხდა ან იმის გამო, რომ ეს სხვა ფაქტები ვერ დადასტურდა, ან კიდევ იმის გამო, რომ საჩივრის განმხილველი სასამართლო არაა ფაქტების დამდგენი სასამართლო (საკასაციო სასამართლო), მაშინ გადაწყვეტილება რჩება აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილის გარეშე, იგი აღარ პასუხობს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, კარგავს სასამართლო გადაწყვეტილების მნიშვნელობას და აღარ შეიძლება აღსრულდეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა:

1. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ობიექტური ფარგლები ვრცელდება ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილზე, რომელიც შეიცავს სასამართლოს დასკვნას სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ან მასზე უარისთქმის შესახებ, აგრეთვე სასამართლოს მიერ დადგენილ სამართლებრივ ურთიერთობაზე და ფაქტებზე, რომლებიც საფუძვლად დაედო სარეზოლუციო ნაწილს, ანუ გადაწყვეტილების აღწერილობით და სამოტივაციო ნაწილზე.

2. გადაწყვეტილების აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილები ფაქტების არსებობა-არარსებობის შესახებ, როგორც ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის საფუძველი და მასთან ორგანულად დაკავშირებული, არ შეიძლება ამ სარეზოლუციო ნაწ-

ილისაგან მოწყვეტით და მისგან დამოუკიდებლად გასაჩივრდეს, რადგან მისი გაუქმებით საფუძველი გამოეცლება სარეზოლუციო ნაწილს, გამოიწვევს მის ფაქტიურ გაუქმებასაც.

3. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის კანონიერი ძალის შედეგი მდგომარეობს იმაში, რომ ამ გადაწყვეტილებით დადგენილ სამართლებრივ ურთიერთობებს და ფაქტებს აქვთ პრეიდიციული (წინასწარგადამწყვეტი) მნიშვნელობა სხვა სამოქალაქო საქმის განხილვისას, რომელშიც იგივე მხარეები მონაწილეობენ.

IV. გადაწყვეტილების დროითი ფარგლები

გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება ამ გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისათვის. ფაქტები, რომლებიც წარმოიშვენ ამის შემდეგ წარმოადგენენ ახალ ფაქტებს, რომლებიც შეიძლება საფუძვლად დაედოს ახალ სარჩელს ან მის წინააღმდეგ მიმართულ შესაგებელს. ცხადია, რომ ამ ახალ ფაქტებზე ანუ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ წარმოშობილ ფაქტებზე, ამ გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვერ გავრცელდება.

მაგალითად: სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლითაც უარი უთხრა მოსარჩელეს განქორწინებაზე იმ მოტივით, რომ მართალია მოპასუხე ზოგჯერ ზომაზე მეტ ალკოჰოლურ სასმელებს იღებს, მაგრამ ის არაა ჩვეული ალკოჰოლიკი და ჯერ კიდევ არსებობს ოჯახის შენარჩუნების შანსი. ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან რამდენიმე თვის შემდეგ მოსარჩელემ კვლავ მიმართა სასამართლოს იგივე სასარჩელო მოთხოვნით და იმ მოტივით, რომ მოპასუხე კვლავ აგრძელებს უფრო მეტი ინტენსიურობით ალკოჰოლის მიღებას და უხეშად ექცევა ოჯახის წევრებს.

სასამართლომ უნდა მიიღოს ეს სარჩელი განსახილველად, რადგან ფაქტები, რომლებზეც მიუთითებს მოსარჩელე თავისი მოთხოვნის

დასასაბუთებლად, წარმოიშვა პირველი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ და ამიტომ, ისინი სხვა ფაქტებად უნდა მივიჩნიოთ.

V. გადაწყვეტილების კანონიერი ძალის სუბიექტური ფარგლები

1. მხარეები

გადაწყვეტილების კანონიერი ძალის სუბიექტური ფარგლები გულისხმობს იმ პირთა წრის განსაზღვრას, რომლებზედაც ვრცელდება გადაწყვეტილების კანონიერი ძალა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის თანახმად გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება მოსარჩელეზე, მოპასუხეზე, მესამე პირებზე დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში პროფ. დ.ი. პოლუმორდვინოვმა თავის სადოქტორო დისერტაციაში დაასაბუთა მოსაზრება, რომ სასამართლო დავაში მონაწილეობა უნდა ვცნოთ ისეთ აუცილებელ პირობად, რომლის მიხედვით შეიძლება განისაზღვროს იმ პირთა წრე, რომლებზეც ვრცელდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების მოქმედება და რომ საწინააღმდეგო მოსაზრება იქნებოდა დიდი უსამართლობა, რამდენადაც გადაწყვეტილების კანონიერი ძალა გავრცელდებოდა ისეთ პირებზე, რომლებიც არ მონაწილეობდნენ პროცესში, რომლებმაც შეიძლება არც კი იცოდნენ ამ გადაწყვეტილების არსებობის შესახებ.[88]

დ.ი. პოლუმორდვინოვის ამ მოსაზრებამ თავისი ასახვა ჰპოვა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში, რომლის თანახმად საქმის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება „ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით“ წარმოადგენს ამ გადაწყვეტილების სააპელაციო (საკასაციო) წესით გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს (სსკ 394-ე მუხლის „ბ“ პუნქტი). ამავე კოდექსის 422-ე მუხლის პირველი

88 **დ.ი. პოლუმორდვინოვი**. დასახელებული ნაშრომი, გვ. 139-140.

ნაწილის „ბ“ პუნქტის თანახმად კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი „თუ ერთ-ერთი მხარე, ან თუ მას კანონიერი წარმომადგენელი სჭირდება, ასეთი წარმომადგენელი არ იყო მოწვეული საქმის განხილვაში.“

ამრიგად, **საქმის განხილვაში მონაწილეობა** წარმოადგენს მხარეებზე და მესამე პირებზე დამოუკიდებელი მოთხოვნით გადაწყვეტილების კანონიერი ძალის მოქმედების გავრცელების სავალდებულო პირობას.

რას ნიშნავს **„საქმის განხილვაში მონაწილეობა“?**

ითვლება, რომ მხარე მონაწილეობდა საქმის განხილვაში, თუ მას გაეგზავნა შეტყობინება კანონით (სსკ 70-78-ე მუხლებით) დადგენილი წესით საქმის განხილვისა და მთავარი სხდომის დღის დანიშვნის შესახებ. აუცილებელი არაა, რომ იგი თვითონ გამოცხადდეს სხდომაზე და უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა საქმის განხილვაში. მას შეუძლია საქმე აწარმოოს სასამართლოში პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით (სსკ 93-ე მუხლის მე-2 ნაწილი). აქედან გამომდინარე, ითვლება რომ მხარე მონაწილეობდა საქმის განხილვაში, მაშინაც, როდესაც თვითონ უშუალოდ არ გამოცხადებულა, მაგრამ გამოცხადდა მისი წარმომადგენელი.

დასკვნა: ითვლება, რომ მხარე (მესამე პირი) მონაწილეობდა საქმის განხილვაში: ა) თუ მას გაეგზავნა შეტყობინება მთავარ სხდომაზე საქმის განხილვის დანიშვნის შესახებ კანონით დადგენილი წესით (სსკ 70-78-ე მუხლები) დამოუკიდებლად იმისა, გამოცხადდა თუ არა სხდომაზე; ბ) თუ საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად შეტყობინება გაეგზავნა მხარის წარმომადგენელს დადგენილი წესით, დამოუკიდებლად იმისა, გამოცხადდა თუ არა იგი სხდომაზე. მხარის (წარმომადგენლის) მოუწვევლობას და მოწვეული მხარის (წარმომადგენლის) გამოუცხადებლობას სხვადასხვანაირი შედეგები უკავშირდება (სსკ 229-230-ე მუხლები და 394-ე მუხლის „ბ“ პუნქტი).

2. მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე.

დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირების პროცესში მონაწილეობის საკითხის განხილვისას აღვნიშნეთ, რომ მათზე ვრცელდება გადაწყვეტილების კანონიერი ძალა მხოლოდ ერთი

პირობით, თუ ისინი ჩაბმული იყვნენ პროცესში (საქმის განხილვაში). ამის დასასაბუთებლად მიუთითეთ არამარტო იმაზე, რომ გადაწყვეტილების მიღებამდე ყოველ პირს აქვს უფლება მოუსმინონ სასამართლოში, არამედ აგრეთვე სამოქალაქო კოდექსის 706-ე მუხლზე, რომლის თანახმად, თუ მესამე პირი ჩაბმული იქნება პროცესში მაშინ მის მიმართ უკუმოთხოვნის წაყენებისას მას აღარ ექნება უფლება ამტკიცოს, რომ უკუმოთხოვნის წამყენებელს უსაფუძვლოდ დაეკისრა ზიანის ანაზღაურება. მაგრამ თუ იგი არ იყო ჩაბმული პროცესში (არ იყო სათანადოდ გაფრთხილებული პროცესის შესახებ), მაშინ მას უფლება აქვს ამტკიცოს, რომ უკუმოთხოვნის აღმძვრელ მოსარჩელეს უსაფუძვლოდ დაეკისრა ზიანის ანაზღაურება.

ეს იმას ნიშნავს, რომ ფაქტების დადგენის ნაწილში გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება მესამე პირზე დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, თუ იგი ჩაბმული იყო საქმის განხილვაში. სწორედ ამიტომ, ასეთ შემთხვევაში, თუ მის მიმართ იქნება აღძრული რეგრესული სარჩელი, მას აღარ შეუძლია ამტკიცოს, რომ მისი მონაწილეობით განხილულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები არ შეესაბამება სინამდვილეს (ანუ მოითხოვოს ამ ფაქტების ხელმეორედ დადგენა). ამით ამოიწურება გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ფარგლები დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის მიმართ. მესამე პირი არ არის მხარე და მას არ შეიძლება დაეკისროს რაიმე მოქმედების შესრულება რომელიმე მხარის მიმართ და მას არ შეიძლება რაიმე მიეკუთვნოს რომელიმე მხარისაგან. მის წინააღმდეგ ან მის მიერ რომელიმე მხარის წინააღმდეგ აღძრული სარჩელის იგივეობრიობის საკითხი ადრე განხილულ და გადაწყვეტილ სარჩელთან არ შეიძლება დაისვას.

3. უფლებამონაცვლე

სსკ 92-ე მუხლის მიხედვით უფლებამონაცვლეობა დასაშვებია პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, კერძოდ სარჩელის წარმოებაში მიღებიდან გადაწყვეტილების გამოტანამდე, გადაწყვეტილების გამოტანიდან მის კანონიერ ძალაში შესვლამდე და გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან მის აღსრულებამდე. თუ უფლებამონაცვლეობის საფუძვლები (სსკ 92-ე მუხლი) წარმოიშვა გად-

აწყვეტილების გამოტანამდე – სასამართლოში საქმის წარმოების დროს, მაშინ სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება სანამ დადგინდებოდეს უფლებამონაცვლეობა და ჩაებმებოდეს უფლებამონაცვლე საქმეში (სსკ 279-ე მუხლი). უფლებამონაცვლისათვის პროცესში მის დაშვებამდე შესრულებული ყველა მოქმედება სავალდებულოა იმ ოდენობით, რაც სავალდებულო იქნებოდა იმ პირისათვის, რომელიც მან შეცვალა (სსკ 92-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ეს იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება უფლებამონაცვლეზეც მიუხედავად იმისა, რომ იგი არ მონაწილეობდა საქმის განხილვაში, რომლის მიმართაც გამოტანილია გადაწყვეტილება. ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული სსკ 266-ე მუხლში, რომლის თანახმად გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს აგრეთვე მათ უფლებამონაცვლეებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები.

აქედან გამომდინარე, თუ უფლებამონაცვლეობა წარმოიშვა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ – აღსრულების სტადიაზე, მაშინ მის მიმართ გადაწყვეტილების აღსრულების საკითხები შეიძლება მოგვარდეს გადაწყვეტილების განმარტების წესით (სსკ 262-ე მუხლი).

VI. გადაწყვეტილების კანონიერი ძალის მოქმედების შეწყვეტა

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს უაღრესად მნიშვნელოვან დებულებას იმის შესახებ, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ წესით, რაც დადგენილია კანონით (სსკ 265-ე მუხლი). კერძოდ, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის ერთადერთი გზა – ესაა საქმის წარმოების განახლება გადაწყვეტილების **ბათილად ცნობის** ან **ახლად აღმოჩენილ** გარემოებათა გამო (421-ე მუხლი).

– არცერთ არასასამართლო ორგანოს ან თანამდებობის პირს უფლება არ აქვს შეცვალოს ან გააუქმოს სასამართლო გადაწყვეტილება. ყველა ორგანო და თანამდებობის პირი ვალდებულია

ხელი შეუწყოს გადაწყვეტილების აღსრულებას ქვეყნის ტერიტორიაზე.

სსკ-სი არ ითვალისწიებს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის გაგრძელებას (აღდგენას). ამიტომ, გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში.

გადაწყვეტილების კანონიერი ძალის მოქმედება შეწყდება საქმის წარმოების განახლებით (რესტიტუცია).

კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლები (სსკ 421-ე მუხლი).

საქმის წარმოების განახლებას ეძღვნება ამ წიგნის სპეციალური თავი, ამიტომ ამ საკითხებზე აქ არ შევჩერდებით.

კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში დასაშვებია სასამართლოს მიერ დადგენილი პერიოდული გადასახადების შეცვლა. მაგალითად, მშობელს, რომელიც არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ იხდის ალიმენტს, უფლება აქვს „აღძრას სარჩელი სასამართლოს მიერ დადგენილი ალიმენტის ოდენობის შემცირების შესახებ (სკ 1221-ე მუხლი), ასევე, თუ შეიცვალა მშობლების ან შვილების მატერიალური თუ ოჯახური მდგომარეობა – სასამართლოს შეუძლია ერთ-ერთი მათგანის სარჩელით შეცვალოს ალიმენტის დადგენილი ოდენობა“ (სკ 1222-ე მუხლი).

ცხადია, რომ სარჩელი სასამართლოს მიერ **ადრე გამოტანილი გადაწყვეტილებით** დადგენილი ალიმენტის ოდენობის შემცირების თუ გადადების შესახებ შეიძლება ემყარებოდეს ისეთ ფაქტიურ გარემოებებს, რომლებიც წარმოიშვენ ამ ადრე გამოტანილი გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ. კანონმდებელი მიუთითებს მხოლოდ ზოგად კრიტერიუმზე: თუ შეიცვალა მშობლების ან შვილების მატერიალური და ოჯახური მდგომარეობა მას შემდეგ, რაც სასამართლომ დაადგინა იმ თანხის ოდენობა, რომლებიც უნდა გადაიხადონ მშობლებმა თუ შვილებმა (სკ 1221, 1222, 1230, 1231-ე მუხლები).[89]

---

89 2002 წლის თბილისში ჩატარებულ მოსამართლეთა კონფერენციაზე გერმანელმა მოსამართლემ **ვ. გოლასოვსკიმ** აღნიშნა, რომ გარდა ჩვენს მიერ ზემოდ მითითებული შემთხვევებისა გერმანიის კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა ითვალისწინებს გადაწყვეტილების კანონიერი ძალის მოქმედების შეწყვეტის

გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება უდავო წარმოების წესით მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერი ძალის მოქმედების შეწყვეტა. უდავო წარმოების წესით საქმეთა განხილვის თავისებურებას ეძღვნება სპეციალური თავი. აქ მოკლედ აღვნიშნავთ შემდეგს:

ზოგიერთ, კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში და საფუძვლით, სასამართლოს, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება უდავო წარმოების წესით, შეუძლია თვითონვე გააუქმოს ეს გადაწყვეტილება. მაგალითად, უგზო-უკვალოდ დაკარგულად აღიარებული ან გარდაცვლილად გამოცხადებული პირის გამოჩენის ან მისი ადგილსამყოფელის აღმოჩენის შემთხვევაში, სასამართლო ახალი გადაწყვეტილებით აუქმებს თავის წინანდელ გადაწყვეტილებას (სსკ 321-ე მუხლი).

ასევე შეიძლება მოვიყვანოთ სსკ 363[23] – ე მუხლის მესამე ნაწილიც: „თუ აღარ არსებობს პირისათვის მხარდაჭერის გაგრძელების საფუძველი, სასამართლოს მხარდაჭერის მიმღების, მისი ოჯახის წევრის, მხარდამჭერის, ფსიქიატრიულ-სამკურნალო დაწესებულების, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს განცხადებისა და „ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე გამოაქვს გადაწყვეტილება ამ პირისათვის მხარდაჭერის გაუქმების შესახებ".

§5. გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა და გადაწყვეტა

ზოგადად სააღსრულებო წარმოებას აწესრიგებს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ", რომელიც მიღებულ იქნა 1999 წლის 16 აპრილს.

რაც შეეხება სამოქალაქო საპროცესო კოდექსს, ის ძირითა-

შესაძლებლობას, აგრეთვე საკონსტიტუციო სასამართლოში საჩივრის შეტანის შემთხვევაში, როცა ეს პირდაპირაა გათვალისწინებული კანონით და როცა გადაწყვეტილებას იყენებენ საყოველთაოდ აღიარებული მორალის ნორმების საწინააღმდეგოდ (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 826-ე მუხლი).

იხ. В.Голасовски. Окончательность судебных решении и их персемотр по немецкому праву. Сборник 1-ой кавказской конференции судей 2002, стр. 72-73.

საქართველოს კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა ანალოგიურ შემთხვევებს არ ითვალისწინებს.

დად აწესრიგებს გადაწყვეტილების (განჩინების) აღსრულების სამოქალაქო პროცესისთვის დამახასიათებელ საკითხებს, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს აღსრულების წესის შეცვლის სამ შესაძლებელ ვარიანს, კერძოდ: 1. აღსრულების გადადებას; 2. აღსრულების განაწილვადებას და 3. აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლას.

აღსრულების გადადება ნიშნავს აღსრულების სხვა დროისათვის, ანუ უფრო მოგვიანებით გადატანას, ვიდრე ამას მოითხოვს აღსასრულებელი გადაწყვეტილება ან კანონი.

ეს შესაძლებელია ერთჯერადად და სამ თვემდე ვადით.

აღსრულების განაწილვადება ნიშნავს სასამართლო გადაწყვეტილების ეტაპობრივად აღსრულების დადგენას.

განაწილვადების შემთხვევაში სასამართლო განსაზღვრავს ზუსტ კალენდარულ დროს, რომელშიც უნდა მოხდეს აღსრულება და რა მოცულობით. მაგალითად, 2021 წლის 10 აპრილიდან 10 ივნისამდე – 1000 ლარი; 10 ივნისიდან 1 აგვისტომდე 2000 ლარი და ა. შ. განაწილვადება დასაშვებია ერთ წლამდე ვადით.

განაწილვადება არ შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, როცა ნივთი, რომელიც მოპასუხემ უნდა გადასცეს მოსარჩელეს – განუყოფადია, მაგალითად, ნახატი, ფოტოაპარატი და ა.შ.

აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლა ნიშნავს აღსრულების ერთი სახის მეორე სახით შეცვლას. მაგალითად, ამოაშენოს ტიხარი, მოანგრიოს კედელი და ა. შ. სასამართლოს შეუძლია უფლება მისცეს მოსარჩელეს თვითონვე შეასრულოს ეს მოქმედება მოპასუხის ნაცვლად და მის ხარჯზე (254-ე მუხლი), თუ სასამართლო დაადგენს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ, ე. ი. კანონიერ ძალაში შესვლამდე აღსრულებას – ეს იქნება აღსრულების წესის შეცვლა;

თუ აუქციონის ნაცვლად სასამართლო დაადგენს სხვა გზით ქონების რეალიზაციას ეს იქნება აღსრულების წესის შეცვლა და ა. შ.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლი ითვალისწინებს სააღსრულებო მოქმედების შეჩერებას, რაც აღსრულების გადადების ნაირსახეობაა და ნიშნავს აღსრულების სხვა დროისათვის, ანუ, უფრო მოგვიანებით გადატანას, რაც სასამართლოს განჩინებით უნდა განხორციელდეს.

აღსრულების გადადება (შეჩერება), განაწილვადება, ან აღ-

სრულების საშუალებისა და წესის შეცვლა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სასამართლოს განჩინებით. ამიტომ, მხარეთა განცხადება, მათ შორის განცხადება, რომელიც შეტანილია აღმასრულებელთან, უნდა გადაეცეს ამ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს.

სასამართლო უფლებამოსილია, მხარეთა განცხადებები განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მხარეებს ეცნობება სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს სასამართლოს მიერ საკითხის გადაწყვეტას.

მხედველობაშია მისაღები, რომ აღსრულების გადადება (შეჩერება), განაწილვადება ან აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლა დასაშვებია, თუ არსებობს ამისათვის გონივრული საფუძველი, როგორიცაა, მაგალითად, მოვალის ან მისი ოჯახის წევრის ავადმყოფობა, როცა საკითხი ეხება ბინიდან გამოსახლებას, სტიქიური მოვლენები, სხვა ადგილზე საცხოვრებლად გადასვლა, ქონებრივი მდგომარეობის მოულოდნელი გაუარესება და ა. შ.

თუ დაკმაყოფილდება მხარის შუამდგომლობა (განცხადება) გადაწყვეტილების აღსრულების გადადების, განაწილვადების თუ მისი საშუალებისა და წესის შეცვლის შესახებ, სასამართლო გამოიტანს განჩინებას, რომელზედაც შესაძლებელია კერძო საჩივრის შეტანა. კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება ისეთ განჩინებაზე რომლითაც არ დაკმაყოფილდა მხარის ზემოთ აღნიშნული შუამდგომლობა.

გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს **იძულებით** ან **ნებაყოფლობით**.

იძულებით აღსასრულებადი გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ანუ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, მაგალითად, ალიმენტის მიკუთვნება, დასაქმებულისათვის არაუმეტეს სამი თვის ხელფასის მიკუთვნება, უკანონოდ დათხოვნილი ან გადაყვანილი დასაქმებულის სამუშაოზე აღდგენა, უკანონი მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვა და სხვა (სსკ 268 მუხლის პირველი ნაწილი).

გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება, რომელიც შევიდა კანონიერ ძალაში ან რომლის დაუყოვნებლივ აღსრულება დაადგი-

ნა სასამართლომ, ხორციელდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების დაშვებისას სასამართლოს უფლება აქვს მოსთხოვოს მოსარჩელეს **გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების უზრუნველყოფა** თუკი მოხდება სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება. ამდენად, გადაწყვეტილების გადაცემა დაუყოვნებლივ აღსრულებისათვის არ ნიშნავს ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას. დაინტერესებულ მხარეს შეუძლია გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება შესაბამისად სააპელაციო ან საკასაციო წესით. ცხადია, არაა გამორიცხული, რომ ზემდგომმა სასამართლომ გააუქმოს ან შეცვალოს ეს გადაწყვეტილება, მიღებულ იქნეს სხვა გადაწყვეტილება. ასეთ შემთხვევაში წამოიჭრება ორი საკითხი: ერთი – გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების საკითხი და მეორე – იმ ზარალის ანაზღაურების საკითხი, რომელიც მიადგა მხარეს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების გამო.

გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების უზრუნველყოფისათვის სასამართლოს შეუძლია დაინტერესებული მხარის განცხადების საფუძველზე, ან თავისი ინიციატივით მოსთხოვოს გადამხდევინებელს გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების უზრუნველყოფა, რომელიც შეიძლება გამოიხატოს შესაბამისი ოდენობის თანხის შეტანით საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშზე, ან რომელიმე საკრედიტო დაწესებულების თავდებობაში (57-ე მუხლი).

სასამართლოს შეუძლია დაადგინოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება, თუ გადაწყვეტილების აღსრულების დაყოვნებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს მხარეს (გადამხდევინებელს), ან გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი აღმოჩნდეს. ამ გარემოებათა დამტკიცების ტვირთი ეკისრება შუამდგომლობის აღმძვრელ პირს.

სასამართლომ უარი უნდა თქვას გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებაზე, თუ შუამდგომლობის აღმძვრელი პირი ვერ დაამტკიცებს აღნიშნულ გარემოებებს, ან თუ შეუძლებელი იქნება იმ ზარალის (ზიანის) გამოთვლა, რომელიც შეიძლება მიადგეს მოწინააღმდეგე მხარეს, რის გამოც დაუყოვნებლივ აღსრულების მომთხოვნი პირი ვერ შეძლებს მის უზრუნველყოფას.

იმ ზიანის მოცულობის დამტკიცების ტვირთი, რომელიც შეი-

ძლება მიადგეს მოწინააღმდეგე მხარეს (მოვალეს) გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებით, ეკისრება ამ მოწინააღმდეგე მხარეს (მოვალეს).

ამდენად, გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნება წარმოადგენს მოვალის, ე.ი. იმ მხარის უფლებებისა და ინტერესების დაცვის საშუალებას, რომლის მიმართაც მოხდა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.

გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნებისათვის აუცილებელია ორი პირობის ერთდროულად არსებობა:

ერთი – იმ გადაწყვეტილების გაუქმება, რომელიც უკვე აღსრულებულია და **მეორე** იმ სარჩელის დაკმაყოფილებაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმა, რომლის მიმართაც გამოტანილი იყო ადრე აღსრულებული გადაწყვეტილება, საქმის წარმოების შეწყვეტა ან ამ სარჩელის განუხილველად დატოვება (სსკ 2672-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ადრე აღსრულებული გადაწყვეტილება გაუქმდა, მაგრამ სარჩელის ბედი ჯერ კიდევ არაა საბოლოოდ გადაწყვეტილი – გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნება ვერ განხორციელდება, რადგან არ შეიძლება წინასწარ იყოს ცნობილი, თუ როგორი გადაწყვეტილება იქნება მიღებული სარჩელის განხილვის შედეგად.

სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების შემთხვევაში მოსარჩელემ მოპასუხეს უნდა დაუბრუნოს ყოველივე, რაც მან მიიღო მოპასუხისაგან გადაწყვეტილების აღსრულებით. იმ შემთხვევაში, როდესაც აღსრულებული გადაწყვეტილების გაუქმების შედეგად სარჩელი მხოლოდ ნაწილობრივ იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო ნაწილობრივ უარი ეთქვა მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე, მაშინ მოსარჩელემ უნდა დაუბრუნოს მოპასუხეს ყოველივე, რაც მან მიიღო სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილის მიხედვით, რომლის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა მას.

გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნება შეიძლება განხორციელდეს მოპასუხის შუამდგომლობით. სასამართლოს ინიციატივით გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნებას კანონი არ ითვალისწინებს. გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების საკითხს წყვეტს სასამართლო, რომელმაც გამოიტანა ახალი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ან განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, ან, კიდევ, განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

თუ არსებობდა მოპასუხის შესაბამისი განცხადება გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების შესახებ, მაშინ ახალი გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტანი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების შესახებ მიუთითებს ამ ახალ გადაწყვეტილებაში. თუ ასეთი განცხადებით მოპასუხე მიმართავს სასამართლოს მას შემდეგ, როდესაც გამოტანილი იქნა ახალი გადაწყვეტილება, მაშინ სასამართლო რომელმაც ეს ახალი გადაწყვეტილება გამოიტანა, ნიშნავს სასამართლო სხდომას, ამ განცხადების განსახილველად, რის შესახებაც ატყობინებს მხარეებს, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს განცხადების განხილვას.

გადაწყვეტილება სასამართლო გადაწყვეტილების შებრუნების შესახებ შეიძლება მიიღოს როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ, ისე სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებმა, იმის მიხედვით, თუ რომელი ინსტანციის სასამართლომ მიიღო ახალი გადაწყვეტილება გაუქმებულის ნაცვლად.

იმ შემთხვევაში, როდესაც გაუქმებული გადაწყვეტილებიდან და საქმეში არსებული მასალებიდან არ ჩანს გარკვევით თუ რა ხასიათისა და მოცულობის გადახდევინება განხორციელდა – სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებს შეუძლიათ გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების საკითხი გადასაწყვეტად დაუბრუნონ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს.

გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ახალი გადაწყვეტილების (განჩინების) კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით შეიძლება წამოიჭრას მრავალი საკითხი, როგორიცაა მაგალითად, გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ (კანონიერ ძალაში შესვლამდე) აღსრულება, გადაწყვეტილების აღსრულების გადადება, განაწილვადება, შეჩერება, აღსრულების საშუალებებისა და წესის შეცვლა, აღსრულების უზრუნველყოფა და სხვა. ყველა ასეთი საკითხის განხილვა შეიძლება მოხდეს ზეპირი მოსმენის გარეშე ან ჩატარდეს სასამართლო სხდომა მხარეთა მონაწილეობით, თუმცა მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს საკითხის გადაწყვეტას.

კანონით გამონაკლის შემთხვევაში მოსამართლე ვალდებულია ზეპირი მოსმენის გარეშე გადაწყვიტოს ზოგიერთი საკითხი, მაგალითად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლიდან გამომდინარე გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა, თუ

ამას დაუშვებს სასამართლო, უნდა განხორციელდეს ამავე კოდექსის 191-199-ე მუხლებით დადგენილი წესით. სსკ 193-ე მუხლის შესაბამისად უზრუნველყოფის საკითხს სასამართლო განიხილავს მოპასუხის შეუტყობინებლად.

სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეიძლება გასაჩივრდეს, მაგალითად, გადაწყვეტილების აღსრულების გადადების ან განაწილვადების თაობაზე გამოტანილი განჩინება შეიძლება კერძო საჩივრით გასაჩივრდეს (სსკ 263 მუხლის მე-3 ნაწილი), გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ სასამართლოს განჩინება შეიძლება კერძო საჩივრით გასაჩივრდეს (სსკ 270-ე მუხლი).

§6. სასამართლო განჩინება

I. განჩინების მიღება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ნათლად და გარკვევით მიჯნავს ერთმანეთისაგან სასამართლო გადაწყვეტილებისა და სასამართლო განჩინების გამოყენების სფეროებს: საქმის არსებითად გადაწყვეტის შესახებ სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება, ხოლო საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ცალკეული საკითხების გადაწყვეტის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება (სსკ 284-ე მუხლი).[90] აქვე მოიაზრება განჩინება, რომელიც გამოტანილი უნდა იქნეს გადაწყვეტილების გარეშე საქმის დამთავრების დროს.

საქმის განხილვის პროცესში კი წამოიჭრება უამრავი საკითხი, რომელთა გადაჭრის გარეშე შეუძლებელი იქნება საქმის განხილვა

---

90 გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში და შესაბამისად იურიდიულ ლიტერატურაში გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ერთმანეთისაგან გამიჯვნა ხდება იმის მიხედვით გამოაქვს სასამართლოს თავისი დადგენილება ზეპირი განხილვის შედეგად თუ ზეპირი განხილვის გარეშე: დადგენილებები, რომლებსაც სასამართლო იღებს ზეპირი განხილვის გარეშე, მიიღება განჩინების (der Beschlus) ფორმით, გარდა კანონით გათვალისწინებული იშვიათი გამონაკლისებისა, როდესაც განჩინება შეიძლება მიღებული იქნეს ზეპირი განხილვის შედეგადაც. იხ. Schellhamer. Zivilprozeß, Gesetz, Praxis, älle 1996 s. 328.

და გადაწყვეტილების გამოტანა. მაგალითად, საჭიროა ჩატარდეს ადგილზე დათვალიერება, უნდა დაინიშნოს ექსპერტიზა, უნდა მოხდეს სარჩელის უზრუნველყოფა, საჭიროა საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადადება, მხარის თხოვნით უნდა მოხდეს მტკიცებულებათა გამოთხოვა ან მტკიცებულებათა უზრუნველყოფა და ა.შ. ყველა ამგვარ საკითხზე სასამართლოს გამოაქვს დადგენილება **განჩინების ფორმით.** განჩინების ფორმით თავიანთი დადგენილებები გამოაქვთ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებსაც, მაგრამ მათ შესახებ საუბარი გვექნება ქვემოთ, როდესაც შევეხებით აპელაციისა და კასაციის საკითხებს.

გასათვალისწინებელია, რომ „სამოქალაქო პროცესში მიღებული ყველა განჩინება (გარდა იმ განჩინებებისა, რომლებითაც საქმეზე წარმოება მთავრდება გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე), საბოლოო ჯამში, ემსახურება რა საქმეზე სწორი გადაწყვეტილების მიღებას, იგი ამავე დროს დაფუძნებული უნდა იყოს იმ პრინციპებზე, რომელიც დამახასიათებელია სასამართლო გადაწყვეტილებისათვის. ამასთან იგი უნდა იყოს მოქნილი, ყოვლისმომცველელი, მიზნობრივი და ეფექტური, რაც თავისთავად განჩინების გამომტანი მოსამართლის სპეციალურ პროფესიულ თვისებებთან ერთად კანონმდებლობის საფუძვლიან ცოდნასაც მოითხოვს.“[91]

განჩინებები პროცესის სხვადასხვა სტადიებზე მიიღება. აქედან გამომდინარე ის შეიძლება სახეებადაც დავყოთ, მაგალითად:

– **განჩინებები რომლებიც მიიღება საქმის აღძვრამდე,**

მაგალითად, სარჩელის აღძვრამდე მისი უზრუნველყოფის შესახებ.

– **განჩინებები, რომლებიც მიიღება საქმის მომზადების სტადიაზე.**

მაგალითად, განჩინება მოპასუხისათვის სარჩელის ასლისა და მასზე დართული დოკუმენტების ჩაბარების შესახებ, განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე, განჩინება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, განჩინება საქმის მთავარ სხდომაზე განხილვის შესახებ.

– **განჩინებები, რომლებიც მიიღება საქმის მთავარ სხდომაზე განხილვის დროს,** მაგალითად, განჩინება დაჯარიმების შესახებ, განჩინება გაძევების შესახებ, განჩინება საქმის განხილვის გა-

91 მ. წიქვაძე განჩინება სამოქალაქო პროცესში და მისი გასაჩივრების წესი, თბ. 2004 წ. გვ. 23

დადების შესახებ.

– განჩინებები, რომლებიც მიიღება საქმის განხილვის დასრულების შემდეგ,

მაგალითად, განჩინება სასამართლო გადაწყვეტილების განმარტების შესახებ, განჩინება გადაწყვეტილების უსწორობისა და აშკარა არითმეტიკული შეცდომების გასწორების შესახებ, განჩინება სხდომის ოქმის შენიშვნების უარყოფის შესახებ.

– განჩინებები, რომლებიც მიიღება უდავო წარმოების დროს,

მაგალითად, განჩინება განცხადების წარმოებაში მიღების შესახებ, განჩინება საქმის დახურულ სხდომაზე განხილვის შესახებ.

– განჩინება, რომელიც მიიღება გადაწყვეტილების აღსრულების სტადიაზე,

მაგალითად, განჩინება გადაწყვეტილების აღსრულების გადადების ან განაწილვადების, აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლის შესახებ.

– განჩინებები, რომლებიც მიიღება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების გადაწყვეტის დროს.[92]

განჩინებების გამოტანა ხდება სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოშიც. სააპელაციო სასამართლოში შეიძლება გამოტანილი იქნეს მაგალითად, განჩინება სააპელაციო საჩივრის მიღებისა და მისი განსახილველად მომზადების შესახებ, განჩინება გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განუხილველად უკან დაბრუნების შესახებ და სხვა.

კასაციაში შეიძლება გამოტანილი იქნეს, მაგალითად, განჩინება საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, განჩინება საკასაციო საჩივრის მიღებისა და მისი განსახილველად მომზადების შესახებ და ა.შ.[93]

II. განჩინების მიღების წესი

ნებისმიერი განჩინება შეიძლება მიღებული იქნეს როგორც ცალკე საპროცესო დოკუმენტი, ისე ოქმში შეტანით. სათათბირო

92 წიქვაძე მ. დასახელებული ნაშრომი, გვ.46.

93 ლილუაშვილი თ. სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში, პრაქტიკული სახელმძღვანელო, ჯისიაი, 2001 წ.

ოთახში ოქმის შედგენა არ ხდება, ამიტომ, თუ სასამართლო გავიდა სათათბირო ოთახში განჩინების გამოსატანად, მაშინ ასეთი განჩინება მხოლოდ ცალკე საპროცესო დოკუმენტის სახით უნდა გამოვიდეს. განჩინების გამოსატანად სათათბირო ოთახში შეიძლება გავიდეს საქმის ერთპიროვნულად განმხილველი მოსამართლეც, მაგრამ არა იმიტომ, რომ ვინმეს მოეთათბიროს, არამედ თუ მის წინაშე მხარის მიერ დასმული საკითხის გადაწყვეტა მოითხოვს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ ანალიზს.

ცხადია, რომ განჩინება, რომელიც შეტანილია სხდომის ოქმში, უნდა პასუხობდეს კანონის მოთხოვნებს (სსკ 285-ე მუხლი). მხარეს შეუძლია მოითხოვოს ამ ოქმიდან განჩინების ამონაბეჭდი, შეიტანოს ამ საოქმო განჩინებაზე კერძო საჩივარი, თუ კანონით ასეთი საჩივარი დასაშვებია.

მიზანშეწონილად (არასავალდებულოდ) უნდა ჩაითვალოს ყველა ისეთი განჩინების ცალკე საპროცესო დოკუმენტის სახით ჩამოყალიბება, რომლებზეც დასაშვებია კერძო საჩივრის შეტანა.

სსკ-ის 284-ე მუხლის მე-4 ნაწილი განსაზღვრავს სათათბირო ოთახში გაუსვლელად (ადგილზე თათბირით) მიღებული განჩინების გამოცხადების წესს:

ა) ასეთი განჩინება უნდა გამოცხადდეს მიღებისთანავე; ბ) მოსამართლემ, უნდა განმარტოს ამ განჩინების შინაარსი, მისი გასაჩივრების წესი და ვადა.

ამავე მუხლის მე-5 ნაწილით კი განსაზღვრულია სათათბირო ოთახში მიღებული განჩინების გამოცხადების წესი, კერძოდ: თავჯდომარე ან მოსამართლე აცხადებს ამ წესით მიღებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილს. ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ თუ სათათბირო ოთახში მიღებულია მოტივირებული განჩინება, სასამართლომ მაინც ამ განჩინების სარეზოლუციო ნაწილი უნდა გამოაცხადოს. რა თქმა უნდა არა! სასამართლოს შეუძლია გამოაცხადოს მთლიანად მოტივირებული განჩინება, თუ მან შეძლო მისი ჩამოყალიბება სათათბირო ოთახში.

ყველა შემთხვევაში, აცხადებს მოსამართლე განჩინების სარეზოლუციო ნაწილს, თუ მთლიანად მოტივირებულ განჩინებას, მან უნდა განმარტოს გამოცხადებული განჩინების თუ მისი სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი და გასაჩივრების წესი და ვადა, რომელიც ყოველთვის იწყება მოტივირებულილ განჩინების მხარეთათვის გადაცემის მომენტიდან, თუ ის არ ყოფილა გამოცხადებუ-

ლი სასამართლო სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ გასაჩივრების უფლების მქონე პირები. (სსკ 416-ე მუხლი).

განჩინების გადაცემის მომენტად ითვლება მისი ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში, ან მისი მხარისათვის გადაგზავნა კანონით დადგენილი წესით (სსკ 70-78-ე მუხლები).

თუ სასამართლოს გამოაქვს არა მოტივირებული, არამედ განჩინების სარეზოლუციო ნაწილი, მაშინ მან უნდა შეადგინოს დასაბუთებული განჩინება 14 დღის ვადაში მისი სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან.

სსკ 286-ე მუხლი შეიცავს პრაქტიკული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვან დანაწესს: მხარეებს, რომლებიც არ ესწრებიან განჩინების გამოცხადებას, ეგზავნებათ განჩინების ასლები საქმის წარმოების შეწყვეტის, სარჩელის განუხილველად დატოვებისა თუ საქმის წარმოების შეჩერების შესახებ, მისი გამოტანიდან არაუგვიანეს 5 დღისა.

ამ მუხლის დანაწესი არ შეიძლება გავიგოთ ისე, თითქოს მხარეებს ეგზავნებათ მხოლოდ აქ მითითებული განჩინებები. სსკ 286-ე მუხლი განსაზღვრავს მხოლოდ ვადას (5 დღეს), რომლის განმავლობაშიაც მხარეს, რომელიც არ ესწრებოდა ზემოდ აღნიშნული განჩინებების გამოცხადებას, უნდა გადაეგზავნოს ისინი.

III. განჩინების შინაარსი და კანონიერი ძალა

სასამართლო გადაწყვეტილების ანალოგიურად, სასამართლო განჩინების შინაარსიც განისაზღვრება კანონით (სსკ 285-ე მუხლი). კერძოდ, გარდა იმ ჩვეულებრივ და ცნობილ რეკვიზიტებს შორის, რომლებიც უნდა აისახოს სასამართლოს მიერ გამოტანილ ნებისმიერ დოკუმენტში (მისი მიმღები სასამართლოს დასახელება, შემადგენლობა, მხარეების დასახელება და ა.შ.), სასამართლო განჩინებაში უნდა აისახოს საკითხი რომელზეც მიღებული იქნა განჩინება, მოტივები და კანონები, რომლებითაც ხელმძღვანელობდა სასამართლო, სასამართლოს დადგენილება (სარეზოლუციო ნაწილი) და განჩინების გასაჩივრების წესი და ვადა.

განჩინების სამართლებრივი დასაბუთების დროს სასამართლო ხელმძღვანელობს სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმებით.

მაგალითად: ა-ნიმ, რომლის სარჩელიც მიღებული აქვს სა-

სამართლოს წარმოებაში, მიმართა სასამართლოს განცხადებით სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სასამართლომ ამ განცხადების განხილვის შედეგად მიიღო განჩინება და სსკ 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" პუნქტის თანახმად ყადაღა დაადო მოპასუხის ქონებას.[94]

განჩინების გამოტანის დროს სასამართლომ შეიძლება იხელმძღვანელოს მატერიალურ სამართლებრივი ნორმებითაც. მაგალითად, თუ მატერიალური სამართალი არ უშვებს უფლებამონაცვლეობას, სასამართლო გამოიტანს განჩინებას არა საქმის წარმოების შეჩერების შესახებ, არამედ საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. ასეთ შემთხვევაში სასამართლო განჩინების სამოტივაციო ნაწილში მიუთითებს სსკ 272-ე მუხლის „ე" პუნქტზე და შესაბამის მატერიალურ სამართლებრივ ნორმაზე.

მაგალითად, გამომცემლობა დ-ონიმ აღძრა სარჩელი მწერალ გ-ანის მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ, რაც გამოწვეული იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში ნაწარმოების გამომცემლობისათვის წარუდგენლობით. საქმის განხილვის პროცესში მწერალი გ-ანი გარდაიცვალა. სასამართლომ თავისი განჩინებით შეწყვიტა საქმის წარმოება, რადგან სკ 453-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად მოვალის გარდაცვალება იწვევს ვალდებულების შეწყვეტას, თუ „შესრულება შეუძლებელია მისი პირადი მონაწილეობის გარეშე".

შედიან თუ არა განჩინებები კანონიერ ძალაში?

ამ კითხვაზე დადებითად უნდა ვუპასუხოთ: სასამართლოს განჩინებები სავალდებულოა შესასრულებლად და მათი შეუსრულებლობა იწვევს გარკვეულ არახელსაყრელ შედეგს იმ მხარისათვის, რომელმაც იგი არ შეასრულა.

არსებობს განჩინებები, რომლებიც შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით. ისინი კანონიერ ძალაში შედიან გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, თუ არ იქნენ გასაჩივრებული, ხოლო, თუ

---

94 სასამართლო პრაქტიკის მოთხოვნათა გათვალისწინებით ჩვენს მიერ შემუშავებული იქნა სასამართლო განჩინებათა ნიმუშები (ფორმულარები). იხ. **თ. ლილუაშვილი**, სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში. პრაქტიკული სახელმძღვანელო, მე-4 გამოცემა, თ. 2005 წ.

მოხდება მათი გასაჩივრება – მას შემდეგ, როცა სასამართლო უარს ეტყვის მომჩივანს საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

არსებობს აგრეთვე განჩინებები, რომლებზეც კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება. ასეთი განჩინებები დაუყოვნებლივ შედიან კანონიერ ძალაში.

სსკ 260-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე „სასამართლო მხარის თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით გაასწორებს უზუსტობას იმ შემთხვევაში, თუ დაადგენს, რომ ამა თუ იმ პროცესუალურ დოკუმენტში დაშვებულ იქნა უსწორობა. აღნიშნული საკითხის განხილვა და გადაწყვეტა დასაშვებია როგორც სასამართლო სხდომაზე, ისე ზეპირი მოსმენის გარეშე.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 26 ოქტომბრის №ას-739-707-2016 განჩინებაში დაშვებული ტექნიკური ხასიათის უსწორობა უნდა გასწორდეს...“[95]

§7. სასამართლო ოქმი

სასამართლო ოქმი ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროცესუალურ დოკუმენტს წარმოადგენს, რომელშიც აისახება ყველა საპროცესო მოქმედება. სსკ 287-ე მუხლიდან გამომდინარე სასამართლო ოქმი ორი სახის არის, კერძოდ, სასამართლო ოქმი რომელიც დგება სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას (მოსამზადებელი სხდომაზე თუ მთავარი სხდომა) და სასამართლო ოქმი რომელიც დგება ცალკეული საპროცესო მოქმედებასთან დაკავშირებით, რომელშიც მონაწილეობენ მხარეები, მათი წარმომადგენლები, მოწმეები, სპეციალისტები და ა.შ.

მაგალითად, თუ სასამართლოს გამოაქვს განჩინება მოსამზადებელი სხდომის, თუ მთავარი სხდომის დანიშვნის შესახებ (207-ე მუხლი), ოქმის შედგენა საჭირო არაა, რადგან ამ და სხვა ამგვარი განჩინებების მიღება ხდება მხარეთა და მათ წარმომადგენელთა მონაწილეობის გარეშე. მაგრამ თუ სასამართლო იხილავს საკითხს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, ადგილზე დათვალიერების შესახებ (125-ე მუხლი) და ა. შ. მაშინ უნდა შედგეს ოქმი.

95 სუსგ სამოქალაქო სამართლის საქმეებზე, 2021, №3, გვ. 167

ზოგჯერ კანონი ითვალისწინებს ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულებას მხარეთა აუცილებელი შეტყობინებით, თუმცა მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს ასეთი მოქმედების შესრულებას, მაგალითად მტკიცებულებათა უზრუნველყოფის დროს (სსკ 115-ე მუხლი) ან ადგილზე დათვალიერების შემთხვევაში (სსკ 121-ე მუხლი). ზოგჯერ კანონი განსაზღვრავს სასამართლოს მიერ ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულებას მხარეთა აუცილებელი შეტყობინებით, მაგრამ უშვებს გადაუდებელ შემთხვევაში ამ მოქმედების შესრულებას მხარეთა შეტყობინების გარეშეც (სსკ 115-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

არის თუ არა საჭირო ოქმის შედგენა, როცა საპროცესო მოქმედება სრულდება მხარეთა შეტყობინებებით, მაგრამ მათი მონაწილეობის გარეშე, ვინაიდან არ გამოცხადდნენ, ან გადაუდებელ შემთხვევაში მათი შეტყობინების გარეშე? დიახ, ოქმი მაინც უნდა შედგეს, თუ იგი გვევლინება როგორც მტკიცებულება იმის დასადასტურებლად, თუ რა მოქმედება შეასრულა სასამართლომ და რა შედეგები იქნა მიღებული ამ მოქმედების შესრულების შედეგად. სხვა შემთხვევაში ოქმის შედგენა საჭირო არაა. მაგალითად, თუ ექსპერტიზის დანიშვნის საკითხს სასამართლო წყვეტს მხარეთა შეტყობინებისა და მონაწილეობის გარეშე, მაშინ ოქმი საჭირო არაა (სსკ 203-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი), მაგრამ, თუ ამ საკითხის გადაწყვეტა წარმოებს მხარეთა მონაწილეობით (163-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილი), მაშინ უნდა შედგეს ოქმი.

ოქმი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საპროცესო დოკუმენტია, რომელსაც აქვს მრავალმხრივი მტკიცებულებითი და ინფორმაციული მნიშვნელობა. აღსანიშნავია, რომ სასამართლო სხდომის ოქმის უქონლობა – გადაწყვეტილების გაუქმების უდავო საფუძველია (385-ე და 394-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტი). აქედან გამომდინარე, ოქმს წაეყენება გარკვეული მოთხოვნები, რომელთა დაცვით იგი უნდა იქნეს შედგენილი.

სსკ 288-ე მუხლი შესაძლებლობას იძლევა სასამართლოს თითოეული სხდომა ან სხდომის გარეშე შესრულებული თითოეული საპროცესო მოქმედება ჩაწერილ იქნეს ტექნიკური საშუალების გამოყენებით. ჩაწერა შეიძლება განხორციელდეს როგორც აუდიო ასევე ვიდეოს საშუალებით. იუხედავად ჩაწერია, როგორც ზევით აღვნიშნეთ ოქმი მაინც უნდა შედგეს, თუმცა ტექნიკური საშუალებით ჩაწერისას სსკ 288-ე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალ-

ისწინებს ოქმის გამარტივებული ფორმით შედგენას, მაგალითად, მასში აღარ იწერება:

ა) სასამართლო სხდომის წელი, თვე, რიცხვი და ადგილი;

ბ) სასამართლო სხდომის დაწყებისა და დამთავრების დრო;

გ) საქმის განმხილველი სასამართლოს დასახელება, შემადგენლობა და სასამართლო სხდომის მდივანი;

დ) საქმის დასახელება;

ე) ცნობები მხარეების წარმომადგენელთა, მოწმეთა, ექსპერტთა და თარჯიმანთა გამოცხადების შესახებ;

მიუხედავად იმისა, რომ სსკ 288-ე მუხლი განსაზღვრავს თუ რა საკითხები უნდა აისახოს ოქმში, მისი შინაარსი არ ამოიწურება მითითებული რეკვიზიტების ასახვით. ოქმში შეიძლება საჭირო გახდეს სხვა საინფორმაციო მონაცემების შეტანაც, როგორიცაა მხარეთა და საქმის განხილვაში მონაწილე სხვა პირთა ისეთი მოქმედება, როგორიცაა სარჩელზე უარის თქმა, სარჩელის ცნობა, საქმის მორიგებით დამთავრება, მხარის მიერ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ გარემოების (ფაქტის) აღიარება და სხვა.

ამასთან ერთად, არაა მიზანშეწონილი ოქმში ისეთი მონაცემების შეტანა, რომლებსაც არ აქვთ რაიმე მნიშვნელობა საქმისათვის ან ისედაც ცნობილია საქმეში მონაწილე ყველა პირისათვის.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ოქმის შედგენასა და მისი გაფორმებას. ოქმის შედგენის მოვალეობა ეკისრება სასამართლო სხდომის მდივანს, რომელმაც ეს ოქმი უნდა შეადგინოს სამართალწარმოების ენაზე. ოქმი შეიძლება დაიწეროს ხელით, დაიბეჭდოს ან ოქმის შედგენისათვის გამოყენებული იქნეს მაგნიტოფონი, კომპიუტერი ან სხვა ტექნიკური საშუალება (290-ე მუხლი).

მხარეთა ახსნა-განმარტებანი, მოწმეთა ჩვენებები, ექსპერტის ჩვენება, მათი შუამდგომლობები და განცხადებები უნდა ჩაიწეროს პირველი პირის სახით. ჯერ უნდა ჩაიწეროს შეკითხვის მიმცემი პირი, მისი შეკითხვა და შემდეგ შეკითხვაზე პასუხის გამცემი პირი და მისი პასუხი. მოსამართლის ან სასამართლოს თავმჯდომარის განკარგულებები აისახება ოქმში სასამართლოს სახელით, მაგრამ მესამე პირის სახით. სათათბირო ოთახში გაუსვლელად მიღებულ განჩინების ტექსტს, რომელიც ოქმში შეიტანება, კითხულობს მოსამართლე ან კოლეგიის თავმჯდომარე, როცა საქმეს კოლეგიური სასამართლო იხილავს.

თუ მხარე შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე ამა თუ იმ

გარემოების ოქმში შეტანის შესახებ, ოქმში უნდა აისახოს ეს. ოქმში უნდა აისახოს ისიც, დააკმაყოფილა თუ არა ეს შუამდგომლობა სასამართლომ. თუ მხარის შუამდგომლობა წერილობით იყო წარმოდგენილი – იგი აისახება ოქმში და დაერთვის საქმეს.

ოქმი ერთ-ერთი ძირითადი საპროცესო დოკუმენტია, რომლის მეშვეობით შეიძლება იმის გაგება, როგორი ჩვენება მისცეს მოწმეებმა, ექსპერტებმა, რა ახალი ფაქტები და გარემოებები დააყენეს მხარეებმა და მესამე პირებმა, რა მოსაზრებები წამოაყენეს წარმომადგენლებმა და როგორია მათი პოზიცია, რა ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს ეფუძნება მათი მოსაზრება საქმის არსის შესახებ და ა. შ.

ოქმის ასეთი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მისი სრულყოფილად შედგენისათვის განსაზღვრულია მაქსიმუმ სამი დღე. ამ ვადის ათვლა იწყება იმ დღიდან, როცა დამთავრდა სხდომა, ან ესა თუ ის საპროცესო მოქმედება. ოქმს თან უნდა დაერთოს ტექნიკური ჩანაწერიც. მოსამართლის მოთხოვნის შემთხვევაში მდივანმა უნდა მოახდინოს მისი სრულად ან ნაწილობრივ გაშიფრვა.

ოქმს იურიდიული ძალა ეძლევა ხელმოწერის შემდეგ. ხელმოწერას აკეთებს სასამართლო სხდომის მდივანი, მაგრამ სსკ 284-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებიდან გამომდინარე თუ სასამართლო განჩინებას იღებს ადგილზე თათბირით და იქვე აცხდებს-განმარტავს განჩინების შინაარს, მისი გასაჩივრების წესსა და ვადას, რაც სხდომის ოქმშიც აისახება, მაშინ მასზე მდივანთან ერთად ხელს აწერს მოსამართლეც. თუ საქმეს კოლეგიური შემადგენლობა განიხილავდა, მაშინ ოქმს ხელს აწერს სხდომის თავჯდომარე.

როგორც აღვნიშნეთ, ხელმოწერის გარეშე ოქმი არ ითვლება საპროცესო დოკუმენტად და მას უკავშირდება ისეთივე შედეგი, როგორც საქმეში სასამართლო ოქმის არარსებობას (385-ე და 394-ე მუხლები), ე. ი. ითვლება, რომ საქმეს არ ერთვის სასამართლო სხდომის ოქმი.

ოქმში შეიძლება შეტანილი იქნეს შესწორება და დამატება, მაგრამ ასეთ შესწორება-დამატებას, თუ ცვლილებას უნდა გაუკეთდეს შენიშვნა, მაგალითად: „შესწორებას ენდეთ“, „ჩამატებას ენდეთ“ და ა. შ. შესწორება, დამატება და ცვლილებაც უნდა იყოს ხელმოწერილი ოქმზე ხელისმომწერი პირების მიერ.

მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს ტექნიკური ჩანაწერის ასლი ელექტრონული ფორმით. მხარის მოთხოვნა სასამართლომ უნდა

დააკმაყოფილოს ასლის გადაღების საფასურის გადახდის შემდეგ.

მხარეებს და მათ წარმომადგენლებს შეუძლიათ გაეცნონ საქმის მასალებს და მათ შორის ოქმს, საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე, მაგრამ შენიშვნები ოქმის მიმართ შეიძლება გაკეთდეს მასზე ხელის მოწერიდან სამი დღის განმავლობაში. ეს ვადა განცხადების საფუძველზე შეიძლება აღადგინოს სასამართლომ თუ ჩათვლის რომ საპროცესო მოქმედება საპატიო მიზეზით არ შესრულდა. (სსკ 65-ე მუხლი).

სსკ 215 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის ავადმყოფობა, ახლო ნათესავის გარდაცვალება ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოება, მაგალითად სტიქიური მოვლენები, ხანგრძლივი მივლინება და სხვა რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

შენიშვნების მიღება-არმიღების საკითხს საქმის განმხილველი მოსამართლე განიხილავს მათი შეტანიდან 5 დღის ვადაში და გამოაქვს შესაბამისი განჩინება. თუ იგი არ იზიარებს შენიშვნებს, მან უნდა დაასაბუთოს ეს, მაგრამ, თუ იგი იზიარებს ამ შენიშვნებს ან მათ ნაწილს, განჩინებაში უნდა მიუთითოს რომელ შენიშვნებს ან მათ ნაწილს იზიარებს.

შენიშვნები ყველა შემთხვევაში უნდა იყოს წარმოდგენილი წერილობითი ფორმით. დამოუკიდებლად იმისა, გაიზიარა ეს შენიშვნები მოსამართლემ თუ არა, ისინი ყოველთვის დაერთვის საქმეს.

სასამართლოს განჩინებაზე შენიშვნების უარყოფის შესახებ კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

თავი VI. დაუსწრებელი გადაწყვეტილება

§1. დაუსწრებელი გადაწყვეტილების ცნება და ზოგადი დახასიათება

შესავალი

მართლმსაჯულების სისტემის ეფექტურობა სამართლებრივი წესრიგის განმტკიცებისა და სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფუნდამენტური წინაპირობაა. მართლმსაჯულების ეფექტურობა დამოუკიდებელ, მიუკერძოებულ, სამართლიან და დროულ სამართალწარმოებაში ჰპოვებს გამოხატულებას.[96]

სამოქალაქო პროცესში (სასარჩელო წარმოებაში) ყოველთვის მონაწილეობს ორი ურთიერთდაპირისპირებული ინტერესის მქონე მხარე – მოსარჩელე და მოპასუხე. ამ ორი მხარის აქტიური მოაწილეობა საქმის განხილვაში უზრუნველყოფილია მათი ინტერესით: მოსარჩელის ინტერესი მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლომ დააკმაყოფილოს სარჩელი, გამოიტანოს მისთვის სასურველი გადაწყვეტილება, ხოლო მოპასუხის ინტერესი – ესაა სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.[97]

ამ ინტერესების რეალიზაციისათვის მხარეებს მინიჭებული აქვთ შესაბამისი საპროცესო უფლებები. სამოქალაქო პროცესის ერთ-ერთი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ საპროცესო უფლებების გამოუყენლობას შეიძლება მოყვეს არახელსაყრელი შედეგი იმ მხარისათვის, რომელმაც ეს უფლება არ გამოიყენა. მაგალითად, მხარის ერთ-ერთი საპროცესო უფლებაა მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში.[98] ამ უფლებას შეესაბამება სასამართლოს მოვალეობა შეატყობინოს მხარეს საქმის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ სსსკ-ის 70–78-ე მუხლებით დადგენილი

96 შ.შმიდტი/ჰ.რიჰტერი., მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, GIZ, 2013, გვ.3. თ. ზამბახიძე, იურიდიული ეთიკა, ა. ლორია (რედ.), მეორე კარი, XIX თავი, თბ., 2021, გვ. 503.

97 ზ.ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი (რჩეული მუხლები), დაუსწრებელი გადაწყვეტილება, GIZ, 2020, გვ. 831.

98 ა.ნაჭყებია, სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში, GIZ, 2019, გვ. 228

წესით. საქმის განხილვა და გადაწყვეტა მხარის შეუტყობინებლად, უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც საქმის გახილვა მხარის მონაწილეობის გარეშე, მის დაუსწრებლად, რაც გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი (სსსკ-ის 394-ე მუხლი), ასევე საქმის წარმოების განახლების საფუძველია (სსსკ-ის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტი).[99]

ორივე მხარის მონაწილეობას პროცესში აქვს მრავალმხრივი მნიშვნელობა, მათ შორის იმ თვალსაზრისითაც, რომ სასამართლოს საშუალებას აძლევს შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით, დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები. მაგრამ, რა უნდა მოიმოქმედოს სასამართლომ, როცა საქმის განხილვაზე არ ცხადდება ერთ-ერთი მხარე (რომელსაც კანონით დადგენილი წესით ეცნობა საქმის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ) და არც არაფერი აცნობა სასამართლოს გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ? საქმის განხილვა და ამ საქმეზე მრთლმსაჯულების განხორციელება არ შეიძლება დამოკიდებული იყოს ერთ-ერთი მხარის ნება – სურვილზე.[100]

დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტის საწყისები, ჯერ კიდევ რომის სამართლიდან მომდინარეობს.[101]

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების ზრდის გამო საჭირო ხდება კერძო-სამართლებრივი ხასიათის დავათა ეფექტური და სწრაფი გადაწყვეტა, სასამართლოს მიერ საქმის წარმოების გაჭიანურების გარეშე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა დასაშვებად მიიჩნევს ერთ-ერთი მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას იმ მხარის წინააღმდეგ, რომელიც არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა საქმის განხილვაზე (და არა საქმის მასალების მიხედვით).

დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტი წარმოადგენს შეჯიბრებითობის პრინციპის განხორციელების, თავიანთი მოქმედებების (უმოქმედობის) გამო მხარეთა პასუხისმგებლობის დონის

99 თ.ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2005, გვ. 392.

100 ი. მერებაშვილი, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თავისებურებები I და II ინსტანციის სასამართლოებში ქართული და გერმანული სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, ჟურნალი „თემიდა" №10 (12), 2016, გვ.16.

101 ი.მერებაშვილი, დაუსწრებელი გადაწყვეტილება ქართულ და უცხოურ კანონმდებლობაში „მართლმსაჯულება" №3, 2007, გვ.144.

ამაღლების დამატებით გარანტიას, ხელს უწყობს დავების გადაწყვეტის დაჩქარებას, განტვირთავს სასამართლოებს.[102]

„მართალია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა თავისებურად გამარტივებული წესით ხდება, მაგრამ ამ ორი ცნების გაიგივება არ შეიძლება".[103]

ცხადია, როცა სასამართლო პროცესზე ესწრება მხოლოდ ერთი მხარე, საქმის გარემოებების სრულად და სწორად დადგენა თითქმის შეუძლებელია, რადგან არ გვყავს მოწინააღმდეგე მხარე, რომელსაც შეეძლო თავისი ინტერესებიდან გამომდინარე გაექარწყლებინა მეორე მხარის მტკიცებულებები, მიეთითებინა ფაქტები და წარედგინა მტკიცებულებები და ა.შ. ამ თვალსაზრისით დაუსწრებელი გადაწყვეტილება შორსაა სრულყოფისაგან, მაგრამ უაღრესად საჭირო ქმედითი ინსტრუმენტია იმ არაკეთილსინდისიერ მხარესთან მიმართებით, რომელიც ცდილობს საქმის განხილვის გაჭიანურებას. [104]

გარკვეული თვალსაზრისით, დაუსწრებელი გადაწყვეტილება არის აგრეთვე სანქცია არაკეთილსინდისიერებისათვის[105] და წახალისება კეთილსინდისიერებისათვის, რაზეც ნათლად მიუთითებს კანონის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისათვის და საქმის განახლებისათვის სრულებითაც არ კმარა წაგებული მხარის უბრალო საჩივარი და, რომ ამისათვის აუცილებელია დადასტურდეს არამარტო გამოუცხადებლობის მიზეზების საპატიობა, არამედ ისიც, რომ მას არ შეეძლო დროულად (დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე) ეცნობებინა სასამართლოსათვის ამ მიზეზების შესახებ.[106]

დაუსწრებელი გადაწყვეტილება – ესაა სასამართლო სხდომაზე (როგორც მოსამზადებლ სხდომაზე, ასევე მთავარ სხდომაზე) გამოუცხადებელი მხარის წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილება,

---

102 შ.ქურდაძე/ ნ. ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2015, გვ. 632.

103 ნ.ყურუა, დაუსწრებელი გადაწყვეტილება, თბ., 2000, გვ. 48.

104 ი. მერებაშვილი, დაუსწრებელი გადაწყვეტილება ქართულ და უცხოურ კანონმდებლობაში „მართლმსაჯულება" №3, 2007, გვ.144.

105 ს.ჩხაიძე, დაუსწრებელი გადაწყვეტილება სამოქალაქო პროცესში – ძირითადი პრობლემები, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, „მართლმსაჯულება და კანონი"№4(35), 2012, გვ.40.

106 თ.ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2005, გვ. 394.

რომელიც ემყარება მხოლოდ გამოუცხადებლობას და არა საქმის მასალებს. ასევე მოპასუხის მიერ შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში.[107] დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას საფუძვლად უდევს ვარაუდი იმის შესახებ, რომ გამოუცხადებელი მხარე უარს ამბობს თავის მოთხოვნაზე მოწინააღმდეგე მხარის მიმართ (როცა მოსარჩელე არ გამოცხადდა) ან აღიარებს (ცნობს) ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც საფუძვლად უდევს სასარჩელო მოთხოვნას (როცა არ ცხადდება მოპასუხე).[108] „ვინაიდან, სასამართლო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების დროს, არ მსჯელობს წარმოდგენილი მტკიცებულებების სანდოობაზე, ამიტომაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების შინაარსი ყალიბდება სამოტიაციო ნაწილის გარეშე".[109]

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, როგორც წესი, დაკავშირებულია სასამართლოს მიერ არაერთი მოქმედების შესრულების განხორციელებასთან (გადაწყვეტილების მომზადება, მისი მხარისათვის ჩაბარება, საჩივრის დასაშვებობის შემოწმება, საჩივრის განხილვა და ა.შ.). იმისათვის, რომ სასამართლოს მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები არ გამოდგეს გაუმართლებელი და მოხდეს სასამართლოს რესურსების მართლზომიერი გამოყენება, მხარე ვალდებულია, დროულად აცნობოს სასამართლოს, რომ ვერ ახერხებს სასამართლოში გამოცხადებას და დაასაბუთოს გამოუცხადებლობის საპატიობა (მოპასუხემ სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის წარუდგენლობისას, დროულად უნდა აცნობიოს სასამართლოს წარუდგენლობის საპატიო მიზეზის შესახებ). მსგავსი განცხადების არსებობისას და გამოუცხადებლობის (ასევე შესაგებლის წარუდგენლობის) მიზეზის საპატიობის დამადასტურებელი მტკიცებულების წარდგენისას, სასამართლო უარს განაცხადებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე. საპროცესო ეკონომიის მიზნებიდან გამომდინარე, მსგავსი მოქმედებათა განხორციელება შედის არა მხოლოდ სასამართლოს, არამედ მხარის ინტერესებშიც.

---

107 ზ.ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი (რჩეული მუხლები), დაუსწრებელი გადაწყვეტილება, GIZ, 2020, გვ. 833.

108 მ.თოდუა/ ზ.ძლიერიშვილი/ დ. ბერეკაშვილი/ თ.ხაჟომია /თ. თოდრია/ ს. ჩხაიძე/ ნ.კვანტალიანი, სასამართლო გადაწყვეტილების სტრუქტურა პირველ და მეორე ინსტანციაში, პრაქტიკული სახელმძღვანელო, GIZ, 2020, გვ.9.

109 შ.ქურდაძე/ ნ. ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2015, გვ. 640.

მხარის სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა აღიქმება, როგორც სასამართლოს უპატივცემულობა, რომლის დროსაც მხარის მიერ უგულებელყოფილია სასამართლოს დროის რესურსი და მართლმსაჯულების დროული განხორციელების მიზნები, რაც თავისთავში გულისხმობს, სასამართლოს მიერ მინიმალური საპროცესო მექანიზმების დაზოგვასა და რიგი პროცედურების თავიდან აცილებას, ასევე უკავშირდება მხარეთა ფუნდამენტური უფლების დაცვას – მართლმსაჯულების დროულ და სწრაფ განხორცილებას.[110] სწორედ მხარის დავალდებულება, რომ მან სასამართლო სხდომის დაწყებამდე გონივრულ ვადაში აცნობოს სასამართლოს მისი სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი, რაც უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი მტკიცებულებით,[111] წარმოადგენს სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების საშუალებას, რომლითაც აცილებული იქნება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა და იმ დროის რესურსისა თუ საპროცესო მექანიზმების დაზოგვა, რაც გამოუცხადებელი მხარის ბრალით იქნა გამოწვეული.

მხარის სასამართლო განხილვაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილების (der Versäumnisurteil) გამოტანის წინაპირობები, ქართულ და გერმანულ სამართალში(გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის §§330-347) თითქმის მსგავსია (გამონაკლისა, მაგალითად, სსსკ-ის 232[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოწესრიგება).[112] გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს განმარტებით, „მხარეს შეუძლია პროცესის გაგრძელების დაბლოკვა, თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება ან არ მიიღებს მონაწილეობას საქმის განხილვაში. ამიტომაც სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა სასამართლოში გამოუცხადებლობას უკავშირებს უარყოფით სამართლებრივ შედეგებს“.[113]

---

110 Paulus Ch., Zivilprozessrecht, 6.Aufl.,Berlin, 2017, Rn.499; Huber M., Grundwissen Zivilprozessrecht. Säumnis des Beklagten. In: Juristische Schulung, 2013, s.18.

111 მ.თოდუა/ ზ.ძლიერიშვილი/ დ. ბერეკაშვილი/ თ.ხაჟომია /თ. თოდრია/ ს. ჩხაიძე/ ნ.კვანტალიანი, სასამართლო გადაწყვეტილების სტრუქტურა პირველ და მეორე ინსტანციაში, პრაქტიკული სახელმძღვანელო, GIZ, 2020, გვ.9.

112 უ.ჰაგენლოხი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი (რჩეული მუხლები), GIZ, 2020, გვ. 840.

113 BGHZ, Beschlus vom 07.12.2017 _ IX ZR 81/17 _ WM 2018, 445.

I. სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები

დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობები როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის მიმართ საერთოა, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა.[114]

1. წინაპირობები, რომლებსაც ადგილი აქვთ საქმის სასამართლოს სხდომაზე განხილვის დაწყებამდე:

ა). გამოუცხადებელი მხარე მოწვეული იყო საქმის განხილვაში და მას დროულად და კანონით დადგენილი წესით ეცნობა სასამართლო სხდომის დღე (სსსკ-ის 233-ე მუხლის „ა" პუნქტი).

მოწვეულად ითვლება მხარე, რომელსაც უწყება გაეგზავნა და ჩაბარდა სსსკ-ის 70–78-ე მუხლებით დადგენილი წესით. მხარეთა შეტყობინებას ამ წესების დაცვით ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა.

ბ). ადგილი არ აქვს რაიმე დაუძლეველ ძალას ან სხვა ისეთ მოვლენებს, რომლებსაც შეეძლოთ ხელი შეეშალათ სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის (სსსკ-ის 233-ე მუხლის „ბ" პუნქტი).

მხარის გამოცხადებისათვის ამ ხელისშემშლელი გარემოებების არსებობის შესახებ ცნობილი უნდა იყოს საქმის განმხილველი სასამართლოსათვის. მნიშვნელობა არ აქვს თუ რომელი წყაროებიდან მიიღო სასამართლომ ეს ცნობები უშუალო აღქმის გზით, (მაგალითად მიწისძვრა, წყალდიდობა და ა.წ.), პრესის, რადიოსა თუ ტელევიზიის მეშვეობით ან გამოუცხადებელი მხარისაგან. მთავარია, რომ საქმის განმხილველ სასამართლოს ჰქონდეს ინფორმაცია ამ მოვლენების შესახებ.

გ). გამოუცხადებელ მხარეს დროულად ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ. (სსსკ-ის 233-ე მუხლის „გ" პუნქტი).

საქართველოს კანონმდებლობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მხარეებისათვის საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ ცნობების დროულად მიწოდებას. კერძოდ, მოპასუხეს სსსკ-ის 184-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით დროულად უნდა გაეგზავნოს სარჩელისა და თანდართული საბუთების ასლები, აგრეთვე ყველა სხვა მასალა,

114 ს.ჩხაიძე, დაუსწრებელი გადაწყვეტილება სამოქალაქო პროცესში – ძირითადი პრობლემები, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, „მართლმსაჯულება და კანონი" №4 (35), 2012, გვ.39.

რომელიც შეიცავს ინფორმაციას იმ ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, რომლებიც წამოყენებულია მის წინააღმდეგ მოსარჩელის მიერ. თავის მხრივ, მოსარჩელეს უნდა გადაეგზავნოს მოპასუხის მიერ წარმოდგენილი წერილობითი შესაგებელი და სხვა მასალები. (სსსკ-ის 201, 203-ე მუხლები). „დროულად ეცნობოს" ნიშნავს იმას, რომ მხარემ ასეთი ინფორმაცია უნდა მიიღოს საქმის მომზადების სტადიაზე, ხოლო გამონაკლის შემთხვევაში, ამ სტადიის დამთავრების შემდეგ, მაგრამ იმ გონივრული ვარაუდით, რომ მან შეძლოს მოემზადოს სასამართლოს სხდომისათვის.

დ). არსებობს სარჩელის აღძვრის ყველა წინაპირობა და იგი მიღებულია სწორად (სსსკ-ის 233-ე მუხლის „დ" პუნქტი). სარჩელის აღძვრის დამაბრკოლებელი წინაპირობები ჩამოთვლილია სსსკ-ის 186-ე მუხლში. აღსანიშნავია, რომ თუ ეს წინაპირობები არსებობს, სასამართლომ არ უნდა მიიღოს სარჩელი განსახილველად. მაგრამ თუ სარჩელი შეცდომით იქნა მიღებული, სასამართლომ უნდა შეწყვიტოს საქმის წარმოება (სსსკ-ის 272-ე მუხლი), ან დატოვოს სარჩელი განუხილველად (სსსკ-ის 275-ე მუხლი), იმის მიხედვით, სარჩელის აღძვრის რომელი წინაპირობა არარსებობს. (სსსკ-ის 187-ე მუხლი).[115]

2. წინაპირობები, რომლებიც წარმოიშვებიან საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვის დროს.

ა). სასამართლო სხდომაზე გამოცხადებული მხარე უარს ამბობს მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში (სსსკ-ის 232-ე მუხლი). პრაქტიკაში იშვიათად ადგილი აქვს ისეთ შემთხვევას, როდესაც მხარე გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე, მაგრამ არა იმ განზრახვით, რომ მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში. ასეთი მხარე ითვლება გამოუცხადებელ მხარედ და მის მიმართ შეიძლება გამოტანილი იქნეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.[116] (ანალოგიურადაა გადაწყვეტილი გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის §333-ით)[117].

ბ). სასამართლო სხდომის თვითნებურად მიტოვება (სსსკ-ის

115 ზ.ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი (რჩეული მუხლები), დაუსწრებელი გადაწყვეტილება, GIZ, 2020, გვ. 836.

116 თ.ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2005, გვ. 396.

117 Göbel A., in Prüting/Gehrlein (hrsg.): Zivilprozessordnung kommentar, 9. Aufl., § 333, Rn.5., Köln, 2017.

212-ე მუხლის მე-2-ე ნაწილი). პრაქტიკაში იშვიათად ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც გამოცხადებული მხარე უარს არ ამბობს საქმის განხილვაში მონაწილეობაზე, აცხადებს სასამართლოს წინაშე ამა თუ იმ შუამდგომლობას, ხოლო როდესაც სასამართლო უარს ეუბნება ასეთი შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, იგი, პროტესტის ნიშნად ტოვებს სხდომას.[118]

ასეთ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება ერთი აუცილებელი პირობის დაცვითყოველი საქმის განხილვის დაწყების წინ (სსსკ-ს 217-ე მუხლი, სსსკ-ის 212-ე მუხლის მე-2 ნაწილი) სასამართლომ უნდა გააფრთხილოს მხარეები, რომ საქმის განხილვაში მონაწილეობის მიუღებლობა ან სხდომის მიტოვება სასამართლოს ნებართვის გარეშე, მიჩნეული იქნება როგორც გამოუცხადებლობა და მათ მიმართ გამოტანილი იქნება დაუსწრებელი გადაწყვეტილება.[119]

გ). მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები იურიდიულად ამართლებენ მის მოთხოვნას (სსსკ-ის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილი)[120].

II. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო

სსსკ-ის 229-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდება მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესით, მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.[121] აღნიშნული ნორმის დანაწესი განსაზღვრავს იმ წინაპირობებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც სასამართლო უფლებამოსილია, მიიღოს

118 მ.თოდუა/ ზ.ძლიერიშვილი/ დ. ბერეკაშვილი/ თ.ხაჟომია /თ. თოდრია/ ს. ჩხაიძე/ ნ.კვანტალიანი, სასამართლო გადაწყვეტილების სტრუქტურა პირველ და მეორე ინსტანციაში, პრაქტიკული სახელმძღვანელო, GIZ, 2020, გვ.9.

119 ი. მერებაშვილი, დაუსწრებელი გადაწყვეტილება ქართულ და უცხოურ კანონმდებლობაში „მართლმსაჯულება“ №3, 2007, გვ.148.

120 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 17 მარტის განჩინება საქმეზე №ას-1483-2022, პ. 27-30.

121 ს.ჩხაიძე, დაუსწრებელი გადაწყვეტილება სამოქალაქო პროცესში – ძირითადი პრობლემები, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, „მართლმსაჯულება და კანონი“ №4 (35), 2012, გვ.39.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება,[122] კერძოდ: 1. სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა მოსარჩელე (მისი წარმომადგენელი); 2. მოსარჩელეს ან მის წარმომადგენელს კანონის მოთხოვნათა დაცვით ეცნობა სასამართლოს სხდომის დანიშვნის თაობაზე; 3. მოსარჩელემ არ აცნობა სასამართლოს თავისი გამოუცხადებლობის შესახებ; 4. მოსარჩელის გამოუცხადებლობა და აღნიშნულის შესახებ სასამართლოსათვის შეუტყობინებლობა გამოწვეული არ იყო საპატიო მიზეზით; 5. მოპასუხემ მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება. (ეს შუამდგომლობა უნდა აისახოს ოქმში ან დაერთოს საქმეს, თუ წერილობით იყო წარმოდგენილი), რათა სასამართლომ გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოუცხადებელი მოსარჩელის წინააღმდეგ ანუ არ დააკმაყოფილოს სარჩელი[123].

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის §330 თანახმად, თუ მოსარჩელე არ გამოცდდება სასამართლოში საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად, მოპასუხის შუამდგომლობით სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ[124].

III. **სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო სარჩელის განუხილველად დატოვება;**

სსსკ-ის 229-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის გამოუცხადებლობისას, თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება 276-ე-278-ე

---

122 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 20 იანვრის განჩინება საქმეზე № ას-1242-2021; სუსგ 2018 წლის 28 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-1529-1449-2018;

123 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 12 თებერვლის განჩინება საქმეზე №1870-2018; სუსგ 2020 წლის 12 მარტის განჩინება საქმეზე № 1778-19;

124 Stadler Ast., in Musielak/Voit ZP , §330 18. Aufl., München, 2021; Reichold Kl., in Tomas/Putzo, Zivilprozessordnung: ZP , 39. Aufl., §330, Rn.2, München, 2018; Paulus Ch., Zivilprozessrecht, 6.Aufl.,Berlin, 2017, Rn.506; Pohlmann P., Zivilprocessrecht, 4. Aufl., München, 2018, Rn.583

მუხლებით გათვალისწინებული შედეგები.[125] ანალოგიური შინაარსისაა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ" ქვეპუნქტი. თუმცა იმისათვის, რათა სასამართლომ გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განუხილველად დატოვოს სარჩელი, ნორმის ფორმალური წინაპირობების გარდა უნდა შემოწმდეს ასევე, სახეზე ხომ არ გვაქვს ზემოხსენებული საპროცესო ინსტიტუტების გამომრიცხავი წინაპირობები (სსსკ-ის 233.1 მუხლი)[126].

სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც სასამართლოს სხდომაზე არ ცხადდება არც ერთი მხარე (არც მათი წარმომადგენლები). თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება არცერთი მხარე, რომლებსაც გაეგზავნათ შეტყობინება სსსკ-ის 70–78-ე მუხლებით გათვალისწინებული წესით, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ (სსსკ-ის 231-ე მუხლი, 275 I მუხლის „დ" პუნქტი). ამრიგად, ორივე მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლომ საქმის განხილვა კი არ უნდა გადადოს, არამედ სარჩელი განუხილველად უნდა დატოვოს, თუმცა ამისათვის სასამართლომ უნდა შეამოწმოს, არის თუ არა საქმეში ცნობა, რომელიც ადასტურებს, რომ მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს ნამდვილად ჩაბარდათ უწყება სსსკ-ის 70–78–ემუხლებით დადგენილი წესით. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლომ უნდა გადადოს საქმის განხილვა, რის შესახებაც იგი ატყობინებს მხარეებს. სარჩელის განუხილველად დატოვების შემდეგ, მოსარჩელეს არ ერთმევა უფლება კვლავ აღძრას იგივე სარჩელი (სსსკ-ის 278-ე მუხლი).[127]

განსხვავებული მოწესრიგებაა გათვალისწინებული გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის §251ა პარაგრაფით, კერძოდ, თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა არც ერთი მხარე ან გამოცხადების მიუხედავად, უარს განაცხადებენ საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღებაზე, სასამართლოს შეუძლია დავა გადაყვიტოს საქმეში არსებული მასალების საფუძველზე. თუკი სასამართლო ვერ გადაწყვეტს დავას საქმის მასალების საფუძველზე

125 ზ.ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი (რჩეული მუხლები), დაუსწრებელი გადაწყვეტილება, GIZ, 2020, გვ. 858.

126 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 28 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-1529-1449-2018;

127 თ.ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2005, გვ. 399.

ან §227-ის (სასამართლო სხდომის თარიღის შეცვლა) საფუძველზე არ გადადებს საქმის განხილვას სხვა დროისათვის, მაშინ გამოტანს განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვების (საქმის უმოძრაოდ დატოვება) შესახებ. [128]

IV. სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო საქმის განხილვის გადადება;

საქმის განხილვის გადადება – ესაა ამ საქმის განხილვისათვის სასამართლოს ახალი სხდომის სხვა დროისათვის დანიშვნა. საქმის განხილვის გადადება დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ერთ-ერთ ასეთ შემთხვევას წარმოადგენს სწორედ სსსკ-ის 229-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესით გათვალისწინებული მოწესრიგება, კერძოდ, თუ სასამართლო სხდომაზე გამოცხადებული მოპასუხე წინააღმდეგია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის, ან სარჩელის განუხილველად დატოვების, ასეთ შემთხვევაში სასამართლო გადადებს საქმის განხილვას სხვა დროისათვის (სსსკ-ის 216-ე მუხლი).[129]

საქმის განხილვის გადადების შემთხვევაში, სასამართლოს გამოაქვს განჩინება. სასამართლო ვალდებულია იმავე განჩინებით, რომლითაც მოხდა საქმის განხილვის გადადება, დანიშნოს ახალი სხდომის დღე და ამის შესახებ აცნობოს სხდომაზე გამოუცხადებელ მოსარჩელეს სსსკ-ის 70-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, ხოლო სხდომაზე გამოცხადებული მოპასუხე კი გააფრთხილოს ხელწერილით ახალი სასამართლო სხდომის თარიღის შესახებ.[130] საქმის განხილვის გადადების შესახებ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა დაუშვებელია.

„საჩივრის ავტორის მოსაზრება, რომ 216-ე მუხლის და 229-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფძველზე, არსებობდა საქმის განხილვის გადადების საფუძველი და დაირღვა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი, საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძ-

128 Wostmann H., in Saenger (Hrsg.) Zivilprozessordnung: ZP , § 251 a, Rn.1, 7. Aufl., Baden-Baden, 2017.

129 ზ.ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი (რჩეული მუხლები), დაუსწრებელი გადაწყვეტილება, GIZ, 2020, გვ. 860.

130 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 17 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-185-2020;

ველზე, არ იქნა გაზიარებული სასამართლოს მიერ".[131]

V. სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის განმეორებითი გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება;

პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხია, თუ სსსკ-ის 229-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 216-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადადების შემდეგ დანიშნულ სასამართლო სხდომაზე, კვლავ არ გამოცხადდა მოსარჩელე, რომლისთვისაც კანონით დადგენილი წესით ცნობილი იყო საქმის განხილვის ადგილისა და დროის შესახებ, ხოლო ამ სხდომაზე გამოცხადებული მოპასუხე კვლავ არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, შეუძლია თუ არა სასამართლოს მაინც გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ? ამ კითხვაზე დადებითად უნდა ვუპასუხოთ: სსსკ-ის 229-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მოსარჩელის განმეორებით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაპწყვეტილებას. ეს იმას ნიშნავს, რომ მოპასუხის თანხმობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მოსარჩელის განმეორებით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სავალდებულო არაა.[132] ხომ არ გამოიწვევს ეს მოპასუხის ინტერესების შელახვას? დაუსწრებელი გადაწყვეტილება ყოველთვის არის გამოუცხადებელი მხარისათვის არახელსაყრელი და გამოცხადებული მხარისათვის ხელსაყრელი. ამიტომ, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანით ვერ შეილახება სასამართლოს პროცესზე დამსწრე მხარის ინტერესები.[133]

VI. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა სარჩელების სუბიექტური გაერთიანების (საპროცესო თანამონაწილეობა) შემთხვევაში.

ერთ საქმეში მოსარჩელის მხარეზე, მოპასუხის მხარეზე ან

---

131 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 23 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-83-79-2016;

132 ი. მერებაშვილი, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თავისებურებები I და II ინსტანციის სასამართლოებში ქართული და გერმანული სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, ჟურნალი „თემიდა" №10 (12), 2016, გვ.18.

133 თ.ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2005, გვ. 399.

ორივე მხარეზე ერთდროულად რამდენიმე პირის მონაწილეობას, საპროცესო თანამონაწილეობა ეწოდება. თანამონაწილეობას მაშინ ააქვს ადგილი, როდესაც ერთი მოსარჩელე აღძრავს სარჩელს რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, ან რამდენიმე მოსარჩელე აღძრავს სარჩელს ერთი მოპასუხის წინააღმდეგ ან რამდენიმე მოსარჩელე აღძრავს სარჩელს რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ.

ცხადია, რომ ერთ მხარეზე მონაწილე თანამონაწილეების ინტერესები ეწინააღმდეგება მეორე მხარეზე მონაწილე თანამონაწილეების ინტერესებს, მაგრამ ერთ მხარეზე მონაწილე თანამონაწილეთა ინტერესები არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ერთმანეთს. თანამონაწილეობის ასეთი ხასიათი და შინაარსი განასხვავებს მას დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირისაგან, რომლის ინტერესები ეწინააღმდეგება როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის ინტერესებს. ასეთი მესამე პირი აცხადებს თავის მოთხოვნას იმ საგანზე, რომელზეც დავობენ მოსარჩელე და მოპასუხე. თანამონაწილეობის მიზანია საქმის განხილვისა და გადაწყვეტის დაჩქარება, საპროცესო ხარჯების შემცირება, ერთმანეთის საწინააღმდეგო ან შეუსაბამო გადაწყეტილებათა გამოტანის თავიდან აცილება.[134] თანამონაწილეობისაგან უნდა განვასხვაოთ რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნის ერთ სარჩელში გაერთიანება (სარჩელების ობიექტური გაერთიანება) სსსკ-ის 182-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

თანამონაწილეობა შეიძლება იყოს სავალდებულო და ფაკულტატური (არასავალდებულო). თანამონაწილეობა სავალდებულოა, თუ მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, შეუძლებელია ამ ურთიერთობის ყველა სუბიექტის მონაწილეობის გარეშე საქმის განხილვა, კერძოდ, როდესაც სარჩელის საგანს წარმოადგენს საერთო უფლება (შდრ. სსსკ-ის 86-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტი).[135]

პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხია, რა უნდა მოიმოქმედოს სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თვალსაზრისით, როდესაც საქმეში მონაწილეობს რამდენიმე მოსარჩელე ან რამდენიმე მოპასუხე და სასამართლო სხდომაზე ერთ-ერთი ან

---

134 თ.ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2005, გვ. 122.

135 ი. მერებაშვილი, დაუსწრებელი გადაწყვეტილება ქართულ და უცხოურ კანონმდებლობაში „მართლმსაჯულება" №3, 2007, გვ.145.

ყველა მათგანი არ გამოცხადდა.[136]

„საპროცესო თანამონაწილეობა არ წარმოადგენს მისი შინაარსიდან გამომდინარე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელ ფაქტორს.“[137]

სავალდებულო თანამონაწილეობის დროს ერთ-ერთი თანამონაწილის გამოცხადება სასამართლო სხდომაზე ნიშნავს ყველა თანამონაწილის გამოცხადებას. თუ სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა ერთ-ერთი სავალდებულო თანამონაწილე, სასამართლომ უნდა გამოიტანოს არა დაუსწრებელი, არამედ ჩვეულებრივი გადაწყეტილება საქმის მასალების მიხედვით.[138] ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა რომელიმე მხარეზე მონაწილე არცერთი სავალდებულო თანამონაწილე (თანამოსარჩელე ან თანამოპასუხე), სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სსსკ-ის 229- 230-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით. იმ შემთხვევაში კი, თუ სასამართლო სხდომაზე არცერთი მხარე, ე.ი. არცერთი თანამოსარჩელე და არცერთი თანამოპასუხე არ გამოცხადდა, სასამართლომ სარჩელი განუხილველად უნდა დატოვოს სსსკ-ის 231-ე მუხლის მოთხოვნთა შესაბამისად.

არასავალდებულო (ფაკულტატური) თანამონაწილეობა შეიძლება განპირობებული იყოს იმით, რომ სასარჩელო მოთხოვნები გამომდინარეობს ერთი და იმავე საფუძვლებიდან ან კიდევ იმით, რომ სასარჩელო მოთხოვნები ერთგვაროვანია, მიუხედავად იმისა, ერთგვაროვანია თუ არა მათი საფუძველი და საგანი (შდრ. სსსკ-ის 86-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები). არასავალდებულო თანამონაწილეობის დროს სასამრთლო სხდომაზე საქმის განხილვაზე ერთ-ერთი თანამონაწილის გამოცხადება, არ ნიშნავს ყველა თანამონაწილის გამოცხადებას.[139]

არასავალდებულო თანამონაწილეობის დროს, თუ სასამართ-

---

136 ი. მერებაშვილი, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თავისებურებები I და II ინსტანციის სასამართლოებში ქართული და გერმანული სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, ჟურნალი „თემიდა“ №10 (12), 2016, გვ.17.

137 შ.ქურდაძე/ ნ. ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2015, გვ. 609.

138 ი. მერებაშვილი, დაუსწრებელი გადაწყვეტილება ქართულ და უცხოურ კანონმდებლობაში „მართლმსაჯულება“ №3, 2007, გვ.145.

139 ზ.ძლიერიშვილი, დაუსწრებელი გადაწყვეტილება, (თეორია და პრაქტიკა), თბ., 2022 გვ. 40.

ლო სხდომაზე საქმის განხილვაზე არ გამოცხადდა ერთ-ერთ მხარეზე მონაწილე არცერთი თანამონაწილე, სასამართლოს სსსკ-ის 229-230-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოუცხადებელ მხარეზე მონაწილე ყველა თანამონაწილის საწინააღმდეგოდ. ხოლო იმ შემთხვევაში კი, თუ სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვაზე გამოცხადდა ერთ მხარეზე მონაწილე არა ყველა, არამედ მხოლოდ ერთი ან რამდენიმე თანამონაწილე, ასეთ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება მხოლოდ გამოუცხადებელ თანამონაწილეთა მიმართ, ხოლო გამოცხადებული თანამონაწილის (ეთა) მიმართ კი გამოიტანს ჩვეულებრივ გადაწყვეტილებას საქმის მასალების მიხედვით. [140] (ანალოგიურადაა გადაწყვეტილი ეს საკითხი გერმანიის საპროცესო კანონმდებლობით).[141]

„საკასაციო პალატამ არ გაიზიარა კასატორის პრეტენზია იმ ნაწილში, რომ მატერიალური სამართლის ნორმაზე დაყრდნობით სასამართლომ არასწორად გააუქმა ყველა სოლიდარული მოვალის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილება. სამოქალაქო კოდექსის 466-ე მუხლით განსაზღვრული მატერიალურ-სამართლებრივი შესაგებელი არ წარმოადგენს საპროცესო კოდექსის 232[1] მუხლის მიზნებისათვის სარჩელისაგან სოლიდარულ მოვალეთა თავდაცვის საპროცესო საშუალებას, იგი იმგვარი მატერიალურ-სამართლებრივი ინსტრუმენტია, რომელიც ვალდებულებაზე ზემოქმედების საშუალებას იძლევა და სოლიდარულ მოვალეს ანიჭებს შესაძლებლობას, კრედიტორის მოთხოვნისაგან დაიცვას თავი. მატერიალური სამართლის ნორმები დავის გადაწყვეტის ფუნდამენტს წარმოადგენს, რომლებიც იძლევიან ამა თუ იმ ურთიერთობის რეგულირების აბსტრაქტულ შემადგენლობას. სასარჩელო მოთხოვნის წარდგენისას სასამართლოს მოვალეობაა საპროცესო წესების დაცვით (შეჯიბრებითობა, მტკიცების ტვირთის განაწილება და სხვა) დაადგინოს მატერიალური ნორმის შემადგენლობა _ იუ-

140 ი. მერებაშვილი, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თავისებურებები I და II ინსტანციის სასამართლოებში ქართული და გერმანული სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, ჟურნალი „თემიდა“ №10 (12), 2016, გვ.18.

141 Huber M., Grundwissen _ Zivilprozessrecht. Säumnis des Beklagten. In: Juristische Schulung, 2013, s.18; Bendsten R., in Saenger (Hrsg.): Zivilprozessordnung:ZP , 7.Aufl., §62, Rn.10. Baden-Baden, 2017; Weth St., in Musielak/Voit ZP , 15. Aufl., §67, Rn.4., München, 2018;

რიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები და ამ გზით გადაწყვიტოს დავა. რაც შეეხება საპროცესო ურთიერთობის მიზნებისათვის თანამონაწილეობის საკითხს, იგი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლით რეგულირდება და ნორმის პირველი ნაწილით კანონმდებელი გვთავაზობს თანამონაწილეობის საფუძვლებს. თუმცა, საგულისხმოა, რომ 86-ე მუხლის მე-2 ნაწილის ძალით, თითოეული მოსარჩელე ან მოპასუხე მეორე მხარის მიმართ პროცესში გამოდის დამოუკიდებლად. სარჩელის შეტანა ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ კრედიტორს არ ართმევს უფლებას შეიტანოს სარჩელი დანარჩენ მოვალეთა მიმართაც. მითითებულ ნორმათა ანალიზიდან გამომდინარე, პალატა მივიდა დასკვნამდე, რომ თუკი ერთ-ერთი მოპასუხის საჩივარი საფუძვლიანი იქნებოდა, ის დანარჩენი მოპასუხეების მიმართ გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი მაინც ვერ გახდებოდა. ამ თვალსაზრისით გათვალისწინებული იქნა, რომ არც საქმის მასალებით ირკვევოდა და არც ქვემდგომ სასამართლოებს დაუდგენიათ საჩივრის ავტორის სახელზე სხვა თანამოპასუხეების მხრიდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების საკითხი (სსსკ-ის 87-ე და 98-ე მუხლები).“[142]

პროცესში თითოეული თანამონაწილე ინდივიდუალურ სუბიექტად გამოდის, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეულის საპროცესო-სამართლებრივ ქმედებას მის მიმართ ინდივიდუალური ეფექტი აქვს.[143] მაგალითად, თუ სოლიდარულ მოვალეთაგან შესაგებელს მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი წარადგენს, ხოლო სხვები კი არა, მაშინ ამ უკანასკნელების მიმართ მიიღება დაუსწრებელი გადაწყვეტილება“.[144] „იგივე წესი ვრცელდება იმ სოლიდარული მოვალის მიმართ, რომელიც მის მიმართ გამოტანილ გადაწყვეტილებას არ გაასაჩივრებს. გამონაკლისია ის შემთხვევა, როდესაც სოლიდარული მოვალეების მიმართ მოთხოვნის საფუძველი საერთოა.“[145]

„საკასაციო პალატამ განმარტა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, მართალია სახეზეა მოპასუხეთა საპროცესო თანამონაწილეობა

142 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-555-526-2015;

143 ა.ნაჭყებია, სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში, GIZ, 2019, გვ. 230.

144 ქ. მესხიშვილი, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, ტომი I, თბ., GIZ, 2020, გვ. 61.

145 Brox H., Walker W, Allgemeines Schuldrecht, 42.Aufl., §37, S.445, München, 2018.

(სსსკ-ის 86.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი), თუმცა, საქმის მასალებით არ დგინდება ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 87-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, თანამონაწილეებს ერთ-ერთი მათგანისათვის მინდობილი ჰქონდათ საქმის წარმოება სასამართლოში, აქვე გასათვალისწინებელია, რომ ამავე კოდექსის 86-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 87-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეული მოსარჩელე ან მოპასუხე მეორე მხარის მიმართ პროცესში გამოდის დამოუკიდებლად. თანამონაწილენი სარგებლობენ ყველა იმ საპროცესო უფლებით, რომლებიც ამ კოდექსის თანახმად მინიჭებული აქვთ მხარეებს.[146]

§ 2 მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა

სსსკ-ის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.[147] ზემოაღნიშნული კანონის დანაწესის საფუძველზე, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისათვის უნდა დადასტურდეს შემდეგი წინაპირობები: 1. მოპასუხეს საქმის განხილვის შესახებ კანონის მოთხოვნათა დაცვით ეცნობა; 2. იგი სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა; 3. მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, 4. სარჩელში მითითებული გარემოებე-

146 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 28 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-687-641-2017.

147 ს.ჩხაიძე, დაუსწრებელი გადაწყვეტილება სამოქალაქო პროცესში – ძირითადი პრობლემები, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, „მართლმსაჯულება და კანონი“№4 (35), 2012, გვ.41.

ბი (ფაქტები) იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას.[148] (ანალოგიურ მოწესრიგებას ითვალისწინებს გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის §331-ის პირველი და მეორე ნაწილები).[149]

მითითებული საფუძვლების კუმულაციურად არსებობა ქმნის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ფორმალურ წინაპირობას[150], თუმცა იმისათვის, რათა სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით დააკმაყოფილოს სარჩელი, მოსამართლე ვალდებულია, გამოარკვიოს კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები ამართლებენ თუ არა იურიდიული თვალსაზრისით მოთხოვნას.[151] მოთხოვნის იურიდიული მართებულობის კვლევა მოიაზრებს სასამართლოს მხრიდან დამფუძნებელი ნორმების სწორად მოძიებას, რომლებიც დავის გადაწყვეტის ფუნდამენტს წარმოადგენს და იძლევა ამა თუ იმ ურთიერთობის რეგულირების აბსტრაქტულ შემადგენლობას.[152] ნორმის მოძიების შემდგომ სასამართლო ადგენს, სარჩელში მითითებული იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები დამფუძნებელი ნორმის აბსტრაქტულ აღწერილობას აკმაყოფილებენ თუ არა, რაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით სარჩელის წარმატების საფუძველია.[153]

---

148 ზ.ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი (რჩეული მუხლები), დაუსწრებელი გადაწყვეტილება, GIZ, 2020, გვ. 875.

149 Göbel A., in Prüting/Gehrlein (hrsg.): Zivilprozessordnung kommentar, 9. Aufl., § 331, Rn.5. Köln, 2017; Pohlmann P., Zivilprozessrecht, 4., Aufl., Rn.576, München, 2018; Herget., in Zöller (Hrsg.): ZP , 31. Aufl., § 331, Rn.5, Köln, 2016; Kießling E., in. Saenger (hrsg.): Zivillprozessordnung, 7. Aufl., § 331, Rn.2, Baden-Baden, 2017; Prüting H., in Krüger/Rauscher (Hrsg.): Münchener kommentar zur Zivilprozessordnung, 5. Aufl., Band 1: § 331, Rn.6, München, 2016; Paulus Cr., Zivilprozessrecht, 6. Auflage, Berlin, 2017, Rn.87; Reichold l., in Tomas/Putzo, Zivilprozessordnung: ZP , 39. Aufl., §331, Rn.5, München, 2018; Huber M., Grundwissen -Zivilprozessrecht: Säumnis des Beklagten, in. Juristische Schulung, 2013, S.19; Schwab M., Zivilprozessrecht, 5. Aufl., Rn. 276c-278, Heidelberg, 2016;

150 თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2005, გვ. 399.

151 ი. მერებაშვილი, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თავისებურებები I და II ინსტანციის სასამართლოებში ქართული და გერმანული სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, ჟურნალი „თემიდა“ №10 (12), 2016, გვ.19.

152 ჰ.ბოელინგი,/ ლ.ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, თბ., 2003, გვ.42.

153 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 26 იანვარს განჩინება საქმეზე №ას-1578-2022, პ. 40-44; სუსგ 2021 წლის

მოპასუხის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო არ იხედება საქმეში, არ ამოწმებს და არ აფასებს მტკიცებულებებს, ვინაიდან ეს საჭირო არაა, რადგან გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტები დამტკიცებულად ითვლება, მაგრამ „იხედება კანონში," რათა მისცეს ამ დამტკიცებულად ჩათვლილ ფაქტებს იურიდიული შეფასება. თუ ასეთი შეფასების შედეგად აღმოჩნდება, რომ აღნიშნული ფაქტები ამართლებენ შესაბამისი კანონის თანახმად მოსარჩელის მოთხოვნას, სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლომ უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო (საკასაციო) წესით.[154]

მოპასუხე მხარის სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის კონტექსტში დადგენილად მიიჩნევა დავის ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელსაც მოსარჩელე მხარე სარჩელში უთითებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლო დადგენილად მიიჩნევს არა მხარის მოსაზრებებს, არამედ, იმ ფაქტებს, რომლებიც მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის შემადგენლობას ქმნიან.[155] რაც შეეხება ამა თუ იმ მოსაზრებას, რომელსაც მხარე ავითარებს, ისინი სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს, რა დროსაც საქმის განმხილველი შემადგენლობა ამოწმებს ამ ფაქტებს მატერიალური სამართლის დანაწესებთან მიმართებით. თავის მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ მართლმსაჯულების აქტი, მიუხედავად იმისა, იგი მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპითაა მიღებული თუ ერთ-ერთი მხარის გამოუცხადებლობის შედეგად, ყოველთვის უნდა ემყარებოდეს მატერიალური სამართლის ნორმას. საქმის განხილვაზე ერთ-ერთი მხარის გამოუცხადებლობა, თუნდაც ეს არასაპატიო მიზეზით იყოს განპირობებული, სასამართლოს არ აქვს უფლებამოსილება, გადაწყვეტილებას მხოლოდ სამართლებრივი სანქციის ფუნქცია შესძ-

30 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ას-911-2020, სუსგ 2021 წლის 14 აპრილის განჩინება საქმეზე №ას-642-2020;

154 თ.ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2005, გვ. 400.

155 ს.ჩხაიძე, დაუსწრებელი გადაწყვეტილება სამოქალაქო პროცესში – ძირითადი პრობლემები, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, „მართლმსაჯულება და კანონი"№4 (35), 2012, გვ.42.

ინოს და იურიდიული შეფასების გარეშე დააკმაყოფილოს გამოცხადებული მხარის ყველა პრეტენზია. სწორედ ამგვარი თვითნებობის თავიდან აცილებას ემსახურება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის დათქმა.[156]

კანონის თანახმად, საპროცესო სამართლით დადგენილი წესები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, განვრცობითი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას არ იძლევა, რადგანაც ეს სამართლებრივი ნორმების ერთიანობას დაარღვევდა და წინააღმდეგობაში მოვიდოდა პროცესუალური ფორმალიზმის პრინციპთან. ამ პრინციპის არსი კი, ისაა, რომ ყოველი საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილი წესებისა და ფორმალობების ზედმიწევნით დაცვით.[157] „საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი იქნა ყველა ის ფაქტობრივი წანამძღვარი, რომელიც სსსკ-ის 230-ე მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის განმაპირობებელია“.[158]

სსსკ-ის 230-ე მუხლის მიხედვით, მოპასუხე მხარის საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის ფაქტი, თავისთავად დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებას არ გამოიწვევს, ვინაიდან ამ შემთხვევაშიც სასამართლო ვალდებულია, სამართლებრივად შეაფასოს სარჩელში მითითებული, დადასტურებულად ცნობილი გარემოებები და გამოარკვიოს, შეესაბამება თუ არა მოსარჩელის მოთხოვნა კანონით ამ ტიპის ურთიერთობათა მომწესრიგებელი ნორმების დანაწესს.[159] „სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებდა სააპელაციო საჩივარს, საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოკლებული იყო დამაჯერებელ სამართლებრივ არგუმენტაციას. საკასაციო პალატამ გაიაზიარა

156 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 30 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-408-381-2017;

157 ს.ჩხაიძე, დაუსწრებელი გადაწყვეტილება სამოქალაქო პროცესში – ძირითადი პრობლემები, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, „მართლმსაჯულება და კანონი“№4 (35), 2012, გვ.43.

158 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 06 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-1290-2018;

159 ს.ჩხაიძე, დაუსწრებელი გადაწყვეტილება სამოქალაქო პროცესში – ძირითადი პრობლემები, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, „მართლმსაჯულება და კანონი“№4(35), 2012, გვ.43.

კასატორის მოსაზრება, რომ როდესაც მხარეთა შორის არსებული ვალდებულება შეწყდა შესრულებით (სსკ-ის 427-ე მუხლი) და მოწინააღმდეგე მხარემ ვადაგადაცილებისათვის ზიანიც აანაზღაურა (გადაიხადა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო), მოთხოვნა არ იყო სამართლებრივად დასაბუთებული სსსკ-ის 230-ე მუხლის მეორე ნაწილის დანაწესის შესაბამისად"[160].

„საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულია არა იმ მხარის მიერ, რომლის წინააღმდეგაცაა იგი გამოტანილი სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო (დაუსწრებელი გადაწყვეტილების ნაწილში), არამედ იმ მხარის მიერ, რომელიც გამოცხადდა სხდომაზე, თუმცა, სასამართლომ ჩათვალა, რომ კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული ფაქტები იურიდიულად არ ამართლებდა მოთხოვნას (სსსკ-ის 230.2 მუხლი), შესაბამისად, არ არსებობდა საკასაციო საჩივრის განსახილველად დაშვების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე (5) მუხლის „ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინაპირობა."[161]

დაუსწრებელი გადაწყვეტილება სასამართლოს მიერ შეიძლება გამოტანილი იქნეს შეგებებული სარჩელის შემთხვევაშიც, კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების არსებობისას. (ანალოგიურადაა გადაწყვეტილი გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის §347 (1)-ის შესაბამისად).[162]

I. გადაწყვეტილება – დაუსწრებელი გადაწყვეტილება

სასამართლო პრაქტიკაში არ არის გამორიცხული ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სასამართლო სხდომაზე მოპასუხის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას, სარჩელში მითითებული და დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები ნაწილობრივ ამართლებენ, ხოლო ნაწილობრივ კი არამართლებენ იურიდიულად მოსარჩელის მოთხოვნებს. ასეთ შემთხვევაში სასამართლომ უნდა მიიღოს ერთი საპროცესო დოკუმენტი „გადაწყეტილება- დაუსწრე-

160 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-872-822-2015;

161 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 30 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-408-381-2017;

162 Göbel A., in Prüting/Gehrlein (hrsg.): Zivilprozessordnung kommentar, 9. Aufl., § 347, Rn.3., Köln, 2017.

ბელი გადაწყვეტილება“, რომელშიც მითითებული იქნება, თუ რა ნაწილში დაკმაყოფილდა სარჩელი და რა ნაწილში ეთქვა უარი დაკმაყოფილებაზე.[163]

ის სასარჩელო მოთხოვნა (ები), რომლის დაკმაყოფილებაზეც უარი ეთქვა სასამართლო სხდომაზე გამოცხადებულ მოსარჩელეს, აისახება ერთიანი საპროცესო დოკუმენტის იმ ნაწილში, რომელსაც „გადაწყვეტილება“ ეწოდება, ხოლო ის სასარჩელო მოთხოვნა (ები), რომელიც დაკმაყოფილდა სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებელი მოპასუხის მიმართ, აისახება ერთიანი საპროცესო დოკუმენტის იმ ნაწილში, რომელსაც „დაუსწრებელი გადაწყვეტილება“ ეწოდება. [164]

II. დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის გამო.

მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებიდან გამომდინარე, მხარეები სამოქალაქო პროცესში სარგებლობენ თანასწორი საპროცესო უფლებებით, კერძოდ, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს სარჩელით დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების დასაცავად, ხოლო იმ პირს კი, რომლის წინააღმდეგაც აღძრულია სარჩელი, შეუძლია თავი დაიცვას ამ სარჩელისაგან.[165] ამასთან ერთად, სარჩელის აღძვრა და ამ სარჩელისაგან თავის დაცვა მიმდინარეობს კანონით განსაზღვრული წესითა და საშუალებების გამოყენებით.[166]

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სარჩელისაგან მოპასუხის თავდაცვის ისეთ საშუალებას, როგორიცაა შესაგებელი[167]. მოპასუხის შესაგებელი წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი ფორმით. ერთმანეთისაგან განასხვავებენ პრო-

---

163 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 30 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-408-381-2017;

164 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 28 მაისის განჩინება საქმეზე №ას-1801-2019;

165 თ.თოდრია, ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში, თბ., 2011, გვ.63.

166 ლ.არხოშაშვილი, სარჩელისაგან თავდაცვის პროცესუალურ-სამართლებრივი საშუალებები, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, 2021, გვ.113.

167 თ.ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2005, გვ. 221.

ცესუალურ-სამართლებრივ და მატერიალურ – სამართლებრივ შესაგებელს.[168]

პროცესუალურ-სამართლებრივი შესაგებელი – ესაა მოპასუხის მიერ ისეთ ფაქტობრივ გარემოებებზე მითითება, რომლებსაც სამოქალაქო საპროცესო სამრთლის ნორმები უკავშირებენ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმას, საქმის წარმოების შეწყვეტას, სარჩელის განუხილველად დატოვებას ან საქმის წარმოების შეჩერებას.[169]

მატერიალურ-სამართლებრივი შესაგებელი – ესაა სარჩელისაგან მოპასუხის თავდაცვის საშუალება ისეთ ფაქტებზე მითითებით, რომლებსაც მატერიალური სამართალი უკავშირებს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმას. [170]

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლები ითვალისწინებს სამართალწარმოების განხორციელებას მხოლოდ მხარეთა პროცესუალური აქტიურობის საფუძველზე. ამ პრინციპის კონკრეტული გამოვლენაა მოპასუხის მიერ შესაგებლის წარმოდგენის სავალდებულობა. სანქცია ამ პროცესუალური ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, მდგომარეობს მოპასუხე მხარის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაში.

შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტს, საფუძველი ჩაეყარა 2007 წლის 28 დეკემბერს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით, სახელდობრ, კოდექსს დაემატა **232**[1] მუხლი, რომლის პირველი წინადადების თანახმად, „მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება“. ამდენად, კოდექსში აღნიშნული ცვლილებების განხორციელების შემდეგ მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარმოდგენა სავალდებულო ხასიათს ატარებს (საქართველოს 28.12.2007წ.-ის კანონი N5669-

168 ბ.ალავიძე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი (რჩეული მუხლები), მოპასუხის პასუხი (შესაგებელი), GIZ, 2020, გვ. 787.

169 შ.შმიდტი/ჰ/რიჰტერი., მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, GIZ, 2013, გვ.15.

170 ბ.ალავიძე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი (რჩეული მუხლები), მოპასუხის პასუხი (შესაგებელი), GIZ, 2020, გვ. 792.

სსმ), რაც იმაში გამოიხატება, რომ მოპასუხის მიერ აღნიშნული საპროცესო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მის მიმართ დგება არასასურველი საპროცესო-სამართლებრივი შედეგი,[171] კერძოდ, საქმის განმხილველ მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე, გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.[172]

ამასთან, შესაგებლის წარუდგენლობის გამო, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ერთ-ერთ წინაპირობად მოსარჩელის შუამდგომლობის არსებობას, როგორც ეს გათვალისწინებულია ამავე კოდექსის 230-ე მუხლის პირველ ნაწილში, კანონმდებელი არ ითვალისწინებს.[173] დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის საკმარისია იმ პროცესუალური შემადგენლობის ნიშნების არსებობა, როგორიცაა სარჩელისა და თანდართული დოკუმენტაციის მოპასუხისათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით ჩაბარება და სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, არასაპატიო მიზეზით, მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარმოუდგენლობა. ამ ფაქტობრივი წინაპირობების კუმულატიურად არსებობა ქმნის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ფორმალურ წინაპირობას, ხოლო, სარჩელის დაკმაყოფილების მიზნებისათვის კი, სახეზე უნდა იყოს ერთი დამატებითი პირობაც, როგორიცაა სასარჩელო მოთხოვნის იურიდიული მართებულობა.[174]

შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, განსხვავდება სასამართლოში საქმის ზეპირ განხილვაზე – სასამართლო სხდომაზე მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისაგან,[175] რა დროსაც სასამართლო ხელმძღვანელობს მოსარჩელის

171 ფ. ბასილაია, მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობის შედეგი, „მართლმსაჯულება და კანონი“ №4 (24), 2010, გვ.112.

172 ლ.არხოშაშვილი, სარჩელისაგან თავდაცვის პროცესუალურ-სამართლებრივი საშუალებები, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, 2021, გვ.156.

173 ი. მერებაშვილი, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თავისებურებები I და II ინსტანციის სასამართლოებში ქართული და გერმანული სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, ჟურნალი „თემიდა“ №10 (12), 2016, გვ.22.

174 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 08 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-759-2021; სუსგ საქმეზე № ას-1440-2022, 2 მარტი, 2023.

175ლ.არხოშაშვილი, სარჩელისაგან თავდაცვის პროცესუალურ-სამართლებრივი საშუალებები, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, 2021, გვ. 166.

მითითებებით და მოპასუხის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მხოლოდ მოსარჩელის შუამდგომლობის არსებობისას, გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.[176]

სსსკ-ის 232[1] მუხლით გათვალისწინებული მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობა ერთგვარ პრეზუმციას ეფუძნება, რაც ნიშნავს იმას, რომ შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობისას არსებობს ვარაუდი, რომ მოპასუხემ აღიარა სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები. ასეთ დროს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა ზეპირი მოსმენის გარეშე არ ეწინააღმდეგება შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპებს, რადგან მოპასუხეს სრული შესაძლებლობა ჰქონდა თანდართული მასალებით სარჩელის ჩაბარებისას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ" პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში შესაგებლით გაექარწყლებინა მოსარჩელის მიერ მის მიმართ წაყენებული მოთხოვნები. მოპასუხეს ასევე შეეძლო მოეთხოვა დამატებით გონივრული ვადა, შესაგებლისა და მტკიცებულებათა წარდგენისათვის საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში. [177]

პირველი ინსტანციის წესით საქმის განხილვისას, მოპასუხის მიერ შესაგებლის შეუტანლობის მოტივით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის[178], სახეზე უნდა იყოს (სსსკ-ის 232[1] მუხლი) შემდეგი წინაპირობები: ა) მოპასუხე სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით უნდა იყოს ინფორმირებული საქმის განხილვის თაობაზე, კერძოდ, მას დადგენილი წესით უნდა ჰქონდეს ჩაბარებული სარჩელი და თანდართული მასალები და ამომწურავად უნდა ჰქონდეს განმარტებული 201-ე მუხლის მეშვიდე ნაწილის ფარგლებში დანიშნული საპროცესო ვადის არასა-

---

176 მ.ირემაშვილი, შესაგებლის წარუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შედარებითი ანალიზი საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკის მიხედვით, სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა, თბილისი, 2018, გვ.5

177 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 30 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-1454-2021; სუსგ 2021 წლის 29 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-103-2020; სუსგ 2021 წლის 11 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-1179-2020; სუსგ 2021 წლის 31 მარტის განჩინება საქმეზე №ას-554-2019;

178 შ.ქურდაძე/ ნ. ხუნაშვილი, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისა და გასაჩივრებასთან დაკავშირებული პრობლემები, სამართალი და მსოფლიო, №2, 2015, გვ.55.

პატიოდ დარღვევის ნეგატიური შედეგების თაობაზე; ბ) მოპასუხემ ბრალეულად უნდა დაარღვიოს შესაგებლის შეტანისათვის განსაზღვრული ვადა. ამ ფაქტობრივი წინაპირობების არსებობა განაპირობებს სარჩელში მითითებული გარემოებების დადგენილად მიჩნევის აუცილებლობას იმგვარად, რომ სასამართლო არათუ ვალდებული, უფლებამოსილიც არაა შეამოწმოს და შეფასება მისცეს საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს, მათ შორის, საპროცესო ხარჯების საკითხზე. ზემოაღნიშნული საფუძვლების კუმულაციურად არსებობა კი, ქმნის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ფორმალურ წინაპირობას, თუმცა, იმისათვის, რათა სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით დააკმაყოფილოს სარჩელი, მოსამართლე ვალდებულია, გამოარკვიოს კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები (სარჩელში მითითებული ფაქტები) ამართლებენ თუ არა იურიდიული თვალსაზრისით მოთხოვნას. მოთხოვნის იურიდიული მართებულობის კვლევა, თავის მხრივ, მოიაზრებს მოთხოვნის დამფუძნებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის სწორად განსაზღვრასა და იმის უტყუარად დადგენას, სარჩელში მითითებული და კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული გარემოებების სამართლებრივი თვალსაზრისით შეფასება იძლევა თუ არა დამფუძნებელი ნორმის შემადგენლობას. მითითებულ წინაპირობათაგან თუნდაც ერთ-ერთის არარსებობა იწვევს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე უარის თქმასა და მხარეთა დაბარებას სასამართლო სხდომაზე. ასეთ შემთხვევაში, განსხვავებულია მოპასუხის უფლებრივი მდგომარეობა, კერძოდ, მოპასუხისაგან მტკიცებულებები არ მიიღება, სამართლებრივი ბალანსი იმგვარია, რომ მოპასუხეს მხოლოდ სამართლებრივი შესაგებლის წარდგენის უფლება აქვს, ანუ თავდაცვის საპროცესო საშუალება მხოლოდ მოთხოვნასთან მიმართებით მისი სამართლებრივი მოსაზრებით შემოიფარგლება.[179]

ფაკულტატური საპროცესო თანამონაწილეობის დროს, ერთ-ერთი მოპასუხის მხრიდან შესაგებლის დადგენილ ვადაში წარუდგენლობა, საკმარისი საფუძველია იმისთვის, რომ ამ სუბიექტის მიმართ დამოუკიდებლად გამოვიდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, იმისდა მიუხედავად, რომ სხვა თანამონაწილეებმა

179 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 25 მარტის განჩინება საქმეზე №ას-1491-2021; სუსგ 2020 წლის 05 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-975-2019;

შესაგებელი დროულად წარადგინეს. „მოცემულ შემთხვევაში, რამდენიმე პირის წინააღმდეგ სარჩელის არსებობა არ გამორიცხავდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას ერთ-ერთი თანამოპასუხის, კონკრეტულ შემთხვევაში – მეორე მოპასუხის მიმართ, შესაგებლის წარუდგენლობის გამო."[180]

§3 სააპელაციო სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლი სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის მარეგულირებელი სპეციალური ნორმაა, რომელიც ადგენს სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობის შედეგებს, კერძოდ, ნორმის პირველი და მე-2 ნაწილებით განსაზღვრულია აპელანტის ან მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგები, ხოლო მე-3 ნაწილით დადგენილია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის მარეგულირებელი ყველა იმ წესის გამოყენების აუცილებლობა, რაც სპეციალურ მოწესრიგებას (სსსკ-ის 387-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები) არ ეწინააღმდეგება.[181] იმისათვის, რათა სააპელაციო სასამართლოში აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობისას გამოტანილ იქნას დაუსწრებელი გადაწყვეტილება, უნდა შემოწმდეს არსებობს თუ არა 387-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წინაპირობები: ა)ს ა ქ მ ი ს ზეპირ განხილვაზე არ უნდა გამოცხადდეს აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე; ბ) გამოცხადებული აპელანტი უნდა შუამდგომლობდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე. ამ გარემოებათა კუმულატიურად არსებობა, წარმოადგენს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ფორმალურ წინაპირობას. 387-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობის დადგენის შემდეგ, ამავე ნორმის მე-3 ნაწილის დათქმიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებულია, შეამოწმოს ხომ არ არსებობს დაუსწრებელი

---

180 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 12 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ას-948-884-2017;

181 ი. მერებაშვილი, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თავისებურებები I და II ინსტანციის სასამართლოებში ქართული და გერმანული სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, ჟურნალი „თემიდა" №10 (12), 2016, გვ.24.

გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები, კერძოდ სახეზე ხომ არ არის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა.[182]

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ საქმის განხილვაზე მოწინააღმდეგე მხარე არ გამოცხადდება, სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება დაემყაროს მომჩივნის ახსნა-განმარტებას.[183] დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ მოწინააღმდეგე მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას სააპელაციო სასამართლო დაემყარება მომჩივნის ახსნა-განმარტებას. აღნიშნული ნიშნავს არა სარჩელში მითითებული გარემოებების ავტომატურად დადგენილად მიჩნევას,[184] არამედ იმის შემოწმებას, სააპელაციო საჩივარში გადმოცემული აპელანტის განმარტებებით (დადგენილად მიჩნევით) გაქარწყლდება თუ არა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ან მისი სადავო ნაწილის დასკვნები, რომლებიც აპელანტის წინააღმდეგაა მიმართული.[185] ანუ სააპელაციო სასამართლომ, აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის მოტივით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას, მხედველობაში უნდა მიღოს აპელანტის ახსნა-განმარტება (რომელიც შეიძლება არც იყოს მოსარჩელე)[186], ხოლო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით აპელანტის მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო საჩივარში გადმოცემული აპელანტის განმარტებები მოთხოვნას იურიდიულად ამართლებს (ანუ აპელანტი მიუთითებს

---

182 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 27 იანვრის განჩინება საქმეზე №ას-1111-1068-2016; სუსგ 2022 წლის 01 დეკემბრის განჩინება საქმეზე № ას-814-2020, პ. 23.

183 ი. მერებაშვილი, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თავისებურებები I და II ინსტანციის სასამართლოებში ქართული და გერმანული სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, სამეცნიერო- პრაქტიკული ჟურნალი „თემიდა“ №10 (12), 2016, გვ.23.

184 ე.ობოლაძე, დაუსწრებელი გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „თემიდა“ № 8 (10), 2013, გვ.72.

185 ი.მერებაშვილი, დაუსწრებელი გადაწყვეტილება ქართულ და უცხოურ კანონმდებლობაში „მართლმსაჯულება“ №3, 2007, გვ.149.

186 ა.ნაჭყებია, სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში, GIZ, 2019, გვ. 233.

მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის მატერიალური ნორმის შემადგენელ ელემენტებზე).[187] ანალოგიურადაა მოწესრიგებული გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 539-ით.[188]

I. აპელანტის გამოუცხადებლობის გამო სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება

სსსკ-ის 387-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივარი შეიძლება დატოვოს განუხილველად, თუ: 1. არ გამოცხადდება აპელანტი (მისი წარმომადგენელი); 2. აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ; 3. არ არსებობს სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების დამაბრკოლებელი გარემოებები.[189]

სსსკ-ის 372-ე და 387.3 მუხლების დათქმიდან სრულიად ნათელია, რომ კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს სააპელაციო სასამართლოს, იხელმძღვანელოს საქმის პირველი ინსტანციის წესით განხილვისათვის განსაზღვრული წესებით, თუ სადავო ურთიერთობა სცდება კანონმდებლის მიერ სააპელაციო სასამართლოსათვის სპეციალურად დადგენილი ნორმების რეგულირების სფეროს. კერძო საჩივრის ავტორი გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას მოითხოვდა ერთადერთი საფუძვლით, კერძოდ, მისი მოსაზრებით, სსსკ-ის 372-ე და 387-ე მუხლების დანაწესებიდან გამომდინარე, სასამართლოს არ უნდა მიეღო განჩინება სააპელაციო საჩივრის

187 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-872-822-2015;

188 Oberheim R., in Prüting/Gehrlein (hrsg.): Zivilprozessordnung kommentar, 9. Aufl., § 539, Rn.5 Köln, 2017; BGH Urteil vom 15.02.2017, VIII ZR 284/15.

189 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 20 იანვრის განჩინება საქმეზე № ას-1242-2021; სუსგ 2019 წლის 01 მარტის განჩინება საქმეზე №ას-109-2019;

განუხილველად დატოვების თაობაზე და კანონით დადგენილი წესით საქმე ზეპირი მოსმენის გარეშე განეხილა ან უნდა გამოეტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლომ საჩივრის ავტორის აღნიშნული არგუმენტი უსაფუძვლოდ მიიჩნია და აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად იხელმძღვანელა სსსკ-ის 387.3, 229.2 და 275.1 „გ" მუხლებით და მართებულად დატოვა განუხილველად მოპასუხის სააპელაციო საჩივარი.[190]

აღსანიშნავია, რომ სსსკ-ის 387-ე მუხლის მეორე ნაწილი არ შეიცავს დათქმას და განსხვავებულ რეგულაციას იმის მიხედვით, აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე საქმეში მოსარჩელის სტატუსით მონაწილეობს, თუ მოპასუხეა. დასახელებული ნორმა იძლევა ზუსტ მითითებას, თუ რა უნდა გამოიკვლიოს და შეაფასოს სააპელაციო პალატამ, კერძოდ, უპირველესად დაადგინოს მხარის გამოუცხადებლობის მართლზომიერება და თუ დადასტურდება მისი არასაპატიობა, შემდგომ გამოკვლევის გარეშე გაიზიაროს სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტები, განსაზღვროს, იურიდიული თვალსაზრისით ამართლებს თუ არა აპელანტის მიერ მოყვანილი გარემოებები მის მოთხოვნას. საუბარია სააპელაციო საჩივარში და არა სარჩელში მოყვანილ გარემოებებსა და აპელანტის მოთხოვნაზე.[191]

სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის გამო სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინება უნდა შემოწმდეს და საქმე განახლდეს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია დაუსწრებელი გადაწყვეტილების შემოწმების მიმართ.[192]

---

190 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 30 იანვრის განჩინება საქმეზე №ას-1337-1257-2017;

191 საქართველოს უზენაესი სასამრთლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 25 იანვრის განჩინება საქმეზე №ას-1017-978-2017;

192 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 28 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-1529-1449-2017;

II. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში მოწინააღმდეგე მხარის მიერ შესაგებლის წარუდგენლობისას, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა

ყურადღებაა გასამახვილებელი შესაგებლისთვის დამახასიათებელ იმგვარ თავისებურებებზე, რომლებიც განპირობებულია უშუალოდ სააპელაციო საჩივრის ინსტიტუტისა და შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს ქართული მოდელის თავისებურებით. განსახვავებენ აპელაციის ორ ძირითად სახეს,[193] როგორიცაა, სრული (შეუზღუდავი) აპელაცია და არასრული (შეზღუდული) აპელაცია.[194]

სრული (შეუზღუდავი) აპელაციის შემთხვევაში, მხარეებს შეუზღუდავად შეუძლიათ მიუთითონ ახალ ფაქტობრივ გარემოებებზე და წარმოადგინონ ახალი მტკიცებულებები, რომლებიც არ ჰქონიათ წარმოდგენილი საქმის განხილვისას პირველი ინსტანციის სასამართლოში. სრული აპელაციის დროს სააპელაციო სასამართლო ხელმეორედ იხილავს საქმეს და, როგორც წესი, არასდროს არ აბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოში. სრული აპელაცია უარყოფით გავლენას ახდენს პირველი ინსტანციიის სასამართლოზე, რომელმაც არ იცის რას მოიმოქმედებენ მხარეები სააპელაციო სასამართლოში, რომელ ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებს წარუდგენენ სააპელაციო სასამართლოს და რა სამართლებრივი ბედი ეწევა პირველი ინსატანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას. ამ სახის აპელაცია მართალია, უზრუნველყოფს მხარეთა აქტიურობას სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას, მაგრამ ვერ უზრუნველყოფს ამას პირველი ინსტანციიის სასამართლოში საქმის განხილვისას, რადგან სრული (შეუზღუდავი) აპელაციის დროს მხარეები მთელ თავის იმედებს ამყარებენ სააპელაციო სასამართლოზე. ამიტომ, ხშირად, ტაქტიკური თუ სხვა მოსაზრებებით არ უთითებენ საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან ფაქტებზე, არ წარუდგენენ პირველი ინსტანციიის სასამართლოს მათ ხელთ არ-

193 გ.ქირია, სასამართლო გადაწყვეტილებათა თეორიულ-პრაქტიკული კომენტარები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, თბილისი, 2002, გვ.63.

194 თ.ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2005, 456.

სებულ მტკიცებულებებს და ა.შ. ასეთი ვითარება, საბოლოოო ჯამში, იწვევს როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოს ფუნქციის შესუსტებას, ასევე, საქმის გადაწყვეტის უზომოდ გაჭიანურებას. შესაბამისად, სრული (შეუზღუდავი) აპელაცია – ესაა პირველი ინსტანციიის სასამართლოს გამეორება და არა გაგრძელება.[195]

არასრული (შეზღუდული) აპელაციიის შემთხვევაში კი, ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებული პირობების არსებობისას (პატივსადები მიზეზები).[196] „სააპელაციო სასამართლოს ქართული მოდელი, წარმოადგენს არასრულ (შეზღუდულ) აპელაციას".[197]

სააპელაციო ინსტანციაში შესაგებლის წარუდგენლობის გამო, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობასთან დაკავშირებით,[198] საჭიროა გაანალიზებული იქნეს სააპელაციო ინსტანციაში წარსადგენი შესაგებლის არსი, სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ ბუნებასთან კავშირში.[199]

სსსკ-ის 387-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები ითვალისწინებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას, თუ საქმის ზეპირ განხილვაზე არ გამოცხადდება აპელანტი ან მისი მოწინააღმდეგე მხარე, ხოლო, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ყველა სხვა შემთხვევაში, გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. აუცილებელია დადგინდეს ის მიზანი, რომელიც წარმოადგენს სამართლის ნორმის საფუძველს (სსსკ-ის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილი). არ შეიძლება სამართლის ნორმის იმგვარი განმარტება, რომელიც შეეწინააღმდეგება კანონის ნებას და იმ მიზნებს, რომელთა მიღწევას უზრუნველყოფს

---

195 თ.თოდრია, ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში, თბ., 2010, გვ.21

196 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 04 მარტის განჩინება საქმეზე №ას-1288-2019;

197 თ.ლილუაშვილი, აპელაცია სამოქალაქო პროცესში, პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბ., 2005, გვ. 15.

198 ლ.არხოშაშვილი, სარჩელისაგან თავდაცვის პროცესუალურ-სამართლებრივი საშუალებები, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, 2021, გვ.166.

199 შ.ქურდაძე/ ნ. ხუნაშვილი, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისა და გასაჩივრებასთან დაკავშირებული პრობლემები, სამართალი და მსოფლიო, №2, 2015, გვ.54.

გამოსაყენებელი სამართლებრივი ნორმა. ამ მიზნის დადგენა ხშირ შემთხვევაში, მოითხოვს მის წაკითხვას სხვა ნორმებთან კავშირში, რომლებთან ერთადაც იგი წარმოადგენს სამართლებრივი მოწესრიგების მექანიზმს.

სააპელაციო სამართალწარმოებაში მოქმედებს ძირითადად სპეციალურ საპროცესო ნორმები, რომლებიც მიზნად ისახავენ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრებასთან დაკავშირებული ურთიერთობების მოწესრიგებას. აღნიშნულის გათვალისწინებით სსსკ-ის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილის განმარტება შეუძლებელია იმ ნორმებისაგან იზოლირებულად, რომლებიც განსაზღვრავენ სააპელაციო სასამართლოს ინსტანციურობის თავისებურებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის დადგენილი ნორმების ფართოდ გამოყენებას, შესაძლებელია მოჰყვეს პირველი ინსტანციის გამეორება სააპელაციო სასამართლოში, რაც ეწინააღმდეგება სააპელაციო სასამართლოს ქართული მოდელის არსს.[200]

სააპელაციო სასამართლო განიხილავს მხარეთა მიერ სადავოდ მიჩნეული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს სააპელაციო წარმოების წესსა და ფარგლებს, ამავე დროს იმპერატიულად ადგენს, რომ სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, სააპელაციო საჩივრის დასაბუთება შეამოწმოს მხოლოდ იმ ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით და იმ მტკიცებულებებით, რომლებიც წარდგენილი იყო და შემოწმდა პირველი ინსტანციის სასამართლოში. ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენა სააპელაციო სასამართლოში მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებშია დასაშვები.

შესაბამისად, მხარეთა აქტიურობა უფლებებისა და ინტერესების დასაცავად უზრუნველყოფილი და ეფექტურია საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვის დროს, ხოლო სააპელაციო სასამართლოში მხარეთა აქტიურობა შეზღუდულია თვით სააპელაციო სამართალწარმოების შეზღუდვის გამო. ამ მოსაზრების ნათელ დადასტურებას წარმოადგენს სსსკ-ის 377-ე, 380-ე, 381-ე, 382-ე,

200 თ.თოდრია, ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში, თბ., 2011, გვ.75.

384-ე მუხლები, რომლებიც ფაქტობრივად გამორიცხავს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელმეორედ განხილვის შესაძლებლობას და ადგენს სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის მკაცრად შეზღუდულ ფარგლებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საყურადღებოა სსსკ-ის 372-ე მუხლი, რომლის თანახმად საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, სააპელაციო სასამართლოს საქმის წარმოების თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. ამდენად, ამ ნორმაში გათვალისწინებული ტერმინები „ცვლილებებითა" და „დამატებებით" მიუთითებენ სააპელაციო სასამართლოს ინსტანციისათვის დამახასიათებელ თავისებურებებზე, რომელთა შეცვლა დაუშვებელია და მხოლოდ ამ თავისებურებების გათვალისწინებით (და არა მათი უგულებელყოფით) არის შესაძლებელი პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის დადგენილი წესების დაცვა.[201]

სსსკ-ის 372-ე მუხლი განსაზღვრავს პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის დადგენილი წესების გამოყენების ფარგლებს, ე.ი. ამ წესების გამოყენება არ ატარებს შეუზღუდავ ხასიათს, არამედ შეზღუდულია სააპელაციო სასამართლოს მიზნებით, სააპელაციო სასამართლოს საქმისწარმოების თავისებურებებით. მაშასადამე, სსსკ-ის 387-ე მუხლის 3-ე ნაწილი სისტემურ-ლოგიკურ კავშირშია სსსკ-ის 372-ე მუხლთან.

სსსკ-ის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილი შეიძლება ორ კომპონენტად იქნეს დაყოფილი: ფაქტობრივი ნაწილი, რომელიც ივარაუდება ამ ნორმით და სამართლებრივი შედეგი, რომელიც მოჰყვება ფაქტობრივ ქცევას. განსახილველ მუხლში მოცემულია პირობა, რომლის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია დადგეს იურიდიული შედეგი – დაუსწრებელი გადაწყვეტილება. პირობებს, გარემოებებს, რომელთა არსებობისასაც შეიძლება იქნეს გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, წარმოადგენს საქმის ზეპირ განხილვაზე მხარის (აპელანტი, მისი მოწინააღმდეგე მხარე) გამოუცხადებლობა და გამოცხადებული მხარის (აპელანტი, მისი მოწინააღმდეგე მხარე) სასამართლოსადმი თხოვნა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. სსსკ-ის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილი ავსებს და

201 ე.ობოლაძე, დაუსწრებელი გადაწყვეტილება სააპელაციო სასაამრთლოში, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „თემიდა" № 8 (10), 2013, გვ.73.

არ „აუქმებს“ პირველი და მეორე ნაწილებით დადგენილ წესს. ის პირობები, გარემოებები, რომელიც დადგენილია პირველი და მეორე ნაწილებით (საქმის ზეპირ განხილვაზე მხარის გამოუცხადებლობა და ა.შ.), ნაგულისხმევია სსსკ-ის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილით, ხოლო ამ ნორმაში მითითებული სიტყვები „სხვა შემთხვევაში“ გაგებული უნდა იქნეს ზუსტად ის შემთხვევები, რომლებიც საქმის ზეპირ განხილვაზე მხარის გამოუცხადებლობასთან ერთად იწვევენ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, რაც არ არის მითითებული სსსკ-ის 387-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით (მაგალითად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებენ მოთხოვნას; ორივე მხარის გამოუცხადებლობის შედეგები; დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და ა.შ.).[202] აღნიშნული ნორმების ანალიზიდან გამომდინარე, ნათელია, რომ შესაგებლის წარუდგენლობა და საქმის ზეპირ განხილვაზე გამოუცხადებლობა სხვადასხვა პირობებია, რომლებიც გათვალისწინებულია სამართალწარმოების სხვადასხვა სტადიაზე. იმის გათვალისწინებით, რომ სსსკ-ის 387-ე მუხლი სპეციალური ხასიათისაა, მის მე-3 ნაწილში მითითებული სიტყვების „სხვა შემთხვევაში“ ფართო განმარტება არ შეიძლება იმ შეზღუდვების გაუთვალისწინებლად, რაც დადგენილია სსსკ-ის 372-ე მუხლით.[203]

სსსკ-ის 380-ე მუხლიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო არის ფაქტების დამდგენი სასამართლო იმის გათვალისწინებით, რომ ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენა სააპელაციო სასამართლოში დაიშვება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ გამონაკლის შემთხვევაში. ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სააპელაციო საჩივარზე შესაგებლის წარუდგენლობა ხელს არ უშლის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანაში, ვინაიდან პირველი ინსტანციის სასამართლოში მხარეები სარგებლობენ ფართო საპროცესო უფლებებით და წარადგენენ საქმისთვის საჭირო ყველა იმ მტკიცებულებას, რომელსაც მიიჩნევენ მნიშვნელოვნად თავიანთი მოთხოვნისა თუ შესაგებლის დასაცავად, შესაბამისად, სარჩელსა თუ შესაგებელში, ასევე კონკ-

---

202 თ.თოდრია, ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში, თბ., 2011, გვ.76.

203 ე.ობოლაძე, დაუსწრებელი გადაწყვეტილება სააპელაციო სასაამრთლოში, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „თემიდა“ № 8 (10), 2013, გვ.77.

რეტულ საკითხებთან დაკავშირებული მოსაზრებებით ნათლად გამოხატავენ თავიანთ პოზიციას, რაც სრულად მოცემულია საქმის მასალებში.

იმის გათვალისწინებით, რომ მტკიცებითი საქმიანობა სააპელაციო სასამართლოში შეზღუდულია, შესაბამისად, შესაგებელი, რაც წარმოადგენს მტკიცებითი საქმიანობის განხორციელების პროცესუალურ შესაძლებლობას, სააპელაციო სასამართლოში პოულობს მტკიცებულებითი საქმიანობის განხორციელების ადეკვატურ ასახვას. სააპელაციო სასამართლოში მტკიცებულებითი საქმიანობის განხორციელების თავისებურებების გათვალისწინების გარეშე არ შეიძლება სწორი შეფასება მიეცეს სააპელაციო საჩივრის წინააღმდეგ წარსადგენ შესაგებლის ინსტიტუტს და, შესაბამისად, მისი წარმოუდგენლობის შედეგების სწორად განსაზღვრას.[204] მისი არსებობა ნაკარნახევია სააპელაციო საჩივრის ინსტიტუტით, რომელიც დამახასიათებელია სააპელაციო სასამართლოს ქართული მოდელისათვის. იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო საჩივრის წინააღმდეგ მიმართული შესაგებელი უკავშირდება პირველი ინსტანციის სასამართლოში განხორციელებულ მტკიცებულებით საქმიანობას, დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და ამ ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ კვალიფიკაციას, ე.ი. წარსულში უკვე შედავებულ და გამოკვლეულ ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს, აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის მიერ სააპელაციო სასამართლოში შესაგებლის წარუდგენლობას არ მოჰყვება პირველ ინსტანციის სასამართლოში შესაგებლის წარუდგენლობის შედეგები – ანუ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა. ამ ტიპის შესაგებლის წარუდგენლობა არ შეიძლება გახდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი, რადგან დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დროს მოქმედებს პრეზუმფცია, რომელიც ეხება ფაქტს, მტკიცების წესს და არა სამართალს. შესაბამისად, სსსკ-ის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილის ფართო განმარტება, ნორმის გავრცელება ისეთ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც უცხოა სააპელაციო სამართალწარმოებისათვის, დაუშვებელია.

სააპელაციო შესაგებელი, როგორც მტკიცებითი საქმიანობის განსახორციელებელი საპროცესო საშუალება, არ შეიძლება გაიგივებული იქნეს სარჩელის წინააღმდეგ მიმართულ შესაგებელთან.

---

204 ლ.არხოშაშვილი, სარჩელისაგან თავდაცვის პროცესუალურ-სამართლებრივი საშუალებები, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, 2021, გვ.164.

სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული შესაგებლის წარუდგენლობის ფაქტი თავისთავად განსაზღვრავს მტკიცების საგანს, რადგან სარჩელში მითითებული ფაქტების მტკიცებისაგან თავისუფლდება მოსარჩელე. აღნიშნული ფაქტი შეიძლება იყოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობა. შესაბამისად, სააპელაციო შესაგებლის წარუდგენლობას საქმის მომზადების ეტაპზე, როგორც იურიდიულ ფაქტს, არ შეიძლება მოჰყვეს ისეთივე შედეგები, რადგან აპელაციაში მტკიცებითი საქმიანობის განხორციელების თავისებურებიდან გამომდინარე იხილება იგივე სადავო მატერიალურ-სამართლებრივი ფაქტები და მტკიცებულებები, ხოლო ამ სტადიაზე შესაგებლის წარუდგენლობით არ განისაზღვრება პირველ ინსტანციაში შესაგებლის წარუდგენლობის მსგავსად მტკიცების საგანი.[205]

სააპელაციო საქმისწარმოების მომწესრიგებელი ნორმებით შესაგებლის წარუდგენლობისას დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუთვალისწინებლობა, წარმოადგენს კანონმდებლის ე.წ. კვალიფიციურ დუმილს. ზუსტად ეს პრინციპი უნდა იქნეს გავითვალისწინებული სსსკ-ის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილის განმარტებისას, რომელიც არა დესკრეციულ, არამედ ნორმატიულ ფაქტობრივ შემადგენლობას მოიცავს, რაც თავისთავად ითვალისწინებს არა უპირობოდ პირველ ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ წესების „გადმოღებას", არამედ მისი ნორმატიული ხასიათის გათვალისწინებით, სააპელაციო საქმისწარმოების შეფასების გზით, დაუსწრებელი გადაწყვეტილების წინაპირობების სწორ დიფერენცირებას.

„დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ სსსკ-ის 387-ე მუხლს (1997 წლის 14 ნოემბრის რედაქცია) არც 2007 და არც 2010 წლის საკანონმდებლო ცვლილებები არ შეხებია და მისი გავრცელება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის სპეციალურ საფუძველზე – შესაგებლის წარუდგენლობაზე, საკანონმდებლო ტექნიკითაც სპეციალური დათქმის გარეშე დაუშვებელია. სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოებისას სსსკ-ის 232[1] მუხლით გათვალისწინებული დანაწესის გამოყენებაზე დათქმის არარსებობა კანონის ხარვეზს არ წარმოადგენს და ამით კანონმდებელმა სწორად და საფუძვლიანად გააანალიზა სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვის

205 ლ. არხოშაშვილი, სარჩელისაგან თავდაცვის პროცესუალურ-სამართლებრივი საშუალებები, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, 2021, გვ.165.

სპეციფიკა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების არსი. განსაკუთრებით მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის პოზიცია, გარდა პირველ ინსტანციაში მის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებისა და ეფექტურად გამოყენებული უფლების დაცვის საშუალებებისა, გამყარებულია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც წარმოადგენს უფლების დაცვის შესახებ მიღებულ მართლმსაჯულების აქტს. სასამართლო გადაწყვეტილების მიმართ მხარეთა კანონიერი ნდობის მომენტი ბუნებრივად განაპირობებს საქმეში მონაწილე მხარეთა რწმენას გადაწყვეტილების სამართლებრივ დასაბუთებულობასა და კანონიერებაზე. ასეთ პირობებში, მხარე, რომელიც ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების ფაქტობრივ და სამართლებრივ დასაბუთებას, ლოგიკურად და მართებულადაც ასკვნის, რომ სასამართლოს მიერ მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების მოტივაცია, საკმარისს უნდა წარმოადგენდეს სააპელაციო სასამართლოში მისი უფლებების დასაცავად და პოზიციის გამოსახატავად. დიდმა პალატამ დაასკვნა, რომ სააპელაციო საჩივარზე შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო, სააპელაციო სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, არ არის მიზანშეწონილი".[206]

§4 დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან მიმართებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა

დაუსწრებელ გადაწყეტილებასთან მიმართებით მნიშვნელოვანი დებულებებია ასახული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებში.

მხარეთა თანასწორობის პრინციპი, რომელიც სამართლიანი სასამართლოს ფართო კონცეფციის ერთ-ერთი ელემენტია, მოითხოვს თითოეული მხარისაგან ჰქონდეს გონივრული შესაძლებლობა წარმოადგინოს საკუთარი საქმე ისეთ პირობებში, რომელიც არ ჩააყენებს მას მნიშვნელოვნად არახელსაყრელ მდგომარეობაში მის

206 საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2016 წლის 17 მარტის განჩინება საქმეზე №ას-121-117-2016;

მოწინააღმდეგე მხარესთან მიმართებით (იხილეთ Nideröst-Huber v Switzerland, 18/02/1997, § 23; Kress v France (დიდი პალატა), no.39594/98, § 72, ECHR 2001-VI; yon v France, no 44962/98, § 31, ECHR 2003-V; Gorraiz Lizarraga and thers v Spain, no. 62543/00, § 56, ECHR 2004-III. „სამართლიანი სასამართლოს უფლების ზოგადი კონცეფცია" მოიცავს შეჯიბრებითი სამართალწარმოების ფუნდამენტურ პრინციპს (იხ. Ruiz-Mateos V Spain, 23/06/1993, § 63, ECHR, Series A, no.262; Lobo Machado v Portugal, 20/02/1996, § 31, 1996-I. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ „სამართლიანი სასამართლო განხილვის" მოთხოვნების დაცვა თითოეულ ინდივიდუალურ საქმეში (იხილეთ Dombo Beheer B.V. v. the Netherlands, 27.10.1993, § 33, სერია A no. 274). აღნიშნული პრინციპი იმასაც გულისხმობს, რომ პირი ინფორმირებული უნდა იყოს მის წინააღმდეგ მიმდინარე სამართალწარმოების შესხებ (იხ. Dilipak and arakaya v Turkey, №. 7942/05 და 24838/05, 04/03/2014, § 77). თუ სასამართლო დოკუმენტები, მათ შორის სასამართლო სხდომის უწყებები მხარეს არ ჩაბარდა, მაშინ მას შეიძლება ხელი შეეშალოს სამართალწარმოების პროცესში საკუთარი თავის დაცვის განხორციელებაში (იხ. Ozgur- araduman v Germany, №. 4769/02, 26/06/2007; Weber v Germany, №. 30203/03, 02/10/2007; Zavodnik v Slovenia, №. 53723/13, 21/05.2015, § 70).

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი მოითხოვს და საშუალებას აძლევს მონაწილე სახელმწიფოებს, მოაწყონ მათი სამართლებრივი სისტემები იმგვარად, რომ ხელი შეეწყოს სწრაფ და ეფექტურ სამართალწარმოებას, მათ შორის, დაუსწრებელი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობის კუთხით. (იხილეთ: Aždajić v. Slovenia, no. 71872/12, 08/10/2015, § 49; Gankin and ters v Russia, №. 12938/12. 31/05/2016, § 26.) თუმცა აღნიშნული არ შეიძლება განხორციელდეს სხვა პროცედურული გარანტიების, განსაკუთრებით კი მხარეთა თანასწორობის პრინციპის ხარჯზე.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „გახარია საქართველოს წინააღმდეგ" (Gakharia v Georgia, №. 30459/13, 06/12/2016), მიიჩნია, რომ სასამართლოს უნდა შეესწავლა ორი ძირითადი საკითხი: პირველი – გამოიჩინა თუ არა საქართველოს სახელმწიფომ საკმარისი გულმოდგინება ყველა საჭირო ზომის მიღებით, რათა ეცნობებინა მომჩივნისათვის (განმცხადებლისათ-

ვის) საქმის წარმოების დაწყების თაობაზე, რომელიც შეეხებოდა მისთვის მშობლის უფლებების შესაძლო შეზღუდვას და ამასთან დაკავშირებით, მომჩივანმა (განმხცადებელმა) განაცხადა თუ არა უარი საკუთარ უფლებაზე, წარმდგარიყო სასამართლოს წინაშე და დაეცვა თავი; და მეორე – უზრუნველყო თუ არა ეროვნულმა კანონმდებლობამ მომჩივანი (განმცხადებელი) შესაბამისი სამართლებრივი საშუალებებით, რათა დაცული ყოფილიყო შეჯიბრებითობის პრინციპი ახალ სასამართლო სხდომაზე, როდესაც მან შეიტყო მის წინააღმდეგ დაუსწრებლად გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ (§ 38). საქმეზე დადგინდა კონვენციის 6-ე მუხლის დარღვევა (Gakharia v Georgia, №. 30459/13, 06.12.2016, § 49-51).

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში „ბართაია საქართველოს წინააღმდეგ" განმარტა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას ფორმალისტური და მოუქნელი მიდგომა ეწინააღმდეგება გულმოდგინების პრინციპს; ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა გამოიჩინონ გულმოდგინება, რათა უზრუნველყონ კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული უფლებებით ეფექტიანი სარგებლობა (იხ. „ბართაია საქართველოს წინააღმდეგ" (Bartaia v. Georgia/საჩივარი №10978/06, ECHR).

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2016 წლის 23 მაისის გადაწყვეტილებით საქმეზე „ავოტინში ლატვიის წინააღმდეგ", რომელშიც განმცხადებლის ერთ-ერთი პრეტენზია იყო, მის წინააღმდეგ მიღებულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაში სამართლებრივი დაცვის საშუალებებზე მითითების არარსებობა, არ დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა და განმარტა, რომ განმცხადებელი უნდა გაცნობოდა კვიპროსის სასამართლოებში შესაძლო განხილვის წესს. არ მოიპოვა რა აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია, მან, თავისი უმოქმედობითა და მონდომების არარსებობით, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი იმ ვითარების შექმნას, რომელზეც იგი ჩიოდა ევროპულ სასამართლოში და რომელიც შეეძლო აეცილებინა ზიანის გარეშე (CASE AVOTIŅŠ v. LATVIA, Application no. 17502/07, [დიდი პალატა], JUDGMENT, 2016 წლის 23 მაისი, §123-124).

§5 მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს იმ შემთხვევებსაც, როდესაც სასამართლო სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობის მიუხედავად, დაუშვებელია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა სასამრთლო სხდომაზე გამოუცხადებელი მხარის წინააღმდეგ.[207] ეს იმას ნიშნავს, რომ თუ სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ერთ-ერთი წინაპირობა, იგი გამოიტანს განჩინებას საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადადების შესახებ.[208]

I. სსსკ-ის 70-78-ე მუხლების მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა;

მხარის ერთ-ერთი ფუნდამენტური საპროცესო უფლებაა მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში.[209] ამ უფლებას შეესაბამება სასამართლოს მოვალეობა შეატყობინოს მხარეს საქმის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ სსსკ 70–78-ე მუხლებით დადგენილი წესით.[210]

რამდენადაც პროცედურული წესები მოდავე მხარეთათვის თანაბარ უფლება-ვალდებულებებს ითვალისწინებს, სასამართლოს მიერ მათი ზედმიწევნით დაცვა აუცილებელია, რაც ნორმის განსაკუთრებით მკაცრ ინტერპრეტაციად არ უნდა შეფასდეს.[211] ამგვარი მიდგომა განმტკიცებულია ადამიანის უფლებათა ევროპული

---

207 შ.ქურდაძე/ ნ. ხუნაშვილი, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისა და გასაჩივრებასთან დაკავშირებული პრობლემები, „სამართალი და მსოფლიო“, №2, 2015, გვ.56.

208 თ.ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2005,გვ.396.

209 ა.ნაჭყებია, სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში, GIZ, 2019, გვ. 229.

210 თ.ლილუაშვილი, სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში, პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბ., 2001, გვ. 182-183.

211 ი.მერებაშვილი, დაუსწრებელი გადაწყვეტილება ქართულ და უცხოურ კანონმდებლობაში „მართლმსაჯულება“ №3, 2007, გვ.150.

სასამართლოს პრეცენდენტული სამართლითაც: მხარეთა თანასწორობის პრინციპი, რომელიც საქმის სამართლიანი სასამართლო განხილვის უფრო ფართო ცნების ერთ-ერთი ელემენტია, მოითხოვს, რომ თითოეულ მხარეს მიეცეს გონივრული შესაძლებლობა, წარმოადგინოს მისი საქმე ისეთ პირობებში, რომლებიც მას არ აყენებს არსებითად არამომგებიან პოზიციაში მის ოპონენტთან შედარებით. ამასთან, კონვენციის მე-6 მუხლი მოითხოვს და საშუალებას აძლევს სახელმწიფოებს, მოაწყონ თავიანთი სამართლებრივი სისტემები იმგავრად, რომ ხელი შეუწყონ სწრაფ და ეფექტურ საქმისწარმოებას, გადაწყვეტილებების დაუსწრებლად გამოტანის შესაძლებლობის ჩათვლით, თუმცა ეს არ შეიძლება განხორციელდეს სხვა სამართლებრივი გარანტიების, განსაკუთრებით მხარეთა თანასწორობის პრინციპის ხარჯზე.[212]

სსსკ-ის 70-ე მუხლის პირველ ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს, ხოლო ჩაბარების განსხვავებულ, გონივრულ წესზე მხარეთა შეთანხმების არსებობის შემთხვევაში – ამ შეთანხმებით გათვალისწინებული წესით. წარმომადგენელი ვალდებულია, უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს.[213] სასამართლო უწყებით სასამართლოში იბარებენ აგრეთვე მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებსა და თარჯიმნებს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, მხარეები, მათი წარმომადგენლები, აგრეთვე მოწმეები, ექსპერტები, სპეციალისტები და თარჯიმნები შეიძლება დაიბარონ ტელეფონით, ფაქსით, სხვა ტექნიკური საშუალებით ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესით. ტექნიკური საშუალებით დაბარებისას მიეთითება ამ კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული საკითხები, ხოლო 73-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში აგრეთვე დგება

212 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 19 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-930-888-2013;

213 ს.ჩხაიძე, დაუსწრებელი გადაწყვეტილება სამოქალაქო პროცესში – ძირითადი პრობლემები, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, „მართლმსაჯულება და კანონი“№4 (35), 2012, გვ.45.

აქტი, რომელიც ჩაიკერება საქმეში. აქტს ადგენს სასამართლოს შესაბამისი მოხელე. ამავე კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უწყება უნდა შეიცავდეს: ა) სასამართლოს სახელწოდებასა და ზუსტ მისამართს; ბ) მითითებას გამოცხადების დროისა და ადგილის შესახებ, ხოლო თუ უწყება ეგზავნება წარმომადგენელს, – აგრეთვე მითითებას იმის თაობაზე, რომ იგი ვალდებულია აცნობოს ამის შესახებ მხარეს, რომლის წარმომადგენელიც არის; გ) საქმის დასახელებას, რომლის გამოც იბარებენ ამა თუ იმ პირს, და მითითებას დავის საგნის შესახებ; დ) სასამართლოში დასაბარებელი პირის ვინაობას, აგრეთვე იმას, თუ რა სტატუსით არის იგი დაბარებული, და მითითებას არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მის მიმართ გამოსაყენებელი ზომების შესახებ; ე) წინადადებას მხარეების მიმართ, წარმოადგინონ მათთან არსებული ყველა მტკიცებულება; ვ) მითითებას იმის თაობაზე, რომ ადრესატის არყოფნისას უწყების მიმღები პირი ვალდებულია პირველი შესაძლებლობისთანავე ჩააბაროს უწყება ადრესატს; ზ) მითითებას გამოუცხადებლობის შედეგებზე და ვალდებულებას, აცნობოს სასამართლოს გამოუცხადებლობის მიზეზები.[214]

უწყების ჩაბარების კანონით დადგენილი წესი ითვალისწინებს შემდეგ გარემოებებს: უწყება უნდა ჩაჰბარდეს ადრესატს იმ გონივრულ ვადაში, რა ვადაშიც ის შეძლებს სხდომაზე გამოცხადებასა და სხდომისათვის მომზადებას, უწყება ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ შეესაბამებოდეს კანონის მოთხოვნებს, ანუ ირკვეოდეს მისი შინაარსი, დრო და გამოუცხადებლობის შედეგები.[215] იმ შემთხვევაში, თუ უწყება არ პასუხობს სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნებს და გამოუცხადებელი მხარის მიმართ გამოიტანილი იქნება დაუსწრებელი გადაწყვეტილება, აღნიშნული წარმოადგენს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს.[216]

საპროცესო ვალდებულებების არსებობა შეჯიბრებით პროცესში მხარეთა უფლებების დაცვის, საპროცესო ეკონომიის პრინციპისა და, საბოლოოდ, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის გარანტიაა.

214 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 20 იანვრის განჩინება საქმეზე №ას-1242-2021;

215 ი.მერებაშვილი, დაუსწრებელი გადაწყვეტილება ქართულ და უცხოურ კანონმდებლობაში „მართლმსაჯულება“ №3, 2007, გვ.150.

216 თ.ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2005, გვ. 394.

შეჯიბრებითობის საფუძველზე განხორციელებული საქმისწარმოებისას კი, სწორედ სასამართლოა იმის გარანტი, რომ უზრუნველყოს მხარეთა მიერ სასამართლო პროცესთან დაკავშირებული წესების დაცვა, რათა უსაფუძვლოდ და უკანონოდ არ შეილახოს რომელიმე მხარის უფლება.[217]

სსსკ-ის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსაძახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე ქმედუნაირან წევრს. უწყების მიმღები ვალდებულია უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი სახელი და გვარი, ადრესატთან დამოკიდებულება და დაკავებული თანამდებობა. უწყების ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაბარება ჩაითვალება უწყების ადრესატისთვის ჩაბარებად, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით. შესაბამისად, სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ იყო ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. [218]

სსსკ-ის 71-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, თუ მოსარჩელეს მის მიერ მითითებულ მისამართზე უწყება ვერ ჩაჰბარდა ამ კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით, უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება. ეს წესი მოპასუხის მიმართ გამოიყენება მის პასუხში (შესაგებელში) მითითებულ მისამართზე უწყების გაგზავნის შემთხვევაში. სსსკ-ის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადების თანახმად კი, თუ პირველად გაგზავნისას უწყების ადრესატისათვის ჩაბარება ვერ ხერხდება, იგი დასაბარებელ პირს უნდა გაეგზავნოს დამატებით ერთხელ მაინც იმავე ან სასამართლოსთვის ცნობილ სხვა მისამართზე. „მითითებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, მოპასუხე შპს-სათვის სასამართლო უწყების მის მიერ შესაგებელში მითითებულ მისამართზე ორჯერ გაგზავნა, მხარისათვის სასამართლო უწყების ჩაბარებას უთანაბრდება. შესაბამისად, კასა-

217 მ.თოდუა/ ზ.ძლიერიშვილი/ დ. ბერეკაშვილი/ თ.ხაჟომია /თ. თოდრია/ ს. ჩხაიძე/ ნ.კვანტალიანი, სასამართლო გადაწყვეტილების სტრუქტურა პირველ და მეორე ინსტანციაში, პრაქტიკული სახელმძღვანელო, GIZ, 2020, გვ.9.

218 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 09 მარტის განჩინება საქმეზე №ას-1243-1166-2015;

ტორის პოზიცია აღნიშნულთან დაკავშირებით დაუსაბუთებელად იქნა მიჩნეული."[219]

„სსსკ-ის 76-ე მუხლის შესაბამისად, მხარეები და მათი წარმომადგენლები მოვალენი არიან, აცნობონ სასამართლოს საქმის წარმოების განმავლობაში თავიანთი მისამართის შეცვლის შესახებ. ასეთი ცნობის უქონლობისას უწყება გაიგზავნება სასამართლოსათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და ჩაბარებულად ითვლება, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ ცხოვრობდეს. საქმის მასალებით დასტურდება, რომ წარმომადგენელს სასამართლოსათვის არ უცნობებია მისამართის შეცვლის შესახებ და, სსსკ-ის 76-ე მუხლის შესაბამისად, მისთვის უწყება ჩაბარებულად ითვლება, ხოლო ამავე კოდექსის 70-ე მუხლის მეორე წინადადების შესაბამისად, უწყება ჩაბარებულად ითვლება მხარისათვისაც. შესაბამისად, გასაჩივრებული სასამრთლოს განჩინება სრულად შეესაბამება სსსკ-ის 229-ე მუხლის მეორე ნაწილის დანაწესებს."[220]

„სასამართლომ მიუთითა, რომ არ არსებობდა მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები (სსსკ-ის 230-ე, 233-ე მუხლები)".[221] „საკასაციო პალატამ არ გაიზიარა კასატორის პრეტენზია, რომლის თანახმად, იგი სასამართლო სხდომაზე კანონით დადგენილი წესით არ იყო მიწვეული.[222]

„სააპელაციო სასამართლომ სატელეფონო შეტყობინების საერთო შინაარსისა და იმის გათვალისწინებით, რომ ადრესატი ადვოკატი იყო (რომლისთვისაც სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შედეგები ცნობილი უნდა ყოფილიყო), უწყება კანონით დადგენილი წესით ჩაბარებულად მიიჩნია. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საპროცესო ნორმები, როგორც ფორმალურ წესთა ერთობლიობა, იმ სავალდებულო მოთხოვნებს ადგენს, რომელთა შეცვლა ან განსხვავებული ინტერპრეტაცია არც სასამართლოს და არც მხარეთა შეხედულებაზე

219 საქართველოს უზენაესი სასაამრთლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-1105-1025-2018;

220 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 15 დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას-1133-1066-2015;

221 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 15 დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას-1120-1054-2015;

222 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 13 ოქტომბერის განჩინება საქმეზე №ას-620-2021;

არაა დამოკიდებული. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მხარისა და ადვოკატისათვის სასამართლო უწყების ჩაბარების განსხვავებულ წესს არ ითვალისწინებს. შესაბამისად, ნორმის განმარტება იმგვარად, რომ ადვოკატმა ისედაც იცის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის შედეგები და აღარ უნდა ეცნობოს, არ არის მართებული. საპროცესო ნორმის ამგვარი ინტერპრეტაცია არასწორია იმიტომაც, რომ ის მძიმე ტვირთად დააწვებოდა თავად მხარეს. მხარეებს, ისევე, როგორც მათ წარმომადგენლებს, უწყება უნდა ჩაჰბარდეთ დადგენილი ფორმით, რა დროსაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს სიზუსტეს. სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს, რამდენად სწორად არის წერილობითი ფორმით შედგენილი თუ ტელეფონით გადაცემული უწყება ჩაბარებული, ანუ რამდენად შეესაბამება უწყების შინაარსი სსსკ-ის 72.1 მუხლის მოთხოვნებს. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ პროცედურული წესის არასწორმა ინტერპრეტაციამ მოსარჩელეს ჩამოართვა სარჩელის განხილვის უფლება, რითაც შეილახა მისი სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება. შესაბამისად, რადგან მოსარჩელე მხარე არ იყო სათანადოდ ინფორმირებული სასამართლო განხილვის შესახებ, მას უწყება კანონით დადგენილი წესით არ ჩაჰბარდა, ამიტომაც მის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა ეწინააღმდეგებოდა სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნას“.[223]

II. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა დაუძლეველი ძალის ან სხვა ობიექტური გარემოებების არსებობის შემთხვევაში;

სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებელი მხარის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია მაშინაც, როცა სასამართლო უწყება კანონით დადგენილი წესით გაიგზავნა და ჩაბარდა გამოუცხადებლ მხარეს, მაგრამ სასამართლოსათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებების შესახებ, რომლებსაც შეეძლოთ ხელი შეეშალათ მხარის სასამართლოში დროულად გამოცხადებისათვის (სტიქიური მოვლენები, მხარის ავადმყოფობა და ა.შ.).

223 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 19 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-930-888-2013;

სამართლებრივად მნიშვნელოვანი არაა, თუ რომელი წყაროებიდან გახდა სასამართლოსათვის ცნობილი ამ გარემოებების არსებობა (თვითონ გამოუცხადებელი მხარისაგან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ა.შ.)

სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ" პუნქტში მითითებული გარემეოებების ჩამონათვალი არაა ამომწურავი. გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია მიუთითოს ფორსმაჟორულ ან სხვა მოვლენებზეც, რაც სასამართლო სხდომაზე მისი გამოუცხადებლობის მიზეზი გახდა და რომლის შესახებაც მას არ შეეძლო დროულად ეცნობინებინა სასამართლოსათვის. ამასთან, კანონმდებელი ავალდებულებს მხარეს, წინასწარ აცნობოს სასამართლოს სხდომაზე მისი გამოცხადების შეუძლებლობის და მიზეზის შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი შეტყობინების სხდომამდე გაკეთება შეუძლებელია. იმ გარემოებათა დამტკიცების ტვირთი, რომლებზეც მიუთითებს მხარე თავის საჩივარში, როგორც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზზე, ეკისრება მომჩივანს, ხოლო ამ გარემოებათა შეფასება იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად საპატიოა მხარის გამოუცხადებლობა, სასამართლოს უფლებამოსილებაა[224].

სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის ანალიზი ცხადყოფს, რომ კანონმდებელი არ აზუსტებს, თუ რა დაუძლებელ ძალას ან „სხვა მოვლენებს" გულისხმობს, რასაც ხელი შეიძლება, შეეშალა მხარისათვის სასამართლოში დროულად გამოცხადებაში და ამ საკითხს სასამართლოს სამართლიანობის პრინციპებზე დაყრდნობით შეფასებას ანდობს.[225]

მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოება ჩაითვალა იმ მოვლენად, რასაც მხარის გამოცხადებისათვის ხელის შეშლა შეეძლო და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად მიიჩნევა.[226]

---

224 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 07 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-867-2021; სუსგ 2021 წლის 24 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ას-652-2021; სუსგ 2021 წლის 07 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-274-2021.

225 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 16 მარტის განჩინება საქმეზე №ას-37-37-2018;

226 სუსგ 2016 წლის 08 აპრილის განჩინება საქმეზე №ას-156-152-2016;

III. გამოუცხადებელი მხარისათვის საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეუტყობინებლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა;

მოპასუხეს სსსკ-ის 184-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით დროულად უნდა გაეგზავნოს და ჩაბარდეს სარჩელისა და თანდართული საბუთების ასლები, აგრეთვე ყველა სხვა მასალა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას იმ ფაქტიური გარემოებების შესახებ, რომლებიც წამოყენებულია მის წინააღმდეგ მოსარჩელის მიერ. თავის მხრივ, მოსარჩელეს უნდა გადაეგზავნოს მოპასუხის მიერ წარმოდგენილი წერილობითი შესაგებელი და სხვა მასალები. (სსსკ-ის 201, 203-ე მუხლები).[227] „დროულად ეცნობოს" იმას ნიშნავს, რომ მხარემ ასეთი ინფორმაცია უნდა მიიღოს საქმის მომზადების სტადიაზე, ხოლო გამონაკლის შემთხვევაში, ამ სტადიის დამთავრების შემდეგ, მაგრამ იმ გონივრული ვარაუდით, რომ მან შეძლოს მოემზადოს სასამართლოს სხდომისათვის.[228]

„საკასაციო პალატა დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის „გ" პუნქტითა და ამავე კოდექსის 241-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, რის გამოც პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობა საპატიოდ უნდა მიჩნეულიყო".[229]

„საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საქმის მასალებში წარმოდგენილი არ არის აპელანტისათვის შეგებებული სააპელაციო საჩივრის განსახილველად სასამართლო სხდომის თაობაზე უწყების გაგზავნის ან/და ჩაბარების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება. საკასაციო პალატამ გაიზიარა კერძო საჩივრის ავტორის მსჯელობა იმის თაობაზე, რომ განსახილველ შემთხვევაში მას დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

227 თ.ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2005, გვ. 395.

228 ს.ჩხაიძე, დაუსწრებელი გადაწყვეტილება სამოქალაქო პროცესში – ძირითადი პრობლემები, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, „მართლმსაჯულება და კანონი" №4 (35), 2012, გვ.45.

229 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 20 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-310-297-2015;

დაუსწრებელი გადაწყვეტილების (სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე განჩინების) გამოტანის დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენდა."[230]

IV. სარჩელის აღძვრის წინაპირობების არ არსებობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა;

თუ სარჩელის აღძვრის კანონმდებლობით გათვალისწინებული წინაპირობები არ არსებობს, სასამართლომ არ უნდა მიიღოს სარჩელი განსახილველად. მაგრამ თუ სარჩელი შეცდომით იქნა მიღებული, სასამართლომ უნდა შეწყვიტოს საქმის წარმოება (სსსკ-ის 272-ე მუხლი), ან დატოვოს სარჩელი განუხილველად (სსსკ-ის 275-ე მუხლი), იმის მიხედვით, სარჩელის აღძვრის რომელი წინაპირობა არარსებობს (სსსკ-ის 187-ე მუხლი).[231]

„საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს არ შეუმოწმებია, არსებობდა თუ არა სარჩელის აღძვრის წინაპირობები. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელეს აღძრული ჰქონდა აღიარებითი სარჩელი, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მას არ მითითებია სსსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული იურიდიული ინტერესი და არც ის იქნა გარკვეული, შესაძლებელი იყო თუ არა მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრა, სააპელაციო სასამართლომ მაინც გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხის წინააღმდეგ, რაც, საკასაციო პალატის მოსაზრებით, ეწინააღმდეგება სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნას, შესაბამისად სახეზე იყო გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი (სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე[1]" ქვეპუნქტი)."[232]

„საკასაციო პალატის განჩინებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სამოქალაქო საპროცესო კოდ-

230 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 30 იანვრის განჩინება საქმეზე №ას-1068-1027-2016;

231 თ.ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2005, გვ. 396.

232 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 19 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-914-876-2014;

ექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე, ასევე, ამავე სასამართლოს განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ და საქმე იმავე სასამართლოს დაუბრუნდა ხელახლა განსახილველად. საკასაციო პალატამ მიუთითა, საერთო სასამართლოებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ აღძრული სარჩელისადმი მოსარჩელის იურიდიულ ინტერესზე, ასევე, იმ საკითხზე, თუკი აღიარებითი სარჩელის ნაცვლად, შესაძლებელია მიკუთვნებითი მოთხოვნის წაყენება მოპასუხისადმი, რაც იმავდროულად გადაწყვეტილების აღსრულებაუნარიანობის საკითხსაც უკავშირდება, რადგან გადაწყვეტილების აღსრულება მხარისათვის გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს განუყოფელი ნაწილია, ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე. (იხ. ასევე: IZA Ltd and Makrakhidze v. Georgia, §42; Burdov v. Russia, §34; Hornsby v. Greece, §40).“ [233]

„მოპასუხეები დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე წარდგენილ საჩივარში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას მხოლოდ, სსსკ-ის 233-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა დარღვევის გამო ითხოვდნენ, ვინაიდან სადავო ბინაში, რომლის გამოთავისუფლებასა და გადაცემასაც მოსარჩელე მოითხოვდა, მოპასუხეები არ ცხოვრობდნენ. თავიანთი პოზიციის გასამყარებლად დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისათვის რაიმე მტკიცებულება საჩივრისთვის/სააპელაციო საჩივრისთვის მათ არ დაურთავთ და ამ მსჯელობის საწინააღმდეგოდ, დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია არ წარუდგენიათ. სასამართლო კი შეიძლება დაემყაროს მხარის განმარტებას, გაგებული უნდა იქნეს საქმეში არსებული მტკიცებულებებთან ამ განმარტების შესაბამისობის თვალსაზრისით, შესაბამისად, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი“.[234]

---

233 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 14 მაისის განჩინება საქმეზე №ას-1489-1409-2017;

234 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 07 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-867-2021;

V. სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გარემოებების სამართლებრივი შედეგები

სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა", „ბ" და „გ" ქვეპუნქტებში მითითებული ერთ-ერთი გარემოების არსებობისას, სასამართლო ვერ გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, არამედ განჩინებით საქმის განხილვას სხვა დროისათვის ნიშნავს, რის შესახებაც ატყობინებს გამოუცხადებელ მხარეს და საქმეში მონაწილე სხვა პირებს.

სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ" ქვეპუნქტში მითითებული სარჩელის აღძვრის წინაპირობების არსებობისას, სასამართლო ვერ გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, ასევე ვერ გადადებს საქმის განხილვას, არამედ შეწყვეტს საქმის წარმოებას სსსკ-ის 272-ე მუხლის შესაბამისად, ან სსსკ-ის 275-ე მუხლის საფუძველზე, სარჩელს განუხილველად დატოვებს.

მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობის შემთხვევაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ" და „გ" ქვეპუნქტებში მითითებული ერთ-ერთი გარემოების არსებობისას.[235]

დაუსწრებელი გადაწყვეტილების შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს სსსკ-ის 249-ე მუხლის მოთხოვნებს სამოტივაციო ნაწილის ჩამოყალიბების გარეშე.[236] „პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიცავს საკმარის მითითებას იმ ფაქტებსა და სამართლებრივ ნორმებზე, რამაც განაპირობა სააპელაციო მოთხოვნის იურიდიულად მართებულად მიჩნევა, ხოლო სსსკ-ის 234-ე მუხლის თანახმად, დასაბუთებული მოტივაციის ჩამოყალიბების ვალდებულება სასამართლოს არ გააჩნია".[237]

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის §335-ის თანახმად, სასამართლო ვერ გამოიტანოს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, თუკი: ა) გამოუცხადებელი მხარე არ იყო მოწვეული საქმის განხილვაში კანონით დადგენილი წესით; ბ) გამოუცხადებელ მხ-

---

235 ზ. ძლიერიშვილი, დაუსწრებელი გადაწყვეტილება (თეორია და პრაქტიკა), თბ., 2022, გვ. 178.

236 მ.თოდუა/ ზ.ძლიერიშვილი/ დ. ბერეკაშვილი/ თ.ხაჟომია /თ. თოდრია/ ს. ჩხაიძე/ ნ.კვანტალიანი, სასამართლო გადაწყვეტილების სტრუქტურა პირველ და მეორე ინსტანციაში, პრაქტიკული სახელმძღვანელო, GIZ, 2020, გვ.9.

237 სუსგ 2017 წლის 11 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-631-589-2017;

არეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები; გ) §331-ის მესამე აბზაცით გათვალისწინებულ შემთხვევაში (თუ მოპასუხე განსზღვრულ ვადაში, რომელიც არ უნდა იყოს ორ კვირაზე ნაკლები, არ წარადგენს შესაგებელს სარჩელის წინააღმდეგ, მაშინ მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლო დაადგენს საქმის განხილვას ზეპირი მოსმენის გარეშე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისებისა), მოპასუხეს §276 -ის მოთხოვნათა შესაბამისად, არ ეცნობა შესაგებლის წარდგენის ვადის, ასევე შესაგებლის წარუდგენლობის სამართლებრივი შედეგების შესახებ. ასეთ შემთხვევებში, სასამართლომ საქმის განხილვა სხვა დროისათვის უნდა გადადოს. საქმის განხილვის გადადება გათვალისწინებულია აგრეთვე §337-ით განსაზღვრულ შემთხვევებში.[238]

§6. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ საჩივარის თავისებურებანი

ნებისმიერი სასამართლო გადაწყვეტილება და მათ შორის დაუსწრებელი გადაწყვეტილებაც, არის მართლმსაჯულების აქტი, რომლის მეშვეობითაც წესრიგდება მოდავე მხარეებს შორის სამართლებრივი ურთირთობები. გადაწყვეტილება სასამართლო საქმიანობის საბოლოო პროდუქტად მიიჩნევა.[239]

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სასამართლო გადაწყვეტილების, მათ შორის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას.

მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია გააქარწყლოს ვარაუდი, რომელიც საფუძვლად უდევს ამ გადაწყვეტილებას, მოითხოვოს მისი გაუქმება და საქმის განახლება, თუ დაამტკიცებს, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები. [240] (ანალო-

238 Borck Hans-G., in: Wieczorek,Schütze (Hrsg.), Zivilprozessordnung und Nebengesetze, 4. Aufl., Bd.5. Teild 1, § 335, Rn.46, Berlin, 2015. Prüting H., in Krüger/Rauscher (Hrsg.): Münchener kommentar zur Zivilprozessordnung, 5. Aufl., Band 1: § 337, Rn.8, München, 2016;

239 მ. სულხანიშვილი, სასამრთლო გადაწყვეტილება, როგორც საპროცესო დოკუმენტი და მისი გასაჩივრების ფორმები მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, „მართლმსაჯულება და კანონი", № 4(47), 2015, გვ.19.

240 ი. მერებაშვილი, დაუსწრებელი გადაწყვეტილება ქართულ და უცხოურ კანონ-

გიურადაა გადაწყვეტილი გერმანიის სამოქალქო საპროცესო კოდექსის § 338-ით).[241]

საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განხილვის განახლების შესახებ (საჩივარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე) თავისი შინაარსით განსხვავდება როგორც სააპელაციო, ისე საკასაციო და კერძო საჩივრებისაგან.[242]

მთავარი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ საჩივარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეიძლება ემყარებოდეს მხოლოდ და მხოლოდ იმას, რომ სასამართლო სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობა (ან მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობა) გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით. საჩივარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე არ შეიძლება ემყარებოდეს გარემოებებს, რომლებიც ასაბუთებენ მის უსწორობას არსებითად, მის შეუსაბამობას საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან, რადგან დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიიღება არა საქმის მასალების საფუძველზე, არამედ მხარის გამოუცხადებლობის ან მოპასუხის მიერ შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის გამო.[243] ამიტომ, გამართლებული და ახსნილი უნდა იქნეს ის, რასაც ეს საჩივარი ეფუძნება – კერძოდ გამოუცხადებლობის ან პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობის საპატიობა (სსსკ-ის 238-ე მუხლის „გ“ პუნქტი). სააპელაციო და საკასაციო საჩივრისაგან დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი იმითაც განსხვავდება, რომ ამ საჩივარს იხილავს და გადაწყვეტილებას იღებს ის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამ მხრივ გამონაკლისია მეორე (განმეორებითი) დაუსწრებელი გადაწყვეტილება.[244]

მდებლობაში „მართლმსაჯულება“ №3, 2007, გვ.151.

241 Prüting H., in Krüger/Rauscher (Hrsg.): Münchener Kommentar zur Zivilprozessordnung, 5. Aufl., Band 1: § 338, Rn.3, München, 2016;

242 თ.ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2005, გვ.403

243 მ.თოდუა/ ზ.ძლიერიშვილი/ დ. ბერეკაშვილი/ თ.ხაჟომია /თ. თოდრია/ ს. ჩხაიძე/ ნ.კვანტალიანი, სასამართლო გადაწყვეტილების სტრუქტურა პირველ და მეორე ინსტანციაში, პრაქტიკული სახელმძღვანელო, GIZ, 2020, გვ.9.

244 საქართველოს უზენაესი სასამრთლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 18 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-1102-2018, პ.57.

I. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ საჩივრის დასაშვებობის შემოწმება

1. პირველი მოქმედება, რომელიც უნდა შეასრულოს სასამართლომ საჩივრის მიღების შემდეგ – ესაა ამ საჩივრის დასაშვებობის შემოწმება. ამისთვის სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, არსებობს თუ არა საჩივრის დასაშვებობის პირობები, კერძოდ:

ა) დაცულია თუ არა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა. ეს ვადა არის 10 დღე და მისი ათვლა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარეს ჩაბარდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი სსსკ 70–78-ე მუხლებით დადგენილი წესით. ამ 10 დღიანი ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში და იგი შეიძლება აღსრულდეს იძულებითი წასით. ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება. (სსსკ-ის 237, 59 IV-ე მუხლები); (გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის §339-ით გათვალისწინებულია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების ორკვირიანი ვადა.).[245]

ბ) შეიტანა თუ არა საჩივარი უფლებამოსილმა პირმა. სსსკ-ის 236-ე მუხლი განსაზღვრავს, თუ ვის შეუძლია გაასაჩივროს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და რომელ სასამართლოში შეიძლება მისი გასაჩივრება (მხედველობაშია პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება). ამ მუხლის თანახმად, საჩივარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეუძლია შეიტანოს მხარემ, რომლის წინააღმდეგაც ის გამოტანილია, ხოლო მისი გასაჩივრება უნდა მოხდეს იმ სასამართლოში, რომელმაც ის გამოიტანა.

გ) პასუხობს თუ არა საჩივრის შინაარსი კანონის მოთხოვნებს (სსსკ 238-ე მუხლი).[246] თითქმის ანალოგიურადაა გადაწყვეტილი გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის §340-ით.[247]

„საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სსსკ-ის 236-ე მუხლი იმ მხარის უფლებადამცავი ნორმაა, რომლის წინააღმდეგაც გამოტ-

---

245 Göbel A., in Prüting/Gehrlein (hrsg.): Zivilprozessordnung kommentar, 9. Aufl., § 339, Rn.3. Köln, 2017

246 თ.ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2005, გვ. 404.

247 Prüting H., in Krüger/Rauscher (Hrsg.): Münchener kommentar zur Zivilprozessordnung, 5. Aufl., Band 1: § 340, Rn.13, München, 2016; Göbel A., in Prüting/Gehrlein (hrsg.): Zivilprozessordnung kommentar, 9. Aufl., § 340, Rn.12. öln, 2017; Paulus Ch., Zivilprozessrecht, 6. Aufl., Rn.512, Berlin, 2017.

ანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება. განსახილველი ნორმის თანახმად, მხარეს უფლება აქვს, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში შეიტანოს საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების შესახებ. ამავე კოდექსის 237-ე მუხლით კი, დადგენილია, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადაა 10 დღე. ამ ვადის ათვლა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარეს ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ჩაბარდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში".[248]

„პალატამ აღნიშნა, რომ პირველ მოპასუხეს რაიონული სასამართლოს დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე, სსსკ-ის 237-ე მუხლის შესაბამისად, საჩივარი არ წარუდგენია, შესაბამისად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება მის მიმართ შესულია კანონიერ ძალაში, რაც გამორიცხავდა პირველი მოპასუხის ნაწილში სააპელაციო წესით გასაჩივრების შესაძლებლობას და იგი განუხილველად უნდა დარჩენილიყო. სსსკ-ის 265-ე მუხლის მიხედვით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ წესით, რაც დადგენილია ამ კოდექსით – სსსკ-ის 421-ე მუხლი პირველი ნაწილი. ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების (განჩინების) გაუქმება ან შეცვლა დაუშვებელია იმ წესით, რაც დადგენილია სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და განჩინებების გასაჩივრებისათვის სსსკ-ის 364-ე, 391-ე, 414-ე მუხლებით. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრება სააპელაციო წესით დაუშვებელია, ხოლო, თუ დაინტერესებული პირი მაინც შეიტანს საჩივარს, სასამართლომ განუხილველად უნდა დატოვოს."[249]

2. მოსამართლე, რომელმაც გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, საკითხს საჩივრის მიღების შესახებ წყვეტს მხარეთათვის შეუტყობინებლად.[250] თუ ამ პირობების შემოწმების შე-

248 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 20 მაისის განჩინება საქმეზე №ას-289-2021;

249 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 30 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-1265-1185-2017;

250 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 14 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-800-749-2017;

დეგად აღმოჩნდება, რომ საჩივარი არაა დასაშვები, სასამართლო გამოიტანს განჩინებას საჩივრის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მისი დაუშვებლობის გამო (სსსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწ.)[251] ამ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.[252] თუ აღმოჩნდება, რომ დასაშვებობის ყველა პირობა არსებობს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ, რომელშიც უნდა აღინიშნოს მისი განხილვის დღე, რის შესახებაც სასამართლო ატყობინებს მხარეებს. ამ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა დაუშვებელია. (ანალოგიურადაა გადაწყვეტილი გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის §§341-342). [253]

3. კანონმდებელი ავალდებულებს მხარეს, წინასწარ აცნობოს სასამართლოს სხდომაზე მისი გამოცხადების შეუძლებლობის და მიზეზების შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი შეტყობინება სხდომამდე შეუძლებელია. იმ გარემოებათა მტკიცების ტვირთი, რომლებზეც მიუთითებს მხარე თავის საჩივარში, როგორც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზე და ამ გარემოების წინასწარ სასამართლოსათვის შეტყობინების შეუძლებლობაზე, ეკისრება მომჩივანს, ხოლო ამ გარემოებათა შეფასება იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად საპატიოა მხარის გამოუცხადებლობა, სასამართლოს უფლებამოსილებაა.[254]

საჩივარი განიხილება სასამართლო სხდომაზე. მხარეთა გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საჩივრის განხილვას.(აღსანიშნავია, რომ სსსკ-ი პირდაპირ არ ითვალისწინებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის არსებითად განსახილველად შესახებ საჩივრის განხილვის ვადას, რაც პრაქტიკაში განსხვავებულ მიდგომებს წარმოშობს). თუ საჩივრის განხილვის შედეგად აღმოჩნდება, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს,

---

251 შ.ქურდაძე/ ნ. ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2015, გვ. 641.

252 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 04 აპრილის განჩინება საქმეზე №ას-805-805-2015, პ.28;

253 Kießling E., in. Saenger (hrsg.): Zivillprozessordnung, 7. Aufl., § 341, Rn.3, Baden-Baden, 2017; Schwab M., Zivilprozessrecht, 5. Aufl., Rn.283, Haidelberg, 2016; Huber M., Grundwissen _ Zivilprozessrecht; Einspruch des Beklagten gegen Versäumnisurteil und `technisch zweits~ Versäumnisurteil, in: Juristische Schulung, 2015, S. 985.

254 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეტა პალატის 2018 წლის 02 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-1270-2018; სუსგ 2017 წლის 24 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-1312-1232-2017;

სასამართლო განჩინებით აუქმებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რის შემდეგადაც იწყება სარჩელის განხილვა.[255]

თუ საჩივრის განხილვის შედეგად, აღმოჩნდება, რომ სსსკ-ის 232[1]-ე მუხლის შესაბამისად გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს იმ საფუძვლით, რომ მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, სასამართლო განჩინებით აუქმებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას და მოპასუხეს აღუდგენს შესაგებლის წარდგენისათვის სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ ვადას.

თუ არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, სასამართლოს გამოაქვს გაჩინება საჩივრის დაუკმაყოფილებლობისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ. აღნიშნული განჩინება დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან ერთად შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით[256]. „სსსკ-ის 240-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება კანონიერად დარჩა ძალაში.“ [257]

პირველი ინსტანციის მიერ გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების განჩინების თაობაზე შეტანილი სააპელაციო საჩივარი, სსსკ-ის 25 III მუხლის მოთხოვნათა დაცვით შესაძლებელია ერთპიროვნულად განიხილოს საპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლემ. ასევე დაცული უნდა იქნეს სსსკ-ის 365-ე მუხლის დანაწესი, კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 2000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს.[258]

სსსკ-ის 240-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, გამოუცხადებლობით გამოწვეული ხარჯები დაეკისრება გამოუცხადებელ მხარეს იმისგან დამოუკიდებლად, გასაჩივრების შემდეგ მან საქმე

---

255 თ.ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2005, გვ. 406.

256 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 04 მარტის განჩინება საქმეზე № ას-16-2022.

257 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 12 იანვრის განჩინება საქმეზე №ას-1431-1351-2017, პ.21;

258 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 26 იანვარს განჩინება საქმეზე № ას-1513-2022, პ. 20-23..

მთლიანად მოიგო, თუ – ნაწილობრივ. (ანალოგიურადაა გადაწყვეტილი გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 344-ე პარაგრაფით).[259]

§7 დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლების ზოგადი დახასიათება

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე და 241-ე მუხლების თანახმად, დაიშვება, თუ მხარე, რომელის წინააღმდეგაც იქნა გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, დაამტკიცებს,[260] რომ: ა) გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ იყო ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესით; ბ) სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ არსებობდა დაუძლეველი ძალა ან სხვა მოვლენები, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის; გ) გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები; დ) არ არსებობს სარჩელის აღძვრის წინაპირობები. ე) არსებობს საპატიო მიზეზი, რის გამოც მხარე ვერ გამოცხადდა სასამართლოში და ამავდროულად, ვერ შეძლო სასამართლოს წინასწარ ინფორმირება. შესაბამისად, გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია, გააქარწყლოს ვარაუდი, რომელიც საფუძვლად უდევს ამ გადაწყვეტილებას, მოითხოვოს მისი გაუქმება და საქმის განხილვის განახლება, თუ დაამტკიცებს, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები.

I. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება სსსკ-ის 233-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევის გამო

სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემულია იმ შემთხვევების ჩამონათვალი, რომელთა არსებობის დროს დაუშვებელია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა. ნორმაში აღწერილ

259 Prüting H., in Krüger/Rauscher (Hrsg.): Münchener kommentar zur Zivilprozessordnung, 5. Aufl., Band 1: § 344, Rn.2, München, 2016;

260 შ.ქურდაძე/ ნ. ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2015, გვ. 644.

შემთხვევათაგან ერთ-ერთის არსებობისას, სასამართლო არაა უფლებამოსილი, გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ხოლო, თუ ასეთი გადაწყვეტილება მაინც იქნება მიღებული, იგი უნდა გაუქმდეს. ამასთან, სსსკ-ის 241-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ ეს ჩამონათვალი არაა ამომწურავი, შესაბამისად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება, გაუქმდეს სხვა შემთხვევებშიც. მაგალითად, თუ დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სარჩელი, როდესაც სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს. ასეთი დასკვნა გამომდინარეობს სსსკ-ის 230-ე მუხლის შინაარსიდან, თუმცა ამის თაობაზე პირდაპირ არაა მითითებული სსსკ-ის 233-ე მუხლის ჩამონათვალში. ზოგადად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა არ მიიჩნევა სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევად, თუმცა ასეთი გადაწყვეტილების გამოტანა სამართლიანი პროცედურების დაცვით უნდა განხორციელდეს. [261]

„საქმეში წარმოდგენილი სატელეფონო შეტყობინების აუდიო ჩანაწერით საკასაციო პალატამ დადასტურებულად მიიჩნია, რომ გამოუცხადებელ მხარეს არასრულად ეცნობა სასამართლო უწყების შინაარსი, კერძოდ, სატელეფონო შეტყობინება არ შეიცავდა მითითებას არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მხარის მიმართ გამოსაყენებელი ზომების შესახებ, მითითებას გამოუცხადებლობის შედეგებზე და ვალდებულებას, აცნობოს სასამართლოს გამოუცხადებლობის მიზეზები. პალატამ ყოველივე აღნიშნულზე დაყრდნობით მართებულად დაადგინა, რომ გამოუცხადებელი მხარე სასამართლო სხდომაზე არ იყო მიწვეული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, რაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია“. [262]

„გასაჩივრებულ განჩინებას მხარე იმ საფუძვლით შეედავა, რომ სასამართლო სხდომაზე არ იყო მიწვეული კანონით დადგენილი წესით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს იმ სავალდებულო წინაპირობებს, რასაც უწყება უნდა შეიცავდეს, მათ შორის არის „ბ“ ქვეპუნქტით იმპერატიულად

---

261 ზ.ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი (რჩეული მუხლები), დაუსწრებელი გადაწყვეტილება, GIZ, 2020, გვ. 926.

262 სუსგ 2015 წლის 04 დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას 894-844-2015;

განსაზღვრული მასში მითითება, გამოცხადების დროისა და ადგილის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ სხდომა დანიშნა 12:00 საათზე, ხოლო მხარეებს აცნობა, რომ იგი განიხილებოდა 18:00 საათზე, ამდენად, საკასაციო პალატამ დაასკვნა, რომ იკვეთებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინაპირობა, შესაბამისად, საჩივრის ავტორის მოთხოვნა საფუძვლიანად იქნა მიჩნეული და ამავე კოდექსის 241-ე მუხლის შესაბამისად, არსებობდა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების ფაქტობრივ-სამართლებრივი წინაპირობები".[263]

იმ შემთხვევაში, თუკი, არ იკვეთება სსსკ-ის 233-ე მუხლის „ა", „გ" და „დ" ქვეპუნქტებით დადგენილი კონკრეტული გარემოებები, კანონი მხარეს ანიჭებს უფლებას, რომ მიუთითოს ამ მუხლის „ბ" ქვეპუნქტზე – ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის. აღნიშნული ქვეპუნქტი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების გარემოებებზე აბსტრაქტულად მიუთითებს – „სხვა მოვლენა" ან „დაუძლეველი ძალა", რომელსაც შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის. საქმის განმხილველი მოსამართლის დისკრეციის ფარგლებში ექცევა სსსკ-ის 233-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის აბსტრაქტული შემადგენლობის შეფასება და დაინტერესებული მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების თუ დასახელებული გარემოების გაზიარება.

სამოსამართლო დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებისას (ანუ, იმის დადგენისას, რომ მითითებული გარემოებები შეესაბამება „სხვა მოვლენის" ან „დაუძლეველი ძალის" ობიექტურ გამოვლინებას), მოსამართლე იკვლევს და ადგენს, მხარის მიერ წარმოდგენილი გარემოებები/ფაქტები დანამდვილებით უზრუნველყოფენ თუ არა კანონით მინიჭებული საპროცესო მიზნების მართლზომიერ რეალიზებას. ამ მიზნის მისაღწევად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამართლის ნორმის – სსსკ-ის 233-ე მუხლის ობიექტური მიზნის განსაზღვრა, ანუ ტელეოლოგიურ განმარტება, რომლის დროსაც შესაფასებელია სამართლის ნორმის მიმართება სამართლებრივი უსაფრთხოების, თანასწორობისა და მიზანშეწონი-

263 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 04 მაისის განჩინება საქმეზე №ას-237-237-2018;

ლობის პრინციპების მიმართ. სსსკ-ის 233-ე მუხლი სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებელი მხარის უფლებადაცვითი შინაარსის მატარებელია და მთლიანად შეეხება იმ კონკრეტულ და ობიექტურ გარემოებებს, რომელთა არსებობაც გამორიცხავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას; თუმცა, სამოქალაქო ბრუნვის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია, რომ კანონმდებელმა ზუსტად განსაზღვროს სოციალური ყოფის ყოველი კონკრეტული გარემოება, რაც, ასევე შეიძლება წარმოადგენდეს გამოუცხადებლობის საპატიოდ შემაფერხებელ გარემოებას. სწორედ ამიტომ, ნორმით დადგენილი მიზნების რეალიზებას ემსახურება ამ მუხლის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაწესი „დაუძლეველი ძალისა" და „სხვა მოვლენის" შესახებ. ვინაიდან ამ ტერმინებს საპროცესო კანონმდებლობაში სიტყვასიტყვითი განმარტება არ გააჩნიათ, მათი დადასტურება დაინტერესებული მხარის მტკიცების ტვირთს წარმოადგენს. [264]

გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია გააქარწყლოს ამგვარი გადაწყვეტილების საფუძვლად მიჩნეული ვარაუდი, თუ დაამტკიცებს, რომ არსებობდა იმგვარი მოვლენა, რომელიც, სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, გონივრული შეფასებიდან გამომდინარე, ქმნის პრეზუმფციას განსახილველი საქმის მიმართ, არა მარტო დაინტერესებული მხარის ინტერესის შესახებ, არამედ გამოუცხადებლობის ობიექტურ ან/და ადამიანურ ფაქტორებზეც. „მხოლოდ ამ გარემოებათა ერთობლივად შეჯერებითა და შეფასებით არის შესაძლებელი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება. სსსკ-ის 233-ე მუხლის ნორმატიული შინააარსი სწორედ ისეთ შემთხვევებს აწესრიგებს, რომ მხარეს არ ჩამოერთვას სამართლიანი სასამართლოს უფლება და მისი გამოუცხადებლობა ყველა შემთხვევაში მარტოოდენ სანქციად არ იქცეს."[265]

ამ საკითხთან მიმართებით აღსანიშნავია ასევე გერმანიის საკანონმდებლო და პრაქტიკული მიდგომები. გერმანიის ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ საქმეზე ავიაკომპანიის სარჩელისა გამო, მოპასუხე პლასტიკური ქირურგის მიმართ, მგზავრის გადაყ-

---

264 ზ.ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი (რჩეული მუხლები), დაუსწრებელი გადაწყვეტილება, GIZ, 2020, გვ. 929.

265 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 02 აპრილის განჩინება საქმეზე №ას 953-2020, პ.73;

ვანისა და ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაკისრების შესახებ, გააუქმა სააპელაციო სასამართლოს განჩინება პირველი ინსტანციის სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ, იმ საფუძვლით, რომ სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებელი მოპასუხე, არ იყო მოწვეული კანონით დადგენილი წესით, შესაბამისად, საქმე განსახილველად უკან დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.[266]

II. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება სსსკ-ის 215-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას

დაუსწრებელი გადაწყვეტილება ერთგვარი სანქციაა გამოუცხადებელი მხარის წინააღმდეგ, რომელსაც მიუხედავად იმისა, რომ ჩაჰბარდა უწყება სასამართლო სხდომაზე მოწვევის თაობაზე და ეცნობა გამოუცხადებლობის შედეგები სათანადო წესით, არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე.[267] არის თუ არა მხარის გამოუცხადებლობა საპატიო, კონკრეტული მტკიცებულებისა და გარემოებების ურთიერთშეჯერებისა და ერთობლივი ანალიზის საფუძველზე უნდა გადაწყდეს; [268]

სსსკ-ის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილია, თუ რა განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების მიზნებისათვის საპატიო მიზეზად, კერძოდ, მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას.[269]

სსსკ-ის 215-ე მუხლის მესამე ნაწილი ადგენს, რომ სასამართლო უფლებამოსილია, მხარის მიერ კონკრეტული საპროცესო მოქ-

---

266 BGH Urteil Vom 14.05.2019, XZR, 94/18.

267 ს.ჩხაიძე, დაუსწრებელი გადაწყვეტილება სამოქალაქო პროცესში – ძირითადი პრობლემები, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, „მართლმსაჯულება და კანონი“№4, 2012, გვ.42.

268 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის20 იანვრის განჩინება საქმეზე №ას-1035-2021, პ.23-26;

269 ა.ნაჭყებია, სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში, GIZ, 2019, გვ. 229.

მედების შეუსრულებლობა ჩათვალოს საპატიოდ, თუკი აღნიშნული მოქმედება მან ვერ შეასრულა ავადმყოფობის გამო. ამ შემთხვევაში ისევე, როგორც ზოგადად სამოქალაქო სამართალწარმოებისას, მხარეს ეკისრება სადავო გარემოების მტკიცების ტვირთი. მეტიც, კანონის ზემოაღნიშნული დანაწესი პირდაპირ განსაზღვრავს, თუ რა მტკიცებულებით უნდა დადასტურდეს მხარის ავადმყოფობის ფაქტი და ასეთად მიიჩნევს სამედიცინო დოკუმენტს, რომელიც: ა) ხელმოწერილია სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ; ბ) პირდაპირ მიუთითებს მხარის შეუძლოდ ყოფნაზე კონკრეტული დროის მონაკვეთში (რომლის განმავლობაშიც უნდა შესრულებულიყო სადავო საპროცესო მოქმედება); გ) ასახავს პაციენტის ჯანმრთელობის იმგვარ გაუარესებას, რაც გამორიცხავს საპროცესო მოქმედების შესრულების შესაძლებლობას.

სსსკ-ის 215-ე მუხლის მესამე ნაწილი იმგვარად უნდა განმარტოს, რომ მხარეს საპროცესო მოქმედების შესრულება საპატიოდ ჩაეთვალოს, როდესაც მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება ადასტურებს მისგან დამოუკიდებელი ფაქტორების ზემოქმედებით სადავო საპროცესო მოქმედების შესრულების ობიექტური ხელშეშლით გამოწვეულ შეუძლებლობას. მხედველობაშია მისაღები, რომ მართალია სსსკ-ის 215-ე მუხლის მესამე ნაწილის განმარტებასთან დაკავშირებით მეტად მნიშვნელოვანია სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინება, თუმცა კონკრეტული ურთიერთობის დარეგულირებისას სასამართლო ეფუძნება მოცემული დავის ფაქტობრივ გარემოებებს, რაც, ცხადია, ყველა შემთხვევაში განსხვავებულია. სასამართლოს მიერ დადგენილი სამართლებრივი შედეგიც გამომდინარეობს კონკრეტული გარემოებების შეფასებიდან.[270]

„განსახილველ შემთხვევაში, კასატორს საკასაციო პრეტენზიის თანახმად, პანდემიით გამოწვეული გარემოებებიდან გამომდინარე, საქმის განხილვის დისტანციურად წარმართვის გონივრული მოლოდინი ჰქონდა, რის გამოც სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო პალატამ მიუთითა „კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღსაკვეთად სასამართლო სისტემაში გასატარებელ ღონისძიებების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღესი საბჭოს 2020 წლის 13 მარტის რეკომენტაციის პირველ მუხლის „გ" ქვეპუნქტზე (სასამართლოებმა

270 ზ.ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი (რჩეული მუხლები), დაუსწრებელი გადაწყვეტილება, GIZ, 2020, გვ. 931.

უნდა უზრუნველყონ პროცესის მონაწილეთა სასამართლო განხილვაში მონაწილეობა დისტანციურად, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით) და განმარტა, რომ სასამართო უფლებამოსილი იყო უზრუნველეყო სასამართლო სხდომაზე მხარეთა დინტანციური მონაწილეობაც, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ მთავარი სხდომა ზეპირი მოსმენით, სხდომის დარბაზში დანიშნა და სასამართლომ მხარეებს სათანადო წესით შეატყობინა. საქმის ელექტრონული მასალების თანახმად, აპელანტისათვის გაგზავნილ უწყებაში მითითებულია სხდომის გამართვის ადგილი – სასამართლოს მისამართი და სხდომათა დარბაზი. მაშინ, როდესაც სასამართლო უწყებაში მითითებული იყო, რომ სხდომა სასამართლოს სხდომის დარბაზში გაიმართებოდა, მოსალონდელი რისკის თავიდან ასაცილებლად, სხდომის დისტანციურად გამართვის გონივრული მოლოდინის ფარგლებშიც კი, აპელანტის წარმომადგენლის პასიური დამოკიდებულება – მიემართა სასამართლოსთვის და გაერკვია სხდომის ჩატარების ფორმატი, გონივრულობისა და წინდახედულობის სტანდარტს ეწინააღმდეგება, შესაბამისად, აპელანტის წარმომადგენელი მეტი წინდახედულობის გამოჩენის შემთხვევაში თავიდან აიცილებდა მის საწინააღმდეგო სამართლებრივ შედეგს – დაუსწრებელ გადაწყვეტილებას. გასათვალისწინებელია, რომ მოცემულ საქმეზე სასამართლო სხდომა დისტანციურად სააპელაციო სასამართლოში არცერთხელ არ დანიშნულა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კი, კასატორი პრეტენზია უსაფუძვლობის გამო, სსსკ-ის 215.3 მუხლით გათვალისწინებულ საპატიო მიზეზად არ იქნა მიიჩნეული."[271]

„საქმეში წარდგენილი იქნა სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის დამადასტურებელი მტკიცებულება – საავადმყოფო ფურცელი, რომელიც მოპასუხის წარმომადგენლის სახელზე სასამართლო სხდომის დღეს გაიხსნა. საავადმყოფო ფურცელი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 25 სექტემბრის №281/ნ ბრძანებით დამტკიცებულ მკაცრი აღრიცხვის ფურცელია და, ამბოლატორიული მკურნალობის სამედიცინო ცნობებისგან განსხვავებით, არ საჭიროებს დამატებით აღნიშვნას სასამართლო სხდომაზე პაცი-

271 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 13 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-620-2021, პ.28-29;

ენტის გამოუცხადებლობის თაობაზე. მითითებული დოკუმენტი, დანიშნულებიდან გამომდინარე, იმთავითვე გამორიცხავს საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის პერიოდში, პაციენტის შრომისუნარიან სუბიექტად და, მაშასადამე, საკუთარი ინტერესების დასაცავად სამართალწარმოებაში მონაწილეობისუნარიან პირად განხილვას."[272]

„საკასაციო პალატამ ყურადღება მიაქცია საავადმყოფო ფურცელში მითითებულ მონაცემებს და აღნიშნა, რომ დასახელებულ დოკუმენტში მკაფიოდაა მითითებული პაციენტის დიაგნოზი – მწვავე რესპირატორული დაავადება, რის გამოც გაეხსნა საავადმყოფო ფურცელი და დაენიშნა მკურნალობა. რაც შეეხება სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის თაობაზე მოსარჩელის მიერ სასამართლოსთვის წინასწარ შეუტყობინებლობას, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ მოსარჩელის მიერ სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის თაობაზე სასამართლოსთვის წინასწარ ინფორმირების სამართლებრივი დატვირთვა ისაა, რომ ასეთ შემთხვევაში, სასამართლო გადადებს საქმის განხილვას. ამგვარი შეტყობინებით შესაბამისი მხარე, არამხოლოდ თავისი, არამედ მოწინააღმდეგე მხარისა და სასამართლო რესურსის არაეფექტური ხარჯვის პრევენციას უზრუნველყოფს, თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც უტყუარად დასტურდება ავადმყოფობის მიზეზით მხარის სხდომაზე გამოუცხადებლობა, დაუსწრებელი გადაწყვეტილება ექვემდებარება გაუქმებას, მიუხედავად იმისა, მხარემ წინასწარ შეატყობინა თუ არა სასამართლოს, პროცესზე შესაძლო გამოუცხადებლობის თაობაზე." [273]

„მხოლოდ ის გარემოება, რომ წარმოდგენილი ცნობა სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ არაა ხელმოწერილი (მით უფრო, როდესაც ხელმოწერილია მკურნალი ექიმის მიერ და დადასტურებულია სამედიცინო დაწესებულების ბეჭდით), არ შეიძლება მასში მოცემული ინფორმაციის გაზიარებაზე უარის თქმის საფუძველი გახდეს." [274] „სამედიცინო ცნობაში გასაგებად უნდა იკითხებოდეს მხარის ჯანმრთელობის ისეთი მძიმე მდგომარეობის არსებობა კონკრეტულად სადავო საპროცესო მოქმედების შეს-

272 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 12 მარტის განჩინება საქმეზე №ას-28-2021;

273 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 30 აპრილის განჩინება საქმეზე №ას-1976-2018;

274 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 22 დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას-865-807-2017;

რულების პერიოდში, რომელიც რეალურად შეუშლის ხელს მხარეს გადაადგილებაში და სასამართლოსთან კომუნიკაციაში. „აღნიშნული ეჭვს არ იწვევს, როდესაც დგინდება მხარისათვის სტაციონარული სამედიცინო მომსახურების გაწევის ფაქტი ან მკურნალი ექიმის რეკომენდაცია წოლითი რეჟიმის დაცვის თაობაზე".[275] „ცნობის ფორმალური შეუსაბამობა კანონთან, არ შეიძლება მის გაზიარებაზე უარის თქმის საფუძველი გახდეს, რამდენადაც სასამართლო ჯანმრთელობის ცნობას, მსგავსად ნებისმიერი მტკიცებულებისა, აფასებს სამოქალაქო საპროცესო კოდექის 105-ე მუხლით დადგენილი წესით";[276]

„გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ სხდომაზე გამოცხადებულმა აპელანტმა დატოვა სასამართლო სხდომა, სასამართლოს მიერ მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგების შესახებ განმარტების მიუხედავად. კასატორის მოსაზრებით, მის წინააღმდეგ არ უნდა გამოსულიყო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ვინაიდან სასამართლომ იგი დატოვა კვალიფიციური იურიდიული დახმარების გარეშე ისეთ მოწინააღმდეგესთან, რომელსაც რამდენიმე ადვოკატი იცავდა, შესაბამისად, იგი იძულებული გახდა, უარი ეთქვა საქმის განხილვაში მონაწილეობაზე. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ საქმეში სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლება მოსარჩელესთან მიმართებით არაპროპორციულად შეიზღუდა. ამის თავიდან ასაცილებლად სასამართლოს სხდომა სხვა დროისათვის უნდა გადაედო, შესაბამისად, იმავე სხდომაზე მოსარჩელის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელი იყო."[277]

„საკასაციო პალატამ დაუსაბუთებელად მიიჩნია სააპელაციო პალატის მითითება, რომ სასამართლოს სხდომაზე დანიშნულ დროს არ გამოცხადდა არა მხოლოს მხარე (მოპასუხე), არამედ არც მოპასუხის წარმომადგენელი, ვინაიდან სააპელაციო შესაგებელში მოპასუხემ დააფიქსირა, რომ სააპელაციო ინსტანციაში მას წარმომადგენელი არ ჰყავდა, შესაბამისად არსებობდა სსსკ-ის 241-

275 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 15 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-1147-1103-2016;

276 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 13 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-516-516-2018;

277 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 31 იანვრის განჩინება საქმეზე №ას-1033-953-2017;

ე მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.[278]"

„საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა სსსკ-ის 215-ე მუხლის მესამე ნაწილის, მე-4, 102-ე მუხლების დანაწესებზე და აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელი, მართალია, სასამართლო სხდომის გადადების შესახებ შუამდგომლობაში მიუთითებდა პროცესის დღეს საქართველოში არყოფნის შესახებ, თუმცა აღნიშნული შუამდგომლობა რაიმე მტკიცებულებით გამყარებული არ არის. არც საჩვარს ერთვის რაიმე დოკუმენტი (მაგ. ავია-ბილეთი, მოქალაქის პასპორტის ასლი (რომელშიც მითითებული იქნებოდა ინფორმაცია საზღვრის გადაკვეთის თაობაზე) და სხვ.), რაც შესაძლებლობას მისცემდა სასამართლოს შეეფასებინა სხდომაზე წარმომადგენლის გამოუცხადებლობის მიზეზის პატივსადებობა."[279]

„საკასაციო პალატამ არ გაიზიარა კასატორის არგუმენტი, რომ დანიშნულ დროს მისი სასამართლოში გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, ამ არგუმენტს მხარე ორ გარემოებაზე ამყარებდა: ჯანმრთელობის მდგომარეობის გამწვავებამ (მაღალი არტერიული წნევა) განაპირობა მისი დროული გამოუცხადებლობა; ტაქსის მძღოლმა, რომელიც მან მარნეულში დაიქირავა, არ იცოდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მისამართი, რის გამოც კასატორი ჯერ თბილისის საქალაქო სასამართლოში, ხოლო შემდეგ – სააპელაციო სასამართლოში მიიყვანა. რაიმე მტკიცებულება, რაც გამოუცხადებელი მხარის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების ფაქტს დაადასტურებდა, საქმეში არ მოიპოვებოდა, ხოლო ის გარემოება, რომ ტაქსის მძღოლმა არ იცოდა სააპელაციო სასამართლოს მისამართი, შეუძლებელია, საფუძვლად დაედოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას, რამდენადაც სასამართლო სხდომაზე გამოცხადების სავალდებულობიდან გამომდინარე, მხარემ უნდა დაიცვას წინდახედულობის ყველა ზომა, რათა თავიდან იქნას აცილებული მის მიმართ არასასურველი შედეგის დადგომა."[280]

278 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 25 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-1078-998-2017;

279 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 23 აპრილის განჩინება საქმეზე №ას-188-188-2018;

280 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 24 მარტის განჩინება საქმეზე №ას-1159-1114-2016;

„კასატორის ერთ-ერთ ძირითად პრეტენზიას წარმოადგენდა მოსარჩელის მხრიდან სასამართლოსათვის მისი არასწორი მისამართის მითითება, რაც პალატამ არ გაიზიარა და აღნიშნა, რომ მოპასუხემ სასამართლოსთან წერილობითი კომუნიკაციისას არაერთხელ მიუთითა საკუთარი მისამართი, სადაც ეგზავნებოდა სასამართლო უწყება და იმგვარ საპროცესო საშუალებათა განკარგვის აუცილებლობა, როგორიცაა, პოლიციისათვის გზავნილის ჩაბარების დავალდებულება (სსსკ-ის 73.7 მუხლი) თუ საჯარო შეტყობინების განხორციელების (სსსკ-ის 78-ე მუხლი) აუცილებლობა არც არსებობდა, რამდენადაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოპასუხისათვის უწყება ჩაბარებულად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ პასუხში (შესაგებელში) მითითებულ მისამართზე მას გაეგზავნა.“[281]

„კასატორის მითითება, რომ ვინაიდან მას უშუალოდ არ ჩაბარებია სარჩელი, შესაგებელსაც ვერ წარადგენდა, არ იქნა მიიჩნეული გასაჩივრებული განჩინებებისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების დასაშვებ და დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიად, რადგან სსსკ-ის 74-ე მუხლის დანაწესი, სრულ შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს ადრესატის არყოფნისას მისი ოჯახის წევრისთვის შეტყობინების დატოვება ჩათვალოს ადრესატის ინფორმირებად. შესაბამისად, ვინაიდან თავად კასატორი სადავოდ არ ხდიდა მის სახელზე გაგზავნილი კორესპოდენციის მისი ოჯახის სრულწლოვანი პირის (შვილის) მიერ მიღების ფაქტს, საფუძველი ეცლება შესაგებლის საპატიო მიზეზით წარუდგენლობის მითითებასაც“.[282]

---

281 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეტა პალატის 2018 წლის 22 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას- 1021-2018;

282 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 17 მარტის განჩინება საქმეზე №ას- 1435-2020;

III. მხარის წარმომადგენლის გამოუცხადებლობის გამო გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება

სწრაფი, ეკონომიური და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელება როგორც სასამართლო ხელისუფლების, ისე სამართალწარმოების მონაწილე პირთა პასუხისმგებლობაა და საამისოდ ყველა ლეგიტიმური შესაძლებლობის გამოყენებაა საჭირო, რაც თანაბრად უზრუნველყოფს მხარეთა თანასწორობას საქმის განხილვის ყველა ეტაპზე და ხელს შეუწყობს სასამართლოში საქმეთა განხილვის გაჭიანურების არიდებას. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დამკვიდრებულია პრინციპი, რომლის თანახმად მხარეებს (ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს), შეუძლიათ საქმე აწარმოონ სასამართლოში როგორც პირადად, აგრეთვე წარმომადგენლის მეშვეობით. სასამართლო წარმომადგენლობა ესაა კანონით გარანტირებული შესაძლებლობა მხარემ აწარმოოს საქმე სასამართლოში წარმომადგენლის მეშვეობით. სასამართლო წარმომადგენელი არის პირი, რომელიც ასრულებს სასამართლოში მარწმუნებლის სახელით და მისი ინტერესების შესაბამისად ყველა იმ საპროცესო მოქმედებას, რაც გათვალისწინებულია კანონით და მარწმუნებლის მიერ გაცემული მინდობილობით. სასამართლო წარმომადგენლობა დაიშვება უკლებლივ ყველა საქმეზე, რომელიც სასამართლოს ექვემდებარება უწყებრივად. წარმოშობის საფუძვლების მიხედვით განასხვავებენ: ა) ნებაყოფლობით ანუ სახელშეკრულებო წარმომადგენლობას; ბ) იურიდიული პირის წარმომადგენლობას; გ) კანონისმიერ წარმომადგენლობას. ნებაყოფლობითი (სახელშეკრულებო) წარმომადგენლობა წარმოიშობა მხარეთა თავისუფალი ნების საფუძველზე დავალების ხელშეკრულების დადებით (სსკ-ის 709-ე მუხლი). სსსკ-ის 96-ე მუხლი ითვალისწინებს წარმომადგენლის უფლებამოსილების გაფორმების პროცედურებს, ხოლო სსსკ-ის 98-ე მუხლი კი, ითვალისწინებს წარმომადგენლის უფლებამოსილების ფარგლებს.[283]

სსსკ-ის 93-ე მუხლის თანახმად, მოქალაქეებს შეუძლიათ საქმე აწარმოონ სასამართლოში პირადად, ხოლო იურიდიულ პირებს ან სხვა ორგანიზაციებს – იმ თანამდებობის პირის მეშვეობით, რომელსაც წესდებით ან დებულებით შეუძლია ამ იურიდიული პირი-

283 ზ.ძლიერიშვილი,სამოქალაქო საპროცესო სამართალი I, (თანაავტორობით), თბ., 2014., 180-199.

სა თუ ორგანიზაციის სახელით იმოქმედოს. მხარეებს, შეუძლიათ აგრეთვე საქმე აწარმოონ სასამართლოში წარმომადგენლის მეშვეობით. საქმის წარმოება წარმომადგენლის მეშვეობით არ ართმევს უფლებას მხარეებს თვითონაც პირადად მიიღონ მონაწილეობა საქმეში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული ერთგვაროვანი პრაქტიკის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის მე-2 ნაწილი არაა იმპერატიული ხასიათის და მხარეს მხოლოდ უფლებით აღჭურავს – თავადაც მიიღოს მონაწილეობა საქმის განხილვაში იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას ჰყავს წარმომადგენელი. მხარისა და წარმომადგენლის ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის გათვალისწინებით, როდესაც მხარე მისი უფლების დაცვის შესაძლებლობას წარმომადგენელს მიანიჭებს, თუ წარმომადგენელი მინიჭებულ უფლებამოსილებას კეთილსინდისიერად ახორციელებს, წარმომადგენლის საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა მხარისათვის არახელსაყრელი შედეგის დადგომის წინაპირობა არ შეიძლება გახდეს, რადგანაც მას ამ ურთიერთობის მიმართ კანონიერი ნდობა გააჩნია და ორიენტირებულია ადვოკატის მიერ მარწმუნებლის უფლების კვალიფიციურად დაცვაზე.[284]

„საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის წარმომადგენლის მიერ სასამართლოს სხდომის წინა დღეს წარდგენილი ცნობა ადასტურებდა, რომ სასამრთლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო საფუძველი ჰქონდა ადვოკატს და საპირისპირო დასკვნა ამ დოკუმენტიდან არ გამომდინარეობდა“.[285]

„მოპასუხის წარმომადგენლის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლო სხდომის სხვა დროისათვის გადადება ერთი და იგივე დასაბუთებით /ადვოკატის სხვა სხდომაში მონაწილეობა/ იყო მოთხოვნილი, რაც სააპელაციო პალატამ არასაპატიოდ და სასამართლო განხილვის გაჭიანურებად ჩათვალა. საკასაციო პალატამ, საქმის მასალებიდან გამომდინარე არ გაიზიარა სააპელაციო პალატის მოსაზრება და მიიჩნია, რომ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების სსსკ-ის 241-ე მუხლით გათვალის-

284 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 14 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ას-1674-2019;
285 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 22 დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას-865-807-2017;

წინებული სამართლებრივი საფუძვლები."[286]

„სსსკ-ის 241-ე, 215-ე მუხლის მესამე ნაწილის, 102-ე, 103-ე, 105-ე მუხლების საფუძველზე სასამართლომ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის მითითება, რომ გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო ობიექტური გარემოებით, კერძოდ, მარწმუნებელმა შეიყვანა შეცდომაში და სხდომის თარიღი არასწორად აცნობა. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ გამოუცხადებლობის მიზეზად მითითებული გარემოება სსსკ-ის 233-ე მუხლით გათვალისწინებულ საპატიო გარემოებას არ მიეკუთვნება, შესაბამისად, გამორიცხა საჩივრის დაკმაყოფილებისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესაძლებლობა".[287]

„საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სსსკ-ის 70-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის არცერთი ნორმა არ ავალდებულებს სასამართლოს, რომ უწყება გაუგზავნოს მხარის ყველა წარმომადგენელს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილში სიტყვა „წარმომადგენლის" მრავლობით რიცხვში მოხსენიება დაკავშირებულია ამავე ნაწილში „მხარის" მრავლობით რიცხვში მითითებასთან. უწყების ჩაბარება ერთ-ერთი წარმომადგენლისათვის მხარისა და მისი სხვა წარმომადგენლისათვის ჩაბარებასაც ნიშნავს. ამავე მუხლით დადგენილია, რომ წარმომადგენელი ვალდებულია უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა უწყების ჩაბარების მართლზომიერებაზე გავლენას ვერ იქონიებს."[288]

„საკასაციო სასამართლომ საჩივრის ავტორთა პრეტენზია არ გაიზიარა, რომ უწყება აუცილებლად მოსარჩელეთა მეორე წარმომადგენელსაც უნდა ჩაჰბარებოდა. სსსკ-ის 70.1 მუხლის საფუძველზე, უწყების ჩაბარება ერთ-ერტი წარმომადგენლისათვის მხარისა და მისი სხვა წარმომადგენლისათვის ჩაბარებასაც ნიშნავს. ამავე მუხლით დადგენილია, რომ წარმომადგენელი ვალდებულია უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა უწყების ჩაბარების მართლზომიერებაზე გავლენას ვერ იქონიებს, იგი შეიძლება მარწმუნებელსა და რწმუნებულს

286 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 17 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-961-926-2016;

287 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 ოქტომბრის ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-1440-1360-2017;

288 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 12 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას- 800- 2020;

შორის დავალების ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის საგანი გახდეს."[289]

„საკასაციო სასამართლომ კასატორის ყურადღება მიაქცია იმ გარემოებაზეც, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოში მოპასუხის ინტერესებს ორი წარმომადგენელი იცავდა და ერთ-ერთი მათგანის საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაშიც კი, მეორე წარმომადგენელს შეეძლო სხდომაზე დასწრება და საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღება, მას კი, სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ, სასამართლოსათვის არ უცნობებია".[290]

„რაც შეეხება გასაჩივრებულ განჩინებაში მითითებულ გარემოებას, რომ აპელანტი განსახილველ დავაში, გარდა პირველი წარმომადგენლისა, სხვა წარმომადგენლებითაც იყო უზრუნველყოფილი, საკასაციო პალატამ განმარტა, საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოცემული დავის სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში განხილვისას, აპელანტის ინტერესებს მხოლოდ პირველი წარმომადგენელი ახორციელებდა. შესაბამისად, გაზიარებული იქნა კასატორის მტკიცება, რომ სააპელაციო ინსტანციაში საქმის წარმოება მას მთლიანად მხოლოდ პირველ წარმომადგენელზე ჰქონდა მინდობილი".[291]

§8 განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება

პრაქტიკაში არ არის გამორიცხული შემთხვევები, რომ მხარე, რომელმაც შეიტანა საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების შესახებ, კვლავ არ გამოცხადდეს დანიშნულ დროს იმ სასამართლო სხდომაზე, რომელზეც პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ საქმე განიხილება არსებითად.[292] ასეთ შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს მის მიმართ განმეორებით (მეორე) დაუსწრებელ გადაწყვეტილე-

289 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 27 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ას- 803-803-2018;

290 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 28 აპრილის განჩინება საქმეზე №ას- 817- 2019;

291 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალქო საქმეთა პალატის 2019 წლის 04 ივლისის განჩინება საქმეზე №ას- 874- 2019;

292 ი. მერებაშვილი, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თავისებურებები I და II ინსტანციის სასამართლოებში ქართული და გერმანული სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, ჟურნალი „თემიდა" №10 (12), 2016, გვ.23.

ბას.[293]

განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება არის გადაწყვეტილება, რომელიც მეორედაა გამოტანილი ერთი და იმავე პირის (მხარე) მიმართ, დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომელიც თუმცა მეორედ გამოაქვს სასამართლოს, მაგრამ არა იმ პირის მიმართ, ვის მიმართაც იყო გამოტანილი პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, არ იქნება განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება და იგი შეიძლება გასაჩივრდეს, როგორც პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება. (ანალოგიურადაა გადაწყვეტილი ეს საკითხი გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით).[294]

I. განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობები.

განმეორებითი (მეორე) დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობებია: ა) იმავე პირის მიმართ, რომელმაც შეიტანა საჩივარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე, უკვე არსებობს ერთი დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ბ) მიმდინარეობს სასამართლო სხდომა არა საჩივრის დასაშვებობის შემოწმების მიზნით, არამედ სხდომა, რომელეზეც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ განიხილება საქმე არსებითად. გ)არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების ყველა წინაპირობა ანუ არ არსებობს მისი გამოტანისათვის კანონით გათვალისწინებული ხელის შემშლელი გარემოებები (სსსკ-ის 233-ე მუხლი).[295]

---

293 ზ.ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი (რჩეული მუხლები), დაუსწრებელი გადაწყვეტილება, GIZ, 2020, გვ. 959.

294 BGHZ, Beschlus vom 07.12.2017 _ IX ZR 81/17 _ WM 2018, §345 ZP , §514 Abs.2. Satz 1, ZP , 445; Stadier A., in Musielak/Voit (Hrsg.) Zivilprozessordnung: ZP , 15. Aufl., §345, Rn.4, München, 2018; Hergert ., in Zöller (Hrsg.), ZP , 31. Aufl., §345, Rn.4, Köln, 2016; Prüting H., in Krüger/Rauscher (Hrsg.): Münchener kommentar zur Zivilprozessordnung, 5. Aufl., Band 1: § 345, Rn.1, München, 2016; Pohlman P., Zivilprozessrecht, 4. Aufl., R. 593, München, 2018.

295 ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2005, გვ. 407.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისთვის, პრაქტიკული მნიშვნელობა არ გააჩნია, პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაუქმებულია სსსკ-ის 240 მუხლით, თუ სსსკ-ის 240 III მუხლით გათვალისწინებული საფუძვლებითა და წესით.

II. განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების თავისებურებები

სსსკ-ის 242-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს განმეორებით დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეიძლება მხოლოდ სააპელაციო საჩივრის შეტანა. (მსგავსი მოწესრიგებაა გათვალისწინებული გერმანიის სამოაქლაქო საპროცესო კოდექსით. აღსანიშნავია, რომ გერმანიის სამოაქლაქო საპროცესო კოდექსის § 514 -ის თანახმად, მეორე (განმეორებითი) დაუსწრებელი გადაწყვეტილების წინააღმდეგ ზემდგომ ინსტანციაში შეტანილი საჩივარი, არ შეიძლება დაეფუძნოს იმას, რომ პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, პროცესუალურად მცდარად იქნა მიღებული).[296]

სსსკ-ის 366-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არ დაიშვება პირველი ინსტანციის სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრება იმ მხარის მიერ, რომლის წინააღმდეგაც არის იგი გამოტანილი. სააპელაციო საჩივარი დასაშვებია მხოლოდ ისეთი დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიმართ, რომელიც გამოტანილია განმეორებით დაუსწრებლობის შემდეგ, რის გამოც იგი აღარ შეიძლება გასაჩივრდეს ამ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში. ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ არ არსებობდა განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებისათვის შესაბამისი სამართლებრივი წინამძღვრები.[297]

„განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოპასუხეების მიერ შესაგებლის წარუდგენლობის გამო რაიონული სასამართლოს 2020 წლის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, სადავო უძრავი ქონება გამოთხოვილ იქნა მოპასუხეების უკანონო მფლობელობიდან. ამავე სასამართლოს 2020 წლის 3 ივნისის განჩინებით, მოპასუხეთა საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და საქმის წარმოება განახლდა, თუმცა სასამართლო სხდომაზე მოპასუხეთა გამოუცხადებლობის გამო, მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე 2021

296 BGHZ, Beschlus vom 06.05.1999 _V ZB 1/99, 141, 351; BGHZ, Beschlus vom 07.12.2017 _IX ZR 81/17-WM 2018, 445; BGHZ, Beschlus vom 08.03.2017 _ III ZR 39/17 _Iuris.

297 ნ.ყურუა., დაუსწრებელი გადაწყვეტილება, თბ., 2000, 92.

წლის 6 ივლისს მიღებულ იქნა განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ, რაც მოპასუხეებმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით. საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში მართალია მოპასუხეების მიმართ პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველს წარმოადგენდა შესაგებლის წარუდგენლობა (სსსკ-ის 232[1] მუხლი), ხოლო განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების საფუძველს კი – მოპასუხეების მიერ სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა, თუმცა აღნიშნული სრულად შეესაბამება სსსკ-ის 242-ე მუხლის მოთხოვნებს, იქედან გამომდინარე, რომ მოპასუხის მიერ არასაპატიო მიზეზით შესაგებლის წარუდგენლობა, სამართლებრივი შედეგებით უთანაბრდება სასამართლო სხდომაზე მოპასუხის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობას.[298]

სააპელაციო საჩივარი უნდა პასუხობდეს სსსკ-ის 368-ე მუხლით დადგებილ მოთხოვნებს, მხარემ უნდა დაიცვას სააპელაციო საჩივრის შეტანის 14 დღიანი ვადა. (განსხვავებით პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილებისაგან, რომელიც სსსკ-ის 237-ე მუხლის შესაბამისად, საჩივრდება 10 დღის ვადაში მის გამომტან სასამართლოში). ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების ჩაბარების მომენტიდან. ვადის გასვლის შემდეგ იგი განუხილველად იქნება დატოვებული და დაუბრუნდება საჩივრის შემტან პირს.[299]

„სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სასამართლოს განმეორებით დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეიძლება მხოლოდ სააპელაციო საჩივრის შეტანა. ამავე კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს პირველი ინსტანციის სასამართლოს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის გადაცემის მომენტიდან 14 დღის განმავლობაში. აღნიშნული ვადა იმპერატიულადაა დადგენილი და მისი გასვლის შემდეგ შეტანილი სააპელაციო საჩი-

298 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 17 მარტის განჩინება საქმეზე № ას-1483-2022, პ. 33-35.

299 ზ.ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი(რჩეული მუხლები), დაუსწრებელი გადაწყვეტილება, GIZ, 2020, გვ. 962.

ვარი დარჩება განუხილველად."[300]

სააპელაციო საჩივრის შესვლის შემდეგ პირველი ინსტანციის სასამართლო დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 5 დღისა, გადაუგზავნის სააპელაციო სასამართლოს მთლიანად საქმეს, აგრეთვე დამატებით შემოსულ ყველა მასალას. სააპელაციო საჩივრის შეტანა იწვევს გარკვეულ იურიდიულ შედეგებს, რაც გათვალისწინებულია სსსკ-ის 375-ე მუხლით, კერძოდ, თუ არსებობს სააპელაციო საჩივრის ყველა წინაპირობა და იგი მიღებულია სააპელაციო სასამართლოს მიერ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა შეჩერდება იმ ნაწილში, რომელიც გასაჩივრებულია.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ შეტანილ სააპელაციო საჩივარში, ყურადღება უნდა მიექცეს სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზების საპატიოობის არგუმენტაციას, შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენით და გამოუცხადებელობის შესახებ სასამართლოსათვის შეუტყობინებლობის მიზეზებზე მითითებით.[301]

„თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. საქალაქო სასამართლოს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ და მოითხოვა მისი გაუქმება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა აპელანტმა და მოითხოვა მისი გაუქმება. საკასაციო სასამართლომ კერძო საჩივრის საფუძვლების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობდა კერძო საჩივარის დაკმაყოფილების საფუძველი."[302]

„სასამართლო სხდომაზე გაუქმდა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განახლდა საქმის წარმოება. თბილისის საქლალაქო

300 საქართველოს უზენაესი სასამრთლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 01 მარტის განჩინება საქმეზე №ას-85-80-2010;

301 თ.ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2005, გვ. 408.

302 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 07 აპრილის განჩინება საქმეზე №ას-194-183-2017;

სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ მოსარჩელის განმეორებითი სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო, მოპასუხე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, მიღებულ იქნა განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი არ დაკმაყოფილდა. განმეორებით დაუსწრებელი გადაწყვეტილების ნაწილში მოსარჩელემ წარადგინა სააპელაციო საჩივარი, მოითხოვა გასაჩივრებული განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება."[303]

მეორე დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეტანილი სააპელაციო საჩივარი შეიძლება ემყარებოდეს მხოლოდ იმას, რომ არ არსებობდა განმეორებით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის შესაბამისი სამართლებრივი წანამძღვრები. [304] სსსკ-ის 385-ე მუხლის მიხედვით, სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არასწორად გამოტანილი განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებაა.

III. სააპელაციო სასამართლოს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება

როგორც აღინიშნა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი დაუსწრებლი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას ითვალისწინებს არა მარტო პირველ ინსტანციაში, არამედ სააპელაციო სასამართლოშიც. დაუშვებელია სააპელაციო სასამართლოს პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრება (სსსკ-ის 392-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). საკასაციო წესით დასაშვებია მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს ისეთი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრება, რომელიც გამოტანილია განმეორებით დაუსწრებლობის შემდეგ. ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება საკასაციო წესით გასაჩივრდეს მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ არ არსებობდა მისი გამოტანისათვის გათვალისწინებული სათანადო

303 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 08 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-801-801-2018;

304 თ.ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2005, გვ. 408.

სამართლებრივი წანამძღვრები. (სსსკ-ის 392-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

„სააპელაციო პალატამ მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო, აპელანტის შუამდგომლობის საფუძველზე მიიღო განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ. საკასაციო სასამართლომ საკასაციო საჩივრის ფარგლებში მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში არ არსებობდა განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების ერთ-ერთი წინაპირობა, კერძოდ, მოპასუხის სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებანი სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას იურიდიულად არ ამართლებდა, შესაბამისად, არსებობდა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი."[305]

„სააპელაციო სასამართლოს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხემ გაასაჩივრა საკასაციო წესით და მოითხოვა მისი გაუქმება. საკასაციო პალატამ საქმის მასალების შემოწმების შედეგად მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე დაშვებულმა მნიშვნელოვანმა საპროცესო დარღვევამ, არსებითად იმოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რაც მოპასუხის საკასაციო განაცხადის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების დასაბუთებული სამართლებრივი საფუძველია."[306] „გაზიარებული იქნა კასატორის პრეტენზია, რომ არსებობდა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი".[307]

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა, არ ითვალისწინებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას საკასაციო ინსტანციის სასამართლოში.

---

305 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 31 მაისის განჩინება საქმეზე №ას-378-378-2018;

306 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 04 აპრილის განჩინება საქმეზე №ას-553-528-2016;

307 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალქო საქმეთა პალატის 2021 წლის 02 აპრილის განჩინება საქმეზე №ას-953-2020

§9 დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერი ძალა

რადგან დაუსწრებელი გადაწყვეტილება წარმოადგენს მართლმსაჯულების აქტს[308], ამიტომაც, დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის სამართლებრივი შედეგები ისეთივეა, როგორც ჩვეულებრივი გადაწყვეტილებისა.[309]

სსსკ-ის 234-ე მუხლის თანახმად, მართალია დაუსწრებელი გადაწყვეტილების ჩამოყალიბება ხდება სამოტივაციო ნაწილის გარეშე, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება საერთოდ არ უნდა შეიცავდეს დასაბუთებას.[310]

დასაბუთების აუცილებლობა თვალსაჩინოა მაშინ, როდესაც სასამართლოს მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო, სსსკ-ის 230-ე მუხლის საფუძველზე, გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. ასევე მხედველობაშია მისაღები დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა სსსკ-ის 232[1]-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

მითითებულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე, სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას, სასამართლო ვალდებულია, გამოარკვიოს, სარჩელში მითითებული და დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები, იურიდიული თვალსაზრისით ამართლებენ თუ არა მოთხოვნას. მოსარჩელის მოთხოვნის იურიდიული მართებულობის კვლევა კი, სასამართლოს მიერ მოთხოვნის დამფუძნებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის სწორად მოძიებას მოიაზრებს. ამის შემდეგ კი სასამართლო ადგენს, სარჩელში მითითებული და კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული ფაქტები, აკამყოფილებენ თუ არა დამფუძნებელი ნორმის აბსტრაქტულ აღწერილობას, რაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანით სარჩელის დაკმაყოფილების აუცილებელი წინაპირობაა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სსსკ-ის 230-ე და 232[1]-ე მუხ-

---

308 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალქო საქმეთა პალატის 2021 წლის 02 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-953-2020;

309 პ.ქათამაძე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი (რჩეული მუხლები), გადაწყვეტილების კანონიერი ძალა, GIZ, 2020, გვ. 1046.

310 მ.თოდუა/ ზ.ძლიერიშვილი/ დ. ბერეკაშვილი/ თ.ხაჟომია /თ. თოდრია/ ს. ჩხაიძე/ ნ.კვანტალიანი, სასამართლო გადაწყვეტილების სტრუქტურა პირველ და მეორე ინსტანციაში, პრაქტიკული სახელმძღვანელო, GIZ, 2020, გვ.29.

ლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დაუსწრებელ გადაწყვეტილებას დადგენილად მიჩნეულ ფაქტების ნაწილში, პრეიუდიციული ძალა გააჩნია სხვა სამოქალაქო საქმის განხილვისას, სადაც იგივე მხარეები მონაწილეობენ.[311]

განსხვავებული ვითარებაა სსსკ-ის 229-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ასეთი დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ იმის გამო, რომ მოსარჩელე სასამართლო სხდომაზე (როგორც მოსამზადებელი, ისე მთავარი სხდომა) არ გამოცხადდა. მოსარჩელის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ დაუსწრებელი გადაწყვეტილება, მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით დასაბუთებას არ შეიცავს, კერძოდ, სასამართლო არ იკვლევს სარჩელში მითითებულ გარემოებებს და იურიდიული თვალსაზრისით არ აფასებს მათ.[312]

აქედან გამომდინარე, მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო, მის წინააღმდეგ გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება რაკი არ შეიცავს ფაქტებზე მითითებას, შესაბამისად, მას ვერ ექნება პრეიუდიციული ძალა. ამასთან, ასეთ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზეც ვრცელდება გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ის თვისება, რომელიც კრძალავს საქმის განმეორებით განხილვას.[313]

311 პ.ქათამაძე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი (რჩეული მუხლები), გადაწყვეტილების კანონიერი ძალა, GIZ, 2020, გვ. 1047.

312 თ.ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2005, გვ. 399.

313 პ.ქათამაძე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი (რჩეული მუხლები), გადაწყვეტილების კანონიერი ძალა, GIZ, 2020, გვ. 1048.

თავი VII. საქმის დამთავრება გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე

§1. გადაწყვეტილების გარეშე საქმის დამთავრების ფორმები

სასამართლოში განსახილველად შემოსული საქმის დამთავრების ტრადიციული და ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმა – ესაა საქმის დამთავრება გადაწყვეტილების გამოტანით. გადაწყვეტილება – ესაა სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე წყდება არსებითად.

მაგრამ სასამართლო გადაწყვეტილება არაა საქმის დამთავრების ერთად ერთი ფორმა. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა უშვებს საქმის წარმოების დამთავრებას სხვა ფორმითაც. კერძოდ სამოქალაქო საქმის წარმოება შეიძლება დამთავრდეს: 1. სასამართლოს განჩინებით საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ და 2. სასამართლოს განჩინებით სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

გადაწყვეტილების გამოუტანლად საქმის წარმოების დამთავრების ეს ორი ფორმა განსხვავდებიან ერთმანეთისაგან როგორც საფუძვლებით, ისე თავისი შედეგებით. ამიტომ მიზანშეწონილია განვიხილოთ ისინი ცალკ-ცალკე.

I. საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლები და შედეგები

საქმის წარმოების შეწყვეტა სასამართლოს შეუძლია როგორც მხარეთა შუამდგომლობით, ისე თავისი ინიციატივითაც.

საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლები მითითებულია სსკ 272-ე მუხლში. ეს საფუძვლები ასეთია:

1. **საქმე არ ექვემდებარება სასამართლოს უწყებრივად** (საქმის არასაქვეუწყებობა), მისი განხილვა სხვა უწყების კომპეტენციაში შედის.

მაგალითად, აღძრულია სარჩელი სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლის არაკონსტიტუციურობის შესახებ, რომელიც ჩუქების გაუქმებასა და გაჩუქებული ქონების

უკან გამოთხოვას ითვალისწინებს. სასამართლომ არ უნდა მიიღოს ეს სარჩელი, მაგრამ თუ შეცდომით მიიღო მან უნდა შეწყვიტოს საქმის წარმოება და განჩინებაში ამის შესახებ მიუთითოს, რომ საქმე საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში შედის.

ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს უწყებრივი ქვემდებარეობა და განსჯადობა. უწყებრივი ქვემდებარეობა პასუხობს კითხვაზე: ექვემდებარება თუ არა საქმე საერთო სასამართლოებს უწყებრივად. ამ კითხვაზე დადებითი პასუხის შემდეგ წამოიჭრება მეორე საკითხი: რომელმა კონკრეტულმა სასამართლომ უნდა განიხილოს ეს საქმე? ამ კითხვაზე პასუხს გვაძლევს **განსჯადობა.** შეიძლება აღმოჩნდეს, რომ საქმე ექვემდებარება სასამართლოს უწყებრივად, მაგრამ არ არის იმ სასამართლოს განსჯადი, რომელშიც შეტანილია სარჩელი.

მაგალითად, სარჩელი ზიანის ანაზღაურების შესახებ შეტანილია გორის რაიონულ სასამართლოში, მაგრამ იგი უნდა ყოფილიყო შეტანილი ხაშურის რაიონულ სასამართლოში, რადგან მოპასუხე ამ საქმეზე ცხოვრობს ხაშურში.

თუ საქმე ამ სასამართლოს განსჯადი არაა, საქმის წარმოების შეწყვეტა დაუშვებელია. ასეთ შემთხვევაში საქმე სასამართლომ უნდა გადაუგზავნოს

განსჯად სასამართლოს (ხაშურის რაიონულ სასამართლოს), როგორც ამას ითვალისწინებს სსკ 23-ე მუხლი, ან კიდევ, შესაბამისი პირობების არსებობისას თვითონ განიხილოს ეს საქმე (21-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

2. არ არსებობს დავის საგანი (სსკ 272-ე მუხლის „ა1" პუნქტი).

დავის საგანი შეიძლება იყოს, მაგალითად, ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა, ნივთის გამოყენებაზე ხელისშეშლის აღკვეთა და სხვა. თუ აღნიშნული პრობლემები აღარ იარსებებს, იმიტომ რომ დაუბრუნა ნივთი, ან ხელს აღარ უშლის ნივთის გამოყენებაში, ბუნებრივია შეწყდება საქმის წარმოებაც.

3. არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით ანუ მოკლედ რომ ვთქვათ, იმავე სარჩელზე (სსკ 272-ე მუხლის „ბ" პუნქტი), ამრიგად, ამ საფუძვლით საქმის წარმოების შეწყვეტა დასაშვებია:

ა) თუ არსებობს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება იგივე სარჩელზე. სარჩელი იგივეა, თუ იგივეა სასარჩელო მოთხოვნა (სარჩელის საგანი), სარჩელის საფუძველი და იგი აღძრულია იმავე მხარეებს შორის. თუ ერთ-ერთი ელემენტი სხვაა, მაგალითად, მოთხოვნა იგივეა, მაგრამ საფუძველი სხვაა, ან კიდევ, ყველაფერი და მათ შორის მოსარჩელე იგივეა, მაგრამ მოპასუხე სხვაა და ა.შ. სასამართლომ საქმე უნდა განიხილოს: ბ) თუ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ საფუძვლით, რომ იგივე სარჩელის მიმართ მხარეები მორიგდნენ ან მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე.

მაგალითად: ა-ნიმ აღძრა სარჩელი ბ-ნის წინააღმდეგ და მოითხოვა 1000 ლარის ოდენობით ვალის დაბრუნება იმ საფუძვლით, რომ მან ასესხა ბ-ანის ეს თანხა და დადგა მისი დაბრუნების დრო. სასამართლოში საქმის განხილვის დროს მოსარჩელე ა-ნიმ უარი თქვა თავის მოთხოვნაზე, სასამართლომ სსკ 272-ე მუხლის „გ" პუნქტის თანახმად გამოიტანა განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. ამ განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მოსარჩელემ კვლავ აღძრა იგივე სარჩელი იმავე მოპასუხის მიმართ. სასამართლომ არ უნდა მიიღოს სარჩელი, ხოლო თუ შეცდომით მიიღო, შეწყვიტოს თავისი განჩინებით საქმის წარმოება, როცა გაირკვევა, რომ აღძრულია იგივე სარჩელი.

3. მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე (სსკ 272-ე მუხლის „გ" პუნქტი)

დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე მოსარჩელეს უფლება აქვს განკარგოს თავისი უფლებები. სარჩელზე უარის თქმა არის უფლების განკარგვის აქტი. ამიტომ, სასამართლომ ასეთ შემთხვევაში უნდა გამოიტანოს განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, რადგან აღარ არსებობს დავის საგანი, რომლის მიმართ სასამართლომ უნდა გამოიტანოს თავისი გადაწყვეტილება.

სარჩელზე უარისთქმა, როგორც მოსარჩელის მიერ თავისი მატერიალურ-სამართლებრივი უფლების განკარგვა, უნდა განვასხვავოთ მოსარჩელის მიერ **ამ ეტაპზე** სარჩელის განხილვაზე უარისთქმისაგან, რომლის დროს იგი მოითხოვს მის მიერ შემოტანილი სარჩელის უკან დაბრუნებას **(სარჩელის გამოხმობა)**. ასეთ შემთხ-

ვევაში საქმის შეწყვეტა დაუშვებელია, რადგან მოსარჩელე უარს კი არ ამბობს თავის სასარჩელო მოთხოვნაზე, არამედ უბრალოდ არ სურს ამ ეტაპზე მისი სარჩელის განხილვა. სარჩელის გამოხმობა ხელს არ უშლის იგივე სარჩელის ხელმეორედ აღძვრას.

4. **მხარეები მორიგდნენ** (სსკ 272-ე მუხლის „დ" პუნქტი).

ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ განმარტა, რომ მორიგების სამართლებრივი მნიშვნელობა ორი დამოუკიდებელი ნიშნით განისაზღვრება. პირველი – **მატერიალური** და მეორე – **პროცესუალური** ნიშნით.

მატერიალური ნიშნით მორიგება გარიგებაა. მორიგება გარკვეულწილად განსხვავდება სსკ-ის 50-ე მუხლით გათვალისწინებული გარიგებისაგან. კერძოდ, გარიგებისაგან განსხვავებით, მორიგება არ შეიძლება იყოს ცალმხრივი ნების გამოვლენის შედეგი. მორიგებაში ცალმხრივი ნების გამოვლენა შეუძლებელია. ცალმხრივი ნება, სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობებში შესაძლოა გამოიხატოს სარჩელის ცნობით (აღიარებით) ან სარჩელზე უარის თქმით, რაც მორიგებას არ წარმოადგენს, თუმცა მაინც იძლევა შედეგს სამოქალაქო საქმის წარმოების შეწყვეტის სახით. მორიგება წარმოადგენს მხარეების მიერ ახალ გარემოებებზე შეთანხმებას. მხარეთა მორიგების შემთხვევაში წყდება სამართალწარმოება, უქმდება საქმეზე მიღებული ყველა გადაწყვეტილება და მტკიცდება მორიგება. ასეთი მორიგება უკვე მხარეთა შორის გამოხატული ახალი ნებაა, რაც ახალი გარიგების დადებას გულისხმობს.

პროცესუალური ნიშნით მორიგება სამართლებრივი პროცესია და იგი ორ კომპონენტს მოიაზრებს: მორიგება, როგორც დამოუკიდებელი პროცესი და მორიგება, როგორც საქმის წარმოების პროცესის შემადგენელი ნაწილი ანუ პროცესის პროცესი. მორიგება, როგორც დამოუკიდებელი პროცესი დამოუკიდებელი სამართლებრივი მოვლენაა დასაწყისით, სამართლებრივი ეტაპებით და დასასრულით. მორიგების დაწყების საფუძველი მხარეთა შორის არსებული დავაა. იგი მოიცავს მოდავე მხარეების სამომრიგებლო მცდელობებს, წინადადებებს, მოლაპარაკებებს, რაც მიმართულია საქმის წარმოების მორიგებით დასრულებისკენ. რაც შეეხება მორიგებას, როგორც საქმის წარმოების პროცესის შემადგენელ ნაწილს, აქ უმნიშვნელოვანესია, რომ მორიგება აქცესორული ხასიათის სამართლებრივი მოვლენაა, რომელიც საქმის წარმოების გარეშე არ არსებობს. მორიგების არსებობა და მისი სამართლე-

ბრივი განხორციელება სამოქალაქო საქმის წარმოების პროცესზეა დამოკიდებული და მის გარეშე არ არსებობს. მორიგების უფლება არ წარმოიშობა მთავარი საპროცესო უფლების – საქმის წარმოების გარეშე. თუ არ იქნება საქმის წარმოება ანუ სასამართლო წესით განსახილველი დავა, მორიგებაც ვერ განხორციელდება ანუ თუ არ იქნება დავა, მოსარიგებელი არაფერია, შესაბამისად, მორიგება საქმის წარმოების პროცესის შემადგენელი ნაწილია.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მორიგების ძირითადი პრინციპებია:

ა) მორიგება მხოლოდ სასამართლოს პირობებში ხორციელდება, როგორც საქმის განხილვის, ისე აღსრულების ეტაპზე;

ბ) მორიგების კანონიერების უზრუნველყოფა სასამართლოს ვალდებულებაა;

გ) მორიგების აქტი მტკიცდება სასამართლოს განჩინებით;

დ) მორიგებით დასრულებულ საქმეზე ხელახალი განხილვისათვის სასამართლოსთვის მამართვა, გამონაკლისის გარდა, დაუშვებელია;

ე) მორიგების პირობების შეუსრულებლობა ექვემდებარება იძულებით აღსრულებას.

ამრიგად, მორიგებით საქმის დამთავრება, ისე როგორც სარჩელზე უარისთქმა, დისპოზიციურობის პრინციპის ერთ-ერთი კონკრეტული გამოვლინებაა (სსკ მე-3 მუხლი). მხარეთა მორიგების შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს მორიგების პირობებს. ამ განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ იგი შეიძლება იძულებით აღსრულდეს, თუ რომელიმე მხარე არღვევს ამ მორიგების პირობას.

5. შედგენილ იქნა სამედიაციო მორიგება ან საერთაშორისო სამედიაციო მორიგების მხარემ სასამართლოს წარუდგინა საერთაშორისო სამედიაციო მორიგება, რომლითაც სადაო საკითხი უკვე გადაწყვეტილია. (სსკ 272-ე მუხლის „დ1“ პუნქტი)

სამედიაციო მორიგება, რომელიც ხორციელდება მედიატორის მეშვეობით, წესრიგდება, როგორც სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, ასევე კანონით მედიაციის შესახებ.[314] ამ კანონის მე-2 მუხლის „ი“ პუნქტის მიხედვით, სამედიაციო მორიგება არის მედია-

314 კანონი მედიაციის შესახებ მიღებულ იქნა 2019 წლის 18 სექტემბერს. კანონი, გარდა მე-18 მუხლის პირველი სამი პუნქტისა, ძალაში შევიდა 2020 წლის პირველი იანვრიდან.

ციის შედეგად დავის ურთიერთშეთანხმებით დასრულების შესახებ წერილობითი დოკუმენტი, რომლის შესრულება სავალდებულოა.

სამედიაციო მორიგება შეიძლება მოხდეს კერძო მედიაციით ან სასამართლო მედიაციით.

ამავე კანონის მე-13 მუხლის მიხედვით მხარეთა შეთანხმებით, სამედიაციო მორიგება შეიძლება სასამართლომ აღასრულოს. სამედიაციო მორიგების აღსრულების მოთხოვნით სასამართლოს შეიძლება მიმართოს ერთ-ერთმა ან ორივე მხარემ. სასამართლო სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხს იხილავს კანონით მედიაციეს შესახებ და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესების შესაბამისად.

რაც შეეხება საერთაშორისო სამედიაციო მორიგებას, ზოგადად იგი საერთაშორისო კერძო სამართლის საკითხს წარმოადგენს.

მედიაციის შესახებ კანონის მე-13[1] მუხლის თანახმად საერთაშორისო სამედიაციო მორიგების მხარეთა შეთანხმებით, იგი შეიძლება ცნოს და აღასრულოს სასამართლომ. საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობისა და აღსრულების უფლებამოსილების მქონე სასამართლოა საქართველოს უზენაესი სასამართლო.

საქართველოს უზენაესი სასამართლო საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობისა და აღსრულების საკითხს განიხილავს ამ კანონითა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესების შესაბამისად.

6. საქმის ერთ-ერთ მხარედ მყოფი მოქალაქის გარდაცვალების შემდეგ ან იურიდიული პირის ლიკვიდაციისას, სადავო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, დაუშვებელია უფლებამონაცვლეობა (სსკ 272-ე მუხლის „ე“ პუნქტი)

თუ მხარედ მყოფი ფიზიკური პირი გარდაიცვალა სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის განხილვა უფლებამონაცვლის დადგენამდე (სსკ 279-ე მუხლი). მაგრამ, თუ უფლებამონაცვლეობა მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დაუშვებელია, სასამართლომ უნდა შეწყვიტოს საქმის წარმოება.

მაგალითად: ა-ნიმ მიმართა სასამართლოს მისი მეუღლის ბ-ანის წინააღმდეგ და მოითხოვა მისგან სარჩოს მიღება. საქმის განხილვის პროცესში მოსარჩელე გარდაიცვალა. სასამართლომ უნდა შეწყვიტოს საქმე, რადგან, სარჩოს მიღებაზე უფლებამოსილი პირი გარდაიცვალა და მის ნაცვლად სხვა პირს სარჩოს

მიღებაზე უფლება არ აქვს.
რაც შეეხება იურიდიულ პირს, თუ მხარედ მყოფი იურიდიული პირის ლიკვიდაცია მოხდა, სასამართლომ უნდა შეწყვიტოს საქმის წარმოება, რადგან იურიდიული პირის
ლიკვიდაციის შემთხვევაში უფლებამონაცვლეობა არ წარმოიშვება.

7. **არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 281-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა;** (სსკ 272-ე მუხლის „ე1" პუნქტი.

საერთოდ, სსკ-ის 281-ე მუხლი ეხება საქმის წარმოების შეჩერების ვადებს. მაგრამ ამავე მუხლში აღნიშნულია საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველიც, კერძოდ, თუ გარდაიცვლება მოპასუხე, მოსარჩელემ ერთი წლის მანძილზე უნდა მიუთითოს გარდაცვლილის უფლებამონაცვლე ანუ პირი რომელმაც მიიღო სამკვიდრო ქონება. უმკვიდრო ქონების შემთხვევაში – სახელმწიფო ან შესაბამისი ორგანიზაცია ან სხვა უფლებამონაცვლე. თუ სამკვიდრო ქონება არ არსებობს, მაშინ შეწყდება საქმის წარმოება.

საქმის წარმოების შეწყვეტამდე მოსარჩელეს შეუძლია დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს დამატებით 6 თვით ვადის გაგრძელების შესახებ. სასამართლოს შეუძლია გააგრძელოს ერთწლიანი ვადა არაუმეტეს 6 თვით (სსკ 281-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტი). ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას.

7. **მხარდამჭერის მიმღებად ცნობის შესახებ განცხადების განხილვისას საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა უარყოფითია (სსკ 272-ე მუხლის „ვ2" პუნქტი)**

ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ კანონის მე-7 მუხლის მიხედვით, სასამართლო ექსპერტიზის ბიუროში ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩასატარებლად იქმნება მულტიდისციპლინური ჯგუფი 4 წევრის შემადგენლობით. ამ ჯგუფში შედიან ფსიქიატრი, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი და ოკუპაციური თერაპევტი[315] (ან პირი, რომელიც ფიზიკური, გონებრივი ან სო-

315 ოკუპაციური თერაპია წარმოადგენს ფიზიკურად და გონებრივად უნარშეზღუდულ ადამიანთა მკურნალობას სპეციფიკურად შერჩეული აქტივობების სა-

ციალური თვალსაზრისით ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებს შერჩეული სპეციფიკური აქტივობების საშუალებით მკურნალობს).

თუ ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია ბიუროში გამოცხადება, იგი სტაციონარში ან თავის საცხოვრებელ ადგილზე შემოწმდება.

მულტიდისციპლინური ჯგუფი ექსპერტიზის ჩატარების შედეგად გასცემს დასაბუთებულ დადებით ან უარყოფით დასკვნას.

8. თუ მხარეებს დადებული აქვთ ხელშეკრულება, ან არსებობს მხარეთა შეთანხმება, რომ მათი დავა გადასაწყვეტად გადაეცეს არბიტრაჟს (სსკ 272[1]-ე მუხლი).

არბიტრაჟის შესახებ კანონის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად: საარბიტრაჟო შეთანხმება არის შეთანხმება, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს ყველა ან ზოგიერთი დავა, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მათ შორის ამა თუ იმ სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე.

საარბიტრაჟო შეთანხმება შეიძლება დაიდოს ხელშეკრულებაში საარბიტრაჟო დათქმის ან ცალკე შეთანხმების ფორმით. საარბიტრაჟო შეთანხმება მხოლოდ წერილობითი ფორმით უნდა დაიდოს.

თუ სასამართლოში შეტანილია სარჩელი ისეთ სადაო საკითხზე, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმების საგანია, სასამართლო ვალდებულია მხარის განცხადების საფუძველზე, რომელიც სასამართლოში შესაგებლის წარდგენამდე უნდა გაკეთდეს, შეწყვიტოს წარმოება. მაგრამ თუ სასამართლო დაადგენს, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილია, ძალადაკარგულია ან შეუძლებელია მისი შესრულება, მაშინ სასამართლო გააგრძელებს საქმის წარმოებას.

კანონით შეიძლება გათვალისწინებული იქნეს საქმის წარმოების შეწყვეტის სხვა საფუძვლებიც (სსკ 272 მუხლის „ზ“ პუნქტი).

იმ შემთხვევაში, როდესაც საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლებს ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ სარჩელის წარმოებაში მიღებამდე, სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს განჩინება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ (186-ე მუხლი) მხარეთა შეუტყობინებლად, ოღონდ მოსარჩელეს უნდა გაეგზავნოს ამ განჩინების ასლი. მაგრამ, თუ ასეთი საფუძველი წარმოიშვა სარჩე-

---

შუალებით. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=7756

ლის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაგალითად, მხარეები მორიგდ-ნენ, მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე და სხვა, სასამართლომ უნდა მოიწვიოს მოსამზადებელი სხდომა, თუ ეს ხდება მომზადების სტადიაზე, ან დანიშნოს მთავარი სხდომა, თუ ყოველივე ეს ხდება საქმის მომზადების დამთავრებისა და მთავარი სხდომის დანიშვნის შემდეგ (207-ე მუხლი) და ამ სხდომაზე მიიღოს შესაბამისი განჩინე-ბა.

საქმის წარმოების შეწყვეტას უკავშირდება სერიოზული შედე-გი: იგივე სარჩელით სასამართლოში ხელმეორედ მიმართვა დაუშვე-ბელია. იგივე სარჩელში იგულისხმება სარჩელი იგივე მოთხოვნით, იმავე საფუძვლით და იმავე მხარეებს შორის (სსკ 273-ე მუხლის).

საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა

II. სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძვლები და შედეგები

სარჩელის განუხილველად დატოვება სასამართლოს შეუძლია როგორც თავისი ინიციატივით, ისე მხარეთა განცხადებით.

სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძვლებს განსაზ-ღვრავს სსკ 275-ე მუხლი.

ეს საფუძვლები ასეთია:

1. **სარჩელი (განცხადება) დაინტერესებული პირის სახელით შეიტანა იმ პირმა, რომელსაც არა აქვს საქმის წარმოების უფლება-მოსილება;** (სსკ 275-ე „ბ“ პუნქტი)

არაუფლებამოსილი პირი – ეს ისეთი პირია, რომელიც მიმარ-თავს სასამართლოს არა თავისი, არამედ **სხვისი უფლების** დასაცა-ვად, მაგრამ ამისათვის მას არ გააჩნია ამ სხვა პირისაგან სათანა-დოდ გაფორმებული უფლებამოსილება.

ამდენად, ეს პუნქტი არ ეხება არასათანადო მხარეს. ცნობი-ლია, რომ მხარეს შეუძლია საქმე აწარმოოს სასამართლოში პი-რადად ან წარმოადგენლის მეშვეობით, მაგრამ წარმომადგენლის უფლებამოსილება უნდა გაფორმდეს კანონით დადგენილი წესით (სსკ 96-ე მუხლი). ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ **არაფლე-ბამოსილი პირი** და **არასათანადო მოსარჩელე**. **არაუფლებამოსილი პირი** თავისად არ ასაღებს უფლებას, რომლის დაცვასაც ის მოითხ-

ოვს, მან იცის, რომ მიმართავს სასამართლოს სხვა პირის უფლების დასაცავად, მაგრამ არ აქვს ამისათვის სათანადოდ გაფორმებული უფლებამოსილება.

არასათანადო მოსარჩელე – ეს ის პირია, რომელიც მოითხოვს „თავისი" ისეთი უფლების დაცვას, რომელიც სინამდვილეში მისი კი არა, სხვისი უფლებაა (სსკ 84-ე მუხლი) და, მაშასადამე, მას არ აქვს მოთხოვნის უფლება.

2. **სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე (განმცხადებელი) არ გამოცხადებულა, ხოლო მოპასუხე თანახმაა, სარჩელი (განცხადება) განუხილველად იქნეს დატოვებული;** (სსკ 275-ე, „გ" პუნქტი)

მოსარჩელის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ოღონდ თუ ამის შესახებ შუამდგომლობს მოპასუხე. მაგრამ, თუ მოპასუხე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინააღმდეგია, მაშინ სასამართლოს შეუძლია დატოვოს სარჩელი განუხილველად, ოღონდ ამისათვის საჭიროა ისევ მოპასუხის თანხმობა. თუ ასეთი თანხმობა არ არის, სასამართლო გადადებს საქმის განხილვას.

3. **არც ერთი მხარე არ გამოცხადებულა;** (სსკ 275-ე, „დ" პუნქტი).

თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არცერთი მხარე და მათი წარმომადგენლები არ გამოცხადდენ, რომლებსაც გაეგზავნათ შეტყობინება კანონით დადგენილი წესით, მაშინ სასამართლო სარჩელს განუხილველად დატოვებს (სსკ 231-ე მუხლი). ცხადია, რომ სასამართლოს შეუძლია გადადოს საქმის განხილვა სხვა დროისათვის და კვლავ გაუგზავნოს შეტყობინება მხარეებს. მაგრამ, ეს დამოკიდებულია სასამართლოს მიხედულებაზე.

4. იმავე ან სხვა სასამართლოს წარმოებაში არის საქმე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით; (სსკ 275-ე, „ე" პუნქტი).

სარჩელის განუხილველად დატოვების ეს საფუძველი ემყარება პრინციპს, რომ არ შეიძლება ერთი და იგივე სარჩელი ორმა (ან მეტმა) სასამართლომ განიხილოს. ამიტომ, თუ აღმოჩნდება, რომ ერთი და იგივე სარჩელი აღძრულია იმავე ან სხვა სასამართლოში (ეს კი სავსებით მოსალოდნელია ალტერნატიული გასჯადობის დროს), ერთ-ერთმა სარჩელი განუხილველად უნდა დატოვოს. სარჩელი განუხილველად უნდა დატოვოს იმ სასამართლომ, რომელშიც უფრო გვიან შევიდა სარჩელი. ამისთვის უნდა დადგინდეს,

რომელ სასამართლო კანცელარიაში მოხდა უფრო გვიან სარჩელის რეგისტრაცია (სსკ 183-ე მუხლი) და მოსამართლემ სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში მიიღო თუ არა სარჩელი. (სსკ 186-ე მუხლი).

5. დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების გამოხმობის შესახებ; (სსკ 275-ე, „ვ" პუნქტი).

სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების უკან გათხოვა (გამოხმობა) გათვალისწინებულია სსკ 831 მუხლით.

6. არსებობს ამ კოდექსის 281-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა; (სსკ 275-ე, „ზ" პუნქტი).

მოსარჩელის გარდაცვალებისას სასამართლო აჩერებს საქმის წარმოებას უფლებამონაცვლეობის დადგენამდე. თუ ერთი წლის მანძილზე არ დადგინდება უფლებამონაცვლე სასამართლო სარჩელს განუხილველად დატოვებს.

7. მოსარჩელე ამ კოდექსის 184-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ ვადაში არ წარმოადგენს მოპასუხისათვის გზავნილის (სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების) ჩაბარების დამადასტურებელ დოკუმენტს ან შუამდგომლობას მოპასუხისათვის გზავნილის საჯარო შეტყობინებით ჩაბარების შესახებ;

8. სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში მოსარჩელე სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს;

9. სასამართლო მედიაციისათვის კანონით დადგენილი ვადის გასვლიდან 10 დღის ვადაში ამ კოდექსის 187[7]-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად არცერთი მხარე არ მიმართავს სასამართლოს საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით.

თუ სასამართლო მედიაციისთვის კანონით დადგენილ ვადაში დავა მხარეთა შეთანხმებით არ დასრულდა, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით (სსკ 1877 მუხლის მე-2 ნაწილი). მაგრამ, თუ სასამართლო მედიაციისათვის კანონით დადგენილი ვადის გასვლიდან 10 დღის ვადაში არცერთი მხარე არ მიმართავს სასამართლოს საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, მაშინ საქმის წარმოება არ განახლდება და სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ (სსკ 1877 მუხლის მე-3 ნაწილი).

10. თუ მოსარჩელემ სარჩელში არასწორად მიუთითა თავისი ან მოპასუხის მისამართი.

სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომლითაც მთავრდება საქმის წარმოება. ამ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

იმ გარემოებათა აღმოფხვრის შემთხვევაში, რომლებიც საფუძვლად დაედო სარჩელის განუხილველად დატოვებას, მოსარჩელეს შეუძლია კვლავ აღძრას იგივე სარჩელი საერთო წესის დაცვით.

თავი VIII. გამარტივებული წარმოება

§1. თამასუქისა და ჩეკის თაობაზე აღძრული სარჩელების განხილვა

I. განსჯადობა

თამასუქთან და ჩეკთან დაკავშირებულ საკითხებს აწესრიგებს 1995 წელს მიღებული კანონი „თამასუქის შესახებ“ და ამავე წელს მიღებული კანონი „ჩეკის შესახებ“.

აღნიშნული პირველი კანონის თანახმად: **თამასუქი** – ესაა ფასიანი ქაღალდი, დოკუმენტი, რომლითაც მისი გამცემი პირი კისრულობს უპირობო ვალდებულებას გადაიხადოს თამასუქში ნაჩვენები თანხა პირადად ან სხვა პირს ავალებს მის გადახდას.

„თამასუქის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის თანახმად, თამასუქის მფლობელს შეუძლია წარუდგინოს სარჩელი ინდოსანტს, თამასუქის გამცემს და სხვა ვალდებულ პირებს გადახდის ვადის დადგომისას, გადაუხდელობისას, გადახდის ვადის დადგომამდეც, ოღონდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალის გადახდისუნარიანობა საეჭვოა, ან როდესაც საეჭვოა იმ თამასუქის გამცემის გადახდისუნარიანობა, რომელიც აქცეპტებას არ ექვემდებარება.

ჩეკის შესახებ კანონის თანახმად, კი: **ჩეკი** – ესაა დადგენილი ფორმის ფასიანი ქაღალდი, რომელიც შეიცავს ჩეკის გამცემის წერილობით დავალებას საბანკო დაწესებულებისადმი გაანაღდოს ჩეკში აღნიშნული თანხა.

სსკ 301-ე მუხლის თანახმად ჩეკის თაობაზე აღძრული საქმეების განხილვისას გამოყენებული უნდა იქნეს თამასუქის თაობაზე აღძრული საქმეების წარმოების წესები. აქედან გამომდინარე, ყოველივე, რაც თამასუქის თაობაზე აღძრული სარჩელების განხილვასთან დაკავშირებით იქნება აღნიშნული მთლიანად განეკუთვნება ჩეკის თაობაზე აღძრული სარჩელების განხილვასაც.

სარჩელი თამასუქის თაობაზე შეიძლება აღიძრას როგორც იმ სასამართლოში, რომლის ტერიტორიაზეც უნდა მოხდეს გადახდა, ისე სასამართლოში მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. იმ შემთხვევაში, როდესაც სარჩელი მიმართულია ერთობლივად რამდენიმე თამასუქვალდებულის მიმართ, მაშინ სარჩელი შეიძლე-

ბა აღიძრას როგორც იმ სასამართლოში, რომლის ტერიტორიაზეც უნდა მოხდეს გადახდა, ისე ნებისმიერ სასამართლოში ერთერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (სსკ 294-ე მუხლი).

ამრიგად, თამასუქის თაობაზე აღძრული სარჩელების მიმართ დაშვებულია ალტერნატიული განსჯადობა, რომლის თანახმად არჩევანის გაკეთება შეუძლია თვითონ მოსარჩელეს.

II. თამასუქის შესახებ სარჩელების წარმოებაში მიღების წინაპირობები

თამასუქის თაობაზე აღძრული სარჩელები ჩვეულებრივი სარჩელებია და ისინი უნდა პასუხობდნენ სარჩელის მიღების ყველა წინაპირობას. ამასთან ერთად სსკ-სი ითვალისწინებს გარკეულ თავისებურებებს. ეს თავისებურებანი შემდეგში მდგომარეობს:

1. სარჩელში მითითებული უნდა იყოს მოსარჩელის თხოვნა იმის შესახებ, რომ სასამართლომ ეს სარჩელი განიხილოს გამარტივებული წესით, როგორც ეს დადგენილია სსკ XXXIII თავით (სსკ 292-ე მუხლი).

2. სარჩელს თან უნდა დაერთოს თამასუქის ასლი. თუ ასეთი ასლი არ ერთვის სარჩელს, სასამართლო ვერ მიიღებს მას წარმოებაში გამარტივებული წესით განსახილველად.

თამასუქის ასლის სარჩელთან ერთად წარდგენა არ ათავისუფლებს მოსარჩელეს მოვალეობისაგან წარმოადგინოს მთავარ სხდომაზე განხილვისას თამასუქის დედანი. ამ დედანი თამასუქის წარმოუდგენლობას შეიძლება მოყვეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარისთქმა (სსკ 135-ე მუხლი).

3. ყველა წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ფაქტიურ გარემოებებს, რომლებიც საფუძვლად უდევს სარჩელს, ასლების ან დედნის სახით უნდა დაერთოს სარჩელს.

მტკიცებულებებად დასაშვებია მხოლოდ წერილობითი დოკუმენტები და მხარეთა ახსნა-განმარტება.

4. მტკიცებულებათა დასაშვებობის ზოგადი პრინციპიდან გამომდინარე წარმოდგენილი უნდა იქნეს მხოლოდ ისეთი დოკუმენტები, რომლებითაც კანონის მოთხოვნათა მიხედვით შეიძლება დადასტურდეს ესა თუ ის ფაქტი. მაგალითად, თუ დასადგენია თამასუქის გადახდაზე უარი, ასეთი უარი შეიძლება დადასტურდეს

„ოფიციალური ოქმით“ აქცეპტების ან გადახდაზე უარის პროტესტით.[316]

როგორც აღვნიშნეთ, გადაწყვეტილებას თამასუქის (ჩეკის) თაობაზე აღძრული სარჩელის გამარტივებული წესით განხილვის შესახებ იღებს უშუალოდ მოსარჩელე. ამისათვის მას არ ჭირდება არც მოპასუხის და არც მოსამართლის თანხმობა. მთავარია მხოლოდ ის, რომ მან დაიცვას ამ წესით სარჩელის აღძვრისა და მისი წარმოების კანონით დადგენილი წესები. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია უარი უთხრას მოსარჩელეს გამარტივებული წესით საქმის წარმოებაზე (როცა არ არსებობს ამ წესით საქმის წარმოების წინაპირობები).

მოსარჩელეს შეუძლია აგრეთვე უშუალოდ და ცალმხრივად, მოპასუხის თანხმობის გარეშე, უარი თქვას გამარტივებული წესით სარჩელის განხილვაზე ამ საქმის განხილვის დამთავრებამდე, ე.ი. გადაწყვეტილების გამოტანამდე. თუ მან განაცხადა ასეთი უარი, სასამართლოს გამოაქვს განჩინება გამარტივებული წესით საქმის განხილვის შეწყვეტისა და ამ საქმის საერთო სასარჩელო წესით განხილვის შესახებ.

ასეთი განჩინების მიღების შემთხვევაში სასამართლომ უნდა მოამზადოს საქმის განხილვა ისე როგორც ამას ითვალისწინებს სსკ მე-200-207-ე მუხლები, ხოლო მომზადების შემდეგ დანიშნოს სასამართლო სხდომა საქმის საერთო სასარჩელო წესით განხილვის მიზნით.

III. საქმის განხილვის გამარტივებული წესი

გამარტივებული წესით საქმის განხილვის დროს ამ საქმის წინასწარი მომზადება სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვისათვის არ ხდება. სასამართლო ნიშნავს მთავარ სხდომას და ატყობინებს ამის შესახებ მხარეებს, ე.ი. მოსარჩელეს და მოპასუხეს. კანონი განსაზღვრავს ვადას უწყების ჩაბარებიდან სასამართლო სხდომამდე. ეს ვადა სხვადასხვანაირია იმის მიხედვით თუ სად ცხოვრობენ მხარეები. თუ მხარეები ცხოვრობენ ან თუ მათი ადგილსამყოფელია იმ სასამართლოს ტერიტორია, რომელმაც უნდა

316 „თამასუქის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლი.

განიხილოს სარჩელი გამარტივებული წესით, მაშინ უწყება მათ უნდა ჩაბარდეთ სასამართლოს სხდომის დაწყებამდე არანაკლებ 24 საათით ადრე. მაგრამ, თუ უწყება უნდა ჩაბარდეს ამ ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, მაშინ ეს ვადა განისაზღვრება მინიმუმ სამი დღით (სსკ 295-ე მუხლი).

როგორც ცნობილია კანონი ითვალისწინებს სარჩელების როგორც ობიექტურ, ისე სუბიექტურ შეერთებას. მაგრამ კანონი კრძალავს თამასუქის თაობაზე აღძრული სარჩელების ან სხვა პრეტენზიების გამო აღძრულ სხვა სარჩელებთან შეერთებას (სსკ 298-ე მუხლი). კანონი კრძალავს აგრეთვე შეგებებული სარჩელების აღძვრას. ეს იმას ნიშნავს, რომ თამასუქის თაობაზე აღძრული სარჩელებისაგან თავის დაცვა შესაძლებელია მხოლოდ შესაგებლით, მაგრამ არა შეგებებული სარჩელით.

მოპასუხეს უფლება აქვს მოითხოვოს საქმის დამატებითი წარმოება, თუ თვლის, რომ მისი უფლებები შეილახა ან ვერ განხორციელდა საქმის გამარტივებული წარმოების გამო. ასეთი მოთხოვნა მოპასუხეს შეეუძლია წამოაყენოს თავისი წერილობითი შესაგებლით, რომელიც წარმოადგენს საქმის **დამატებითი წარმოების საფუძველს**. საქმის დამატებითი წარმოების შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელზეც კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

მოპასუხის წერილობითი შესაგებელი (პროტესტი) იმის მოთხოვნით, რომ ჩატარდეს საქმეზე დამატებითი წარმოება, ვერ შეაჩერებს ავტომატურად გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას და აღსრულებას. სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს ამ გადაწყვეტილების აღსრულება თავისი განჩინებით.

იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხემ მოითხოვა არა დამატებითი წარმოება, არამედ შემოიტანა სააპელაციო (საკასაციო) საჩივარი, მაშინ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა და აღსრულება წარმოებს ისე, როგორც ნებისმიერი სხვა გადაწყვეტილებისა (სსკ 264-ე მუხლი).

იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო აკმაყოფილებს მოპასუხის თხოვნას საქმის დამატებითი წარმოების შესახებ, მაშინ სასამართლომ უნდა მოამზადოს საქმე და ჩაატაროს ასეთი დამატებითი საპროცესო მოქმედებები. დამატებითი წარმოების შედეგად შეიძლება გამოირკვეს რომ საქმის გამარტივებული წესით განხილვის საფუძველზე მიღებული და მოპასუხის მიერ გაპროტესტებული

გადაწყვეტილება არსებითად სწორია. მაშინ სასამართლოს გამოაქვს განჩინება გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ.

მაგრამ, თუ დამატებითი წარმოების დროს გამოირკვევა, რომ გადაწყვეტილება არასწორია, რადგან ამ გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მოსარჩელის დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო მოთხოვნა, მაშინ გამარტივებული წესით მიღებულ გადაწყვეტილებას აუქმებს მისი გამომტანი სასამართლო და თავისი გადაწყვეტილებით უარს ეუბნება მოსარჩელეს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

ასეთი გადაწყვეტილების გაუქმებას უკავშირდება შემდეგი შედეგები:

ა) სასამართლო ხარჯები დაეკისრება მოსარჩელეს (სსკ 53-ე მუხლის პირველი ნაწილი);

ბ) მოხდება გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნება, თუ იგი აღსრულებული იყო;

გ) მოსარჩელეს დაეკისრება იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მიადგა მოპასუხეს გადაწყვეტილების აღსრულებით;

დ) მოპასუხეს შეუძლია წამოაყენოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა საქმის დამატებითი წარმოების პროცესში.

§2. ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე საქმის განხილვის გამარტივებული წესი

გამარტივებული წესით შეიძლება განხილული იქნეს მხოლოდ ლიზინგის ხელშეკრულებით გადაცემული საგნის (ქონების) მისი გამცემისათვის დაბრუნების საკითხი. გამარტივებული წესით განცხადება შეიძლება განიხილოს სასამართლომ მხოლოდ იმ პირობით, თუ განმცხადებელი ამას მოითხოვს სასამართლოსაგან (სსკ 309^2-ე მუხლი).

კანონი განსაზღვრავს განცხადების შინაარს, მის სავალდებულო რეკვიზიტებს. ეს განცხადება უნდა შეიცავდეს: ა) სასამართლოს დასახელებას ბ) მხარეებისა და მათი წარმომადგენლების დასახელებებს გ) განმცხადებლის მოთხოვნას დ) ვალდებულებას, რომლის საფუძველზეც წაყენებულია მოთხოვნა ე) წაყენებული მოთხოვნის დამადასტურებელ მტკიცებულებას.

ცხადია, რომ ამ მტკიცებულებებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ლიზინგის ხელშეკრულებას, რომელიც სამო-

ქალაქო კოდექსის 577-ე მუხლის თანახმად წერილობითი ფორმით იდება.

სსკ 309[2]-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად განცხადებაში **„აღნიშნული უნდა იყოს“** წაყენებული მოთხოვნის დამადასტურებელი მტკიცებულებები, მაგრამ პრაქტიკულად შეუძლებელია ამ მტკიცებულებების წარმოდგენის გარეშე სადავო საგნის დაბრუნების შესახებ ბრძანების მიღება. ამიტომ, ეს მტკიცებულებები, სინამდვილეში, უნდა ერთვოდეს განცხადებას, მით უმეტეს, რომ ბრძანების მიღების საკითხი სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს უმოკლეს ვადაში. ამ მუხლის მესამე ნაწილი განსაზღვრავს განცხადების განხილვის ვადას. ეს ვადა არის 3 დღე და მისი ათვლა იწყება არა განცხადების შემოტანის დღიდან, არამედ მისი წარმოებაში მიღების დღიდან (სსკ 309[4]-ე მუხლი).

განსჯადობა. სსკ 309[3]-ე მუხლის თანახმად განცხადება ლიზინგის საგნის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე შეიტანება სასამართლოში სსკ-ით დადგენილი წესით.

ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა ვიხელძღვანელოთ სსკ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის თანახმად ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო. ხელშეკრულების ან ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების ადგილად ითვლება ის ადგილი, რომელიც ამ ხელშეკრლებითაა გათვალისწინებული. მაგრამ, თუ ხელშეკრულების შესრულების ადგილი არ არის განსაზღვრული, მაშინ უნდა ვიხელმძღვანელოთ ვალდებულებითი ურთიერთობის არსით. თუ შესრულების ადგილი არც თვითონ ხელშეკრულებიდან და არც მისი შესრულების არსიდან არ გამომდინარეობს, მაშინ ხელშეკრულების შესრულების ადგილი ინდივიდუალურად განსაზღვრული საგნის შემთხვევაში იქნება ის ადგილი, სადაც ეს საგანი იმყოფებოდა ხელშეკრულების დადების მომენტისათვის. გვარეობით განსაზღვრული საგნის შემთხვევაში – ადგილი, სადაც იმყოფება მოვალის საწარმო, ხოლო თუ ასეთიც არ არის მაშინ მისი საცხოვრებელი ადგილი (იურიდიული მისამართი) (სკ 362-ე მუხლი).

განცხადების მიღებაზე უარის თქმა. ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ განცხადების ფორმისა და შინაარსის კანონის მოთხოვნათა დაცვით ჩამოყალიბებას ენიჭება განსაკუთრებული

მნიშვნელობა. ეს იქედანაც ჩანს, რომ თუ ეს განცხადება არ პასუხობს ამ მოთხოვნებს, სასამართლომ უნდა გამოიტანოს განჩინება განცხადების მიღებაზე უარის თქმის შესახებ და განმცხადებელს დაუბრუნებს განცხადებას თანდართულ დოკუმენტებთან ერთად.

სასამართლოს ბრძანება ლიზინგის საგნის გამცემისათვის ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ

სასამართლოს გამოაქვს მხოლოდ ერთი სახის ბრძანება – განმცხადებლისათვის ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ. ასეთი ბრძანება მას გამოაქვს იმ შემთხვევაში, როდესაც განცხადების განმხილველი სასამართლოს რწმენით მტკიცებულებები, რომლებიც თან ერთვის განცხადებას ადასტურებენ მოთხოვნას. ეს ბრძანება ექვემდებარება დაუყონებლივ აღსრულებას.

სასამართლოს ბრძანებაზე ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა, რაც ვერ შეაჩერებს ბრძანების აღსრულებას. ცხადია, რომ საჩივრის განმხილველ სასამართლოს შეუძლია, თუ მას ეს მიზანშეწონილად მიაჩნია, დროებით შეაჩეროს ბრძანების აღსრულება (სსკ 418-ე მუხლის მე-2 ნაწ.).

ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ სასამართლო ბრძანებაზე შეტანილი კერძო საჩივარი განიხილება 414-ე-420-ე მუხლებით დადგენილი წესით.

§3. აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ საქმის განხილვის წესი

მეწარმეთა შესახებ კანონის 225-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად „თუ აქციონერს აქციების შეძენის შედეგად საკუთრებაში აქვს სააქციო საზოგადოების ხმების არანაკლებ 95 პროცენტისა, ამ აქციონერს უფლება აქვს, სამართლიან ფასად გამოისყიდოს სხვა აქციონერთა აქციები.“

ამავე კანონის თანახმად აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წესით.

აქციების მყიდველი ვალდებულია სასამართლოსთვის მიმართ-

ვამდე არაუგვიანეს 1 თვისა საკანონმდებლო მაცნეში გამოაქვეყნოს განცხადება აქციათა სავალდებულო მიყიდვის თაობაზე. განცხადება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას აქციათა გამოსყიდვის მიზეზების, პირობების და პროცედურების შესახებ.

გამოსყიდვის მიზეზებში ძირითადად მითითებული აქვთ: რესტრუქტურიზაცია, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის რეორგანიზაცია, მართვის ოპტიმიზაცია, მართველობითი ხარჯების მინიმიზაცია. ზოგიერთ განცხადებას მიზეზად უწერია მართვის ეფექტურად განხორციელება, თუმცა არის ისეთი განცხადებაც რომელსაც მიზეზი და პირობები საერთოდ არ უწერია.

განცხადება შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მყიდველის იურიდიული მისამართის მიხედვით. თბილისის საქალაქო სასამართლოს იურისდიქცია მოიცავს აღმოსავლეთ საქართველოს, ხოლო ქუთაისის საქალაქო სასამართლოს იურისდიქცია-დასავლეთ საქართველოს (სსკ 309[10] მუხლი).

რაც შეეხება ტერმინს „მყიდველის იურიდიული მისამართი" მყიდველი აქციონერი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირი. ფიზიკური პირის მიმართ გამოიყენება ტერმინი „საცხოვრებელი ადგილი", ხოლო იურიდიული პირის მიმართ „იურიდიული მისამართი". ანალოგიის სახით ტერმინი „იურიდიული მისამართი" შეიძლება ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილის მიმართაც იქნეს გამოყენებული. მაგალითად, სააქციო საზოგადოება „კახეთი"-ს იურიდიული მისამართი თელავშია, ხოლო ამ საზოგადოების მყიდველი აქციონერი ცხოვრობს ქუთაისში, ასეთ შემთხვევაში განცხადება შეტანილი უნდა იქნეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში.

განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს:

1. სასამართლო დასახელება;
2. მყიდველისა და მისი წარმომადგენლის დასახელებები;
3. განმცხადებლის მოთხოვნა;
4. მტკიცებულება, რომლითაც დასტურდება აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ განცხადების ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნება განცხადების შეტანამდე ერთი თვით ადრე მაინც;
5. რეესტრის მწარმოებელი პირის მისამართი;
6. თარიღი (სამუშაო დღის ბოლოს შესაბამისი დრო), რომ-

ლის მდგომარეობით არსებულ აქციათა ბენეფიციარ მესაკუთრეთაგან უნდა მოხდეს მყიდველის მიერ აქციათა გამოსყიდვა (გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღი).

განცხადებას უნდა დაერთოს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. სახელმწიფო ბაჟის შესახებ კანონის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის „პ" პუნქტის თანახმად, აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ განცხადებაზე ბაჟი 500 ლარია.

სასამართლოში განცხადების შეტანიდან 3 დღის ვადაში მოსამართლე იხილავს მისი წარმოებაში მიღების საკითხს. თუ სასამართლო ჩათვლის რომ დარღვეულია განცხადების სასამართლოში წარდგენის წინაპირობები, მაგალითად, საკანონმდებლო მაცნეში არ ყოფილა გამოქვეყნებული ან გამოქვეყნებიდან არ გასულა 1 თვიანი ვადა, ანდა განცხადება არ შეიცავს ან არასრულად შეიცავს იმ მონაცემებს რაც სსკ-ის 309[9]-ე მუხლის მეორე ნაწილით არის გათვალისწინებული, განცხადებას არ ერთვის ბაჟის გადახდის ქვითარი და სხვა, სასამართლო არ მიიღებს წარმოებაში განცხადებას და გამოიტანს განჩინებას განცხადების მიღებაზე უარის თქმის შესახებ. ასეთ შემთხვევაში განმცხადებელს უბრუნდება განცხადება თანდართულ დოკუმენტებთან ერთად განჩინების გადაცემისას ან თუ სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა განჩინება, მაშინ გამოცხადებიდან განმცხადებლის სასამართლოსადმი მიმართვის შემდეგ.

განცხადების მიღებაზე უარის თქმის თაობაზე გამოტანილი განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში 12 დღის ვადაში. ამ ვადის გაგრძელება არ შეიძლება. ვადა აითვლება განჩინების გადაცემის მომენტიდან ან სასამართლო სხდომაზე მისი გამოცხადებიდან თუ ამ გამოცხადებას ესწრებოდა განმცხადებელი (წარმომადგენელი).

თუ განცხადება აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ ყველა პირობას, მოსამართლე გამოიტანს განჩინებას განცხადების მიღების შესახებ. განჩინებაში, ზოგად რეკვიზიტებთან ერთად მოსამართლემ უნდა მიუთითოს ზეპირი მოსმენის დაწყების თარიღი, საათი და ადგილი. განჩინებას უგზავნის განმცხადებელს (მყიდველს) და იმ აქციონერს (აქციონერებს) ე.წ. დაინტერესებულს პირს რომელთა აქციების შესყიდვაც უნდა მოხდეს.

დაინტერესებულ პირს განცხადებასთან ერთად, ეგზავნება

თანდართული საბუთებიც, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს მტკიცებულება, რომ მას ნამდვილად ქონდა საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნებული, რეესტრიდან ამონაწერი რომ განმცხადებელი ნამდვილად არის 95% ხმის უფლების მქონე აქციონერი.

გარდა ამისა, დაინტერესებულ პირს (პირებს) მოსამართლე განუსაზღვრავს ვადას მოსაზრებების წარმოსადგენად. ვადის ხანგრძლივობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული არ არის. მაგრამ იქედან გამომდინარე, რომ მოსამართლემ განცხადების მიღებიდან ერთი თვის ვადაში უნდა განიხილოს განცხადება და გამოიტანოს გადაწყვეტილება, მოსაზრებების წარმოდგენის ვადას მოსამართლე თავისი შეხედულებით განსაზღვრავს.

თუ დაინტერესებულ პირთა რაოდენობა ორზე მეტია, ისინი ვალდებულნი არიან იყოლიონ წარმომადგენელი.

მოსამართლე განცხადების მიღებიდან 7 დღის ვადაში, აქციათა შესყიდვისათვის სამართლიანი ფასის დადგენის მიზნით ნიშნავს დამოუკიდებელ ექსპერტს ან საბროკერო კომპანიას. მათი შერჩევის დროს მოსამართლე უფლებამოსილია გაითვალისწინოს მხარეთა მოსაზრებები, ამასთან მხარეებს უფლება აქვთ თავად შესთავაზონ მოსამართლეს დასანიშნი პირის კანდიდატურები. საბოლოოდ, საკითხს იმის შესახებ, თუ ვის მიენდოს გამოსყიდვის ანგარიშის შედგენა, წყვეტს მოსამართლე. მხარეებს უფლება აქვთ, აცილება მისცენ დამოუკიდებელ ექსპერტს ან საბროკერო კომპანიას სსკ-ის 35-ე მუხლის საფუძველზე.

დამოუკიდებელი ექსპერტის ან საბროკერო კომპანიის მოვალეობაა შეადგინოს ანგარიში, რომელშიც მითითებული უნდა იქნეს გამოსყიდვის დოკუმენტურად დადასტურებული გარემოებები, აქციათა გამოსყიდვის სამართლიანი ფასის დასადგენად გამოყენებული მეთოდი და ამის საფუძველზე განსაზღვრული აქციათა ფასი. მათი მუშაობის ხარჯებს ანაზღაურებს მყიდველი (სსკ 309[12]-ე მუხლი).

სასამართლო სხდომა იწყება იმ ძირითადი წესების დაცვით, რაც გათვალისწინებულია მთავარი სხდომის დაწყების მომწესიგებელი ნორმებით, კერძოდ, სსკ-ის 210-ე და შემდგომი მუხლებით. გარდა ამისა, მოსამართლე ამოწმებს აქციათა სავალდებულო მიყიდვის პროცედურების შესაბამისობას კანონის მოთხოვნებთან (სსკ 309[14] მუხლი). თუ მოსამართლე დაადგენს რომ ყველაფერი კანონის

შესაბამისად არის განხორციელებული, გამოაქვს გადაწყვეტილება აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს განჩინება განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.[317]

აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ გადაწყვეტილებით მოსამართლე ადგენს აქციათა შესყიდვის სამართლიან ფასს და თარიღს (სამუშაო დღის ბოლო შესაბამის დროს), რომლის მდგომარეობით არსებულ აქციათა ბენეფიციარ მესაკუთრეთაგან უნდა მოხდეს მყიდველის მიერ აქციათა გამოსყიდვა (გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღი).

სამართლიანი ფასის დადგენისას მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს:

1. შესასყიდი აქციების ღირებულება ფასიანი ქაღალდების ბაზარზე;
2. სააქციო საზოგადოების მიერ მომავალში მისაღები სავარაუდო შემოსავლები;
3. სააქციო საზოგადოების აქტივები (მათ შორის, საწარმოს რეზერვები, საწარმოს საქმიანი რეპუტაცია, გამოცდილება, პერსპექტივები და საქმიანი კავშირები) და პასივები.

თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება რომელიმე მხარე-მყიდველი ან დაინტერესებული პირი, მოსამართლე მაინც მიიღებს გადაწყვეტილებას. ეს გადაწყვეტილება იქნება არა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, არამედ ჩვეულებრივი გადაწყვეტილება.

აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ გადაწყვეტილების ბოლოს აღნიშნული უნდა იყოს მისი გასაჩივრების წესი და ვადა. მაგალითად, „გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოტანიდან 14 (თოთხმეტი) დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მეშვეობით (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).“[318]

317 გასაზიარებელია შ. ქურდაძისა და ნ. ხუნაშვილის მოსაზრება იმის შესახებ, რომ კანონში არაფერია ნათქვამი მყიდველის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის განჩინების გასაჩივრების წესზე, რაც მიუთითებს ამ საქმეთა განხილვის მომწესიგებელი ნორმების არასრულყოფილებაზე, იხ. შ. ქურდაძე და ნ. ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2015, გვ. 539.

318 თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გად-

გადაწყვეტილების გასაჩივრება დასაშვებია **გადაწყვეტილების გამოტანიდან** არა უგვიანეს 14 დღისა. თუმცა სსკ-ის 369-ე მუხლის მიხედვით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივრის შეტანა შეიძლება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების **გადაცემის** მომენტიდან. ამავე მუხლის თანახმად „დასაბუთებული გადაწყვეტილების **გადაცემის მომენტად ითვლება** დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლების ან 259[1] მუხლის შესაბამისად, ასევე 259[1] მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ". მაგრამ ამავე 369-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს გამონაკლის შემთხვევას, როდესაც გასაჩივრების ვადა აითვლება გამოცხადების მომენტიდან, კერძოდ თუ **დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებას** ესწრება სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი.

აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სააპელაციო წესით. სააპელაციო წესით საქმის განხილვის **ვადაა ერთი თვე.** ამდენად, სააპელაციო სასამართლოს განჩინება (გადაწყვეტილება) აღარ შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით.

გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს მისი აღსრულების პროცესს.

§4. დანაშაულის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვის გამარტივებული წესი

სსკ-ის 309[16] -ე მუხლის მიხედვით დანაშაულის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება განხილულ შეიძლება იქნეს გამარტივებული წესით სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით.

ამდენად, როგორც გამარტივებული წესით განსახილველ სხვა საქმეებთან მიმართებაში, არც ამ შემთხვევაში გამოიყენება მოსამზადებელი სტატია, მოწმეთა დაკითხვა და ა.შ. გარდა ამისა,

---

აწყვეტილება, 2019წ. 13 დეკემბერი, საქმე №2/14032-15 (https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4740319?publication=0)

შემცირებულია საქმეთა განხილვის, გადაწყვეტილების მიღებისა და გასაჩივრების ვადებიც.

მოსარჩელემ სარჩელი უნდა შეადგინოს იმ წესების დაცვით რაც გათვალისწინებული სსკ-ის 178-ე მუხლით. გარდა ამისა მან სარჩელში უნდა მიუთითოს რომ სასამართლომ საქმე განიხილოს გამარტივებული წესით. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია რომ „საქმის განმხილველმა სასამართლომ საპროცესო დოკუმენტებში, პირველ რიგში კი სხდომის ოქმში, ზუსტად უნდა მიუთითოს წარმოების ფორმა, ამასთან, ყველა საპროცესო მოქმედება კანონით დადგენილ შემჭიდროვებულ ვადებში უნდა შესრულდეს."[319]

ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელს მოსარჩელემ უნდა დაურთოს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც დასტურდება ზიანის მიყენების ფაქტი.

უზენაესმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ კანონიერ ძალაში შესული განაჩენის შემთხვევაში „სამოქალაქო საქმის განმხილველი მოსამართლე აღარ იკვლევს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ფაქტსა და მიზეზობრივ კავშირს მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის."[320] „შესაბამისად, სასამართლო აღარ იკვლევს აღნიშნულ საკითხებს და დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენის გარეშე დადასტურებულად მიიჩნევს მათ. სასამართლო კვლევისა და შეფასების საგანია მხოლოდ ზიანის ოდენობა იმ შემთხვევებში, როდესაც განაჩენით/ადმინისტრაციული აქტით იგი არ არის დადგენილი. ასეთ დროს, ზიანის ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულება მოსარჩელემ უნდა წარადგინოს".[321]

მოსარჩელეს შეუძლია წარადგინოს უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ შედგენილი დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრული იქნება მიყენებული ზიანის ოდენობა (სსკ-ის 309^{17}-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ასეთ ორგანოდ შეიძლება გამოყენებული იქნეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი, მაგალითად, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო ან კერ-

319 სუსგ სამოქალაქო საქმეზე, 2012წ. №11, №-ას-937-880-2012, გვ. 117.
320 სუსგ სამოქალაქო საქმეზე 2019წ. №07 №-ას-1322-2018.
321 იქვე

ძო სამართლის იურიდიული პირი რომელსაც შეუძლია განსაზღვროს ზიანის ოდენობა.

ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის შეტანიდან 3 დღის ვადაში მოსამართლე ვალდებულია გადაწყვიტოს მისი წარმოებაში მიღების საკითხი. თუ მოსამართლე გამოარკვევს, რომ ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის მიღებაზე უარის თქმის თაობაზე და მოსარჩელეს დაუბრუნებს სარჩელს თანდართულ დოკუმენტებთან ერთად. მოსარჩელეს უფლება აქვს ასეთი განჩინება გაასაჩივროს სააპელაციო წესით. მაგრამ, თუ სასამართლო წარმოებაში მიიღებს სარჩელს, მაშინ უკვე მას ეგზავნება სარჩელი და თანდართული დოკუმენტების ასლები და სსკ-ის 201-ე მუხლიდან გამომდინარე განესაზღვრება 7 დღემდე ვადა შესაგებლის წარმოსადგენად.

სასამართლომ სარჩელი უნდა განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება შესაგებლის წარმოდგენიდან 1 თვის ვადაში. სარჩელის განხილვის პერიოდში სასამართლომ დადგენილად უნდა მიიჩნიოს ზიანის მიყენების ფაქტი, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენით ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ამრიგად, კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო განაჩენს და აღნიშნულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქვს აქვთ პრეიუდიციული ძალა. ამასთან დაკავშირებით საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ „2010 წლის 24 სექტემბერს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით გაუქმებული იქნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „გ" ქვეპუნქტი, კერძოდ, სისხლის

სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილ ფაქტებს აღარ გააჩნიათ პრეიუდიციული ძალა, როცა საქმეს იხილავს სასამართლო იმ პირის მოქმედების სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგების შესახებ, ვის მიმართაც გამოტანილია განაჩენი, თუმცა სსსკ-ის 30920 მუხლის, ფორმულირებით, დანაშაულის მიყენების ფაქტი პრეიუდიციის რანგშია აყვანილი ანუ მიჩნეულია ფაქტად, რომელიც მტკიცებას არ საჭიროებს. „საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სსსკ-ის 106-ე მუხლზე მითითება ამავე კოდექსის

309[20]-ე მუხლის მეორე ნაწილის გაუთვალისწინებლად არ შეიძლება. მართალია, სსსკ-ის 106-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი („ფაქტები იმის შესახებ, განხორციელდა თუ არა მოქმედება და ჩაიდინა თუ არა ეს მოქმედება ამ პირმა, რაც დადგენილია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილებით, როცა საქმეს იხილავს სასამართლო იმ პირის მოქმედების სამოქალაქოსამართლებრივი შედეგების შესახებ, რომლის მიმართაც გამოტანილია საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილება“) 2010 წლის 24 სექტემბერს განხორციელებული ცვლილების შედეგად ამოღებულ იქნა, მაგრამ იმავე წლის 15 დეკემბრის კანონით (№4075.სსმ1, №76) განხორციელებული ცვლილებით დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნების განხილვისას მოქმედებს განსხვავებული წესი, რაც იმას გულისხმობს, რომ კანონიერ ძალაში შესულ განაჩენში მითითებული სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტები ხელახლა არ დგინდება, ანუ ისინი დადგენილად მიიჩნევა (სსსკ-ის XXXIV თავი)“.[322]

§ 5. „მეწარმეთა შესახებ“ (მშკ) საქართველოს კანონით გათვალისწინებული საკითხების სასამართლო განხილვის წესი

2022 წლის პირველი იანვრიდან ძალაში შევიდა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის ახალი ვარიანტი, რომელიც თავისი შინაარსით საკმაოდ მოცულობითია, იგი შედგება 254 მუხლისგან. ამ კანონის მიღებამ გამოიწვია დამატებების შეტანა სამოქალაქო საპროცესო კოდექსში. მისი მიზანია სამეწარმეო ურთიერთობების ზოგიერთი საკითხის სწრაფად, გამარტივებული წესით გადაწყვეტა.

გამარტივებული წესით განხილვა-გადაწყვეტაში შედის ისეთი საკითხები როგორიცაა: პირის დანიშვნა, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის გამოწვევა, სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორის წილის გამოსასყიდი სამართლიანი ფასის დადგენა, სამეწარმეო საზოგადოების დოკუმენტების შენახვის ადგილის განსაზღვრა, აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევა, აქციონერთა საერთო კრე-

322 სუსგ სამოქალაქო საქმეზე 2019, 07 №-ას-1322-2018, გვ. 173-174.

ბის დღის წესრიგში საკითხის დამატება, კოოპერატივის საერთო კრების მოწვევა, სამეწარმეო საზოგადოების ქონების განაწილების ვადის შემცირება.

აღნიშნულ საკითხებს, გარდა სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრის გამოწვევისა, სასამართლო განიხილავს მეწარმის ადგილმდებარეობის ანუ იურიდიული მისამართის მიხედვით.

I. სასამართლოს მიერ პირის დანიშვნა

„მეწარმეთა შესახებ" კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ზოგიერთი კატეგორიის თანამდებობის პირის დანიშვნა სასამართლოს უფლებამოსილებაში შედის. მაგალითად, ამავე კანონის 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, თუ თანაპარტნიორები ან მემკვიდრეები ხმათა უმრავლესობით ვერ თახმდებიან წილის მართვაზე, სამეწარმეო საზოგადოების ან თანაპარტნიორის ან ერთ-ერთი მემკვიდრის განცხადების საფუძველზე სასამართლო ნიშნავს წილის მმართველს, რომელსაც მინიჭებული აქვს წილთან დაკავშირებული ყველა უფლება.

ზემოთ აღნიშნული 43-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, თუ საერთო კრება ან სამეთვალყურეო საბჭო ვერ დანიშნავს ხელმძღვანელი ორგანოს წევრს რითაც სამეწარმეო საზოგადოების საქმიანობას არსებითი საფრთხე ექმნება ერთ-ერთი პარტნიორის ან კრედიტორის განცხადების საფუძველზე სასამართლო ნიშნავს ხელმძღვანელი ორგანოს წევრის მოვალეობის შემსრულებელს იმ ვადით, რომელიც საჭიროა საერთო კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ახალი წევრის დანიშვნისათვის.

გარკვეული საფუძვლის არსებობისას სასამართლო ნიშნავს სპეციალურ აუდიტორსაც (მშკ 174-ე მუხლი) და ა.შ.

პირის დანიშვნა ხდება ზეპირი მოსმენის გარეშე. სასამართლომ შესაძლებელია დანიშნოს ზეპირი მოსმენა განმცხადებლის (განმცხადებლების) და დასანიშნი პირის მონაწილეობით. ზეპირ მოსმენაზე მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს საკითხის წარმოდგენილი წერილობითი მასალების საფუძველზე განხილვას.

სასამართლო პირის დანიშვნის საკითხს განიხილავს **1 თვის ვადაში** და გამოაქვს შესაბამისი განჩინება. ამ განჩინებაში მითითებული უნდა იყოს სასამართლოს მიერ დანიშნული პირის

საიდენტიფიკაციო მონაცემები და მის მიერ დაკავებული თანამდებობა. რამდენიმე კანდიდატის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს იმ კანდიდატს, რომელიც დასაკავებელ თანამდებობას ყველაზე მეტად შეესაბამება.

„მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში განმცხადებლის (განმცხადებლების) ან დასანიშნი პირის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლომ შესაძლებელია პირის დანიშვნის შესახებ განჩინებაში განსაზღვროს დანიშნული პირის გასამრჯელოს ოდენობა და შრომის ანაზღაურების წესი.

სასამართლოს განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში კერძო საჩივრით. მაგრამ თუ მეწარმეთა შესახებ კანონის 75-ე მუხლიდან გამომდინარე, სამეწარმეო საზოგადოების რეორგანიზაციის დროს მისი პარტნიორის წილის სამართლიანი ფასის დასადგენად სასამართლოს მიერ დანიშნულია დამოუკიდებელი ექსპერტი (აუდიტორი) მაშინ ასეთი განჩინება აღარ საჩივრდება (სსკ 309^{23}-ე მუხლის მე4 ნაწილი).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს პირის დანიშვნის შესახებ განცხადების შინაარს, კერძოდ ის უნდა შეიცავდეს:

ა) სასამართლოს დასახელებას;

ბ) განმცხადებლის (განმცხადებლების) დასახელებას, აგრეთვე დასანიშნი პირის ვინაობას, პირად ნომერს, მისამართს, ფაქტობრივ ადგილსამყოფელს, ელექტრონული ფოსტის მისამართს, საკონტაქტო ტელეფონს ან/და სხვა მონაცემებს;

გ) მითითებას განმცხადებლის (განმცხადებლების) უფლებამოსილებაზე, მიმართოს (მიმართონ) სასამართლოს პირის კონკრეტულ თანამდებობაზე დანიშვნის მოთხოვნით;

დ) „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი სასამართლოსთვის მიმართვის წინაპირობების არსებობის დასაბუთებას;

ე) განმცხადებლის (განმცხადებლების) მოთხოვნას კონკრეტული პირის დანიშვნის შესახებ და ამ პირის მხარდაჭერის მიზეზებს;

ვ) განცხადებისთვის დართულ მტკიცებულებებზე მითითებას;

ზ) უფლებამოსილი პირის ხელმოწერას.

განცხადებას უნდა დაერთოს მასში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები, სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, დასანიშნი პირის პი-

რადობის დამადასტურებელი დოკუმენტის დამოწმებული ასლი, ამ პირის წერილობითი თანხმობა და ნოტარიულად დამოწმებული ხელმოწერის ნიმუში.

სასამართლო პირის დანიშვნის შესახებ განცხადების მიღებიდან 3 დღის ვადაში ამოწმებს მისი დასაშვებობის წინაპირობებს. თუ აღნიშნული განცხადება არ აკმაყოფილებს ამ მუხლის მოთხოვნებს ან დარღვეულია სასამართლოსთვის მიმართვის 12 დღიანი ვადა, სასამართლო განჩინებით უარს ეტყვის განმცხადებელს (განმცხადებლებს) განცხადების განსახილველად მიღებაზე. ეს განჩინება საჩივრდება სააპლეაციო სასამართლოში კერძო საჩივრით.

II. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრის გამოწვევა

სააქციო საზოგადოება უფლებამოსილია მისი **სამეთვალყურეო საბჭოს წევრის გამოწვევის** მოთხოვნით **განცხადებით** მიმართოს სასამართლოს სამეთვალყურეო საბჭოს გამოსაწვევი წევრის ადგილსამყოფლის მიხედვით.

განცხადება უნდა შეიცავდეს:

ა) სასამართლოს დასახელებას;

ბ) განმცხადებლის (განმცხადებლების) დასახელებას, აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს გამოსაწვევი წევრის ვინაობას, პირად ნომერს, მისამართს, ფაქტობრივ ადგილსამყოფელს, ელექტრონული ფოსტის მისამართს, საკონტაქტო ტელეფონს ან/და სხვა მონაცემებს;

გ) მითითებას განმცხადებლის (განმცხადებლების) უფლებამოსილებაზე, მიმართოს (მიმართონ) სასამართლოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის გამოწვევის მოთხოვნით;

დ) „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი სასამართლოსთვის მიმართვის წინაპირობებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრის გამოწვევის მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობის დასაბუთებას;

ე) განმცხადებლის (განმცხადებლების) მოთხოვნას სამეთვალყურეო საბჭოს კონკრეტული წევრის გამოწვევის შესახებ;

ვ) განცხადებისთვის დართულ მტკიცებულებებზე მითითებას;

ზ) უფლებამოსილი პირის ხელმოწერას.

განცხადებას უნდა დაერთოს მასში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები, სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება სამეთვალყურეო საბჭოს წევრის გამოწვევის შესახებ და სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

სასამართლო განცხადების მიღებიდან 3 დღის ვადაში ამოწმებს მისი დასაშვებობის წინაპირობებს. თუ დარღვეულია აღნიშნული მოთხოვნები, სასამართლო განჩინებით უარს ეტყვის განმცხადებელს (განმცხადებლებს) განცხადების განსახილველად მიღებაზე. ეს განჩინება საჩივრდება კერძო საჩივრით. თუ არსებობს განცხადების დასაშვებობის წინაპირობები, სასამართლო სამეთვალყურეო საბჭოს გამოსაწვევ წევრს აცნობებს სამეწარმეო საზოგადოების მოთხოვნის შესახებ, უგზავნის განცხადებასა და მისთვის დართულ მტკიცებულებებს და ნიშნავს სასამართლო სხდომას. სასამართლო სხდომაზე სამეთვალყურეო საბჭოს გამოსაწვევი წევრის გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს საკითხის წარმოდგენილი წერილობითი მასალების საფუძველზე განხილვას.

სამეთვალყურეო საბჭოს გამოსაწვევი წევრი უფლებამოსილია წერილობით წარადგინოს თავისი მოსაზრება (პასუხი) შეტანილ განცხადებასა და სამეთვალყურეო საბჭოს ოქმში მითითებული შესაბამისი საფუძვლების შესახებ. თუ განცხადებაში მითიტებული საფუძვლების არსებობა დადასტურება სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრის გამოწვევის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის განმცხადებელს (განმცხადებლებს) შესაბამისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრის გამოწვევის შესახებ გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს მხოლოდ სააპელაციო წესით. ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს მის აღსრულებას.

III. სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორის წილის გამოსასყიდი სამართლიანი ფასის დადგენა

მართალია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309[26]-ე მუხლი ეხება საერთო კრებაზე გარდაქმნის საწინააღმდეგოდ ხმის მიცემისას სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორის წილის გამოსასყიდი

სამართლიანი ფასის დადგენას, მაგრამ „მეწარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული სამეწარმეო საზოგადოების რეორგანიზაციის (გარდაქმნა, შერწყმა, გაყოფა) მომწესრიგებელი ნორმების (59-75 მუხლები) ანალიზი საშუალებას გვაძლევს რომ სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორის წილის გამოსასყიდი სამართლიანი ფასის დადგენა დავუკავშიროთ არა მხოლოდ გარდაქმნას არამედ რეორგანიზაციის დანარჩენ ფორმებსაც, მით უმეტეს რომ ამ კანონის 75-ე მუხლი ეხება პარტნიორის წილების გამოსყიდვას სამეწარმეო საზოგადოების რეორგანიზაციის დროს. ამ მუხლის მიხედვით

პარტნიორს, რომელმაც საერთო კრებაზე სამეწარმეო საზოგადოების **გარდაქმნის** წინააღმდეგ მისცა ხმა მიეცემა კრების ჩატარებიდან 20 დღის ვადა რათა სამეწარმეო საზოგადოებას წერილობით მიმართოს თავისი წილის გამოსყიდვის მოთხოვნით. სამეწარმეო საზოგადოებამ წილის სანაცვლოდ პარტნიორს სამართლიანი ფასი უნდა გადაუხადოს. თუ პარტნიორი მისი წილისთვის შეთავაზებულ გამოსასყიდ ფასზე თანახმა არ არის, შეუძლია წილის გამოსასყიდი ფასის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 30 დღის ვადაში სასამართლოს მიმართოს განცხადებით წილის გამოსასყიდი სამართლიანი ფასის დადგენის მოთხოვნით.

განცხადება უნდა შეიცავდეს:

ა) სასამართლოს დასახელებას;

ბ) განმცხადებლის (განმცხადებლების), აგრეთვე სამეწარმეო საზოგადოების დასახელებას, პირად ნომერს, მისამართს, ფაქტობრივ ადგილსამყოფელს, ელექტრონული ფოსტის მისამართს, საკონტაქტო ტელეფონის ნომერს ან/და სხვა მონაცემებს;

გ) „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი სასამართლოსთვის მიმართვის წინაპირობების არსებობის დასაბუთებას;

დ) დამოუკიდებელ ექსპერტად (აუდიტორის) დასანიშნი პირის შესახებ მონაცემებს;

ე) იმაზე მითითებას, რომ დაცულია სასამართლოსთვის მიმართვის ვადა;

ვ) განმცხადებლის (განმცხადებლების) მოთხოვნას;

ზ) განცხადებისთვის დართულ მტკიცებულებებზე მითითებას;

თ) უფლებამოსილი პირის ხელმოწერას.

განცხადებას უნდა დაერთოს მასში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები და სახელმ-

წიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

სასამართლო განცხადების მიღებიდან 3 დღის ვადაში ამოწმებს მის დასაშვებობას. თუ დარღვეულია ზემოთ აღნიშნული მოთხოვნები, სასამართლო განჩინებით უარს ეტყვის განმცხადებელს (განმცხადებლებს) განცხადების განსახილველად მიღებაზე. ეს განჩინება საჩივრდება სააპელაციო სასამართლოში კერძო საჩივრით. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო სამეწარმეო საზოგადოებას აცნობებს მისი პარტნიორის მოთხოვნის შესახებ და წილის გამოსასყიდი სამართლიანი ფასის დასადგენად დანიშნავს დამოუკიდებელ ექსპერტს (აუდიტორს).

პარტნიორის წილის გამოსასყიდი სამართლიანი ფასის დადგენის საკითხი განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე. სასამართლომ შესაძლებელია დანიშნოს სასამართლო სხდომა განმცხადებლისა და სამეწარმეო საზოგადოების მონაწილეობით. სასამართლო სხდომაზე მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს საკითხის წარმოდგენილი წერილობითი მასალების საფუძველზე განხილვას. სასამართლო განხილვის დროს რეორგანიზაციის პროცესი არ ჩერდება.

თუ სასამართლოს მიერ დანიშნული დამოუკიდებელი ექსპერტი (აუდიტორი) დაადგენს, რომ პარტნიორის წილის ღირებულება სამეწარმეო საზოგადოების მიერ შეთავაზებული ღირებულების ტოლია ან მასზე ნაკლებია, დამოუკიდებელი აუდიტორის ხარჯებს პარტნიორი აანაზღაურებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ხარჯები სამეწარმეო საზოგადოებას დაეკისრება. თუ სასამართლოს მიერ დადგენილი წილის ღირებულება სამეწარმეო საზოგადოების მიერ შეთავაზებულ ღირებულებაზე მეტია, სამეწარმეო საზოგადოებამ ყველა პარტნიორის წილები იმავე, მეტი ღირებულებით უნდა გამოისყიდოს.

სასამართლოს პარტნიორის წილის გამოსასყიდი სამართლიანი ფასის დადგენის საკითხზე გამოაქვს განჩინება. პარტნიორის წილის გამოსასყიდი სამართლიანი ფასის დადგენისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს:

ა) წილის ღირებულება;

ბ) სამეწარმეო საზოგადოების მიერ მისაღები სავარაუდო შემოსავლები;

გ) სამეწარმეო საზოგადოების აქტივები (მათ შორის, სამეწარმეო საზოგადოების რეზერვები, საქმიანი რეპუტაცია, გამოც-

დილება, პერსპექტივები და საქმიანი კავშირები) და პასივები.

აღნიშნული განჩინება საჩივრდება სააპელაციო სასამართლოში კერძო საჩივრით. სამეწარმეო საზოგადოებამ პარტნიორის წილი უნდა გამოისყიდოს სასამართლოს მიერ მისი ღირებულების დადგენიდან 30 დღის ვადაში.

IV. სამეწარმეო საზოგადოების დოკუმენტების შენახვის ადგილის განსაზღვრა

მეწარმეთა შესახებ კანონის 89-ე მუხლის თანახმად, ლიკვიდირებული სამეწარმეო საზოგადოების დოკუმენტაცია შენახული უნდა იქნეს მისი შექმნიდან 6 წლის განმავლობაში, ხოლო თუ ეს დოკუმენტაცია მოიცავს სამეწარმეო საზოგადოების მიერ დადებულ ხელშეკრულებას – ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლიდან 6 წლის განმავლობაში, უსაფრთხო ადგილზე, რომელსაც განსაზღვრავენ ლიკვიდატორები, ხოლო მათი შეუთანხმებლობის შემთხვევაში, ლიკვიდატორის ან პარტნიორის განცხადების საფუძველზე სამეწარმეო საზოგადოების დოკუმენტების შენახვის ადგილს განსაზღვრავს სასამართლო.

განცხადება უნდა შეიცავდეს:

ა) სასამართლოს დასახელებას;

ბ) განმცხადებლის (განმცხადებლების) დასახელებას, მის (მათ) მიერ დაკავებულ თანამდებობას, პირად ნომერს, მისამართს, ფაქტობრივ ადგილსამყოფელს, ელექტრონული ფოსტის მისამართს, საკონტაქტო ტელეფონის ნომერს ან/და სხვა მონაცემებს;

გ) „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი სასამართლოსთვის მიმართვის წინაპირობების არსებობის დასაბუთებას;

დ) სამეწარმეო საზოგადოების ყველა ლიკვიდატორის საიდენტიფიკაციო და საკონტაქტო მონაცემებს;

ე) სამეწარმეო საზოგადოების დოკუმენტების შესანახი სავარაუდო ადგილების დასახელებებსა და მისამართებს, თითოეული მათგანის უპირატესობისა და ნაკლოვანების დასაბუთებას;

ვ) სამეწარმეო საზოგადოების დოკუმენტების შენახვისთვის/გაცნობისთვის პასუხისმგებელი პირის (პირების) ვინაობას და მის (მათ) წერილობით თანხმობას;

ზ) განმცხადებლის (განმცხადებლების) მოთხოვნას;

თ) განცხადებისთვის დართულ მტკიცებულებებზე მითითებას;

ი) უფლებამოსილი პირის ხელმოწერას.

განცხადებას უნდა დაერთოს მასში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები, სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, სამეწარმეო საზოგადოების დოკუმენტების შენახვისთვის პასუხისმგებელი პირის (პირების) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის დამოწმებული ასლი და ამ პირის (პირების) წერილობითი თანხმობა.

სასამართლო განცხადების მიღებიდან 3 დღის ვადაში ამოწმებს მის დასაშვებობას. თუ დარღვეულია ზემოთ აღნიშნული მოთხოვნები, სასამართლო განჩინებით უარს ეტყვის განმცხადებელს (განმცხადებლებს) განცხადების განსახილველად მიღებაზე. ეს განჩინება საჩივრდება კერძო საჩივრით. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო სამეწარმეო საზოგადოების სხვა ლიკვიდატორს (ლიკვიდატორებს) აცნობებს აღნიშნული განცხადების შესახებ და მისცემს საპროცესო ვადას პასუხის გასაცემად. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ სასამართლო საკითხს გადაწყვეტს განჩინებით, ზეპირი მოსმენის გარეშე. სასამართლო უფლებამოსილია დანიშნოს ზეპირი მოსმენა სამეწარმეო საზოგადოების ლიკვიდატორთა მონაწილეობით. ზეპირ მოსმენაზე მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს საკითხის წარმოდგენილი წერილობითი მასალების საფუძველზე განხილვას. ამ განჩინებაში მითითებული უნდა იყოს სამეწარმეო საზოგადოების დოკუმენტების შესანახი ადგილი და მათი შენახვისთვის/გაცნობისთვის პასუხისმგებელი პირის (პირების) საიდენტიფიკაციო მონაცემები.

განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში კერძო საჩივრით.

V. აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევა. კოოპერატივის საერთო კრების მოწვევა

მეწარმეთა შესახებ კანონის 183-ე მუხლის თანახმად, სააქციო საზოგადოებამ შეიძლება მოიწვიოს წლიური და რიგგარეშე საერთო კრებები.

რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის საკითხი შეიძლება დააყენოს კაპიტალის სულ მცირე 5 პროცენტის მფლობელმა აქციონერმა ან აქციონერებმა (აქციონერთა ჯგუფმა). მათ წერილობით უნდა

მიმართონ სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს, რომელიც ვალდებულია მოთხოვნის მიღებიდან 10 დღის ვადაში გამოაქვეყნოს გადაწყვეტილება საერთო კრების მოწვევის შესახებ.

წერილობით მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს საერთო კრების მოწვევის აუცილებლობა, მიზანი და მიზეზი, აგრეთვე მისი დღის წესრიგი, რომელშიც ასახულია აქციონერის/აქციონერების მიერ მოთხოვნილი ყველა საკითხი. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს უფლება აქვს, საერთო კრების დღის წესრიგში დაამატოს საკითხები.

თუ საერთო კრების მოწვევის შესახებ აქციონერების მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, აღნიშნულ აქციონერთა განცხადების საფუძველზე სასამართლოს შეუძლია განმცხადებელ აქციონერებს მიანიჭოს საერთო კრების მოწვევის უფლებამოსილება და დანიშნოს საერთო კრების თავმჯდომარე.

აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის საკითხს სასამართლო იხილავს კაპიტალის არანაკლებ 5%-ის მფლობელი აქციონერის (აქციონერების) განცხადების საფუძველზე.

თუ განმცხადებელ აქციონერთა რაოდენობა ორზე მეტია, ისინი ვალდებული არიან სასამართლოსთვის მიმართვისა და საქმის წარმოების მიზნით დანიშნონ წარმომადგენელი.

განცხადება უნდა შეიცავდეს:

ა) სასამართლოს დასახელებას;

ბ) განმცხადებლის (განმცხადებლების), აგრეთვე წარმომადგენლის დასახელებას, პირად ნომერს, მისამართს, ფაქტობრივ ადგილსამყოფელს, ელექტრონული ფოსტის მისამართს, საკონტაქტო ტელეფონის ნომერს ან/და სხვა მონაცემებს;

გ) „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი სასამართლოსთვის მიმართვის წინაპირობების არსებობის დასაბუთებას;

დ) აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის მიზანს, მიზეზებსა და დღის წესრიგს (დღის წესრიგში ასახული უნდა იყოს კაპიტალის არანაკლებ 5%-ის მფლობელი აქციონერის (აქციონერების) მიერ მოთხოვნილი ყველა საკითხი), აგრეთვე აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების თავმჯდომარედ დასანიშნი პირის ვინაობასა და საიდენტიფიკაციო მონაცემებს, თუ მოთხოვნილია აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების თავმჯდომარის დანიშვნა;

ე) აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ჩატარების სა-

ვარაუდო პერიოდს;

ვ) განმცხადებლის (განმცხადებლების) მოთხოვნას;

ზ) განცხადებისთვის დართულ მტკიცებულებებზე მითითებას;

თ) უფლებამოსილი პირის ხელმოწერას.

განცხადებას უნდა დაერთოს მასში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები და სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების თავმჯდომარის დანიშვნის მოთხოვნის შემთხვევაში – აგრეთვე აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების თავმჯდომარედ დასანიშნი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის დამოწმებული ასლი და ამ პირის წერილობითი თანხმობა, ხოლო თუ განმცხადებელ აქციონერთა რაოდენობა ორზე მეტია, – მათი წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

სასამართლო განცხადების მიღებიდან 3 დღის ვადაში ამოწმებს მის დასაშვებობას. თუ დარღვეულია ზემოთ აღნიშნული მოთხოვნები, სასამართლო განჩინებით უარს ეტყვის განმცხადებელს (განმცხადებლებს) განცხადების განსახილველად მიღებაზე. ეს განჩინება ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში საჩივრდება სააპელაციო სასამართლოში კერძო საჩივრით. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო სამეწარმეო საზოგადოებას აცნობებს აქციონერის (აქციონერების) მოთხოვნის შესახებ და განუსაზღვრავს 3 დღის ვადას პასუხის წარსადგენად. დადგენილი ვადის გასვლიდან 5 დღეში სასამართლო საკითხს განიხილავს არსებითად, ზეპირი მოსმენის გარეშე და გამოიტანს შესაბამის განჩინებას. სასამართლომ შესაძლებელია დანიშნოს სასამართლო სხდომა განმცხადებელი პარტნიორისა და სამეწარმეო საზოგადოების მონაწილეობით. სასამართლო სხდომაზე მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს საკითხის წარმოდგენილი წერილობითი მასალების საფუძველზე განხილვას.

აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის საკითხს სასამართლო წყვეტს განჩინებით. მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლო განსაზღვრავს აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ჩატარების კალენდარულ თვეს და განმცხადებელ აქციონერს (აქციონერებს) ანიჭებს აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის უფლებამოსილებას. სასამართლოს აგრეთვე შეუძლია დანიშნოს აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების თავ-

მჯდომარე.

აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის საკითხზე გამოტანილი განჩინება ჩაბარებიდან საჩივრდება კერძო საჩივრით.

აქციონერებს უფლება აქვთ საერთო კრების დღის წესრიგში საკითხის დამატება მოითხოვონ. უარის მიღების შემთხვევაში არანაკლებ 5%-ის მფლობელი აქციონერს (აქციონერებს) შეუძლიათ მიმართონ განცხადებით სასამართლოს.

თუ განმცხადებელ აქციონერთა რაოდენობა ორზე მეტია, ისინი ვალდებული არიან სასამართლოსთვის მიმართვისა და საქმის წარმოების მიზნით დანიშნონ წარმომადგენელი.

განცხადება უნდა შეიცავდეს:

ა) სასამართლოს დასახელებას;

ბ) განმცხადებლის (განმცხადებლების), აგრეთვე წარმომადგენლის დასახელებას, პირად ნომერს, მისამართს, ფაქტობრივ ადგილსამყოფელს, ელექტრონული ფოსტის მისამართს, საკონტაქტო ტელეფონის ნომერს ან/და სხვა მონაცემებს;

გ) „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი სასამართლოსთვის მიმართვის წინაპირობების არსებობის დასაბუთებას;

დ) აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგში შეტანილ საკითხთა ჩამონათვალს და დღის წესრიგში მათი შეტანის საჭიროების დასაბუთებას;

ე) განმცხადებლის (განმცხადებლების) მოთხოვნას;

ვ) განცხადებისთვის დართულ მტკიცებულებებზე მითითებას;

ზ) უფლებამოსილი პირის ხელმოწერას.

განცხადებას უნდა დაერთოს მასში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები და სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, აგრეთვე წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

სასამართლო განცხადების მიღებიდან **3 დღის ვადაში ამოწმებს მის დასაშვებობას**. თუ დარღვეულია ამ მუხლის მოთხოვნები, სასამართლო განჩინებით უარს ეტყვის განმცხადებელს (განმცხადებლებს) განცხადების განსახილველად მიღებაზე. ეს განჩინება ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში საჩივრდება კერძო საჩივრით. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო სამეწარმეო საზოგადოებას აცნობებს აქციონერის (აქციონერების) მოთხოვნის შესახებ და განუსაზღვრავს 3 დღის ვადას საპასუხო პოზიციის წარსადგენად. დადგე-

ნილი ვადის გასვლიდან 5 დღეში სასამართლო საკითხს განიხილავს არსებითად, ზეპირი მოსმენის გარეშე და გამოიტანს შესაბამის განჩინებას. სასამართლომ შესაძლებელია დანიშნოს სასამართლო სხდომა პარტნიორისა და სამეწარმეო საზოგადოების მონაწილეობით. სასამართლო სხდომაზე მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს საკითხის წარმოდგენილი წერილობითი მასალების საფუძველზე განხილვას.

აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგში საკითხის დამატების მოთხოვნის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება. ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლო განმცხადებელ აქციონერს (აქციონერებს) ანიჭებს გამოქვეყნებით აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგში საკითხის დამატების უფლებამოსილებას. აღნიშნული განჩინება საჩივრდება კერძო საჩივრით.

რაც შეეხება კოოპერატივის წევრთა საერთო კრების მოწვევას, სასამართლო კოოპერატივის წევრთა 10%-ის ან მისი წესდებით გათვალისწინებული რაოდენობის წევრთა მოთხოვნის შემთხვევაში სასამართლო ზემოთ აღნიშნული რიგგარეშე კრების მოწვევის მსგავსად, განიხილავს განმცხადებელ კოოპერატივის წევრთათვის კოოპერატივის საერთო კრების მოწვევის უფლებამოსილების მინიჭების საკითხს.

VI. სამეწარმეო საზოგადოების ქონების განაწილების ვადის შემცირება

პარტნიორებს შორის სამეწარმეო საზოგადოების ქონების განაწილებისათვის რამდენიმე წინაპირობა არსებობს, კერძოდ:

პირველი – ქონების განაწილება ეხება ლიკვიდაციის პროცესში მყოფ სამეწარმეო საზოგადოებას,

მეორე – ქონების განაწილება შეიძლება მოხდეს მხოლოდ სამეწარმეო საზოგადოების ვალდებულებების დაფარვის და სამეწარმეო საზოგადოების დაშლის შესახებ განცხადების გამოქვეყნებიდან 5 თვის გასვლის შემდეგ.

გამონაკლის შემთხვევაში, სასამართლოსადმი განცხადებით მიმართვის შემდეგ, მისი გადაწყვეტილებით ქონების განაწილება შეიძლება მოხდეს სამეწარმეო საზოგადოების დაშლის შესახებ

განცხადების გამოქვეყნებიდან 3 თვის გასვლის შემდეგ. სასამართ
ლო ასეთ გადაწყვეტილებას ღებულობს მხოლოდ იმ შემთხვევაშ
თუ მას აქვს დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, რომ ყველ
ვალდებულება მესამე პირების (კრედიტორების) წინაშე შესრულე
ბულია და ამდენად საფრთხე არ ექმნება მათ უფლებებს (მმკ 86-
მუხლი).

ქონების განაწილება უნდა მოხდეს მათ წილებთან დაკავშირე-
ბული უფლებების შესაბამისად.

სამეწარმეო საზოგადოების ქონების განაწილების ვადის შემ-
ცირების შესახებ განცხადებით სასამართლოს შეიძლება მიმართოს
სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორმა ან ლიკვიდატორმა.

მეწარმეთა შესახებ კანონის 83-ე მუხლიდან გამომდინარე
ლიკვიდატორად შეიძლება დაინიშნოს საწარმოს ხელმძღვანელი
პირი (ხელმძღვანელი პირები) ან წესდებით ანდა საერთო კრების
გადაწყვეტილებით ლიკვიდატორად შეიძლება დაინიშნოს გარეშე
პირიც. სამეწარმეო ორგანიზაციის იძულებითი დაშლის შესახებ
სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართ-
ლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე აღნიშნული საზოგა-
დოების ლიკვიდაციას ახორციელებს სასამართლოს მიერ განსაზ-
ღვრული პირი.

სამეწარმეო საზოგადოების ქონების განაწილების ვადის შემ-
ცირების შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს:

ა) სასამართლოს დასახელებას;

ბ) განმცხადებლის (განმცხადებლების), აგრეთვე წარმომადგენ-
ლის დასახელებას, პირად ნომერს, მისამართს, ფაქტობრივ ადგ-
ილსამყოფელს, ელექტრონული ფოსტის მისამართს, საკონტაქტო
ტელეფონის ნომერს ან/და სხვა მონაცემებს;

გ) „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი სა-
სამართლოსთვის მიმართვის წინაპირობების არსებობის დასაბუთე-
ბას;

დ) განმცხადებლის (განმცხადებლების) მოთხოვნას;

ე) განცხადებისთვის დართულ მტკიცებულებებზე მითითებას;

ვ) უფლებამოსილი პირის ხელმოწერას.

განცხადებას უნდა დაერთოს მასში მითითებული ფაქტობრივი
გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები (მათ შორის,
სამეწარმეო საზოგადოების დაშლის შესახებ განცხადების გამო-
ქვეყნების დამადასტურებელი დოკუმენტი და დამოუკიდებელი

ექსპერტის (აუდიტის) დასკვნა, რომ ყველა ვალდებულება შესრულებულია და სამეწარმეო საზოგადოების ქონების განაწილება საფრთხეს არ უქმნის კრედიტორებს) და სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

სასამართლო განცხადების მიღებიდან 3 დღის ვადაში ამოწმებს მის დასაშვებობას. თუ დარღვეულია ამ მუხლის მოთხოვნები, სასამართლო განჩინებით უარს ეტყვის განმცხადებელს (განმცხადებლებს) განცხადების განსახილველად მიღებაზე. ეს განჩინება ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში საჩივრდება სააპელაციო სასამართლოში კერძო საჩივრით. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო მომდევნო 5 დღეში საკითხს განიხილავს არსებითად, ზეპირი მოსმენის გარეშე და გამოიტანს განცხადების დაკმაყოფილებაზე ან დაუკმაყოფილებაზე განჩინებას. სასამართლომ შესაძლებელია დანიშნოს სასამართლო სხდომა განმცხადებლის (განმცხადებლების) მონაწილეობით. სასამართლო სხდომაზე მისი (მათი) გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს საკითხის წარმოდგენილი წერილობითი მასალების საფუძველზე განხილვას.

მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლო დაადგენს სამეწარმეო საზოგადოების ქონების განაწილების 3-თვიან ვადას, რომელიც აითვლება სამეწარმეო საზოგადოების დაშლის შესახებ განცხადების გამოქვეყნებიდან.

განჩინება განცხადების დაუკმაყოფილების შესახებ 5 დღის ვადაში საჩივრდება სააპელაციო სასამართლოში კერძო საჩივრით (მშკ 309[31]-ე მუხლის მე-6 ნაწილი).

ზემოთ აღნიშნულ გამარტივებული წესით განსახილველ საკითხებზე სააპელაციო სასამართლო პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების (განჩინებების) გასაჩივრებისას მათი დასაშვეობისა და განხილვის იგივე ვადებს იყენებს რაც ზევით იყო აღნიშნული, მაგალითად, კერძო საჩივრების დასაშვეობა სააპელაციო სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს 3 კალენდარული დღის ვადაში.

თავი IX. უდავო წარმოება

§ 1. უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეთა ზოგადი დახასიათება

შესავალი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სამართალწარმოების ისეთ სახეს, როგორიცაა უდავო წარმოება. უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების დაცვის საჭიროება წარმოიშობა არა მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ეს უფლებები და ინტერესები ირღვევა ან სადავო ხდება, არამედ ზოგჯერ წარმოიშობა იმ გარემოებათა დადგენის საჭიროებაც, რომელიც წარმოადგენს ამ უფლებათა განხორციელების საფუძველს. პირს, რომელსაც გააჩნია რაიმე უფლება, არ შეუძლია განახორციელოს იგი იმასთან დაკავშირებით, რომ ის ფაქტები, რომელიც ადასტურებს ამ უფლებას, არ არის თვალნათელი და მოითხოვს შესაბამისი მტკიცებულებების მეშვეობით შემოწმებასა და დადასტურებას.[323] ამიტომაც, სამოქალაქო პროცესში გვხვდება სამართალწარმოების ისეთი სახე, რომელიც განმცხადებელს საშუალებას აძლევს სასამართლო წესით დაადგინოს ის იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები, [324] რომელიც დაინტერესებული პირის შესაბამისი უფლებების განხორციელების საფუძველია.[325]ასე, მაგალითად, გარდაცვლილის კმაყოფაზე პირის ყოფნის ფაქტის დადგენა უმრავლეს შემთხვევაში წარმოადგენს ზიანის ანაზღაურების, სამკვიდროს ხარჯზე სარჩოს მიღების და ა.შ. საფუძველს. ამასთან, თუკი პირს არ გააჩნია უტყუარი მტკიცებულებები, რომელიც ადასტურებს კმაყოფაზე ყოფნის ფაქტს, მაშინ ასეთი ფაქტი შეიძლება დადგენილ და დადასტურებულ იქნეს სასამართლო წესით.[326]

---

323 ზ.ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები, თბ., 2007, გვ. 24.

324 შ.ქურდაძე/ნ.ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2015, გვ.472.

325 თ.ლილუაშვილი თ. სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2005, გვ. 430.

326 ზ. ძლიერიშვილი, უდავო წარმოება საქართველოს ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, თბ., 1998, გვ. 4.

უდავო წარმოების წესით განიხილება მოქალაქეთა და ორგანიზაციათა (იურიდიული პირები) განცხადებები იმ ფაქტების დადგენის შესახებ, რომლებსაც იურიდიული მნიშვნელობა აქვთ, ასევე იმ გარემოებების დადგენის შესახებ, რომლებზეც დამოკიდებულია დაინტერესებული პირის ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა, ან უდავო უფლების დადასტურება.[327] შესაბამისი ფაქტების კონსტატაცია შესაძლებელია ორი წესით: 1) ადმინისტრაციული (მათ შორის სანოტარო); და 2) სასამართლო წესით; ასე, მაგალითად, 2011 წლის 20 დეკემბრის საქართველოს კანონის „სამოქალაქო აქტების შესახებ" 90-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო ადგენს იურიდიული მნიშვნელობის მქონე შემდეგ ფაქტებს: ა) პირის გარკვეულ დროსა და ვითარებაში დაბადების ფაქტს; ბ) პირის გარკვეულ დროსა და ვითარებაში გარდაცვალების ფაქტს; გ) პირის დაბადების რეგისტრაციის ფაქტს; დ) პირის გარდაცვალების რეგისტრაციის ფაქტს.

უდავო წარმოება – ეს ისეთი წარმოებაა, რომელშიაც არ არის დავა უფლებაზე, როცა არ არის ერთი პირის მიერ მეორისადმი მიმართული მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა. [328] უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეებში შეიძლება ადგილი ჰქონდეს დავას ფაქტის შესახებ, რამეთუ, თუკი ფაქტებს არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა სხვა პირებისათვის, მაშინ უაზრო, უსაგნო იქნებოდა ამ საქმეებში დაინტერესებული პირების მონაწილეობა.[329] თუმცა კი, თუ უდავო წარმოების წესით საქმის განხილვისას აღიძვრება დავა სასამართლოსადმი უწყებრივად ქვემდებარე უფლებების შესახებ, სასამართლო განცხადებას განუხილველად დატოვებს და დაინტერესებულ პირებს განუმარტავს, რომ მათ უფლება აქვთ წარადგინონ სარჩელი საერთო საფუძველზე.

სსსკ-ის 310-ე მუხლის თანახმად, უდავო წარმოების წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს: ა) იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ; ბ) მოქალაქის უგზოუკვლოდ

327 საქართველოს უზენაესი სასამართლო, პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის, თბ., 2010, გვ.39

328 ი.გაგუა, მტკიცებულებები და მტკიცების პროცესი კერძო სამართლებრივ დავებზე, თბ., 2020, გვ.309.

329 ზ.ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები, თბ., 2007, გვ. 25.

დაკარგულად აღიარებისა და მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ; გ) ამოღებულია 20.03.2015, № 3340); დ) დაკარგულ საწარმდგენლო ფასიან ქაღალდსა და საორდერო ფასიან ქაღალდზე უფლების აღდგენის შესახებ (გამოწვევითი წარმოება); ე) ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ; ვ) ამოღებულია; ზ) შვილად აყვანის შესახებ; თ) ბავშვის მიტოვებულად აღიარების შესახებ; ი) ცოცხალ დონორობაზე თანხმობის შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს იმ საქმეების ამომწურავ ჩამონათვალს, რომელიც განიხილება უდავო წარმოების წესით. [330]

უდავო წარმოება შეიძლება ჩავთვალოთ უდავოდ მხოლოდ იმ მხრივ, რომ მასში არა გვაქვს უფლების შესახებ დავა, [331] რომელიც დამახასიათებელია სასარჩელო წარმოებისათვის.[332] უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეებში დგინდება ფაქტები და არა ამ ფაქტების სამართლებრივი შედეგები.[333] ე.ი., თუ რა შედეგს უკავშირებს კანონი უდავო წარმოების წესით დადგენილ ფაქტს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლის თანახმად, უდავო წარმოების წესით საქმეებს სასამართლო განიხილავს ამ კოდექსით დადგენილი წესებით, იმ ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით, რომელიც დადგენილია XXXV-XLII თავებით. უდავო წარმოების ყველა საქმეს სასამართლოები განიხილავენ სამოქალაქო სამართალწარმოების ზოგადი წესებით იმ ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით, რომელიც დადგენილია კანონით და წარმოადგენს მოცემულ საქმეებზე სამართალწარმოების სპეციფიკას.

---

330 ი.გაგუა, მტკიცებულებები და მტკიცების პროცესი კერძო სამართლებრივ დავებზე, თბ., 2020, გვ.310.

331 მ.ჭყონია, მატერიალური და პროცესუალური ნორმების კონფლიქტი უდავო წარმოებისას, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „თემიდა“ №8(10), 2013, გვ., 62.

332 თ.ლილუაშვილი სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2005, გვ. 430.

333 თ.ლილუაშვილი/ ვ.ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, თბ., 2007, გვ. 537.

I. უდავო წარმოების ძირითადი ნიშნები

უდავო წარმოება განუყოფლადაა დაკავშირებული სამოქალაქო სამართალწარმოების სხვა დანარჩენ სახეებთან, ეფუძნება პროცესის იმ ზოგად პრინციპებს, რომელიც განსაზღვრავს საქმეთა განხილვის წესს. უდავო წარმოების საქმეები გადიან საქმის განხილვის იმ სტადიებს, როგორც ყველა სხვა დანარჩენი სამოქალაქო საქმეები.

იმასთან დაკავშირებით, რომ უდავო წარმოებაში არა გვყავს ურთიერთდაპირისპირებული მხარეები და არ არსებობს დავა უფლებაზე, აქ უმნიშვნელოდ მჟღავნდება შეჯიბრებითობის პრინციპის მოქმედება.[334] აღსანიშნავია, რომ სასარჩელო წარმოება ეფუძნება მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპს, შესაბამისად, ერთი მხარის მიერ მითითებული გარემოებების თუ წარდგენილი მტკიცებულებების საპირისპირო შესაგებლის წარდგენა შეუძლია მეორე მხარეს. ვინაიდან უდავო წარმოების დროს სასარჩელო წარმოებისაგან განსხვავებით არ გვყვავს მეორე მხარე, მოსამართლე უფლებამოსილია საკითხის სრულყოფილად გარკვევისათვის თავისი ინიციატივით მიმართოს ცალკეულ ღონისძიებებს, ანუ შეიძლება ითქვას, რომ საქმის გარემოებების გამოსარკვევად, მოსამართლე უდავო წარმოების დროს უფრო მეტი უფლებამოსილებითაა აღჭურვილი, ვიდრე სასარჩელო წარმოების დროს. [335] უდავო წარმოების დროს ნაკლებად მოქმედებს შეჯიბრებითობის პრინციპი. [336]მოსამართლე უფლებამოსილია თავისი ინიციატივით გამოიკვლიოს ცალკეული საკითხები, მოიწვიოს დაინტერესებული პირები, გამოჰკითხოს საათანადო ორგანოებს და მოუსმინოს ყველა პირს, ვისაც შეუძლია ნათელი მოჰფინოს საკითხის გარკვევას.[337]

უდავო წარმოების წესით განსახილველი საქმეებისათვის და-

---

334 ზ.ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები, თბ., 2007, გვ. 26.

335 ი.მერებაშვილი, სასამართლოში სამოქალაქო საქმის განხილვისას მხარეთა შეჯიბრებითობისა და მოსამართლეთა აქტიურობის პრინციპის მოქმედება, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №4(23) 09, 2009, 20, გვ.20.

336 ი.გაგუა, მტკიცებულებები და მტკიცების პროცესი კერძო სამართლებრივ დავებზე, თბ., 2020, გვ.314.

337 საქართველოს უზენაესი სასამართლო, პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის. თბ., 2010, გვ. 40.

მახასიათებელია მტკიცებითი სამართლის ინსტიტუტების მოქმედება.[338] განმცხადებელი სსსკ-ის 102-ე მუხლის შესაბამისად, ვალდებულია წარუდგინოს სასამართლოს განცხადებაში მითითებული ფაქტებისა და გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები.[339]

უდავო წარმოების მიზანს უფლების დადგენა წარმოადგენს, მაშინ როდესაც, სასარჩელო წარმოებაში დარღვეული უფლების აღდგენაა გათვალისწინებული.[340] უდავო წარმოების წესით განსახილველი საქმის აღძვრა ხდება არა კონკრეტული მოპასუხისადმი სარჩელით მიმართვით, არამედ სასამართლოში განცხადების შეტანის გზით, რომელიც შეიცავს სასამართლოსადმი მიმართულ თხოვნას იურიდიული მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ გარემოების დადგენის, ანდა უდავო უფლების დადასტურების შესახებ.[341] უდავო წარმოების უდავოობის და ცალმხრივი ხასიათის გამო, განცხადებას, როგორც დაცვის ფორმას გააჩნია მისთვის დამახასიათებელი ნიშნები:

ა) დავის არ არსებობა წინასწარ განსაზღვრავს სუბიექტს, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი. რამდენადაც, უდავო წარმოების ფარგლებში იურიდიული ფაქტის დადგენისას კანონით დაცული უფლების განხორციელება ხდება კონკრეტული მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებს გარეთ, ამიტომაც უდავო წარმოებაში არ არიან ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების მქონე მხარეები. შესაბამისად, მოთხოვნა მიმართულია არა კონკრეტული მოწინააღმდეგე მხარისადმი – მოპასუხისადმი, არამედ სასამართლოსადმი;

ბ) უდავო წარმოებაში დაცვის საგანს, როგორც წესი, წარმოადგენს განმცხადებლის ინტერესი ამა თუ იმ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შეასახებ. ეს ინტერესი გამოხატულია

---

338 ი.გაგუა, მტკიცებულებები და მტკიცების პროცესი კერძო სამართლებრივ დავებზე, თბ., 2020, გვ.315.

339 საქართველოს უზენაესი სასამართლო, პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის, თბ., 2010, გვ. 40.

340 რ.ხურცილავა, გამარტივებული წარმოება საქართველოს სამოქალაქო პროცესში, თბ.,2009, გვ.34.

341 ზ.ძლიერიშვილი, უდავო წარმოების განსხვავება სასარჩელო წარმოებისაგან პროფესორ თენგიზ ლილუაშვილის 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული), თბ., 2001, გვ. 34.

იმ უფლების განხორციელებაში, რომელიც აღმოცენდება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის საფუძველზე. აქედან გამომდინარე დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მიზანს, რომლის მიღწევასაც ესწრაფვის განმცხადებელი ფაქტის დადგენისას. ფაქტს, რომლის დადგენასაც ითხოვს განმცხადებელი, უნდა ჰქონდეს უფლებაწარმომშობი მნიშვნელობა;[342]

განმცხადებელი უდავო წარმოების დროს სარგებლობს მხარეთათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მინიჭებული ყველა უფლებებით ცალკეული გამონაკლისის გარდა. განმცხადებელი იწყებს საქმის წარმოებას სასამართლოში განცხადების შეტანით, თვითონ განსაზღვრავს მოთხოვნის ხასიათს, თვითონვე იღებს გადაწყვეტილებას განცხადებაზე უარის თქმის შესახებ და ა.შ.[343]

ამასთან, უდავო წარმოების წესით განსახილველ კონკრეტულ საქმეებზე განცხადების შინაარსს წაეყენება თავისი მოთხოვნები, რომელთა დაცვაც სავალდებულოა. ძირითადად ეს განპირობებულია განსახილველი საქმის სპეციფიკით. მაგალითად, იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ განცხადებაში, ასევე მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა და მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ განცხადებაში უნდა აღნიშნულ იქნეს ის მიზანი, რის მისაღწევადაც ისწრაფვის განმცხადებელი. უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეებზე განცხადების შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს სსსკ-ის 315-ე, 329-ე, 338-ე, 350-ე მუხლების მოთხოვნებს.[344] უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეთა ერთ-ერთი თავისებურება მდგომარეობს აგრეთვე იმაშიც, რომ ცალკეული საქმეებისათვის კანონი ადგენს განსჯადობის სპეციალურ წესებს. მაგალითად, სსსკ-ის 314-ე მუხლის თანახმად, განცხადება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ შეიტანება სასამართლოში განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სსსკ-ის 317-ე მუხლის თანახმად კი, განცხდება მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ან მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ

342 ზ.ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები, თბ.,2007, გვ. 34.

343 საქართველოს უზენაესი სასამართლო, პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის. თბ., 2010, გვ. 40.

344 ზ. ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები, თბ.,2007, გვ. 26.

შეიტანება სასამართლოში დაინტერესებული პირის მიერ განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

II. სასარჩელო წარმოებისაგან უდავო წარმოების განმასხვავებელი ნიშნები

ძირითად ნიშანს, რომლითაც უდავო წარმოება განსხვავდება სასარჩელო წარმოებისაგან, წარმოადგენს უფლების თაობაზე დავისა და ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების მქონე მოდავე მხარეების არარსებობა.[345] „აღიარებითი სარჩელის დროსაც დგინდება უფლება და ამ ასპექტში, აღიარებითი სარჩელი, უდავო წარმოების წესით იურიდიული ფაქტის დადგენას ჰგავს, თუმცა აღიარებითი სარჩელი მკვეთრად განსხვავებული სამართლებრივი ინსტიტუტია. აღიარებითი სარჩელის აღძვრისას შესაძლებელია უფლება არც იყოს დარღვეული და არც ინტერესი იყოს შელახული, თუმცა აუცილებელია, რომ უფლება სადავო იყოს".[346] უდავო სამართალწარმოების წესით სასამართლო არ იხილავს საკითხს უშუალოდ უფლების შესახებ.[347] უდავო წარმოების სასარჩელო წარმოებისაგან განმასხვავებელ ნიშნად არ შეიძლება, რომ მიჩნეული იქნეს თავად უდავო წარმოების მიზანი: სასარჩელო და უდავო სამართალწარმოების მიზანი ერთგვაროვანია – უფლების დაცვა, მაგრამ ამ დაცვის ფორმა კი სხვადასხვაა.[348] უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეებში არ არსებობს მხარეთა ინსტიტუტი, არ არიან მოსარჩელე და მოპასუხე, მესამე პირები, არ არის უფლების დაცვის სასარჩელო ფორმისათვის დამახასიათებელი ინსტიტუტები, არ შეიძლება შეგებებული სარჩელის აღძვრა, მორიგება. უდავო წარმოებაში არ მოქმედებს ისეთი ინსტიტუტები, როგორიცაა: სარჩელის აღიარება, სარჩელის უზრუნველყოფა.[349]

რადგან უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეებში

---

345 ი.გაგუა, მტკიცებულებები და მტკიცების პროცესი კერძო სამართლებრივ დავებზე,თბ., 2020, გვ.310.

346 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 15 დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას-747-699-2017, პ.10.3.

347 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 იანვრის განჩინება საქმეზე №ას-911-869-2013.

348 ზ.ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები, თბ.,2007, გვ. 26.

349 ზ.ძლიერიშვილი, უდავო წარმოება, თბ., 2000, გვ. 8.

არ არიან მხარეები და, მაშასადამე, არც მოსარჩელეა,[350] ამიტომაც იმ პირს, რომელიც მიმართავს სასამართლოს განცხადებით, ეწოდება განმცხადებელი და არა მოსარჩელე.[351] განმცხადებელი ესაა პირი, რომელიც მიმართავს სასამართლოს თხოვნით იმ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ, რომლის მიზანიცაა მისი კანონით დადგენილი ინტერესების დაცვა. უდავო წარმოებაში გამორიცხულია არასათანადო განმცხადებლის სათანადო განმცხადებლით შეცვლის შესაძლებლობა, რადგან, თუკი სასამართლოს განცხადებით მიმართა იმ პირმა, რომლისთვისაც დასადგენ ფაქტებსა თუ გარემოებებს არავითარი იურიდიული მნიშვნელობა არა აქვს, მაშინ ვერც მისი სათანადო განმცხადებლით შეცვლა ვერ მოხდება. სათანადო განმცხადებელი წარმოადგენს პროცესის დამოუკიდებელ სუბიექტს და მას თავად შეუძლია მიმართოს სასამართლოს განცხადებით იმ ფაქტის დადგენის შესახებ, რომელსაც მხოლოდ მისთვის ექნება იურიდიული მნიშვნელობა. არ არსებობს იმის აუცილებლობა, რომ იგი ჩართული იქნეს სხვა პირის განცხადებით აღძრულ საქმეში. უდავო წარმოებაში არ გამოიყენება აგრეთვე საპროცესო თანამონაწილეობის ინსტიტუტი, რომელიც მიღებულია სასარჩელო წარმოებისათვის, რადგანაც პირები, რომლებიც წარმოადგენენ სიმრავლეს მოსარჩელის (თანამოსარჩელეები) ან მოპასუხის (თანამოპასუხეები) მხარეზე, გაერთიანებულნი არიან მათ შორის თუნდაც სავარაუდო სადავო სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის არსებობით. რადგან უდავო წარმოებაში სადავო სამართლებრივი ურთიერთობის (უფლების შესახებ დავა) არსებობა გამორიცხულია, მაშასადამე არც საპროცესო თანამონაწილეობას შეიძლება რომ ჰქონდეს ადგილი. განმცხადებლის მხარეს პირთა ნებისმიერი გაერთიანება წარმოადგენს ერთგვაროვანი მოთხოვნების ობიექტურ გაერთიანებას.[352] უდავო წარმოების არასასარჩელო ხასიათი ასევე გამორიცხავს ამ წარმოებაში სასარჩელო ხანდაზმულობის ინსტიტუტის გამოყენების შესაძლებლობას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311-ე მუხ-

350 შ.ქურდაძე/ნ.ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2015, გვ.472.

351 ი.გაგუა, მტკიცებულებები და მტკიცების პროცესი კერძო სამართლებრივ დავებზე, თბ., 2020, გვ.310.

352 ზ.ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები, თბ., 2007, გვ. 26

ლის თანახმად, უდავო წარმოების წესით საქმის განხილვისას სასამართლო იწვევს ამ საქმის განხილვით დაინტერესებულ პირებს. შესაბამისად, უდავო წარმოების წესით საქმეთა განხილვაში მონაწილეობენ განმცხადებელი და დაინტერესებული პირები.[353] იურიდიული დაინტერესება გულისხმობს როგორც მატერიალურ-სამართლებრივ ინტერესს, ისე ამით განპირობებულ პროცესუალურ ინტერესსაც. სწორედ იურიდიული დაინტერესება წარმოადგენს პროცესში მონაწილეობის საფუძველს. დაინტერესებულ პირებს წარმოადგენენ პროცესის ის მონაწილეები, რომელთა უფლებებზეც შეიძლება გავლენა მოახდინოს ამ კონკრეტულ საქმეზე გამოტანილმა სასამართლო გადაწყვეტილებამ ანუ რომლებსაც იურიდიული დაინტერესება გააჩნიათ ფაქტის დადგენის ან მის დადგენაზე უარის თქმის თაობაზე.[354] უდავო წარმოების საქმეში დაინტერესებულ პირთა მონაწილეობა ნაკარნახებია მათი სამსახურეობრივი ან მატერიალურ-სამართლებრივი ინტერესით. პროცესის ეს მონაწილეები ამიტომაც დაინტერესებულები არიან საქმის სწორად გადაწყვეტით. დაინტერესებულ პირებს წარმოადგენენ, მაგალითად, სამოქალაქო აქტების მარეგისტრირებული ორგანოები, რომლებმაც უარი განაცხადეს ჩანაწერში ცვლილების შეტანაზე, დოკუმენტის დუბლიკატის გაცემაზე და სხვა. დაინტერესებულ პირთა რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ აგრეთვე პროცესის ისეთი მონაწილენი, როგორიცაა დაკარგული საწარმდგენლო ან საორდერო ფასიანი ქაღალდის ხელთმქონე გამოწვევითი წარმოების დროს.[355] განმცხადებელი დაინტერესებული პირისაგან განსხვადება მხოლოდ იმით, რომ იგი წარმოადგენს პროცესის აღძვრის ინიციატორს.

უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეში დაინტერესებული პირების ჩაბმა ხორციელდება განმცხადებლის თხოვნით სასამართლოს განჩინებით, რომელშიც მოცემულია საქმის გარემოებებით განსაზღვრული საფუძვლები. [356] დაინტერესებული პირები

---

353 საქართველოს უზენაესი სასამართლო, პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის, თბ., 2010, გვ. 41.

354 საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2002 წლის 4 ნოემბრის განჩინება საქმეზე №3 გ/ად-204-კ-02.

355 ზ.ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები. თბ., 2007, გვ. 27.

356 ი.გაგუა, მტკიცებულებები და მტკიცების პროცესი კერძო სამართლებრივ დავებზე, თბ., 2020, გვ.313.

შეიძლება მოწვეულნი იქნენ სასამართლოს ინიციატივითაც. დაინტერესებულ პირთა წრე ძირითადად უნდა გაირკვეს საქმის მომზადების ეტაპზე, რაც ხელს შეუწყობს უპირველეს ყოვლისა დროისა და ხარჯების დაზოგვას.[357] უდავო წარმოებაში მონაწილე დაინტერესებული პირები არ შეიძლება, რომ გაიგივებულნი იქნენ სასარჩელო წარმოებაში მონაწილე დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირებთან. სასარჩელო წარმოებაში სასამართლოს გადაწყვეტილებას დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირთათვის აქვს პრეიუდიციული მნიშვნელობა, [358] თუ ისინი ჩაბმული იყვნენ საქმის განხილვაში. [359] ამგვარად, სასამართლო წყვეტს იმ უფლებაზე დავას, რომელიც მომავალში შეიძლება წარმოიშვას ან უკვე წარმოიშვა. დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირებზე ვრცელდება სსსკ-ის 266-ე მუხლის მხოლოდ ის დათქმა, რომლის ძალითაც მათ არ შეუძლიათ, სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობები. რაც შეეხება ამავე მუხლით დადგენილ საქმის განმეორებით განხილვის აკრძალვას, ის მხოლოდ მხარეებზე, დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირებზე და მათ უფლებამონაცვლეებზე ვრცელდება. დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირების მიმართ კი, ადრე განხილულ სარჩელთან ახალი სარჩელის იგივეობრიობის საკითხი ვერ დაისმება, რადგან მესამე პირი მხარე არ არის და არ შეიძლება მას რაიმე მოქმედების შესრულება დაეკისროს რომელიმე მხარის მიმართ ან რაიმე მიეკუთვნოს რომელიმე მხარისაგან. [360] უდავო წარმოებაში კი უფლებაზე დავა დაუშვებელია, უფრო მეტიც, იურიდიული ფაქტის დადგენა არ უკავშირდება უფლებაზე დავის მომავალში გადაწყვეტას.[361] უდავო წარმოების საქმეზე დადგენილ ფაქტებს, ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება ჰქონდეს პრე-

---

357 საქართველოს უზენაესი სასამართლო, პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის, თბ., 2010, გვ. 41.

358 შ.ქურდაძე/ ნ.ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2015, გვ.277.

359 თ.ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, (მეორე გამოცემა), თბ., 2005, გვ.384.

360 პ.ქათამაძე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი (რჩეული მუხლები), მუხლი 266, GIZ, 2020, გვ. 1053.

361 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 იანვრის განჩინება საქმეზე №ას-911-869-2013.

იუდიცილი მნიშვნელობა, მაგალითად, თუ სასარჩელო წარმოების წესით განიხილება დავა იმ სამკვიდრო ქონებასთან დაკავშირებით, რომელიც კანონით დადგენილი წესით გარდაცვლილად გამოცხადებულ პირს დარჩა, ამ საქმეში ეჭქვეშ ვერ დადგება უდავო წარმოების წესით უკვე განხილული, მამკვიდრებლის გარდაცვლილად გამოცხადების მართლზომიერების საკითხი (გამონაკლისია სსსკ-ის 321-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა).

III. უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების თავისებურებანი

სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმება, ვრცელდება ასევე უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეებზეც. [362] უდავო წარმოების წესით განსახილველი ცალკეული კატეგორიის საქმეების თაობაზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების თავისებურებები მოცემულია სსსკ-ის 316-ე, 316[5]-ე, 320-ე, 335-ე, 341-ე, 351-ე მუხლებში და მხოლოდ ერთი შემთხვევა „ვარდება" ზოგადი წესიდან. სსსკ-ის 321-ე მუხლის შესაბამისად, უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული ან გარდაცვლილად გამოცხადებული მოქალაქის გამოჩენის ან მისი ადგილსამყოფელის აღმოჩენის შემთხვევაში სასამართლო ახალი გადაწყვეტილებით აუქმებს თავის წინანდელ გადაწყვეტილებას. [363]

საერთო წესის მიხედვით, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალის მოქმედება არ არის განუსაზღვრელი. იგი ვრცელდება მხოლოდ განსაზღვრული ურთიერთობების და მისი სუბიექტების მიმართ. [364] უდავო წარმოების საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილების თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ გადაწყვეტილებით კი არ განისაზღვერება დავაში მონაწილე სუბიექტებს შორის ამა თუ იმ სამართლებრივი ურთიერთობა არსებობა, არამედ დგინდება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები და სხვა გარემოებები. ამიტომაც ამ საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილების

362 შ.ქურდაძე/ნ.ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2015, გვ.473.

363 ზ.ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები. თბ.,2007, გვ.26.

364 პ.ქათამაძე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი (რჩეული მუხლები), მუხლი 266, GIZ, 2020, გვ. 1050.

ობიექტური და სუბიექტური ფარგლები გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება: მაგალითად, მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა და გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ საქმეებზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალის სუბიექტური ფარგლები ვრცელდება არა მარტო განმცხადებელზე და საქმეში მონაწილე დაინტერესებულ პირებზე, არამედ ყველა სხვა პირზეც, რომლებიც აპირებენ თავისი უფლების განსახორციელებლად ამ გადაწყვეტილების გამოყენებას. თუკი მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადება განმცხადებელს ესაჭიროება სამკვიდროს მისაღებად, ამ საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება სარჩოს მიღების შესახებ საკითხის გადასაწყვეტად, შეიძლება წარადგინოს გარდაცვლილად გამოცხადებული პირის კმაყოფაზე მყოფმა იმ პირმა, რომელსაც საქმეში მონაწილეობა არ მიუღია. გარკვეული თავისებურებები არსებობს უდავო წარმოების საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ობიექტური ფარგლების მიმართაც. ასე, მაგალითად, მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება, განმცხადებლის მიერ შეიძლება გამოყენებული იქნეს არა მარტო განცხადებაში მითითებული უფლებების დაცვის მიზნით (სასამართლოში მიმართვის მიზანი), არმედ სხვა უფლებების დაცვის მიზნითაც, რომელიც არ იყო მითითებული განცხადებაში: თუკი გამოტანილია გადაწყვეტილება მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ იმ მიზნით, რომ მოხდეს განქორწინება ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში, ეს გადაწყვეტილება ასევე შეიძლება, რომ გამოყენებულ იქნეს უგზო-უკვლოდ დაკარგული მშობლის თანხმობის გარეშე ბავშვის შვილად აყვანის მიზნითაც. [365]

თუ უდავო წარმოების წესით საქმის განხილვისას აღიძვრება დავა ისეთი უფლებების შესახებ, რომელიც სასამართლოს უწყებრივად ექვემდებარება, [366] სასამართლო განცხადებას განუხილველად დატოვებს და დაინტერესებულ პირებს განუმარტავს, რომ მათ უფლება აქვთ წარმოადგინონ სარჩელი საერთო საფუძველ-

365 ზ.ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები, თბ.,2007, გვ.27.

366 შ.ქურდაძე/ნ.ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2015, გვ.476.

ზე.[367] უდავო წარმოების საქმეთა ეს არსებითი თავისებურება გამოხატულია სსსკ-ის 311-ე მუხლის მე-2 ნაწილში, შესაბამისად, მოხდება სარჩელის აღძვრა საერთო წესის მიხედვით, დაინტერესებული პირები საქმეში შესაძლოა ჩაებან მოპასუხეებად ან მესამე პირებად.[368]

გერმანიის კანონმდებლობით, უდავო სამართლაწარმოების საქმეებს სასამართლოები განიხილავენ განცხადების საფუძველზე, „საოჯახო საქმეებისა და უდავო სამართალწარმოების საქმეების წარმოების შესახებ" კანონის მოთხოვნათა დაცვით.[369]

§ 2. უდავო წარმოების წესით განსახილველი ცალკეული კატეგორიის საქმეები

I. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენა

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლის თანახმად, სასამართლო ადგენს ფაქტებს, რომლებზეც დამოკიდებულია მოქალაქეთა და ორგანიზაციათა პირადი ან ქონებრივი უფლებების წარმოშობა, შეცვლა ან მოსპობა. სასამართლო განიხილავს საქმეებს: ა) პირთა ნათესაური კავშირის დადგენის შესახებ; ბ) პირის კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის დადგენის შესახებ; გ) მამობის დადგენის, ქორწინების, განქორწინების, სახელის ან/და გვარის შეცვლის რეგისტრაციის ან შვილად აყვანის ფაქტების დადგენის შესახებ; დ) უფლების დამდგენი საბუთის იმ პირისადმი კუთვნილების ფაქტის დადგენის შესახებ, რომლის სახელი, მამის სახელი ან გვარი, რაც საბუთებშია აღნიშნული, არ ემთხვევა მის პასპორტში ან დაბადების მოწმობაში აღნიშნულ სახელს, მამის სახელს ან გვარს; ე) ამოღებულია; ვ) ამოღებულია; ზ) ამოღებულია; თ) მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა და მემკვიდრეობის გახსნის

---

367 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-741-702-2015, ბ.21.

368 საქართველოს უზენაესი სასამართლო, პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის, თბ., 2010, გვ. 41.

369 Schellhammer Kurt., Zivilprozess, Gesetz-Praxis-Fälle, 12. neu bearbeitete Auflage, Heidelberg, 2007, S.656

ადგილის დადგენის შესახებ; ი) ამოღებულია.

მოქალაქეთა და ორგანიზაციათა ქონებრივი ან პირადი არაქონებრივი უფლებების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა დამოკიდებულია იურიდიულ ფაქტებზე. მოცემული ფაქტები დასტურდება, დგინდება შესაბამისი დოკუმენტებით (სხვადასხვა მოწმობა, ცნობა, სააქტო ჩანაწერი და ა.შ.) [370] ამასთან, არსებობს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ესა თუ ის იურიდიული ფაქტი შეუძლებელია დადგინდეს შესაბამისი დოკუმენტით იმ მიზეზის გამო, რომ ეს დოკუმენტი დაიკარგა, შეუძლებელია მისი აღდგენა,[371] ან ზოგ შემთხვევაში არ იყოს საჭირო მათი რეგისტრაცია(მაგალითად, პირის კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის რეგისტრაცია არ არის საჭირო, ამიტომ ამის დამადასტურებელი დოკუმენტიც არ არსებობს). შესაბამისად, აუცილებელი ხდება მათი სასამართლო წესით დადგენა.[372] უდავო წარმოების წესით არ შეიძლება, რომ სასამართლომ დაადგინოს არა თვითონ ფაქტი, არამედ ის, თუ როგორ იურიდიულ შედეგს უკავშირებს კანონი ამა თუ იმ ფაქტს. ფაქტის იურიდიული შედეგის განსაზღვრა – ესაა ფაქტის იურიდიული შეფასება, მისი იურიდიული კვალიფიკაცია. სავსებით გასაგები მიზეზების გამო, უდავო წარმოების წესით სასამართლო გადაწყვეტილებით იურიდიული კვალიფიკაციის დადგენას სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს.[373] თუ ფაქტს, რომლის დადგენაც სურს განმცხადებელს, [374] არ უკავშირდება რაიმე იურიდიული შედეგი, სასამართლომ არ უნდა მიიღოს განცხადება განსახილველად.[375]

---

370 შ.ქურდაძე/ნ.ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2015, გვ.476.

371 ზ.ძლიერიშვილი,სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები, თბ., 2007, გვ. 32.

372 საქართველოს უზენაესი სასამართლო, პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის, თბ., 2010, გვ. 42.

373 თ.ლილუაშვილი, სამოქალაქო პროცესის საკითხები საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში, ნაწილი I, თბ., 2002. გვ. 121.

374 შ.ქურდაძე/ნ.ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2015, გვ.477.

375 თ.ლილუაშვილი/ ვ.ხრუსტალი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა უდავო წარმოების წესით იურიდიული ფაქტების დადგენის შესახებ, თბ., 2003, გვ.39.

II. პირთა ნათესაური კავშირის დადგენა

სსსკ-ის 312-ე მუხლის მე-2 ნაწლის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო განიხილავს საქმეებს პირთა ნათესაური კავშირის დადგენის შესახებ. აღნიშნული ფაქტი ექვემდებარება სასამართლო წესით დადგენას ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უშუალოდ იწვევს იურიდიულ შედეგს.[376] მაგალითად, თუკი განმცხადებელს ასეთი ფაქტის დადგენა – დადასტურება ესაჭიროება სამკვიდრო მოწმობის მისაღებად, პენსიის მისაღებად მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში და სხვა.[377] მნიშვნელოვანია, რომ განცხადების ავტორმა ნათლად და გარკვევით ჩამოაყალიბოს საკუთარი მოთხოვნა პირთა შორის გარკვეული სახის ნათესაური კავშირის დადგენის შესახებ. [378] ამასთან, დაუშვებელია იმ ხარისხის ნათესაური კავშირის დადგენა, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს. შესაბამისად, ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ნათესავთა წრეს.[379] იურიდიული ინტერესის არსებობა წარმოადგენს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის მიზანს, რის შესახებაც მითითებული უნდა იყოს სასამართლოში შეტანილ განცხადებაში.

პირთა ნათესაური კავშირი, ჩვეულებრივ „სამოქალაქო აქტების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით შესრულებული სათანადო ჩანაწერით დასტურდება. ასე, მაგალითად, მშობლის და შვილის ნათესაური კავშირი დასტურდება შვილის დაბადების მოწმობაში არსებული მშობლის ვინაობის მითითებით; დასა და ძმას შორის ნათესაური ურთიერთობა კი, მათი დაბადების მოწმობებით ირკვევა, თუ ამ დოკუმენტებში მშობლების გრაფაში აღნიშნული პირები იდენტურადაა მითითებული და ა.შ. ნათესაური კავშირის დადგენის აუცილებლობა შეიძლება მხოლოდ ორ შემთხვევაში წარ-

---

376 ზ.ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები, თბ.,2007, გვ. 31.

377 თ.ლილუაშვილი/ვ.ხრუსტალი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა უდავო წარმოების წესით იურიდიული ფაქტების დადგენის შესახებ, თბ., 2003, გვ. 39.

378 ი.გაგუა, მტკიცებულებები და მტკიცების პროცესი კერძო სამართლებრივ დავებზე, თბ., 2020, გვ.312.

379 საქართველოს უზენაესი სასამართლო, პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის, თბ., 2010, გვ. 43.

მოიშვას, ერთი, როდესაც გარკვეული პირის დაბადების სააქტო ჩანაწერში (შესაბამისად დაბადების მოწმობაში) მშობლის ან შვილის მონაცემები (სახელი, გვარი, მამის სახელი, დაბადების წელი) შეცდომითაა მითითებული და მეორე, როდესაც ამა თუ იმ მიზეზის გამო არ არის დაცული (შემონახული) რომელიმე პირის დაბადების სააქტო ჩანაწერი. პირთა ნათესაური კავშირის არსებობის შესახებ განცხადების განხილვისას, სასამართლო უფლებამოსილია გამოიყენოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული ნებისმიერი მტკიცებულება.[380] ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პირის მოთხოვნა ნათესაური კავშირის დადგენის შესახებ, განხილულ უნდა იქნეს განცხადების ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების სასამართლო სხდომაზე შემოწმებისა და შეპირისპირების გზით.[381] „სასამართლო გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მოთხოვნა ნათესაური კავშირის დადგენის თაობაზე."[382]

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „სამოქალაქო აქტების შესახებ" საქართველოს კანონი განსაზღვრავს სამოქალაქო აქტების ჩანაწერში ცვლილების, შესწორების ან/და დამატების შეტანაზე უფლებამოსილ ორგანოს, კერძოდ, კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, აღნიშნული უფლებამოსილება გააჩნიათ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოებს. ამავე კანონის 76-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილია, რომ სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების, შესწორების ან/და დამატების შეტანის საფუძველია უფლებამოსილი პირის განცხადება და ამ კანონის 78-80-ე მუხლებით გათვალისწინებული შესაბამისი გარემოებების არსებობა. ამდენად, „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ" მინსკის კონვენციისა და „სამოქალაქო აქტების შესახებ" საქართველოს კანონის დებულებათა ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ საქართველოში რეგისტრირებულ სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების, შესწორების ან/და დამატების შეტანა, შეიძლება განხორციელდეს

380 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 მარტის განჩინება საქმეზე №ას-828-1043-08.

381 შ.ქურდაძე/ნ.ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2015, გვ.480.

382 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 03 აპრილის განჩინება საქმეზე №ას-96-90-2014,; სუსგ 2012 წლის 26 ივლისის განჩინება საქმეზე №ა-1886-შ-39-2012.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მხოლოდ საქართველოს კომპეტენტური ორგანოების მიერ."[383] „საკასაციო პალატის განჩინებით, განუხილველად იქნა დატოვებული განმცხადებლის შუამდგომლობა პირთა ნათესაური კავშირის იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ უცხოური სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე, განმცხადებლის მიერ ხარვეზის არაღმოფხვრის საფუძვლით".[384]

აღსანიშნავია, რომ გერმანიაში „საოჯახო საქმეების და უდავო სამართალწარმოების საქმეების წარმოების შესახებ" კანონის 169-ე მუხლი, ითვალისწინებს პირთა ნათესაური კავშირის დადგენას, რომელსაც განეკუთვნება: 1) შვილებსა და მშობლებს შორის ნათესაური კავშირის დადგენა; 2) გენეტიკური კვლევების მეშვეობით ნათესაური კავშირის დადგენის მიზნით, გამოკვლევის ჩატარება და სინჯების აღება პირის ნების საწინააღმდეგოდ; 3) პირთა ნათესაური კავშირის დადგენის მიზნით ჩატარებული კვლევების საქმის მასალების გაცნობა ან ასლის გადაღება; 4) მამობის სადავოდ გახდომა (გასაჩივრება). [385]

III. პირის კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის დადგენა

სსსკ-ის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კმაყოფაზე ყოფნის ფაქტი, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაადგინოს სასამართლომ, როდესაც ამ ფაქტის დადგენას კანონმდებელი უკავშირებს განმცხადებლისათვის სასურველ სამართლებრივ შედეგს. [386] აღნიშნული ფაქტის დადგენას დიდი მნიშვნელობა აქვს სამკვიდროს ხარჯზე სარჩოს მისაღებად, პენსიის დასანიშნად, ან/და ზიანის ასანაზღაურებლად და სხვა.

გარდაცვლილის კმაყოფაზე პირის ყოფნის ფაქტის დადა-

383 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 29 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ა-5294-შ-158-2019; სუსგ №ა-4513-შ-141-2019, 15 ოქტომბერი, 2019.

384 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 30 ივლისის განჩინება საქმეზე №ა-2046-შ-51-2019.

385 Gesetz über das Verfahren in amiliensachen und in den Angelegenheiten der freiwilligen Gerichtsbarkeit (FamFG): http://www.gesetze-im-internet.de/bundesrecht/famfg/gesamt.pdf

386 შ.ქურდაძე/ნ.ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2015, გვ.481.

სტურება შესაძლებელია სხვადასხვა მტკიცებულებებით, როგორიცაა, მოწმეთა ჩვენებები, წერილობითი მტკიცებულებები, განმცხადებლისა და დაინტერესებული პირების თანხვედრი ახსნა-განმარტებები და სხვა. კმაყოფაზე ყოფნის შესახებ ფაქტის დადგენისას მხედველობაშია მისაღები, რომ განმცხადებელი ითვლება გარდაცვლილის კმაყოფაზე მყოფ პირებად, თუკი ის იმყოფებოდა მის კმაყოფაზე ანდა ღებულობდა მისგან დახმარებას, რომელიც მისი მუდმივი და ძირითადი საარსებო წყარო იყო. იმ შემთხვევაში, როდესაც განმცხადებელს გააჩნია ხელფასი, ღებულობს პენსიას, სტიპენდიას და ა.შ. საჭიროა გაირკვეს, იყო თუ არა მარჩენალის მხრიდან დახმარება განმცხადებლის მუდმივი და ძირითადი საარსებო წყარო.

სსკ-ის 1006-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში ზიანის მიმყენებელმა სარჩოს დაწესებით უნდა აუნაზღაუროს ზიანი იმ პირებს, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალებოდა. ეს ვალდებულება ძალაშია, ვიდრე დაზარალებული ვალდებული იქნებოდა ეხადა სარჩო. ზიანის ასანაზღაურებლად კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის დადგენისას, სასამართლოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ის გარემოება, რომ კანონის თანახმად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არ არის დაკავშირებული მარჩენალსა და კმაყოფაზე მყოფ პირს შორის არც ნათესაურ კავშირსა და არც კმაყოფაზე ყოფნის ვადის ხანგრძლივობაზე.[387] „საქმეში არსებული მტკიცებულებებით დადასტურებულად იქნა მიჩნეული, რომ მეუღლე და შვილები წარმოადგენენ სწორედ იმ პირებს, რომელთა რჩენის ვალდებულებაც გააჩნდა, სამსახურებრივი ტრავმის გამო გარდაცვლილ მარჩენალს.“[388]

სსკ-ის 1338-ე მუხლის თანახმად, არაშრომისუნარიან პირებს, რომლებიც მამკვიდრებლის რჩენაზე იყვნენ და დამოუკიდებლად თავის შენახვა არ შეუძლიათ, თუ მათ შესახებ ანდერძში არ არის მითითებული, უფლება აქვთ მოითხოვონ სარჩო (ალიმენტი) სამკვიდროდან. თანხის ოდენობა, რაც გადახდილი უნდა იქნეს სარჩოს სახით, შეიძლება შემცირდეს სამკვიდროს აქტივის მოცულობის

387 თ.ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2005, გვ.432.

388 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 26 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-889-839-2015.

გათვალისწინებით.[389]

პირის კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის დადგენის შესახებ საქმეში დაინტერესებულ პირად ჩაბმული უნდა იქნეს ყველა ის პირი, რომლის უფლებებსა და ვალდებულებებზეც შეიძლება გავლენა იქონიოს მოთხოვნილი ფაქტის დადგენამ.

IV. მამობის დადგენის, ქორწინების, განქორწინების, სახელის ან/და გვარის შეცვლის რეგისტრაციის ან შვილად აყვანის ფაქტების დადგენა

სსსკ-ის 312-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო განიხილავს საქმეებს მამობის დადგენის, ქორწინების, განქორწინების, სახელის ან/და გვარის შეცვლის რეგისტრაციის ან შვილად აყვანის ფაქტების დადგენის შესახებ; **მოცემულ შემთხვევაში კანონმდებელს მხედველობაში აქვს არა თვითონ შვილად აყვანის, ქორწინების და ა.შ. ფაქტის დადგენა,[390] არამედ მარეგისტრირებელ ორგანოში ამ ფაქტის რეგისტრაცია.[391]** ამასთან, მხედველობაში მისაღებია, რომ სასამართლო[392] დაადგენს აღნიშნულ ფაქტებს, თუკი: 1) სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში შემონახული არ არის შესაბამისი ჩანაწერი (მაგალითად, ჩანაწერები რეგისტრაციის შესახებ განადგურდა ხანძრის თუ რაიმე სტიქიური უბედურობის გამო) და ასეთი ჩანაწერის აღდგენაზე განმცხადებელს უარი ეთქვა. 2) შესაბამისი ჩანაწერი შეიძლება აღდგენილ იქნეს სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის ფაქტის დადგენის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.[393]

„სამოქალაქო აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მესამე თავი დეტალურად აწესრიგებს მამობის დადგენის რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშნული კანონის 31-ე

389 ზ. ახვლედიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, მუხლი 1338-ე, თბ., 2000, გვ.395.

390 შ.ქურდაძე/ნ.ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2015, გვ.482.

391 თ.ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2005, გვ.432.

392 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 28 ივლისის განჩინება საქმეზე № ას-136-466-09.

393 თ.ლილუაშვილი/ვ.ხრუსტალი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა უდავო წარმოების წესით იურიდიული ფაქტების დადგენის შესახებ, თბ., 2003, გვ. 40.

მუხლის თანახმად, მამობის დადგენა არის პირის ბავშვის მამად აღიარების იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი, რომლის რეგისტრაციას სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო ახორციელებს უფლებამოსილი პირის განცხადების ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. სსკ-ის 1190-ე მუხლის თანახმად, ერთმანეთთან დაუქორწინებელი მშობლებისაგან შვილის წარმოშობა დგინდება მშობელთა ერთობლივი განცხადებით და ბავშვის დაბადების დამადასტურებელი დოკუმენტით. მშობელთა ერთობლივი განცხადების არარსებობის ან მისი წარდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში ბავშვის მამობა შეიძლება დადგინდეს სასამართლო წესით ერთ-ერთი მშობლის, ბავშვის მეურვის (მზრუნველის) ან იმ პირის განცხადების საფუძველზე, რომლის კმაყოფაზეც იმყოფება ბავშვი, აგრეთვე თვით ბავშვის განცხადებით მის მიერ სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ. ბავშვის მამობის დადგენის საკითხს სასამართლო წყვეტს ბიოლოგიური (გენეტიკური) ან ანთროპოლოგიური გამოკვლევის შედეგების (მტკიცებულებების) შესაბამისად, რომელიც შეეხება ბავშვის მამობის განსაზღვრის საკითხს. თუ ამ საფუძვლით ბავშვის მამობის დადგენა შეუძლებელია, სასამართლო მხედველობაში ღებულობს ბავშვის დედისა და მამობის დადგენის შესახებ განცხადებაში მითითებული პირის ერთად ცხოვრებასა და საერთო მეურნეობის წარმოებას ბავშვის დაბადებამდე ან/და მათ მიერ ბავშვის ერთად არზრდის ან/და რჩენის ფაქტებს, ანდა სხვა დამამტკიცებელ საბუთებს ან/და გარემოებებს, რომლების სავსებით ადასტურებს განცხადებაში მითითებული პირის მიერ ბავშვის მამობის აღიარებას. ერთმანეთთან დაუქორწინებელი მშობლებისაგან შვილის წარმოშობა კანონით განსაზღვრული წესით ასევე შეიძლება დაადგინოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანომ პირის გარკვეულ დროსა და ვითარებაში დაბადების იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენისას. „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის თანახმად, სასამართლო თავის გადაწყვეტილებას მამობის დადგენის შესახებ კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 სამუშაო დღის ვადაში უგზავნის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს გადაწყვეტილების გამოტანის ადგილის მიხედვით. მამობის დადგენის შესახებ სასამართლოს მიერ წარდგენილი გადაწყვეტილების საფუძველზე სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო ახორციელებს მამობის დადგენის რეგისტრაციას

და შესაბამისი ცვლილება შეაქვს დაბადების სამოქალაქო აქტების ჩანაწერში. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მამობის დადგენის რეგისტრაციის წესი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

სსკ-ის 1106-ე მუხლის თანახმად, ქორწინება ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირია, რომელიც რეგისტრირებულია სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში. „სამოქალაქო აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 48-ე მუხლის თანახმად, ქორწინების წარმოშობისათვის სავალდებულოა მისი რეგისტრაცია სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს მიერ. ქორწინების რეგისტრაციის წესი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის დადგენის შესახებ განცხადებით სასამართლოს შეიძლება მიმართოს ორივე მეუღლემ. თუკი სასამართლოში ასეთი განცხადება შეიტანა ერთ-ერთმა მეუღლემ, მაშინ მეორე მეუღლე ჩაერთვება საქმეში დაინტერესებულ პირად.[394]მხედველობაშია მისაღები, რომ სსკ-ის 1123-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განქორწინება ხდება სასამართლო წესით, თუ მეუღლეებს შორის არსებობს დავა, სხვა შემთხვევაში – სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში. [395] „სამოქალაქო აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მეექვსე თავი დეტალურად აწესრიგებს განქორწინების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. განქორწინების შემთხვევაში ქორწინება შეწყვეტილად ითვლება სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში განქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან[396].

სსკ-ის 1127-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განქორწინების საქმეებს სასამართლო განიხილავს სასარჩელო წარმოების წესით, რომელიც დადგენილია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით. „სამოქალაქო აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 58-ე მუხლის თანახმად, სასამართლო თავის გადაწყვეტილებას მეუღლეთა განქორწინების შესახებ მისი კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 სამუშაო დღის ვადაში უგზავნის სამოქალაქო

394 ზ. ძლიერიშვილი., სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები, თბ., 2007,გვ.33.

395 რ. შენგელია/ე/შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 2015, გვ.86.

396 რ. შენგელია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი V-ე, თბ., 2000, გვ.66

აქტების რეგისტრაციის ორგანოს გადაწყვეტილების გამოტანის ადგილის მიხედვით. განქორწინების შესახებ სასამართლოს მიერ წარდგენილი გადაწყვეტილების საფუძველზე სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო ახორციელებს განქორწინების რეგისტრაციას. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე განქორწინების რეგისტრაციის წესი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. აღნიშნული კანონის 61-ე მუხლის თანახმად, განქორწინების შემთხვევაში ქორწინება შეწყვეტილად ითვლება სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში განქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან.

„სამოქალაქო აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მეშვიდე თავით დეტალურადაა მოწესრიგებული სახელის ან/და გვარის შეცვლის რეგისტრაციასთან დაკავშირებული საკითხები. აღნიშნული კანონის 62-ე მუხლის თანახმად, საქართველოს მოქალაქეს, აგრეთვე საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირს, რომლის დაბადება რეგისტრირებულია საქართველოში (გარდა ამ კანონის 85-ე მუხლის შესაბამისად განხორციელებული დაბადების რეგისტრაციისა), უფლება აქვთ შეიცვალონ სახელი ან/და გვარი. სახელის ან/და გვარის შეცვლისათვის სავალდებულოა სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს მიერ სახელის ან/და გვარის შეცვლის რეგისტრაცია. პირის სახელის ან/და გვარის შეცვლის/ გვარის დადგენის/ გვარის კანონიერად აღიარების შესახებ თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისა და შესაბამისი სამოქალაქო აქტის რეგისტრაცია ხორციელდება სატანადო განცხადების წარდგენიდან მე-60 კალენდარულ დღეს. (მუხლი 69).

„სამოქალაქო აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მეოთხე თავით დეტალურადაა მოწესრიგებული შვილად აყვანის რეგისტრაციასთან დაკავშირებული საკითხები. შვილად აყვანა არის იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი, რომლის რეგისტრაციას სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო ახორციელებს სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე (მუხლი 40). შვილად აყვანის რეგისტრაციის თაობაზე სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოსათვის მიმართვის უფლება აქვთ მშვილებელს, სრულწლოვან და ქმედუნარიან ნაშვილებს, ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

სსკ-ის 1242-ე მუხლის თანახმად, შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილებას მშვილებლის განცხადებით იღებს სასამართლო მშვილებლის ან შვილად ასაყვანის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნის შემდეგ. სსკ-ის 1244-ე მუხლის თანახმად კი, შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების რეგისტრაციას ახორციელებს სააგენტოს ნებისმიერი ტერიტორიული სამსახური, განმცხადებლის სურვილისამებრ. სასამართლო ვალდებულია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში აცნობოს თავისი გადაწყვეტილება სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს. შვილება ნამდვილია სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან.[397] სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო შვილად აყვანის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებიდან 30 დღის ვადაში ახორციელებს შვილად აყვანის რეგისტრაციას და შესაბამისი ცვლილებები შეაქვს ნაშვილების დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში. რაც შეეხება შვილად აყვანას, აღნიშნული კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურის ზუსტი დაცვით ხორციელდება. ამდენად, სასამართლომ შვილად აყვანის რეგისტრაციის ფაქტის დადგენისას, უნდა დაადგინოს, არსებობდა თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება შვილად აყვანის თაობაზე.[398]

V. უფლების დამდგენი საბუთის იმ პირისადმი კუთვნილების ფაქტის დადგენა, რომლის სახელი, მამის სახელი ან გვარი, რაც საბუთებშია აღნიშნული, არ ემთხვევა მის პასპორტში ან დაბადების მოწმობაში აღნიშნულ სახელს, მამის სახელს ან გვარს

სსსკ-ის 312-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლო განიხილავს საქმეებს უფლების დამდგენი საბუთის იმ პირისადმი კუთვნილების ფაქტის დადგენის შესახებ, რომლის სახელი, მამის სახელი ან გვარი, რაც საბუთებშია აღნიშნული, არ ემთხვევა მას პასპორტში ან დაბადების მოწმობაში აღნიშნულ სახელს, მამის სახელს ან გვარს. ეს საქმეები დაკავ-

397 რ. შენგელია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი V-ე, თბ; 2001, გვ.250

398 საქართველოს უზენაესი სასამართლო, პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის, თბ., 2010, გვ. 55.

შირებულია აღნიშნულ დოკუმენტებში შეცდომასთან, რომელიც უკვე აღარ შეიძლება გამოსწორებულ იქნეს ამ დოკუმენტების გამცემი ორგანოს მიერ.[399] მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ უდავო წარმოების წესით განიხილება პირის მოთხოვნა ისეთი იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის თაობაზე, რა დროსაც შესაძლებელია მოხდეს პირის იდენტიფიცირება იმ დოკუმენტების მიმართ, რომელშიც მისი პირადი მონაცემები არასწორადაა დაფიქსირებული.[400] ამასთან დაკავშირებით, სასამართლომ უნდა მოსთხოვოს განმცხადებელს მტკიცებულებათა წარმოდგენა იმის შესახებ[401], რომ უფლების დამდგენი დოკუმენტი ეკუთვნის მას და რომ ამ დოკუმენტის გამცემ ორგანოს არა აქვს შესაძლებლობა შეიტანოს მასში შესაბამისი შესწორება.[402] მნიშვნელოვანია, რომ საბუთი, რომლის კუთვნილების დადგენასაც ითხოვს განმცხადებელი, წარმოადგენს თუ არა უფლებადამდგენ საბუთს და კონკრეტულად მას რომელი პირადი ან ქონებრივი უფლებების წარმოშობა უკავშირდება.[403] ასეთი შეიძლება იყოს, მაგალითად, მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დამადასტურებელი დიპლომი, შრომის წიგნაკი და ა.შ. ეს უნდა იქნეს გადაწყვეტილი ყველა კონკრეტულ შემთხვევაში[404] იმის გათვალისწინებით, რამდენად უკავშირდება მისი კუთვნილების დადგენას პირისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვანი პირადი ან ქონებრივი უფლებების წარმოშობა მნიშვნელოვანი დანაწესია, რომ შესაბამისი საბუთის კუთვნილების[405] დადგენა ხდება მხოლოდ დაბადების მოწმობასთან ან პასპორტთან/პირადობის მოწმობასთან მიმართებაში. ეს განპირობებულია იმით, რომ აღნიშნული დო-

---

399 შ.ქურდაძე/ნ.ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2015, გვ.483.

400 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 15 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ას-695-915-08.

401 თ.ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2005, გვ.432.

402 ზ.ძლიერიშვილი,სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები, თბ., 2007, გვ. 32.

403 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 3 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-1207-1468-09.

404 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 17 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-313-295-10.

405 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 ივლისის განჩინება საქმეზე № ას-442-756-09.

კუმენტები წარმოადგენენ პირის პიროვნების დამადასტურებელ ძირითად დოკუმენტებს. ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული აგრეთვე შემდეგ საკითხებზეც: ა) თუ განმცხადებელს არ გააჩნია არც დაბადების მოწმობა და არც პასპორტი/პირადობის მოწმობა, ასეთ შემთხვევაში ჯერ დადგენილი უნდა იქნეს მისი დაბადების რეგისტრაციის ან გარკვეულ დროსა და ვითარებაში დაბადების ფაქტი ანუ, განმცხადებელმა სასამართლოსათვის მიმართვამდე უნდა ისარგებლოს შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოებით; ბ) როდესაც პირი გარდაცვლილია და წარმოდგენილია მისი გარდაცვალების მოწმობა, ეს არის მეტად კონკრეტული და სპეციფიკური შემთხვევა. როდესაც პირის გარდაცვალების მოწმობიდან აშკარაა, რომ იგი გაცემულია პასპორტის/პირადობის მოწმობის საფუძველზე (როგორც წესი, პირის გარდაცვალების მოწმობის აღებისას ბარდება მისი პასპორტის/პირადობის დამადასტურებელი მოწმობა), ასეთ შემთხვევაში სასამართლომ შესაბამისი საბუთის კუთვნილება უნდა დაადგინოს გარდაცვალების მოწმობასთან მიმართებაში.[406]

სასამართლოს გადაწყვეტილება უფლების დამდგენი საბუთის იმ პირისადმი მიკუთვნების ფაქტის დადგენის შესახებ,[407] რომლის სახელი, მამის სახელი ან გვარი, რაც საბუთებშია აღნიშნული, არ ემთხვევა მას პასპორტში ან დაბადების მოწმობაში აღნიშნულ სახელს, მამის სახელს ან გვარს, რომელიც რეგისტრირებულ უნდა იქნეს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოსა ან სხვა ორგანოში, ასეთი რეგისტრაციისა და გაფორმების საფუძველია, მაგრამ ვერ ცვლის ან ორგანოების მიერ გაცემულ დოკუმენტებს.[408] თუმცა ეს საკითხი განსხვავებულად უნდა მოწესრიგდეს, როცა საბუთის გამცემი ორგანო აღარ არსებობს და უფლებამონაცვლეც არ ჰყავს. ამ შემთხვევაში, სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება უნდა იყოს ის, რის საფუძველზეც პირმა უნდა მოახდინოს თავისი პირადი ან ქონებრივი უფლებების რეალიზაცია.[409]

---

406 საქართველოს უზენაესი სასამართლო, პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის, თბ., 2010, გვ.48.

407 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 15 სექტემბრის განჩინება საქმეზე № ას-695-915-08.

408 ზ.ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები, თბ., 2007, გვ. 39.

409 საქართველოს უზენაესი სასამართლო, პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქა-

„კასატორის პრეტენზიის საფუძველს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებს განსახილველ შემთხვევაში არ უნდა გამოეყენებინათ სსსკ-ის 312-ე მუხლი. საკასაციო პალატამ არ გაიზიარა კასატორის პრეტენზია და მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად შეაფასა საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სსსკ-ის 310-და 312-ე მუხლებზე მითითებით, მართებულად დაასკვნა, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებობდა სსსკ-ის 312-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინაპირობები". [410] „სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 310-ე, 312-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ" ქვეპუნქტით და დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ". [411]

VI. მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა და მემკვიდრეობის გახსნის ადგილის დადგენა

სსსკ-ის 312-ე მუხლის მეორე ნაწილის „თ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო განიხილავს საქმეებს მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა და მემკვიდრეობის გახსნის ადგილის დადგენის შესახებ. [412] განცხადება მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა და მემკვიდრეობის გახსნის ადგილის დადგენის შესახებ შეიძლება განიხილოს სასამართლომ[413] უდავო წარმოების წესით, თუკი სანოტარო მოქმედებათა განმხორციელებელმა ორგანომ უარი უთხრა გამცხადებელს სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე იმასთან დაკავშირებით, რომ განმცხადებელს არ გააჩნია დოკუმენტები, რომელიც ადასტურებს სამკვიდრო ქონების ფაქტობრივ მფლობელობაში მიღების ფაქტს ანდა ასეთი დოკუმენტები არასაკმარისია.[414] სსკ-ის 1421-ე მუხლის

ლაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის, თბ., 2010, გვ. 50.

410 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-741-702-2015; სუსგ 2014 წლის 11 მარტსი განჩინება საქმეზე №ას-1085-1035-2013.

411 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 13 იანვრის განჩინება საქმეზე №ას-958-916-2013.

412 თ.ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2005, გვ.434.

413 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 10 მარტის განჩინება საქმეზე № ას-870-1084-08.

414 ზ.ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები.

მე-2 ნაწილის თანახმად, მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო.[415]

განმცხადებლის მიზანს შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ სამკვიდროს მიღება, შესაბამისად, განმცხადებელი შეიძლება იყოს მხოლოდ ის პირი, რომელიც წარმოადგენს იმ მემკვიდრეს, რომელსაც ფაქტობრივ მფლობელობაში აქვს მიღებული სამკვიდრო. თუ განმცხადებელი არაა მემკვიდრე პირი, მაშინ მას ამ ფაქტის დასადგენად არც იურიდიული მნიშვნელობის მქონე მიზანი ექნება. მოქმედი კანონმდებლობით სამკვიდრო მოწმობის გაცემა წარმოადგენს მხოლოდ სანოტარო ორგანოს კომპეტენციას. არცერთი სხვა ადმინისტრაციული ორგანო არ არის აღჭურვილი უფლებამოსილებით, იმსჯელოს სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე, ამიტომაც განმცხადებელმა უნდა წარუდგინოს სასამართლოს შესაბამისი ნოტარიუსის წერილობითი უარი, რომლითაც შესაძლოა გაირკვეს, რომ ნოტარიუსმა: ა) შეამოწმა მისი ქმედუნარიანობა; ბ) შეამოწმა, რომ ეს პირი მართლაც მემკვიდრეა; გ) დაადგინა, რომ ყველა გარემოება ხელს უწყობს პირს, მიეღო სამკვიდრო, გარდა იმისა, რომ გაშვებული აქვს სამკვიდროს მიღების ვადა. ამდენად, სანოტარო ორგანოს უარით განსახილველი საკითხის ირგვლივ შეიძლება გარკვეული ინფორმაცია იქნეს მოპოვებული. ამდენად, ასეთი უარი დასადგენ საკითხზე გარკვეულ მტკიცებულებას წარმოადგენს.[416]

სამკვიდროს გახსნის ადგილად ითვლება მამკვიდრებლის საცხოვრებელი ადგილი, ხოლო თუ იგი ცნობილი არ არის – სამკვიდროს ადგილსამყოფელი; თუ სამკვიდრო სხვადასხვა ადგილას იმყოფება, მაშინ სამკვიდროს გახსნის ადგილად მიიჩნევა უძრავი ქონების ან მისი ფასეული ნაწილის ადგილსამყოფელი, ხოლო თუ უძრავი ქონება არ არის, მაშინ – მოძრავი ნივთის ან მისი ძირითადი ნაწილის ადგილსამყოფელი (სსკ-ის 1324-ე მუხლი). ნოტარიუსისათვის სამკვიდროს გახსნის ადგილის დამადასტურებელ დოკუმენტებს

თბ.,2007, გვ. 35.

415 რ.შენგელია/ე.შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 2015, გვ.409.

416 საქართველოს უზენაესი სასამართლო, პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის, თბ., 2010, გვ. 52.

წარმოადგენს ცნობა მამკვიდრებლის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის შესახებ ანდა დოკუმენტი სამკვიდრო ქონების ადგილსამყოფელის შესახებ (მაგალითად, საჯარო რეესტრის ამონაწერი).[417] თუკი ყველა საჭირო დოკუმენტი წარმოდგენილია, მაგრამ სანოტარო ორგანო უარს ამბობს სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე, მაშინ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს არა განცხადებით მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა და სამკვიდროს გახსნის ადგილის დადგენის შესახებ, არამედ საჩივრით სანოტარო მოქმედების შესრულებაზე ურის თქმის შესახებ.[418]

„სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლოსათვის მიმართვის მიზანს განმცხადებლისათვის წარმოადგენდა სამკვიდროს მიღების ფაქტის დადგენა. პალატამ განმარტა, რომ უდავო წარმოება თავისი არსით, არსებითად განსხვავდება სასარჩელო წარმოებისაგან. უდავო წარმოება შესაძლოა მიჩნეული იქნეს უდავოდ მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ ამ დროს არ არსებობს დავა უფლებაზე. სასამართლოს შეფასებით, განსახილველ შემთხვევა უდავო წარმოებით განსახილველი ვერ იქნებოდა.“[419]

„სასამართლომ დადგენილად მიიჩნია იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი, რომ განმცხადებელს სამკვიდრო უძრავი ქონების ფლობა არ შეუწყვეტია, შესაბამისად, დასტურდებოდა მის მიერ მამის სამკვიდროს კანონით დადგენილი წესით ფლობისა და მართვის ფაქტი.“[420]

---

417 რ.შენგელია/ე.შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 2015, გვ.332.

418 შ.ქურდაძე/ნ.ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2015, გვ.485.

419 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 მარტის განჩინება საქმეზე №ას-741-702-2015.

420 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 31 მარტის განჩინება საქმეზე №ას-1172-1127-2016.

VII. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებასთან დაკავშირებული საკითხები

სასამართლო წარმოებაში მიიღებს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ განცხადებას და განიხილავს მას უდავო წარმოების წესით, თუკი: ა) კანონის თანახმად ასეთი ფაქტები იწვევს იურიდიულ შედეგებს (მოქალაქეთა ან ორგანიზაციათა ქონებრივი ან პირადი უფლებების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა); ბ) ფაქტის განხილვა არ არის დაკავშირებული სასამართლოსადმი ქვემდებარე უფლების შესახებ დავის შემდგომ გადაწყვეტასთან; გ) განმცხადებელს არ გააჩნია იმ დოკუმენტების მიღების ან აღდგენის სხვა შესაძლებლობა, რომელიც ადასტურებს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტს; დ) მოქმედი კანონმდებლობით არ არის დადგენილი მათი დადგენის სხვა (არასასამართლო) წესი.

იმ შემთხვევაში, თუკი მოხდება სასამართლოსადმი განცხადებით მიმართვა იურიდიული მნიშვნელობის არმქონე ფაქტის დადგენის შესახებ, ან თუკი იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დასადგენად არსებობს არასასამართლო წესი (მაგალითად, ადმინისტრაციული) სასამართლო განჩინებით არ მიიღებს განცხადებას წარმოებაში სსსკ-ის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის ანალოგიით. თუკი სასამართლომ განცხადება წარმოებაში მიიღო და მერე გამოვლინდა, რომ განმცხადებელი ითხოვს იურიდიული მნიშვნელობის არმქონე ფაქტის დადგენას, ან თუკი იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დასადგენად არსებობს არასასამართლო წესი (მაგალითად, ადმინისტრაციული) სასამართლომ განჩინებით უნდა შეწყვიტოს საქმის წარმოება სსსკ-ის 187-ე მუხლის მეორე ნაწილისა და სსსკ-ის 272-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტის თანახმად (ანალოგიით).[421]

სსსკ-ის 313-ე მუხლის თანახმად, სასამართლო იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტებს ადგენს მხოლოდ ამ ფაქტების დამადასტურებელი საბუთების სხვა წესით მიღების ან დაკარგული საბუთების აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში. განმცხადებლის მიერ საბუთების სხვა წესით მიღების შეუძლებლობაში უნდა

421 ზ.ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები. თბ.,2007, გვ. 35.

გავიგოთ ან მოცემული ფაქტის რეგისტრაციის წესის არარსებობა საერთოდ (მაგალითად, კმაყოფაზე ყოფნა), ანდა ფაქტის რეგისტრაციის შესაბამისი წესის დაუცველობა და მოცემულ პირობებში მისი დაცვის შეუძლებლობა, ანდა მოცემულ ვითარებაში ფაქტის დამადასტურებელ დოკუმენტებში შეცდომის ან უზუსტობის გამოსწორების შეუძლებლობა, რის გამოც დოკუმენტს დაკარგული აქვს მტკიცებულებითი ძალა.[422]

დაკარგული დოკუმენტების აღდგენის შეუძლებლობაში იგულისხმება შესაბამისი ორგანოსათვის საჭირო დოკუმენტების დუბლიკატების გაცემის შესაძლებლობის არქონა არქივში მონაცემების არ არსებობის ანდა არქივის დაკარგვის, განადგურების გამო. მტკიცებულებათა დასაშვებობის პრინციპის შესაბამისად, განცხადების წარმოებაში მიღების დასაშვებობის ისეთი წინაპირობა, როგორიცაა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დამადასტურებელი საბუთის მიღების ან დაკარგული საბუთის აღდგენის შეუძლებლობა, [423] შეიძლება დადასტურდეს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს ადმინისტრაციული აქტით ან რაიმე სხვა ცნობებით. ამ დროს გამოიყენება როგორც სსსკ-ის 127-176-ე მუხლებით დადგენილი დებულებები, აგრეთვე დაცული უნდა იყოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მოთხოვნაც.

„სასამართლომ არ გაიზიარა დაინტერესებული პირის – სააღსრულებო ბიუროს წარმომადგენლის პოზიცია, რომ მოცემული საქმე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა განხილულიყო. სასამართლომ განმარტა, რომ უმეტეს შემთხვევაში უფლების დამდგენი დოკუმენტები გაცემულია ადმინისტრაციული ორგანოების მიერ. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის თაობაზე განცხადების წარმოებაში მიღების ერთ-ერთ წინაპირობას სწორედ შესაბამისი ფაქტის დადგენასთან დაკავშირებით, იმ ადმინისტრაციული ორგანოს უარი წარმოადგენს, რომლის მიერაც არის გაცემული კონკრეტული საბუთი. სწორედ ამ ორგანომ უნდა უზრუნველყოს მის მიერ გაცემულ საბუთში არსებული უსწორობის გასწორება. თუ ეს შეუძლებელი აღმოჩნდება, მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მიმართოს პირმა სასამართლოს. ამდენად, მხოლოდ ის ფაქტი, რომ უფლების დამდგენი დოკუმენტი გაცემულია

---

422 ზ.ძლიერიშვილი, უდავო წარმოება, თბ., 2000, გვ. 16.

423 შ.ქურდაძე/ნ.ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2015, გვ.486.

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ვერ გახდებოდა საქმის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის საფუძველი. წინააღმდეგ შემთხვევაში, აზრს დაკარგავდა და უმოქმედოდ დარჩებოდა სსსკ-ით გათვალისწინებული უფლების დამდგენი დოკუმენტის კუთვნილების ფაქტის დადგენის უდავო სამართალწარმოების წესით განხილვის შესაძლებლობა. კონკრეტულ შემთხვევაში მხარეთა შორის არ არსებობდა დავა თვით განკარგულების გაცემის კანონიერების თაობაზე და სადავო არ იყო ის ფაქტი, რომ განმცხადებელმა ნამდვლად შეიძინა ქონება. აღნიშნულიდან გამომდინარე, რადგან განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ფაქტის დადასტურება შეუძლებელი იყო სხვა წესით, უფლების დამდგენი საბუთის კუთვნილების ფაქტზე გადაწყვეტილება სასამართლოს მიერ, მიღებული უნდა იქნეს უდავო წარმოების წესით.“ [424]

სსსკ-ის 312-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში, განცხადება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ სასამართლოში შეიტანება განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.[425] თუ განმცხადებელმა სასამართლოში შეიტანა განცხადება იურიდიული მნიშვნელობის მქონე რამდენიმე ფაქტის დადგენის შესახებ, მაშინ შესაძლებელია ანალოგიით გამოყენებულ იქნეს სსსკ-ის 182-ე მუხლის დებულებები. სსსკ-ის 314-ე მუხლი ადგენს ტერიტორიულ განსჯადობას. თუ განმცხადებლად გამოდის ორგანიზაცია (იურიდიული პირი), მაშინ განცხადება შეიტანება განმცხადებლის იურიდიული მისამართის მიხედვით. სხვადასხვა ადგილას მცხოვრები პირების მიერ განცხადების შეტანის შემთხვევაში, განცხადება შეიტანება სასამართლოში მათი არჩევით ერთ-ერთის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.[426] სსსკ-ის 316[1]-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ საქმეებს განიხილავს მოსამართლე (მათ შორის მაგისტრატი მოსამართლე) [427] ან სასამართლოს შესაბამისი მოხელე სსსკ-ის 311-ე მუხლით დადგე-

---

424 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 მარტის განჩინება საქმეზე №ას-741-702-2015, პ.13-14.

425 თ.ლილუაშვილი/ვ.ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა. თბ., 2007, გვ.548

426 შ.ქურდაძე, სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში, მეორე გამოცემა, თბ., 2006. გვ. 679.

427 ე.გასიტაშვილი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, რჩეული მუხლები, მუხლი 14, თბ., GIZ, 2020, გვ. 195

ნილი წესით.

იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ განცხადება უნდა პასუხობდეს სსსკ-ის 314-315-ე მუხლების მოთხოვნებსაც. თუ განცხადება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ არ პასუხობს აღნიშნულ მოთხოვნებს, კერძოდ: ა)განცხადებაში არ არის მითითებული მიზანზე, რისთვის სჭირდება განმცხადებელს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა; ბ)განცხადებაში არ არის მითითებული მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ ფაქტის დამადასტურებელი საბუთის სხვა წესით მიღების ან დაკარგული საბუთის აღდგენის შეუძლებლობას; გ)განცხადებას თან არ ერთვის მტკიცებულებები (სამოქალაქო აქტის დაკარგული ჩანაწერის აღდგენის შეუძლებლობის შესახებ, დოკუმენტში შესწორების შეტანის ან უზუსტობის აღმოფხვრის შეუძლებლობის შესახებ, დუბლიკატის გაცემაზე უარის თქმის შესახებ), მაშინ სასამართლო სსსკ-ის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად (ანალოგიით), განჩინებით განცხადებას არ მიიღებს წარმოებაში. თუ განცხადების ხარვეზი გამოვლინდა მისი წარმოებაში მიღების შემდეგ, სასამართლო გამოიტანს განჩინებას ამ განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ სსსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის ანალოგიით.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვისთვის საქმის მომზადების დროს, მოსამართლეს საჭიროების შემთხვევაში სსსკ-ის 203-ე მუხლის შესაბამისად შეუძლია მოითხოვოს დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა და განახორციელოს საქმის განხილვის მომზადებასთან დაკავშირებული სხვა მოქმედებები.

იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ საქმეებზე შეუძლებელია გამოყენებულ იქნეს არასათანადო განმცხადებლის სათანადო განმცხადებლით შეცვლის ინსტიტუტი. არასათანადო განმცხადებლად მიიჩნევა პირი, რომელსაც საქმის განხილვისას არა აქვს იურიდიული ინტერესი, ანუ საქმეზე გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტს მისთვის არ ექნება იურიდიული მნიშვნელობა. თუ სასამართლოს მიერ ასეთი საქმე წარმოებაშია მიღებული, მაშინ სასამართლომ იგი უნდა შეწყვიტოს სსსკ 272-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით (ანალოგიით), რადგან განმცხადებლისათვის ფაქტის იურიდიული მნიშვნელობის არქონა მიგვანიშნებს ერთ-ერთი პირობის არსებობაზე – საქმე არ ექვემ-

დებარება სასამართლოს უწყებრივად განსახილველად.[428]

იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ საქმეები უნდა განიხილოს სასამართლომ სსსკ-ის 312-316-ე მუხლებით დადგენილი წესების მიხედვით, განმცხადებლისა და საქმის გადაწყეტაში დაინტერესებული პირების მონაწილეობით. თუ სასამართლომ არ მოიწვია ამ საქმის განხილვით დაინტერესებული პირები და იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ დაინტერესებულმა პირებმა გაიგეს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ[429], მათ უფლება აქვთ გააასაჩივრონ გადაწყვეტილება სააპელაციო წესით, მოითხოვონ მისი გაუქმება და საქმის საერთო სასარჩელო წესით განხილვა[430] ხოლო, თუკი გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში, დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ ამ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს მისი ბათილად ცნობის შესახებ სსსკ-ის 422-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად.[431]

თუკი იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ საქმის განხილვის დროს აღიძრა დავა ისეთი უფლებების შესახებ, რომელიც სასამართლოს უწყებრივად ექვემდებარება, ანდა თვით სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ მოცემულ საქმეში ფაქტის დადგენა დაკავშირებულია უფლების თაობაზე დავის სასამართლო წესით გადაწყვეტის აუცილებლობასთან,[432] ასეთ შემთხვევაში სსსკ-ის 311-ე მეორე ნაწილის თანახმად, სასამართლო განცხადებას განუხილველად დატოვებს და დაინტერესებულ პირებს განუმარტავს, რომ მათ უფლება აქვთ წარადგინონ სარჩელი საერთო საფუძველზე. მითითებული ნორმით, უდავო წარმოების წესით საქმის განხილვამდე და გადაწყვეტილების გამოტანამდე, სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს, შესაძლებელია თუ არა

---

428 ზ.ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები, თბ.,2007,გვ. 37.

429 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 15 სექტემბრის განჩინება საქმეზე № ას-695-915-2008.

430 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 ნოემბრის განჩინება საქმეზე № ას-828-777-2010.

431 თ.ლილუაშვილი/ ვ.ხრუსტალი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა უდავო წარმოების წესით იურიდიული ფაქტების დადგენის შესახებ, თბ., 2003. გვ. 34.

432 თ.ლილუაშვილი, სამოქალაქო პროცესის საკითხები საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში, ნაწილი I. თბ., 2002, გვ. 125.

აღიძრას დავა უფლების შესახებ და მიიღოს ზომები, რომ განსახილველი ფაქტის შესახებ შეატყობინოს სავარაუდოდ დაინტერესებულ პირებს. ამდენად, უნდა დავასკვნათ, რომ უდავო წარმოებით განსახილველი საქმე სასარჩელო წარმოებით განსახილველი შეიძლება გახდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეზე აღიძვრის დავა უფლებების შესახებ.[433]

„სასამართლომ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში არ არსებობდა, სსსკ-ის 311-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოება განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე, შესაბამისად, მოთხოვნა ვერ იქნებოდა განხილული სასარჩელო წესით".[434]

იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება უნდა აკმაყოფილებდეს სსსკ-ის 249-ე მუხლის მოთხოვნებს, მათ შორის, გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იყოს მტკიცებულებებზე, რომელთა საფუძველზეც სასამართლომ გააკეთა დასკვნა ფაქტის არსებობა-არარსებობის შესახებ, აგრეთვე ფაქტებზე, რომელიც სასამართლომ ჩათვალა დადგენილად. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ჩამოყალიბებას, რადგან ფაქტის რეგისტრაცია და შესაბამისი დოკუმენტების გაფორმება სწორედ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მიხედვით უნდა მოხდეს. ასე, მაგალითად, პირთა ნათესაური კავშირის დადგენის შესახებ საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში სასამართლო მიუთითებს, თუ როგორი სახის ნათესაურ კავშირში იმყოფება განმცხადებელი შესაბამის პირთან.

პირის კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის დადგენის შესახებ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში ფიქსირდება კმაყოფაზე ყოფნის არსებობა.

ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის დადგენის შესახებ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში უნდა მიეთითოს იმ პირთა ანკეტური მონაცემები, რომელთა მიმართაც გამოტანილია გადაწყვეტილება, ქორწინების რეგისტრაციის ადგილი,

---

433 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 15 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ას-695-915-2008.

434 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 13 იანვრის განჩინება საქმეზე №ას-958-916-2013; სუსგ 2014 წლის 11 მარტის განჩინება საქმეზე №ას-1085-1035-2013.

დაქორწინების დრო.

უფლების დამდგენი საბუთის პირისადმი კუთვნილების ფაქტის დადგენის შესახებ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს: მითითებას დოკუმენტების განმასხვავებელი ნიშნების შესახებ (დასახელება, ვის მიერ და ვის სახელზეა გაცემული, გაცემის თარიღი, დრო და ა.შ.), იმ პირის გვარს, სახელს, მამის სახელი (პასპორტის ან დაბადების მოწმობის მიხედვით), რომელსაც ეკუთვნის დოკუმენტი.

მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა და სამკვიდროს გახსნის ადგილის დადგენის შესახებ საქმეზე გამოტანილ სასამართლოს გადაწყვეტილებაის სარეზოლუციო ნაწილში აღინიშნება: სამკვიდროს გახსნის დრო და ადგილი; სამკვიდროს მიღების დრო; პირი, რომელიც ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს მართვას ან ფლობას.

სსსკ-ის 316-ე მუხლის თანახმად, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება ფაქტის დადგენის შესახებ, რომელიც რეგისტრირებულ უნდა იქნეს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში ან სხვა ორგანოში, წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ საფუძველს ასეთი რეგისტრაციისა და გაფორმებისათვის, მაგრამ ვერ შეცვლის ამ ორგანოების მიერ გასაცემ დოკუმენტებს. ასე, მაგალითად, თუ სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილია ქორწინების, განქორწინების, და ა.შ. რეგისტრაციის ფაქტი, სასამართლოს გადაწყვეტილება უშუალოდ ვერ შეცვლის გასაცემ დოკუმენტს (ქორწინების ან განქორწინების მოწმობა და ა.შ.)[435].

გამომდინარე იქიდან, რომ უდავო წარმოების წესით საქმეებს სასამართლო განიხილავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესებით, სასამართლო გადაწყვეტილება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის თაობაზე, შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში. [436] სსსკ-ის 364-ე და 391-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნა, რომ გადაწყვეტილების სააპელაციო და საკასაციო წესით გასაჩივრება შეუძლიათ მხოლოდ მხარეებსა და მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, ვერ გავრცელდება უდავო წარმოების წესით გამოტანილ სა-

---

435 ა.კობახიძე, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2003, გვ. 357.

436 თ.ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა,თბ., 2005, გვ.438. თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო პროცესის საკითხები საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში, ნაწილი I. თბ., 2002, გვ. 125.

სამართლო გადაწყვეტილებებზე იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ,[437] რადგან ასეთი წარმოების დროს არის მხოლოდ განმცხადებელი, ასევე დაინტერესებული პირები და არ არიან მხარეები, მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, თანამონაწილეები.[438] აქედან გამომდინარე, იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლია როგორც განმცხადებელს, ასევე ყველა დაინტერესებულ პირს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ამ ფაქტის დადგენა/არდადგენით შეილახა მათი უფლება, ხოლო თუკი გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში, მაშინ დაინტერესებულ პირებს სსსკ-ის 422-ე მუხლის „გ" ქვეპუნქტის მიხედვით, შეუძლიათ მიმართონ ამ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს მისი ბათილად ცნობის შესახებ. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ უდავო წარმოების წესით გამოტანილი გადაწყვეტილება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ, ვერ დაედება საფუძვლად სასარჩელო წარმოების წესით გამოტანილი გადაწყვეტილების სააპელაციო თუ საკასაციო წესით გაუქმებას.[439]

§ 3. მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება და მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადება

I. პრეზუმფციის სამართლებრივი მნიშვნელობა

სამართალში ზოგადად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს პრეზუმფციას (ვარაუდს). დაუდასტურებელი მოვლენა ან ფაქტი მიიჩნევა, ივარაუდება არსებულად, დადასტურებულად და მას სამართლებრივი შედეგი უკავშირდება. ამგვარი პრეზუმფციების არსებობა იმისთვისაა საჭირო, რომ ურთიერთობის მონაწილენი გაურკვეველ, ბუნდოვან მდგომარეობაში არ აღმოჩნდნენ და მათი

437 თ.ლილუაშვილი/ვ.ხრუსტალი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა უდავო წარმოების წესით იურიდიული ფაქტების დადგენის შესახებ, თბ., 2003. გვ. 46.

438 ზ.ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები, თბ.,2007, გვ. 39.

439 თ.ლილუაშვილი, სამოქალაქო პროცესის საკითხები საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში, ნაწილი I. თბ., 2002, გვ. 126.

სამართლებრივი სტატუსი ჰაერში არ იყოს გამოკიდებული.[440] პრეზუმფცია წარმოადგენს ვარაუდს ამა თუ იმ ფაქტის არსებობის შესახებ. პრეზუმფციების მეშვეობით კანონმდებელი ანაწილებს მტკიცების ტვირთს[441] და იგი არის მტკიცების ტვირთის გამოხატვის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმა. [442]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (სსკ-ი) 21-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ფიზიკური პირი შეიძლება სასამართლო გადაწყვეტილებით აღიარებულ იქნეს უგზო-უკვლოდ დაკარგულად, თუ მისი ადგილსამყოფელი უცნობია და ორი წლის მანძილზე იგი არ გამოჩენილა თავის საცხოვრებელ ადგილას. სსკ-ის 22-ე მუხლის თანახმად, პირი შეიძლება სასამართლოს წესით გამოცხადდეს გარდაცვლილად, თუ მის საცხოვრებელ ადგილას ხუთი წლის განმავლობაში არ მოიპოვება ცნობები ამ პირის ადგილსამყოფელის შესახებ, აგრეთვე, თუ იგი უგზო-უკვლოდ დაიკარგა ისეთ გარემოებაში, რომელიც მას სიკვდილს უქადდა, ანდა სავარაუდოა მისი დაღუპვა რაიმე უბედური შემთხვევის გამო და ასეთი ცნობები ექვსი თვის განმავლობაში არ მოიპოვება. სამხედრო მოსამსახურე ან სხვა პირი, რომელიც უგზო-უკვლოდ დაიკარგა საომარ მოქმედებებთან დაკავშირებით, შეიძლება სასამართლო წესით გამოცხადდეს გარდაცვლილად არა უადრეს ორი წლის გასვლისა საომარი მოქმედებების დამთავრების დღიდან.

მოცემული კატეგორიის საქმეთა მნიშვნელობა დიდია, რამეთუ საცხოვრებელ ადგილას პირის ხანგრძლივად არყოფნამ ისეთ შემთხვევებში, როცა მისი ადგილსამყოფელი უცნობია, შესაძლოა ხელყოს იმ პირთა ინტერესები, რომლებიც უგზო-უკვლოდ დაკარგულთან გარკვეული სამართალურთიერთობებით არიან დაკავშირებულნი. [443] სწორედ ამიტომ, აღნიშნული უფლებების (ინტერესების) დასაცავად კანონი ითვალისწინებს მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ან გარდაცვლილად გამოცხადების შესაძლებლობას. უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ან გარდაცვლილად

440 ლ.ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, გვ. 189.

441 ი.გაგუა, მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, თბ., 2013, გვ.35.

442 თ.ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი (მეორე გამოცემა), თბ., 2005, გვ. 229.

443 შ.ქურდაძე/ნ.ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2015, გვ.486.

გამოცხადება მხოლოდ სასამართლო[444] წესითაა შესაძლებელი.[445] ამ საქმეებს განიხილავს მოსამართლე (მაგისტრატი მოსამართლე) [446] ან სასამართლოს შესაბამისი მოხელე სსსკ-ის 321[1]-ე მუხლით დადგენილი წესით.

II. მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა და მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ საქმეთა განხილვის თავისებურებანი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ამ კატეგორიის საქმეთა მიმართ ადგენს ტერიტორიული განსჯადობის წესს, კერძოდ, სსსკ-ის 317-ე მუხლის თანახმად, განცხადება მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა ან მოქალაქის გარდაცვლიდან გამოცხადების შესახებ შეიტანება სასამართლოში დაინტერესებული პირის მიერ განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუ განმცხადებელი ფიზიკური პირია, მაშინ განცხადება შეიტანება მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო, თუ განმცხადებელი იურიდიული პირია, მაშინ განცხადება შეიტანება მისი იურიდიული მისამართის მიხედვით. მაგალითად, ბანკს ან სხვა საკრედიტო დაწესებულებებს უფლება აქვს შეიტანოს სასამართლოში განცხადება კრედიტის ამღები ფიზიკური პირის დაკარგულად აღიარების ან გარდაცვილად გამოცხადების შესახებ, თუკი ადგილი ექნა სსკ-ის 21-ე ან 22-ე მუხლებით გათვალისწინებულ საფუძვლებს.[447]

სსკ-ის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ კანონით მემკვიდრეები მოიპოვებენ უფლებამომოსილებას, უკვალოდ დაკარგულის ქონება მართონ მინდობილი საკუთრების სახით, მათ შორის, მიიღონ მისგან სარგებელი. ამ ქონებიდან მიეცემა სარჩო უგზო-უკვლოდ დაკარგულის რჩენაზე მყოფ პირებს და დაიფარე-

---

444 საქართველოს უზენაესი სასამართლო, პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის, თბ., 2010, გვ. 56.

445 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 იანვრის განჩინება საქმეზე №ას-681-637-2010.

446 ე.გასიტაშვილი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, რჩეული მუხლები, მუხლი 14, თბ., GIZ, 2020, გვ. 195

447 ზ.ძლიერიშვილი, უდავო წარმოება, თბ., 2000, გვ. 28.

ბა ვალები.[448] ფიზიკური პირის გარდაცვლილად გამოცხადება კი იწვევს იგივე სამართლებრივ შედეგებს, რასაც პირის ფიზიკური (ბუნებრივი) სიკვდილი. გარდაცვალება არა მხოლოდ უფლებაუნარიანობის შეწყვეტას იწვევს, არამედ მნიშვნელოვანი სამართლებრივი შედეგის დადგომის საფუძველიცაა, კერძოდ, იხსნება მემკვიდრეობა. ამიტომ ბუნებრივია იმ პირთა დაინტერესება, რომლებიც პოტენციურ მემკვიდრეებს წარმოადგენენ და მამკვიდრებლის სიცოცხლის ან გარდაცვალების შესახებ დიდი ხნის მანძილზე არავითარი ინფორმაცია არ გააჩნიათ. ასეთი შემთხვევებისათვის სამოქალაქო კოდექსი განამტკიცებს გარდაცვლილად გამოცხადების პრეზუმფციას – ვარაუდს, რომ პირი გარდაცვლილია.[449]

კანონი არ განსაზღვრავს, თუ ვინ შეიძლება იყოს დაინტერესებული პირი, რომელიც სასამართლოში უდავო წარმოების საქმეს დაიწყებს პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების თაობაზე. სასამართლო ვალდებულია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გამოარკვიოს, რამდენადაა სახეზე განმცხადებელი პირის იურიდიული ინტერესი. ფიზიკური პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ან გარდაცვლილად გამოცხადების იურიდიული ინტერესი შეიძლება ჰქონდეთ იმ პირებს, რომლებსაც შეუძლიათ მიიღონ ქონება მემკვიდრეობით (მემკვიდრეებს), უგზო-უკვლოდ დაკარგულის რჩენაზე მყოფ პირებს, ასევე კრედიტორებს.[450] პირის გარდაცვლილად გამოცხადების იურიდიული ინტერესი შეიძლება ჰქონდეთ და შესაბამისად, პირის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ განცხადება სასამართლოში შეიძლება შეიტანონ სახელმწიფომ, მოხუცთა, ინვალიდთა, სამკურნალო, აღმზრდელობითი და სოციალური დაცვის სხვა დაწესებულებებმა, იურიდიულმა პირებმა სსკ-ის 1343-ე მუხლით (უმკვიდრო ქონება) გათვალისწინებულ შემთხვევაში.[451]

მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა ან მისი გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ განცხადების შინაარსი უნდა პასუხობდეს, როგორც საერთო მოთხოვნებს, რაც ზოგადად

448 ს.ჯორბენაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 21, ველი 8, თბ., 2017.

449 ლ.ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, გვ. 190.

450 საქართველოს უზენაესი სასამართლო, პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის. თბ., 2010, გვ. 58.

451 იქვე, გვ. 59.

წაეყენება ნებისმიერ განცხადებას, ასევე სსსკ-ის 318-ე მუხლით განსაზღვრულ სპეციალურ მოთხოვნებს.[452] განცხადებაში უნდა აღინიშნოს, [453] თუ რა მიზნისთვის სჭირდება განმცხადებელს მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ან გარდაცვილად გამოცხადება[454] (ქორწინების შეწყვეტა, პენსიის (სარჩოს) მიღება მარჩენალის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ვადამოსული ფულადი ვალდებულებების შესრულება, უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ბავშვის გაშვილება, სამკვიდროს გახსნა და ა.შ).[455] სასამართლოსადმი მიმართვის მიზნის მითითება, პირველ ყოვლისა, საშუალებას იძლევა შემოწმდეს, აქვს თუ არა განმცხადებელს იურიდიული ინტერესი, [456] ასევე ეხმარება სასამართლოს განსაზღვროს დაინტერესებულ პირთა წრე, რომლებიც ჩართულ უნდა იქნენ საქმეში მონაწილეობის მისაღებად. [457]

დაინტერესებული პირის განცხადება, გარდა მისი ინტერესისა, უპირველეს ყოვლისა, ორ ძირითად გარემოებას უნდა ეფუძნებოდეს, კერძოდ, არ უნდა მოიპოვებოდეს პირის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაცია და იგი ორი წლის მანძილზე არ უნდა იყოს მის საცხოვრებელ ადგილას გამოჩენილი. [458]

განცხადებაში აუცილებლად უნდა იქნეს აღნიშნული აგრეთვე ის გარემოებანი, რომლითაც დასტურდება მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგვა. ასეთი გარემოებანი შეიძლება იყოს ნებისმიერი მონაცემები, რომელიც ადასტურებს პირის გამოუჩენლობას მის საცხოვრებელ ადგილას კანონით დადგენილი ვადის განმავლობაში და მისი ადგილსამყოფელის დადგენის შეუძლებლობა, მაგალითად,

---

452 თ.ლილუაშვილი/ვ.ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, თბ., 2007, გვ.555

453 ი.გაგუა, მტკიცებულებები და მტკიცების პროცესი კერძო ხასიათის სამართლებრივ დავებზე, თბ, 2020, გვ.313.

454 თ.ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა,თბ., 2005, გვ.439. თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო პროცესის საკითხები საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში, ნაწილი I. თბ., 2002, გვ. 125.

455 ზ.ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები, თბ.,2007, გვ. 45.

456 შ.ქურდაძე/ნ.ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2015, გვ.487.

457 თ.ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა,თბ., 2005, გვ.439.

458 ს.ჯორბენაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 21, ველი 5, თბ., 2017.

უარყოფითი პასუხები სავარაუდო ადგილსამყოფელიდან, სამუშაო ადგილიდან და ა.შ.

იმ შემთხვევაში, თუ პირის მიმართ ხორციელდება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება და იგი შეგნებულად თავს არიდებს გამოჩენას, მისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გასაჯაროებას და სხვა, ასეთი ქმედება არ ჩაითვლება პირის უგზო-უკვლოდ დაკარგვად. ხოლოდ საქართველოს საზღვრის გადაკვეთა არ წარმოადგენს განსახილველი ნორმის სამართლებრივ საფუძველს, რაც სასამართლოს მიერ უნდა იქნეს სამართლებრივი წინაპირობების სახით გაზიარებული. [459]

განცხადებაში უნდა აღინიშნოს ისეთი გარემოებებიც, რომლებიც უგზო-უკვლოდ დაკარგულს სიკვდილის საფრთხეს უქმნიდა (მაგალითად, წყალდიდობა, ზვავი, მეწყერი და ა.შ.), ანდა საფუძველს იძლევა მისი დაღუპვის ვარაუდისათვის გარკვეული უბედური შემთხვევის შედეგად (მაგალითად, ავიაკატასტროფა, გემის ჩაძირვა და ა.შ.). ასევე უნდა მიეთითოს ის ფაქტებიც, რომლებიც ადასტურებს პირის გამოუცხადებლობას მის საცხოვრებელ ადგილას ექვსი თვის განმავლობაში. განცხადებაში სამხედრო მოსამსახურის ან სხვა პირის გარდაცვლიდან გამოცხადების შესახებ, რომელიც უგზო-უკვლოდ დაიკარგა საომარ მოქმედებასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს ისეთი გარემოებები, როგორიცაა: ძებნის მონაცემები, უარყოფითი პასუხები შესაბამის მიმართვებზე და ა.შ., ასევე ორი წლის გასვლა საომარი მოქმედებების დამთავრებიდან. [460]

განცხადების შინაარსი, უნდა აკმაყოფილებდეს სსსკ-ის 318-ე მუხლის მოთხოვნებს. თუ განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ გამოირკვა, რომ განმცხადებელი არ არის დაინტერესებული პირი, მაშინ მოსამართლემ განცხადება განუხილველად უნდა დატოვოს სსსკ-ის 275-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის ანალოგიით.[461]

მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ან გარდაცვლილად გამოცხადება დაკავშირებულია მნიშვნელოვან სამართლებრივ შედეგებთან. ამიტომაც სასამართლო განხილვისათვის საქმის მომზადებისას მოსამართლემ (ან სასამართლოს შე-

459 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 05 აპრილის განჩინება საქმეზე №ას-1612-1513-2012.

460 ს.ჯორბენაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 22, ველი 8, თბ., 2017.

461 ზ.ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები, თბ.,2007, გვ. 46.

საბამისმა მოხელემ) უნდა იმოქმედოს სსსკ-ის 319-ე და 203-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით. მოსამართლემ უნდა გამოარკვიოს, თუ რომელ პირებს შეუძლიათ მიაწოდონ ცნობები დაკარგულის შესახებ, აგრეთვე გამოჰკითხავს სათანადო ორგანოებს დაკარგული პირის შესახებ მისი უკანასკნელი საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის მიხედვით.[462]

პირის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ განცხადების შეტანის შემთხვევაში, თუკი იგი უგზო-უკვლოდ დაიკარგა ისეთ გარემოებაში, რომელიც მას სიკვდილს უქადდა, ანდა სავარაუდოა მისი დაღუპვა რაიმე უბედური შემთხვევის გამო, [463] მოსამართლემ სასამართლო განხილვისათვის საქმის მომზადების პროცესში უნდა გამოითხოვოს დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ აღნიშნული გარემოებების არსებობას, ხოლო ასეთი დოკუმენტების არარსებობისას სსსკ-ის 203-ე მუხლის „კ" ქვეპუნქტის შესაბამისად უნდა გადაწყვიტოს სასამართლო სხდომაზე მოწმეთა დაბარების საკითხი. მოსამართლემ უნდა გამოარკვიოს ასევე, განზრახ ხომ არ არიდებს პირი თავს საცხოვრებელ ადგილზე გამოცხადებაზე იმის გამო, რომ ჩადენილი აქვს დანაშაული, ან არ სურს აანაზღაუროს მიყენებული ზიანი და ა.შ. ამასთან დაკავშირებით მოსამართლემ უნდა გააგზავნოს მიმართვები შესაბამის ორგანოებში, დაკითხოს სავარაუდოდ დაკარგული პირის ახლობლები. მოსამართლემ არ უნდა დაიწყოს საქმის არსებითი განხილვა იმ დრომდე, სანამ შესაბამისი ორგანოებიდან არ მიიღებს პასუხს თავის მიმართვებზე. მოსამართლემ საქმის განხილვისას უნდა მოიწვიოს ამ საქმის განხილვით დაინტერესებული პირებიც. [464]

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამრთლო. ამავე კანონის მე-11 მუხლის თანახმად, უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა და გარდაცვლილად გამოცხადების საქმეებზე საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ, თუ: ა) უგზო-უკვლოდ დაკარგული

462 თ. ლილუაშვილი/ვ.ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, თბ., 2007, გვ.556

463 შ.ქურდაძე/ნ.ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2015, გვ.490.

464 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 03 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-19-17-2013.

საქართველოს მოქალაქეა; ბ) უგზო-უკვლოდ დაკარგულს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს; გ) უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა და გარდაცვლილად გამოცხადებისათვის შუამდგომლობის აღმძვრელ მხარეს აქვს დასაბუთებული ინტერესი.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა ნიშნავს იმას, რომ თავისი ძალამოსილებით და სამართლებრივი შედეგებით, იგი უთანაბრდება იმ სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილებებს, რომელმაც ცნო ეს გადწყვეტილება.[465]

„საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში უნდა დაკმაყოფილდეს შუამდგომლობა უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ, რომლითაც ფიზიკური პირი ცნობილი იქნა უგზო-უკვლოდ დაკარგულად.“ [466] ანალოგიურად გადაწყდა საკითხი სხავ შემთხვევაშიც. [467]

პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისათვის ან გარდაცვლილად გამოცხადებისათვის დადგენილი ვადის მსვლელობა იწყება იმ დღის შემდგომი დღიდან, როდესაც მიღებულ იქნა უკანასკნელი ცნობები მისი ადგილსამყოფელის შესახებ. [468] თუ ამ დღის დადგენა შეუძლებელია, მაშინ ვადა იწყება მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, როდესაც მიღებულ იქნა სავარაუდო დაკარგულის ადგილსამყოფელის შესახებ უკანასკნელი ცნობები, ხოლო თვის დადგენის შეუძლებლობის შემთხვევაში – შემდეგი წლის პირველი რიცხვიდან.[469]

პირის გარდაცვლილად გამოცხადებისას, გარდაცვალების დღედ ჩაითვლება სსსკ-ის 264-ე მუხლით დადგენილი წესით, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღე. [470]

---

465 თ.ლილუაშვილი/ბ.ლილუაშვილი, საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართალი, თბ., 2020, გვ.187.

466 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 25 ივლისის განჩინება საქმეზე №ა-2265-ზ-59-2019.

467 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 18 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ა-3513-ზ-90-2019.

468 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ივლისის განჩინება საქმეზე №ა-2265-ზ-65-2014.

469 ზ. ძლიერიშვილი, უდავო წარმოება, თბ., 2000, გვ. 32.

470 ს.ჯორბენაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 22, ველი9, თბ., 2017.

სასამართლოს სსკ-ის 22-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, შეუძლია პირის სიკვდილის დღედ აღიაროს მისი სავარაუდო დაღუპვის დღე.[471]

იმ შემთხვევაში, თუ დადგენილი არ არის საომარი მოქმედებების დასრულების ზუსტი თარიღი, ან არ მოიპოვება ზუსტი სამართლებრივი დოკუმენტი აღნიშნულის თაობაზე, სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს სსკ-ის 23-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. შესაბამისად, ამ პირის გარდაცვალების დღედ უნდა იქნეს მიჩნეული საომარი მოქმედებების დასრულების წლიდან მომდევნო ორი წლის გასვლის შემდეგ, წლის უკანასკნელი კალენდარული დღე.[472]

გერმანიაში უგზო-უკვლოდ დაკარგულად და გარდაცვლილად გამოცხადების საქმეები რეგულირდება „უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ" კანონით.[473]

III. მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა და მოქალაქის გარდცვლილად გამოცხადების შესახებ საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილების თავისებურებანი

პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ან გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება უნდა აკმაყოფილებდეს სსსკ-ის 249-ე მუხლის მოთხოვნებს. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში სასამართლო პირს აღიარებს უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან აცხადებს გარდაცვლილად (ანდა საკმარისი მტკიცებულებების არარსებობისას უარს ამბობს განცხადების დაკმაყოფილებაზე). სასამართლოს უფლება არა აქვს თავისი ინიციატივით უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების მაგივრად პირი გამოაცხადოს გარდაცვლილად, რამეთუ მოთხოვნის საგნის ან საფუძველის შეცვლის უფლება გააჩნია მხოლოდ განმცხადებელს (სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის ანალოგიით, სსსკ-ის 248-ე მუხლი). გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში სასამართლო აღნიშნავს პირის სახელსა და გვარს, დაბადების წელ-

471 დ.კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, გვ.114.

472 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 იანვრის განჩინება საქმეზე №ას-681-637-2010.

473 Schellhammer K., Zivilprozess, Gssetz-praxis falle, 12 neu bearbeitete Auflage, Heidelberg, 2007.S.661

სა და ადგილს, უკანასკნელ საცხოვრებელ ადგილს, უგზო-უკვლოდ დაკარგვის ან გარდაცვალების სავარაუდო დღეს, თუკი ის ცნობილია.

თუ სასამართლოში საქმის განხილვისას დადგენილ იქნება იმ პირის ადგილსამყოფელი, რომლის მიმართაც აღძრულია საქმე უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ან გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ, ან თუ საცხოვრებელ ადგილას გამოუცხადებლობის ვადა არ შეესაბამება კანონით დადგენილ ვადას, ან თუ არ არსებობს საკმარისი მტკიცებულებანი, სასამართლო თავის გადაწყვეტილებით უარს ეტყვის განმცხადებელს განცხადების დაკმაყოფილებაზე.[474]

პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შემთხვევაში, არ იხსნება მემკვიდრეობა.[475] სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც მოქალაქე აღიარებულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად, წარმოადგენს საფუძველს იმისათვის, რომ უგზო-უკვლოდ დაკარგულის ქონება მინდობილი საკუთრების სახით სამართავად გადაეცეს მის კანონით მემკვიდრეებს.[476] მემკვიდრეები ვალდებულნი არიან ქონების მართვისას დაიცვან სსკ-ის 725-729-ე და 21-ე მუხლების მოთხოვნები. სასამართლო გადაწყვეტილებაში ნათლად და გარკვევით უნდა იყოს მითითებული, თუ რა ქონება და ვის გადაეცა სამართავად. უგზო-უკვლოდ დაკარგულად ცნობილი პირის ქონებიდან, მიეცემა სარჩო მის რჩენაზე მყოფ პირებს და დაიფარება ვალები. სამოქალაქო აქტების შესახებ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ბ.ბ ქვეპუნქტის თანახმად, განქორწინების რეგისტრაციის მოთხოვნით სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოსათვის მიმართვის უფლება აქვს ერთ-ერთ მეუღლეს, თუ მეორე მეუღლე სასამართლოს მიერ აღიარებულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად.

სსსკ-ის 320-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც მოქალაქე გამოცხადებულია გარდაცვლილად, წარმოადგენს საფუძველს იმისათვის, რომ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანომ განახორციელოს გარდაცვალების რეგისტრაცია. მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადებას უკავშირდება ყველა ის სამართლებრივი შედეგი, რაც

474 ლ.ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, გვ.194.
475 თ.ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2005, გვ. 440.
476 ს.ჯორბენაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 21, ველი 9, თბ., 2017.

ზოგადად პირის გარდაცვალებას.[477]

გარკვეული თავისებურებები არსებობს პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა ან გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ობიექტური ფარგლების მიმართ. ასეთი გადაწყვეტილება განმცხადებლის მიერ შეიძლება გამოყენებულ იქნეს არა მარტო განცხადებაში მითითებული უფლებების დაცვის მიზნით (სასამართლოში მიმართვის მიზანი), არამედ სხვა უფლებების დაცვის მიზნითაც, რომელიც არ იყო მითითებული განცხადებაში. მაგალითად, თუ გამოტანილია გადაწყვეტილება მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ საქმეზე, სადაც განმცხადებლის მიზანი იყო უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთან დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება (მაგალითად, სესხად გაცემული თანხის დაბრუნება), ეს გადაწყვეტილება შეიძლება ასევე გამოყენებულ იქნეს უგზო-უკვლოდ დაკარგული მშობლის თანხმობის გარეშე, ბავშვის შვილად აყვანის მიზნით (სსკ-ის 1254-ე მუხლი).

რადგან პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ან გარდაცვლილად გამოცხადება ყოველთვის ეფუძნება პრეზუმფციას (ვარაუდს), არ არის გამორიცხული, რომ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, ეს პირი გამოჩნდეს თავის საცხოვრებელ ადგილას ან აღმოჩენილ იქნეს მისი ადგილსამყოფელი.[478] აღნიშნული გარემოებები უნდა დადასტურდეს უტყუარად სასამართლოს წინაშე თვითონ ამ პირის გამოცხადებით ან ოფიციალური ცნობით მისი ადგილსამყოფელის დადგენის შესახებ.[479] ასეთ შემთხვევაში, სსსკ-ის 321-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სასამართლო დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე განაახლებს საქმის წარმოებას და გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას იმავე წარმოებაში, რომელშიც პირი აღიარებულ იქნა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გამოცხადდა გარდაცვლილად. ახალი საქმის აღძვრა საჭირო არ არის. განმცხადებელი შეიძლება იყოს როგორც ის პირი, რომელიც სასამართლოს მიერ აღიარებულ იქნა უგზო-უკვლოდ დაკარ-

---

477 ს.ჯორბენაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 23, ველი 1, თბ., 2017.

478 თ.ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2005, გვ. 440.

479 ს.ჯორბენაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 23, ველი 3, თბ., 2017.

გულად ან გამოცხადდა გარდაცვლილად, ასევე ის პირები, რომელთა განცხადების საფუძველზეც იქნა გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება. ეს განცხადება არ ექვემდებარება სახელმწიფო ბაჟის გადახდას, რამეთუ ადგილი აქვს ადრინდელი საქმის გაგრძელებას. განცხადების განხილვის შემდეგ სასამართლოს გამოაქვს ახალი გადაწყვეტილება (და არა განჩინება).[480]

როგორც წესი, სსსკ-ის 265-ე მუხლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ წესით, რაც დადგენილია ამ კოდექსით. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის გზაა საქმის წარმოების განახლება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო (სსსკ-ის 421-ე მუხლი). მხოლოდ ერთი შემთხვევა „ვარდება" ზოგადი წესიდან: სსსკ-ის 321-ე მუხლის შესაბამისად, უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული ან გარდაცვლილად გამოცხადებული მოქალაქის გამოჩენის ან მისი ადგილსამყოფელის აღმოჩენის შემთხვევაში სასამართლო ახალი გადაწყვეტილებით აუქმებს თავის წინანდელ გადაწყვეტილებას. უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში უქმდება ამ პირის ქონების მინდობილი საკუთრების უფლებით სხვა პირზე სამართავად გადაცემა. [481]

როგორც პირის გარდაცვლილად გამოცხადებაა მნიშვნელოვანი, ასევე მნიშვნელოვანია გარდაცვლილად გამოცხადებულის დაბრუნების სამართლებრივი შედეგები. [482] პირის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება ამ პირის უფლების აღდგენის სამართლებრივ წინაპირობას წარმოადგენს. [483] ახალი გადაწყვეტილება ეგზავნება სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს და ეს გადაწყვეტილება წარმოადგენს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში გარდაცვალების აქტის ჩანაწერის გაუქმების საფუძველს, რასაც შედეგად მოჰყვება სსკ-ის 23-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგე-

480 ზ.ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები, თბ.,2007, გვ. 50.

481 ს.ჯორბენაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 21, ველი 17, თბ., 2017.

482 შ.ქურდაძე/ნ.ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2015, გვ.490.

483 დ.კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ.114.

ბი,[484] კერძოდ, დაბრუნების დროის მიუხედავად, [485] პირს უფლება აქვს მოითხოვოს ის შენარჩუნებული ქონება, რომელიც მისი გარდაცვლილად გამოცხადების შემდეგ უსასყიდლოდ გადაეცა სხვა პირს.[486] ის პირი, რომელმაც გარდაცვლილად გამოცხადებული პირის ქონება სასყიდლით შეიძინა, ვალდებულია დაუბრუნოს მას ეს ქონება, თუ დამტკიცდება, რომ ქონების შეძენისას მან იცოდა, რომ გარდაცვლილად გამოცხადებული პირი ცოცხალი იყო. თუ გარდაცვლილად გამოცხადებული პირის ქონება გადაეცა სახელმწიფოს და მან მოახდინა მისი რეალიზაცია, [487] მაშინ გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ, პირს უბრუნდება ქონების რეალიზაციით მიღებული თანხა.[488]

§4. დაკარგულ ან განადგურებულ საწარმდგენლო ფასიან ქაღალდსა და საორდერო ფასიან ქაღალდზე უფლების აღდგენა (გამოწვევითი წარმოება)

I. ზოგადი დებულებები

სასამართლოს მიერ უდავო წარმოების წესით დაკარგულ საწარმდგენლო ფასიან ქაღალდსა და საორდერო ფასიან ქაღალდზე უფლების აღდგენის შესახებ საქმეთა განხილვა, განპირობებულია სამოქალაქო უფლებათა ისეთი ობიექტის სპეციფიკით, როგორიცაა ფასიანი ქაღალდი.[489] ფასიანი ქაღალდი ეწოდება კანონით დადგენილ, სათანადო ფორმით გაფორმებულ დოკუმენტს, რომელიც შეიცავს რაიმე უფლებას და ამ უფლების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ამ ფასიანი ქაღალდის წარდგენის გზით. [490]

---

484 თ.ლილუაშვილი/ვ.ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, თბ., 2007, გვ.558

485 ზ.ძლიერიშვილი, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებების სამართლებრივი ბუნება, თბ., 2010, გვ.281.

486 ზ.ძლიერიშვილი, ჩუქება და სამისდღეშიო რჩენა თბ., 2018, გვ.148.

487 ს.ჯორბენაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 23, ველი 5; 11-13, თბ., 2017.

488 ლ.ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, გვ. 192.

489 თ.ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2005, გვ. 446.

490 ე.ზარნაძე, ფასიანი ქაღალდების ცნება და მათი კლასიფიკაცია, პროფესორ ზურაბ ახვლედიანის 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 2004,

ფასიანი ქაღალდის გადაცემა იწვევს მისით განპირობებული ყველა უფლების გადასვლას.

ფასიან ქაღალდებს მიეკუთვნება: თამასუქი („თამასუქის შესახებ" საქართველოს კანონის ზოგადი განმარტებების თანახმად, თამასუქი არის ფასიანი ქაღალდი, დოკუმენტი, რომლითაც მისი გამცემი პირი კისრულობს უპირობო ვალდებულებას გადაიხადოს თამასუქში ნაჩვენები თანხა პირადად ან სხვას ავალებს მის გადახდას. თამასაუქი შეიძლება იყოს გადასაპირებელი (ტრატა) და მარტივი (სოლო თამასუქი)); ჩეკი, („ჩეკის შესახებ" საქართველოს კანონის ზოგადი განმარტებების თანახმად, ჩეკი არის დადგენილი ფორმის ფასიანი ქაღალდი, რომელიც შეიცავს ჩეკის გამცემის წერილობით დავალებას საბანკო დაწესებულებისადმი გაანაღდოს ჩეკში აღნიშნული თანხა); კონოსამენტი (საქართველოს საზღვაო კოდექსის 119-ე მუხლის თანახმად, კონოსამენტი არის ტვირთის განმკარგავი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს საზღვაო გადაზიდვის ხელსეკრულებას და გადამზიდავის მიერ ტვირთის მიღებას ან დატვირთვას. კონოსამენტის წარდგენისას გადამზიდავი ვალდებულია გასცეს ტვირთი); სასაწყობო მოწმობა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 788-ე მუხლის თანახმად, საქონლის მიღებისას შემნახველი ვალდებუია მიმბარებელს გადასცეს სასაწყობო მოწმობა); ვარანტი(საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 790-ე მუხლის თანახმად, სასაწყობო მოწმობის მფლობელს საგირავნო მოწმობის საშუალებით შეუზლია საწყობში შესანახად მიბარებული საქონელი დააგირავოს სხვა ვალდებულების უზრუნველსაყოფად ისე, რომ საქონელი საწყობიდან არ იყოს გატანილი(ვარანტი); აქცია (მოქმედი „ მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 151-ე მუხლის თანახმად, აქცია არის რეგისტრირებული, დემატერიალიზებული, სახელობითი ფასიანი ქაღალდი, რომელიც განსაზღვრავს სააქციო საზოგადოების კაპიტალში პირის მონაწილეობას.) ტერმინი „აქცია" შესაძლებელია სამგვარად იქნეს გაგებული: ა) როგორც აქციონერის რეალური მონაწილეობა სააქციო საზოგადოებაში; ბ) როგორც დოკუმენტის სახით არსებული ფასიანი ქაღალდი; გ) როგორც წილობრივი მაჩვენებელი, წილი. [491]

ფასიანი ქაღალდიდან გამომდინარე უფლების სხვა პირისათ-

---

491 ი.ბურდული, გ.მახარობლიშვილი, ა.თოხაძე, ნ.ზუბიტაშვილი, გ.ალადაშვილი, გ.მაღრაძე, დ.ეგნატაშვილი, საკორპორაციო სამართალი, თბ., 2021, გვ.510.

ვის გადაცემის ერთ-ერთ აუცილებელ, ხოლო საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდის დროს ერთადერთი პირობაა ქაღალდის გადაცემა. უფლებამოსილი პირის ლეგიტიმაციის წესი უდევს საფუძვლად ფასიანი ქაღალდების ყველაზე გავრცელებულ კლასაიფიკაციას საწარმდგენლო, საორდერო და პირად (სახელობით) ფასიან ქაღალდებად.[492]

სამოქალაქო კანონმდებლობა შემთხვევით არ გამოყოფს საწარმდგენლო ფასიან ქაღალდებსა და საორდერო ფასიან ქაღალდებს, მიუთითებს რა მათზე უფლების აღდგენის სასამართლო ფორმაზე.[493] ამ ფასიან ქაღალდებს უდიდესი ბრუნვაუნარიანობა გააჩნიათ. უფლების აღდგენა ნებისმიერ ფასიან ქაღალდზე განსაზღვრული ხარისხით წინააღმდეგობაში მოდის სასაქონლო ბრუნვასთან, ხელს უშლის იმ მესამე პირების უფლებების განხორციელებას, რომლებიც ფასიანი ქაღალდების ფაქტობრივ მფლობელებს წარმოადგენენ. ამ მიზეზით ზოგიერთ ფასიან ქაღალდზე შესაძლებელია ვინდიკაციის შეზღუდვა მისი მფლობელის მიმართ. მაგალითად, სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არ შეიძლება გამოთხოვილ იქნეს კეთილსინდისიერი შემძენისაგან ფული, ფასიანი ქაღალდები ანდა აუქციონზე გასხვისებული ნივთები.[494]

სასამართლოს მეშვეობით უდავო წარმოების წესით ფასიან ქაღალდებზე უფლების აღდგენა ხასიათდება იმით, რომ ამ დროს ხდება ფასიან ქაღალდებზე ყველა სავარაუდო სუბიექტის როგორც სანივთო (ქონებრივი), ისე ვალდებულებითი უფლებების გათვალისწინება და დაცვა. პირს, რომელმაც დაკარგა საწარმდგენლო ან საორდერო ფასიანი ქაღალდი, შეუძლია მოითხოვოს მასზე უფლების აღდგენა უდავო წარმოების წესით, თუკი მისთვის ცნობილი არ არის საბუთის ხელთმქონე. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიტანება ჩვეულებრივი სარჩელი უკანონო მფლობელობიდან ქონების გამოთხოვის შესახებ.[495]

ფასიანი ქაღალდების სამართლებრივი რეგულირება გათვალ-

---

492 ე.ზარნაძე, ფასიანი ქაღალდების ცნება და მათი კლასიფიკაცია, პროფესორ ზურაბ ახვლედიანის 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 2004, გვ.95-96.

493 შ.ქურდაძე/ნ.ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2015, გვ.502.

494 ლ.თოთლაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, მუხლი 187, ველი 19, თბ., 2018.

495 ზ. ძლიერიშვილი, უდავო წარმოება, თბ., 2000, გვ. 47.

ისწინებულია საქართველოს სამოქალაქო ქოდექსის 911-932-ე მუხლებით[496], საქართველოს კანონით „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ და სხვა ნორმატიული აქტებით. ეს კანონები მხოლოდ ავსებენ ერთმანეთს, მაგრამ გამოწვევითი წარმოებისას მათი კოლიზიის შემთხვევაში, სასამართლო უნდა გამოვიდეს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ცნებებიდან.[497]

სსსკ-ის 328-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, პირს საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდის ან საორდერო ფასიანი ქაღალდის დაკარგვისას ან განადგურებისას, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეუძლია სთხოვოს სასამართლოს დაკარგული ან განადგურებული ფასიანი ქაღალდის ძალადაკარგულად გამოცხადება და მათზე უფლების აღდგენა.

ასე, მაგალითად, სსკ-ის 794-ე მუხლის თანახმად, სასაწყობო ან საგირავნო მოწმობის დაკარგვისას ან მოსპობისას, მის კანონიერ მფლობელს უფლება აქვს განცხადებით მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს დაკარგული დოკუმენტის ბათილად ცნობა და მის ნაცვლად ახალი მოწმობის გაცემა. სასამართლო განცხადებას განიხილავს უდავო წარმოების წესით. სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე შემნახველი ხელახლა გასცემს სასაწყობო ან საგირავნო მოწმობას. [498]

მაშასადამე, სასამართლო წესით (უდავო წარმოება) უფლების აღდგენა დასაშვებია მხოლოდ საწარმდგენლო და საორდერო ფასიან ქაღალდზე. საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდი ისეთი დოკუმენტია, რომელშიც არაა მითითებული კონკრეტული პირი, რომელსაც გააჩნია მოთხოვნის უფლება. ასეთი უფლება წარმოეშობა ნებისმიერ პირს, ვინც წარადგენს ფასიან ქაღალდს. [499] საორდერო ფასიანი ქაღალდი[500] გამოიწერება განსაზღვრულ პირზე, მაგრამ

496 ე.ზარნაძე, ფასიანი ქაღალდების ბრუნვიდან წარმოშობილი ვალდებულებანი, სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, 2002, გვ.12.

497 საქართველოს უზენაესი სასამართლო, პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის, თბ., 2010, გვ. 74.

498 თ.ზარანდია, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, 794-ე მუხლი, ველი 1, თბ., 2016, www.gccc.ge.

499 ე.ზარნაძე, ფასიანი ქაღალდების ცნება და მათი კლასიფიკაცია, პროფესორ ზურაბ ახვლედიანის 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 2004, გვ.96.

500 ე.ზარნაძე, საორდერო ფასიანი ქაღალდი და მისი სამართლებრივი მოწესრიგების ძირითადი ასპექტები, მართლმსაჯულება და კანონი, №2(29)11, თბ.,გვ.52.

იმის მითითებით, რომ ქაღალდში გამოხატული მოთხოვნის უფლება არა მარტო მის პირველ მფლობელს, არამედ ინდოსამენტის (გადასასვლელი ხელმოწერა) არსებობისას, ნებისმიერ სხვა პირსაც გააჩნია.[501]

„თამასუქის შესახებ," ასევე „ჩეკის შესახებ" საქართველოს კანონების თანახმად, ინდოსამენტი არის თამასუქზე (ჩეკზე) წარწერა გადაცემის შესახებ; ინდოსანტი – პირი, რომელმაც წააწერა თამასუქზე (ჩეკზე); ინდოსატი – პირი, რომელმაც მიიღო თამასუქი (ჩეკი) ინდოსამენტით.

საქართველოს საზღვაო კოდექსის 123-ე მუხლის თანახმად, კონოსამენტის გადაცემა ხდება შემდეგი წესების დაცვით: საორდერო კონოსამენტი შეიძლება გადაეცეს სახელობითი ან საბლანკო გადასაცემი წარწერით, ხოლო კონოსამენტი წარმდგენზე კი გაიცემა ჩვეულებრივად. საქართველოს საზღვაო კოდექსის 148-ე მუხლის თანახმად, ტვირთი დანიშნულების ნავსადგურში გადაეცემა კონოსამენტის დედნის მფლობელს: საორდერო კონოსამენტის მიხედვით – მიმღებს ან გამგზავნს, იმის მიხედვით, კონოსამენტი შედგენილია „გამგზავნის ბრძანებით" თუ „მიმღების ბრძანებით," ხოლო თუ კონოსამენტში არის გადასაცემი ჩანაწერი – პირს, რომელიც მითიტებულია უწყვეტი რიგის გადასაცემი წარწერის ბოლოს ან ბოლო საბლანკოწარწერიანი კონოსამენტის წარმდგენს; წარმდგენზე გაცემული კონოსამენტის მიხედვით კი, „კონოსამენტის წარმდგენს."

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 791-ე მუხლის თანახმად, თუ შემნახველი გასცემს საორდერო სასაწყობო მოწმობას, მაშინ ეს მოწმობა შეიძლება გადაეცეს მესამე პირს ინდოსამენტის მეშვეობით. სსკ-ის 793-ე მუხლის თანახმად, შემნახველი, რომელმაც გასცა საორდერო სასაწყობო მოწმობა, ვალდებულია შესანახად მიბარებული საქონელი დაბრუნებისას გადასცეს მხოლოდ სასაწყობო მოწმობის კანონიერ მფლობელს. შემნახველი არ არის ვალდებული შეამოწმოს ინდოსამენტის სისწორე. გადაცემა დასტურდება სასაწყობო მოწმობაზე სათანადო წარწერით. [502]

სახელობითი (პირადი) ფასიანი ქაღალდი განსაზღვრული პირის

---

501 ზ.ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები, თბ., 2007, გვ. 67.

502 თ.ზარანდია, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, 791-ე მუხლი, ველი 2-3, თბ., 2016, www.gccc.ge.

სახელზე შედგენილი დოკუმენტია[503] და მხოლოდ ამ პირს აქვს მოთხოვნის უფლება. პირადი ფასიანი ქაღალდის დაკარგვის ან განადგურების შემთხვევაში არ გამოიყენება გამოწვევითი წარმოების ნორმები.[504]

გამოწვევითი წარმოების წესები გამოიყენება როგორც საწარმდგენლო ან საორდერო ფასიანი ქაღალდის დაკარგვისას (დაკარგვაში იგულისხმება დოკუმენტის არარსებობა ან დოკუმენტის მიერ საგადამხდელო თვისებების დაკარგვა შენახვის შედეგად ან სხვა მიზეზით), ასევე განადგურების შემთხვევაში (მაგალითად, დოკუმენტი დაიხა, გაცვდა, დასველდა და ა.შ.).

გამოწვევითი წარმოების დროს გათვალისწინებულია ტერიტორიული განსჯადობა – სსსკ-ის 328-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, განცხადება შეტანილ უნდა იქნეს საწარმდგენლო ან საორდერო ფასიანი ქაღალდის გამცემი დაწესებულების ადგილმდებარეობის მიხედვით. საბუთის გამცემ დაწესებულებაში უცილობლოდ იგულისხმება ემიტენტი ანუ დაწესებულება, რომელმაც ფასიანი ქაღალდი გამოუშვა.[505]

სსსკ-ის 329-ე მუხლის თანახმად, განცხადებაში უნდა აღინიშნოს დაკარგული ან განადგურებული საბუთის განმასხვავებელი ნიშნები (საბუთის ნომერი, გაცემის თარიღი და ა.შ.), საბუთის გამცემი დაწესებულების ზუსტი სახელწოდება და მისამართი; გარემოებები, რომელთა გამო ან რომელთა არსებობის პირობებში მოხდა საბუთის დაკარგვა თუ განადგურება. [506] დაკარგულ საწარმდგენლო ფასიან ქაღალდზე ან საორდერო ფასიან ქაღალდზე უფლების აღდგენის შესახებ განცხადება საერთო რეკვიზიტებთან ერთად უნდა შეიცავდეს ისეთ მონაცემებსაც, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ ამ კატეგორიის საქმეებისათვის. სახელდობრ, მასში აუცილებლად უნდა იქნეს ჩამოთვლილი დაკარგული დოკუმენტის დამახასიათებელი თავისებურებები. ეს იძლევა იმის საშუალებას,

---

503 ე.ზარნაძე, ფასიანი ქაღალდების ცნება და მათი კლასიფიკაცია, პროფესორ ზურაბ ახვლედიანის 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 2004, გვ.96.

504 თ.ლილუაშვილი/ვ.ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, თბ.,2007,გვ.569.

505 საქართველოს უზენაესი სასამართლო, პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის, თბ., 2010, გვ. 75.

506 თ.ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2005, გვ. 448.

რომ დადგინდეს, წარმოადგენს თუ არა იგი ფასიან ქაღალდს და მიეკუთვნება თუ არა იმ კატეგორიის ქაღალდებს, რომლებზეც უფლების აღდგენა ხორციელდება სასამართლო წესით.[507] იმ შემთხვევაში, როცა განმცხადებელი მოითხოვს უფლების აღდგენას ისეთ დოკუმენტზე, რომელსაც დაკარგული აქვს გადახდისუნარიანობის ნიშნები, მან თან უნდა დაურთოს ეს დოკუმენტი განცხადებას და აღნიშნოს განცხადებაში ის მიზეზები, რომელთა გამოც დოკუმენტი უვარგისი გახდა.

განცხადება აუცილებლად უნდა შეიცავდეს განმცხადებლის მოთხოვნას. ეს გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის არა ოცდამეცხრამეტე თავიდან, არამედ ამავე კოდექსის 311-ე მუხლის პირველი ნაწილიდან და 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ" ქვეპუნქტიდან (ანალოგიით). მოთხოვნაში უნდა აისახოს ის, თუ რას ითხოვს სასამართლოსაგან განმცხადებელი – ანუ საწარმდგენლო ან საორდერო ფასიანი ქაღალდის ძალადაკარგულად გამოცხადებას და მასზე განმცხადებლის უფლების აღდგენას. ანალოგიურად უნდა გადაწყდეს განცხადებაზე დასართავი დოკუმენტების საკითხი, ანუ მართალია სსსკ-ის 329-ე მუხლი ამის შესახებ არაფერს ამბობს, მაგრამ ამავე კოდექსის 311-ე და 178-ე მუხლებიდან გამომდინარე (ანალოგიით), განცხადებას უნდა დაერთოს ყველა ის დოკუმენტი, რომლითაც განმცხადებელი ცდილობს დაამტკიცოს ფასიანი ქაღალდის არსებობისა და მისი შემდგომი დაკარგვის ან განადგურების გარემოებები.

ფასიანი ქაღალდის დაკარგვის შემთხვევაში განმცხადებელმა არ იცის ვის ხელშია დაკარგული ფასიანი ქაღალდი, ამიტომ მას არ მოეთხოვება მიუთითოს დაკარგული საბუთის ხელთმქონის მისამართი. თუ მოსამართლე გამოარკვევს, რომ გამოწვევითი წარმოების წესით განსახილველი განცხადების შინაარსი არ შეესაბამება სსსკ-ის, 329-ე მუხლის მოთხოვნებს, სსსკ-ის 186-ე მუხლის ანალოგიით მოსამართლე გამოიტანს განჩინებას განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

თუ განმცხადებლისათვის ცნობილია დაკარგული საბუთის ხელთმქონე, მაშინ განმცხადებელმა უნდა შეიტანოს სარჩელი უკანონო მფლობელობიდან ქონების გამოთხოვის შესახებ სსსკ-ის 178-ე მუხლის მოთხოვნათა მიხედვით. თუ გამოწვევითი წარმოების წესით განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ გაირკვა, რომ განმცხა-

507 შ.ქურდაძე/ნ.ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2015, გვ.503.

დებელისათვის ცნობილია დაკარგული საბუთის ხელთმქონე, მაშინ სასამართლომ სსსკ-ის 311-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, განცხადება განუხილველად უნდა დატოვოს. თუ განმცხადებლი მიზნად ისახავს გამოწვევითი წარმოების წესით პირად (სახელობით) ფასიან ქაღალდზე უფლების აღდგენას, მოსამართლემ სსსკ-ის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის ანალოგიით არ უნდა მიიღოს განცხადება წარმოებაში, ხოლო, თუ შეცდომით მიიღო, მაშინ სსსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის ანალოოგიით უნდა შეწყვიტოს საქმის წარმოება.[508]

II. გამოწვევითი წარმოების წესით საქმეთა განხილვის თავისებურებანი

განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ მოსამართლე (მაგისტრატი მოსამართლე) [509] ახორციელებს სსსკ-ის 330-ე და 203-ე მუხლით გათვალისწინებულ მოქმედებებს. განცხადების წარმოებაში მიღებისთანავე, მოსამართლემ უნდა გამოიტანოს განჩინება საბუთის გამცემი პირისათვის ამ საბუთით ყოველგვარი გადახდისა და გაცემის წარმოების აკრძალვის შესახებ. ასეთი განჩინების სწრაფად მიღების აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ თავიდან იქნეს აცილებული ამ საბუთით გადახდისა და გაცემის არამართლზომიერად წარმოების შესაძლებლობა. ეს აკრძალვა ერთგვარად წააგავს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას და აქედან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის მსგავსად მეტად შემჭიდროვებულ ვადაში უნდა იქნეს განხილული, რათა სწრაფად და ეფექტურად მოხდეს განმცხადებლის უფლებების დაცვა.[510] აღნიშნული განჩინება ცალკე არ საჩივრდება. რაც შეეხება განჩინების გამოტანაზე უარის თქმის შესახებ განჩინებას, იგი სსსკ-ის 330-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით სსსკ-ის 414-420 მუხლებით დადგენილი წესის შესაბამისად.

ფასიანი ქაღალდის გამომშვები (ემიტენტი) ვალდებულია გან-

508 ზ.ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები. თბ.,2007, გვ. 69

509 ე.გასიტაშვილი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, რჩეული მუხლები, მუხლი 14, თბ., GIZ, 2020, გვ. 195

510 საქართველოს უზენაესი სასამართლო, პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის, თბ., 2010, გვ. 76.

მცხადებელს მიაწოდოს ცნობები, რომელიც აუცილებელია სასამართლოსათვის განცხადების განხილვასთან დაკავშირებით. თუ ემიტენტი არ შეასრულებს ამ ვალდებულებას, მაშინ განმცხადებელს შეუძლია სსსკ-ის 103-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, იშუამდგომლოს სასამართლოს წინაშე ამ ცნობების გამოთხოვნის შესახებ. გამოწვევითი წარმოების დროს მტკიცების ტვირთი აწევს განმცხადებელს, რისთვისაც მას შეუძლია ისარგებლოს სსსკ-ის მესამე კარით – სასამართლო მტკიცებულებები – გათვალისწინებული შესაძლებლობით.

გამოწვევითი წარმოების ერთ-ერთი თავისებურება იმაშიც მდგომარეობს, რომ განცხადების წარმოებაში მიღებისას უცნობია საბუთის ხელთმქონე. ამიტომაც სასამართლოს სსსკ-ის 331-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, გამოაქვს განჩინება განმცხადებლის ხარჯზე ადგილობრივ პრესაში პუბლიკაციის გამოქვეყნების შესახებ. პუბლიკაციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბუთის ხელთმქონის უფლებების დასაცავად. გამოწვევითი წარმოების აღძვრის შესახებ დაკარგული საბუთის ხელთმქონე გებულობს პუბლიკაციის მეშვეობით. პუბლიკაცია ხორციელდება ადგილობრივ პრესაში. ის შეეხება ფასიანი ქაღალდის ყველა ხელთმქონეს, მისი შეძენის საფუძვლის მიუხედავად. პუბლიკაცია უნდა შეიცავდეს: ა) იმ სასამართლოს დასახელებას, რომელშიც შეტანილია განცხადება საბუთის დაკარგვის შესახებ; ბ) განმცხადებლის დასახელებასა და მის საცხოვრებელ ადგილს; გ) საბუთის დასახელებასა და განმასხვავებელ ნიშნებს; დ) წინადადებას იმ საბუთის ხელთმქონის მიმართ, რომლის დაკარგვის შესახებაც შეტანილია განცხადება, რომ მან პუბლიკაციის დღიდან სამი თვის განმავლობაში შეიტანოს განცხადება სასამართლოში ამ საბუთზე თავისი უფლების შესახებ.[511]

პუბლიკაციის გამოქვეყნება სავალდებულოა. პუბლიკაციის სავალდებულობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო ვერ განიხილავს განცხადებას და ვერ გამოიტანს გადაწყვეტილებას, სანამ პუბლიკაციის გამოქვეყნებიდან არ გავა სამი თვე. ამიტომ არასწორია, როდესაც მოსამართლე პრესაში პუბლიკაციის გამოქვეყნების შესახებ განჩინებაში მიუთითებს ასევე, რომ დაკარგული დოკუმენტი სასამართლოს მიერ ძალადაკარგულად არის ცნობილი. ასეთ დასკვნამდე სასამართლო შეიძლება მივიდეს მხოლოდ სსსკ-

511 თ.ლილუაშვილი/ვ.ხრუსტალი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, თბ., 2007,გვ. 572.

ის 334-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას, პუბლიკაციის მნიშვნელობა განისაზღვრება იმ ფაქტით, რომ განმცხადებლისათვის უცნობია საბუთის ხელთმქონის ვინაობა და ამ გზით შესაძლებელია გარკვეულ იქნეს მისი ამჟამინდელი მფლობელი. თუმცა, ამის მიუხედავად, კანონი მაინც უშვებს სამი თვის ვადით საქმეზე წარმოების შეჩერებას, რაც ეწინააღმდეგება სამოქალაქო საქმეთა 2 თვის ვადაში განხილვის კანონით დადგენილ წესს. ამდენად, სასურველია, ამ ტიპის განცხადების წარმოებაში მიღების განჩინებითვე მისი განხილვის ვადა 5 თვემდე გაგრძელდეს.[512]

დაკარგული ფასიანი ქაღალდის ხელთმქონე ვალდებულია პუბლიკაციის დღიდან სამი თვის ვადის გასვლამდე განჩინების გამომტან სასამართლოში შეიტანოს განცხადება საბუთზე თავისი უფლების შესახებ და ამასთან ერთად წარადგინოს საბუთის დედანიც. კანონმდებლობა პირდაპირ არ ითვალისწინებს დაკარგული საბუთის ხელთმქონის მიერ საბუთის ჯეროვნად დამოწმებული ასლის წარდგენის შესაძლებლობას. მიუხედავად ამისა, საბუთის ხელთმქონეს შეუძლია წარადგინოს დოკუმენტის დადასტურებული ასლი, რამეთუ წინააღმდეგ შემთხვევაში პუბლიკაციის გამოქვეყნებიდან სამთვიანი ვადის გასვლამდე მის მიერ დაკარგულ დოკუმენტზე უფლების განცხადების ვალდებულების შესრულება შეიძლება გართულდეს ან შეუძლებელი გახდეს იმის გამო, რომ სადავო ფასიანი ქაღალდის დედანი დაგირავებული აქვს, გადაცემული აქვს შესანახად და ა.შ. განცხადებაზე დართულ დოკუმენტის წარდგენა (დედანი ან ასლი), მხოლოდ იმის საწინდარია, რომ სასამართლოს მიერ დადგინდეს ფასიანი ქაღალდის მფლობელი.[513] ამგვარი განცხადების წარდგენის მიზანია დაფიქსირებულ იქნეს იმ პირის პოზიცია, რომლის მოსაზრების გაგებაც მანმადე შეუძლებელი იყო.[514]

სსსკ-ის 333-ე მუხლის თანახმად, თუ დაკარგული საბუთის

512 საქართველოს უზენაესი სასამართლო, პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის, თბ., 2010, გვ. 77.

513 ზ.ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები, თბ., 2007, გვ. 71.

514 საქართველოს უზენაესი სასამართლო, პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის, თბ., 2010, გვ. 77.

ხელთმქონე პუბლიკაციის გამოქვეყნებიდან სამი თვის ვადაში (სამთვიანი ვადის დენა იწყება არა სასამართლოს მიერ პუბლიკაციის შესახებ განჩინების მიღებიდან, არამედ პუბლიკაციის გამოქვეყნების დღიდან) შეიტანს სასამართლოში განცხადებას დაკარგულ დოკუმენტზე უფლების შესახებ, ასეთ შემთხვევაში სასამართლო გამოწვევითი წარმოების წესით შეტანილ განცხადებას განუხილველად დატოვებს სსსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, რის შესახებაც გამოაქვს განჩინება. ამავე განჩინებით სასამართლო დაადგენს ვადას (არა უმეტეს 2 თვისა), რომლის განმავლობაშიც საბუთის გამცემ დაწესებულებას (პირს) აუკრძალავს აწარმოოს ამ საბუთით გადახდა და გაცემა. გარდა ამისა, განჩინებაში მითითებული უნდა იყოს: ა) განმცხადებლის უფლება, საერთო წესით აღძრას სარჩელი საბუთის გამოთხოვის შესახებ იმ პირის მიმართ, ვისაც ხელთ აქვს დაკარგული საბუთი; ბ) საბუთის ხელთმქონის უფლება, მოითხოვოს განმცხადებლისაგან იმ ზარალის ანაზღაურება, რაც გამოწვეული იყო ამ საბუთით გადახდისა და გაცემის აკრძალვის ღონისძიებებით.[515] სასამართლოს ამ განჩინებაზე შეიძლება შეტანილ იქნეს კერძო საჩივარი სსსკ-ის 333-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და სსსკ-ის 414-420-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად.

საბუთის ხელთმქონის აღმოჩენის შემთხვევაში დგინდება იმ პირის ვინაობა, ვის მფლობელობაშიც იმყოფება საბუთი და ასეთ შემთხვევაში, უდავო წარმოების გაგრძელება საფუძველს მოკლებული ხდება.[516] განმცხადებელმა უკვე სარჩელით უნდა მიმართოს სასამართლოს, რათა უდავო წარმოების ნაცვლად დაიწყოს სასარჩელო წარმოება, რომელიც უფრო უკეთ უზრუნველყოფს პირთა უფლებების დაცვას, ვიდრე უდავო წარმოება. ტექნიკური თვალსაზრისით, მიზანშწონილად უნდა ჩაითვალოს ამ უფლების (ანუ უფლებისა, რომ მხარეებს შეუძლიათ იდავონ სასარჩელო წესით) განმარტება იმავე განჩინების სარეზოლუციო ნაწილში, რომლითაც განცხადება განუხილველად დარჩა ან იმავე საოქმო განჩინებაში, თუ განცხადება განუხილველად ზეპირი მოსმენისას დარჩა.[517]

515 თ.ლილუაშვილი/ვ.ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, თბ., 2007,გვ. 574.

516 თ.ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2005, გვ. 449.

517 საქართველოს უზენაესი სასამართლო, პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის, თბ., 2010, გვ. 78.

იმ შემთხვევაში, თუკი განმცხადებელი აღძრავს სარჩელს დაკარგული საბუთის ხელთმქონის მიმართ, სარჩელი უნდა აღიძრას არა დაკარგული საბუთის გამცემი დაწესებულების, არამედ მოპასუხის საცხოვრებელი (ადგილსამყოფელი) ადგილის მიხედვით სსსკ-ის მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად (საერთო განსჯადობა). საქმეს დაკარგული საბუთის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ სასამართლო განიხილავს პუბლიკაციის დღიდან სამი თვის ვადის გასვლის შემდეგ, თუკი საბუთის ხელთმქონე არ შეიტანს განცხადებას. საქმე განიხილება სამართალწარმოების საერთო საფუძვლებით, ამასთან, მოსამართლე ვალდებულია მოიწვიოს ამ საქმის განხილვით დაინტერესებული პირები.[518]

თუკი დაკარგული საბუთის ხელთმქონე სასამართლოში განცხადებას შეიტანს პუბლიკაციის დღიდან სამი თვის გასვლის შემდეგ, მაგრამ საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე, სასამართლომ განჩინებით განცხადება განუხილველად უნდა დატოვოს სსსკ-ის 333-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ანალოგიით. [519]

საბუთის ხელთმქონის გამოუცხადებლობა კანონით დადგენილ სამთვიან ვადაში თავისთავად არ წარმოადგენს იმის მტკიცებას, რომ დაკარგული დოკუმენტი ნამდვილად ეკუთვნის განმცხადებელს. ამიტომაც, სასამართლომ უნდა შეამოწმოს მტკიცებულებები, რომლითაც შეიძლება დადადასტურდეს განმცხადებლის უფლებები დაკრგულ დოკუმენტზე. საქმის არსებითად განხილვის შემდეგ, სათანადო მტკიცებულებების არსებობისას სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას განცხადების დაკმაყოფილების შესახებ, რომელიც უნდა პასუხობდეს როგორც სსსკ-ის 249-ე, აგრეთვე სსსკ-ის 335-ე მუხლის მოთხოვნებს. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში სასამართლო მიუთითებს ძალადაკარგულად ცნობილი დოკუმენტის დამახასიათებელ ნიშნებს და დოკუმენტის გამცემი დაწესებულების (პირის) ვალდებულებას, მოახდინოს მისი შეცვლა. საბუთის გამცემმა დაწესებულებამ ან სხვა ორგანომ გადაწყვეტილების შინაარსის გაცნობისას ზუსტად უნდა აღიქვას თავისი ვალდებულება, გასცეს ახალი საბუთი დაკარგულის ნაცვლად და არ შეუქმნას ზედმეტი ხელოვნური დაბრკოლება განმცხადებ-

---

518 ზ.ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები. თბ.,2007, გვ. 72.

519 თ.ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2005, გვ. 449.

ელს.[520]

გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში სასამართლო მიუთითებს დოკუმენტის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ. ეს გადაწყვეტილება უფლებას აძლევს განმცხადებელს მიიღოს ანაბარი ან ახალი დოკუმენტი ძალადაკარგულად გამოცხადებული საბუთის ნაცვლად. თუ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები სასამართლოს აზრით არ არის საკმარისი, მაშინ იგი გამოიტანს გადაწყვეტილებას განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

გამოწვევითი წარმოების წესით განხილულ საქმეზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით. თუ სასამართლომ საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად არ ჩართო დაინტერესებული პირები (მაგალითად, საბუთის გამცემი დაწესებულება (პირი), მათ უფლება აქვთ გაასაჩივრონ სასამართლო გადაწყვეტილება, ხოლო, თუ ეს გადაწყვეტილება უკვე შესულია კანონიერ ძალაში, მოითხოვონ მისი ბათილად ცნობა სსსკ-ის 422-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

არ არის გამორიცხული, რომ საბუთის ხელთმქონემ რაიმე მიზეზით (ავადმყოფობა და ა.შ.) საბუთის დაკარგულად გამოცხადების შესახებ შეიტყოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. ასეთი გადაწყვეტილება არ წარმოადგენს სასამართლოს მიერ დადასტურებული განმცხადებლის უფლებების შესახებ სხვა პირთა მიერ დავის აღძვრის დამაბრკოლებელ ფაქტორს.[521] ძალადაკარგულად გამოცხადებული საბუთის ხელთმქონეს უფლება აქვს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ აღძრას სარჩელი ქონების უსაფუძვლოდ დაზოგვის ან შეძენის თაობაზე (კონდუქციური სარჩელი) იმ პირის მიმართ (განმცხადებელი), რომელსაც მიენიჭა დაკარგულის ნაცვლად ახალი საბუთის მიღების უფლება.[522] ასეთი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე საბუთის ხელთმქონეს შეუძლია გაასაჩივროს იგი სააპელაციო

520 საქართველოს უზენაესი სასამართლო, პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის, თბ., 2010, გვ. 79.

521 ზ.ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები. თბ., 2007, გვ.73.

522 თ.ლილუაშვილი/ვ.ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, თბ.,2007, გვ.577.

(საკასაციო) წესით.

მხედველობაშია მისაღები, რომ გამოწვევითი წარმოების საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილება ვერ შეცვლის ძალადაკარგულად ცნობილ დოკუმენტს. განმცხადებელს წარმოეშობა მხოლოდ უფლება, რომ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე ძალადაკარგულად ცნობილი დოკუმენტის (საბუთის) გამცემი დაწესებულებისაგან (პირისაგან) მოითხოვოს ახალი საბუთის გაცემა. მაგალითად, სასაქონლო საწყობში შესანახად ჩაბარებულ ნივთებზე შემნახველისაგან დაკარგულის ან განადგურებულის სანაცვლოდ, ახალი სასაწყობო მოწმობის გაცემა. [523]

§5. ქონების უპატრონოდ ცნობა ზოგადი დებულებები

ქონების უპატრონოდ ცნობა და მისი იმ პირის საკუთრებაში გადაცემა, რომელიც დაეუფლა მას, წარმოადგენს საკუთრების შეძენის ერთ-ერთ საშუალებას. უპატრონოა ნივთი, რომელსაც არ ჰყავს მესაკუთრე ან რომლის მესაკუთრეც უცნობია. უპატრონო ნივთებს მიეკუთვნება ნაპოვარი, უმეთვალყურეო ცხოველები, განძი.[524]უპატრონო ნივთი განსხვავდება დაკარგული ნივთისაგან. [525]

უდავო წარმოების წესით შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ მოძრავი ნივთის[526] უპატრონოდ ცნობის საქმე. [527]

რაც შეეხება უძრავ ნივთს, სსკ-ის 184-ე მუხლის თანახმად, უძრავ ნივთზე საკუთრების ან სხვა უფლების მისატოვებლად აუცილებელია უფლებამოსილი პირის განცხადება ამ უფლების მიტოვების შესახებ და ამ განცხადების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. განცხადება უნდა ჩაბარდეს რეესტრის სამსახურს. მხოლოდ ამის შემდეგ იძენს უფლების მიტოვების განცხადება სავალდებულო

523 თ.ზარანდია, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, 794-ე მუხლი, ველი 4, თბ., 2016, www.gccc.tsu.ge.

524 ზ.ახვლედიანი,საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, თბ., 1999, გვ.128

525 ლ.თოთლაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, მუხლი 190, ველი 4, თბ., 2018.

526 ზ.ძლიერიშვილი, უდავო წარმოება, თბ., 2000, გვ. 55.

527 შ.ქურდაძე/ნ.ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2015, გვ.498.

ძალას. საჯარო რესტრის შესახებ საქართველოს კანონის 14 IV მუხლის თანახმად, უძრავ ნივთზე საკუთრების მიტოვების შემდეგ საკუთრების უფლება გადადის სახელმწიფოზე. [528]

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრებაც, რომ „უპატრონოდ უნდა იქნეს მიჩნეული ის უძრავი ქონებაც, რომელიც სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლში (უმკვიდრო ქონება) გათვალისწინებულ შემთხვევების შედეგად არსებობს. ასეთი ქონება ავტომატურად ვერ გადავა ამ მუხლში მითითებულ პირებზე, რადგან ასეთ წესს საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს. სასამართლომ დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე უნდა მიიჩნიოს ქონება უპატრონოდ და მხოლოდ ამის შემდეგაა უფლებამოსილი სახელმწიფოც და სხვა დანარჩენი პირებიც, განცხადებით მიმართონ საჯარო რეესტრს, რათა აღრიცხონ ქონება საკუთარ სახელზე."[529]

პირს, რომელიც დაეუფლება უპატრონო მოძრავ ნივთს, უფლება აქვს, უპატრონო მოძრავ ნივთზე მოიპოვოს საკუთრების დამდგენი დოკუმენტი –სასამართლოს გადაწყვეტილება. [530] სასამართლო ქონების უპატრონოდ ცნობის საკითხს განიხილავს უდავო წარმოების წესით. [531]

სსსკ-ის 337-ე მუხლის თანახმად, განცხადება ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ სასამართლოში შეაქვს იმ პირს, რომელიც დაეუფლა ქონებას. ეს პირი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. [532] თუ განმცხადებელი ფიზიკური პირია, განცხადება შეტანილ უნდა იქნეს მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სასამართლოში, ხოლო, თუ განმცხადებელი იურიდიული პირია, მაშინ მისი იურიდიული მისამართის მიხედვით სასამართლოში.[533] თუ განცხადება შეტანილია არაგანსჯად სასამართლოში,

---

528 ლ.თოთლაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, მუხლი 184, ველი 3, თბ., 2018.

529 მ.ჭყონია, მატერიალური და პროცესუალური ნორმების კონფლიქტი უდავო წარმოებისას, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „თემიდა" №8(10), 2013, გვ., 63.

530 ბ.ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, თბ., 2003, გვ.1 54; თ.შოთაძე, სანივთო სამართალი, თბ., 2014, გვ.180;

531 ლ.თოთლაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, მუხლი 190, ველი 9, თბ., 2018.

532 თ.ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2005, გვ. 449.

533 თ.ლილუაშვილი/ვ.ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოც, თბ., 2007, გვ. 578.

სსსკ-ის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვქპუნქტის თანახმად (ანალოგიით), სასამართლომ განჩინებით უარი უნდა უთხრას განმცხადებელს განცხადების წარმოებაში მიღებაზე და სსსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით (ანალოგიით) განჩინებაში უნდა მიუთითოს განსჯადი სასამართლო. თუ არაგანსჯადობა სასამართლოსთვის ცნობილი გახდება განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ, სასამართლომ სსსკ-ის 187-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად (ანალოგიით), განცხადება განუხილველად უნდა დატოვოს, რასაც უკავშირდება ამავე კოდექსის 278-ე მუხლით დადგენილი შედეგები (ანალოგიით).

სსსკ-ის 338-ე მუხლის თანახმად, ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ განცხადებაში მითითებულ უნდა იქნეს: რომელი ქონება უნდა იქნეს ცნობილი უპატრონოდ; როგორია ამ ქონების განმასხვავებელი ნიშნები; მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ მესაკუთრის მიერ ქონების მიტოვებას ამ ქონებაზე საკუთრების უფლების შენარჩუნების განზრახვის გარშე; [534] აგრეთვე მტკიცებულება იმის შესახებ, რომ განმცხადებელი დაეუფლა ისეთ ქონებას, რომლის მითვისებაც კანონით არ იკრძალება (ნარკოტიკული ნივთიერებები, ცეცხლსასროლი იარაღი და ა.შ.) და არ ირღვევა იმ პირის უფლებები, რომელსაც ამ ნივთის მითვისების უფლება ჰქონდა (მაგალითად, მემკვიდრე). იმ შემთხვევაში, თუკი განცხადების შინაარსი არ შეესაბამება სსსკ-ის 177-ე, 178-ე, 338-ე მუხლების მოთხოვნებს, მოსამართლე გამოიტანს განჩინებას განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.[535]

თუ განცხადება შეიტანა არაუფლებამოსილმა პირმა, მოსამართლეს სსსკ-ის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის ანალოგიით გამოაქვს განჩინება განცხადების მიღებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო, თუ ასეთი განცხადება შეცდომით მიიღო წარმოებაში, მაშინ გამოაქვს განჩინება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ სსსკ-ის 275-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის ანალოგიით.

დაკარგული ნივთის მპოვნელმა დაუყონებლივ უნდა განუცხადოს ამის შესახებ ნივთის დამკარგავს, მესაკუთრეს, უფლებამო-

---

534 ლ.თოთლაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, მუხლი 190, ველი 7, თბ., 2018.

535 ზ.ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები. თბ.,2007, გვ. 79.

სილ პირს, ან თუ მათი ვინაობა უცნობია – პოლიციას ან სხვა ადგილობრივ ორგანოს და გადასცეს ნივთი. განცხადების გაკეთებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ მპოვნელი იძენს საკუთრებას ნაპოვარზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მისთვის ცნობილი გახდა მესაკუთრე, ან მესაკუთრის უფლება ნივთზე პოლიციაში უკვე განცხადებული იყო. [536] თუ ნაპოვნია ცხოველები, მალფუჭებადი ან ისეთი ნივთები, რომელთა შენახვაც დიდ ხარჯებს მოითხოვს, მაშინ ერთწლიანი ვადა არ გამოიყენება, ხოლო მესაკუთრეს უბრუნდება მათი განსხვისებით მიღებული თანხა.[537]

§6. ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ საქმეთა განხილვის თავისებურებანი

სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის განსახილველად მომზადების ეტაპზე, მოსამართლე სსსკ-ის 311-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად, იწვევს ამ საქმის განხილვით დაინტერესებულ პირებს, ასევე ახორციელებს სსსკ-ის 203-ე და 339-ე მუხლებით გათვალისწინებულ მოქმედებებს. საქმის მომზადების დროს მოსამართლემ უნდა გამოარკვიოს, თუ ვის შეუძლია მიაწოდოს სასამართლოს ცნობები ქონების კუთვნილების (მისი მესაკუთრის) თაობაზე, აგრეთვე სსსკ-ის 103-ე მუხლის შესაბამისად, განმცხადებლის შუამდგომლობის საფუძველზე გამოითხოვს ცნობებს შესაბამისი ორგანოებიდან, ასევე აგზავნის შეკითხვებს სხვადასხვა ორგანოში ან შესაბამის თანამდებობის პირებთან. თუ მიღებული შეტყობინების შედეგად აღმოჩნდება სავარაუდოდ უპატრონო ქონების მესაკუთრე ან მისი უფლებამონაცვლე, რომლებიც თავს მიიჩნევენ მესაკუთრედ, მოსამართლე სსსკ-ის 311-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გამოიტანს განჩინებას განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ და დაინტერესებულ პირებს განუმარტავს მათ უფლებას, შეიტანონ სარჩელი საერთო საფუძველზე.[538]

---

536 ლ.თოთლაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, მუხლი 191, ველი 11, თბ., 2018.

537 ზ.ახვლედიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, თბ., 1999, გვ.129

538 ზ.ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები, თბ.,2007, გვ. 80.

ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ საქმეზე მტკიცების ტვირთი ეკისრება განმცხადებელს. [539] მოსამართლე ვალდებულია განახორციელოს სსსკ-ის მესამე კარით – სასამართლო მტკიცებულებები – გათვალისწინებული მოქმედებები.

მაგისტრატი მოსამართლე უდავო წარმოების წესით განიხილავს საქმეებს ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ, თუ ქონების ღირებულება არ აღემატება 5000 ლარს. [540]

განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ, საქმის მომზადების სტადიაზე სასამართლო სსსკ-ის 339-ე მუხლის თანახმად, ვალდებულია ადგილობრივ გაზეთში გამოაქვეყნოს ცნობა, რომელიც უნდა შეიცავდეს: ა) იმ სასამართლოს დასახელებას, რომელმაც უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ქონების უპატრონოდ გამოცხადების შესახებ; ბ)განმცხადებლის ვინაობას გ) იმ ქონების აღწერას, რომელიც უნდა უპატრონოდ გამოცხადდეს; დ) მოთხოვნას იმ პირთა მიმართ, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ პრეტენზია ქონებაზე, რომელიც უპატრონოდ უნდა გამოცხადდეს, რათა მათ განაცხადონ სასამართლოში თავიანთი უფლებების შესახებ სამი თვის განმავლობაში პუბლიკაციის დღიდან.

თუ პუბლიკაციის დღიდან სამი თვის განმავლობაში სასამართლოში შევა განცხადება ქონებაზე უფლების შესახებ, მაშინ სასამართლოს სსსკ-ის 311-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 340-ე მუხლის შესაბამისად, გამოაქვს განჩინება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ, აგრეთვე წინადადებით მიმართავს განმცხადებელს აღძრას სარჩელი იმ პირის მიმართ, რომელმაც განაცხადა თავისი უფლება ქონებაზე. თუ პუბლიკაციის დღიდან სამი თვის განმავლობაში სასამართლოში არ შევა განცხადება ქონებაზე უფლების შესახებ, მაშინ მოსამართლე სსსკ-ის 207-ე მუხლის თანახმად, გამოიტანს განჩინებას საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე არსებითად განხილვის დანიშვნის შესახებ. საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისას, სასამართლო მოისმენს განმცხადებელს ახსნა-განმარტებას, გამოჰკითხავს იმ პირებს, რომლებსაც შეუძლიათ ცნობების მიწოდება ქონების კუთვნილების შესახებ, აგრეთვე ამოწმებს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს.

---

539 შ.ქურდაძე/ნ.ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2015, გვ.498.

540 ე.გასიტაშვილი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, რჩეული მუხლები, მუხლი 14, თბ., GIZ, 2020, გვ. 195

სასამართლოს გადაწყვეტილება ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ საქმეზე, უნდა აკმაყოფილებდეს სსსკ-ის 249-ე და 341-ე მუხლის მოთხოვნებს. თუ საქმის განხილვის შედეგად სასამართლო დაადგენს, რომ ქონებას არა ჰყავს მესაკუთრე, ან ეს ქონება მიტოვებულია მესაკუთრის მიერ იმ განზრახვის გარეშე, რომ შეინარჩუნოს ამ ქონებაზე საკუთრების უფლება, მას გამოაქვს გადაწყვეტილება მოძრავი ქონების უპატრონოდ ცნობისა და მისი იმ პირის საკუთრებაში გადაცემის შესახებ, რომელიც დაეუფლა ამ ქონებას.[541]

თუ სასამართლოში საქმის განხილვის შედეგად აღმოჩნდება, რომ არ არსებობს საკმარისი მტკიცებულებანი, რომელიც ადასტურებს, რომ ნივთს არ ჰყავს მესაკუთრე, ან მისი მესაკუთრე უცნობია, ასეთ შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ხოლო თუ დადგინდა, რომ ქონება ეკუთვნის გარდაცვლილ ან გარდაცვლილად გამოცხადებულ პირს, რომელსაც არა ჰყავს მემკვიდრეები, ანდა ყველა მემკვიდრემ უარი თქვა სამკვიდროს მიღებაზე, ანდა ყველა მემკვიდრეს ჩამორთმეული აქვს სამკვიდროს მიღების უფლება, ასეთ შემთხვევაში მოძრავი ქონება არ შეიძლება ცნობილ იქნეს უპატრონოდ და იგი სსსკ-ის 1343-ე მუხლის საფუძველზე, გადაეცემა სახელმწიფოს. უპატრონოდ არ ჩაითვლება ასევე უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირის ქონება, რომელიც სსკ-ის 21-ე მუხლის თანახმად, მინდობილი საკუთრების სახით გადაეცემათ სამართავად მის მემკვიდრეებს.[542]

ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით (აპელაცია, კასაცია). [543] იმ შემთხვევაში, თუკი უპატრონოდ ცნობილი ქონების მესაკუთრემ ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ შეიტყო სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, მას შეუძლია სასარჩელო წარმოების წესით[544] მოითხოვოს იმ პირისაგან, ვისაც

541 თ.ლილუაშვილი/ვ.ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, თბ.,2007,გვ. 582.

542 ზ.ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები. თბ.,2007, გვ. 82.

543 თ.ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2005, გვ. 449.

544 ზ.ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები. თბ.,2007, გვ. 82.

გადაეცა სასამართლოს მიერ უპატრონოდ ცნობილი ქონება (მოძრავი ნივთი), მისი დაბრუნება. [545]

§6. შვილად აყვანა
ზოგადი დებულებები

მშობლებსა და შვილებს შორის სამართლებრივ ურთიერთობათა წარმოშობის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს შვილად აყვანა (შვილება). შვილად აყვანასთან დაკავშირებული საკითხების სამართლებრივი რეგულირება ხორციელდება 2017 წლის 04 მაისის საქართველოს კანონის „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ", აგრეთვე სსკ-ის 1239-1261-ე მუხლებით დადგენილი წესების შესაბამისად. შვილად აყვანა (შვილება) იურიდიული ფაქტია, რომელიც შვილად ამყვანსა და ნაშვილებს შორის წარმოშობს ისეთ სამართლებრივ ურთიერთობას, რაც ბიოლოგიურ მშობლებსა და შვილებს შორის არსებობს. [546]

შვილად აყვანა დაიშვებია არასრულწლოვანი ბავშვის კეთილდღეობისა და ინტერესებისათვის იმ შემთხვევაში, თუკი მოსალოდნელია მშვილებელსა და ნაშვილებს შორის წარმოიშვას ისეთივე ურთიერთობა, როგორცაა მშობელსა და შვილებს შორის. [547] სრულწლოვანი პირის შვილება შესაძლებელია, თუ მშვილებელსა და შვილად ასაყვანს შორის უკვე არსებობდა მშობლისა და შვილის ფაქტობრივი ურთიერთობა, იგი არ ეწინააღმდეგება მშვილებლის ან შვილად ასაყვანის ინტერესებს და შვილება ზნეობრივად გამართლებულია.[548]

სსკ-ის 1254-ე მუხლის თანახმად, გასაშვილებელი ბავშვის სტატუსი ენიჭება პირს: ა) რომლის მშობელიც (მშობლებიც) სასამართლომ აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად; ბ) რომელიც არ ჰყავს არც ერთი მშობელი; გ) რომელიც აღიარებულია მიტოვებულ ბავშვად; დ) რომლის მშობელსაც (მშობლებსაც) ჩამოერთვა

545 შ.ქურდაძე/ნ.ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2015, გვ.499.

546 რ.შენგელია/ე.შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 2015, გვ.254.

547 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 8 აპრილის განჩინება საქმეზე №ას-71-2021, პ.23.

548 გ.რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი VII, მუხლი 1239, ველი 6,თბ., 2021,

(ჩამოერთვათ) მშობლის უფლება; ე) თუ ყველა მისმა კანონიერმა წარმომადგენლმა თანხმობა განაცხადა (განაცხადეს) გაშვილებაზე დადგენილი წესით. (ანალოგიურ მოწესრიგებას ითვალისწინებს „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლი).

სსკ-ის 1242-ე მუხლის თანახმად, შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო მშვილებლის ან შვილად ასაყვანის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. [549] შვილად აყვანა, რადგან იგი მშვილებელსა და ნაშვილების ინტერესების დაცვას ისახავს მიზნად, სახელმწიფოებრივ კონტროლს ექვემდებარება. შვილება არ ნიშნავს მშვილებლის მხოლოდ შესაბამისი ნების გამოვლენას და ბავშვის მიმართ ფაქტობრივი ზრუნვის განხორციელებას. აუცილებელია, რომ ასეთი ურთიერთობა იურიდიულად იქნეს გაფორმებული. ეს ხდება უდავო წარმოების წესით სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანით. სასამართლოსათვის და არა სხვა რომელიმე ორგანოსათვის ამ ფუნქციის მინიჭება შვილად აყვანის სფეროში კანონიერების დაცვის მეტ გარანტიას ქმნის. [550]

უდავო წარმოების წესით შვილად აყვანის შესახებ საქმეთა განხილვასთან დაკავშირებით, კანონმდებელი ითვალისწინებს ალტერნატიული განსჯადობის პრინციპს – განცხადება შვილად აყვანის შესახებ შეტანილ უნდა იქნეს სასამართლოში მშვილებლის ან შვილად აყვანის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. არჩევანის უფლება აქვს განმცხადებელს სსსკ-ის 349-ე მუხლის შესაბამისად.[551] შვილად აყვანის შესახებ საქმეები არ შეიძლება, რომ განხილული იქნეს მაგისტრატი მოსამართლის მიერ (სსსკ-ის მე-14 მუხლი). [552]

„შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 I მუხლის თანახმად, საქართველოში ბავშვის შვილად აყვანისას, განმცხადებელი (მშვილებელი) შეიძლება იყოს საქართველოში მუდმივად მცხოვრები, სრულწლოვანი პირი, რო-

549 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 28 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-486-486-2018, პ.34.

550 რ.შენგელია/ე.შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 2015, გვ.256.

551 თ.ლილუაშვილი/ ვ.ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, თბ., 2007, გვ. 583.

552 ე.გასიტაშვილი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, რჩეული მუხლები, მუხლი 14, თბ., GIZ, 2020, გვ. 195

მელიც აკმაყოფილებს მშვილებლისათვის დადგენილ მოთხოვნებს, გარდა იმ პირისა: ა) რომელსაც ჩამოერთვა მშობლის უფლება ან ადრე ჰყავდა შვილად აყვანილი ბავშვი, იყო არასრულწლოვანი პირის მეურვე/მზრუნველი ან მინდობით აღსაზრდელად გადაცემული ჰყავდა მინდობით აღსაზრდელი, მაგრამ ეს ურთიერთობა გაუქმდა მის მიერ მოვალეობატა არაჯეროვანი შესრულების გამო; ბ) რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეეზღუდა მშობლის უფლება-მოვალეობები მშობლის უფლებების განუხორციელებლობისა და მოვალეობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო; გ) რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის (მინისტრის მიერ დამტკიცებული დაავადებატა ნუსხის მიხედვით) გამო მშობლის მოვალეობებს ჯეროვნად ვერ ასრულებს; დ) რომლის ოჯახის სოციალური მდგომარეობა არ არემატება მინდობით აღზრდის მიზნით გადაცემისათვის სახელმწიფოს მიერ დადგენილ სტანდარტებს, გარდა ამ კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებული შვილად აყვანის უპირატესი უფლების მქონე პირისა. ე) რომელსაც სასამართლომ მსჯავრი დასდო მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXIV-ე თავით გათვალისწინებული დანაშაულისათვის და ნასამართლობა არა აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გარდა ამ პუქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისა, როდესაც პირი არ შეიძლება იყოს მშვილებელი, მიუხედავად იმისა, მოხსნილი ან გაქარწყლებული აქვს თუ არა ნასამართლობა;

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს შვილად აყვანის შესახებ განცხადებით მიმართავს ის პირი, რომელიც კანონმდებლობიდან გამომდინარე არ შეიძლება რომ იყოს მშვილებელი, მოსამართლე სსსკ-ის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის ანალოგიით გამოიტანს განჩინებას განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო, თუ განცხადება შეცდომით მიიღო წარმოებაში, გამოიტანს განჩინებას განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ სსსკ-ის 275-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის ანალოგიით. თუ განცხადება შეტანილია არაგანსჯად სასამართლოში, მოსამართლე გამოიტანს განჩინებას განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ სსსკ 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის

შესაბამისად და სსსკ-ის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილის (ანალოგიით) შესაბამისად, განუმარტავს განმცხადებელს, თუ რომელ სასამართლოს უნდა მიმართოს.[553]

სსსკ-ის 350 I მუხლის თანახმად, განცხადებაში შვილად აყვანის შესახებ, მითითებულ უნდა იქნეს მონაცემები შვილად ასაყვანისა და მშვილებლის შესახებ, აგრეთვე გარემოებები, რომლებიც ადასტურებენ, რომ შვილება ხდება ბავშვის კეთილდღეობისა და ინტერესებისათვის. [554] სსკ-ის 1240-ე მუხლის თანახმად, აღმზრდელის გარდაცვალებისას შვილად აყვანის ფაქტი შეიძლება სასამართლო წესით დადასტურდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, [555]თუ არასრულწლოვანი ოჯახში შვილად იყო მიღებული, აგრეთვე, თუ მშვილებელმა სიცოცხლეშივე შეიტანა განცხადება შვილად აყვანის შესახებ. [556] ბავშვის გარდაცვალების შემთხვევაში შვილება არ დაიშვება.[557]

განცხადებაში მითითებულ უნდა იქნეს შვილად ასაყვანის გვარი, სახელი, მამის სახელი, საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი, მონაცემები ბავშვის ადგილსამყოფელის შესახებ, ცნობები ჰყავს თუ არა მშობლები, დედმამიშვილები და ა.შ. ასევე მონაცემები მშობლების შესახებ – გვარი, სახელი, მამის სახელი, საცხოვრებელი ადგილი, ცნობები მათი ქონებრივი და ოჯახური მდგომარეობის შესახებ.[558] თუ განცხადება შვილად აყვანის შესახებ არ აკმაყოფილებს სსსკ-ის 349-ე, 350-ე მუხლების მოთხოვნებს, მოსამართლე გამოიტანს განჩინებას განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.[559]

სსსკ-ის 350 II მუხლის თანახმად, განცხადებას თან უნდა ერთვოდეს: [560]

---

553 ზ.ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები. თბ.,2007, გვ. 86.

554 თ.ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2005, გვ. 449.

555 რ.შენგელია / ე. შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 2015, გვ. 256.

556 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 28 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-486-486-2018, პ.36-45, 50-51;

557 რ.შენგელია / ე. შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 2015, გვ. 256.

558 თ.ლილუაშვილი/ვ.ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, თბ., 2007, გვ. 585.

559 ზ.ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები. თბ.,2007, გვ. 88.

560 შ.ქურდაძე/ნ.ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი,

ა) მეუღლის თანხმობა, როცა ბავშვი შვილად აჰყავს ერთ-ერთ მეუღლეს.

მეუღლეებს შეუძლიათ ბავშვი ერთად იშვილონ. არ შეიძლება ერთი ბავშვი ორმა პირმა იშვილოს, გარდა მეუღლეებისა. ერთ-ერთ მეუღლეს შეუძლია იშვილოს თავისი ქორწინებისგარეშე დაბადებული შვილი ან მეუღლის შვილი. თუ ბავშვი შვილად აჰყავს ერთ-ერთ მეუღლეს, მეორე მეუღლის თანხმობა საჭირო არ არის, [561] თუ მეუღლეებს ფაქტობრივად შეწყვეტილი აქვთ საქორწინო ურთიერთობა ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, ანდა მეორე მეუღლის საცხოვრებელი ადგილი უცნობია.[562] თუ მეუღლეები ერთად იშვილებენ ბავშვს, ან ერთ-ერთი იშვილებს მეორე მეუღლის შვილს, ბავშვი სსკ-ის 1248-ე მუხლის თანახმად, იძენს მეუღლეთა ქორწინების საერთო შვილის სამართლებრივ მდგომარეობას.

ბ) გასაშვილებელი ბავშვის მშობლების თანხმობა, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

გამონაკლისი შემთხვევების გარდა, აუცილებელია გასაშვილებელი ბავშვის მშობლების თანხმობა იმ ბავშვის გასაშვილებლად, რომელსაც მშობლები ჰყავს. [563] მშობლის თანხმობა გაშვილებაზე უნდა გამოითქვას წერილობით. მშობლის მიერ ბავშვის გაშვილებაზე თანხმობის მიცემის წესი განისაზღვრება „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ" საქართველოს კანონით (მე-12 I მუხლი).

ბავშვის მშობლის (მშობლების) თანხმობის გარეშე გაშვილება დასაშვებია იმ შემთხვევაში, როდესაც: ა) სასამართლოს მიერ მშობელს (მშობლებს) ჩამორთმეული აქვს (აქვთ) მშობლის უფლება; ბ) სასამართლოს მიერ მშობელი (მშობლები) უგზო-უკვლოდ დაკარგულად არის (არიან) აღიარებული; გ) მშობელი (მშობლები) გარდაცვლილია (გარდაცვლილი არიან); დ) სასამართლოს მიერ ბავშვი აღიარებულია მიტოვებულად. („შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ „საქართველოს კანონის მე-12 III მუხლი).

იმ ბავშვის შვილად აყვანა, რომელსაც ათი წელი შეუსრულ-

მეორე გამოცემა, თბ., 2015, გვ.501.

561 გ.რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი VII, მუხლი 1247, ველი 1, თბ., 2021.

562 რ.შენგელია/ე/შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 2015, გვ.261.

563 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 5 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-1232-2019.

და, დაუშვებელია მისი ინფორმირებული წერილობითი თანხმობის გარეშე, ხოლო 10 წლამდე ასაკის ბავშვის შემთხვევაში, მისი სიმწიფის ხარისხის გათვალისწინებით, მხედველობაში მიიღება მისი სურვილი. განსხვავებული საჭიროების მქონე ბავშვს გაშვილებისას საკუთარი ნების გამოსავლენად, საჭიროების შესაბამისად უნდა გაეწიოს სათანადო დახმარება. ბავშვის თანხმობა ირკვევა შვილად აყვანის საქმეზე გამართულ სასამართლო სხდომაზე ბავშვის მოსმენის შემდეგ.

სსკ-ის 1243-ე მუხლის თანახმად, შვილება არ შეიძლება რაიმე პირობით, ვადაზე მითითებით ან წარმომადგენლის მეშვეობით. (თუმცა მშვილებელს უფლება აქვს, სასამართლო წარმოებისას წარმოდგენილი იქნეს ადვოკატის მიერ).

სსკ-ის 1250-ე მუხლის, ასევე „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ" საქართველოს კანონის 18-ე მუხლის თანახმად, მშვილებელსა და გასაშვილებელ ბავშვს შორის ასაკობრივი სხვაობა არ უნდა იყოს 16 წელზე ნაკლები. საპატიო მიზეზის არსებობისას სასამართლომ შესაძლებელია შეცვალოს ეს ასაკობრივი სხვაობა. მშვილებელსა და 10 წლამდე ასაკის გასაშვილებელ ბავშვს შორის მაქსიმალური ასაკობრივი სხვაობა არ უნდა იყოს 49 წელზე მეტი (ზედა ასაკობრივი სხვაობა). გამონაკლის შემთხვევებში მშვილებელსა და 7 წლიდან 10 წლამდე ასაკის გასაშვილებელ ბავშვს შორის მაქსიმალური ასაკობრივი სხვაობა შესაძლებელია იყოს 49 წელზე მეტი, თუ ეს შეესაბამება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. ზედა ასაკობრივი ზღვარი არ ვრცელდება დაქორწინებულ მშვილებლებზე, როდესაც ერთ-ერთი მათგანი აკმაყოფილებს ამ პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს. ამ მუხლით დადგენილი ასაკობრივი შეზღუდვები არ მოქმედებს, როდესაც ადგილი აქვს შვილად აყვანის უპირატესი უფლების მქონე პირის მიერ ბავშვის შვილად აყვანას.

§6. I. შვილად აყვანის შესახებ საქმეთა განხილვის თავისებურებანი

განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ მოსამართლე ახორციელებს სსსკ-ის 203-ე და 350-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ მოქმედებებს.[564] სსსკ-ის 103-ე მუხლის, მე-4 მუხლის მე-2 ნაწილისა და 350-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად,

564 თ.ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2005, გვ. 452.

სასამართლოს განმცხადებლის თხოვნით ან თავისი ინიციატივით შეუძლია გამოითხოვოს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებები, [565] აგრეთვე განიხილოს საქმე დახურულ სასამართლო სხდომაზე. [566] სსსკ-ის 350 IV მუხლის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ მოითხოვონ ღია სასამრთლო სხდომის გამართვა. თუ მშვილებელი (მშვილებლები) და 10 წლის ან 10 წელზე მეტი ასაკის ბავშვი ან მისი წარმომადგენელი ვერ თანხმდებიან, სასამართლო სხდომა დახურული იყოს თუ ღია, საკითხს წყვეტს სასამართლო.

გასაშვილებელი ბავშვის ინტერესებს იცავს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო, რომელიც არის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, აგრეთვე საერთაშორისო შვილად აყვანის ურთიერთობებში – ცენტრალური ორგანო, ხოლო მისი ტერიტორიული ერთეული – მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო საქართველოს ტერიტორიაზე. თუ ხდება ბავშვის სხვა სახელმწიფოში გაშვილება, მოსამართლემ უნდა იხელმძღვანელოს „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ" საქართველოს კანონის 54-ე, 55-ე, 61-ე მუხლებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

მოსამართლეს მას შემდეგ, რაც საქმეს მომზადებულად ცნობს, სსსკ-ის 207-ე მუხლის თანახმად გამოაქვს განჩინება საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად დანიშვნის შესახებ. მოსამართლეს სსსკ მე-9-ე და 350-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, შეუძლია გამოიტანოს განჩინება საქმის დახურულ სხდომაზე განხილვის შესახებ. სასამართლო პროცესს უნდა ესწრებოდეს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილი პირიც.

სსკ-ის 1256-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე მშობელს (მშობლებს), მშვილებელსა და ათი წლის ასაკს მიღწეულ შვილად ასაყვანს უფლება აქვთ უარი

565 ზ.ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები. თბ.,2007, გვ. 89.

566 შ.ქურდაძე/ნ.ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2015, გვ.501.

განაცხადონ თავიანთ თანხმობაზე „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. [567] ასეთ შემთხვევაში მოსამართლე გამოიტანს გადაწყვეტილებას ბავშვის შვილად აყვანაზე უარის თქმის შესახებ. სასამართლოს მიერ შვილად აყვანის (გაშვილების) საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე, ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შეუძლია შეცვალოს საკუთარი დასკვნა და მოითხოვოს სასამართლო პროცესის შეჩერება. („შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონის 61-ე მუხლის მე-19 ნაწილი).

თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის განხილვის შედეგად სასამართლო მიიჩნევს, რომ შვილად აყვანა შეესაბამება გასაშვილებელი ბავშვის ინტერესებს და ემსახურება მის კეთილდღეობას, იგი გამოიტანს გადაწყვეტილებას შვილად აყვანის შესახებ, რომელიც განმცხადებლის თხოვნით საჯაროდ არ გამოცხადდება. შვილად აყვანის შესახებ საქმეზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება უნდა აკმაყოფილებდეს სსსკ-ის 249-ე და 351-ე მუხლის მოთხოვნებს.[568]

სსკ-ის 1244-ე მუხლის თანახმად, სასამართლო ვალდებულია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში აცნობოს თავისი გადაწყვეტილება სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს. შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების რეგისტრაციას ახორციელებს სააგენტოს ნებისმიერი ტერიტორიული სამსახური, განმცხადებლის სურვილისამებრ. [569] შვილად აყვანა ნამდვილია სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან.

„შვილას აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონის 62-ე მუხლის თანახმად, მშვილებლის (მშვილებლების) თხოვნით, კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის მოტივით, ბავშვს შეიძლება შეეცვალოს სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების ადგილი და დაბადების თარიღი (დაბადების თვის ფარგლებში). ბავშვის დაბადების აქტის ჩანაწერში მშვილებელი (მშვილებლები) მიეთითება (მიეთითებიან) შვილად აყვანილი

567 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 13 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-604-563-2017.

568 თ.ლილუაშვილი/ ვ.ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, თბ.,2007,გვ. 587.

569 რ.შენგელია / ე. შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 2015, გვ. 258.

ბავშვის მშობლად (მშობლებად). 10 წლია ან 10 წელზე მეტი ასაკის ბავშვის სახელის, გვარის, პირადი ნომრის, დაბადების ადგილისა და დაბადების თარიღის შეცვლისას, სასამართლო ითვალისწინებს ბავშვის აზრს, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. პირადი მონაცემების შეცვლა შესაძლებელია სასამრთლო გადაწყვეტილების საფუძველზე. [570]

შვილად აყვანის კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად მიმართულ მოქმედებებს ითვალისწინებს „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ" საქართველოს კანონის 65-ე მუხლი.

სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ნაშვილევი კარგავს პირად და ქონებრივ უფლებებს და თავისუფლდება მოვალეობებისაგან თავისი ბიოლოგიური მშობლებისა და წარმოშობით ნათესავების მიმართ. ნაშვილები და მისი შთამომავლობა – მშვილებლისა და მისი ნათესავების მიმართ, ხოლო მშვილებელი და მისი ნათესავები – ნაშვილებისა და მისი შთამომავლობის მიმართ პირადი და ქონებრივი უფლება-მოვალეობებით უთანაბრდებიან შთამომავლობით ნათესავებს.

შვილად აყვანის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით დაინტერესებული პირების მიერ და იგი კანონიერ ძალაში შედის სსსკ-ის 264-ე მუხლით დადგენილ ვადებში და წესით. თუ დაინტერესებულმა პირმა, რომელიც მოწვეული არ იყო საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად, შვილად აყვანის შესახებ შეიტყო სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, მას შეუძლია სსსკ-ის 422-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, მოითხოვოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.[571]

რაც შეეხება შვილად აყვანის გაუქმების ან ბათილად ცნობის შესახებ საქმეებს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით და „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი საფუძვლების არსებობისას, სასამართლოს მიერ განიხილება არა უდავო, არამედ სასარჩელო წარმოების წე-

570 შ.ქურდაძე/ნ.ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2015, გვ.500.

571 ზ.ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები, თბ.,2007, გვ. 91.

სების დაცვით. [572]

გარდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო და სამოქალაქო მატერიალური კოდექსებისა, შვილად აყვანის ცალკეულ საკითხებს აწესრიგებს საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ." [573] კერძოდ, აღნიშნული კანონის მე-14 მუხლის თანახმად, შვილად აყვანის საქმეებზე საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ, თუ მშვილებელები, ერთ-ერი მშვილებელი ან ბავშვი საქართველოს მოქალაქეა ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს. აღნიშნული კანონის 52-ე და 53-ე მუხლების თანახმად კი, შვილად აყვანა წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, რომელსაც განეკუთვნება მშვილებელი შვილად აყვანის დროს. შვილად აყვანა ერთ-ერთი ან ორივე მეუღლის მიერ ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, რომელიც ქორწინების ზოგადი შედეგების მიმართ გამოიყენება. ბავშვის და მასთან საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობებში მყოფი პირის მიერ თანხმობის მიცემის საკითხი შვილად აყვანაზე, დამატებით ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალსაც, რომელსაც ეს ბავშვი განეკუთვნება. თუ ბავშვის ინტერესებისათვის აუცილებელია, ამ ქვეყნის სამართლის ნაცვლად გამოიყენება საქართველოს სამართალი.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 52-ე მუხლი შეიცავს შვილად აყვანის ძირითად საკოლიზიო პრინციპს, რომლის თანახმად, შვილად აყვანა წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, რომელსაც განეკუთვნება მშვილებელი შვილად აყვანის დროს. „ეს იმას ნიშნავს, რომ თუ მაგალითად იტალიის მოქალაქეს სურს იშვილოს ბავშვი, რომელიც საქართველოში ცხოვრობს და საქართველოს მოქალაქეა, გამოიყენება არა საქართველოს კანონმდებლობა შვილად აყვანის შესახებ, არამედ იტალიის კანონმდებლობა. იმ შემთხვევაში, როცა მშვილებელი საქართველოს მოქალაქეა, ხოლო შვილად ასაყვანი პირი სხვა ქვეყნის მოქალაქეა, მაშინ გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობა. მართალია შვილად აყვანის დროს გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომელსაც მშვილებელი განეკუთვნება, მაგრამ შვილად ასაყვანი

572 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 8 აპრილის განჩინება საქმეზე №ას-71-2021.

573 თ.ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2005, გვ. 453.

ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, შესაძლებელია საქართველოს სამართლის გამოყენება.[574]

საქართველოდან ბავშვის უცხო სახელმწიფოში გაშვილება, აგრეთვე უცხოელი ბავშვის საქართველოში შვილება შესაძლებელია იმ საერთაშორისო-სამართლებრივი აქტებისა და ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე, რომლებიც საერთაშორისო გაშვილებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს აწესრიგებენ. ამ მხრივ აღსანიშნავია გაეროს 1989 წლის კონვენცია „ბავშვის უფლებების შესახებ" და ჰააგის 1993 წლის კონვენცია „ბავშვთა დაცვისა და საერთაშორისო გაშვილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ". მათი ძირითადი რეკომენდაციები გათვალისწინებულია საქართველოს კანონში „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ."[575]

„შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ" საქართველოს კანონის 44.I. მუხლის თანახმად, თუ საქართველოში მუდმივად მცხოვრები გასაშვილებელი ბავშვისათვის მშვილებლები (მშვილებელი) საქართველოში ვერ მოინახა, ცენტრალური ორგანო იწყებს ამ ბავშვის უცხო ქვეყანაში სვილად აყვანის პროცედურას. ამავე კანონის 54. I. მუხლის თანახმად, დამაბრკოლებელი გარემოებების არარსებობის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში ცენტრალური ორგანო ამზადებს დასკვნას საქართველოდან გასაშვილებელი ბავშვის უცხო ქვეყანაში შვილად აყვანის შესახებ.საქართველოდან გასაშვილებელი ბავშვის უცხო ქვეყანაში შვილად აყვანის შესახებ დასკვნა მომზადებიდან 1 კვირის ვადაში წარედგინება შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს. საქართველოში მუდმივად მცხოვრები გასაშვილებელი ბავშვის უცხო ქვეყანაში შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება მიიღება ამ კანონის 61-ე მუხლის შესაბამისად.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამრთლო. „საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე

574 თ.ლილუაშვილი/ბ.ლილუაშვილი, საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართალი, თბ., 2020, გვ.129.

575 რ.შენგელია / ე. შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 2015, გვ. 290.

პირის შვილად აყვანის ფაქტის რეგისტრაციისათვის, საკმარისია ამ გადაწყვეტილების საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და სხვა რაიმე იძულებითი ღონისძიების გატარება საჭირო არ არის.“ [576]

„საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობისა და თანდართული მასალების შესწავლის შედეგად დასტურდება შუამდგომლობის მოთხოვნის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან („საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 52-ე მუხლი, სსკ-ის 1239-ე მუხლის 2-ე ნაწილი; 1246-ე მუხლის 2-ე ნაწილი, აგრეთვე მშვილებლისა და შვილად აყვანილს შორის ასაკობრივი სხვაობა აკმაყოფილებს სსკ-ის 1250-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნას).“ [577]

§7. ბავშვის მიტოვებულად აღიარება

სსსკ-ის 310-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს სასამართლოს მიერ უდავო წარმოების წესით ბავშვის მიტოვებულად აღიარების შესახებ საქმეების განხილვას. ბავშვის მიტოვებულად აღიარების შესახებ საქმის განხილვისას,[578] სასამართლოს მიერ დაცული უნდა იქნეს არა მხოლოდ ზოგადად უდავო წარმოების წესით საქმეთა განხილვის საერთო მოთხოვნები,[579] არამედ აგრეთვე სსკ-ის 1193[1]-ე მუხლისა და „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14-ე მუხლით დადგენილი

576 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 8 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ა-4500-გან-8-2019.

577 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 6 აგვისტოს განჩინება საქმეზე №ა-3395-შ-93-2021, პ.10; სუსგ 2021 წლის 30 ივნისის განჩინება საქმეზე №ა-2590-შ-66-2021, პ.11; სუსგ 2021 წლის 7 ივნისის განჩინება საქმეზე №ა-2329-შ-52-2021, პ.8; სუსგ 2021 წლის 21 აპრილის განჩინება საქმეზე №ა-1206-შ-26-2021, პ.6; სუსგ 2021 წლის 17 თებერვლის განჩინება საქმეზე №ა-418-შ-8-2021; სუსგ 2020 წლის 15 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ა-3189-შ-69-2020, პ.9; სუსგ 2019 წლის 12 ივლისის განჩინება საქმეზე №ა-805-შ-27-2019, პ.4; სუსგ 2019 წლის 4 ივლისის განჩინება საქმეზე №ა-2218-შ-58-2019; სუსგ 2017 წლის 15 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ა-3529-შ-91-2017, პ.4;

578 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 24 მაისის განჩინება საქმეზე №ას-2-2022.

579 შ.ქურდაძე/ნ.ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2015, გვ.512.

მოთხოვნებიც. სათანადო განმცხადებელს წარმოადგენს მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო, რომელიც განცხადებით მიმართავს სასამართლოს ნაპოვნი ბავშვის მიტოვებულად აღიარებისათვის. ბავშვის მიტოვებულად აღიარების შესახებ სასამართლოსათვის მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოს მიმართვამდე მისი დაბადება რეგისტრირებული უნდა იყოს.

ბავშვი მიტოვებულად აღიარებას ექვემდებარება თუ: ა) ის არის ნაპოვნი ბავშვი და მისი აღმოჩენიდან 6 კვირის ვადაში შესაბამისმა ორგანოებმა ვერ დაადგინეს ბავშვის ან/და მისი მშობლის(მშობლების) ვინაობა; ბ) ის არის ნაპოვნი ბავშვი და 6 კვირის ვადაში დადგინდა ამ ბავშვის ვინაობა ან/და მისი მშობლის (მშობლების) ვინაობა, მაგრამ ის (ისინი) თავს არიდებს (არიდებენ) მშობლის უფლებების განხორციელებას და მოვალეობების შესრულებას, შეტყობინებიდან 7 დღის ვადაში არ გამოცხადდა (გამოცხადდნენ) მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივ ორგანოში ან მასთან (მათთან) დაკავშირება შეუძლებელია. ჩგ) ბავშვის მშობელმა (მშობლებმა) საკუთარი მოქმედებით ან უმოქმედობით გამოხატა (გამოხატეს) მისი მიტოვება ან/და ის (ისინი), სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული პრევენციისა და რეინტეგრაციის ღონისძიებების მიუხედავად, თავს არიდებს (არიდებენ) მშობლის უფლებების განხორციელებას და მოვალეობების შესრულებას ან ბავშვზე 24 საათიანი სახელმწიფო ზრუნვის ხანგრძლივობა აღემატება 3 თვეს (გარდა მშობლის (მსობლების) ჯანმრთელობის არასატანადო მდგომარეობისა ან მშობლის (მშობლების) პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნისა) და ბავშვის მშობელს (მშობლებს) შეზღუდული ან შეჩერებული აქვს (აქვთ) მშობლის უფლება-მოვალეობები.

თუ დადგინდა, რომ მშობელი არასაპატიო მიზეზით არ იჩენს სისტემატიურ ყურადღებას ბავშვის მიმართ და ცნობილია მშობლის საცხოვრებელი ადგილის მისამართი, მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო ვალდებულია გააფრთხილოს მშობელი, რომ უყურადღებობის გამო ბავშვი შეიძლება მიტოვებულად აღიარონ და გააშვილონ. თუ გაფრთხილებიდან 2 თვის ვადაში მშობელი კვლავ არ ინტერესდება ბავშვით, მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო ვალდებულია განიხილოს ბავშვის მიტოვებულად აღიარების ან ბავშვის მიმართ მშობლის უფლების ჩამორთმევის მოთხოვნით სასამართლოსათვის მიმართვის საკითხი.

ამ საკითხის განხილვის შედეგები უნდა ეცნობოს სააგენტოს.

სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ბავშვი აღიარებული იქნება მიტოვებულად და მას ენიჭება გასაშვილებელი ბავშვის სტატუსი.

§8. ცოცხალ დონორობაზე თანხმობის გაცემა

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ი" პუნქტში 2016 წლის 24 ივნისს განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეებს მიეკუთვნება ასევე ცოცხალ დონორობაზე თანხმობის გაცემის შესახებ საქმეები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსს დაემატა XXXVI2 თავი, მუხლები 316^2–316^6 რომლებიც აწესრიგებენ სასამართლოს მიერ ცოცხალ დონორობაზე თანხმობის გაცემის შესახებ საქმეთა განხილვასთან დაკავშირებულ საკითხებს.

სსსკ-ის 316^6 I მუხლის თანახმად, სასამართლო ცოცხალ დონორობაზე თანხმობის გაცემის შესახებ საქმეს განიხილავს ამ კოდექსის 311-ე მუხლით დადგენილი წესით.

სსსკ-ის 316^2-ე მუხლის მიხედვით, „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე რეციპიენტთან ახლო პირადი ურთიერთობის მქონე პირის ცოცხალ დონორობაზე თანხმობის მიღების შესახებ განცხადება შეიტანება სასამართლოში დონორის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ცოცხალ დონორობაზე თანხმობის მიღების შესახებ განცხადების შეყტანა შეუძლია რეციპიენტს, დონორს და ტრანსპლანტაციის საბჭოს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ნივთს განსაზღვრავს, როგორც სამართლის ობიექტს, ხოლო სამართლის სუბიექტია ფიზიკური ან იურიდიული პირი. აქედან გამომდინარე, ადამიანის სხეული ან სხეულის ნაწილები, არ შეიძლება იყოს უფლების ობიექტი. [580]

ნივთებად არ განიხილება ადამიანები და მათი სხეულის ნაწილები, ვიდრე ისინი ცოცხალი ორგანიზმის ნაწილს შეადგენდნენ. [581] ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა აკრძალულია საქართველოს

580 ლ.თოთლაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, მუხლი 148, ველი 12, თბ., 2018.

581 ლ.ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, გვ.142.

კანონმდებლობით. [582] აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ ადამიანის თვითგანკარგვის უფლება მომდინარეობს პიროვნული უფლებებიდან და არა საკუთრების უფლებიდან. [583] ადამიანის სხეულის ელემენტებისა და პროდუქტების გამოყენებაზე ვრცელდება ჯანმრთელობის დაცვის არაერთი წესი. სპეციფიურია ნორმები ადამიანის ორგანოებთან, უჯრედებსა და ქსოვილებთან დაკავშირებით და ამ ნორმების დაუცველეობა კანონმდებლობით დასჯადია.

პიროვნული უფლებების პრიმატი მოქმედებს მანამ, სანამ პირი, რომელსაც სხეულის ნაწილი განეკუთვნება, არ არის თანახმა, რომ ეს ნივთი ბრუნვაში მოექცეს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია „ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ" კონვენციის დამატებითი ოქმი „ადამიანის ორგანოებისა და ქსოვილების გადანერგვის შესახებ", რომელიც მკურნალობის მიზნით ორგანოებისა და ქსოვილების გადანერგვას ეხება. გადანერგვა შესაძლებელია მხოლოდ ცოცხალი დონორის ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე, ხოლო გარდაცვლილი პირის შემთხვევაში, უფლებამოსილი პირის ნებართვის საფუძველზე. [584] ადამაინის პიროვნული უფლებების პატივისცემისა და სხეულებრივი ერთიანობის კონცეფციები, ამის მიუხედავად მაინც უშვებენ, ამ პრინციპების პატივისცემით, ადამიანის სხეულის ელემენტების გამოყენებას. [585]

„ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ" საქართველოს კანონი აწესრიგებს მხოლოდ სხვა ადამიანისათვის გადანერგვის მიზნით ადამიანის სიცოცხლეში ან სიკვდილის შემდეგ ერთი ან ერთზე მეტი ორგანოს, ორგანოთა ნაწილების, ქსოვილებისა და უჯრედების ნებაყოფლობით გაცემის, მათი აღების, შენახვის, განაწილებისა და სხვა მსგავს საკითხებს და ადგენს ადამიანის ორგანოებით ვაჭრობის აკრძალვას. [586] ცოცხალი ადამიანის სხეულიდან ორგანოს განცალკევების შემთხვევაში ორგანო შეიძენს ნივთის

582 თ.ცქიტიშვილი, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ., 2015, გვ.81.

583 თ.ზარანდია, სანივთო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2019, გვ.103.

584 ნ.კვანტალიანი, პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, თბ., 2014, გვ.23.

585 თ.ზარანდია, სანივთო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2019, გვ.105.

586 ლ.თოთლაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, მუხლი 148, ველი 12, თბ., 2018.

თვისებას. [587]

„ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, რეციპიენტი არის – ადამიანი, რომელსაც მკურნალობის მიზნით გადაენერგა სხვა ადამიანის ორგანო; დონორი – ცოცხალი ადამიანი ან გარდაცვლილი, რომლისგანაც იღებენ ორგანოს სხვა ადამიანისათვის გადასანერგად; ამავე კანონის 28-ე მუხლის თანახმად კი, სამინისტროში იქმნება ტრანსპლანტაციის საბჭო, რომლის დებულებასა და შემადგენლობას ამტკიცებს მინისტრი.

სსსკ-ის 316^3 I მუხლის თანახმად, ცოცხალ დონორობაზე თანხმობის მიღების შესახებ განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს დონორსა და რეციპიენტს შორის არსებული ახლო პირადი ურთიერთობის ხასიათი, დონორის პირადი და ოჯახური მდგომარეობა და დონორის ორგანოს აღების მიზანი.

„ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მიხედვით, ცოცხალი დონორისაგან ორგანოს აღება სხვა ადამიანისათვის გადასანერგად დასაშვებია მხოლოდ სიცოცხლის შენარჩუნების, მძიმე ავადმყოფობისაგან განკურნების, დაავადების პროგრესირების შეჩერების ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. მკურნალობის მიზნით პლაცენტისა და ჭიპლარის სისხლის ღეროვანი უჯრედების აღება სხვა ადამიანისათვის გადასანერგად დასაშვებია მხოლოდ პოტენციური დონორის მშობიარობის შემდეგ.

სსსკ-ის 316^3 II მუხლის თანახმად, ცოცხალ დონორობაზე თანხმობის მიღების შესახებ განცხადებას უნდა ერთვოდეს:

ა) მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს დონორსა და რეციპიენტს შორის ახლო და სტაბილური ემოციური კავშირის არსებობას არანაკლებ 2 წლის განმავლობაში;

ბ) მტკიცებულებები იმისა, რომ არ მოიძებნა ცოცხალი დონორი „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ბ.ა“, „ბ.ბ“ და „ბ.გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ პირებს შორის; (გადანერგვის მიზნით ცოცხალი დონორისაგან ორგანოს აღება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაცულია შემდეგი პირობები- დონორი შეიძლება იყოს ბ.ა) რეციპიენტის გენეტიკური ნათესავი; ბ.ბ) რეციპიენტის მეუღლე, თუ ქორწინების რეგისტრაციიდან გასულია არანაკლებ 1 წელი; ბ.გ) რეციპიენტის

587 ლ.ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, გვ.142.

მეუღლის შვილი, დედა (დედამთილი/სიდედრი), მამა (მამამთილი/სიმამრი), შვილიშვილი, ბებია, პაპა, და (მული/ცოლისდა), ძმა (მაზლი/ცოლისძმა), შვილის მეუღლე (რძალი/სიძე), შვილიშვილის მეუღლე (რძალი/სიძე), დის მეუღლე (სიძე), ძმის მეუღლე (რძალი), თუ ქორწინების რეგისტრაციიდან გასულია არანაკლებ 2 წელი. „ბ.გ" ქვეპუნქტით განსაზღვრულმა ყველა პოტენციურმა ცოცხალმა დონორმა, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება გადაინერგოს იმ ნათესაური კავშირის მქონე ადამიანის ორგანო, რომლის მიმართაც მას აქვს დონორობის უფლება; ამ მუხლის „ბ" ქვეპუნქტის „ბ.ა", „ბ.ბ" და „ბ.გ" ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში არსებობს ტრანსპლანტაციის საბჭოს თანხმობა. **ხოლო „ბ.დ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში – სასამართლოს თანხმობა.**

გ) მტკიცებულებები იმისა, რომ არ არსებობს რეციპიენტისათვის სიცოცხლის შენარჩუნების, მისი მძიმე ავადმყოფობისაგან განკურნების, დაავადების პროგრესირების შეჩერების ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მკურნალობის ხელმისაწვდომი ალტერნატიული მეთოდი;

გ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, რომელიც ადასტურებს ტრანსპლანტაციის ჩვენებას;

ე) დონორის თანხმობა;

„ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 „გ" ქვეპუნქტი ითვალისწინებს, რომ დონორს ორგანოს გაცემაზე განცხადებული უნდა ჰქონდეს ინფორმირებული თანხმობა; მედიცინის განვითარების თანამედროვე დონის შესაბამისი გამოკვლევებით დადგენილია, რომ ოპერაციის მეყსეული ან შორეული, უშუალო ან გაშუალებული შედეგები არ წარმოადგენს დონორის სიცოცხლისათვის მნიშვნელოვან რისკს და არ გამოიწვევს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრ გაუარესებას; სათანადო გამოკვლევით დადგენილია, რომ დონორი შეესაბამება იმ კრიტერიუმებს, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია გადანერგვის მიზნით ცოცხალი ადამიანისაგან ორგანოს ასაღებად; „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის თანახმად, პოტენციური ცოცხალი დონორისაგან ინფორმირებული თანხმობის მისაღებად მას უნდა განემარტოს: 1) ორგანოს აღებისათვის საჭირო ოპერაციული ჩარევის სახე, მოცულობა, რისკი, რომელიც მის სიცოცხლეს ემუქრება, დონორის ჯანმრთელობაზე ოპერაციული ჩარევის მეყსეული და შორეული,

უშუალო და გაშუალებული შედეგების უარყოფითი ზეგავლენის შესაძლებლობა; 2) ცოცხალი დონორისაგან აღებული ორგანოს გადანერგვის მოსალოდნელი შედეგის – წარმატების თუ წარუმატებლობის ყველა შესაძლებლობა; 3) ყველა შესაძლო გარემოება, რამაც შეიძლება იმოქმედოს დონორის გადაწყვეტილებაზე.

ვ) დასკვნა დონორისა და რეციპიენტის ანტიგენური თავსებადობის შესახებ;

ზ) ცნობა პოტენციური დონორის ჯანმრთელობის შესახებ.

სსსკ-ის 316[4] მუხლის თანახმად, საქმის სასამართლო განხილვისათვის მომზადებისას, სასამართლო გამოარკვევს: ა) ახდენს თუ არა დონორის თანხმობაზე გავლენას ეკონომიკური, სოციალური ან ფსიქოლოგიური ფაქტორები; ბ) არის თუ არა დონორის თანხმობა განპირობებული დაპირებული ან რეალური კომპენსაციის მიღებით; გ) აცნობიერებს თუ არა დონორი, რომ მას შეუძლია მიზეზების განმარტების გარეშე, ნებისმიერ დროს განაცხადოს უარი ორგანოს აღებაზე; დ) სხვა აუცილებელ გარემოებებს.

სსსკ-ის 316[5] მუხლის თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილება, რომლითაც სასამართლო თანხმობას გასცემს პირის ცოცხალ დონორობაზე რეციპიენტთან ახლო პირადი ურთიერთობის არსებობის საფუძველზე, **არის სასამართლოს თანხმობა „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის.**

„ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის ბ.დ ქვეპუნქტის თანახმად, დონორი ასევე შეიძლება იყოს რეციპიენტთან ახლო პირადი ურთიერთობის მქონე პირი, თუ ცოცხალი დონორი ამ მუხლის „ბ.ა“, „ბ.ბ“ და „ბ.გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ პირებს შორის არ მოიძებნა და არ არსებობს რეციპიენტისათვის სიცოცხლის შენარჩუნების, მისი მძიმე ავადმყოფობისაგან განკურნების, დაავადების პროგრესირების შეჩერების ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მკურნალობის ხელმისაწვდომი ალტერნატიული მეთოდი. ამავე კანონის მე-18 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, „ბ.დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში ცოცხალი დონორისაგან ორგანოს აღება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სასამართლოს თანხმობა.

კანონმდებლობით დადგენილია ცოცხალ დონორობაზე თანხმობის გაცემის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრე-

ბის წესი, კერძოდ, სსსკ-ის 316[6] II მუხლის თანახმად, აღნიშნული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს იმავე სასამართლოში საჩივრის შეტანით, მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში.

თავი X. ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეთა განხილვის თავისებურებანი

§1. არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნება ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ კონვენციისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით

არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნება ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ კონვენციის მიხედვით

იქედან გამომდინარე რომ საერთაშორისო მასშტაბით დაეცვათ ბავშვები არამართლზომიერი გადაადგილებისგან ან დაკავებისგან 1980 წლის 25 დეკემბერს ჰააგაში რამდენიმე სახელმწიფომ ხელი მოაწერა კონვენციას „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ." ეს კონვენცია ძალაში შევიდა 1983 წელს. საქართველო ამ კონვენციას შეუერთდა 1995 წლის 14 თებერვალს, რომელიც ძალაში შევიდა 1997 წლის 1 ოქტომბერს.

კონვენციის მე-6 მუხლის მიხედვით ხელშემკვრელმა სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს ის ცენტრალური ორგანო რომელიც იკისრებდა კონვენციით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულებას. საქართველოში ასეთ ორგანოდ განისაზღვრა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტი, რომელიც თავისი კომპენტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს კონვენციის შესრულების კოორდინაციას და თანამშრომლობის ორგანიზაციას.

კონვენციის რეგულირების სფეროს წარმოადგენს ბავშვების საერთაშორისო დაცვა არამართლზომიერი გადაადგილების ან დაკავების მავნე შედეგებისგან.

კონვენციის მიზანია:

1) რომელიმე ხელშემკვრელ სახელმწიფოში არამართლზომიერად გადაყვანილი ან დაკავებული ბავშვების სწრაფი დაბრუნების

უზრუნველყოფა; და უზრუნველყოფა იმისა, რომ მეურვეობისა და ბავშვთან ურთიერთობის უფლებანი, გათვალისწინებული ერთ-ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით, ეფექტიანად სრულდებოდეს მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში.

ამრიგად, კონვენცია გამოიყენება მხოლოდ იმ სახელმწიფოებს შორის რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ კონვენციას.

კონვენცია ეხება მხოლოდ 16 წლამდე ასაკის იმ ბავშვებს რომლებიც ჩვეულებრივ ცხოვრობდა ხელშემკვრელ სახელმწიფოში მეურვეობის ან ბავშვთან ურთიერთობის უფლების დარღვევამდე. ამდენად, 16 წლის ბავშვებს, რომლებიც არამართლზომიერად იქნა გადაადგილებული ან დაკავებული კონვენცია არ შეეხება.

ვინ შეიძლება მოახდინოს ბავშვის არამართლზომიერად გადაადგილება და დაკავება?

კონვენციის არსიდან გამომდინარე, ასეთი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, მაგრამ „უმრავლეს შემთხვევაში არამართლზომიერად გადაადგილებას ან დაკავებას ახდენს დედა ან მამა".[588] მაგალითად, მამა საქართველოს მოქალაქეა, ხოლო დედა, რომელიმე სხვა ქვეყნის, განქორწინების შემდეგ მამამ მისცა უფლება ყოფილ მეუღლეს შვილი წაეყვანა 10 აგვისტომდე თავის ქვეყანაში, 10 აგვისტოს კი უკან დაებრუნებინა. თუ დედა 10 აგვისტოს **არასაპატიო** მიზეზით არ დააბრუნებს შვილს საქართველოში, ჩაითვლება რომ იგი **არამართლზომიერად აკავებს** ბავშვს.

ბავშვის გადაადგილება ან დაკავება არამართლზომიერად ჩაითვლება თუ:

1. ერთობლივად ან ინდივიდუალურად ირღვევა იმ პირის, დაწესებულების ან სხვა ორგანიზაციის სამეურვეო უფლებები, რომელთანაც სახელმწიფო კანონმდებლობის მიხედვით, ბავშვი ჩვეულებრივ ცხოვრობდა გადაადგილებამდე ან დაკავებამდე.
2. გადაადგილების ან დაკავების დროს, ერთობლივად ან ინდივიდუალურად ეს უფლებები რეალურად გამოიყენებოდა ან ამგვარად იქნებოდა გამოყენებული რომ არა გადაადგილება

588 Explanatory report by Elisa Perez-Vera, p.429
ww.fjc.gov/content/311576/explanatory-report-eliza-perezvera-report
მისი ქართული თარგმანი იხილეთ: https://assets.hcch.net/docs/7d5e50cc-c3df-4308-8f33-09b4fe92b4f1.pdf

ან დაკავება.

პირველ პუნქტში მოხსენიებული მეურვეობის უფლებები შეიძლება წარმოიშვას, კანონის, სასამართლო ან ადმინისტრაციული გადაწყვეტილების საფუძველზე, ანდა ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით კანონიერი ძალის მქონე შეთანხმების საფუძველზე (კონვენციის მე-3 მუხლი).

კონვენციის თანახმად, ხელშემკვრელი სახელმწიფოს ცენტრალურმა ორგანომ, საქართველოს შემთხვევაში ზემოთ აღნიშნულმა დეპარტამენტმა ყველა ზომა უნდა მიიღოს რათა:

ა) აღმოაჩინონ არამართლზომიერად გადაადგილებული ან დაკავებული ბავშვის ადგილსამყოფელი;

ბ) არ დაუშვან ბავშვებისთვის შემდგომი ზიანის მიყენება ან დაინტერესებული პირთათვის ვნების მიყენება დროებითი ზომების მიღებით ან ასეთი ზომების უზრუნველყოფით.

ზემოთ აღნიშნული კონვენციის საფუძველზე 2015 წლის მარტში საქართველოს სამოქალაქო კოდექსს დაემატა ახალი თავი „არამართლზომიერად გადაადგილებული და არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნების და ბავშვთან ურთიერთობის უფლებები.“ ამ თავის 1305[7] მუხლის „დ“ პუნქტის თანახმად, **განმცხადებელი არის** „ნებისმიერი პირი ან ორგანო, რომელიც ცენტრალურ ორგანოს ან სასამართლოს მიმართავს შუამდგომლობით/სარჩელით არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნებასთან ან ბავშვთან ურთიერთობის უფლების გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

ამავე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, **მეურვეობის უფლება** – არის უფლება, რომელიც შეეხება ბავშვზე მზრუნველობას და ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრას.

პირი ან ორგანო ახორციელებს მეურვეობას, თუ ბავშვი, ჩვეულებრივ, ცხოვრობდა საქართველოში ან კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოში მის არამართლზომიერ გადაადგილებამდე ან არამართლზომიერ დაკავებამდე და ეს პირი ან ორგანო ახორციელებდა მეურვეობას ერთობლივად ან ინდივიდუალურად, საქართველოს ან კონვენციის ხელშემკვრელი იმ სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, სადაც ბავშვი, ჩვეულებრივ, ცხოვრობდა გადაადგილებამდე ან დაკავებამდე.

II. არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნებისათვის სარჩელის აღძვრისა

და საქმის განხილვის თავისებურებანი სასამართლოში

სამოქალაქო კოდექსის 1305[9] მუხლის თანახმად „პირი ან ორგანო, რომელიც ამტკიცებს, რომ აქვს მეურვეობის უფლება იმ ბავშვის მიმართ, რომელიც არამართლზომიერად შემოვიდა საქართველოს ტერიტორიაზე კონვენციის რომელიმე ხელშემკვრელი სახელმწიფოდან ან არამართლზომიერად იმყოფება საქართველოში, უფლებამოსილია ბავშვის დაბრუნების ან ბავშვთან ურთიერთობის უფლების გამოყენების შესახებ შუამდგომლობით/სარჩელით მიმართოს ცენტრალურ ორგანოს ან სასამართლოს".

ამრიგად, სარჩელის აღძვრის სუბიექტი შეიძლება იყოს „ნებისმიერი პირი ან ორგანო, რომელიც წარმოადგენს სარჩელს არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნებასთან ან ბავშვთან ურთიერთობის უფლების გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებზე" (სსკ 351[7] მუხლის „დ" პუნქტი). ასეთ ნებისმიერ პირად ძირითადად შეიძლება მივიჩნიოთ **მშობელი** ან **მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.** სარჩელის აღძმვრელი პირი სამოქალაქო საპროცესო კოდექსში რატონღაც მოხსენიებულია განმცხადებლად და არა მოსარჩელედ (სსკ 351[10] მუხლი).

სარჩელის შეტანა შესაძლებელია თბილისში, რომლის იურისდიქცია მოიცავს აღმოსავლეთ საქართველოს და ქუთაისში, რომლის იურისდიქცია მოიცავს დასავლეთ საქართველოს. სარჩელის შეტანა ხდება ბავშვის ადგილსამყოფლის მიხედვით, მაგალითად, თუ საფრანგეთიდან დედის მიერ არამართლზომიერად ჩამოყვანილი ბავშვი ცხოვრობს დასავლეთ საქართველოში, მაგალითად ზუგდიდში ან ოზურგეთში, მაშინ ფრანგ მამას სარჩელი შეაქვს ქუთაისში, ასევე თუ ბავშვი ცხოვრობს თელავში ან რუსთავში, სარჩელი შეტანილი უნდა იქნეს თბილისში.

პრობლემა შეიძლება მაშინ წარმოიშვას როდესაც უცნობია ბავშვის ადგილსამყოფელი, ასეთ შემთხვევაში მოსარჩელე შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს, რომ მან **გამოსცეს ბრძანება (განჩინება)** რათა შესაბამისმა სახელმწიფო ორგანომ დაადგინოს ბავშვის ადგილსამყოფელი (სსკ 351[10] მუხლის „გ" პუნქტი).

თუ ბავშვის ადგილსამყოფელი უცნობია, რომელ სასამართლოში უნდა იქნეს შეტანილი სარჩელი და შუამდგომლობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ უთითებს. ასეთ შემთხვევაში, შესაძლებე-

ლი უნდა იყოს, რომ სარჩელი და შუამდგომლობა შეტანილ უნდა იქნეს თბილისის ან ქუთაისის სასამართლოში. თუ ცნობილია მოპასუხის ადგილსამყოფელი, მაგალითად ბათუმი, მაგრამ უცნობია ბავშვის ადგილსამყოფელი, მაშინ შესაძლებელია, ზოგადი წესების ანალოგიით, სარჩელი და შუამდგომლობა შეტანილ იქნეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში. თუ სახელმწიფო ორგანო დაადგენს, რომ ბავშვი ცხოვრობს რუსთავში, მაშინ შესაძლებელი უნდა იყოს, რომ სარჩელი და თანდართული მასალა, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, ქუთაისიდან გადმოგზავნილი იქნეს თბილისის საქალაქო სასამართლოში. თუ ქუთაისში სარჩელის შეტანის შემდეგ ბავშვი საცხოვრებლად გადავა, მაგალითად, რუსთავში, ქუთაისის სასამართლო, რომელმაც სარჩელი წარმოებაში მიიღო, საქმეს ჩვეულებრივ განიხილავს და საქმის მასალები აღარ უნდა გადასცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 351[8] მუხლის არსიდან გამომდინარე არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნებასთან ან ბავშვთან ურთიერთობის უფლების გამოყენებასთან დაკავშირებული საქმეების მიმართ გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესები, ამავე კოდექსის 42-ე თავით[589] განსაზღვრული თავისებურებების გათვალისწინებით. აღნიშნულიდან გამომდინარე მოსარჩელეს უფლება აქვს სარჩელის შეტანის შემდეგ დააყენოს შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის სახით მოპასუხეს აეკრძალოს გარკვეული მოქმედების შესრულება (სსკ 198.2 მუხლის „ბ“ პუნქტი), მაგალითად, ბავშვის დასახლებული პუნქტიდან (ქალაქი, სოფელი და სხვა) გაყვანა. ასევე შესაძლებელია მოსამართლემ გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებებიც (სსკ 198.3 მუხლი), რომლებიც არ არის 198-ე მუხლის ჩამონათვალში. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სსკ-ის 351[10] მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული განმცხადებელის (მოსარჩელის) უფლება დააყენოს შუამდგომლობა ბავშვის გადაადგილების შეზღუდვის შესახებ ბრძანების გაცემის თაობაზე, თავისი ბუნებით სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას უფრო მიეკუთვნება

589 აღნიშნული თავის დასახელებაა „არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნებასთან ან ბავშვთან ურთიერთობის უფლების გამოყენებასთან დაკავშირებულ საქმეთა განხილვის თავისებურებანი“.

ვიდრე რაიმე სხვა ფორმას.

შეიძლება თუ არა სარჩელის უზრუნველყოფა მოსარჩელემ სარჩელის შეტანამდე დააყენოს?

იქედან გამომდინარე, რომ ზემოთ აღნიშნულ საქმეებზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები გამოიყენება, ამიტომ შესაძლებელია რომ პირმა სარჩელის შეტანამდე მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფის სახით, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, მოპასუხისათვის რაიმე მოქმედების აკრძალვა.

სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე შუამდგომლობა უნდა იყოს **დასაბუთებული,** გარემოებები რომლებსაც შუამდგომლობის აღძვრელი პირი უთითებს, უნდა იყოს დამტკიცებული (სსკ 102-ე მუხლის პირველი ნაწილი და 191-ე მუხლის პირველი ნაწილი). სასამართლომ შუამდგომლობა ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე უნდა განიხილოს. მაგალითად, მოსარჩელემ შუამდგომლობაში, მტკიცებულების დართვით მიუთითა, რომ მოპასუხე აპირებს რუსთავიდან ბავშვის გადაყვანას დასავლეთში, და ითხოვს, რომ მოპასუხეს აეკრძალოს ბავშვის გაყვანა დასახლებული პუნქტიდან. შუამდგომლობის აღძვრის შემდეგ სასამართლომ გაარკვია, რომ გადაყვანა ხდება კურორტ საირმეში(ან ბახმაროში) ბავშვის მკურნალობის მიზნით. ასეთ შემთხვევაში მოსარჩელის შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს. ასეთივე შუამდგომლობა შეიძლება დადგეს მაშინაც, როდესაც საქართველოში არამართლზომიერად შემოყვანილი ან დაკავებული ბავშვის სხვა სახელმწიფოში გადაყვანას ცდილობს მოპასუხე.

სარჩელის მიღების შემდეგ საქართველოს არცერთ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს უფლება აღარ აქვს განიხილოს მეურვეობის უფლების საკითხი არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნების ან მის დაბრუნებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე. თუ სასამართლოს დაწყებული აქვს აღნიშნული საქმის განხილვა, მან სსკ-ის 272-ე მუხლის „ზ“ პუნქტის თანახმად, რომელიც ითვალისწინებს საქმის წარმოების შეწყვეტას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, უნდა შეწყვიტოს საქმის წარმოება.

საქმის განხილვის პროცესში სასამართლო მოისმენს მოსარჩელის და მოპასუხის ახსნა განმარტებებს, ამასთან ერთად ის მოუსმენს ბავშვსაც თუ მისი ასაკი, ფიზიკური და ფსიქიკური მდგო-

მარეობა ამის შესაძლებლობას იძლევა.

ბავშვის მოსმენა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და მას უნდა დაესწროს ექსპერტი ან/და სოციალური მუშაკი (სსკ-ის 3511[3] მუხლი).

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის მოსმენას უნდა ესწრებოდეს ექსპერტი ან სოციალური მუშაკი ანდა ორივე ერთად, სასამართლო პრაქტიკა მტკიცებულების სახით იყენებს აგრეთვე სოციალური მომსახურების მუშაკის (ფსიქოლოგის) დასკვნებსაც[590].

იმის დადგენისას, ბავშვი არამართლზომიერად იყო თუ არა გადაადგილებული ან დაკავებული, სარჩელის მიმღებ სასამართლოს შეუძლია უშუალოდ იხელმძღვანელოს ბავშვის ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის სახელმწიფოს კანონმდებლობით, ან ამ სახელმწიფოს სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებით, ან მესამე სახელმწიფოს სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებით. მნიშვნელობა არ აქვს სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოს ეს გადაწყვეტილება აღიარებულია თუ არა ბავშვის ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის სახელმწიფოს მიერ, ისე, რომ არ მიმართოს სპეციალურ პროცედურებს, რომლებსაც სხვა შემთხვევაში გამოიყენებდა ამგვარი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღიარებისათვის ან დადასტურებისათვის.

სასამართლოს შეუძლია ბავშვის დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე მოსთხოვოს განმცხადებელს ბავშვის ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის სახელმწიფოს სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული ნებისმიერი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება ბავშვის გადაადგილების ან დაკავების არამართლზომიერება(სსკ 351[11] მუხლი). საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტი უფლებამოსილია დაეხმაროს განმცხადებელს ამგვარი დოკუმენტის მოპოვებაში.

საქმის განხილვის პროცესში, გადაწყვეტილების მიღებამდე, განმცხადებელს უფლება აქვს დააყენოს სხვადასხვა სახის შუამდგომლობები, მათ შორის:

ა) ბავშვის გადაადგილების შეზღუდვის შესახებ ბრძანების[591]

590 სუს გადაწყვეტილებები სამოქალაქო საქმეებზე, 2017, №6, გვ. 168

591 თუ როგორი სტრუქტურით და შინაარსით უნდა იყოს ჩამოყალიბებული ბრძანება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსში მითითებული არ არის. თავისი არ-

გაცემის თაობაზე;

ბ) ბავშვის შესაბამის პირთან ან დაწესებულებაში მოთავსების შესახებ ბრძანების გაცემის თაობაზე;

გ) შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მეშვეობით ბავშვის ადგილსამყოფლის დადგენის შესახებ ბრძანების გაცემის თაობაზე;

დ) ნებისმიერი სხვა ბრძანების გაცემის თაობაზე, რომელსაც განმცხადებელი მიზანშეწონილად მიიჩნევს კონვენციის დებულებებიდან გამომდინარე (სსკ 351[10] მუხლი).

სასამართლო აღნიშნულ შუამდგომლობებზე გადაწყვეტილებას იღებს **48** საათის განმავლობაში (351[14] მუხლი).

სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნების შესახებ, თუ:

ა) ბავშვი არამართლზომიერად არის გადაადგილებული ან არამართლზომიერად არის დაკავებული და მისი არამართლზომიერი გადაადგილების ან არამართლზომიერი დაკავების თარიღიდან სარჩელის წარდგენის მომენტამდე გასულია **ერთ წელზე ნაკლები**;

ბ) ბავშვის არამართლზომიერი გადაადგილების ან არამართლზომიერი დაკავების თარიღიდან სარჩელის წარდგენის მომენტამდე გასულია ერთ წელზე მეტი და **თვალნათლივ არ იქნა ნაჩვენები**, რომ ბავშვი ინტეგრირებულია თავის ახალ გარემოში (სსკ 351[15] მუხლი).

ზემოთ აღნიშნული „ა“ პუნქტი მიუთითებს იმ ვარაუდზე, რომ ბავშვმა ვერ მოასწრო ინტეგრირება ახალ გარემოსთან და ამდენად მისი დაბრუნება პრობლემას არ შეუქმნის ბავშვის ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობას.

„ბ“ პუნქტის თანახმად კი მართალია გასულია ერთ წელზე მეტი ვადა, მაგრამ ბავშვმა მაინც ვერ შესძლო ახალ გარემოსთან ინტეგრირება, მაგალითად, არავისთან მეგობრობს, ცდილობს განმარტოებით იცხოვროს და ა.შ.

ასევე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ნორმებს, როდესაც სასამართლოს უფლება აქვს ბავშვი დატოვოს საქართველოში, მაგალითად:

სით და მიზნებით ეს ბრძანება განჩინებას უფრო გავს, ამიტომ უმჯობესი იქნებოდა რომ სიტყვა „ბრძანების“ ნაცვლად კანონმდებელს სიტყვა „განჩინება“ გამოეყენებინა. (გ.ლ.)

ა) ბავშვის გადაადგილებიდან ან დაკავებიდან გასულია ერთ წელზე მეტი და იგი ინტეგრირებულია თავის ახალ გარემოში;

ბ) პირი ან ორგანო, რომელიც ითხოვს ბავშვის დაბრუნებას, ფაქტობრივად არ ახორციელებდა მეურვეობის უფლებას ბავშვის საქართველოში არამართლზომიერი გადაადგილების ან არამართლზომიერი დაკავების მომენტისათვის ანდა დაეთანხმა ან მოგვიანებით შეეგუა ბავშვის ასეთ გადაადგილებას ან დაკავებას;

გ) ბავშვის ასაკი, მისი ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ გათვალისწინებულ იქნეს მისი აზრი, და იგი ცალსახად უარს აცხადებს დაბრუნებაზე;

დ) არსებობს იმის სერიოზული რისკი, რომ გარემო, რომელშიც ბავშვი დაბრუნების შემთხვევაში აღმოჩნდება, მას ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზიანის საფრთხეს შეუქმნის ან სხვაგვარად ჩააყენებს მას გაუსაძლის მდგომარეობაში (სსკ-ის 351[16] მუხლი).

ზემოთ აღნიშნულ ორივე შემთხვევაში, კერძოდ, ბავშვის დაბრუნებასთან ან დაუბრუნებლობასთან დაკავშირებით შესაძლებელია მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცეს ბავშვთა ფსიქოლოგის დასკვნასაც.

თავად მოსამართლესაც შეუძლია სასამართლო პროცესზე ბავშვთან გასაუბრების შემდეგ, თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე გარკვეული დასკვნები ჩამოაყალიბოს.

სასამართლოს უფლება აქვს სსკ-ის 152 მუხლის მეორე ნაწილის ანალოგიით, სწორი და გულწრფელი ჩვენების მისაღებად, ბავშვს გაესაუბროს მხოლოდ ექსპერტის ან/და სოციალურ მუშაკის თანდასწრებით. ასევე შესაძლებელი უნდა იყოს, ბავშვის ფსიქიკური ან/და ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, სსკ-ის 147-ე მუხლის ანალოგიით, ბავშვს გაესაუბროს მის ადგილსამყოფელზე.

სასამართლომ საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიიღოს დაჩქარებული წესით, კერძოდ საქმის წარმოებაში მიღებიდან ექვსი კვირის განმავლობაში.

საქართველოს ბავშვთა უფლებათა კოდექსის 81-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების დასაბუთებისას სასამართლომ უპირატესობა უნდა მიანიჭოს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. ამავე მუხლის მესამე ნაწილში ჩამოთვლილია ის ძირითადი კრიტერიუმები რასაც უნდა ემყარებოდეს დასაბუთებული გადაწყვეტილება, მაგალითად:

ა) ბავშვის ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაცვა და უსაფრთხოება;

ბ) ბავშვისთვის განათლების, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის, ფსიქოსოციალური მხარდაჭერისა და რეაბილიტაციის შეუფერხებელი ხელმისაწვდომობა;

გ) ბავშვის ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობა, მისი პიროვნების, ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და ინტერესების პატივისცემა;

დ) ბავშვის მოსაზრებები;

ე) ბავშვსა და მის მშობელს ან ბავშვის აღზრდისთვის პასუხისმგებელ სხვა პირს შორის ურთიერთობა და ა.შ.

სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა შეიცავდეს მისი აღსრულების საკითხებსაც.

განმცხადებელი თავისუფლდება პროცესის ხარჯების ანაზღაურებისაგან.

რაც შეეხება მოპასუხე მხარეს რომელმაც ბავშვი არამართლზომიერად გადააადგილა ან არამართლზომიერად დააკავა, ანდა რომელმაც ხელი შეუშალა ბავშვთან ურთიერთობის უფლების გამოყენებას, სასამართლო აკისრებს იმ აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებას, რომლებიც გაიღო განმცხადებელმა, მათ შორის, სამგზავრო ხარჯებს, ბავშვის ადგილსამყოფლის დასადგენად გაღებულ ნებისმიერ ხარჯს ან გადახდილ თანხას, განმცხადებლის იურიდიული წარმომადგენლობის ხარჯებს და ბავშვის დაბრუნების ხარჯებს.

§2. მშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის ზომების შესრულებასთან დაკავშირებით იურისდიქციის, გამოსაყენებელი სამართლის, აღიარების, შესრულებისა და თანამშრომლობის შესახებ" ჰააგის 1996 წლის 19 ოქტომბრის კონვენციით გათვალისწინებულ საქმეთა განხილვის თავისებურებანი

კონვენციას[592] საქართველო შეურთდა 2014 წლის თებერვალში. ამავე წლის მარტში სამოქალაქო საპროცესო კოდექსს დაემატა ცალკე თავი „მშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის ზომების შესრულებასთან დაკავშირებით იურისდიქციის, გამოსაყენებელი სამართლის, აღიარების, შესრულებისა და თანამშრომლობის შესახებ" ჰააგის 1996 წლის 19 ოქტომბრის კონვენციით გათვალისწინებულ საქმეთა განხილვის თავისებურებანი", რომელიც მხოლოდ ორი მუხლისგან შედგება.

კონვენცია მოიცავს როგორც კერძო სამართლებრივ ასევე საჯარო სამართლებრივ საკითხებსაც.

პრეამბულის თანახმად, კონვენცია მიმართულია საერთაშორისო შემთხვევებში ბავშვთა დაცვის დახვეწის აუცილებლობისაკენ, ამასთან დაკავშირებით კი თავიდან იქნეს აცილებული ბავშვთა დაცვის ღონისძიებების გამოყენებისას **სამართლის სისტემებს** შორის წინააღმდეგობა.

კონვენციას რამდენიმე მიზანი აქვს, მაგალითად: 1. განსაზღვროს ის სახელმწიფოები რომლის ორგანოებსაც გააჩნიათ ბავშვის პიროვნების და ქონების დაცვისთვის ზომების მიღების იურისდიქცია, 2. განსაზღვროს ის სამართალი რომელიც ამ ორგანოებმა თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში უნდა განახორციელონ. 3. განსაზღვრონ ის სამართალი, რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული მშობლის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით და სხვა.

ტერმინი „მშობლის პასუხისმგებლობა" მოიცავს მშობლის უფლებამოსილებას ან სხვა ანალოგიურ დამოკიდებულებას, რომელიც განსაზღვრავს მშობლების, მეურვეების ან სხვა კანონიერი წარმომწდგენლების უფლებებს, უფლებამოსილებებსა და ვალ-

592 კონვენცია „მშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის ზომების შესრულებასთან დაკავშირებით იურისდიქციის, გამოსაყენებელი სამართლის, აღიარების, შესრულებისა და თანამშრომლობის შესახებ". (1996 წ.)

დებულებებს ბავშვის პიროვნებასთან ან ქონებასთან მიმართებაში (კონვენციის 1 მუხლის მე-2 პუნქტი).

ამდენად, კონვენციის ძირითადი მიზანია დაიცვას ბავშვის პიროვნული და ქონებრივი უფლებები. კონვენცია ეხება ყველა ადამიანს დაბადებიდან 18 წლის ასაკამდე. მნიშვნელობა არ აქვს ის ქმედუუნაროა თუ მხარდამჭერის მიმღები.

მართალია, კონვენცია გამოიყენება მხოლოდ იმ სახელმწიფოებს შორის რომლებმაც მისი რატიფიკაცია მოახდინეს, მაგრამ, მისი გამოყენებისათვის არ არის აუცილებელი, რომ ბავშვს ქონდეს **ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი** კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოსთან. მაგალითად, ბავშვს შეიძლება ქონდეს ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი, იმ სახელმწიფოშიც რომელშიც კონვენციას არ აქვს იურიდიული ძალა, მაგრამ ამ კონვენციის მე-6 მუხლი (ლტოლვილი და იმ ბავშვების შემთხვევაში, რომლებიც მათ ქვეყანაში არეულობასთან დაკავშირებით გადასახლებულები არიან სხვა ქვეყანაში), მე-11 (გადაუდებელ შემთხვევაში დაცვის ღონისძიებები) და მე-12 მუხლები მაინც გამოიყენებოდეს[593].

რას შეიცავს ეს მუხლები?

მე-6 მუხლი ეხება ლტოლვილ ბავშვებს და იმ ბავშვებს რომლებმაც დატოვეს თავიანთი ქვეყანა იქ არსებული მძიმე პირობების გამო. ეს წესი არ მოიყენება იმ ბავშვების მიმართ რომლებმაც დატოვეს თავიანთი ქვეყანა სახლიდან გაპარვის გამო[594]

ლტოლვილ ბავშვებზე ზემოთ აღნიშნული წესი ასევე გამოიყენება იმ ბავშვებთან მიმართებაში, რომელთა ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის დადგენა შეუძლებელია.

მე-11 მუხლის მიხედვით:

(1) **ყველა გადაუდებელ შემთხვევაში,** ნებისმიერი ხელშემკვრელი სახელმწიფოს ორგანოს, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება ბავშვი ან მდებარეობს მისი ქონება, გააჩნიათ ბავშვის დაცვის ნებისმიერი საჭირო ზომის მიღების იურისდიქცია.

(2) წინა პუნქტის შესაბამისად მიღებული ზომები ჩვეულებრივ ხელშემკვრელ სახელმწიფოში მცხოვრებ ბავშვთან მიმართებაში წყდება 5-10 მუხლების შესაბამისად იურისდიქციის მქონე ორგა-

593 Practical handbook on The operation of the 1996 Hague Child protection Convention, 2014, p. 25. https://assets.hcch.net/docs/eca03d40-29c6-4cc4-ae52-edad337b6b86.pdf

594 Practical handbook on The operation of the 1996 Hague Child protection Convention, p.41.

ნოების მიერ ამ შემთხვევისთვის საჭირო ზომების მიღებისთანავე.

(3) პირველი პუნქტის შესაბამისად მიღებული ზომები ჩვეულებრივ იმ სახელმწიფოში მცხოვრებ ბავშვთან მიმართებაში, რომელიც არ წარმოადგენს ხელშემკვრელ მხარეს, წყდება ყველა ხელშემკვრელ სახელმწიფოში, ამ შემთხვევაში საჭირო და სხვა სახელმწიფოების ორგანოების მიერ მიღებული ზომების მოცემულ ხელშემკვრელ სახელმწიფოში აღიარებისთანავე.

კოვენცია არ განმარტავს თუ რა მოიაზრება **„გადაუდებელ შემთხვევაში“**, ამიტომ მისი განსაზღვრა კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე საქართველოს, როგორც ხელშემკვრელი სახელმწიფოს, სასამართლოს (ადმინისტრაციული ორგანოს) მიერ უნდა მოხდეს. **„გადაუდებელ შემთხვევად“** შეიძლება მივიჩნიოთ მაგალითად, ბავშვის ავადმყოფობა, რომლის დროსაც ხელისუფლებას არ აქვს შესაძლებლობა დაუკავშირდეს ბავშვის მშობლებს, ასეთ დროს ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ყველა ზომა იხმაროს ავადმყოფი ბავშვის დასაცავად.

მე-12 მუხლი მიუხედავად გადაუდებელი შემთხვევებისა, მოიცავს იურისდიქციის განხორციელებისათვის სპეციალურ საფუძვლებს, რომელიც ხელისშემკვრელ სახელმწიფო ორგანოებს, სადაც იმყოფება ბავშვი ან მისი ქონება, შესაძლებლობას აძლევს გაატარონ წინასწარი ზომები ბავშვის პიროვნებისა და ქონების დასაცავად[595] .

კონვენცია ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს როდესაც იგი არ გამოიყენება. მაგალითად, კონვენცია არ გამოიყენება მშობელსა და ბავშვს შორის ნათესაური კავშირის დასადგენად ან უარყოფისთვის, ბავშვის სახელისა და გვარის დასადგენად, ემანსიპაციისათვის, ქონების მინდობილად მართვისთვის ან მემკვიდრეობისთვის და ა.შ.(კონვენციის მე-4 მუხლი).

ბავშვის ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლო ან ადმინისტრაციულ ორგანოებს გააჩნიათ იურისდიქცია მიიღონ ბავშვის პიროვნების ან ქონების დაცვისკენ მიმართული ზომები.

ბავშვის უკანონო გადაადგილების ან დაკავების შემთხვევაში, ბავშვის ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის სხვა ხელშემკვრელ სახელმწიფოზე შეცვლის შემთხვევაში, იურისდიქცია გააჩნიათ ახ-

595 Practical handbook on The operation of the 1996 Hague Child protection Convention, p.79.

ალი ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის სახელმწიფო ორგანოებს (კონვენციის მე-5 მუხლი).

აღნიშნული წესი იმაზე მიანიშნებს, რომ თუ ბავშვის დაცვის ღონისძიებები დაწყებულია ერთ სახელმწიფოში, სხვა სახელმწიფოში გადასვლის შემდეგ ეს ღონისძიებები გრძელდება ამ ახალ სახელმწიფოშიც.

ხელშემკვრელი სახელმწიფოს ის ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ იურისდიქციას ჩვეულებრივ სხვა ხელშემკვრელ სახელმწიფოში მცხოვრები ბავშვის მშობლების განქორწინების ან ცალ-ცალკე ცხოვრების შესახებ განცხადების განხილვასთან, ან მათი ქორწინების ბათილად ცნობასთან მიმართებაში, შეუძლიათ, თუ ეს გათვალისწინებულია მათი სახელმწიფოს სამართლით, მიიღონ ბავშვის პიროვნების ან ქონების დაცვისკენ მიმართული ზომები, თუ:

ა) პროცესის დაწყების მომენტისთვის ერთ-ერთი მშობელი ჩვეულებრივ ცხოვრობს ამ სახელმწიფოში და ერთ-ერთ მათგანს დაკისრებული აქვს მშობლის პასუხისმგებლობა ბავშვთან მიმართებაში, და

ბ) ამ ორგანოების იურისდიქცია მიიღონ ამგვარი ზომები დადასტურებულია მშობლების ან სხვა ნებისმიერ პირის მიერ, რომელსაც ეკისრება მშობლის პასუხისმგებლობა ბავშვთან მიმართებაში და პასუხობს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.

ბავშვის დაცვისთვის ზომების მიღების იურისდიქცია წყდება ბავშვის მშობლების განქორწინების ან ცალ-ცალკე ცხოვრების, ან მათი ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ განცხადების დაკმაყოფილების ან უარყოფის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის, ან პროცესის სხვა მიზეზით დასრულების მომენტიდან (კონვენციის მე-10 მუხლი).

ბავშვის პიროვნების ან საკუთრების დაცვისას ხელშემკვრელი სახელმწიფო იყენებს თავის ეროვნულ სამართალს, მაგრამ გამონაკლის შემთხვევაში ანუ როდესაც ბავშვთან დაკავშირებული სიტუაცია მჭიდროდაა დაკავშირებული სხვა ხელშემკვრელ სახელწიფოსთან, შეიძლება, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, გამოყენებული იქნეს იმ სახელმწიფოს სამართალიც.

მშობლის პასუხისმგებლობის წარმოშობას ან შეწყვეტას კანონის შესაბამისად, სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობის გარეშე, არეგულირებს ბავშვის ჩვეულებრივი საცხ-

ოვრებველი ადგილის სახელმწიფოს სამართალი.

მშობლის პასუხისმგებლობის წარმოშობას ან შეწყვეტას შეთანხმების ან ცალმხრივი აქტის შესაბამისად სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობის გარეშე, არეგულირებს ბავშვის ჩვეულებრივი საცხოვრებველი ადგილის სახელმწიფოს სამართალი შეთანხმების ან ცალმხრივი აქტის ძალაში შესვლის მომენტისთვის.

ბავშვის ჩვეულებრივი საცხოვრებველი ადგილის სახელმწიფოს სამართლის თანახმად არსებული მშობლის პასუხისგებლობა შენარჩუნებულია აღნიშნული ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის სხვა სახელმწიფოზე შეცვლის შემდეგ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მშობლის პასუხისმგებლობის საკითხი შენარჩუნებულია მაშინაც როდესაც ბავშვის ახალი საცხოვრებელი ადგილის სახელმწიფო არ ითვალისწინებს მსგავსი შემთხვევისათვის მშობლის პასუხისმგებლობას.[596]

კონვენციის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საქართველოს ცენტრალურ ორგანოდ გათვალისწინებულია იუსტიციის სამინისტრო. მხოლოდ ამ სამინისტროს მეშვეობით შეიძლება გამოთხოვილ იქნეს ბავშვის დაცვის შესახებ ინფორმაცია.

კონვენციის საფუძველზე, საქართველომ გააკეთა დათქმა, რომ იუსტიციის სამინისტროსი გამოგზავნილი დოკუმენტების ორიგინალებს თან უნდა ახლდეს თარგმანი მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო ან ინგლისურ ენაზე[597].

კონვენციის საფუძველზე განსაზღვრული ცენტრალური ორგანოს მოთხოვნას ბავშვის პიროვნების ან/და ქონების დასაცავად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი უგზავნის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს ბავშვის ფაქტობრივი ადგილსამყოფლის მიხედვით, რომლებიც ვალდებული არიან, მოთხოვნის მიღებისთანავე განახორციელონ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

ბავშვის პიროვნების ან/და ქონების დასაცავად მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების მიერ სასამართლოსთვის მიმართვის შემთხვევაში სასამართლო საქმეს განიხილავს საქმის წარმოებაში მიღებიდან არაუგვიანეს 6 კვირისა.

---

596 Practical handbook on The operation of the 1996 Hague Child protection Convention, p.96

597 საქართველოს პარლამენტის დადგენილება, 2014, 5 თებერვალი, N1953-IIს

აღნიშნული წესიდან გამომდინარე, ბავშვის პიროვნების ან/და ქონების დასაცავად მოსარჩელე არის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.

§3. საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი

საქორწინო და საოჯახო საქმეთა კატეგორიას მიეკუთვნება საქმეები, რომლებიც წარმოიშობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეხუთე წიგნის – „საოჯახო სამართლის" ნორმებით (1106-1305-ე მუხლებით) მოწესრიგებული ურთიერთობებიდან.

ამ კატეგორიის საქმეების განხილვა წარმოებს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი საქმეთა განხილვის საერთო წესების დაცვით, ოღონდ იმ თავისებურებათა გათვალისწინებით, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 352– 356 მუხლებშია გათვალისწინებული.

სამოქალაქო კოდექსის 1122-ე მუხლის თანახმად, ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალება ან გარდაცვლილად გამოცხადება (317-ე მუხლი) წარმოადგენს ქორწინების შეწყვეტის საფუძველს. ამიტომ, სასამართლოს გადაწყვეტილება საჭირო აღარაა. მაგრამ საქმე იმიტომაც უნდა შეწყდეს, რომ აღარაა მოწინააღმდეგე მხარე, ხოლო უფლებამონაცვლეობას კანონი არ უშვებს (272-ე მუხლის „ე" ქვეპუნქტი).

საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება (273-ე მუხლი).

საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობები, მართალია, განეკუთვნება კერძო სამართლებრივი ურთიერთობების სფეროს, მაგრამ ამ ურთიერთობების განვითარებითა და სიმტკიცით დაინტერესებულია მთელი საზოგადოება. ამ მოსაზრებით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ სასამართლოს, რომელიც იხილავს კონკრეტულ საოჯახო – სამართლებრივ დავას, მინიჭებული აქვს ფართო უფლებები თვითონ თავისი ინიციატივით მიიღოს ყველა ზომა, რათა დაადგინოს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და გამოიტანოს სამართლიანი გადაწყვეტილება, კერძოდ:

ა) სასამართლოს შეუძლია თვითონ განსაზღვროს მტკიცების საგანი, ე. ი. იმ გარემოებათა წრე, რომელთა დადგენის გარეშე შეუძლებელია საქმის სწორად გადაწყვეტა. მხარეთა მიერ მითითებუ-

ლი გარემოებებით, სასამართლო ამ შემთხვევაში, შებოჭილი არაა;

ბ) თვითონ თავისი ინიციატივით გამოითხოვოს არა მარტო ის მტკიცებულებები, რომლებზეც მიუთითებენ მხარეები, არამედ რომლებზეც მხარეები არ მიუთითებენ, მაგრამ რომლებსაც აქვთ მნიშვნელობა მტკიცების საგანში შემავალ დასადგენ (საძიებელ) გარემოებათა დასადასტურებლად.

მოსარჩელეს შეუძლია სარჩელში გააერთიანოს რამდენიმე მოთხოვნა, იმისგან დამოუკიდებლად, ერთსა და იმავე საფუძვლებს ემყარება ეს მოთხოვნები თუ არა (182-ე მუხლი).

საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავების დროსაც ასეთი გაერთიანება, შეერთება რამდენიმე მოთხოვნისა, დასაშვებია, მაგრამ მხოლოდ ერთი პირობით თუ ეს მოთხოვნები საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოიშობა. მაგალითად, განქორწინების საქმის გადაწყვეტასთან ერთად მეუღლეებს შეუძლიათ მოითხოვონ ქონების გაყოფაც. რადგან ორივე ეს მოთხოვნა წესრიგდება საოჯახო სამართლით, სასამართლომ უნდა განიხილოს ეს მოთხოვნები. აგრამ განქორწინების საქმესთან ერთად არ შეიძლება განხილულ იქნეს, მაგალითად, სესხის, ქირავნობის, ზიანის მიყენებით და ა. შ. წარმოშობილი ურთიერთობების საფუძველზე აღძრული საქმეები, რადგან ასეთი კატეგორიის საქმეები არ განეკუთვნება საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილ საქმეთა კატეგორიას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსში დამკვიდრდა ტერმინი „**სასამართლოს დროებითი განკარგულება**“ რომელიც მხოლოდ მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე შეიძლება მიიღოს სასამართლომ რათა მოაწესრიგოს:

ა) შვილის მიმართ მშობელთა ზრუნვის საკითხები;

ბ) ერთ-ერთი მშობლის ურთიერთობა ბავშვთან;

გ) ბავშვის აღსაზრდელად გადაცემა ერთერთი მშობლისათვის;

დ) მცირეწლოვანი ბავშვის შენახვის ვალდებულება;

ე) საკითხი ერთ-ერთი მეუღლის მიერ მეორე მეუღლისათვის მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ;

ვ) საოჯახო მეურნეობისა და ბინით სარგებლობის საკითხი;

ზ) საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი საქმეების განხილვასთან დაკავშირებით ხარჯების ავანსის სახით გადახდევინების საკითხი;

„დროებითი“ ამ განკარგულებებს იმიტომ ეწოდება, რომ საბ-

ოლოოდ ეს საკითხები მოწესრიგდება სასამართლოს მიერ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში. დროებითი განკარგულების ცალკე პროცესუალური ფორმა არ არსებობს, ამიტომ იგი მიიღება განჩინების სახით.

აღნიშნულ საკითხებზე დროებითი განკარგულებები, გამოტანილი განჩინების ფორმით, შეიძლება მიღებულ იქნეს მხარეთა შეუტყობინებლად, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე. მაგრამ, თუ სასამართლო ამას საჭიროდ ჩათვლის, შეუძლია ეს საკითხები მხარეთა შეტყობინებებითა და მათი მონაწილეობით განიხილოს. ცხადია, რომ მათი გამოუცხადებლობა საკითხის გადაწყვეტას და დროებითი განკარგულების მიღებას ვერ დააბრკოლებს.

დროებითი განკარგულების სახით განჩინების გასაჩივრება არ შეიძლება. ეს ლოგიკურია, რადგან ამ განჩინებაში ჩამოყალიბებული განკარგულება დროებითია და საბოლოოდ იგი აისახება გადაწყვეტილებაში, რომელზეც შეიძლება სააპელაციო (საკასაციო) საჩივრის შეტანა.

ამასთან ერთად, მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს განცხადებით (არა საჩივრით), რათა მან შეცვალოს ან გააუქმოს ეს განჩინება. სასამართლოს გამოაქვს განჩინება ამ განცხადებით აღძრული შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის შესახებ. ეს განჩინება არ გასაჩივრდება კერძო საჩივრით და განცხადება არ გადაიგზავნება ზემდგომ სასამრთლოში იმ შემთხვევაშიც, როცა სასამართლო უარს ეუბნება მხარეს განჩინების (დროებითი განკარგულების) შეცვლაზე ან მთლიანად გაუქმებაზე.

საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილ საქმეებთან ერთად შეიძლება განიხილებოდეს მხოლოდ ამ ურთიერთობებიდან წარმოშობილი სხვა მოთხოვნების შესახებ აღძრული საქმეები (სსკ 354-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ამ ზოგადი მითითებიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს ქორწინების ან განქორწინების ბათილად ცნობის შესახებ საქმეებთან ერთად თუ რომელი მოთხოვნები შეიძლება იქნეს განხილული და გადაწყვეტილი, როდესაც ასეთ მოთხოვნებს აყენებენ მხარეები, კერძოდ ეს მოთხოვნები შეიძლება ეხებოდეს:

ა) ქორწინებაში დაბადებულ ბავშვზე მშობელთა საერთო ზრუნვის საკითხს;

ბ) ერთ-ერთი მშობლის ქორწინებაში დაბადებულ ბავშვთან

ურთიერთობის მოწესრიგების საკითხს;

გ) ბავშვის ერთ-ერთი მშობლისათვის გადაცემის საკითხს;

დ) ქორწინებაში დაბადებული ბავშვისათვის მატერიალური დახმარების გაწევის (რჩენის) საკითხს.

ე) მეუღლეთა ურთიერთრჩენის საკითხს;

ამ მუხლის ჩამონათვალი არაა ამომწურავი. განქორწინების ან ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ საქმეთა განხილვისას, სასამართლოს შეუძლია განიხილოს და გადაწყვიტოს სხვა საკითხებიც, როგორიცაა მაგალითად, შვილების საცხოვრებელი ადგილი, მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების გაყოფის საკითხი, ბათილად ცნობილი ქორწინებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი და ა. შ. (სამოქალაქო კოდექსის 1128-ე, 1130-ე, 1147-ე მუხლები).

ერთობლივად განხილული მოთხოვნების მიმართ სასამართლოს გამოაქვს ერთიანი გადაწყვეტილება. სასამართლოს უფლება აქვს ამ გაერთიანებული მოთხოვნებიდან ცალკე გამოყოს ესა თუ ის მოთხოვნა; თუ ეს მოთხოვნები განხილულია, მაშინ მათ მიმართ სასამართლოს გამოაქვს განჩინება. ეს შეეხება „ა“ და „ბ“ პუნქტებში მითითებულ საკითხებს. სხვა შემთხვევაში სასამართლოს ცალკე წარმოებად გამოყოფილი საქმეების მიმართ გამოაქვს გადაწყვეტილება.

აღნიშნულ საკითხებზე გამოტანილ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა (414-420-ე მუხლები).

§4. წარმოება რეკეტული, თანამდებობის პირის, „ქურდული სამყაროს“ წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე ან/და 331[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევასა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებით.

იმისათვის რომ სასამართლო წარმოება სწორად წარმართულიყო კანონმდებელმა რამდენიმე მნიშვნელოვანი ტერმინი განმარტა, რომელიც 356[1] – ე მუხლში მოათავსა. ამ ტერმინებს მხოლოდ

სამოქალაქო სამართალწარმოებისთვის აქვს მნიშვნელობა ანუ შესაძლებელია, რომ სხვა კანონებში მათ სხვაგვარი განმარტება ქონდეთ.

ამ მუხლის „ა" პუნქტის თანახმად **„რეკეტი**-შემოსავლის ან სხვაგვარი ქონებრივი სარგებლის **სისტემატურად** მიღების მიზნით წარმოებული **არაერთჯერადი** და **ორგანიზებული** საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია განზრახი დანაშაულის ჩადენასთან (თუ ნასამართლობა არ არის გაქარწყლებული ან მოხსნილი), თუ იგი განხორციელდა ორჯერ მაინც **ხუთი კალენდარული წლის განმავლობაში**, რომელშიც არ შედის რეკეტირის დაპატიმრებისა და სასჯელის მოხდის ვადა". როგორც მოცემული წესიდან ჩანს რეკეტისთვის დამახასიათებელია 3 ძირითადი ნიშანი შემოსავლისა თუ სხვა ქონებრივი სარგებლის მიღებისა – **სისტემატურობა, არაერთჯერადობა** და **ორგანიზაბულობა.** აღნიშნული მუხლის დეფინიცია საშუალებას გვაძლევს განვაცხადოთ: ერთ-ერთი ნიშანის არქონის შემთხვევაშიც კი ჩვენ სახეზე არ გვექნება რეკეტი.[598] აღნიშნული სამივე ნიშანი დაკავშირებული უნდა იყოს განზრახი დანაშაულის ჩადენასთან და ხუთი კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ მაინც უნდა იყოს განხორციელებული.

„ბ" პუნქტის თანახმად **„რეკეტული დაჯგუფებად მოიაზრება** თავისი საქმიანობით რეკეტთან დაკავშირებული იურიდიული პირი, აგრეთვე ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირთა ნებისმიერი გაერთიანება;

მოცემული პუნქტიდან გამომდინარე, რეკეტულ დაჯგუფებად ითვლება:

1. იურიდიული პირი – მნიშვნელობა არ აქვს მეწარმე სუბიექტია თუ არასამეწარმეო იურიდიული პირია;
2. ფიზიკურ პირთა გაერთიანება, რომელსაც არ აქვს იურიდიული პირის სტატუსი. ასეთი გაერთიანება შეიძლება არსებობდეს როგორც რომელიმე სამართლებრივი ფორმით, მაგალითად, ერთობლივი საქმიანობის სახით ვითომდა რაიმე სამეურნეო ან სხვა მიზნების მიღწევის მიზნით ან არარეგისტრირებული კავშირის სახით, ასევე სპეციალური-

598 ქირია გ. რეკეტული ან ქურდული სამყაროს წევრის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებული წარმოების კომენტარი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2006, 25გვ.

ად დანაშაულის ჩადენის მიზნით შექმნილი ფორმითაც.

3. იურიდიულ პირთა გაერთიანება, რომელსაც არ აქვს იურიდიული პირის სტატუსი, რადგანაც თუ იურიდიულ პირთა გაერთიანებას ექნება იურიდიული პირის სტატუსი მაშინ ის უნდა მივაკუთვნოთ ზემოთ აღნიშნულ პირველ ჯგუფს – იურიდიულ პირებს.

გ) **რეკეტირი** – პირი, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა პირთან/პირებთან ერთად წარმართავს რეკეტული დაჯგუფების საქმიანობას ან სხვაგვარად მონაწილეობს რეკეტული დაჯგუფების საქმიანობაში და რომლისთვისაც ცნობილია, რომ ეს დაჯგუფება რეკეტული დაჯგუფებაა, აგრეთვე რომელიც უკანონოდ წყვეტს რეკეტულ დაჯგუფებათა ან რეკეტულ დაჯგუფებასა და სხვა პირთა შორის დავებს ან მონაწილეობს მათ გადაწყვეტაში;

როგორც „გ" პუნქტიდან ჩანს, რეკეტირი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი.

დ) **თანამდებობის პირი** – „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული თანამდებობის პირი, საჯარო მოხელე, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი ან მისი მოადგილე, აგრეთვე იმ საწარმოს ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, რომელშიც სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტი ფლობს წილის (აქციათა) 50%-ს ან 50%-ზე მეტს, მიუხედავად იმისა, გათავისუფლებულია თუ არა იგი დაკავებული თანამდებობიდან;

ე) **ადამიანით მოვაჭრე** – ფიზიკური ან იურიდიული პირი ან პირთა ჯგუფი, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143^1 ან/და 143^2 მუხლით გათვალისწინებული დანაშაული;

ვ) **ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობი** – ფიზიკური ან იურიდიული პირი ან პირთა ჯგუფი, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით (თუ დადასტურებულია ნარკოტიკული საშუალების გასაღების მიზანი) ან 261-ე მუხლის მე-4 ნაწილით (თუ დადასტურებულია ფსიქოტროპული ნივთიერების გასაღების მიზანი) გათვალისწინებული დანაშაული ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXIII თავით გათვალისწინებული სხვა განსაკუთრებით

მძიმე დანაშაული;

ზ) **„ქურდული სამყაროს“ წევრი**:

ზ.ა) პირი, რომელიც აღიარებს „ქურდულ სამყაროს“ და აქტიურად მონაწილეობს მის საქმიანობაში, აგრეთვე პირი, რომელიც აღიარებს „ქურდულ სამყაროს“, კავშირი აქვს მასთან და სახეზეა აშკარად გამოხატული ნიშნების ერთობლიობა, რომ პირი თავისი ქმედებით გამოხატავს მზადყოფნას „ქურდული სამყაროს“ საქმიანობაში მონაწილეობისთვის;

ზ.ბ) პირი, რომელიც ნებისმიერი ფორმით მართავს ან/და ორგანიზებას უწევს „ქურდულ სამყაროს“ ან „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მეთოდების გამოყენებით მართავს ან/და ორგანიზებას უწევს პირთა გარკვეულ ჯგუფს („კანონიერი ქურდი“);

თ) **ოჯახის წევრი** – რეკეტირის, თანამდებობის პირის, „ქურდული სამყაროს“ წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე ან/და 331[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი, გერი, აგრეთვე რეკეტირთან, თანამდებობის პირთან, „ქურდული სამყაროს“ წევრთან, ადამიანით მოვაჭრესთან, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობთან ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე ან/და 331[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პირთან მუდმივად მცხოვრები პირი;

ი) **ახლო ნათესავი** – რეკეტირის, თანამდებობის პირის, „ქურდული სამყაროს“ წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე ან/და 331[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის ოჯახის წევრი, პირდაპირი აღმავალი ან დამავალი შტოს ნათესავი, და, ძმა, მშობლის ან შვილის გერი, მეუღლის და, ძმა, მშობელი;

კ) რეკეტირთან, თანამდებობის პირთან, „ქურდული სამყაროს“ წევრთან, ადამიანით მოვაჭრესთან, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობთან ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე ან/და 331[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებული პირი – პირი, რომელსაც იურიდიული დოკუმენტაციის საფუძველზე საკუთრებაში აქვს ქონება და არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ

იგი მიღებულია რეკეტის შედეგად ან მოპოვებულია რეკეტირის, თანამდებობის პირის, „ქურდული სამყაროს“ წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე ან/და 331[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის მიერ ან/და ამ ქონებით სარგებლობს, მას განკარგავს (ან განკარგავდა) რეკეტირი, თანამდებობის პირი, „ქურდული სამყაროს“ წევრი, ადამიანით მოვაჭრე, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობი ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე ან/და 331[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირი;

ლ) **რეკეტული ქონება** – რეკეტის შედეგად მიღებული ქონება, ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, რეკეტიდან მიღებული შემოსავლით შეძენილი ქონება, აგრეთვე რეკეტული დაჯგუფების, რეკეტირის, რეკეტირის ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან რეკეტირთან დაკავშირებული პირის შემოსავალი, ქონება ან ქონებიდან მიღებული შემოსავალი, რომლის მართლზომიერი საშუალებებით მიღების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა მტკიცებულება არ არსებობს;

მ) **თანამდებობის პირის ქონება** – თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან თანამდებობის პირთან დაკავშირებული პირის შემოსავალი, ქონება ან ქონებიდან მიღებული შემოსავალი, რომლის მართლზომიერი საშუალებებით მიღების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა მტკიცებულება არ არსებობს;

ნ) **„ქურდული სამყაროს“ წევრის ქონება** – „ქურდული სამყაროს“ წევრის, მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის ან რეკეტირთან ან „ქურდული სამყაროს“ წევრთან დაკავშირებული პირის შემოსავალი, ქონება ან ქონებიდან მიღებული შემოსავალი, რომლის მართლზომიერი საშუალებებით მიღების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა მტკიცებულება არ არსებობს;

ო) **ადამიანით მოვაჭრის ქონება** – ადამიანით მოვაჭრის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან ადამიანით მოვაჭრესთან დაკავშირებული პირის შემოსავალი, ქონება ან ქონებიდან მიღებული შემოსავალი, რომლის მართლზომიერი საშუალებებით მიღების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა მტკიცებულება არ არსებობს;

პ) ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ქონება – ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყო-

ბის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობთან დაკავშირებული პირის შემოსავალი, ქონება ან ქონებიდან მიღებული შემოსავალი, რომლის მართლზომიერი საშუალებებით მიღების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა მტკიცებულება არ არსებობს;

ჟ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე ან/და 331[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის ქონება – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე ან/და 331[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე ან/და 331[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებული პირის შემოსავალი, ქონება ან ქონებიდან მიღებული შემოსავალი, რომლის მართლზომიერი საშუალებებით მიღების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა მტკიცებულება არ არსებობს;

რ) **უკანონო ქონება** – ქონება, აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, აქციები (წილი), რომელიც/რომლებიც რეკეტულ დაჯგუფებას, რეკეტირს, თანამდებობის პირს, „ქურდული სამყაროს" წევრს, ადამიანით მოვაჭრეს, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობს ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე ან/და 331[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პირს, მისი ოჯახის წევრს, მის ახლო ნათესავს ან მასთან დაკავშირებულ პირს კანონის მოთხოვნათა დარღვევით აქვს მოპოვებული;

ს) **დაუსაბუთებელი ქონება** – ქონება, აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, აქციები (წილი), რომლის/რომელთა კანონიერი საშუალებებით მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტები რეკეტულ დაჯგუფებას, რეკეტირს, თანამდებობის პირს, „ქურდული სამყაროს" წევრს, ადამიანით მოვაჭრეს, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობს ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე ან/და 331[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პირს, მისი ოჯახის წევრს, მის ახლო ნათესავს ან მასთან დაკავშირებულ პირს არ გააჩნია ან რომელიც/რომლებიც მოპოვებულია უკანონო ქონების გასხვისების შედეგად მიღებული ფულადი სახსრებით.

რაც შეეხება სსკ 356[2]-ე მუხლს, ამ მუხლის პირველი ნაწილის

თანახმად: „რეკეტული ქონების, თანამდებობის პირის, „ქურდული სამყაროს“ წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე ან/და 331[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე **სარჩელის აღძვრის უფლება აქვს პროკურორს** რეკეტირის, თანამდებობის პირის, „ქურდული სამყაროს“ წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე ან/და 331[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის მიმართ სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში **შესვლიდან 10 წლის ვადაში“.**

როგორც ამ მუხლის პირველი ნაწილის შინაარსიდან ჩანს, იგი განსაზღვრავს **სამ საკითხს:**

ა) ვისი ინტერესების დასაცავად **შეიძლება აღიძრას სარჩელი** და რა შინაარსისა შეიძლება იყოს სასარჩელო მოთხოვნა (სარჩელის საგანი);

ბ) **ვის შეუძლია მიმართოს სასამართლოს ასეთი სარჩელით**;

გ)რა ვადაში შეიძლება აღიძრას ეს სარჩელი.

„ა“ პუნქტთან მიმართებაში აღვნიშნავთ, რომ **სარჩელი შეიძლება აღიძრას** რეკეტული ქონების, თანამდებობის პირის, „ქურდული სამყაროს“ წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე ან/და 331[1]-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე.

ამ მოთხოვნის შინაარსით განისაზღვრება აღძრული სარჩელის საგანი.

რახან სარჩელის აღძვრის მიზანია ქონების ჩამორთმევა და ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემა, მხარედ, კერძოდ კი მოსარჩელედ, სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი თვალსაზრისით, გვევლინება სახელმწიფო, რადგან სარჩელი აღიძვრის და სასარჩელო მოთხოვნაც მიმართულია მისთვის ჩამორთმეული ქონების გადაცემისაკენ. ეს იმას ნიშნავს, რომ მხარედ პროცესუალური გაგებით გვევლინება არა ის პირი, ვინც უშუალოდ აღძრა სარჩელი სხვა პირთა ინტერესების დასაცავად, არამედ ის პირი,

ვისი უფლებებისა თუ ინტერესების დასაცავადაც აღიძრა სარჩელი.

„ბ“ პუნქტთან მიმართებაში შეიძლება აღვნიშნოთ, რომ **სარჩელის აღძვრის უფლება** მინიჭებული აქვს **პროკურორს.** მხოლოდ პროკურორს შეუძლია აღძრას „სარჩელი რეკეტული (ან ქურდული სამყაროს ან ადამიანით მოვაჭრის) ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ“.

ის ვინც მიმართავს სასამართლოს სარჩელით სხვა პირთა უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი თვალსაზრისით არის წარმომადგენელი, აქედან გამომდინარე, მართალია პროკურორი ამავე კანონით იწოდება როგორც მოსარჩელე, მაგრამ მიუხედავად ამისა, პროკურორის პროცესუალურ-სამართლებრივი მდგომარეობა (სტატუსი) შეიძლება განისაზღვროს როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელი, რომელსაც კანონით აქვს მინიჭებული უფლება დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს სარჩელით და დაიცვას მისი წარმომდგენის – სახელმწიფოს უფლებები და ინტერესები.

სარჩელის აღძვრის უფლება პროკურორს აქვს იმ შემთხვევაში, თუ გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი და ეს განაჩენი შესულია კანონიერ ძალაში.

და ბოლოს, „გ“ პუნქტთან დაკავშირებით, განსაზღვრულია აგრეთვე სარჩელის შეტანის ვადა: პროკურორმა სარჩელი უნდა აღძრას განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან 10 წლის ვადაში.

სსკ 356[2]-ე მუხლის მე-2 – მე-6 ნაწილები განსაზღვრავენ იმ მოპასუხეთა წრეს, რომელთა მიმართ შეიძლება აღიძრას სარჩელი, მაგალითად, მეორე ნაწილის მიხედვით რეკეტული ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე სარჩელი შესაძლებელია აღიძრას რეკეტული დაჯგუფების, რეკეტირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან რეკეტირთან დაკავშირებული პირის მიმართ.

მე-3 ნაწილის მიხედვით კი თანამდებობის პირის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე სარჩელი შესაძლებელია აღიძრას თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან თანამდებობის პირთან დაკავშირებული პირის მიმართ და ა.შ.

იმისათვის, რომ ქონება ჩამოერთვას მოპასუხეს და გადაეცეს სახელმწიფოს, აუცილებელია წინასწარ იქნეს დადგენილი გარკვეული ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა ხასიათი და მოცულობა

რამდენადმე განსხვავდება ერთმანეთისაგან იმის მიხედვით აღძრულია სარჩელი რეკეტული ქონების მიმართ, თუ „ქურდული სამყაროს“ წევრისა და ადამიანით მოვაჭრის ქონების მიმართ.

იმისათვის, რომ რეკეტული ქონება ჩამოერთვას მოპასუხეს და გადაეცეს სახელმწიფოს, უწინარეს ყოვლისა სასამართლომ ეს ქონება უნდა ცნოს რეკეტულად (სსკ 356[3] მუხლი).

მოსამართლე ქონებას ცნობს რეკეტულად, თუ საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და კანონიერ ძალაში შესული განაჩენის საფუძველზე დამტკიცებულად (დადასტურებულად) ჩათვლის, რომ (1) ქონება მიღებულია რეკეტიდან; (2) იგი წარმოადგენს შემოსავალს რეკეტიდან მიღებული ქონებიდან; (3) შეძენილია რეკეტით მიღებული შემოსავლით.

იმ შემთხვევაში, თუ აქ ჩამოთვლილი გარემოებები დადასტურდება, ეს იქნება საკმარისი იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს პროკურორის სარჩელი და სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით ქონება ჩამოართვას მოპასუხეს და გადასცეს იგი სახელმწიფოს. მაგრამ, თუ ეს გარემოებები ვერ დადასტურდება წარმოდგენილი მტკიცებულებებით, ეს კიდევ არ იძლევა სარჩელზე უარის თქმის საფუძველს.

ასეთ შემთხვევაში სასამართლომ უნდა გაარკვიოს ხომ არ არსებობს სადავო ქონების მართლზომიერი საშუალებებით მიღების დამადასტურებელი მტკიცებულებები. თუ ასეთი მტკიცებულებები აღმოჩნდება – სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით უარს ეტყვის პროკურორს სარჩელის დაკმაყოფილებაზე. მაგრამ, თუ ასეთი მტკიცებულებები არ არსებობს, სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილე-ბას სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

სსკ-ის 356[3] მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს, თუ რომელ მხარეს რომელი ფაქტების დამტკიცების ტვირთი ეკისრება. პროკურორს ევალება წარუდგინოს სასამართლოს მტკიცებულებები მოპასუხის ქონების რეკეტულობის შესახებ, მაგრამ თუ პროკურორი ვერ წარუდგენს სასამართლოს ასეთ მტკიცებულებებს, მაშინ წარდგენილ უნდა იქნეს მტკიცებულებები სადავო ქონების მართლზომიერი საშუალებებით შეძენის დადასტურების მიზნით. ასეთ მტკიცებულებად შეიძლება გამოდგეს ადერძი ან ქონების კანონისმიერი მემკვიდრეობით მიღების დამადასტურე-ბელი დოკუმენტები, ჯილდოს მიღება, ჩუქების ხელშეკრულება, მაღალი სახელფასო ანაზღაურების დამადასტურებელი დოკუმენ-

ტები და ა.შ.

ცხადია, რომ სადავო ქონების მართლზომიერი საშუალებებით შეძენის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენის მოვალეობა (დამტკიცების ტვირთი) შეიძლება დაეკისროს მოპასუხეს. მაგრამ, თუ მოპასუხემ ეს ვერ შეძლო, მაშინ სასამართლომ უნდა გამოიტანოს მისთვის არახელსაყრელი გადაწყვეტილება.

მოსამართლე **პირის ქონებას უკანონოდ ცნობს**, თუ საქმის წარმოების პროცესში, სათანადო მტკიცებულებათა შეფასების საფუძველზე სასამართლომ გამოარკვია, რომ ქონება ან ამ ქონების შეძენისთვის საჭირო საშუალებები კანონის მოთხოვნათა დარღვევითაა მოპოვებული (სსკ 356[3]-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

მტკიცებულებები პირის (მოპასუხის) ქონების უკანონოდ ცნობასთან დაკავშირებით უნდა წარადგინოს პროკურორმა.

რაც შეეხება პირის ქონების დაუსაბუთებლობას, თუ მოპასუხემ საქმის წარმოების პროცესში ვერ წარადგინა ქონების ან ამ ქონების შეძენისთვის საჭირო ფინანსური საშუალებების კანონიერი გზით მოპოვების ან აღნიშნულ ქონებაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები, მაშინ სასამართლო მის ქონებას დაუსაბუთებლად ცნობს.

ზემოთ აღნიშნულისგან განსხვავებით, სადაც პროკურორი იყო ვალდებული სასამართლოში წარმოედგინა მტკიცებულებები, დაუსაბუთებლობასთან დაკავშირებით, მტკიცების ტვირთი მოპასუხეზე გადადის და ის არის ვალდებული სასამართლოს წარმოუდგინოს ქონების კანონიერებისა და დასაბუთებულობის დამადასატურებელი მტკიცებულებები.

სსკ 191-ე მუხლის თანახმად მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს განცხადებით სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი იმის შესახებ, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გამოაქვს გადაწყვეტილება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

სსკ-ის 356[4]-ე მუხლი ავალებს მოსარჩელე – პროკურორს მიმართოს სასამართლოს განცხადებით სადავო ქონების (მათ შორის საბანკო ანგარიშების) დაყადაღების შესახებ, თუ არსებოს მონაცემები, რომ ამ მუხლში დასახელებული პირები გადამალავენ, დახარჯავენ ან გაასხვისებენ მათ მფლობელობაში არსებულ ქონებას.

შეძლებისდაგვარად ეს მონაცემები პროკურორმა უნდა წარუდგინოს სასამართლოს, რათა მას შეექმნას დასაბუთებული ვარაუდი, რომ ქონებას მართლაც გადამალავენ, დახარჯავენ და ა.შ.

სასამართლოს შეუძლია მიიღოს განჩინება უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ, თუმცა არაა სავალდებულო მისთვის პროკურორის შუამდგომლობა ქონების დაყადაღების შესახებ. ამ კოდექსის 198-ე მუხლი ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფის სხვადასხვა ღონისძიებას. სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს ის ღონისძიება, რომელსაც უფრო მიზანშეწონილად ჩათვლის.

სსკ-ის 356[5]-ე მუხლი ეხება **ქონების რეკეტულად, უკანონოდ ან დაუსაბუთებლად ცნობის იურიდიული შედეგებს. ამ მუხლის თანახმად თუ სასამართლომ პირის ქონება ცნო რეკეტულად, უკანონოდ ან დაუსაბუთებლად** მაშინ ასეთი ქონება მესამე პირის კანონიერი ინტერესების დაკმაყოფილების შემდეგ გადაეცემა მის კანონიერ მესაკუთრეს, ხოლო კანონიერი მესაკუთრის დადგენის შეუძლებლობის შემთხვევაში – სახელმწიფოს.

აქ იბადება ერთი პრაქტიკული საკითხი: თუ ამ კანონიერ მესაკუთრეს არ სურს საქმეში მონაწილეობის მიღება არც სადავო ქონებაზე არ აქვს რაიმე პრეტენზია, თუმცა აშკარაა, რომ იგი ადრე იყო ამ ქონების კანონიერი მესაკუთრე, როგორ უნდა მოიქცეს ასეთ შემთხვევაში სასამართლო?

აქ მხედველობიდან არ შეიძლება გაუშვათ ერთ ფუნდამეტური საკითხი: პროკურორს კანონით მინიჭებული აქვს უფლება აღძრას „სარჩელი რეკეტული..... ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე", მაგრამ მას არ აქვს უფლება აღძრას სარჩელი სხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთა მათ შორის მესამე პირთა და კანონიერ მესაკუთრეთა უფლებების დასაცავად. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნებოდა დისპოზიციურობის პრინციპის უხეში დარღვევა. მით უმეტეს, ამის უფლება არ შეიძლება ჰქონდეს სასამართლოს რომელიც შებოჭილია სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებით.

ამრიგად, ამ ე.წ. მესამე პირებმა და კანონიერმა მესაკუთრეებმა თვითონ უნდა მიმართონ სასამართლოს სარჩელით, თუ მათ აქვთ რაიმე პრეტენზია იმ ქონების მიმართ, რომლის ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის საკითხს იხილავს სასამართლო. იმ შემთხვევაში, როდესაც ამ პირებმა შეიტყვეს სახელმწიფოსათვის ქონების გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ

მათ შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს სარჩელით საერთო წესის დაცვით.

თუ რეკეტული, უკანონო ან დაუსაბუთებელი ქონების პირვანდელი მდგომარეობით კანონიერი მესაკუთრისათვის ან სახელმწიფოსათვის დაბრუნება შეუძლებელია, მოპასუხეს დაეკისრება ამ ქონების ეკვივალენტური ფულადი თანხის გადახდა (სსკ 356[5]-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

რეკეტული, უკანონო ან დაუსაბუთებელი ქონების კანონიერი მესაკუთრისათვის ან სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილება აღსრულდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით (სსკ 356[5]-ე მუხლის მე-4 ნაწილი). ამ წესში არ არის მითითებული, თუ კონკრეტულად როგორ უნდა იქნეს განსაზღვული ქონების ექვივალტური ფულადი თანხა. ასეთ დროს შეიძლება გამოყენებული იქნეს ნებისმიერი მტკიცებულება, რომლითაც შესაძლებელია ქონების ღირებულების განსაზღვრა (ექსპერტის დასკვნა და სხვა). ამასთან, იგულისხმება ქონების საბაზრო ღირებულების ეკვივალენტური თანხა საქმის განხილვის (გადაწყვეტილების გამოტანის) დროისათვის.[599]

განსხვავებულად არის მოწესრიგებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, კერძოდ, დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიტანება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც **გამოცხადდა** რეკეტირის, თანამდებობის პირის, „ქურდული სამყაროს" წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე ან/და 331[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის, მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის ან რეკეტირთან, თანამდებობის პირთან, „ქურდული სამყაროს" წევრთან, ადამიანით მოვაჭრესთან, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობთან ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე ან/და 331[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებულ **პირთან დაკავშირებული პირის ძებნა, მიუხედავად იმისა რომ მას დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოების შესახებ. ამდენად, ამ პირის მიმართ არ გამოიყენება სსკ 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ" პუნქტი.**

სსკ 356[6]-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად დაუსწრებელი

599 ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 568

გადაწყვეტილების ასლი ეგზავნება იმ მხარეს, რომელიც არ გამოცხადდა სასამართლოში და, მაშასადამე, რომლის მიმართაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

განსაზღვრულია აგრეთვე ამ ასლის გაგზავნის ვადა – 5 დღე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანიდან. მხარეს უფლება აქვს, დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაასაჩივროს სააპელაციო (საკასაციო) ინსტანციაში. სააპელაციო (საკასაციო) საჩივარზე მხარის ხელმოწერა დამოწმებული უნდა იქნეს სანოტარო წესით ან საკონსულო წესით.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილი შეიცავს მნიშვნელოვან პრაქტიკულ დანაწესს: იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც მოპასუხის მიმართ გამოცხადებულია ძებნა, უწყება ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულებისა, თუ სასამართლოს მთავარი სხდომის შესახებ მხარეს ეგზავნება 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

თუ სასამართლო დაადასტურებს, რომ რეკეტირს, თანამდებობის პირს, „ქურდული სამყაროს“ წევრს, ადამიანით მოვაჭრეს, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობს ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე ან/და 331[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პირს, მისი ოჯახის წევრს ან მის ახლო ნათესავს ან რეკეტირთან, თანამდებობის პირთან, „ქურდული სამყაროს“ წევრთან, ადამიანით მოვაჭრესთან, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობთან ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე ან/და 331[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებულ **პირს მფლობელობაში აქვს უკანონო და დაუსაბუთებელი ქონება** და **სასამართლო პროცესის მსვლელობისას** რეკეტირის, თანამდებობის პირის, „ქურდული სამყაროს“ წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე ან/და 331[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის მიერ **ჩადენილ ქმედებაში გამოიკვეთა სისხლის სამართლის** დანაშაულის ნიშნები, **პროკურორი მის მიმართ იწყებს სისხლისსამართლებრივ დევნას** (სსკ 3567-ე მუხლის პირველი ნაწილი). აღნიშნულ შემთხვევაში სამართალწარმოება წარიმართება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

§5. წარმოება პირის ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებულ პირად ცნობის თაობაზე საქმის განხილვასთან დაკავშირებით

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აწესრიგებს პირის ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებულ პირად ცნობის თაობაზე საქმის განხილვის საკითხს, (სსკ 356^{8}–356^{11} მუხლები).

ოკუპირებულ ტერიტორიაში მოიაზრება:

ა) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიები

ბ) ცხინვალის რეგიონი (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიები, და ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული საზღვაო ზონები და საჰაერო სივრცე.

ამავე კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით აკრძალულია გარკვეული სახის ეკონომიკური საქმიანობა, მაგალითად:

ა) ნებისმიერი ეკონომიკური (სამეწარმეო ან არასამეწარმეო) საქმიანობა, მიუხედავად იმისა, ხორციელდება თუ არა იგი მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად, თუ ასეთი საქმიანობა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“, „მეწარმეთა შესახებ“, „მუზეუმების შესახებ“, „წყლის შესახებ“, „საჯარო რეესტრის შესახებ“ და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონების, საქართველოს საზღვაო კოდექსის ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით საჭიროებს შესაბამისი ლიცენზიის ან ნებართვის მოპოვებას, ავტორიზაციის ან რეგისტრაციის გავლას, ან თუ ასეთი საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საჭიროებს შეთანხმებას, ასეთის არარსებობის შემთხვევაში;

ბ) სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის შეტანა ან/და გამოტანა;

გ) საერთაშორისო საჰაერო და საზღვაო მიმოსვლა, გარდა გაეროს 1982 წლის საზღვაო სამართლის შესახებ კონვენცი-

ით დადგენილი შემთხვევებისა; და ა.შ.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე ამ მუხლით გათვალისწინებული აკრძალული საქმიანობის განხორციელება დაშვებულია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში სპეციალური თანხმობით, რომელიც გაიცემა საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით, თუ ეს ემსახურება საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების, დეოკუპაციის, ომით დაზარალებულ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენის ან ჰუმანიტარულ მიზნებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356[8]-ე მუხლის თანახმად ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მსჯავრდებული პირად ითვლება პირი, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 322[2] მუხლით გათვალისწინებული ქმედება ანუ რომელმაც განახორციელა „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" კანონით აკრძალული ეკონომიკური საქმიანობა და ამისათვის დაისაჯა ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით.

რაც შეეხება ზემოთ მოხსენიებულ მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებულ პირს, ასეთ პირად „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" კანონის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად მოიაზრება:

ა. პირი, რომელსაც აკრძალული საქმიანობის განმახორციელებლ პირთან აქვს წილი ან 5%-ზე მეტი აქცია. ამ შემთხვევაში იგულისხმება აკრძალული საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიის (კოოპერატივის) პარტნიორი (აქციონერი).

ასეთი პარტნიორი (აქციონერი) შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირი.

ბ. პირი, რომელსაც აქვს წილი ან 25%-ზე მეტი აქცია ზემოთ

აღნიშნულ პირთან. ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ პარტნიორი ან აქციონერი კომპანია უნდა იყოს.

მაგალითად, კომპანია „ცისარტყელა" აკრძალული საქმიანობის განმახორციელებელ კომპანია „მშენებელში" ფლობს წილს ან 25%-ზე მეტ აქციას.

„ბ" პუნქტში მოიაზრება ის პირიც რომელსაც აქვს წილი ან 25%-ზე მეტი აქცია ამ კომპანია „მშენებლის" დამფუძნებელ კომპანია „ცისარტყელაში".

გ. პირი, რომელსაც აქვს წილი ან აქციათა 50%-ზე მეტი „ბ" პუნქტით განსაზღვრულ კომპანიაში.

მაგალითად, ზედა პუნქტებიდან გამომდინარე, კომპანია „ცისარტყელა“ დააფუძნა კომპანია „უნისონმა“. „უნისონის“ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით კომპანია „ცისარტყელამ“ დააფუძნა კომპანია „მშენებელი“.

კომპანია „უნისონს“ კომპანია ცისარტყელაში აქვს წილი ან 50%-ზე მეტი აქცია.

„გ“ პუნქტში მოიაზრება კომპანია „უნისონი“.

ამრიგად, სამივე კომპანია მოიაზრება მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებულ პირად.

„გ“ პუნქტის აზრიდან გამომდინარე კომპანია „უნისონის“ ნაცვლად შეიძლება იყოს ფიზიკური პირი.

მსგავსად, სსკ 356[2]-ე მუხლისა, მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებულ პირად ცნობის თაობაზე, სარჩელი სასამართლოში შეაქვს პროკურორს. სარჩელის აღძვრისთვის კი საწიროა არსებობდეს სამი წინაპირობა, კერძოდ:

1. უნდა არსებობდეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მსჯავრდებული პირის მიმართ სასამართლოს განაჩენი;
2. განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან გასული უნდა იყოს 6 თვე;
3. მსჯავრდებული პირის მიმართ ვერ უნდა ხერხდებოდეს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.

მოსარჩელე პროკურორი **ვალდებულია** სასამართლოს წარუდგინოს მტკიცებულებები მოპასუხის ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებულ **პირად ცნობის შესახებ**.

მოსამართლე **პირს ცნობს** მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებულ პირად, თუ სათანადო მტკიცებულებათა შეფასების საფუძველზე გაირკვა, რომ არსებობს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლები.

მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებულ პირად ცნობა იწვევს მსჯავრდებული პირის მიმართ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ჯარიმის სახით დაკისრებული თანხის გადახდევინების (**ქონების ჩამორთმევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევაში – ეკვივალენტური ღირებულების ქონების ჩამორთმევის ან თანხის გადახდევინების**) აღსრულების

მიქცევას მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებული პირის ქონებაზე. აღსრულების მიქცევა მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებული პირის ქონებაზე არ გამორიცხავს მსჯავრდებული პირის მიმართ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას (სსკ 356[9]-ე მუხლის მე-5 პუნქტი).

მსგავსად სსკ 356[4] მუხლისა თუ არსებობს მონაცემები მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებული პირის მფლობელობაში არსებული **ქონების გადამალვაზე** ან **დახარჯვაზე** ანდა სხვაგვარად გასხვისებაზე, **პროკურორი ვალდებულია** სასამართლოს მიმართოს განცხადებით ამ ქონებაზე, მათ შორის, საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადების თაობაზე.

მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებულ პირის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა იგივე წესებით ხორციელდება როგორზეც წინა პარაგრაფში გვქონდა საუბარი, მაგალითად, მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებული პირის ძებნის გამოცხადებისას მიუხედავად იმისა, რომ მას დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, მის მიმართ გამოტანილი იქნება დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ღაც შეეხება უწყების ჩაბარებას, გამოყენებული იქნება სასამართლო შეტყობინებისა და დაბარების მომწესრიგებელი სსკ-ის 70-ე-78-ე მუხლები.

მხარეს, რომელიც არ გამოცხადებულა სასამართლოში, ეგზავნება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი მისი გამოტანიდან 5 დღის განმავლობაში. მხარეს უფლება აქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაასაჩივროს სააპელაციო (საკასაციო) ინსტანციაში. სააპელაციო (საკასაციო) საჩივარზე მხარის ხელმოწერა დამოწმებული უნდა იქნეს სანოტარო ან საკონსულო წესით (სსკ 356[11]-ე მუხლი).

§6. სასამართლოს მონაწილეობა საარბიტრაჟო განხილვასა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაში

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ დღეს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა, რომელიც საბაზრო ეკონომიკაზეა გადასული, სასამართლოს გარდა იყენებს არბიტრაჟს, როგორც დავების განხილვისა და გადაწყვეტის ალერნატიულ საშუალებას. მის მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტი რომ იგი ბევრ ქვეყანაშია გავრცელებული და წესრიგდება ეროვნული კანონმდებლობით,

აგრეთვე ისიც რომ არბიტრაჟის მომწესრიგებელი წესები რეგლამენტის, კონვენციისა თუ სანიმუშაო წესების სახით საერთაშორისო დონეზეც იქნა შემუშავებული.

საქართველოში კერძო არბიტრაჟთან დაკავშირებული პროცესების განვითარება 1994 წლის 3 თებერვლიდან იწყება, როცა საქართველომ ხელი მოაწერა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციას, საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ. აღნიშნული კონვენციის რატიფიკაციასთან ერთად, საქართველოს პარლამენტმა დაავალა საქართველოს მთავრობას შეემუშავებინა შესაბამისი და საჭირო საკანონმდებლო ბაზა, აღნიშნული კონვენციის პრინციპების სრულად იმპლემენტაციის მიზნით.[600]

აღნიშნულიდან გამომდინარე 1997 წლის აპრილში მიღებულ იქნა კანონი „კერძო არბიტრაჟის" შესახებ. საარბიტრაჟო პროცესთან დაკავშირებით კანონში მთელი რიგი ხარვეზები გამოვლინდა, რის გამოც 2009 წელს მიიღეს ახალი კანონი „არბიტრაჟის" შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2010 წლის პირველი იანვრიდან.[601]

კანონი შესაძლებლობას იძლევა შეიქმნას, როგორც მუდმივმოქმედი არბიტრაჟი ასევე კონკრეტული დავის გადასაწყვეტად შექმნილი არბიტრაჟი.

არბიტრაჟთან დაკავშირებით კანონი ითვალისწინებს სასამართლოს გარკვეულ ფუნქციებსა და კონტროლს, მაგალითად, კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად „ერთი არბიტრისგან შემდგარი არბიტრაჟის შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ შეთახმდებიან არბიტრის დანიშვნაზე, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე არბიტრს ნიშნავს სასამართლო განცხადების წარმოებაში მიღებიდან 30 დღის ვადაში."

ამ ფუნქციების სწორად განხორციელების მიზნით სამოქალაქო საპროცესო კოდექსში 2009 წლის ივნისში შესაბამისი დამატებები შევიდა, კერძოდ დაემატა მე-71 კარი **„სასამართლოს მონაწილეობა საარბიტრაჟო განხილვასა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაში".**

600 ფიცხელაური ნ., ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან, დისერტაცია, 2015 წ. 49. გვ.

601 აღნიშნული კანონი ძირითადად ეფუძნება UNICITRAL-ის (United Nations Commission on International Trade Law) მიერ შემუშავებულ საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის მოდელურ კანონს (გ.ლ.)

როგორც პირველი ინსტანციის ასევე სააპელაციო სასამართლოები არბიტრაჟთან დაკავშირებულ საქმეებს განიხილავს მხოლოდ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში. რაც შეეხება საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მის ფუნქციაში შედის უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება.

პირველი ინსტანციის სასამართლო განიხილავს შემდეგი სახის საქმეებს:

1) არბიტრის დანიშვნის, აცილებისა და უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ;

ამ საკითხების განხილვისას სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს მხარეთა შორის დადებული საარბიტრაჟო შეთანხმებითა და არბიტრის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებით.

განცხადების წარმოებაში მიღებიდან 14 დღის ვადაში სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება არბიტრის აცილების ან/და უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

აცილების ან/და უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხის განხილვა არ აჩერებს არბიტრაჟში საქმის განხილვას.

სასამართლოს გადაწყვეტილება არბიტრის დანიშვნის, აცილებისა და უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ საბოლოოა და აღარ საჩივრდება სააპელაციო სასამართლოში.

2) მტკიცებულებათა მოპოვებასა და მოწმის დასწრების უზრუნველყოფა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სასამართლოს უნდა მიმართოს არბიტრმა ან მხარემ.

მტკიცებულებათა მოპოვებასთან დაკავშირებით, გამოყენებული უნდა იქნეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მტკიცებულებათა უზრუნველყოფის მომწესრიგებელი წესები (სსკ 109-119 მუხლები). რაც შეეხება მოწმის დასწრების უზრუნველყოფას, ამ შემთხვევაში ძირითადად გამოიყენება სსკ 145-ე მუხლის პირველი ნაწილი, კერძოდ: „მოწმედ დაბარებული პირი ვალდებულია გამოცხადდეს სასამართლოში და მისცეს სწორი ჩვენება. მოწმის სასამართლოში არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში იგი დაჯარიმდება 50 ლარით. სასამართლომ შეიძლება დაადგინოს მოწმის იძულებითი მოყვანა.“

მტკიცებულებათა მოპოვებასა და მოწმის დასწრების უზრუნ-

ველყოფასთან დაკავშირებით სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელიც აღარ საჩივრდება.

3) სააღსრულებო ფურცლის გაცემა;

სააღსრულებო პროცესი ხორციელდება „სააღსრულებო წარმოების შესახებ" კანონის საფუძველზე (შემდეგში „სწშკ"). გადაწყვეტილებების აღსრულებას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო. სარბიტრაჟო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით აღსრულება შეიძლება განახორციელოს კერძო აღმასრულებელმაც. კერძო აღმსასრულებელი ფიზიკური პირია რომელიც თავის საქმიანობას ასრულებს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის საფუძველზე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

არბიტრაჟთან დაკავშირებული სააღსრულებო წარმოება არ დაიშვება სააღსრულებო ფურცლის გარეშე.

ზოგადი წესის თანახმად, სააღსრულებო ფურცელი დამოწმებული უნდა იქნეს გადაწყვეტილების მიმღები პირის ხელმოწერით და ბეჭდით, მაგრამ გამონაკლის შემთხვევაში, მაგალითად არბიტრაჟის გადაწყვეტილებაზე ან სამედიაციო მორიგებაზე სააღსრულებო ფურცელი უნდა დამოწმდეს სააღსრულებო ფურცლის გამცემი სასამართლოს მიერ.

გარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ზემოთ აღნიშნული შემთხვევებისა, სასამართლო განიხილავს ასევე ისეთ საკითხებს, რომლებიც არბიტრაჟის შესახებ კანონით არის გათვალისწინებული, მაგალითად:

მე-9.1 მუხლის თანახმად: სასამართლო, რომელშიც შეტანილია სარჩელი იმ დავის არსებით საკითხზე, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმების საგანია, ვალდებულია მხარის განცხადების საფუძველზე, რომელიც შესაგებლის წარდგენის ვადის გასვლამდე უნდა გაკეთდეს, შეწყვიტოს წარმოება და მიუთითოს მხარეებს არბიტრაჟზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც **სასამართლო დაადგენს, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილია, ძალადაკარგულია ან მისი შესრულება შეუძლებელია.**

არბიტრაჟის შესახებ კანონით გათვალისწინებულ გარკვეულ შემთხვევებში, მაგალითად, როდესაც არბიტრაჟი ერთი არბიტრისგან უნდა შედგებოდეს და მხარეები ვერ შეთახმდებიან არბიტრის

დანიშვნაზე, ერთ-ერთ მხარეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს განცხადებით და სასამართლო ვალდებულია განცხადების წარმოებაში მიღებიდან 30 დღის ვადაში დანიშნოს არბიტრი.

დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი არბიტრის დანიშვნის უზრუნველსაყოფად სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს მხარეთა მიერ შეთანხმებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

არბიტრაჟის შესახებ კანონში სხვა ისეთი საკითხებიც არის მითითებული, რომელიც შეიძლება განიხილოს პირველი ინსტანციის სასამართლომ.

განსჯადობის მხრივ მოიაზრება ის სასამართლო რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც მიმდინარეობდა, მიმდინარეობს ან უნდა მოხდეს საარბიტრაჟო განხილვა.

რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს, არბიტრაჟის შესახებ კანონიდან გამომდინარე მან შეიძლება განიხილოს მაგალითად არბიტრაჟის კომპენტენცია, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფა, არბიტრაჟის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობის, აღსრულებისა და აღსრულებაზე უარის თქმას და საქართველოს და საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას.

1) არბიტრაჟის კომპეტენცია;

არბიტრაჟის შესახებ კანონის მე-16 მუხლის თანახმად არბიტრაჟი (დავის განმხილველი არბიტრთა შემადგენლობა) თავად იღებს გადაწყვეტილებას მის კომპენტენციასთან დაკავშირებით ანუ არის თუ არა უფლებამოსილი განიხილოს და გადაწყვიტოს კონკრეტული დავა. საარბიტრაჟო სარჩელის მიღებისას არბიტრაჟი უფლებამოსილია განიხილოს:

ა) პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ის **ქონებრივი დავა**, რომლის მოწესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის;

ბ) „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავა.

ამდენად, თუ სარჩელის საფუძველი და საგანი სცილდება ქონებრივ დავას ან „ბ" პუნტს არბიტრაჟს არ აქვს მისი განხილვის კომპენტენცია. ასევე გასათვალისწინებელია ის შემთხვევა, როდე-

საც მხარეებს სხვა არბიტრაჟი აქვთ მითითებული და არა ის რომელშიც ერთმა მხარემ შეიტანა სარჩელი.

მხარის მიერ გაკეთებული განცხადება იმის შესახებ, რომ არბიტრაჟს არ აქვს კომპეტენცია, შეიძლება გაკეთდეს საარბიტრაჟო სარჩელზე საარბიტრაჟო შესაგებლის წარდგენამდე. მხარის მიერ არბიტრის დანიშვნა ან არბიტრის დანიშვნაში მონაწილეობა არ ართმევს ამ მხარეს უფლებას, გააკეთოს ასეთი განცხადება.

განცხადება არბიტრაჟის მიერ საკუთარი კომპეტენციის გადაჭარბების შესახებ მხარემ უნდა გაკეთოს შესაბამისი გარემოების შეტყობიდან 7 დღის ვადაში. ამ ვადის არასაპატიო მიზეზით გასვლის შემდეგ მას აღარ აქვს უფლება გააკეთოს კომპენტენციის გადაჭარბების შესახებ განცხადება.

აღნიშნულ განცხადებებზე არბიტრაჟმა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე ან საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებასთან ერთად. აღნიშნულიდან გამომდინარე მხარეს არ აქვს უფლება კომპენტენციის თაობაზე არბიტრაჟის გადაწყვეტილების გამოტანამდე მიმართოს სააპელაციო სასამართლოს არბიტრაჟის კომპენტენციის ცნობის თაობაზე.

თუ არბიტრაჟი საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე დაადგენს, რომ მას აქვს დავის განხილვის კომპეტენცია, ნებისმიერ მხარეს აქვს უფლება, არბიტრაჟის ამგვარი გადაწყვეტილების შესახებ შეტყობინების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში **გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში.**

საჩივრის წარმოებაში მიღებისათვის საჭიროა გათვალისწინებული იქნეს შემდეგი ძირითადი წინაპირობები:

1. განსჯადობის საკითხი, მაგალითად, გორში მოქმედი არბიტრაჟის გადაწყვეტილებაზე საჩივარი არ შეიძლება მიიღოს წარმოებაში ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ;
2. საჩივარს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსიდან და სახელმწიფო ბაჟის შესახებ კანონიდან გამომდინარე, დართული აქვს თუ არა ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;
3. ხომ არ არის გასული გასაჩივრების 30 დღიანი ვადა.

არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ სასამართლოს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება ერთ-ერთი მხარის განცხადების წარმოებაში მიღებიდან 14 დღის ვადაში. თუ სააპელაციო სასამართ-

ლო არბიტრაჟს მოცემულ საკითხზე არ ცნობს კომპეტენტურად, განჩინებაში უნდა მიეთითოს შესაბამისი კომპეტენტური ორგანო. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და აღარ საჩივრდება.

სააპელაციო სასამართლოს მიერ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტამდე საარბიტრაჟო განხილვა შეიძლება დაიწყოს, გაგრძელდეს და გამოტანილ იქნეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით არბიტრაჟი ცნობილი არ იქნება კომპეტენტურად, ბათილად ჩაითვლება არბიტრაჟის მიერ მოცემულ საკითხზე მანამდე გამოტანილი ყველა გადაწყვეტილება.

2) საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფა;

სარჩელის უზრუნველყოფა საპროცესო სამართლის სხვადასხვა დარგში გამოიყენება, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო, ადმინისტრაციული საპროცესო და სარბიტრაჟო საპროცესო სამართალში. ეს ინსტიტუტი, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე თითქმის ყველა ქვეყნის კანონმდებლობაშია ჩართული.

სასამართლოს მსგავსად, მხარეს უფლება აქვს საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე ან განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე, შუამდგომლობით მიმართოს არბიტრაჟს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საარბიტრაჟო შეთანხმებას.

საარბიტრაჟო შეთანხმების შემთხვევაში საარბიტრაჟო მოსარჩელის განცხადების საფუძველზე სასამართლო უფლებამოსილია საარბიტრაჟო სარჩელის მიმართ გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიებები.

ამრიგად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გასატარებლად მოსარჩელეს შეუძლია საარბიტრაჟო შეთანხმებიდან გამომდინარე შუამდგომლობით მიმართოს არბიტრაჟს ან სააპელაციო სასამართლოს.

არბიტრაჟის შესახებ კანონის 23.3 მუხლის მიხედვით, მოსარჩელეს არბიტრაჟში სარჩელის შეტანამდე სარჩელის უზრუნველყოფაზე განცხადება შეუძლია შეიტანოს არა იმავე არბიტრაჟში, რომელშიც აპირებს სარჩელის შეტანას, არამედ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში. მაგრამ, არბიტრაჟში სარჩელის შეტანის

შემთხვევაში მას შეუძლია იმავე არბიტრაჟში შეიტანოს განცხადება სარჩელის უზრუნველყოფაზე ან საარბიტრაჟო შეთანხმებიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლოში შეიტანოს აღნიშნული განცხადება.

განცხადებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტს ამ სარჩელის განმხილველი სასამართლო განცხადების შეტანიდან ერთი დღის ვადაში, მოპასუხისთვის შეუტყობინებლად (სსკ 193-ე მუხლი).

თუ პირი სარჩელის აღძვრამდე შეიტანს განცხადებას სარჩელის უზრუნველყოფაზე, მაშინ მან ზემოთ აღნიშნული 23.3 მუხლის არსიდან გამომდინარე სსკ-ის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით სააპელაციო სასამართლოს მიერ განჩინების გამოტანიდან 10 დღის ვადაში უნდა შეიტანოს სარჩელი არბიტრაჟში.

აქვე ჩნდება კითხვა თუ ვინ უნდა აცნობოს სააპელაციო სასამართლოს შეტანილია თუ არა სარჩელი არბიტრაჟში? რადგანაც, თუ 10 დღეში არ იქნება შეტანილი სარჩელი მაშინ, ისევ სსკ-ის 192 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად „სასამართლო თავისი ინიციატივით ან მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველსაყოფად მის მიერ მიღებული ღონისძიებების გაუქმების შესახებ“.

მაგალითად, ანი-მ ბათუმის არბიტრაჟში სარჩელის შეტანამდე სარჩელის უზრუნველყოფაზე განცხადება შეიტანა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც განჩინებით დააკმაყოფილა მისი განცხადება. მაგრამ 10 დღის განმავლობაში ანი-ს სარჩელი აღარ შეუტანია ბანი-ს წინააღმდეგ. ასეთ შემთხვევაში მოწინააღმდეგე მხარემ უნდა მიმართოს სააპელაციო სასამართლოს და გააუქმებინოს განჩინება ან მოსამართლემ თავის განჩინებაში უნდა მიუთითოს რომ განმცხადებელმა აღნიშნულ ვადაში აცნობოს სარჩელის შეტანის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში გააუქმებს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის დაკმაყოფილებაზე.

სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე მხარის (მოსარჩელის) განცხადების საფუძველზე არბიტრაჟს შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება და მეორე მხარეს დაავალოს:

ა) საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე პირვანდელი მდგომარეობის შენარჩუნება ან აღდგენა;

ბ) ისეთი ზომების მიღება, რომლებიც უკავშირდება მეორე მხარისთვის ან საარბიტრაჟო წარმოებისთვის ზიანის მიყენების თავ-

იდან აცილებას;

გ) ღონისძიებების განხორციელება იმ აქტივების შესანარჩუნებლად, რომლებითაც აღსრულდება შემდგომი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება;

დ) იმ მტკიცებულებების შენახვა და შენარჩუნება, რომლებიც შესაძლოა უკავშირდებოდეს საარბიტრაჟო დავას და მის გადაწყვეტას.

მითითებული ღონისძიებებიდან არბიტრაჟს შეუძლია გამოიყენოს ერთი ან რამდენიმე ერთად.

ზემოთ აღნიშნული „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარების მოთხოვნის შემთხვევაში შუამდგომლობის აღმძვრელმა პირმა უნდა დაასაბუთოს რომ:

ა) საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოუყენებლობამ შეიძლება გამოიწვიოს ისეთი ზიანი, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელი იქნება მეორე მხარისთვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებით;

ბ) საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოუყენებლობით გამოწვეული ზიანი მნიშვნელოვნად აღემატება იმ ზიანს, რომელიც შესაძლოა მიადგეს იმ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები, ამ ღონისძიებების გამოყენების შემთხვევაში;

გ) არსებობს **საფუძვლიანი ვარაუდი** იმის შესახებ, რომ მისი სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდება.

აღნიშნული ვარაუდი გავლენას არ ახდენს არბიტრაჟის მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.

რაც შეეხება ზემოთ მითითებულ „დ“ პუნქტს ამ შემთხვევაშიც მხარემ უნდა დაასაბუთოს თუ რამდენად არის დაკავშირებული შესანარჩუნებელი ან შესანახი მტკიცებულება საარბიტრაჟო დავასთან.

არბიტრაჟს უფლება აქვს მხარეებს მოსთხოვოს იმ ინფორმაციის დაუყოვნებლივ განცხადება, რომელიც უკავშირდება იმ გარემოებათა არსებით ცვლილებებს, რომელთა საფუძველზედაც მოხდა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების მოთხოვნა ან გამოყენება. კანონით არ არის განსაზღვრული თუ რა პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს მხარეს ასეთი განცხადების გაუკეთებლობის შემთხვევაში.

მეორე მხარის ინტერესებიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპ-

როცესო კოდექსის მსგავსად არბიტრაჟი უფლებამოსილია პირადი ინიციატივით ან მოწინააღმდეგე მხარის განცხადების საფუძველზე, მოსთხოვოს მხარეს, რომელიც შუამდგომლობს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებაზე, აღნიშნულ უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებული შესაბამისი უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენა.

მხარეს, რომელიც შუამდგომლობს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებაზე, ეკისრება პასუხისმგებლობა ნებისმიერი ხარჯისა და ზიანისათვის, რომლებიც გამოწვეულია ამ მხარის მიერ მოთხოვნილი საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებით, თუ არბიტრაჟი დაადგენს, რომ აღნიშნულ გარემოებებში საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის მოცემული ღონისძიებები არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული. არბიტრაჟი უფლებამოსილია მხარეს ხარჯებისა და ზიანის ანაზღაურება საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე დააკისროს (აშკ-ის 18.4 მუხლი).

არბიტრაჟის შესახებ კანონის მე-19 მუხლის თანახმად: არბიტრაჟი უფლებამოსილია, თუ ამას საჭიროდ მიიჩნევს, შეცვალოს, შეაჩეროს ან გააუქმოს მის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით ან განსაკუთრებულ შემთხვევებში, მხარეთათვის წინასწარ შეტყობინების შემდეგ, თავისი ინიციატივით.

3) არბიტრაჟის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობის, აღსრულებისა და აღსრულებაზე უარის თქმა;

არბიტრაჟის მიერ გამოყენებულ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს აქვს სავალდებულო ძალა, მაგრამ ისინი აღსრულდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მხარე მიმართავს ამის თაობაზე სააპელაციო სასამართლოს და სასამართლო დააკმაყოფილებს მხარის განცხადებას ანუ ცნობს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს. ასეთი წესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც თუ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებაზე გადაწყვეტილება გამოტანილი იქნა რომელიმე სხვა ქვეყნის არბიტრაჟის მიერ და უზრუნველყოფის ღონისძიება საქართველოში უნდა განხორციელდეს.

იმისათვის რომ სასამართლომ მიიღოს და განიხილოს განცხა-

დება საჭიროა მას დაერთოს სარჩელის უზრუნველყოფაზე არბიტრაჟის გადაწყვეტილების დედანი ან ასლი, რომელიც დამოწმებული შეიძლება იყოს არბიტრაჟის მიერ ან ნოტარიუსის მიერ.

განცხადების წარმოებაში მიღებიდან **10 დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოს** გამოაქვს განჩინება არბიტრაჟის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის **უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობასა და აღსრულებაზე**.

მხარეს შეიძლება უარი ეთქვას საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობასა და აღსრულებაზე ორ შემთხვევაში, კერძოდ:

1) თუ მხარე, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიებები, მიმართავს სასამართლოს და დაამტკიცებს, რომ:

ა.) საარბიტრაჟო შეთანხმების გაფორმების დროს მხარე იყო არაუფლებამოსილი ან მხარდაჭერის მიმღები, რომელსაც საარბიტრაჟო შეთანხმებაში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით მხარდამჭერი ჰყავდა დანიშნული, მაგრამ შესაბამისი მხარდაჭერა არ მიუღია, ან იმ სამართლებრივი ნორმების მიხედვით, რომლებზედაც მხარეებმა საარბიტრაჟო შეთანხმებაში მიუთითეს, ხოლო ასეთი მითითების არარსებობისას – იმ ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილია ან ძალადაკარგულია;

ბ) იგი არ იყო ჯეროვნად ინფორმირებული არბიტრის დანიშვნის ან საარბიტრაჟო განხილვის შესახებ ან სხვაგვარად არ მიეცა შესაძლებლობა, წარმოედგინა საკუთარი პოზიცია ან დაეცვა თავისი ინტერესები;

გ) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილია იმ დავის შესახებ, რომელიც მხარეებმა არბიტრაჟში არ წარადგინეს, ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიცავს გადაწყვეტილებას ისეთ საკითხზე, რომელიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება. თუ გადაწყვეტილება იმ საკითხებზე, რომლებიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებში ექცევა, შეიძლება გამოცალკევებულ იქნეს იმ საკითხებისგან, რომლებიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიძლება ცნობილ და აღსრულებულ იქნეს ნაწილობრივ, მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებში მოქცეულ საკითხებზე გადაწყვეტილებას

შეიცავს;

დ) არბიტრაჟის შემადგენლობა ან საარბიტრაჟო წარმოება არ შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას, ხოლო ასეთი შეთანხმების არარსებობისას – იმ ქვეყნის კანონის მოთხოვნებს, სადაც ჩატარდა საარბიტრაჟო განხილვა;

ე) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ შესულა კანონიერ ძალაში ანდა იგი გააუქმა ან შეაჩერა იმ ქვეყნის სასამართლომ, სადაც ეს გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი, ან იმ ქვეყნის სასამართლომ, რომლის სამართლის შესაბამისადაც იქნა გადაწყვეტილება გამოტანილი; (აშკ-ის 45.1 მუხლი).

ვ) არბიტრაჟის გადაწყვეტილება უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებული შესაბამისი უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენის თაობაზე არ იქნა შესრულებული;

ზ) საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები შეაჩერა ან გააუქმა არბიტრაჟმა, ან იმ ქვეყნის სასამართლომ, სადაც ტარდება საარბიტრაჟო განხილვა, ან იმ ქვეყნის სასამართლომ, რომლის სამართლის შესაბამისადაც იქნა გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებები; (აშკ-ის 22.1 მუხლი)

2) თუ სასამართლო დაადგენს, რომ:

ა) სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების აღსრულება სცილდება სასამართლოს უფლებამოსილებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას უზრუნველყოფის ღონისძიების არსებითად შეცვლის გარეშე მისი ფორმის იმ ფარგლებში შეცვლის შესახებ, რომლებიც აუცილებელია აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიების კანონმდებლობით დადგენილი წესით აღსრულებისათვის; (აშკ-ის 22.1 მუხლი).

ბ) საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, დავა არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი;

გ) საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს. (აშკ-ის 45.1 მუხლი).

განჩინება, რომელსაც სააპელაციო სასამართლო გამოიტანს, საბოლოოა და აღარ საჩივრდება.

4) საქართველოს და საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება

არბიტრაჟში დავა სრულდება საბოლოო გადაწყვეტილების

მიღებით ანუ სარჩელი შეიძლება დაკმაყოფილდეს ან არ დაკმაყოფილდეს.

იმისათვის რომ გადაწყვეტილებას მიეცეს იურიდიული ძალა, საჭიროა რომ მხარემ მიმართოს შუამდგომლობით სააპელაციო სასამართლოს და მისი მეშვეობით მოხდეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობას მხარემ უნდა დაურთოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სათანადოდ დამოწმებული დედანი ან მისი სათანადოდ დამოწმებული ასლი, აგრეთვე საარბიტრაჟო შეთანხმების დედანი ან მისი სათანადოდ დამოწმებული ასლი.

თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ან საარბიტრაჟო შეთანხმება არ არის შესრულებული ქართულ ენაზე, მხარემ უნდა წარმოადგინოს ასევე ქართულ ენაზე ამ საბუთის სათანადოდ დამოწმებული თარგმანი. თარგმანი დამოწმებული უნდა იყოს ნოტარიულად.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხები განიხილება ზეპირი მოსმენის ანუ მხარეთა მონაწილეობის გარეშე. სასამართლოს შეუძლია განჩინებით დაადგინოს ზეპირი განხილვაც, თუ ეს საჭიროა და ხელს უწყობს საქმის გარემოებების გარკვევას. ზეპირი განხილვის შემთხვევაში მხარეებს ეცნობებათ სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს სასამართლოს მიერ საკითხების განხილვასა და გადაწყვეტას.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების თაობაზე მხარის შუამდგომლობა ეგზავნება იმ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია აღნიშნული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება. ამ უკანასკნელს შეუძლია შეტყობინების მიღებიდან 7 დღის ვადაში წარადგინოს „არბიტრაჟის შესახებ" კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული განცხადება და მოითხოვოს რომ შუამდგომლობის აღმძვრელ პირს უარი ეთქვას გადაწყვეტილების ცნობაზე და აღსრულებაზე. მისი განცხადება სასამართლოს მიერ შეიძლება დაკმაყოფილდეს:

1. თუ განმცხადებელი დაამტკიცებს, რომ:

ა) საარბიტრაჟო შეთანხმების გაფორმების დროს შუამდგომლობის აღმძვრელი მხარე იყო არაუფლებამოსილი ან მხარდაჭერის მიმღები, რომელსაც საარბიტრაჟო შეთანხმებაში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით მხარდამჭერი ჰყავდა დანიშნული, მაგრამ შესაბამისი მხარდაჭერა არ მიუღია, ან იმ სამართლებრივი

ნორმების მიხედვით, რომლებზედაც მხარეებმა საარბიტრაჟო შეთანხმებაში მიუთითეს, ხოლო ასეთი მითითების არარსებობისას – იმ ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილია ან ძალადაკარგულია;

ბ) განმცხადებელი არ იყო ჯეროვნად ინფორმირებული არბიტრის დანიშვნის ან საარბიტრაჟო განხილვის შესახებ ან სხვაგვარად არ მიეცა შესაძლებლობა, წარმოედგინა საკუთარი პოზიცია ან დაეცვა თავისი ინტერესები;

გ) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილია იმ დავის შესახებ, რომელიც მხარეებმა არბიტრაჟში არ წარადგინეს, ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიცავს გადაწყვეტილებას ისეთ საკითხზე, რომელიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება. თუ გადაწყვეტილება იმ საკითხებზე, რომლებიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებში ექცევა, შეიძლება გამოცალკევებულ იქნეს იმ საკითხებისგან, რომლებიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიძლება ცნობილ და აღსრულებულ იქნეს ნაწილობრივ, მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებში მოქცეულ საკითხებზე გადაწყვეტილებას შეიცავს;

დ) არბიტრაჟის შემადგენლობა ან საარბიტრაჟო წარმოება არ შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას, ხოლო ასეთი შეთანხმების არარსებობისას – იმ ქვეყნის კანონის მოთხოვნებს, სადაც ჩატარდა საარბიტრაჟო განხილვა;

ე) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ შესულა კანონიერ ძალაში ანდა იგი გააუქმა ან შეაჩერა იმ ქვეყნის სასამართლომ, სადაც ეს გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი, ან იმ ქვეყნის სასამართლომ, რომლის სამართლის შესაბამისადაც იქნა გადაწყვეტილება გამოტანილი;

2. თუ სასამართლო დაადგენს, რომ:

ა) საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, დავა არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი; მაგალითად, ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში უზენაესმა სასამართლომ დაადგინა რომ არბიტრაჟისათვის დავის განსახილველად გადაცემის შეთანხმებაში მხარეთა ნამდვილი ნების საფუძველზე უნდა იყოს მითითებული კონკრეტული სამოქალაქო დავის კონკრეტული არბიტრაჟის მიერ

საარბიტრაჟო წესით განხილვის შესახებ. თუ ასეთი შეთანხმება არ არსებობს, არბიტრაჟი არ არის უფლებამოსილი განიხილოს დავა, ხოლო თუ განიხილა, არსებობს გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.[602]

ბ) საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს. მაგალითად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით მეორე მხარეს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო დაეკისრა.

სასამართლოს უფლება აქვს განჩინებით განმცხადებელს უარი უთხრას განცხადების მიღებაზე თუ განმცხადებელი ვერ დაამტკიცებს განცხადებაში მოყვანილ ფაქტებს ან სასამართლო დაადგენს რომ დავა, ურთიერთშეთანხმებიდან გამომდინარე, არბიტრაჟს უნდა განეხილა და არც გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ეწინაარმდეგება საჯარო წესრიგს, ასევე თუ მხარემ სასამართლოში არ გაასაჩივრა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, მისი ჩაბარებიდან 90 დღის ვადაში.

(„არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტი). აღნიშნული განჩინება საბოლოოა და აღარ საჩივრდება.

რაც შეეხება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე გადაწყვეტილებას, იგი გამოტანილი უნდა იქნეს განჩინების ფორმით, ზემოთ აღნიშნული განცხადების წარდგენიდან ან მის წარსადგენად განსაზღვრული 7 დღიანი ვადის გასვლიდან 30 დღის განმავლობაში.

გამონაკლის შემთხვევაში თუ ზემოთ აღნიშნულ „ა-ე" პუნქტებით გათვალისწინებულ სასამართლოში წარდგენილია საჩივარი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ ან შეტანილია შუამდგომლობა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების შესახებ, სასამართლოს უფლება აქვს 30 დღით გადადოს გადაწყვეტილების გამოტანა.

სასამართლო ვალდებულია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებზე გამოტანილ განჩინებასთან ერთად მხარეს გადასცეს სააღსრულებო ფურცელიც.

მხარის მოთხოვნით სააღსრულებო ფურცლის გადაცემა სასამართლოს ევალება იმ შემთხვევაშიც თუ სასამართლოს მიზეზით ვერ მოხდება აღნიშნულ ვადაში განჩინების გამოტანა.

602 სუს გადაწყვეტილება საქმე № 2ბ/3117-11, 21.02.2012 №2ბ/3117-11

განჩინება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე საბოლოოა და აღარ საჩივრდება.

რაც შეეხება საზღვარგარეთ გამოტანილ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებას, იგი ხორციელდება „არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

არბიტრაჟის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს თუ მხარე საჩივრით მიმართავს საქალაქო(რაიონულ) სასამართლოს და დაამტკიცებს, რომ:

ა) საარბიტრაჟო შეთანხმების გაფორმების დროს მხარე იყო არაუფლებამოსილი ან მხარდაჭერის მიმღები, რომელსაც საარბიტრაჟო შეთანხმებაში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით მხარდამჭერი ჰყავდა დანიშნული, მაგრამ შესაბამისი მხარდაჭერა არ მიუღია, ან იმ სამართლებრივი ნორმების მიხედვით, რომლებზედაც მხარეებმა საარბიტრაჟო შეთანხმებაში მიუთითეს, ხოლო ასეთი მითითების არარსებობისას – საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილია ან ძალადაკარგულია;

ბ) მხარე, რომელიც ითხოვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას, არ იყო ჯეროვნად ინფორმირებული არბიტრის დანიშვნის ან საარბიტრაჟო განხილვის შესახებ ან სხვაგვარად არ მიეცა შესაძლებლობა, წარმოედგინა საკუთარი პოზიცია ან დაეცვა თავისი ინტერესები;

გ) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილია იმ დავის შესახებ, რომელიც მხარეებმა არბიტრაჟში არ წარადგინეს, ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიცავს გადაწყვეტილებას ისეთ საკითხზე, რომელიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება. თუ გადაწყვეტილება იმ საკითხებზე, რომლებიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებში ექცევა, შეიძლება გამოცალკევებულ იქნეს იმ საკითხებისგან, რომლებიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც შეიცავს გადაწყვეტილებას ისეთ საკითხზე, რომელიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება;

დ) არბიტრაჟის შემადგენლობა ან საარბიტრაჟო წარმოება არ შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას, ხოლო ასეთი შეთანხმების არარსებობისას – ამ კანონის მოთხოვნებს;

გარდა ამისა, თუ სასამართლო დაადგენს, რომ:

ა) საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, დავა არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი;

ბ) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოში არსებულ საჯარო წესრიგს.

მხარემ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ საჩივარი სასამართლოში შეიძლება წარადგინოს ამ გადაწყვეტილების მისთვის ჩაბარებიდან 90 დღის განმავლობაში.

თუ საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე გადაწყვეტილება საქართველოს სასამართლოს მიერ არის გამოტანილი, საჩივარი აღნიშნული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების იმავე საფუძვლით გაუქმების შესახებ, რომლითაც მხარე ითხოვდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმას, არ დაიშვება, ხოლო თუ საჩივარი მიღებულია, მასზე საქმის წარმოება შეწყდება.

სასამართლო ვალდებულია განიხილოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საჩივარი და გამოიტანოს მოტივირებული გადაწყვეტილება საჩივრის წარმოებაში მიღებიდან 30 დღის ვადაში.

სასამართლოს, რომელსაც მიმართეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ საჩივრით, უფლება აქვს, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე შეაჩეროს გადაწყვეტილების გაუქმების განხილვა საჩივრის წარმოებაში მიღებიდან არაუმეტეს 30 დღის ვადით, რათა არბიტრაჟს მიეცეს შესაძლებლობა, განაახლოს განხილვა ან განახორციელოს ნებისმიერი ისეთი ქმედება, რომელიც, არბიტრაჟის შეხედულებით, აუცილებელია გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლის აღმოსაფხვრელად. აღნიშნული საფუძვლით საქმის განხილვის შეჩერების შესახებ სასამართლო უწყებით ატყობინებს არბიტრაჟს საქმის განხილვის შეჩერებიდან 3 დღის ვადაში.

სასამართლოში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება არ შეჩერდება. სასამართლოს უფლება აქვს, მხარის შუამდგომლობით, შეაჩეროს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება ვადით არა უმეტეს 30 დღისა საჩივრის წარმოებაში მიღებიდან, თუ წარმოდგენილი იქნება შესაბამისი უზრუნველყოფა (სსკ 356[24]-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

§7. სამართალწარმოება დისკრიმინაციასთან

დაკავშირებულ საქმეზე

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის თანახმად:

1. ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.

2. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს მოქალაქეებს, განურჩევლად მათი ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა, უფლება აქვთ ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე შეინარჩუნონ და განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში ან საჯაროდ.

3. სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.

დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრას ეხება ასევე კანონი **„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრას შესახებ“**.

დისკრიმინაციის აკრძალვაზე სხვა კანონებშიც არის საუბარი, მაგალითად, საქართველოს შრომის კოდექსში მას ცალკე თავი აქვს დათმობილი.

დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის მე-10 მუხლის თანახმად: ნებისმიერ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს, სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დაწესებულების წინააღმდეგ, რომელმაც, მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინაცია განახორციელა, და მოითხოვოს მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვის წესი განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.

დისკრიმინაციასთან დაკავშირებული სარჩელის ფორმა და შინაარსი იგივეა რაც ჩვეულებრივი სამოქალაქო დავებისთვის არის გათვალისწინებული. რაც შეეხება სასამართლო პროცესს ძირითადად ის მიმდინარეობს იმ წესების გათვალისწინებით რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსშია მითითებული, მაგრამ არის რამდენიმე საკითხი რომელიც განსხვავდება დანარჩენი წესებისაგან, მაგალითად, დისკრიმინაციის შემთხვევაში არა მხოლოდ დისკრიმინაციის მსხვეპლს აქვს უფლება მიმართოს სარჩელით სასამართლოს, არამედ აგრეთვე სახალხო დამცველსაც და ე.წ. სპეციალურ მოსარჩელესაც.

სახალხო დამცველს უფლება აქვს სარჩელით მიმართოს სასამართლოს იმ ორგანიზაციის წინააღმდეგ რომლის საქმიანობაშიც, მტკიცებულებების საფუძველზე არსებობს დისკრიმინაციის ნიშნები, და რომელმაც რეაგირება არ მოახდინა (არ უპასუხა ან არ გაიზიარა) მის რეკომენდაციაზე დისკრიმინაციის აღმოფხრის შესახებ.

რაც შეეხება **„სპეციალურ მოსარჩელეს“**-ეს მოსარჩელის სრულიად ახალი სახეა სამოქალაქო პროცესში. მოსარჩელის ასეთი სტატუსი დამკვიდრდა 2020 წლის ივლისში მიღებულ კანონში „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“. ამ კანონის მიხედვით: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი არის პირი მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევით, რომლის სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში.

ამავე კანონის მე-19 მუხლის მიხედვით, სპეციალური მოსარჩელე არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც ამ სტატუსით რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. სპეციალური მოსარჩელის სტატუსით რეგისტრირდება ის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელსაც აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიზნით სამოქალაქო ან/და ადმინისტრაციული სამართალწარმოების სფეროში საქმიანობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება. სპეციალური მოსარჩელის სტატუსის რეგისტრაციის ვადაა 3 წელი, რომლის გასვლის შემდეგ ასეთი რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილება ძალადაკარგულია, თუ დაინტერესებული პირი არ წარადგენს რეგისტრაციის ვადის გაგრ-

ძელების შესახებ მოთხოვნას, რომელსაც უნდა ერთოდეს გასული 3 წლის განმავლობაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიზნით სამოქალაქო ან/და ადმინისტრაციული სამართალწარმოების სფეროში საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომლის ფორმა და წარდგენის წესი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

იგი არის დაინტერესებული მხარე, რომელიც ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებზე კანონიერი წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭების გარეშე იცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებს ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სასამართლოში.

სპეციალური მოსარჩელის სტატუსის მქონე ორგანიზაციები უფლებამოსილი არიან, აწარმოონ ადმინისტრაციული და სამოქალაქო დავები, ასევე შესაბამის უწყებებს მიმართონ განცხადებითა და სარჩელით/საჩივრით, თუ საქმე ეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრას ან/და მნიშვნელოვანია ამ სფეროში სამართლებრივი პრაქტიკის განვითარებისათვის (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ კანონის მე-19 მუხლი).

§ 8. სასამართლოს მიერ პირის შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარება[603]

შეზღუდულ ქმედუნარიანად ითვლება არასრულწლოვანი შვიდიდან თვრამეტ წლამდე, მაგრამ შეზღუდულ ქმედუნარიანად ითვლება აგრეთვე სრულწლოვანი, რომელიც სასამართლომ აღიარა

603 იქედან გამომდინარე რომ პირის შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარებას არ ყავს მოდავე მხარე და საქმის განხილვა განცხადების შეტანით იწყება, ამიტომ ეს საკითხი ბუნებრივია, უდავო წარმოებას მიეკუთვნებოდა და ტრადიციულად ამ ნაწილში იყო მოქცეული. ასევე უდავო წარმოების ნაწილში იყო მოქცეული პირის ქმედუუნაროდ აღიარება, რომელიც შემდეგ შეიცვალა მხარდამჭერის მიმღებად, მაგრამ არსი იგივე დარჩა-უდავო წარმოება. მიუხედავად ამისა, 2015 წლის ცვლილებებით პირის შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარება და მხარდამჭერის მიმღებად ცნობა უდავო წარმოებიდან იქნა ამოღებული და ცალკე ნაწილად ჩამოყალიბდა. მიმაჩნია, რომ ყოველგვარ აზრს არის მოკლებული ასეთი ცვლილება. ამით მან ერთგვარი გაუგებრობა შემოიტანა ლოგიკურად დალაგებულ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სისტემაში. ვიმედოვნებ რომ მომავალში ეს უხეში შეცდომა გამოსწორებული იქნება. (გ.ლ).

ასეთად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (363[7]-363[12] მუხლები) შეზღუდულ ქმედუნარიანობასთან დაკავშირებით მოიაზრებს მხოლოდ სრულწლოვან პირებს, რომლებიც ეძალებიან ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებას და ამით თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს.

შეზღუდულ ქმედუნარიანად პირის აღიარების შესახებ სასამართლოს შეიძლება მიმართონ მხოლოდ ამ პირის ოჯახის წევრებმა ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებმა. ასეთი შეზღუდვა გამოწვეულია იმით, რომ პირი, რომელიც ეძალება ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებას, მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს თავის ოჯახს ანუ მასთან ერთად მცხოვრებ ოჯახის წევრებს, მაგალითად, მშობლებს, და-ძმას, შვილებს, მეუღლეს და სხვა. თუ ამ წევრებიდან რომელიმე ცალკე ცხოვრობს და ამდენად, აღარ ეხება მის მატერიალურ ზიანს, მაშინ მას არა აქვს უფლება განცხადებით მიმართოს სასამართლოს. ამიტომ, პირველ რიგში, მასთან ერთად მცხოვრები მისი ოჯახის წევრები უნდა იყვნენ დაინტერესებული ამ პირის შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარებით. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებმა, პრაქტიკულად შეიძლება მიმართონ სასამართლოს განცხადებით, როდესაც ასეთ პირს არ ჰყავს ოჯახში სრულწლოვანი წევრი ან მათ მიმართავენ თხოვნით ოჯახის წევრები, შეუტანონ სასამართლოში განცხადება პირის შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარების შესახებ.

განცხადების შეტანა ხდება ტერიტორიული განჯადობის მიხედვით, კერძოდ იგი შეტანილ უნდა იქნეს ამ პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მაგრამ თუ ეს პირი იმყოფება სამკურნალო დაწესებულებაში, მაშინამ დაწესებულების ადგილმდებარეობის მიხედვით. განსჯადობის ასეთი წესი განპირობებულია პირის მიმართ ყველა საჭირო ფაქტობრივი გარემოებისა და მტკიცებულების უკეთ შესწავლის, შემოწმებისა და გამოკვლევის ინტერესებით.

თუ განცხადება შეიტანა არაუფლებამოსილმა პირმა მაშინ სსკ 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ პუნქტის ანალოგიით სასამართლო განჩინებით არ მიიღებს განცხადებას. მოსამართლემ „განჩინებაში უნდა განმარტოს თუ რომელი დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება აღიძრას მოცემული საქმე.“[604]

604 შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართა-

თუ განცხადების შეტანით დარღვეულია ზემოთ აღნიშნული ტერიტორიული განსჯადობის პრინციპი, მაშინ ამავე მუხლისა და ნაწილის „ე“ პუნქტის ანალოგიით განჩინებით უარს ეტყვის განცხადების მიღებაზე.

პირის შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარებისათვის აუცილებელია დადასტურდეს არა მარტო ის, რომ იგი ბოროტად იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებას, არამედ ისიც, რომ ამის გამო იგი თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს. ამიტომ, განცხადებაში მითითებული უნდა იყოს არა მარტო ისეთ გარემოებებზე, რომლებიც ადასტურებენ აღნიშნულ გარემოებებს, არამედ განცხადებას თან უნდა ერთვოდეს მტკიცებულებებიც ამ გარემოებათა დასადასტურებლად (ცნობები სამედიცინო დაწესებულებებიდან, საექიმო დასკვნები, მკურნალობის შესახებ ცნობები და ა. შ.).

პირის შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარებას წინ უნდა უსწრებდეს საქმის მომზადება. ამ მიზნით, შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარებულ პირს უნდა გაეგზავნოს განცხადებისა და მასზე დართული დოკუმენტების ასლები, გამოთხოვილ იქნეს მისგან წერილობითი მოსაზრებები, გაეგზავნოს შეტყობინება კანონით დადგენილი წესით საქმის მთავარ სხდომაზე მისი შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარების შესახებ საქმის განხილვისა და მისი სავალდებულო მონაწილეობის შესახებ.

თუ ეს პირი არ გამოცხადდება სასამართლო სხდომაზე, სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება საქმის მასალების მიხედვით (და არა დაუსწრებელი გადაწყვეტილება).

საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად მიზანშეწონილია მოწვეულ იქნეს (სასამართლოს ინიციატივით) შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარებული პირის ოჯახის სრულწლოვანი წევრები.

შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარებულ პირს ენიშნება მზრუნველი (სსკ 363[11] -ე მუხლი). ამიტომ, მათი მონაწილეობა საქმის განხილვაში სავალდებულოა, რის შესახებაც უნდა ეცნობოს ამ ორგანოებს კანონით დადგენილი წესით (70-78-ე მუხლები). თუ, მიუხედავად ამისა, ამ ორგანოს წარმომადგენელი არ გამოცხადდება დანიშნულ დღეს სხდომაზე, სასამართლომ უნდა გადადოს საქმის განხილვა და განმეორებით შეატყობინოს მას და მის ზემდგომ ორგანოს, რომ მათი მონაწილეობა სავალდებულოა. განმეორებით გა-

ლი, მეორე გამოცემა, 2015, გვ. 492.

მოუცხადებლობის შემთხვევაში, სასამართლომ უნდა განიხილოს საქმე.

პირი, რომელმაც შეიტანა განცხადება (განმცხადებელი) პირის შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარების შესახებ, განთავისუფლებულია როგორც სახელმწიფო ბაჟის, ისე საქმის განხილვასთან დაკავშირებული სხვა ხარჯებისაგან.

სასამართლო გადაწყვეტილებაში, რომლითაც პირი აღიარებულია შეზღუდულ ქმედუნარიანად, მითითებული უნდა იყოს, რომ ამ პირს დაენიშნოს მზრუნველი. მზრუნველს ნიშნავს არა უშუალოდ სასამართლო, არამედ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო (სამოქალაქო კოდექსის 1281-ე მუხლის პირველი ნაწილი).

მეურვეობისა და მზრუნველობის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები არიან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ან/და მის სისტემაში შემავალი უფლებამოსილი დაწესებულება (ორგანიზაცია), აგრეთვე მათი ტერიტორიული ორგანოები (სკ 1278-ე მუხლი).

განცხადება შეზღუდული ქმედუნარიანობის გაუქმების შესახებ შეიძლება შეიტანონ ისევ მისმა ოჯახის წევრებმა ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ მოქალაქე, რომელიც აღიარებული იყო შეზღუდულ ქმედუნარიანად, უკვე განიკურნა.

მტკიცებულებებად შეიძლება გამოყენებული იყოს ცნობები შესაბამისი სამკურნალო დაწესებულებებიდან, მოწმეთა ჩვენებები, ოჯახის წევრთა ახსნა-განმარტებები და სხვა.

§ 9. სასამართლოს მიერ პირის მხარდამჭერის მიმღებად ცნობა

სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მხარდამჭერის მიმღებად ითვლება პირი რომელსაც აქვს ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევები, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში.

მხარდამჭერის მიმღებად ცნობა ხდება მხოლოდ სასამართლოს მიერ. ამისათვის მხარდაჭერის მიღების მსურველმა, მისმა ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა, მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ, ფსიქიატრიულმა ან სპეციალიზებულმა დაწესებულებამ ამ პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო თუ ეს პირი სამკურნალო დაწესებულებაშია, ამ დაწესებულების ადგილმდებარეობის მიხედვით განცხადება უნდა შეიტანოს სასამართლოში.

ფსიქიკური ჯამრთელობის შესახებ კანონის მე-4 მუხლის „დ" პუნქტის თანახმად, ფსიქიატრიული დაწესებულებად ითვლება შესაბამისი უფლების მქონე სამედიცინო დაწესებულება ან მისი განყოფილება, რომლის საქმიანობის მიზანია პირისთვის ფსიქიატრიული დახმარების ან/და ფსიქოსოციალური დახმარების გაწევა.

სპეციალიზებულ დაწესებულებაში შეიძლება მოვიაზროთ მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატი, ხანდაზმულთა პანსიონატი და სხვა.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სახით სასამართლოს შეიძლება მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულმა ორგანომ, მაგალითად, სოციალური მომსახურების სააგენტოს შიდა ქართლის მომსახურების ცენტრმა.

განცხადებაში აუცილებელია მიეთითოს:

ა) სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეიტანება განცხადება;

ბ) სფერო, რომელშიც პირს მხარდაჭერა სჭირდება, აგრეთვე პირის მხარდაჭერის საჭიროება მისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით;

მაგალითად, მხარდამჭერი შეიძლება ესაჭიროებოდეს წვრილმანი გარიგებების დადების, საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის, მკურნალობაზე თანხმობის გამოთქმის, საპენსიო საქმის წარმოებისა და პენსიის/დახმარების მიღების სფეროში.[605]

გ) ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც განმცხადებელი ამყარებს თავის მოთხოვნას;

დ) მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს განმცხადებლის მიერ მითითებულ გარემოებებს და იმ ფაქტს, რომ პირს აქვს მყარი ფსიქიკური, გონებრივი/ ინტელექტუალური დარღვევები, რომელ-

605 თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, საქმე №2ბ/370-16. 19.09.2016წ.

თა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში;

მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში განმცხადებელი დაეყრდნო ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნას.[606]

ე) განმცხადებლის მოთხოვნა;

ვ) განმცხადებლის შუამდგომლობა – არსებობის შემთხვევაში.

მაგალითად, ერთ-ერთი შუამდგომლობა შეიძლება იყოს კონკრეტული პირის, რასაკვირველია ამ პირის თანხმობით, მხარდამჭერად დანიშვნა სასამართლოს მიერ.

შესაძლებელია, რამდენიმე პირმა მოითხოვოს მხარდამჭერად დანიშვნა, ასეთ შემთხვევაში საინტერესო უნდა იყოს თავად მხარდაჭერის მიმღების სურვილი, რომელიც შესაძლებელია ფსიქოლოგთან გასაუბრებითაც დაზუსტდეს, შესაძლებელია სასამართლო დაეყრდნოს მოწმის ჩვენებასაც იმასთან დაკავშირებით თუ რამდენად უვლიდა მხარდამჭერის მიმღებს მისთვის სასურველი კანდიდატი და ა.შ.

განცხადებას უნდა დაერთოს ფსიქიატრის, ფსიქოლოგის და სოციალური ექსპერტის დასკვნები პირის ფსიქიკური მდგომარეობის და სოციალური ადაპტაციის შესახებ.

პირს მხარდაჭერა შეიძლება დაენიშნოს შრომითი საქმიანობის, წვრილმანი გარიგების დადების, სამეწარმეო საქმიანობის, უძრავი ქონების მართვის/განკარგვის, საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის, მკურნალობაზე თანხმობის გამოხატვის, მისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით და სხვა უფლებებისა და მოვალეობების განსახორციელებლად, რომლებსაც სასამართლო ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე განსაზღვრავს.

განცხადების წარმოებაში მიღების საკითხს სასამართლო განიხილავს მისი შეტანიდან 5 დღის ვადაში.

თუ განცხადების შეტანის ზემოთ აღნიშნული წესი და ფორმა დაცული არ იქნება სასამართლო დაუდგენს ხარვეზს და განმცხადებელს მის აღმოსაფხვრელად განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, რომელიც არ შეიძლება იყოს 3 დღეზე ნაკლები. ხარვეზის განსაზღვრულ ვადაში აღმოფხვრის შემთხვევაში სასამართლო განცხა-

606 თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, საქმე №2ბ/370-16. 19.09.2016წ.

დებას წარმოებაში იღებს, ხოლო თუ ხარვეზი არ აღმოიფხვრა, მას გამოაქვს განჩინება განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ და განცხადებასა და თანდართულ დოკუმენტებს განმცხადებელს უბრუნებს.

განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინება შეიძლება განმცხადებელმა სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივროს კერძო საჩივრით.

განმცხადებელს მომავალში, თუ იმ ხარვეზებს აღმოფხვრის, ყოველთვის შეუძლია თავიდან შეიტანოს განცხადება.

სასამართლოს, განცხადების წარმოებაში მიღების შემთხვევაში, განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე, უფლება აქვს საქმის წარმოების დასრულებამდე დანიშნოს დროებითი მხარდამჭერი, თუ მიიჩნევს, რომ იმ პირს, რომლის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხიც განიხილება, შესაძლებელია შეუქცევადი ზიანი მიადგეს.

დროებითი მხარდამჭერი შეიძლება იყოს პირის ოჯახის წევრი, ნათესავი, ახლობელი ან სპეციალისტი. სასურველია, ხშირი კონტროლიდან გამომდინარე, დროებითი მხარდამჭერი მის ოჯახში ცხოვრობდეს.

დროებითი მხარდაჭერის დაწესების შესახებ განცხადებას სასამართლო ზეპირი მოსმენით განიხილავს მისი შეტანიდან 5 დღის ვადაში. მხარის გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს სასამართლოს მიერ დროებითი მხარდაჭერის დაწესების საკითხის განხილვასა და გადაწყვეტას.

დროებითი მხარდაჭერის დაწესების შესახებ სასამართლოს განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით.

პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ საქმეს სასამართლო განიხილავს ამ პირის და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის სავალდებულო მონაწილეობით. ამასთან ერთად, პირს, რომლის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხიც განიხილება, უნდა ჰყავდეს ადვოკატი.

განცხადების წარმოებაში მიღებისთანავე სასამართლო ნიშნავს ექსპერტიზას „ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ამ კანონის მიხედვით ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზა არის დისციპლინათაშორისი საქმიანობა, რომელიც მოიცავს სამედიცინო-ფსიქიატრიული, ფუნქციური,

ფსიქოლოგიური, სოციალური ადაპტაციის და სხვა ასპექტების შეფასებას. მისი ძირითადი ამოცანაა პირის გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევის ხარისხის დადგენა, მისი სოციალური ადაპტაციის შეფასება და, აქედან გამომდინარე, პირის მხარდაჭერის თავისებურებების განსაზღვრა.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველია პირის შესახებ ფსიქიატრიული, სოციალურ-საყოფაცხოვრებო, პროფესიულ-შრომითი და ფსიქოლოგიური მონაცემების კომპლექსური შეფასება.

თუ პირი, რომლის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხიც განიხილება, თავს არიდებს ექსპერტიზას, სასამართლო უფლება აქვს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შუამდგომლობის საფუძველზე, თავის სხდომაზე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის, აგრეთვე ამ პირის ადვოკატის სავალდებულო მონაწილეობით გამოიტანოს განჩინება ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩასატარებლად პირის იძულებით გაგზავნის შესახებ.

იძულებითი ექსპერტიზა ტარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირი, რომლის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხიც განიხილება, თავისი ქმედებით არსებით ზიანს აყენებს საკუთარ ან სხვათა უფლებებს.

სასამართლო სხდომაზე უნდა დაიკითხოს ყველა ექსპერტი და მულტიდისციპლინური ჯგუფის წევრი, რომელთა დასკვნებიც საქმის მასალებშია წარმოდგენილი.

პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ განცხადებასთან დაკავშირებით წარმოება წყდება, თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა უარყოფითია.

თუ პირს, რომლის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხიც განიხილება, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დაესწროს სასამართლო სხდომას, მისი მონაწილეობა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კომუნიკაციის ელექტრონული ან სხვა საშუალების გამოყენებით, რომლითაც შესაძლებელი იქნება ამ პირთან მოსამართლის პირდაპირი კონტაქტი. ასეთ შემთხვევაში სავალდებულოა სასამართლო სხდომის ვიდეოფაილის სახით ჩაწერა. სასამართლო სხდომის ოქმში უნდა აღინიშნოს სხდომაში პირის კომუნიკაციის ელექტრონული ან სხვა საშუალების გამოყ-

ენებით მონაწილეობის შესახებ.

იმ პირის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, რომლის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხიც განიხილება, სასამართლო ვალდებულია საქმის განხილვა სხვა დროისთვის გადადოს. ამ შემთხვევაში დაუშვებელია სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა.

განმცხადებელი განთავისუფლებულია პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ საქმის განხილვასთან დაკავშირებული სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, პირს, რომლის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხიც განიხილება, უნდა ჰყავდეს ადვოკატი.

საქმის განხილვის დასრულების შემდეგ, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც შესაძლებელია პირს დაენიშნოს მხარდამჭერი.

გადაწყვეტილებაში სხვა რეკვიზიტებთან ერთად უნდა აღინიშნოს:

ა) უფლება, რომლით სარგებლობისთვისაც უწესდება პირს მხარდაჭერა, აგრეთვე მხარდაჭერის ფარგლები;

ბ) მხარდამჭერის (მხარდამჭერების) უფლებები და მოვალეობები;

გ) მხარდამჭერის (მხარდამჭერების) მიერ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსათვის ანგარიშის წარდგენის პერიოდულობა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს;

დ) მხარდაჭერის ვადა და მისი გადასინჯვის პერიოდულობა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 5 წელს;

ე) პირის მხარდაჭერისათვის აუცილებელი სხვა გარემოებები.

თუ მხარდამჭერის მიმღები ან მხარდამჭერი, ოჯახის წევრები ან სხვა ზემოთ აღნიშნული უფლებამოსილი პირები ჩათვლიან რომ მხარდამჭერის მიმღების ჯამრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდა და მას აღარ ესაჭიროება მხარდამჭერი ან შესაცვლელია მხარდაჭერის ფარგლები, მაშინ უფლებამოსილ პირს, შეუძლია ტერიტორიული განსჯადობის პრინციპის გათვალისწინებით მიმართოს სასამართლოს მხარდამჭერის მიმღების სტატუსის გაუქმების ან ფარგლების შეცვლის შესახებ. მხარდაჭერის მიმღების სტატუსის გაუქმების შემთხვევაში განცხადებას უნდა დაერთოს მხარდაჭერის მიმღებისა და მხარდამჭერის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებაც. სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს „ფსიქოსოციალუ-

რი საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363[24]-ე მუხლის თანახმად, მხარეს, მაგალითად, მხარდამჭერს, რომელსაც არ ქონდა სურვილი რომ ასეთი სტატუსი განესაზღვრათ მისთვის, პირს რომელსაც უნდოდა მხარდამჭერის სტატუსის მიღება, შეუძლია სააპელაციო წესით გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო სააპელაციო საჩივრის შეტანიდან 5 დღის ვადაში ამოწმებს მის დასაშვებობას და იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, რომელზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა;

ბ) განსახილველად იღებს სააპელაციო საჩივარს.

სააპელაციო საჩივარს სააპელაციო სასამართლო ზეპირი მოსმენით განიხილავს მისი განსახილველად მიღებიდან 2 თვის ვადაში და იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) მთლიანად ან ნაწილობრივ აკმაყოფილებს სააპელაციო საჩივარს;

ბ) უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლო განჩინებაზე შეტანილი კერძო საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო საქმეს პირველი ინსტანციის სასამართლოს უბრუნებს.

§10. ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე განსაკუთრებული უფლების დარღვევის საქმეზე მტკიცებულებათა უზრუნველყოფის ღონისძიებანი, ინფორმაციის მიღების უფლება და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებანი

2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა ასოცირების შესახებ შეთანხმებას ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის. ეს შეთანხმება სრულად შევიდა ძალაში 2016 წლის 1 ივლისიდან.

ამ შეთანხმების IV კარის მე-9 თავით გათვალისწინებულია ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგება ხელშეკრულების მხარეებს შორის. აქედან გამომდინარე სამოქალაქო საპროცესო კოდექსს დაემატა მე-7[5] კარი და XLIV[12] – თავი „ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე განსაკუთრებული უფლების დარღვევის საქმეზე მტკიცებულებათა უზრუნველყოფის ღონისძიებანი, ინფორმაციის მიღების უფლება და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებანი".

ამ თავში გამოყენებულ ტერმინებს სსკ 363[25]-ე მუხლის თანახმად აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი** – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაცული სასაქონლო ნიშანი, მომსახურების ნიშანი ან კოლექტიური ნიშანი, რეგისტრირებული დიზაინი, პატენტით დაცული გამოგონება ან სასარგებლო მოდელი, საავტორო უფლებით ან მომიჯნავე უფლებებით დაცული ობიექტი;

ბ) **განსაკუთრებული უფლების დარღვევით წარმოებული ან/და სამოქალაქო ბრუნვაში ჩართული საქონელი:**

ბ.ა) დაცული სასაქონლო ნიშნის, მომსახურების ნიშნის ან/და კოლექტიური ნიშნის (შემდგომ – სასაქონლო ნიშნის) მიმართ – საქონელი ან/და მომსახურება, რომელიც შეიცავს სასაქონლო ნიშნის იდენტურ ან მსგავს ნიშანს ან რომელზედაც დატანილია სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსი ნიშანი, ან რომელსაც აქვს მოცულობითი სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსი ფორმა და რომლის წარმოება, მიწოდება, საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანა, შენახვა, სამოქალაქო ბრუნვაში ჩართვა ან ამ მიზნით შენახვა/დასაწყობება (დროებით შესანახად განთავსება) ანდა ნებისმიერი სხვაგვარი გამოყენება იწვევს რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელის განსაკუთრებული უფლების დარღვევას, მიუხედავად ნიშანდების ადგილისა;

ბ.ბ) რეგისტრირებული დიზაინის მიმართ – პროდუქტი, რომელშიც ჩართულია დიზაინი ან რომლისთვისაც ის გამოიყენება და რომლის წარმოება, საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანა, შენახვა, სამოქალაქო ბრუნვაში ჩართვა ან ამ მიზნით შენახვა/დასაწყობება (დროებით შესანახად განთავსება) ანდა ნებისმიერი სხვაგვარი გამოყენება იწვევს რეგისტრირებულ დიზაინზე განსაკუთრებული უფლების მფლობელის განსაკუთრებული უფლების დარღვევას;

ბ.გ) პატენტით დაცული გამოგონების ან სასარგებლო მოდ-

ბას.[293]

განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება არის გადაწყვეტილება, რომელიც მეორედაა გამოტანილი ერთი და იმავე პირის (მხარე) მიმართ, დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომელიც თუმცა მეორედ გამოაქვს სასამართლოს, მაგრამ არა იმ პირის მიმართ, ვის მიმართაც იყო გამოტანილი პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, არ იქნება განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება და იგი შეიძლება გასაჩივრდეს, როგორც პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება. (ანალოგიურადაა გადაწყვეტილი ეს საკითხი გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით).[294]

I. განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობები.

განმეორებითი (მეორე) დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობებია: ა) იმავე პირის მიმართ, რომელმაც შეიტანა საჩივარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე, უკვე არსებობს ერთი დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ბ) მიმდინარეობს სასამართლო სხდომა არა საჩივრის დასაშვებობის შემოწმების მიზნით, არამედ სხდომა, რომელეზეც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ განიხილება საქმე არსებითად. გ)არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების ყველა წინაპირობა ანუ არ არსებობს მისი გამოტანისათვის კანონით გათვალისწინებული ხელის შემშლელი გარემოებები (სსსკ-ის 233-ე მუხლი).[295]

---

293 ზ.ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი (რჩეული მუხლები), დაუსწრებელი გადაწყვეტილება, GIZ, 2020, გვ. 959.

294 BGHZ, Beschlus vom 07.12.2017 _ IX ZR 81/17 _ WM 2018, §345 ZP , §514 Abs.2. Satz 1, ZP , 445; Stadier A., in Musielak/Voit (Hrsg.) Zivilprozessordnung: ZP , 15. Aufl., §345, Rn.4, München, 2018; Hergert ., in Zöller (Hrsg.), ZP , 31. Aufl., §345, Rn.4, Köln, 2016; Prüting H., in Krüger/Rauscher (Hrsg.): Münchener kommentar zur Zivilprozessordnung, 5. Aufl., Band 1: § 345, Rn.1, München, 2016; Pohlman P., Zivilprozessrecht, 4. Aufl., R. 593, München, 2018.

295 ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2005, გვ. 407.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისთვის, პრაქტიკული მნიშვნელობა არ გააჩნია, პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაუქმებულია სსსკ-ის 240 მუხლით, თუ სსსკ-ის 240 III მუხლით გათვალისწინებული საფუძვლებითა და წესით.

ტელექტუალური საკუთრების ობიექტზე განსაკუთრებული უფლება, წარმოებისათვის/რეპროდუცირებისათვის ან ტექნოლოგიური საშუალებებისთვის გვერდის ავლისათვის განკუთვნილი დანადგარის/მასალის, მოწყობილობის ან მოწყობილობის კომპონენტის ან/და სავარაუდო კანონდარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის დეტალურ აღწერას ნიმუშის აღებით ან უამისოდ.

ამასთანავე, თუ მტკიცებულებათა უზრუნველყოფა აღნიშნული ღონისძიებების გამოყენებით ვერ ხერხდება, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს აგრეთვე ყადაღის დადება. შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია ერთად გამოიყენოს რამდენიმე ღონისძიება.

სასამართლო უფლებამოსილია აღნიშნული ღონისძიებები გამოიყენოს იმ პირის მოსმენის გარეშე, რომლის მიმართ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მან დაარღვია ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე განსაკუთრებული უფლება, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ამ უფლების მფლობელს არაპროპორციული ზიანი მიადგება, ან/და თუ არსებობს მტკიცებულებათა განადგურების აშკარა საშიშროება.

სასამართლომ პირს, რომლის მიმართაც უნდა განხორციელდეს უზრუნველყოფის გათვალისწინებული ღონისძიებები, ამის თაობაზე უნდა აცნობოს დაუყოვნებლივ, ღონისძიებათა გამოყენებიდან არაუგვიანეს 48 საათისა.

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე განსაკუთრებული უფლების მფლობელი უფლებამოსილია მოითხოვოს ზემოთ აღნიშნული მტკიცებულებათა უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება, თუ დაასაბუთებს, რომ მისი განსაკუთრებული უფლების დარღვევის ან შესაძლო დარღვევის ფაქტის დასადგენად აღნიშნულ ღონისძიებათა გამოყენება აუცილებელია.

მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესი განისაზღვრება და მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ გამოტანილი განჩინების გასაჩივრება ხდება სსკ 118-ე და 119-ე მუხლების შესაბამისად.

მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ შუამდგომლობის თაობაზე განჩინება მოსამართლეს 5 სამუშაო დღის ვადაში გამოაქვს.

სასამართლო უფლებამოსილია ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე **განსაკუთრებული უფლების მფლობელის** თანაზომ-

იერი და დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე:

ა) მოსთხოვოს პირს, რომლის მიმართ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მან დაარღვია განსაკუთრებული უფლება, იმ ინფორმაციის მიწოდება, რომელიც შეიძლება მოიცავდეს განსაკუთრებული უფლების დარღვევით წარმოებული ან/და სამოქალაქო ბრუნვაში ჩართული საქონლის წარმოშობის ან/და გასაღების ქსელის შესახებ ინფორმაციას. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება შეიძლება მოიცავდეს აგრეთვე კანონდარღვევასთან დაკავშირებული ფინანსური დოკუმენტების წარდგენის ვალდებულებას;

ბ) მოსთხოვოს აღნიშნული ინფორმაციის მიწოდება პირს, რომლის მიმართ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ იგი კომერციული მასშტაბით სთავაზობდა, იღებდა, ფლობდა ან/და იყენებდა განსაკუთრებული უფლების დარღვევით წარმოებულ ან/და სამოქალაქო ბრუნვაში ჩართულ საქონელს. აღნიშნული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ვრცელდება აგრეთვე ნებისმიერ სხვა პირზე, რომელიც სთავაზობდა, იღებდა, ფლობდა ან/და იყენებდა განსაკუთრებული უფლების დარღვევით წარმოებულ ან/და სამოქალაქო ბრუნვაში ჩართულ საქონელს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ქმედება/ქმედებები პირადი სარგებლობის მიზნით ხორციელდებოდა.

ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს მწარმოებლის, დამამზადებლის, დისტრიბუტორის, მიმწოდებლის ან/და საქონლის სხვა ადრინდელი მფლობელის, საბითუმო ან/და საცალო მოვაჭრის (რომლისთვისაც განკუთვნილია საქონელი, რომლითაც, სავარაუდოდ, ირღვევა განსაკუთრებული უფლება) სრულ სახელწოდებასა და მისამართს, აგრეთვე წარმოებული, დამზადებული, მიწოდებული, მიღებული ან შეკვეთილი საქონლის რაოდენობისა და ფასის შესახებ ინფორმაციას.

მიღებული ინფორმაცია კონფიდენციალურია და მისი გამჟღავნება დაუშვებელია.

ამ ინფორმაციის მიწოდებისათვის გაწეულ ხარჯებს ანაზღაურებს პირი, რომელმაც სასამართლოს მიმართა აღნიშნული ინფორმაციის მიწოდების თაობაზე შუამდგომლობით. მოწინააღმდეგე მხარეს უფლება აქვს, მოითხოვოს ინფორმაციის მიწოდებისათვის მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება. საბოლოოდ ეს ხარჯები გადანაწილდება სასამართლოს მიერ საქმის არსებითად გადაწყვეტისას.

ინფორმაციის მიწოდების შესახებ განჩინების გასაჩივრება დაუშვებელია. ინფორმაციის მიწოდებაზე უარის თქმის შესახებ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

სასამართლო უფლებამოსილია ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე განსაკუთრებული უფლების მფლობელის მიმართვის საფუძველზე:

ა) გამოიტანოს განჩინება იმ პირის საკუთრებაში არსებულ უძრავ ან/და მოძრავ ქონებაზე (მათ შორის, საბანკო ანგარიშებსა და სხვა აქტივებზე) ყადაღის დადების შესახებ, რომლის მიმართ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მან კომერციული მასშტაბით დაარღვია განსაკუთრებული უფლება, თუ შესაძლებელია, საფრთხე შეექმნას განსაკუთრებული უფლების მფლობელის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ამ მიზნით სასამართლო განსაკუთრებული უფლების მფლობელის შუამდგომლობის საფუძველზე, განსაკუთრებული უფლების შესაძლო დამრღვევისგან გამოითხოვს მის მფლობელობაში არსებულ საბანკო, ფინანსურ ან/და კომერციულ დოკუმენტებს/ინფორმაციას. ამ დოკუმენტების/ინფორმაციის გაცნობის უფლება აქვს მხოლოდ სასამართლოს. სასამართლო უფლებამოსილია ყადაღის საგნის იდენტიფიცირების მიზნით მიღებული დოკუმენტები/ინფორმაცია გადასცეს სასამართლოს მიერ დანიშნულ დამოუკიდებელ ექსპერტს. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ღონისძიებათა გამოყენების შედეგად მიღებული ინფორმაცია კონფიდენციალურია და მისი გამჟღავნება დაუშვებელია;

ბ) აუკრძალოს პირს, რომლის მიმართ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მან დაარღვია განსაკუთრებული უფლება, იმ ქმედების განხორციელება, რომლითაც ირღვევა განსაკუთრებული უფლება;

გ) ამ ქმედების განხორციელების აკრძალვის ნაცვლად მოსთხოვოს პირს, რომლის მიმართ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მან დაარღვია განსაკუთრებული უფლება, შესაბამისი უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენა.

სასამართლო უფლებამოსილია რამდენიმე ღონისძიება ერთდროულად გამოიყენოს.

თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენებით შეიძლება ზარალი მიადგეს პირს, რომლის მიმართ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მან დაარ-

ღვია განსაკუთრებული უფლება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებანი და, იმავდროულად, მოსთხოვოს განსაკუთრებული უფლების მფლობელს მოწინააღმდეგე მხარისთვის შესაძლო ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა. სასამართლოს უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენის მოთხოვნა შეუძლია აგრეთვე მოწინააღმდეგე მხარის განცხადების საფუძველზე.

§ 11. სამართალწარმოება გაფიცვასთან ან ლოკაუტთან დაკავშირებულ საქმეზე

შრომის კოდექსის 64-ე მუხლის თანახმად, **გაფიცვა** არის დავის შემთხვევაში დასაქმებულის დროებითი ნებაყოფლობითი უარი შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებაზე.

ლოკაუტი არის დავის შემთხვევაში დამსაქმებლის დროებითი ნებაყოფლობითი უარი შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებაზე.

გაფიცვის ან ლოკაუტის უფლება წარმოიშობა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მინისტრისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნიდან ან მინისტრის მიერ საკუთარი ინიციატივით დავის მედიატორის დანიშვნიდან 21 კალენდარული დღის გასვლისთანავე. ამ პირობების გაუთვალისწინებლობა იწვევს გაფიცვისა და ლოკაუტის უკანონოდ აღიარებას.

ლოკაუტი არ შეიძლება გაგრძელდეს 90 კალენდარულ დღეზე მეტ ხანს.

თუ საფრთხე ემუქრება ადამიანის სიცოცხლესა და ჯამრთელობა, ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებას, აგრეთვე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამსახურის საქმიანობას, სასამართლოს უფლება აქვს, ერთჯერადად გადადოს გაფიცვის ან ლოკაუტის დაწყება არაუმეტეს 30 დღით, ხოლო დაწყებული გაფიცვა ან ლოკაუტი შეაჩეროს იმავე ვადით (შკ. 65-ე მუხლი).

იმისათვის რომ სასამართლომ გაფიცვა ცნოს უკანონოდ, გადადოს ანდა შეაჩეროს გაფიცვა, საჭიროა რომ მხარემ-დამსაქმებელმა სარჩელით მიმართოს სასამართლოს.

რაც შეეხება ლოკაუტის უკანონოდ ცნობას, გადადებას ან შეჩერებას, ამ საკითხებზე სარჩელით მიმართავს ის დასაქმებული რომელიც მუშაობს ლოკაუტის განმხორციელებელ დამსაქმებელთან ან დასაქმებულთა გაერთიანებას, რომლის წევრებსაც ეხებათ ეს ლოკაუტი.

სარჩელის შეტანა ხდება იმ წესების დაცვით რასაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს

იმისდამიხედვით თუ რა საკითხთან დაკავშირებით უნდა აღიძრას სარჩელი, განსხვავებულია სარჩელის აღძვრის ვადები, კერძოდ გაფიცვის ან ლოკაუტის უკანონოდ ცნობის მოთხოვნით სარჩელი შეიძლება აღიძრას გაფიცვისა და ლოკაუტის დაწყების თარიღიდან 7 დღის ვადაში, ხოლო გადადების ან შეჩერების მოთხოვნით – გადადების ან შეჩერების წარმოშობიდან 3 დღის ვადაში.

გაფიცვის უკანონოდ ცნობის, გადადების ან შეჩერების შესახებ სარჩელში, მხარედ მითითებული უნდა იყოს გაფიცვის მონაწილე ყველა დასაქმებული.

სარჩელის შეტანიდან 3 დღის ვადაში სასამართლო განიხილავს სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხს. თუ გაფიცვასთან ან ლოკაუტთან დაკავშირებით აღძრული სარჩელის შინაარსი და ფორმა არ შეესაბამება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით ან შრომის კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მაგალითად გაფიცვისა და ლოკაუტის უფლების წარმოშობის საფუძვლებს, სასამართლო ადგენს ხარვეზს და მოსარჩელეს მის აღმოსაფხვრელად განჩინებით განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, რომელიც 3 დღეზე ნაკლები არ უნდა იყოს. თუ მოსარჩელე აღმოფხვრის მოსამართლის მიერ მითითებულ სარჩელს, სასამართლო, განჩინების საფუძველზე, წარმოებაში მიიღებს მას, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს განჩინებას წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ და სარჩელსა და თანდართულ დოკუმენტებს უკან დაუბრუნებს. მოსარჩელეს უნდა დაუბრუნდეს **სახელმწიფო ბაჟიც.** განჩინება უნდა ჩაბარდეს სსკ 70-78 მუხლებით გათვალისწინებული წესით. განჩინების ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში მოსარჩელეს უფლება აქვს კერძო საჩივრით გაასაჩივროს სააპელაციო სასამართლოში.

თუ რაიონული (საქალაქო) სასამართლო წარმოებაში მიიღებს სარჩელს, მაშინ იგი მას და თანდართულ მასალას შესაგებლისთვის უგზავნის მოპასუხეს, რომელმაც პასუხი უნდა გასცეს 10 დღის ვადაში და გადმოუგზავნოს სასამართლოს.

სასამართლო გაფიცვის ან ლოკაუტის უკანონოდ ცნობის შესახებ სარჩელს განიხილავს და წყვეტს სარჩელის წარმოებაში მიღებიდან 1 თვის ვადაში. ხოლო გაფიცვის ან ლოკაუტის გადადების ან შეჩერების შესახებ სარჩელს განიხილავს და წყვეტს სარჩელის წარმოებაში მიღებიდან 7 დღის ვადაში.[607]

სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მხარემ შეიძლება სააპელაციო წესით გაასაჩივროს მისი გამოტანიდან 7 დღის ვადაში. გასაჩივრება არ აჩერებს მის აღსრულებას.

სააპელაციო სასამართლო საჩივრის შეტანიდან 3 დღის ვადაში ამოწმებს მის დასაშვეობას და იღებს ერთ-ერთ გდაწყვეტილებას:

ა) გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ. ეს განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით კერძო საჩივრით;

ბ) განჩინების საფუძველზე განსახილველად იღებს სააპელაციო საჩივარს.

სააპელაციო სასამართლო სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღებიდან 1 თვის ვადაში ზეპირი მოსმენით განიხილავს მას და იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) მთლიანად ან ნაწილობრივ აკმაყოფილებს სააპელაციო საჩივარს;

ბ) უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

სამივე შემთხვევაში მას გამოაქვს შესაბამისი განჩინებები.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) შეიძლება მისი გამოტანიდან არაუგვიანეს 7 დღისა გასაჩივრდეს საკასაციო წესით.

საკასაციო სასამართლო საჩივრის შეტანიდან 3 დღის ვადაში ამოწმებს მის დასაშვებობას და გამოაქვს განჩინება საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ ან განსახილველად იღებს საკასაციო საჩივარს რის შესახებაც მას გამოაქვს შესაბამისი განჩინება.

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის განსახილველად მიღებიდან 1 თვის ვადაში ზეპირი მოსმენით ან ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილავს მას და მთლიანად ან ნაწილობრივ აკმაყო-

---

607 7 დღის ვადაში ვერ განიხილავს და ვერ გადაწყვეტს, რადგან სარჩელის წარმოებაში მიღებიდან მოპასუხეს უგზავნის და აძლევს 10 დღიან ვადას შესაგებლისათვის. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ტექნიკური შეცდომაა დაშვებული (გ. ლ).

ფილებს საკასაციო საჩივარს ან უარს ამბობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

საკასაციო სასამართლოს გამოაქვს განჩინება ზეპირი მოსმენით საქმის განხილვის შესახებ ან განჩინება ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვის შესახებ.

საქმის განხილვის დასრულების შემდეგ საკასაციო სასამართლოს გამოაქვს ერთ-ერთი განჩინება:

ა) საკასაციო საჩივრის მთლიანად დაკმაყოფილების შესახებ

ბ) საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ, ან

გ) საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

თავი XI. სასამართლო და კერძო მედიაციის სამართალწარმოება და მორიგების აღსრულების პროცესი

§ 1. სასამართლო და კერძო მედიაციის სამართალწარმოება

ზოგადად მხარეთა მორიგება დავის გადაწყვეტის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს. მორიგების პროცესში შეიძლება ჩართული იყვნენ მხოლოდ მხარეები, მაგალითად, მოსარჩელე და მოპასუხე, ან მხარეები თავიანთი კანონიერი წარმომადგენლების ან სახელშეკრულებო წარმომადგენლების-ადვოკატების მეშვეობით ან მხარეები (ადვოკატები) მესამე პირის – შუამავლის მეშვეობით. შუამავალი შეიძლება იყოს ნებისმიერი იურისტი ან სხვა დარგის სპეციალისტი, მაგალითად, ფსიქოლოგი რომლის დახმარებითაც მხარეები ეცდებიან თავიანთი დავის მოგვარებას. დავის მოგვარებაში ერთვებიან ისეთი მესამე პირებიც-შუამავლებიც რომლებიც აღჭურვილნი არიან მოლაპარაკების წარმართვის სპეციალური ცოდნითა და უნარებით, აქვთ იმის დამადასტურებელი დოკუმენტი რომ ისინი უფლებამოსილნი არიან ჩაერთონ დავის მოგვარების პროცესში და მოლაპარაკების გზით დაეხმარონ მხარეებს მიაღწიონ გარკვეულ შეთანხმებას. ამ შუამავალ პირებს უწოდებენ მედიატორებს, ხოლო მთელ ამ პროცესს „მედიაციას“.

2011 წლის დეკემბერში სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით კოდექსს დაემატა XXII თავი – სასამართლო მედიაცია. 2019 წლის 18 სექტემბერს მიღებულ იქნა კანონი მედიაციის შესახებ.

ამ კანონიდან გამომდინარე სამოქალაქო საპროცესო კოდექსს დაემატა რამდენიმე თავი რომლებიც აწესრიგებს ძირითადად სამედიაციო მორიგების აღსრულებას, კერძოდ, თავი XLIV[13] – სამედიაციო მორიგების აღსრულება, თავი XLIV[14] – კოლექტიურ შრომით დავაზე მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების აღსრულება და თავი XLIV[16] – „მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებების თაობაზე“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2019 წლის 7 აგვისტოს კონვენციის შესაბამისად დადებული საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობა და აღსრულება.

მედიაციის შესახებ კანონის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად **მედიაცია** არის პროცესი, რომლის საშუალებითაც ორი ან რამდენიმე მხარე მედიატორის დახმარებით ცდილობს დავის ურთიერთშეთანხმებით დასრულებას.

ამავე მუხლის „გ“ პუნქტიდან გამომდინარე **მედიატორი** არის ფიზიკური პირი, რომელიც რეგისტრირებულია მედიატორთა ერთიან რეესტრში.

მედიაცია შეიძლება განხორციელდეს სასამართლო მედიაციის სახით ან კერძო მედიაციის სახით.

აღნიშნული ორი სახის მედიაციას ითვალისწინებს, ერთი ეს არის სასამართლო მედიაცია, ხოლო მეორე, კერძო მედიაცია.

სასამართლო მედიაცია ხორციელდება სარჩელისა და შესაგებლის სასამართლოში წარდგენის შემდეგ იმ შემთხვევაში თუ სასამართლო სარჩელს, შესაგებელს და მათთან დაკავშირებულ მასალას გადასცემს მედიატორს.

რაც შეეხება **კერძო მედიაციას,** იგი ხორციელდება **სასამართლოს ჩარევის გარეშე** მხარეთა ინიციატივით, მედიაციის თაობაზე შეთანხმების საფუძველზე.

მედიაციის პროცესში მონაწილეობენ მედიატორი, მხარეები და მხარეთა წარმომადგენლები, თუ ასეთი ყავთ და მესამე პირები.

მედიაციის მხარედ ითვლება ფიზიკური ან იურიდიული პირი ან ორგანიზაცია, რომელიც არ არის იურიდიული პირი, მაგალითად არარეგისტრირებული კავშირი, და რომელიც მეორე მხარესთან დავის ურთიერთშეთანხმებით დასრულების მიზნით მონაწილეობს მედიაციის პროცესში.

შესაძლებელია რომ მხარის ან მხარეების ნაცვლად მედიაციაში მონაწილეობდეს მხარის ან ორივე მხარის წარმომადგენელი.

მესამე პირად მოიაზრება პირი, რომელიც არ არის მხარე და მედიაციის თაობაზე შეთანხმებით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მონაწილეობს მედიაციის პროცესში. მაგალითად, განქორწინების დროს შესაძლებელია მესამე პირად ჩაერთოს მეჯვარე, მეუღლეთა საერთო მეგობარი ან ნათესავი.

მესამე პირის ჩართვის შემთხვევაში თუ მოლაპარაკების დროს გამჟღავნებული ინფორმაცია კონფიდენციალური უნდა იყოს, მაშინ საჭიროა მედიატორმა მესამე პირს ამის შესახებ შეატყობინოს.

მედიატორისთვის საქმის მასალების გადაცემა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შესაძლე-

ბელია სასამართლო პროცესის ნებისმიერ სტადიაზე – როგორც მოსამზადებელ სტადიაზე ასევე მთავარი სხდომაზე, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოში ასევე სააპელაციო სასამართლოში. გადაცემა ხდება განჩინების გამოტანის საფუძველზე. განჩინება რომლის მეშვეობითაც ხდება მედიატორისთვის მასალების გადაცემა არ საჩივრდება. ასევე არ საჩივრდება განჩინება რომლითაც მხარეს უარი ეთქვა მედიატორისთვის მასალების გადაცემაზე.

მედიაციის პროცესში, ისევე როგორც მედიაციის პროცესის დაწყებამდე, მხარეს უფლება აქვს დასაბუთებული განცხადებით მიმართოს სასამართლოს სამედიაციო მორიგების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ. თუ სასამართლო განჩინებით დააკმაყოფილებს ასეთ განცხადებას განმცხადებელმა 10 დღის ვადაში სასამართლოს უნდა წარუდგინოს იმის დამადასტურებელი დოკუმენტი რომ მან მიმართა სასამართლო ან კერძო მედიაციას. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ან თავისი ინიციატივით გამოიტანს განჩინებას სამედიაციო მორიგების უზურნველყოფის ღონისძიების გამოყენების გაუქმების შესახებ. ასეთივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც თუ ამავე ვადაში მხარე სასამართლოს არ წარუდგენს სარჩელს სასამართლო პროცესის დაწყების შესახებ ან თუ არ მიმართავს შუამდგომლობით უკვე შეტანილ სარჩელზე საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, სასამართლო მხარის შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით გამოიტანს განჩინებას სამედიაციო მორიგების უზურნველყოფის ღონისძიების გამოყენების გაუქმების შესახებ.

მედიაციის დასრულებიდან 10 დღის ვადაში სასამართლოსთვის სარჩელის წარდგენის/საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით მიმართვის შემთხვევაში სასამართლოს მიერ გამოყენებული სამედიაციო მორიგების უზრუნველყოფის ღონისძიება გარდაიქმნება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებად (სსკ 363[30] მუხლის მე-3 ნაწილი). სამედიაციო მორიგების უზრუნველყოფის ღონისძიების მიმართ გამოიყენება სარჩელის უზურნველყოფის საერთო წესებიც.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს იმ დავებს რომელთა მიმართაც შესაძლებელია მხარეთა მიერ წარმოდგენილი მასალა გადაეცეს მედიატორს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულია შემთხვევები როდესაც შეიძლება საქმე გადაეცეს მედიატორს მოსამართლის ინიციატივით ან საჭირო იყოს

მხარის თანხმობა, კერძოდ, მოსამართლის ინიციატივით შეიძლება გადაეცეს:

ა) საოჯახო სამართლებრივ დავები, გარდა შვილად აყვანასთან, შვილად აყვანის ბათილად ცნობასთან, შვილად აყვანის გაუქმებასთან, მშობლის უფლების შეზღუდვასთან, მშობლის უფლების ჩამორთმევასთან, აგრეთვე ქალთა მიმართ ძალადობასთან ან/და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული დავებისა;

ბ) სამემკვიდრეო სამართლებრივ დავები;

გ) სამეზობლო სამართლებრივ დავები;

$გ^{1}$) შრომით სამართლებრივ დავები, გარდა საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი" გათვალისწინებული კოლექტიური დავისა;

$გ^{2}$) საზიარო უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებულ დავებზე;

$გ^{3}$) ქონებრივ დავებზე, თუ დავის საგნის ღირებულება 20000 ლარს არ აღემატება;

$გ^{4}$) საქართველოს საბანკო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების მიერ დადებული სესხის ხელშეკრულებებიდან (მათ შორის, ელექტრონული ფორმით დადებული სესხის ხელშეკრულებებიდან) გამომდინარე დავებზე, თუ დავის საგნის ღირებულება 10000 ლარს არ აღემატება;

$გ^{5}$) არაქონებრივ დავებზე (სსკ 187^{3} – მუხლი).

აღნიშნული დავების მოგვარება შესაძლებელია კერძო მედიაციის მეშვეობითაც, მაგრამ თუ მორიგება ვერ შედგება მოსამართლეს უფლება აქვს მხარეთა თანხმობის შემთხვევაში, განჩინების გამოტანის საფუძველზე, საქმე გადასცეს სასამართლო მედიატორს.

მხარეს უფლება აქვს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, როგორიც არის მაგალითად, მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესაობა, წერილობითი ფორმით მოითხოვოს სასამართლო მედიატორის აცილება. მოთხოვნა უნდა იყოს დასაბუთებული. აცილების შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება.

მედიაციის შესახებ კანონიდან გამომდინარე თუნდაც რომ მხარეები თანახმანი იყვნენ, პირს უფლება არ აქვს, იყოს მედიატორი ისეთ საქმეზე, რომელზედაც იგი მედიაციის პროცესის დაწყებამ-

დე იყო ამავე საქმეზე ან მასთან არსებითად დაკავშირებულ სხვა საქმეზე მხარე ან ამ მხარის წარმომადგენელი სასამართლოში, არბიტრაჟში ან მსგავს პროცესში, ან თუ მან სხვა სახის იურიდიული ან/და აუდიტორული მომსახურება გაუწია მედიაციის მხარეს (სსკ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი). აღნიშნული წესი ასევე წარმოადგენს მხარის მხრიდან მედიატორის აცილების საფუძველს.

გარდა აღნიშნული შემთხვევებისა, კანონი არ ითვალისწინებს სასამართლო მედიატორის თვითაცილების სხვა შესაძლებლობას, მაგრამ მას შეუძლია სსკ 31-ე მუხლის ანალოგიის საფუძველზეც მოახდინოს თვითაცილება და დასაბუთებული ფორმით შეატყობინოს ამის შესახებ სასამართლოს.

მედიაცია შეიძლება გაგრძელდეს 45 დღე. ამ დროის მანძილზე მხარეები მედიატორს მინიმუმ ორჯერ მაინც უნდა შეხვდნენ. თუ მხარე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდება მედიატორთან მის მიერ დანიშნულ დროს მას დაეკისრება სასამართლო ხარჯების სრულად დაფარვა თუნდაც რომ სასამართლოს გადაწყვეტილება მის სასარგებლოდ იქნეს გამოტანილი, ასევე იგი დაჯარიმდება 150 ლარით. დაჯარიმება აღარ მოხდება თუ სასამართლო მედიაციის პროცესში დავა მხარეთა შეთანხმებით დასრულდება.

ზემოთ აღნიშნული არცერთი ღონისძიება არ იქნება გამოყენებული თუ საქმის სასამართლოში განხილვის დროს დავა მხარეთა შორის მორიგებით დასრულდება.

თუ დავა მხარეთა შეთანხმებით არ დასრულდება მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, მაგრამ თუ სასამართლო მედიაციისთვის დადგენილი ვადის გასვლიდან 10 დღის მანძილზე არცერთი მხარე არ მიმართავს სასამართლოს საქმის წარმოების განახლებით მოთხოვნით, მაშინ სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

§2. სამედიაციო მორიგების აღსრულება

სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხებს აწესრიგებს სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონი და სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.

სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხს განიხილავს სასამართლო ერთ-ერთი ან ორივე მხარის განცხადების საფუძველ-

ზე. თუ სამედიაციო მორიგება შედგენილ იქნა სასამართლო მედიაციის შედეგად, მაშინ მისი აღსრულების საკითხი უნდა განიხილოს იმ სასამართლომ, რომელმაც დავის მხარეთა შეთანხმებით დასრულების მიზნით საქმე მედიატორს გადასცა, მაგრამ თუ სამედიაციო მორიგება შედგენილ იქნა კერძო მედიაციის შედეგად, მაშინ – რაიონული (საქალაქო) სასამართლო განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო თუ იურიდიული პირია განმცხადებელი-იურიდიული მისამართის მიხედვით. ასეთია განსჯადობის წესი მორიგების აღსრულებასთან ანუ არასასარჩელო წარმოებასთან დაკავშირებული საქმის განხილვის დროს. რ არის გამორიცხული რომ განცხადების შეტანის შემდეგ შეიცვალოს საცხოვრებელი ადგილი ან იურიდიული მისამართი, ასეთ შემთხვევაშიც მაინც ის სასამართლო განიხილავს რომელ სასამართლოშიც შეტანილ იქნა განცხადება. თუ განმცხადებელს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი აქვს მაშინ ის გადაწყვეტს რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს მისი განცხადება.

თუ სამედიაციო მორიგება შედგენილ იქნა სასამართლო მედიაციის შედეგად, მხარემ, რომელიც სასამართლოს მიმართავს სამედიაციო მორიგების აღსრულების მოთხოვნით, უნდა წარადგინოს სამედიაციო მორიგების დედანი ან სათანადოდ დამოწმებული ასლი, ხოლო თუ სამედიაციო მორიგება შედგენილ იქნა კერძო მედიაციის შედეგად აგრეთვე მედიაციის თაობაზე შეთანხმება.

სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხი ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილება განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში. სასამართლოს შეუძლია ამავე ვადაში დაადგინოს ამ საკითხის ზეპირი განხილვა, თუ ეს ხელს უწყობს საქმის გარემოებათა გამორკვევას. ამ შემთხვევაში სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხი განიხილება განცხადების მიღებიდან 30 დღის ვადაში. აღნიშნული საკითხის ზეპირი განხილვის შემთხვევაში მხარეებს ეცნობებათ სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს სასამართლოს მიერ საკითხის განხილვასა და გადაწყვეტას.

იმ შემთხვევაში თუ სამედიაციო მორიგების შინაარსი ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას ან მისი აღსრულება შეუძლებელია, სასამართლო განჩინებით უარს ეტყვის მის აღსრულებაზე. განჩინება შეიძლება კერძო საჩივრით გასაჩივრდეს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში.

თუ სასამართლო დააკმაყოფილებს განმცხადებელს, მაშინ მას განჩინებასთან ერთად გადაეცემა სააღსრულებო ფურცელი. ეს განჩინება აღარ საჩივრდება.

კოლექტიურ შრომით დავაზე სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხი ერთ-ერთი მხარის განცხადების საფუძველზე შესაძლებელია ასევე განიხილოს სასამართლომ.

§3. სასამართლოს მონაწილეობა კოლექტიურ შრომით დავაზე მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების აღსრულებაში

შრომის კოდექსის 63-ე მუხლიდან გამომდინარე კოლექტიურ დავად მიიჩნევა დავა დამსაქმებელსა და დასაქმებულთა ჯგუფს შორის, რომელშიც არანაკლებ 20 დასაქმებული მაინც იმყოფება ან დამსაქმებელსა და დასაქმებულთა გაერთიანებას შორის.

დავა უნდა გადაწყდეს ან პირდაპირი მოლაპარაკებების მეშვეობით ანდა მედიაციის მეშვეობით.

თუ მედიაციაზე მხარეები მიაღწევენ შეთანხმებას, ერთ-ერთი მხარე უფლებამოსილია, დამსაქმებლის ადგილსამყოფლის მიხედვით შეიტანოს განცხადება სასამართლოში მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების აღსრულების შესახებ. განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში რაიონული (საქალაქო) სასამართლო განიხილავს მიღწეული შეთანხმების აღსრულების საკითხს. ჩანმცხადებელმა განცხადებას უნდა დაურთოს მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების დედანი ან მისი სანოტარო წესით დამოწმებული ასლი.

სასამართლო აღნიშნულ საკითხს განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე, თუმცა თუმცა გარკვეული საკითხების გარკვევის მიზნით მას შეუძლია დაადგინოს ზეპირი მოსმენაც. ასეთ შემთხვევაში სასამართლომ მხარეებს უნდა აცნობოს სხდომის ჩატარების დრო და ადგილი. მხარის ან მხარეების გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო მაინც განიხილავს საკითხს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

სასამართლო უფლებამოსილია არ დააკმაყოფილოს მხარის განცხადება შეთანხმების აღსრულების საკითხზე თუ შეთანხმების შინაარსი ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, საქართველოში არსებულ საჯარო წესრიგს ან თუ, აღნიშნული შეთანხმების შინაარსიდან გამომდინარე, მისი აღსრულება შეუძლებელია.

განცხადების დაკმაყოფილება ან დაუკმაყოფილებლობა ხდება განჩინების გამოტანით.

დაკმაყოფილების შემთხვევაში მხარეს გადაეცემა განჩინება და სააღსრულებო ფურცელი. ასეთი განჩინების გასაჩივრება აღარ ხდება, მაგრამ თუ სასამართლო განჩინებით არ დააკმაყოფილებს მხარის განცხადებას, მაშინ მხარეს უფლება აქვს კერძო საჩივრით გაასაჩივროს ასეთი განჩინება.

§4. სასამართლოს მონაწილეობა „მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებების თაობაზე" გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2019 წლის 7 აგვისტოს კონვენციის შესაბამისად დადებული საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობასა და აღსრულებაში

2019 წლის 7 აგვისტოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო კონვენცია **„მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებების თაობაზე"**. 2021 წლის 22 ივნისს საქართველოს პარლამენტმა დადგენილებით მოახდინა ამ კონვენციის რატიფიცირება. **კონვენციის მე-8 მუხლის საფუძველზე საქართველოს პარლამენტმა დადგენილებაში ორი დათქმა დააფიქსირა, კერძოდ:**

საქართველო აცხადებს რომ ეს კონვენცია არ გამოიყენება იმ მორიგების შეთანხმებების მიმართ, რომელთა ერთ-ერთი მხარეც არის ის ან რომელთა ერთ ერთი მხარეც რომელიმე სახელმწიფო უწყება ან რომელიმე სახელმწიფო უწყების სახელი მოქმედი ნებისმიერი პირი;

საქართველო აცხადებს, რომ ეს კონვენცია გამოიყენება მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლებზედაც მორიგების შეთანხმების მხარეები შეთახმდებიან კონვენციის გამოყენებასთან დაკავშირებით.

კონვენციის პირველი მუხლიდან გამომდინარე კონვენციით მოწესრიგებულია საერთაშორისო კომერციულ დავებთან დაკავშირებული მორიგების შეთანხმების წესი და ფორმა. მედიაციის საფუძველზე მორიგებაზე შეთანხმება ჩაითვლება საერთშორისოდ, თუ:

ა) მორიგების შეთანხმების მონაწილე სულ მცირე ორი მხარე ეწევა ძირითადად საქმიანობას სხვადასხვა სახელმწიფოში; ან

ბ) სახელმწიფო, რომელშიც მორიგების შეთანხმების მონაწილე მხარეები ეწევიან ძირითად საქმიანობას, განსხვავდება, ან:

ბ.1. იმ სახელმწიფოსგან, რომელშიც მორიგების შეთანხმებით დაკისრებული ვალდებულებების მნიშვნელოვანი ნაწილი სრულდება; ან

ბ.2. იმ სახელმწიფოსგან, რომელთანაც მორიგების შეთანხმების საგანი ყველაზე მჭიდროდ არის დაკავშირებული.

ამდენად, როგორც კონვენციის შინაარსიდან ჩანს კონვენცია ეხება მხოლოდ საერთაშორისო კომერციულ დავებთან დაკავშირებულ მორიგებას და არა საოჯახო ან შრომით და ა.შ. დაკავშირებულ მორიგებებს.

კონვენციასთან მიმართებაში სამოქალაქო პროცესის მიზანია ამ შეთანხმების ცნობისა და აღსრულების საკითხის მოწესრიგება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობისა და აღსრულების საკითხს წყვეტს მხოლოდ საქართველოს უზენაესი სასამართლო, რომელსაც შეიძლება განცხადებით მიმართოს ერთ-ერთმა ან ორივე მხარემ.

მხარემ სასამართლოს უნდა წარუდგინოს:

ა) საერთაშორისო სამედიაციო მორიგების დედანი ან მისი სათანადოდ დამოწმებული ასლი, აგრეთვე ამ დოკუმენტის სათანადოდ დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე;

ბ) იმის მტკიცებულება, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საერთაშორისო სამედიაციო მორიგება მიღწეულ იქნა და დაიდო საერთაშორისო მედიაციის განხორციელების შედეგად, კერძოდ:

ბ.ა) საერთაშორისო მედიაციის წარმმართველი მედიატორის ხელმოწერა საერთაშორისო სამედიაციო მორიგებაზე;

ბ.ბ) საერთაშორისო მედიაციის წარმმართველი მედიატორის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელშიც მითითებულია, რომ განხორციელდა საერთაშორისო მედიაცია;

ბ.გ) იმ დაწესებულების მიერ გაცემული დასტური, რომელიც ახორციელებდა საერთაშორისო მედიაციის ადმინისტრირებას;

ბ.დ) ამ ნაწილის „ბ.ა"–„ბ.გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მტკიცებულებების არარსებობისას – სასამართლოსთვის მისაღები ნებისმიერი სხვა მტკიცებულება.

სასამართლოს უფლება აქვს მხარეებს დამატებით მოსთხოვოს ნებისმიერი დოკუმენტი რომელიც მას შეიძლება დასჭირდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ან კონვენციის მოთხოვნების შესამოწმებლად.

სასამართლო წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისრულეს

ამოწმებს განცხადებით მიმართვიდან 5 დღის ვადაში. თუ ამ ვადაში სასამართლო რაიმე ხარვეზს გამოავლენს, ის განმცხადებელს მისცემს გონივრულ ვადას ხარვეზის გამოსასწორებლად. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ გამოსწორდება, განცხადებას აღარ განიხილავს.

თუ სასამართლო განცხადებას მიიღებს წარმოებაში ის ვალდებულია 5 დღის ვადაში გაუგზავნოს იმ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია ეს განცხადება.

მხარეს უფლება აქვს განცხადების მიღებიდან 5 დღის ვადაში წარადგენს თავის განცხადება და ამტკიცოს რომ:

1) საერთაშორისო სამედიაციო მორიგების მხარე შეზღუდულქმედუნარიანი ან მხარდაჭერის მიმღები იყო;

2) საერთაშორისო სამედიაციო მორიგება, რომლის ცნობა და აღსრულებაც მოითხოვება, იმ სამართლებრივი ნორმების მიხედვით, რომლებზედაც საერთაშორისო სამედიაციო მორიგების მხარეებმა მასში მიუთითეს, ხოლო ასეთი მითითების არარსებობისას – იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომელიც შუამდგომლობის განმხილველმა სასამართლომ შესაბამისად მიიჩნია, ბათილია ან ძალადაკარგულია ან მისი აღსრულება შეუძლებელია;

3) საერთაშორისო სამედიაციო მორიგების აღსრულება სავალდებულო არ არის, ან ის, მისი პირობების თანახმად, საბოლოო არ არის, ან მისი შინაარსი შემდგომ არსებითად შეიცვალა;

4) საერთაშორისო სამედიაციო მორიგებით გათვალისწინებული ვალდებულებები შესრულებულია ან მკაფიო ან გასაგები არ არის;

5) შუამდგომლობაში აღძრული მოთხოვნის დაკმაყოფილება ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამედიაციო მორიგების პირობებს;

6) საერთაშორისო მედიაციის წარმმართველმა მედიატორმა უხეშად დაარღვია მედიატორის/მედიაციის მიმართ დადგენილი სტანდარტები, რადგან ასეთი დარღვევის გარეშე ეს მხარე არ დადებდა საერთაშორისო სამედიაციო მორიგებას;

7) საერთაშორისო მედიაციის წარმმართველმა მედიატორმა საერთაშორისო სამედიაციო მორიგების მხარეებს არ გაუმჟღავნა ის გარემოებები, რომლებიც მედიატორის მიუკერძოებლობაში ან დამოუკიდებლობაში დასაბუთებული ეჭვის შეტანის საფუძველს იძლევა, და მათმა გაუმჟღავნებლობამ არსებითად იმოქმედა ან არასათანადო გავლენა მოახდინა ერთ-ერთ მხარეზე, რადგან ამ გარემოებების გაუმჟღავნებლობის გარეშე ეს მხარე არ დადებდა საერთაშორისო სამედიაციო მორიგებას;

ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში სასამართლო უფლებამოსილია უარი თქვას საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობისა და აღსრულების შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე.

სასამართლოს ასევე უფლება აქვს უარი თქვას განცხადების დაკმაყოფილებაზე თუ დაადგენს, რომ:

1) შუამდგომლობაში აღძრული მოთხოვნის დაკმაყოფილება ეწინააღმდეგება საქართველოში არსებულ საჯარო წესრიგს;

2) საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, დავა არ შეიძლება მედიაციის გზით იქნეს განხილული.

სასამართლო მეორე მხარისგან განცხადების წარმოდგენიდან ან საამისოდ განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლიდან 30 დღის განმავლობაში ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილავს სამედიაციო მორიგების ცნობისა და აღსრულების საკითხს.

სასამართლო უფლებამოსილია საქმე ამავე ვადაში განიხილოს ზეპირი მოსმენით, თუ ეს ხელს შეუწყობს საქმის გარემოებათა გამორკვევას. საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შემთხვევაში საერთაშორისო სამედიაციო მორიგების მხარეებს ეცნობებათ სასამართლო სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს სასამართლოს მიერ საქმის განხილვას და საკითხის გადაწყვეტას.

თუ სასამართლოს, არბიტრაჟს ან ნებისმიერ სხვა კომპეტენტურ ორგანოს წარედგინა საერთაშორისო სამედიაციო მორიგებასთან დაკავშირებული შუამდგომლობა ან მოთხოვნა, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, აღნიშნული შუამდგომლობის განმხილველი სასამართლო უფლებამოსილია, თუ იგი ამას მიზანშეწონილად მიიჩნევს, გადადოს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება, აგრეთვე ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მეორე მხარეს დაავალოს შესაბამისი უზრუნველყოფის წარმოდგენა (სსკ 365[45] მუხლის მე-5 ნაწილი). წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს განჩინების ფორმით, რომელთან ერთადაც მხარეს გადასცემს სააღსრულებო ფურცელსაც. აღნიშნული განჩინება აღარ საჩივრდება.

აღსრულების პროცესი განხორციელდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით.

თავი XII. აპელაცია

§1. სააპელაციო სასამართლოს ქართული მოდელი. მისი შინაარსი და მნიშვნელობა

სააპელაციო სასამართლოს სასარგებლოდ და მის დადებით მხარეებზე გამოთქმულია მრავალი მოსაზრება, რომელთა შორის ყველაზე არსებითია შემდეგი:

1. სააპელაციო სასამართლოების არსებობით ძლიერდება პირველი ინსტანციის სასამართლოების პასუხისმგებლობა, რადგან მათი გადაწყვეტილებები შეიძლება შეამოწმოს სააპელაციო სასამართლომ როგორც ფაქტობრივად, ისე იურიდიული თვალსაზრისით;

2. აპელაცია გაცილებით უფრო მიუკერძოებელია ვიდრე პირველი ინსტანცია, რადგან იგი ნაკლებად განიცდის ადგილობრივი ხელისუფლების ზეგავლენას;

3. სააპელაციო სასამართლო დაკომპლექტებულია უფრო მაღალკვალიფიციური მოსამართლეებით, იხილავენ საქმეს სამი პროფესიული მოსამართლის შემადგენლობით; კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საქმეს იხილავს ერთი მოსამართლე.

4. სააპელაციო სასამართლოს არსებობა ქმნის რწმენას, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომა ნამდვილად გამოსწორებული იქნება და მიღებული იქნება სამართლიანი გადაწყვეტილება.

მართლაც, რაც არ უნდა კარგად იყვნენ მომზადებული პირველი ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეები, რა კეთილსინდისიერებითა და ყურადღებით არ უნდა მოეკიდონ ისინი თავიანთი მოვალეობის შესრულებას, მაინც არ არსებობს იმის სრული გარანტია, რომ თავიდან იქნება აცილებული შეცდომები, როგორც საქმის ფაქტიური გარემოებების დადგენის თვალსაზრისით, ისე ამ ფაქტების სამართლებრივი შეფასების დროსაც. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ ითვალისწინებს რაიონული სასამართლოების გადაწყვეტილებათა სააპელაციო წესით გასაჩივრების შესაძლებლობას.

აპელაცია, როგორც სასამართლო სისტემის ერთ-ერთი უმნიშ-

ვნელოვანესი რგოლი, როგორც მეორე ინსტანციის სასამართლო, თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს, მათ ბევრი აქვთ საერთო მაგრამ მათ შორის არსებობს აგრეთვე მნიშვნელოვანი განსხვავებაც. ამ განსხვავებებმა განაპირობეს აპელაციის ორ ჯგუფად, ორ სახედ დაყოფის მიზანშეწონილობა როგორიცაა **სრული (შეუზღუდავი) აპელაცია და არასრული (შეზღუდული) აპელაცია.**

სრული ან შეუზღუდავი აპელაცია – ეს ისეთი აპელაციაა, რომლის მიხედვით შეიძლება შემოწმდეს არამარტო საქმეში არსებული მასალები, ფაქტები, მტკიცებულებები, არამარტო გადაწყვეტილების კანონიერება და საქმის წარმოების შესაბამისობა იმ სამართლებრივ ნორმებთან, რომლებიც განსაზღვრავენ სამართალწარმოების წესებს, არამედ მხარეთა მიერ ახლად წარმოდგენილ ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც საერთოდ არ იყო წარმოდგენილი პირველ ინსტანციაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ სრული აპელაციის დროს სააპელაციო სასამართლო ხელმეორედ იხილავს საქმეს და, როგორც წესი, არასდროს არ აბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოში. მას თვითონ გამოაქვს ახალი გადაწყვეტილება, თუ, ცხადია, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ფაქტობრივად ან იურიდიულად დაუსაბუთებელია და გასაუქმებელია.

სხვა შინაარსისაა მეორე სახის აპელაცია, რომელსაც **არასრულ (შეზღუდულ) აპელაციას უწოდებენ.**

არასრული აპელაციის დროს სააპელაციო საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმება ხდება იმ ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით და იმ მტკიცებულებებით, რომლებიც წარდგენილი იყო პირველი ინსტანციის სასამართლოში და რომლებიც შემოწმდა და შეფასდა ამ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ. რაც შეეხება ახალ ფაქტებს და მტკიცებულებებს, ისინი შეიძლება წარდგენილ იქნან სააპელაციო სასამართლოში მხოლოდ გარკვეული პირობების არსებობისას და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში.

აპელაციის თითოეულ სახეს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. მაგალითად, **სრული (შეუზღუდავი) აპელაციის** დროს მხარეები მთელ თავის იმედებს ამყარებენ სააპელაციო სასამართლოზე. ამიტომ, ხშირად, გარკვეული ტაქტიკური, თუ სხვა მოსაზრებებით არ მიუთითებენ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვან ფაქტებზე, არ წარუდგენენ პირველი ინსტანციის სა-

სამართლოს ყველა მათ ხელთ არსებულ მტკიცებულებებს და ა.შ. ყველა ამ ფაქტისა თუ მტკიცებულების წარდგენა სარისკოცაა იმ თვალსაზრისით, რომ ისინი შეიძლება უარყოს პირველი ინსტანციის სასამართლომ როგორც არასარწმუნო ან როგორც სამართლებრივად უმნიშვნელო და სხვ. ამიტომ, უმჯობესია, გაცილებით უფრო ნაკლებ სარისკოა და უფრო ეფექტიანი შეიძლება აღმოჩნდეს მათი შემონახვა და შემდგომ წარდგენა მეორე ინსტანციის სასამართლოში. სრული აპელაცია უარყოფით ზემოქმედებას ახდენს აგრეთვე პირველი ინსტანციის სასამართლოზეც, რომელმაც არ იცის რას მოიმოქმედებენ მხარეები აპელაციაში, რომელ ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებს წარუდგენენ ისინი ამ სასამართლოს და რა ბედი ეწევა მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ სრული აპელაცია მართალია უზრუნველყოფს მხარეთა აქტიურობას აპელაციაში – სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვის დროს, მაგრამ ვერ უზრუნველყოფს ამას პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმეთა განხილვის დროს.

ასეთ ვითარებას, საბოლაო ანგარიშში, მივყევართ როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოს ფუნქციისა და პრესტიჟის შესუსტებამდე, ისე საქმის საბოლაოდ გადაწყვეტის უზომოდ გაჭიანურებამდე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **სრული (შეუზღუდავი) აპელაცია – ესაა პირველი ინსტანციის სასამართლოს განმეორება და არა გაგრძელება.**

რაც შეეხება **არასრულ (შეზღუდულ) აპელაციას**, ეს ისეთი აპელაციაა, რომლის დროს ახალი ფაქტებისა და ახალი მტკიცებულებების წარდგენა სააპელაციო სამართალწარმოებაში დასაშვებია მხოლოდ კანონით განსაზღვრული პირობების არსებობისას (მაგალითად, თუ არსებობს საპატიო მიზეზი, რის გამოც მათი წარდგენა პირველ ინსტანციაში ვერ განხორციელდა). არასრულ აპელაციას აქვს მთელი რიგი უპირატესობებისა, რომელთა შესახებ დაწვრილებით საუბარი გვექნება ქვემოთ[608].

აქ შემოვიფარგლებით მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში აპელაციის სხვადასხვა მოდელების (სახეების) შესწავლისა და განხილვის შედეგად უპირატესობა მივანიჭეთ არასრულ აპელაციას, რაც ნათლად და

608 იხ. გვ. 402-405

საკმაო სისრულით აისახა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში.

ისეთ პირობებში, როდესაც საქართველოში, არც ადრე და არც ეხლა, ყველა არ იწონებდა და არც ეხლა იწონებს ამჟამად უკვე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დამკვიდრებულ არასრულ აპელაციას, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს 2004 წლის №6 დასკვნის 98-ე პუნქტი[609], რომლის თანახმად:

„ზოგ ქვეყნებში დავების გადაწყვეტის მარეგულირებელი კანონმდებლობა ან ტრადიციები უფლებას აძლევს მხარეებს პრაქტიკულად ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე შესწორებები და დამატებები შეიტანონ თავიანთ სასარჩელო დოკუმენტებში და დამატებითი მტკიცებულებები წარადგინონ, სააპელაციო წარმოების ეტაპზეც კი. ვროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მიაჩნია, რომ ეს აღარ არის მისაღები და დადგა დრო, რომ ასეთი წესები და ტრადიცები გადაისინჯოს. მხარეებს უფლება აქვთ მათი სარჩელი ან დაცვის არგუმენტები „გონივრულ ვადაში იყოს განხილული სამართლიანი სასამართლოს მიერ" და მათ არ უნდა ჰქონდეთ დამატებითი არგუმენტების და სხვადასხვა საქმეების განუსაზღვრელი პერიოდის განმავლობაში წარდგენის შესაძლებლობა, განსაკუთრებით კი სააპელაციო სასამართლის მიერ სარჩელის განხილვის ეტაპზე".

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე ამ დასკვნის 135-ე პარაგრაფი:

„მიხედავად იმისა, რომ ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო აცნობიერებს მთელ რიგ ქვეყნებში არსებულ სამართლებრივ ტრადიციას, რომლითაც, უპირატესობა ენიჭება პირისთვის მეორე ინსტანციაში გასაჩივრების შეუზღუდავი უფლების მინიჭებას, იგი ცდილობს ხაზი გაუსვას რომ არ ეთანხმება მოცემულ მიდგომას. უნდა არსებობდეს გარკვეული შეზღუდვები მხარის მიერ ახალი მტკიცებულებების წარდგენის, ან ახალი სამართლებრივი საკითხების დაყენებასთან დაკავშირებით. გასაჩივრების მექანიზმი არ უნდა მოიაზრებოდეს როგორც დავის მხარის მიერ პირველი

---

609 ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო, 2004 წ. დასკვნა №6, გონივრულ ვადაში საქმის სამართლიანი განხილვის და სასამართლო პროცესში მოსამართლის როლის შესახებ დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების გათვალისწინებით. http://hcoj.gov.ge/files/pdf%20files/aqtebi/CCJE%282004%29PINI N%206_GE .pdf

ინსტანციის მოსამართლისთვის დავის არსებით მხარესთან, ან სამართლებრივ ასპექტებთან დაკავშირებით ახალი მოსაზრებების წარდგენისა და ცვლილებების შეტანის შეუზღუდავი შესაძლებლობა. ეს აკნინებს პირველი ინსტანციის მოსამართლის როლს და აფერხებს ამ ინსტანციის მოსამართლეების მიერ საქმეების ეფექტური მართვის შესაძლებლობას".

§2. საქმის წარმოება სააპელაციო სასამართლოში

I. სააპელაციო საჩივრის ობიექტი, ანუ სასამართლოს რომელ დადგენილებებზე შეიძლება სააპელაციო საჩივრის შეტანა.

სააპელაციო წესით შეიძლება გასაჩირდეს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებები, რომლებიც ჯერ კიდევ არ შესულან კანონიერ ძალაში (სსკ 364-ე მუხლი)

სააპელაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს აგრეთვე ზემოთ დასახელებული სასამართლოების განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ შეტანილი საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარისთქმისა და ამ დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ (სსკ 240-ე მუხლის მე-2 ნაწილი). თავისთვად ცხადია რომ თუ რაიონული სასამართლო აუქმებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას და გამოაქვს ახალი გადაწყვეტილება, მაშინ ეს ახალი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით.

სააპელაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება (სსკ 242-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა, კერძოდ, **სააპელაციო წესით შეიძლება გასაჩირდეს:**

1. რაიონული (საქალაქო) სასამართლოების, მათ შორის მაგისტრანტი მოსამართლის გადაწყვეტილებები;
2. ამ სასამართლოების მიერ გამოტანილი მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილებები;
3. ამ სასამართლოების მიერ გამოტანილი განჩინებები დაუს-

წრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე შემოტანილი საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარისთქმისა და მისი ძალაში დატოვების შესახებ.

პრაქტიკაში დადგა კითხვა, შეიძლება თუ არა გასაჩივრდეს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების აღწერილობითი ან სამოტივაციო ნაწილი?

ამ კითხვაზე საკასაციო სასამართლომ უარყოფითი პასუხი გასცა, მან აღნიშნა, რომ „საკასაციო სასამართლო სრულიად ეთანხმება სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ გადაწყვეტილების მხოლოდ აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების გასაჩივრება დაუშვებელია, რადგან მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მხარის მიერ სააპელაციო წესით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილის ან მისი რომელიმე პუნქტის გასაჩივრების შესაძლებლობას". საკასაციო სასამართლომ იქვე განმარტა, რომ „მართალია, ... სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლში პირდაპირი არ არის მითითება გადაწყვეტილების რომელიმე ნაწილის გასაჩივრების უფლებაზე, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი შეზღუდვის პირდაპირ მიუთითებლობა არ ნიშნავს, რომ მხარეს გადაწყვეტილების სხვადასხვა ნაწილების ცალ-ცალკე გასაჩივრების უფლება გააჩნია".[610]

სააპელაციო სასამართლოები განიხილავენ და საბოლოო გადაწყვეტილებებს იღებენ რაიონული და თბილისის საქალაქო სასამართლოების განჩინებებზე შემოტანილ კერძო საჩივრებზე, მაგრამ ეს საჩივრები განიხილება არა სააპელაციო წესით, არამედ კერძო საჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით.

II. სააპელაციო საჩივრის უფლების სუბიექტები ანუ ვის შეუძლია სააპელაციო საჩივრის შეტანა

სააპელაციო საჩივრის უფლების სუბიექტებია მხარეები, ე.ი. მოსარჩელე და მოპასუხე, აგრეთვე **მესამე პირი** დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით (სსკ 364-ე მუხლი).

სააპელაციო გასაჩივრების სუბიექტებია აგრეთვე თანამონაწილეები (თანამოსარჩელეები, თანამოპასუხეები), რომლებიც სარგე-

610 სუსგ სამოქალაქო სამართლის საქმეებზე, 2016, 5, გვ. 115-116.

ბლობენ ყველა იმ საპროცესო უფლებით, რომლებიც ამ კოდექსის თანახმად მინიჭებული აქვთ მხარეებს (სსკ 87-ე მუხლი).

იმ შემთხვევაში, როდესაც თანამონაწილეობის საფუძველს წარმოადგენს საერთო უფლება (86-ე მუხლის „ა" პუნქტი), ე.ი. სარჩელის საგანია საერთო უფლება, მაშინ ერთ-ერთ მოსარჩელეს შეუძლია შეიტანოს სააპელაციო საჩივარი გადაწყვეტილებაზე ნებისმიერ ფარგლებში, იგივე შეუძლია ერთ-ერთ მოპასუხეს (თანამოპასუხეს), როცა ვალდებულება სოლიდარულია. მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა ერთ სარჩელში გაერთიანებულია სხვადასხვა მოსარჩელის სხვადასხვა მოთხოვნა სხვადასხვა ან ერთი და იგივე მოპასუხის მიმართ, მაშინ ერთ-ერთ მოსარჩელეს (თანამოსარჩელეს) შეუძლია გაასაჩივროს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომელიც ერთ სარჩელში გაერთიანებულ მის მოთხოვნას ეხება. იგივე წესი უნდა გავრცელდეს თანამოპასუხეებზეც, როდესაც მათ მიმართ აღძრულია არა ერთიანი, არამედ სხვადასხვა (განცალკევებული) მოთხოვნები.

თუ საქმის წარმოება სასამართლოში მინდობილი აქვს ერთ-ერთ თანამონაწილეს (87-ე მუხლის მე-2 პუნქტი) გასაჩივრების უფლებამოსილებით, მაშინ მას შეუძლია გაასაჩივროს გადაწყვეტილება, როგორც მთლიანად, ისე ნაწილობრივ.

იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო **გადაწყვეტილებით განსაზღვრულია ისეთი პირის უფლებები** და **მოვალეობები**, რომელიც არ ფიგურირებდა საქმეში არც მხარედ, არც მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, არც თანამონაწილედ, არც უფლებამონაცვლედ და აქედან გამომდინარე არც საქმეში ყოფილა ჩაბმული და არც დაბარებული (მოწვეული), **ასეთ პირს უნდა მიეცეს უფლება გაასაჩივროს გადაწყვეტილება, რადგან დარღვეულია, მისი ფუნდამენტური უფლება, მონაწილეობა მიიღოს სასამართლოში იმ საქმის განხილვაში, რომელიც მის უფლებას შეეხება.**

ნებისმიერ პირს, რომელიც არაა მოხსენიებული გადაწყვეტილებაში, მაგრამ რომელსაც მიაჩნია, რომ ამ გადაწყვეტილებით დაირღვა ან შეილახა მისი უფლებები, შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელით ამ უფლების დასაცავად და არა საჩივრით ამ გადაწყვეტილებაზე.

რაც შეეხება უფლებამონაცვლეებს (სსკ 92-ე მუხლი), მათ შეუძლიათ შეასრულონ ყველა ის საპროცესო მოქმედება (მათ შორის გაასაჩივრონ გადაწყვეტილება), რომლის შესრულების უფლება

ექნებოდა მის წინამორბედს, რომ არ გასულიყო საქმიდან.

ამრიგად, გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლება აქვთ:

1. მხარეებს (მოსარჩელეს, მოპასუხეს)
2. მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით;
3. უფლებამონაცვლეებს;
4. თანამონაწილეებს (თანამოსარჩელეებს, თანამოპასუხეებს) მათი თანამონაწილეობის საფუძვლებით განსაზღვრულ ფარგლებში;
5. პირებს, რომლებიც მართალია არ ფიგურირებენ საქმეში როგორც მხარეები, მაგრამ სასამართლო გადაწყვეტილებით განისაზღვრა მათი უფლებები და მოვალეობები ერთ-ერთი მხარის მიმართ.

აქ ჩამოთვლილ პირთა წარმომადგენელს შეუძლია გაასაჩივროს გადაწყვეტილება, თუ ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული მის სახელზე მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში (98-ე მუხლი).

III. სააპელაციო საჩივრის შინაარსი და დასაბუთება

სააპელაციო საჩივარი შედგენილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით და შესაბამისობაში უნდა იყოს სსკ 368-ე მუხლის მოთხოვნებთან და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშთან.

სსკ 368-ე მუხლი განსაზღვრავს სააპელაციო საჩივრის სავალდებულო რეკვიზიტებს, რომელთა ერთობლიობა ქმნის სააპელაციო საჩივრის შინაარსს. ეს რეკვიზიტებია:

ა) იმ სასამართლოს დასახელებას, რომლის სახელზედაც არის შედგენილი საჩივარი;

სააპელაციო საჩივრის ადრესატი არის სააპელაციო სასამართლო. ამიტომ, სააპელაციო საჩივარი თუმცა შეტანილ უნდა იქნეს იმ სასამართლოში, რომელმაც გამოიტანა გასაჩივრებული გადაწყვეტილება (სსკ 367-ე მუხლი), მაგრამ სააპელაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს იმ სააპელაციო სასამართლოს დასახელებას, რომელმაც უნდა განიხილოს საჩივარი.

ბ) იმ პირის დასახელებასა და მისამართს, რომელსაც შეაქვს საჩივარი;

სააპელაციო საჩივარი შეიძლება შეიტანოს უშუალოდ დაინტერესებულმა მხარემ ან მისმა წარმომადგენელმა. ამიტომ, სააპელაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს იმ პირის დასახელებას და მისამართს, ვისაც შეაქვს საჩივარი. თუ სააპელაციო საჩივარი შეაქვს წარმომადგენელს, მაშინ საჩივარში მითითებული უნდა იყოს ამ წარმომადგენლის დასახელება და მისამართი, რაც ცხადია არ გამორიცხავს, რომ პარალელურად მითითებული იყოს მარწმუნებლის დასახელება და მისამართი.

გ) გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტ დასახელებასა და მითითებას ამ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოზე;

სააპელაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების არა მარტო დასახელებას, არამედ მას თან უნდა ერთვოდეს ამ გადაწყვეტილების სათანადოდ და დამოწმებული ასლი.

დ) მითითებას იმის თაობაზე, თუ გადაწყვეტილების რა ნაწილია გასაჩივრებული;

სააპელაციო სასამართლო შებოჭილია სააპელაციო საჩივრის ფარგლებით (სსკ 377-ე მუხლი). ცხადია, რომ სააპელაციო საჩივარში ნათლად და გარკვევით უნდა იყოს მითითებული, თუ გადაწყვეტილების რომელი ნაწილია გასაჩივრებული, როცა იგი მხოლოდ ნაწილობრივ და არა მთლიანად საჩივრდება.

ე) მითითებას, თუ რაში მდგომარეობს გადაწყვეტილების უსწორობა და კონკრეტულად რას მოითხოვს სააპელაციო საჩივრის შემტანი პირი;

სააპელაციო სასამართლოს, საჩივრის ფარგლებში, შეუძლია შეამოწმოს გადაწყვეტილების როგორც ფაქტობრივი, ისე იურიდიული მხარე (სსკ 377-ე მუხლი). ამიტომ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სააპელაციო საჩივარში იმის ნათლად ჩამოყალიბება, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატება გადაწყვეტილების უსწორობა.

იმ შემთხვევაში, როდესაც აპელანტის თვალსაზრისით გადაწყვეტილება არაა დასაბუთებული ფაქტობრივად, მაშინ იგი ვალდებულია მიუთითოს, თუ რაში გამოიხატება კონკრეტულად ფაქტობრივი დაუსაბუთებლობა (არასწორადაა განსაზღვრული მტკიცების საგანი, არასწორადაა განაწილებული მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი, სასამართლოს დასკვნები ფაქტების არსებობა-არარსებობის შესახებ არ ემყარება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს,

გადაწყვეტილებაში არაა მითითებული, თუ რატომ უარყო (არ გაიზიარა) სასამართლომ საქმეში არსებული ესა თუ ის მტკიცებულება და ა. შ.

იმ შემთხვევაში, როდესაც აპელანტის თვალსაზრისით გადაწყვეტილება არაა დასაბუთებული იურიდიულად, მაშინ იგი ვალდებულია მიუთითოს, თუ კონკრეტულად რაში ვლინდება გადაწყვეტილების იურიდიული დაუსაბუთებლობა, კერძოდ, რომელი კანონია დარღვეული და რაში გამოიხატება ეს დარღვევა (გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად გაიგო კანონის აზრი და შინაარსი და ა. შ.). აქვე მითითებული უნდა იყოს იმის შესახებ, თუ რას მოითხოვს აპელანტი: გადაწყვეტილების გაუქმებას და საქმის ხელახლა განხილვას, გადაწყვეტილების გაუქმებას და საქმის წარმოების შეწყვეტას თუ სარჩელის განუხილველად დატოვებას.

ვ) მითითებას გარემოებებზე, რომლებიც ასაბუთებენ სააპელაციო საჩივარს, და მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს;

ცხადია, რომ გადაწყვეტილების მხოლოდ ფაქტობრივ თუ სამართლებრივ უსწორობაზე (დაუსაბუთებლობაზე) მითითება არ კმარა. საჩივარში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული გარემოებებზე, რომლებიც ასაბუთებენ გადაწყვეტილების ფაქტობრივ თუ სამართლებრივ უსწორობას (დაუსაბუთებლობას), აგრეთვე მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს. სააპელაციო საჩივარში შეიძლება მითითებული იყოს საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე, რომლებიც არ შეაფასა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტანმა სასამართლომ, არასწორად შეაფასა ან არ მიუთითა, თუ რატომ უარყო იგი. ამასთან ერთად, აპელანტს შეუძლია წარმოადგინოს სააპელაციო სასამართლოში ახალი მტკიცებულებები (სსკ 382-ე მუხლი), რომელთა მიღების საკითხს წყვეტს სააპელაციო სასამართლო კანონით დადგენილი პირობების გათვალისწინებით (სსკ 380-ე და 382-ე მუხლები). ეს ახალი მტკიცებულებები, თუ ისინი მითითებულია სააპელაციო საჩივარში, უნდა ერთვოდეს ამ საჩივარს, მაგრამ ისინი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს მოგვიანებითაც, თუ აპელანტი ამა თუ იმ მიზეზის გამო ვერ ასწრებს მათ წარმოდგენას საჩივართან ერთად. მხედველობაშია წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებები, აგრეთვე ექსპერტის დასკვნა, შედგენილი აპელანტის თხოვნით.

რაც შეეხება ახლად დასახელებულ მოწმეებს, ისინი შეიძლება გამოიძახოს სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა დაცვით და დაკითხოს ამავე კოდექსით დადგენილი წესით (სსკ 140-153-ე მუხლები).

ზ) სააპელაციო საჩივარზე დართული წერილობითი მასალების ნუსხას.;

სააპელაციო საჩივრის ფორმის ბოლოში ჩამოთვლილია ის საკითხები რომელიც აპელანტმა სპეციალურად გამოყოფილ უჯრაში უნდა მონიშნოს, მაგალითად, საჩივარში მითითებული აქვს სააპელაციო მოთხოვნა, მითითებული აქვს თანდარტული საბუთების ნუსხა და ა.შ.

თ) მითითებას, ხომ არ სურს სააპელაციო საჩივრის წარმდგენს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა;

საქმის განხილვა შეიძლება მოხდეს ზეპირი მოსმენით ან ზეპირი მოსმენის გარეშე (სსკ 373 და 376^1 მუხლები). ზეპირი მოსმენის გარეშე შეიძლება ჩატარდეს მოსამართლის ინიციატივით ან მხარეთა თხოვნის საფუძველზე. აღნიშნული პუნქტი ეხება იმ წესს როდესაც აპელანტს სურვილი აქვს საქმე განხილულ იქნეს ზეპირი მოსმენის გარეშე.

ი) მითითებას, ხომ არ სურს სააპელაციო საჩივრის წარმდგენს დავის სასამართლო მედიაციის გზით განხილვა.

თუ აპელანტი სააპელაციო საჩივარში მიუთითებს დავის სასამართლო მედიაციის გზით მოგვარების მოთხოვნაზე და სასამართლო დააკმაყოფილებს ამ მოთხოვნას, მაშინ გამოყენებული უნდა იქნეს სსკ-ის 187^1 – 187^7 მუხლები.

სააპელაციო საჩივარი შეიძლება შეიცავდეს აგრეთვე მითითებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების ადამიანის უფლებათა და ძირითადად თავისუფლებათა დაცვის კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების ნორმებსა და მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან შეუსაბამობის შესახებ.

თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ზემოჩამოთვლილ მოთხოვნებს ან **სახელმწიფო ბაჟი** არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტანი პირს შეავსოს **ხარვეზი,** რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია **სააპელაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზის შესახებ** შეტყობინება მხარეებს (მათ წარმომადგენლებს) აცნობოს ტელეფონით, თუ ხარვეზი შეეხება ზემოთ აღნიშნულ „ა"–„გ" და „ზ"–„ი" პუნქტებს და 368-ე მუხლის მე-2–მე-4 ნაწილებით გათვალისწინებულ სააპელაციო საჩივრის ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) მხარეს ან **სააპელაციო საჩივარს არ ერთვის სახელმწიფო ბაჟის** გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. ასეთი წესით ინფორმირების შემთხვევაში ხარვეზის შესახებ განჩინება სატელეფონო შეტყობინების **განხორციელების დღეს** ჩაბარებულად ითვლება.

სააპელაციო **საჩივარზე ხარვეზის შესავსებად** სააპელაციო სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა სასამართლომ შეიძლება გააგრძელოს მხოლოდ მხარეთა თხოვნით.

სააპელაციო სასამართლო შებოჭილია სააპელაციო საჩივრის ფარგლებით, ანუ ამ საჩივარში ჩამოყალიბებული აპელანტის მოთხოვნის ფარგლებით (სსკ 377-ე მუხლი).

ეს იმას ნიშნავს, რომ სააპელაციო საჩივარში ნათლად და გარკვევით უნდა იყოს ჩამოყალიბებული, თუ რას მოითხოვს აპელანტი, როგორია მისი მოთხოვნის შინაარსი (სსკ 368-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ" პუნქტი). იმ შემთხვევაში, როდესაც აპელანტი ასაჩივრებს გადაწყვეტილებას არა მთლიანად, არამედ ნაწილობრივ, მაშინ მან თავის საჩივარში ზედმიწევნით ზუსტად და არაორაზროვნად უნდა მიუთითოს გადაწყვეტილების რა ნაწილს ასაჩივრებს.

სააპელაციო სასამართლოს შეუძლია შეამოწმოს გადაწყვეტილების როგორც ფაქტობრივი, ისე იურიდიული მხარე, გადაწყვეტილების ფაქტობრივი და იურიდიული დასაბუთებულობა. ამასთან ერთად, რახან სააპელაციო სასამართლო შებოჭილია საჩივრის ფარგლებით ანუ აპელანტის მოთხოვნის ფარგლებით, მას შეუძლია შეამოწმოს გადაწყვეტილების ფაქტობრივი და იურიდიული დასაბუთებულობა მხოლოდ **სააპელაციო მოთხოვნასთან მიმართებაში.**

ამიტომ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სააპელაციო საჩივარში იმის ნათლად ჩამოყალიბება, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატება გასაჩივრებული გადაწყვეტილების უსწორობა და რით საბუთდება აპელანტის მოთხოვნა.

იმ შემთხვევაში, თუ აპელანტის თვალსაზრისით, გად-

აწყვეტილება არაა დასაბუთებული ფაქტობრივად, მაშინ აპელანტი ვალდებულია მიუთითოს, თუ რაში გამოიხატება ან რაში ვლინდება კონკრეტულად ფაქტობრივი დაუსაბუთებლობა.

მაგალითად, თუ აპელანტს მიაჩნია, რომ სასამართლომ არასწორად განსაზღვრა ამ საქმეზე მტკიცების საგანი, მაშინ მან უნდა მიუთითოს, თუ კონკრეულად რომელი ფაქტი არ ჩათვალა სასამართლომ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონეთ და ამიტომ არ მიიღო და არ შეაფასა ამ ფაქტის მიმართ მტკიცებულებები (შეცდომა ფაქტის სამართლებრივ შეფასებაში).

თუ აპელანტს მიაჩნია, რომ სასამართლომ დადგენილად (დამტკიცებულად) ჩათვალა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტი, თუმცა საქმეში არაა მტკიცებულება, რომელსაც იგი ემყარება, მაშინ მან უნდა მიუთითოს რომელი ფაქტია ეს და უჩვენოს, რომ საქმეში ნამდვილად არ მოიპოვება შესაბამისი მტკიცებულება.

თუ აპელანტს მიაჩნია, რომ არასწორადაა განაწილებული მხარეთა შორის დამტკიცების ტვირთი, მაშინ მან უნდა მიუთითოს კონკრეტულად რომელი ფაქტია ეს და რომელ მხარეს დაეკისრა მისი დამტკიცების ტვირთი და რომელ მხარეს უნდა დაკისრებოდა ეს ტვირთი.

მაგალითად, ა-ნიმ აღძრა სარჩელი ბ-ანის წინააღმდეგ ნივთის გამოთხოვის შესახებ (ვინდიკაციური სარჩელი), იმ მოტივით, რომ ამ ნივთის მესაკუთრე არის თვითონ ა-ნი, ხოლო ეს ნივთი იმყოფება ბ-ანის უკანონო მფლობელობაში. სასამართლომ ბ-ანის დააკისრა იმ ფაქტის დამტკიცების ტვირთი, რომ იგი არის სადავო ნივთის მესაკუთრე. ბ-ანიმ წაგო პროცესი, რადგან ვერ დაამტკიცა, რომ არის ამ ნივთის მესაკუთრე.

ბ-ანიმ თავისი სააპელაციო საჩივარი დაასაბუთა იმით, რომ სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად იგი, როგორც ნივთის მფლობელი, ივარაუდება ამ ნივთის მესაკუთრედ. ამიტომ, არა მას, არამედ მოსარჩელე ა-ნის უნდა დაკისრებოდა იმის დამტკიცების ტვირთი, რომ იგი არის ნივთის მესაკუთრე.

თუ აპელანტს მიაჩნია, რომ სასამართლომ არასწორად უთხრა მას უარი ამა თუ იმ მტკიცებულების (წერილობითი, ნივთიერი თუ სხვა მტკიცებულების) მიღებაზე ან გამოთხოვაზე იმ მოტივ-

ით, რომ მათ არ აქვთ მნიშვნელობა საქმისათვის, მაშინ მან უნდა მიუთითოს თავის სააპელაციო საჩივარში რომელი კონკრეტული მტკიცებულება აქვს მხედველობაში და გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე რომელი ფაქტი შეიძლებოდა დადგენილიყო ამ მტკიცებულებით და ა.შ.

იმ შემთხვევაში, როდესაც აპელანტის თვალსაზრისით გადაწყვეტილება არაა დასაბუთებული იურიდიულად, მაშინ იგი ვალდებულია მიუთითოს, თუ რაში ვლინდება კონკრეტულად გადაწყვეტილების იურიდიული დაუსაბუთებლობა, კერძოდ რომელი კანონია დარღვეული და რაში გამოიხატება კონკრეტულად ეს დარღვევა.

კანონის დარღვევის ფორმები (სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად გაიგო კანონის აზრი და სხვა) ჩამოყალიბებულია სსკ 393-ე მუხლში.

სააპელაციო საჩივარში ფაქტობრივ და სამართლებრივ უსწორობაზე (დაუსაბუთებლობაზე) მითითება ცხადია არ კმარა. საჩივარში აუცილებლად უნდა აღინიშნოს გარემოებები, რომლებიც ასაბუთებენ (ადასტურებენ) გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ და სამართლებრივ უსწორობას.

IV. სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობები

პირველი საპროცესო მოქმედება, რომელიც სააპელაციო სასამართლომ უნდა შეასრულოს სააპელაციო საჩივრის მიღების შემდეგ – ესაა ამ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმება.

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობებს, რომელთა არსებობის შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი შეიძლება მიღებულ იქნეს წარმოებაში. აქედან გამომდინარე სააპელაციო სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს ეს წინაპირობები, კერძოდ:

ა) დაცულია თუ არა სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა (სსკ 369-ე მუხლი). ეს ვადა განისაზღვრება 14 დღით და მისი დენა იწყება მხარისათვის მოტივირებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან, ხოლო, თუ ამ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრებოდა მხარე – მაშინ მისი გამოცხადების მომენტიდან.

გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად უნდა მივიჩნიოთ ამ

გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის ხელზე მიცემა მხარისათვის ან მისი წარმომადგენლისათვის უშუალოდ სასამართლოში, რაც მან უნდა დაადასტუროს შედგენილ ხელწერილზე თავის ხელმოწერით და თარიღის მითითებით, ან მისი მხარისათვის გადასაგზავნი დრო. გადაგზავნის დროდ მიჩნეული უნდა იქნეს დრო, როდესაც გადაწყვეტილების ასლი 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით გადაეგზავნა მხარეს, ოღონდ საქმეში აუცილებლად უნდა იყოს დამადასტურებელი ცნობა, რომ ამ წესით გაგზავნილი გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდა ადრესატს.

სსკ 369-ე მუხლი ასევე განსაზღვრავს სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის დასაწყისს, მაგრამ არ განსაზღვრავს თუ საიდან იწყება ვადის დენა. ეს იმიტომ, რომ ვადის დენის დასაწყისს ზოგადად განსაზღვრავს მე-60 მუხლის მეორე ნაწილი, რომლის თანახმად წლეებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა იწყება დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის ან გამოცხადების მომენტიდან, მაშინ ამ საჩივრის შეტანის ვადის დენა იწყება ამ მომენტის მომდევნო დღიდან. მაგალითად, დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემა მოხდა 10 სექტემბერს. მაშასადამე 10 სექტემბერი არის გასაჩივრების ვადის დასაწყისი. ვადის დენის ათვლა კი დაიწყება მომდევნო დღიდან, ე.ი. 11 სექტემბრიდან და დამთავრდება 24 სექტემბერს საღამოს 12 საათზე. საპროცესო ვადის დასაწყისისა და ამ ვადის დენის (ათვლის) დასაწყისის კანონით დადგენილი წესის განუხრელად დაცვის საკითხი განმტკიცებული აქვს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა საკასაციო პალატას თავის ერთ-ერთ განჩინებაში.[611]

ერთ ერთ საქმეზე უზენაესმა სასამართლომ თავის განჩინებაში აღნიშნა, რომ სააპელაციო საჩივრის ფოსტაში ჩაბარება ნიშნავს სასამართლოსთვის ჩაბარებას და 14 დღიანი ვადა დარღვეული არ არისო.

ბ) პასუხობს თუ არა სააპელაციო საჩივრის შინაარსი კანონის მოთხოვნებს (სსკ 368-ე მუხლი).

სააპელაციო სასამართლოებმა განსაკუთრებული ყურადღე-

611 სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2005, №4, გვ. 3-4

ბა უნდა მიაქციონ სააპელაციო საჩივრის შინაარს მთლიანად და კერძოდ მის იმ ნაწილს, რომელშიც უნდა აისახოს, თუ რაში მდგომარეობს აპელანტის აზრით, გადაწყვეტილების უსწორობა, რას მოითხოვს იგი, გარემოებები, რომლებიც ასაბუთებენ სააპელაციო საჩივარს და მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს.

გ) შეესაბამება თუ არა სააპელაციო საჩივრის ღირებულება კანონით გათვალისწინებულ ოდენობას (სსკ 365-ე მუხლი).

სააპელაციო საჩივარი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ღირებულება აღემატება 2000 ლარს. მხედველობაშია მხოლოდ ქონებრივ სამართლებრივი დავები, რაც შეეხება არაქონებრივ დავებს, ნებისმიერ გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით, მიუხედავად იმისა, რა ოდენობით იყო განსაზღვრული არაქონებრივი დავის საგნის ღირებულება. იგივე უნდა ითქვას უდავო წარმოების წესით განხილულ საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებზე.

სააპელაციო საჩივრის ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს მხარეს საჩივარი.

მაგალითად: ბ-ნიმ, რომლის წინააღმდეგაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება და რომლითაც მას დაეკისრა 5000 ლარის გადახდა, გაასაჩივრა გადაწყვეტილება მხოლოდ ნაწილობრივ, კერძოდ იმ ნაწილში, რომლითაც მას დაეკისრა 3000 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ. ამ შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის ფასი შეადგენს 3000 ლარს (და არა 5000 ლარს). სახელმწიფო ბაჟის ოდენობაც ამ 3000 ლარიდან უნდა იქნეს გაანგარიშებული.

სააპელაციო საჩივრის ღირებულების განსაზღვრა შეიძლება გართულდეს, როდესაც სასარჩელო მოთხოვნის შინაარსი განისაზღვრება არა ფულადი თანხით, არამედ ნივთებით ან სხვა ვადიანი თუ უვადო გასაცემითა და გადასახდელით და ა. შ. დავის საგნის ფასის განსაზღვრის წესი ჩამოყალიბებულია სსკ მე-40-42-ე მუხლებში.

კერძოდ, დავის საგნის ფასს მიუთითებს მოსარჩელე, მაგრამ თუ მის მიერ მითითებული ფასი არ შეესაბამება სადავო ქონების

ნამდვილ ღირებულებას, მაშინ ამ ფასს განსაზღვრავს მოსამართლე სადაო ქონების საბაზრო ღირებულების მიხედვით (სსკ მე-40 მუხლი). დავის საგნის ფასის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება სარჩელის შეტანის დროს არსებული ფასები, ხოლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისას – „საჩივრის შეტანის დროისათვის არსებული ფასები" (სსკ მე-40 მუხლის მე-3 ნაწილი). აქედან გამომდინარე, სარჩელის ფასი და სააპელაციო საჩივრის ფასი შეიძლება არ დაემთხვეს ერთმანეთს იმის გამო, რომ სააპელაციო საჩივრის წარდგენის დროს სადავო ნივთების ფასები შემცირდა ან, პირიქით, გაიზარდა.

სააპელაციო საჩივრის ღირებულების განსაზღვრა შეიძლება კიდევ უფრო გართულდეს, როდესაც გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოსარჩელეს მიეკუთვნა მხოლოდ ქონების (ნივთების) ნაწილი, ხოლო ნაწილზე უარი ეთქვა. ამ შემთხვევაში წამოიჭრება საკითხი, რა ღირებულებისაა ქონების ის ნაწილი, რომელზეც უარი ეთქვა ან რომელთა მიმართაც სარჩელი დაკმაყოფილდა.

თუ საჩივრის ღირებულების მოცულობა იწვევს ეჭვს, მაშინ ამ ღირებულების სარწმუნოდ დამტკიცების (დადასტურების) ტვირთი ეკისრება აპელანტს. ღირებულების მოცულობის დასადასტურებლად აპელანტმა შეიძლება წარუდგინოს სააპელაციო სასამართლოს სპეციალისტის დასკვნა, ამონაკრები პრესის ფურცლებიდან, რომელშიც მითითებულია სადავო ნივთების საბაზრო ღირებულება, ოფიციალურად დამტკიცებული პრეისკურანტები და ა. შ.

დ) არის თუ არა გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება (სსკ 366-ე მუხლი).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მის გამომტან სასამართლოში. მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება – ეს ისეთი გადაწყვეტილებაა, რომელიც გამოტანილია იმ მხარის დაუსწრებლობის გამო, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

ე) აქვს თუ არა საჩივრის შემომტან წარმომადგენელს გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლებამოსილება (სსკ 368-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

სააპელაციო საჩივრის შემომტანი პირი შეიძლება იყოს მხარის წარმომადგენელი, მაგრამ ეს არ კმარა. გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრებისათვის მას უნდა ჰქონდეს მინიჭებული

უფლება და ამის შესახებ სპეციალურად უნდა იყოს აღნიშნული მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში.

ვ) გადახდილია თუ არა სახელმწიფო ბაჟი (სსკ 368-ე მუხლის მე-5 პუნქტი).

სახელმწიფო ბაჟი მხარეს შეაქვს წინასწარ, ამიტომ, თუ ბაჟი არაა გადახდილი აპელანტის მიერ, მაშინ სააპელაციო სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომლითაც უნიშნავს ვადას აპელანტს შეავსოს ხარვეზი, კერძოდ, ამ შემთხვევაში, გადაიხადოს ბაჟი. თუ ხარვეზი არ იქნება შევსებული, ე.ი. არ იქნება ბაჟი გადახდილი, სააპელაციო სასამართლო გამოიტანს განჩინებას სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ მისი დაუშვებლობის გამო.

ზ) უარი ხომ არ აქვს ნათქვამი აპელანტს სააპელაციო გასაჩივრებაზე კანონით დადგენილი წესით. (სსკ 370-ე მუხლი).

სააპელაციო გასაჩივრებაზე უარისთქმა მხარის უფლებაა. ამ უფლების რეალიზაციას უკავშირდება გარკვეული იურიდიული შედეგი, კერძოდ მხარე, რომელმაც ასეთი უარი განაცხადა, კარგავს უფლებას გაასაჩივროს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით.

გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრებაზე უარისთქმა უნდა განვასხვავოთ სააპელაციო საჩივარზე უარისთქმისაგან (სსკ 378-ე მუხლი). სააპელაციო საჩივარზე უარისთქმა ნიშნავს იმას, რომ აპელანტი უარს ამბობს მის მიერ უკვე **შემოტანილ** სააპელაციო საჩივარზე, რასაც უკავშირდება სხვა შედეგი, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს ასეთ შემთხვევაში გამოაქვს „განჩინება სააპელაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ“.

ასეთია სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობები.

თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ არსებობს მისი დასაშვებობის ყველა პირობა, სააპელაციო სასამართლო მიიღებს განჩინებას „სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღებისა და მისი მომზადების შესახებ“. ამავე განჩინებით იგი ნიშნავს სააპელაციო საჩივრის განხილვის დღესაც (სსკ 376-ე მუხლი).

თუ სააპელაციო საჩივარი არ პასუხობს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, სააპელაციო სასამართლომ უნდა დაავალოს აპელანტს შეავსოს ხარვეზი. ხარვეზის შევსების შესახებ სააპელაციო სასამართლოს გამოაქვს განჩინება.

მაგალითად: ა-ნიმ შემოიტანა სააპელაციო საჩივარი სააპელ-

აციო გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე, ამ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ იგი არ არის შედგენილი კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, კერძოდ არ არის მასში მითითებული თუ რას მოითხოვს აპელანტი, აგრეთვე არ არის გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, სააპელაციო სასამართლომ გამოიტანა „განჩინება სააპელაციო საჩივრის ხარვეზის შევსების შესახებ".

თუ აპელანტი ვერ ასწრებს ხარვეზის გამოსწორებას მას შეუძლია სთხოვოს სასამართლოს ხარვეზის შევსებისათვის განჩინებით დანიშნული ვადის გაგრძელება მხოლოდ კონკრეტული საპროცესო მოქმედების შესასრულებლად დანიშნულ ვადის ამოწურვამდე. სააპელაციო სასამართლოს არ აქვს უფლება თავისი ინიციატივით გააგრძელოს ეს ვადა (სსკ 368-ე მუხლის მე-7 ნაწილი).

სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია სააპელაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზის შესახებ შეტყობინება მხარეებს (მათ წარმომადგენლებს) აცნობოს ტელეფონით, თუ ხარვეზი შეეხება სსკ 368-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა"–„გ" და „ზ"–„ი" ქვეპუნქტებს და მე-2–მე-4 ნაწილებით გათვალისწინებულ სააპელაციო საჩივრის ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) მხარეს ან სააპელაციო საჩივარს არ ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. ასეთი წესით ინფორმირების შემთხვევაში ხარვეზის შესახებ განჩინება სატელეფონო შეტყობინების განხორციელების დღეს ჩაბარებულად ითვლება (სსკ 368-ე მუხლის მე-6 ნაწილი).

თუ ვადა არ გაგრძელდება ან ვადა გავიდა ან განჩინებით დანიშნულ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, ან დასაშვეობის პირობა ისეთია, რომ მისი შევსება შეუძლებელია (მაგალითად, გასულია გასაჩივრების ვადა, აპელანტს უარი აქვს ნათქვამი სააპელაციო გასაჩივრებაზე, გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება არაა განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება), მაშინ სააპელაციო სასამართლოს გამოაქვს **„განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ მისი დაუშვებლობის გამო" (სსკ 374-ე მუხლის 1-ლი ნაწილი)**. ასეთ შემთხვევაში აპელანტს უბრუნდება მის მიერ შემოტანილი სახელმწიფო ბაჟი (სსკ 374 მუხლის მე-3 ნაწილი).

II. საქმის ზეპირი განხილვა მთავარ სხდომაზე

1. საქმის მთავარ სხდომაზე განხილვის წესი

სააპელაციო სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვა მიმდინარეობს იმ წესების დაცვით, რომლებიც გათვალისწინებულია პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის (210-228-ე მუხლები), იმ თავისებურებათა გათვალისწინებით, რომლებზეც მითითებულია სსკ 364-390 მუხლებში (სსკ მე-8 კარი).

ისე როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოში, სააპელაციო სასამართლოშიც საქმის განხილვა შეიძლება მოხდეს როგორც ზეპირი ასევე ზეპირი მოსმენის გარეშეც.

აპელაციაში ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვის საფუძვლები და წესი განსხვავდება პირველი ინსტანციისგან. აღნიშნული წესი ასახულია სსკ 376[1] მუხლში. ამ მუხლის თანახმად:

1. თუ სააპელაციო საჩივარი ემყარება კანონის დარღვევას და მოითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) მხოლოდ სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებას, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია საქმე განიხილოს და გადაწყვეტილება მიიღოს **ზეპირი მოსმენის გარეშე**, რის შესახებაც წინასწარ უნდა ეცნობოს მხარეებს. საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თარიღის შესახებ სააპელაციო სასამართლოს გამოაქვს განჩინება.

2. თუ სააპელაციო საჩივარი მოითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) არა მარტო სამართლებრივი თვალსაზრისით, არამედ მისი ფაქტობრივი საფუძვლიანობის შემოწმებას, მაგრამ აპელანტის მიერ არ არის წარმოდგენილი ახალი ფაქტები და მტკიცებულებები ან წარმოდგენილია ამ კოდექსის 380-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად დაუშვებელი ახალი ფაქტები და მტკიცებულებები, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია **მხარეთა წერილობითი თანხმობით** განიხილოს საქმე ზეპირი მოსმენის გარეშე, რის შესახებაც წინასწარ უნდა ეცნობოს მხარეებს.

3. თუ სააპელაციო საჩივარი შეეხება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებას საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ, აგრეთვე თუ საქმე შეეხება უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვას და საქართველოს საბანკო

ერ ძალაში შესვლამდე მისი დაუყონებლივ აღსრულების შესახებ, მაშინ სააპელაციო სასამართლოს, აპელანტის შუამდგომლობით, შეუძლია გამოიტანოს განჩინება გასაჩივრებული გადაწყვეტილების დაუყონებლივ აღსრულების დროებით შეჩერებისა და აღსრულების ღონისძიებების გაუქმების შესახებ. ასეთი განჩინების მიღება სააპელაციო სასამართლოს მიერ აუცილებელია, რადგან სააპელაციო საჩივრის შეტანა ავტომატურად ვერ შეაჩერებს დაუყონებლივ აღსრულების შესახებ ადრე გამოტანილი გადაწყვეტილების (განჩინების) მოქმედებას.

ამასთან ერთად, სააპელაციო სასამართლოს მხარეთა შუამდგომლობით შეუძლია გამოიყენოს აღსრულების გაუქმებით, შეჩერებით, აგრეთვე აღსრულების გაგრძელებით მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა 57-ე და 268-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წესით.

მესამე – სააპელაციო სასამართლო ნიშნავს საქმის ზეპირი განხილვის დროს, რის შესახებაც ატყობინებს მხარეებს განჩინების მიღებიდან 3 დღის განმავლობაში და **იწყებს სააპელაციო საჩივრის განსახილველად მომზადებას** (სსკ 376-ე მუხლი).

სააპელაციო საჩივრის განსახილველად მომზადება სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების შესაბამისად, რომლებიც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ სააპელაციო საჩივრისა და დამატებით შემოსული ყველა წერილობითი მასალის ასლებს, სააპელაციიო სასამართლო გადაუგზავნის მოწინააღმდეგე მხარეს (სსკ 201-ე და 373-ე მუხლები), დაუნიშნავს მას ვადას წერილობით შეადგინოს სააპელაციო შესაგებელი ანუ პასუხი სააპელაციო საჩივარში დასმულ საკითხებზე. სააპელაციო შესაგებლის ფორმა ასევე იქნა შემუშავებული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ. საქმის მომზადების მიზნით სააპელაციო სასამართლოს შეუძლია შეასრულოს კანონით გათვალისწინებული სხვა ზომები, რათა სააპელაციო საჩივარი განხილულ იქნეს დროულად.

მოწინააღმდეგე მხარის მიერ სააპელაციო საჩივარზე შესაგებლის წარუდგენლობასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ: „შესაგებლის შეტანა მხარის დისპოზიციურ უფლებათაგან ერთ-ერთია, მაგრამ მისი სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში შეუტანლობა საპროცესო კანონმდე-

ბლობით გათვალისწინებულ სამართლებრივ შედეგებს იწვევს“.[612]

ამასთან ერთად, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „სააპელაციო ინსტანციაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხს აწესრიგებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლი. მითითებული მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები შეეხება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას მხარეთა გამოუცხადებლობის გამო, ხოლო მე-3 ნაწილის მიხედვით, **ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.** აღნიშნული ნორმით დადგენილი **„ყველა სხვა შემთხვევა“** კი გულისხმობს აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებასაც“.

ამავე საქმეზე საკასაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ „მოწინააღმდეგე მხარის მიერ შესაგებლის წარუდგენლობა ავტომატურად დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას არ ნიშნავს, კერძოდ, იმავე 232[1]-ე მუხლის მიხედვით, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები **მოთხოვნას იურიდიულად არ ამართლებს**, მოსამართლე ნიშნავს სხდომას, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ მოწინააღმდეგე მხარე სააპელაციო სასამართლოში შესაგებელს არ წარადგენს და სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები მოთხოვნას იურიდიულად არ ამართლებს, იგი ნიშნავს სხდომას. აღნიშნულ სხდომაზე აპელანტის მოწინააღმდეგ მხარე უფლებამოსილია მხოლოდ სამართლებრივი მოსაზრებები გამოთქვას გასაჩივრებულ გადაწყვეტილე-ბასთან დაკავშირებით. სააპელაციო საჩივრის ფაქტობრივ საფუძვლებს იგი სადავოდ ვერ გახდის, რის შესახებაც სასამართლომ მხარეს უნდა განუმარტოს. ამგვარი განმარტება სხდომის ოქმით უნდა დასტურდებოდეს, გარდა ამისა, შემაჯამებელ გადაწყვეტილებაში სააპელაციო სასამართლომ ასევე უნდა იმსჯელოს, რის საფუძველზე მიიჩნია დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება დაუშვებლად. გადაწყვეტილებაში

612 სუსგ 2013, №9, №ას-1532-1435-2012, გვ. 26

უნდა იყოს ასახული, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები მოთხოვნას იურიდიულად არ ამართლებდა, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ არ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და სააპელაციო საჩივარი **არ დააკმაყოფილა".**

მაგრამ, თუ სააპელაციო საჩივარი მოთხოვნას იურიდიულად ამართლებს, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის წარუდგენლობისათვის სააპელაციო სასამართლოს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

§3. შეგებებული სააპელაციო საჩივარი

I. შეგებებული სააპელაციო საჩივრის ცნება

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება აქვთ მხარეებს და მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით. ეს იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია სასამართლო გადაწყვეტილება, შეუძლია სააპელაციო წესით გაასაჩივროს იგი მთლიანად ან ნაწილობრივ. აქედან გამომდინარე შეიძლება აღმოჩნდეს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებაზე შემოტანილია **მოსარჩელის საჩივარი,** იმ ნაწილზე, რომელიც მის წინააღმდეგაა გამოტანილი და **მოპასუხის საჩივარი,** გადაწყვეტილების იმ ნაწილზე, რომელიც მის წინააღმდეგაა გამოტანილი.

ეს ორი, **ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სააპელაციო საჩივრებია** და ისინი უნდა განიხილოს სააპელაციო სასამართლომ ასევე ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთ-ერთი აპელანტის მიერ თავის სააპელაციო საჩივარზე უარისთქმა ან მისი უკან გამოთხოვა გავლენას ვერ მოახდენს მეორე აპელანტის სააპელაციო საჩივრის განხილვაზე და გადაწყვეტაზე, ან კიდევ, ერთი სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარისთქმა გავლენას ვერ მოახდენს მეორე სააპელაციო საჩივრის ბედზე.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს სააპელაციო საჩივრების ერთმანეთისადმი ნამდვილ დამოუკიდებლობასთან საპროცესო სამართლებრივი თვალსაზრისით.**

რას წარმოადგენს შეგებებული სააპელაციო საჩივარი?

შეგებებული სააპელაციო საჩივარი – **ესაა ძირითადი სააპელაციო საჩივრის გამო და მის წინააღმდეგ მიმართული საჩივარი, რომლის მიზანია ამ ძირითადი სააპელაციო საჩივრის პარალიზება და გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა აპელანტის მოთხოვნა.**

ამრიგად, შეგებებული საჩივრით მხარე ცდილობს ორ მიზანს მიაღწიოს: ერთი – გაუქმდეს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა აპელანტის მოთხოვნა და მეორე – უცვლელად დარჩეს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც უარი ეთქვა აპელანტს მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილებაზე.

მაგალითად: ა-ნიმ აღძრა სარჩელი ბ-ანის წინააღმდეგ და მოითხოვა მისგან 7000 ლარი მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის. სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი ნაწილობრივ და დააკისრა მოპასუხე ბ-ანის 4000 ლარის გადახდევინება მოსარჩელის სასარგებლოდ, ხოლო 3 000 ლარის გადახდევინებაზე უარი უთხრა.

ა-ნიმ შეიტანა სააპელაციო საჩივარი გადაწყვეტილების იმ ნაწილზე, რომლითაც მას უარი ეთქვა 3 000 ლარის გადახდევინებაზე.

ბ-ანიმ იმის გამო, რომ ა-ნიმ შეიტანა სააპელაციო საჩივარი, თავის მხრივ, შეიტანა შეგებებული სააპელაციო საჩივარი გადაწყვეტილების იმ ნაწილზე, რომლითაც დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა 4 000 ლარზე და მოითხოვა გადაწყვეტილების ამ ნაწილში გაუქმება.

სააპელაციო სასამართლომ უნდა განიხილოს და მიიღოს ერთიანი გადაწყვეტილება ორივე ამ ძირითად და შეგებებულ სააპელაციო საჩივარზე.

იმის მიხედვით, თუ რომელ სააპელაციო საჩივარს (ძირითადს თუ შეგებებულს) ცნობს დასაბუთებულად სააპელაციო სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს თავისი გადაწყვეტილება (განჩინება) იმის შესახებ, რომ: ა) უარი ეთქვას მხარეებს როგორც ძირითადი, ისე შეგებებული სააპელაციო საჩივრების დაკმაყოფილებაზე, ხოლო გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად, ან ბ) დაკმაყოფილდეს ძირითადი სააპელაციო საჩივარი, ხოლო შეგებებულ სააპელაციო საჩივარზე უარი ეთქვას, ან პირიქით, დაკმაყოფილდეს შეგე-

ბებული საჩივარი, ხოლო ძირითად სააპელაციო საჩივარზე უარი ეთქვას.

ნაკლებ სავარაუდოა ორივე საჩივრის ერთდროულად დაკმაყოფილება, მართლაც ძნელი წარმოსადგენია გამოვაცხადოთ გადაწყვეტილება უსწოროდ იმ ნაწილში, რომლითაც უარი ეთქვა მოსარჩელეს სარჩელზე და იმ ნაწილშიც, რომლითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მისი სარჩელი.

II. შეგებებული სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

შეგებებული სააპელაციო საჩივარი არის სააპელაციო საჩივარი და ბუნებრივია, მისი წარმოებაში მიღებისათვის საჭიროა დასაშვებობის წინაპირობების არსებობა, რაც, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, საჭიროა სააპელაციო საჩივრისათვის საერთოდ, რომელთა შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარ.

ეს გამონაკლისები შემდეგში მდგომარეობს:

ა) შეგებებულ სააპელაციო საჩივარზე არ ვრცელდება კანონის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ სააპელაციო საჩივრის ღირებულება აღემატებოდეს 2000 ლარს. იგი შეიძლება 2000 ლარზე ნაკლებიც იყოს;

ბ) შეგებებულ სააპელაციო საჩივარზე არ ვრცელდება კანონის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ სააპელაციო საჩივრის წარდგენა უნდა მოხდეს 14 დღეში (სსკ 369-ე მუხლი). იგი შეიძლება წარდგენილ იქნეს სააპელაციო საჩივრის მოწინააღმდეგე მხარისათვის გადაცემიდან 10 დღის განმავლობაში (სსკ 379-ე მუხ).

გ) შეგებებული სააპელაციო საჩივარი ორგანულადაა დაკავშირებული ძირითად სააპელაციო საჩივართან. ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ აპელანტი უარს იტყვის თავის სააპელაციო საჩივარზე (სსკ 378-ე მუხლი) ან სააპელაციო სასამართლო განუხილველად დატოვებს მას (374-ე მუხლი), მაშინ შეგებებული

სააპელაციო საჩივარი კარგავს თავის დანიშნულებას და ისიც უარყოფილ უნდა იქნეს, ე. ი. ამ საჩივრის მიმართაც უნდა შეწყდეს სააპელაციო წარმოება (378-ე მუხლი) ან, თუ ძირითადი სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული (374-ე მუხლი), ასევე განუხილველად უნდა დარჩეს შეგებებული სააპელაციო საჩივარიც.

ამგვარად, სამართლებრივი შეფასება ჩამოაყალიბა საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ თავის ერთ-ერთ განჩინებაში, რომელიც მთლიანად ვრცელდება აგრეთვე სააპელაციო სასამართლოში შეტანილ შეგებებულ სააპელაციო საჩივარზე. ამ განჩინებაში კერძოდ აღნიშნულია: „საკასაციო საჩივარი დაუშვებელია და იგი განუხილველი უნდა დარჩეს. ასევე განუხილველი უნდა დარჩეს მოწინააღმდეგე მხარის შეგებებული საკასაციო საჩივარი, რადგან მათ გაშვებული აქვთ საკასაციო საჩივრის შეტანის ერთთვიანი ვადა და მათი საკასაციო საჩივარი, როგორც შეგებებული საკასაციო საჩივარი, დასაშვებად იქნა მიჩნეული მხოლოდ იმის გამო, რომ არსებობდა ძირითადი საკასაციო საჩივარი. ვინაიდან საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული და განუხილველად დარჩა, მოპასუხეთა შეგებებული საკასაციო საჩივარიც განუხილველად უნდა დარჩეს, რადგან ძირითადი საკასაციო საჩივრის გარეშე არ აკმაყოფილებს კანონით საკასაციო საჩივრისათვის დადგენილ კრიტერიუმს, კერძოდ, გაშვებულია საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა“.[613]

სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის ან მისი განუხილველად დატოვების შემთხვევაში შეგებებული სააპელაციო საჩივარი არ განიხილება.

III. შეგებებული სააპელაციო საჩივრის სახეები

იმის მიხედვით, პასუხობს თუ არა შეგებებული სააპელაციო საჩივარი ყველა მოთხოვნას, რაც წაეყენება საერთოდ სააპელაციო საჩივარს, შეგებებულ სააპელაციო საჩივრებს ყოფენ ორ სახედ: **დამოუკიდებელი** შეგებებული სააპელაციო საჩივარი და **დამოკიდებული** შეგებებული სააპელაციო საჩივარი.

ა) **დამოუკიდებელი შეგებებული სააპელაციო საჩივარი** – ეს ისეთი საჩივარია, რომელიც მართალია წარდგენილია იმასთან დაკავშირებით, რომ შეტანილია სააპელაციო საჩივარი, მაგრამ იგი შეტანილია სააპელაციო საჩივრის შეტანის კანონით გათვალისწინებულ ვადაში, მისი ღირებულება შეესაბამება სააპელაციო საჩივრისათვის კანონით განსაზღვრულ ფასს და პასუხობს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის სხვა წინაპირობებს.

---

613 სუს სამოქალაქო საქმეებზე, 2003, №2, გვ.287

ბ) **დამოკიდებული შეგებებული სააპელაციო საჩივარი** – ეს ისეთი საჩივარია, რომელიც წარდგენილია ძირითად სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით, მაგრამ სააპელაციო საჩივრისათვის კანონით დადგენილი ვადის გადაცილებით ან კიდევ, მისი ღირებულება (ფასი), არ შეესაბამება სააპელაციო საჩივრისათვის კანონით განსაზღვრულ ფასს.

შეგებებულ სააპელაციო საჩივრებს, იმის მიხედვით, თუ რომელ სახეს განეკუთვნებიან ისინი, უკავშირდებათ სხვადასხვა შედეგები. კერძოდ, **დამოუკიდებელი** სააპელაციო საჩივარი უნდა განიხილოს სასამართლომ მიუხედავად იმისა, უარი თქვა აპელანტმა თავის ძირითად სააპელაციო საჩივარზე, უკან გაითხოვა ეს საჩივარი, თუ საერთოდ, განუხილველად დატოვა სააპელაციო სასამართლომ ეს ძირითადი სააპელაციო საჩივარი.

დამოკიდებული სააპელაციო საჩივარი აღარ შეიძლება განიხილოს სააპელაციო სასამართლომ, თუ იგი, ამა თუ იმ მიზეზის გამო განუხილველად ტოვებს აპელანტის ძირითად სააპელაციო საჩივარს ან წყვეტს სააპელაციო წარმოებას.

ასეთია სხვადასხვა სახის შეგებებული სააპელაციო საჩივრების განხილვის თავისებურებანი.

§4. საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში

I. საქმის მომზადება ზეპირი განხილვისათვის

სსკ 372-ე მუხლის თანახმად საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, იმ გამონაკლისებით, რაც გათვალისწინებულია კანონით, კერძოდ სსკ 372-383-ე მუხლებით.

სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისა და მისი განსახილველად მიღების შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს გამოაქვს „განჩინება სააპელაციო საჩივრის მიღებისა და მისი განსახილველად მომზადების შესახებ“ (სსკ 374-ე მუხლი). ამავე განჩინებით სააპელაციო სასამართლო ნიშნავს სააპელაციო განხილვის დღესაც (სსკ 376-ე მუხლი). სააპელაციო საჩივრის ანუ საქმის ზეპირი განხილვის დღეს

სასამართლო ნიშნავს იმ ვარაუდით, რომ, გამომდინარე სააპელაციო საჩივრის შინაარსიდან და მასზე დართული მასალებიდან, მოესწროს საქმის მომზადება ზეპირი განხილვისათვის.

რა საპროცესო მოქმედებები უნდა შეასრულოს სასამართლომ საქმის მომზადების მიზნით?

თავისუფლად შეიძლება ამ კითხვაზე ერთი წინადადებით პასუხის გაცემა: საქმის ზეპირი განხილვისათვის მომზადების მიზნით სააპელაციო სასამართლომ უნდა შეასრულოს ყველა ის საპროცესო მოქმედება და იმ წესით, რაც გათვალისწინებულია პირველი ინსტანციის სასამართლოებში საქმეთა მომზადებისათვის.

აქედან გამომდინარე, ყველაფარი რაც უნდა გაკეთდეს საქმის მომზადების მიზნით თითქმის მთლიანად ეხება სააპელაციო სასამართლოსაც. გამონაკლისია მხოლოდ ისეთი საპროცესო მოქმედებები, რომლებიც განპირობებულია საქმეთა განხილვის თავისებურებებით სააპელაციო სასამართლოში.

კერძოდ, სააპელაციო სასამართლო:

ა) სააპელაციო საჩივრისა და მასზე დართული მასალების ასლებს გადაუგზავნის მოწინააღმდეგე მხარეს.

ბ) დაუნიშნავს მოწინააღმდეგე მხარეს, ანუ სააპელაციო მოპასუხეს, ვადას წერილობით შეადგინოს და სააპელაციო სასამართლოს გადმოუგზავნოს პასუხი (შესაგებელი) სააპელაციო საჩივარში დასმულ საკითხებზე.

გ) ამ წერილობით შესაგებელში გასცეს პასუხი სააპელაციო საჩივარში დასმულ საკითხებზე, კერძოდ ეთანხმება თუ არა საჩივრის მოთხოვნებს, თუ არ ეთანხმება რა კონკრეტულ გარემოებებს ემყარება და რომელი მტკიცებულებებით დასტურდება ეს გარემოებები, ხომ არ აპირებს შეგებებული სააპელაციო საჩივრის შემოტანას, თუ ასეთი შეგებებული საჩივრის შემოტანისთვის არსებობს პირობები. რა შუამდგომლობები ექნება საჩივრის განმხილველ სააპელაციო სასამართლოს მიმართ, ხომ არ აპირებს ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარმოდგენას სააპელაციო სასამართლოში და, თუ აპირებს, რა მიზეზით არ იქნენ ისინი წარდგენილი პირველი ინსტანციის სასამართლოში ამ საქმის განხილვის დროს და ა.შ.

ზემოთ აღნიშნული განჩინებით სააპელაციო სასამართლო აფრთხილებს მოწინააღმდეგე მხარეს, რომ წერილობითი შესაგებლის წარუდგენლობა თუ სხვა მოქმედებათა დანიშნულ დროში

შეუსრულებლობა არასაპატიო მიზეზით ართმევს მხარეს უფლებას შეასრულოს ასეთი მოქმედება საქმის ზეპირი განხილვის დროს. (სსკ 206-ე მუხლი).

საქმის მომზადების მიზნით სააპელაციო სასამართლოს შეუძლია დანიშნოს მოსამზადებელი სხდომაც იმ წესების დაცვით, რომელთა შესახებ მითითებულია სსკ 205-ე მუხლში.

სააპელაციო სასამართლოში, კანონით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევის გარდა, საქმეებს იხილავს სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობა. ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა: შეუძლია თუ არა საქმე მოამზადოს სააპელაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობიდან ერთ-ერთმა წევრმა, აგრეთვე მისმა თანაშემწემ?

ამ კითხვაზე დადებითად უნდა ვუპასუხოთ: ზეპირი განხილვისათვის საქმის მომზადება შეიძლება მიენდოს სააპელაციო პალატის ერთ-ერთ მოსამართლეს, ხოლო ამ მოსამართლის მეთვალყურეობითა და ხელმძღვანელობით მის თანაშემწეს.

როგორც აღვნიშნეთ, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქმე შეიძლება ერთპიროვნულად განიხილოს მოსამართლემ, მაგალითად, სსკ-ის 25-ე და მე-14 მუხლებიდან გამომდინარე ასეთ საქმეებს მიეკუთვნება:

ა) ქონებრივ დავები, თუ სარჩელის ფასი არ აღემატება 5000 ლარს;

ბ) უდავო და გამარტივებული წარმოების საქმეები, გარდა შვილად აყვანის, აგრეთვე გამარტივებული წესით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის და ქონების უპატრონოდ ცნობის საქმეებისა, თუ მოთხოვნის ან ქონების ღირებულება აღემატება 5000 ლარს;

გ) საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავები, გარდა შვილად აყვანის, მშობლის უფლების ჩამორთმევის, მამობის დადგენის და განქორწინების საქმეებისა, თუ მეუღლეებს შორის არსებობს დავა ბავშვის მიკუთვნების თაობაზე;

დ) ქონებრივ-სამართლებრივი დავა, რომლის ღირებულება არ აღემატება 20000 ლარს;

ე) სააპელაციო საჩივარი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების განჩინების თაობაზე,

ვ) შრომის სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავები.

II. საქმის ზეპირი განხილვა მთავარ სხდომაზე

1. საქმის მთავარ სხდომაზე განხილვის წესი

სააპელაციო სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვა მიმდინარეობს იმ წესების დაცვით, რომლებიც გათვალისწინებულია პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის (210-228-ე მუხლები), იმ თავისებურებათა გათვალისწინებით, რომლებზეც მითითებულია სსკ 364-390 მუხლებში (სსკ მე-8 კარი).

ისე როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოში, სააპელაციო სასამართლოშიც საქმის განხილვა შეიძლება მოხდეს როგორც ზეპირი ასევე ზეპირი მოსმენის გარეშეც.

აპელაციაში ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვის საფუძვლები და წესი განსხვავდება პირველი ინსტანციისგან. აღნიშნული წესი ასახულია სსკ 376[1] მუხლში. ამ მუხლის თანახმად:

1. თუ სააპელაციო საჩივარი ემყარება კანონის დარღვევას და მოითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) მხოლოდ სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებას, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია საქმე განიხილოს და გადაწყვეტილება მიიღოს **ზეპირი მოსმენის გარეშე**, რის შესახებაც წინასწარ უნდა ეცნობოს მხარეებს. საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თარიღის შესახებ სააპელაციო სასამართლოს გამოაქვს განჩინება.

2. თუ სააპელაციო საჩივარი მოითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) არა მარტო სამართლებრივი თვალსაზრისით, არამედ მისი ფაქტობრივი საფუძვლიანობის შემოწმებას, მაგრამ აპელანტის მიერ არ არის წარმოდგენილი ახალი ფაქტები და მტკიცებულებები ან წარმოდგენილია ამ კოდექსის 380-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად დაუშვებელი ახალი ფაქტები და მტკიცებულებები, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია **მხარეთა წერილობითი თანხმობით** განიხილოს საქმე ზეპირი მოსმენის გარეშე, რის შესახებაც წინასწარ უნდა ეცნობოს მხარეებს.

3. თუ სააპელაციო საჩივარი შეეხება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებას საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ, აგრეთვე თუ საქმე შეეხება უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვას და საქართველოს საბანკო

დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტების მიერ დადებული (მათ შორის, ელექტრონული ფორმით დადებული) სესხის (კრედიტის) გაცემის შესახებ ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავებს, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია საქმე **განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე.**

როგორც მოცემული მუხლის შინაარსიდან ჩანს, მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეიძლება მოსამართლემ **მხარეთა წერილობითი თანხმობით** განიხილოს საქმე ზეპირი მოსმენის გარეშე. სხვა შემთხვევებში მოსამართლე პირადი ინიციატივით წყვეტს ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვის საკითხს.

სსკ 376[1] მუხლის მიხედვით სასამართლოს უფლება აქვს ზემოთ აღნიშნული სამივე შემთხვევაში საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენითაც.

საქმის ზეპირი განხილვა იწყება ერთ-ერთი წევრის მოხსენებით.

საქმის განხილვის დაწყების ასეთ წესს აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა: საქმის განხილვაში მონაწილე აპელანტს და სხვა პირებს შესაძლებლობა ეძლევათ გაარკვიონ თუ რამდენად სწორად გაიგო სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივარში ჩამოყალიბებული აპელანტის მოთხოვნა და მისი შინაარსი, მოწინააღმდეგე მხარის შესაგებელი და მისი შინაარსი. ასეთი წესი საშუალებას აძლევს მხარეებს დააზუსტონ და შესწორება შეიტანონ მომხსენებული მოსამართლის გამოსვლაში, თუ ამ გამოსვლაში რაიმე უზუსტობა, გაუგებრობა ან შეცდომა იყო დაშვებული.

სსკ 383-ე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს იმ ძირითადი საკითხების წრეს, რომლებსაც უნდა შეეხოს სააპელაციო მოსამართლე თავის მოხსენებაში.

ეს საკითხებია:

ა) **საქმის გარემოებები**, ე.ი. ვინ აღძრა სარჩელი, ვის წინააღმდეგ, როგორია მოსარჩელის მოთხოვნა და მოპასუხის შესაგებელი, რომელ გარემოებებს ემყარებიან მხარეები თავიანთი მოთხოვნების თუ შესაგებლის დასასაბუთებლად, რა და რომელი მტკიცებულებები წარადგინეს მათ პირველი ინსტანციის სასამართლოში ამ გარემოებების დასადასტურებლად;

ბ) პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი;

გ) სააპელაციო საჩივრის შინაარსი და დასაბუთებულობა, ე.ი. როგორია სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა ანუ რას მოითხოვს აპელანტი გადაწყვეტილების მთლიანად თუ ნაწილობრივ გაუქმებას, შეცვლას თუ ახალი გადაწყვეტილების გამოტანას (სააპელაციო საჩივრის განაცხადი), რა ფაქტობრივ თუ სამართლებრივ საფუძვლებს ემყარება აპელანტი, რომელი კანონია მისი აზრით დარღვეული და რაში გამოიხატება კონკრეტულად ეს დარღვევა სსკ 393-ე და 394-ე მუხლები).

მომხსენებელ მოსამართლეს შეუძლია სხვა საკითხებსაც შეეხოს, თუ მას ეს საჭიროდ მიაჩნია.

მომხსენებელი მოსამართლის შემდეგ სიტყვა ეძლევა მხარეებს და მათ წარმომადგენლებს. მათ უფლება აქვთ დააზუსტონ და დააკონკრეტონ თავიანთი მოთხოვნებისა და შესაგებლის შინაარსი თუ მომხსენებელმა მოსამართლემ რაიმე შეცდომა ან უზუსტობა დაუშვა, მაგრამ **მათ არ უნდა გაიმეორონ ის,** რაც უკვე ითქვა მომხსენებელი მოსამართლის მიერ.

პირველი გამოდის აპელანტი, ხოლო შემდეგ მოწინააღმდეგე მხარე, სასამართლოს ნებართვით მხარეებმა შეიძლება შეკითხვა მისცენ ერთმანეთს. ამის შემდეგ სასამართლო უფლებამოსილია, მხარის შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით განიხილოს და შეამოწმოს სადავო მტკიცებულებები. მტკიცებულებათა განხილვა და შემოწმება ხდება იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რაც დადგენილია სააპელაციო სასამართლოსათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გასთვალისწინებული წესებით.

2. ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენის პირობები სააპელაციო სასამართლოში

ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენას სააპელაციო სასამართლოში ორი მიზანი შეიძლება ჰქონდეს: **ერთი** – გასაჩივრებული გადაწყვეტილება ფაქტობრივად ან იურიდიულად, ან კიდევ, არც ფაქტობრივად და არც იურიდიულად არაა დასაბუთებული და **მეორე** – აპელანტის მოთხოვნა დასაბუთებული და გამართლებულია.

დასაშვებია თუ არა ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენა სააპელაციო სასამართლოში?

ამ კითხვაზე დადებითად უნდა ვუპასუხოთ: გარკეული, კანონით ზუსტად განსაზღვრული **პირობების არსებობისას** სააპელაციო სასამართლოში მხარეებს (და არამარტო აპელანტს) შეუძლია წარადგინოს ახალი ფაქტები და მტკიცებულებები.

ეს პირობები შემდეგია:

სააპელაციო სასამართლოში შეიძლება წარდგენილ იქნეს **ახალი ფაქტები** და ახალი მტკიცებულებები (სსკ 380-ე მუხლის პირველი ნაწილი).

2. ამ ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენა მხარეს არ შეეძლო პირველი ინსტანციის სასამართლოში.

3. ამ ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების მიღება და განხილვა ხელს არ შეუშლის სააპელაციო სასამართლოში საქმის დროულად განხილვას;

4. მხარემ უხეში გაუფრთხილებლობის გამო არ წარუდგინა ეს მასალები პირველი ინსტანციის სასამართლოს (სსკ 380-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

ამრიგად, ფაქტებისა და მტკიცებულებების სააპელაციო სასამართლოში წარდგენის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი და ძირითადი პირობა – ესაა მათი სიახლე, მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაირკვევა, რომ სააპელაციო სასამართლოში წაროდგენილი ფაქტები და მტკიცებულებები ახალია, საჭირო გახდება ზემოდ დასახელებული სხვა პირობების შემოწმება, აქედან გამომდინარე კი იბადება სავსებით ბუნებრივი კითხვა:

რა იგულისხმება ახალ ფაქტებსა და ახალ მტკიცებულებებში?

ახალი ფაქტები და მტკიცებულებები ეს ისეთი ფაქტებია, რომლებიც ადრე არ იყო მითითებული მხარეების მიერ იმის გამო, რომ არ იყო ცნობილი მათ შესახებ და წარმოიშვნენ პირველ ინსტანციაში საქმის განხილვის შემდეგ, ან კიდევ, თითონ მხარემ, ან სასამართლომ არ ჩათვალა ისინი საქმისთვის მნიშვნელობის მქონედ.

ფაქტები ქმნიან სარჩელის (შესაგებლის) საფუძველს. აქედან გამომდინარე, მოსარჩელეს სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს შეუძლია შეცვალოს სარჩელის საფუძველი, ხოლო მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია დაუპირისპიროს მას ახალი ფაქტები.

ამასთან დაკავშირებით მეტად მნიშვნელოვანია საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასება, რომლის თანახმად „სსკ 380-ე მუხლით სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას

შეიძლება მოყვანილ იქნეს ახალი ფაქტები და ახალი მტკიცებულებები. ცხადია, რომ ახალი მტკიცებულებების წარდგენა ემსახურება სარჩელის საფუძველში მითითებული გარემოებების დადასტურებას.

კანონმდებელი უფლებას ანიჭებს რა აპელანტს წარადგინოს ახალი ფაქტები და მტკიცებულებები საქმის სააპელაციო წესით განხილვისას, უშვებს შესაძლებლობას შეცვალოს სარჩელის საფუძველი".[614]

კანონის ამ დანაწესის დედააზრი მდგომარეობს იმაში, რომ ფაქტები და მტკიცებულებები, რომელთა შესახებ ცნობილია მხარეებისათვის, უნდა წარედგინოს პირველი ინსტანციის სასამართლოს.

ახალი ფაქტები და მტკიცებულებები, რომლებიც წარმოიშვნენ პირველ ინსტანციაში საქმის განხილვის შემდეგ. თუ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტი ან მტკიცებულება წარმოიშვა პირველ ინსტანციაში საქმის განხილვის შემდეგ, სააპელაციო სასამართლომ ყოველგვარი წინაპირობის გარეშე უნდა მიიღოს და განიხილოს ისინი.

ახალია ფაქტები და მტკიცებულებები, რომლებიც თუმცა არსებობდენ პირველ ინსტანციაში საქმის განხილვის დროს, მაგრამ მხარეებმა არ წარადგინეს იქ ან იმის გამო, რომ არ იცოდენ მათ შესახებ, ან კიდევ იმის გამო, რომ ეს ფაქტები მხარეებმა უმნიშვნელოდ ჩათვალეს და მხოლოდ შემდეგ გაარკვიეს, რომ მათ ჰქონიათ მნიშვნელობა საქმისათვის.

სააპელაციო სასამართლომ ყოველთვის განსაკუთრებული გულმოდგინებით უნდა შეამოწმოს და შეაფასოს ახალი ფაქტებისა და ახლი მტკიცებულებების მიღებისა და გამოკვლევის დასაშვებობის პირობები, სააპელაციო სასამართლომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვას ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების განხილვა, თუ ცხადია, რომ რაღაც ტაქტიკური მოსაზრებებით შემოინახა ისინი მხარემ სააპელაციო სასამართლოსათვის და რაღაც მოულოდნელი თავდასხმით გამოწვეული ეფექტის მიღების სურვილი ამოძრავებდა მას.[615]

---

614 სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2003, №3.ჩგვ.675

615 საინტერესოა ამ საკითხზე ცნობილი გერმანელი იურისტის ვოლფგანგ გრუნსკის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ადრე პრაქტიკაში ხშირად გამოყენებული მეთოდი „გაქცევა აპელაციაში", რასაც მხარეები მიმართავდნენ იმისათვის, რომ

რაც შეეხება ფაქტებსა და მტკიცებულებებს, რომლებიც იყო მხარეთა მიერ წამოყენებული პირველი ინსტანციის სასამართლოში, მათ შეუძლიათ კვლავ წამოაყენონ აპელაციაში იმ შემთხვევაში, თუ პირველი ინსტანციის სასამართლომ შეცდომით არ ჩათვალა ეს ფაქტები საქმისათვის მნიშვნელობის მქონედ და არ შეამოწმა და არ დაადგინა, ან მართალია დაადგინა, მაგრამ საპროცესო ნორმების დარღვევით.

თუ ახალი და ხელმეორედ დასახელებული ფაქტები დასაშვებად ცნო აპელაციამ, მან უნდა განუსაზღვროს მხარეებს დრო შესაბამისი მტკიცებულებების წარმოსადგენად, თუ ისინი არ იყო წარმოდგენილი მათ მიერ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა:

1. სააპელაციო სასამართლო არის ფაქტების დამდგენი სასამართლო, მაგრამ ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენა ამ სასამართლოში შესაძლებელია მხოლოდ შეზღუდულ ფარგლებში და კანონით განსაზღვრულ პირობებში.
2. იმ ფაქტებისა და მტკიცებულებათა კატეგორიას, რომელთა წარდგენა სასამართლოში დასაშვებია განეკუთვნება:

ა) ახალი ფაქტები და მტკიცებულებები, რომლებიც წარმოიშვენ პირველ ინსტანციაში საქმის განხილვის შემდეგ;

ბ) ფაქტები და მტკიცებულებები, რომლებიც თუმცა არსებობდნენ პირველ ინსტანციაში საქმის განხილვის დროს, მაგრამ მხარეებმა არ წარადგინეს იქ იმის გამო, რომ არ იცოდენ ამ ფაქტების შესახებ, ან თუმცა იცოდენ, მაგრამ არ ჩათვალეს მაშინ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონედ;

გ) ფაქტები, რომლებიც მხარეებმა წარადგინეს პირველ ინსტანციაში, მაგრამ სასამართლომ არ ჩათვალა ისინი საქმისათვის მნიშვნელოვნად, თუმცა ასეთი მნიშვნელობა მათ აქვთ (შეცდომა სამართლებრივ შეფასებაში);

დ) მტკიცებულებები, რომლებიც მხარეებმა წარადგინეს პირველ ინსტანციაში, მაგრამ არ მიიღო სასამართლომ იმის გამო, რომ

პირველი ინსტანციის არ უარეყო და შემოენახა ისინი სააპელაციო სასამართლოსათვის – წარმატებას აღარ გვპირდება, რადგან, თუ ფაქტები პირველი ინსტანციის სასამართლოში განზრახ არ იქნა წარმოდგენილი, მაშინ სავალდებულოა მათი უარყოფა (შეადარე ჩვენი სსკ 380-ე მუხლის მე-2 პუნქტი- თ.ლ.).
W. Grunsky. Zivilprozessrecht. 2003. s. 195.

საქმისათვის არ აქვთ მნიშვნელობა (სსკ 104-ე მუხლის I პუნქტი), თუმცა სინამდვილეში მათ ასეთი მნიშვნელობა აქვთ (შეცდომა მტკიცებულებათა განკუთვნადობის შეფასებაში);

ე) ფაქტები, რომლებიც პირველმა ინსტანციამ დადგენილად ჩათვალა, მაგრამ არაა მითითებული რომელი მტკიცებულების საფუძველზე;

ვ) ფაქტები, რომლებიც პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად ჩათვალა კანონის დარღვევით მიღებული მტკიცებულების საფუძველზე.

3. სააპელაციო სასამართლომ არ უნდა დაუშვას და არ უნდა მიიღოს ისეთი ფაქტები და მტკიცებულებები, რომლებიც მხარეებს შეეძლოთ წარედგინათ პირველი ინსტანციის სასამართლოში, მაგრამ უხეში გაუფრთხილებლობის გამო არ წარადგინეს იქ (სსკ 380-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

4. იმ შემთხვევაში, როდესაც ზემოაღნიშნული პირობების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ დასაშვებად მიიჩნია ახალი ფაქტები და მტკიცებულებები, სააპელაციო სასამართლოს წინაშე წამოიჭრება მეორე, პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი საკითხი – უზრუნველყოს მათი დროულად წარმოდგენა.

5. ამისათვის, საქმის წინასწარი მომზადების წესით, სააპელაციო სასამართლომ მხარეებს უნდა დაუნიშნოს დრო ამ ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარმოდგენისათვის.

6. თუ ფაქტები და მტკიცებულებები დროულად (სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში) არ იქნება წარმოდგენილი, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია არ მიიღოს ისინი, როგორც დაგვიანებით წარმოდგენილი, რის გამოც ხელი შეეშლება სააპელაციო სასამართლოში საქმის დროულად განხილვას (სსკ 206-ე და 380-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

7. სააპელაციო სასამართლოს შეუძლია მთლიანად გაიზიაროს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა შემოწმებისა და შეფასების შედეგები, მაგრამ, თუ არ იზიარებს – ეს მან კარგად უნდა დაასაბუთოს თავის გადაწყვეტილებაში.

3. გადაწყვეტილების შემოწმების ფარგლები და სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილება

სააპელაციო სასამართლო შებოჭილია სააპელაციო საჩივრის, ანუ ამ საჩივარში ჩამოყალიბებული აპელანტის მოთხოვნის ფარგლებით. ეს იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების ფაქტობრივი თუ იურიდიული დასაბუთებულობა სააპელაციო სასამართლოს შეუძლია შეამოწმოს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნასთან მიმართებაში (სსკ 377-ე მუხლი).

საუარესოდ შებრუნება, ე.ი. გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა იმ ნაწილში, რომელიც აპელანტს არ უთხოვია, ან ისეთნაირად, როგორიც მას არ წამოუყენებია – დაუშვებელია.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი დასაბუთებულობის შემოწმების დროს სასამართლომ ყურადღება უნდა მიაქციოს ორ გარემოებას: ა) რომელ ფაქტობრივ გარემოებას თვლის სასამართლო დადგენილად და ამყარებს თავის გადაწყვეტილებას გასაჩივრებულ ნაწილში და

ბ) დასტურდება თუ არა ეს გარემოებები საქმეში არსებული ან ახლად წარმოდგენილი მტკიცებულებებით.

გადაწყვეტილების **სამართლებრივი დასაბუთებულობის შემოწმებისას** სააპელაციო სასამართლომ უნდა განსაზღვროს, სწორად გამოიყენა თუ არა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტანმა სასამართლომ კანონი, ე.ი. იურიდიულად სწორად შეაფასა თუ არა სასამართლომ ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც მან დადგენილად ჩათვალა.

– სამართლებრივი თვალსაზრისით შეფასებისას სასამართლოსათვის მთავარი ორიენტირია სსკ 393-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა შემთხვევაში ჩაითვლება კანონი დარღვეულად და სსკ 394-ე მუხლი, რომელიც შეიცავს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძვლებს, ანუ გადაწყვეტილების გაუქმების უდავო საფუძვლების ჩამონათვალს, რომელიც მთლიანად ვრცელდება სააპელაციო სასამართლოზეც.

– გადაწყვეტილების როგორც ფაქტობრივი, ისე იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების დროს სააპელაციო სასამართლოს შეუძლია გასცდეს სააპელაციო საჩივრის ფარგლებს, ე.ი. შეუძლია შეამოწმოს ისეთი დარღვევები, დაშვებული მტკიცებულებისა და ფაქტიური გარემოებების დადგენის დროს, აგრეთვე კანონის ის-

ეთი დარღვევები, რომლებზეც არ იყო მითითებული სააპელაციო საჩივარში.

სააპელაციო სასამართლოს შეუძლია შეამოწმოს აგრეთვე განჩინებებიც, რომლებიც წინ უსწრებენ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას.

გასაჩივრების დასაშვებობის თვალსაზრისით განჩინებები შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ: ა) განჩინებები, რომლებზეც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ განჩინებების გასაჩივრება დასაშვებია ცალკე, გადაწყვეტილებისაგან დამოუკიდებლად და ბ) განჩინებები, რომელთა ცალკე გასაჩივრება არ შეიძლება, მაგრამ დასაშვებია მათი უარყოფა და მათ წინააღმდეგ მოსაზრებათა ჩამოყალიბება გადაწყვეტილების წინააღმდეგ მიმართულ სააპელაციო საჩივარში.

ის განჩინებები, რომლებზეც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა, შეიძლება, ამა თუ იმ მიზეზის გამო, არ იყო თავის დროზე გასაჩივრებული მხარის მიერ ან იმის გამო, რომ მხარემ გაუშვა მისი გასაჩივრების ვადა, ან იმის გამო, რომ არ მოისურვა მაშინ მისი ცალკე გასაჩივრება. ასეთი თუმცა გასაჩივრებადი, მაგრამ თავის დროზე გაუსაჩივრებელი განჩინებები უთანაბრდებიან და იზიარებენ იმ განჩინებების „ბედს", რომლებზეც არ შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა, მაგრამ თავისუფლად შეიძლება მათი **უარყოფა გადაწყვეტილებასთან ერთად.**

ეს იმას არ ნიშნავს, რომ გადაწყვეტილებაზე ცალკე უნდა დაიწეროს სააპელაციო საჩივარი, ხოლო ზემოხსენებულ განჩინებებზე ცალკე საჩივარი (იგივე კერძო საჩივარი). რა თქმა უნდა არა! ამ განჩინებების უსწორობაზე შეიძლება მითითებული იყოს მხოლოდ სააპელაციო საჩივარში. სააპელაციო საჩივარში ამ განჩინებების დაუსაბუთებლობაზე მითითებას ის მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს, რომ სწორედ მათი მიღების წყალობით იქნა გამოტანილი დაუსაბუთებელი და უკანონო გადაწყვეტილება.

მაგალითად, აპელანტმა თავის სააპელაციო საჩივარში მიუთითა, რომ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოება ვერ დადასტურდა, რადგან სასამართლომ თავის არასწორი და დაუსაბუთებელი განჩინებით უარი უთხრა მას შესაბამისი მტკიცებულებების მიღებაზე, მოწმის გამოძახებასა და დაკითხვაზე, ექსპერტიზის დანიშვნაზე და ა.შ. ან კიდევ, სასამართლომ თავისი განჩინებით, რომელიც კანონის დარღვევითაა მიღებული,

უარი უთხრა მას შუამდგომლობაზე აცილების შესახებ და ა.შ.

სასამართლო გადაწყვეტილებასთან ერთად სააპელაციო საჩივრით გასაჩივრებულ განჩინებაზე სააპელაციო სასამართლოს არ გამოაქვს ცალკე განჩინება. სააპელაციო საჩივრის ობიექტია სასამართლოს გადაწყვეტილება. ამ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიმართ მას გამოაქვს თავისი გადაწყვეტილება. თუ იმ განჩინებებს, რომლებიც წინ უსწრებენ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას, მართლაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინათ მის ფაქტობრივ თუ იურიდიულ დასაბუთებულობაზე. მას გამოაქვს შესაბამისი გადაწყვეტილება (განჩინება) სწორედ ამ გასაჩივრებული გადაწყვეტილების და არა მანამდე მიღებული განჩინებების მიმართ.

სსკ 377-ე მუხლის თანახმად სასამართლოს **უწყებრივ ქვემდებარეობას (სსკ მე-11 მუხლი) (საქვეუწყებლობას)** სააპელაციო სასამართლო **ამოწმებს თავის ინიციატივით.** თავისი ინიციატივით ამოწმებს იგი აგრეთვე საქართველოს საერთაშორისო კომპეტენციას, რისთვისაც ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ".

განსჯადობის შემოწმება სააპელაციო სასამართლოს შეუძლია მხოლოდ მოპასუხის მოთხოვნით. ასეთი მოთხოვნა კი მოპასუხეს შეუძლია წამოაყენოს მხოლოდ სსკ 21-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პირობების საფუძველზე. ეს პირობებია:

ა) მოპასუხე თანახმაა მონაწილეობა მიიღოს არაგანსჯადი სასამართლოს მიერ საქმის განხილვაში და ასეთი მისი თანხმობა შეტანილ უნდა იქნეს ოქმში;

ბ) მოპასუხე წარმოდგენილია ადვოკატით, ხოლო, თუ მას არ ყავს ადვოკატი, მაშინ მიეცა განმარტება იმის შესახებ, რომ არაგანსჯადობის მოტივით გადაწყვეტილების გასაჩივრება არ იქნება გაზიარებული ზემდგომი სასამართლოს მიერ, თუ ის არ გამოიყენებს თავის უფლებას განუცხადოს პროტესტი არაგანსჯად სასამართლოს საქმის განხილვის წინააღმდეგ;

გ) მოპასუხისათვის ასეთი განმარტების მიცემის შესახებ უნდა აღინიშნოს სასამართლოს ოქმში.

თუ ასეთი პირობები არ არსებობს სასამართლომ საქმე განსჯად სასამართლოს უნდა გადასცეს (სსკ 23-ე მუხლი).

III. საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობა

საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობა (non reformatio in pejus) პირდაპირ გამომდინარეობს კანონის დანაწესიდან, რომლის თანახმად სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას მხოლოდ საჩივრის ფარგლებში და, რომ სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ (სსკ 384-ე მუხლი).

ცხადია, არ არის გამორიცხული, რომ გადაწყვეტილების შემოწმებისას სააპელაციო სასამართლო შეიძლება მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ გადაწყვეტილება აშკარად არასწორია იმ ნაწილშიც, რომელიც არაა გასაჩივრებული და რომელიც აპელანტის სასარგებლოდაა გამოტანილი. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლო ვერ გააუქმებს გადაწყვეტილებას ამ ნაწილში.

მაგალითად: სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლითაც ნაწილობრივ დააკმაყოფილა ა-ნის სარჩელი მოპასუხე ბ-ანიზე 10000 ლარის დაკისრების შესახებ, მაგრამ უარი უთხრა მას ამავე მოპასუხეზე 20000 ლარის დაკისრების შესახებ. ა-ნიმ გააასაჩივრა ეს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც მას უარი ეთქვა 20000 ლარის მოპასუხეზე დაკისრების შესახებ. ამ გადაწყვეტილების შემოწმების შედეგად სააპელაციო სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არამარტო 20000 ლარი, არამედ იურიდიულად და ფაქტობრივად არასწორია აპელანტ ა-ნის სასარგებლოდ ბ-ანიზე 10000 ლარის დაკისრება. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლო ვერ გააუქმებს გადაწყვეტილებას იმ ნაწილში, რომელიც აპელანტის სასარგებლოდაა გამოტანილი, ანუ ვერ გააუქმებს გადაწყვეტილებას ა-ნის (აპელანტის) სასარგებლოდ ბ-ანიზე 10000 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ.

საუარესოდ შებრუნების აკრძალვის პრინციპის გამართლების მიზნით მოყავთ მრავალი არგუმენტი, რომელთა შორის მნიშვნელოვანია **ერთი** ის, რომ ეს პრინციპი ემყარება დისპოზიციურობის პრინციპს, რომლის თანახმად სასამართლომ თავისი მსჯელობა უნდა იქონიოს მხარის მოთხოვნის ფარგლებში და **მეორე** ის, რომ

წარმოადგენს საჩივრის შეტანის უფლების უზრუნველყოფის გარანტიას, რადგან განუმტკიცებს რწმენას აპელანტს (კასატორს), რომ გადაწყვეტილება, რომელიც მის სასარგებლოდაა გამოტანილი არ შეიცვლება მის საზიანოდ.

ამასთან ერთად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უშვებს შეგებებული სააპელაციო (საკასაციო) საჩივრის წარდგენის შესაძლებლობას. თუ აპელანტის მოწინააამდეგე მხარემ შემოიტანა შეგებებული სააპელაციო საჩივარი გადაწყვეტილების იმ ნაწილზე, რომელიც აპელანტს არ გაუსაჩივრებია, მაშინ სააპელაციო სასამართლო არამარტო უფლებლამოსილია, არამედ ვალდებულიცაა ამის მიხედვით შეამოწმოს გადაწყვეტილება. თუ ასეთი შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ შეგებებული სააპელაციო საჩივარი დასაბუთებულია და გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს იმ ნაწილში, რომელიც ამ შეგებებული სააპელაციო საჩივრითაა გასაჩივრებული, იგი უნდა გაუქმდეს, მიუხედავად იმისა, რომ აპელანტის სასარგებლოდაა გამოტანილი.

მაგალითად: ზემოდ მოყვანილი მაგალითის მიხედვით ა-ნიმ, რომელმაც გაასაჩივრა გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომელიც მის წინააღმდეგ იყო გამოტანილი, კერძოდ, რომლითაც უარი ეთქვა სარჩელზე მოპასუხე ბ-ანიზე 20000 ლარის მის სასარგებლოდ გადახდევინებაზე, საპასუხო ანუ შეგებებული სააპელაციო საჩივარი შეიტანა მოპასუხე ბ-ანიმ, რომლითაც მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც მას დაეკისრა ამ მოსარჩელის სასარგებლოდ 10000 ლარის გადახდა. სააპელაციო სასამართლომ დასაბუთებულად ცნო შეგებებული სააპელაციო საჩივარი და გააუქმა გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც მოსარჩელე ა-ნის სასარგებლოდ მოპასუხე ბ-ნის დაეკისრა 10000 ლარის გადახდა, ხოლო მოსარჩელე ა-ნის უარი უთხრა ძირითადი სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე და გადაწყვეტილება, რომლითაც უარი ეთქვა მას მოპასუხე ბ-ანიზე 20000 ლარის მის სასარგებლოდ დაკისრებაზე, დატოვა უცვლელად.

აქ იბადება კითხვა: ხომ არ ნიშნავს ეს „საუარესოდ შებრუნების აკრძალვის“ პრინციპზე უარისთქმას?

ამ კითხვაზე მთელი კატეგორიულობით უნდა ვუპასუხოთ უარყოფითად, სააპელაციო (საკასაციო) გასაჩივრების უფლება აქვს არამარტო იმ მხარეს, რომელმაც მთლიანად წააგო პროცესი, არამედ იმ მხარეს, რომელმაც ნაწილობრივ მოიგო, მაგრამ ნაწილობრივ წააგო პროცესი. საჩივარი დასაშვებია მხოლოდ გადაწყვეტილების იმ ნაწილზე, რომელიც აპელანტის საწინააღმდეგოდაა გამოტანილი. ეს იმას ნიშნავს, რომ როდესაც გადაწყვეტილება ნაწილობრივ მოსარჩელის, ხოლო ნაწილობრივ მოპასუხის საწინააღმდეგოდაა გამოტანილი, ცხადია ორივე მხარეს აქვს ერთნაირი უფლება გააასაჩივრონ გადაწყვეტილება მათთვის არახელსყრელ ნაწილში. ეს, ვფიქრობ, იმდენად ცხადია, რომ არავითარ დასაბუთებას არ საჭიროებს.

მაგრამ, თუ ეს ასეა, მაშინ როდესაც გადაწყვეტილების ორივე ნაწილი საჩივრდება მხარეების მიერ, სულ ერთია დამოუკიდებელი სააპელაციო საჩივრებით, თუ დამოუკიდებელი და შეგებებული (დამოკიდებული) სააპელაციო (საკასაციო) საჩივრით, საუარესოდ შებრუნების აკრძალვის (non reformatio in pejus) პრინციპი აღარ მოქმედებს.

§5. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და განჩინება

I. გადაწყვეტილებისა და განჩინების გამოტანის საფუძვლები

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა განსაზღვრავს თუ რომელი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში უნდა იქნეს გამოტანილი **გადაწყვეტილება** და რომელი საფუძვლების არსებობისას **განჩინება:** სსკ 243-ე მუხლის თანახმად სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე წყდება არსებითად სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილების ფორმით. ამავე კოდექსის 284-ე მუხლის თანახმად სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება სასამართლოს გამოაქვს განჩინების ფორმით.

გადაწყვეტილებისა და განჩინების გამოტანის ეს წესი ვრცელდება არამარტო პირველი ინსტანციის სასამართლოებზე, არამედ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებზეც.

აქ შეიძლება სადავო გამხდარიყო მხოლოდ ერთი საკითხი: რა ითვლება „საქმის არსებითად გადაწყვეტად" და რა ასეთად არ ითვლება.

ამ კითხვაზე პასუხს კანონმდებლობა არ შეიცავს. ამიტომ უნდა მივმართოთ პრაქტიკას. სასამართლო პრაქტიკის თანახმად კი საქმის არსებითად გადაწყვეტად ითვლება სასამართლოს ისეთი მსჯელობა, რომელიც განსაზღვრავს სარჩელის (განცხადების) ბედს ანუ მსჯელობა იმის შესახებ დაკმაყოფილდეს სარჩელი, თუ უარი ეთქვას მოსარჩელეს (განმცხადებელს) მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

რაც შეეხება სასამართლოს მსჯელობებს სარჩელის (განცხადების) დასაშვებობის ანუ მისი წარმოებაში მიღების წინაპირობების შესახებ, სარჩელის განუხილველად დატოვების თუ საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, ცალკეულ საპროცესო მოქმედებათა (მაგალითად, ადგილზე დათვალიერება, სასამართლო დავალებების მიცემა, ექსპერტიზის დანიშვნა და ა.შ.) შესრულების შესახებ, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, საქმის წარმოების შეჩერების შესახებ და ა.შ. აისახება სასამართლოს **განჩინებებში,** რადგან ასეთი მსჯელობები არ განსაზღვრავენ საქმის ბედს, უფრო ზუსტად არ განსაზღვრავენ მხარის მოთხოვნის ფაქტობრივ და სამართლებრივ დასაბუთებულობას, თუ დაუსაბუთებლობას.

იგივე პრინციპით განვითარდა სასამართლო პრაქტიკა სააპელაციო და საკასაციო სასამართლოების მიმართაც: თუ სააპელაციო სასამართლო აუქმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას და თვითონ გამოაქვს მის ნაცვლად ახალი გადაწყვეტილება, ისე რომ საქმეს არ აბრუნებს უკან ხელახლა განსახილველად, მაშინ მას გამოაქვს **გადაწყვეტილება**. მაგრამ, თუ იგი უცვლელად ტოვებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას, ან აუქმებს მას და აბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მაშინ მას გამოაქვს განჩინება. განჩინება მას გამოაქვს ყოველთვის, როცა საჭიროდ თვლის რაიმე საპროცესო მოქმედების შესრულებას.

II. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ სააპელაციო სასამართლოს მხოლოდ ერთ შემთხვევაში გამოაქვს თავისი დადგენილება გადაწყვეტილების ფორმით: როდესაც აუქმებს გადაწყვეტილებას მთლიანად ან ნაწილობრივ, საქმეს არ აბრუნებს ხელახლა განსახილველად უკან იმავე ან სხვა სასამართლოში და თვითონ იღებს გაუქმებული გადაწყვეტილების თუ მისი ნაწილის სანაცვლოდ ახალ გადაწყვეტილებას. ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული სსკ 386-ე მუხლში, რომლის თანახმად „თუ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია და საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უბრუნდება, სააპელაციო სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებს საქმეზე. იგი თავისი განჩინებით უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე ან გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით იღებს ახალ გადაწყვეტილებას საქმეზე". ამ წესით განმტკიცებულია სააპელაციო სასამართლოს შემდეგი უფლებამოსილებანი:

ა) უარი უთხრას აპელანტს საჩივრის დაკმაყოფილებაზე და დატოვოს გადაწყვეტილება უცვლელად, თუ სააპელაციო საჩივარში მითითებულ დარღვევებს არ აქვს ადგილი და გასაჩივრებული გადაწყვეტილება ფაქტობრივად და იურიდიულად დასაბუთებულია.

სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და გადაწყვეტილების უცვლელად (ძალაში) დატოვების შესახებ სააპელაციო სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელზეც შეიძლება საკასაციო საჩივრის შეტანა.

ბ) აუქმებს გადაწყვეტილებას და თვითონ იღებს ახალ გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით.

გ) აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს უკან, თუ არსებობს 385-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები და სააპელაციო სასამართლომ მიზანშეწონილად ჩათვალა მისი უკან დაბრუნება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს სსკ 389-ე მუხლის მოთხოვნებს, რომელიც განსაზღვრავს გადაწყვეტილების სავალდებულო რეკვიზიტებს. გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოს გამოაქვს, როდესაც იგი საქმეს არ აბრუნებს უკან ხელახლა განსახილველად და გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით თვითონ იღებს მისგან განსხ-

ვავებულ ახალ გადაწყვეტილებას.

გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში უნდა მიეთითოს:

ა) გადაწყვეტილების გამოტანის დრო და ადგილი;

ბ) სასამართლოს დასახელება და შემადგენლობა;

გ) სააპელაციო საჩივრის შემომტანი პირის დასახელება;

დ) გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

ფაქტიურად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში ეთითება ისეთი გარემოებები, რომლებიც საერთოა სასამართლოების მიერ გამოტანილი ყველა განჩინებისა თუ გადაწყვეტილებისათვის.

გადაწყვეტილებაში აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების ნაცვლად უნდა მიეთითოს:

ა) აპელანტის მოთხოვნაზე, ანუ იმის შესახებ, თუ რას მოითხოვს აპელანტი. ეს მოთხოვნა გადაწყვეტილებაში უნდა ჩამოყალიბდეს სააპელაციო საჩივრის მიხედვით (368-ე მუხლი). ამ მოთხოვნის ზუსტად, ნათლად და ამომწურავად მითითებას აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა: სააპელაციო სასამართლოს შეუძლია შეცვალოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება „იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ“ (384-ე მუხლი).

ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იყოს აგრეთვე გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული დასკვნები „საქმის გარემოებებთან დაკავშირებით“, ე.ი. დასკვნებზე იმის შესახებ, თუ რომელი ფაქტობრივი გარემოებები ცნო გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტანმა სასამართლომ დადგენილად და რომელი არა. კანონით ზუსტად განსაზღვრული პირობების არსებობისას (380-ე და 382-ე მუხლები) მხარეს შეუძლია წარუდგინოს სააპელაციო სასამართლოს ახალი ფაქტები და მტკიცებულებები. თუ ამას ჰქონდა ადგილი და სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო ეს ახალი ფაქტები, ამის შესახებ უნდა მიეთითოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

გ) 389-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად სააპელაციო სასამართლომ უნდა დაასაბუთოს, თუ რა ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს ემყარებოდა სააპელაციო სასამართლო, როდესაც შეცვალა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და გამოიტანა ახალი გადაწყვეტილება. ამ თვალსაზრისით აქ რაიმე სიახლე არაა. სიახლე მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ სააპელაციო სასამართ-

ლოს შეუძლია თავის გადაწყვეტილებაში მიუთითოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებულ დავაზე ფაქტების არსებობა – არარსებობის შესახებ, რომლებსაც იზიარებს სააპელაციო სასამართლო, აგრეთვე, ამ გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებებზე. **გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებულ ასეთ დასკვნებზე და შეფასებებზე მითითებით შეიძლება შეიცვალოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება.**

ამრიგად, 389-ე მუხლით წარმოდგენილია სააპელაციო სასამართლოსათვის გადაწყვეტილების ჩამოყალიბების გამარტივებული და შემსუბუქებული ვარიანტი. მისი მიზანია მაგრამ კიდე უფრო გააძლიეროს კანონის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება კარგად იყოს მოტივირებული ფაქტობრივად და იურიდიულად, ხოლო სააპელაციო სასამართლომ ზუსტად და შეუცდომლად მიუთითოს თავის გადაწყვეტილებაში დასკვნებზე და შეფასებებზე, რომლებიც ჩამოყალიბებულია გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში და რომლებსაც იგი ეთანხმება და იზიარებს. ასეთ მითითებებს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოსათვის, რომლისთვისაც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები (407-ე მუხლი).

ამდენად, საპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებების შესახებ ინფორმაცია საკასაციო სასამართლოს მიეწოდება არა მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, არამედ სააპელაციო წესით გასაჩივრებული გადაწყვეტილებითაც.

რაც შეეხება სარეზოლუციო ნაწილს, სარეზოლუციო ნაწილი – ესაა საკუთრივ გადაწყვეტილება, რომელიც გადადის სააღსრულებო ფურცელში, თუ გადაწყვეტილება აღსრულებადია. ამიტომ, მისი რაც შეიძლება ნათლად და ამომწურავად ჩამოყალიბებაზე მთლიანადაა დამოკიდებული არა მარტო გადაწყვეტილების აღსრულება, არამედ იმ უფლებების რეალურად დაცვა, რომლებიც ამ გადაწყვეტილებითაა აღიარებული. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში სავალდებულოა სასამართლო ხარჯების განაწილების შესახებ, აგრეთვე, გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადისა და წესის შესახებ მითითება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ სააპელაციო სასამართლო საქმეს თავის გადაწყვეტილე-

ბასთან (განჩინებასთან) ერთად გადაუგზავნის პირველი ინსტანციის სასამართლოს (სსკ 388 მუხლი).

III სააპელაციო სასამართლოს განჩინების შინაარსი

სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე ხელმეორედ არ წყდება არსებითად, მიიღება განჩინების ფორმით. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ სააპელაციო სასამართლო აუქმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას და საქმეს აბრუნებს ხელახლა განსახილველად ან წყვეტს საქმის წარმოებას (272-ე მუხლი) ან, კიდევ სარჩელს განუხილველად ტოვებს (275-ე მუხლი), მას გამოაქვს განჩინება. სააპელაციო სასამართლოს განჩინება გამოაქვს მაშინაც, როცა ძალაში (უცვლელად) ტოვებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას. ეს ჩამონათვალი არაა ამომწურავი. სააპელაციო, კერძო საჩივრის თუ საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით წამოჭრილ ნებისმიერ საკითხზე სააპელაციო სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს განჩინება, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი განჩინებები, რომლებიც გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემდგომ ბედს განსაზღვრავს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების შესავალ ნაწილში უნდა აღინიშნოს ისეთი მონაცემები, რომლებიც საერთოა სასამართლოს მიერ მიღებულ ყველა გადაწყვეტილების თუ განჩინებისათვის.

ისე, როგორც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, სააპელაციო სასამართლოს განჩინებაც აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების ნაცვლად უნდა შეიცავდეს საჩივრის შემომტანი პირის მოთხოვნას, გასაჩივრებული

გადაწყვეტილების (განჩინების) დასკვნებზე მითითებას, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების თუ უცვლელად დატოვების მოკლე დასაბუთებას. ასეთი დასაბუთება შეიძლება შეიცვალოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) იმ დასკვნებზე და შეფასებებზე მითითებით, რომლებიც ჩამოყალიბებულია გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში (განჩინებაში) და რომლებსაც იზიარებს სააპელაციო სასამართლო.

სხვა მხრივ, ყველაფერი რაც ზევით ითქვა სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსისა და დასაბუთებულობის, აგრეთვე სარეზოლუციო ნაწილის შესახებ მთლიანად ეხება სასამართლოს განჩინებასაც.

თავი XIII. კასაცია

§ 1. საქართველოს თანამედროვე კასაციის წარმოშობა და განვითარება

კასაციის ქართული მოდელი და მისი შინაარსი.

ისტორიულად სასამართლოს გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესაძლებლობა უძველესი დროიდან არსებობდა და სხვადასხვა ქვეყნებში თავისებურად და განსხვავებულად ვლინდებოდა.

გასაჩივრების ინსტიტუტს იცნობდა აგრეთვე ქართული სამართალიც, თუმცა ტერმინები „აპელაცია“ და „კასაცია“ არ გამოიყენებოდა. გასაჩივრების ინსტიტუტის არსებობის შესახებ მიუთითებდა აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი, რომელსაც XIII – XIV საუკუნეებში შექმნილი ქართული სახელმწიფო სამართლის ძეგლის „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით მიაჩნდა, რომ „სააჯო კარი“, რომელშიაც ვაზირთა-უპირველესი კვირაში ერთხელ მოსამართლეობდა, საქართველოს პირველი საფეხურის დაწესებულება კი არა, არამედ უმაღლესი სასამართლო უნდა ყოფილიყო, რომელშიაც პირველი საფეხურის სასამართლოს გადაწყვეტილებით უკმაყოფილოთა საჩივარი და „აჯა“ ირჩეოდა ხოლმე.“[616]

ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით პროფესორმა მ. კეკელიამ ჩამოაყალიბა რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნა ქართულ სამართალში გადაწყვეტილებათა გასაჩივრების თავისებურებათა შესახებ. კერძოდ, ჩვენში არსებობდა სასამართლოს გადაწყვეტილებათა გასაჩივრების ინსტიტუტი, რომელსაც „მეორედ სამართალში შესვლა“, „მეორედ სამართლის მოთხოვნა“ და „მეორედ მიცემული სამართალი“ ეწოდებოდა; საქართველოში არსებული გასაჩივრების ინსტიტუტი საგრძნობლად განსხვავდებოდა კლასიკურად აღიარებული აპელაციისაგან და კასაციისაგან; სათანადოდ უფლებამოსილი პირები (მეფე, დედოფალი, ბატონიშვილები, კათალიკოსი) ჯერ საქმის მეორედ განხილვის მიზანშეწონილობის საკითხს წყვეტდნენ, ხოლო შემდეგ ირჩეოდა საქმე; XVIII საუკუნის მეორე ნახევარში

616 ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი VII, ქართული სამართლის ისტორია. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1984 წელი, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, გვ. 341

ქართლ-კახეთის სამეფოში ნამდვილად არსებობდა სასამართლოს გადაწყვეტილებათა გასაჩივრების ინსტიტუტი, რომელიც აპელაციურ ხასიათს ატარებდა; მეფის გარდა, განმეორებით საქმის გარჩევაზე საჩივრის მიღებისა და განხილვის უფლება ჰქონდათ დედოფალს, ბატონიშვილებსა და კათალიკოსს.[617]

კასაცია აპელაციასთან შედარებით, გაცილებით უფრო გვიანდელი ინსტიტუტია. თანამედროვე სახით კასაცია ევროპის ქვეყნებში პირველად მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან წარმოიშვა. საქართველოზე დიდი გავლენა იქონია რუსეთში გატარებულმა სასამართლო რეფორმამ (1864 წელი), რის შედეგადაც ახლებურად ჩამოყალიბდა სასამართლო სისტემა, რომელიც საქართველოზეც გავრცელდა. შეიქმნა ორი ინსტანციის სასამართლო – **სამომრიგებლო და საოკრუგო სასამართლოები,** როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოები და **სააპელაციო სასამართლოები**, როგორც მეორე ინსტანციის სასამართლოები. სააპელაციო სასამართლოებს, თუ ისინი ჩათვლიდნენ, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია და უნდა გაუქმდეს, საქმე უნდა გადაეწყვიტათ თვითონვე, ამ საქმის ხელახლა განსახილველად უკან დაბრუნების გარეშე (რუსეთის სამოქალაქო სამართალწარმოების წესდება – შემდგომში წესდება, მუხლი 772-ე). სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებები ითვლებოდა საბოლოო გადაწყვეტილებებად და შეიძლებოდა მათი დაუყოვნებლივ აღსრულება (წესდების 184-ე მუხლი).

ამასთან ერთად, დაშვებულ იქნა პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ თხოვნის სამი სახე:

1. თხოვნა ისეთ გადაწყვეტილებათა კასაციის შესახებ, რომლებიც არ ექვემდებარება აპელაციას;
2. თხოვნა გადაწყვეტილებათა გადასინჯვის შესახებ;
3. იმ პირთა თხოვნა გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ, რომლებიც საქმეში არ მონაწილეობენ (ზოგჯერ მათ უწოდებენ გარეშე მესამე პირებს – tierce opposition), მაგრამ მიღებული გადაწყვეტილებით დაირღვა მათი უფლება.

სამივე სახის თხოვნის განსახილველად წესდება ითვალის-

617 კეკელია მ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ. წიგნი I (ქართლ-კახეთის სამეფო), გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1970 წელი, გვ. 273-285

წინებდა სხვადასხვა წესს, რომელთა მიმოხილვა უდავოდ ძალიან საინტერესოა, მაგრამ ვინაიდან კვლევის საგანს წარმოადგენს კასაცია, მოკლედ იქნება განხილული მხოლოდ პირველი სახის თხოვნა გადაწყვეტილების კასაციის შესახებ, მითუმეტეს, რომ ეს წესდება ვრცელდებოდა საქართველოზეც, რომელიც მაშინ შედიოდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში.

წესდების 186-ე მუხლის თანახმად თხოვნა გადაწყვეტილების კასაციის შესახებ დაიშვებოდა:

1. კანონის აზრის არასწორად გაგების ან მისი არასწორად განმარტების გამო;
2. თუ ადგილი ჰქონდა სამართალწარმოების წესებისა და ფორმების ისეთ არსებით დარღვევას, რომელთა გამო სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიძლება ძალის მქონედ ცნობილიყო;
3. თუ სასამართლო გასცდა თავისი კომპეტენციის ფარგლებს.

ამრიგად, აპელაცია ითვლებოდა კანონიერ ძალაში ჯერ კიდევ შეუსვლელი გადაწყვეტილების, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი დასაბუთებულობის შემოწმების მთავარ საშუალებად.

რაც შეეხება კასაციას, იგი ითვლებოდა, როგორც საგანგებო (განსაკუთრებული) ინსტანცია, რომლის მიზანი იყო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შემოწმება მხოლოდ და მხოლოდ მისი კანონიერების თვალსაზრისით, ე.ი. იმ თვალსაზრისით, ხომ არ დაირღვა კანონი საკასაციო წესით გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანის დროს. თუ საკასაციო სასამართლო მივიდოდა იმ დასკვნამდე, რომ გადაწყვეტილება გამოტანილია კანონის დარღვევით, ის აუქმებდა გადაწყვეტილებას და საქმეს აბრუნებდა უკან ხელახლა განსახილველად. **თვითონ მას არ შეეძლო გამოეტანა ახალი გადაწყვეტილება.**

როგორც ზემოთ აღინიშნა წესდების მოქმედება ვრცელდებოდა საქართველოზეც. ამ წესდების მეხუთე წიგნი ითვალისწინებდა სამართალწარმოების წესებს ამიერკავკასიის, ვარშავისა და ბალტიისპირეთის სასამართლო ოლქებისათვის. მეხუთე წიგნის პირველი ნაკვეთი ეძღვნებოდა „სამართალწარმოებას ამიერკავკასიის ოლქში". ამ ნაკვეთის 1467-ე მუხლის თანახმად სამომრიგებლო სასამართლოს (მომრიგებელი მოსამართლის) გადაწყვეტილება იყო საბოლოო, თუ სასარჩელო მოთხოვნა არ აღემატებოდა 100 მანეთს და არ ეხებოდა უძრავ ქონებას. ამავე ნაკვეთის 1468-ე

მუხლის თანახმად სამომრიგებლო სასამართლოს ყველა სხვა გადაწყვეტილებაზე შეიძლებოდა სააპელაციო საჩივრის შეტანა საოლქო სასამართლოში. 1470-ე მუხლის მიხედვით კი მომრიგებელი მოსამართლისა და საოლქო სასამართლოების კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებები შეიძლებოდა გასაჩივრებულიყო საკასაციო წესით **თბილისის სასამართლო პალატაში.**[618]

ამრიგად, ამიერკავკასიაში შენარჩუნებულ იქნა ისეთივე სასამართლო სისტემა, როგორიც მთლიანად მთელი რუსეთის იმპერიისათვის, ოღონდ ამ სისტემის ცალკეულ რგოლებში საქმის წარმოებისათვის გათვალისწინებული იყო ზოგიერთი გამონაკლისი.

მოკლედ, ასეთი იყო სასამართლო სისტემა, რომელიც არსებობდა საქართველოში 1918 წლამდე. 1917 წლის რევოლუციამ – როგორც ეს აღნიშნულია საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მეორე დამატებაში – საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება, ისევე როგორც მთელ რუსეთში, ძირეულად შეცვალა. ამ ცვლილების ერთ-ერთი ფუნდამენტური გამოხატულება იყო საქართველოს ეროვნულ ყრილობაზე არჩეული ეროვნული საბჭოს მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება 1918 წლის 26 მაისს. ამ აქტის პირველ დამატებაში აღნიშნულია: მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო. მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველი მხრიდან მტერთაგან გარშემორტყმული და მეტად შევიწროვებული საქართველო რუსეთს შეუერთდა იმ პირობით, რომ რუსეთი საქართველოს გარეშე მტერთაგან დაიცავდა. რუსეთის რევოლუციის განვითარების დროს ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დატოვა ამიერკავკასია.

ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა – ნათქვამია შემდეგ აღნიშნულ აქტში, – აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფო შექმნას, რათა მტრულ ძალთა დამონებისაგან თავი გადაირჩინოს და თავისუფალ განვითარებას მძლავრი საძირკველი ჩაუყაროს. ითვალისწინებს რა ზემოჩამოთვლილ პირობებს, საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის 22 ნოემბერს არჩეული საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ,

618 Устав гражданского судопроизводства, с объяснениями по решениям гражданского кассационного департамента, составитель Боровиковский А., типография Суворина А.С. 1903 год.

აცხადებს: „დღეიდან ქართველი ერი სუვერენული უფლებებით აღჭურვილი ერია და საქართველო – სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფო“[619]. ამ აქტით დამფუძნებელი კრების მოწვევამდე სრულიად საქართველოს მართვა – გამგეობა დაეკისრა ეროვნულ საბჭოს და ეროვნული საბჭოს წინაშე პასუხისმგებელ დროებით მთავრობას.

1918 წლიდან 1921 წლამდე საქართველოში მიღებულ იქნა მრავალი კანონი, რომლებიც სასამართლო ხელისუფლების ამა თუ იმ საკითხს არეგულირებდნენ. ამ კანონთა დებულებების ანალიზი საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა, რომ საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე არსებული სასამართლო სისტემა არ შეცვლილა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ საქართველოს ეროვნულ საბჭოსა და მოგვიანებით საქართველოს პარლამენტს შეჰქონდათ ცვლილებები და დამატებები 1917 წლამდე რუსეთში მოქმედ საკანონმდებლო აქტებში.

საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ რამდენიმე კანონი. 1918 წლის 5 ივლისს მიღებულ იქნა კანონი „თბილისის სამოსამართლო პალატის შტატების შემცირებისა“.[620]

1918 წლის 20 სექტემბერს მიღებულ იქნა დებულება „რესპუბლიკის დროებითი საგანგებო სასამართლოსი“. ეს დებულება ეხება სისხლის სამართლის საქმეების განხილვას, მაგრამ აქ არის ერთი მუხლი (მუხლი 15), რომლის თანახმად „რესპუბლიკის დროებითი საგანგებო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება მხოლოდ საკასაციო წესით. საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს დაარსებამდე საკასაციო საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს სასამართლო პალატაში, რომელიც ვალდებულია გაარჩიოს საქმე არა უგვიანეს ერთი კვირისა, დღიდან პალატაში საქმის შესვლისა“.[621]

1918 წლის 24 სექტემბერს მიღებული კანონით „მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტისა“, გარკვეული ცვლილებები შევიდა რუსეთის 1912 წლის 15 ივნისის კანონში „ადგილობრივი სასამართლოს გარდაქმნის შესახებ“. ამ კანონის მე-20 მუხლის თანახმად „მომრიგებელ მოსამართლეს ექვემდებარება საქმენი სამოქალაქო

---

619 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1918-1921 წ.წ. გამომცემლობა „ივერთა მხარე“, 1990 წელი, გვ. 3-7.
620 იქვე გვ. 44
621 იქვე გვ. 67-71

საქმეთა წარმოების წესდების 1462-ე მუხლში აღნიშნული და სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების წესდების 1259-ე და 1260-ე მუხლში აღნიშნული".[622]

1919 წლის 17 იანვარს მიღებულ იქნა კანონი „ნაფიც – მსაჯულთა სასამართლოს შემოღებისა". ამავე დღეს დამტკიცდა დებულება „ნაფიც – მსაჯულთა სასამართლოსი". ამ დებულებით ნაფიც მსაჯულთა – მონაწილეობა გათვალისწინებული იყო მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებზე.[623]

1919 წლის 30 იანვარს მიღებულ იქნა დროებითი კანონი „მომრიგებელ სასამართლო დაწესებულებათა ქვემდებარეობის გაფართოებისა". ამ დროებითი კანონის თანახმად რუსეთის სამოქალაქო სამართალწარმოების წესდებაში (УГС), კერძოდ მის 186-ე მუხლში შევიდა შემდეგი ცვლილება: „აკრძალულია გადაწყვეტილების გადასინჯვისათვის თხოვნის შეტანა იმ საქმის გამო, რომლის საჩივრის ღირებულება ხუთას მანეთს არ აღემატება".[624] აღსანიშნავია, რომ ეს მუხლი ეხება საკითხს, თუ რა შემთხვევაში დაიშვებოდა კასაციის შესახებ თხოვნა.

1919 წლის 29 ივლისს მიღებულ იქნა კანონი „საქართველოს სენატის დებულების შემოღებისა". ამ კანონის თანახმად „ყველა საკასაციო საჩივარი, პროტესტი და აგრეთვე კერძო საჩივარი, შეტანილი ტფილისის სასამართლოს პალატის, ოლქის სასამართლოს, მომრიგებელ – მოსამართლეთა ყრილობის, სამხედრო სასამართლოს და დროებით საგანგებო სასამართლოს გადაწყვეტილებასა, დადგენილებასა და განაჩენზე, თუ საბოლოოდ განხილული არ იქნება არსებულის წესით 1919 წლის სექტემბრის 15-დე, გადაეცეს გადასაწყვეტად სენატს". რუსეთის კანონში „სასამართლო დაწესებულებათა დებულების შესახებ" შეტანილ იქნა მრავალი ცვლილება, რომელთა შორის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ცვლილებას ამ დებულების 431-ე მუხლში, რომელიც ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: **„საქართველოში სასამართლო ხელისუფლება ეკუთვნის მომრიგებელ მოსამართლეს, მათ ყრილობას, ოლქის სასამართლოს, სასამართლო პალატას და სენატს".**[625]

ასეთი იყო საქართველოს რესპუბლიკის სასამართლო სისტემა.

---

622 იქვე გვ. 71-80, 234
623 იქვე გვ. 206-215
624 იქვე გვ. 230-234
625 იქვე გვ. 291-294

როგორც აღინიშნა, საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ 1919 წლის 29 ივლისს მიიღო „საქართველოს სენატის დებულება". ამ დებულების პირველი მუხლის თანახმად „საქართველოს სენატი არის უზენაესი სასამართლო. იგი: 1) თვალყურს ადევნებს კანონის დაცვასა და სისწორით ასრულებას მთავრობის ყოველ დაწესებულებისა, თანამდებობის პირისა და ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოს მიერ; 2) განაგებს სასამართლო ნაწილს, **როგორც საკასაციო სასამართლო,** და 3) შეასრულებს ყოველ სხვა მოვალეობას ამა დებულებაში აღნიშნულს".

დებულების მეორე მუხლის მიხედვით „სენატი მოქმედებს იმ წესითა და იმ ფარგლებში, რომელიც დადგენილია „სასამართლო დაწესებულებათა დებულებასა", „სისხლის სამართალწარმოების წესდებასა", „სამოქალაქო სამართალწარმოების წესდებასა" და სხვა სათანადო კანონმდებლობაში, რამდენადაც ეს კანონმდებლობანი შეცვლილი არ არის სენატის ამა თუ იმ დებულებით, ან რესპუბლიკის სხვა მომქმედი კანონით".

ამ დებულების მე-3 მუხლის თანახმად სენატის ის გადაწყვეტილებანი, რომლებიც სხვა საქმეთა შესახებ არის გამოტანილი და გამოქვეყნებულია „სამოქალაქო სამართალწარმოების წესდების" (რუსეთის) 815-ე მუხლის თანახმად **„სახელმძღვანელოდ უნდა იყოს მიღებული კანონის ერთნაირად ასრულებისა და განმარტებისათვის".**[626]

სენატი თავის მხრივ შედგებოდა ორი საკასაციო დეპარტამენტისაგან: სისხლის სამართლისა და სამოქალაქოსაგან. სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტში დაარსებული იყო საადმინისტრაციო განყოფილება. ამას გარდა, სენატში დაარსდა საკასაციო დეპარტამენტთა შეერთებული საკრებულო.

„საქართველოს სენატის დებულება" შეიცავდა ბევრ ისეთ ნორმას, რომლებიც ამკვიდრებდნენ მეტად საინტერესო და პროგრესულ პრინციპებს.

ამასთან ერთად არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი მეტად საგულისხმო გარემოება: საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ არ გააუქმა და უარი არ თქვა სამართლებრივი და სასამართლო რეფორმების შედეგად მიღებულ ისეთ კანონებზე, რომელთა პრო-

626 იქვე გვ. 295-307

გრესული ხასიათი ერთხმად იყო აღიარებული ევროპაში. ეს კვლავ ერთხელ მიგვანიშნებს თუ რა მიმართულებით სურდა დამოუკიდებელ საქართველოს განვითარება.

მაგრამ ისტორიამ სხვა არჩევანი გააკეთა: 1921 წელს საქართველომ კვლავ დაკარგა დამოუკიდებლობა.

1921 წლის თებერვალ – მარტში საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია საქართველო – რუსეთის 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა თავის მიერვე ცნობილი საქართველოს სახელმწიფოს ოკუპაცია, რასაც შემდგომში მოჰყვა მისი ფაქტობრივი ანექსია.[627]

ამ დროიდან საქართველოში შემოღებულ იქნა არამარტო სახელმწიფოებრივი მართვის, არამედ სასამართლოს ორგანიზაციისა და ფუნქციონირების საბჭოური პრინციპებიც. საქართველოზე მთლიანად გავრცელდა იმ დეკრეტების მოქმედება, რომლებიც საბჭოთა რუსეთმა მიიღო 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ და რომლებმაც არსებითად შეცვალეს მანამდე არსებული სასამართლო სისტემა.

დეკრეტებს შორის აღსანიშნავია დეკრეტი №1 სასამართლოს შესახებ, რომელმაც გააუქმა ყველა საერთო სასამართლო, შექმნა ადგილობრივი სასამართლო მოსამართლისა და ორი მსაჯულის შემადგენლობით. **ამ ადგილობრივი სასამართლოების გადაწყვეტილებები (განჩინებები) იყო საბოლოო და გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა.** გადაწყვეტილების სისწორის შესამოწმებლად დაიშვებოდა მხოლოდ კასაციის შესახებ თხოვნა.

ამრიგად, აპელაციის წესით გასაჩივრება გაუქმდა, დარჩა მხოლოდ კასაცია. №1 დეკრეტით არ იყო გათვალისწინებული კასაციის შინაარსი და ხასიათი. გარდა ამისა, გაუქმდა კასაციის ცენტრალიზაცია ანუ საკასაციო ფუნქციის თავმოყრა ერთი სასამართლოს ხელში. ასეთი ფუნქციით აღიჭურვა სხვადასხვა სასამართლო. უფრო დეტალურად საკასაციო სასამართლოს შესახებ განისაზღვრა სასამართლოს შესახებ №2 დეკრეტში, რომლის თანახმად საკასაციო წესით გასაჩივრების შემთხვევაში სასამართლოს უფლება ჰქონდა გაეუქმებინა გადაწყვეტილება არამარტო ფორ-

627 საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. 1991 წლის 9 აპრილი. საქართველოს კანონთა წიგნი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური გამოცემა, ტომი I, 2003 წელი, გვ. 101-110.

მალური ნიშნის მიხედვით, ე.ი. ფორმალური დარღვევების შემთხვევაში, არამედ იმ შემთხვევაშიც, თუ ცნობდა, რომ გადაწყვეტილება აშკარად უსამართლო იყო (მე-5 მუხლი). გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში კი კასაცია აბრუნებდა საქმეს ხელახლა განსახილველად.

1918 წელს მიღებული დებულებით „სახალხო სასამართლოს შესახებ", სახალხო მოსამართლეთა საბჭოს შეეძლო გაეუქმებინა გადაწყვეტილება დეკრეტების არსებითი დარღვევის შემთხვევაში, ასევე, სამართალწარმოების ფორმის დარღვევისა და არასრულად გამოკვლევის შემთხვევაში.

ამრიგად, საკასაციო წესით შეიძლებოდა შემოწმებულიყო გადაწყვეტილება, როგორც იურიდიული, ისე ფაქტობრივი თვალსაზრისით, ამასთან, საკასაციო სასამართლოს შეეძლო არ შემოფარგლულიყო საკასაციო საჩივრის ფარგლებით და შეემოწმებინა გადაწყვეტილება, როგორც გასაჩივრებულ, ისე გაუსაჩივრებელ ნაწილში.

ამ კონცეპტუალურ საწყისებზე იქნა აგებული საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, რომელიც შემოღებულ იქნა სამოქმედოდ 1924 წლის პირველი მაისიდან.

ხსენებული კოდექსის 235-ე მუხლის თანახმად „საქმეში მონაწილე პირს შეუძლია გადაწყვეტილებაზე შეიტანოს საკასაციო საჩივარი ოლქის სასამართლოსა ან უზენაეს სასამართლოში კუთვნილებისამებრ". ამავე კოდექსის 245-ე მუხლის თანახმად „საკასაციო საჩივრის განხილვის დროს ამ საჩივარში მოყვანილი საბაბი უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს ვერ შებორკავს". საკასაციო ინსტანციის სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას, როგორც ფაქტობრივი, ისე იურიდიული თვალსაზრისით (სსკ-ის 237-ე მუხლი). საკასაციო სასამართლოს შეუძლია გააუქმოს გადაწყვეტილება და საქმე დააბრუნოს ხელახლა განსახილველად, ან თუ გადაწყვეტილება სწორია – დატოვებს მას უცვლელად, ან კიდევ, შეწყვეტს საქმის წარმოებას თუ ეს საქმე არ ექვემდებარება სასამართლოს უწყებრივად ან არ არსებობს სარჩელის უფლება (246-ე მუხლი).

1931 წლის პირველი ნოემბრიდან სამოქმედოდ შემოღებულ იქნა საქართველოს სსრ მეორე სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. ამ კოდექსის თანახმად სახალხო სასამართლოს კანონიერ ძალა-

ში შეუსვლელი გადაწყვეტილება შეიძლება მხარეებმა გაასაჩივრონ საკასაციო წესით, ხოლო პროკურორმა გააპროტესტოს ასეთივე წესით (სსკ-ის 266-ე მუხლი). საკასაციო საჩივრის განხილვის დროს ამ საჩივარში აღნიშნული საბაბი საკასაციო ინსტანციის სასამართლოს ვერ შებორკავს. იგი განიხილავს სარევიზიო წესით საქმეს როგორ გასაჩივრებულ, ისე გაუსაჩივრებელ ნაწილში (სსკ-ის 278-ე მუხლი). ამასთან ერთად, საკასაციო სასამართლოს შეუძლია არა მარტო გააუქმოს გადაწყვეტილება მთლიანად ან ნაწილობრივ და საქმე დააბრუნოს ხელახლა განსახილველად, არამედ გამოიტანოს ახალი გადაწყვეტილება „უკეთუ საქმის ფაქტიური მხარე საკმარისად ნათელია, უკეთუ საჭიროა მხოლოდ გადაწყვეტილების მოტივების შეცვლა (კანონის აღნიშვნა და სხვა), ან უკეთუ პირველმა ინსტანციამ საქმის განხილვის დროს დაარღვია **საკასაციო სარევიზიო** ინსტანციის დირექტივები, რაც გაცემულ იქნა პირველი გადაწყვეტილების გაუქმების დროს".

საქართველოს სსრ 1931 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით შემოღებულ იქნა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების (მათ შორის საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებების) გადასინჯვა ზედამხედველობის წესით რესპუბლიკის პროკურორის ან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პროტესტის საფუძველზე (სსკ-ის 290-ე მუხლი). ამასთან ერთად შენარჩუნებულ იქნა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის ინსტიტუტი (სსკ-ის 286-ე მუხლი).

1964 წელს საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიამ მიიღო რიგით მესამე საქართველოს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც სამოქმედოდ შემოღებულ იქნა 1965 წლის პირველი ივლისიდან.

ეს კოდექსი აგებულ იქნა იმავე კონცეპტუალურ საწყისებზე, როგორც წინა საპროცესო კოდექსები. რაც შეეხება კასაციას, იგი ამ კოდექსითაც კვლავ გვევლინება, როგორც ისეთი ინსტანცია, რომელსაც შეუძლია შეამოწმოს გადაწყვეტილება, როგორც ფაქტობრივი, ისე იურიდიული თვალსაზრისით, როგორც გასაჩივრებულ (გაპროტესტებულ), ისე გაუსაჩივრებელ ნაწილში, გააუქმოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნოს ან თვითონ გამოიტანოს ახალი გადაწყვეტილება გარკვეული პირობების არსებობისას და ა.შ. (სსკ-ის 292-326-ე მუხლები).

ამასთან ერთად, შენარჩუნებულ იქნა საზედამხედველო ინსტანციის სასამართლოში საქმის წარმოების ინსტიტუტი: საქართველოს სსრ ყველა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, განჩინება და დადგენილება შეიძლება გადაისინჯოს სასამართლო ზედამხედველობის წესით პროკურატურისა და უზენაესი სასამართლოს იმ თანამდებობის პირთა პროტესტის საფუძველზე, რომლებიც ჩამოთვლილია ამ კოდექსის 332-ე მუხლში. დეტალურად განისაზღვრა იმ სასამართლოთა წრე, რომლებიც განიხილავენ საქმეებს ზედამხედველობის წესით (სსკ-ის 335-ე მუხლი). შენარჩუნებული და დეტალურად მოწესრიგებულ იქნა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების (განჩინებების) ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადასინჯვის ინსტიტუტი (სსკ-ის 346-351-ე მუხლები).

ამრიგად, კასაცია, რომელიც საბჭოთა კასაციის სახელწოდებითაა ცნობილი, თავისი არსითა და შინაარსით არსებითად განსხვავდება, როგორც რევოლუციამდელი რუსეთის, ისე სხვა ქვეყნების კასაციებისაგან.

1991 წელს საქართველომ კვლავ აღიდგინა დამოუკიდებლობა. „**1990 წლის 28 ოქტომბერს** – ნათქვამია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტში – **მრავალპარტიული, დემოკრატიული გზით არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, ეყრდნობა რა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატულ საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვან ნებას, ადგენს და საქვეყნოდ აცხადებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე**“.

ამავე აქტის თანახმად, „**საერთაშორისო სამართლის პრიმატი საქართველოს რესპუბლიკის კანონების მიმართ და მისი ნორმების პირდაპირი მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე ცხადდება საქართველოს რესპუბლიკის ერთ-ერთ ძირითად კონსტიტუციურ პრინციპად. საქართველოს რესპუბლიკა** – ნათქვამია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტში – **ისწრაფვის რა დაიკავოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, აღიარებს და თანაბრად უზრუნველყოფს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ადამიანის, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფების ყველა ძირითად უფლებასა და თავისუფლებას, როგორც ამას მოითხოვს გაერ-**

თიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტები და კონვენციები."[628]

აი, ამ ფუნდამენტური პრინციპების რეალიზაციის აუცილებლობა მოითხოვდა სამართლებრივი და სასამართლო რეფორმების გატარებას, რის გამოც საქართველოში დაიწყო ამ რეფორმებზე მუშაობა. შემუშავდა და მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია, სხვა კანონები და კოდექსები, რომლებიც აწესრიგებენ საზოგადოებრივი ურთიერთობების სხვადასხვა სფეროებს, მათ შორის კანონები, რომლებიც განსაზღვრავენ სასამართლო სისტემას და აწესრიგებენ სასამართლოების მიერ მართლმსაჯულების განხორციელებას. როგორიცაა საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ", საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი და ა.შ. ამ ახალმა კანონებმა ახლებურად განსაზღვრეს და მოაწესრიგეს, როგორც სასამართლო სისტემა საქართველოში, ისე სასამართლოების ფუნქციონირების პრინციპები, მათ შორის საკასაციო წარმოების არსი და დანიშნულება. საქართველოს თანამედროვე სასამართლო სისტემაში საკასაციო სასამართლოს განსაკუთრებული ადგილი უკავია. იგი არსებითად განსხვავდება როგორც საბჭოთა, ისე მანამდე არსებული კასაციისაგან, წარმოადგენს მესამე ინსტანციის სასამართლოს, რომელსაც შეუძლია არამარტო გააუქმოს გადაწყვეტილება და საქმე დააბრუნოს უკან ხელახლა განსახილველად, არამედ კანონით გათვალისწინებული პირობების არსებობისას თვითონ მიიღოს ახალი გადაწყვეტილება.[629]

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით საკასაციო სასამართლო არის მესამე ინსტანციის სასამართლო, რომელიც ამოწმებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივ მხარეს. საკასაციო სასამართლოს ასეთი დახასიათება ზოგადად სწორია, მაგრამ არ არის საკმარისი, რადგან არ შეიცავს პასუხს მთელ რიგ საკითხებზე, რომლის გარეშე არ შეიძლება გვქონდეს სრული წარმოდგენა ამ უაღრესად მნიშვნელოვანი სასამართლო ინსტანციის შესახებ.

---

628 საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. 1991 წლის 9 აპრილი. საქართველოს კანონთა წიგნი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური გამოცემა, ტომი I, 2003 წ., გვ. 101-110.

629 ხრუსტალი ვ. საქართველოს თანამედროვე კასაციის წარმოშობა და განვითარება. ჟურნალი „მართლმსაჯულება", 2009 წელი, № 1, გვ. 38–46.

იმისათვის, რომ სწორი წარმოდგენა შეგვექმნას ქართული კასაციის თაობაზე, საჭიროა აღინიშნოს შემდეგი:

1. კასაცია არის საბოლოო ინსტანციის სასამართლო იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით;

2. საკასაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შეუსვლელი ისეთი გადაწყვეტილებები, რომელთა გასაჩივრება კანონითაა გათვალისწინებული;

3. საკასაციო საჩივრის შეტანა შეუძლიათ მხოლოდ იმ პირებს, რომლებზეც ვრცელდება გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერი ძალა.

4. საკასაციო სასამართლო ამოწმებს მხოლოდ გადაწყვეტილების კანონიერებას, მის იურიდიულ მხარეს;

5. საკასაციო სასამართლო არაა ფაქტების დამდგენი სასამართლო, ამიტომ ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენა საკასაციო სასამართლოში პრინციპულად დაუშვებელია. ერთადერთ გამონაკლისს ამ შემთხვევაში წარმოადგენს საპროცესო ნორმების დარღვევა. იმ შემთხვევაში, როდესაც საკასაციო საჩივარი ეფუძნება საპროცესო დარღვევებს, კასატორს შეუძლია ასეთი დარღვევის დასადასტურებლად წარუდგინოს საკასაციო სასამართლოს მტკიცებულებები;

6. საკასაციო საჩივარი დასაბუთებული უნდა იყოს. ეს იმას ნიშნავს, რომ საკასაციო საჩივარში მითითებული უნდა იყოს დასაშვებობის წინაპირობაზე, აგრეთვე კანონის დარღვევაზე და იმაზე, თუ რა ფორმით გამოიხატა ეს დარღვევა.

7. საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებისა და დასაშვებობის საკითხს განიხილავს თვითონ საკასაციო სასამართლო, ეს იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი საკასაციო საჩივარი ნებისმიერ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე დაუყოვნებლივ უნდა გადაეგზავნოს საკასაციო სასამართლოს საქმესთან ერთად;

8. საკასაციო სასამართლოს შეუძლია თვითონ მიიღოს საქმეზე ახალი გადაწყვეტილება მხოლოდ ერთი პირობით: თუ ამ საქმეზე ფაქტიური გარემოებები დადგენილია სრულად და სწორად და საჭირო არაა დამატებითი ფაქტებისა და მტკიცებულებების გამოკვლევა.

თუ ეს პირობა არ არსებობს, საკასაციო სასამართლო აუქმებს

გადაწყვეტილებას და საქმეს აბრუნებს ხელახლა განსახილველად;

9. ხელახლა განსახილველად საქმე შეიძლება დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს იმავე ან სხვა შემადგენლობას;

10. საკასაციო სასამართლო შებოჭილია საკასაციო საჩივრის ფარგლებით. ეს იმას ნიშნავს, რომ საკასაციო სასამართლო ვერ გააუქმებს გადაწყვეტილებას იმ ნაწილში, რომელიც არ იყო გასაჩივრებული. გასაჩივრებული გადაწყვეტილების კასატორისათვის საუარესოდ შებრუნება (non reformatio in pejus) დაუშვებელია;

11. საკასაციო სასამართლო არაა შებოჭილი კასატორის მიერ საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევის ფარგლებით და შეუძლია შეამოწმოს კანონის სხვა დარღვევებიც, რომლებზეც კასატორი არ მიუთითებდა, ანუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული მხარე სრული მოცულობით;

12. საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც საფუძვლად დაედო გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას, სავალდებულოა იმ სასამართლოსთვის, რომელსაც საქმე უბრუნდება ხელახლა განსახილველად;

13. უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის სამართლებრივი შეფასება (ნორმის განმარტება) სავალდებულოა ყველა ინსტანციის საერთო სასამართლოებისათვის.

ასეთია საკასაციო სასამართლოს ქართული მოდელი, მისი რაობა. ამ მოდელის ცალკეული ასპექტის განხილვას ეძღვნება ეს თავი.[630]

§ 2. კასაციის მიზანი

კასაციის, ანუ საქმის საკასაციო წესით წარმოების მიზნის შესახებ არ არსებობს ერთგვაროვანი შეხედულება. ამიტომ ამ მიზნის უფრო ნათლად გარკვევისათვის მიზანშეწონილია მოკლედ მიმოვიხილოთ ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა და ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებები.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საბჭოთა ხელისუფლების დროს, უფრო ზუსტად 1964 წლის სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართალწარმოების საფუძვლებითა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო საპროცესო კოდექსებით

630 ლილუაშვილი თ. სამოქალაქო საპროცესო სამართალი. გამომცემლობა „ჯვისიაი“, 2005 წელი, გვ. 491–493.

გათვალისწინებული იყო საკასაციო ინსტანციის სასამართლოები. ამ სასამართლოების ამოცანების განსაზღვრის დროს უთითებდნენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსების იმ მუხლებზე, რომლებიც ეძღვნებოდა საკასაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ფარგლებს. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის თანახმად საკასაციო სასამართლო ამოწმებდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას, როგორც გასაჩივრებულ, ისე გაუსაჩივრებელ ნაწილში, აგრეთვე იმ პირთა მიმართ, რომლებსაც არ ჰქონდათ შეტანილი საკასაციო საჩივარი. ამ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ იყო შეზღუდული საკასაციო საჩივრის მოსაზრებებით და საქმე უნდა შეემოწმებინა სრული მოცულობით.

ამ მუხლის ანალიზიდან გამომდინარე აკეთებდნენ დასკვნას, რომ საკასაციო სასამართლოს მიზანი იყო შეემოწმებინა გადაწყვეტილების კანონიერება და დასაბუთებულობა, ე. ი. მისი, როგორც იურიდიული, ისე ფაქტობრივი მხარე.[631]

სრულიად განსხვავებულად განიხილება ეს საკითხები იმ ქვეყნების კანონმდებლობაში და იურიდიულ ლიტერატურაში, სადაც სრულად მოქმედებს დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები.

მაგალითად, საფრანგეთის ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 604-ე მუხლის თანახმად საკასაციო საჩივარი მიზნად უნდა ისახავდეს საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების კანონთან შესაბამისობის შემოწმებას, რის გამოც იგი ამ გადაწყვეტილების მხოლოდ სამართლებრივ მხარეს განიხილავს.

როგორც ამ მუხლის კომენტატორები აღნიშნავენ, საკასაციო სასამართლო არ ამოწმებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. ამიტომ, საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია მიიღოს რაიმე ზომები მოკვლევითი ღონისძიებების დანიშვნის შესახებ, იგი არც ახალ მტკიცებულებებს განიხილავს და არც ხელმეორედ ამოწმებს მტკიცებულებებს, რომლებიც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გა-

631 ხრუსტალი ვ., კასაციის მიზნები და საკასაციო საჩივრის განსახილველად მიღების (დასაშვებობის) წინაპირობები, თ. ლილუაშვილის 75 წლისთავთან დაკავშირებით გამოცემული საიუბილეო კრებული, გამომცემლობა „ჯისიაი“, 2003 წელი, გვ. 183-204.

მომტან სასამართლოში იყო წარდგენილი.[632]

იგივე მოსაზრებას ანვითარებს ფრანგი მეცნიერი ჟერარ კუშე. საკასაციო სასამართლო არ განიხილავს ხელმეორედ საქმეს, რომლის მიმართაც შემოტანილი იყო საკასაციო საჩივარი. მას შეიძლება მხოლოდ განსახილველად წარედგინოს სამართლებრივი საკითხები, რომლებიც ამ საქმესთან დაკავშირებითაა წამოყენებული. ახალი მტკიცებულებების წარდგენა საკასაციო სასამართლოში დაუშვებელია.[633]

უფრო მკაფიოდ საკასაციო წარმოების მიზნები გამოკვეთილია ავსტრიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით. ამ კოდექსის 502-ე მუხლი შეიცავს კასაციის მიზნების ლეგალურ განმარტებას, რომლის თანახმად სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების წინააღმდეგ კასაცია დაიშვება მხოლოდ მაშინ, თუ მატერიალური ან საპროცესო სამართლის იურიდიული საკითხის გადაჭრაზეა დამოკიდებული გადაწყვეტილების მიღება, რომელსაც ერთიანი სამართლებრივი სისტემის, სამართლებრივი უსაფრთხოების, ან სამართლის განვითარების უზრუნველსაყოფად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, აგრეთვე, რათა არ მოხდეს სააპელაციო სასამართლოს მხრივ უზენაესი სასამართლოს მიერ უზრუნველყოფილი მართლმსაჯულების ერთიანი სისტემის გვერდის ავლა, ან კიდევ, როდესაც ასეთი ერთიანი მართლმსაჯულება ჯერ კიდევ არ არსებობს, ან თუმცა არსებობს მაგრამ არა ერთიანი მართლმსაჯულების სახით.[634]

ამრიგად, ავსტრიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით პირდაპირაა განსაზღვრული კასაციის მიზანი: ერთიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა. ერთიან მართლმსაჯულებაში კი უნდა ვიგულისხმოთ მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმების აზრისა და შინაარსის ერთგვაროვნად გაგება სასამართლოების მიერ.

ავსტრიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსისაგან განსხვავებით გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ შეიცავს კასაციის მიზნის ლეგალურ განმარტებას, მაგრამ კოდექსის იმ

632 Ginchard S., Raynaud P., Nouveau Code de Procedure civile, Dalloz, edition 2002, pages 334-339.

633 Couchez G. Prodecure civile, Dalloz, 9e edition 1996, pages 387-389.

634 Jurisdiktionsnorm und Zivilprozessordnung. Herausgegeben von Dr. Rudolf Stohanzl, 15., Auflage. Wien 2002, S. 1399-1416.

თავის კომენტარში, რომელიც კასაციას ეხება, კერძოდ, მის შესავალში ვკითხულობთ: კასაცია წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვას, იგი არსებითად სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა წინააღმდეგაა მიმართული და აპელაციისგან განსხვავებით იძლევა შესაძლებლობას გადაისინჯოს საქმე მხოლოდ სამართლებრივი თვალსაზრისით. იგი ძირითადად მართლმსაჯულების ერთიანი სისტემის დაცვას ემსახურება, რომელიც თავის მხრივ ხელს უწყობს, როგორც სამართლებრივი უსაფრთხოების განმტკიცებას, ისე სამართლის ცალკეული საკითხების განვითარებას.[635]

უნდა აღინიშნოს, რომ გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში საკითხი კასაციის მიზნის შესახებ სადავოა. არსებობს მოსაზრება, რომ რევიზია (კასაცია) არის სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების საშუალება ამ გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების მიზნით; გასაჩივრების უფლება ეძლევა მხარეს, რომლის მიმართაც გამოტანილია მისთვის არახელსაყრელი გადაწყვეტილება და რომელსაც სურს ამ გადაწყვეტილების შეცვლა ან გაუქმება და მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღება, ხოლო საკასაციო სასამართლოს უფლება არა აქვს უფლებამოსილი მხარის საჩივრის გარეშე შეამოწმოს საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერების საკითხი და ა. შ. ყოველივე ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ კასაციის მიზანი (ზოგიერთის აზრით – უმთავრესი მიზანი) – ესაა მხოლოდ კასატორის ინტერესების დაცვა. სხვანაირად რომ ვთქვათ, კასაცია ემსახურება ინდივიდუალური ინტერესების დაცვას.

გაცილებით უფრო ფართოდაა გავრცელებული და შეიძლება ითქვას, გაბატონებულია შეხედულება, რომლის თანახმად კასაციის ერთადერთი მიზანი არ არის მხარეთა ინტერესების დაცვა. მას ეკისრება მეორე და უფრო უპირატესი მიზნის რეალიზაცია: ერთიანი მართლმსაჯულების ჩამოყალიბება და სამართლის განვითარება.[636]

ცნობილი გერმანელი იურისტი არტურ მეი თავისი ამ პოზიცი-

635 Zivilprozessordnung, kommentar von Prof. Dr. Heinz Thomas, Dr. laus Reichold, Prof. Dr. Hans Putzo, Dr. Rainer Hüsstege, 24., neubearbeitete Auflage, Verlag C. H. Beck, München, 2002, S. 895-896.

636 Die Revision in den zivil und verwaltungsgerichtlichen Verfahren, Eine Systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstrichterlichen Rechtsprechung von Artur May 2., überarbeitete und erweiterte Auflage, Carl Heymanns Verlag, öln, Berlin, München, 1997, S., 20-22.

ის განსამტკიცებლად იშველიებს გერმანიის ფედერაციულ საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელმაც თავის გადაწყვეტილებებში არაერთგზის აღნიშნა, რომ მართლმსაჯულების ერთიანი სისტემის დაცვა საკასაციო სასამართლოს უპირველეს ამოცანას წარმოადგენს. ამასთან ერთად, როგორც ა. მეი აღნიშნავს, საკონსტიტუციო სასამართლომ ეს მოსაზრება შეცვალა და ხაზი გაუსვა საკასაციო სასამართლოს ორგვარ ამოცანას: ერთის მხრივ, მართლმსაჯულების ერთიანი სისტემის დაცვასა და სამართლის განვითარებაზე საჯარო ინტერესს და მეორეს მხრივ, ცალკეულ სამართლიან გადაწყვეტილებაზე მხარეთა ინტერესების დაცვას.[637]

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში, მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა საქართველოს ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი და ახლებურად განისაზღვრა საკასაციო სასამართლოს შინაარსი, კასაციის მიზნის საკითხს მოკლედ შეეხო თვალსაჩინო ქართველი მეცნიერი, პროფესორი თენგიზ ლილუაშვილი. მისი აზრით, საკასაციო სასამართლოს შექმნის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო სასამართლო პრაქტიკის ერთგვაროვნება, კანონების ერთგვაროვნად გაგების უზრუნველყოფა. ამასთან ერთად, ქვეყნის კანონების ერთგვაროვნად გაგება არ არის კასაციის ერთადერთი მიზანი. უფრო მეტიც, კანონების ერთგვაროვნად გაგება შეიძლება განვიხილოთ არა როგორ მიზანი, რისთვისაც არსებობს კასაცია, არამედ როგორც მისი საქმიანობის აუცილებელი თანმხლები შედეგი. კასაციის მიზანი არ შეიძლება იყოს სხვა, თუ არა მხარეთა უფლებების დაცვა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლო შეცდომების გასწორება, რომლებიც შეიძლება დაუშვან მათ ამ კანონმდებლობის გამოყენებისას.[638] ამავე აზრს იზიარებდა ქართველი მეცნიერი გიორგი ქირია, მიუთითებდა რა თავის ნაშრომში, რომ „საკასაციო სასამართლოს ფუნქცია უნდა იყოს კანონების ერთგვაროვნად გამოყენების უზრუნველყოფა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.[639]

როგორც ჩანს, არავინ არ უარყოფს, რომ კასაციას აქვს ორგვარი მიზანი: ინდივიდუალური (კერძო), რაც გამოიხატება მხარის

---

637 იქვე, გვ. 20.

638 ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში, პრაქტიკული სახელმძღვანელო, II გამოცემა, გამომცემლობა „ჯისიაი", 2003 წ., გვ. 302-303.

639 ქირია გ., სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრების თავისებურებანი. ჟურნალი „სამართალი", 1997 წელი, № 9-10, გვ. 76-78.

(კასატორის) ინტერესების დაცვაში, მის მიმართ კანონიერი და იურიდიულად დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებაში, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილება მართლაც კანონის დარღვევით არის გამოტანილი და საჯარო, რაც გამოიხატება ერთიანი მართლმსაჯულების სისტემის დაცვაში, კანონების ერთგვაროვნად გაგების გზით და სამართლის განვითარებაში, რომელიც მიიღწევა არა მარტო კანონების ჭეშმარიტი აზრისა და შინაარსის განსაზღვრით, არამედ კანონმდებლობაში ხარვეზის გამოვლენისა და შემდგომ ამ ხარვეზის საკანონმდებლო წესით შევსების საშუალებით.

სწორი არ არის საკითხის იმდაგვარად დაყენება, თუ რომელი მიზანია მთავარი და ძირითადი და, რომელი არა, რომელი განეკუთვნება უპირატესი მიზნის კატეგორიას და რომელი არა.

კასაციის მიზნების დაყოფა ან გამიჯვნა იმის მიხედვით, თუ რომელი სარგებლობს უპირატესობით, რომელი ძირითადია ან რომელი არა, ან კიდევ, მათი დაყოფა ხარისხებად არ იქნება სწორი. როგორც ინდივიდუალური, ისე საჯარო ინტერესები ერთნაირად მნიშვნელოვანია კასაციის საქმიანობაში.

აქედან გამომდინარე, თუ შეიძლება ვილაპარაკოთ კასაციის, უფრო ზუსტად საქმის საკასაციო წესით წარმოების უპირატეს მიზნებზე, ალბათ უფრო დასაბუთებული იქნება (რა თქმა უნდა, საქართველოს კანონმდებლობის ანალიზიდან გამომდინარე) ითქვას, რომ ასეთ მიზანს წარმოადგენს მხარეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა სასამართლო შეცდომების გასწორების გზით, მაგრამ საკასაციო სასამართლოს მეორე მიზანი, რაც კანონების ერთგვაროვნად გაგებას, სამართლის განვითარებასა[640] და მართლმსაჯულების ერთიანი სისტემის უზრუნველყოფაში გამოიხატება, ასეთივე დონისა და მნიშვნელობის მქონეა.[641]

---

640 ხრუსტალი ვ., სამოსამართლო სამართლის გავლენა სამართლის განვითარებაზე საკასაციო სასამართლოს პრაქტიკის მაგალითზე. ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია", 2003 წელი, № 4 გვ. 49-55.

641 ხრუსტალი ვ. კასაცია სამოქალაქო სამართალწარმოებაში. სადისერტაციო ნაშრომი, 2004 წელი, გვ. 20-28.

§ 3. საკასაციო საჩივრის ობიექტები

ყოველივე ის, რის შესახებაც შეიძლება მხარეებმა მიმართონ საკასაციო საჩივრით საკასაციო სასამართლოს, წარმოადგენს საკასაციო საჩივრის ობიექტს. ამდენად, საკასაციო საჩივრის ობიექტის შესახებ საკითხი არის მეტად მნიშვნელოვანი და ამით შეიძლება აიხსნას ის დიდი ყურადღება, რასაც ამ საკითხის მოწესრიგებას უთმობენ სხვადასხვა ქვეყნის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლები. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ საკასაციო საჩივრის ობიექტის საკითხი, ე.ი. საკითხი იმის შესახებ, თუ რა შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით, არ არის ერთგვაროვნად გადაწყვეტილი სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობით.

მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 542-ე და 543-ე მუხლების თანახმად, საკასაციო საჩივრის ობიექტი შეიძლება იყოს სააპელაციო სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებები, ოღონდ ერთი აუცილებელი პირობით: თუ სააპელაციო სასამართლომ, ან საკასაციო სასამართლომ დაუშვა ასეთი საჩივარი. ამასთან ერთად ეს კოდექსი განსაზღვრავს, თუ რა შემთხვევაში უნდა იქნეს დაშვებული სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრება. ეს შემთხვევებია, როდესაც საქმეს, რომელზეც გამოტანილია გადაწყვეტილება, პრინციპული მნიშვნელობა აქვს, ან კიდევ, საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება აუცილებელია სამართლის განვითარების /სრულყოფის/ ან ერთგვაროვანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფის მიზნით.[642]

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის კანონიერ ძალაში შეუსვლელი გადაწყვეტილებები, შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით.

---

642 гражданское процессуальное уложение Германии, перевод с немецкого, издательство „Wolters Kluwer",2006.

I. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილებები და განჩინებები, როგორც საკასაციო საჩივრის ობიექტები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის თანახმად სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ საკასაციო სასამართლოში.

იბადება კითხვა, რა იგულისხმება გადაწყვეტილებებში, მხოლოდ ის საპროცესო დოკუმენტები, რომლებსაც გადაწყვეტილებები ეწოდება, თუ აგრეთვე სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინებებიც?

თუ კანონის ანბანური განმარტებით ვიხელმძღვანელებთ, ცხადია, რომ საკასაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები და არა განჩინებები. მაგრამ სააპელაციო სასამართლოების მიმართ საკითხი არსებითად უნდა იქნეს განხილული. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე წყდება არსებითად, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილების ფორმით, ხოლო ამავე კოდექსის 284-ე მუხლის თანახმად სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, მიიღება განჩინების ფორმით.

ამრიგად, საკითხი ეხება იმას, თუ რა შემთხვევაში შეიძლება ჩავთვალოთ, რომ „საქმე წყდება არსებითად" და სასამართლომ, სულ ერთია რომელი სასამართლო იქნება იგი – პირველი, სააპელაციო, თუ საკასაციო ინსტანციის სასამართლო – უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება, ხოლო რა შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს, რომ საქმე არსებითად არ წყდება და სასამართლომ უნდა გამოიტანოს არა გადაწყვეტილება, არამედ განჩინება.

იმ შემთხვევაში, როდესაც სააპელაციო სასამართლო იღებს განსახილველად სააპელაციო საჩივარს და განიხილავს მას კანონით დადგენილი წესით, მაშინ მას შეიძლება მოუხდეს სხვადასხვა გადაწყვეტილებების მიღება. კერძოდ, თუ სააპელაციო სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არსებითად სწორია, ფაქტობრივად და იურიდიულად დასაბუთებულია,

ხოლო სააპელაციო საჩივარი დაუსაბუთებელია, სააპელაციო სასამართლოს გამოაქვს თავისი დადგენილება გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ განჩინების ფორმით, მაგრამ თუ ცნობს, რომ სააპელაციო საჩივარი დასაბუთებულია, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება ფაქტობრივად და იურიდიულად დაუსაბუთებელია, მაშინ სააპელაციო სასამართლოს გამოაქვს თავისი დადგენილება ორი სხვადასხვა ფორმით: თუ სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს აბრუნებს უკან ხელახლა განსახილველად, მაშინ მას გამოაქვს განჩინება, მაგრამ თუ იგი საქმეს არ აბრუნებს უკან ხელახლა განსახილველად და თვითონ იღებს დადგენილებას საქმეზე, მაშინ მას ასეთი დადგენილება გამოაქვს გადაწყვეტილების ფორმით.

ორივე შემთხვევაში, როცა სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და აბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, ან კიდევ აუქმებს გადაწყვეტილებას და თვითონ იღებს ახალ გადაწყვეტილებას, სასამართლოს დადგენილებები – ერთ შემთხვევაში განჩინება, მეორე შემთხვევაში გადაწყვეტილება – შეიცავენ არსებით პასუხს სააპელაციო საჩივარზე, ამ საჩივრის მოთხოვნაზე – ცნოს სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებლად და გააუქმოს იგი. სააპელაციო სასამართლოს, როგორც განჩინება გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად უკან დაბრუნების შესახებ, ისე მისი გადაწყვეტილება, შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით. შესაძლებელია დაისვას საკითხი იმის შესახებ, ხომ არ უნდა ეწოდოს სააპელაციო სასამართლოს ნებისმიერ დადგენილებას, რომლითაც არსებითად წყდება საკითხი სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე, ან ასეთ დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება და არა განჩინება.

სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის პროცესში შეიძლება გამოიტანოს ისეთი საპროცესო დოკუმენტი, რომელსაც ეწოდება განჩინება. მაგალითად, სააპელაციო სასამართლომ შეიძლება გამოიტანოს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, განჩინება დამატებითი მტკიცებულებების მიღებაზე უარის თქმის შესახებ, განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ და ა.შ.

საკასაციო საჩივრის შეტანა შეიძლება არა ყველა განჩინებაზე, არამედ მხოლოდ ისეთ განჩინებაზე, რომელიც შეიცავს პასუხს გა-

საჩივრებული გადაწყვეტილების ძალაში (უცვლელად) დატოვების თუ მისი გაუქმების შესახებ.[643]

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ სსსკ-ის 404-ე მუხლის მე-2-ე ნაწილის დანაწესით საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე სააპელაციო სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც წინ უსწრებს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია, თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა.

ამრიგად, სასამართლო გადაწყვეტილებებში (სსსკ-ის 391-ე მუხლი) იგულისხმება არამარტო ის საპროცესო დოკუმენტები, რომლებსაც გადაწყვეტილებები ეწოდება, არამედ აგრეთვე განჩინებებიც, რომლებიც არსებითად წყვეტენ სააპელაციო საჩივრის დასაბუთებულობის, თუ დაუსაბუთებლობის საკითხს, შეიცავენ პასუხს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნაზე.

II. ნაწილობრივი, წინასწარი, დამატებითი და დაუსწრებელი გადაწყვეტილებების საკასაციო წესით გასაჩივრების დასაშვებობა

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს სხვადასხვა სახის გადაწყვეტილებებს, როგორიცაა ნაწილობრივი, წინასწარი, დამატებითი და დაუსწრებელი გადაწყვეტილებები (სსსკ-ის 229-ე-230-ე მუხლები, 245-ე-246-ე მუხლები, 261-ე მუხლი).

შეიძლება თუ არა ამ სახის გადაწყვეტილებების საკასაციო წესით გასაჩივრება? ამ საკითხზე პასუხის გასაცემად მიზანშეწონილია, მოკლედ იქნეს მიმოხილული ზემოთ მითითებული გადაწყვეტილებების შინაარსი.

სსსკ-ის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად მოსარჩელეს შეუძლია ერთ სარჩელში გააერთიანოს ამ სასამართლოს განსჯადი რამდენიმე მოთხოვნა ერთი და იმავე მოპასუხის მიმართ, იმისგან დამოუკიდებლად, ერთსა და იმავე საფუძვლებს ემყარება ეს მოთხოვნები, თუ არა. ასეთ გაერთიანებას უწოდებენ სარჩელების ობიექტურ, ან საგნობრივ გაერთიანებას. ამავე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები ითვალისწინებენ აგრეთვე რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ სარჩელების აღძვრას,

643 თ. ლილუაშვილი. სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „ჯისიაი“, 2005 წელი, გვ. 495-496

აგრეთვე სასამართლოს შეუძლია გააერთიანოს ამ სასამართლოში რამდენიმე მოსარჩელის მიერ აღძრული სარჩელი ერთ წარმოებად. სარჩელების ასეთ გაერთიანებას უწოდებენ სარჩელების სუბიექტურ გაერთიანებას.

ასეთი გაერთიანებული სარჩელების განხილვისას შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ერთ სარჩელში გაერთიანებული რამდენიმე მოთხოვნიდან (სარჩელების ობიექტური გაერთიანების დროს) ერთ-ერთი გარკვეულია, ხოლო სხვები ჯერ კიდევ არაა ბოლომდე გარკვეული. ასეთ შემთხვევაში მხარეთა თხოვნით სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება ერთ-ერთი იმ მოთხოვნის მიმართ, რომლის შესახებ ყველაფერი გარკვეულია და მზადაა გადაწყვეტილების გამოსატანად.

ასეთ გადაწყვეტილებას ეწოდება ნაწილობრივი გადაწყვეტილება, რადგან ნაცვლად გადაწყვეტილებისა ყველა გაერთიანებული მოთხოვნების მიმართ, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება მხოლოდ ნაწილის მიმართ.

იგივე ითქმის ისეთ შემთხვევებზე, როდესაც სარჩელები გაერთიანებულია რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის მიმართ (სუბიექტური გაერთიანება). ასეთ შემთხვევაშიც, თუ საქმის განხილვის პროცესში ყველაფერი გაირკვა მხოლოდ ერთ-ერთი ან ნაწილი მოსარჩელის ან მოპასუხის მიმართ, სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ მოსარჩელის ან მოპასუხის მიმართ, რომლის მიმართაც ყველაფერი გარკვეულია. ასეთ გადაწყვეტილებასაც ეწოდება ნაწილობრივი, რადგან ნაცვლად გადაწყვეტილებისა ყველა მხარის მიმართ, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება მხოლოდ ნაწილის მიმართ.

სსსკ-ის 188-ე მუხლის თანახმად მოპასუხეს შეუძლია აღძრას მოსარჩელის წინააღმდეგ შეგებებული სარჩელი „პირვანდელ სარჩელთან ერთად განსახილველად". ასეთი განხილვის შედეგად სასამართლოს გამოაქვს ერთობლივი გადაწყვეტილება, მაგრამ შეიძლება მათი ერთობლივად განხილვის შედეგად აღმოჩნდეს, რომ ერთ-ერთის მიმართ – სარჩელის ან შეგებებული სარჩელის მიმართ, ყველაფერი გარკვეულია და იგი მზადაა გადაწყვეტილების გამოსატანად, ხოლო მეორე ჯერ კიდევ არ არის მზად ამისათვის. ასეთ შემთხვევაშიც დაინტერესებული მხარის თხოვნით სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება, რომელსაც ნაწილობრივი გადაწყვეტილება ეწოდება, რადგან იგი გამოტანილია არა ორივე

(სარჩელი, შეგებებული სარჩელი) სარჩელის მიმართ, არამედ მხოლოდ ერთ-ერთის მიმართ.

ამრიგად, ნაწილობრივი გადაწყვეტილება, რამდენადაც იგი გამოტანილია სრულიად გარკვეული მოთხოვნის მიმართ, ან სრულიად გარკვეული მოსარჩელის თუ მოპასუხის მიმართ, არის დასრულებული გადაწყვეტილება ამ მოთხოვნისა თუ მხარის მიმართ და სხვა გაერთიანებული მოთხოვნებისა თუ მხარეების მიმართ საქმის განხილვისას უკვე გადაწყვეტილი მოთხოვნები ხელმეორედ აღარ განიხილება.

ყოველივე ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსაზრებას, რომ საქმე გვაქვს დასრულებულ გადაწყვეტილებასთან და იგი შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით.

რაც შეეხება წინასწარ (შუალედურ) გადაწყვეტილებას, ასეთი გადაწყვეტილება განსახილველ კონკრეტულ საქმეზე არაა დასრულებული, ანუ საბოლოო გადაწყვეტილება; იგი უფრო სანახევრო გადაწყვეტილებაა, რადგან შეიცავს პასუხს სარჩელის მხოლოდ ერთ-ერთი ელემენტის, კერძოდ, მისი საფუძვლის, ანუ სასარჩელო მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძვლის მიმართ და არა სარჩელის საგნის, იგივე – სასარჩელო მოთხოვნის მიმართ.

რადგან წინასწარი გადაწყვეტილება ადგენს სასარჩელო მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძველს, ბუნებრივია იბადება კითხვა: დასაშვებია თუ არა ასეთი გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრება, მაშინ, როდესაც საკასაციო სასამართლო მოწოდებულია შეამოწმოს მხოლოდ გადაწყვეტილების სამართლებრივი მხარე, მისი იურიდიული დასაბუთებულობა. ამ შეკითხვას დადებითად უნდა ვუპასუხოთ. წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილება საჩივრდება, როგორც სააპელაციო, ისე საკასაციო წესით /სსსკ-ის 246-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადება, 391-ე მუხლი/.

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 304-ე მუხლის თანახმად, თუ სადავოა მოთხოვნის, როგორც ფაქტობრივი საფუძველი, ისე მოთხოვნის მოცულობა, სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს შუალედური გადაწყვეტილება ფაქტობრივი საფუძვლის შესახებ. ეს გადაწყვეტილება ექვემდებარება გასაჩივრებას, როგორც საბოლოო გადაწყვეტილება.[644]

სსსკ-ის 261-ე მუხლი ითვალისწინებს დამატებითი გად-

644 гражданское процессуалъное уложение Германии, перевод с немецкого, издателъство „Wolters Kluwer",2006.

აწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას. დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის აუცილებლობა შეიძლება წამოიჭრას, როგორც პირველი ინსტანციით საქმის განმხილველ სასამართლოში, ისე სააპელაციო სასამართლოში. დამატებითი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში იმ წესით და იმ ვადებში როგორც ძირითადი გადაწყვეტილება /სსსკ-ის 264-ე მუხლი/ და მისი გასაჩივრება შეიძლება იმავე წესით, რა წესითაც ძირითადი გადაწყვეტილება სსსკ-ის 369-ე მუხლი/.[645] სსსკ-ის 261-ე მუხლის მეოთხე ნაწილის მითითება იმის შესახებ, რომ დამატებითი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით, არ უნდა გავიგოთ ვიწროდ, რადგან იგი ჩვეულებრივი გადაწყვეტილებაა და როგორც სააპელაციო, ისე საკასაციო გასაჩივრების ობიექტია[646].

რაც შეეხება დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, სსსკ-ის 392-ე მუხლის მეორე ნაწილის დანაწესის მიხედვით, საკასაციო საჩივარი დასაშვებია მხოლოდ ისეთი დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიმართ, რომელიც გამოტანილია განმეორებით დაუსწრებლობის შემდეგ, რის გამოც იგი აღარ შეიძლება გასაჩივრდეს ამ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში. ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება კასაციის წესით გასაჩივრდეს მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ არ არსებობდა სათანადო სამართლებრივი წანამძღვრები. სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ზ" ქვეპუნქტის დანაწესით საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

III. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს და მაგისტრატი მოსამართლის გადაწყვეტილებათა საკასაციო წესით გასაჩივრების („პირდაპირი" ანუ „ნახტომისებური კასაცია") დაუშვებლობა

იმ ქვეყნებში, სადაც არსებობს სამსაფეხურიანი სასამართლო სისტემა (პირველი ინსტანცია, აპელაცია, კასაცია), საკასაციო

---

645 თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი. მეორე გამოცემა. გამომცემლობა „სამართალი" . 2007 წელი. გვ.457-458

646 შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი. მეორე გამოცემა. გამომცემლობა „მერიდიანი". 2015 წელი. გვ. 600,688

წესით შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებები.

მაგალითად, ავსტრიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით საკასაციო წესით შეიძლება გადაისინჯოს მხოლოდ სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებები, თუ ეს გადაწყვეტილებები საჭიროებენ ასეთ გადასინჯვას მატერიალურ სამართლებრივი, ან საპროცესო სამართლებრივი თვალსაზრისით (ავსტრიის სსკ-ის 502-ე მუხლი).[647] რაიმე გამონაკლისებს სხვა ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებათა საკასაციო წესით გადასინჯვის შესაძლებლობაზე ეს კოდექსი არ ითვალისწინებს.

საფრანგეთის ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით საკასაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ წინა ინსტანციაში მიღებული გადაწყვეტილება (საფრანგეთის სსკ-ის 605-ე მუხლი).[648]

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 566-ე მუხლის თანახმად პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოტანილი გადაწყვეტილება, შუამდგომლობის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოში განხილვის გარეშე შეიძლება უშუალოდ საკასაციო წესით იქნეს განხილული.[649]

ამასთან ერთად, კანონმდებლობით ზუსტად და ამომწურავადაა განსაზღვრული პირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაში შეიძლება დაშვებულ იქნეს პირველი ინსტანციის სასამართლოთა გადაწყვეტილებების სააპელაციო სასამართლოს გვერდის ავლით („პირდაპირი" ანუ „ნახტომისებური კასაცია") უშუალოდ საკასაციო წესით გადასინჯვა. ეს პირობებია: 1. მოწინააღმდეგე მხარის თანხმობა სააპელაციო წესით გადასინჯვის გამოტოვებაზე და უშუალოდ საკასაციო სასამართლოში საჩივრით მიმართვაზე და 2. საკასაციო სასამართლოს თანხმობა დაუშვას პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საჩივარი განსახილველად. გერმანიის სსკ-ის 566-ე მუხლი შეიცავს აგრეთვე იმ პირობებზე მითითებას, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს საკასაციო სა-

647 Jurisdiktionsnorm und Zivilprozessordnung, Herausgegeben von Dr. Rudolf Stohanzl, 15.,völlig neu bearbeitete Auflage,Manzsche Verlags- und Univarsitätsbuchhandlung,Wien, 2002, S.1410.

648 Ginchard S., Raynaud P., Nouveau Code de Procedure civile, Dalloz , edition 2002, pages 339-340

649 гражданское процессуальное уложение Германии, перевод с немецкого, издательство «Wolters Kluwer". 2006.

სამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივრის დაშვების საკითხის გადაწყვეტისას, აგრეთვე მითითებას შედეგებზე, რომლებიც უკავშირდება ასეთი საჩივრის დაშვებას ან არ დაშვებას. „პირდაპირი" ანუ „ნახტომისებური კასაცია" დაიშვება, თუ საქმეს პრინციპული მნიშვნელობა აქვს, ან კიდევ, საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება აუცილებელია სამართლის განვითარების /სრულყოფის/, ან ერთგვაროვანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფის მიზნით/გერმანიის სსკ-ის 543-ე მუხლი/. გერმანიის სსკ-ის 566-ე მუხლის კომენტატორები მიუთითებენ, რომ „საკასაციო სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე შეტანილი საკასაციო საჩივრის განხილვის მიზანია პროცესის დაჩქარება, თუ განსახილველი საქმის ფაქტობრივი გარემოებები უდავოა, არ საჭიროებს შემდგომ ახსნა-განმარტებას და გადაწყვეტილება მხოლოდ სამართლებრივი საკითხების შეფასებაზეა დამოკიდებული". [650]

როგორია ამ მხრივ საქართველოს კანონმდებლობის პოზიცია?

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის თანახმად საკასაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები.

რაც შეეხება რაიონული (საქალაქო) სასამართლოსა და მაგისტრატი მოსამართლის გადაწყვეტილებებს, რომელთა გასაჩივრება დასაშვებია სააპელაციო წესით, მათი გასაჩივრება სააპელაციო სასამართლოს გვერდის ავლით უშუალოდ საკასაციო სასამართლოში დაუშვებელია. ეს იმას ნიშნავს, რომ ე.წ. „პირდაპირი" ანუ „ნახტომისებური კასაცია" საქართველოს კანონმდებლობით არაა გათვალისწინებული და დაუშვებელია. ამ პოზიციას ანვითარებს საქართველოს უზენაესი სასამართლოც. სამოქალაქო საქმეთა პალატამ თავის ერთ-ერთ განჩინებაში მიუთითა, რომ საკასაციო სასამართლო განიხილავს მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების (განჩინების) კანონიერებას.[651]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ საბოლოო დასკვნა საკასაციო საჩივრის ობიექტის შესახებ.

---

650 Zivilprozessordnung, kommentar von Prof. Dr. Heinz Thomas, Dr. laus Reichold, Prof.Dr.Hans Putzo, Dr. Rainer Hüsstege, 24., neubearbeitete Auflage, Verlag C. H. Beck, München, 2002, S.925-926.

651 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2003 წლის 21 იანვრის განჩინება, საქმე №3კ/1295-02.

საკასაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს:

1. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება;

2. სააპელაციო სასამართლოს განჩინება – სააპელაციო საჩივარზე უარის თქმისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ;

3. სააპელაციო სასამართლოს განჩინება გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების შესახებ;

4. სააპელაციო სასამართლოს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება;

5. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ – ამ დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან ერთად;

6. ნაწილობრივი, წინასწარი /შუალედური/ და დამატებითი გადაწყვეტილებები;

7. საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე სააპელაციო სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც წინ უსწრებს სააპელაციო სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა.[652]

§ 4. საკასაციო საჩივრის უფლების მქონე სუბიექტები

საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ გვევლინება საკასაციო საჩივრის უფლების მქონე სუბიექტებად, ანუ ვის შეუძლია გაასაჩივროს საკასაციო წესით გადაწყვეტილება, წარმოადგენს უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს არამარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული თვალსაზრისითაც. საჩივრის შეტანა ისეთი პირის მიერ, ვისაც ამის უფლება არა აქვს, არის ამ საჩივრის მიღებაზე უარის თქმის, უფრო ზუსტად, საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი. სსსკ-ის 391-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ საკასაციო სასამართლოში.

652 ვ. ხრუსტალი, საკასაციო საჩივრის ობიექტი. თეორიული და პრაქტიკული ასპექტები. ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი", № 1, 2020 წელი, გვ. 20-28.

მიზანშეწონილია მოკლედ შევეხოთ მესამე პირთა საპროცესო მდგომარეობას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულია ორი სახის მესამე პირი: მესამე პირი, რომელიც აცხადებს დამოუკიდებელ სასარჩელო მოთხოვნას დავის საგანზე და მესამე პირი – დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე. სასარჩელო წარმოების დროს ყოველთვის გვყავს ორი ურთიერთდაპირისპირებული მხარე – მოსარჩელე და მოპასუხე. განსაზღვრულია ასევე დავის საგანი, ესე იგი ის, რის გამოც ეს ორი მხარე უპირისპირდება ერთმანეთს, ვერ შეთანხმებულან ერთმანეთთან და ამიტომ იძულებული გამხდარან მიემართათ სასამართლოსთვის, რათა მან გადაჭრას მათ შორის არსებული დავა. ზოგჯერ მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე, ან კიდევ ორივე მხარეზე რამდენიმე პირი (თანამონაწილეები – თანამოსარჩელეები, თანამოპასუხეები) გამოდის. მაგრამ ეს პრინციპულად არაფერს არ ცვლის. ადგილი აქვს მხოლოდ მხარეთა რაოდენობრივ ზრდას: მოსარჩელის მხარეზე გამოდის ერთი კი არა, არამედ რამდენიმე პირი, ხოლო მოპასუხის მხარეზე – ასევე რამდენიმე პირი. ორი ურთიერთდაპირისპირებული მხარე კი იგივე რჩება. მაგრამ ზოგჯერ სამოქალაქო საქმის განხილვის პროცესი რთულდება იმით, რომ ამ პროცესში შემოდის პირი, რომლის ინტერესები არ ემთხვევა არც მოსარჩელის და არც მოპასუხის ინტერესებს. იგი ებმება პროცესში თავისი უფლების დასაცავად. ამრიგად, მესამე პირი – დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით ეს ისეთი პირია, რომელიც შემოდის მხარეთა შორის უკვე დაწყებულ პროცესში თავისი საკუთარი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, რომლებიც არამარტო არ ემთხვევა, არამედ პირიქით ეწინააღმდეგება კიდეც მხარეების (მოსარჩელის, მოპასუხის) ინტერესებს.[653]

როგორც უკვე აღინიშნა, მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, ეს ის პირები არიან, რომლებმაც განაცხადეს თავიანთი დამოუკიდებელი მოთხოვნა დავის საგანზე. თითოეულ დაინტერესებულ პირს, რომელიც აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე ან მის ნაწილზე, შეუძლია აღძრას სარჩელი ორივე ან ერთ-ერთი მხარის მიმართ მხარეთა პაექრობის დაწყებამდე. მაგრამ მხოლოდ სარჩელის აღძვრა (წარდგენა) არ კმარა, ასევე

653 თ. ლილუაშვილი, გ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, ზ. ძლიერიშვილი. სამოქალაქო საპროცესო სამართალი, პირველი ნაწილი, 2014 წელი, გამომცემლობა სამართალი. გვ. 150-151.

საჭირო და აუცილებელია, რომ სასამართლომ მიიღოს წარმოებაში ეს სარჩელი.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მესამე პირის სარჩელი არის სარჩელი და მას წაეყენება ყველა ის მოთხოვნა, რაც საერთოდ სარჩელს. მისი მიღება და განხილვა ხდება სარჩელების მიღების შესახებ საერთო წესების დაცვით. კერძოდ, სასამართლომ უნდა შეამოწმოს მისი დასაშვებობის საკითხი და მიიღოს წარმოებაში, თუ არსებობს დასაშვებობის ანუ სარჩელის წარმოებაში მიღების ყველა წინაპირობა. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ჩაითვალოს პირი, მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით და სწორედ ასეთ პირს შეიძლება მიეცეს უფლება საკასაციო წესით გაასაჩივროს გადაწყვეტილება. მესამე პირის სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლე გამოიტანს დასაბუთებულ განჩინებას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად ეს განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით.

რაც შეეხება მესამე პირს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე – ესაა საქმის შედეგით იურიდიულად დაინტერესებული პირი. იურიდიული ინტერესი კი დაკონკრეტებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 89-ე მუხლით, კერძოდ სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც გამოტანილია კონკრეტული მოსარჩელისა და მოპასუხის მიმართ, შეუძლია შემდგომში გავლენა მოახდინოს ასეთი მესამე პირის უფლებებსა და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ.[654]

იბადება კითხვა: ხომ არ იქნება მიზანშეწონილი იმ საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება, რომლის განხილვაშიც მონაწილეობდა მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, ამ პირმა გაასაჩივროს სააპელაციო, თუ საკასაციო წესით?

ეს საკითხი დადებითად უნდა გადაწყდეს: რადგან საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებას შეუძლია გავლენა მოახდინოს ასეთი მესამე პირის უფლებებსა და მოვალეობებზე. მას უნდა შეეძლოს გაასაჩივროს გადაწყვეტილება, მითუმეტეს, რომ ამ გადაწყვეტილებას შესაძლებელია ჰქონდეს პრეიუდიციული მნიშვნელობა მომა-

654 დაწვრილებით ამ საკითხზე ნახეთ: ქ. გაბელაია, მესამე პირები სამოქალაქო სამართლის პროცესში. თენგიზ ლილუაშვილის 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, გამომცემლობა „ჯისიაი“, 2003 წელი, გვ. 256-272.

ვალში მის წინააღმდეგ აღძრული რეგრესული სარჩელის განხილვისა და გადაწყვეტის დროს.

ასეთი მნიშვნელობა გადაწყვეტილებას მხოლოდ იმ შემთხვევაში ენიჭება, თუ მესამე პირი დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მონაწილეობდა საქმის განხილვაში, ან მოწვეული იყო საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად. აქედან გამომდინარე, გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება უნდა მიეცეს მხოლოდ ისეთ მესამე პირს დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, რომელიც ჩაბმული იყო პროცესში და მონაწილეობდა, ან შეეძლო მონაწილეობა მიეღო საქმის განხილვაში. ამ მოსაზრების მართებულობას ადასტურებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 91-ე მუხლის დანაწესი, რომლის მიხედვით მესამე პირები, რომლებიც არ აცხადებენ დამოუკიდებელ მოთხოვნებს დავის საგანზე, სარგებლობენ მხარეთა საპროცესო უფლებებით და მათ ეკისრებათ მხარეთა საპროცესო მოვალეობები, გარდა უფლებისა, გაადიდონ ან შეამცირონ სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა, შეცვალონ სარჩელის საფუძველი ან საგანი, ცნონ სარჩელი, უარი თქვან სარჩელზე ან მორიგდნენ, აღძრან შეგებებული სარჩელი, მოითხოვონ სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება. ამ ჩამონათვალში მითითებული არ არის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების არქონა.

საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში და იურიდიულ ლიტერატურაში დაისვა საკითხი იმის შესახებ, შეუძლიათ თუ არა გაასაჩივრონ გადაწყვეტილება იმ პირებმა, რომლებიც არ გამოდიან პროცესში მხარეებად და, რომლებსაც არ ეხებათ უშუალოდ გადაწყვეტილება, თუმცა არაპირდაპირ არღვევს კიდეც ან ეწინააღმდეგება მათ ინტერესებს.

ნებისმიერ პირს, რომელსაც მიაჩნია, რომ სასამართლო გადაწყვეტილებით, რომელიც გამოტანილია სხვა პირების მიმართ, შეილახა მათი უფლებები, ან კანონიერი ინტერესები, შეუძლია აღძრას სარჩელი სასამართლოში ამ უფლების დასაცავად. სხვა პირების მიმართ ადრე გამოტანილ გადაწყვეტილებას პრეიდიციული ძალა არა აქვს, ასეთი ძალა გადაწყვეტილებას აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სხვა საქმის განხილვისას იგივე პირები მონაწილეობენ, მაგრამ თუ საქმეში ერთ-ერთი მხარე სხვა პირია გადაწყვეტილებას პრეიუდიციული ძალა არ აქვს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლის თანახმად გადაწყვეტილების

კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლეებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი. ამავე კოდექსის 106-ე მუხლის თანახმად მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში წამოიჭრა საკითხი იმის შესახებ, რომ ზოგჯერ მოსარჩელეს და მოპასუხეს შორის გამოტანილი გადაწყვეტილება არაპირდაპირ კი არ შეეხო იმ პირის უფლებებს, რომელიც პროცესში არ მონაწილეობდა, არამედ ეს პირი პირდაპირ მოხსენიებულია გადაწყვეტილებაში და განისაზღვრა მისი ვალდებულებები საქმეში მონაწილე რომელიმე პირის მიმართ. ასეთ შემთხვევაში პირს, რომელსაც პროცესში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ მოხსენიებულია გადაწყვეტილებაში, უნდა მიეცეს უფლება გაასაჩივროს გადაწყვეტილება. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა გამართლებულია იმით, რომ სასამართლო გადაწყვეტილებამ ჩათვალა საქმისათვის გარეშე ეს პირი ერთ-ერთ მხარედ და განსაზღვრა მისი უფლებები და მოვალეობები, ისე თითქოს იგი მონაწილეობდა საქმის განხილვაში. ამიტომ, ასეთი გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება უნდა მიეცეს ამ პირს, ხოლო გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს, ვინაიდან იგი მიღებულია საპროცესო კანონის უხეში დარღვევით (სსსკ-ის 394-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი).[655]

სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ შეიძლება მოხდეს ცვლილებები, გამოწვეული იმით, რომ მხარე, თუ იგი ფიზიკური პირია, გარდაიცვალა, ან, თუ იგი იურიდიული პირია მოხდა მისი რეორგანიზაცია, ადგილი აქვს მოთხოვნის დათმობას, ვალის გადაცემას და სხვა. ასეთ შემთხვევაში წარმოიშობა უფლებამონაცვლეობა. საპროცესო უფლებამონაცვლეობა გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექ-

655 თ. ლილუაშვილი. სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში, პრაქტიკული სახელმძღვანელი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „ჯისიაი“, 2001 წელი, გვ. 305-306.

სის 92-ე მუხლით. ამ მუხლის თანახმად სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. „უფლებამონაცვლეობა შესაძლებელია პროცესის ყოველ სტადიაზე", რაც იმას ნიშნავს, რომ უფლებამონაცვლეობის აუცილებლობა შეიძლება წარმოიშვას საკასაციო გასაჩივრებამდე და საქმის საკასაციო წესით გასაჩივრების შემდეგაც – ამ საჩივრის განხილვამდე.

თუ უფლებამონაცვლეობის აუცილებლობა წარმოიშვა საკასაციო გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ,უფლებამონაცვლეს აღარ შეუძლია შეიტანოს საკასაციო საჩივარი, მაგრამ, თუ უფლებამონაცვლეობის აუცილებლობა წარმოიშვა საკასაციო გასაჩივრების ვადაში, მაშინ უფლებამონაცვლეს შეუძლია ამ ვადის გასვლამდე შეიტანოს საკასაციო საჩივარი, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს უფლებამონაცვლეობის დამადასტურებელი საბუთები. არ არის გამორიცხული, რომ უფლებამონაცვლეობის დადგენილი წესით გაფორმება ვერ ესწრება, ხოლო საკასაციო წესით გასაჩივრების ვადა იწურება. ასეთ შემთხვევაში, სავარაუდო უფლებამონაცვლეს შეუძლია შეიტანოს საკასაციო საჩივარი, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს უფლებამონაცვლეობის წარმოშობის საფუძვლის დამადასტურებელი საბუთი (მხარის გარდაცვალების, ან იურიდიული პირის რეორგანიზაციის შესახებ ცნობა, მოთხოვნის დათმობის ან ვალის გადაცემის შესახებ ხელშეკრულება და სხვა) და სთხოვოს საკასაციო სასამართლოს შეაჩეროს ამ საკასაციო საჩივრის განხილვა უფლებამონაცვლეობის გაფორმებამდე. უნდა აღინიშნოს, რომ უფლებამონაცვლეობის ვარაუდის საფუძველზე საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია განიხილოს საკასაციო საჩივარი. ამით არის განპირობებული სავარაუდო უფლებამონაცვლის საკასაციო საჩივრის განხილვის შეჩერების აუცილებლობა, რაც უნდა განხორციელდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტის ანალოგიის საფუძველზე. ეს ქვეპუნქტი გულისხმობს საქმის წარმოების შეჩერებას იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოება გახსნილია, ესე იგი საკასაციო საჩივარი შეტანილია მხარის მიერ და მის განხილვამდე წამოიჭრა უფლებამონაცვლეობის აუცილებლობა. ჩვენს მიერ აღწერილ შემთხვევაში კი უფლებამონაცვლეობის საფუძველი არსებობს, მაგრამ უფლებამონაცვლე ვერ ასწრებს უფლებამონაცვლეობის გაფორმებას და ისე

შეაქვს საკასაციო საჩივარი. სწორედ ამით არის განპირობებული სსსკ-ის 279-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის ანალოგიით გამოყენების აუცილებლობა.[656]

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ დაუშვებლად ცნო უფლებამონაცვლეობა მხოლოდ ვარაუდის ან კასატორის სიტყვიერი განცხადების საფუძველზე.[657]

მართლაც ისეთი პირის უფლებამონაცვლედ აღიარებამ, რომელსაც არ გააჩნია სათანადოდ გაფორმებული და დამაჯერებელი მტკიცებულებები, შეიძლება უაღრესად სერიოზული შეცდომები გამოიწვიოს, სრულიად გაუმართლებელი ზიანი მიაყენოს ამა თუ იმ პირის კანონიერ ინტერესებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის თანახმად მხარეებს შეუძლიათ საქმე აწარმოონ სასამართლოში პირადად, აგრეთვე წარმომადგენლის მეშვეობით. შეუძლიათ თუ არა მხარეთა წარმომადგენლებს გაასაჩივრონ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით? წარმომადგენლობა სასამართლოში ავტომატურად ანიჭებს პირს ფართო უფლებამოსილებას, რომელთა ჩამოთვლა მინდობილობაში არ არის საჭირო. ამასთან ერთად, არის ისეთი უფლებამოსილებანიც, რომელიც არ გააჩნია წარმომადგენელს და იმისათვის, რომ ასეთი უფლებამოსილებით ისარგებლოს, ამისათვის სპეციალური აღნიშვნაა საჭირო მინდობილობაში. ძირითადად ეს უფლებამოსილებები დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარეობენ. იმ უფლებამოსილებათა შორის, რომელთა შესახებ სპეციალური მინდობილობაა საჭირო, არის სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება (სსსკ-ის 98-ე მუხლის პირველი ნაწილი). თუ ასეთი სპეციალური მინდობილობა არ არსებობს, წარმომადგენელს არ შეუძლია შეიტანოს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ერთ-ერთ საქმეზე მართებულად განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლი ადგენს იმ საპროცესო მოქმედებების ამომწურავ ჩამონათვალს, რომელთა შესრულების უფლებაც არა აქვს წარმომადგენელს სპეციალური მინდობილო-

---

656 ვ. ხრუსტალი. კასაცია სამოქალაქო სამართალწარმოებაში. სადისერტაციო ნაშრომი. 2004 წელი. გვ. 43-51

657 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2003 წლის 29 მაისის განჩინება, საქმე №3კ/1027-01.

ბის გარეშე. იმისდა მიუხედავად, თუ რომელი დოკუმენტის (მინდობილობის თუ ორდერის) საფუძველზე ახორციელებს ადვოკატი წარმომადგენლობას, ყველა შემთხვევაში, დასახელებულ ნორმაში მითითებულ მოქმედებათა შესრულება მას შეუძლია მხოლოდ მაშინ, როდესაც მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში სპეციალურადაა აღნიშნული ამ მოქმედებათა შესრულებისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ. ეს საპროცესო მოქმედებები უკავშირდება მარწმუნებლის მიერ თავისი მატერიალურ-სამართლებრივი უფლების განკარგვას და ამიტომ, მათ შესახებ სპეციალურად უნდა იყოს აღნიშნული მინდობილობაში. ეს იმას ნიშნავს, რომ ორდერის საფუძველზე ადვოკატს შეუძლია შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, რაც არ არის მითითებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლში, და რომელთა შესრულება შეუძლია თვითონ მარწმუნებელს.[658]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა – სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებების საკასაციო წესით გასაჩივრების უფლება აქვთ:

1. მხარეებს – მოსარჩელეს, მოპასუხეს, თანამონაწილეებს (თანამოსარჩელეებს, თანამოპასუხეებს).

2. მესამე პირებს – დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით.

3. პირებს – რომლებიც არ იყვნენ ჩაბმული პროცესში არც მხარეებად, არც თანამონაწილეებად და არც მესამე პირებად, მაგრამ სასამართლო გადაწყვეტილებამ განსაზღვრა მათი უფლებები და მოვალეობები ერთ – ერთი მხარის მიმართ.

4. უფლებამონაცვლეებს – ესე იგი პირებს, რომლებმაც შეცვალეს მხარე სადავო, ან სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან მისი გასვლის გამო.

ზემოაღნიშნულ პირთა წარმომადგენლებს შეუძლიათ გაასაჩივრონ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები საკასაციო წესით, თუ ამის შესახებ მითითებულია მათ სახელზე მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში (სსსკ-ის 98-ე მუხლის პირველი ნაწილი). [659]

---

658 სუსგ 2014 წელი, №12, გვ. 26-32.

659 ვ. ხრუსტალი, საკასაციო საჩივრის უფლების მქონე სუბიექტები. ჟურნალი „თემიდა“, 2016 წელი, № 10, გვ. 3-8.

§ 5. საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებისა და დასაშვებობის წანამძღვრები (წინაპირობები)

I საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების წანამძღვრები

1. საკასაციო საჩივრის შეტანა უფლებამოსილი პირის მიერ.

„საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" საქართველოს 2005 წლის 23 ივნისის კანონით ერთმანეთისგან მკვეთრად გაიმიჯნა საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებისა და საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წანამძღვრები (წინაპირობები).[660]

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის დანაწესით საკასაციო საჩივრის შეტანის უფლება აქვთ მხარეებს, ე.ი. მოსარჩელეს, მოპასუხეს, მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, აგრეთვე თანამონაწილეებს, ანუ თანამოსარჩელეებს და თანამოპასუხეებს.

თუ კასატორი, ე.ი. პირი, რომელმაც შეიტანა საკასაციო საჩივარი, აქ ჩამოთვლილ პირთა არცერთ კატეგორიას არ მიეკუთვნება, საკასაციო სასამართლომ ამ პირისაგან არ უნდა მიიღოს საკასაციო საჩივარი განსახილველად, რადგან იგი შეტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ და, მაშასადამე, არ არსებობს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობა. ასეთ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს გამოაქვს განჩინება „საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ", რომელიც ისე, როგორც საკასაციო სასამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილება თუ განჩინება, დაუყოვნებლივ შედის კანონიერ ძალაში და არ შეიძლება გასაჩივრდეს.

სადავოა საკითხი იმის შესახებ, აქვს თუ არა საკასაციო საჩივრის შეტანის უფლება ისეთ პირს, რომელიც მართალია არ მონაწილეობდა საქმეში როგორც მხარე ან მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, მაგრამ ამ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებით განისაზღვრა მისი უფლებები ან მოვალეობები ერთ-ერთი მხარის მიმართ (მიეკუთვნა რაიმე ქონება, ან დაეკისრა ერთ-ერთი მხარის მიმართ ქონების (ნივთების) გადაცემა, რაიმე კონკრეტული მოქმედების შესრულება და ა.შ.).

---

660 საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. სსმ, 36, 11/07/2005

როგორც ზემოთ აღინიშნა, თუ პირი, რომელიც საერთოდ არ იყო ჩაბმული საქმეში მოპასუხედ, თანამოპასუხედ და არც სარჩელი შეუტანია დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნით, მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, იგი მოხსენიებულია გადაწყვეტილებაში და დაევალა რაიმე მოქმედების შესრულება ერთ-ერთი ან ორივე მხარის მიმართ, ასეთ პირს უნდა მიეცეს უფლება გაასაჩივროს გადაწყვეტილება საკასაციო წესით.[661]

2. საკასაციო საჩივრის შეტანა კანონით დადგენილ ვადაში

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის შეტანის ვადას. ეს ვადა არის 21 დღე, რომლის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და მისი დენა იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან, ხოლო თუ დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება საკასაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, მაშინ საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრების ვადის ათვლისას სსსკ-ის 397-ე მუხლის გარდა, ამავე კოდექსის 259[1] მუხლიც უნდა იქნეს გათვალისწინებული. იმ შემთხვევაში, თუ სხდომის ოქმიდან არ ჩანს დასაბუთებული გადაწყვეტილება იქნა გამოცხადებული თუ მხოლოდ მისი სარეზოლუციო ნაწილი, ან სხვაგვარად ეჭვქვეშ დგება დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადების საკითხი, როცა სსსკ-ის 249-ე მუხლის მოთხოვნათა დაუცველად გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში, ასევე, ამავე კოდექსის 288-ე მუხლის „მ“ პუნქტის შესაბამისად – სხდომის ოქმში განმარტებული არ არის გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი, მაშინ მხარეს სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება ყოველთვის უნდა ჰქონდეს მის მიერ ამ გადაწყვეტილების ასლის მიღების დღიდან. იმ შემთხვევაში კი, თუ საქმის მასალებით ვერ ხერხდება გასაჩივრებული გადაწყვეტილების ასლის მხარეზე ჩაბარების ზუსტი თარიღის დადგენა, ზოგადსამართლებრივი პრინციპებიდან გამომდინარე, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ყველა ეჭვი უნდა

661 ხრუსტალი ვ. საკასაციო საჩივრის უფლების მქონე სუბიექტები. ჟურნალი „თემიდა“, 2016 წელი, №10, გვ. 3-8.

გადაწყდეს საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირის სასარგებლოდ, ანუ გასაჩივრების ვადა არ უნდა იქნეს მიჩნეული გასულად (სუსგ 2003 წ. №6, გვ. 1588).[662]

3. საკასაციო საჩივრის შინაარსის შესაბამისობა კანონის მოთხოვნებთან.

სსსკ-ის 396-ე მუხლის თანახმად, გარდა იმ სავალდებულო რეკვიზიტებისა, რომლებსაც უნდა შეიცავდეს ნებისმიერი წერილობითი საჩივარი, შუამდგომლობა, განცხადება თუ სარჩელი, რომელთა ადრესატი სასამართლოა, საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს აგრეთვე: 1) მითითებას იმის თაობაზე, თუ გადაწყვეტილების რა ნაწილია გასაჩივრებული; 2) მითითებას, თუ რა მოცულობით საჩივრდება გადაწყვეტილება, გასაჩივრების საფუძვლებს (კასაციის მიზეზები) და განმარტებას იმის თაობაზე, მოითხოვს თუ არა მომჩივანი გადაწყვეტილების გაუქმებასა თუ შეცვლას (კასაციის განაცხადი); 3) მითითებას იმ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევას, თუ საკასაციო საჩივარი საპროცესო ნორმების დარღვევას ემყარება; 4) საკასაციო საჩივარი შეიძლება შეიცავდეს აგრეთვე მითითებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების ნორმებსა და მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან შეუსაბამობის შესახებ.

საკასაციო საჩივარში მითითებას იმის თაობაზე, თუ გადაწყვეტილების რა ნაწილია გასაჩივრებული და რა მოცულობით საჩივრდება გადაწყვეტილება, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ვინაიდან, საკასაციო სასამართლო შეზღუდულია საკასაციო საჩივრის ფარგლებით, რაზედაც პირდაპირაა მითითებული სსსკ-ის 404-ე მუხლში, რომლის იმპერატიული დანაწესის თანახმად „საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში". ცხადია, სასამართლომ ზუსტად უნდა იცოდეს რას მოითხოვს კასატორი. ამის დადგენის ერთადერთ წყაროს წარ-

662 ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი. მეორე გამოცემა (შევსებული და გადამუშავებული), გამომცემლობა „მერიდიანი", 2015 წელი, გვ. 687.

მოადგენს საკასაციო საჩივარი. ამიტომ, თუ საკასაციო საჩივარი ისეა შედგენილი, რომ ძნელია ან შეუძლებელია იმის დადგენა, თუ გადაწყვეტილების რა ნაწილს და რა მოცულობით ასაჩივრებს კასატორი, ეს უნდა ჩაითვალოს საჩივრის ხარვეზად, რომელიც უნდა შეავსოს კასატორმა დადგენილი წესით.

ისეთ პირობებში, როდესაც საკასაციო სასამართლო მოწოდებულია შეამოწმოს საქმის მხოლოდ იურიდიული მხარე, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საკასაციო საჩივარში იმ საფუძვლებზე (კასაციის მიზეზებზე) მითითება, რომელთა გამო კასატორი ასაჩივრებს გადაწყვეტილებას. ამასთან დაკავშირებით საგანგებო მნიშვნელობას იძენს სსსკ-ის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის მითითება იმის შესახებ, რომ საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. საკასაციო საჩივარში შესაძლებელია მიეთითოს აგრეთვე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების ნორმები და მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტები, რომლებიც, კასატორის აზრით, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დარღვეულია. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად კანონი დარღვეულად ითვლება, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტანმა სასამართლომ ა) არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; ბ) გამოიყენა კანონი (მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია და მისი დამატებითი ოქმები და მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტები), რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; გ) არასწორად განმარტა კანონი (მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია და მისი დამატებითი ოქმები), რაც ამ განმარტებების მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან შეუსაბამობით გამოიხატება.

სსსკ-ის 393-ე მუხლის ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა: საკასაციო საჩივარი, ჯერ ერთი, უნდა შეიცავდეს მითითებას იმის შესახებ, თუ რომელი კანონი მიაჩნია კასატორს დარღვეულად და მეორე, კონკრეტულად რაში გამოიხატა ამ

კანონის დარღვევა.[663]

როგორც აღინიშნა, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევას. ამ შემთხვევაში კასატორმა უნდა მიუთითოს თავის საჩივარში იმ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე „რომლებიც ადასტურებენ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევას". მაგალითად, საქმე სააპელაციო წესით განიხილა იმ მოსამართლემ, რომელიც მონაწილეობდა ამ საქმის განხილვაში პირველი ინსტანციის სასამართლოში, ან კიდევ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტანმა სასამართლომ ფაქტიურად საქმე განიხილა დახურულ სხდომაზე, მაშინ როდესაც ამისათვის არც საფუძველი ჰქონდა და არც შესაბამისი განჩინება არ მიუღია დახურულ სხდომაზე საქმის განხილვის შესახებ.

თუ კასატორი თავის საჩივარში ასეთ და სხვა ამგვარ საპროცესო დარღვევებზე საუბრობს მან უნდა მიუთითოს ფაქტებსა და მტკიცებულებებზე, რომლებიც ასეთ დარღვევებს დაადასტურებენ. მაგალითად, კასატორს შეუძლია მიუთითოს თავის საჩივარში და დაურთოს ამ საჩივარს ადრე გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება იმის დასადასტურებლად, რომ სასამართლომ განმეორებით განიხილა იგივე საქმე იმავე მხარეებს შორის, იმავე საფუძველზე, რაც დაუშვებელია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით. სსსკ-ის 266-ე მუხლის თანახმად გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლეებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი.

იმ შემთხვევაში, თუ საკასაციო საჩივრის შინაარსი არ პასუხობს სსსკ-ის 396-ე მუხლის მოთხოვნებს, საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია მაშინვე მიიღოს განჩინება ამ საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ მისი დაუშვებლობის გამო. საკასაციო სასამართლომ ჯერ უნდა მიიღოს განჩინება საჩივრის ხარვეზის შევსების შესახებ, კასატორს განუსაზღვროს ვადა ამ ხარვეზის შესავსებად და მხოლოდ ამის შემდეგ, თუ განჩინებით დადგენილ

663 დაწვრილებით ნახეთ:ხრუსტალი ვ, საკასაციო საჩივრის საფუძვლები. სამოქალაქო პროცესის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები. პროფესორ რევაზ გოგშელიძის 65 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. გამომცემლობა „მერიდიანი", 2022 წელი, გვ. 398-411.

ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, უნდა გამოიტანოს განჩინება საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

4. სახელმწიფო ბაჟის წინასწარი გადახდა

სახელმწიფო ბაჟის წინასწარი გადახდა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ერთ-ერთი წინაპირობაა. ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული სსსკ-ის 396-ე მუხლის მესამე ნაწილში, რომლის თანახმად, თუ სახელმწიფო ბაჟი არაა გადახდილი, საკასაციო სასამართლომ უნდა დაავალოს კასატორს შეიტანოს სახელმწიფო ბაჟი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში სახელმწიფო ბაჟი არ იქნება შეტანილი საკასაციო საჩივარი არ დაიშვება და სასამართლო გამოიტანს განჩინებას მისი განუხილველად დატოვების შესახებ.

როგორც ზემოაღნიშნული მუხლის ანალიზიდან ჩანს, სახელმწიფო ბაჟის წინასწარი გადახდა საკასაციო საჩივრის განსახილველად მიღების კანონით გათვალისწინებული ერთ-ერთი წინაპირობაა, რაც იმას ნიშნავს, რომ საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია ამ წინაპირობის არსებობის გარეშე, ე.ი სახელმწიფო ბაჟის წინასწარი გადახდის გარეშე მიიღოს და განიხილოს საკასაციო საჩივარი. ერთადერთი გამონაკლისი, როდესაც საკასაციო სასამართლოს შეუძლია სახელმწიფო ბაჟის წინასწარი გადახდის, ან საერთოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გარეშე განიხილოს საქმე, ესაა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება ან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება, თუ კასატორის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით ეს შესაძლებელია (სსსკ-ის 47-48-ე მუხლები). კასატორის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლების, გადახდის გადავადების, ან მისი ოდენობის შემცირების თაობაზე საკასაციო სასამართლომ უნდა გამოიტანოს განჩინება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, იმ შემთხვევაში, როდესაც შეტანილია საკასაციო საჩივარი, მაგრამ არ არის გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, ე.ი. არ ერთვის მისი გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, საკასაციო სასამართლოს გამოაქვს განჩინება საკასაციო საჩივრის ხარვეზის შევსების შესახებ, რომელიც სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობით გამოიხატება. იმავე განჩინებით საკასაციო სასამართლო განსაზღვრავს სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვადას.

თუ ამ ვადაში სახელმწიფო ბაჟი არ იქნება გადახდილი საკასაციო სასამართლომ უნდა გამოიტანოს მეორე განჩინება საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ ერთ-ერთ თავის განჩინებაში მიუთითა: დაევალოს კასატორს ამ განჩინების ჩაბარებიდან 15 დღის განმავლობაში წარმოუდგინოს საქართველოს უზენაეს სასამართლოს სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითრები. „თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული საკასაციო საჩივარი არ დაიშვება და განუხილველად დარჩება".[664]

პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საკასაციო სასამართლოს შეუძლია მის მიერ სახელმწიფო ბაჟის გადახდისათვის დანიშნული ვადა გააგრძელოს. სსსკ-ის 64-ე მუხლის თანახმად სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა შეიძლება გაგრძელდეს, როგორც მხარეთა (ამ შემთხვევაში კასატორის) თხოვნით, ისე თვით სასამართლოს ინიციატივით.

როგორც წესი, საპროცესო ვადის გაგრძელება შეიძლება მოხდეს მხოლოდ მხარის განცხადების (შუამდგომლობის) საფუძველზე, რომელიც, ცხადია, დასაბუთებული უნდა იყოს. რაც შეეხება სასამართლოს ინიციატივით საპროცესო ვადის გაგრძელების საკითხს, ე.ი დაინტერესებული პირის შუამდგომლობის გარეშე, ეს შეიძლება მოხდეს იშვიათ და გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც საქმის მასალებიდან გამომდინარე აშკარაა, რომ საპროცესო მოქმედების შესრულება თავისი ხასიათისა და შინაარსის მიხედვით, მოითხოვდა უფრო მეტ დროს.

დამოუკიდებლად იმისა, თუ ვისი ინიციატივით ხდება საპროცესო ვადის გაგრძელება, საკასაციო სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელიც არ გასაჩივრდება.

5. საკასაციო გასაჩივრებაზე მხარის წერილობითი უარის არარსებობა

სსსკ-ის 370-ე მუხლი შეიცავს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის კიდევ ერთ წინაპირობას. კერძოდ, თუ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ მხარე სასამართლოს ან მოწინააღმდეგე მხარეს წერილობითი ფორმით განუცხადებს უარს სააპელაციო გასა-

664 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 10 მაისის განჩინება, საქმე №3 კ/385-02.

ჩივრებაზე, სააპელაციო საჩივარი აღარ დაიშვება.

ამ მუხლის დანაწესი მთლიანად ვრცელდება საკასაციო სასამართლოზე, რადგან სსსკ-ის 399-ე მუხლის თანახმად „საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს". ვინაიდან რაიმე გამონაკლისები ამ თვალსაზრისით საკასაციო სასამართლოს მიმართ არაა გათვალისწინებული, საკასაციო საჩივარი არ დაიშვება, თუ მხარეს, რომელმაც შეიტანა საკასაციო საჩივარი, სსსკ-ის 370-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით განცხადებული აქვს უარი საკასაციო გასაჩივრებაზე. ასეთ შემთხვევაში საკასაციო საჩივარი აღარ დაიშვება და საკასაციო სასამართლომ უნდა გამოიტანოს განჩინება მისი განუხილველად დატოვების შესახებ.

როგორც ვხედავთ, საკასაციო გასაჩივრებაზე უარის თქმა იწვევს იურიდიულ შედეგს: მხარე კარგავს გასაჩივრების უფლებას. ამ უფლების აღდგენა შეიძლება მხოლოდ ერთ შემთხვევაში, როდესაც მოწინააღმდეგე მხარე შეიტანს საკასაციო საჩივარს. სსსკ-ის 405-ე მუხლის თანახმად მოწინააღმდეგე მხარეს ე.ი. იმ მხარეს, რომელმაც უარი განაცხადა საკასაციო საჩივრის შეტანაზე, შეუძლია საკასაციო საჩივრის გადაცემიდან 10 დღის განმავლობაში წარადგინოს შეგებებული საკასაციო საჩივარი, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა ნათქვამი უარი საკასაციო საჩივრის შეტანაზე.[665]

სსსკ-ის 391-ე მუხლის მესამე ნაწილის დანაწესით, საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს. თუ ამ ღირებულების ოდენობა ეჭვს იწვევს, საკასაციო საჩივრის შემტანმა პირმა ეს ღირებულება სარწმუნოდ უნდა დაადასტუროს.

ასეთია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების წინაპირობები.

---

665 ხრუსტალი ვ. კასაციის მიზნები და საკასაციო საჩივრის განსახილველად მიღების (დასაშვებობის) წინაპირობები. თ. ლილუაშვილის 75 წლისთავთან დაკავშირებით გამოცემული საიუბილეო კრებული, გამომცემლობა „ჯისიაი", 2003 წელი, გვ. 183-204. ასევე, ლილუაშვილი თ. ხრუსტალი ვ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი", 2007 წელი, გვ. 698-712.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის დანაწესით, სახელმწიფო ცნობს და იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, როგორც წარუვალ და უზენაეს ფასეულობებს. ამავე კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად პირს უფლება აქვს სარჩელით მიმართოს სასამართლოს ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების ხელყოფის თავიდან აცილების ან აღკვეთის, აგრეთვე უკანონო ზემოქმედებისა და ჩარევის შედეგად დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნით.[666]

სსსკ-ის 391-ე მუხლის მეოთხე ნაწილის დანაწესით, არაქონებრივ სამართლებრივ დავებში საკასაციო საჩივარი დასაშვებია თუ იგი ეხება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დავას. ასეთი საკასაციო საჩივრის დაშვებისათვის რაიმე დამატებითი კრიტერიუმი საჭირო არ არის.[667]

II. საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წანამძღვრები

სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“-„ზ“ ქვეპუნქტებში ჩამოყალიბებულია საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წანამძღვრები. საკასაციო საჩივარი ქონებრივ და არაქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ:

ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას;

ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია;

გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება;

დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან;

---

666 საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. სსმ, 19, 15/07/2004.

667 ლილუაშვილი თ. ხრუსტალი ვ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“, 2007 წელი, გვ. 676-677.

ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე;

ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას ან/და მის დამატებით ოქმს/ოქმებს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს;

ზ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

საკასაციო საჩივარი დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

გასაჩივრების უფლების მინიჭების ასეთი კრიტერიუმის დანერგვა გულისხმობს, რომ უზენაესი სასმართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მნიშვნელობა სცდება ინდივიდუალური საქმის ფარგლებს. შესაბამისად, ასეთი გადაწყვეტილება გასათვალისწინებელია მომავალი საქმეების განხილვისას და შესაბამისად, ღირებული სახელმძღვანელო მითითებაა ქვემდგომი ინსტანციების სასამართლოებისათვის, ისევე როგორც ყველა მომავალი დავების მხარეებისა და მათი ადვოკატებისათვის.[668]

სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა" ქვეპუნქტის აზრი და შინაარსი არ შეიძლება გავიგოთ ისე, თითქოს საკასაციო საჩივრის დაშვებისათვის აუცილებელი იყოს, რომ საქმეს ერთდროულად ჰქონდეს მნიშვნელობა, როგორც სამართლის განვითარებისათვის, ისე ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის (თუმცა ასეთნაირად გაგებისათვის საფუძველი ნამდვილად არსებობს).

საქართველოში საკასაციო სასამართლო შეიქმნა არა მხოლოდ ინდივიდუალური ინტერესების დაცვის, არამედ საჯარო ინტერესების დაცვის მიზნით. მითითებულ ნორმაში გამოკვეთილია საკა-

668 ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) დასკვნა №20 (2017) სასამართლოების როლზე კანონის ერთგვაროვანი გამოყენების უზრუნველყოფაში. სტრასბურგი, 2017 წლის 20 ნოემბერი.

საციო სასამართლოს საჯარო ინტერესების დაცვის მიზანი, ეს მიზანი კი გულისხმობს როგორც სამართლის განვითარებას, ისე ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის (ერთიანი მართლმსაჯულების) უზრუნველყოფას.

აქედან გამომდინარე, საკასაციო საჩივარი დაშვებული უნდა იქნეს ყოველთვის, თუ საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს ან სამართლის განვითარებას, ან ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას.[669]

საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია. იმ შემთხვევისათვის, როდესაც გასაჩივრებულ საქმეზე გადასაწყვეტია ისეთი სამართლებრივი საკითხი, რომელზეც არ არსებობს უმაღლესი სასამართლო ინსტანციის გადაწყვეტილება, კანონმდებლის მიერ დასაშვებობის ასეთი კრიტერიუმის შემოღება ნაკარნახევია საკასაციო სასამართლოს საჯარო ინტერესების დაცვის მიზნებით, კერძოდ, სამართლის განვითარებით და ერთიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფით.

საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ გასაჩივრებულ საქმეზე საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება. სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ" ქვეპუნქტის გამოყენების უპირველესი წინაპირობაა მსგავს სამართლებრივ საკითხზე უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის არსებობა. მითითებული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, აუცილებელი არ არის არსებობდეს უზენაესი სასამართლოს მუდმივი პრაქტიკა. შესაბამისად, საკმარისია ერთი გადაწყვეტილების არსებობა მოცემულ სამართლებრივ საკითხზე.[670]

---

669 ლილუაშვილი თ. ხრუსტალი ვ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი" 2007 წელი, გვ. 677-678. სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა" ქვეპუნქტის გამოყენებასთან დაკავშირებით ნახეთ: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 26 მარტის განჩინება საქმეზე №ას-1159-2018, სუსგ 2020, №4, გვ. 115-135.

670 რაიჰენბეჰერი ც. პაპუაშვილი შ. „სამართლის განვითარება"-სამოქალაქო პროცესში კასაციის დაშვების ახალი საფუძვლების განარტებისათვის. ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი", №4, 2005 წელი, გვ. 72-81.

ამ პრინციპით ხელმძღვანელობს საქართველოს უზენაესი სასამართლო, მითითებული კრიტერიუმით საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისას.[671]

საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან. აქ იგულისხმება უზენაესი სასამართლოს ყველა გადაწყვეტილება და განჩინება. სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში, განსახილველ სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით უკვე არსებობს მართლმსაჯულების უმაღლესი ინსტანციის გადაწყვეტილება, რომელსაც შეგნებით, თუ შეუგნებლად ეწინააღმდეგება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება. მოცემული კრიტერიუმისათვის მნიშვნელობა არა აქვს განსხვავება ეხება მატერიალურ-სამართლებრივ თუ პროცესუალურ სამართლებრივ საკითხს. ორივე შემთხვევაში საკასაციო საჩივარი დასაშვებია. ასევე, აუცილებელი არ არის, სააპელაციო სასამართლოს და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები ერთი და იგივე ნორმას ეხებოდეს. საკმარისია, რომ სხვადასხვა ნორმას საფუძვლად ერთი და იგივე სამართლებრივი პრინციპი ედოს.[672]

საკასაციო საჩივრის დაშვება სამართლის არაერთგვაროვანი განმარტების (დივერგენტის) გამო ემსახურება ერთიანი სასამართლო პრაქტიკის დაცვას (ანუ ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის უზრუნველყოფას) გარკვეული სამართლებრივი ნორმების განმარტებისას. ამას გარდა, იგი ემსახურება სამართლებრივი ერთიანობის, სტაბილურობისა და სამართლის თანასწორი გამოყენების დაცვას. ამავე დროს, სააპელაციო სასამართლოს მიერ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღებამ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს გააზრებულად ხდება და ჯეროვნად არის დასაბუთებული, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს მართლმსაჯულების უმაღლესი ინსტანციის განმარტება არასწორად მიაჩნია, ასევე შეი-

671 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 31 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-827-793-2016, სუსგ 2021, №12, გვ. 51-59; ასევე ამავე სასამართლოს 2018 წლის 11 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-395-379-2016, სუსგ 2021, №12, გვ. 100-111.

672 ნახეთ დასახელებული ნაშრომი გვ.77. ასევე Albers, in. Baumbach/Lauterbach/Albers/Hartmann, ZP , 58. Aufl., §546 Rn 12.

ძლება ბიძგი მისცეს სამართლის შემდგომ განვითარებას.[673]

სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე" ქვეპუნქტის დანაწესით, საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, **რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.**

სსსკ-ის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესით საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. საკასაციო საჩივარში სავალდებულოა იმაზე მითითება, თუ კონკრეტულად რა სახით (ფორმით) გამოვლინდა კანონის ეს დარღვევა. კანონის დარღვევის სახეები კი, (როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა), ჩამოყალიბებულია სსსკ-ის 393-ე მუხლის მეორე ნაწილში. კერძოდ, სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ: არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; არასწორად განმარტა კანონი. კასატორი ვალდებულია თავის საკასაციო საჩივარში მიუთითოს კანონის დარღვევის ერთ-ერთ სახეზე მაინც.[674]

სსსკ-ის 393-ე მუხლის მეორე ნაწილში მითითებული კანონის დარღვევის შემთხვევები განეკუთვნება არა მარტო მატერიალურ სამართლებრივ, არამედ საპროცესო სამართლებრივ ნორმებსაც, ოღონდ ერთი აუცილებელი პირობის გათვალისწინებით: საპროცესო ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილებაა გამოტანილი (393-ე მუხლის მე-3 ნაწილი).[675]

---

673 რაიჰენბეჰერი ც. მოსაზრებები კასაციის დასაშვებობასთან დაკავშირებით. პროექტი: სამართლისა და იუსტიციის რეფორმები სამხრეთ კავკასიაში. 2005 წლის ივლისი. გვ. 8. სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ" ქვეპუნქტის გამოყენებასთან დაკავშირებით ნახეთ: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 4 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1031-2019, სუსგ 2022, №2, გვ. 20-37; ასევე, 2020 წლის 2 დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას-617-2020, სუსგ 2022 №1 გვ. 152-171.

674 ლილუაშვილი თ. ხრუსტალი ვ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი", 2007 წელი, გვ. 689.

675 ხრუსტალი ვ. საკასაციო საჩივრის საფუძვლები. სამოქალაქო პროცესის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები. პროფესორ რევაზ გოგშელიძის 65

საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ამ კრიტერიუმის ანალიზისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა მარტო სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილი, არამედ 394-ე მუხლიც (გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები). ამ მუხლების თანახმად, საპროცესო სამართლის ნორმა დარღვეულად ითვლება, თუ ასეთ დარღვევას არსებითად არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა მოყვა. ამრიგად, ასეთ საპროცესო დარღვევებს უკავშირდება არა საკასაციო საჩივრის დასაშვებობა, არამედ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება. განსხვავება ზემოთ დასახელებულ მუხლებს შორის მხოლოდ ერთია: სსსკ-ის 394-ე მუხლში ჩამოთვლილ საპროცესო დარღვევების შეფასებას იმ თვალსაზრისით, შეეძლო თუ არა გამოეწვია არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა, ახდენს თვითონ კანონმდებელი. ამიტომ მოსამართლე (სასამართლო) საკასაციო საჩივარში მითითებულ დარღვევებს ამ თვალსაზრისით არ აფასებს. ის მხოლოდ ადგენს ჰქონდა თუ არა ადგილი სსსკ-ის 394-ე მუხლში ჩამოთვლილ ერთ- ერთ საპროცესო დარღვევას და დადებით შემთხვევაში გამოიტანს განჩინებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ. სხვა შემთხვევაში, ე.ი საპროცესო ნორმების დარღვევის გამო გადაწყვეტილების გაუქმების კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევების გარდა (გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები), საპროცესო დარღვევებს, რომლებსაც ემყარება საკასაციო საჩივარი, აფასებს თვითონ საკასაციო სასამართლო იმ თვალსაზრისით, გამოიწვია თუ არა ამ დარღვევებმა არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა. სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე" ქვეპუნქტი განსხვავდება ზემოთ დასახელებული მუხლებისაგან იმით, რომ ამ შემთხვევაში საპროცესო დარღვევას უკავშირდება არა გადაწყვეტილების გაუქმება, არამედ საკასაციო საჩივრის მხოლოდ დასაშვებობა. მიუხედავად ყოველივე ამისა, აქ საყურადღებოა ერთი გარემოება: განსხვავებით სსსკ-ის 393-ე და 394-ე მუხლებისაგან, საკასაციო საჩივრის დასაშვებობისათვის საკმარისია, რომ კასატორის მიერ საკასაციო საჩივარში მითითებული მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევა იძლეოდეს საფუძველს ვარაუდისათვის, რომ ასეთ დარღვევას შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, ე.ი გამოეწვია არასწორი გად-

---

წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. გამომცემლობა „მერიდიანი", 2022 წელი, გვ. 398-411.

აწყვეტილების გამოტანა. თუ საკასაციო საჩივარში მითითებული მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა აძლევს სასამართლოს საფუძველს ასეთი ვარაუდისათვის, საჩივარი დაშვებული უნდა იქნეს. თუ საქმის განხილვის შედეგად ვარაუდი გამართლდება და გაირკვევა, რომ მატერიალურმა ან/და საპროცესო სამართლის დარღვევამ მართლაც გამოიწვია საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა, საკასაციო სასამართლო გააუქმებს ამ გადაწყვეტილებას, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოიტანს განჩინებას საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.[676]

ამ პრინციპით ხელმძღვანელობს საქართველოს უზენაესი სასამართლო, მითითებული კრიტერიუმით საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისას.[677]

საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ კასატორი დააასაბუთებს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას ან/და მის დამატებით ოქმს/ოქმებს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

საკასაციო საჩივრის დასაშვებობის აღნიშნული კრიტერიუმი, რომლის მიზანია არ დაუშვას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან გადახვევა, არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ იმ გადაწყვეტილებებით, რომლებიც მიღებულია საქართველოს მიმართ, არამედ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი მთლიანად. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მიერ დადგენილი სტანდარტები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გაკეთებული მათი ინტერპრეტაცია არის ზოგადი ხასიათის და დაცული უნდა იყოს ევროპის საბჭოს ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ.

---

676 ლილუაშვილი თ. ხრუსტალი ვ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი", 2007 წელი, გვ. 681-683

677 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 2 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-954-2020, სუსგ 2022, №2, გვ. 4-19., ასევე, ამავე სასამართლოს 2021 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-341-2018, სუსგ 2022, №2, გვ. 155-177.

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან გამომდინარეობს, რომ ევროპული სასამართლოს მიერ ადამიანის უფლებათა კონვენციის დებულებების ინტერპრეტაცია და გამოყენება წარმოადგენს შესაბამისი უფლებებისა და თავისუფლებების ნაწილს და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ეროვნული სახელისუფლებო ორგანოების მიერ კონვენციის დებულებების ინტერპრეტაციისა და გამოყენებისას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 2013 წლის 2 ოქტომბერს მიღებული ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-16 ოქმი, რომელსაც საქართველო შეუერთდა 2014 წლის 19 ივნისს, საშუალებას აძლევს ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების უზენაეს სასამართლოებს, მიმართონ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნისათვის განსახილველ საქმესთან დაკავშირებულ იმ პრინციპულ საკითხებზე, რომლებიც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით და მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების განმარტებას ან გამოყენებას შეეხება. [678]

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა საქმეთა განხილვისას ფართოდ იყენებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.[679]

საკასაციო საჩივარი ქონებრივ და არაქონებრივ დავაზე დასაშვებია თუ გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

საკასაციო საჩივრის დასაშვებობის მითითებული კრიტერიუმის თანახმად, საკასაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოს მხოლოდ მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება,

---

678 ვენეციის კომისიისა და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის (DGI) და ადამიანის უფლებათა დირექტორატის (DHR) ერთობლივი დასკვნა №775/2014, საქართველოს ადმინისტრაციული, სამოქალაქო და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების ცვლილებათა კანონპროექტებზე. სტრასბურგი, 14 ოქტომბერი, 2014 წელი.

679 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-334-2021, სუსგ 2022, №2, გვ. 37-102. ასევე, ამავე სასამართლოს 2020 წლის 2 დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას-617-2020, სუსგ 2022, №1, გვ. 152-171., 2020 წლის 3 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-877-2019, სუსგ 2022, №1, გვ. 128-152.

აგრეთვე მისი განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს მითითებული გადაწყვეტილებები (მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ასევე, განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ) განხილულია ერთ სიბრტყეზე, მათზე აღარ უნდა გავრცელდეს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ზემოთ განხილული წანამძღვრები. სხვა სიტყვებით, რომ ითქვას, მითითებული შემთხვევები განეკუთვნება „თავისუფალ კასაციათა" კატეგორიას: საკმარისია გასაჩივრებული სააპელაციიო სასამართლოს გადაწყვეტილება იყოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ – საკასაციო სასამართლომ უნდა დაუშვას და განიხილოს საკასაციო საჩივარი.[680]

ასეთია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებისა და დასაშვებობის წანამძღვრები. ადრე დამკვიდრებული პრაქტიკით, იმ შემთხვევაში, თუ უზენაესი სასამართლო საკასაციო საჩივარს დაუშვებლად ცნობდა, მხარეს არ განემარტებოდა დაუშვებლობის მიზეზები და გაუგებარი რჩებოდა ის საფუძველი, რამაც საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა განაპირობა. 2017 წლის 8 თებერვლის სსსკ-ის 401-ე მუხლში შეტანილი ცვლილებით ეს პრობლემა აღმოიფხვრა. საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ სასამართლოს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება. ეს განჩინება უნდა შეიცავდეს კასატორის მიერ მითითებული დასაშვებობის საფუძვლების არგუმენტირებულ უარყოფას.

---

680 ლილუაშვილი თ. სამოქალაქო საპროცესო სამართალი. გამომცემლობა „ჯისი-აი", მეორე გამოცემა, 2005 წელი, გვ. 508-509. სსსკ-ის 391-ე მუხლის „ზ" ქვეპუნქტის გამოყენებასთან დაკავშირებით ნახეთ: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 22 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-1471-1391-2017, სუსგ 2019, №9, გვ. 40-50; ასევე, ამავე სასამართლოს 2019 წლის 13 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ას-920-2019, საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობის შესახებ.

§ 6. შეგებებული საკასაციო საჩივარი

საკასაციო საჩივრის უფლების მქონე ნებისმიერ სუბიექტს, რომლის შესახებაც ზემოთ იყო საუბარი (იხ. § 4), შეუძლია გაასაჩივროს საკასაციო წესით გადაწყვეტილება კანონით განსაზღვრული წესით.

იმ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილებას ასაჩივრებს ორი ან მეტი სუბიექტი – ეს იქნება ჩვეულებრივი, უფრო ზუსტად, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი საკასაციო საჩივრები და მათი დასაშვებობის შემთხვევაში საკასაციო სასამართლომ უნდა განიხილოს ისინი და მიიღოს მათ მიმართ გადაწყვეტილება.

რაც შეეხება შეგებებულ საკასაციო საჩივარს, ასეთი სახის საჩივარი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის სრულიად ახალი ინსტიტუტია, რომელსაც ადრე მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებდა. სსსკ-ის 405-ე მუხლის თანახმად მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია საკასაციო საჩივრის გადაცემიდან 10 დღის განმავლობაში წარადგინოს შეგებებული საკასაციო საჩივარი, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა ნათქვამი უარი საკასაციო საჩივრის შეტანაზე.[681]

შეგებებული საკასაციო საჩივრის შეტანის უფლებამოსილებას და შესაძლებლობას ითვალისწინებს სხვა ქვეყნების სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაც, თუმცა ამ ინსტიტუტის სამართლებრივი მოწესრიგების წესები და პრინციპები გარკვეულად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

მაგალითად, საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 614-ე მუხლი, რომელიც შეტანილია ამ კოდექსის იმ თავში, რომელიც საკასაციო საჩივრის საკასაციო სასამართლოში წარმოებას ეძღვნება, არის მითითებითი ნორმა, რომლის მიხედვით შეგებებული საკასაციო საჩივრის განსახილველად მიღება წესრიგდება იმ ნორმების შესაბამისად, რომლებიც განსაზღვრავენ შეგებებული სააპელაციო საჩივრის წარმოებას. შეგებებული სააპელაციო საჩივრის მიღებისა და განხილვის წესები საკმაოდ დეტალურად წესრიგდება და მას ეძღვნება საფრანგეთის სსკ-ის 548-ე–551-ე მუხლები.

საფრანგეთის სსკ-ის 548-ე მუხლის თანახმად შეგებებული საკასაციო (სააპელაციო) საჩივრის შემოტანა დასაშვებია, როგორც

681 ის, რაც ითქვა შეგებებული სააპელაციო საჩივრის მიმართ, მთლიანად განეკუთვნება შეგებებულ საკასაციო საჩივარსაც (გვ. 529-533).

კასატორის (აპელანტის), ისე სხვა მოპასუხეების წინააღმდეგ.

ამ მუხლის კომენტირებისას ფრანგი იურისტები აღნიშნავენ, რომ შეგებებული საკასაციო (სააპელაციო) საჩივარი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება დასაშვები, თუ მოსამართლეს ჯერ კიდევ არ ჰქონდა განხილული ძირითადი საკასაციო (სააპელაციო) საჩივარი.[682] ამავე კოდექსის 550-ე მუხლის თანახმად შეგებებული აპელაცია შეიძლება შეტანილ იქნეს მაშინაც კი, როდესაც მხარეს გაშვებული აქვს ძირითადი სააპელაციო საჩივრის შეტანის ხანდაზმულობის ვადა. ამასთან ერთად, შეგებებული აპელაციის (კასაციის) დასაშვებობა მთლიანად დამოკიდებულია ძირითადი საკასაციო საჩივრის დაშვებაზე. ამას იმით ხსნიან, რომ შეგებებული სააპელაციო საჩივრის შეტანამ შეიძლება გავლენა იქონიოს ძირითადი საკასაციო (სააპელაციო) საჩივრის შეტანაზე, რომელიც თუ უარს იტყვის თავის დამოუკიდებელ საკასაციო საჩივარზე, მაშინ უარს ეტყვიან აგრეთვე შეგებებული საჩივრის მიღება-განხილვაზეც. გარდა ამისა იმ შემთხვევაში, როდესაც უარს ეტყვიან კასატორს ძირითად საკასაციო საჩივარზე მისი დაუშვებლობის გამო, მაშინ უარი უნდა ეთქვას მოწინააღმდეგე მხარეს შეგებებული საკასაციო საჩივრის დაშვებაზე.

საფრანგეთის სამოქალაქო-საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს აგრეთვე შეგებებული საკასაციო საჩივრის ფორმას. ამ კოდექსის 551-ე მუხლით შეგებებული საჩივარი შეიძლება აღიძრას იმავე ფორმით, რა ფორმითაც ხდება შეგებებული სარჩელის ჩამოყალიბება. შეგებებული საჩივრის შეტანა ხდება სასამართლოს სამდივნოში იმ შინაარსით, როგორც ეს გათვალისწინებულია საფრანგეთის სსკ-ის 901-ე მუხლით.

კომენტატორები მიუთითებენ აგრეთვე, რომ სსკ-ის 551-ე მუხლის დებულება არ გამორიცხავს შეგებებული საჩივრის შედგენას იგივე ფორმით, რა ფორმითაც ყალიბდება ძირითადი სააპელაციო (საკასაციო) საჩივარი.[683]

საკმაოდ დეტალურად აწესრიგებს შეგებებული საკასაციო საჩივრის შეტანისა და განხილვის წესებს გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. ამ კოდექსის 554-ე მუხლის თანახმად მოწინააღმ-

682 Ginchard S., Raynaud P., Nouveau Code de Procedure civile, Dalloz, edition 2002, pages 296-299.

683 Ginchard S., Raynaud P., Nouveau Code de Procedure civile, Dalloz, edition 2002, pages 299.

დეგე მხარეს (იგულისხმება საკასაციო საჩივრის შემტანი პირის მოწინააღმდეგე მხარე), შეუძლია შეიტანოს შეგებებული საკასაციო საჩივარი. შეგებებული საკასაციო საჩივარი უნდა დასაბუთდეს ამ საჩივარში და მისთვის არ არის გათვალისწინებული დასაბუთებული შეგებებული საჩივრის მოგვიანებით (დამატებით) წარდგენის შესაძლებლობა, ისე როგორც ეს გათვალისწინებულია ძირითადი საკასაციო საჩივრისთვის. შეგებებული საკასაციო საჩივრის წარდგენის ვადა არის ერთი თვე და ამ ვადის გამოთვლა იწყება დასაბუთებული საკასაციო საჩივრის ჩაბარებიდან. ამ ვადის გაშვების შემთხვევაში მისი აღდგენა დასაშვებია იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია საპროცესო ვადების აღდგენისათვის.[684] გერმანიის იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულების თანახმად შეგებებული საკასაციო საჩივარი წარმოადგენს არა გადაწყვეტილების გასაჩივრების საშუალებას, არამედ მოწინააღმდეგე მხრიდან აქტიურ მოქმედებას. ამით შეიძლება იმის მიღწევა, რომ საკასაციო სასამართლოს შესაძლებლობა ეძლევა განიხილოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არა მარტო საკასაციო საჩივრის ფარგლებში, არამედ მოწინააღმდეგე მხარის შეგებებული საკასაციო საჩივრის ფარგლებშიც: შეგებებული საჩივრის ავტორი არა მარტო ძირითადი საკასაციო საჩივრის უარყოფას მოითხოვს, არამედ გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლასაც მის სასარგებლოდ. და თუ ეს ასე განხორციელდა, ეს არ იქნება საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობის (non reformatio in pejus) პრინციპის დარღვევა.[685]

მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ შეგებებული საკასაციო საჩივარი არის საკასაციო საჩივარი და მას წაეყენება იგივე მოთხოვნები, რაც დამოუკიდებელ საკასაციო საჩივარს. კერძოდ, შეგებებული საკასაციო საჩივარი შეუძლიათ წარადგინონ მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, აგრეთვე მათმა წარმომადგენლებმა ოღონდ ერთი პირობით, თუ მათ აქვთ მიცემული ასეთი უფლებამოსილება მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში (სსსკ-ის 98-ე მუხლი), ცხადია, რომ

684 Zivilprozessordnung, kommentar von Prof. Dr. Heinz Thomas, Dr. laus Reichold, Prof. Dr. Hans Putzo, Dr. Rainer Hüsstege, 24., neubearbeitete Auflage, Verlag C. H. Beck, München, 2002, S. 895.

685 Die Revision in den zivil-und verwaltungsgerichtlichen Verfahren, Eine Systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstrichterlichen Rechtsprechung von Artur May, 2, überarbeitete und erweiterte Auflage, Garl Heymanns Verlag, öln, Berlin, Bonn, München, 1997, S. 219.

მინდობილობაში ჩაიწერება არა შეგებებული საკასაციო საჩივრის, არამედ საკასაციო საჩივრის შეტანის უფლებამოსილება. სხვაგვარად რომ ითქვას, შეგებებული საკასაციო საჩივრის შეტანის უფლება აქვს ყველა იმ წარმომადგენელს, რომელსაც მხარის მიერ გაცემული მინდობილობით მინიჭებული აქვს საკასაციო საჩივრის შეტანის უფლებამოსილება.

შეგებებული საკასაციო საჩივარი, ისე როგორც დამოუკიდებელი საკასაციო საჩივარი, უნდა ეფუძნებოდეს კანონის დარღვევას. კერძოდ, შეგებებულ საკასაციო საჩივარში უნდა მიეთითოს, თუ რომელი კანონი არ გამოიყენა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტანმა სასამართლომ, რომელიც მას უნდა გამოეყენებინა, ან რომელი ისეთი კანონი გამოიყენა, რომელიც ამ კონკრეტულ საქმეზე არ უნდა გამოეყენებინა, ან კიდევ: კონკრეტულად რაში გამოიხატება სასამართლოს მიერ გამოყენებული კანონის არასწორი განმატება (სსსკ-ის 393-ე მუხლის ახალი რედაქცია).

შეგებებული საკასაციო საჩივარი არის ძირითადი საკასაციო საჩივრისაგან მხარის თავდაცვის საშუალება და ამასთანავე უშუალო კავშირშია მასთან: რომ არა ძირითადი დამოუკიდებელი საკასაციო საჩივარი, შეგებებული საკასაციო საჩივარი არ იქნებოდა შეტანილი, ანუ მოწინააღმდეგე მხარე საერთოდ არ ფიქრობდა გადაწყვეტილების გასაჩივრებას და შეიძლება წერილობითი განცხადებაც კი ჰქონდა გაკეთებული ამის შესახებ.

ცხადია, რომ გადაწყვეტილების გასაჩივრების ინტერესი შეიძლება ჰქონდეს იმ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც არის გამოტანილი ეს გადაწყვეტილება. მაგალითად, თუ გადაწყვეტილებით უარი ეთქვა მოსარჩელეს სარჩელზე, მაშინ მას შეიძლება წარმოეშვას ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების იურიდიული ინტერესი, მაგრამ მოპასუხეს ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების იურიდიული ინტერესი არ შეიძლება ჰქონდეს. ასეთ შემთხვევაში გამორიცხულია შეგებებული საკასაციო საჩივრის შეტანის საფუძველიც და შესაძლებლობაც. ამიტომ, თუ მოსარჩელე გაასაჩივრებს გადაწყვეტილებას, რომლითაც მას უარი ეთქვა სარჩელზე მთლიანად, მოპასუხეს შეუძლია თავი დაიცვას ამ საჩივრისაგან არა შეგებებული საჩივრით, არამედ შესაგებლით (წერილობითი შეპასუხებით).

სასამართლოს, რომელიც იხილავს საკასაციო საჩივარს, არ შეუძლია საუარესოდ შებრუნება, ე. ი. გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომელიც არ ყოფილა გასაჩივრებული არც დამოუ-

კიდებელი და არც შეგებებული საკასაციო საჩივრით.

მაგალითად, თუ სასამართლომ მხარეს მიაკუთვნა მხოლოდ ნაწილი ქონებისა, რასაც იგი მოითხოვდა მოპასუხისაგან, ხოლო სხვა ნაწილზე უარი უთხრა და საკასაციო საჩივრით იგი მოითხოვს ამ გადაწყვეტილების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილების მიღებას მხოლოდ იმ ნაწილში, რომლითაც მას უარი ეთქვა, საკასაციო სასამართლო ვერ გასცდება საკასაციო საჩივრის ფარგლებს და ვერ შეეხება გადაწყვეტილების იმ ნაწილს, რომელიც გამოტანილია კასატორის სასარგებლოდ და რომელიც არც საკასაციო და არც შეგებებული საკასაციო საჩივრით არაა გასაჩივრებული.[686]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საკითხი, ღირს თუ არა საკასაციო წესით გასაჩივრება ისეთი გადაწყვეტილებისა, რომლითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა კასატორის მოთხოვნა და ხომ არ არის ეს დაკავშირებული რისკთან, რომ მოწინააღმდეგე მხარე შეიტანს შეგებებულ საკასაციო საჩივარს და კასატორი დაკარგავს იმასაც, რაც მას უკვე მოგებული აქვს.[687]

ბოლოს, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ შეგებებული და დამოუკიდებელი საკასაციო საჩივრები. როგორც ზემოთ აღინიშნა, შეგებებული საკასაციო საჩივარი უშუალოდაა დაკავშირებული ძირითად საკასაციო საჩივართან, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ კასატორი უარს იტყვის თავის საკასაციო საჩივარზე, საკასაციო სასამართლო ვეღარ განიხილავს შეგებებულ საკასაციო საჩივარსაც და საკასაციო წარმოება შეწყდება.[688] მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ შეგებებული საკასაციო საჩივარი შეტანილია საკასაციო გასაჩივრების ვადის დაცვით და აკმაყოფილებს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის კანონით დადგენილ კრიტერიუმებს, არის ძირითადი საკასაციო საჩივრისაგან დამოუკიდებელი საკასაციო საჩივარი. ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთი სახის შეგებებული საკასაციო საჩივარი უნდა განიხილოს საკასაციო სასამართლომ იმ შემთხვევაშიც, თუ კასატორი უარს იტყვის თავის ძირითად საკასაციო საჩივარზე.

---

686 ვ. ხრუსტალი. შეგებებული საკასაციო საჩივარი. ჟურნალი „სამართალი“, 2001 წელი, № 8, გვ. 15–17.

687 დაწვრილებით „საუარესოდ შებრუნების“ შესახებ იხ. ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში, პრაქტიკული სახელმძღვანელო, II გამოცემა, გამომცემლობა „ჯისიაი“, 2001, გვ. 280, 318.

688 ვ. ხრუსტალი, კასაცია სამოქალაქო სამართალწარმოებაში. სადისერტაციო ნაშრომი. 2004 წელი, გვ. 80-88.

§ 7. სამართლის ნორმების დარღვევის შემოწმების ფარგლები საკასაციო სასამართლოში

საქართველოს უზენაესი სასამართლო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის საკასაციო სასამართლოა. უზენაესი სასამართლო დადგენილი საპროცესო ფორმით ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას საქართველოს საერთო სასამართლოებში.[689]

საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას მხოლოდ სამართლებრივი თვალსაზრისით, ე.ი რამდენად სწორადაა გამოყენებული კანონი სააპელაციო სასამართლოს მიერ. ამით კასაცია განსხვავდება აპელაციისგან, რომელსაც შეუძლია შეამოწმოს გადაწყვეტილება, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით. საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი.

I. მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების დარღვევის შემოწმება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესით, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. საკასაციო საჩივარში შესაძლებელია მიეთითოს აგრეთვე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების ნორმები და მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტები, რომლებიც, კასატორის აზრით, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დარღვეულია. ამავე კოდექსის 404-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ხოლო 409-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ.

საკასაციო საჩივარში მითითებული უნდა იყოს არამარტო

689 საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“.

იმაზე, თუ რას მოითხოვს კასატორი, არამედ იმაზეც, თუ რის საფუძველზე აყენებს ამ მოთხოვნას. საკასაციო საჩივრით წამოყენებული მოთხოვნის დასაბუთება კი შესაძლებელია მხოლოდ კანონის დარღვევაზე მითითებით. კასატორი ვალდებულია მიუთითოს თავის საკასაციო საჩივარში კანონის დარღვევაზე, რაზეც იგი აფუძნებს თავის საჩივარს.

საკასაციო სასამართლო შებოჭილია საკასაციო საჩივრის მოთხოვნის ფარგლებით, მაგრამ იგი შებოჭილია თუ არა საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევის ფარგლებით, ე.ი. შეუძლია თუ არა საკასაციო სასამართლოს შეამოწმოს არამარტო საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევა, არამედ კანონის სხვა დარღვევებიც?

ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოს ცნობილი გერმანელი პროცესუალისტი რუდოლფ ვახი მიუთითებდა: „ჩვენმა იურიდიულმა განვითარებამ უარი თქვა ფორმალიზმზე. რა სამარცხვინო იქნება მართლმსაჯულებისათვის, რომ ქვეყნის უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვოს აშკარად არაკანონიერი გადაწყვეტილება მხოლოდ იმიტომ, რომ დაინტერესებულმა მხარემ დაუშვა შეცდომა კანონის გაგებაში."[690]

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ამ საკითხზე თავისი მოსაზრება გამოთქვა ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა პროფესორმა თენგიზ ლილუაშვილმა. მან აღნიშნა, რომ საკასაციო სასამართლო შებოჭილია საკასაციო საჩივრის მოთხოვნის ფარგლებით, მაგრამ არ არის შებოჭილი ამ მოთხოვნის დასაბუთების მიზნით საკასაციო საჩივარში ჩამოყალიბებული მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების დარღვევების ფარგლებით და შეუძლია შეამოწმოს მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი დასაბუთებულობა სხვა ნორმებთან მიმართებაში ვიდრე ამას მოითხოვს კასატორი. რაც შეეხება სამოქალაქო საპროცესო ნორმების დარღვევას, საკასაციო სასამართლო გარკვეული ზომით შებოჭილია საკასაციო საჩივარში მითითებული დარღვევების ფარგლებით, მაგრამ შეუძლია გასცდეს ამ ფარგლებს მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევებში.[691]

გასაზიარებელია ეს მოსაზრება და მიზანშეწონილია განხილულ

690 Waeh R. Vorträgeüber Reichs - Civilprocessorelnung. 1896, s. 292-293.

691 ლილუაშვილი თ. სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში, პრაქტიკული სახელმძღვანელო, მე-2-ე გამოცემა, გამ. „ჯისიაი", 2001 წელი, გვ. 321-322.

იქნეს საკითხი იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს კანონის დარღვევა და როდის შეიძლება კანონი დარღვეულად ჩაითვალოს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2-ე ნაწილის თანახმად, სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ:

ა) არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა;

ბ) გამოიყენა კანონი (მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია და მისი დამატებითი ოქმები და მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტები), რომელიც არ უნდა გამოეყენებინა;

გ) არასწორად განმარტა კანონი (მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია და მისი დამატებითი ოქმები), რაც ამ განმარტებების მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან შეუსაბამობით გამოიხატება.

ამრიგად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2-ე ნაწილი შეიცავს იმ დარღვევების ჩამონათვალს, რომლებშიც შეიძლება გამოვლინდეს კანონის კონკრეტული დარღვევა.

1. კანონის დარღვევის ერთ-ერთ შემთხვევასთან (სახესთან) გვაქვს საქმე, როდესაც სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა.

კანონის ასეთი სახის დარღვევას აქვს ადგილი მაშინ, როდესაც გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში საერთოდ არ არის მითითებული კანონზე, რომელსაც ეს გადაწყვეტილება ემყარება. პრაქტიკული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია საკითხი იმის შესახებ, უნდა გაუქმდეს თუ არა გადაწყვეტილება, რომლითაც მხარეთა შორის დავა განხილულია და გადაწყვეტილია კანონის შესაბამისად, მაგრამ არ არის მითითებული კანონზე, რომელსაც იგი ემყარება. ეს საკითხი სადავოა. არსებობს მოსაზრება, რომ გადაწყვეტილება არსებითად სწორი რომ იყოს, ის მაინც უნდა გაუქმდეს, თუ მასში არაა მითითებული კანონზე, რომლითაც იხელმძღვანელა სასამართლომ. ამ მოსაზრების ავტორებს მიაჩნიათ, რომ გადაწყვეტილება უწინარეს ყოვლისა განკუთვნილია მხარეებისათვის. ამიტომ ის უნდა იყოს ყოველმხრივ დასაბუთებული და დამაჯერებელი. გადაწყვეტილება, რომელშიც არ არის კანონზე მითითებული, ნაკლებად დამაჯერებელია.

მისაღებია ეს მოსაზრება, მაგრამ კანონის შესაბამისად გამოტანილი გადაწყვეტილება, თუ მასში არაა მითითებული კანონზე, რომლითაც სასამართლომ იხელმძღვანელა, კი არ უნდა გაუქმდეს, არამედ ზემდგომმა სასამართლომ უნდა შეავსოს ხარვეზი, დატოვოს უცვლელად და თავის განჩინებაში მიუთითოს კანონზე, რომელსაც ეს გადაწყვეტილება ემყარება.

2. კანონის დარღვევის მეორე სახესხვაობას აქვს ადგილი, როდესაც სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა.

ასეთი შემთხვევა საკმაოდ გავრცელებულია და ნიშნავს იმას, რომ სასამართლომ დაუშვა შეცდომა მხარეთა შორის არსებული ფაქტობრივი ურთიერთობის სამართლებრივი შეფასებისას. სხვანაირად რომ ვთქვათ, სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილ ფაქტობრივ გარემოებებს მიეცა არასწორი იურიდიული კვალიფიკაცია, რადგან გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა.[692]

კონკრეტული მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან, სადაც სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა" და „ბ" ქვეპუნქტების მოთხოვნები. ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ გააუქმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნა იმავე სასამართლოს. სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტისა და მე-8-ე მუხლის მე-3-ე ნაწილით (ზოგადი ნორმა) განსაზღვრული საფუძვლიდან – დაბრუნების კონდიქცია გამომდინარეობდა და მოთხოვნის საფუძვლიანობაც სამოქალაქო კოდექსის ნორმების შესაბამისად შეამოწმა. საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა გასაჩივრებული განჩინების შეფასებები და დასკვნები, რადგანაც მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები, კერძოდ, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, რაც გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია. კერძოდ, მოცემულ

692 ხრუსტალი ვ. გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმება საკასაციო სასამართლოს მიერ. ჟურნალი „სამართალი", 2001 წ., გვ. 24-25.

სამართალურთიერთობას გააჩნია საჯარო სამართლებრივი ურთიერთობისთვის დამახასიათებელი ყველა ელემენტი, რის გამოც არსებობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისთვის. ამ კატეგორიის საქმის სამოქალაქო სამართალწარმოების პროცედურით განხილვა გამოიწვევს საპროცესო ნორმების ისეთ დარღვევას, რომელიც აუცილებლად განაპირობებს საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების დადგენას, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან, რომელთა გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზეა დასაშვები.[693]

3. კანონის დარღვევის მესამე დამოუკიდებელი სახესხვაობაა კანონის არასწორი განმარტება. კანონის არასწორი განმარტების დროს სასამართლო მართალია იყენებს კანონს, რომელიც უნდა გამოეყენებინა, მაგრამ არასწორად ესმის ამ კანონის აზრი და შინაარსი.

კანონის არასწორი განმარტების საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ კონკრეტული შემთხვევა სასამართლო პრაქტიკიდან.

ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ გააუქმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად თვითონ მიიღო გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატამ გადაწყვეტილებაში განმარტა:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. ამავე ნორმის მე-2-ე ნაწილის „გ" ქვეპუნქტის თანახმად კი, სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პრეტენზიების შესწავლით დასტურდება, რომ მხარე არ ეთანხმება გასაჩივრებულ გად-

693 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 11 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-665-621-2017, სუსგ 2019, №9, გვ. 15-27. ნახეთ ასევე, უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე №ას-1076-996-2017, 19.04.2017 წელი, სუსგ 2020, №5, გვ. 14-24.

აწყვეტილებაში ასახულ სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის განმარტებას სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დაწყების თაობაზე და თვლის, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, რადგან მოთხოვნის ვადის დასაწყისს წარმოადგენს მოთხოვნის დადგომის ობიექტური ფაქტორი, რომელიც განსახილველ შემთხვევაში ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან უნდა იქნას ათვლილი და არა მოპასუხის მიერ საბანკო კრედიტის აღების დღიდან.

საკასაციო სასამართლო საკვანძო საკითხის სწორად შეფასების მიზნით მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის პირველ ნაწილზე და განმარტავს შემდეგს: სასარჩელო ხანდაზმულობის ვადაში მოიაზრება დრო, რომლის განმავლობაშიც უფლებამოსილ პირს შეუძლია თავისი უფლების რეალიზაცია და დაცვა. ხანდაზმულობის ინსტიტუტის სპეციფიკურობა იმაში მდგომარეობს, რომ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნის უფლება ობიექტურად არსებობს, თუმცა იგი განუხორციელებელია, ანუ ამ უფლების რეალიზება სრული მოცულობით დამოკიდებულია მოთხოვნის ადრესატის ნება-სურვილზე. სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი ხანდაზმულობის დაწყებას მოთხოვნის წარმოშობის მომენტს უკავშირებს, ხოლო მოთხოვნის წარმოშობის მომენტად მიიჩნევა დრო, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ, ე.ი. თუ ხანდაზმულობის წარმოშობის მომენტის დადგენა ობიექტურად შეუძლებელია, ყურადღება უნდა მიექცეს სუბიექტურ მომენტს. ამასთან, იგულისხმება, რომ ხანდაზმულობის წარმოშობის ობიექტური და სუბიექტური მომენტები თანმხვედრია, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე არ ეთანხმება ხანდაზმულობის წარმოშობის ობიექტური და სუბიექტური მომენტების თანხვედრას, მაშინ მტკიცების ტვირთი ეკისრება მას იმის გასარკვევად, თუ როდიდან უნდა დაიწყოს ხანდაზმულობის ვადის ათვლა. ამასთან, მხოლოდ სუბიექტურ ფაქტორზე – უნდა შეეტყო, მხოლოდ მაშინ შეიძლება დაყრდნობა, თუ სამართლებრივი ურთიერთობის თავისებურებებიდან გამომდინარე, პრაქტიკულად შეუძლებელია ობიექტური ფაქტორის განსაზღვრა.[694]

694 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №ას -158-154-2016, სუსგ 2019, №8, გვ. 136-152. ნახეთ, ასევე უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №ას-539-539-2018,

ასეთია კანონის დარღვევის კონკრეტული შემთხვევები, რომელთა გამოვლენას და გამოსწორებას უნდა ისახავდეს მიზნად საკასაციო სასამართლო.

II. საპროცესო-სამართლებრივი ნორმების დარღვევის შემოწმება

ცხადია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მეორე ნაწილში მითითებული კანონის დარღვევის შემთხვევები განეკუთვნება არა მარტო მატერიალურ-სამართლებრივ, არამედ საპროცესო სამართლებრივ ნორმებსაც, ოღონდ ერთი აუცილებელი პირობის გათვალისწინებით: საპროცესო ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილებაა გამოტანილი.

კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ საპროცესო დარღვევას უნდა მოყვეს გადაწყვეტილების გაუქმება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ასეთ დარღვევას შეეძლო გამოეწვია არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა. ასევე გაკეთდა დასკვნა, რომ იმ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევების შემოწმების მიზნით, რომლებიც მითითებულია საკასაციო საჩივარში, საკასაციო სასამართლოს შეუძლია მიიღოს, შეამოწმოს და შეაფასოს ფაქტები და მტკიცებულებები, რომლებიც ამ დარღვევას ადასტურებენ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ" ქვეპუნქტის დანაწესით, საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს მითითებას იმ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევას, თუ საკასაციო საჩივარი საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევას ემყარება. ამავე კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესით საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ" ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა.

საკასაციო საჩივრის კანონით გათვალისწინებული აბსოლუტური საფუძვლების გარდა, საპროცესო სამართლის ნორმების დარ-

---

21.12.2018 წელი, სუსგ 2021, №4, გვ. 108-119.

ღვევა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ საკასაციო სასამართლო ჩათვლის, რომ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

საკასაციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზიდან ირკვევა, რომ ზოგჯერ ძნელია დარწმუნებით თქმა იმისა, ნამდვილად მოყვა თუ არა საპროცესო სამართლის ნორმის დარღვევას არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა. ამიტომ, თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ასეთ დარღვევას შეეძლო გამოეწვია არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას. ეს პრაქტიკა სწორია და ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობს კანონმდებელიც, როდესაც მიუთითებს საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძვლებზე. მაგალითად, ხომ არ შეიძლება დარწმუნებით თქმა იმისა, რომ თუ საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ, ან განიხილა მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება, ან კიდევ, თუ საქმე განიხილა იმ მოსამართლემ, რომელიც ამ საქმის განხილვაში ადრე სხვა ინსტანციაში მონაწილეობდა, გადაწყვეტილება აუცილებლად არასწორი იქნება?

სწორია აგრეთვე საკასაციო სასამართლოს პრაქტიკა, როდესაც იგი აღიარებს თავისი განჩინებით, რომ საკასაციო საჩივარში მითითებულ საპროცესო სამართლის ნორმის დარღვევას მართლაც ჰქონდა ადგილი, თუმცა მას არ შეეძლო გამოეწვია არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა. სხვანაირად ეს იმას ნიშნავს, რომ საპროცესო სამართლის ნორმის დარღვევას არამარტო მაშინ აქვს ადგილი, როცა ამ დარღვევამ გამოიწვია არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა, არამედ მაშინაც, როდესაც ამ დარღვევას ასეთი ნეგატიური შედეგი არ მოყოლია, ანუ, მას გადაწყვეტილებით გამოტანილი შედეგის დადგომაზე გავლენა არ მოუხდენია. ამის მითითებას საკასაციო სასამართლოს განჩინებაში აქვს მნიშვნელობა იმ თვალსაზრისით, რომ სააპელაციო სასამართლომ მომავალში აღარ დაუშვას მსგავსი დარღვევა.[695]

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა

695 ხრუსტალი ვ. კასაცია სამოქალაქო სამართალწარმოებაში. სადისერტაციო ნაშრომის ავტორეფერატი. 2004 წელი. გვ. 25-26.

პალატამ გააუქმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნა იმავე სასამართლოს. საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევებით განიხილა, რომლებმაც მიღებული განჩინების როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით დაუსაბუთებლობა განაპირობეს.

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის ინტერესს 2013 წლის 25 სექტემბრის შეთანხმების სამართლებრივი ბუნებისა და მისგან გამომდინარე სამართლებრივი შედეგების დადგენა წარმოადგენდა. შესაბამისად, სასამართლოს, პირველ რიგში, სწორად უნდა განესაზღვრა, თუ რა სახის სამართლებრივი ურთიერთობა არსებობდა მხარეთა შორის და რომელი მოთხოვნის წაყენება შეეძლო მოსარჩელეს მოპასუხისათვის.

სარჩელის წარმოებაში მიღებამდე სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა სარჩელი და მხოლოდ ამის შემდეგ გაარკვიოს, თუ რამდენად გამართულია მოთხოვნა ფაქტობრივი თვალსაზრისით, ანუ სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები სასამართლოს მიერ მოძიებულ შესაბამის ნორმასთან (ან ნორმებთან ერთად) ქმნის თუ არა მოთხოვნის წარდგენის საფუძველს (შდრ. სუსგ, საქმე №1529-1443-2012, 09.12.2013: „სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა, რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რომლის მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად განხილული ნორმა შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომელთა შემოწმებაც სასამართლოს პრეროგატივაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით. ანუ, სასამართლომ უნდა დაადგინოს ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი შემადგენლობის არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას“).

მოცემულ შემთხვევაში, მხარის მიერ აღძრული სარჩელი აღ-

იარებითი ხასიათისაა, რადგანაც მოთხოვნილია ნასყიდობის სამართლებრივი ურთიერთობის არარსებობის დადგენა. სსსკ-ის 180-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, უფლებისა და სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის, ასევე, დოკუმენტების ნამდვილობის ან მათი სიყალბის დადგენის მოთხოვნა (აღიარებითი სარჩელი) დასაშვებია, თუ იკვეთება მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს, მაგალითად მამად ცნობა, მამობის დადგენა, ქორწინების ბათილად ცნობა, ლიტერატურული ნაწარმოების ავტორად აღიარება და ა.შ. ამ სახის სარჩელების მიზანია არა სუბიექტური უფლების მიკუთვნება, არამედ უფლების სადავოობის აღმოფხვრა. ამ დროს სულაც არ არის აუცილებელი, რომ პირის უფლება დარღვეული იყოს, მაგრამ ვარაუდი იმისა, რომ მომავალში შეიძლება დაირღვეს, წარმოადგენს პირის იურიდიულ ინტერესს. ამიტომაც, ამ ტიპის სარჩელებს „უფლების დამდგენ" სარჩელებსაც უწოდებენ. მიკუთვნებითი სარჩელებისაგან განსხვავებით, აღიარებითი სარჩელის დავის საგანია თვით მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც სუბსიდიური ხასიათისაა და იურიდიული ინტერესის არსებობა გამორიცხულია, თუ შესაძლებელია მოპასუხის მიმართ მიკუთვნებითი მოთხოვნის წარდგენა (შდრ. სუსგ, 10.11.2015, საქმეზე №ას -937-887-2015; სუსგ-ები №ას-17-14-2015, 01.07.2015 წ.; №ას-1069-1008-2015, 16.12.2015 წ.; №ას-869-819-2015, 11.12.2015 წ.; №ას-773-730-2015, 08.09.2015 წ.). საქმის მასალებიდან ცხადად იკვეთება და სააპელაციო სასამართლომაც დაადგინა, რომ მოსარჩელის მიზანი უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების დაბრუნება იყო, შესაბამისად, მას უნდა წარედგინა მიკუთვნებითი და არა აღიარებითი მოთხოვნა. ამასთან, ვინაიდან სარჩელი წარმოებაში იქნა მიღებული, პირველი ინსტანციის სასამართლოს ევალებოდა, საქმის მომზადების სტადიაზე განემარტა მოსარჩელისთვის სსსკ-ის 83-ე მუხლის მეორე ნაწილის შინაარსი და, აქედან გამომდინარე, მისი უფლება, აღიარებითი მოთხოვნის მიკუთვნებითი მოთხოვნით შეცვლის შესაძლებლობის თაობაზე. თუ მოსარჩელე არ გამოიყენებდა კანონით მისთვის მინიჭებულ უფლებას, მაშინ სასამართლოს სარჩელი განუხილველად უნდა დაეტოვებინა (სსსკ-ის 209-ე მუხლი).[696]

696 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 24 დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას-502-476-2015. ნახეთ ასევე, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილე-

საკასაციო საჩივარში ჩამოყალიბებული საკასაციო მოთხოვნის დასაბუთებულობა მთლიანად განპირობებულია კასაციის მიზნებით. ეს იმას ნიშნავს, რომ საკასაციო საჩივრის დასაბუთებულობა უნდა ემყარებოდეს კანონის დარღვევას, მასში ნაჩვენები უნდა იყოს, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატება კანონის დარღვევა, რადგან საკასაციო სასამართლო არ ამოწმებს გადაწყვეტილების ფაქტობრივ დასაბუთებულობას და იგი არაა ფაქტების დამდგენი სასამართლო. საკასაციო საჩივარიც, რომელიც გადაწყვეტილების მხოლოდ ფაქტობრივ მხარეს ეხება – არ წარმოადგენს საკასაციო საჩივარს. ასეთ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს გამოაქვს განჩინება საჩივრის ხარვეზის შესახებ, ხოლო, თუ ხარვეზი არ იქნება შევსებული, დატოვებს მას განუხილველად. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ საკასაციო სასამართლო არ არის შებოჭილი საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევის შემოწმებით და შეუძლია შეამოწმოს კანონის დარღვევის სხვა შემთხვევებიც.[697]

III. გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები

საკითხი იმის შესახებ იწვევს, თუ არა საპროცესო სამართლებრივი ნორმის დარღვევა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით შემდეგნაირად წყდება: სამოქალაქო საპროცესო კოდექსი თვითონ განსაზღვრავს საპროცესო ნორმების ისეთ დარღვევებს, რომელთა დადასტურების შემთხვევაში გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს. კოდექსით განსაზღვრული საპროცესო დარღვევების ფარგლებს გარეთ საკითხის გადაწყვეტა, მინდობილი აქვს საკასაციო სასამართლოს. ამისათვის კანონი განსაზღვრავს ზოგად კრიტერიუმს: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად „საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გად-

ბები საქმეებზე: №ას-485-485-2018, 31.01.2020 წელი; №ას-1437-1357-2017, 11.05.2018 წელი; №ას-1543-1463-2017, 18.05.2018 წელი.

697 ხრუსტალი ვ. საკასაციო საჩივრის საფუძვლები. სამოქალაქო პროცესის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, პროფესორ რევაზ გოგშელიძის 65 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. გამომცემლობა „მერიდიანი", 2022 წელი, გვ. 398-411.

აწყვეტილება იქნა გამოტანილი".[698]

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლი შეიცავს კანონის დარღვევების ჩამონათვალს, რომლებიც შეფასებულია თვითონ კანონმდებლის მიერ, როგორც ისეთი დარღვევები, რომლებიც აუცილებლად იწვევენ გადაწყვეტილების გაუქმებას. სხვანაირად ამ საფუძვლებს შეიძლება ვუწოდოთ გადაწყვეტილების გაუქმების კანონისმიერი საფუძვლები. აქ სასამართლო მიხედულებისათვის ადგილი არ რჩება.[699] სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მესამე ნაწილის დანაწესი ამ შემთხვევაში არ მოქმედებს. მაგალითად, თუ აღმოჩნდება, რომ საქმეში არ არის სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი, საკასაციო სასამართლომ უნდა გააუქმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე დააბრუნოს ხელახალი განხილვისათვის, თუმცა შესაძლებელია ეს გადაწყვეტილება სწორი იყოს, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, თუ დადასტურდება, რომ ადგილი აქვს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლში მითითებულ ერთ-ერთ დარღვევას, სასამართლო აღარ აგრძელებს გამოკვლევას. ამ დარღვევის დადასტურება წარმოადგენს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების უდავო საფუძველს.

მიზანშეწონილია განხილულ იქნეს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლების აზრი და შინაარსი ცალ-ცალკე.

1. საქმის განხილვა სასამართლოს არაკანონიერი შემადგენლობის მიერ.

სასამართლოს არაკანონიერი შემადგენლობა შესაძლებელია სხვადასხვანაირად გამოვლინდეს. მაგალითად, საქმე განიხილა მოსამართლემ, ან სასამართლოს კოლეგიურ შემადგენლობაში არის მოსამართლე, რომელიც განთავისუფლებულია ან დროებით გადაყენებულია თანამდებობიდან, ან კიდევ რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუდია ფიცი. „საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს

698 ვ. ხრუსტალი. საკასაციო საჩივრის შემოწმების ფარგლები. თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ჟურნალი „მაცნე", 2006. №1., გვ. 182-193.

699 თ. ლილუაშვილი, ვ.ხრუსტალი . საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი". 2007., გვ. 692-693.

ორგანული კანონის 38-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეები, რომლებსაც პირველად ნიშნავენ თანამდებობაზე, ამ თანამდებობის დაკავებამდე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინაშე, საზეიმო ვითარებაში დებენ ფიცს. ფიცის დადებამდე მოსამართლეს უფლება არა აქვს განიხილოს საქმე. ამავე კანონის 45-ე მუხლის მეოთხე პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია გაიზიარებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებაში ასახულ დასკვნებს, მიიღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი სამართალწარმოების საბოლოოდ დასრულებამდე მოსამართლის საქმეთა განხილვისაგან ჩამოცილების შესახებ. თუ, მიუხედავად ამისა, ასეთი მოსამართლე განიხილავს საქმეს და მიიღებს გადაწყვეტილებას, ეს იქნება ამ გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი.

სასამართლოს არაკანონიერ შემადგენლობასთან გვექნება საქმე, როდესაც განხილვაში მონაწილეობს მოსამართლე, რომელსაც განუცხადეს აცილება და ეს აცილება მიღებული აქვს სასამართლოს, ან კიდევ, სასამართლოს შემადგენლობაში არიან ერთმანეთის ახლო ნათესავები, რასაც კატეგორიულად კრძალავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 30-ე მუხლი, რომლის თანახმად სასამართლოს შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ პირები, რომლებიც ერთმანეთის ახლო ნათესავები არიან, ხოლო თუ მათ შორის ასეთი ნათესავები მაინც აღმოჩნდნენ ისინი უნდა ჩამოაცილონ საქმის განხილვას. ნათესაობის წრის განსაზღვრისას შეიძლება ვისარგებლოთ სსსკ-ის 31-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომელიც შეიცავს იმ პირთა ჩამონათვალს, რომლებიც ნათესავებად ითვლებიან.

სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაციულ დავას, რომლის გადაწყვეტა უნდა მოხდეს ადმინისტრაციული საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო წესების თანახმად, განიხილავს სამოქალაქო საქმეთა პალატა და პირიქით. შეიძლება თუ არა არაკანონიერ შემადგენლობად გამოცხადდეს სასამართლო მხოლოდ იმიტომ, რომ მან ნებით თუ უნებლიედ განიხილა არასაქვეუწყებო ან არაგანსჯადი საქმე?

სასამართლოს არაკანონიერი შემადგენლობა ეს არის ამ შემადგენლობის შინაგანი მახასიათებელი. იგი ასეთად დარჩება

ნებისმიერ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა განიხილავს საქმეებს განსჯადობისა და საქვეუწყებობის წესების დაცვით თუ არა. მხედველობიდან არ შეიძლება გაუშვათ ის, რომ სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეულ ინსტიტუტს უკავშირდება მისთვის დამახასიათებელი შედეგები. ამ შედეგების სხვა ინსტიტუტებიდან დასესხებას შეიძლება მოჰყვეს სერიოზული შეცდომები. მაგალითად, სსსკ-ის 21-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას არაგანსჯადი სასამართლო შეიძლება განსჯადი გახდეს, როცა მოპასუხე არაა წინააღმდეგი, რომ საქმე განიხილოს არაგანსჯადმა სასამართლომ და თანახმაა მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, ამასთან, თუ მოპასუხე წარმოდგენილი იქნება ადვოკატით და ა.შ. მაგრამ სასამართლოს არაკანონიერი შემადგენლობა ვერასდროს ვერ გარდაიქმნება კანონიერ შემადგენლობად, თუ არ აღმოიფხვრა მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს ამ შემადგენლობის არაკანონიერება.[700] ამით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობისა და სასამართლო განსჯადობის დარღვევას, აგრეთვე საქმის განხილვას სასამართლოს არაკანონიერი შემადგენლობის მიერ, უკავშირდება თავისი შედეგები, რომლებიც გათვალისწინებულია სსსკ-ის 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით.[701]

2. საქმის განხილვა მხარის დასწრების გარეშე

მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. ამასთან, სასამართლო უწყება უნდა ჩაჰბარდეთ იმ ვარაუდით, რომ მათ ჰქონდეთ სასამართლოში დროულად გამოცხადებისა და საქმის მომზადებისათვის გონივრული ვადა. მხარეს შეუძლია არ გამოცხადდეს პროცესზე და არ მიიღოს მონაწილეობა საქმის განხილვაში. ეს მისი უფლებაა, მაგრამ სასამართლოს უფლება არა აქვს განიხილოს საქმე მხარი-

700 თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“. 2007., გვ. 692-693.

701 თ. ლილუაშვილი. ადმინისტრაციული საქმეების სასამართლო საქვეუწყებობა (უწყებრივი ქვემდებარეობა) და განსჯადობა. ჟურნალი „მართლმსაჯულება“. 2007. №1.

სათვის შეტყობინების გარეშე. ეს სასამართლოს მოვალეობაა, რაც კონკრეტულად იმაში გამოიხატება, რომ სასამართლო ვერ განიხილავს საქმეს და ვერ გამოიტანს გადაწყვეტილებას (ვერც ჩვეულებრივსა და ვერც დაუსწრებელს), თუ დაცული არ არის სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლებით (სასამართლო შეტყობინება და დაბარება) დადგენილი წესი. როდესაც საუბარია მხარის შეტყობინებაზე, იგულისხმება აგრეთვე კანონიერი წარმომადგენლებიც. სსსკ-ის 101-ე მუხლის თანახმად ქმედუუნარო მოქალაქის, აგრეთვე, შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე მოქალაქის უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავენ მათი კანონიერი წარმომადგენლები. ამიტომ, ის რაც ითქვა მხარეების მიმართ მთლიანად ეხება აგრეთვე კანონიერ წარმომადგენლებს, რომელთა შეტყობინების გარეშე საქმის განხილვა და გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია.

ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ გააუქმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება და საქმე დაუბრუნა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად. საკასაციო პალატამ თავის განჩინებაში მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით, ან მისი კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას.[702]

702 სუსგ 2010. №9., გვ. 121-127.

3. გადაწყვეტილების გამოტანა საქმეზე, რომელიც სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება

ცნობილია, რომ ნებისმიერი ორგანო, რომელიც შეიქმნა და არსებობს ამა თუ იმ სახელმწიფოში, ვალდებულია იმოქმედოს თავისი უფლებამოსილების (კომპეტენციის) ფარგლებში და არ გასცდეს ამ ფარგლებს. როგორც კი რომელიმე ორგანო გასცდება თავისი უფლებამოსილების ფარგლებს, იგი იჭრება სხვა ორგანოს კომპეტენციაში, ე. ი. თავის თავზე იღებს ისეთი საკითხის გადაჭრის უფლებამოსილებას, რომელიც მას კი არა, სხვა ორგანოს აქვს მიკუთვნებული. აქედან გამომდინარე, უწყებრივ ქვემდებარეობას განმარტავენ, როგორც იმ უფლებამოსილებათა ერთობლიობას და ფარგლებს, რომელიც ამა თუ იმ ორგანოს აქვს განსაზღვრული. სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობა კანონით განსაზღვრულ იმ უფლებათა ერთობლიობაა, რომელთა ფარგლებში სასამართლოს შეუძლია მიიღოს და განიხილოს საქმეები.[703]

სსსკ-ის მე-11 მუხლი შეიცავს მხოლოდ სანიმუშო ჩამონათვალს (ზოგად კრიტერიუმს) იმ ურთიერთობებისას, რომლებიდანაც წარმოშობილ დავებსაც განიხილავს სასამართლო. ეს ჩამონათვალი, მართალია განუსაზღვრელად ფართოა, მაგრამ არაა ამომწურავი. გარდა ამისა, კანონით სასამართლოს შეიძლება სხვა კატეგორიის საქმეთა განხილვაც დაექვემდებაროს. უწყებრივი ქვემდებარეობის განსაზღვრისას სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს არამარტო სსსკ-ის მე-11 მუხლით, არამედ სხვა ორგანოების შესახებ მიღებული კანონებითაც, მაგალითად, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, აგრეთვე, საქართველოს კანონით „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“.

სსსკ-ის 272-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ საქმე არ უნდა იქნეს განხილული სასამართლოში იმის გამო, რომ კანონის თანახმად მისი განხილვა სხვა უწყების კომპეტენციაში შედის. კანონს აქ მხედველობაში აქვს უწყებრივი ქვემდებარეობა ანუ სასამართლო საქვეუწყებობა (სსსკ-ის მე-11

703 თ. ლილუაშვილი. სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში, პრაქტიკული სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „ჯისიაი“. 2001., გვ.112-113.

მუხლი) და არა განსჯადობა (სსსკ – ის მე-13-24-ე მუხლები). როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობა ფართოა: ყველა დავა, რომელიც სამართლით მოწესრიგებული ურთიერთობიდან გამომდინარეობს, ექვემდებარება სასამართლოს. ამასთან ერთად, არსებობს დავები, რომლებიც თუმცა სამართლით მოწესრიგებული ურთიერთობებიდან გამომდინარეობენ, მაგრამ მათი განხილვის კომპეტენცია მიკუთვნებული აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს.

მაგალითად: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ. ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, თუ ჩუქება გაუქმდება, მაშინ გაჩუქებული ქონება შეიძლება გამოთხოვილ იქნეს მჩუქებლის მიერ. პირმა, რომელსაც პაპამ აჩუქა საცხოვრებელი სახლი და აქვს მოლოდინი, რომ შესაძლებელია ჩუქება გაუქმდეს მის მერ მჩუქებლის მიმართ გამოჩენილი დიდი უმადურობის გამო, სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მიუთითა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-19-ე მუხლით საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება. აქედან გამომდინარე მოსარჩელემ მოითხოვა სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლის არაკონსტიტუციურად ცნობა. თბილისის საქალაქო სასამართლომ არ უნდა მიიღოს ეს სარჩელი წარმოებაში, მაგრამ თუ შეცდომით მიიღო, უნდა შეწყვიტოს საქმის წარმოება და სსსკ-ის 273-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად განჩინებაში მიუთითოს, რომ მოცემული საქმე განეკუთვნება საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ სარჩელი შეიძლება პასუხობდეს ყველა მოთხოვნას, რაც გათვალისწინებულია სსსკ – ის 177-ე და 178-ე მუხლებით, მაგრამ სასამართლომ შეიძლება მაინც არ მიიღოს, რადგან არ არსებობს სარჩელის უფლების წანამძღვრები. სსსკ-ის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის თანახმად მოსამართლე სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში არ მიიღებს სარჩელს, თუ სარჩელი არ ექვემდებარება სასამართლო უწყებას. ამრიგად, სასამართლო ვერ განიხილავს სარჩელს, თუ

მისი განხილვა არ შედის სასამართლოების კომპეტენციაში. ასეთ შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ იმ მოტივით, რომ მისი განხილვა არ ექვემდებარება სასამართლოს უწყებრივად.

როგორც ზემოთ მოყვანილ მაგალითთან დაკავშირებით აღინიშნა, თუ სასამართლომ შეცდომით მიიღო ასეთი სარჩელი, მაგრამ შემდგომში აღმოჩნდა, რომ არ უნდა მიეღო არასაქვეუწყებობის გამო, მაშინ იგივე სასამართლო გამოიტანს მეორე განჩინებას საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ (სსსკ-ის 272-ე მუხლი), ისე, რომ არც კი გააუქმებს თავის თავდაპირველ განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად, პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი დავა, რომლის მოწესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება განსახილველად გადაეცეს არბიტრაჟს.

„არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების დანაწესით საარბიტრაჟო შეთანხმება არის შეთანხმება, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს ყველა ან ზოგიერთი დავა, რომელიც წარმოიშვა, ან შეიძლება წარმოიშვას მათ შორის ამა თუ იმ სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე. საარბიტრაჟო შეთანხმება შეიძლება დაიდოს ხელშეკრულებაში საარბიტრაჟო დათქმის, ან ცალკე შეთანხმების ფორმით.

სასამართლო, რომელშიც შეტანილია სარჩელი იმ დავის არსებით საკითხზე, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმების საგანია, ვალდებულია ამ საკითხზე საარბიტრაჟო განხილვის დაწყების შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე უარი თქვას სარჩელის მიღებაზე ან შეწყვიტოს წარმოება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღმოაჩენს, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილია, ძალადაკარგულია ან მისი შესრულება შეუძლებელია.[704]

სსსკ-ის 272[1] მუხლის თანახმად, თუ მხარეებს დადებული აქვთ

704 ვ. ხრუსტალი. სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობისა და განსჯადობის აქტუალური საკითხები სამოქალაქო სამართლის პროცესში. კერძო სამართლის პრობლემატიკა. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი". 2013., გვ.3-29.

ხელშეკრულება, ან არსებობს მხარეთა შეთანხმება, რომ მათ შორის დავა გადასაწყვეტად არბიტრაჟს გადაეცეს, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას ერთ-ერთი მხარის განცხადების საფუძველზე. აღნიშნული განცხადება შესაგებლის წარდგენის ვადის გასვლამდე უნდა გაკეთდეს.

4. გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესები

საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლისა და „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლით დამკვიდრებულია საქმის განხილვის საქვეყნოობის პრინციპი. საქვეყნოობის პრინციპი ნიშნავს კონკრეტული სამოქალაქო საქმის განხილვას სასამართლოს ღია სხდომებზე მხარეებისა და სასამართლო სხდომის დარბაზში მყოფ პირთა თანდასწრებით. საჯაროობის პრინციპის დარღვევასთან გვექნება საქმე, როდესაც სასამართლოს არ დაუდგენია საქმის დახურულ სხდომაზე განხილვა, მაგრამ მოქალაქეებს, რომლებსაც სურდათ დასწრებოდნენ ამ საქმის განხილვას, არ უშვებდნენ სასამართლოს სხდომის დარბაზში.

ამრიგად, თუ სასამართლოს არ მიუღია გადაწყვეტილება საქმის დახურულ სხდომაზე განხილვის შესახებ, მაგრამ ფაქტობრივად სხდომა დახურულად მიმდინარეობდა, საჯაროობის წესები დარღვეულად ითვლება, რაც სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას იწვევს.[705]

სსსკ-ის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად სასამართლოში ყველა საქმე განიხილება ღია სხდომაზე, თუ ეს არ ეწინააღმდეგება სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ინტერესებს. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მხარის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე.

საჯაროობის პრინციპს მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს. სა-

705 თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი". 2007., გვ. 17-19.

სამართლოს მთავარი სხდომების ჩატარება არამარტო მხარეთა მონაწილეობით, არამედ საზოგადოების დაინტერესებულ წევრთა თანდასწრებით, აგრეთვე, ამ სხდომების შესახებ ინფორმაციის მიწოდებით პრესის, რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით საზოგადოებისათვის, რომლებიც არ ესწრებოდნენ სასამართლო სხდომებს – წარმოადგენს სასამართლოს საქმიანობისადმი საზოგადოების კონტროლის ერთ-ერთ ფორმას.

მხოლოდ სასამართლო პროცესების ჩატარებას სამოქალაქო საპროცესო ნორმებით დადგენილი წესითა და სხვა სოციალური ნორმების მოთხოვნათა სრული გათვალისწინებით, შეუძლია ჩამოუყალიბოს ნდობა საზოგადოებას სასამართლოს მიმართ.

ბოლოს საქვეყნოობის პრინციპს აქვს გარკვეული მნიშვნელობა საზოგადოების მართლშეგნების ამაღლების, მათი კანონისადმი პატივისცემის სულისკვეთებით აღზრდის თვალსაზრისითაც. აქ საზოგადოება იგებს არამარტო იმის შესახებ, თუ როგორია კანონის მოთხოვნები, არამედ იმასაც, რომ ამ მოთხოვნების დარღვევას არ შეიძლება არ მოყვეს სერიოზული არახელსაყრელი შედეგები მისი დამრღვევისათვის. საქვეყნოობის (საჯაროობის) პრინციპის დარღვევა წარმოადგენს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს. სსსკ-ის 394-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად და უნდა გაუქმდეს, თუ გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესები.[706]

5. სასამართლოს გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული

საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძვლებს შორის გადაწყვეტილების გაუქმების ყველაზე გავრცელებული შემთხვევაა ამ გადაწყვეტილების არასრული იურიდიული დასაბუთებულობა, რის გამოც შეუძლებელია მისი ამ თვალსაზრისით შემოწმება.

საკასაციო სასამართლო არ ამოწმებს გასაჩივრებული გად-

706 თ. ლილუაშვილი, გ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, ზ. ძლიერიშვილი. სამოქალაქო საპროცესო სამართალი. I ნაწილი. გამომცემლობა „სამართალი“, 2014., გვ.109.

აწყვეტილების ფაქტობრივ მხარეს, მაგრამ ამ გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმებისას იგი იძულებულია გაერკვეს საქმის ფაქტობრივ გარემოებებში, რომლის გარეშე ვერ გადაწყვეტს ორ საკითხს: გააუქმოს გადაწყვეტილება და დააბრუნოს საქმე ხელახლა განსახილველად, როცა გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი, თუ გააუქმოს გადაწყვეტილება და თვითონ გამოიტანოს ახალი გადაწყვეტილება.

ახალი გადაწყვეტილების გამოტანისათვის კანონი განსაზღვრავს პირობებს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად „საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები".

ამგვარად, იმისათვის რომ საკასაციო სასამართლომ მიიღოს კანონით გათვალისწინებული ორი შესაძლებლობიდან ერთ-ერთი: დააბრუნოს საქმე ხელახლა განსახილველად თუ თვითონ მიიღოს ახალი გადაწყვეტილება – საკმარისი არ არის კანონის დარღვევის კონსტატირება. ამისათვის საჭიროა გაირკვეს დადგენილია თუ არა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა ფაქტობრივი გარემოება. ამის გასარკვევად საკასაციო სასამართლომ უნდა მიმართოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას, სადაც მითითებული უნდა იყოს, თუ რომელი ფაქტები ჩათვალა სასამართლომ დამტკიცებულად და საქმეში არსებული რომელი მტკიცებულებების საფუძველზე. ეს წესი პირდაპირ გამომდინარეობს სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესიდან.

ერთადერთი საპროცესო დოკუმენტი, რომელშიც თავისი ასახვა უნდა ჰპოვოს სასამართლოს მიხედულებამ იმის შესახებ, თუ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოებები და რომელი მტკიცებულებების საფუძველზე ჩათვალა მან დადგენილად და რომელი ფაქტები ითვლება უდავოდ – ესაა სასამართლოს გადაწყვეტილება. ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული სსსკ-ის 249-ე მუხლის მესამე ნაწილში, რომლის თანახმად გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში უნდა მიეთითოს სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები, მტკიცებულებანი, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები და მოსაზრებანი, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას.

ეჭვს არ იწვევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ კან ონის ამ მოთხოვნის დაცვით შედგენილი და ჩამოყალიბებულ გადაწყვეტილება გაუადვილებს საკასაციო სასამართლოს ამ გად აწყვეტილების შემოწმებას კანონიერების თვალსაზრისით.

ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ დააკმაყოფილა საკასა ციო საჩივარი, გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილე ბა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მოთხ ოვნათა შესაბამისად მიიღო ახალი გადაწყვეტილება, რითაც მოსარჩელის მოთხოვნას – მხარეთა შორის დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ეთქვა უარი. საკა- საციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებებ დადგენილი იყო საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშე და საჭ- ირო არ იყო მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. ე.ი. არ არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირ- ველი ნაწილით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.[707]

საინტერესო იქნება, პარალელი გაევლოს სამოქალაქო საპრო- ცესო კოდექსის 410-ე მუხლის „გ" ქვეპუნქტისა და 394-ე მუხლის „ე" ქვეპუნქტის დანაწესს შორის.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართ- ლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება **არსებითად სწორია,** მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. ე.ი. სააპელაციო სასამართლომ საპრო- ცესო ნორმების დარღვევის გარეშე დაადგინა საქმეზე ფაქტო- ბრივი გარემოებები, **შედეგის მიხედვით მიიღო არსებითად სწორი გადაწყვეტილება**, თუმცა გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში არასაკმარისად აღნიშნა სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც იხელმძღვანელა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე" ქვეპუნ- ქტის დანაწესით, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანო- ნის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული. მართალია, ამ დროს გად- აწყვეტილება აუცილებლად უნდა გაუქმდეს, ვინაიდან სახეზეა

707 სუსგ 2010 №12., გვ. 436.

გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი, მაგრამ საქმე არ უნდა დაბრუნდეს ხელახალი განხილვისათვის. მოცემულ შემთხვევაშიც სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშეა დადგენილი საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, მაგრამ **ამ კოდექსის 410-ე მუხლის „გ" ქვეპუნქტის დანაწესისაგან განსხვავებით, საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება შედეგის მიხედვით არსებითად სწორი არ არის.** ასეთ ვითარებაში საკასაციო სასამართლო ამ კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, ვინაიდან არ არსებობს 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.[708]

„სამართლის გამოყენება არ ხორციელდება ზუსტი მეთოდით. კანონის გამოყენების ბუნდოვანება შეიძლება იურიდიული სილოგიზმის როგორც ნორმატიული, ისე ფაქტობრივი წანამძღვრებით იქნეს განპირობებული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: ინტერპრეტაციის არამკაფიო განსაზღვრებით ან სავარაუდო ფაქტობრივი გარემოებებით".[709]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ: საკასაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) შემოწმების შედეგები, რაც ვლინდება ერთ შემთხვევაში – გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) უცვლელად დატოვებაში, მეორე შემთხვევაში – გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) გაუქმებაში და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნებაში და მესამე შემთხვევაში – გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) გაუქმებაში და ახალი გადაწყვეტილების გამოტანაში, უკავშირდება ერთ შემთხვევაში – საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების განსაზღვრის მართებულობის, მეორე შემთხვევაში – ამ ფაქტობრივი გარემოებების დადგენის პროცესის

---

708 ვ. ხრუსტალი. კასაციის უფლებამოსილება. პროფესორ რომან შენგელიას 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, სამართლის პრობლემები. გამომცემლობა „სამართალი. 2012., გვ. 434-437. შეადარეთ: თ. თოდრია. ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში. თბილისი, 2011 წელი, გვ. 334.

709 რაინჰოლდ ციპელიუსი, იურიდიული მეთოდების მოძღვრება. „ბეკის" გამომცემლობა, მიუნჰენი 2006., გვ. 127.

მართებულობის და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს.

შესაბამისად, ზემოთ აღნიშნული შედეგი განპირობებულია საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შემოწმების შესაძლებლობით. საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების (განჩინების) გამოტანაზე უშუალო გავლენას ახდენს ის, თუ რამდენად სწორად იქნა განსაზღვრული იურიდიული სილოგიზმის მიხედვით ნორმატიული (ძირითადი) წანამძღვარი და ფაქტობრივი (მეორადი) წანამძღვარი; აქედან გამომდინარე, რამდენად სწორი შედეგი იქნა მიღებული საქმეზე. მითითებული წანამძღვრების განსაზღვრა გავლენას ახდენს საკასაციო სასამართლოში სუბსუმფციის განხორციელების პროცესუალურ შესაძლებლობებზე, რაც, შესაბამისად, აისახება საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სხვადასხვა სახეში.[710]

6. სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია

საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში (განჩინებაში) ჩამოყალიბებული სამართლებრივი შეფასების სისწორე, მისი შესაბამისობა სამართლის ნორმის შემადგენლობის აბსტრაქტულ ნიშნებთან, ნორმის აზრთან და შინაარსთან. მაგრამ ეს შეუძლებელი იქნება, თუ გადაწყვეტილებიდან არ ჩანს რომელი ფაქტები ჩათვალა სააპელაციო სასამართლომ დადგენილად და, მაშასადამე, რომელი ფაქტები შეაფასა მან სამართლებრივად, რომელ ფაქტებს მიანიჭა ან არ მიანიჭა იურიდიული მნიშვნელობა ამ გადაწყვეტილებისათვის და ა.შ. ცხადია, რომ გადაწყვეტილების შემოწმება საერთოდ შეუძლებელია, თუ არ ჩანს რომელ ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს ემყარება იგი.[711]

ერთ-ერთ საქმეზე უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო

---

710 თ. თოდრია. ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში. თბილისი 2011., გვ. 337-338.

711 თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი". 2007., გვ. 696.

საქმეთა პალატამ დააკმაყოფილა საკასაციო საჩივრის მოთხოვნა, გააუქმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნა იმავე სასამართლოს. გადაწყვეტილების გაუქმებას საფუძვლად დაედო სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე[1]" ქვეპუნქტი, რომლის თანახმად გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინება დასაბუთებული არ არის, რაც გამოიხატება იმაში, რომ სასამართლოს დავის საგანზე საერთოდ არ უმსჯელია, არ დაუდგენია და არც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად მიუთითებია იმ ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებზე, რომელსაც დაეთანხმა სასამართლო. იმ შემთხვევაში კი, თუ სააპელაციო სასამართლო არ მიუთითებს დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, შეუძლებელია საკასაციო სასამართლომ შეამოწმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად ხელმძღვანელობს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით, ხოლო ამ გარემოებათა დადგენის გარეშე შეუძლებელია სასამართლომ იმსჯელოს გადაწყვეტილების (განჩინების) კანონიერებაზე. სააპელაციო სასამართლო მთლიანად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას ისე, რომ არ იმსჯელა, რამდენად წარმოადგენდა 2007 წლის 4 მაისის წერილი ვალდებულების აღიარებას და შესაძლო იყო თუ არა აღნიშნულ დოკუმენტზე დაყრდნობით ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის თანახმად სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით, ხოლო შემოწმების შედეგები აისახება სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლო ვალდებული იყო ემსჯელა სააპელაციო საჩივარში მითითებულ არგუმენტებზე და გაეზიარებინა ან უარეყო პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები[712].

712 სუსგ 2010 №13., გვ. 130-132.

7. სასამართლოს გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნულნი

სსსკ-ის 249-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში უნდა აღინიშნოს ამ გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს შემადგენლობა. ცხადია, რომ გადაწყვეტილებას ხელს უნდა აწერდეს ის მოსამართლე (მოსამართლეები), რომელიც აღნიშნულია გადაწყვეტილებაში, კერძოდ, მის შესავალ ნაწილში. თუ კანონის ეს დანაწესი დარღვეულია, ე.ი. გადაწყვეტილებას ხელს აწერს არა ის მოსამართლე, რომელიც აღნიშნულია გადაწყვეტილებაში, არამედ სხვა მოსამართლე ან სხვა მოსამართლეები, მაშინ გადაწყვეტილება უდავოდ უნდა გაუქმდეს.

გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქმის მასალებით უტყუარად დასტურდება, რომ საქმის განხილვაში მონაწილეობდა სხვა მოსამართლე, ხოლო გადაწყვეტილებაში მითითებულია და ამ გადაწყვეტილებას ხელს აწერს სხვა მოსამართლე.[713]

ერთ-ერთ საქმეზე უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ დააკმაყოფილა საკასაციო საჩივრის მოთხოვნა, გააუქმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნა იმავე სასამართლოს. საკასაციო პალატის განჩინებაში მითითებულია, რომ სსსკ-ის 394-ე მუხლის „ვ" ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნული. ამავე კოდექსის 389-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში უნდა მიეთითოს სასამართლოს შემადგენლობა. ცხადია, რომ გადაწყვეტილებას ხელს უნდა აწერდნენ ის მოსამართლეები, რომლებიც აღნიშნულია ამ გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში. თუ გადაწყვეტილებას ხელს აწერს არა ის მოსამართლე, რომელიც აღნიშნულია გადაწყვეტილებაში, არამედ, სხვა მოსამართლე, მაშინ გადაწყვეტილება ითვლება კანონის დარღვევით მიღებულად და უნდა გაუქმდეს.

საკასაციო პალატამ ასევე მიუთითა, რომ გადაწყვეტილება ით-

---

713 თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი". 2007., გვ. 697.

ვლება კანონის დარღვევით მიღებულად იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქმის განხილვაში მონაწილეობდა სხვა მოსამართლე, ხოლო გადაწყვეტილებაში მითითებულია და ამ გადაწყვეტილებას ხელს აწერს სხვა მოსამართლე.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ სააპელაციო სასამართლოში მოცემული საქმის განხილვაში მონაწილეობას იღებდა მოსამართლე ნ. ნ-ძე, ხოლო განჩინებას ხელს აწერს მოსამართლე ხ. ა-ძე.

აღნიშნული გარემოება წარმოადგენს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს, ვინაიდან განჩინებას ხელს აწერს მოსამართლე, რომელსაც საქმის განხილვაში არ მიუღია მონაწილეობა.[714]

8. გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, რომლებიც ამ საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდნენ

სსსკ-ის 29-ე მუხლის (საქმის განხილვაში მოსამართლის განმეორებით მონაწილეობის დაუშვებლობა) იმპერატიული დანაწესი ემყარება ერთ მეტად გონივრულ პრინციპს: გადაწყვეტილების კანონიერების თუ დასაბუთებულობის შემოწმება არ შეიძლება მიენდოს, იმ მოსამართლეს, რომელმაც ეს გადაწყვეტილება გამოიტანა.

ამ მუხლის ანალიზის, მისი აზრისა და შინაარსის საფუძველზე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი შინაარსის პრაქტიკული წესი: ერთი და იგივე მოსამართლე ვერ მიიღებს მონაწილეობას ერთი და იმავე საქმის სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში განხილვისას.[715]

ამასთან ერთად, უფრო ნათელი, რომ გახდეს საქმის განხილვაში მოსამართლის განმეორებით მონაწილეობის დაუშვებლობის არსი, დამატებით უნდა განიმარტოს, რომ კანონი არ გამორიცხავს და მაშასადამე უშვებს საქმის განხილვაში მოსამართლის განმეორებით მონაწილეობას შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ სააპელაციო სასამართლომ გააუქმა გადაწყვეტილება ან განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დააბრუნა პირველი ინსტანციის სასამართლოში, ეს საქმე შეიძლება განიხილოს იმავე

714 სუსგ 2010. №9., გვ. 117-120.

715 თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი". 2007., გვ. 56.

მოსამართლემ, ან იმავე სასამართლოს კოლეგიურმა შემადგენლობამ, რომლის გადაწყვეტილება (განჩინება) გაუქმდა;

ბ) თუ საკასაციო სასამართლომ გააუქმა გადაწყვეტილება ან განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დააბრუნა სააპელაციო სასამართლოში, ეს საქმე შეიძლება განიხილოს სააპელაციო პალატის იმავე შემადგენლობამ, რომლის გადაწყვეტილება (განჩინება) გაუქმდა;

გ) თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება კვლავ გასაჩივრდა საკასაციო წესით, საქმე შეიძლება განიხილოს საკასაციო პალატის იმავე შემადგენლობამ, რომელმაც ადრე განიხილა ეს საქმე, გააუქმა მიღებული გადაწყვეტილება (განჩინება) და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა სააპელაციო სასამართლოში.

9. საქმეში არ არის სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი

სხდომის ოქმი არის უაღრესად მნიშვნელოვანი საპროცესო დოკუმენტი, რომელშიც აისახება პროცესის მსვლელობა (საპროცესო მოქმედებანი) მთლიანად, მხარეთა და მესამე პირთა ახსნა-განმარტებანი, მოწმეთა ჩვენებები, ექსპერტთა და სპეციალისტთა მოსაზრებები, მტკიცებულებათა გმოკვლევის შედეგები და ა.შ.

ცხადია, რომ სხდომის ოქმის გარეშე შეუძლებელია გადაწყვეტილების შემოწმება, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის გარკვევა.[716]

ერთ-ერთ საქმეზე უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ დააკმაყოფილა საკასაციო საჩივრის მოთხოვნა, გააუქმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნა იმავე სასამართლოს. საკასაციო პალატის განჩინებაში მითითებულია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის მიხედვით, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ საქმეში არ არის სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი.

---

716 თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“. 2007., გვ. 697-698.

მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სასამართლოს სხდომების და მხარეთა მონაწილეობით მიმდინარე საპროცესო მოქმედებების შესრულებისას სასამართლოს სხდომის ოქმის შედგენის აუცილებლობას, მის წესსა და პირობებს. სასამართლო სხდომის ოქმი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საპროცესო დოკუმენტია, რომელიც სრულად ასახავს საქმის წარმოების მიმდინარეობას, მხარეთა, მოწმეთა და პროცესის სხვა მონაწილეთა განმარტებებსა და რიგ საპროცესო მოქმედებებს. ამდენად, სასამართლოს სხდომის ოქმი არის მტკიცებულება იმის დასადასტურებლად, თუ რა საპროცესო მოქმედება შეასრულა სასამართლომ და რა შედეგები მოჰყვა ამ მოქმედებებს. სასამართლო სხდომის ოქმის არსებითი მტკიცებულებითი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ოქმის საქმეში არ არსებობა გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.[717]

ასეთია სამოქალაქო საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებათა საკასაციო წესით გადასინჯვის აბსოლუტური საფუძვლების აზრი და შინაარსი, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.[718]

IV. საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობა

საქართველოს 1964 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით საკასაციო სასამართლო შეზღუდული არ იყო საკასაციო საჩივრის მოსაზრებებით და ვალდებული იყო საქმე შეემოწმებინა სრული მოცულობით. ე. ი. კოდექსი ითვალისწინებდა სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო წესით შემოწმებას არამარტო გასაჩივრებულ, არამედ გაუსაჩივრებელ ნაწილშიც. ცხადია, რომ ასეთ პირობებში საკასაციო სასამართლოს შეეძლო ისე შეეცვალა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რომ იგი საზიანო და არახელსაყრელი ყოფილიყო კასატორისათვის, რომელიც ბუნებრივია, იმიტომ ასაჩივრებდა გადაწყვეტილებას, რომ მიეღწია მისთვის უფრო ხელსაყრელი შედეგისთვის.[719]

---

717 სუსგ 2010. №9., გვ. 128-134.

718 ვ. ხრუსტალი, პროფესორ შოთა ფაფიაშვილის დაბადებიდან მე-80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო შრომების კრებული. გამომცემლობა „იურისტების სამყარო", თბილისი, 2015 წელი. გვ. 296-315.

719 თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში, პრაქტი-

საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობის რომაული პრინციპი (non reformatio in pejus), ყოველთვის იმყოფებოდა ორგანულ კავშირში მეორე მნიშვნელოვან დებულებასთან – „რამდენი საჩივარიც არის, იმდენი გადაწყვეტილებაა /tantum devolutum quantum appellatum/"[720]. თუმცა ეს მტკიცება არ ვრცელდება კლასიკურ კოგნიციურ პროცესზე, რომელიც უფლებას აძლევს მოსამართლეს სააპელაციო საჩივრის ავტორის ნებისაგან დამოუკიდებლად გამოიტანოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებასთან შედარებით უფრო მკაცრი ვერდიქტი.[721]

ევროპული სახელმწიფოების მიერ რომაული სამართლის რეცეფციამ ბუნებრივად გამოიწვია ამ პრინციპის განმტკიცება საპროცესო კანონმდებლობის დონეზე.[722] ასე მაგალითად, რუსეთის 1864 წლის სამოქალაქო სამართალწარმოების წესდების[723] 773-ე მუხლის თანახმად, სასამართლო პალატა შედიოდა სასამართლოს გადაწყვეტილების მხოლოდ იმ ნაწილის განხილვაში, რომელიც მითითებული იყო სააპელაციო საჩივარში, აჩერებდა რა ამ ნაწილში გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას (ეგრეთ წოდებული აპელაციის არასრული სუსპენზიური ეფექტი)[724]. ამ მიმართებით გარკვეული გამოცდილება დაგროვდა როგორც ეროვნულ, ისე საზღვარგარეთის ქვეყნების[725] სამოქალაქო საპროცესო სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში, რომელიც კონცენტრირებული სახით გულისხმობს, რომ საუარესოდ შებრუნების აკრძალვის წესი წარმოადგენს დისპოზიციურობის ერთ-ერთ იმანენტურ შედეგს[726].

კული სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „ჯისიაი", 2001 წელი გვ. 318-319. ასევე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (1964 წლის რედაქცია) 306-ე მუხლი.

720 Борисова Е.А. Апелляция в гражданском (арбитражном) процессе. М. 2000. с. 103.

721 Гарсиа Гарридо М.Х. Римское частное право: казуси, иски, институти. М. 2005. с. 215-216.

722 დაწვრილებით ამის შესახებ ნახეთ: Муромцев С. Рецепция Римского права на западе. М. 1886.

723 საქართველოზე დიდი გავლენა იქონია რუსეთში გატარებულმა სასამართლო რეფორმამ (1864 წელი), რის შედეგადაც ახლებურად ჩამოყალიბდა სასამართლო სისტემა, რომელიც საქართველოზეც გავრცელდა. დაწვრილებით ამის შესახებ ნახეთ: ვ. ხრუსტალი, საქართველოს თანამედროვე კასაციის წარმოშობა და განვითარება. ჟურნალი „მართლმსაჯულება", 2009 წელი, №1, გვ. 38-45.

724 Цитович П.П. Гражданский процесс (конспект лекций). Киев, 1894. с. 93.

725 Gersdorf H. Verwaltungsprozessrecht. Heidelberg, 2006.

726 Будак Е.В. Апелляционное производство в России и Австрии. М. 2010. с. 122.

დისპოზიციურობის პრინციპი დამკვიდრებულია საქართველოს ახალი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით. სსსკ-ის მე-3 მუხლის თანახმად მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ, მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი.

დისპოზიციურობის პრინციპის კონკრეტული გამოვლინებაა მაგალითად სსსკ-ის 248-ე მუხლით განმტკიცებული დებულება, რომლითაც განსაზღვრულია სასამართლოს გადაწყვეტილების ფარგლები და მითითებულია, რომ „სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა“. დისპოზიციურობის პრინციპის კონკრეტული გამოვლინებაა, ასევე, სსსკ-ის 377-ე მუხლით განმტკიცებული დებულება, რომლის თანახმად „სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით“. იგივე დებულება დამკვიდრებულია ამავე კოდექსის 384-ე მუხლით, რომლის თანახმად „სააპელაციო ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ.“

მსგავსი შინაარსის სამართლებრივი აქსიომა დამკვიდრებულია სამართლის ზოგად თეორიაშიც – „სასამართლო არ უნდა გავიდეს მხარეების მოთხოვნათა ფარგლებიდან (judex ne eat ultra petita partium)”.[727]

ამგვარად, პირველი ინსტანციის სასამართლო შებოჭილია სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებით და ვერ გასცდება ამ ფარგლებს, ხოლო სააპელაციო სასამართლო შებოჭილია სააპელაციო საჩივრის ფარგლებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ მოთხოვნის ფარგლებში შეუძლია შეამოწმოს გადაწყვეტილების კანონიერება და დასაბუთებულობა.

დისპოზიციურობის პრინციპის მოქმედება ვრცელდება საკასა-

727 Афанасьев С. Ф. Зайцев А. И. Гражданское процессуалное право; издательство „Юрайт~ М. 2011. стр. 54-57.

ციო წარმოებაზეც. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად „საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში". საკასაციო საჩივრის ფარგლებში უწინარეს ყოვლისა იგულისხმება საკასაციო საჩივრის მოთხოვნის ფარგლები, ის თუ რა მოცულობით (მთლიანად, ნაწილობრივ) საჩივრდება გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლოს შეუძლია შეამოწმოს გადაწყვეტილება სწორედ ამ მოთხოვნის მოცულობის ფარგლებში.

რაც შეეხება საკასაციო საჩივრის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმებას, აქ საკასაციო სასამართლო არაა შეზღუდული საკასაციო საჩივრის ფარგლებით და მას შეუძლია შეამოწმოს არამარტო ამ საჩივარში მითითებული კანონის დარღვევები, არამედ, კანონის სხვა დარღვევებიც. გარკვეულ, კანონით განსაზღვრულ ფარგლებში, საკასაციო სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს აგრეთვე საპროცესო დარღვევებიც.[728]

კონკრეტულად, საკასაციო წარმოებაში საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობის პრინციპი უფლებას არ აძლევს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს – ჩაერიოს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუსაჩივრებელ ნაწილში და ამით გააუარესოს კასატორის სამართლებრივი მდგომარეობა, გარდა იმ შემთხვევისა თუ არ არის შეტანილი საჩივარი ორივე მხარის მიერ, აგრეთვე, თუ ადგილი არა აქვს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძვლებს, რომლებიც იწვევენ სასამართლოს გადაწყვეტილების უდავო გაუქმებას. გარდა ამისა, მხარის სამართლებრივი მდგომარეობის გაუარესებად არ ჩაითვლება საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნება ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოში. ლიტვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ცალკეული მუხლების ანალიზისას პროფესორი ვ. ნეკროშიუსი აღნიშნავს, რომ „უარეს გადაწყვეტილებად არ ჩაითვლება შემთხვევები, როდესაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ საქმე ბრუნდება პირველი ინსტანციის სასამართლოში ხელახალი განხილვისათვის, ან როდესაც გადაწყვეტილება გასაჩივრებულია ორივე მხარის მიერ.[729]

---

728 ვ. ხრუსტალი, საკასაციო საჩივრის შემოწმების ფარგლები. თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ჟურნალი „მაცნე", 2006 წ. №1, გვ. 182-193.

729 Некрошюс Б. Латвия, Литва, Естония /Проверка судебных постановлений в

საუარესოდ შებრუნების (non reformatio in pejus) დასაშვებობისა თუ დაუშვებლობის საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემოწმების ფარგლები. თუ საკასაციო სასამართლოს შეუძლია გასცდეს საკასაციო საჩივრის ფარგლებს და შეამოწმოს გადაწყვეტილება, როგორც გასაჩივრებულ ისე გაუსაჩივრებელ ნაწილში, მაშინ საუარესოდ შებრუნების საკითხი არ დგას: თუ ასეთი შემოწმების შედეგად საკასაციო სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ არის სწორი იმ ნაწილში, რომელიც არაა გასაჩივრებული, თუმცა გამოტანილია კასატორის სასარგებლოდ, მას შეუძლია გააუქმოს ეს გადაწყვეტილება ამ ნაწილში, ან კიდევ, მთლიანად გააუქმოს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომელიც გასაჩივრებულია და იმ ნაწილშიც, რომელიც არაა გასაჩივრებული, რადგან იგი კასატორის სასარგებლოდაა გამოტანილი.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს 1964 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გადასინჯვისა და შემოწმების შესაძლებლობას მთელი მოცულობით – როგორც გასაჩივრებულ ისე გაუსაჩივრებელ ნაწილში. აქედან კი ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა: საუარესოდ შებრუნება სავსებით დასაშვები მოვლენა იყო.

მიუხედავად ამისა საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში მიმდინარეობდა დისკუსია ამ საკითხზე. ნაწილი პროცესუალისტებისა თვლიდა, რომ საუარესოდ შებრუნება სავსებით დასაშვებია, წინააღმდეგ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილება გასცდეს საჩივრის ფარგლებს და შეამოწმოს გადაწყვეტილება მთელი მოცულობით, დაკარგავდა ყოველგვარ აზრს, ხელი შეეშლებოდა სასამართლო შეცდომების გამოვლენას, საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.[730] გამოთქმული იყო აგრეთვე საწინააღმდეგო შეხედულებაც, რომლის თანახმად საკასაციო სასამართლოს არ უნდა გამოეტანა გადაწყვეტილება ან გაეუქმებინა გასაჩივრებული გადაწყვეტილება კასატორის საზიანოდ.[731]

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ამ საკითხს შეეხო თვალ-

гражданском процессе Е С и СНГ /под ред .Борисовой Е.А. М. 2007. с. 192. ციტირებულია: Европейский Гражданский процесс и исполнителъное производство. Сборник материалов. ответственный редактор Валеев Д.Х. М. 2012. с. 77 -85

730 Зайцев И.М.,Устранение судебных ошибок в гражданском процессе, издатедъство Саратовского университета.1985г.,стр.112.

731 Чечина Н.А., Гражданский процесс. „Юриздат", М.,1968, стр. 315-316.

საჩინო ქართველი მეცნიერი პროფესორი თენგიზ ლილუაშვილი, რომელმაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე გააკეთა დასკვნა, „საკასაციო სასამართლო ისე ვერ შეცვლის გადაწყვეტილებას, ან კიდევ, ვერ გამოიტანს ისეთ ახალ გადაწყვეტილებას, რომელიც გააუარესებს კასატორის მდგომარეობას, რომელსაც მან მიაღწია გასაჩივრებული გადაწყვეტილებით."[732]

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ შეიცავს პირდაპირ მითითებას საუარესოდ შებრუნების აკრძალვის თაობაზე, მაგრამ ზემოთ მოყვანილი დასკვნა გამომდინარეობს სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილიდან, რომლის თანახმად „საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში", ხოლო ამ კოდექსის 409-ე მუხლის მიხედვით „საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ."

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 405-ე მუხლის თანახმად, მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია საკასაციო საჩივრის გადაცემიდან 10 დღის განმავლობაში წარადგინოს შეგებებული საკასაციო საჩივარი, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა ნათქვამი უარი საკასაციო საჩივრის შეტანაზე.

ამასთან დაკავშირებით იბადება ერთი, პრაქტიკული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი საკითხი: მოქმედებს თუ არა საუარესოდ შებრუნების აკრძალვის პრინციპი იმ შემთხვევებში, როდესაც შემოტანილია შეგებებული საკასაციო (სააპელაციო) საჩივარი.

ამ საკითხზე იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის თანახმად შეგებებული საკასაციო საჩივრის შეტანის შემთხვევაში საუარესოდ შებრუნების აკრძალვის პრინციპი აღარ მოქმედებს.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ საუარესოდ შებრუნება და შეგებებული საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილება. შეგებებული საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილება, ე.ი. გადაწყვეტილების იმ ნაწილის გაუქმება, რომელიც კასატორის სასარგებლოდ არის გამოტანილი, იქნება არა საუარესოდ შებრუნება არამედ შეგებებული საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილება. დამოუკიდებელი და შეგე-

732 თ. ლილუაშვილი. სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „ჯისაიი", 2005წ. გვ. 518.

ბებული საკასაციო საჩივრების ერთობლივად განხილვის პირობებში საუარესოდ შებრუნების აკრძალვა აღარ მოქმედებს.[733]

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ შეიცავს პირდაპირ მითითებას საუარესოდ შებრუნების აკრძალვის შესახებ. ამიტომ შეცდომების თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილი იქნება თუ სსსკ-ის 409-ე მუხლს დაემატება შემდეგი შინაარსის წინადადება: „საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია გააუქმოს ან შეცვალოს გადაწყვეტილება იმ მხარის საზიანოდ, რომელმაც შეიტანა საკასაციო საჩივარი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეტანილია მოწინააღმდეგე მხარის შეგებებული საკასაციო საჩივარი, ან გადაწყვეტილება გასაჩივრებულია ორივე მხარის მიერ.[734]

§ 8. საქმის წარმოების წესი საკასაციო სასამართლოში

I. საკასაციო საჩივრის შეტანის შედეგი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონდებლობით სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, კანონიერ ძალაში შედის და მაშასადამე შესაძლებელია აღსრულდეს იძულებითი წესით, მისი საკასაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, ხოლო თუ იყო გასაჩივრებული – საკასაციო წესით საქმის განხილვის შემდეგ, თუკი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ გაუქმებულა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში ასევე შედის, თუ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ მხარეები წერილობითი ფორმით განაცხადებენ უარს მის საკასაციო წესით გასაჩივრებაზე.[735]

ამრიგად, მითითებული ნორმის დანაწესი სრულ საფუძველს

---

733 თ. ლილუაშვილი. ვ. ხრუსტალი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი", 2007წ. გვ.649-652, 659-660, 718-719, 728.

734 ვ. ხრუსტალი. საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობის პრინციპი სამოქალაქო პროცესში. მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე კერძო სამართალი", თბილისი, 2014 წლის 30-31 მარტი. კონფერენციის მასალები, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა.

735 ვ. ხრუსტალი. საკასაციო წესით გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება. ჟურნალი „თემიდა", 2018 წელი, № 11, გვ. 3-7.

გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა: თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულია საკასაციო წესით, ე.ი შეტანილია საკასაციო საჩივარი, მაშინ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ვერ შევა კანონიერ ძალაში. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, საკასაციო საჩივრის შეტანა ავტომატურად აჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომი ბედი დამოკიდებულია იმაზე, მიიღებს თუ არა, დაუშვებს თუ არა საკასაციო სასამართლო ამ საკასაციო საჩივარს. თუ საკასაციო საჩივარი არაა დასაშვები მისი დასაშვებობის რომელიმე წინაპირობის გამო, საკასაციო სასამართლო გამოიტანს განჩინებას საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ მისი დაუშვებლობის გამო. ეს განჩინება ისე როგორც საკასაციო სასამართლოს ნებისმიერი სხვა განჩინება და გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება. ეს იმას ნიშნავს, რომ საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის განჩინების გამოტანისთანავე გასაჩივრებული გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში და შეიძლება მისი იძულებითი აღსრულება. მაგრამ თუ საკასაციო საჩივრის შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ არსებობს მისი დაშვების ყველა წინაპირობა, მაშინ საკასაციო სასამართლოს გამოაქვს განჩინება საკასაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ.

II. საქმის განხილვის თავისებურებანი

საქმის წარმოება საკასაციო სასამართლოში ხასიათდება გარკვეული თავისებურებით, რაც განპირობებულია ამ სასამართლოს მიზნებითა და უფლებამოსილებით. ამ ფაქტორებით განპირობებული თავისებურების ფარგლებს გარეთ, საკასაციო სასამართლოში საქმეთა განხილვა წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის (სსსკ-ის 399-ე მუხლი). სააპელაციო სასამართლო, თავის მხრივ, საქმეთა სააპელაციო წესით განხილვისას იყენებს წესებს, რომლებიც დადგენილია პირველ ინსტანციაში საქმეთა განხილვისათვის, იმ გამონაკლისების გათვალისწინებით, რაც სააპელაციო სასამართლოსთვის არის გათვალისწინებული (სსსკ-ის 372-ე მუხლი).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა: საქმის წარმოება საკასაციო ინსტანციაში მიმდინარეობს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოებში საქმეთა წარმოებისათვის, იმ გამონაკლისების გათვალისწინებით, რომლებიც დადგენილია სპეციალურად ამ სასამართლოსათვის.

ავსტრიის კანონმდებლობის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის დადგენილი წესებით, რომელიც თავის მხრივ ხელმძღვანელობს იმ წესებით, რომლებიც დადგენილია პირველი ინსტანციის სასამართლოებში საქმეთა განხილვისათვის (ავსტრიის სსკ-ის 513-ე მუხლი).

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, საქმის წარმოება საკასაციო ინსტანციის სასამართლოში ხორციელდება იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, იმ გამონაკლისებით, რომლებიც საკასაციო სასამართლოსათვისაა დადგენილი (გერმანიის სსკ-ის 555-ე მუხლი).

ამასთან დაკავშირებით გერმანელი მეცნიერები აღნიშნავენ შემდეგს: საკასაციო სასამართლოში საპროცესო სამართალწარმოებისათვის მოქმედებს იგივე პრინციპები, რომლებიც ფაქტების დამდგენ სასამართლოებში, ამიტომ ხშირად უთითებენ იმ საპროცესო ნორმებზე, რომლებიც ამ სასამართლოებში მოქმედებს. საკასაციო სამართალწარმოების შესახებ თავი შეიცავს მხოლოდ მცირე თავისებურებებს. გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 557-ე მუხლი (შეესაბამება გერმანიის ახალი სსკ-ის 555-ე მუხლი) უთითებს პირველი ინსტანციით სამართალწარმოების მომწესრიგებელ ნორმებზე, ხოლო 566-ე მუხლში (შეესაბამება ახალი სსკ-ის 565-ე მუხლი) მითითებულია სააპელაციო სამართალწარმოების მომწესრიგებელ რამოდენიმე კონკრეტულ წესზე.[736]

როგორც პირველი, ისე სააპელაციო ინსტანციით საქმეთა განხილვისას, საკასაციო წესით საქმეთა განხილვა წარმოებს სასამართლო სხდომაზე საქმის ზეპირი განხილვის წესით. ამასთან, საქართველოს კანონმდებლობა შეიცავს გამონაკლისს ამ წესიდან. სსსკ-ის

736 Die Revision in den zivil-und verwaltungsgerichtlichen Verfahren, Eine Systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der Höchstrichterlichen Rechtsprechung von Artur May, 2., überarbeitete und erweiterte Auflage, Carl Heymanns Verlag, öln, Berlin, Bonn, München, 1997, S 335.

408-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლოს შეუძლია გადაწყვეტილება გამოიტანოს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე. სასამართლომ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესახებ წინასწარ უნდა აცნობოს მხარეებს. საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის წესი გათვალისწინებულია, ასევე, პირველი ინსტანციისა და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში (სსსკ-ის 207-ე და 376[1]-ე მუხლები).

ზეპირი მოსმენის გარეშე საკასაციო სასამართლოში საქმეთა განხილვას ჰყავს როგორც მომხრეები, ისე მოწინააღმდეგეები. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილ იქნა სარჩელი სსსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის გაუქმების შესახებ, იმის გამო, რომ იგი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ 2003 წლის 3 ივლისის №2/6/205, 232 გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა სარჩელი და ჩათვალა, რომ საქართველოს სსსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომელიც უშვებს საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანას საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე, არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას[737]

საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში მოყვანილია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, რომელიც განმარტავს ევროკონვენციის მე-6 მუხლის დებულებას საქმის საჯაროდ განხილვასთან მიმართებაში. კერძოდ, „ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „ redin შვედეთის წინააღმდეგ“ დაადგინა, რომ უფლება საჯარო სასამართლო განხილვაზე მოიცავს უფლებას ზეპირ განხილვაზე პირველი ინსტანციის სასამართლოში და ეს სავალდებულო მოთხოვნა არ ვრცელდება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებზე.“

ზეპირი მოსმენის გარეშე გადაწყვეტილების მიღება საკასაციო სასამართლოს უფლებაა. ასეთი უფლება შეიძლება გამოყენებული იქნას ისეთ შემთხვევებში, როდესაც მატერიალური თუ საპროცესო სამართლებრივი ნორმების დარღვევა საქმეზე იმდენად ცხადი და ნათელია, რომ რაიმე დამატებით განხილვას მხარეთა აუცილებელი მონაწილეობით არ საჭიროებს. შეიძლება პირიქითაც, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამოტანილია მატერიალურ-სამართლებრივი და საპროცესო-სამართლებრივი ნორმების დაცვით და საკასაციო

737 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2003 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება საქმე №2/6/205, 232.

საჩივარში მითითებულ დარღვევას, როგორც საქმის მასალებიდან და მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი შესაგებლიდან ჩანს, სინამდვილეში ადგილი არ ჰქონია.

იმის გათვალისწინებით, რომ საკასაციო სასამართლო არ არის ფაქტების დამდგენი სასამართლო, ამასთანავე, თუ საქმის მასალებიდან გამომდინარე არსებობს იმის ვარაუდი, რომ მხარეთა ზეპირ ახსნა-განმარტებას არ შეუძლია რაიმე წვლილის შეტანა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების საქმეში – საკასაციო სასამართლოს შეუძლია განიხილოს საქმე მხარეთა მოწვევისა და მათი ზეპირი ახსნა-განმარტების მოსმენის გარეშე.

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გადაწყვეტილებას იღებს არა ერთპიროვნულად საკასაციო სასამართლოს მოსამართლე, არამედ საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობა, მომხსნებელი მოსამართლის მოხსენების საფუძველზე. საკასაციო სასამართლო მოვალეა წინასწარ აცნობოს მხარეებს არამარტო ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვის შესახებ, არამედ აგრეთვე გადაუგზავნოს მხარეებს გადაწყვეტილება, რომელიც მან მიიღო ასეთი წესით.

როგორც აღინიშნა, საქმის ზეპირი განხილვა საკასაციო სასამართლოში მიმდინარეობს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომლებიც დადგენილია საკასაციო სასამართლოსათვის.

სსსკ-ის 408-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლოში, ისე როგორც სააპელაციო და პირველი ინსტანციის სასამართლოებში (სსსკ-ის 217-ე და 383-ე მუხლები) საქმის ზეპირი განხილვა იწყება ერთ-ერთი მოსამართლის მოხსენებით. საქმის განხილვის დაწყების ასეთ წესს აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა იმ თვალსაზრისით, რომ კასატორს და მის მოწინააღმდეგე მხარეს ეძლევა შესაძლებლობა გაარკვიონ, თუ რამდენად სწორად გაიგო მომხსენებელმა მოსამართლემ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა, საფუძვლები, რასაც ეს მოთხოვნა ემყარება და საერთოდ, საკასაციო საჩივრის შინაარსი, აგრეთვე, მოწინააღმდეგე მხარის შესაგებელი და მისი შინაარსი. თუ რაიმე არ იყო სწორად გაგებული და გადმოცემული, მხარეებს უნდა მიეცეთ საშუალება დააზუსტონ თავიანთი საკასაციო საჩივრისა და შესაგებლის ნამდვილი აზრი და შინაარსი.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სსსკ-ის 408-ე მუხლის

მე-2 ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს იმ საკითხთა წრეს, რომლებსაც თანამიმდევრულად უნდა შეეხოს საკასაციო ინსტანციის მოსამართლე. კერძოდ, ამ მუხლის დანაწესის თანახმად, მომხსენებელმა მოსამართლემ უნდა გადმოსცეს საქმის ვითარება, ანუ ვინ აღძრა სარჩელი და ვის წინააღმდეგ, როგორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ და რომელმა მხარემ გაასაჩივრა იგი სააპელაციო სასამართლოში, როგორი გადაწყვეტილება მიიღო სააპელაციო სასამართლომ და რომელ ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს ემყარება მისი გადაწყვეტილება. იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება), განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმის ზუსტად და სრულად გადმოცემა, თუ რომელი ფაქტები ცნო სააპელაციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით დადგენილად და რომელი კანონის საფუძველზე შეაფასა იურიდიულად ეს გარემოებები. როგორც აღინიშნა, საკასაციო ინსტანციის მოსამართლის მოხსენების მნიშვნელოვან ელემენტს შეადგენს იმის გადმოცემა თუ გადაწყვეტილების რომელ ნაწილს ასაჩივრებს კასატორი და როგორია მისი მოთხოვნა, რომელ კანონს თვლის კასატორი დარღვეულად და რაში გამოიხატება კონკრეტულად ეს დარღვევა. აქვე, კასაციის მოსამართლე უნდა შეეხოს მოწინააღმდეგე მხარის წერილობითი შესაგებლის შინაარსს.

მომხსენებელი მოსამართლის გამოსვლის შემდეგ სიტყვა ეძლევათ მხარეებს, კერძოდ კასატორს და მის წარმომადგენელს, ხოლო შემდეგ მოწინააღმდეგე მხარესა და მის წარმომადგენელს. მათ შეუძლიათ დააზუსტონ და დააკონკრეტონ თავიანთი მოთხოვნების და შესაგებლის შინაარსი, თუ მომხსენებელმა მოსამართლემ რამე უზუსტობა დაუშვა, მაგრამ მათ აღარ უნდათ გაიმეორონ ის, რაც უკვე თქვა მომხსენებელმა მოსამართლემ.

III. დავის საგნისა და საფუძვლის შეცვლის დაუშვებლობა.

საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა არ შეიცავს პირდაპირ მითითებას იმის შესახებ დასაშვებია თუ არა საკასაციო ინსტანციის სასამართლოში დავის საგნის თუ საფუძვლის

შეცვლა, ან შეგებებული სარჩელის აღძრა.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, საკასაციო სასამართლოში საქმეთა განხილვის მიზნები და ამოცანები, ასევე, ზოგადად საკასაციო სასამართლოს არსებობის ლოგიკა, საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ საკასაციო სასამართლოში სარჩელის საგნის ან საფუძვლის შეცვლა და მით უმეტეს, შეგებებული სარჩელის აღძვრა დაუშვებელია.

საილუსტრაციოდ შეიძლება მივუთითოთ ისეთ ქვეყნებზე, სადაც საკასაციო სასამართლო ამოწმებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მხოლოდ კანონიერებას და არა მის ფაქტობრივ დასაბუთებულობას.

ავსტრიის სსკ-ის 502-ე და 504-ე მუხლების თანახმად საკასაციო სასამართლო ამოწმებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მხოლოდ კანონიერებას და ამასაც მხოლოდ საკასაციო საჩივრის ფარგლებში. სარჩელის განხილვა, მისი საგნის (მოთხოვნის) შეცვლა, სარჩელის საფუძვლის ანუ ფაქტების შეცვლა, შეგებებული სარჩელის აღძვრა, ბუნებრივია აქ არ შეიძლება მოხდეს.

არც გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა შეიცავს პირდაპირ მითითებას სარჩელის საგნის, საფუძვლის შეცვლისა თუ შეგებებული სარჩელის საკასაციო სასამართლოში აღძვრის აკრძალვის თაობაზე. მიუხედავად ამისა გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის იმ მუხლების კომენტირებისას, რომლებიც საკასაციო სასამართლოში საქმის წარმოებას აწესრიგებენ, ცალსახად აღნიშნავენ, რომ საკასაციო სასამართლოში სარჩელის საგნის შეცვლა, გადიდება, შუალედური სარჩელის შეტანა უფლების აღიარების თაობაზე, ან შეგებებული სარჩელის აღძვრა – პრინციპულად დაუშვებელია.[738]

საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვითაც ეს დაუშვებელია. ფრანგი პროცესუალისტის ჟ. კუშეს აზრით, მეორე ინსტანციის სასამართლოს წინაშე (ე.ი სააპელაციო სასამართლოს წინაშე – ვ.ხ.) არ შეიძლება დაისვას საკითხი ახალი მოთხოვნების თაობაზე, თუმცა ახალი გარემოებების წამოყენება დასაშვებია. რაც შეეხება საკასაციო სასამართლოს, აქ ახალი

---

738 Zivilprozessordnung, kommentar von Prof. Dr. Heinz Thomas, Dr. laus Reichold, Prof. Dr. Hans Putzo, Dr. Rainer Hűsstege, 24., neubearbeitete Auflage, Verlag C.H. Beck, Műnchen, 2002, S. 2000

მოთხოვნების წამოყენება დაუშვებელია.[739]

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის თანახმად „დავის საგნის შეცვლა ან გადიდება, შეგებებული სარჩელის შეტანა და ხარჯების განსაზღვრა საკასაციო სასამართლოზე დაუშვებელია"(სსსკ-ის 406-ე მუხლი).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ასეთი ნათლად გამოხატული პოზიცია სავსებით დასაბუთებული და გამართლებულია, მაგრამ მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვიხილოთ საკითხი იმის შესახებ, თუ რა შინაარსისაა ეს ცნებები, ე.ი რა იგულისხმება სარჩელის, ანუ დავის საგანში და რა იგულისხმება სარჩელის საფუძველში.

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში ამ საკითხზე არ არის ერთგვაროვანი მოსაზრება. არსებობს შეხედულება, რომლის თანახმად სარჩელის საგანი – ესაა მოსარჩელის მატერიალურ – სამართლებრივი მოთხოვნა მოპასუხის მიმართ. არსებობს აგრეთვე მოსაზრება, რომლის თანახმად სარჩელის საგანში შედის არამარტო მოსარჩელის მატერიალურ – სამართლებრივი მოთხოვნა, არამედ სარჩელის საფუძველიც, ანუ ფაქტობრივი გარემოებები.[740]

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს შეხედულება, რომლის თანახმად სარჩელი შედგება ორი ელემენტისაგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისაგან.

სარჩელის საგანი – ესაა მოსარჩელის მატერიალურ – სამართლებრივი მოთხოვნა მოპასუხისადმი, რომელიც უნდა განიხილოს სასამართლომ და რომლის მიმართ მან უნდა გამოიტანოს თავისი გადაწყვეტილება. ზოგჯერ კანონი ხმარობს ტერმინს „დავის საგანი" (მაგალითად, სსსკ მე-40-42 მუხლები, 381-ე მუხლი და სხვა); დავის საგანია ის, რაზედაც დავობენ მხარეები და რის გამოც აღძრულია სარჩელი, ანუ სარჩელის საგანი. ეს იმას ნიშნავს, რომ დავის საგანი და სარჩელის საგანი იდენტური ცნებებია. სარჩელის საფუძველი – ეს არის იურიდიული ფაქტები, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას.

ასეთი მოსაზრება მთლიანად ემყარება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობას. სსსკ-ის 178-ე მუხლის თანახმად სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს მოსარჩელის მოთხოვნა,

---

739 Couchez G. Procedure civile, dalloz, 9e edition 1996, page 358.

740 Jauernig ., Zivilprozessrecht, Verlag C.H. Beck, 28, Auflage, 2003, § 37, S. 149-161.

აგრეთვე კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს.

საკასაციო სასამართლოში დავის (სარჩელის) საგნისა და საფუძვლის შეცვლის, დავის საგნის გადიდების, შეგებებული სარჩელის აღძვრის აკრძალვა, როგორც ეს გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, გამართლებულია იმით, რომ საკასაციო სასამართლო არ არის ფაქტების დამდგენი სასამართლო, ხოლო დავის საგნის შეცვლა თუ სასარჩელო მოთხოვნის გადიდება, როგორც წესი, ყოველთვის დაკავშირებულია ახალი ფაქტობრივი გარემოებების დადგენის აუცილებლობასთან. ახალი ფაქტების დადგენა კი შესაძლებელია ახალი მტკიცებულებების საფუძველზე, რომელთა წარმოდგენის უფლებამოსილება უნდა მიეცეთ მხარეებს. საკასაციო სასამართლო უნებლიედ გადაიქცევა ფაქტების დამდგენ სასამართლოდ, რომელიც დიდად აღარ იქნება განსხვავებული სააპელაციო სასამართლოსაგან.[741]

§ 9. საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე და 401-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად მას შემდეგ, რაც წარმოებაში იქნება მიღებული საკასაციო საჩივარი, საკასაციო სასამართლო უკვე ვალდებულია შეამოწმოს არსებითად ამ საჩივრის საფუძვლიანობა, რაც ფაქტობრივად ნიშნავს გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებულობის შემოწმებას, რადგან საკასაციო საჩივრის ობიექტი სწორედ წინა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაა.

იმის მიხედვით, თუ როგორი იქნება საკასაციო საჩივრისა და ამ საჩივრის ფარგლებში გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემოწმების შედეგი, საკასაციო სასამართლო შეიძლება ორიდან ერთ-ერთ, ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებულ დასკვნამდე მივიდეს: 1. საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება სამართლებრივად დასაბუთებული და სწორია; 2. საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამოტანილია კანონის დარღვევით

741 ვ. ხრუსტალი. საქმის წარმოების წესი საკასაციო სასამართლოში. ჟურნალი „თემიდა“, 2008 წელი, №1. გვ. 3-9

და მაშასადამე, იურიდიულად დაუსაბუთებელი და უსწორია.

იმის მიხედვით, თუ როგორია შემოწმების შედეგები, საკასაციო სასამართლოს გამოაქვს შესაბამისი გადაწყვეტილება, კერძოდ, თუ საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია, ხოლო გადაწყვეტილება კანონის შესაბამისადაა გამოტანილი, საკასაციო სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება **(განჩინების ფორმით)** საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელი და უსწორია, საკასაციო სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება (განჩინება) საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ.

საჭიროა თუ არა საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) დასაბუთება (მოტივირება) იმ თვალსაზრისით, თუ რატომ ჩათვალა საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებლად, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონის დარღვევის გარეშე გამოტანილად, ან საკასაციო სასამართლოს იმ გადაწყვეტილების დასაბუთება, რომლითაც გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება?

ორივე შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) დასაბუთება საჭირო და აუცილებელია, თუმცა დასაბუთება(მოტივირება) ხასიათდება გარკვეული თავისებურებით.

საკასაციო სასამართლოს განჩინება

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

საკასაციო სასამართლო უწინარეს ყოვლისა, ვალდებულია შეამოწმოს, აქვს თუ არა ადგილი კანონის იმ დარღვევას, რომელიც მითითებულია საკასაციო საჩივარში (სსსკ-ის 393-ე მუხლი). მაგრამ

საკასაციო სასამართლო არაა შებოჭილი მხოლოდ საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევის შემოწმებით. საკასაციო სასამართლოს შეუძლია გასცდეს საკასაციო საჩივრის ფარგლებს და შეამოწმოს კანონის ისეთი დარღვევებიც, რომლებზედაც არაა მითითებული ამ საჩივარში[742].

კანონის დანაწესის მიხედვით (სსსკ-ის 410-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტი) საკასაციო სასამართლო არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევის შემოწმებით და მან უნდა შეამოწმოს აგრეთვე ხომ არ ჰქონდა ადგილი კანონის სხვა დარღვევებს. მაგრამ, საკასაციო სასამართლო ვალდებულია დაასაბუთოს მხოლოდ საკასაციო საჩივარში მითითებული დარღვევის არარსებობა, ხოლო რომ არ ჰქონია ადგილი კანონის სხვა დარღვევებსაც, ამის შესახებ სავალდებულოა მითითება, მაგრამ არაა სავალდებულო კანონის სხვა დარღვევების არარსებობის დასაბუთება.

ასეთი პოზიცია შეიძლება გავამართლოთ შემდეგი არგუმენტით: საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას (განჩინებას) ორი ადრესატი ჰყავს, ერთი – კასატორი, რომლის საჩივარს იხილავს საკასაციო სასამართლო და, მეორე – სასამართლო, რომლის გადაწყვეტილებასაც ამ საჩივრის ფარგლებში ამოწმებს (გადასინჯავს) საკასაციო სასამართლო. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც უცვლელად (ძალაში) ტოვებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას, რაიმე დამრიგებლური მნიშვნელობა ამ გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოსათვის არა აქვს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, რომ იგი განუმტკიცებს რწმენას ამ სასამართლოს, რომ მოქმედებდა სწორად და შეუფარდა კანონი სწორად. ამ თვალსაზრისით, საკასაციო სასამართლოს შეეძლო დასაბუთების გარეშე გამოეტანა თავისი გადაწყვეტილება. მაგრამ ანგარიშგასაწევია ამ გადაწყვეტილების მეორე ადრესატის – კასატორის ინტერესები: რადგან მას მიაჩნია, რომ დარღვეულია კანონი, ხოლო საკასაციო სასამართლო თვლის, რომ კანონი არაა დარღვეული, ამ უკანასკნელმა უნდა დაასაბუთოს ეს, რათა დარწმუნდეს კასატორი თავისი მოსაზრების უსაფუძვლობაში.

რამდენადმე განსხვავებულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე,

742 თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი", 2007 წელი, გვ.729

როცა საკასაციო საჩივარი ემყარება საპროცესო ნორმების დარღვევას. თუ საპროცესო ნორმების დარღვევას მართლაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ეს დარღვევა არაა იმ დონის დარღვევა, რომელმაც გამოიწვია ან შეეძლო გამოეწვია არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა, გადაწყვეტილება უნდა დარჩეს ძალაში (სსსკ-ის 393-ე მუხლის მესამე ნაწილი). ასეთ შემთხვევაში საკასაციო სასამართლომ უნდა დაასაბუთოს თუ რატომ, რა მოსაზრებებზე დაყრდნობით არ შეეძლო ამ დარღვევებს მოეხდინა ზეგავლენა გადაწყვეტილების სისწორეზე.

განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე, როდესაც საკასაციო სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ.

თუ საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია გაუქმების მიზეზები, შეუძლია **უკან დააბრუნოს საქმე ხელახლა განსახილველად, ან თვითონ გამოიტანოს ახალი გადაწყვეტილება.**

საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას მთლიანად ან ნაწილობრივ (საკასაციო საჩივრის ფარგლებში) და საქმეს ხელახლა განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად უბრუნებს სააპელაციო სასამართლოს იმავე ან სხვა შემადგენლობას, თუ არსებობს სსსკ-ის 412-ე მუხლით გათვალისწინებული პირობები. ე.ი თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ასევე, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

ამ მოტივით სასამართლო გადაწყვეტილებათა გაუქმება და ხელახლა განსახილველად უკან დაბრუნება, ერთ – ერთი ყველაზე გავრცელებული შემთხვევაა. საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ ერთ-ერთ საქმეზე დააკმაყოფილა საკასაციო საჩივარი, გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე დააბრუნა ხელახლა განსახილველად იმ მოტივით, რომ საქმეზე არაა დადგენილი საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოე-

ბა. ამასთან ერთად საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქმის იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც უნდა დადგინდეს საქმის ხელახალი განხილვის დროს.

„საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება დასაბუთებული არ არის, რაც გამოიხატება იმაში, რომ სასამართლოს დავის საგანზე საერთოდ არ უმსჯელია, არ დაუდგენია და არც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად მიუთითებია იმ ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებზე, რომელსაც დაეთანხმა სასამართლო. იმ შემთხვევაში კი, თუ სააპელაციო სასამართლო არ მიუთითებს დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, შეუძლებელია საკასაციო სასამართლომ შეამოწმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად ხელმძღვანელობს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით, ხოლო ამ გარემოებათა დადგენის გარეშე შეუძლებელია სასამართლომ იმსჯელოს გადაწყვეტილების (განჩინების) კანონიერებაზე. სააპელაციო სასამართლო მთლიანად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას ისე, რომ არ იმსჯელა, რამდენად წარმოადგენდა 2007 წლის 4 მაისის წერილი ვალდებულების აღიარებას და შესაძლო იყო თუ არა აღნიშნულ დოკუმენტზე დაყრდნობით ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტა."[743]

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე გააუქმა რა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე დააბრუნა ხელახალი განხილვისათვის, განჩინებაში მართებულად მიუთითა: „კასატორის მიერ წარმოდგენილია დასაბუთებული პრეტენზია. კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის

743 სუსგ სამოქალაქო საქმეებზე 3/2010,გვ.128., მსგავს შემთხვევებს ეხება ამავე კრებულში გამოქვეყნებული გადაწყვეტილებები გვ.132,140,151,156., ასევე, სუსგ სამოქალაქო საქმეებზე 11/2010 გვ.164.

განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება და სამართლებრივ მატერიალური ნორმის არასწორად გამოყენება."[744]

ხომ არ ნიშნავს ყოველივე ეს იმას, რომ საკასაციო ინსტანციის სასამართლო გასცდა თავის კომპეტენციას ან გადაუხვია იმ მიზნებიდან, რომლებიც მის წინაშეა დასახული? თა თქმა უნდა არ ნიშნავს.

ჯერ – ერთი, საკასაციო სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს საპროცესო ნორმების ის დარღვევები რომლებზეც კასატორი ამყარებს თავის მოთხოვნას ან მოწინააღმდეგე მხარე თავის შესაგებელს თუ შეგებებულ საკასაციო საჩივარს. მაგალითად, კასატორი მიუთითებს თავის საკასაციო საჩივარში, რომ სასამართლომ არ მიიღო მტკიცებულება ან არ შეაფასა იგი იმ მოტივით, რომ მისი აზრით ფაქტს, რომლის დასადასტურებლადაც იყო წარდგენილი ეს მტკიცებულება და რომელსაც საფუძვლად უდებს კასატორი თავის სასარჩელო მოთხოვნას (შესაგებელს) არა აქვს მნიშვნელობა ამ საქმის გადაწყვეტისათვის. სინამდვილეში, როგორც კასატორი მიუთითებს, აღნიშნულ ფაქტს აქვს არსებითი მნიშვნელობა მოთხოვნის(შესაგებლის) ფაქტობრივი დასაბუთებისათვის და საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.

თუ საკასაციო სასამართლოს აზრით საკასაციო საჩივრის მოტივი სწორია და შეცდომებმა დაშვებული ფაქტების დადგენისა და მტკიცებულებათა გამოკვლევის დროს გამოიწვიეს შეცდომები მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების შეფარდებაშიც, მას შეუძლია მიუთითოს არამარტო ამ ნორმების გამოყენების დროს დაშვებული დარღვევების შესახებ, არამედ აგრეთვე საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე რომელი ფაქტები (გარემოებები) უნდა დადგინდეს, რომელი მტკიცებულებებია დამატებით გამოსაკვლევი და სხვა რა საპროცესო მოქმედებები უნდა შეასრულოს სააპელაციო სასამართლომ, რომელსაც უბრუნდება საქმე ხელახლა განსახილველად.

საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება ასეთ შემთხვევაში განპირობებულია ერთი უბრალო მიზეზით, საკასაციო სასამართლოს უფლება არა აქვს თვითონ დაადგინოს ფაქტები, გარდა ფაქტებისა, რომლებიც სამოქალაქო საპროცესო ნორმების დარღვევას დაადასტურებენ.

744 სუსგ სამოქალაქო საქმეებზე 3/2011, გვ. 148

როგორც აღინიშნა, საკასაციო სასამართლოს შეუძლია გააუქმოს გადაწყვეტილება და თვითონ მიიღოს ახალი გადაწყვეტილება, მაგრამ ამისათვის საჭიროა ერთი აუცილებელი პირობა: საქმის ფაქტობრივი გარემოებები დადგენილია სრულად და სწორად. ე.ი სამოქალაქო საპროცესო ნორმების მოთხოვნათა სრული დაცვით, საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა (სსსკ-ის 411-ე მუხლი). სხვანაირად რომ ვთქვათ, თუ ფაქტობრივი თვალსაზრისით საქმე მზადაა გადასაწყვეტად და საჭიროა მხოლოდ შესაბამისი მატერიალურ – სამართლებრივი ნორმის გამოყენება, საკასაციო სასამართლომ თვითონ უნდა გამოიტანოს ახალი გადაწყვეტილება.

ახალი გადაწყვეტილების მიღების პირობები

საკასაციო სასამართლო არ ამოწმებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ მხარეს, მაგრამ ამ გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმებისას იგი იძულებულია გაერკვეს საქმის ფაქტობრივ გარემოებებში, რომლის გარეშე ვერ გადაწყვეტს ორ საკითხს: გააუქმოს გადაწყვეტილება და დააბრუნოს საქმე ხელახლა განსახილველად, როცა გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი, თუ გააუქმოს გადაწყვეტილება და თვითონ გამოიტანოს ახალი გადაწყვეტილება.

ახალი გადაწყვეტილების გამოტანისათვის კანონი განსაზღვრავს პირობებს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შესაძლებელია დასაბუთებული იყოს აგრეთვე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების ნორმებისა და მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა.

ამგვარად, იმისათვის რომ საკასაციო სასამართლომ მიიღოს კანონით გათვალისწინებული ორი შესაძლებლობიდან ერთ-ერთი: დააბრუნოს საქმე ხელახლა განსახილველად თუ თვითონ მიიღოს

ახალი გადაწყვეტილება – საკმარისი არ არის კანონის დარღვევის კონსტატირება. ამისათვის საჭიროა გაირკვეს დადგენილია თუ არა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა ფაქტობრივი გარემოება. ამის გასარკვევად საკასაციო სასამართლომ უნდა მიმართოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას, სადაც მითითებული უნდა იყოს, თუ რომელი ფაქტები ჩათვალა სასამართლომ დამტკიცებულად და საქმეში არსებული რომელი მტკიცებულებების საფუძველზე. ეს წესი პირდაპირ გამომდინარეობს სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესიდან.

ერთადერთი საპროცესო დოკუმენტი, რომელშიც თავისი ასახვა უნდა ჰპოვოს სასამართლოს მიხედულებამ იმის შესახებ, თუ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოებები და რომელი მტკიცებულებების საფუძველზე ჩათვალა მან დადგენილად და რომელი ფაქტები ითვლება უდავოდ – ესაა სასამართლოს გადაწყვეტილება. ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული სსსკ-ის 249-ე მუხლის მესამე ნაწილში, რომლის თანახმად გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში უნდა მიეთითოს სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები, მტკიცებულებანი, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები და მოსაზრებანი, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას.[745]

ეჭვს არ იწვევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ კანონის ამ მოთხოვნის დაცვით შედგენილი და ჩამოყალიბებული გადაწყვეტილება გაუადვილებს საკასაციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილების შემოწმებას კანონიერების თვალსაზრისით.

---

745 ვ. ხრუსტალი. კასაციის უფლებამოსილება, პროფესორ რომან შენგელიას 70 წლისთავთან დაკავშირებით გამოცემული საიუბილეო კრებული – სამართლის პრობლემები. გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2012 წელი, გვ. 428-439.

§ 10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა და საკასაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებათა სავალდებულო ხასიათი

I. უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა და დიდ პალატაზე საქმეთა გადაცემის საფუძვლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა არ არის ახალი და ჩვენი ქვეყნის მართლმსაჯულებისათვის სრულიად უპრეცედენტო მოვლენა. მას ყავდა წინამორბედი – საქართველოს სენატის, იგივე საქართველოს უზენაესი სასამართლოს „საკასაციო დეპარტამენტთა შეერთებული საკრებულოს სახით",[746] რომელიც შეიქმნა საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 29 ივლისის კანონით შემოღებული დებულებით – საქართველოს სენატის შესახებ.[747]

დიდი პალატა შედგება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, სხვა პალატების თავმჯდომარეებისა და პლენუმის მიერ უზენაესი სასამართლოს პალატების შემადგენლობიდან ორი წლის ვადით არჩეული არანაკლებ 12 მოსამართლისაგან. დიდი პალატა საქმეს განიხილავს 9 მოსამართლის შემადგენლობით. საქმის განმხილველ შემადგენლობაში შედიან ამ საქმის თავდაპირველად განმხილველი მოსამართლეები, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი დიდი პალატის წევრები. დიდ პალატაში საქმის განხილვას თავმჯდომარეობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ან მისი დავალებით უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი პალატის თავმჯდომარე.

უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა არის საკასაციო ინსტანციის სასამართლო, რომელიც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით განიხილავს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-16-ე მუხლის მესამე პუნქტით და მე-17-ე მუხლის მეხუთე პუნქტით განსაზღვრულ განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებს.

---

746 თ. ლილუაშვილი. სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „ჯისიაი", ქ. თბილისი, 2005 წელი, გვ. 509-510.

747 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1918–1921 წ.წ., გამომცემლობა „ივერთა მხარე", ქ. თბილისი, 1990 წელი, გვ. 291-307.

ინტერესს მოკლებული არ იქნება თუ მოკლედ შევეხებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის ისტორიას. 1999 წლის 12 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ორგანული კანონი „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ". ამ კანონით განისაზღვრა დიდ პალატაზე საქმეთა გადაცემის საფუძვლები და მათი განხილვის წესი. მითითებული კანონის მეცხრე მუხლის მესამე პუნქტის დანაწესით, საქმის საკასაციო წესით განმხილველ სასამართლოს შეეძლო მოტივირებული განჩინებით საქმე განსახილველად გადაეცა დიდი პალატისათვის, თუ:

„ა) საქმის განხილვასა და გადაწყვეტას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის;

ბ) საქმის სირთულიდან გამომდინარე გადაწყვეტილების მიღება საჭიროებს ნორმის ახლებურ განმარტებას;

გ) საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას."[748]

საქართველოს სასამართლო პრაქტიკის, მათ შორის საკასაციო და სააპელაციო სასამართლოების პრაქტიკის ანალიზის, აგრეთვე, საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნების გამოცდილების შესწავლის საფუძველზე 2004 წელს გამოითქვა მოსაზრება საქართველოში საკასაციო წარმოების განვითარების პერსპექტივების შესახებ. ამ მიმართებით მიზანშეწონილად ჩაითვალა დაზუსტებულიყო დიდ პალატაში საქმეთა განხილვის საფუძვლები. კერძოდ, კანონით გათვალისწინებულის გარდა, დიდ პალატას უნდა განეხილა საკასაციო წესით საქმეები იმ შემთხვევაშიც „ ა) თუ საკასაციო პალატა არ იზიარებს დიდი პალატის მიერ ნორმის განმარტებას, მის მიერ ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას; ბ) თუ საკასაციო პალატებს შორის არ არის ერთსულოვნება სამართლის ნორმის აზრისა და შინაარსის გაგებაში და აქედან გამომდინარე, სამართლებრივ შეფასებაში."[749]

„საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართვე-

748 „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ" საქართველოს 1999 წლის 12 მაისის ორგანული კანონი (ძალადაკარგულად იქნა ცნობილი 2009 წლის 8 დეკემბრიდან, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის ამოქმედების დღიდან).

749 ვ. ხრუსტალი. კასაცია სამოქალაქო სამართალწარმოებაში. სადისერტაციო ნაშრომი. 2004 წელი, გვ. 149-150.

ლოს 2006 წლის 13 ივლისის ორგანული კანონით მეცხრე მუხლის მესამე პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: საქმის საკასაციო წესით განმხილველ სასამართლოს შეუძლია მოტივირებული განჩინებით საქმე განსახილველად გადასცეს დიდ პალატას, თუ: ა) საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას; ბ) საკასაციო პალატა არ იზიარებს სხვა საკასაციო პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას); გ) საკასაციო პალატა არ იზიარებს დიდი პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას).

„საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" საქართველოს 2006 წლის 13 ივლისის კანონით სამოქალაქო საპროცესო კოდექსს დაემატა 391[1]-ე მუხლი /საქმის გადაცემა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისათვის/.

საქმის დიდ პალატაზე გადაცემის საფუძვლები:

ა) საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას.

„იშვიათობა" განეკუთვნება სამართლებრივ პრობლემას, მაგრამ ეს სამართლებრივი პრობლემა არ შეიძლება განვიხილოთ სასამართლოში აღძრული საქმისაგან განყენებულად, როგორც ამას შეიძლება ჰქონდეს ადგილი სამეცნიერო კვლევის დროს. სამართლებრივი პრობლემა უშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს საქმეს, ანუ საქმე თავისი შინაარსით წარმოშობს სამართლებრივ პრობლემას. ცხადია ეს არაა საკმარისი ამ საქმის დიდი პალატისათვის გადასაცემად. ნებისმიერი სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა დაკავშირებულია ამა თუ იმ სამართლებრივ პრობლემასთან. იმისათვის, რომ არსებობდეს დიდი პალატისათვის საქმის გადაცემის საფუძველი, ეს პრობლემა უნდა გამომდინარეობდეს საქმის შინაარსიდან, იყოს იშვიათი და საჭიროებდეს სერიოზულ ანალიზს, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით. სწორედ ფაქტების დადგენა და ამ დადგენილი ფაქტების სამართლებრივი შეფასება ერთობლიობაში უნდა ქმნიდნენ ისეთ პრობლემას, რომელიც ხასიათდება იშვიათობით, სირთულით, რომლის პრაქტიკული გადაჭრის პრეცედენტი ან არ არსებობს, ან უკიდურესად მცირე რაოდენობით მოგვეპოვება.

ბ) საკასაციო პალატა არ იზიარებს სხვა საკასაციო პალატის

მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას).

საკასაციო პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებული სამართლებრივი შეფასება, რომელიც საფუძვლად დაედო სხვა საქმეზე მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას (განჩინებას), სავალდებულოა სხვა საკასაციო პალატებისათვის (ამ პალატების სხვა შემადგენლობებისათვის). მათ უფლება არ აქვთ გადაუხვიონ ამ შეფასებებს, უფრო მეტიც, სამართლებრივი შეფასება სავალდებულოა იმ საკასაციო პალატისთვისაც, რომელმაც ეს შეფასება ჩამოაყალიბა **(თვითშეზღუდვის პრინციპი).** ერთადერთი, რაც საკასაციო პალატას შეუძლია, როცა იგი არ ეთანხმება ადრე მიღებულ სამართლებრივ შეფასებას – ესაა გადასცეს საქმე განსახილველად დიდ პალატას, რომლის მიერ ამ საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში (განჩინებაში) ჩამოყალიბებული სამართლებრივი შეფასება სავალდებულო იქნება ყველა საკასაციო პალატისათვის (შემადგენლობისათვის). მხოლოდ ამ გზით შეიძლება სამართლის ნორმების ერთგვაროვანი გაგების მიღწევა, ერთიანი მართლმსაჯულების დამკვიდრება და სამართლის უნიფიკაციის ინტერესების დაცვა.

თავისთავად ცხადია, რომ დიდი პალატისათვის საქმის გადაცემის შესახებ განჩინება მოტივირებული უნდა იყოს იმ სამართლებრივ შეფასებაზე მითითებით, რომელიც ჩამოყალიბებული იყო საკასაციო პალატის მიერ ადრე სხვა საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში, აგრეთვე საკასაციო პალატის მოსაზრება იმის შესახებ თუ რატომ არ ეთანხმება და არ იზიარებს ამ სამართლებრივ შეფასებას.

გ) საკასაციო პალატა არ იზიარებს დიდი პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა არ წარმოადგენს სხვა საკასაციო პალატებზე ზემდგომ საკასაციო სასამართლოს. იგი არის საკასაციო სასამართლო, რომელსაც სხვა საკასაციო პალატებმა შეიძლება გადასცენ საქმე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს კანონით გათვალისწინებული წინაპირობები. ამასთან ერთად, როგორც საკასაციო პალატა, მისი სამართლებრივი შეხედულებები, ჩამოყალიბებული კონკრეტულ საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებში (განჩინებებში), სავალდებულოა სხვა საკასაციო პალატებისათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ სხვა საკასაციო პალატებმა უნდა იხელმძღვანელონ ამ სამართლებრივი შეფასებებით მათ მიერ სხვა საქმეების გადაწყვეტისას. მა-

გრამ, თუ საკასაციო პალატა არ იზიარებს (არ ეთანხმება) დიდი პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას, მას შეუძლია თავისი მოტივირებული განჩინებით საქმე გადასცეს განსახილველად დიდ პალატას. [750]

II. საკასაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებათა სავალდებულო ხასიათი იმ სასამართლოსათვის, რომელსაც საქმე უბრუნდება ხელახალი განხილვისათვის

საზღვარგარეთის თითქმის ყველა ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებულ მითითებათა სავალდებულოობას იმ სასამართლოსათვის, რომელსაც საქმე უბრუნდება ხელახლა განსახილველად. განსხვავება მათ შორის მდგომარეობს მხოლოდ სავალდებულოობის ფარგლებში.

მაგალითად, რუსეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის თანახმად მითითებები, რომლებიც ეხება საპროცესო მოქმედებათა შესრულების აუცილებლობას და ჩამოყალიბებულია საკასაციო ინსტანციის სასამართლოს განჩინებაში, სავალდებულოა ამ საქმის ხელახლა განმხილველი სასმართლოსათვის. საკასაციო ინსტანციის სასამართლოს უფლება არ აქვს წინასწარ გადაწყვიტოს ამა თუ იმ მტკიცებულების უტყუარობის ან საეჭვოობის, ერთი მტკიცებულების მეორე მტკიცებულების მიმართ უპირატესობის საკითხი, ან როგორი გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული საქმის ხელახლა განხილვის შედეგად.[751]

ამ მუხლის ანალიზის საფუძველზე ზოგიერთი პროცესუალისტი აკეთებს დასკვნას, რომ საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ იმ კანონის განმარტება, რომელსაც ემყარება გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო, არაა სავალდებულო ამ საქმის ხელმეორედ განმხილველი სასამართლოსათვის, რადგან ამ საკითხის სხვაგვარად გადაწყვეტას შეუძლია გამოიწვიოს მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მისი მხოლოდ კანონისადმი

750 თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, გამომცემლობა „სამართალი", მეორე გამოცემა, ქ. თბილისი, 2007 წელი, გვ. 684-686.

751 Комментарий к Гражданскому процессуальному кодексу Российской Федерации, г. Москва, Издательство „Проспект". 2009 год, стр. 689-691.

დამორჩილების პრინციპის დარღვევა.[752] საკასაციო ინსტანციის სასამართლოს განჩინება სავალდებულოა მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც, უთითებს ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულების აუცილებლობაზე, მაგალითად დაიკითხოს მოწმეები, დაინიშნოს ექსპერტიზა, ჩატარდეს ადგილზე დათვალიერება და ა.შ.[753]

განსხვავებულად რეგულირდება ეს საკითხი ავსტრიისა და გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით.

ავსტრიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 511-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც მან საფუძვლად დაუდო თავის გადაწყვეტილებას, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების შესახებ – სავალდებულოა ამ საქმის ხელახლა განმხილველი სასამართლოსათვის.[754]

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 563-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც საფუძლად დაედო გადაწყვეტილების გაუქმებას და საქმის ხელახლა განსახილველად უკან დაბრუნებას უნდა გაითვალისწინოს სააპელაციო სასამართლომ.[755]

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში ერთხმადაა აღიარებული საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასების სავალდებულოობა საქმის ხელახლა განმხილველი სასამართლოსათვის. ამასთან ერთად, ასეთი სავალდებულოობისათვის წამოყენებულია სრულიად გარკვეული პირობები. კერძოდ, საკასაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას სავალდებულო ხასიათი აქვს სააპელაციო სასამართლოსათვის თუ:

1. გადაწყვეტილების გაუქმებას საფუძვლად უდევს ეს სამართლებრივი შეფასება, ანუ სამართლებრივი შეფასება გადაწყვეტილების გაუქმების უშუალო მიზეზს წარმოადგენს. ასეთი მიზეზობრივი კავშირი არსებობს ყოველთვის, როდესაც საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართ-

752 Чечина Н. А. Гражданский процесс. Издательство „Юриздат", М., 1968 год, стр. 318-319.

753 იქვე, გვ. 318

754 Jurisdiktionsnorm und Zivilprozessordnung, Herausgegeben von Dr. Rudolf Stohanzl, 15.,völlig neu bearbeitete Auflage, Manzsche Verlags- und Univarsitätsbuchhandlung,Wien, 2002, S.1451.

755 Гражданское процессуалъное уложение Германии, перевод с немецкого, издателъство „Wolters Kluwer", 2006, стр. 175.

ლოს სამართლებრივ შეფასებას შეცდომად მიიჩნევს და სწორედ ამის გამო აუქმებს მის გადაწყვეტილებას;

2. უცვლელად დარჩა ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც საფუძვლად დაედო საკასაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას;
3. სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებამდე არ შეცვლილა სამართლებრივი მდგომარეობა (მაგალითად, არ ყოფილა მიღებული ახალი კანონი), ან კიდევ საკასაციო სასამართლოს თვითონ არ შეუცვლია სამართალშეფასება.[756]

რადგან, მხოლოდ სამართლებრივი შეფასების სავალდებულოობით, – აღნიშნავს გერმანელი პროცესუალისტი არტურ მეი – განისაზღვრება კასაციის არსი და თავისებურება, მოსაზრებები, რომლებიც მისი გადაწყვეტილების მოტივაციაშია მოცემული, როგორც წესი, მხოლოდ სამართლის ნორმებისაგან უნდა შედგებოდეს. თუ საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არასამართლებრივ ნორმებს (წინადადებებს) მოიცავს, მაშინ მას არ გააჩნია სავალდებულო ხასიათი.[757]

1997 წლის 14 ნოემბერს მიღებული საქართველოს ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ შეიცავდა პირდაპირ მითითებას საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასების იმ სასამართლოსათვის სავალდებულოობის შესახებ, რომელსაც საქმე დაუბრუნდა ხელახლა განსახილველად. მაგრამ, ეს სრულებითაც არ ნიშნავდა იმას, რომ ასეთი სავალდებულოობა არ არსებობდა. თვით საკასაციო სასამართლოს არსებობა, მისი მიზნები და ამოცანები, თავისთავად მიუთითებდა იმაზე, რომ საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასება, რის გამოც მან გააუქმა წინა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, სავალდებულო იყო საქმის ხელახლა განმხილველი სასამართლოსათვის.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე 2004 წელს გაკეთდა დასკვნა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკა-

756 Zivilprozessordnung, kommentar von Prof. Dr. Heinz Thomas, Dr. laus Reichold, Prof.Dr.Hans Putzo, Dr. Rainer Hüsstege, 24., neubearbeitete Auflage, Verlag C. H. Beck, München, 2002, S.910.

757 Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahen Eine systemastsche Darstellung unter besonderer Berück-sichtigung der höchtrichterlichen Rechtsprechung von Artur May, 2., überarbeitete und erweiterte Auflage, Carl Heymanns Verlag, öln, Berlin, Bonn, München. 1997, S.20-22.

საციო პალატის პრაქტიკა მთლიანად შეესაბამებოდა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ჭეშმარიტ აზრს. მიუხედავად ამისა, გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მაშინდელ რედაქციას დამატებოდა შემდეგი შინაარსის ნაწილი: „საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც საფუძლად დაედო გადაწყვეტილების გაუქმებას და საქმის ხელახლა განსახილველად უკან დაბრუნებას, აგრეთვე მითითებას ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულების შესახებ, სავალდებულოა იმ სასამართლოსათვის, რომელსაც ეს საქმე უბრუნდება ხელახლა განსახილველად".[758]

საქართველოს 2006 წლის 13 ივლისის კანონით სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე 412-ე მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, სადაც გათვალისწინებული იქნა საკასაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებათა სავალდებულო ხასიათი. კერძოდ,

1. საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ" და „ე" ქვეპუნქტებისა.
2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის.

მითითებული მუხლის ანალიზიდან ნათლად ჩანს, რომ საკასაციო წესით გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნებას საფუძლად უნდა დაედოს სამართლებრივი შეფასება. ცხადია, სამართლებრივი შეფასება არ გულისხმობს მხოლოდ მატერიალურ – სამართლებრივი ნორმების საფუძველზე გაკეთებულ შეფასებას. სამართლებრივი შეფასება, რომელიც საფუძლად დაედო გადაწყვეტილების გაუქმე-

758 ხრუსტალი ვ. კასაცია სამოქალაქო სამართალწარმოებაში. სადისერტაციო ნაშრომი. 2004 წელი, გვ. 134-139.

ბას, შეიძლება ემყარებოდეს საპროცესო – სამართლებრივი ნორმების აზრსა და შინაარსს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლი, რომელიც სამართლის ნორმის დარღვევის ლეგალურ განმარტებას შეიცავს, ერთნაირად გულისხმობს, როგორც მატერიალურ, ისე საპროცესო – სამართლებრივ ნორმებს. მხედველობაშია მისაღები მხოლოდ ერთი გარემოება, რომელსაც ამ მუხლის მესამე ნაწილი შეიცავს იმის შესახებ, რომ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის თავისებურება გერმანულ და ავსტრიულ საპროცესო კანონმდებლობასთან შედარებით მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე საკასაციო სასამართლოს შეუძლია მისცეს საქმის ხელახლა განმხილველ სასამართლოს სავალდებულო მითითებები იმის შესახებ, თუ საქმეში არსებული რომელი მტკიცებულებები საჭიროებს დამატებით გამოკვლევას. ამიტომ, თუ საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს აბრუნებს უკან ხელახლა განსახილველად, მან თავის განჩინებაში უნდა მიუთითოს მოცემული საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე რომელი ფაქტობრივი გარემოება, რომელზეც მხარეები ამყარებენ თავიანთ მოთხოვნას თუ შესაგებელს, არ იქნა დადგენილი სააპელაციო სასამართლოს მიერ (შეცდომა ფაქტის იურიდიული მნიშვნელობის შეფასებაში), ან კიდევ, ფაქტის დადგენისას რომელი საპროცესო წესები იქნა დარღვეული, ან რაში გამოიხატება კონკრეტულად საპროცესო – სამართლებრივი ნორმის დარღვევა, რომელმაც ზეგავლენა იქონია გასაჩივრებული გადაწყვეტილების სისწორეზე. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ეს კანონის მეტად მნიშვნელოვანი დანაწესია, რასაც ფართოდ იყენებს დღეს საკასაციო სასამართლო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ თავის ერთ-ერთ განჩინებაში მიუთითა: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ ა) საქმის გარემოებები

საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ" და „ე" ქვეპუნქტებისა. ამავე მუხლის „ე[1]" ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, შეამოწმოს გასაჩივრებული განჩინების კანონიერება, ვიდრე საქმეზე არ დადგინდება დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება.[759]

როგორც ზემოთ აღინიშნა, იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმად საკასაციო სასამართლოს, მართალია შეუძლია ჩამოაყალიბოს თავის გადაწყვეტილებაში სამართლებრივი შეფასება, მაგრამ ასეთი შეფასება არ შეიძლება სავალდებულო იყოს საქმის ხელახლა განმხილველი სასამართლოსათვის, რადგან ეს დაარღვევდა პრინციპს მოსამართლის დამოუკიდებლობისა და მხოლოდ კანონისადმი დამორჩილების შესახებ.

ეს მოსაზრება საფუძველს მოკლებულია არა მარტო იმიტომ, რომ იგი ეწინააღმდეგება საკასაციო სასამართლოს შექმნისა და არსებობის მიზნებს, არამედ იმიტომაც, რომ მისი გაზიარება პრაქტიკულად გამოიწვევდა საქმეთა დაუსრულებლად მოძრაობას ქვემდგომი ინსტანციებიდან ზემდგომ ინსტანციებში და პირიქით. თუ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს უფლება ექნება არ გაიზიაროს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი შეფასება და აქედან გამომდინარე სხვა მითითებები, თუ მას ექნება უფლება არ შეცვალოს თავისი თავდაპირველი საკასაციო სასამართლოს თვალსაზრისით მცდარი სამართლებრივი შეფასება, მაშინ, მით უფრო, იგივე უფლებებით შეუძლია ისარგებლოს ზემდგომმა სასამართლომ,

759 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 24 დეკემბრის განჩინება, საქმეზე N ას – 502-476-2015. ნახეთ ასევე, უზენაესი სასამართლოს განჩინებები საქმეებზე: N ას – 636 – 594 – 2017, 20.12.2017 წელი; N ას – 1218-1138-2017, 28.06.2018 წელი; N ას -1044 -2018, 22.04.2019 წელი; N ას – 780-780-2018, 22.10.2019 წელი.

რომელიც ცხადია კვლავ გააუქმებს სასამართლოს გადაწყვეტილებას, რაც ხელახალი განხილვის შემდეგ განმეორებით იქნება გასაჩივრებული საკასაციო სასამართლოში და ა.შ. დაუსრულებლად. ასეთ პირობებში, მართლმსაჯულების ერთიანობაზე და სამართლის განვითარების ინტერესებზე საუბარიც კი ზედმეტი იქნება.

საკასაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებათა სავალდებულო ხასიათი სინამდვილეში არ არღვევს სასამართლოს დამოუკიდებლობის ფუნდამენტურ პრინციპს. სასამართლოს დამოუკიდებლობა და მისი მხოლოდ კანონისადმი დამორჩილება სრულებითაც არ ნიშნავს სასამართლოს (მოსამართლის) უფლებას გაიგოს კანონის აზრი ისე, როგორც მას სურს, ან როგორც მას ეს მიაჩნია ამ კონკრეტულ შემთხვევაში მიზანშეწონილად. თვითნებობა კანონის ინტერპრეტაციის დროს დაუშვებელია. სასამართლომ კანონის განმარტების დროს უნდა იხელმძღვანელოს შესაბამისი მეთოდებით და ხერხებით, მათ შორის მხედველობაში მიიღოს თუ რა მიზნით და რა კონკრეტული შედეგის მისაღწევად, რომელი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად (დასარეგულირებლად) იქნა იგი მიღებული, რომელ კონკრეტულ ცხოვრებისეულ ფაქტებს უკავშრებს იგი იურიდიული შედეგის დადგომას და ა.შ.[760]

ემორჩილება მხოლოდ კანონს – უნდა იქნეს გაგებული ისე, რომ სასამართლო ემორჩილება ამ კანონის ნამდვილ აზრსა და შინაარსს. მცდარად გაგებული კანონისადმი დამორჩილება იქნება არა კანონისადმი დამორჩილება, არამედ ამ კანონის აზრის დამახინჯება, რაც ამ კანონის დარღვევას იწვევს. კანონის დამახინჯება – დარღვევის გამოსწორებისათვის კი არსებობს საკასაციო ინსტანციის სასამართლო. მთლიანად ვიზიარებთ შეხედულებას, რომლის თანახმად „საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასების სავალდებულო ხასიათი არ არღვევს სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ დამოუკიდებლობას." სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპი მოქმედებს მხოლოდ სამართლის ფარგლებში, რასაც განეკუთვნება საკასაციო სასამართლოს

760 დაწვრილებით „კანონის ინტერპრეტაციის შესახებ", ნახეთ: ჭანტურია ლ. შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გამომცემლობა „სამართალი", 1997 წელი, გვ. 104-124. ასევე, Барак А., Судейское усмотрение, перевод с английского, издательство „Норма", 1999 год, стр. 27-62. ასევე, ხრუსტალი ვ. სამოსამართლო სამართლის გავლენა სამართლის განვითარებაზე საკასაციო სასამართლოს პრაქტიკის მაგალითზე. ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია", 2003 წელი, N4, გვ. 49-55.

სამართლებრივი შეფასების სავალდებულოობის მომწესრიგებელი სამართლის ნორმები.[761]

III. საკასაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებათა სავალდებულო ხასიათი თვით საკასაციო სასამართლოსათვის

სავალდებულოა თუ არა საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასება თვით საკასაციო სასამართლოსათვის? ეს საკითხი წამოიჭრება მაშინ, როდესაც საკასაციო სასამართლოში კვლავ შემოვა საკასაციო საჩივარი გადაწყვეტილებაზე, რომელიც გამოტანილია საკასაციო სასამართლოს მიერ ხელახლა განსახილველად ადრე დაბრუნებულ საქმეზე. ყველაფერი რაც ითქვა ქვედა ინსტანციის სასამართლოსათვის საკასაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებათა სავალდებულოობის შესახებ, თავისუფლად შეიძლება გამოყენებული იქნეს, ასევე, საკასაციო სასამართლოსათვის. საკასაციო სასამართლო, სულერთია იგივე პალატა თუ შემადგენლობა იხილავს განმეორებით შემოსულ საკასაციო საჩივარს თუ სხვა შემადგელობა (პალატა), ვალდებულია დაემორჩილოს იმ სამართლებრივ შეფასებას, რომელიც ჩამოყალიბებული იყო საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში (განჩინებაში), რაც საფუძვლად დაედო ადრე ამ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმებას (თვითშეზღუდვის პრინციპი). წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391[1]-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების თანახმად, საქმე განსახილველად გადაეცემა უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას.

იურიდიულ ლიტერატურაში მიუთითებენ გამონაკლისებზე ამ პრინციპიდან, როცა საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ „დაადგინა საქმის ახალი გარემოებები ან როცა ამ პერიოდში შეიცვალა კანონი. საკუთარი სამართლებრივი შეფასება საკასაციო სასამართლოსათვის მაშინაც არ არის სავალდებულო, როდესაც გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ ის სამართლებრივი შეფასება, რომელიც მას საფუძვლად დაედო შეიცვალა.“[762]

---

761 Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahen Eine systemastsche Darstellung unter besonderer Berück-sichtigung der höchtrichterlichen Rechtsprechung von Artur May, 2., überarbeitete und erweiterte Auflage, Carl Heymanns Verlag, öln, Berlin, Bonn, München. 1997, S. 556.

762 Luke W. 7. Zivilprozessrecht, Auflage, Verlag C.H. Beck, München, 1999, S. 320.

IV საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის სამართლებრივ შეფასებათა სავალდებულო ხასიათი

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის მეხუთე პუნქტის პირველი წინადადების დანაწესით, უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის სამართლებრივი შეფასება (ნორმის განმარტება) სავალდებულოა ყველა ინსტანციის საერთო სასამართლოებისათვის.[763]

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო სააპელაციო სასამართლოში შესაგებლის წარუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობასთან დაკავშირებით.

დიდმა პალატამ განმარტა, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოებისას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232[1]-ე მუხლით გათვალისწინებული დანაწესის გამოყენებაზე დათქმის არ არსებობა კანონის ხარვეზს არ წარმოადგენს და ამით კანონმდებელმა სწორად და საფუძვლიანად გააანალიზა სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვის სპეციფიკა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების არსი. იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო საჩივრის წინააღმდეგ მიმართული შესაგებელი უკავშირდება პირველი ინსტანციის სასამართლოში განხორციელებულ მტკიცებულებით საქმიანობას, დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და ამ ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ კვალიფიკაციას, ე.ი. წარსულში უკვე შედავებულ და გამოკვლეულ ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს, აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის მიერ სააპელაციო სასამართლოში შესაგებლის წარუდგენლობას არ მოჰყვება პირველი ინსტანციის სასამართლოში შესაგებლის წარუდგენლობის შედეგები, ანუ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა. ამ ტიპის შესაგებლის წარუდგენლობა არ შეიძლება გახდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი, რადგან დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დროს მოქმედებს პრეზუმფცია, რომელიც ეხება ფაქტს, მტკიცების წესს და არა სამართალს. შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მესამე ნაწილის ფართო განმარტება, ამ ნორმის

763 საქართველოს 2010 წლის 10 დეკემბრის ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე.

გავრცელება ისეთ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც უცხოა სააპელაციო სამართალწარმოებისათვის, დაუშვებელია.

დიდი პალატის ამ გადაწყვეტილებით შეიცვალა საქართველოში დამკვიდრებული არასწორი სასამართლო პრაქტიკა და დაუშვებლად იქნა მიჩნეული სააპელაციო სასამართლოში შესაგებლის წარუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა.

ამავე გადაწყვეტილებაში ყურადღება გამახვილდა აღიარებითი სარჩელის სამართლებრივ ბუნებაზე. დიდმა პალატამ განმარტა, რომ იურიდიული ინტერესი არის ის ფაქტობრივი და სამართლებრივი შედეგი, რომლის მიღწევასაც ცდილობს მხარე აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილებით. აღიარებითი სარჩელის მიმართ ნამდვილი იურიდიული ინტერესის არარსებობა არათუ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, არამედ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველსაც კი წარმოადგენს. დიდმა პალატამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის განმარტების შედეგად აღნიშნა, რომ აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილებით მოსარჩელემ უნდა განახორციელოს კონკრეტული უფლება და ამ უფლების განხორციელება დაკავშირებული უნდა იყოს უშუალოდ აღიარებითი სარჩელით მოთხოვნილი უფლების აღიარებასთან. სხვა საკითხია იურიდიული შედეგის არსებობის ან არარსებობის დადგენის სურვილი. იურიდიული ინტერესის არსებობის დადგენისათვის უპირატესად უნდა გაირკვეს, გაუმჯობესდება თუ არა მოსარჩელის სამართლებრივი მდგომარეობა მისი აღიარებითი მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში.[764]

კანონის ერთგვაროვანი გამოყენება აუცილებელია კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის დასაცავად. გარდა ამისა, სამართლებრივი სიცხადე და განჭვრეტადობა კანონის უზენაესობის განუყოფელი ნაწილია. სახელმწიფოში, რომელიც კანონის უზენაესობის პრინციპს აღიარებს, მოქალაქეები მოელიან, რომ მათ მიმართ მოპყრობა ისეთივე იქნება, როგორც სხვების მიმართ და მსგავს შემთხვევებში შეუძლიათ დაეყრდნონ წინა გადაწყვეტილებებს, რათა უკეთ გაიაზრონ თავიანთი მოქმედების ან უმოქმედობის შედეგები.

---

764 საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2016 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე N ას – 121 – 117 – 2016. ნახეთ ასევე, დიდი პალატის გადაწყვეტილებები საქმეებზე: N ას – 1161 – 1106 – 2014, 30.12.2014 წელი; N ას – 81 – 779 – 03, 21.07.2003 წელი; N 3კ/932 – 02, 09.12.2002 წელი; N 3კ/624-02, 09.09.2002 წელი; N 3კ/35-02, 03.01.2002 წელი.

ურთიერთსაწინააღმდეგო სასამართლო გადაწყვეტილებების მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს სამართლებრივი გაურკვევლობა, რაც დიდი ალბათობით, შეამცირებს საზოგადოების ნდობას სასამართლო სისტემისადმი, რომელიც კანონის უზენაესობის პრინციპიდან გამომდინარე,სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია.[765] კანონის ერთგვაროვანი გამოყენება ხელს უწყობს სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობის ამაღლებას და აძლიერებს საზოგადოების მხრიდან სამართლიანობისა და მართლმსაჯულების აღქმას.[766]

საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. იმ პირობებში, როდესაც „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-17-ე მუხლის მეხუთე პუნქტის პირველი წინადადების დანაწესი იმპერატიულად ადგენს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის სამართლებრივი შეფასების (ნორმის განმარტების) სავალდებულოობას ყველა ინსტანციის საერთო სასამართლოებისათვის, ირღვევა, თუ არა საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული მოსამართლის დამოუკიდებლობის ფუნდამენტური პრინციპი? რა თქმა უნდა, არ ირღვევა.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით მეტად საყურადღებოა ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2017 წლის 20 ნოემბრის №20 (2017) დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციები – სასამართლოების როლზე კანონის ერთგვაროვანი გამოყენების უზრუნველყოფაში. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ინტერპრეტაციით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მეექვსე მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლება ასევე გულისხმობს კანონის ერთგვაროვან გამოყენებას. განსხვავებული ინტერპრეტაცია, როგორც სასამართლო სისტემის დამახასიათებელი თავისებურება – დასაშვებია. [767]

---

765 CASE VINČIĆ and THERS v. SERBIA, 44698/06, December 1, 2009. https://hudoc.echr.coe.int .

766 ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) დასკვნა №20 (2017) სასამართლოების როლზე კანონის ერთგვაროვანი გამოყენების უზრუნველყოფაში. სტრასბურგი, 2017 წლის 20 ნოემბერი.

767 CASE T MIĆ AND THERS v. M NTENEGR , 18650/09, April 17, 2012. https://hudoc.echr.coe.int .

მოსამართლეებმა თანმიმდევრულად და ერთგვაროვნად უნდა გამოიყენონ კანონი, მაგრამ როდესაც სასამართლო გადაწყვეტს არსებული პრეცედენტული სამართლიდან (საქართველოს შემთხვევაში – უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის სამართლებრივი შეფასებიდან, ხაზგასმა ჩემია – ვ. ხ.) გადახვევას, უაღრესად მნიშვნელოვანია რომ გადაწყვეტილებაში მკაფიოდ მიუთითოს აღნიშნულის შესახებ.[768] დასაბუთებიდან ნათლად უნდა იკვეთებოდეს, რომ მოსამართლემ იცოდა როგორ ადგენს დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლისგან განსხვავებულ მიდგომას მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. ასევე, საფუძვლიანად უნდა განიმარტოს, თუ რატომ ვერ დარჩება ძალაში კონკრეტულ საკითხზე მანამდე არსებული მიდგომა. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში არის შესაძლებელი იმის დადგენა, რამდენად გააზრებულად არჩია მოსამართლემ პრეცედენტიდან გადახვევა (ანუ, რამდენად მიზანდასახულად გადაუხვია მოსამართლემ პრეცედენტული სამართლიდან, რათა გადასინჯულიყო დამკვიდრებული მიდგომა), თუ სასამართლომ არ გაითვალისწინა არსებული პრეცედენტი, ან უბრალოდ არ იყო ინფორმირებული ამის შესახებ. პრეცედენტული სამართლიდან ასეთი გადახვევა არ შეიძლება იწვევდეს დისციპლინურ სანქციას ან გავლენას ახდენდეს მოსამართლის შეფასებაზე. მხოლოდ ასეთი გზითაა შესაძლებელი სამართლის ნამდვილი განვითარების მიღწევა. ამ მოთხოვნების შეუსრულებლობა შეიძლება მივიჩნიოთ მიკერძოებულ დამოკიდებულებად და სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დარღვევად. კანონის ერთგვაროვანი გამოყენების უზრუნველყოფამ არ უნდა გამოიწვიოს მისი ხისტი გამოყენება და სამართლის სწორად განვითარების არაჯეროვანი შეზღუდვა, მან ასევე არ უნდა დააყენოს ეჭვქვეშ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპი.[769]

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75[1]-ე მუხლის მეექვსე პუნქტის თანახმად კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძვლად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნუ-

---

768 ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) დასკვნა №11 (2008) სასამართლოს გადაწყვეტილებების ხარისხის თაობაზე. სტრასბურგი, 2008 წლის 18 დეკემბერი.

769 ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) დასკვნა №20 (2017), სტრასბურგი, 2017 წლის 20 ნოემბერი.

ლი ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები ასრულებენ განუსაზღვრელად დიდ როლს კანონების ერთგვაროვნად გაგების, სამართლის განვითარებისა და ერთიანი მართლმსაჯულების დამკვიდრებაში. უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის სამართლებრივი შეფასება სავალდებულოა ყველა ინსტანციის სასამართლოსათვის, მათი მაღალი იურიდიული ღირსებისა და დასაბუთებულობის გამო, რაც უქმნის მათ მაღალ ავტორიტეტსა და დამაჯერებლობას. სწორედ ამ მაღალი იურიდიული ღირსების გამო ფართოდ გამოიყენება არამარტო მოსამართლეების, არამედ საქმეში მონაწილე პირებისა და მათი წარმომადგენლების მიერ სარჩელის, შესაგებლისა თუ საჩივრების დასაბუთების დროს.

თუ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლე მიზანშეწონილად მიიჩნევს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის სამართლებრივი შეფასებიდან (ნორმის განმარტებიდან) გადახვევას, ეს ნათლად უნდა იყოს მითითებული გადაწყვეტილებაში. დასაბუთებიდან მკაფიოდ უნდა იკვეთებოდეს, რომ მოსამართლემ იცოდა აღნიშნულ საკითხზე უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განსხვავებული მიდგომის შესახებ და საფუძვლიანად უნდა იყოს განმარტებული, თუ რატომ არ გამოდგა არსებული პოზიცია წინამდებარე საქმეში.

უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის სამართლებრივი შეფასებიდან (ნორმის განმარტებიდან) გადახვევა არ შეიძლება იწვევდეს მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებლობას ან გავლენას ახდენდეს მოსამართლის საქმიანობის შეფასებაზე, არამედ უნდა მოიაზრებოდეს როგორც სასამართლოს დამოუკიდებლობის ელემენტი.[770]

770 ვ. ხრუსტალი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა და საკასაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებათა სავალდებულო ხასიათი. თეორიული და პრაქტიკული ასპექტები. ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი", № 4. 2021 წელი, გვ. 22-38.

თავი XIV. კერძო საჩივარი და საჩივარი

§1. კერძო საჩივრის ცნება, ობიექტი და სუბიექტები

I. ცნება

სამოქალაქო საქმის წარმოების პროცესში საჭირო ხდება მრავალი სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის განჩინებების მიღება, რომელიც მიმართულია ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულების უზრუნველყოფისაკენ და, მაშასადამე, ემსახურება საქმეზე სწორი და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანას, ან ამ გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფას. ასეთი დადგენილებები სასამართლოს გამოაქვს განჩინების ფორმით (სსკ 284-ე მუხლი), მაგალითად, ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ (სსკ 163-ე მუხლი), სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ (სსკ 187-ე მუხლი), საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვის დანიშვნის შესახებ (სსკ 207-ე მუხლი), საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ (სსკ 273-ე მუხლი) და ა.შ.[771]

როგორც ვხედავთ, განჩინების ფორმით სასამართლო, არც ისე იშვიათად, იღებს ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებზეც დამოკიდებულია არა მარტო საქმის შემდგომი მსვლელობის ბედი, საქმის წარმოების გაგრძელება, თუ შეწყვეტა, არამედ ამ საქმის არსებითად გადაწყვეტის მიზნით გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერება, მისი ფატობრივი და სამართლებრივი დასაბუთებულობა.

როგორც ჩანს, სწორედ ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა კანონმდებელი, როდესაც დაუშვა ზოგიერთი ასეთი განჩინების გასაჩივრებისა და, მაშასადამე, მისი სისწორის გადამოწმების შესაძლებლობა მანამ, სანამ საქმეზე მიღებული იქნება საბოლოო გადაწყვეტილება.

საქართველოს სსკ-სი ასეთ საჩივარს უწოდებს **კერძო საჩივარს**[772]**.** რადგან, **ჯერ ერთი,** საჩივრდება არა საქმეზე გამოტანილი

771 დაწვრილებით სასამართლო განჩინებათა ფორმისა, სახეებისა და გასაჩივრების წესის შესახებ. იხ. **მურმან წიქვაძე**. განჩინება სამოქალაქო პროცესში და მისი გასაჩივრების წესი. თბ. 2004.

772 2006 წლის ივლისიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსში კერძო საჩივრის პარალერულად შემოტანილი იქნა ტერმინი „საჩივარი", მაგალითად, სამოქალაქო

საბოლოო გადაწყვეტილება, არამედ საქმის განხილვასთან დაკავშირებულ რომელიმე **კერძო საკითხზე** განჩინების ფორმით გამოტანილი გადაწყვეტილება და **მეორე** – საჩივრდება განჩინება სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებისაგან **განცალკევებით და მისგან დამოუკიდებლად.**

II. კერძო საჩივრის ობიექტი, სუბიექტი და დასაშვებობის წინაპირობები

კერძო საჩივრის ობიექტი შეიძლება იყოს სასამართლოს განჩინება. ეს არის სწორი, მაგრამ არა აბსოლუტურად ზუსტი, რადგან სასამართლოს ყველა იმ საპროცესო დოკუმენტზე, რომელსაც განჩინება ეწოდება, არ შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა. ამიტომ იბადება კითხვა, რომელ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა და რომელზე არ შეიძლება?

ეს საკითხი ძალიან მარტივად გადასაწყვეტია, რადგან მის გადაწყვეტაზე **იზრუნა თითონ კანონმდებელმა**: კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება მხოლოდ ისეთ განჩინებაზე, რომელსაც ითვალისწინებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ სსკ-სი არ ითვალისწინებს ამა თუ იმ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანას, მაშასადამე, ასეთ განჩინებაზე არც შეიძლება მისი შეტანა. მაგალითად, თუ მოსამართლეს განუცხადეს აცილება და სასამართლომ თავისი განჩინებით არ მიიღო ეს აცილება, ამ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანას კანონმდებლობა არ ითვალისწინებს (სსკ 36-ე მუხლი), მაგრამ სასამართლოს განჩინებაზე სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ კერძო საჩივრის შეტანას კანონი ითვალისწინებს (სსკ 187-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

სსკ-ის იმ მუხლების ანალიზი, რომლებიც ითვალისწინებენ ამა თუ იმ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანას, საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა, რომ კერძო საჩივრის შეტანა დაიშვება ისეთ

საპროცესო კოდექსს 2006 წლის ივლისში დაემატა 1971 მუხლი რომლის სათაურიც ასე ჩამოყალიბდა: **სასამართლოს მიერ საჩივრის წარმოებაში მიღება და განხილვა, საჩივრისა და საქმის მასალების გადაგზავნა ზემდგომ სასამართლოში.** უნდა აღინიშნოს, რომ საჩივარი და კერძო საჩივარი ერთი და იგივე სამართლებრივი ბუნებით ხასიათდება და ამდენად, ისიც კერძო საჩივრის წესებით წესრიგდება. (გ.ლ)

განჩინებებზე, რომლებითაც გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი საპროცესო მოქმედების შესრულების საკითხი ან რომლითაც ბრკოლდება ან საერთოდ წყდება საქმის წარმოების მსვლელობა.

ამრიგად, სსკ-სი განსაზღვრავს, თუ რომელ განჩინებებზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა და რომელ განჩინებებზე ასეთი საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

ნიშნავს, თუ არა ეს იმას, რომ სასამართლოს განჩინებებზე, რომელთა გასაჩივრებას კანონი არ ითვალისწინებს, მხარეს არ შეუძლია გამოთქვას თავისი უარყოფითი დამოკიდებულება, თავისი პროტესტი?

არა, არ ნიშნავს!

სსკ 377-ე და 404-ე მუხლების თანახმად სააპელაციო და საკასაციო სასამართლოების განხილვის საგანი, როცა ისინი განიხილავენ შესაბამისად სააპელაციო ან საკასაციო საჩივარს, შეიძლება იყოს ის განჩინებები, რომლებიც წინ უსწრებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა.

ეს იმას ნიშნავს, რომ მხარეს, რომელიც სააპელაციო (საკასაციო) წესით ასაჩივრებს გადაწყვეტილებას, შეუძლია თავისი უარყოფითი აზრი გამოთქვას იმ განჩინების მიმართ, რომელიც წინ უსწრებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანას და რომელიც არ იყო, ან ვერ იქნებოდა გასაჩივრებული კერძო საჩივრით, რადგან კანონი არ ითვალისწინებს მის ასეთი წესით გასაჩივრებას.

მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სააპელაციო (საკასაციო) საჩივართან ერთად ცალკე უნდა დაიწეროს საჩივარი განჩინებაზე, ხოლო სააპელაციო (საკასაციო) სასამართლომ ასევე ცალკე განჩინებით უნდა გასცეს პასუხი. რა თქმა უნდა არა! სააპელაციო (საკასაციო) სასამართლოს შეუძლია შეამოწმოს წინარე განჩინებები, რომლებიც არ იყო ან ვერ იქნებოდნენ გასაჩივრებული კერძო საჩივრით, მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიზნით, ხომ არ მოხდა ამ განჩინებებით კანონის ისეთი დარღვევა, რომელსაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სისწორეზე.

მაგალითად: ა-ნიმ სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა გადაწყვეტილება და ერთ-ერთ მოტივად მიუთითა სასამართლოს განჩინებაზე, რომლითაც უარი ეთქვა მას მოსამართლის აცილებაზე, მაშინ როდესაც ეს მოსამართლე არის მოპასუხის დისშვილი და პირადად არის დაინტერესებული საქმის შედეგით; სწორედ ამ

მიზეზით შეიძლება აიხსნას ის, რომ მან უარი უთხრა მომჩივანს ისეთი ფაქტების დამტკიცებაზე და მათ მიმართ ისეთი მტკიცებულებების წარდგენაზე, რომლებსაც აქვთ მნიშვნელობა ამ საქმეზე სწორი გადაწყვეტილების გამოტანისათვის.

თუ სააპელაციო (საკასაციო) სასამართლო ჩათვლის, რომ წინარე განჩინებით დაირღვა კანონი, რომელსაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა გადაწყვეტილების სისწორეზე, მაშინ იგი აუქმებს ამ გადაწყვეტილებას. უშუალოდ ამ განჩინების მიმართ რაიმე დამოუკიდებელი განჩინება მას არ გამოაქვს.

რაც შეეხება იმ პირთა წრეს (სუბიექტებს), რომლებსაც შეუძლიათ კერძო საჩივრის შეტანა, ეს პირებია: მხარეები, ანუ მოსარჩელე, მოპასუხე, თანამონაწილეები, მათი უფლებამონაცვლეები, კანონიერი წარმომადგენლები, მესამე პირები დამოუკიდებელი მოთხოვნით, აგრეთვე დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, თუ განჩინება გამოტანილია მათ წინააღმდეგ, რაც განაპირობებს გასაჩივრების იურიდიულ ინტერესს.

სსკ 414-ე მუხლის მე-2 პუნქტი, გარდა მხარეებისა, კერძო საჩივრის შეტანის უფლებას აძლევს, იმ პირებსაც, რომლებსაც უშუალოდ ეხებათ ეს განჩინება. ასეთ პირთა კატეგორიას მიეკუთვნება მაგალითად პირი, რომელმაც მიმართა სასამართლოს თხოვნით ჩააბას იგი პროცესში მესამე პირად დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე და რომელსაც სასამართლომ უარი უთხრა ასეთ თხოვნაზე. ამ პირს უნდა მიეცეს უფლება შეიტანოს კერძო საჩივარი, რადგან, იგი თუმცა არაა არც მხარე და არც პროცესში რაიმე სტატუსით მონაწილე პირი, მაგრამ მას „უშუალოდ ეხება ეს განჩინება“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ კერძო საჩივარი შემოიტანა ისეთმა პირმა, რომელსაც არც პირდაპირ, არც უშუალოდ არ ეხება გასაჩივრებული განჩინება, ცხადია, სასამართლომ არ უნდა მიიღოს კერძო საჩივარი ასეთი პირისაგან.

საბოლოოდ კერძო საჩივრის დასაშვებობის პირობები შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ:

ა) კერძო საჩივრის შეტანა დასაშვებია განჩინებაზე, თუ ამას პირდაპირ ითვალისწინებს კანონი;

ბ) კერძო საჩივრის შეტანა შეუძლიათ მხარეებს, მესამე პირებს, მათ წარმომადგენლებს, თანამონაწილეებს, კანონიერ წარმომადგენლებს, უფლებამონაცვლეებს, აგრეთვე იმ პირებსაც, რომლებსაც უშუალოდ ეხებათ გასაჩივრებული განჩინება;

გ) კერძო საჩივარი შედგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით და უნდა შეესაბამებოდეს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილს, მაგალითად წარმოადგინოს ნაბეჭდი სახით, მაგრამ თუ ამის შესაძლებლობა არ აქვს, შეუძლია ხელნაწერითაც წარმოდგენა;

დ) კერძო საჩივარი ფაქტობრივად და იურიდიულად დასაბუთებული უნდა იყოს და პასუხობდეს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ მოთხოვნებს;

ე) კერძო საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს კანონით გათვალისწინებულ ვადებში. კერძო საჩივრის შეტანის საერთო ვადა არის 12 დღე (სსკ 416-ე მუხლი).

ზოგიერთ შემთხვევაში კანონი ითვალისწინებს კერძო საჩივრის შეტანის უფრო მოკლე ვადასაც, მაგალითად, 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად განჩინებაზე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება 5 დღეში. ყველა შემთხვევაში, რა ვადაც არ უნდა იყოს დადგენილი, ამ ვადის დენა იწყება განჩინების გადაცემის მომენტიდან ან ამ განჩინების გამოცხადების მომენტიდან, თუ მის გამოცხადებას ესწრებოდა კერძო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი. აღსანიშნავია ისიც, რომ კერძო საჩივრის შეტანის ვადის გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია (სსკ 416-ე მუხლის პირველი ნაწილი).

§2. კერძო საჩივრის განხილვის თავისებურებანი

I. კერძო საჩივრის განხილვა გასაჩივრებული განჩინების გამომტანი სასამართლოს მიერ

კერძო საჩივარი შეტანილი უნდა იქნეს იმ სასამართლოში, რომელმაც მიიღო კერძო საჩივრით გასასაჩივრებელი გადაწყვეტილება (სსკ 415 მუხლი) ანუ თუ პირველმა ინსტანციამ გამოიტანა განჩინება, მაშინ კერძო საჩივარი შეიტანება პირველ ინსტანციაში, რომელიც საქმესთან ერთად დაუყოვნებლივ გადააგზავნის სააპელაციო სასამართლოში, მაგრამ თუ სააპელაციო სასამართლო გამოიტანს განჩინებას, მაშინ კერძო საჩივარი შეიტანება სააპელაციო სასამართლოში, რომელიც გადაუგზავნის საკასაციო სასამართლოს.

გამონაკლის შემთხვევაში, კერძოდ, სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების ან სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის შესახებ გამოტანილ განჩინებაზე საჩივარი ამ შემთხვევა-

შიც შედის განჩინების გამომტან იმავე სასამართლოში, მაგრამ თუ სასამართლო საჩივარს დასაშვებად და დასაბუთებულად მიიჩნევს, იგი აღარ აგზავნის ზემდგომ სასამართლოში, თვითონ განიხილავს და აკმაყოფილებს მას. წინააღმდეგ შემთხვევაში საჩივარი საქმის მასალებთან ერთად სასამართლო განჩინების საფუძველზე გაეგზავნება ზემდგომ სასამართლოს განჩინების მიღებიდან 5 დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გაეგზავნება მხოლოდ სასამართლო განჩინება საქმის დამოწმებულ ასლებთან ან ელექტრონულ საქმის მასალებთან ერთად, ხოლო საქმის მასალების დედნები სასამართლოში დარჩება და საქმის განხილვას სასამართლო გააგრძელებს საერთო წესით (სსკ-ის 1971 მუხლი).

სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების ან სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის შესახებ გამოტანილ განჩინებაზე საჩივარი და მასთან დაკავშირებული ზემოთ აღნიშნული მასალა ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ უნდა განიხილოს მისი წარმოებაში მიღებიდან 20 დღის ვადაში. ამავე ვადაში მან უნდა გამოიტანოს განჩინება საჩივრის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. სხვა შემთხვევაში ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კერძო საჩივრის თაობაზე განჩინება გამოაქვს კერძო საჩივრის მიღებიდან 2 თვის ვადაში.

II. კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომი სასამართლოს მიერ. კერძო საჩივრის შეტანის შედეგები

სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლო კერძო საჩივარს განიხილავს სსკ-ს 419-ე მუხლის გათვალისწინებით, კერძოდ:

ა) კერძო საჩივარი განიხილება ზეპირი განხილვის გარეშე.

ბ) ორივე მხარის მოწვევა და საქმის ზეპირი განხილვის დანიშვნა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კერძო საჩივრის განმხილველ სასამართლოს ეს საჭიროდ და მიზანშეწონილად მიაჩნია. ასეთი საჭიროება შეიძლება წარმოიშვას ისეთ შემთხვევებში, როდესაც კერძო საჩივრის არსიდან გამომდინარე აუცილებელია ზოგიერთი ფაქტობრივი მონაცემის დადგენა-დადასტურება. მაგალითად, შემოტანილია კერძო საჩივარი განჩინებაზე გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ. გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება შეიძლება განხორციელდეს გარკვეული ფაქტობრივი

გარემოებების დადასტურების შემთხვევაში, კერძოდ, თუ გადაწყვეტილების აღსრულების დაყოვნებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს გადამხდევინებელს ან მისი შემდგომი აღსრულება შეუძლებელი აღმოჩნდეს (268-ე მუხლი).

თუ კერძო საჩივარი საეჭვოს ხდის იმ გარემოებათა არსებობას, რომლებიც საფუძვლად უდევს გასაჩივრებულ განჩინებას, სასამართლოს შეუძლია ამ კერძო საჩივრის განხილვისათვის დანიშნოს სხდომა (ზეპირი განხილვა) მხარეთა შეტყობინებით. სასამართლო სხდომაზე მხარეთა გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს საჩივრის განხილვასა და გადაწყვეტას;

გ) კერძო საჩივარი შეიძლება განხილულ და გადაწყვეტილ იქნეს ზეპირი განხილვის გარეშე, თუ სასამართლოს მიაჩნია, რომ კერძო საჩივარი დაუშვებელია (გასულია გასაჩივრების ვადა, შემოტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ, არაა გადახდილი სახელმწიფო ბაჟი და ა.შ.), ხოლო მომჩივანმა არ შეავსო ხარვეზი დანიშნულ ვადაში (სსკ-ის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილი და 396-ე მუხლის მე-3 ნაწილი), ან კიდევ, დასაშვები კი არის, მაგრამ აშკარად უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია.

საქმის ზეპირი განხილვის შემთხვევაში მოსამართლეს უფლება აქვს განჩინება გამოიტანოს სათათბირო ოთახში გაუსვლელად (სსკ 419.2 მუხლი).

კერძო საჩივრის განმხილველი ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ კერძო საჩივარზე საბოლოოა, არ გასაჩივრდება და დაუყოვნებლივ შედის კანონიერ ძალაში.

კერძო საჩივრების განხილვა სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში წარმოებს ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით (სსკ 420-ე მუხლი). მაგალითად, კერძო საჩივრის მომწესრიგებელი მუხლები არ ითვალისწინებს კერძო საჩივრის ხარვეზის შევსების შესაძლებლობას და წესს, მაგრამ, თუ კერძო საჩივარს გააჩნია ხარვეზი, რომლის შევსება შესაძლებელია, ან გადახდილი არაა სახელმწიფო ბაჟი, საჩივრის განმხილველმა ზემდგომმა სასამართლომ უნდა გამოიტანოს განჩინება ამ ხარვეზის შევსების შესახებ და დანიშნოს ამისათვის ვადა. ასეთ წესს ითვალისწინებს სსკ-ის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილი და 396-ე მუხლის მე-3 ნაწილი. თუ დანიშნულ ვადაში არ იქნება ხარვეზი შევსებული, კერძო საჩივარი აღარ მიიღება.

სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გასაჩივრებულ განჩინე-

ბას კერძო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით.

სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით (სსკ-ის 377-ე მუხლი).

ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ კერძო საჩივრის მიღებიდან 2 თვის ვადაში უნდა გამოიტანოს განჩინება კერძო საჩივრის დაკმაყოფილების ან უარის თქმის შესახებ.

თავი XV. საქმის წარმოების განახლება

§1. საქმის წარმოების განსაზღვრის ობიექტი და სახეები

I. განახლების ობიექტი

საქმის წარმოების განახლების (რესტიტუციის) ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ საქმე, რომლის წარმოება სასამართლოში დამთავრებულია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან კანონიერ ძალაში შესული განჩინებით საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, ან სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ. იგივე უნდა ითქვას სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებებით და განჩინებებით დამთავრებული საქმეების მიმართ. მხედველობაშია სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოების ისეთი გადაწყვეტილება, რომლითაც გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილებები და გამოტანილი იქნა ახალი გადაწყვეტილება, აგრეთვე ისეთი განჩინებები, რომლებითაც გაუქმდა გადაწყვეტილება და შეწყდა საქმის წარმოება და არა სააპელაციო (საკასაციო) წარმოება. **მაგალითად,** თუ სააპელაციო (საკასაციო) ინსტანციაში საჩივრის განხილვისას აღმოჩნდება, რომ საქმე არ ექვემდებარე სასამართლოს უწყებრივად, სააპელაციო (საკასაციო) სასამართლომ უნდა შეწყვიტოს არა სააპელაციო (საკასაციო) წარმოება, არამედ საქმის წარმოება საერთოდ, მაგრამ თუ აპელანტმა (კასატორმა) უარი თქვა თავის საჩივარზე ან უკან გაითხოვა იგი, სააპელაციო (საკასაციო) სასამართლომ უნდა შეწყვიტოს სააპელაციო (საკასაციო) წარმოება და არა მთლიანად საქმის წარმოება.

ამრიგად, განახლების ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმე. მაშასადამე, განახლების ობიექტი, სსკ 421–432-ე მუხლებით დადგენილი წესით, არ შეიძლება იყოს ცალკეული საპროცესო მოქმედებები, მაგალითად, ადგილზე დათვალიერება და სხვა, რომელთა შესრულების შესახებ მიღებულია სასაამართლოს კანონიერ ძალაში შესული განჩინებები.

იბადება პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი კითხვა: შეიძლება თუ არა საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით

განცხადებით მიმართვა ისეთი საქმის განახლების შესახებ, რომლის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ შესულა კანონიერ ძალაში?

ამ კითხვაზე ცალსახად უნდა ვუპასუხოთ – არა, არ შეიძლება! რატომ?

ერთი უბრალო მიზეზის გამო: თუ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება ჯერ არ შესულა კანონიერ ძალაში, მაშასადამე არსებობს ამ გადაწყვეტილების სააპელაციო (საკასაციო) გასაჩივრებისა და მისი ამ წესით გადასინჯვის სრული შესაძლებლობა. საქმის წარმოების განახლების ნებისმიერი საფუძველი, რომელიც გათვალისწინებულია კანონით (სსკ 422-ე და 423-ე მუხლები), შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების სააპელაციო (საკასაციო) წესით გაუქმების საფუძველი. არც პროცესუალური ეკონომიის პრინციპის, არც სასამართლო ინსტანციების არსებობის მიზნებით, არც ლოგიკის და, საერთოდ, არც სხვა რაიმე გონივრული მოსაზრებებით არ შეიძლება მივმართოთ საქმის განახლების რთულ პროცედურას, მაშინ როდესაც არსებობს კანონიერ ძალაში ჯერ კიდევ შეუსვლელი გადაწყვეტილების გასაჩივრების ტრადიციული და ჩვეულებრივი საშუალებები, როგორიცაა აპელაცია და კასაცია.

უფრო მეტიც, განცხადება განახლების შესახებ არ უნდა დააკმაყოფილოს სასამართლომ, თუ განმცხადებელს შეეძლო ამ განცხადებაში მოყვანილი საფუძველი წამოეყენებინა ჯერ კიდევ სააპელაციო თუ საკასაციო ინსტანციის სასამართლოში.

მაგალითი: ბ-ანიმ მიმართა სასამართლოს განცხადებით საქმის წარმოების განახლების შესახებ. თავის განცხადებას ბ-ანიმ საფუძვლად დაუდო ის გარემოება, რომ იგი არ იყო მოწვეული ამ საქმის განხილვაში, თუმცა იგი დასახელებული იყო მოსარჩელის მიერ მოპასუხედ და სასამართლო გადაწყვეტილებით მას დაეკისრა ამ მოსარჩელის სასარგებლოდ 10000 ლარის გადახდევინება. ამ განცხადების დასაშვებობის შემოწმებისას გამოირკვა, რომ ბ-ანიმ ყოველივე ამის შესახებ შეიტყო მისთვის გადაწყვეტილების ჩაბარების დროს, როცა ჯერ კიდევ არ იყო გასული ამ გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადა. მიუხედავად ამისა, ბ-ნიმ არ შეიტანა სააპელაციო საჩივარი და დაელოდა მის კანონიერ ძალაში შესვლას, რათა შემდეგ, მისი აზრით უფრო დიდი ეფექტის მოხდენისა და საქმის განხილვის გაჭიანურების მიზნით, შეეტანა განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ.

სასამართლომ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით (სსკ 422-ე მუხლის მე-2 პუნქტი) უარი უთხრა ბ-ანის საქმის განახლებაზე.

II. საქმის წარმოების განახლების სახეები და საფუძვლები

სსკ-სი ითვალისწინებს საქმის წარმოების განახლების ორ სახეს:

1. გადაწყვეტილების (განჩინების) ბათილად ცნობას და 2. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებას.

საქმის წარმოების განახლების ეს ორი სახე განსხვავდება ერთმანეთისაგან იმ საფუძვლებით, რომლებსაც ისინი ემყარებიან.

გადაწყვეტილება შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი:

1. თუ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა მოსამართლე, რომელსაც კანონის თანახმად უფლება არ ჰქონდა მონაწილეობა მიეღო ამ გადაწყვეტილების მიღებაში (სსკ 422-ე მუხლის ნაწილი 1. პუნქტი „ა").

მაგალითი: ა-ნიმ მიმართა სასამართლოს განცხადებით გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ. მან თავის განცხადებას საფუძვლად დაუდო ის გარემოება, რომ ამ გადაწყვეტილების სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებაში მონაწილეობდა მოსამართლე ბ-ანი, რომელიც ადრე მონაწილეობდა პირველ ინსტანციაში ამ საქმის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში (სსკ 29-ე მუხლის პირველი ნაწილი).

მხარეს შეუძლია თავისი განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ დააფუძნოს სხვა ისეთ გარემოებებს, რომლებიც დაადასტურებენ რომ მოსამართლეს უფლება არ ჰქონდა მონაწილეობა მიეღო ამ გადაწყვეტილების მიღებაში. **მაგალითად,** გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა მოსამართლე, რომელსაც განუცხადეს აცილება და ეს აცილება მიიღო სასამართლომ, ან კიდევ, გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა მოსამართლე, რომელსაც ჯერ კიდევ არ ჰქონდა დადებული ფიცი, ან დროებით გადაყენებულია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან და სხვა.

2. თუ ერთ-ერთი მხარე ან თუ მას კანონიერი წარმომადგენელი სჭირდება, ასეთი წარმომადგენელი არ იყო მოწვეული საქმის განხილვაში.

მაგალითი: დ-ონიმ მიმართა სასამართლოს განცხადებით კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის

შესახებ იმ მოტივით, რომ ამ გადაწყვეტილებით მას დაეკისრა მის მფლობელობაში არსებული გარკვეული სახის ქონების, კერძოდ საძინებელი გარნიტურისა და „ბეკერის“ ფირმის ანტიკვარული როიალის გადაცემა მოსარჩელისათვის, მაშინ, როდესაც ის საერთოდ არ იყო მოწვეული საქმის განხილვაში. ამ გარემოების დასადასტურებლად დ-ონიმ მიუთითა საქმეში არსებულ მასალებზე, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ მას არც სარჩელის ასლი და მასზე დართული მასალები არ გაგზავნია, არც მისგან წერილობით შედგენილი შესაგებელი არ მოუთხოვიათ და როგორც სასამართლო სხდომის ოქმიდანაც ჩანს, მას არც უწყება არ გაგზავნია, ხოლო გადაწყვეტილების შესახებ მან შეიტყო აღმასრულებლისგან (სსკ 394-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი).

მხარის მოწვევა საქმის განხილვაზე უნდა განხორციელდეს სსკ-ის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. საქმის განხილვა ერთერთი მხარის (კანონიერი წარმომადგენლის) გარეშე, რომელსაც არ გაეგზავნა შეტყობინება მითითებული მუხლებით დადგენილი წესით, წარმოადგენს გადაწყვეტილების სააპელაციო

(საკასაციო) წესით გაუქმების უდავო საფუძველს (სსკ-ის 394-ე მუხლი), მაგრამ თუ ასეთი გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში და მისი სააპელაციო (საკასაციო) წესით გასაჩივრება აღარ შეიძლება, მაშინ დაისმის საკითხი ამ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ.

ამდენად, მთავარია მხარეს გაეგზავნოს შეტყობინება სსკ-ის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, მაგრამ მისი გამოუცხადებლობა ვერც საქმის განხილვას დააბრკოლებს და ვერც გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი გახდება.[773]

სსკ 422-ე მუხლის I ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებულია აგრეთვე მხარის წარმომადგენლის მოწვევაზე. მხედველობაშია მისაღები, რომ სსკ 70-ე მუხლის თანახმად სასამართლო სხდომის შესახებ უნდა ეცნობოს უშუალოდ მხარეს ან მის წარმომადგენელს.

3. თუ პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე.

პრაქტიკაში შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ისეთ შემთხვევას, როდესაც პირი მართალია არ ყოფილა საქმეში ჩაბმული არც მოსარჩელედ, არც მოპასუხედ და არც მესამე პირად დამოუკიდებელი

773 სუსგ სამოქალაქო საქმეზე, 2002, №6, 889-895 გვ.

სასარჩელო მოთხოვნით, მაგრამ სასამართლო გადაწყვეტილებით განისაზღვრა მისი უფლებები და მოვალეობები ერთ-ერთი მხარის მიმართ (მიეკუთვნა რაიმე ქონება ან უფლება, დაეკისრა მოქმედების შესრულების მოვალეობა ერთ-ერთი მხარის მიმართ და ა.შ.), ანუ უშუალოდ შეეხო მის კანონიერ ინტერესებს და ამ დროს არ იყო იგი საქმის განხილვაზე მოწვეული. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან შესაძლოა გახდეს მისი ბათილობის საფუძველი.

4. სასამართლო უწყება სსკ-ის 71-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად ჩაბარებულად ჩაითვალა, თუმცა გამოუცხადებელი მოპასუხე სასამართლოს წინაშე აცხადებს, რომ მას ბრალის გარეშე არ ჰქონდა ინფორმაცია სასამართლო უწყების ან/და სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ, რის გამოც არ მიეცა შესაძლებლობა, წარედგინა შესაგებელი ან/და გაესაჩივრებინა სასამართლოს გადაწყვეტილება. ამ შემთხვევაში მოპასუხე თავის განცხადებაში წარმოადგენს პირველად პოზიციას საქმის არსებით გარემოებებთასნ დაკავშირებით.

5. პირის გარკვეულ დროსა და ვითარებაში დაბადების ან გარდაცვალების, აგრეთვე დაბადების ან გარდაცვალების რეგისტრაციის იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებები თუ სასამართლოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ განცხადების წარდგენის მომენტისთვის არსებობს სამოქალაქო აქტის ორი სხვადასხვა ჩანაწერი და გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია მცდარი მონაცემები (სსკ 422[1] მუხლი).

გაცილებით უფრო ფართოა იმ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა წრე, რომლებიც შეიძლება საფუძვლად დაედოს საქმის წარმოების განახლებას.

ეს გარემოებები გათვალისწინებულია სსკ 423-ე მუხლის პირველი ნაწილით, კერძოდ, თუ:

ა) აღმოჩნდება, რომ დოკუმენტი, რომელსაც გადაწყვეტილება ემყარება, ყალბია;

ბ) დადგენილია მოწმის შეგნებულად ცრუ ჩვენება, ექსპერტის შეგნებულად ყალბი დასკვნა, შეგნებულად არასწორი თარგმანი, რასაც მოჰყვა უკანონო ან დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღება;

გ) დადგენილია ამ საქმეზე მხარეთა და მათ წარმომადგენელ-

თა დანაშაულებრივი ქმედება ან მოსამართლის დანაშაულებრივი ქმედება;

დ) სასამართლო განაჩენი, გადაწყვეტილება, განჩინება ან სხვა ორგანოს დადგენილება, რომელიც საფუძვლად დაედო ამ გადაწყვეტილებას, გაუქმდა;

ე) მხარე წარუდგენს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას, რომელიც გამოტანილია იმავე სარჩელის მიმართ;

ვ) მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას;

ზ) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით, და დადგენილი დარღვევა გადასასინჯი გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს;

თ) არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტის, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის, ბავშვის უფლებათა კომიტეტის, წამების წინააღმდეგ კომიტეტის ან რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის (შემდგომ –კომიტეტი) გადაწყვეტილება, რომლითაც ამ საქმესთან დაკავშირებით დადგენილ იქნა კომიტეტის დამაარსებელი კონვენციის დარღვევა, და გადასასინჯი გადაწყვეტილება ამ დარღვევას ეფუძნება.

აქვე შეიძლება მოკლედ აღვნიშნოთ, რომ ზოგადად გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან[774] მოქმედებს ათი სახელშეკრულებო ორგანო (კომიტეტი), მაგალითად, 1) ადამიანის უფლებათა, 2) ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის, 3) ბავშვის უფლებათა, 4) წამების წინააღმდეგ, 5) რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის, 6) შეზღუდული შესა-

774 გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო) შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ 1945 წლის 26 ივნისს. ამ დღეს 50 სახელმწიფომ სან ფრანცისკოში ხელი მოაწერა მის წესდებას. გაეროს მიზანია საერტაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება, საჭიროების სემთხვევაში ჰუმანიტარული დახმარების გაწევა, ადამიანის უფლებების დაცვა და სხვა. საქართველო 1992 წელს გახდა გაეროს წევრი. დღეისთვის გაეროს წევრი, საქართველოს ჩათვლით, 193 სახელმწიფოა.

ძლებლობის მქონე პირთა უფლებების, 7) ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებისა 8) მიგრანტი მუშების დაცვის კომიტეტი და სხვა.

ზემოთ აღნიშნულ „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტებთან მიმართებაში უნდა არსებობდეს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი.

„ე“-„ვ“ ქვეპუნქტებთან მიმართებაში საქმის განახლება დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს წარმოედგინა კანონიერ ძალაში შესული და იმავე სარჩელზე გამოტანილი გადაწყვეტილება, ან მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

მაგალითად: ა-ნიმ მიმართა სასამართლოს საქმის წარმოების განახლების შესახებ იმ მოტივით, რომ აღმოჩნდა მამკვიდრებლის მიერ შედგენილი წერილობითი ანდერძი განმცხადებლის სასარგებლოდ, რომლის შესახებ ადრე რომ ყოფილიყო ცნობილი სასამართლო არ გამოიტანდა გადაწყვეტილებას მემკვიდრეებს შორის სამკვიდრო ქონების განაწილების შესახებ.

ა-ნიმ უტყუარად დაადასტურა, რომ ამ ანდერძის შესახებ მან რამდენიმე დღის უკან გაიგო.

სასამართლომ განიხილა ეს განცხადება და მიიღო განჩინება გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების შესახებ.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ახალი გარემოება ან მტკიცებულება, მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს განახლების საფუძველი, თუ გარემოება (მტკიცებულება) არსებობდა გადაწყვეტილების მიღებამდე და მხარემ არ იცოდა ამ გარემოების (მტკიცებულების) არსებობის შესახებ.

აქედან გამომდინარე, თუ ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში ა-ნი ვერ დაადასტურებს, რომ მან ადრე, ე.ი. საქმის განხილვისა და გადაწყვეტის დროს არ იცოდა ანდერძის არსებობის შესახებ, რის გამოც მას არ ჰქონდა შესაძლებლობა მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე (სსკ 423-ე მუხლის მე-3 პუნქტი), სასამართლო უარს ეტყვის საქმის წარმოების განახლებაზე.

„ზ“ ქვეპუნქტთან მიმართებაში სასამართლო განიხილავს მოსარჩელე მხარისათვის შესაბამისი კომპენსაციის მიკუთვნების საკითხს, თუ მესამე პირების მიერ უფლებათა კეთილსინდისიერად მიღების გამო შეუძლებელია გადაწყვეტილების შეცვლა.

III. **განსჯადობა**

სსკ 424-ე მუხლი ამკვიდრებს განსჯადობის ზოგად წესს, რომლის თანახმად განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილი უნდა იქნეს გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტან სასამართლოში. ეს იმას ნიშნავს, რომ განცხადება განახლების შესახებ შეტანილი უნდა იქნეს იმ სასამართლოში, რომლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების ბათილად ცნობას ან ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო ამ გადაწყვეტილების გაუქმებას მოითხოვენ.

ზემდგომი სასამართლოს მიერ ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვება არ ცვლის განსჯადობის ზოგად პრინციპს. განცხადება, მიუხედავად ამისა, უნდა განიხილოს გადაწყვეტილების გამომტანმა და არა იმ სასამართლომ, რომელმაც უცვლელად (ძალაში) დატოვა იგი.[775]

მაგალითად: რაიონულმა (საქალაქო) სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლითაც დააკმაყოფილა ა-ნის სარჩელი ბ-ანის მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ. სააპელაციო სასამართლომ განიხილა ბ-ანის სააპელაციო საჩივარი ამ გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ და უარი უთხრა აპელანტს საჩივრის დაკმაყოფილებაზე, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა. სააპელაციო სასამართლოს ეს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ბ-ანიმ. საკასაციო სასამართლომ თავისი განჩინებით უარი უთხრა კასატორს საჩივრის დაკმაყოფილებაზე და სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომლითაც უცვლელად იქნა დატოვებული საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, ძალაში იქნა დატოვებული. **საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.**

ამის შემდეგ, ბ-ანიმ თავისი განცხადებით მოითხოვა კანონიერ ძალაში შესული საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო გაუქმება და საქმის განახლება. საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებას მან საფუძვლად დაუდო ის გარემოება, რომ ექსპერტის დასკვნა, რომელიც საფუძვლად დაედო ამ გადაწყვეტილებას აღმოჩნდა ყალბი, რაც დასტურდება სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით.

775 სუსგ სამოქალაქო საქმეზე, 2003, №3, 644-646 გვ.

როგორც ამ მაგალითიდან ჩანს, გასანახლებელ საქმეზე არსებობს სამი სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი აქტი: საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, სააპელაციო სასამართლოს (2) განჩინება ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ და საკასაციო სასამართლოს (3) განჩინება სააპელაციო სასამართლოს განჩინების ძალაში დატოვების შესახებ.

საჭიროა თუ არა მართლმსაჯულების სამივე აქტის გაუქმება და რომელი სასამართლოს განსჯადია ბ-ანის განცხადება.

პრაქტიკა წავიდა გამარტივებული გზით: დაინტერესებულ მხარეს ახლად აღმოჩენილი გარემოების საფუძველზე შეუძლია მოითხოვოს საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების (განჩინების) გაუქმება და საქმის განახლება, ისე რომ არ შეეხოს ამ გადაწყვეტილების (და არა საქმის) მიმართ გამოტანილ განჩინებებს, რომლებიც იმ დროისათვის, როცა ისინი იყო გამოტანილი სავსებით კანონიერი და დასაბუთებული იყო.

ჩვენი აზრით, სასამართლო პრაქტიკის მიერ შემუშავებული ასეთი წესი და მისი საკანონმდებლო წესით დამკვიდრება, რაც უკვე განხორციელდა (სსკ 423-ე მუხლი), სავსებით გამართლებულია არამარტო პროცესუალური ეკონომიის, არამედ ყველა სხვა თვალსაზრისითაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ბ-ანის შეუძლია ახლად აღმოჩენილ გარემოების გამო მოითხოვოს მხოლოდ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და ამ საქმის განახლება. ამიტომ, განცხადება მან უნდა შეიტანოს უშუალოდ იმ საქალაქო სასამართლოში, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება გასანახლებელ საქმეზე. მისი განცხადება სწორედ ამ სასამართლოს განსჯადია.

სააპელაციო და საკასაციო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავს განცხადებას საქმის განახლების შესახებ, თუ იგი მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას ეხება.

მაგალითად: სააპელაციო (საკასაციო) სასამართლომ გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და თვითონ გამოიტანა ახალი გადაწყვეტილება საქმეზე. განცხადება ამ გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა თუ მისი გაუქმებისა და საქმის განახლების შესახებ იქნება სააპელაციო (საკასაციო) სასამართლოს განსჯადი.

არ არის გამორიცხული, რომ ზემდგომმა სასამართლომ ნაწილობრივ გააუქმოს გადაწყვეტილება და გაუქმებულის ნაცვლად

თვითონ მიიღოს ახალი გადაწყვეტილება. ასეთ შემთხვევაში განცხადება საქმის განახლების შესახებ იმ სასამართლოს განსჯადია, რომელთა მიერ გამოტანილ გადაწყვეტილების ნაწილის გაუქმებას (ბათილად ცნობას) და ამ ნაწილში საქმის განახლებას მოითხოვს განმცხადებელი.

ამრიგად, ზოგადი პრინციპი, რომლის თანახმად განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ იმ სასამართლოს განსჯადია, რომლის მიერ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების ბათილად ცნობას ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გაუქმებას მოითხოვენ – ყოველთვის ურყევად და მტკიცედ მოქმედებს.

ერთად-ერთი გამონაკლისი ამ ზოგადი წესიდან დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც განცხადება მოითხოვს ერთსა და იმავე საქმეზე რამდენიმე სასამართლო ინსტანციის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა გაუქმებას.

მაგალითად, სააპელაციო სასამართლომ მხოლოდ ნაწილობრივ შეცვალა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, ხოლო ნაწილობრივ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება. თუ განმცხადებელი მოითხოვს ორივე ნაწილის ბათილად ცნობას (გაუქმებას) და საქმის წარმოების განახლებას მთლიანად, მაშინ ეს განცხადება უნდა განიხილოს ზემდგომმა ანუ სააპელაციო სასამართლომ (სსკ 424-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

§2. განცხადების დასაშვებობა

I. განცხადების შინაარსი

საქმე სასამართლო წარმოების განახლების შესახებ აღიძვრის განცხადებით.[776]

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა განსაზღვრავს მო-

776 გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 578-580-ე მუხლების თანახმად საქმის წარმოების განახლება შეიძლება **სარჩელით** კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა ან რესტიტუციული სარჩელით. Thomas-Putzo Zpo. omentar. Verlag C.H. Beck munchen, 1997. ჩგვ. 908
საფრანგეთის ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 593-ე-603-ე მუხლების თანახმად კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გადაისინჯოს სარევიზიო შუამდგომლობით (le Recours En Revision). ამ შუამდგომლობის დასაშვებობისა და საფუძვლიანობის პირობები ძირითადად იგივეა, რაც ჩვენი სსკ-ით გათვალისწინებული განცხადებისა საქმის წარმოების განახლების შესახებ.
https://www.legifrance.gouv.fr/codes/texte_lc/LEGITEXT000006070716/2021-02-13/

ნაცემებს, რომლებსაც უნდა პასუხობდეს განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ. ეს იმაზე მიუთითებს, რომ კანონმდებლობა განცხადების შინაარსს აკისრებს სრულიად გარკვეული პრაქტიკული ამოცანის შესრულებას. შემთხვევითი არაა ამიტომ ის, რომ თუ განცხადება არ შეიცავს კანონით განსაზღვრულ მონაცემებს „სასამართლო ავალებს განმცხადებელს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, **განცხადება აღარ დაიშვება**".

როგორია ეს მონაცემები?

განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ არის სასამართლოსადმი მიმართული განცხადება და, ცხადია, იგი უნდა შეიცავდეს ყველა მონაცემს, რომელსაც შეიცავს სასამართლოსადმი მიმართული ნებისმიერი განცხადება. ჩვენ აქ მოკლედ შევეხებით მხოლოდ ზოგიერთ ისეთ მონაცემს, რომელიც ამ განცხადების შინაარსისთვის არის განმსაზღვრელი.

განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ უნდა შეიცავდეს:

1) იმ საფუძველზე მითითებას, რომელსაც უკავშირდება საქმის წარმოების განახლება;

მაგალითად: თუ განმცხადებელი მოითხოვს საქმის განახლებას იმის გამო, რომ გადაწყვეტილება ამ საქმეზე ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, მაშინ მან უნდა მიუთითოს, ერთ-ერთი გარემოება, რომელსაც სსკ 422-ე მუხლი უკავშირებს გადაწყვეტილების ბათილობას. მაგრამ თუ განმცხადებელი მოითხოვს საქმის განახლებას ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო, მაშინ მან უნდა მიუთითოს თავის განცხადებაში კონკრეტულად ერთ-ერთ იმ გარემოებაზე, რომელსაც სსკ 423-ე მუხლი უკავშირებს საქმის წარმოების განახლებას.

2) მითითებას იმ გარემოებებზე, რომლებიც ადასტურებენ, რომ დაცულია განცხადების შეტანის ვადა და მითითებას მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს;

სსკ 426-ე მუხლი განსაზღვრავს საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანის ვადას და მისი ათვლის წესს. **ვადა არის ერთი თვე, ხოლო ვადის ათვლა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა საქმის განახლების საფუძვლის არსებობა.** ამიტომ, განცხადებაში მითითებული უნდა იყოს იმის შესახებ, თუ როდიდან გახდა ცნობილი განმცხადებლისათვის ამ

საფუძვლის შესახებ და რა მტკიცებულებებით შეუძლია მხარეს ამ გარემოებების დადასტურება.

მაგალითად: განმცხადებელმა წარუდგინა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება იგივე სარჩელზე (სსკ 423-ე მუხლის „ე" ქვეპუნქტი). ეს არის გადაწყვეტილების გაუქმების და საქმის წარმოების განახლების საფუძველი, მაგრამ სასამართლომ უარი უთხრა განმცხადებელს საქმის წარმოების განახლებაზე, რადგან მან ვერ დაამტკიცა, რომ ამის შესახებ არ იცოდა ადრე და მხოლოდ განცხადების შემოტანამდე ერთი თვით ადრე შეიტყო.

გარდა აღნიშნულისა, 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ" ქვეპუნქტიდან გამომდინარე საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადება შეტანილი უნდა იქნეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) კანონიერ ძალაში შესვლიდან 3 თვის ვადაში, ხოლო ამავე პირველი ნაწილის „თ" ქვეპუნქტიდან გამომდინარე-- შესაბამისი კომიტეტის გადაწყვეტილების მიღებიდან 6 თვის ვადაში.

თუ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ განცხადება ემყარება იმას, რომ ერთ-ერთი მხარე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი (თუ მას ასეთი წარმომადგენელი სჭირდება) არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე (სსკ 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტი), მაშინ განცხადების შეტანის ვადა იწყება იმ დღიდან, როცა გადაწყვეტილება ეცნობა მხარეს, თუ იგი ქმედუუნაროა – მის კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო თუ იგი არის მხარდაჭერის მიმღები, რომელსაც დაუწესდა მხარდაჭერა საპროცესო წარმომადგენლობის განსახორციელებლად, – მას ან მის მხარდამჭერს.

აღნიშნული ვადის ათვლა იწყება უფრო გვიან ჩაბარებული გადაწყვეტილების ჩაბარების დღიდან.

3) მითითებას განსჯადობის წესების დაცვაზე;

განცხადებაში საჭიროა მიეთითოს რომელი სასამართლო ინსტანციის გადაწყვეტილების გაუქმებას და საქმის განახლებას მოითხოვს განმცხადებელი. ამ მითითების შესაბამისად განისაზღვრება განსჯადობაც. მართალია, განსჯადობას თავისი ინიციატივით ამოწმებს სასამართლო, მაგრამ განცხადებაში შესაბამისი მითითებების ჩამოყალიბება დაეხმარება მას სწორად განსაზღვროს განსჯადობა.

4) მითითებას იმის შესახებ, რომ ერთ-ერთი მხარე ან მისი

კანონიერი წარმომადგენელი (თუ მას ასეთი წარმომადგენელი სჭირდება) არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე;

5) მითითებას, თუ რა ზომით და რა ფარგლებში მოითხოვს განმცხადებელი გადაწყვეტილების გაუქმებას. აღსანიშნავია, რომ კიდეც რომ არსებობდეს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თუ გაუქმების საფუძველი, მხარეს შეუძლია მოითხოვოს ამ გადაწყვეტილების არა მთლიანად, არამედ ნაწილობრივ გაუქმება.

ასეთია ძირითადი და მთავარი მოთხოვნები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, განმცხადებელს შეიძლება მიეცეს ვადა განცხადების ხარვეზის შევსებისათვის, მაგრამ თუ ეს ხარვეზი არ იქნება შევსებული, განცხადება განუხილველი დარჩება დაუშვებლობის გამო.

II. საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დასაშვებობის შემოწმება

საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დასაშვებობას სასამართლო აწარმოებს თავისი ინიციატივით. ამ განცხადების დასაშვებობის შემოწმების მიზნით სასამართლომ უნდა გაარკვიოს არსებობს თუ არა ყველა ის წინაპირობა, რომლებიც დასაშვებობას განსაზღვრავენ. სასამართლომ კერძოდ უნდა შეამოწმოს:

(1) შემოტანილია თუ არა განცხადება უფლებამოსილი პირის მიერ. უფლებამოსილ პირებად მიჩნეულ უნდა იქნენ მხარეები, თანამონაწილეები, მესამე პირები დამოუკიდებელი მოთხოვნით, უფლებამონაცვლეები, პირები, რომლებიც არ ფიგურირებენ საქმეში როგორც მხარე, მაგრამ რომელთა უფლება-მოვალეობები განისაზღვრა ამ გადაწყვეტილებით.

(2) დაცულია თუ არა ასეთი განცხადების შეტანის ვადები.

(3) ხომ არ არის გასული 5 წელი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან (სსკ 426-ე მუხლის მე-4 პუნქტი). ეს იმას ნიშნავს, რომ თუ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან გავიდა 5 წელი კიდეც რომ არსებობდეს ყველა სხვა დანარჩენი წინაპირობა, სასამართლო მაინც ვერ მიიღებს და განიხილავს

განცხადებას განახლების შესახებ.[777]

(4) შეეძლო თუ არა განმცხადებელს გადაწყვეტილების ბათილობის პირობების წამოყენება პირველი ინსტანციის, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას (სსკ 422-ე მუხლი);

(5) შემოტანილია თუ არა განცხადება განსჯადობის წესების დაცვით (სსკ 424-ე მუხლი);

(6) პასუხობს თუ არა განცხადება კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

თუ დასაშვებობის შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ არ არსებობს დასაშვებობის ესა თუ ის წინაპირობა და, მაშასადამე, განცხადება არაა დასაშვები, სასამართლო გამოიტანს განჩინებას საქმის წარმოების განახლების თაობაზე განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ მისი დაუშვებლობის გამო. ეს განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით. თუ ასეთი შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ განცხადება დასაშვებია, სასამართლო გამოიტანს განჩინებას საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების მიღებისა და მისი განხილვის დანიშვნის შესახებ.

ამ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

III. საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების საფუძვლიანობის შემოწმება

საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების საფუძვლიანობის შემოწმება წარმოებს ზეპირი მოსმენის გარეშე. მაგრამ სასამართლოს შეუძლია გადაწყვიტოს ზეპირი მოსმენაც თუ ეს ხელს შეუწყობს საქმის გარემოებების გარკვევას (სსკ 430-ე მუხლის პირველი ნაწილი).

სასამართლო ვალდებულია ზეპირი მოსმენით განიხილოს განცხადება თუ იგი ეხება ისეთ გარემოებებსა და მტკიცებულებებს, რომლებიც მხარისათვის არახელსაყრელი გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე ცნობილი რომ ყოფილიყო მათ სასამართლოში

---

777 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი სსკ 426-ე მუხლის მე-4 პუნქტით დამკვიდრებული ამ დანაწესის არაკონსტიტუციურად ცნობის შესახებ. იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2003 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება №1\3\161.

წარადგენდა და მისთვის ხელსაყრელ გადაწყვეტილებას მიიღებდა.[778]

ზეპირი განხილვის დანიშვნის შემთხვევაში სასამართლო მხარეებს ატყობინებს სხდომის ჩატარების დროსა და ადგილს. შეტყობინება ხდება კანონით დადგენილი წესით (სსკ 70-78-ე მუხლები). მხარეთა გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს სასამართლოს მიერ საკითხის განხილვასა და გადაწყვეტას.

სასამართლო სხდომა მთლიანად ეძღვნება ერთი ძირითადი საკითხის გარკვევას: **არსებობს თუ არა საქმის წარმოების განახლების კანონით გათვალისწინებული საფუძველი და უნდა იქნეს თუ არა მიღებული განჩინება გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების შესახებ.**

ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებას წინ უნდა უსწრებდეს იმ საფუძვლის (გარემოების) დადგენა, რომელზეც უთითებს განმცხადებელი თავის განცხადებაში საქმის განახლების მიზნით. კერძოდ, თუ განმცხადებელი საქმის განახლების საფუძვლად უთითებს გადაწყვეტილების ბათილობას სსკ 422-ე მუხლში მითითებულ ერთ-ერთი გარემოების გამო, მაშინ მან უნდა დაამტკიცოს ეს გარემოება. მაგრამ, თუ განმცხადებელი განახლების საფუძვლად უთითებს ერთ-ერთ ახლად აღმოჩენილ გარემოებაზე სსკ 423-ე მუხლის მიხედვით, მაშინ მან უნდა დაამტკიცოს ეს გარემოება.

მაგალითად: ა-ნიმ მიმართა სასამართლოს განცხადებით საქმის წარმოების განახლების თაობაზე იმ საფუძვლით, რომ ამ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება ბათილია, რადგან მის მიღებაში მონაწილეობდა მოსამართლე, რომელსაც ამის უფლება არ ჰქონდა. ეს განცხადება სასამართლომ დასაშვებად ცნო და მიიღო „განჩინება საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების მიღებისა და მისი განხილვის დანიშვნის შესახებ".

განმცხადებელმა ა-ნიმ ამ სასამართლო სხდომაზე უნდა დაამტკიცოს, რომ მოსამართლეს, რომელიც მონაწილეობდა გადაწყვეტილების მიღებაში უფლება არ ჰქონდა მონაწილეობა მიეღო მის გამოტანაში.

---

778 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2018 წლის გადაწყვეტილებით „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვას იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, ძალადაკარგულად იქნა ცნობილი". საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/8/765

იგივე უნდა ითქვას, როდესაც განახლების შესახებ განცხადება ემყარება ახლად აღმოჩენილ გარემოებას, მაგალითად ექსპერტის დასკვნის სიყალბეს. ასეთ შემთხვევაშიაც განმცხადებელმა უნდა დაამტკიცოს ამ გარემოების არსებობა.

ზოგიერთ შემთხვევაში კანონმდებელი თვითონ განსაზღვრავს თუ რომელი მტკიცებულებით უნდა დადასტურდეს განახლების შესახებ განცხადებაში მითითებული გარემოება (მტკიცებულებათა დასაშვებობა). მაგალითად, სსკ 423-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, განცხადება განახლების შესახებ შეიძლება დაემყაროს ექსპერტის დასკვნის სიყალბეს, მოწმის შეგნებულად მიცემულ ცრუ ჩვენებას, დოკუმენტის სიყალბეს და ა.შ. მაგრამ ეს გარემოებები შეიძლება დადასტურდეს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით ან მომკვლევი და საგამოძიებო ორგანოების შესაბამისი დადგენილებით, ოღონდ იმ პირობით, თუ სისხლის სამართლის საქმეზე პროცესის გაგრძელება და ჩატარება ვერ ხერხდება არა მტკიცებულებათა უკმარისობის, არამედ სხვა მიზეზით, მაგალითად დანაშაულის მცირე მნიშვნელობის ან ამნისტიის გამო საქმის წარმოების შეწყვეტით.

მაგალითად: ა-ნიმ მოითხოვა საქმის წარმოების განახლება იმ მოტივით, რომ გადაწყვეტილება ემყარება მოწმის შეგნებულად მიცემულ ცრუ ჩვენებას. სასამართლომ დაუშვა ეს განცხადება, მიიღო იგი წარმოებაში და დანიშნა სხდომა მისი საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით. იმ ფაქტის დასადასტურებლად, რომ მოწმემ მისცა შეგნებულად (განზრახ) ცრუ ჩვენება. განმცხადებელმა სასამართლოს წარმოუდგინა სხვა მოწმეთა წერილობითი ჩვენებები, აგრეთვე წერილობითი დოკუმენტები, რომლებიც უარყოვენ იმ ფაქტის არსებობას, რომლის შესახებ ცრუ ჩვენება მისცა მოწმემ. სასამართლომ არ მიიღო ამ მოწმეთა ჩვენებები და სხვა წერილობითი მასალები, რადგან მოწმის შეგნებულად ცრუ ჩვენების დადასტურებისათვის დასაშვებია მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული განაჩენი ან საგამოძიებო ორგანოების დადგენილებები (სსკ 423-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

თუ განახლების საფუძვლის დასადასტურებლად კანონი არ ითვალისწინებს რომელიმე კონკრეტული მტკიცებულების დასაშვებობას, მაშინ განმცხადებელს შეუძლია წარმოუდგინოს სასამართლოს ნებისმიერი მტკიცებულება, რომელსაც კანონით დადგენილი წესით შეამოწმებს და შეაფასებს სასამართლო თავისი შინაგანი რწმენით.

სასამართლო ადგენს და აფასებს ადრე უცნობ საქმის გარე-

მოებებს, იკვლევს მტკიცებულებებს, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს, და ამით მართლმსაჯულების, მოქალაქეთა და ორგანიზაციათა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების ყოველმხრივი დაცვის ინტერესებში, ახდენს აღნიშნული სტადიის სპეციფიკური დანიშნულების რეალიზაციას – გაარკვიოს, არსებობს თუ არა საკმაო მიზეზი იმისათვის, რომ კიდევ ერთხელ დაუბრუნდნენ საქმის განხილვას, რომელზეც არსებული მასალების საფუძველზე დადგენილ იქნა შესაბამისი გადაწყვეტილება.[779]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი პრაქტიკული დასკვნები:

1. საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დასაშვებობას სასამართლო ამოწმებს თავისი ინიციატივით და მხარეთა მონაწილეობის გარეშე. სასამართლოს შეუძლია დასაშვებობის საკითხი განიხილოს მხარეთა მონაწილეობითაც;

2. თუ განცხადება არაა დასაშვები, სასამართლოს გამოაქვს „განჩინება საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ მისი დაუშვებლობის გამო".

თუ განცხადება დასაშვებია სასამართლომ გამოაქვს „განჩინება საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების მიღებისა და მისი განხილვის დანიშვნის შესახებ."

3. განცხადების განხილვა მისი საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით შეიძლება მხოლოდ სასამართლო სხდომაზე მხარეთა კანონით დადგენილი წესით შეტყობინებით.

4. თუ განახლების შესახებ განცხადების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ ეს განცხადება უსაფუძვლოა, სასამართლოს გამოაქვს „განჩინება საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე უარისთქმის შესახებ". ეს განჩინება საჩივრდება კერძო საჩივრით ზემდგომ ინსტანციაში. მაგრამ, თუ გამოირკვევა, რომ განცხადება საფუძვლიანია ანუ არსებობს საქმის წარმოების განახლების საფუძველი, მაშინ სასამართლო გამოიტანს „განჩინებას გადაწყვეტილების გაუქმებისა (ბათილად ცნობისა) და საქმის წარმოების განახლების შესახებ" (სსკ 430.2 და 3 მუხლის).[780] ეს განჩინებაც შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით.

---

779 ლილუაშვილი ალ. დისერტაცია „კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით დამთავრებული საქმეების წარმოების განახლება," 2010, გვ. 51

780 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის გადაწყვეტილებით „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430.3 მუხლის ნორმატი-

ეს წესი არ ეხება სსკ 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ პუნქტს. ამ განჩინების მიღების შემდეგ განახლებული საქმე ხელმეორედ უნდა იქნეს განხილული ისე, თითქოს ადრე იგი არც ყოფილა განხილული – საქმეთა განხილვის საერთო წესის დაცვით, მოწინააღმდეგე მხარის ინტერესების სრული დაცვით.

საქმის განხილვის თავიდან დანიშვნა ვერ შეაჩერებს ძალაში შესული გადაწყვეტილების იძულებით აღსრულებას. მაგრამ თუ სასამართლო დააკმაყოფილებს განმცხადებელის შუამდგომლობას გადაწყვეტილების იძულებით აღსრულების შეჩერების შესახებ, მაშინ შესაძლებელია აღსრულება შეჩერდეს. ამან კი თავის მხრივ შეიძლება გარკვეული ზიანი მიაყენოს მოწინააღმდეგე მხარეს. ამიტომ, ასეთი შეჩერების შემთხვევაში სასამართლომ თავისი ინიციატივით, სსკ-ის 57-ე მუხლიდან გამომდინარე უნდა მოსთხოვოს განმცხადებელს მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად შესაბამისი გარანტიები.

2016 წლის აპრილში სამოქალაქო საპროცესო კოდექსს დაემატა 432[1] მუხლი, რომლის ძალითაც თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არსებული, მაგალითად, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი კონკრეტული პირის ინდივიდუალური საჩივრის საფუძველზე გადაწყვეტს, რომ მომჩივანთან მიმართებაში სახელმწიფოს მხრიდან დაირღვა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ 1966 წლის საერთაშორისო პაქტის[781] რომელიმე დებულება, პირს უფლება აქვს მიმართოს სარჩელით სასამართლოს და მოითხოვოს შესაბამისი ოდენობის ფულადი კომპენსაცია. საბოლოოდ, ადამიანის უფლების დარღვევის სიმძიმისა და სხვა ობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით სასამართლო გადაწყვეტს კომპენსაციის ოდენობას.

სარჩელს სასამართლო განიხილავს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

ული შინაარსი, რომელიც უშვებს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423.1 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით გაუქმების შესაძლებლობას, ძალადაკარგულად იქნა ცნობილი 2019 წლის 30 აპრილიდან.“ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/8/765, 2018 წელი 7 დეკემბერი

781 სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ მიღებულ იქნა გაეროს გენერალური ასაბლეაზე 1966 წლის 16 დეკემბერს და ძალაში შევიდა 1976 წლის 23 მარტს. საქართველო ამ პაქტს მიუერთდა 1994 წლის 3 მაისს და ძალაშია ამავე წლის 3 აგვისტოდან.